

ლევით გეგმატიონი



გამოსაცემად მოამზადა,
წინასიტყვაობა, გამოკვლევა,
ლექსიკონი და კომენტარები დაურთო
ლადო კობახიშვილმა

გამომცემლობა „საფოთა საქართველო“
თბილისი, 1985

„იადიგარ დაუდი“ ქართული მედიცინის ისტორიის დღემდე გამოცემულ წერილობით წყაროთა შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლია. იგი დაწერილია დავით ბაგრატიონის მიერ XVI საუკუნეში.

წინამდებარე წიგნი არის 1938 წელს გამოსული „იადიგარ დაუდის“ განმეორებითი გამოცემა (ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას აღარ ახლავს 'ლ. კორტეტიშვილის წინასიტყვაობა ფრანგულ ენაზე).

ძეგლში დაცულია ძველი ქართული ფილოსოფიურ-მედიკური კონცეფციის ამსახველი მასალები. ცალკე თავებში განხილულია ანატომიურ-ფიზიოლოგიური მოძღვრება, სადაც ავტორი ვრცლად და ყოველმხრივ განიხილავს პიგიენის, დიეტეტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

ძეგლის ხანდაზმულობის მიუხედავად, დაკვირვებული მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას იპოვის როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მედიცინის საკითხების თვალსაზრისით. რაც შეეხება ძეგლის ისტორიულ მნიშვნელობას, მის ღირებულებას, იგი განუსაზღვრელია.

წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ექიმებს, ძველი ქართული ვნისა და ლიტერატურის სპეციალისტებს, ისტორიკოსებს, აღმოსავლეთმცოდნეებს და ყველა იმ პირს, ვისაც ძველი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების სრულად შესწავლა სურს.

„იადიგარ დაუდის“ მეორე გამოცემისათვის

ბოლო წლებში რესპუბლიკაში განახლებულმა პოლიტიკურმა კლიმატმა ხელი შეუწყო ქართული კულტურის კიდევ უფრო მძლავრ აღმავლობას, მის შეუჩერებელ წინსვლასა და ზრდა-განვითარებას.

ამ ზრუნვის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებად მიგვაჩნია დავით ბაგრატიონის წინამდებარე ძეგლის — „იადიგარ დაუდის“ განმეორებითი გამოცემა, რადგან როგორც ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი ლ. კოტეტიშვილი იტყოდა, ძველი ქართული მედიცინა „ორგანული ნაწილია ქართული კულტურისა“. ამიერიდან იგი ხელს შეუწყობს და დაეხმარება მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტობას, ექიმებს და ყველა იმ პირთ, ვისაც ძველი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა განუზრახავს. აი რას წერდა ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ლ. კოტეტიშვილი: „ძველი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა ქართული საექიმო მსოფლმხედველობის, სამკურნალო ხასიათის ჩვენებისა და რწმენის გარეშე მუდამ ცალმხრივი და, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც არის“.

ამგვარად, შეივსო ის ხარვეზი, რაც დღემდე ნაწილობრივ ამ წიგნის ბიბლიოგრაფიული იშვიათობით იყო გამოწვეული.

„იადიგარ დაუდის“ პირველი გამოცემა — ლ. კოტეტიშვილის წინასიტყვაობით, ვრცელი გამოკვლევით („მედიცინა ძველ საქართველოში XVI ს.“), ვარიანტებით, ლექსიკონით, პირთა სახელებების და ავადმყოფობათა საძიებლებით გამოვიდა 1938 წ. 1.000 ც. ტირაჟით. მეორე გამოცემა განმეორებაა პირველისა, მას თან ერთვის ლ. კოტეტიშვილის წინასიტყვაობა და გამოკვლევა უცვლელად. ამასთან, რადგან ხელთ არ გვაქვს რაიმე არსებითი ახალი მონაცემები, როგორც „იადიგარ დაუდის“ ტექსტის, ისე მისი ავტორის — დავით ბაგრატიონის შესახებ, მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში დავკმა-

ყოფილდით ძეგლის ლ. კოტეტიშვილისეული შეფასებით. ჩვენი შეხედულების დასტურად ორიოდ სიტყვას ვიტყვით ამაგდარი მკვლევარის „წინასიტყვაობის“ და გამოკვლევის („მედიცინა ძველ საქართველოში XVI ს.“) მნიშვნელობის თაობაზე, რადგან მათ სადღეისოდაც როგორც მეცნიერული ღირებულება, ისე ისტორიული მნიშვნელობა აქვთ; ხოლო შემდგომ შევეცდებით მკითხველს შევახსენოთ ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებლისა და დაუღალავი მკვლევარის რთული, მაგრამ ნაყოფიერი შემოქმედებითი გზის ძირითადი მომენტები.

ამასთან, ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი რამ, რომ ლ. კოტეტიშვილი თავის დროზე გაეცნო მრავალ ხელნაწერ კარაბადინს და სამკურნალო წიგნს და გამოსაცემად ისეთები შეარჩია, რომლებიც არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მედიცინის ისტორიის რიგი საკითხებს (ეპიდემიოლოგიური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო-პროფილაქტიკური, დიეტეტიკური და სხვა) თვალსაზრისით, შეტად საყურადღებო, საინტერესო იყო და ზოგ შემთხვევაში სრულიად ახალ მასალას შეიცავდნენ. „იადიგარ დაუდი“ სწორედ ერთ-ერთი მათგანია. ამიტომაც ლ. კოტეტიშვილი წინასიტყვაობაში თამამად აცხადებს: „საქართველოს აქვს თავისი საექიმო-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სიცოცხლის, ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზის ახსნა-გაგებაში“. შემდეგ კი ასაბუთებს: „ამ ორიგინალური საექიმო ფილოსოფიური აზროვნების შედეგია ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უდიდესი ძეგლები, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება, აგრეთვე აგიოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და სახვითი ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები“. „რომ გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა და მტკიცე რწმენის გარეშე არც ერთი ამ ძეგლის შექმნა არ შეიძლებოდა“ და სხვა.

ასევე, ზემოთ დასახელებულ გამოკვლევაში ლ. კოტეტიშვილი ქართული მედიცინის ისტორიის ამსახველ მასალებს იხილავს ძველი მსოფლიოს ხალხთა მედიცინის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში და საბოლოოდ ასაბუთებს მის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართული მედიცინა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ამის დასტურად იგი გვაწვდის ბევრ საინტერესო დაკვირვებას, გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს და აყენებს გაბედულ ჰიპოთეზებს, რომელთა უმრავლესობა შემდგომმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, ხოლო ზოგი მათგანი მომავალ მკვლევარს ელის.

ლ. კოტეტიშვილმა ამავე გამოკვლევაში პირველმა დაასაბუთა

ქართველი ხალხის ორიგინალური შეხედულება სამყაროსა და სი-
ოცხლის წარმოშობის შესახებ და სხვა.

მკვლევარი ამასთან გვაცნობს „იადიგარ დაუდის“ ავტორს,
დავით ბაგრატიონს — „დაუდხანს“, რომელიც იყო შვილი საქარ-
თველოს მეფეთ-მეფის ლუარსაბ პირველისა (1534—1558). მისი
დაბადების თარიღად მიიჩნევენ 1539—1540 წ. დავით ბატონი-
შვილმა საეპიშო განათლება მიიღო ჯერ საქართველოში, შემდეგ
ირანში. მეფობდა 1569—1579 წ. „იადიგარ დაუდი“ დაწერა
1579—1585 წლებს შორის, თბილისსა და სტამბოლში. გარდაი-
ვალა სტამბოლში დაახლოებით 1585—1586 წ. — 46 წლის
ასაკში...

გამოკვლევის დასასრულს ლ. კოტეტიშვილი „იადიგარ და-
უდში“ დატული ფილოსოფიურ-სამედიცინო კონცეფციის განხილ-
ვის შემდეგ ეხება ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, პიგიენტურ, დიეტეტი-
კურ, დიაგნოსტიკურ ცნობებს, მკურნალობის საკითხებს და მო-
პყაეს მათგან რსეთების მაგალითები, რომლებსაც ქართული მედიცი-
ნა 400 წლის განმავლობაში იყენებდა. დღეს ქართულ მედიცინას
შეუძლია ეს მითითებები გამოიყენოს არა მარტო სამკურნალო-
პროფილაქტიკური თვალსაზრისით, არამედ ისტორიულ ასპექტში,
თავისი პრესტიჟის დასაცავად.

მაგალითად: „და ერთსა ალაგსა რომ წყალი იდგეს და არ
გასდიოდეს, ის წყალი კაცმან არ უნდა სუას, თვარადა უსათუოდ
კაცსა აწყენს და ავსა სენებსა შიაქს. და თუ... ამა ალაგსა სხვა
წყალი არ იყოს... მოადუღონ, თუ მოუვიდეს ქაფი მოჰხადონ, გა-
აციონ და ისრე სუან...“¹.

მაშასადამე, „იადიგარ დაუდის“ მიხედვით, გაუმდინარე წყალი
სასმელად უვარგისია მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი მაწყინა-
რია, არამედ იმიტომაც, რომ მას ადამიანის ორგანიზმში „შეაქვს
ავი სნება“ — დაავადება,² ამიტომაც გვირჩევს ხმარების წინ ასეთი

¹ „იადიგარ დაუდი“, გვ. 109—110.

² მართალია, დავით ბაგრატიონს მე-16 ს. მეორე ნახევარში ჯერ წარმოდგენა
არა აქვს მიკრობზე, მაგრამ ემპირიული დაკვირვების გზით, როგორც საქარ-
თველოში განსწავლულმა ექიმმა, წინაპართა გადმოცემიდან იცის, რომ სასმელ-
საქმლისა და საყოფაცხოვრებო საგნების საშუალებით რაღაც „უხილავი ძალა,
თუ „არსება“ ხედება ადამიანის ორგანიზმში და იწვევს მის დასნებოვნებას.
მაგალითად: ლ. ბაგრატიონის დიდი წინაპარი XI საუკუნის ექიმი — ქანა-
ნელი „უსწორო კარაბადინში“ ტიფთი („ყვანა“, პ. ფ.) დაავადებულის მკურ-
ნალს და მომვლელ პერსონალს ურჩევს: „რომელსაცა სახლშიმგან სნეული იწ-
ვეს, შენ ნუ დასდგები და ნურცა დასწვები, და რაცა მათ ექამოს საკმელი,

წყალი ავადულოთ, ე. ი. გავასტერილოთ, გავაციოთ და ისე ვიხმაროთ.

ამ ნაშრომს, გარდა მეცნიერული ღირებულებისა, აქვს ისტორიული მნიშვნელობაც — მასში მოცემულია ქართული მედიცინის ისტორიის მთავარ ეტაპებად დაყოფის ცდაც...

ლ. კოტეტიშვილის წინასიტყვაობისა და გამოკვლევის შესახებ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი ამ წიგნს თან ახლავს და მსურველი თავადაც გაეცნობა მას.

ჩვენ კი, თუ მკითხველი კადნიერებად არ ჩამოგვართმევს, ზოგად შტრიხებში გავაცნობთ ლ. კოტეტიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის რთულ, მაგრამ შემოქმედებითი მღელვარებით აღსავსე გზას, რომელსაც ფართო საზოგადოებისათვის საღრღისოდ ნაკლებადაა ცნობილი.

ღიალი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე საქართველოში ქართული მედიცინის ისტორიას მხოლოდ თითო-ორილა მოტრფიალე თუ ჰყავდა, ისინიც ამ საქმის უფრო ენთუზიასტები იყვნენ, რადგან მათი როლი მხოლოდ ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებით, მათი მოვლა-პატრონობით და ზოგიერთ შემთხვევაში სარელაქციო სამუშაოთი შემოიფარგლებოდა. აქვე ისიც შეიძლება დავძინოთ, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო მათ აშკარა მუშაობასაც კი სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა.

ლ. კოტეტიშვილი ამის თაობაზე გულსიტყვილით წერდა: „დღემდე თითქმის არაფერი ვიცი არც ქართული წერილობითი მედიცინის და არც ხალხური მედიცინის შესახებ“—ო. ამასთან აღნიშნავდა იმასაც, რომ ექიმთა წრიდან არასდროს არავის უფიქრია მუზეუმების ფონდსაცავებში დაცული ქართული სამკურნალო ძეგლების შესწავლასა და მათ გამოცემაზე. ნაკლად თვლიდა იმ გარემოებასაც, რომ არც ერთი ძველი საექიმო წიგნი ან კარაბადინი ჯერ კიდევ იმ ხანად საქართველოში დაბეჭდილი არ იყო. ამის უმთავრეს მიზეზად სახელოვანი მამულიშვილი ისტორიული პირობების გარდა იმ გარემოებას ასახელებდა, რომ არც ერთი მკვლევარი არ ჩანდა სწავლულ ექიმთა წრიდან, იმ მოტივით

მისა ნაქამსა თქუენ ნუ სქამთ, თვარემ საშიშარი. არის. ნურცა მათითა ჭურჭლითა წყალს სუამთ, რომლითა სნეული სმიდეს. ესე რაცა სენი დაგვიწერია, იმა სნეულისა ნაქამსა და ნასვამსა ვინცა სქამს და სვამს, მათ გარდაეხვეის“... (ქანანელი, „უსწორო კარაბადინი“, 1940, გვ. 5).

თითქოსდა მედიცინის ამ დარგში ქართველ ხალხს საკვლევი და თავმოსაწონი არაფერი ჰქონდა.

მათ საპასუხოდ ლ. კოტეტიშვილმა იმთავითვე განაცხადა, რომ ქართული მედიცინა უძველესია, იგი წარმართული დროიდან მომდინარეობს და რომ მან უკვე გაიარა თავისი განვითარების ყველა ეტაპი, რასაც ააშქარავებს მისი ისეთი შენაკადები, როგორცაა, სატაძრო, მაგიური, ხალხური და საერო მედიცინა. ამასთან, ეს უკანასკნელი მდიდარია როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი წერილობითი წყაროებით. ამიტომ ქართული მედიცინა „მეტად მდიდარია მასალით, მეტად საინტერესო შინაარსით და მეტად სასარგებლო და აუცილებელი ჩვენი სამკურნალო აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის“.

სახელოვანი მამულიშვილის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან პირველმა და ერთადერთმა ექიმთა შორის, გვითხრა ყოველივე ზემოთქმული და ცხოვრების მიზნად დაისახა ეზიდა უმძიმესი ტვირთი — შეექმნა ქართული მედიცინის ისტორია.

ლ. კოტეტიშვილმა სათანადო ფაქტიური მასალის თავმოყრის მიზნით პირველმა წამოაყენა საქართველოს მედიცინის ისტორიის შექმნის გეგმა — ქართული საექიმო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებისათვის შესაქრებად საჭირო საველე პროგრამით და სათანადო ციკლით „მედიცინა ძველ საქართველოში“. ეს ციკლი ერთი მხრივ, ითვალისწინებდა ძველი ქართული საექიმო წერილობითი წყაროების თავმოყრასა და მათ მეცნიერულ გამოცემას, ხოლო, მეორე მხრივ, გულისხმობდა „მაგიური, სატაძრო მედიცინის“ გადმონათშების, „სახალხო მედიცინის“ შეგროვება-შესწავლას და გამომზეურებას. აი მიზანი, რომელსაც შეაღია მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე.

ლ. კოტეტიშვილი დაიბადა 1895 წელს¹. იგი იყო ძმა მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის — ვახტანგ კოტეტიშვილისა.

მამა — ილია იმხანად სვეტიცხოელის მღვდელმთავრად მსახუ-

¹ თავის დროზე, ჩვენი თხოვნით, ბიოგრაფიისათვის საჭირო მასალები, მოგონებათა და სხვათა სახით, თავაზიანად მოგვაწოდეს: ლ. კოტეტიშვილის მეუღლემ ნ. მაყაშვილმა, ლ. კოტეტიშვილის მეგობრებმა, პროფესორებმა: დ. იაშვილმა, ი. მეგრელიძემ, ბ. გორდენიანმა, გ. წითლანაძემ, მწერალმა გ. ნატროშვილმა, მედიც. მეც. კანდ. რ. სურმანიძემ და სხვებმა. აღნიშნული მასალა უფრო ვრცლად წარმოდგენილი იქნება ლ. კოტეტიშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რისთვისაც ავტორი მათ წინასწარ მადლობას მოახსენებს.

რობდა და ოჯახიც მცხეთაში ჰყავდა¹, ასე რომ სვეტიცხოვლის ეზოში აგებულ სახლში იზრდებოდნენ პატარა ლადო და მისი დამძანი. მათ ბავშვობა ამ შესანიშნავი ძეგლისა და მცხეთის ისტორიული ადგილების გარემოცვაში გაატარეს.

დედა — ეკატერინე ბიძინაშვილი — განათლებული, ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე იყო, იგი გატაცებული ყოფილა ხალხური პოეზიით და თვითონაც თხზავდა ლექსებს. ხალხური სიბრძნისადმი სიყვარული დედამ ადრევე ჩაუნერგა შვილებს, რამაც თავისი შედეგიც უამოიღო².

ლ. კოტეტიშვილმა 1915 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს სწავლა განაგრძო ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მას ხარკოვში მოუსწრო. ახალგაზრდა სტუდენტი აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში — სათავეში ჩაუდგა სტუდენტთა მებრძოლ რაზმს და გულმოდგინედ ასრულებდა რევკომის დავალებებს. შემდეგ იგი წითელი არმიის რიგებში შევიდა და მონაწილეობდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლ. კოტეტიშვილმა 1921 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი, 1922 წელს დაბრუნდა საქართველოში და ექიმად დაიწყო მუშაობა აჭარაში. აქვე იწყებს ლიტერატურულ მოღვაწეობას. მალე კახეთში, ახალსოფელში გადავიდა სამუშაოდ. აქ მან რამდენიმე წელი დაპყრო და პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობასთან ერთად მუშაობდა ქართული ხალხური მედიცინის შესწავლაზე. შეაგროვა ქართული საექიმო, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები. სწავლობდა ხალხურ საექიმო მსოფლმხედველობას ამა თუ იმ ავადმყოფობის ან სიკვდილის მიზეზის ასახსნელად, აგრეთვე სხვადასხვა ხალხურ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს დაავადების თავიდან ასაცილებლად, ავადმყოფის მოვლის, კვების, მინერალური წყლების და სამკურნალო ტალახის ხმარების წესებს. იწერდა სამკურნალო ხასიათის თქმულებებს, ზღაპრებს, სიმღერებს, სხვადასხვა სამკურნალო ბალახთა და მცენარეთა სახელებს, მათ სამკურნალო დანიშნულებას.

ამასთან დაკავშირებით ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ ლ. კოტეტიშვილი ხალხური მკურნალობის ნიმუშებს დიდი სიფრთხილით აგროვებდა და ყოველთვის გვერდს უვლიდა ექიმბა-

¹ დ. გაშეზარაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, თბილისი, 1969. 3.

² იქვე, გვ. 3.

მურ მკურნალობას, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, „ხალხურ მედიცინას ამგვარ ექიმბაშურ და მოექიმბაშო მკურნალობასთან საერთო არაფერი აქვს“.

ქართლ-კახეთში ჩატარებული მუშაობის შედეგად ლ. კოტეტი-შვილმა რიგ საკითხებთან ერთად დაადგინა, რომ საქართველოში თითქმის ყველა სამლოცველო ადგილს, მსგავსად ძველი საბერძნეთის, ეგვიპტისა და ინდოეთის ტაძრებისა, ირგვლივ ხელუხლები ტყე აკრავდა. ეს იმიტომ, აღნიშნავდა მკვლევარი, რომ ტაძრად მიყვანილ ავადმყოფებს ქურუმი ექიმები ამ ტყეში ასეირნებდნენ სუფთა ჰაერზე, ალოცებდნენ, შეულოცავდნენ, ასვენებდნენ, ბევრგან წამლებსაც აძლევდნენ და ისე ისტუმრებდნენო. იყო ისეთი ადგილებიც — განაგრძობს მკვლევარი, სადაც მზით, წყლითა და ტალახით მკურნალობდნენო. ამის ნათელსაყოფად მეცნიერმა 1932 წ. კურორტ ახტალის ირგვლივ ჩაატარა კვლევითი მუშაობა, რის შედეგადაც დაადგინა, რომ უძველესი დროიდან ახტალის ახლოს არსებული ე. წ. „მჭლე საყდრის“ კარზე დიდი ამოღრმავებული ქვები ელაგა, რომლებშიაც მზით გამთბარ ტალახში „მჭლე“ ბავშვებს აბანავებდნენ, რის გამოც ამ ტაძარს დარქმევია „მჭლე“ თუ „მჭლეთა ტაძარი“. ამას და სხვა მსგავს მაგალითებს სახელოვანი მკვლევარი საქართველოში „სატაძრო მედიცინის“ კვალის არსებობის დადასტურებადაც მიიჩნევს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლ. კოტეტიშვილი ეკუთვნის მკვლევართა იმ თაობას, რომელიც ცდილობს, არამარტო გააცოცხლოს ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების ამსახველი ისტორიული სურათები, არამედ ზრუნავს იმაზეც, რომ ხალხის მიერ ემპირიულად ხმარებულ სამკურნალო საშუალებებს ღრმა მეცნიერული ანალიზისა და დაკვირვების შედეგად სათანადო რეკომენდაცია მიეცეს. მაგალითად, ახტალაზე მუშაობის დროს ლ. კოტეტიშვილმა; გარდა მედიცინის ისტორიისათვის ზემოთ დასახელებული სასარგებლო მასალების მოპოვებისა, როგორც ექიმმა ნევროპათოლოგმა ავადმყოფთა სათანადო კონტინგენტის კლინიკური დაკვირვების შედეგად დაწერა შრომა „ახტალის ტალახის გავლენა პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა დროს“, რითაც იგი წარსდგა საქართველოს კურორტოლოგთა მეორე ყრილობაზე.

1935 წლის 5 აპრილს საქართველოში პირველად დაისვა საკითხი ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების შესწავლისა და გამოცემის შესახებ. ამ დროისათვის ლ. კოტეტიშვილს გამოსაცე-

მად მზად ჰქონდა XIII საუკუნის დასაწყისის სახელგანთქმული საექიმო წერილობითი ძეგლი „წიგნი სააქიმო“, რომელიც 1936 წელს მისივე წინასიტყვაობითა და ვრცელი გამოკვლევით („მედიცინა ძველ საქართველოში, XIII საუკუნე“) გამოვიდა. ამ გამოკვლევაში ლ. კოტეტიშვილის მიერ განხილულია ძეგლში დაცული ფილოსოფიურ-სამედიცინო კონცეფცია, ემბრიოლოგიურ-ბიოლოგიური, ანატომიური და ფიზიოლოგიური ცნობანი, პიგიენა და პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკური ცნობანი, ზოგადი და კერძო პათოლოგია, თერაპია და სხვა.

„წიგნი სააქიმო“ სხვა მხრივაც იქცევა ჩვენს ყურადღებას, სახელდობრ, მასში აღწერილია ისეთი დაავადებანი, რომელთა კლინიკურ ნიშნებს მსოფლიო მედიცინაში დღესაც არ დაუქარგავს თავიანთი დიაგნოსტიკური ღირებულება. ასე მაგალითად, ერთ ადგილას ვკითხულობთ: „და ესე ყველაი ოცდაოთხი მძივი (მალა, პ. ფ.) არს ერთმანერთსა თან მოკიდებული მაგრად და მიწყით თითოსა შუა რუტობათი (სინოტივე — სასახსრე სითხე; პ. ფ.) გაჰვლის, რომელ საქციელი (სახსარი; ლ. კ.) ნელლად იყოს და არ განძეს, და თუ განძეს, კაცი შეშისაებრ განძების და ვერლარა იძრვის“¹.

ზემოთ აღწერილი დაავადება სადღესოდ მაანკილოზებელი სპონდილართროზის სახელითაა ცნობილი. იგი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი დაავადებაა, მას ვხვდებით ქვისა და ბრინჯაოს ხანის (ვ. დერუშის, რეგოლი მერეი, პ. ფირფილაშვილი, დ. როხლინი და სხვანი) ადამიანთა ჩონჩხებზე და ეგვიპტურ მუმებზე, მაგრამ იგი მეცნიერულ ლიტერატურაში XIX საუკუნემდე აღწერილი არ ყოფილა. საყურადღებოა, რომ რუსეთში ეს დაავადება 1892 წ. სწორედ „ხერხემლის გახევების“ სახელწოდებით აღწერა ვ. მ. ბენტერევა, საფრანგეთში 1898 წ. პიერ მარიმ, ხოლო 1897—1899 წ. ლაიფციგში — შტრუმპელმა.²

ამგვარად, ქართველ ექიმთა სსახელოდ უნდა ითქვას, რომ ევროპელ სწავლულთაგან განსხვავებით, ისინი ამ დაავადებას თითქმის 700 წლით ადრე იცნობდნენ „ხერხემლის გახევების“ სახელწოდებით.

1937 წელს უერნალმა „საბჭოთა მედიცინამ“ (№ 11—12) გამოაქვეყნა ლ. კოტეტიშვილის საყურადღებო ნაშრომი „საექიმო იდე-

¹ წიგნი სააქიმო, გვ. 18.

² С. А. Рейнберг. Рентгенодиагностика заболеваний костей и суставов. Москва, 1964, стр. 540—541.

ები“ „ვეფხისტყაოსანში“. ეს ნაშრომი საყოფადღებოა არა მარტო იმიტ, რომ „წიგნი სააქიმომოსთან“ შედარების გზით ავტორმა სწორად გააშუქა XII—XIII საუკუნეების საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში“, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი სადღეისოდ საქართველოს მედიცინის ისტორიის მკვლევარს საშუალებას აძლევს სწორად ამოიცნოს როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე სხვა ქართულ წერილობით ისტორიულ წყაროებში დაცული წარმართობის-დროინდელი მედიცინის გადმონაშთები, რომლითაც უხვად სარგებლობდა იმდროინდელი სამედიცინო აზროვნება.

მაგალითად, უზენაეს ძალას, რომელიც იმავე ეპოქის საექიმო ხასიათის წერილობით წყაროებში — „უსთუყუთასის“ სახელითაა მოხსენებული, რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ერთ შემთხვევაში „ღმერთს“ უწოდებს, ხოლო სხვა შემთხვევაში „მზეს“. ლ. კოტეტიშვილი შენიშნავს, რომ რუსთაველის გაგებით ყოველი სულდგმული მატარებელია „მზის განსაზღვრული ნაწილისა“. მზეში კი, ცნობილი ქართველი მკვლევარის ვ. ბარდაველიძის გამოკვლევების მიხედვით, განსახიერებულია ქართველთა წარმართული პანთეონის ქალი-ღვთაება — ბარბაღე, რომელიც ჩვენი ხალხის წარმოდგენაში თითქმის დღემდე ითვლებოდა დასტაქრებისა და სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებისაგან ადამიანის მფარველ ღვთაებად¹.

საინტერესოა ლ. კოტეტიშვილის შრომიდან მეორე მაგალითიც, რომელიც ტარიელის მიერ ვეფხის ტყავის ტარებას შეეხება. ლ. კოტეტიშვილი ამ შემთხვევაშიც სამართლიანად მიუთითებს, რომ XVI ს. წერილობით ძეგლში „იადიგარ დაუდში“ გარკვეული სენით დაავადებულთათვის, სხვა სამკურნალო ღონისძიებებთან ერთად, მოწოდებული მგლის ან მელის ტყავის ტარება, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ კი — ვეფხისა, პოეტური ხერხითაა ნაკარნახევი. ავტორი იქვე დამძენს — აქ პოეტური ხერხი და რაინდული შედარება გენეალურად არის შეგუებული უსათუოდ ექიმური ხასიათის სუფთა პრაქტიკულ ღონისძიებასთან.

ვგეგმობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ დასახელებული ნაშრომიდან ერთ მნიშვნელოვან მაგალითს კიდევ მოვიყვანთ: სახელდობრ, შავი ფერის შესახებ. ლ. კოტეტიშვილის სამართლიანი შენიშვნით „შავი ფერი“ საერთოდ „ბედითი ფერია“ და მას უძვე-

¹ ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან: თბილისი, 1941, გვ. 43—49.

ლესი ქართული დემონოლოგიური მსოფლმხედველობა კარგად იცნობს. შავი ცხენი, შავი მათრახი, შავტარიანი დანა — ეს ის საგნებია, რომლითაც გამოულოცავდნენ თვალნაკრავს ანუ ბოროტი თვალით დაწყევლილს. ამის კონკრეტული მაგალითები კარგად აქვს დამოწმებული ლ. კოტეტიშვილს დასახელებულ შრომაში და დაწვრილებით ჩვენ მათზე აქ აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებასაც, რომ ქართველთა მაგიური მედიცინის ჯადმონაშთები კარგად არის დაცული არამარტო უძველეს ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში, არამედ ზოგიერთ უცხო წერილობით წყაროშიც. მაგალითად ძვ. წ. III ს. მწერალი აბ. როდოსელი „არგონავტიკაში“ მოგვითხრობს, რომ გრძნეული მედეა უკუნეთ დამეში, შავით მოსილი, ტაძრის ირგვლივ სამკურნალო მიზნით აგროვებდა მცენარეთა წვესს. ამგვარად, მოტანილი მაგალითები მოწმობენ, თუ როგორი სიფრთხილით და გააზრებით ეპყრობოდა ლ. კოტეტიშვილი ქართულ წერილობით ძეგლებში დაცულ თითოეულ საექიმო ფაქტს, მაგალითს, და როგორ ცდილობდა ქართული მედიცინის ისტორიაში მათთვის სათანადო ადგილის მიჩენას.

ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელმა ლ. კოტეტიშვილმა საქართველოში წარმოებული კვლევა-ძიება დროებით შეაჩერა და იგი რუსეთის სხვადასხვა ქალაქის მუზეუმებსა და სიძველესაცავებში დაცული ქართველი ერის ისტორიული ყოფის ამსახველი დოკუმენტების შესწავლასა და მათ გამოძიებურებას შეუდგა. ამასთან შეეცადა განესაზღვრა მათი მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში.

ამ მიზნით 1939 წელს ლენინგრადში ლ. კოტეტიშვილის მიერ წარმოებულმა კვლევა-ძიებამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საყურადღებო შედეგებით „ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“. აქ მან შეისწავლა, დაათარიღა და აღწერა ლენინგრადის არქივებში დაცული ძველი და უახლოესი დროის ქართული საისტორიოსაექიმო ხასიათის ხელნაწერები, გაეცნო სამედიცინო ხასიათის ლექსიკონებს, სხვა მასალებს და საფუძვლიანად დაამუშავა ისინი, რასაც შემდგომში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული მედიცინის ისტორიის საკითხების დადგენა-დაზუსტებისათვის. ლ. კოტეტიშვილმა აქვე მოამზადა დასაბუქდად თავისი კიდევ ერთი გამოკვლევა „მედიცინა ძველ საქართველოში XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში“. ამ ნაშრომში მან თავი მოუყარა

„გარდამავალი ხანის“ უძვირფასეს მასალებს, მაგრამ მისი გამოქვეყნება არ დასცალდა.

ლენინგრადშივე შეადგინა ორიგინალური ხასიათის მსოფლიო მედიცინის ისტორიის ლექციების კონსპექტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი ავტორი მომავალში დიდი პედაგოგიური მუშაობისათვის ემზადებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლ. კოტეტიშვილმა საქართველოს სინამდვილეში პირველმა სცადა მსოფლიო მედიცინის ისტორიის მანამდე არსებული პერიოდიზაციის კრიტიკული ანალიზი და ერთხელ კიდევ შეაჩერა მკითხველის ყურადღება ქართული მედიცინის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე. იმავე საცავებში მან აღმოაჩინა XI საუკუნის სწორუპოვარი საექიმო ძეგლის — „უსწორო კარაბადინის“ დედანი, რომელიც 1940 წელს გამოიცა მისივე წინასიტყვაობითა და შესავალი წერილით.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლ. კოტეტიშვილმა ნუსხა-ხუცუ-რით დაწერილი „წიგნი სააქიმოა“ და „უსწორო კარაბადინი“ მხედრულით გამოსცა, დაურთო გამოკვლევები, სრული საძიებლები, ლექსიკონები და ამ გზით ისინი მისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისათვის.

ლ. კოტეტიშვილი ჩვენი დროის დიდად განათლებული და მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება იყო. ეს დიდი გაქანების მკვლევარი, ამასთან ერთად, იყო მწერალი, მთარგმნელი, მხატვარ-მოქანდაკე და საერთოდ ხელოვნების დიდი მოყვარული.

მის პირად არქივში ინახება ვრცელი მოცულობის მოთხრობები, რომლებსაც გარდა მხატვრული ღირებულებებისა, დიდი აღმზრდელობითი და ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ლ. კოტეტიშვილი იყო შესანიშნავი მთარგმნელიც. მან რუსულ ენაზე თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა ქართული წერილობითი მედიცინის შედევრი „წიგნი სააქიმოა“ თუმცა, სამწუხაროდ, იგი დღესაც არ არის გამოცემული.

ლ. კოტეტიშვილის საჭრეთელს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე საინტერესო ქანდაკება. ყურადღებას იქცევს „მელანქოლიკი“ და „ვაჟა ფშაველა“. იგი ჩინებულად ხატავდა, ჰქონდა ორიგინალური და გამორჩეული მანერა...

და აკი ბევრი რამის გაკეთებასაც გვპირდებოდა: იგი ერთ-ერთ მეგობარს სწერდა „დაბერტყილ და დაცარიელებულ ჩონჩხის მეტს მე მიწას არაფერს მივცემ, რაც კი არის ჩემში გონებრივი, ზნეობრივი და ადამიანური, ეს აქ უნდა დარჩეს, ამ ქვეყანაზე. ეს იმიტომ კი არა, რომ ან სახელი მაინტერესებდეს, ან ხარისხი, ან კე-

თილდღეობა — სრულიადაც არა. მე ვცდილობ მხოლოდ ვიყო ადამიანი სრულქმნილი, როგორც მიქელ ანჯელოს ქანდაკება... ეს არის მიზეზი ჩემი წყვეტებისა კუთხიდან კუთხემდე“. ლ. კოტეტიშვილის ეს სიტყვები იყო მისი გულწრფელი აღიარება, რადგან იგი იმ ხანად რიგითი ექიმის რანგით დადიოდა მოძმეთა შორის და ყველგან, მუზეუმებსა თუ წიგნთსაცავებში, ეძებდა, პოულობდა, იკვლევდა... და ისევ ეძებდა ახალ-ახალ მასალებს და ერთხელაც არ უტდია, რომ მოპოვებული მასალა საკვალიფიკაციო შრომად ექცია, ამგვარი ცდა მას ალბათ დროის ზედმეტ დაკარგვადაც მიაჩნდა...

ლ. კოტეტიშვილი გარდაიცვალა 1940 წელს, ჯერ ისევ ახალგაზრდა 45 წლისა. მისი გარდაცვალებით გულდაწყვეტილი დიდი ივ. ჯავახიშვილი წერდა:

„ექიმში ლადო კოტეტიშვილი ერთად-ერთი ქართველი იყო, რომელმაც ძველი ქართული სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლა და გამოქვეყნება დაისახა მიზნად. ასეთი ძნელი ამოცანისათვის საჭიროა ორგვარი ცოდნა, სამკურნალო და ისტორიული. ამასთანავე ძველი ქართული სათანადო სამეცნიერო ენა და ტერმინოლოგიაც უნდა ესმოდეს კარგად იმ პირს, რომელიც ასეთ მიზანს დაისახავდა. ასეთი დიდი და რთული მოთხოვნების გამო არც ერთს ჩვენს ექიმთაგანს ამგვარი მოვალეობის თავის თავზე აღების არც ხალისი, არც შეგნება და არც შრომის მოყვარეობა არ აღმოაჩნდა. ამ მხრივ ექიმში ლადო კოტეტიშვილი ერთად-ერთს გამონაკლისს წარმოადგენდა — შედარებით მოკლე დროში ამ ორი დიდი ძეგლის გამოცემაც მოახერხა, რომელთაგან „წიგნი სააქიმო“ მე-13 ს. დამდეგისაა, ხოლო დაუდხანის ნაწარმოები მე-16 ს-შია დაწერილი. პირველი ამ წიგნთაგანი 377-ს დიდი ზომის (in 40) გვერდს შეიცავს, მეორე კიდევ 741 გვერდს (in 80). ორივე ძეგლს დართული აქვს კარგად შედგენილი სრული ყოველმხრივი საძიებლები და ლექსიკონები. და შესავალის სახით თითოეული მათგანის ზოგადი მოძღვრებაც არის განხილული.

ამნაირად ლ. კოტეტიშვილმა ქართული ძველი სამკურნალო მწერლობის მეცნიერული შესწავლის თაოსნობაც გამოიჩინა და საფუძველიც დაუდო. მისი ღვაწლი ამ მხრივ დიდია და, ფრიად სამწუხაროა, რომ ნაადრევმა, მოულოდნელმა მისმა სიკვდილმა ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო მისი მოღვაწეობა შესწყვიტა“.

ბუნებრივია, ამ მცირე წერილში სრულყოფილად ვერ აისახა სახელოვანი მამულიშვილის ღვაწლი, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთ

ნათქვამი ერთგვარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის ლადო კოტეტი-
შვილის პიროვნებით დაინტერესებულ ადამიანს და ოდნავ მაინც
გახდის გასაგებს მისი ტიტანური შრომით აღსავსე ცხოვრებას, რო-
მელიც მან მშობელი ხალხის მეცნიერებისა და კულტურის საკურ-
თხეველზე მიიტანა.

პავლე ფირფილაშვილი

წინასიტყვაობა

1935 წლის 5 აპრილს პირველად დაისვა ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საკითხი. ამ თარიღს წინ უსწრებდა სწორედ ერთი წელი, როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოს სახ. მუზეუმის არქივში დაცული საექიმო ხელნაწერების შესწავლა და დამუშავება. მაშასადამე, უკვე ოთხი წელიწადია, რაც გრძელდება ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების შესწავლა და ზრუნვა მათი გამოცემისათვის.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უკვე შეეძელით მე-XIII საუკუნის დასაწყისის სახელგანთქმული საექიმო წერილობითი ძეგლის „წიგნი სააქიმოა“-ს გამოცემა. ამ ძეგლის გამოცემით მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ძველი ქართული მედიცინის კვლევისა და შესწავლის საქმეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაგებით და მასშტაბით ამ საქმეს წინამორბედი არა ჰყოლია. ექიმი აბელ იაშვილი¹ და პროფესორი ილია ალხაზიშვილი² იყვნენ მხოლოდ მოყვარულნი ამ საქმისა, კვლევითი მუშაობა არც ერთს მათგანს არ უწარმოებია. „წიგნი სააქიმოა“-ს³ წინასიტყვაობაში ჩვენ უკვე განმარტებული გვაქვს ის მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიდნენ ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმის წამოწყებას. ამ მიზეზებს ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ მუშაობა ამ დარგში ამჟამად გრძელდება ფართოდ მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

უკვე აღმოჩენილი და ცნობილი ფილოსოფიური საექიმო ძეგლების მიხედვით, ძველი საქართველოს მედიცინის ისტორია შეიძლება გავყოთ სამ პერიოდად.

¹ А. Яшвили. „Народная медицина в Закавказье. Криве“ Тифлис. 1904 г.

² ი. ალხაზიშვილი „მცირე ისტორიული მიმოხილვა სამკურნალო საქმის საქართველოში“ იხ. Кавказский Календар 1901 წ. № 9 გვ. 56.

³ „წიგნი საექიმოა“ ტფილისი, 1936 წ. სახელგამი.

პირველ პერიოდს ეკუთვნის მე-IX — XII საუკუნეები, როდესაც ქართული ფილოსოფიური საექიმო მსოფლმხედველობა განიცდის საბერძნეთის მძლავრ გავლენას (იხ. შატბერდის კრებულის XXX თავი „კაცისა შესაქმც“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“, ნემესიოს ემესიელის „ბუნებისათვის კაცისა“).

მეორე პერიოდი შეიცავს მე-XII—XV საუკუნეებს, როდესაც არაბულ-ირანული საექიმო მსოფლმხედველობა უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ საექიმო აზროვნებაზე. ამავე პერიოდში ქართულ მედიცინაში მტკიცედ მკვიდრდება არაბულ-ირანული საექიმო ტერმინოლოგია (იხ. ხელნაწერი Z—26, სახ. მუზ. პალ. განყოფილება; ხელნაწერი წარმოადგენს უსახელო „საექიმო წიგნს“ და დაწერილია უძველესი ნუსხურით; პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მე-XII საუკუნეზე მერმინდელი არ უნდა იყოს. 2, ხოჯაყაფილის „წიგნი სააქიმოჲ“, 3. მწერელ აბრამის „კარაბადინი“ ხელ. № 916 H. ეს ორივე ძეგლიც შესრულებულია უძველესი ნუსხურით).

მესამე პერიოდი იწყება მე-XVI საუკუნიდან და გრძელდება მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე. ამ პერიოდში სუსტდება არაბულ-ირანული გავლენა და ქართული საექიმო აზროვნება უკვე განიცდის დასავლეთ ევროპის გავლენას (იხ. წინამდებარე „იადიგარ დაუდი“ და მისი აქ დართული ვარიანტები. პალეოგრ. განყოფილების არქივი: ხელნაწერები № 19 წ. კ. № 281 Q. № 245 Q. და სხვა). ქართველი ექიმები საექიმო განათლების მისაღებად არაბეთსა და ირანში კი აღარ მიდიან, არამედ ვენეციაში, „შპანიაში“, „ვლახიაში“, „ინლიაში“, კონსტანტინეპოლში და სხვაგან. ამავე პერიოდს ემთხვევა კათოლიკე მისიონერების საექიმო განმანათლებელი მუშაობა საქართველოში.

მე-XIX საუკუნე მკვდარი პერიოდია ქართული მედიცინის ისტორიაში. არც ერთი ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი საექიმო თხზულება ამ პერიოდში ჩვენ არ მოგვეპოვება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შტაბ-ლეკარ პეტრე კლაპიტონოვის მიერ 1830—32 წლებში რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული „მოკლე კარაბადინი“-ს (იხ. № 5. Q. სახ. მუზ.), დეკანოზ დავით ლამბაშიძის „კარაბადინი“-ს (იხ. „სახალხო საექ. წიგნი კარაბადინი“, შედგენილი დეკანოზ დავით ლამბაშიძის მიერ. ქუთაისი, 1893 წ.) და ვინმე ილია სულაქველიძის „სიმრთელის კიდობანი“-ს (იხ. „სიმრთელის კიდობანი“ ოჯახში საკითხ—სახმარებელი წიგნი 1891 წ.) გარდა არაფერი არა სჩანს მთელი საუკუნის მანძილზე.

სამაგიეროდ ქართული მედიცინის ბრწყინვალე, აყვავების ხანა იწყება მე-XX საუკუნის ოციან წლებში, საქართველოში საბჭოთა

ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სოციალისტური რესპუბლიკის განსაკუთრებული ყურადღებისა და უდიდესი მატერიალური დახმარების წყალობით საბჭოთა მედიცინა დღეს საქართველოში უდიდესი აღმავლობის პერიოდს განიცდის.

ამგვარად, საქართველოს მედიცინის ისტორია იყოფა სამ პერიოდად: 1. საბერძნეთის, 2. არაბულ-ირანული, 3. დასავლეთ ევროპის.

აღნიშნულ სამს პერიოდს ახასიათებს თავისი დროის შესაფერი წერილობითი ძეგლები.

„წიგნი სააქიმოჲ“-ს წინასიტყვაობაში წამოყენებული გეგმის თანახმად ჩვენ ეს ძეგლები დალაგებული გვექონდა საუკუნეების მიხედვით და მათი გამოცემაც ამ გეგმით გვექონდა განზრახული, მაგრამ შემდგომმა კვლევამ ეს გეგმა შესცვალა და მოითხოვა არსებული ძეგლების დალაგება აქ აღნიშნული პერიოდების მიხედვით. ამ გაგებით უკვე გამოცემული „წიგნი სააქიმოჲ“ მეორე პერიოდის ბრწყინვალე ძეგლია და მას მისდევნენ ამ პერიოდის სხვა ძეგლები. წინამდებარე „იდიგარ დაუდი“ წარმოადგენს მესამე პერიოდის უდიდეს ძეგლს და მას მისდევნენ ამ პერიოდის სხვა საექიმო წერილობითი ძეგლები, ექვს მათგანს აქვე ვურთავთ ვარიანტების სახით.

ამგვარად, ამ წიგნის დაბეჭდვით ჩვენ შესწავლილი და გამოქვეყნებული გვექნება ორი პერიოდის უმთავრესი და დამახასიათებელი საექიმო წერილობითი ძეგლები. მაშასადამე, გამოუქვეყნებელი გვრჩება პირველი პერიოდის დამახასიათებელი ძეგლები. მაგრამ მათი გამოქვეყნებით როდი ამოიწურება საკითხი. ჯერ ხელუხლებელი და თითქმის შეუსწავლელი რჩება საკმაოდ დიდი რიცხვი კარაბადინებისა, რომელნიც შეიცავენ ორიგინალური ხალხური მედიცინის მეტად საინტერესო მკურნალობას. ჯერჯერობით შეუსწავლელი რჩება ხალხში დარჩენილი და უმეტეს შემთხვევაში ჯერ შეუგროვებელი ხალხური მედიცინის ზეპირსიტყვიერი უძირფასესი ნიმუშები. შეუსწავლელი რჩება აგრეთვე „მაგიური მედიცინა“ და „სტატკრო მედიცინა“ უძველეს, წარმართულ საქართველოში, რომლის უდიდესი კვალიც დღემდე დაცულია ბევრგან.

გასაგებია, რომ სამკალი ამ დარგში ჯერ დიდი. ეს სამკალი მოითხოვს მკლევართა მთელ მამითადს, და ყოველი საექიმო წერილობითი ძეგლის გამოქვეყნება კი არ სწურავს საკითხს, პირიქით, უფრო აფართოვებს და განზე სწევს ძველი ქართული მედიცინის კვლევადიების საქმეს.

ამის გარდა, ამ წიგნის დაბეჭდვით ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი საქართველოს საექიმო წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოცემის საქმის საძირკველი უკვე მტკიცედ არის ჩაყრილი და საგრძნობლად აადვილებს შემდგომი კვლევადიების წარმოებას ამ დარგში.

არავინ იფიქროს, რომ ჩატარებული მუშაობა ჩვენ უნაკლოდ მიგვაჩნდეს. ნაკლი უსათუოდ გვაქვს, რადგანაც ყოველი ახალი ძეგლის გამოქვეყნებით მატულობს პასუხისმგებლობაც. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. მუშაობის პროცესში, ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ჩვენ შევძლებთ საქმის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებას, რაც უმთავრესი და აუცილებელი პირობაა ყოველი კვლევითი მუშაობის საწარმოებლად.

ზემონათქვამიდან ნათელია, რომ აწ უკვე გამოქვეყნებული ძეგლების გარდა ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს შესასწავლი და გამოსაცემი მასალა, რომლის დამუშავებაც გრძელდება. ისე რომ, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გამოქვეყნებული გვექნება უკვე საქმაო მასალა „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ დასაწერად. წარმოებული მუშაობა და გამომცემლობის ციკლი „მედიცინა ძველ საქართველოში“ ხელს უწყობს და ემსახურება „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ შექმნის საქმეს.

ამგვარად, უსათუოდ უნდა დაიწეროს „საქართველოს მედიცინის ისტორია“. ეს ისტორია მეტად მდიდარია მასალით, მეტად საინტერესოა შინაარსით და თანაც სასარგებლო და აუცილებელი ჩვენი საექიმო აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ყველა უძველეს კულტურულ ერს აქვს თავისი საექიმო აზროვნება ორიგინალური თუ ნასესხები სხვა, უფრო კულტურული ხალხებისგან. საქართველოსაც აქვს თავისი საექიმო—ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სიცოცხლის, ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზების ახსნა-გაგებაში. ამ ორიგინალური საექიმო ფილოსოფიური აზროვნების შედეგია ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის უდიდესი ძეგლები, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება, აგრეთვე აგიოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და სახვითი ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები, რომელნიც თანამედროვე მკვლევარის განცვიფრებას იწვევენ. გასაგებია, რომ გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობისა და მტკიცე რწმენის გარეშე არც ერთი ამ ძეგლის შექმნა არ შეიძლებოდა.

ეს ყველაფერი ძველი საქართველოს კულტურის შემადგენელი ნაწილია და ამ კულტურის ძეგლების კვლევა მადლიან ასპარეზს გადაუშლის ყველას, ვინც სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოეკი-

დება მათი კვლევის საქმეს. რადგან ძველი ქართული მედიცინა ორგანული ნაწილია ქართული კულტურისა, ამიტომ გასაგებია, რომ ძველი ქართული კულტურისა და ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა ქართული საექიმო მსოფლმხედველობის, სამკურნალო ხასიათის ჩვევებისა და რწმენის გარეშე მუდამ ცალმხრივი და, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც არის.

თავის თავად ცხადია, ეს გარემოება უფრო მეტ პასუხისგებლობას აკისრებს ყველას, ვინც საქმიანად შეუდგება ქართული საექიმო აზროვნების კვლევისა და შესწავლის საქმეს არსებული საექიმო წერილობითი ძეგლების მიხედვით.

დღეს, საბჭოთა საქართველოში იმდენად მრავალია ხელისშემწყობი და გამამხნეებელი პირობები, იმდენად დიდია პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობა და მატერიალური დახმარება, რომ საგრძნობლად ადვილდება ყოველგვარი მეცნიერული კვლევამების საქმე. იმედია, რომ წარმოებულ მუშაობა ძველი საქართველოს მედიცინისა და ხალხური მედიცინის დარგში წინ წაიწევს და ბევრ ძვირფას მასალას შესძენს ძველი ქართული კულტურისა და აზროვნების შესწავლის საქმეს.

დასასრულ მოვალეობად მიმაჩნია გულწრფელი მადლობა გამოვეუცხადო საქ. სახ. მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს, რომელთა დაუღალავი ხელის შეწყობა და ყურადღება საგრძნობლად მიადვილებდა წარმოებულ მუშაობას. მადლობას მოვახსენებ აგრეთვე ჯან. სახ. კომ-ის სანიტ. ჰიგიენური ინსტიტუტის დირექციას, რომელიც ყოველმხრივ ხელს შეწყობდა და მატერიალურად ეხმარებოდა აღნიშნული ძეგლების გამწვანებას.

განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ პროფ. იუსტინე აბულჯანდეს, რომლის ღვაწლიც აქ დართული ლექსიკონის ტერმინოლოგიის ტერმინოლოგიურ კვლევაში დაუფასებელია.

აგრეთვე გულწრფელ მადლობას მოვახსენებ „ტექნიკა და შრომის“ სტამბის ხელმძღვანელებსა და მუშებს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის რთულსა და ძნელ საქმეში.

თბილისი 1937 წ. დეკემბერი

ლადო კობეტიშვილი.

ПРЕДИСЛОВИЕ

Данная книга „Иадигар Дауди“¹ является вторым замечательным памятником древней грузинской медицины после известной рукописи начала XIII века „Цигни Саакимой“² (изданной в 1936 году). Означенная рукопись относится к второй половине XVI века и написана царем Грузии Давидом (Дауд-хан 1569—1578 г.г.) в гор. Константинополе.

Сам автор в введении пишет, что он по своим делам поехал в Истамбул³ к султану Мураду и там общался с книжниками, философами и врачами. Осмотрел их богатые книгохранилища и ознакомился с многими медицинскими книгами, после чего и решил написать на грузинском языке данную замечательную врачебную книгу.

С этой целью он, из многих книг выбрал два медицинских сборника написанных на иранском или арабском языке, и соединив их в одну, изложил их содержание на грузинском языке.

Автор подробно описывает процесс создания данной книги и сообщает о том что, помимо изложения упомянутых двух медицинских сборников на грузинском языке, он внес в данный труд свои собственные наблюдения и открытые им самим формулы лекарств. Таким образом мы узнаем что, автор означенного труда—врач, имеющий собственные рецепты и достаточный врачебный опыт.

Хотя автор пишет, что он оставался в Истамбуле лишь два года, но очень сомнительно, что за такой короткий срок он мог выполнить такой огромный труд.

¹ „Поминающий Давида“.

² „Книга Медицинская“.

³ Константинополь.

Поэтому мы выдвигаем относительно данного труда следующую гипотезу: Возможно, что царем Давидом означенный труд был выполнен в Грузии на местном материале, в Истамбуле же он проверил, вернее пополнил свой труд выдержками из медицинских книг иранских и арабских авторов.

Данную гипотезу подкрепляет еще тот факт, что эта книга сначала до конца носит явно грузинский оттенок в смысле врачебно-философских концепций и выбора народных лечебных средств, хотя арабско-иранское влияние в ней достаточно чувствительно, в особенности это отражается на терминологии.

Так или иначе, означенный труд представляет весьма замечательный памятник письменной медицины Грузии, который оказал огромное влияние на медицинское мышление последующего периода—это влияние продолжалось почти до начала XIX века.

Биография самого автора—Даудхана или царя Давида следующая: он был сыном известного грузинского царя Лурсаба I, именуемого царем царей (1534—1558 г.г.), царствование которого совпадает с самым тяжелым и волнующим периодом истории Грузии.

Известно, что XVI век это та эпоха когда выявился великий исторический конфликт между старым Ираном и только что выступившей на политическом поприще молодой Турцией.

Волей или неволей Грузия непременно должна была принять участие в этом конфликте, потому что находилась в большой зависимости от Ирана. Тем более—военные коммуникации и торговые пути Ирана шли через Грузию. Турция же в свою очередь старалась захватить эти военные и торговые пути и таким образом ослабить своего сильнейшего и опасного соперника в передней Азии.

Политика Грузии XVI века колебалась между этими двумя ориентациями. Были цари, которые придерживались иранской ориентации—а также такие, которые держались турецкой ориентации. Бывали и такие случаи, что грузинские цари изменяли своим покровителям и заключали военный союз с их врагами.

Такой политики держался и наш автор, будучи царем Грузии. Он вначале был иранской ориентации и в военном союзе с Ираном—но, когда он, как слабый и недаровитый полководец не оправдал доверия своего высокого покровителя—Ирана и решено было удалить его из Грузии, царь Давид быстро сменил ориентацию, заключил военный союз с Турцией и ввел в Грузию турецкие войска под предводительством Лала-пашы. Сам же он отправился в Истамбул—это было в 1578 году.

Согласно грузинским источникам, царь Давид там оставался до 1585 года и умер там же—хотя автор сам пишет, что в Истамбуле он оставался всего лишь два года.

Такова вкратце биография царя Давида или Дауд-хана¹ автора данного труда „Иадигар Дауди“.

Рукопись книги, которую мы печатаем, переписана в царствование грузинского царя Ростом (1634—1657 г.г.) и отдалена от подлинника всего на 55—60 лет.

Эта рукопись в настоящее время хранится в архиве Музея Грузии под № 270 фонд Q Размер рукописи 39 × 27 ст. In folio. Она написана разборчивым красивым почерком военного грузинского письма „мхедрули“ (см. репродукции текста).

Текст написан черными чернилами, начало же каждой главы, абзацы и собственные имена—красными чернилами. Пагинация указана по тетрадам заглавными буквами „мхедрули“—каждая тетрадь содержит по 8 листов. В рукописи 36 тетрадей. Из 37-ой тетради уцелели только два листа. Таким образом по количеству тетрадей текст должен содержать 296 листов—но в тексте имеется лишь 260 листов—значит текст дефективен.

В ведении не хватает одного листа,
во второй главе не хватает 6 листов,

„ 39 главе 2 листов в конце,

„ 40 главе 1 листа,

„ 41 главе 2¹/₂ листов в конце,

„ 42 главе 1 страницы в начале,

„ 52 главе 5 страниц в конце,

¹ По турецкой транскрипции.

- в 53 главе 1 страницы в начале,
- „ 60 главе 2 листов в конце,
- „ 71 главе 1 листа в начале и в конце 4 листов,
- „ 73 главе 2 листов в начале и 4 листов в конце.

Таким образом в тексте не хватает всего 30 листов. Этот дефект в основном восстанавливается по вариантам. Сколько листов не хватает в конце текста это указать трудно. Возможно, что текст здесь и кончается, во всяком случае, исходя из содержания, не хватает очень немного.

План книги: книга делится на три части. Первая часть содержит общую медицину, вторая часть содержит диететику, третья часть содержит частную патологию и терапию.

Для лучшего ознакомления с содержанием книги мы здесь приведем перечень глав по заглавиям указанным в тексте.

Первые шесть обширных глав содержат сведения из области философии, анатомии, физиологии, гигиены, диететики и вообще схватывают вопросы общей медицины и вопросы профилактики.

Описание и лечение болезней начинается с седьмой главы. Главы расположены в следующем порядке.

Нервные болезни

Глава седьмая: Повествует о причинах, признаках и лечении всевозможных головных болей, и о заболевании мозговых оболочек.

Глава восьмая: Повествует о причинах, признаках и лечении мигрени, болей в висках и затылочных болях.

Глава девятая: Повествует о причинах, признаках и лечении насморка, золотухи и кровотечения из носу.

Глава десятая: О „Sarsami“—это мозговое заболевание вызванное теплотой, при котором от сильных головных болей человек может сойти с ума.

Глава одиннадцатая: О болезни „Sagtha“, при которой от сильных головных болей человек может сойти с ума.

Глава двенадцатая: О „Sarii“—это падушья болезнь.

Глава тринадцатая: О меланхолии.

Глава четырнадцатая: О „Utschuchi“—это, когда человек неожиданно скрывает с ума.

Глава пятнадцатая: О „Zagui“ и „Muraldji“—это тоже самое что паралич.

Глава шестнадцатая: О „Davasi“ и „Duslu Balghami“.

Глазные болезни

Глава семнадцатая: Повествует о причинах, признаках и лечении всевозможных заболеваний глаз, и о бельмах.

Ушные болезни

Глава восемнадцатая: Повествует о причинах, признаках и лечении всевозможных заболеваний ушей, и о шумах в ушах.

Зубные болезни

Глава девятнадцатая: Повествует о причинах, признаках и лечении всевозможных заболеваний зубов.

Болезни челюсти, щек и языка

Глава двадцатая: Повествует о причинах, признаках и лечении заболеваний челюстей, щек, языка и о болях „Ach-schami“.

Болезни ротовой полости

Глава двадцать первая: Повествует о всевозможных болезнях ротовой полости и о скверном запахе изо рта.

Болезни горла и глотки

Глава двадцать вторая: О болезнях горла, глотки и о дифтерии.

Болезни легких

Глава двадцать третья: (не хватает).

Глава двадцать четвертая: О туберкулезе и кашле, о болезни груди и грудной полости (в этой главе не хватает начала).

Глава двадцать пятая: Повествует о причинах, признаках и лечении болезней легких и о „Sathulga и Zik Napasi“.

Глава двадцать шестая: О „Zik Napasi“ и болях в легких.

Болезни печени и почек¹

Глава двадцать седьмая: Повествует о причинах, признаках и лечении заболеваний печени и почек.

Болезни сердца и желудка

Глава двадцать восьмая: Повествует о причинах, признаках и лечении болезней желудка, о жажде и о „Suda“.

Глава двадцать девятая: Повествует о причинах, признаках и лечении болезней сердца и желудка и о „Charakhani“.

Глава тридцатая: О „Sathul Djanabi“.

Глава тридцать первая: О желтом и черном желчном заболевании.

Глава тридцать вторая: О „Isischa“, который зовется „Sulukunla“.

Болезни селезенки

Глава тридцать третья: О болях и увеличении селезенки.

Болезни кишек

Глава тридцать четвертая: О слизи, о запорах, колите и о тех болезнях, которые у человека появляются в кишках.

Глава тридцать пятая: О червях.

Глава тридцать шестая: О ночных кошмарах „Thathar-kurthi“ и о болях пупка.

Глава тридцать седьмая: О болях живота.

Глава тридцать восьмая: Повествует о причинах, признаках и лечении выпадения прямой кишки, трещинах и кровотечении из заднего прохода.

Болезни почек, мочевого пузыря и половых органов

Глава тридцать девятая: О совокуплении, о болях печени и пузыря, о кашлях и о задержке и недержании мочи.

¹ К этому разделу относятся также 30, 31 и 32 главы.

Глава сороковая: Повествует о лекарствах при опухолях мошонки и о средствах укрупнения полового члена. Здесь же имеется глава „о сужении влагалища“.

Глава сорок первая: о гемморое.

Глава сорок вторая: О причинах и лечении бесплодия.

Глава сорок третья: Повествует о признаках и лечении грыж и о болях в кишках.

Болезни различных членов и суставов

Глава сорок четвертая: Повествует о причинах заболеваний, признаках и лечении почек.

Глава сорок пятая: Повествует о болях в крестце, в области бедер и о воспалении седалищного нерва.

Глава сорок шестая: Повествует о причинах, признаках и лечении подагры.

Глава сорок седьмая: О всевозможных заболеваниях суставов.

Глава сорок восьмая: Об усталости и о сильных болях стопы и пяток.

О малярии

Глава сорок девятая: О разнообразных лихорадках.

Глава пятидесятая: (этой главы в тексте нет, хотя она упоминается в оглавлении).

Кожные болезни

Глава пятьдесят первая: Повествует о причинах, признаках и лечении всевозможных крупных и мелких язв кожи, а также об удалении бородавок и мозолей.

Глава пятьдесят вторая: О сухой и мокрой экземе.

Глава пятьдесят третья: Повествует о признаках и лечении парши.

Глава пятьдесят четвертая: О „Dausalabi“.

Глава пятьдесят пятая: О проказе и о тех болезнях при которых с человека сходит вся кожа как у змеи.

Глава пятьдесят шестая: Повествует о причинах, признаках и лечении твердых опухолей кожи.

О язвах, ранениях, переломах и ожогах

Глава пятьдесят седьмая: Повествует о причинах образования и лечении язв, ранений, а также о венозных язвах.

Глава пятьдесят восьмая: Повествует о лечении и дает советы касающиеся переломов костей, рваных ран, вывихов и дефектов мышц после ранений.

Глава пятьдесят девятая: Повествует о лечении при ожогах от огня, кипятка и иных ожогах.

Об укусах бешеной собаки, змеи, скорпиона и пчелы

Глава шестидесятая: Повествует о признаках и лечении при укусах и прикосновениях бешеной собаки или кошки.

Глава шестьдесят первая: (заглавия и первого листа этой главы в тексте не хватает).

Общие главы

Глава шестьдесят вторая: О „Daulpli“—это о том, когда у человека опухает одна нога.

Глава шестьдесят третья: О трещинах ног, рук и слизистых оболочек губ.

Глава шестьдесят четвертая: Повествует о признаках и лечении при вреде от солнца, о жжении в груди и животе и о пользе пребывания ребенка на воздухе.

Глава шестьдесят пятая: О вреде от мороза, о похолодании и отмораживании конечностей.

Глава шестьдесят шестая: Дает советы относительно клизм и суппозиториев.

Глава шестьдесят седьмая: О микстурах и отварах.

Глава шестьдесят восьмая: Повествует о свойствах пилюль и лепешек и об их приготовлении.

Глава шестьдесят девятая: О порошках и кашках.

Глава семидесятая: (не хватает целиком).

Глава семьдесят первая: Повествует о признаках и приготовлении разнообразных мазей. Здесь же даны указания для изготовления различных варений.

Глава семьдесят вторая: О маслах (в этой главе не хватает начала).

Глава семьдесят третья: Повествует о лечебных свойствах и изготовлении различных шербетов.

Таково содержание данной книги по главам. Вместе с тем надо отметить, что в ней приведены такие профилактические и лечебные средства, которые до сих пор встречаются в грузинской народной медицине, что лишний раз доказывает о возникновении данной врачебной книги на оригинальном грузинском материале.

Трудно допустить, что все эти врачебные идеи и средства вошли в народный обиход благодаря этой книге—вот почему, не смотря на заметное ирано-арабское влияние, в особенности на терминологию, мы вправе утверждать, что эта книга имеет своим источником грузинскую народную медицину.

По уже известным письменным памятникам, мы знаем, что история древней медицины Грузии делится на три периода:

К первому периоду относятся IX—XII века, когда грузинское врачебно-философское мышление находится в сильной зависимости от греческой медицины (см. 30 главу из Шатбердской хрестоматии: „О создании человека“, „О рождении человека“ Григория Носели и о „Естестве человека“ Немесия Емесийского).

Ко второму периоду относятся XII—XVI века, когда на грузинскую медицину влияет ирано-арабская, к этому же периоду относится внедрение в грузинскую медицину ирано-арабской терминологии (см. рукопись Z—26, архив Музея Грузии: „Цигни Саакимой“ Ходжа Копили, „Карабадини“ сочинителя Абраама, рукопись № 914 фонд Н, архив Музея Грузии), все эти три памятника написаны древне-церковным грузинским письмом „Нусхури“.

Третий период начинается с XVI века и продолжается до начала XIX века. В этом периоде заметно ослабевает ирано-арабское влияние и грузинская медицина уже знакомится с достижениями западно-европейской медицинской науки и явно подпадает под ее влияние (см. книгу „Иадигар Дауди“

царя Грузии Давида — шесть вариантов которой приведены нами).

Само собой понятно, что совершенно отдельно стоит и не включается в эти периоды современная советская медицина, которая благодаря повседневной заботе партии и советской власти и огромной материальной помощи, переживает период своего расцвета.

Таким образом изданная в 1936 году „Цигни Саакимой“ представляет выдающийся памятник древней медицины Грузии, начала XIII века. т. е. принадлежит к II периоду.

А издаваемая теперь „Иадигар Дауди“ представляет собой замечательный медицинский памятник III периода, т. е. второй половины XVI века, который оставил глубокий след на всю грузинскую медицину вплоть до начала XIX века.

Ладо Котетишвили

Тбилиси, 8/V 1938 г.

მედიცინა ქველ საქართველოში

XVI საუკუნე

მედიცინის პირველი ჩანასახი იწყება კაცობრიობის წარმოშობის თავდაპირველ პერიოდში. სულ უძველეს დროს, როდესაც ადამიანი სწავლობდა თევზზე დგომასა და სიარულს, როდესაც ცხოვრობდა მიწურ სოროებში ან მალა ხეებზე, მაშინ არსებობისათვის ბრძოლისა და თავდაცვის ინსტიქტები ჯერ ჩანასახში იყვნენ, მაშინ ადამიანი ცოტა რამით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ცხოველისაგან.

პირადი პროფილაქტიკა იმდროინდელი ადამიანისა მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ როგორმე თავი დაეცვა ამინდის ცვლის დროს, სეისმიური კატასტროფების დროს, რომელნიც ასე ხშირნი იყვნენ მაშინ, თავი დაეცვა მტრისაგან, ნადირისაგან და, რაც მთავარია, სიმშვილისაგან¹.

თავისთავად გასაგებია, რომ არსებობის საშუალებათა მოპოებისთვის ბრძოლა იქნებოდა მეტისმეტად მკაცრი და დაუნდობელი. პირველყოფილ ადამიანს არ გააჩნდა თითქმის არაერთი საწარმოო იარაღი, ბრძოლა ხდებოდა, ასე ვთქვათ, ცალიერი ხელებით და შიშველი სხეულით.

ცხადია, პირველყოფილი ადამიანის გაშიშვლებული სხეული ყოველდღიურ საფრთხეში იქნებოდა—გაკაწერის, გაკრის, ხიდან ჩამოვარდნის, ძელების დამტვრევის, გაციებისა და სხვა.

არსებობისთვის ბრძოლამ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირველყოფილი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა ის ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნები, სადაც წარმოიშვა, და გამარელებისა გამო წასულიყო უფრო. ცივ ქვეყნებში და ეცხოვრა უფრო მკაცრი ბუნების პირობებში.

ამ მეტად არახელსაყრელ პირობებში ადამიანს უნდა ეზრუნა და ეფიქრა უპირველესად ყოველისა ჯანმრთელობაზე ანუ ფიზიკურ გადარჩენაზე, და იქ, სადაც ჩნდება ჯანმრთელობაზე ზრუნვა და

¹ Nobiling-Jankau. Руководство к профилактике пер. с немецк. 1901 г.

გადარჩენის სურვილი, იწყება პირველყოფილი, პრიმიტიული მედიცინის სათავეც.

თავისთავად გასაგებია, ადამიანმა პირველად სხეულის რომელიმე ასო რომ გაიჭრა, სისხლი დაინახა და გაიგო, რომ რაღაც წითელი, თბილი სითხე დაღვარა. გასაგებია ისიც, რომ ის მაშინვე შეეცდებოდა სისხლის შეჩერებას—მოჰგლიჯა ბალახი და კრილობაზე მიიღო და, შეიძლება თავისდა უნებურად, შიშის გამო, მაგრად მოუჭირა კრილობას ხელი. სისხლი, შეჩერდა და ადამიანმა დაიხსომა, რომ ბალახმა თუ ფოთოლმა და ხელის მოჭერამ სისხლი შეაჩერა.

ადამიანი დააკვირდა ამ გარემოებას და დაკვირვების შედეგი იყო ის, რომ ბალახებში, ფოთლებში და მცენარის ძირებში ეძებდა საშუალებას ჯერ მარტო სისხლის შეჩერებისათვის, შემდეგ კი ყველა სხვა მოვლენისათვის, რომელიც ემუქრებოდა მის ფიზიკურ არსებობას.

ამ არსებობისთვის ბრძოლის პროცესში ადამიანი თანდათანობით ეცნობოდა თავისთვის მანე და სასარგებლო საკმელს, რომელიც მაშინ შესდგებოდა უმთავრესად მცენარეულობისაგან და ნანადირევისაგან.

ამ დაკვირვების პროცესში ის ხედავს და იხსომებს, თუ რომელმა მცენარემ როგორი ზეგავლენა მოახდინა მის სხეულზე—ამ მცენარეებში ზოგი პირღებინებას იწყებდა, ზოგი გახსნილობას, ზოგი შეკრულობას და სხვა¹.

აი აქ იწყება წამლობისა და წამლეულობის წარმოშობის ისტორია. მაშინ ადამიანი ცხოვრობდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესების გარეშე. იმისი მოქმედების ასპარეზი საკუთარი ოჯახის ფარგლებს არ შორდებოდა.

მაგრამ პირველყოფილი საზოგადოება რომ გაჩნდა, ადამიანმა რომ შეიგნო ერთად ცხოვრებისა და ერთად ბრძოლის სარგებლიანობა და უპირატესობა, თავისთავად ცხადია, სხვა წესებთან ერთად, რომელნიც შეეხებოდნენ საზოგადოების არსებობასა და დაცვას, პირადი და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის წესებიც უნდა შემუშავებულიყო. ასეც მოხდა. სხეულისა და კუნთების გასაწვრთნელად და განსავითარებლად მოიგონეს სამხედრო ვარჯიშობანი, გამოიმუშავეს წესები საკმლის მიღების, სისუფთავის დაცვის, სქესობრივი ურთიერთობისა და სხვა.

¹ И. Страшун. Медицина. Б. М. 33. 195 1936 г.

ამგვარად, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად თანდათანობით ვითარდებოდა საექიმო აზროვნებაც.

მაგრამ მედიცინა, როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგი, ვერ ასცდებოდა იმ საერთო განვითარების გზებს, რომლებიც თან დაჰყვა საზოგადოების წარმოშობას პირველი დღიდან.

ადამიანთა დიფერენციაცია, ჯერ ფიზიკური შემძლეობის მიხედვით და შემდეგ ქონებრივი შემძლეობის მიხედვით, ჰქმნიდა პრეცედენტს იმისას, რომ საექიმო მეცნიერება და ჯანმრთელობისთვის ზრუნვა უნდა გამხდარიყო ცალკე ჯგუფებისა თუ ადამიანების პრივილეგიად. ასეც მოხდა. სულ მალე მედიცინა თავის ჩანასახშივე მოექცა მოგვებისა და ქურუმების ხელში, რომლებიც თავიდანვე იმას ცდილობდნენ, რომ სრულიად მარტივი და ყველასათვის გასაგები მოვლენები ცრუმორწმუნოებისა და ჯადოქრობის ბურუსში გაეხვიათ, რითაც ცდილობდნენ თავისი პრივილეგიების შენარჩუნებას და თავისი კასტური ინტერესების დაცვას.

ამის შედეგად კი გაჩნდა ეგრეთწოდებული დემონოლოგიური შეხედულება ავადმყოფობის წარმოშობაზე—ესე იგი ავადმყოფობას და ყოველგვარ უბედურ შემთხვევას მიაწერდნენ ავ სულებს, დემონებს, ეშმაკებს—მათს რისხვას, მათს წყრომასა და დევნას. ყოველივე ეს იმდროინდელი ადამიანის აზროვნებაში უდიდეს კვალს სტოვებდა და თანდათანობით ამაგრებდა მასში აზრს ავი სულებისა და დემონების მტრობაზე.

ყოველ მტერს რომ შებრძოლება უნდა, ეს ჰეშმარიტება კარგად იცოდა მაშინდელმა ადამიანმა. მაგრამ შებრძოლებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, საამისო იარაღი და ცოდნა მას ჯერ არ გააჩნდა. მოსყიდვა კი შეეძლო, მით უმეტეს, ამას. ურჩევდნენ მოგვებიც და ქურუმებიც; რომელნიც ერთგვარი შუამავლის როლს კისრულობდნენ, ჩვეულებრივ ადამიანებსა და დემონებს, ან ღმერთებს შუა.

ეს გარემოება კი მათ უდიდეს ავტორიტეტსა და უპირატესობას უქმნიდა საზოგადოებაში. ისინიც, რაც კი შეეძლოთ და სადამდისაც გონება მისწვდებოდათ, გაუგებრობისა და მისტიურობის ბურუსში ხვევდნენ სრულიად მარტივ საქმეს.

ამის შედეგი ის იყო, რომ გაჩნდა აუარებელი ლოცვანი, შელოცვანი, თილისმები და სხვა ათასგვარი რიტუალური ნიშნები, რომლითაც საექიმო რელიგიური კასტა ცდილობდა იმდროინდელი დამფრთხალი და შეშინებული ადამიანის უფრო მეტ დაფრთხობას და შეშინებას.

ყველაფერი ეს ფასით ხდებოდა, და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს

ფასი იმდენად დიდი იყო და ძვირი, რომ სულ უბრალოდ ჰქმნიდა საექიმო კასტის ქონებრივ უპირატესობას, მაშასადამე, მდგომარეობის, უფლებრივ და ყველა სხვა უპირატესობას, რაც მძლე იარაღს წარმოადგენდა პირველყოფილი საზოგადოების დაბალი ფენების დასამონავეებლად.

მაგრამ ავ სულელებთან ერთად კეთილი სულელებიც იყო საჭირო. იმდროინდელ ადამიანს სჯეროდა, რომ დემონებთან ერთად კეთილი სულელებიც არსებობდნენ, რომელნიც იცავდნენ და იფარავდნენ მას. ყოველგვარი განსაცდელისაგან.

ადამიანი ამჩნევდა, რომ ავ და საშიშ პირობებთან ერთად კარგი პირობებიც ჩნდებოდნენ მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაგალითად: ავადმყოფი ჯანსაღდებოდა, მძიმე და საშიში ჭრილობა ხორცდებოდა, მოტეხილი ძვალი მრთელდებოდა—მაშასადამე მისი ფიქრით კეთილი ღმერთები სწყალობდნენ მას.

რასაკვირველია, ამ გარემოებით ყველაზე უწინ მოგვები და ქურუმები ისარგებლებდნენ და მართლაც, თანდათანობით იქმნებანი-ადაგი ჯანმრთელობის ღვთაების შესაქმნელად—მით უმეტეს, რომ იმდროინდელი აზროვნების თეურგიული განწყობილება სავსებით ხელს უწყობდა ამ საქმეს.

მაგრამ აქ ერთგვარი შეგუება უნდა მომხდარიყო, რომ ძვირადღირებული წამლეულობა ჯანმრთელობის ღმერთის მუქთ წყალობას არ შეეცვალა, წამლეულობის გაცემას კი უდიდესი მატერიალური სარგებლობა მოჰქონდა. აქ ხერხი იყო საჭირო.

ეს ხერხიც გაჩნდა. წამლეულობა სულ მალე ღვთისგან ბოძებულ და მისგანვე შთაგონებულ საგნად იქცა, თითონ ავადმყოფობას კი მოეძებნა ლოცვისა და ვედრების თუ წყალობის სიტყვიერი ალეგორია.

საქართველოშიაც აუარებელი იყო ამის დამამტკიცებელი ზნე-ჩვეულებანი, შელოცვები, მკითხაობა, ქადაგად დაცემა, სხვადასხვა ქვების, მცენარეების, ღვინთის, ფერადი ძაფებისა და სხვა თილისსების გამოყენება ავადმყოფობათა მფარველი ღვთაებების, კეთილი სულებისა და „ბატონების“ გულის მოსანადირებლად, ავადმყოფობის შესამსუბუქებლად, ავადმყოფის გადასარჩენად, მიცვალებულთა სულების შესანდობლად და სხვა¹...

მედიცინის ეს პერიოდი, როდესაც ის მოქცეული იყო ტაძრებში

¹ ამ საკითხებს სპეციალური შესწავლა და კვლევა სჭირდება, რასაც ჩვენ შევეცდებით შემდეგ შრომებში.

და მოგვების ხელში, ცნობილია „სატაძრო მედიცინის“ სახელწოდებით.

ძველი ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთისა და სხვა ძველ ხალხთა ტაძრების კედლებზე, ობელისკებზე, საფლავის ქვებზე მრავლად არის დარჩენილი „სატაძრო მედიცინის“ ნაშთები სხვადასხვა იეროგლიფების, ნახატების, ბარელიეფებისა და ნიშნების სახით. საეგვიპტოს ინსტრუმენტები და ქირურგიული ხელსაწყოები და საეგვიპტო სცენები, რომლებიც ამ ტაძრებზე არიან გამოხატულნი, მოწმობენ მათს უძველეს წარმოშობას.

საქართველოშიაც ბევრია ამგვარი ნიშნები. მცხეთის ტაძარზე გამოკვეთილი მკლავის ფიგურა შესაძლებელია ისევე იმ ადგილზე მდგარი უძველესი ტაძრიდან იყოს ნასესხები. სხვა ტაძრებზედაც ბევრია ამგვარი მისტიკური ხასიათის ნიშნები, რაც მეტად საგულისხმო სივრცეებს შლის ჩვენში არსებული „სატაძრო მედიცინის“ კვლევის საქმეში.

თითონ ქართული ჩუქურთმის ხეეულებშიაც მოიპოვება მრავალი ნიშანი წვალების, გაკირვების, გაჯანსაღებისა და გამარჯვების, მწუხარების და ზეიმისა. ეს საკითხიც ცალკე კვლევის საგანია და არ შეიძლება კავშირი არ ჰქონდეს უძველეს ტაძრებთან და ობელისკებთან, რომლებზედაც გამოხატული იყო ადამიანის ავადმყოფობის, მკურნალობის, გაჯანსაღებისა თუ სიკვდილის სცენები. რაც შემდეგ ამა თუ იმ ღვთაებათა კულტმა შესცვალა, მერე კი ქრისტიანობამ. ამ სცენების ალგორია უნდა შენახულიყო ახლად შექმნილ ტაძრებზე ჩუქურთმების, ფრესკების და სხვა ნიშნებისა და მორთულობის სახით.

შემდეგ საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებათა და ხალხთა საერთო კულტურული განვითარების წყალობით იცვლება საეგვიპტო აზროვნებაც. ჩნდებიან ახალი საშუალებანი და ხერხები იმის ასახსნელად, თუ საიდან წარმოსდგება ესა თუ ის ავადმყოფობა და რა არის საჭირო მის მოსასპობად, სხვანაირად, უკვე იბადება სურვილი მედიცინის ტაძრიდან გამოყვანისა, და მკურნალობის საქმის მოგვებისა და ქურუმების ხელიდან გამოგლეჯისა.

მაგრამ ეს სურვილი და ეს ბრძოლა ჯერ ჩანასახშია. ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროის გონებრივად განვითარებულ ხალხებს მაინც სჯერათ დემონოლოგიური და თეისტური წარმოშობა. ამათუნიმ ავადმყოფობისა. ამ ავადმყოფობათა წარმომშობ სრულიად ბუნებრივ მიზეზებთან ერთად სჯერათ რაღაც არაბუნებრივი და ზებუნებრივი მიზეზებიც. პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ

სხვადასხვა სახით ამ რწმენამ დღემდის მოაღწია კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

ძველად კი საბერძნეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, საქართველოში, არაბეთში და სხვა ძველ ერებში ეს აზრი მტკიცე იყო, და ავადმყოფობათა მკურნალობის საქმეში წამლეულობასთან ერთად ჩვენ ვხედავთ სრულიად არაბუნებრივ და, ასე ვთქვათ „ღვთაებრივ“ საშუალებებს, რის ნაშთები მრავლად არის დარჩენილი ყველგან—ბევრია საქართველოშიც.

საქმარისია ვთქვათ, რომ დღემდის მთელ საქართველოში დარჩენილი იყო უძველესი ჩვეულებანი როგორც მაგალითად: ავადმყოფის ხატის კარზე მიყვანა, ღამის თევზა, მამლისა და მსხვერპლის შეწირვა ხარისა ან ცხვრის სახით და მრავალი სხვა.

შემდეგ მოქალაქობრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად, როდესაც გაჩნდნენ ქალაქები და შეჯგუფებული მოსახლეობა, მედიცინას უჩნდება ახალი ასპარეზი. ეს არის საზოგადოებრივი სანიტარია და ჰიგიენა, საცხოვრებელი უბნების კეთილმოწყობა, მათში სისუფთავის დაცვა, საზოგადოებრივი აბანოები, ქალაქების გასუფთავება ნაგვისა და სიბინძურისაგან და საერთოდ შეჯგუფებული მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა. აი ის ახალი საკითხები, რომლის დამუშავებასაც ცდილობს მედიცინა.

მაგრამ აქ რელიგიური ჩვევანი ერევიან საქმეში, რადგანაც რელიგიური ნორმების გარეშე არც ერთი ჩვეულების შეტანა ხალხში არ შეიძლებოდა.

აქედან გასაგებია, რომ საზოგადოებრივი სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმები მხოლოდ საღმრთო წერილის წიგნებში გვხვდება, და საექიმო სკოლებიც მხოლოდ ტაძრებთან ჩნდებიან. ასეთი საექიმო სკოლა იყო მემფისის ტაძართან ძველ ეგვიპტეში; ძველ საბერძნეთში ევრეთწოდებული ასკლეპიადების სკოლები ასკლეპიუსის ტაძრებთან იყო მუდამ. ძველი ბერძნების ჯანმრთელობის ღვთაება ასკლეპიუსი, საბერძნეთის მითოლოგიის მიხედვით, იყო შვილი აპოლონისა და მოწაფე ქირონისა.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თითონ სახელგანთქმული ჰიპოკრატი, ევრეთწოდებული კლინიკური მედიცინის დამწყები და მამამთავარი, უკანასკნელი ასკლეპიადთაგანი იყო.

ძველ ინდოეთში, როდესაც გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ბრამინების რელიგია—ბრამინიზმი, რომელიც განირჩეოდა გასაოცარი გულქვაობითა და სიმკაცრით, და თითქმის არ არსებობდა არავითარი პირობები მედიცინის, ამ ჰუმანიტარული მეცნიერების გან-

ვითარებისათვის, საღმრთო წიგნებში ვე დებ ში მრავლად გვხვდება საექიმო ცნობანი, თუმცა ეს ცნობანი ატარებენ „ლეთაებრიობის“ ხასიათს. ავადმყოფობანი განმარტებულია ბოროტი და კეთილი სულების რისხვად ან წყალობად. ყველაზე საუკეთესო წამალი თითქმის ყველა ავადმყოფობის წინააღმდეგ, ამ წიგნების მიხედვით, არის ცოდვათა მონანიება, ლოცვა და სამსხვერპლო კმევა.

შემდეგ, როდესაც ინდოეთში ბრამინიზმის დესპოტიზმი შესცვალა ბუდიზმმა, რომელიც სრულიად საწინააღმდეგო მოძღვრება იყო და ჰქადაგებდა თვითგვემას, თავმდაბლობას, ამქვეყნიური არსებობის არარაობას, „კაცთმოყვარეობას“, ძველ ინდოეთში მაშინ იწყება მედიცინის განვითარებაც. ჩნდებიან საავადმყოფოები, ლეპროზორიები, იზოლატორები და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის 50 წლებში აღმოჩენილმა სანსკრიტულმა ნაწერებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. ფილოლოგები მიაკუთვნებენ ამ ნაწერებს მე-10—14 საუკუნეს ჩვენს ერამდე. ამ ნაწერებში „აჰიურ ვედა“ (Ayur Veda) ანუ წიგნი „სიცოცხლის შემეცნებისა“ მედიცინისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ის დაწერილია სუსრუტას (Susrut) მიერ. ეს წიგნი თარგმნა Hessler-მა ლათინურ ენაზე (Haeser „История и основы медицины“. გვ. 6 გამ. 1885 წ.).

ყველაზე საგულისხმო ამ წიგნებში ის არის, რომ ექიმობა წარმოდგენილია მთლიან ხელოვნებად, რაც სჩანს შემდეგ სიტყვებში: „მხოლოდ ექიმობისა და დასტაქრობის შეერთებას შეუძლიან შექმნას სრულყოფილი ექიმი. ექიმი, რომელმაც ერთერთი ამათვანი არ იცის, ჰგავს ფრინველს ცალი ფრთით“.

ძველი ირანის საღმრთო წიგნში „ზენდ ავესტაში“ მრავლად მოიპოვება საექიმო ხასიათის ცნობები, საიდანაც ჩანს რელიგიისა და მედიცინის ურთიერთდამოკიდებულება.

ძველ ჩინელებსაც ადამიანის ჯანმრთელობა გამოჰყავთ იმ რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან, რომელიც მათ ჰქონდათ საერთოდ ქვეყნის, ბუნებისა და ადამიანის წარმოშობაზე. მათ სწამდათ სამყაროს ორი უდიდესი საწყისი; ერთი არის „იანგ“ — რადიკალური სიმბურვალე, აქტიური სითხე მამრობითი სქესისა და მეორე „ინ“ ანუ სრულყოფილი სინედლე, პასიური სითხე მდედრობითი სქესისა. აი ამ ორ საწყისიდან წარმოსდგება ყველაფერი სამყაროში და თანაც ამათი ჰარმონია ჰქმნის ადამიანის ჯანმრთელობას (А. Я. Виолин. „Медицина Китая“ С. П. Б. 1904 წ. გვ. 69).

ძველი საბერძნეთის პირველი პერიოდის ფილოსოფოსები ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობას ხსნიდნენ სხვადასხვანაირად, მაგალითად:

თალესი (624—545 წ. ჩვ. ერამდე), რომელიც იყო დამა-
არსებელი და სქოლარქი სახელგანთქმული მილეტის ფილოსოფიური
სკოლისა, ყველა არსისა და იძვრისის სათავედ სთვლიდა წყალს.

ამავე სკოლის მეორე წარმომადგენელი ანაქსიმენი
(588—524 წ. ჩვ. ერამდე) ყველაფრის სათავედ სთვლიდა ჰაერს.

ქსენოფანს (576—480 წ. ჩ. ე-მდე) კი ეგონა, რომ ადამიან-
ნი და სამყარო წარმოსდგება მიწისგან.

ჰერაკლიტე ეფესელი (535—475 წ. ჩ. ე-მდე) აბსოლუტურ
სათავედ ყველაფრისას ქვეყანაზე და სამყაროში სთვლიდა ცეცხლს.

მაშასადამე, სამყაროს და ყოველი იძვრისის საწყისად მიჩნე-
ული იყო ცალცალკე ბუნების ეს ოთხი სტიქიონი—წყალი, ჰაერი,
მიწა და ცეცხლი. შემდეგ ემპედოკლმა (V საუკ. ჩ. ე-მდე) და ატო-
მისტებმა მოახდინეს სინთეზი: სამყაროს და ყოველი იძვრისის წარ-
მოშობის მიზეზად დასახეს ეს ოთხი სტიქიონი არა ცალცალკე, არა-
მედ ერთად.

ამგვარად დაედო სათავე იმ ფილოსოფიურ კონცეპციას, რო-
მელიც ადამიანის წარმოშობის სათავედ სთვლიდა ოთხ სტიქიონს—
წყალს, ჰაერს, მიწას და ცეცხლს. ეს კონცეპცია შემდეგ გამოიყენა
ჰიპოკრატმა და საფუძვლად დაუდო თავის ეგრეთწოდებულ „ჰუ-
მორალურ პათოლოგიას“, რომელიც ურყევად ბატონობდა საექიმო
აზროვნებაში თითქმის მე-19 საუკუნემდე, და რომლის განახლება-
საც დღეს ცდილობს ბიოქიმია.

ძველი ებრაელებიც რელიგიის სამოსელში ხვევდნენ ჯანმრთე-
ლობაზე ზრუნვას. თუმცა ბიბლია არ სცნობს დემონებს და მასში
არაფიქარი კვალი არ არის, რომ მათ სწამდათ ავი სული ან
ემმაკი, სამაგიეროდ ერთადერთი ღმერთი ელოვა უკრძალავდა თავის
რჩეულ ხალხს სისხლისა და სისხლიანი ხორცის ჭამას, რაც გამომ-
დინარეობდა ებრაული რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედვე-
ლობიდან, რომ ადამიანის სული და საერთოდ, ყოველი იძვრისის
სული სისხლში ცხოვრობდა, რაც გულისხმობდა მის ხელშეუხებლო-
ბას. თანაც ეს პროფილაქტიკური ზომა იყო, რადგანაც ცხელ ქვე-
ყნებში სისხლიანი ხორცი ადრე ლპებოდა.

მოსე უკრძალავდა თავის ხალხს ხორცის სამ დღეზე გვიან ჭამას.
აგრეთვე უკრძალავდა ღორის, კატისა და თაგვის ჭამას. შემდეგ
მეცნიერებამ მხოლოდ ამ ცხოველების ხორცში აღმოაჩინა ტრიხინები,
რის გამოც სახელგანთქმული გერმანელი მეცნიერი Virchow-ი წი-
ნასწარმეტყველ მოსეს სთვლიდა ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს
ექიმად (Nobling-Jankeu „Руководство к профилактике“ 1901 г.)

შემდეგ ისევ იმ ბიბლიაში ჩვენ გვხვდება უდავოდ სწორი სანიტარულ-ჰიგიენური წესები, როგორც მაგალითად: ფეხისადგილები შორს უნდა იყოს საცხოვრებელი ადგილებისაგან, განავალს მიწა უნდა დაეყაროს, შაბათობით იკრძალებოდა სქესობრივი კავშირი, მოთხოვნილი იყო კეთროვანთა იზოლაცია, წინადაცვეთა, რაც სხვა ძველ ხალხებსაც ჰქონდათ და სხვა...

რაც შეეხება ძველი საქართველოს რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს, ჩვენ დღემდე ამის შესახებ საფუძვლიანი კვლევა არ გაგვაჩნია. ვიცით მხოლოდ, რომ ქართველების წარმართულ ღვთაებათა პანთეონი ძალიან ენათესავენა ძველ ხეთურ, ძველ ეგვიპტურ, და საერთოდ, ძველი აღმოსავლეთის ღვთაებათა პანთეონს. ვიცით ისიც, რომ საქართველოშიაც, ისევე როგორც ყველგან ძველ აღმოსავლეთში, სწამდათ სამყაროს ორი უდიდესი საწყისი: ავი და ბოროტი, კეთილი და მწყალობელი. პირველს ეკუთვნიან დევები, ალები, კუდიანები და ყველა „მაგნე სული“, მეორეს „ბატონები“ და ყველა „კეთილი სული“.

უძველესი ქართველი ყველაფერს ცუდსა და მავნეს მიაწერდა პირველებს, კარგს და სასარგებლოს—მეორეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველობის წარმოდგენაში კეთილი მუდამ გამარჯვებულია ბოროტზე.

„ბოროტსა სძლია კეთილმა არსება მისი გრძელია“ (შოთა).

ბატონების შემდეგ იდგნენ ღვთაებები, ღვთაებების რეალურ გამოხატულებას წარმოადგენდნენ ხატები.

ხალხს ბატონები მუდამ მომადლიერებული ჰყავდა, რადგანაც სჯეროდა, რომ მათი განრისხება იწვევს დიდ უბედურებას და ყველაზე ძნელ და საშიშ ავადმყოფობებს, როგორც არიან გადამდები ავადმყოფობანი.

რაც შეეხება ორიგინალურ ქართულ შეხედულებას სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, დღემდე ამაზე ჩვენ არაფერი ვიცოდით. რომ ქართველ ხალხს უსათუოდ ექნებოდა თავისი შეხედულება ამ საკითხზე, ეს ექვს არ იწვევს.

მაგრამ ვერავითარი ხელშესახები ფაქტები დღემდის ვერ იყო აღმოჩენილი, რომლებიც ოდნავ მაინც ნათელს მოჰყენდა ამ მეტად საინტერესო საკითხს.

ეს საკითხი მეტად საგულისხმოა ქართული საექიმო წერილობითი ძეგლების კვლევისთვისაც, რადგანაც დღემდის სრულიად გაუგებარი იყო ის გარემოება, რომ საექიმო ხელნაწერ ძეგლებში და ხალხურ მედიცინაში ყველა ავადმყოფობას თან ახლავს ცნება „ქარი“

მაგალითად: „თია ქარი“, „ფერდის ქარი“, „ფილენჯის ქარი“, „ნეკრესის ქარი“, „მჭვალის ქარი“, „წითელი ქარი“ და სხვა. დღემდე ხალხში შენახულია ამგვარი გამოთქმები: „ქარმა დამკრა“, „ქარმა დამიგდო“, „მუხლებში ქარი გამიჩნდა“, „თავქარიანი“, „თავში ქარი უქრის“ და მრავალი სხვა.

რა ცნებაა ეს ქარი? რას გულისხმობს ქართული მსოფლმხედველობა ამ სიტყვით? ამ საკითხის კვლევის დროს სახ. მუზეუმის არქივში აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელიც გადარჩენილია ფრაგმენტების სახით და შემთხვევით მიკერებულნი აქვს ხელნაწერს № 343 A ფონდი H.

ამ რამდენიმე ფურცელში შენახულია ისეთი ცნობები, რაც არცერთ სხვა ხელნაწერში არ მოიპოება. ამიტომ ამ რამდენიმე ფრაგმენტს გადაიმკრელი მნიშვნელობა აქვს აქ წამოყენებული საკითხის გადასაჭრელად.

ენახოთ. ამ ფრაგმენტების მიხედვით „სული სისხლში იმყოფება და სისხლი რომ დაიქცეს, სულმაც ვერა იმყოფოს გუამსა უსისხლოსა შიგან. სული ღმერთისაგან არის და ამიტომ ასწავლა მოსე წინასწარმეტყველმა არა ქაშად სისხლი. ვინც შექამოს, იმას ეგონოს, რომ სულიც სისხლისაგან არის, ამიტომ მთლად უნდა დაიცალოს ხორცი სისხლისაგან და მერე იკამოს. უმ სისხლთან სულიც არის, მაშასადამე უმი არ იქმევა და, თუ მოიხარშოს, მაშინ წმიდა იყოს იგი ქაშად“

ამის შემდეგ ხელნაწერი გადადის აწერაზე „ყოველთა სენთა დაბადებაზე ანუ რომლისა მიზეზისა გამო დაუტოვებს სული გეამსა და სადგურსა თვისსა“.

„ვინაიდან ორი ქარი აღავსებს ყოველსა ცალიერსა ჰაერთათანა მყოფლობითა, ეგრევე ყოველი ნაყოფი მიწისა, გინა ხისა, ანუ ხორცი ყოვლისა სულიერისა, ამა ჰაერთა და ქართანა დაიბადებიან და მათთანა აღიზარდებიან.“

ორწილად განყოფილ არს ბუნება ყოვლისა, ქვეყანასა ზედა ამოჩინებულისა, მხურვალე და ცხელისა ქარისა მოყვასი და განმადლიერებელი, და გრილი და ცივი ქარისა მოყვასი და განმადლიერებელი.

ყოველ გონიერ ხელმწიფის ნება ესე არს, რათა არა აღშფოთდეს ქვეყანა მისი, და არცა განიყენენ ლაშქარნი ორად ვნებად ურთიერთ არს. და ეგრევე გულსა ასოთა ხელმწიფეთა ნებაეს ამა ორთა ქართა სწორებით ყოფა, ამიტომ თუ ერთი უმეტეს განმადლიერდეს, შური იძიოს მეორესა ზედა, მხურვალმან, განა თუ გრილმან.

ტკივილი ასოთა და დაბადება ყოველთა სენთა აქედან არის, თუ ამ ორ ქართაგან ერთერთი იმატებს.

თუ ცხელი განძლიერდა, ჩაიჭრება ცივი ქარის ადგილზე, და აგრეთვე თუ ცივი განძლიერდა, ჩაიჭრება ცხელი ქარის ადგილზე". ამ ორ შემთხვევაში ცივს თბილი აწყყენს, თბილს ცივი და გვამიც დაავადდება.

წვითარცა ყოველი მიწათაგან ამოსული ბალახთაგანი გინდა ხეთაგანი, აღმოვიდეს პირველად მწვანედ და რაჟამს აღიზარდოს და მოიწიოს ჟამი ნაყოფთა მათთა, მაშინ საცნაურ იქნას, ყოველივე თვითეულად სახელდებულ იქნას.

აგრეთვე ტკივილი და სენი კაცისა პირველად ამ ორთა ქართაგან შეიქნას. და თუ უმეტესად მოერიოს ერთი ქარი მეორეს, მაშინ გარდაიქცეს სენად და საცნაურ ყოფად.

ამ ქართა ერთმანერთის ჯობნა მრავალთა რამით მოიწვევის, უმთავრესად კი ფრიადისა მზურვალისა ანუ ფრიადისა გრილისა შესმულობისაგან, და დიდთა სიცხეთა ანუ სიცხივეთა ჩავარდნისაგან, და მერმე ყოვლის უჯერობისაგან.

ეს ორნი ქარნი მსგზავსნი არიან ვითა ორნი თავადნი იყენენ ქართა მეფისათა ერთმანეთის მტერად, და უკეთუ ქნას რამე ერთმან საქმე უჯერო და გარდავიდეს ნებასა უფლისასა, მეორემან განიხაროს და განძლიერდეს, და წარემატოს პატივი. და უკეთუ თავს იღვას და მაშინვე შეისწრაფოს და გამოილოს საჭურველისაგან თვისისა საუნჯე ფრიადი და მიართვას მეფეთა და წინამდევთა მისთა და მოითხოვოს შენდობა შეცოდებისა ჟამიერად, კვალად მოიწვევს პატივს პირველსა, და უკეთუ ისულგრძელოს კვალად და კვალად ისულდგმულოს მტერმან მისმან, და უკანასკნელს აღარ ძალ ეღვას მისთა სწორებად, და არა იციან რომ ამ გვარი საქციელით თავის ხელმწიფეს გარდასცლიან ტახტისაგან, უკეთუ თავადნი და ლაშქარნი არ იყენენ წყობით. და ბრძანებასა ქვეშე უფლისასა ადგილნი მათნი აღაოხრდეს, ამა ორთა ქართა ბრძოლისაგან მოიშალოს ყოველი ასო კაცისა სამსახურებასა გულისასა, და ბოლო ჟამს გულის ხელმწიფე-ბაცა გათავდეს.

კაცის სტომაქი და მუცელი ქვაბს გავეს, როზელიც შომოდვას ცეცხლზე საქმლის მოსამზადებლად კაცმან მეცნიერმან, ჩაასხას წყალი ზომიერად და ჩადვას ხორცი რამდენიც ქვაბმან დაიტოს, ცეცხლი შეუგზოს და მისცეს სახმილი ლმობიერად. თუ ეს სწორებით იქნების შეზავება, სწრაფ შემზადდების და განიყვიან მიცემად გარეგან მდგომთა მონათა, მსახურთა და მონა შინაგანთა. და ოდეს მშვი-

დობა იყვეს, განსვენებასა იქნებიან თვით მეფე და მონანი ყოველნი. და რაოდენთამე ჟამთა აღარ უსმინიან კაცსა ამას მეცნიერსა თვით უგუნურთაცა ხელჰყვიან შემზადებად, და თუ მისცემენ ცეცხლს და სახმილს ფრიად, ცეცხლის ქარი ქვაბიდან წყალს გადმოღვრის, და ხორცი დაიწვის და ქვაბიც.

თუ მისცემენ ცეცხლს და სახმილს მცირედ, ქვაბი გაციებული დარჩება, მონანი კი უჯეროთ, და იქმოდეს მეფე და მონანი მწუხარებასა და ყველანი ვედობას დაუწყებენ კაცსა მას პირველ მეცნიერსა, რომელმან პირველად შეუმზადა შექამადი. და ის მეცნიერი როდესაც იხილავს ქვაბს უჯეროს შეზავებულს—თუ ცეცხლი ძლიერ იყოს გამოაკლებს, თუ სავსე იყოს ამოიღებს ჯერისაებრ, და თუ ხორცი იყოს მეტი ამოიღებს, ქაფსაც მოხდის და რაც უწმინდო იყვეს, უკეთუ ჯერ იყოს წყალს დაასხავს. ცივს, ზოგჯერ მიუშვებს ქვაბს ნებასა, რათა თვითონ გარდმოვიდეს რაც იყოს მეტი, და ორთქლის წყალმან მოასწრაფოს შემზადება ქამადისა.

უკეთუ აკლდეს ქვაბს ცეცხლი და ნუ ამათვან რომელიმე მოუმატის და შეაზავის და შეამკის ტვირთითა შესანელებლითა და მოიღეს წინაშე მეფეთა და თავადთა და ესე აღშფოთებული ქვაბი კვლავ დასწყნარდების.

ეგრეთვე რაცა ჩავა კაცის სტომაქში საზრდო, საქმელი თუ სასმელი დაედვის ღვიძლსა ზედა, რომ ღვიძლმან თავის სიმხურვალით ვითა ცეცხლმან ქვაბი ადუღოს. და როცა ქამადი მომზადდების სტომაქსა შიგან მაშინ ისევ ღვიძლმან როგორც ქვაბის უფალმან განაყვის ყოველთა ზედა, პირველად მიართვის გულს ასოთა ხელმწიფესა რაცა ენების შესამატებლად სისხლისა და თესლისა, და დამალბობათ ტვინთა, ძვალის სიმაგრის მისაცემად, და სიმტკიცეთა ძარღვთაცა, აღსუქება ხორცთა, და შემატებად თვალთა მხედველობისა და ყურისა მსმენელობისა, და შემატებად საყნოსელთა გზად გაწმენდათ რომ, სული სურნელი სწრაფლ მიიწიოს გულთა თანა, შემატებად სიფიცხისა ფერხთა, განმადლიერებლად ხელთა და მკლავთა, და შემატებად ტყავთა ხორცისათა და გამოსვლად ბეწვთა და ფრჩხილთა, და ყოვლისა გარეგანისა საზრდოსა მიცემად, და ვინ შინაგან ასოთა აღვსებად თირკმელთა რომელ იგი არს... (ფრაგმენტი აქ წყდება).

ამგვარია ამ ფრაგმენტების შინაარსი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ არსებობს სამყაროში ორი საწყისი, ორი მამოძრავებელი ძალი—ცხელი ქარი და ცივი ქარი, რომელთაგანაც იბადებიან და იზრდებიან როგორც ნაყოფი მიწისა ანუ ხისა, ისევე ხორცი ყოვლისა არსებისა“.

ამიტომ არის, რომ ყველაფერი, რაც არსებობს ქვეყანაზე, განყოფილია ორ წილად, ერთი მხურვალე და ცხელი ქარი, მეორე გრილი და ცივი ქარი. ეს ქარები თანაბარ, წონასწორ მდგომარეობაში არიან.

თუ ამ ქართავანი ერთერთი იმატებს, მაშინ მოიშლება წონასწორობა და ჰარმონია ყოველი სხეულისა—აქედან ჩნდება ავადმყოფობაც. სხეულისად, ყოველგვარი ავადმყოფობის წარმოშობი მიზეზი ან ცხელი ქარი არის, ან ცივი. თუ სხეულში გამრავლებას იწყებს ერთი რომელიმე ქარი, მაშინ მცირდება მეორე და გაძლიერებული ქარი იჭერს მის ადგილს.

მაშასადამე, ამ ორი ქარისაგან იბადება და ჩნდება ქვეყანაზე ყოველი იძვრისი და მცენარე, ამ ორი ქარის სწორი ანუ თანაბარი ურთიერთობის წყალობით სიცოცხლობს და ვითარდება, და ამ ორი ქარის ურთიერთშორისი ჰარმონიის მოშლა იწვევს ავადმყოფობას და სიკვდილს.

აქედან გასაგებია, თუ რას ნიშნავს ცნება „ქარი“ და რას გულისხმობს ქართული მსოფლმხედველობა ამ სიტყვით.

ამის გარდა, ძველ საქართველოში მრავლად გვხვდება სანიტარულ ჰიგიენურა წესები, რომლებიც, თუმცა ატარებენ რელიგიურ ხასიათს, მაინც არსებითად საზოგადოებრივი და პირადი ჯანმრთელობის დაცვისაკენ არიან მიმართულნი. ამგვარი წესების ნაშთი ზოგჯერ ადგილას დღესაც დაცულია. მაგალითად: თვიური გაწმენდის დროს ქალის სახლიდან გაყვანა (ხევესურული „სამრეველო“ და ფშაური „ბოსელი“), ქალთან სქესობრივი კავშირის აკრძალვა ამ დროს, მიცვალებულის შესამე დღეს დამარხვა, უსულადო ანუ დაუკვლელი საქონლის თუ ფრინველის ქამის აკრძალვა, გადამდები „მოარულეების“ დროს—წითელა, ყვავილი, ყივანახველა, ქუნთრუშა, ყალათმა—„უღლების“ ტარება (ხის წნელის რკალი, ყელზე ჩამოსაცმელი), რასაც ჰქონდა რელიგიური და თანაც გამაფრთხილებელი მნიშვნელობა, რომ „საბადიან“ ოჯახს ხალხი მორიდებოდა. „ბატონებიანი“ ოჯახიდან ყოველგვარი ნივთის გატანის აკრძალვა, ვიდრე ავადმყოფი სრულიად არ განიკურნებოდა, და მრავალი სხვა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა მჭიდრო კავშირი იყო რელიგიასა და მედიცინას შორის. ყველა ძველ ხალხში არსებული ესა თუ ის ზომა, მიმართული ჯანმრთელობის დაცვისაკენ, გახვეული იყო რელიგიურ სამოსელში, რაც ამჟღავნებს იმას, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა „სატადრო მედიცინას“ იმდროინდელ პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანზე.

აუარებელ არქეოლოგიურ გათხრათა საშუალებით მეცნიერება თანდათან აშუქებს პრეისტორიულ ეპოქას და პრეისტორიული ადამიანის ყოფაცხოვრებას. აუარებელ ჩონჩხზე, რომლებიც სხვადასხვა დროს იყო აღმოჩენილი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში, და ასეთები მრავლად არის აღმოჩენილი საქართველოშიც, მეცნიერებამ დიდი ხანია აღმოაჩინა ნიშნები სხვადასხვა ავადმყოფობისა, როგორიცაა კლექი, კიბო, ძვლის ანთების შედეგები და, რაც ყველაზე საგულისხმოა, ტრეპანაციის ნიშნები¹.

ასეთი ტრეპანაციაქმნილი თავის ქალები ჩვენშიაც არის აღმოჩენილი. ეს ჩვეულება უძველესია. ტრეპანაცია კეთდებოდა უმთავრესად ეპილეპსიისა და სხვა სახის კრუნჩხვების დროს, რელიგიური მოსაზრებით. ეგონათ, რომ ბოროტი სული ბინადრობდა ავადმყოფის თავის ქალაში და ის იწვევდა ბნელას ანუ სხვა რაიმე კრუნჩხვებს. იმდროინდელი ადამიანის რწმენით, საკმარისი იყო ასეთი ავადმყოფისთვის ქალა გაეხერცათ და ბოროტი სულისთვის ქალიდან გამოსვლის გზა მიეცათ, რომ ავადმყოფი განკურნებულიყო. შემდეგ პერიოდში ეს ამოკვეთილი ძვლის ნაჭერი იხმარებოდა ამულეტად, სხვადასხვა ავი სულებისა და განსაცდელისაგან თავის დასაფარავად.

ბევრგან არსებობდა ჩვეულება, რომლის წყალობითაც ტრეპანაციას უკეთებდნენ მიცვალებულის ქალას და ამომტერეულ ძვალს ინახავდნენ ამულეტად. ამგვარსავე რწმენაზეა დამყარებული მოკლეული შტრის მარჯვენა მკლავის მოჭრა, რაც ხევსურებში და საერთოდ მთიელებში უკანასკნელ ხანამდის არსებობდა. საინტერესოა, რომ სწორედ ეს თავის ქალის ტრეპანაცია ეპილეპსიის დროს, რასაკვირველია, სულ სხვა მიზნით და სხვა ახსნით ნეიროქირურგიაში დღემდის არის დარჩენილი და ერთგვარ ვალს უხდის პირველყოფილი ადამიანის გონება-მახვილობას.

საქართველოში ამ ტრეპანაციის კვალი, თუმცა სხვა სახით, დღემდის არის დარჩენილი, მაგალითად, საქოჩრიდან მრგვლად თმის ამოპარსვა — ან კიდევ სამსხვერპლოდ მიყვანილი საქონლის შუბლის ატრუსვა მრგვლად, საქოჩრის შეღებვა და სხვა.

ამგვარად „სატაძრო მედიცინის“ არა ერთი კვალი არსებობს ჩვენში. სხვათა შორის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყველა სამლოცველო ადგილს დღესაც ხელუხლები ტყე აკრავს. ასეთი ტყეების გაშენება ტაძრის ირგვლივ სავალდებულო იყო ყველგან ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში. ეს იმიტომ, რომ ტაძრად მიყვანილ ავადმყოფებს ქურუმი ექიმები ამ ტყეში ასეირნებდნენ სუფთა ჰაერ-

¹ Т. Мейер-Штейнер и К. Зудгоф „История медицины“ 1925 г. гл. 7.

ზე, ალოცებდნენ, ულოცავდნენ, ასვენებდნენ. ბევრგან წამლებსაც აძლევდნენ და ისე ისტუმრებდნენ.

იყო ისეთი ადგილებიც, სადაც მზით, წყლითა და ტალახით მკურნალობდნენ. მაგალითად, კურორტ „ახტალის“ ირგვლივ კვლევის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უძველესი დროიდან ახტალის ახლოს არსებული ეგრეთწოდებული „მკლე საყდრის“ კარზე დიდი ამოღრმავებული ქვები ელაგა, რომლებშიაც მზით გამთბარ ტალახში მკლე ბავშვებს აბანავებდნენ, რის გამოც ამ ტაძარს დარქმევია „მკლე“ თუ „მკლეთა ტაძარი“.

საერთოდ ეს საკითხი „სატაძრო მედიცინის“ არსებობისა ჩვენში ჯერ მეცნიერულად არავის უკვლევეია, და ჩვენ გვგონია, რომ უკვე დროა სათანადო მუშაობით სისტემაში ჩქნას მოყვანილი და შესწავლილი მთელი ის მდიდარი მასალა, რომელსაც შეიძლება „საექიმო ფოლკლორი“ ვუწოდოთ. ამ ფოლკლორს შეადგენს ქართველ ხალხში დარჩენილი ზეპირსიტყვაობის თვალუწვდენელი მასალა, რომელიც შეიცავს ლოცვებს, ავადმყოფობათა ალეგორიებს ლექსებისა თუ ზღაპრების სახით, ავადმყოფის გასართობად თუ მოსარჩენად თქმულ სიმღერებს, სიზმრების ახსნას და სხვა...

ამგვარად ნათელია რომ ქართველ ერს მოეპოება მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტები და მასალები მედიცინის დარგში, რომელთა დამუშავებაც მოითხოვს ზედმიწევნით მეცნიერულ კვლევას. არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ კვლევასთან ერთად, რომელიც დღეს სწარმოებს ჩვენი უძველესი წინაპრებისა და საერთოდ ჩვენი ვინაობის და სადაურობის გამოსარკვევად, ფიქრობთ, ხსენებული საკითხების ამ თვალსაზრისით შესწავლა ბევრს რამეს შესძენს ჩვენი ხალხის წარმოშობის საკითხის კვლევის საქმეს და ბევრ გაუგებარ მოვლენას გააშუქებს.

როდის იწყება საერო მედიცინა? საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ საერო მედიცინა იწყება ჰიპოკრატე და ან (460—356 წ. ჩვ. ერამდე). მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ ვიცით, რომ ჰიპოკრატეზე გაცილებით ადრე ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში არსებობდნენ საერო საექიმო სკოლები და ექიმები. ეს სკოლები იყო ძველ ელადაში, როდოსზე, კუნძულ კნადაოსზე, კოსზე (კუნძულ კოსის საექიმო სკოლაში სწავლობდა ჰიპოკრატეც), ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში¹. როდის დაარსდა ეს სკოლები, ამის თქმა შეუძლებელია, მაგრამ გაკვრით ჯერ კიდევ

¹ В. Лессневич. „Очерки из истории медицины“ 1896 г. гл. 9.

ჰეროდოტეს აქვს ცნობა, რომ „ელადაში პირველები იყვნენ კროტონის ექიმები და კირინეისა კი—იყვნენ მათი შემდგომები“.

მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში სახელგანთქმულმა ეგვიპტოლოგმა ლაიპციგის პროფესორმა ებერსმა (Ebers) აღმოაჩინა შესანიშნავი პაპირუსი, რომელიც ცნობილია მისივე სახელით. ამ პაპირუსიდან სჩანს, რომ ის დაწერილია მეფე Re-ser-ka-ს (Amenophis) დროს, ესე იგი, 2000 წლით ადრე ჩვენს ერამდე. საგულისხმო ის არის, რომ თითონ ებერსის გამოკვლევით ეს პაპირუსი არის პირი უფრო უძველესი ხელნაწერისა, რომელსაც ჰქვია „წიგნი წამლეულობის მომზადებისა სხეულის ყველა ნაწილისათვის“. ამ იშვიათ წიგნში აწერილია სხვადასხვა წამლეულობის რეცეპტები და ავადმყოფობათა სახელწოდებანი როგორც „გარ გასვლის მოშლა, წელთა ქიები, თვალის ავადმყოფობანი, ტყავის, ძარღვების, თავის ტვინის ავადმყოფობანი“ და სხვა¹. Susru?-ას „აპიურ ვედაზე“ ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

მაშასადამე, ჰიპოკრატზე გაცილებით ადრე არსებობდა საკმაოდ განვითარებული საერო მედიცინა თავისი სკოლებითა და ექიმებით. და სრულიად სამართლიანად შენიშნავს მედიცინის ცნობილი მკვლევარი და ავტორიტეტი Daremberg-ი, რომ „არ უნდა იცოდეს კაცმა არც საბერძნეთის ისტორია, არც საბერძნეთის ლიტერატურა, რომ დაუშვას ის აზრი, თითქოს მედიცინა გამოვიდა ჰიპოკრატის თავიდან ისევე, როგორც აბჯარასხმული მინერვა იუპიტერის თავიდან. როგორც არ შეიძლება ფიდიუსი ჩაითვალოს ქანდაკების აღმომჩენად, სოკრატი—ფილოსოფიისა და არისტოტელე—ლოგიკის და რიტორიკისა, სწორედ ასევე არ შეიძლება ჰიპოკრატს მივაწეროთ მედიცინის შექმნა“².

შემთხვევითი როდია ის ცნობა, რომელიც ეკუთვნის ანდრეას კარისტელს, რომ „ჰიპოკრატმა, რომელსაც ებარა ტაძარი კნიდოსში, დასწვა ტაძარი კნიდოსში, დასწვა ტაძრის ბიბლიოთეკა მთელი არქივით, რათა მხოლოდ თავისთვის მიეკუთვნებინა საექიმო აღმოჩენათა დიდი სახელი“. პროფესორ ვ. კარპოვის ცნობით, ჰიპოკრატის ბიოგრაფი ტეტეტე (XI საუკ.) ასეთსავე ლეგენდას იმეორებს კოსის ტაძრის შესახებ (В. Карпов. Гиппократ и Гирпократов сборник. Москва 1936 წ. გვ. 12)

¹ Haeser „История и основы медицины“ 1885 г. გვ. 4.

² État de la Médecine entre Homère et Hippocrate par Daremberg. Paris 1869 p. 31 (ციტატა მოყვანილია В. Лессович-ის „Очерки на историю медицины 1896 г. გვ. 8.

ჰიპოკრატზე აღრიხდელ ექიმთა შორის ცნობილი არიან არქილოხი (720 წ. წ. ერამდე), ალკეი (60—612 წ. წ. ე-მდე), ეპიქარმი (540—450 წ. წ. ე-მდე), ჰეროდოტე (460—425 წ. წ. ე-მდე), არისტოფანი (452—388 წ. წ. ე-მდე),—ეს ორი უკანასკნელი ჰიპოკრატის თანამედროვენი—და მრავალნი სხვანი.

ჯერ კიდევ ლიკურგი 850 წ. წ. ე-მდე სწერდა, რომ „სხეულის გასამაგრებლად საჭიროა ზომიერი სისადავე ზნეჩვეულებისა და ვარჯიში“. ბავშვების აღზრდას ის სთვლის სახელმწიფოს მოვალეობად და სწერს „არავინ არ არსებობს თავისდათავად, არამედ სხვებთან ერთად ცხოვრობს მთლიანისთვის“.

მაშასადამე ჰიპოკრატს წინ უძღოდა უდიდესი საექიმო ტრადიცია, კარგად მოწყობილი საექიმო სკოლები და გარკვეული საექიმო ფილოსოფიური მსოფლმხედველობა სამყაროს, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობაზე, რომელიც სისტემაში იყო მოყვანილი იმდენად, რომ სასწავლო საგანს წარმოადგენდა იმდროინდელ საექიმო სკოლებში.

ჰიპოკრატის დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან თავი მოუყარა მანამდის არსებულ თეორიებს, სისტემაში მოიყვანა და შექმნა მწყობრი თეორია, რომელიც ცნობილია, „ჰუმორალურ პათოლოგიად“.

ამ თეორიას ჰიპოკრატე ავითარებს თავის თხზულებაში „აკციის ბუნებისათვის“¹. ამ თხზულებაში ჰიპოკრატე იძლევა რა ანალიზს თავისი წინააღმდეგობის ფილოსოფიური სისტემებისას, აგრეთვე საექიმო ფილოსოფიური თეორიებისას, საკმაო დამაჯერებლობით უარყოფს მათ და ავითარებს თავის შეხედულებას ადამიანის ბუნების, ავადმყოფობათა წარმოშობისა და მათი მკურნალობის შესახებ.

ჰიპოკრატე არ ეთანხმება საბერძნეთის ფილოსოფიის პირველი პერიოდის ფილოსოფოსებს თალესს, ანაქსიმენს, ქსენოფონს, ჰერაკლიტეს, რომელნიც ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობას მიაწერდნენ ზოგნი მხოლოდ წყალს, ზოგნი—მხოლოდ ჰაერს, ზოგნი—მიწას, ზოგნი—ცეცხლს ცალცალკე.

„ზოგიერთნი ამათვანი ამტკიცებენ, სწერს ჰიპოკრატე, რომ ჰაერი არის მთლიანი და განუყოფელი, მეორენი—ცეცხლიო, მესამენი—წყალიაო, ზოგნი კი—მიწაო, ამასთან ყველანი თავთავიანთ აზრს ამტკიცებენ ისეთი დებულებებით და მოწმობით, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ“.

¹ Гиппократ Москва 1936 წ. 196—211 გვ.

არც იმ ექიმებს ეთანხმება ჰიპოკრატე, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ადამიანი შესდგება ერთი რომელიმე მთლიანი სითხისაგან.

„ექიმებიდანაც ზოგნი ამტკიცებენ, რომ ადამიანი არის მხოლოდ სისხლი, მეორენი—ზაფრას, ზოგნი კი—ბალლამიო, და ყველა მათგანს მოჰყავს ერთი და იგივე დებულება“.

შეკი ვამტკიცებ, სწერს ჰიპოკრატე, „ადამიანი რომ ყოფილიყო მთლიანი ბუნებისა, არასდროს ავად არ გახდებოდა, რადგანაც რახან ის მთლიანი ბუნებისაა, მას არც ექნებოდა მიზეზი ავადმყოფობისა“.

„და თუ ავად გახდებოდა, იმ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მხოლოდ ერთნაირი წამალი. ჩვენ კი ვხედავთ, რომ წამლები მრავალნაირია, რადგანაც მრავალნაირია ის საგნებიც (წვენები) სხეულში, რომელნიც მოქმედობენ რა ერთი მეორეზე ბუნების წინააღმდეგ ცხელდებიან, ღებებიან და შრებიან და ამის გამო ჰქმნიან ავადმყოფობებს“.

„ის, ვინც ამტკიცებს, რომ ადამიანი არის მხოლოდ სისხლი და სხვა არაფერი, მან უნდა გვიჩვენოს, რომ ადამიანი არ იცვლის სახეს და არ არის მრავალმხრივი. მან უნდა გვიჩვენოს წელიწადის ისეთი დრო ან ადამიანის ასაკი, როდესაც ყველაზე ნათლად გამოჩნდება, რომ ის შესდგება მხოლოდ სისხლისგან. ბუნებრივია, ეს რომ ასე იყოს, უსათუოდ იქნებოდა ისეთი დრო და ასაკი, როდესაც ეს ნათლად გამოჩნდებოდა. ესევე ითქმის მათ წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ადამიანი შესდგება მხოლოდ ბალლამისაგან, ან მხოლოდ ზაფრისაგან“.

აი ასეთი თანამიმდევრობით ჰიპოკრატე მიდის იმ დასკვნამდის, რომ „ადამიანის სხეული შეიცავს სისხლს, ბალლამს, ზაფრას და სეველას, და ამათგან შესდგება სხეულის ბუნებაც, ამათხეა დამოკიდებული ავადმყოფობაც და ჯანმრთელობაც“.

მისი აზრით სხეული ჯანმრთელია უფრო მაშინ, როდესაც ამ წვენების გარევაში ჰარმონია ანუ თანაბრობა და წონასწორობაა დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ეს თანაბრობა და წონასწორობა მოიშლება, ანუ როდესაც ერთერთი ამ წვენთაგანი იწყებს გამრავლებას ან შემცირებას, ჩნდება ავადმყოფობა.

ეს ოთხი სითხე არაფრით არ ჰგვანან ერთიმეორეს: „ბალლამი არაფრით არა ჰგავს სისხლს, არც სისხლი ზაფრას, არც ზაფრა ბალლამს. და როგორ შეიძლება მათ შორის იყოს ბუნებრივი მსგავსება, როდესაც ისინი არც ფერით ჰგვანან ერთმანეთს, არც შეხედულობით, როდესაც ისინი არა ჰგვანან ერთმანეთს არც სითბოთი, არც სიგრილით, არც სიმშრალით, არც სისველით“.

პიპოკატის აზრით, ეს მტკიცდება კიდევ იმით, რომ თუ ჩვენ მიეცემთ კაცს „ბალღამის ამოსაღებ წამალს, იმას მხოლოდ ბალღამი ამოაქვს სხეულიდან; თუ ვაძლევთ ზაფრის ამოსაღებ წამალს, იმას მხოლოდ ზაფრა ამოაქვს“ და სხვა. ეს ხდება იმიტომ რომ, როდესაც წამალი შედის სხეულში, ის უპირველეს ყოვლისა მოქმედობს იმ ელემენტებზე, რომელნიც ენათესაებიან მას თავისი ბუნებით, შემდეგ კი მოქმედობენ ყველაფერ სხვაზე.

ასევეა მცენარეც, ის მიწიდან ითვისებს ჯერ იმას, რაც ენათესაება მას თავისი ბუნებით, და შემდეგ კი სხვას ყველაფერს.

წელიწადის სხვადასხვა დროს ამ წვენების განლაგება და ურთიერთობა სხეულში სხვადასხვანაირია.

ზამთარში მრავლდება ბალღამი, რადგანაც ზამთრის ბუნებასავე იმის მეტისმეტად ცივია. რომ ბალღამი ყველა წვენზე უფრო ცივია, ეს ნათელია, თუ ჩვენ ხელს შევახებთ ბალღამს, ზაფრას და სისხლს. მაგრამ ბალღამი წებოვანი ნიკოთიერებაა, ამიტომ ის ძალიან ძნელად გამოჰყავს სხეულს. რომ ზამთარში ხალხს უმრავლდება ბალღამი, ეს იქიდან ჩანს, რომ კაცი ზამთარში ძალიან ბევრს აფურთხებს და ცინგლიც ბევრი მოსდის. ეს ჩანს კიდევ იქიდან, რომ ზამთარში კაცს უჩნდება თეთრი სიმსივნეები და სხვა ფლეგმატოზური დაავადებანი.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე მრავლდება სისხლი.

ზ ა ფ ხ უ ლ შ ი მრავლდება ზაფრა.

შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე მრავლდება სევდა.

აქედან ასეთი დასკვნაა, რომ ეს ოთხი ელემენტი ყოველთვის იმყოფება ადამიანის სხეულში, მაგრამ წელიწადის დროს მიხედვით ხან ერთი მათგანი მრავლდება სხეულში, და ხან მეორე.

როგორც ყოველი წელიწადი შეიცავს სითბოს, სიცივეს, სიმშრალესა და სისველეს და უამთოდ არაფერი იარსებებდა ქვეყანაზე, სწორედ ასევე სხეული შეიცავს ოთხ ელემენტს ანუ წვენს: სისხლს ზაფრას, ბალღამს და სევდას, რომელნიც ავსებენ და ზემოქმედებენ ერთი მეორეზე, და უამთოდ ადამიანის სიცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა.

როგორც წლის განმავლობაში ხან ზამთარი სქარბობს, ხან გაზაფხული, ხან ზაფხული და ხან შემოდგომა, ისევე სხეულშიაც ხან სისხლი სქარბობს, ხან სევდა, ხან ზაფრა, ხან ბალღამი. ამის აშკარად დასამტკიცებელი საბუთი ის არის რომ, თუ ჩვენ მიეცემთ ვისმეს წამალს წელიწადში ოთხჯერ, დავინახავთ რომ, ზამთარში ის

ამოაღებინებს ბალღამიან სითხეს, გაზაფხულზე—სისხლიან სითხეს, ზაფხულში—ზაფრიანს და შემოდგომაზე—სევდიანს“.

ავითარებს რა ამგვარის თანამიმდევრობით თავის აზრს, ჰიპოკრატე მიდის ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემამდე, რომელიც გულისხმობს, რომ სხეულში ხდება ცირკულაცია წვეწებისა (humores). ეს არის სისხლი, ზაფრა, ბალღამი და სევდა—ამ წვეწების სწორი, ნორმალური გარევა ჰქმნის სხეულის ჯანმრთელობას, პათოლოგიური გარევა კი—ავადმყოფობას. ყველა ეს წვეწი არის მატარებელი განსაზღვრული თვისებისა. სისხლი—ნედლი და თბილია, ბალღამი—ნედლი და ცივი, ზაფრა—ხმელი და თბილი, სევდა—ხმელი და ცივი.

რა ჰქმნის ადამიანის სხეულში ამ წვეწების გარევაში თანასწორობას, ან რისგან ხდება ამ ნორმალური თანასწორობის მოშლა? ამაზე ჰიპოკრატე არაფერს ამბობს, მხოლოდ სჯერა, რომ არსებობს მემკვიდრეობითი განწყობილება ამ ელემენტების გამრავლებისა ან შემცირებისაკენ, სხვანაირად, ადამიანები იბადებიან წინასწარი განწყობილებით ამათუიმ ავადმყოფობისადმი.

ასეთია ჰიპოკრატის ჰუმორალურ-ფათოლოგიური სისტემა. ამ სისტემაზე არის აგებული საბერძნეთისა და შემდეგ არაბეთის მედიცინა, ესევე სისტემა უძვეეს საფუძვლად ქართულ წერილობითს მედიცინის ძეგლებს, რომელთაც ემჩნევათ ბერძნულ—არაბული მედიცინის უდიდესი გავლენა.

თითონ კლავდიუს გალენის (131—201 წ. ჩ. ერ.) მოძღვრებაც მთლიანად ჰიპოკრატის ამ იდეაზეა აშენებული, გალენი კი სამართლიანად ითვლება არაბეთისა და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის სამოქალაქო ანუ საერო მედიცინის ფუძედ. ჯალინოზ აქიმი (არაბული ტრანსკრიპციით) ქართულ საექიმო ხელნაწერებში ყოველ ნაბიჯზე იხსენება; ასევეა არაბულ, ირანულ, სირიულ, სომხურ და სხვათა ხელნაწერებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჯალანოზის მიერ შექმნილ მოძღვრებას, რომელიც ჰიპოკრატის ჰუმორალურ-პათოლოგიურ მკვიდრ და ურყევ სისტემაზეა აგებული, ვერაფერი მიუმატა ვერცერთმა ერმა—არაბებმაც კი, თუმცა არაბები 4—5 საუკუნის განმავლობაში ითვლებოდნენ იმდროინდელი კულტურული კაცობრიობის მოწინავე ერად და მრავალ ახალ მეცნიერებათა შემქმნელად.

ამგვარად, ჰიპოკრატის ჰუმორალურ-პათოლოგიურმა სისტემამ მცირეოდენი ცვლილებებით მოაღწია მე-XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე, როდესაც სახელგანთქმულმა Rudolf Virchow-მა გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი „ცელულარული პათოლოგია“, რო-

მელიც გულისხმობდა, რომ „მთელი პათოლოგია არის უჯრედის პათოლოგია“, ესე იგი არა სხეულში არსებული წვენების ურთიერთგარევის მოშლა, არამედ უჯრედში გაჩენილი ცვლილებანი იქნა აღიარებული ყოველგვარი ავადმყოფობის მთავარ მიზეზად.

საიდან იწყება საერო მედიცინა საქართველოში? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია. არავისთვის დაფარული არ არის იმ გარემოება, რომ ჩვენ ეს არის ეხლა ვიწყებთ ქართული მედიცინის წყაროების კვლევას. ამ წყაროების უმრავლესობა ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, ძალიან ბევრი ჯერ კიდევ აღმოუჩენელია.

მხოლოდ ამ უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში, ესე იგი მას შემდეგ. რაც მცირე ინტერესმა გაიღვიძა ქართული წერილობითი მედიცინის ძეგლების შესწავლისა და შეგროვებისამ, ბევრი უძვირფასესი განძი იქნა აღმოჩენილი; თითონ წინამდებარე ტექსტიც მხოლოდ 1928 წელშია აღმოჩენილი, აგრეთვე უკანასკნელ წლებშია აღმოჩენილი იმ ვარიანტების უმრავლესობა, რომელთაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ კვლევისა და ძიების საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების შემდეგ ბევრი უძვირფასესი განძი იქნება აღმოჩენილი.

ცნობები, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად მოიპოვება საექიმო ხელნაწერი, ჩვენ უკვე გვაქვს. კერძოდ, ჯერ არ არის აღმოჩენილი თელავში მრავალ პირთაგან ნახული ძველი საექიმო წიგნი ილუსტრაციებით, რაც თავისთავად დიდ ინტერესს იწვევს. აგრეთვე ჯერ არ არის შესწავლილი საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში დაცული საექიმო ხელნაწერები, როგორც, მაგალითად, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში. არაფერი ვიცით იმ საექიმო ხელნაწერებზე, რომელნიც დაცულნი არიან ლენინგრადის ყოფილ აზიურ მუზეუმში და საზღვარგარეთ გრაცში, ბრიტანეთის მუზეუმში და ბევრგან სხვაგან. არსებული ცნობების მიხედვით, ხსენებულ ადგილებში მნიშვნელოვანი საექიმო წერილობითი ძეგლებია დაცული, რომელიც ელის თავის მკვლევარს.

ამჟამად ჩვენი მსჯელობის ფარგლები განისაზღვრება ჯერ-ჯერობით იმ მასალით, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაშია და საერთოდ თბილისშია დაცული. ამისდა მიუხედავად ჩვენს განკარგულებაში არის უძვირფასესი მასალა, რაც სათანადო მსჯელობის უფლებას გვაძლევს წამოყენებული საკითხების ნათელსაყოფად, ოდნავად მაინც.

უკვე ცნობილი და ამჟამად ჩვენს განკარგულებაში მყოფი ქარ-

თული წერილობითი მედიცინის ძეგლები პირობითად ჩვენ შეგვიძლიან მივაკუთვნოთ სამ პერიოდს: 1. საბერძნეთის, 2. არაბეთ-ირანისა და 3. დასავლეთ ევროპისას.

მსჯელობა მომდინარეობს მე-19. საუკუნის 30 წლამდის, რომლის შემდეგაც სრულიად სწყდება საქართველოში საექიმო წიგნების წერა, საქართველოს უნივერსიტეტის დაარსებამდე. აქ მხედველობაში არა გვაქვს „შტაბ ლეკარ“ პეტრე კლაპიტონოვის მიერ 1830—32 წლებში რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული „მოკლე კარაბადინი“, რომელიც თავისი მეტად მდარე შინაარსით ვერაფრით გავლენას ვერ მოახდენდა უპარესად მდიდარ და შრავალმხრივ განვითარებულ ძველ ქართულ საექიმო აზროვნებაზე.

პირველს ანუ საბერძნეთის პერიოდს ეკუთვნიან საექიმო ფილოსოფიური ძეგლები, მაგ. შატბერდის კრებულის XXX თავი „კაცისა შესაქმნ“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“ და ნემესიოს ემესიელის „ბუნებისათვის კაცისა“.

მეორე პერიოდს ეკუთვნიან უსახელო „საექიმო წიგნი“, რომელიც დაწერილია უძველესი ნუსხურით და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ეკუთვნის XI—XII საუკუნეს. მე-XIII საუკუნის დამდეგის შესანიშნავი წერილობითი ძეგლი „წიგნი სააქიმოჲ“¹ არაბულიდან გადმოკეთებული ხოჯაყოფილის მიერ. „მწერელ აბრამის“ კარაბადინი დაწერილია აგრეთვე ძველი ნუსხურით (ხელნაწ. № 916. ფონ. H.), რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მე-XIV საუკუნეზე მერმინდელი არ უნდა იყოს.

მესამე პერიოდს ეკუთვნის მე-XVI საუკუნის სახელგანთქმული საექიმო ძეგლი „იადიგარ დაუდი“, დაწერილი ბატონიშვილი დავითის (დაუღხან) მიერ. ამ ხელნაწერის ექვსი ვარიანტი და ამათში შესანიშნავი „იოანესეული“ ვარიანტი (კუთენ. სანიტ-პიგ. ინსტ-ისა), აგრეთვე ამ წიგნის ზეგავლენით და მიბაძულობით დაწერილი საკმაოდ ბევრი საექიმო ხელნაწერები.

ამავე პერიოდს ეკუთვნის საექიმო ხელნაწერები სტატიების, ლექსიკონებისა და მოკლე სახელმძღვანელოების სახით, სახელდობრ: ხელნაწერი № 2195 საისტ. ფონდი. შემდეგ, „მოძღვრება ერსა, მისსა სიმრთელისათვის“ უსახელო იეტორისა (სახ. მუზ. № 22 18 საისტ. ფონდი). „გადმოთარგმნილი ლათინურის და რუსულიდან ქართულ ენაზედა ფრიად საკირო სამკურნალო რეცეპტები“ შესრულებული ბატონიშვილი დავითის მიერ. ხელნაწერი № 283 წ. კ. ფონდი და საკმაოდ

¹ გამოცემულია სახელგამის მიერ 1936 წელს.

ბევრი წვრილი სტატია და ლექსიკონები, დაწერილი XVIII—XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

აქვე შეიძლება მივაკუთვნოთ ზემოთ აღნიშნული „ლეკარ“ პეტრე კლაპიტონოვის მიერ რუსულიდან გადმოქართულებული „მოკლე კარაბადინი“ და ექიმ ამბროსი ცეხანოვსკის კრიპტოგრაფიული „დარიგებანი შედგენილი სხვადასხვა რიგი ანატომიისაგან მაგილითისამებრ მისთვის თუ კაცი რისგან ავად გახდების და მოკვდების“, დაწერილი ქ. ქუთაისში 1864 წ. (იხ. ხელნაწ. № 243 ფონდი Q).

თუ რა მოცულობისა და შინაარსისა იყო მედიცინა საქართველოში მე-XIII საუკუნის დამდეგს, ეს ჩვენ უკვე ვიცით „წიგნი სააქიმოა“-დან (იხ. „წიგნი სააქიმოა“ თბილისის სახელმწ. გამომც. 1936 წ.).

ვნახოთ ეხლა, თუ რას წარმოადგენდა და რა მოცულობისა იყო მედიცინა საქართველოში მე-XVI საუკუნეში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ საუკუნის დამლევს ეკუთვნის წინამდებარე სახელგანთქმული წერელობითი ძეგლი „იადიგარ დაუდი“, შესრულებული ქ. კონსტანტინეპოლში საქართველოს მეფის დავითის მიერ.

მეფე დავითის ანუ დაუდხანის ვინაობა შემდეგია: ის იყო შვილი საქართველოს მეფეთ მეფის ლუარსაბ პირველისა (1534—1558 წ.), რომლის მეფობაც ემთხვევა საქართველოს ისტორიის ყველაზე უსაშინელეს და მღელვარე ეპოქას.

მე-XVI საუკუნე ის ეპოქა არის, როდესაც გაჩნდა უდიდესი კონფლიქტი ძველ ირანსა და პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსულ ოსმალეთს შორის. საქართველოს, უნდოდა თუ არ უნდოდა, უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიეღო ამ კონფლიქტში, რადგანაც უაღრესად დამოკიდებული იყო ირანზე, თანაც ირანის კომუნიკაციური და სავაჭრო გზები საქართველოზე გადიოდნენ. ოსმალეთი ცდილობდა ამ გზების ხელში ჩაგდებათ ჩამოეშორებინა ირანისთვის უმდიდრესი სახანოები და სამფლობელოები, რომელნიც შორს, ასტრახანამდის მიდიოდნენ, ამ გზით დაესუსტებინა უძლიერესი მეტოქე და თავისი ბატონობა გაემეფებინა მთელ მცირე აზიაში.

იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკა ქანაობდა ამ ორი ორიენტაციის შუა. იყვნენ მეფეები, რომელნიც იცავდნენ ირანის ორიენტაციას, იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ოსმალეთს ემხრობოდნენ, ხან ისეც ხდებოდა, რომ ირანის ორიენტაციის მქონე მეფე მოულოდნელად დალატობდა თავის მოკავშირეს და გადადიოდა ოსმალეთის მხარეზე და პირიქით.

ასეთ პოლიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩვენი ავტორიც. ის ჯერ ირანის ორიენტაციისა იყო, მაგრამ როდესაც ვერ გაამართლა

თავის მძლავრი მფარველის იმედები, როგორც აუსტმა და ულონო პიროვნებამ, ირანმა გადასწყვიტა მისი თავიდან მოშორება. მაშინ ის სწრაფად იცვლის ორიენტაციას—საქართველოში შემოჭყავს ოს-მალეთის ჯარი ლალა ფაშას წინამძღოლობით და თითონ კი მიემგზავრება სტამბულს. ეს იყო 1578—9 წელს. ისტორიული წყაროების მიხედვით მეფე დავითი სტამბულს დარჩა 1579—1585 წლამდის¹ და იქვე გარდაიცვალა. დავითმა იმეფა საქართველოში 9 წელიწადს, 1569—1578 წ.

როგორც მეფე ის სრულიად არ ყოფილა დაინტერესებული სამეფო საქმეებით, სცხოვრობდა თურმე ქვეშის ციხეში „და განსცხრებოდა ხორციელად“... და „თუ როდისმე ჩავიდოდა ტფილისს არაფრისთვის მზრუნველი არ იყო“ (ვახუშტი).

მაშ რას აკეთებდა? რითი იყო მეფე დაინტერესებული? ამაზე ისტორიული წყაროები არაფერს იძახიან. ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი ცნობა რომელიც შეეხება დავითის უმფროს ძმას სიმონს, რომ მან „სამხედრო სწავლებით, მელექსეობისა და ფილოსოფიის მეცნიერობით დაიმსახურა წყალობა და დაშინაურება ისმაილის, შაჰ-თამაზის ძისა, თავის ტყვეობაში სპარსეთში“². თუ უმფროს ძმას სიმონს მელექსეობისა და ფილოსოფიის მცოდნის სახელი ჰქონდა, რატომ არ უნდა დაუშვათ რომ დავითსაც ამ გვარივე მცოდნეობა ექნებოდა? რომ ლუარსაბ მეფე თავის ორ შვილს სიმონს და დავითს კარგ განათლებას მისცემდა-ეს ეჭვს არ იწვევს.

ჩვენ ვიცით და ამას ნათლად ქვევით დავინახავთ რომ, პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული მეფე დავითი, სულთან მურადთან რომ გაიქცა ისტამბულს, იმის მაგივრად რომ შესდგომოდა თავის სამეფო საქმეების მოგვარებას და დაკარგულ ტახტის დაბრუნებას, ის ეცნობა მწიგნობრებს, ფილოსოფოსებს და მათ წიგნთსაცავებს, რის შედეგადაც სწერს თუ ამოწმებს წინამდებარე, შესანიშნავ საეკიმო წიგნს.

შეიძლება საქართველოს მეფედ ყოფობაშიც დაუდხანი იმიტომ არ ზრუნავდა თუ ვერ ზრუნავდა სამეფო საქმეებზე რომ; მხოლოდ მეცნიერებით იყო დაინტერესებული — თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იყო ასე მოკლე ხანში, ასე უცბათ მეფის-მეცნიერად და ყოველ მხრივ განათლებულ ეკიმად გარდაქმნა.

¹ იხ. ხელნაწერი № 149 ფონ. Q საქ. მუხ. არქივი.

² იხ. ხელნაწერი № 408—281 წ. კ. ფონდი საქ. მუხ. არქივი.

უნდა დაუშვათ რომ, დაუდხანი ანუ დავითი თავიდანვე მისდევდა საეკიპო მეცნიერებას, და შეიძლება „იაღვარ დაუდი“ საქართველოშივე ჰქონდა დაწერილი და შემდეგ კი ისტამბულს ან შემოწმა, ან შეავსო, რადგანაც იქ უკეთესი პირობები იქნებოდა წყნარ მეცნიერულ მუშაობის ჩასატარებლად, ვიდრე მტრისგან აფორიაქებულ და აშლილ თბილისში. სხვანაირად ორი წლის განმავლობაში ამ ზომის წიგნის დაწერა შეუძლებელი ეყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას რომ, იმ დროში ამ გვარ წიგნის დაწერას ათეულ წლებს ანდომებდნენ, ზოგჯერ მთელ სიცოცხლესაც კი.

ჩვენ შეგვიძლიან დავათარილოთ მეფე დავითის ანუ დაუდხანის დაბადებისა და გარდაცვალების წელიც. როგორც ცნობილია ლუარსაბ მეფეს დარჩა ორი ვაჟი სიმონ და უმცროსი დავითი „მოკვდა ლუარსაბ რომელმაც ანდერძით დასტოვა სიმონი სამეფოს მემკვიდრეთ, არა როგორც ხნოვანობით უფროსი, არამედ ძმაზედ ბევრად მხნე“¹.

ცნობილია აგრეთვე რომ სიმონი იყო ოცი წლისა როდესაც გამეფდა—ეს იყო 1558 წ. (ვახუშტი), უმცროსი ძმა დავითი, ჩვენი წიგნის ავტორი, მაშინ თვრამეტ წელზე მეტისა ვერ იქნებოდა. მაშასადამე მისი დაბადების წელი უნდა იყოს 1539—1540 წ.

ვახუშტის ცნობით მეფე დავითის ისტამბულს წასვლა მოხდა 1579 წელს² „და დავით წარვიდა წინაშე ხონთქარისა სტამბოლს“... „და შემდგომათ ჟამთა რაოდენთამე მოკვდა დაუდხან მუნ“. თუ ჩვენ ამ „ჟამთა რაოდენთამე“-ს გავიგებთ სამ-ოთხ წელიწადათ (სხვანაირად გაგება კი შეუძლებელია) მაშინ მეფე დავითის გარდაცვალების წელი გამოვა 1583—1584 ანუ როდესაც ის 43—45 წლისა უნდა ყოფილიყო.

ამ გვარია მოკლედ ჩვენი ავტორის მეფე დავითის ანუ დაუდხანის ვინაობა.

უხლა ვნახოთ თუ როგორია წინამდებარე წიგნის „იაღვარ დაუდის“ შექმნის ისტორია, ანუ როდის, სად და რა პირობებში არის ის დაწერილი. „ნებითა და ბრძანებითა ღვთისათა ქსა უპე“² ჩუენ მეფეთ მეფისა ბატონისა ლუარსაბის ძე საწყალო დაუდხან ჩუენსა საქმეზედა ისტამბულ სულთან მურად ხელმწიფესთან

¹ იხ. ხელნაწერი № 409—ფონდი Q საქ. მუხ. არქივი.

² ეს რიცხვი გადამწერის მიერ არის შესულილი თორემ დედანში უნდა ყოფილიყო არა „უპე“ რაც სინამდვილეს არაფრით არ შეეფერება, არამედ „სავე“ რომელიც შეიძლება წერებულიყო ხვეულით რაც გადამწერს „უპე“-ეთ მიუღია.

მოვედით სასაქმოდ, და აქა ისტამბულს ორსა წელიწადსა ვიყავით“, ჩვენ როგორც ზევით ვნახეთ, დაუღბანის ისტამბულში წასვლის თარიღი არის 1579 წელი, სხვა არავითარი ცნობა არა გვაქვს რომ, ამაზე ადრე დაუღბანი ანუ დავითი როდისმე ყოფილიყოს სტამბოლში.

ისტორიული წყაროების მიხედვით სტამბოლიდან დაუღბანი აღარ დაბრუნებულა „და შემდგომათ ეამთა რაოდენთამე მოკვდა დაუღბანი მუნ“ (ვახუშტი). თუ ამ „ეამთა რაოდენთამე“ს 3—4 წელიწადზე მეტად არ ვიანგარიშებთ, მაშინ იმ ორ წელიწადს, რომელსაც თითონ დაუღბანი სწერს „და აქა ისტამბულს ორსა წელიწადსა ვიყავით“, უნდა მიუმატოთ ეს 3—4 წელიწადი და გამოვა რომ, დაუღბანი სტამბოლში დარჩენილა 5—6 წელიწადს.

თუ დაუღბანს ეს წიგნი მართლა სტამბულში აქვს დაწერილი, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალიან საეჭვოა, და არა იქ წასვლამდის საქართველოში, მაშინ ამ წიგნის დაწერის თარიღი 1579—1585 წლებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასცილდება. ისე რომ წინამდებარე წიგნის „იადიგარ დაუღის“ ხნოვანება უდრის 352—355 წელს. ჯერ-ჯერობით არავითარი საბუთი არა გვაქვს, რომ სხვანაირად ვიანგარიშოთ.

სად არის დაწერილი წინამდებარე წიგნი? თუმცა ავტორი წიგნის შესავალში ლაპარაკობს რომ „ჩუენსა საქმეზედა ისტამბულს მოვედით“ო, მაინც გარკვეულად არ სჩანს რომ იმ „ორისა წიგნისა გარდმოლება და გარდმოთარგმანება“ რაც საფუძვლად დასდებია აღნიშნულ „იადიგარ დაუღს“ იქვე ისტამბულშია¹ შესრულებული თუ სხაგან სადმე?

რაკი ჩვენ ვიცით რომ, ისტამბულიდან დაუღბანი ანუ დავითი აღარ დაბრუნებულა საქართველოში, უნდა ვიგულისხმოთ რომ, წიგნი იქვეა შესრულებული. მაშინ ისტამბულს დაუღბანი ორს წელიწადს კი არა ექვს წელიწადს დარჩა 1579—1585 წლამდე, ისე რომ, ამ გვარად ამ წიგნზე მუშაობის დრო ხანგრძლივდება. შეიძლება ესე იყოს.

მაგრამ ისიც შეიძლება დავუშვათ, როგორც ეს ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ დაუღბანს ეს წიგნი საქართველოშივე ჰქონებოდა დაწერილი.

ვიდრე ამ საკითხს გადავწყვეტავდეთ ჯერ უნდა იყოს გამორკვეული, ჰქონდა თუ არა დაუღბანს საექიმო განათლება ისტამბულში წასვლამდე?

¹ კონსტანტინეპოლი.

რომ მეფე დავითს ანუ დაუდხანს საფუძვლიანი საექიმო ცოდნა ექნებოდა, ეს ექვს გარეშეა. ამას ამკლავებს თვითონვე, შეიძლება თავისდა უნებლიეთ ამ წიგნის შესავალში, სადაც ის ეპიკური სიღინჯით და მეცნიერის დამაჯერებლობით მოგვითხრობს:

„და ერთსა დღესა, ერთსა ბედნიერსა და ფილოსოფოსსა კაცსა შემოვეყარენით და თავის სახლშიგა მიმიყვანა და მრავალი საექიმო და სამეცნიერო წიგნები ჰქონდა და გვიჩვენა. და რა სრული ისი წიგნები ვნახეთ და გაესინჯეთ მწოვედ მოგვინდა და მოგვეწონა, წინას კაცთა მცნებასა და მცოდნეობასა გავჰკირდით, თუ ამა ყუელასა სენსა, ჰირსა და სატკივარსა ან როგორ მიხუდეს, ან გული როგორ გაავლეს, და ან ამთენსა სენსა და ჰირსა თავ თავისი წამლები როგორ უპოვეს“.

რათ აინტერესებდა ბატონიშვილს დავითს საექიმო წიგნები? იმ აუარებელ ფილოსოფიურ წიგნებში რალა საექიმო წიგნებით დაინტერესდა ჩვენი ავტორი, ან რითი იყო გამოწვეული ეს დაინტერესება? ამ კითხვებზე თვითონვე იძლევა პასუხს „აწე ესე ჩუნცა ვიცოდით რომე დღეს საქრისტიანოშიგა ამისთანა და ამ გვარი ქართული წიგნი სააქიმოი არ იყო¹ და საქრისტიანოშიგა (საქართველოში) მრავალი ისეთი კაცი ვნახეთ, რომე უხელობითა და უცოდნელობითა მოკვდა და დაზიანდა, რომე რაცა მათ კაცხედა სენი და ჰირი ვნახეთ და ან მის სენისაგან ისი კაცნი დაზიანდეს, მის სენისა და ჰირის წამალი ყუელა ადვილის საქმითა მათ წიგნებშიგა ეწერა: ვნახეთ და წაეიკითხეთ და ამ რიგისა სენისა მკურნალი წამალიცა ბევრი ვნახეთ“.

საიდან უნდა სცოდნოდა დაუდს ანუ დაუდხანს, რომ საქრისტიანოში ანუ საქართველოში ამისთანა და ამგვარი ქართული წიგნი სააქიმოი არ იყო, თუ კარგად არ იცნობდა იმ ეამად საქართველოში არსებულ საექიმო ლიტერატურას? ან კიდევ, საიდან ნახავდა ის მრავალ ავადმყოფს, რომელნიც „უხელობითა და უცოდნელობითა მოკვდა და დაზიანდა“? აქედან გასაგებია, რომ დაუდხანი საქართველოშივე დაინტერესებული ყოფილა როგორც საექიმო მეცნიერებით, ისე საექიმო პრაქტიკით.

ავტორი განაგრძობს „მერმე ჩემი თავი და ჩემი გულის ყური, ჩემი ჰკუა და მცოდინარობა დავსცადო თუ ამა ორისა თათრულისა

¹ აქ ლაპარაკია მეცნიერულ პოპულარულ ანუ „მცირე სააქიმო წიგნზე, რომელიც მანამდის მართლაც შეიძლება არ ყოფილიყო საქართველოში, და არა „დიდ სააქიმო“ წიგნზე, რომელიც მრავლად იყო ჩვენში.

წიგნისა ერთგან შეკრება და გადმოთარგმანება შემიძლიან თუ არა მეტი“...

რას ნიშნავს ეს მცოდინარობა? ან როგორ უნდა გამოეცადა ჩვენს ავტორს ეს მცოდნეობა საექიმო მეცნიერებისა, თუ ასეთი მას არ ექნებოდა?

გასაგებია, რომ ბატონიშვილ დავითს ანუ დაუღბანს ეს მცოდნეობა საფუძვლიანი ჰქონია, თორემ მართლაც ვერ შებედავდა ამგვარი შიშიმე საქმის ხელის მოკიდებას.

შემდეგ ავტორი უკვე მეცნიერული დამაჯერებლობით აცხადებს „აწე ერთი სააქიმო მუხათსარი ვითამცა და ცოტა და კარგი წიგნი გარდმოვიღო და ყოვლის სააქიმოსა წიგნებიდალმან გამოღებული და ან რაც ბრძენთა და ფილოსოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქვამი სიტყუანი და საქმეები იყოს, და ან მე ცოდვილსა და უღირსსა მაჩეგონოს და გამომეღოს და ან მრავალჯერ დამეცადოს, ყუელა ამა წიგნშიგა დავსწერო“.

რას ნიშნავს ეს „მამეგონოს და გამომეღოს და ან მრავალჯერ დამეცადოს“? გასაგებია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ისეთ ავტორთან, რომელსაც აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება და აქვს თავისი გამოგონებული წამლები.

რომ ამას ჩვენი ავტორი ზეპირად არ ლაპარაკობს, ეს სჩანს შემდეგიდან: კარი „ოგ“ მესამოცდა ცამეტე: „ფერად ფერადისა შარბათებისა ხასიეთებსა და შექნასა გიამბობს“. აი ამ კარში, ჩვენი ავტორი დაუდი სწერს შემდეგს: „აწე ესე ფერადი წამლები, ზოგი ხმელი და შესაკრავი, ზოგი ნედლი და გასახსნელი, და ან რაიცა აქიმთა და ფილოსოფოსთა კაცდაგან მრავალჯერ დაცდილი და ნასაქმები ფერად ფერადი წამლები იყო, რომე ამა წამლებითა დამალსა, ზჯდომსა, გულსა და ღვიძლსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა ეწამლების ყუელასა თავი ერთად შემოუყარეთ და სრულად ეს წამლები ორ შარბათად ვქენით, და ორიე რიგი მწოვედ გრილი არის. მაგრა ერთი რიგი შარბათი გრილი და ნედლი, გასახსნელი არის, და მეორე რიგი კიდედ გრილი, ხმელი და შემკრავი არის.“

აწე ესე წამლები ყველა ამა ორსა შარბათშიგა ჩაურივეთ და ორი რიგი შარბათი გვაკეთეთ და ამა შარბათსა სახელად შარბათი ფაქიანი დაუდი დავარქვით, ამისთვის რომე ამა შარბათებითა ორმოცსა გვარსა სენსა ეწამლების, და მერმე სრულად ეს წიგნიცა თათრულის წიგნიდალმან მე უღირსმან გარდმოვითარგმანე, და ესე წიგნიცა თავით ბოლომდისინ მე უღირსმან დავსწერე, და ესე შარბათიცა თვითვე გამოვიღე, და ჩემი ამა წიგნზედა სარჯელი და სახელი, კირი

და ქირ ნახულობა ყუელა ქუემორ დამიწერია და იქი გიამბობს, ვინ-
ცა მე შენდობა მიბრძანოთ ღმერთმან თქუენცა შეგინდნეს თქუენი
ცოდვანი და შეგარგოს და აღნად ქნას სარჯელი და ქირნახული
ჩემნი თქუენზედა“.

ნათელია, რომ ამის დამწერი არა მარტო უბრალო პრაქტიკო-
სი ექიმი, არამედ ფრიად განსწავლული და მცოდნე ექიმი, რომელ-
საც სურს თავისი სახელი დასტოვოს მედიცინაში, რადგანაც გარ-
კვეულად გრძნობს თავის დამსახურებას ამ დარგში.

სად შეეძლო დაუდს მედიცინის სწავლა? ჯერ ერთი თბილის-
ში, თავისი მამის, საქართველოს მეფის ლუარსაბის ოჯახში, ან იმ
დროს საქართველოში არსებულ აკადემიებში, სადაც უეჭვოა, ფი-
ლოსოფიასთან, ღვთისმეტყველებასთან, რიტორიკასთან, ლრამატიკა-
სთან, ასტრონომიასთან ერთად მედიცინასაც ასწავლიდნენ.

შემდეგ დაუდს მედიცინა შეეძლო შეესწავლა ირანშიც, სადაც
ის გაიქცა 1561 ან 1562 წელს, იქიდან კი დაბრუნდა და გამეფდა
1569 წელს. მაშასადამე, დავითმა ირანში დაჰყო დაახლოებით 5 ან
6 წელიწადს. აი ამ ხნის განმავლობაში შეეძლო იმას შეევესო თა-
ვისი საექიმო ცოდნა და კარგა საფუძვლიანადაც.

ამით უნდა აიხსნას ის, რომ არაბულ-ირანული ტერმინოლო-
გია მან ზედმიწევნით იცის, ძალიან კარგად იცის აგრეთვე ქართუ-
ლი ტერმინოლოგიაც.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ დაუდი საექიმო პიროვნე-
ბაა და საექიმო სწავლა მას მიღებული აქვს საქართველოში და
ირანში.

ამგვარად, კითხვაზე—წინამდებარე წიგნი მართლა სტამბოლ-
შია დაწერილი თუ საქართველოში ასეთი პასუხი შეიძლება გავცეთ
—იქაც და აქაც.

როგორც ვიცით, ჩვენს ავტორს ჰქონია თავისი დაკვირვება და
გამოცდილება—„და ან ჩე ცოდვილსა და უღირსსა მამეგონოს და
გამომელოს“. აქ შეიძლება დაუშვათ, რომ ეს გამოცდილება, მოგო-
ნილი და გამოღებული სამკურნალო ამბები მას დაწერილი უნდა
ჰქონოდა, რადგანაც თვითონ ავტორი ამ წიგნის შექმნის პროცესს
ორ მომენტად ჰყოფს:

პირველი მომენტი: „სრულად ეს წიგნიცა თათრულის წიგნი-
დალმან მე უღირსმან გადმოვათარგმანე“. (კარი, ოგ“)

მეორე მომენტი: „და ესე წიგნიცა თავით ბოლომდისინ მე
უღირსმა დაესწერე“. (იგივე კარი)

რას ნიშნავს ეს? ნათელია, რომ წიგნი არის კომპილაციური

ნაშრომი, რაც შემდეგიდანაც ნათლად სჩანს: „და მეცა იმა სრულ-
თა წიგნთაგან ორი ბრძენთა და ფილოსოფოსთა კაცთაგან, სრუ-
ლისა იმა სააქიმოსა წიგნებიდალმან გამოკრებული და დაცლილი წი-
გნები გამოვარჩიეთ და ესე ორი წიგნი, ორსა ბრძენსა და ფილო-
სოფოსთა კაცთაგან, სხვათა მრავალთა სააქიმოსა წიგნებშიგა გა-
მორჩეული და გამოკრებული იყო.

მაშასადამე, ეს ორი წიგნი გადმოუთარგმნია, და ჩვენ უკვე
ვიცით, რას ნიშნავს გადმოთარგმანება ძველი ქართული სიტყვის
გაგებით (იხ. „წიგნი სააქიმოჲ“ გვერდი XXIX), შემდეგ კი შიგ შეუ-
ტანია თავისი საკუთარი დაკვირვებანი, თავისი მოგონებული ანუ
შეთხზული სამკურნალო ამბები და თავისი შედგენილი წამლები.

აი ამგვარი რთული მეცნიერული მუშაობის შედეგია წინამდებ-
ბარე წიგნი, რომლის არც სრულ ჯარიგინალურობაზე შეიძლება ლა-
პარაკი, არც უბრალო თარგმნილობაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ასე იწერებოდა, და დღესაც
იწერება, ყველა სამეცნიერო სახელმძღვანელო, რაც ოდნავადაც არ
ამცირებს მათს ხარისხს და სრულიადაც არ უკარგავს მათ ორიგინალური
ნაშომის ღირსებას.

წინამდებარე წიგნი თავისი შინაარსით წარმოადგენს მეცნიე-
რულ—პოპულარულ წიგნს. ამ ხასიათის საექიმო წიგნი ქართულ საე-
ქიმო ხელნაწერებში უფრო ადრე ჩვენ არ გვხვდება. ამ გარემოებით
უნდა აიხსნებოდეს ის განცხადება, რომელსაც ავტორი აკეთებს წიგ-
ნის შესავალში „აწე ჩუენცა ვიცოდით რომე დღეს საქრისტიანოშიგა
ამისთანა და ამგვარი წიგნი სააქიმოი არ იყო“. და ეს მართალიც
არის, მეცნიერულ—პოპულარული წიგნი მანამდის, როგორც სჩანს,
ჩვენში არ იწერებოდა.

რომ ეს ასეა, ეს სჩანს სხვა ადგილიდანაც მაგალითად: კარი
„ლბ“ ჩვენ ვკითხულობთ: „და ამისთვის ესე სენი რომე აჰმა ჰქვიან,
გაუძნელდების, და ამ სენისა დელილი და თარგმანი დიდსა საა-
ქიმოსა წიგნშიგა სწერია“. ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ „დიდი
სააქიმო წიგნი“ სხვა ყოფილა, როგორც სჩანს, უფრო სპეციალური
და უფრო მეცნიერულიც. განსასხვავებლად ამ „დიდი საექიმო წიგ-
ნიდან“ ამგვარ პოპულარულ წიგნს რქმევია „მცირე სააქიმო წიგნი“.

რომ ეს წიგნი მართლა მეცნიერულ—პოპულარულია, ამას ვხედავთ
შემდეგიდანაც. შესავალში ამ წიგნის დანიშნულებაზე თითონ ავტორი
აცხადებს, რომ „თუ კაცი ასეთსა ალაგსა ავად გახდეს, რომე იქი
აქიმი და შემტყობი კაცი არ იყოს, ესე წიგნი დაიდვან წინა და ამა
წიგნითა უაქიმონ, და რარივადცა ამა წიგნშიგან ეწეროს, ან მრავალ

გვარისა სენებისა ნიშნები და ალამათები, ან თავ თავისა სენისა შესაფერი წამლები და ხელის შეწყობა, და მაჯუნებისა და შარბათების გაკეთება, და ან მალამებისა და ტლეების გაკეთება, ან მაჯისა და ელფერის შეტყობა, ან შარდისა და ყარურასა შეტყობა, ან სისხლისა და ან ზაფრისა, ან ბალღმისა და ან სევდისა სენებისა ნიშნები, და მათ მათი შესაფერი წამლები და შეტყობა სწერია ყუელა ისრე ქნან“.

ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ წინამდებარე წიგნი განკუთვნილია ხალხისთვის და მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამით აიხსნება, რომ მასში გაცილებით ფართოდ არის მოცემული პრაქტიკული ღონისძიებანი და მკურნალობა, ვიდრე ანატომიურ-ფიზიოლოგიური და სხვა თეორიული საკითხები, რომლითაც, როგორც ვიცით, ასეა დატვირთული დიდი სააქიმო წიგნი „წიგნი სააქიმოჲ“.

წინამდებარე წიგნის ამ ხასიათმა და დანიშნულებამ საშუალება მისცა შემდგომ ავტორს იოანეს (იხ. ვარიანტი A) მთლად მოეხსნა წიგნის ორი მესამედი ანუ 31 კარიდან ბოლომდე და შიგ შეეტანა მართლა ორიგინალური ქართული ხალხური მკურნალობა თავისი შელოცვებით, ავგაროვნებით, კვიმატი ღლეებით, ვარსკვლავმრიცხველობით, ქირომანტიით და სხვა.

გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ წინამდებარე წიგნი დაწერილია. ან შეესებული და შემოწმებული 1579-1585 წლებში ქ. ისტამბულს (კონსტანტინეპოლი), სადაც გაიქცა ბატონიშვილი დავითი და სადაც ის გარდაიცვალა.

რომ წიგნის ავტორი ბატონიშვილი დავითი, იგივე დაუდ ანუ დაუდხანი საექიმო პიროვნებაა, საფუძვლიანი საექიმო ცოდნით, რომელიც მას მიღებული აქვს საქართველოში და ირანში.

რომ შეიძლება წინამდებარე წიგნი ბატონიშვილ დავითს დაწერილი ჰქონოდა საქართველოში და შემდეგ კი შეესწორებინა და შეეწესა ისტამბულს.

და რომ წინამდებარე წიგნი კომპილაციური ნაშრომია მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისა.

ახლა ენახათ „იადიგარ დაუდის“ ხელნაწერის ისტორია და თარიღი ანუ როდის ან ვინ რა დასწერა ჩვენს ხელნაწერზე და რა ხნოვანობისაა ის ხელნაწერი, რომელიც ამჟამად დაცულია საქ. მეზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების არქივში № 270 Q ქვეშ, რო. მელიც დაედო საფუძვლად წინამდებარე წიგნს როგორც უძველესი და უმოკლესი არსებულ ვარიანტებში.

სულ პირველად დაუდხანის „კარაბადინი“ აწერილი აქვს ნ. ბერძენიშვილს (იხ. Кавказский Календарь 1857 წ. გვ. 473. Ник. Бердзенов „О грузинской медицине“). ავტორი საკმაოდ დეტალურად არჩევს წიგნის შინაარსს, მოჰყავს მრავალი ნიმუში შელოცვებისა და სტატიას ათავეებს შემდეგი სიტყვებით „აქ თავდება ახირებულ ქართული სამკურნალო წიგნი, რომლითაც, როგორც სჩანს, ჩვენ უკვე თავი მოვაბეზრეთ მკითხველს. ჩვენი ასე თუ ისე ვრცელი მიმოხილვიდან მკითხველს შეუძლიან დაასკენას, თუ რას წარმოადგენდა უწინ, და ნაწილობრივ დღესაც, ქართული მედიცინა, ცრუმორწმუნოება სპარბობს მასში ყველგან, რასაც ჯერ ვერ შეხებია მეცნიერება და სხვა..“)

1901 წელს ილია ალხაზიშვილი თავის სტატიაში „მცირე ისტორიული მიმოხილვა სამკურნალო საქმისა საქართველოში“ (იხ. Кавказский вестник 1901 წ. № 9 გვ. 56) დაუდხანის „კარაბადინის“ შესახებ სწერს შემდეგს: „საუკეთესო კარაბადინი როგორც შინაარსით, ისე მოცულობით არის „მუნთანაფასია“, რომელიც წარმოადგენს 1012 გვერდიან შრომას. „მუნთანაფასიას“ ავტორად თვლიან შარეი ზადეს. ეს წიგნი პირველად დაწერილი იყო არაბულ ენაზე და შემდეგ გადმოთარგმნილი სპარსულად, შეიძლება შარეი ზადე იყოს წიგნის სპარსულად მთარგმნელი და არა ავტორი. კარაბადინი „მუნთანაფასია“ სარგებლობდა დიდი პოპულარობით, მაღლა აფასებდნენ მას სპარსელი მეფეები და კარისკაცნი. ქართველმა მეფე დაუდხანმა 1525—1585 (?) გადმოთარგმნა ეს წიგნი სპარსულიდან ქართულ ენაზე ბერ იოანეს შემწეობით. ამ წიგნის შინაარსი რუს საზოგადოებას სულ პირველად გააცნო ქართველოლოგმა ბერძენოვმა“.

1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილი დაუდხანის „კარაბადინს“ ასწერს შემდეგნაირად (იხ. Ев. Такайшвили „Описание рускописей общ. расп. грам. среди грузинск. населения т. I გვ. 634.) „ჩვენი სამკურნალო წიგნი ერთი სრულთაგანია, ის გადმოთარგმნილია სპარსულიდან მე XVI საუკუნის მეორე ნახევარში კახეთის მეფე (?) დაუდხანის მიერ. დაუდხანი 1569—1578 წლებში ექიშპებოდა თავის

1) ნ. ბერძენოვი ექიმი არ იყო და, როგორც ასეთს, არც შეეძლო შეეფასებინა ქართული მედიცინა. მგრამ მაინც ლანძღავს. ალბათ, ასეთი იყო შავრახმული „Кавказский Календарь“-ის სურვილი და დავალება, და ნ. ბერძენოვიც „პირნათლად“ ასრულებს თავის „ერთგული ქვეშევრდომის“ მოვალეობას, მითუმეტეს, წარმატებისა და კარიერის მეტი ქართული მედიცინის და საერთოდ ქართული კულტურის ლანძღვას აღექვანდრე II შავ-ბნელ ეპოქაში არაფერი ცუდი სხვა რამ არ მოსდევდა.

ძმას სიმონს და ცდილობდა წაერთმია მისთვის ქართლის ტახტი. ამ მიზნით ის წავიდა და დიდხანს სცხოვრობდა სპარსეთში, სადაც მას შეეძლო გადმოეთარგმნა შარეი ზადეს კომპილაციური შრომა. სხვათა შორის დაუდხანი ყოფილა აგრეთვე ოსმალეთში, კონსტანტინეპოლში—ერთი ცნობით 1578 წ. და მეორე ცნობით 1585 წ.

შეცდომა იქნებოდა დაგვეშვა, რომ ჩვენი კრებული წარმოადგენს შარეი ზადეს პირდაპირ თარგმანს. ჯერ ერთი, ჩვენ ხელთ გვაქვს შარეი ზადეს სამკურნალო კრებული, გადაწერილი მე-XVIII საუკუნეში, რომლის ტექსტიც სამჯერ ნაკლებია ჩვენს ტექსტზე.

მეორე: შესავალი გვამცნობს, რომ წიგნი გაყოფილია 80 კარად, ჩვენს კრებულში კი 218 კარია.

მესამე: ჩვენი კრებული შეიცავს ბევრ შელოცვასა და ლოცვებს, რომელნიც უეჭველია შეტანილია კრებულში ხალხისგან და არაფრის შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ, რომ ისინი გადმოთარგმნილნი არიან სპარსულიდან, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი შეიცავს ქრისტიანულ ლოცვებს.

ერთი სიტყვით, ჩვენს კრებულზე უშრომიან შარეი ზადეს, დაუდხანს, იოანე სარაჯიშვილს და, შეიძლება, ბევრ სხვასაც და ყველა ამათგანს მასში, ალბათ, შეჰქონდა სხვადასხვა წიგნში ამოკითხული რეცეპტები და წამლები.

ეს ჩანამატები და მინაწერები, რომელნიც შეტანილია ტექსტში შემდგომი გადამწერებისაგან, ზოგჯერ ძალიან დიდია, რაც საგრძნობლად ადიდებს წიგნის ფორმატს“.

1904 წელს ექიმი აბელ იაშვილი თავის შრომაში (იხ. А. Яшвили „Народная медицина в Закавказск. Крае“, Тифлис 1904 г. გვ. 88.), აღწერს რა დაუდხანის „კარაბადინს“, სწერს შემდეგს: „ებლა მე გაგაცნობთ მოკლე შინაარსს მეორე კარაბადინისას, რომელსაც ეწოდება „მუნთახაბი შააბა“, რაც არაბულად ნიშნავს კართა კრებულს. „მუნთახაბი“ ნიშნავს კრებულს, „შააბა“ ნაწილს, კარს. წიგნი შეიცავს 1112 გვერდს. თავში დართული აქვს სარჩევი, რომელიც შედგენილია 1843 წელს გადამწერ კოლეესკი სოვეტნიკ მიხეილ ივანეს ძე სარაჯიშვილის მიერ. ავადმყოფობათა სარჩევში ასო „უ“-ზე სწერია სიტყვა „უსეინდისობა“ და სარაჯიშვილის მიერ იქვე მიწერილი აქვს, რომ მან ამ კარაბადინში ვერ იპოვა წამალი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ. წიგნს ბოლოში დართული აქვს სხვა სარჩევი და წამლეულობათა სარჩევი ანბანზე.

შესავლის შემდეგ ავტორი სარაჯიშვილი სწერს „ვინც ამ წიგნით ისარგებლოს და მორჩეს ღვთის განგებითა, მე ცოდვილსა და

უღირსს სარაჯიშვილს ნუ დამივიწყებს, ვინც შენდობა მითხრას, მასაც შეუნდოს შეცოდებანი თვისნი და აღნად ქნას მასზე ჭირნახული ჩემი“.

კარაბადინის წინასიტყვაობიდან სჩანს, რომ მისი შემდგენელი ყოფილა ვინმე შარიფ ზადე, მთარგმნელი კი დაუდხანი.

ისტორიული ცნობა: დავითი იყო ძმა ქართლის მეფის სიმონისა. ცოლის სიკვდილის შემდეგ ის შემდგარა ბერად (?), მაგრამ ძმასთან უთანხმოების ჩამოგდების შემდეგ დასტავა ბერობა, წავიდა სპარსეთში და იქ სპარსეთის მეფის დახმარებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ქართლის ტახტი, რაც მან განახორციელა 1569 წელს. სპარსეთში დავითმა მიიღო მუსულმანობა და მაშინ უწოდეს მას დაუდხანი. რამდენიმე ხნის შემდეგ სიმონმა შესძლო ტახტის უკან დაბრუნება, დაუდხანი კი წავიდა კონსტანტინეპოლში და იქვე გარდაიცვალა 1585 წ.

კარაბადინი მუნთახაბი შატა დაუთხანს შეეძლო შეეძინა სპარსეთში ან ოსმალეთში და მისი თარგმნა ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ 19-16 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს (!).“

შემდეგ ა. იაშვილს მოჰყავს „კარაბადინის“ შესავალი მოკლედ და დასძენს, რომ ამ „შესავლის ბოლოში ნათქვამია, რომ წიგნში იქნება სამი განყოფილება და 80 კარი 80 ავადმყოფობათა აღწერით და მკურნალობათ. პირველი განყოფილება—ფიზიოლოგია და ჰიგიენა, მეორე განყოფილება—საქმელები, წამლები და მათი ფორმები, ზოგადი თერაპია. მესამე განყოფილება—ავადმყოფობანი და მათი მკურნალობა.

ნამდვილად კი წიგნში არ არის არავითარი სისტემა და წესრიგი, თავები არეულია, სხვა-და-სხვა ადგილას ლაპარაკია ერთსა და იმავე საგანზე, 80 კარის მაგივრად ტექსტში 180 (!) კარია“ და სხვა.

შემდეგ საკმაოდ ვრცლად აწერილია თვითეული კარის შინაარსი ცალცალკე.

ამგვარია სხვა-და-სხვა ავტორის აზრი დაუდხანის „კარაბადინის“ შესახებ. მაგრამ აქ ერთ გარემოებას აქვს ადგილი, რაც შეიძლება მკითხველს კუროზად ეჩვენოს, სახელდობრ ის, რომ არც ერთი ამ აწერილ „კარაბადინთაგანი“ დაუდხანს არ ეკუთვნის.

მაშ როგორ მოხდა ეს გაუგებრობა, რამ შეიყვანა შეცდომაში ჩვენი ავტორები? საქმის ვითარება შემდეგშია. დაუდხანის ნამდვილი „კარაბადინი“, სახელდობრ, წინამდებარე „იადივარ დაუდი“ აღმოჩნდა და შეძენილია სახ. მუზეუმის მიერ 1928 წელს და ის დღემდის, თუ შეიძლება ითქვას, არავის არ უნახავს, არამც თუ აუწერია.

ის ხელნაწერები, რომელნიც დღემდის იყვნენ ცნობილნი დაუდ-
ხანის სახელით, ეკუთვნიან არა დაუდხანს, არამედ იოანეს (იხ. ვა-
რიანტი A.) ზედნიერი შემთხვევის წყალობით სანიტ.-ჰიგიენური ინ-
სტიტუტის მიერ 1934 წელს შეძენილი დაუდხანის „კარაბადინი“
აღმოჩნდა სწორედ ამ იოანეს კარაბადინი, და რაც მთავარია, არა
პირი, არამედ დედანი; აქედან არის გადმოწერილი ის ხელნაწერები,
რომელნიც არიან ცნობილნი დაუდხანის სახელით — „მოზღოკისეული“
ვარიანტის გარდა (იხ. ვარიანტი C.), რომელიც თუმცა ჰგავს ივანეს
კარაბადინს, მაგრამ გადმოწერილი უნდა იყოს სხვა, ჯერ უცნობ
დედნიდან.

აქ სიმატლემ მოითხოვს აღინიშნოს, რომ ექვ. თაყაიშვილიც
და ა. იაშვილიც გრძნობენ და აღნიშნავენ ერთგვარ შეუსაბამობას
შესაველში მოცემულ წიგნის გეგმასა და ტექსტს შორის.

ექვ. თაყაიშვილი სწერს: „შესაველი გეგმცნებს, რომ წიგნი გა-
ყოფილია 80 კარად, მაშინ როდესაც კრებულში 218 კარია“

ექ. ა. იაშვილი კი შენიშნავს: „შესაველის ბოლოში ნათქვამია,
რომ წიგნში იქნება სამი განყოფილება და 80 კარი 30 ავადმყოფო-
ბათა აღწერით და მკურნალობით. ნამდვილად კი წიგნში არ არის
არაერთი სისტემა და წესრიგი, —თაყები არეულია, სსკად-სხვა
ადგილას ლაპარაკია ერთსა და იმავე საგანზე, 80 კარას ნაგვირად
ტექსტში 180 კარია“ და სხვა.

ექვთ. თაყაიშვილი ამაზე კიდევ შორსმდის და ძალიან უახ-
ლოვდება სინამდვილეს. „სტეფანოვისეული კარაბადინის“ (იხ. სელნ.
116. 1095 წერა კითხ. საზ. ფონდი)¹ აღწერის დროს საზაროლია-
ნად შენიშნავს, რომ „სწორედ ჩვენგან აწერილი კარაბადინი არის
შარია ზადეს კრებული, გადმოთარგმნილი ქართულ ენაზე დაუდხა-
ნის მიერ, მაგრამ ის საგრძნობლად განსხვავდება ჩვენ მიერ № 19-ის
ქვეშ აწერილი კარაბადინისაგან (იხ. „სარაჯიშვილისეული ვარიანტი“).
ჯერ ერთი, ამ ხელნაწერს შერჩენია სულ სხვა წინასიტყვაობა, რომ-
ელიც გეგმცნებს, ამ წიგნის ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიას“.

მაგრამ ჩვენ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „სტეფანოვისეული კა-
რაბადინის“ შესაველი თუმცა საგრძნობლად განსხვავდება ყველა არ-
სებულ ვარიანტის შესაველისაგან, მაგრამ მაინც სავსებით ისეთი არ
არის, როგორც წინამდებარე ტექსტისა (ნამდვილი დაუდხანისა). მას-

¹) სამწუხაროდ, ეს ვარიანტი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით 1934
წელს, ამჟამად მუზეუმის არქივში აღარ აღმოჩნდა, ალბათ, მიფარებულია სადმე.
იმედს არ ვკარგავთ, რომ აღმოჩნდება.

ში ჩამატებულია „ეპა ჯალინოზ და ლულმანის ქება“, რაც ჩვენს წინასიტყვაობაში არ არის. შემდეგ თითონ კარაბადინი შეიცავს 97 გვერდს, ჩვენი 520, იოანესი კი 716 გვერდს.

თუ რას წარმოადგენს იოანესეული ვარიანტი, ეს ნათლად სჩანს მისი აწერილობიდან (იხ. ვარიანტი A.) ჩვენ აქ ვუჩვენებთ მხოლოდ განსხვავების მთავარ მომენტებს, რაც ამ ვარიანტს ხდის თითქმის დამოუკიდებელ ნაშრომად.

1. პირველი განსხვავება შეეხება შესავალს. „იოანესეული“ ვარიანტი შეიცავს სულ სხვა შესავალს, თუმცა დაუდხანის საექიმო წიგნის შესავლის ზოგიერთი მომენტი არის შიგ შესული.

2. ვარიანტში სახელი დაუდხან არის შეცვლილი სახელით იოანე. სახელი იოანე შეტანილია აგრეთვე ორგან ისეთ ადგილას, სადაც დაუდხანის წიგნში არავითარი სახელი არა სწერია, სახელდობრ, „ავი და კარგ ბურჰანის“ დღეების ნუსხაში და მეშვიდე კარის სათაურის ბოლოში. სახელი იოანე უფრო ვრცლად გვხვდება „ცხროთა შრავალგვართა“-ს კარში, სახელდობრ: „ესე კარაბადინი წმიდის გარსევან მღვდლის შვილის იოანესია, ვინცა ნახოთ და წაიკითხოთ და ან აქედან გარდილოთ რამე და ისწავლოთ, თქვენის ღეთის გულისთვის ცოდვილს იოანეს შენდობას მიბრძანებდეთ, რომელ წმიდისა რჯულითა დამიწერია. ვინცა შენდობა მიბრძანოთ, მე დიდათ შემეწევა, ადგილსა მას სარჯელისა და თქუენ უზრუნველ იქნებით“.

ეს წარწერა გაკეთებულია ნუსხური ხელით და იგივე ხელია, რომლითაც დაწერილია ვარიანტის ნუსხური ადგილები—ვარიანტში ასეთი ადგილები აქა-იქ გვხვდება.

3. დაუდხანის საექიმო წიგნიდან იოანეს კარაბადინში შეტანილია პირველი 31 კარი სრულიად უცვლელად. კარაბადინი აქ სწყდება და შემდეგ შეიცავს სრულიად დამოუკიდებელ, ახალ შრომას, რომლის არავითარი კვალი დაუდხანის საექიმო წიგნში არ არის. კარაბადინის ამ ნაწილს სათაურად აქვს „კარაბადინი, ხასიათი წამლისა, რომელი არს ჯალინოზისაგან ნათქუამი“. თუმცა ჩვენის აზრით აქ ჯალინოზი (გალენი) არაფერ შუაში არ უნდა იყოს, მაგრამ ჯალინოზისთვის მიკუთვნებას იმ დროს უსათუოდ აზრი უნდა ჰქონოდა, ალბათ, წიგნის მეტი ღირსებისა თუ სახელისთვის.

ვარიანტის ეს ნაწილი შეიცავს 265 გვერდს და, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ორიგინალურ ქართულ ნაშრომს, რაც ნათლად სჩანს მისი შინაარსიდან, კარაბადინში გატარებული იდეებიდან და ტერმინოლოგიიდან. ამ ნაწილში თითქმის ყველა ავადმყოფობას მოძებნილი აქვს თავისი ლოცვა წარმართულ-ქრისტიანული ელემენტებით

და შელოცვანი, რაც სპეციფიკური ქართულია და ჩვენს ხალხში დღესაც ბევრგან არის დარჩენილი.

რისთვის შეუტანია იოანეს თავის კარაბადანში დაუღებანის 31 კარი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად ძნელია. შეიძლება თავისი წიგნის უფრო მეტი ღირსებისათვის, ან შეიძლება იოანე ამ 31 კარს, შიგ მოყვანილი ცნობების მიხედვით, სთვლიდა იმდენად ღირსშესანიშნავად, რომ აუცილებლად მიაჩნდა მათი უცვლელად შეტანა თავის წიგნში.

ამ 31 კარის მიუხედავად, რომელთაც ძალიან სუსტი ტექსტუალური კავშირი აქვთ მის წიგნთან, იოანესეული ვარიანტი გამოიყურება როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი, მეტად განსწავლული და მეტად ორიგინალური საექიმო პიროვნების მიერ შესრულებული.

ამ ვარიანტის მეტი პოპულარობა სჩანს იქიდან, რომ თითქმის ყველა არსებული ვარიანტი მისდევს იოანეს და არა დაუღებანს, მით უმეტეს, რომ დაუღებანის საექიმო წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი უცვლელად აქვს გამოყენებული იოანეს თავის წიგნში.

ამ გაგებით წინამდებარე ტექსტს ეძლევა უნიკალური ტექსტის მნიშვნელობა, რაც მას უფრო მეტ ფასს სდებს, როგორც დაუღებანის საექიმო წიგნის შეურყენელ ტექსტს. თანაც ამ ტექსტის წყალობით შეღავნდება მე-XVII საუკუნის დასაწყისის მეტად ორიგინალური ავტორი იოანე, დაუღებანზე არანაკლებ განსწავლული და საინტერესო საექიმო პიროვნება.

ამგვარია დაუღებანის „კარაბადანის“ ირგვლივ წარმოშობილი გაუგებრობის მიზეზი.

ეხლა ვნახოთ, თუ რა ხნოვანობისაა წინამდებარე საექიმო წიგნის „იადიგარ დაუღის“ ხელნაწერი, რომელიც დატულია სახ. მუზეუმის არქივში, № 270 ფონდი Q. ამ კითხვაზე გადამჭერელ პასუხს იძლევა ტექსტის ბოლოში აშიაზე დედნის ხელით გაკეთებული მინაწერი „აწე ამა მალამებისა, ამ დედას წიგნშიგა (დედანში) ვერცა თავისა და ვერცა ბოლოსა ვერ შევიტყევე, თუ სხვა სად ეწერა. სამი ფურცელი ცუდათ ეგდებოდა და რაც იმაშიგა ეწერა უკლებობისათვის აქ დაეწერეთ. რო ს ტ ო მ მეფის ბედნიერობითა ქალაქი ბევრი იყო და სხვას არას დაეზარდით და აქ დაესწერეთ, და რაცა აკლდეს თუ სხვაგან იპოვოთ თქუენ ჩაუმატეთ, ალაგი აქუს“.

მასასადამე, ამ მინაწერის მიხედვით, წინამდებარე ტექსტი გადაწერილია როსტომის მეფობაში ანუ 1634—1658 წლების ფარგლებში. პალეოგრაფიული ნიშნები და ქალაქის ფილიგრანები სრულიად ეთანხმებიან ამ თარიღს.

ამგვარად, გამოორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ დაუღბანის საექიმო წიგნი „იადიგარ დაუდი“ სულ სხვა საექიმო წერილობითი ძეგლია. ის ტექსტები, რომელნიც იყვნენ ცნობილი დღემდე, როგორც დაუღბანის „კარაბადინები“, ეკუთვნიან არა დაუღბანს, არამედ იოანეს. დაუღბანის შრომა „იადიგარ დაუდი“ არის „მცირე“ საექიმო წიგნი, მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისა და არა კარაბადინი. იოანეს შრომის პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს 451 გვერდს, წარმოადგენს დაუღბანის საექიმო წიგნის „იადიგარ დაუდის“ 31 კარს სიტყვასიტყვით, მეორე ნაწილი კი, რომელიც შეიცავს 265 გვერდს, არის ნამდვილი კარაბადინი, უსათუოდ ორიგინალური ქართული წარმოშობისა. აქ დართული ვარიანტები წარმოადგენენ პირებს (სიტყვასიტყვით) იოანეს საექიმო წიგნისას ორის გარდა— „სტეფანოვისეულისა“ (რომელიც ამ ხნობით დაკარგულია) და „მოზლოკისეულისა“ (იხ. ვარ. C), რომელნიც აგრეთვე უახლოვდებიან უფრო იოანეს საექიმო წიგნს, ვიდრე დაუღბანის „იადიგარ დაუდს“.

ნამდვილი ვარიანტი დაუღბანის საექიმო წიგნისა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

1 წინამდებარე ტექსტის ხელნაწერი გადაწერილია 1634—1655 წლების ფარგლებში, საქართველოს მეფის როსტომის დროს. ტექსტის ხნოვანება უდრის 302—279 წელს, ანუ დედნიდან დაშორებულია სულ 55—70 წლით.

ეხლა გადავიდეთ წინამდებარე წიგნის ანალიზზე. ამ წიგნის ხელნაწერი № 270 ფონდი Q (საქ. მუზ. პალეოგრაფ. განყ.) ზომით 39 X 27 in folio დაწერილია გარკვეული, ლამაზი მხედრულით (იხ. აქვე დართული რეპროდუქციები). ტექსტი არის დაწერილი შავი მელნით, ხოლო ყოველი თავის დასაწყისი და საკუთარი სახელება— წითელი მელნით.

პაგინაცია ნაჩვენებია რვეულებით ასომთავრული მხედრულით, თითო რვეული შეიცავს 8 ფურცელს. ტექსტში ამჟამად არის 36 რვეული. 37-ე რვეულიდან მხოლოდ 2 ფურცელია დარჩენილი¹.

ამგვარად რვეულების მიხედვით ტექსტში უნდა იყოს 290 ფურცელი, ამ ეამად კი ტექსტში არის 260 ფურცელი.

მაშასადამე. ტექსტი დიფექტიურია: შესავალს აკლია ერთი ფურცელი.

კარს „ბ“ აკლია ერთი ფურცელი (აღდგენილია ვარიანტი A მიხედვით).

¹ ტექსტს შესავლის წინა ფურცელზე დედნის ხელით მიწერილი აქვს „არის ამ წიგნის რვეული ოცდათექუსმეტი“.

- ამავე კარს აკლია 3 ფურცელი (აღდგენილია).
 აქვე აკლია ერთი ფურცელი (აღდგენილია).
 აქვე აკლია ერთი ფურცელი.
 მე-12 კარს აკლია ერთი ფურცელი (აღდგენილია).
 39-ე კარს აკლია 2 ფურცელი ბოლოში.
 მე-40 კარს აკლია 1 ფურცელი თავში (აღდგენილია ვა-
 რიანტი C მიხედვით).
 41-ე კარს აკლია 5 გვერდი ბოლოში.
 42-ე კარს თავში აკლია ერთი გვერდი (აღდგენილია ვა-
 რიანტი C მიხედვით).
 52-ე კარს აკლია 5 გვერდი ბოლოში.
 53-ე კარს აკლია თავში ერთი გვერდი (აღდგენილია ვი-
 რიანტი C მიხედვით).
 მე-60 კარს ბოლოში აკლია 2 ფურცელი.
 71-ე კარს აკლია 1 ფურცელი თავში, ბოლოც სწყდება,
 უნდა აკლდეს 4 ფურცელი.
 73-ე კარს აკლია 2 ფურცელი თავში, 4 ფურცელი ბო-
 ლოში.

რამდენი ფურცელი აკლია ტექსტს ბოლოში, ამის თქმა ძნე-
 ლია, შეიძლება ტექსტი აქა თავდებოდეს, ყოველ შემთხვევაში შინა-
 არსის მიხედვით ბევრი აღარ უნდა აკლდეს.

მასასადამე, ტექსტს სულ აკლია 30 ფურცელი. ეს დანაკლისი
 უმთავრესად აღვადგინეთ ვარიანტების მიხედვით.

ტექსტში ამ უამად 73 კარია, შესავლის მიხედვით კი უნდა იყოს
 80 კარი.

წიგნის გეგმა: წიგნი გაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნა-
 წილი შეიცავს ზოგად საექიმო ნაწილს—„სააქიმოსა საქმეებსა გამ-
 ცნებს და გიანბობს“. მეორე ნაწილი შეიცავს დიეტეტიკას—„სა-
 კმლებსა, მაჯუნებსა და შარბათებსა გამცნებს და გიანბობს“. მესამე
 ნაწილი შეიცავს კერძო პათოლოგიას და თერაპიას—„ყოვლის ფე-
 რისა სენებისა და სატყვიერისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გა-
 მცნებს და გიანბობს“.

ფილოსოფიურ-მედიკური კონცეპცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილოსოფიურ-საექიმო კონცეპცია
 წინამდებარე წიგნისა; ისევე როგორც ყველა სხვა ქართული საექიმო
 წერილობითი ძეგლისა, დამყარებულია ჰიპოკრატის ჰუმო-
 რალურ პათოლოგიურ სისტემაზე, რომელიც მთლიანად მიიღო და

განავითარა ჯერ გალენმა (131-201 წ. ჩვ. ერა), შემდეგ არაბებმა, ქართველებმა და ძველი აღმოსავლეთის სხვა კულტურულმა ხალხებმა. ამ სისტემის არაბულ-ქართული ვაგება ფართოდ და გარკვეულად არის მოცემული „წიგნი სააქიმოჲ“-ს შესავალ სტატიაში (იხ. „წიგნი სააქიმოჲ“ გვ. XXXV. ტფილისი სახელგამი 1936 წ.) და ჩვენ აქ აღარ ვავიშვებთ.

ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს სისტემა იმდენად შესისხლბორცებულია ქართველი ხალხის ბუნებასთან, რომ შესულია ქართულ სალაპარაკო ენაში როგორც მისი ორგანული ნაწილი. ვავიხსენოთ, რომ ქართულ ენაში დღესაც ხმარებაშია შემდეგნაირი თქმები: „ნაღველა გამისკდა“, „ნაღველა გამიხეთქა“, „სევდიანი კაცი“ „სევდა მალრჩობს“, „ბალღამი ამოანთხია“, „გესლიანი ანუ ბალღამიანი კაცი“, „ძარღვიანი კაცი“, „სისხლი ამემღვრა“, „სისხლი გამიშრო“, „კაცი გაშრა“ და მრავალი სხვა, რაც ნათლად ადასტურებს აღნიშნული სისტემისა და ქართული შეგნების იდენტიურობას.

ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობანი.

ასოებისა და ძარღვების გამოსხმისა და შეტყობისა (ყარი „გ“).

ნერვები. წვრილი ძარღვების გარდა კაცს ოცი მსხვილი ძარღვი აქვს. ეს ოცი ძარღვი ყველა თითო-თითო ასოზეა გამოზმული—ეს იმიტომ, რომ ყოველი ასო ამ ძარღვით ცოცხალ იყოს. „როგორც ხე წყლისა სმითა იხარებს და წყალი ანედლებს, ისრევე ყოველი ასო ამა ძარღვებითა იხარებს, და ამა ასოებსა ესე ძარღვები ანედლებს, და წყალსა ესე ძარღვები ასმევს, და ყოველი ასო ამა ძარღვებისა წყალობითა საქმობს“.

ამ ძარღვების წყალობით აქვს კაცს „ქკუა და მცნება“ ანუ ცნობიერება, სმენა და ლაპარაკის უნარი, ყნოსვა, გონება, სიყვარულისა და სწავლის უნარი.

ამ ოცი ძარღვიდან ოთხი ძარღვი ორსავე თვალზეა გამოზმული, ერთი თვალს აბრუნებს და ერთი ხედავს—ამ ძარღვს სახელად ბასილ ჰქვია. თუ ეს ძარღვი დედის მუცელში ან დაბადების დროს ბავშვს დაუზიანდა, მაშინ ის შორსმხედველი იქნება, და თუ ეს ძარღვი ბავშვს ან დიდ კაცს შეაწყდა—მაშინვე დაბრმავდება. ამგვარად „თვალთა შთავარი და თავი ძარღვი ეს ბასილი არის და თვალნი ტვინიდან მან წყალსა ამა ძარღვისა წყალობითა სვამს“.

კიდევ ორი ძარღვი ორსავე ყურზე აბია. ორსავე ამ ძარღვს ში-

გნით ბოლო „ფუჩი“ აქვს, ანუ განშტოებული—ეს იმიტომ, რომ ხმა დაიფანტოს და ძლიერი ხმა პირდაპირ ტვინს არ ეცეს.

კიდევ ორი ძარღვი კაცსა ცხვირზე აბია—რომ კარგი და ავი სუნი შეიტყოს. ამ ძარღვების საშუალებით ტვინს სუნი მისდის—ეს სუნი კი მას ანედლებს და აკაბუკებს. ტვინი კი თავის მხრივ ამ ძარღვების საშუალებით ცხვირს ანედლებს. როცა ტვინის სინედლე ამ ორ ძარღვს მოსკარბდება, ის ცხვირიდან გარეთ გამოდის.

ერთი ძარღვი კაცს კბილებსა და სასაზე აბია—ამ ძარღვით კაცი გემოს იგებს.

ერთი ძარღვი კიდევ ენაზე აბია—ამ ძარღვის წყალობით კაცი ლაპარაკობს და პირში საჭმელსაც ეს ენის ძარღვი აბრუნებს.

ამგვარად, ეს ათი ძარღვი „ყელსა ზედათ თავში არის გაყოფილი“ და დალაგებული.

ამ ძარღვების გარდა, ყველა სხვა ძარღვები ორათ არიან გაყოფილნი და ყველა ერთმანეთზე აბია. ნახევარი მარჯვენის მხარისაკენ წამოვა და ნახევარი მარცხენის მხარისაკენ—„ამისათვის რომე კაცმან ხელები და ფეხები ამა ძარღვებისა ძალითა და წყალობითა იძრას და იხმაროს“.

ვენები. სხეულს სამი უმთავრესი ვენა აქვს. ყიფალი—ზემო „ვითამცა ესე ძარღვი თავზედა აბიაო“, აქჰალი—საშუალი, „ვითამცა გულზედა აბიაო“, ბასალიყი—ქვემო, „ვითამცა და ტანის ბოძიო“. საშუალი და ქვემო ძარღვი ანუ აქჰალი და ბასალიყი ორივე ერთმანეთზედა შემოგრებილი არის—ამიტომ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.

კიდევ ერთი ძარღვი კაცს სასქესო ასოზე აბია—„რომე მისის ძალითა და წყალობითა ისაქმოს.“ თუ კაცს ეს ძარღვი დაუშავდება, სასქესო ასოც დაუდგება.

კაცის სხეულში შვიდი ასო (ორგანო) არის. ესენი ყველანი სასიცოცხლო ასონი არიან, ამ ასოთაგან ერთიც რომ აკლდეს, კაცი უსათუოდ მოკვდება.—ეს ასოები არის 1. ტვინი. 2. გული. 3. ღვიძლი. 4. ფილტვი 5. ნაღველი (ბუშტი). 6. ტყირპი 7. თირკმელი.

1. ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო გული არის, „გული მხურვალი და ხმელი არის“.

2. ღვიძლი—მხურვალი და ნედლი არის „კაცისა ელფერი, სიყირმიზე, სიყვითლე, სიმზიარულე ყველა ღვიძლისაგან იქნების“.

3. ტვინი—გრილი და ნედლი არის. „ქკუა, სიბრძნე, მოძრაობა და სწავლულობა, ყველა ტვინისაგან არის“.

4. ფილტვი—გრილი და ნედლი არის. „ქმინვა, ძახილი, სირბილი და სულის ბრუნევა (სუნთქვა) ყველა ფირტვისაგან არის“.

5. ტყირაპი—გრილი და ხმელი არის. „ჯავრი, სირცხვილი და გულ ლურტომობა. ყველა ტყირაპისაგან არას“.

6. ნაღველი (ბუშტი)—მხურვალი და ხმელი არის. „გაჭირვება, ძალი და კაცობა (სქესობრივი) ყველა ნაღველისაგან არის“.

7. თირკმელი—მხურვალი და ნედლი არის. სქესობრივი კავშირი, „საქმლის დადნობა და შარდის დაქირვა ყველა თირკმელისაგან არის“.

ეს შვიდი ასო ზოგნი მხურვალი და ხმელია, ზოგი გრილი და ნედლი—ეს იმიტომ, რომ ერთმანეთზე შეზავებულნი იყვნენ. ესე იგი, „მხურვალმან და ხმელმან ასოებმან გრილსა და ნედლსა ასოებსა მხურვალი და ცხელი ქარი და წყალი მისცენ და ამის მაგიერად გრილი და ნედლი ქარი და წყალი გამოართვას და ორივე ერთმანერთით იხარებდნენ“.

თუ ეს ასოები ერთმანეთთან თანხმობით და შეზავებით იქნებიან, კაციც ჯანმრთელად იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აშლით და ურიგოდ იქნებიან, კაცი მუდამ სენიანად და ხაზმუზიანად იქნება. ამ შემთხვევაში მკურნალობა ძნელი არის, რა წამალიც ერთ ასოს მოუხდება, ის მეორეს აწყენს, რადგანაც ეს შვიდი ასო სხვადასხვა ხასიათისა და თაბიათისანი არიან.

შიჯიოღოზიანი. ყოველი საქმელი კაცის სტომაქში დნება და დუღდება და მოდუღებულ ქერის წყალს ემსგავსება—ამას სახელად ქეილუსი ჰქვია. ამგვარად, საქმლის მოხარშვა პირველად კუჭში ხდება. პირველი სტადია.

აქედან საქმელი მიდის ღვიძლთან, აქ ხდება მისი მოხარშვისა და დადნობის მეორე სტადია, ანუ საქმლის ოთხ ხილთად გადაქცევა: სისხლად, საფრად, ბალღამად და სევდად. ამ სახით საქმელი მიდის ძარღვებში, ძარღვებში (სისხლის მილები) ხდება დადნობის მესამე და უკანასკნელი სტადია. აქ ხდება ამ ქეილუსის საბოლოო შესრუტვა—„ასრე რომ ამ ქეილუსისაგან ფრჩხილიცა არ დარჩების რომე იმასაცა არ მიუხდეს.“ მაშასადამე, სხეულის ყოველი ასოს დათითონ სხეულის სიცოცხლე ან უკეთ სინედლე, რაც პირველი პირობაა სიცოცხლისა, ამ ქეილუსზეა დამოკიდებული. აქ მოყვანილია შემდეგი ალეგორია „რარიგადცა ხე წყლითა იხარებს და წყალი ანედლებს, ისევე ყოველი ასო და ყოველი ძარღვი ამა ქეილუსითა იხარებს და ნედლი არის, და ამა ქეილუსითა ცოცხალი“.

აქედან ამგვარი დასკვნაა—„და ერთსა დღესა რომე ამისგან კაცისა ასოსა წყალი არ მიუხდეს, ესე იცოდი, კაცისა ასო უსათუოდ გახმების და დაუშავდების“.

მაშასადამე, ყოველი საქმლის დადნობისა და გარდაქმნის უკანასკნელი პროდუქტები არის სისხლი, საფრა, ბალღამი და სევდა. ამათგან რაც ღვიძლს თავის საკეებად აღარ სჭირდება და მეტია, უყოფს ყოველ ასოს.

ამ ოთხი წვენის ანუ ხილთის თვისებები ასეთია:

სისხლი—მზურკალე და ნელღია.

საფრა—მზურვალე და ხმელია.

ბალღამი—გრილი და ნელღია.

სევდა—გრილი და ხმელია.

ამ ოთხი ხილთის დახასიათება და წარმოშობა ამგეარია:

1. სისხლი უნდა იყოს „წითელი ფერისა და ავი სული არ უნდა უდიოდეს“. კონსისტენციით არც მეტად თხელი უნდა იყოს და არც მეტად სქელი. სისხლი წარმოიშობა კარგი სასმელ-საქმლისაგან, როგორც არის კარგი ხორცი, კარგი შეკამადები, კარგი შარბათები, თოხლო კვერცხი და სხვა.

2. საფრა წარმოიშობა მზურვალისა, ტკბილისა და ცხიმოვანი სასმლისა და საქმლისაგან.

3. ბალღამი წარმოიშობა გრილი და ნელღი სასმელ-საქმლისაგან. როგორცაა თევზი და მაწონი.

4. სევდა წარმოიშობა გრილი და ხმელი სასმელ-საქმლისაგან, აგრეთვე ზედმეტად მწვავე. მლაშე და მტავე საქმლისაგან, მაგალითად: ბევრი ნიერის კამითა, ხმელი ყველის, თევზისა და მათი მსგავსი საქმლისაგან და უმთავრესად ხმელი ხორცის კამისაგან.

აქ ამგეარი კანონზომიერებაა: ამ ოთხ ხილთიდან ერთიც რომ წახდეს და დაიწვას, მაშინვე ოთხივე ხილთი უსათუოდ სწვდად გარდაიქცევა.

ამ ოთხი ხილთის გაძლიერება თუ დაცხრომა წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ხდება, სახელდობრ:

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე სისხლი მრავლდება და ოთხივე ხილთი აიშლება—ამისი შედეგი არის მუწუკები, ყელის ტკივილი და სხვადასხვა სიმსივნე.

ზ ა ფ ხ უ ლ შ ი საფრა მრავლდება—ამის შედეგია უმადობა, სტომაქის სისუსტე, საქმლის მოუდნობლობა და კაცის საერთო დასუსტება, აგრეთვე სხვადასხვა სიცხიანი დაავადება.

შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე სევდა მრავლდება—ამის შედეგია ტყირპის გასიება და სევლის სხვა სენები.

ზამთარში ბალღამი მრავლდება—ამის შედეგია სურაფან-
დი, ხარბუხა, ხველა და სახსრების ტკივილი.

ნიშნები ამათუი მხილთის გაძლიერებისა სხეულში შემდეგნაირია:

თუ სისხლი გაძლიერდება: ავადმყოფს ელფერი და ენა წითელი ექნება, პირის წყალი ტკბილი, მთქნარება და ძილისკენ მიდრეკილება, უხალისობა, ტანზე გამოყრა და ცხვირიდან სისხლის დენა—სიზმარში წითელი ფერის საგნებს ნახავს.

თუ საფრა გაძლიერდება: ავადმყოფს ელფერი ყვითელი ექნება, პირი მწარე, გული რევას დაუწყებს და წყურვილი აუვარდება, ექნება უძილობა; მუცელში შეკრულობა—სიზმარში ყვითელ საგნებს ნახავს.

თუ ბალღამი გაძლიერდება: ავადმყოფი დასუსტდება, ძილად მივარდება, ექნება უხალისობა, სიზმარმატე ყველა საქმეში—სიზმარში წყალსა, თოვლსა და წვიმებსა ნახავს, აგრეთვე თეთრ ფერ საგნებს.

თუ სევდა გაძლიერდება: ავადმყოფი გახდომას დაიწყებს, ელფერი მოშაო ექნება, გული და სტომაქი წვას დაუწყებს, მუდამ მოშივდება, ძილი არ მოუვა, ფიქრები ცუდი და არეული ექნება, სიზმრებიც ასეთივე ცუდი და არეული—სიზმარში შავ ფერ საგნებს ნახავს.

ჰიზიანა და ღიებთიქა

„ბ“ პირველი კარისა მეორე კარი. კარგი და ავი ალაგის და ჰავის შესახებ.

ჰავა არც ძალიან ცხელი უნდა იყოს, არც ძალიან ცივი, არამედ შეზავებული. სუნიანი ბალახი და ხეები არ უნდა იყოს საცხოვრებელი ალაგის ახლოს, მაგალითად: ნიგეზის ხე, ლელვის ხე, ანწლი. საცხოვრებელი სახლი კედელსა და კედელს შუა არ უნდა იყოს. საცხოვრებელი სახლი უნდა იდგეს გაშლილსა, მაღალსა და შანდაკ ალაგსა—ღრმა ალაგსა ან სახლებსა და კედლებს მოფარებით არ უნდა იყოს.

თითონ საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს მაღალი, დიდი. ერთი კარი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონდეს, ერთი ჩრდილოეთისაკენ—ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთის კარი მუდამ შემოსდიოდეს და მზეც აღდგებოდეს.

საკმლებისა საქმეებსა გამცნობს. პურებს ში ყველაზე უკეთესი ხორბლის პური არის. ხორცებს ში მამალი ცხვრის ხორცი, ძუძუს ხბოს და ძუძუს ციკნის ხორცი, შემდეგ სუქანი,

კვერცხდაუდებელი დედალი ქათამი, ხოხობი, ღურაჯი, ტრედის ხუნდი, ჭავჭავი, ახალი ირემი, თოხლო კვერცხი.

ერბოებში — კარაქის ერბო.

ხილებში — ყურძენი და ლეღვი.

საკმლის ჭამის წესები. კაცს როდესაც კარგად მოშივა, მხოლოდ მაშინ უნდა სჭამოს საკმელი. საკმლის ჭამას მაშინ უნდა მორჩეს, როცა ჯერ კიდევ უნდოდეს ჭამა. ვიდრე ერთხელ ნაჭამი საკმელი არ მოიღნოს, სხვა საკმელი არ უნდა სჭამოს.

კაცმა საკმელი ჩქარა უნდა სჭამოს და ჩქარავე გაუშვას. საკმელი კარგად უნდა დალექოს და ისე ჩაყლაპოს.

პირველად კაცმა ის საკმელი უნდა სჭამოს, რომელიც ყველაზე უკეთესია, შემდეგ მორიგი საკმელი. გაძლომის შემდეგ შრომა და სიარული მაწყინარია. საკმლის ჭამის შემდეგ კაცი ერთ ან ნახევარ საათს უნდა იჯდეს ან დაწვეს, რომ საშუალება მიეცეს საკმელს სტომაქში მოგროვდეს და იქ დადნეს. ერთი საათის უკან ათი-თორმეტი ნაბიჯი წასძრას და მერე მოისვენოს.

საკმლის დამალბობელი და დამადნობელი ხილები შემდეგია: ყურძენი, ლეღვი, ქლიავი, საზამთრო, კიტრი, ალუი ბუხარა.

შემკრავი ხილები შემდეგია: კომში, ვაშლი, სხალი და ბროწეული. კაცმა ჯერ პირველი ხილთაგანი უნდა სჭამოს, შემდეგ მეორე. ნესვთან სხვა ხილის ჭამა მაწყინარია.

ზაფხულში საკმელი უნდა გააციონ და ისრე სჭამონ — ზამთარში პირიქით, საკმელი თბილ-თბილი უნდა სჭამონ.

ბევრი მჟავის ჭამა კაცს დაამკლევებს, მოსტეხს და ადრე დააბერებს.

ბევრი ტკბილის ჭამა კი სტომაქს დაასუსტებს, ტანსა და გვამს სიმხურვალეს მისცემს.

ბევრი მლაშის ჭამა კაცს გაახმობს და დაამკლევებს.

მაშასადამე, საკმელი არც მჟავე უნდა იყოს, არც ძალიან ტკბილი, და არც ძალიან მლაშე.

ყოველი ცომიანი საკმელი შემკვრელია.

თუ კაცს ტკბილმა საკმელმა აწყინოს, ამის წამალი მჟავე საკმელებია. თუ მჟავემ აწყინოს — ტკბილი. თუ ერბოიანმა და სუქიანმა საკმელმა აწყინოს, ამის წამალი მლაშე საკმელი არის, და თუ მლაშემ აწყინოს, ამის წამალი სუქიანი და ერბოიანი საკმელი არის.

კაცმა დღე საკმელი ან ერთხელ, ან ორჯელ უნდა სჭამოს და ეს იმყოფინოს.

სხეულში ხილფების განაწილების მიხედვით ადამიანები განიყოფებიან ოთხ ჯგუფად:

1. ისეთები, რომელთა სხეულში სისხლი სქარბობს.
2. ისეთები, რომელთა სხეულში საფრა სქარბობს.
3. ისეთები, რომელთა სხეულში ბალღამი სქარბობს.
4. ისეთები, რომელთა სხეულში სეცდა სქარბობს.

კვებაც ამისდა მისეღვით ხდება.

1. თუ კაცსა სისხლი სქარბობდეს — ამრიგმა კაცმა უნდა სქამოს გრილი, ცივი და მჟავე სასმელ-საქმელი, აგრეთვე სისხლის დამწმენდელი და გამქარვებელი სასმელ-საქმელი, მაგალითად: ლიმო, ისრიმი, თუთუბო, კოწახური, უშხუნი, მჟაუნა, ხართუთა, მაყვალი, ნარდაგი, ძმარი, ოსპი, ბოგრუჯა, მაში ამავე მჟავეებით მოხარშული, ქინძი, სალათა, ისპანახი, დომხალი, ახალი დო და მზე შარბათები.

ხილი: ვაშლი, სბალი, კომში, ქლიავი, ქერამი, კიტრი, შუმხიარი, საწამთრო, ხართუთა, მაყვალი.

2. თუ კაცსა საფრა სქარბობდეს — ამრიგმა კაცმა უნდა სქამოს ბატკინისა ან შავი თიკნის ხორცი, ხოხობი, კაკაბი, ვარია, დურაჯი და მათივე ლაპები, ტყემლის მჟავეით, ქინძით და ისპანახით.

ხილი: კიტრი, მჟავე ბროწეული, გრილი და მჟავე ხილი.

3. თუ კაცსა ბალღამი სქარბობდეს — ამრიგმა კაცმა უნდა სქამოს მხურვალი და ხმელი საქმელი, მუხუდას შექამადი, მხურვალი სანელეღვით შექნილი, სტაფილოს შექამადი, ბრინჯის, თაღმის. ამათი შექამადებიც მხურვალი იარაღებით უნდა იყოს შექნილი. უნდა იზმაროს აგრეთვე მხურვალი მწვანილი, მხურვალი ხილი, აგრეთვე შარბათები უდის, ბროწეულის, აბხინდის.

4. თუ კაცსა სეცდა სქარბობდეს — ამრიგმა კაცმა უნდა სქამოს მამალი ცხვრის ხორცი, სუქანი ქათმის ხარშო, ხოსობი, კაკაბი, დურაჯი და სხვადასხვა ცომის შექამადები. მაწონი, რძე, მჟავე საქმელები ერთად არ უნდა სქამონ. ბოლოს ამრიგს კაცს გრალი და ხმელი სასმელი და საქმელი ყველა აწყენს და მხურვალი, ნედლი და მოჭაღილი ყველა არგებს.

სასმელი წყლის თვისება. სასმელი წყალი უნდა იყოს წმინდა, გემო კარგი (აქ ტექსტს დურ(ე)ლი აკლია). წყლის სმა არ შეიძლება სქესობრივი კავშირის შემდეგ, დაღალვის დროს, ნედლ ხილზე. აბანოში, აბანოდან ახლად გამოსვლისას. არც ძალიან ცივი წყლის სმა არის სასარგებლო. წვიმის წყალი კარგი და მარგი არის, მაგრამ სტამაქს აწყენს. წყალი თუ ერთ ადვილზე დგას და გასაეა-

ლი, მდინარობა არა აქვს, იმის სმა არ შეიძლება. მაგრამ გაქირვების დროს, თუ იმ ალაგას სხვა წყალი არ არის--მაშინ ეს წყალი უნდა მოადუღონ და ისე სვან, წინასწარ ჭაფი უნდა მოხადონ და გააციონ. აგრეთვე თოვლიანი და ყინულიანი წყლის სმა მაწყინარია. მაგრამ, თუ წყალს თოვლზე ან ყინულზე გააციებენ, ის კარგია.

აბანოს წყალი ტკბილი (არაზინერალური) და ნელთბილი სჯობს. აბანოში შესვლისას კაცი არც ძლიერ მძღარი უნდა იყოს, არც მშვიერი. აბანოში შესვლა მაშინ სჯობს, როცა კაცს საქმელი მონელეზული აქვს. აბანო კარგად რგებს კანის ავადმყოფობას, უძილო კაცს ძილს მოჰგვრის, რგებს დაღაღვას, ტანში მტვრევას და ლეწვას.

ამასთანავე აბანო ასოებს ასუსტებს. არც დაკოდილს, არც მოტეხილსა და არც სიმსივნეს აბანო არა რგებს.

აბანოში დიდხანს ყოფნა მაწყინარია--გულს ასუსტებს, საქმლის მადასა და სქესობრივ უნარიანობას ასუსტებს.

აბანოში კაცი მანამდის უნდა იყოს, ვიდრე ტყავი აებურება და გაეტენება და კარგა ოფლი მოუვა. ამის შემდეგ ფიცხლავ უნდა გამოვიდეს, სქელი კაბა ჩაიცვას, რომ არ გაცივდეს.

მკლე კაცს ბანაობა უფრო გახდის. სუქანი კაცი იქამდის უნდა იყოს აბანოში, ვიდრე ძლიერი ოფლი არ მოუვა. მკლე კაცი მხოლოდ ნელთბილ აბანოში უნდა შევიდეს, მალე გამოვიდეს და თბილად შეინახოს თავი.

ცივ წყალში ისეთმა კაცმა უნდა იბანოს, რომ გული და სტომაქი ჯანმრთელი ჰქონდეს. ბერსა და ყმაწვილს ცივ წყალში ბანება აწყენს.

ცივ წყალში ისეთმა კაცმა უნდა იბანოს, რომ სურავანდი ან ხველა არა სკირდეს, ან დედაკაცთან ახლად მისული არ იყოს, ან ნარბენი და დაღლილი არ იყოს. ამას გარდა, ცივ წყალში ბანება არ შეიძლება ზამთარში, არც დილით, არც საღამოთი. ცივ წყალში ბანაობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულში, შუადღისას და მაშინაც ცოტახანს.

მიწიდან რომ თბილი წყალი გამოდიოდეს, უნდა ვიცოდეთ, რომ თავდაპირველად ეს წყალიც ცივი წყაროს წყალია, და ეს ცივი წყარო როდესაც ან გოგირდის ქანს, ან სხვა რამე მხურვალ ქანს გამოივლის, მხოლოდ მაშინ გათბება. ასეთი წყალი კარგათ რგებს მუნსა, ქეცსა, ციებასა, სიმსივნესა და დაკუტობასა (რევმატიზმს).

ამგვარ აბანოში დიდხანს ყოფნა იწვევს ათვის ტკივილს, მაგრამ რგებს ძილსა და საქმლის მონელებას.

სიარულის ანუ მოძრაობის წესები: სიარული კარგია მხოლოდ მაშინ, როცა კაცს საქმელი მონელეზული აქვს. სიარ-

რული სტომაქს ამსუბუქებს, შველის საკმლის მონელებას, ტანს სითბოს მატებს და კაცს ელფერს უკეთებს. სიარული სახსრებს არბილებს.

სიარული მარგებელია, ვიდრე კაცს ტყავი აევსება და ცოტა ოფლს დაახამს. მაგრამ ბევრი სიარული და ბევრი ოფლის დენა მაწყინარია. ისიც მაწყინარია, თუ კაცი სულ ერთ ადგილზე იჯდება. ერთ ადგილზე ჯდომა და უმოძრაობა ბალღამს მატებს, გულსა და სტომაქს შეჭკრავს ისე, რომ კაცს საკმელი აღარ მოუნდეს. ამ მდგომარეობაში კაცს ხილთები გაუმრავლდება სხეულში და დასნეულდება.

უმოძრაობა კაცს ასუქებს.

ძილისა და სიფხიზლის წესები: კარგი ძილი ის არის, რომ კაცი მუდამ ერთსა და იმავე დროს იძინებდეს. კაცი დასაძინებლად მაშინ უნდა დაწვეს, როცა საკმელი მოქარვებას დაუწყებს. დღე-ღამეში რვა საათის მეტი არ უნდა დაიძინოს. დღისით თუ არ დაიძინებს, უკეთესია. მაგრამ თუ დღისით დაიძინებს, სჯობს შუადღემდის დაიძინოს. როდესაც კაცი დასაძინებლად დაწვება, ჯერ მარჯვენა მხარეზე უნდა დაწვეს და მერე მარცხენაზე გადმობრუნდეს; თუ მუცელზე დაწვება, საკმელს უკეთესად მოიძნობს. თუ საკმელნაპკამი კაცი გულდაღმა დაწვება, ავი არის. ნორმალური ძილი კაცს ძალას მატებს, დაღალვას და დაღეწილობას ტანიდან გაუგდება, საკმელს ადრე მოაქარვებს.

მაგრამ ბევრი ძილი არ ვარგა, კაცს ტანს დაუმძიმებს და სიგრილისაკენ გადააგდებს. ბევრი უძილობაც მაწყინარია, კაცს დამალს გაუხმობს და დაუმძიმებს. დღისით ბევრი ძილი კაცს აწყენს, ელფერს გაუყვითლებს და ტყირპს გაუდიდებს, ბალღამს აუშლის და გაუმრავლებს.

ბევრი ძილი კაცს დააზარმაცებს, საკმელს აღარ მოანდომებს და გამოაყრუებს. თუ კაცი ორ-სამ დღეს არ დაიძინებს, ჰკუა „შეეშლების და ძალსავით ყეფას დაიწყებს“, ე. ი. გულმოსული და გაბრაზებული იქნება. თუ კაცი დღისით ძილს არის დაჩვეული, ერთბაშად არ უნდა მოიკვეთოს—თანდათანობით უნდა გადაეჩვიოს.

რწყევების თათბირები: თუ გულმა და სტომაქმა რწყევა მოინდომოს, უკეთესია თუ კაცი არწყევს, და თუ არ არწყევს, მაწყინარია. თუ კაცსა ტანში შეკრულობა სჭირს, უკეთესია გასახსნელი საკმელები. სკამოს და აგრეთვე შარბათები იხმაროს. თუ ამან არ უშველოს, ოყნა უნდა იხმაროს, ან გასახსნელი შაფები უკანა კარიდან ააღებინონ.

სქესობრივი კავშირის წესები. სქესობრივი აქტი კაცმა მაშინ უნდა მოახდინოს, როდესაც კაცი ჯანმრთელია. საღი სქესობრივი აქტის შემდეგ კაცს გულმა და ტანმა უნდა მოუხუენოს, კაცი უნდა ტანში ასუბჟექტეს და მაშინვე ძლივ მოუვიდეს. ჯანსაღი სქესობრივი აქტი კაცს კარგად მოუხდება და გაამზიარულებს, ნაღველსა და ჯაგრის გაუგდებს კაცმა სქესობრივი აქტი სურვილისამებრ უნდა განახორციელოს, წინაღმდეგ შემთხვევაში თავი ბრუნვას დაუწყებს და თვალთ დაუბნელდება, სხეულის ქვედა ნაწილი ტკივილს დაუწყებს, „მუხლნი და წელნიცა ანტყიდებინან“.

გადაქარბებულთ სქესობრივი ცხოვრება კაცს კარგად არ მოუხდება, დაღუწს და დააღუნებს, ძალსა და ძლიერებას წაართმევს, ხალისსა და ნდომას წაუღებს, მადან დაუკარგავს, გულსა და სტომაქს დაუხუსტებს. კაცს დაამკლუებს და გაანმოშს, ძალას წაართმევს წარბსა და წამწამსა გააყრუვინებს.

სქესობრივი აქტი არ შეიძლება განხორციელდეს, როცა კაცი უხშია ან მწყურვალი, ან აბანოშია, ან ახლად ხისხლო აქვს გამოშვებული, ან გასახსნელი წამალი აქვს დაღუწული, ან ურწყევია, ან მწოვედ შარდი უნდოდეს, ან მუცელში ქარები უტრიალებდეს—ყველა ამ შემთხვევაში სქესობრივი აქტი მაწყინარია და ბევრი სენის აღმძვრელი.

მაწყინარია აგრეთვე, თუ ბევრი სხვა და სხვა დედაკაცთან დაქვრის საქმეს, ან შეტად მტორწლოვან ქალთან, ან დიდის ხნის კაციუნახავ დედაკაცთან, ან უშვილო, ურწან დედაკაცთან ან ისეთ დედაკაცთან, რომელზედაც გულთ არ მისდის და ეზომილება—ყველა ამ შემთხვევაში სქესობრივი აქტი მაწყინარია, კაცს დააუხსტებს და დაავადმყოფებს.

მაწყინარია აქრთვე სქესობრივი აქტის დაქვრა ზებე დგომით ან გვერდზე წოლით. მაწყინარია აგრეთვე დედაკაცის გადაჭარბებულ აქტიუობა ამ საქმეში. ახუცე მაწყინარია სქესობრივი აქტის განხორციელება აბანოში და ისიც გაუყურდმართებითა.

თვითონ გაწმენდის დროს დედაკაცთან კავშიროს დაქვრა მხენებელია; თუ ამ დროს დედაკაცი დაორსულდეს—მაგში დღენსაღულთ და დეფექტური ბუნება.

თუ სქესობრივი აქტის მამაკაცი უფრო აღროვ არ ათავებს დედაკაცზე, ამ შემთხვევაში ხდება კაცის თესლის ჩაქცევა ნათესლეში და იქ დაღობა—რაც მწყვეს კაცის ხასქესო ორგანოების დაავადებას.

ონანიზმი ანუ „ხელით ჯაღლი“ რომ ქნას კაცმა, თნც ავი არის—კაცს ნაღველს მოუმატებს, დაასუსტებს და ქარს აუგდებს.

ამ ზოგადი ჰიგიენური წესების შემდეგ აწერილია თუ წლის რომელ „ფასლში“ ანუ დროს როგორი ჰიგიენურ-დიეტეტიური საშუალებანია საჭირო ჯანმრთელობის დასაცავად.

1. გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე საჭიროა სისხლის გამოშვება, გასახსნელი წამლის სმა, რწყევა. ამ დროს კაცმა ბევრი ხორცი არ უნდა სჭამოს. ბევრი არ ისაჯოს, ტკბილეულობას უნდა, ერიდოს, აბანოში ხშირად არ უნდა იაროს. ცხარე, ტკბილი და მწარე საკმელები არ უნდა სჭამოს და ტანზე თხელი კაბა უნდა ჩაიცვას.

2. ზ ა ფ ხ უ ლ შ ი კაცი უნდა მოსვენებით იყოს და ბევრი არ ისაჯოს. მუდამ ჩრდილში უნდა იჯდეს. მხურვალ საკმელებს უნდა ერიდოს. საერთოდ ზაფხულში კაცმა საკმელი ცოტა უნდა ჭამოს, ხილებში უკეთესია სჭამოს ქლიავი, საზამთრო, კიტრი და სხვა ხილს ნუ ეჭარბება.

კაცმა ზაფხულში ქათნის (ტილოს) პერანგი უნდა ჩაიცვას, რომ ტანი კარგად შეინახოს.

3. შ ე მ ო ღ გ ო მ ა ზ ე ბევრი სქესობრივი აქტის განხორციელება საზარალოა. ცივ წყალში ბანებაც არ ვარგა, არც ცივი წყლის სმა არის კარგი. თავზე ცივი წყლის დასხმა და თავშიშველა სიარული შავნებელია. ამ დროს ბევრი ხილის ჭამა არ ვარგა—სასარგებლოა აბანოში ხშირად სიარული.

4. ზ ა მ თ ა რ შ ი კაცმა თავი თბილად უნდა შეინახოს, თბილი ტანსაცმელი უნდა ჩაიცვას. სქელი და გრბოიანი და ავი საკმელები არ უნდა სჭამოს. საკმელებში უკეთესია ცომიანი საკმელები და ბრინჯი: ხორციული უსათუოდ მხურვალი სანელებლით უნდა იყოს შემზადებული—პილპილითა, მიხაკითა და სხვა მხურვალი ბალახებითა. აგრეთვე კარგია მხურვალი მტილეულის და მწვანილის ბევრი ჭამა, როგორც არის, ბოლოკი, თაღვამი, სტაფილო, წიწმბატი, კომბოსტო, ნიახური, ცერეცო, ქონდარი, კამა.

ზამთარში გრილსა და ნელლ სასმელ-საკმელს მორიდება უნდა.

ამის შემდეგ აწერილია ჰიგიენურ-დიეტეტიური ზომები ახლად გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ.

კაცი რომ ავადმყოფობის შემდეგ აღგება, ასოები და სახსრები სუსტად ექნება. სისხლი ცოტა და სული შევიწროებით—ხუთ დღემდის კაცმა ხორცი არ უნდა სჭამოს „და უხორცოდ ამ ხორცების შეჭამადი უნდა ჭამოს“—ეს იმიტომ, რომ საკმელი აღვილად მოინელოს, და ხელახლად არ შეაქციოს. როგორ დიეტასაც იცავდა ავადმყოფობაში, ისეთივე დიეტა უნდა დაიცვას ავადმყოფობის შემდეგ სამი-ოთხი დღის განმავლობაში. მეოთხე, მეხუთე დღის შემდეგ კი

ექმევა ბრინჯით მოხარშული ვარიის წვენი და ამ ვარიის კისერი, საფრინავი (ფრთა) და ქვემო ბარკალი. შემდეგ დღეებში კი ვარიის ტანი სრულიად რომ აკამონ, შიში აღარ არის.

მეოთხესა და მეხუთე დღეს „ან ბატენისა და ან თიკნის კისერი და ფეხები კარგად მოხარშონ და აკამონ. ათსა, თორმეტსა დღესა ამ საკმელებს უნდა დასჯერდნენ, მაგრამ საკმელი ცოტა-ცოტა უნდა აკამონ“.

სასმელებში კარგია ასევე შემდეგი შარბათები: ლიმოსი, ახალი ვარდისა, ვაშლისა, კომშისა, იისა, ბროწეულისა, გაეზაბანისა, ვენახის ღიჭისა, ლულუფრისა, ბროწეულისა.

ამრიგი ნაავადმყოფარი კაცი მოსვენებით უნდა იყოს და არ ირუჯებოდეს— არც უნდა მოიშინოს და არც მოიწყურავს. თუ აბანო მოუნდეს, ნელ-თბილ აბანოში უნდა იბანოს, აბანოს წყალი მლაშე არ უნდა იყოს, აბანოში დიდხანს არ უნდა დაჰყოს.

ბევრ უძილობას, ბევრი ოფლის დენას და ბევრი შეავის კამას ნაავადმყოფარი კაცი უნდა ერიდოს.

ზაფხულში საკმელი ადრე უნდა აკამონ, სიცხემდის, ზამთარში კი, პირიქით, მზე რომ კარგად ამოიწვეროს, მაშინ აკამონ.

ახლად ნაავადმყოფარი კაცი ისე უნდა შეინახონ, რომ არ შეაშინონ, არც ხმა უნდა გააგონონ, და არც ისეთი რამ სანახავი უჩვენონ, რომ გულში შეშინდეს, თუ არა და უსათუოდ შეაქცევს.

სურნელოვან რამეებს უნდა უსუნებდეს: ამბარსა, მუშქსა, ლადანასა, ლალიასა და ამათ მსგავს სურნელოვან მცენარეებს მაგ.: ვარდსა, იასა, ზამბახსა, ზაფრანასა, რეჰანსა, იასამანსა, უღსა, სანდალსა, ვაშლსა და კომშსა.

ახლად ნაავადმყოფარი კაცი ისე უნდა იქცეოდეს და ისეთს ალაგას იმყოფებოდეს, როგორც თითონ ესიამოვნება. ბევრი არ უნდა ისაჯოს, ბევრი არ უნდა ილაპარაკოს— არც ბევრს ელაპარაკონ. და თუ ელაპარაკონ, რაც მას ესიამოვნება, ის უნდა ელაპარაკონ. ამგვარ ავადმყოფს „თავის საყვარლის ნახვა ყოველსა წამალსა უჯობს“.

ბოლოს, ლამაზი ადამიანის ნახვა, ლამაზი პირუტყვის ნახვა, ლამაზი ალაგის ნახვა, ლამაზის ხმისა და საკრავის გაგონება ესე ყველა კარგი არის. ვიდრე კაცი მოიჩივრებოდეს, დედაკაცთან მისვლას უნდა ერიდოს.

ორსულობის ჰიგიენა და დიეტეტიკა. ორსულობის ნიშნები ასეთია: როდესაც დედაკაცს დედათწესი აღარ დაემართება, გული რევასა და ბნელად დაუწყებს, გული და სტომაქი ტკივილს და საკმელი აღარ მოუნდება, მაშინ დედაკაცი ორსულად არის. ამ დროს

დედაკაცი მოსვენებით უნდა იყოს, მძიმე არაფერი ასწიოს, გასახსნელი და საარწყვევი წამალი არ უნდა სვას. ორსულობაში სქესობრივი აქტის დროს ფრთხილად უნდა იყოს.

ორსულ დედაკაცს უნდა ასვან ვაშლისა, კომშისა და უდის შარბათები. უკეთესია თუ ამ შარბათებში მუშკსა, ამბარსა და ინდოური ნიგვზის გულს და ჯაეზსაც გაურევენ. ორსული დედაკაცი მუდამ კეცს უნდა ლეკედეს და მუშკსა, ამბარსა, ლადანსა, ლალიასა, ვარდსა, იასა, რეჰანსა, ზამბახტსა და ზაფრანას უსუნებდეს. რასაც კარგი სუნი უდიოდეს, ყველაფერს. უნდა უსუნებდეს, რომ „გულსა, სტომაქსა და მარტკილსა სამსავ ძალი მისცეს“.

ორსული დედაკაცი უნდა სკამდეს შემდეგ საკმელებს: წმინდა პურსა, ვარიასა, ხოხობსა, დურაჯსა, თიკანსა და მამალი ცხერის ხორცსა. უკეთესია თუ ეს საკმელები მკვებებით იქნება შექნილი—ლიმთით, ისრიმითა, კოწახურითა, მოცხარითა, თუთუბოთით და სხვა.

ხილებში უკეთესია აქმევდნენ ვაშლსა, სხალსა, კომშსა, ბროწეულსა და ყველა მომეაო ხილსა.

მწვანილთაგან: პიტნასა, ტარხუნასა, ქინძსა.

ორსულმა დედაკაცმა ბევრი საკმელი არ უნდა სკამოს. დღეში ორჯელ—სამჯერ უნდა სკამოს და ისიც ცოტა ცოტა.

ცხარესა, მწარესა და ქარიანსა სასმელსა და საკმელს უნდა ერიდოს.

ავადმყოფი ადამიანის მოვლის, კვებისა და მკურნალობის ზოგადი პრინციპები. ცხელების შეტევისა და კრიზისის დროს ავადმყოფს საკმელი არ უნდა აქამონ. ყველა ავადმყოფობის დროს კარგი და სასარგებლოა ავადმყოფის გამზიარულება და საყვარელი კაცის ნახვა, სურნელოვანი რამის ყნოსვა, კარგი ხმის გაგონება, ლამაზი ადამიანისა და ლამაზი პირუტყვის ნახვა, კარგი საუბრის გაგონება. ყველაფერი ეს განსაკუთრებით კარგად მოქმედებს მაშინ, თუ კაცი სევდისაგან ან ნაღვლისაგან არის ავად. სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას, სუნსა თუ ქირს თავთავისი შესაფერი წამლები უნდა.

1. თუ კაცი სისხლის სიმბურვალისა და საფრისაგან იყოს ავად, ამრიგი სენის პატრონს საკმელი გრილი და მზე უნდა აქამონ, გრილი წამლები ასვან, გრილი ტლები შემოსდვან, გრილ სასუნებლებს ასუნებინონ, ე. ი. ყველაფერი გულისა, ლეიძლისა და სტომაქის გამაგრილებელი უნდა მისცენ.

2. თუ კაცი სიგრილისა და ბალღმისაგან იყოს ავად, მაშინ მბურვალი წამლები და შარბათები უნდა ასვან, მბურვალი ტლები

შემოსდევან, მხურვალს სასუნებლებს ასუნებიონ და ყველაფერი ისეთი უნდა მისცენ, რომ სიგრილის სენი და ქარი გულსა, ფილტვსა და სტომაქიდან გაუგდოს.

ა. თუ ავადმყოფს სისხლი სქარბობდეს, ხელი (ვენა) უნდა გაუხსნან და სისხლი გამოუშვან. თუ ავადმყოფი ძალიანად იყოს, სისხლის გამოშწოვი კოტოში უნდა მოჰკიდონ—მაშინ ხელის გახსნა საჭირო არ არის.

თუ ავადმყოფი ძალიან სუსტად იყოს, ნურც ვენას გაუხსნიან და ნურც კოტოშს მოჰკიდებენ.

მხურვალე სენების დროს შემდეგი გასახსნელი შარბათები უნდა ასევე: ახალი ვარდის, იისა, ლულუფრისა, შაჰთარას, ლიმოსი, ისრიმისა, კოწახურისა, უშხუნისა, თამრი ჰინდისა, მეთაუნასი, ბროწეულისა, ხართუთასი, უნაბისა, ვენახის ლიქისა, ვაშლისა, ქლიავისა, კომშისა, მაცვლისა და სიქანჯუბინისა.

თუ ავადმყოფი გახსნით იყოს, მაშინ შეეკრავი შარბათები უნდა ასევე: მარსინისა, სანდლისა, კომშისა, ბროწეულისა, ვაშლისა, ლიმოს, კოწახურისა, ისრიმისა და უშხუნისა.

თუ შეკრულობასთან სიმხურვალეცა ჰქონდეს, მაშინ ავადმყოფს უნდა ასევე ვარდის წყლით გალესილი ახალი ვარდის შარბათი, ან იისა, ლულუფრისა, თაბლი ჰინდისა, ქერამისა, ქლიავისა, შაჰთარასი.

თუ ავადმყოფი სუსტად იყოს და კიდევ ახველებდეს, მაშინ შეევე სასმელ-საქმელი და შეევე შარბათები არ მიეცემა.

თუ კაცი სიციხითა და სიმხურვალით იყოს ავად, ვარდის, კაჰაჰისა, მსუქანას ბალახისა და სალათას წყალი გამოხადონ და ასევე და ყველა საქმელი უნდა აჰამონ მეთაუნითა, ისრიმითა, კოწახურითა მოცხარითა, თუთუბოთი, ნარდანგიითა, ხართუთითა და მაცვლითა.

ბ. თუ კაცი საფრა სქარბობდეს, მაშინ სარწყევი წამლები უნდა მისცენ, რომ სხეული საფრისგან გასწმიდონ. და გრილსა და ნედლ შარბათებს უნდა ასმევედნენ—იის შარბათს, ლულუფრისა, ქლიავისა, ქერამისა, თაბლი ჰინდისა და შაჰთარას შარბათს.

თუ ავადმყოფი მუცელში გახსნილობამ შეაწუხოს, მაშინ შემკრევი შარბათები უნდა მისცენ მაგ.: ლიმოსი, ისრიმისა, კოწახურისა, უშხუნისა—ეს შარბათები უნდა ასევე ან გავზაბანის წყლითა, ან ვარდის კაჰაჰის წყლითა და ან სხვა გრილი ბალახების წყლითა.

ამგვარ ავადმყოფს ცომას შექამადები და ვარიის ხარშო უნდა აჰამონ და საფრთანსა და საფრის გამაძალიანებელ საქმელებს ყველას უნდა არიდონ.

გ. თუ კაცსა ბალღამი სკარბობდეს: მაშინაც სარწყვეი წამლები უნდა მისცენ, რომ ბალღამი რწყევით ამოალეზინოს. ამგვარ ავადმყოფს უნდა აკამონ ქათმის ხარშო, აგრეთვე თაფლი, ტრედის ხუნდი, ჰავკავი, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, მამალი ცხერის ხორცი—ყველაფერი მხურვალე უნდა აკამონ. ბალღამიანსა და ქარიან სასმელ-საქმელს უნდა არიდონ, გრილი და ცივი საქმელი არ უნდა მისცენ, ცივი წყალი არ უნდა დაალევიონ. გარეთ, წყლის პირსა და ცივ ალაგს ავადმყოფი არ უნდა დააწვიონ.

დ. თუ კაცსა სევედა სკარბობდეს: სარწყვეი მათფუხი აფთომონისა უნდა ასეან, ან სხვა სარწყვეი წამლები. ათი დღის შემდეგ მსუქანი ვარიისა და მსუქანი ხარშოები უნდა აკამონ და შემდეგი შარბათები ასეან: უმუზისა, ლიმოსი, გავზაბანისა, შაპთარასი, ლულუფერისა, იისა, უმზუნისა, კოწახურისა, თაბლი ჰინდისა და სანდლისა.

ამგვარ ავადმყოფს მხურვალე, ნეღლი, მსუქანი და ცხიმიანი სასმელი და საქმელი უნდა მისცენ და ხმელ ყველსა, ხმელ ხორცსა, ხმელ თევზსა და მაწონს არიდონ.

ამგვარი ავადმყოფი გრილსა და ჩრდილ ალაგს მოსვენებით უნდა დაჯდეს და არ გაისაჯოს. წყნარად უნდა იმოძრაოს და ბევრი არ დაიძინოს.

წამლები ისეთს დროს უნდა მისცენ, რომ არც ძალიან ცხელოდეს და არც ძალიან ციოდეს.

პრაფილაქტიკა. ცნობილია, რომ პირადი პროფილაქტიკის მიზნით და ჯანმრთელობის დასაცავად მიმართავენ წელიწადში რამდენჯერმე ტანის გაწმენდას გასახსნელი და სარწყვეი წამლებით, სისხლის გამომწეებას ან მკლავის გახსნით, ან სისხლის გამომწოვი კოტრუმების მოკიდებით. აქ აწერილია ამგვარ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესრულების წესები.

1. გასახსნელი წამლის მიღების წესები. გასახსნელი ჯულაბი და წამლები გაზაფხულზე და ვარდობაში უნდა აღებინონ, ან შემოდგომაზე. მობერო (ხანშიშესულ) კაცს უსათუოდ შემოდგომაზე უნდა აღებინონ. მარტვილსა და უასაკო ადამიანს გასახსნელი წამალი სრულიად არ უნდა აღებინონ. გასახსნელი წამლის აღების წინ, სამ დღეს კაცმა ხილთების დასალბობი საქმელები უნდა სკამოს და აბანოში ხშირად შევიდეს.

სტომაქმხურვალ კაცს გასახსნელი წამლის მიცემა აწყენს, იმიტომ რომ, თუ წამალს სტომაქის სიმხურვალე მოერევა, წამალი კაცს ველარ გახსნის და წამლის სიმხურვალე და ძალი კაცს გახეთქს და მოჰკლავს.

წამლის მიღებამდე კაცს ისეთი საკმელები და სასმელები უნდა აქამონ და ასეან, რომლებიც იმ ხილთს გახსნიან, სხეულში რომ მოკარბებულა, და რომლისგანაც აუცილებელია სხეულის გაწმენდა; მაგალითად: თუ სისხლი და საფრა სკარბობდეს, მხურვალი და ხმელი სასმელი და საკმელი უნდა მისცენ; თუ სევდა და ბალღამი სკარბობდეს, მხურვალი და ნეღლი.

კაცმა გასახსნელი წამალი ისეთს ადვილს უნდა მიიღოს, რომ იქ არც ძალიან ცხელოდეს და არც ძალიან ციოდეს.

წამლის მიღების წინ ცოტა უნდა დაიძინოს, წამლის მიღების შემდეგ კი ძილი არ შეიძლება.

კაცმა გასახსნელი წამალი ისეთს დროს უნდა აიღოს, რომ სტომაქი ცალიერი ჰქონდეს, მაგრამ ჯერ არ მოშივნოდეს.

ბევრი კაცი არის, რომ გასაწმენდი წამლის მიღება ეზიზღება, გული ერევა და ამ მიზეზით წამალს ვეღარა სვამს. ამრიგ კაცს ორივე თვალი უნდა აუკრან და ცხვირის ორივე ნესტო ბამბით გამოუტენონ, რომ წამალი თვალით ვერ დაინახოს და წამლის სუნიც აღარ ეცეს.

თუ გასახსნელი წამლის მიღების შემდეგ კიბმა და მუცელმა ტკივილი და გრება დაუწყოს, მაშინვე თბილი წყალი უნდა სვას და გაიარგამოიაროს.

წამლის მიღებამდე სამ დღეს და მიღების შემდეგ სამ დღემდის კაცი სქესობრივ კავშირს უნდა მოერიდოს.

წამლის მიღების შემდეგ თბილად უნდა შეინახოს თავი და ცივი წყალი არ უნდა სვას—თუ უწყლოდ ვერ გასძლოს, თბილი წყალი უნდა სვას.

როცა გასახსნელმა წამალმა კარგად იმოქმედოს, კაცი გახსნას და მორჩეს—კარგი და შემრგო საკმელები უნდა აქამონ, კარგი და მსუქანი ვარიები, სამამლე ცხერის ხორცი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი. თუ აბანოს ითხოვდეს—აბანაონ.

თუ გახსნამ კაცი ძალიან შეაწუხოს, ორივე ბარკალი და მკლავები სათაგვეებთან ხელსახოცით შეუკრან, სანდლისა, ვაშლისა და კომშის შარბათები ასეან მოხალული რეჰანის თესლითა.

თუ გასახსნელმა მუსილმა კაცი არ განსნას, ვაშლი ან კომში ალექონ და ამათი წვენი აყლაპონ: თუ არც ამით განსნას, გასახსნელი შაფები ააღებინონ. თუ არც ამან იმოქმედოს, ოყნა უყონ, და თუ არც ამან გასკრას, მკლავი გაუხსნან და კარგა სისხლი ადინონ.

2. რ წყევვის წესები. თუ კაცს მკერდი ვიწრო აქვს და, ყელგრძელი არის, ან ყელი წვრილი აქვს, ან ყელში სიმსივნე აქვს, ან

თუ კაცი ძნელად და გაპიროვებით არწყევდეს, ან თუ დედაკაცი ორსულად არის, უკვლა ამ შემთხვევაში რწყევვის გამომწვევი წამლის მიღება არ შეიძლება.

თითონ რწყევვის დროს კაცმა ორთვე თვალი უნდა აიკრას და შეკვლი შეიხუროს და ძაზე არწყვიოს. რწყევვის შემდეგ ხელი და პირი ცივის წყლით უნდა დაიბანოს და ცივის წყლით პირი გამოირეცხოს.

კაცმა რომ ორ დღეს ზედიზედ არწყვიოს, ხუთ დღეს უნდა მოიხუროს.

3 სისხლის გამოშვების წესები. კაცი რომ გრილის სტრამპიანა იყოს, ან ცივი დღე იყოს, ან კაცი ხუსტად იყოს, ან დიდბანს აბანოში ყოფილიყოს, ან ციებ-ციხულების შეტყევა ჰქონდეს, ან უასაკო იყოს, ან ბერი იყოს, ან კაცი ახლად დედაკაცთან მისულ-იყოს, უკვლა ამ შემთხვევაში სისხლის გამოშვება მანყინარია.

კაცი რომ სისხლს გამოუშვეს, ამის შემდეგ მარილიანი საკმელი არ უნდა სკვამოს.

ზაფხულში კაცმა ხელი სიგრილის დროს უნდა გაიხსნას, ზამთარში კა მზე რომ კარგად შემადლდეს. ხელის გახსნისას კაცმა მანძის უნდა იდინოს სისხლი, ვიდრე შავი და სუნიანი სისხლის შემდეგ ყირბიზი სისხლი არ გამოინდება და სუნი არ დაეკარგება.

თუ სისხლის გამოშვების დროს კაცი შესუსტდეს და შემინდეს, მიშინვე სისხლი უნდა დასწყვიტონ და შემდეგი შარბათები ასეან: ვაშლისა, კამშისა, ბროწყურლისა, ან ახალი ვარდისა.

ადამიანს ხამი მთავარი ძარღვი აქვს. სრულად ზემო თავისა ძარღვსა ყოფალი ჰქეიან, ხაშუალსა ძარღვსა აქვალი და სრულად ქეეზისა ძარღვსა მასალიყო. თუ კაცსა ზემო ძარღვსა გაუტანით, რომე ყოფალი ჰქეიან, რაც ყვლსა და ყვლხეთი მანკი და სისხლის სენი არის, უკვლას გასწმელს და ხამოილეს. და თუ საშუალსა ძარღვსა გახსნიო, რომე აქვალი ჰქეიან, თავსა, ყვლსა, სრულად ტანსა და ყოფლსა ასოსა გასწმელს. თუ სრულად ქეეზისა ძარღვსა გაუტანით, რომე მასალიყო ჰქეიან, წვლსა და სარტყელ ქეეშეთსა უკვლას გასწმელს.

4 ოყნის გაკეთება. ოყნისთვის დამზადებული წამალი უკრასა მომცროს ტიკპორაშიგა უნდა ხაასხათ და იმა ტიკპორასა ვრათ ღულა გამოაწყვოს, რომე ეს ღულა ნყის სისხრო იყოს და ხუთის თითის დაღება ხორაზე ჰქონდეს, და მერაზე პირდაღმა სასთაულზედა ეს კაცი ვარდააწვინონ და ეს ღულა უკანას კარიდაღმან შეუფონ და ეს წამლები უკანის კარიდაღმან წყნარად და წყნარად ხაას-

ხან. და რა ეს წამლები სრულად ჩაასხან, ეს ლულა კი გამოიღონ და უკანა კარი მგრაღ დაუქირონ, და მუცელი კარგად მოუზილონ და მგრე ააყენონ, დააკუკონ და ეს წამლები დაალურჯებინონ².

საძვგ და სანაღვანლო საშუალებათა თვისებანი.

როგორც ზემოთ ვნაეთ, კლასიკური მედიცინა ემყარება შემდეგ ფილოსოფიურ საექიმო პრინციპს: ქვეყანაზე არსებობს ოთხი სტიქიონი 1. წყალი. 2. მიწა. 3. ცეცხლი. 4. ჰაერი.

ადამიანის სხეულში ამათ უთანასწოროდება ოთხი ელემენტი ანუ ხილთი 1. სისხლი. 2. სევდა. 3. ზაფრა. 4. ბალღამი.

ცეცხლი—მზურვალა,
ჰაერი—გრილი,
წყალი—ნედლი,
მიწა—ხმელი;

თავისი ბუნებით სისხლი უდრის ცეცხლსა და ჰაერს, თვისებით მზურვალა და ნედლი.

სევდა უდრის მიწას, თვისებით გრილია და ნედლი.
ზაფრა უდრის ცეცხლს, თვისებით მზურვალა და ხმელი.

ბალღამი უდრის წყალს, თვისებით გრილია და ნედლი.

მაშასადამე, თვისებათა მიხედვით სხეულის ეს წევრები ანუ ხილთები ლაგდებიან ასე:

სისხლი—მზურვალი და ნედლია.
ზაფრა—მზურვალი და ხმელი.
ბალღამი—გრილი და ნედლი.
სევდა—გრილი და ხმელი.

რაკი ამ ოთხი ელემენტის ნორმალური შეზავება არის მთავარი პირობა ჯანმრთელობისა, ამიტომ ამ ნორმალური შეზავების მოშლა, გამოწვეული ამათუიმ ელემენტის ანუ წვენის გაძლიერებით ან შემცირებით, იწვევს ამათუიმ ავადმყოფობას მაგალითად: თუ სისხლი გაძლიერდა, მაშინ ავადმყოფი დაავადდება სიმზურვალით და სინედლით.

თუ ზაფრა გაძლიერდა—სიმზურვალით და სინმელით.

თუ ბალღამი გაძლიერდა—სიგრილით და სინედლით.

თუ სევდა გაძლიერდა—სიგრილით და სინმელით.

ამათუიმ ელემენტის ანუ წვენის შემცირების დროსაც სხეული ქვარჯავს ანალოგიური თვისებებს, მაგალითად:

თუ სისხლი შემცირდა—სხეულს უმცირდება და
ეკარგება სიმხურვალე და სინედლე.

თუ ზაფრა შემცირდა—სიმხურვალე და სინემლე.

თუ ბალღამი შემცირდა—სიგრილე და სინედლე.

თუ სევდა შემცირდა—სიგრილე და სინემლე.

ცნობილია აგრეთვე, რომ კლასიკური მედიცინის ურყევ პრინციპს ავადმყოფობათა მკურნალობაში შეადგენდა *Contraria Contrariis*, ესე იგი ავადმყოფობის წინააღმდეგობის გაწევა საწინააღმდეგო საშუალებით, მაგალითად,

ცხელს—ცივი,

გრილს—თბილი,

ცივს—ცხელი,

ხმელს—ნედლი,

ნედლს—ხმელი.

აქედან გასაგებია, რომ სასმელი, საკმელი, სამკურნალო მკურნალობა და ყოველგვარი წამლეულობა შესწავლილი და დამუშავებული იყო ამ ოთხი თვისების მიხედვით, როგორც:

მხურვალე და ნედლი,

მხურვალე და ხმელი,

გრილი და ნედლი,

გრილი და ხმელი.

რაკი იცოდნენ ამათუიმ საკმლის თუ სამკურნალო საშუალების თვისებანი სიმხურვალის, სიგრილის, სინედლისა და სინემლის მიხედვით და იცოდნენ აგრეთვე, თუ რითი იყო სხეული დაავადებული—სისხლით, ზაფრით, ბალღამით თუ სევდით—ანუ რაც გულისხმობდა სხეულის დაავადებას სიმხურვალით, სიგრილით, სინედლით და სინემლით, დასკვნა უკვე ადვილი იყო: თუ რა თვისების ავადმყოფობით დაავადებულისათვის რა თვისების სასმელი და საკმელი ან და წამლეულობა მიეცათ ზემოთაღნიშნული პრინციპის მიხედვით—„წინააღმდეგობის გაწევა საწინააღმდეგო საშუალებით“, ესე იგი, თუ სხეული ავად გახდებოდა სიმხურვალით და სინედლით, მისთვის უნდა მიეცათ ყველაფერი გრილი და ხმელი, თუ სიმხურვალით და სინემლით—გრილი და ნედლი და წინააღმდეგ.

კომბინაციები როგორც კვებაში, ისე მკურნალობაში ფართო და მრავალმხრივი იყო, თუ მივიღებთ მხედველობაში საკვებ და სამკურნალო საშუალებათა სიბევრეს.

წინამდებარე წიგნი ზედმეტად საგულისხმოა იმით, რომ აქ არის მოცემული თითქმის მთლიანად კლასიკური მედიცინის საკვები თუ

სამკურნალო საშუალებანი მათი ამ თვისებების განხილვით. რასაკვირ-
ველია, ყველაფერი ეს შეგუებულია საქართველოს პირობებთან და
ამჟღავნებს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ხალხის მიერ ხმარებულ სასმელ-
საქმელ და სამკურნალო საშუალებათა სიუხვეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო ავადმყოფობის დროს,
ნორმალურ მდგომარეობაშიც სხეულები განიყოფებიან სხვა და სხვა
ტიპებად, იმისდა მიხედვით, თუ რომელი წვენის თუ ხილთის სიმ-
რავლის თუ სიცოცხლის ტენდენციას ამჟღავნებენ, მაგალითად: „სის-
ხლის ფრთე კაცი“, „ნევდიანი კაცი“, „ზაფრის ფრთე კაცი“, „სტო-
მაქ გრილი“, „ღვიძლ მხურვალე კაცი“ და სხვა. ისე რომ, აღნიშ-
ნულ თავებს, სადაც აწერილია სასმელ-საქმლის თვისებანი, აქვთ
აგრეთვე პროფილაქტიკური მნიშვნელობაც, ანუ რა თვისებისა და
მიდრეკილების კაცმა რა სასმელ-საქმელი უნდა იხმაროს თავიდან
ასაცილებლად ამათუიმ ავადმყოფობისა, რომელიც მას ემუქრება
მისი კონსტიტუციის მიხედვით.

აღნიშნული თავები საგულისხმოა კიდევ იმით, რომ აქ მელაგ-
ნდება ქართველი ხალხის პირის გემო და ამ გემოვნების სირთულე
და სინაზე თუ სიფაქიზე, რაც თავისთავად გულისხმობს ჩვენი ხალ-
ხის მაღალ კულტურულ დონეს.

რომ ეს შეხედულებანი ამათუიმ საქმლის თუ სასმლის აკარ-
გიანობაზე და გამოყენებაზე ორიგინალური ქართულია, ექვს არ იწ-
ვევს—ეს შეხედულებანი დღესაც ამგვარია ჩვენს ხალხში და შეუძ-
ლებელია ყველაფერი ეს წიგნიდან ყოფილიყოს იქ შესული.

აქვე უნდა აღინიშნოს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ
ჩვენში და საერთოდ აღმოსავლეთში სქესობრივ უნარიანობას, რაც
გულისხმობდა სიმამაცესა და ვაჟაკობას. აქედან ვასაგებია, რომ
აღნიშნული საკვები თუ სამკურნალო საშუალებანი განხილულნი არიან
იმ თვისებათა მიხედვითაც, თუ რომელი მათგანი უფრო მეტად ამ-
რავლებს თესლს და მატებს თუ აღიზიანებს სქესობრივ მოთხოვნი-
ლებას.

ზემოთაღნიშნულ თვისებათა მიხედვით სეკვები და სამკურნა-
ლო საშუალებანი ლაგდებიან ასე:

პურები.

ხორბალი—შეზავებული და ნედლი არის და ცოტა
სიმხურვალეც ეთქმის.

პურებში ყველაზე უკეთესი წმიდა, გაცირილი და კარგად
გამტკიცული ხორბლის პური არის.

ქერის პური—პირველ წილში გრილი და ნედლი არის.

ბრინჯის პური—გრილი და ხმელი არის.
ბაზლამაჯი—ხმელი და შემკვრელი არის.
ბაქსიმათი—მზურვალი და ხმელბ არის.
ფეტვის პური—გრილი და ხმელი არის.

ხორცი.

ცხვრის ხორცი და ადამის ტომის სტომაქი ერთმანეთზედა შე-
ზავებული არის—ამიტომ ცხვრის ხორცი ხორცებ-
ში ყველაზე უკეთესი ხორცია.

ბატკნისა და თიუნის ხორცებიც უკეთესი ხორცია.

თხის ხორცი—გრილი და მეტად ავი ხორცია.

ძროხის ხორცი—გრილი და ხმელია.

მაწოვარი ხბოს ხორცი—მზურვალი და ნედლია.

მისი ტყინი—გრილი და ნედლია.

ირმის ხორცი—მზურვალი და ხმელია.

მისი ხბოს ხორცი—მზურვალი და ნედლია.

ირმის რქა—მზურვალია.

ჯერნის ხორცი—მზურვალი და ხმელია.

მისი თიუნის ხორცი—მზურვალი და ხმელია.

შელის ხორცი—ავი და მაწყინარია.

ლორის და მისი გოჭი—მოპთადილი და ნედლია.

ხმელი ხორცი—მზურვალი და ხმელია.

გარეული მზეცის ხორცი—მზურვალი და ნედლია.

კატის ხორცი—მეტად მზურვალია.

ქურდლის ხორცი—მზურვალი და ხმელია.

ცხენის ხორცი—მეტად მზურვალია და ნაზუქი.

აქლემის ხორცი—მეტად მზურვალი და ნედლია.

კანჯრის ხორცი—მზურვალი და ხმელია.

ვირის ხორცი—ავი და მაწყინარი ხორცია.

ქათმის ხორცი—მოპთადილი და შეზავებულია.

ქათმის კვერცხი—მოპთადილია.

ღურაჯის ხორცი—მზურვალი, ნაწილი და ნედლია.

კაკბის ხორცი—მზურვალი და ნედლია.

ხოხბის ხორცი—მეტად ნაზუქი და მოპთადილია.

თხისა და ბატის ხორცი—ორივე მზურვალე და სქელია.

ტრედის ხორცი—მზურვალი და ნედლია.

ჭავჭავის ხორცი—მზურვალი და ნედლია.

ახალი თევზის ხორცი—მეტად გრილი და ნედლია.
ხმელი და მლაშე თევზი—მზურვალი და ხმელია.
საყანყურის თევზი—მზურვალი და ნედლია.

ძონი, მარო და ზეთი.

დუმის ქონი—მზურვალი და ნედლია.
შარპა ერბო—ისეთივე ხასიათისა არის, როგორც დუმის ქონი.
მუცლის ქონი—მეტად უშნო და მაწყინარია.
ზეთის ხილის ზეთი—შემოუსვლელი ზეთის ხილის ზეთი გრილი და ნედლია. შემოსულისა—მზურვალი და ცოტად ნედლი.
ნიგვზის ზეთი—მზურვალი და რბილია.

რძე და რძისგან წარმოებულნი სახეებლები.

ძროხის რძე—გრილი და ნედლია.
ცხვრის რძე—გრილი და ნედლია.
თხის რძე—გრილი და ნედლია.
ხაქო—გრილი და ხმელია.
დედაკაცის რძე—ყველა რძესა სჯობს.
რძიანას რძე—მზურვალი და ხმელია.
ვირის რძე—გრილი და ნედლია.
აქლემის რძე—მზურვალი და ნედლია.
ცხენის რძე—აქლემის რძის მიმსგავსოა.
ახალი ყველი—გრილი და ნედლია.
ხმელი ყველი—მძიმე და შემკვრელია.
ტყბილი ყველი და მარილიანი ყველი—ორივე მზურვალი და ხმელია.

თხილთულობა.

ხორბალი—მოჭთადილი და ცოტად ნედლი არის და ცოტად სიმზურვალეცა ეთქმის.
ქერი—გრილი და ნედლია.
ბრინჯი—მზურვალი და ხმელია.
ოსპი—გრილი და ხმელია.
ბაყლა ცერცივი—მოჭთადილი და შეხვეებულია.
ბოგრიჯა (წვრილი ლობიო)—გრილი და ხმელია.
ლობიო—მზურვალია.

მუხუდო—მხურვალე და ხმელია.

მურდუმაქი (ცულისპირას ცერცვი)—გრილია, მაგრამ სინხმელე და სინედლეცა აქვს.

ბოი (უღბოს თესლი)—მხურვალე და ხმელია.

სუსანი (შირლილინი)—მხურვალე და ნედლია.

ხაშხაში—გრილი და ნედლია.

ყარა ჩორაქ ოთის თესლი—მხურვალე და ხმელია.

ბურჩაყი (ქუშნა)—მხურვალე და ნედლია.

ფეტვი—მხურვალე და ხმელია.

შაპღანა (კანაფის თესლი)—მეტად მხურვალე და ხმელია.

ბოლოკის თესლი—მხურვალე და ხმელია.

თაღემის თესლი—მხურვალე და ნედლია.

სტაფილოს თესლი—მხურვალე და ხმელია.

წიწმატი და ტიტა—მხურვალე და ხმელნი არიან.

რაზიანას თესლი (შიბითი, ცერცო)—მხურვალე და ხმელია.

დურახოთის თესლი (კამა)—მხურვალე და ხმელია.

ტარხუნა—მხურვალე და ხმელია.

აღ ყარყარპა, უდიღ ყარპა (გარეული ტარხუნას ძირი)—მხურვალე და ხმელია.

წყლის წიწმატი—მხურვალე და ხმელია.

შინაური პიტნა—მხურვალე და ხმელია.

გარეული პიტნა—მხურვალე და ხმელია.

ნიახური—მხურვალე და ხმელია.

ტუხტი—„ვინც ტუხტი დანაყოს და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას, ყოვლი ფერი ტკივილი უშველოს“.

პრასის თესლი—მხურვალე და ხმელია.

ქინძის თესლი—გრილი და ნედლია.

სალათას თესლი (ხეარტი)—გრილი და ნედლია.

ისპანახი და ამისივ თესლი—ორივე გრილი და ნედლია.

შაპთარა—გრილი და ნედლია.

ქასნის თესლი (ვარდის კაჭაქი)—გრილი და ნედლია.

თოხმაქანი (მსუქანა ბალახი)—გრილი და ნედლია.

გავზაბანი (ძირწითელა)—გრილი და ნედლია.

ასლი ჰინდუბა (ვენახის ღიქა)—გრილი და ნედლია.

მრავალძარღვა—გრილი და ხმელია.

ყაყაჩო—გრილი და ხმელია.

ალიონი (სატაცური)—ამისი თესლი მხურვალე და ხმელია.

აქლიღუ მულუქი (ყვავის ჰანგა)—ამისი თესლი მხურვალე და ხმელია.

სადაფის თესლი—მხურვალი და ხმელია.

კაპარი—მხურვალია და ხმელია.

აბზინდა. ბალახი (ფარიავეშინ, აესანთინი რუმი) მხურვალი და ხმელია.

ხილვები.

ახალი შაქარი—მხურვალი და ნედლია.

ძველი შაქარი—მხურვალი და ხმელია. წითელი შაქარი ბალღმისთვის კარგია, თეთრი შაქარი ყოველ შაქარსა სჯობს. შაქრის ლერწამს იგივე ხასიათი აქვს, როგორც ახალ შაქარს, მაგრამ ცოტა ქარი აქვს.

თაფლი—მხურვალი და ხმელია.

ისრიში—გრილი და ხმელია.

ყურძენი—მხურვალი და ნედლია. ხმელი ყურძენი—მხურვალი და ხმელია.

ბაქმანი—მხურვალი და ხმელია.

ყორავა—გრილი და ხმელია.

ღვინო—მხურვალი და ხმელია.

ძმარი—გრილი და ხმელია.

ტკბილი ბროწეული—მხურვალი და ნედლია.

მეავე ბროწეული—გრილი და ხმელია.

ტკბილი ნუში—მოჭთადილი და შეზავებულია.

მწარე ნუში—მხურვალი და ხმელია.

ვაშლი, ტკბილი ვაშლი—გრილი და ნედლია. მეავე ვაშლი—გრილი და ხმელია.

სხალი—გრილი და ხმელია.

კომში—ტკბილი კომში გრილი და ნედლია. მეავე კომში გრილი და ხმელია.

ატამი—მეტად გრილი და ნედლია.

ქერამი—გრილი და ნედლია.

თემრი ჰინდი—გრილი და ნედლია.

ხართუთა—გრილი და ხმელია.

თუთა—მხურვალი და ნედლია.

ნაყვი და ინდოური ნიგოზი—ორივე მხურვალი და ნედლია.

მართალი ნიგოზი, ძველი ნიგოზი—მხურვალი და ხმელია.

ახალი ნიგოზი—მხურვალი და ნედლია.

ეჯაზი (ალუბუხარი) და ოტური ქლიავის გავალო—ორივე გრილი და ნედლია.

ნარინჯი—ტკბილი ნარინჯი—გრილი და ნედლია.
 ნარინჯის ქერქი—მხურვალე და ხმელია.
 ტკბილი ბალი—გრილი და ნედლია.
 ალოჩა—გრილი და ხმელია.
 ხურმა—მხურვალე და ხმელია.
 უნაბი—მოჰთადილი და შეზავებულია.
 ფშატი—გრილი და ხმელია.
 ზეთის ხილი—მომკვანო—გრილი და ხმელია, მწითლე—მხურ-
 ვალი და ხმელია.
 ლელეო—მხურვალე და ნედლია.
 ქენი ბოინუზის ხილი—მხურვალე და ნედლია.
 ლისანი ასურ (იფნის ხის თესლი) მხურვალე და ნედლია.
 სიფისტანი—მხურვალე და ნედლია.
 თხილი—სიხმე და სიმხურვალე ორივე ზომიერად აქვს.
 შინდი—გრილი და ხმელია.
 ზღმარტლი—მეტად გრილი და ხმელია.
 კოწახური—გრილი და ხმელია.
 თუთუბო—გრილი და ხმელია.
 მოცხარი—კოწახურსა და თუთუბოს ორსავე სჯობს.
 დოდნოში—გრილი და ხმელია.
 გოგნარი—მხურვალე და ნედლია.
 მაყვალე—გრილი და ნედლია.
 სინაი მაქი—(ფუთუფუთას ხის ფოთოლი)—მხურვალე და ხმელია.
 ნესვი—მხურვალე და ნედლია.
 საზამთრო—გრილი და ნედლია.
 აყირო—გრილი და ნედლია.
 ამავე აყიროს ვრბო—გრილი და ნედლია.
 კიტრი და შუმბარი—ორივე გრილი და ნედლია.
 კომბოსტო—მხურვალე და ხმელია.
 ბაღილაჯანი—მხურვალე და ხმელია.
 დომალანი—გრილი და ნედლია.
 ქანგარი—მოჰთადილი და შეზავებულია.
 უშხუნი—გრილი და ხმელია.
 მვაუნა და ყოჩ ყოღალი—გრილი და ხმელია არან.
 მარწყვი—მხურვალე და ხმელია.
 ბოლოკი—მხურვალე და ხმელია.
 თალგამი—მხურვალე და ნედლია.
 სტაფილო—მხურვალე და ნედლია.

ხახვი—მხურვალე და ხმელია.
ნიორი—მხურვალე და ნედლია.

სასუნთხველი ბალახები, წამლები და ყვავილები.

რეიჰანი—მხურვალე და ნედლია.
ნარგისი—მოჭთადილი და შეზავებულია.
ვარდი—მხურვალე და ხმელია.
შინაური ია (სუსანი)—მხურვალე და ხმელია.
გარეული ია—გრილი და ნედლია.
ბუხარი მარამა და დევადაბანი (კოჩივარდა)—მხურვალე და ხმელია

იასამანი—მოჭთადილი და შეზავებულია.
ზაფრანი—მხურვალე და ხმელია.
შამბალილა—გრილი და ნედლია.
მარზანგევიში—მხურვალე და ხმელია.
ლულუფარი—გრილი და ნედლია.
გვირილები—ყვითელი, საკრწყილე და თეთრი—სამივე მხურვალე და ხმელია.

ბუი მადარონ (მელის კუდას ყვავილი)—ყოველი გრილის სენის წამალია.

სანდალი—თეთრი და ყირმიზი—თეთრი გრილი და ნედლია.
ყირმიზი—თეთრიზე ძალიანია.

ფუფალი—თეთრი სანდლის ხასიათი აქვს.
უდი ჰინდი—მხურვალე და ხმელია.
ქაფური—მეტად გრილი და ხმელია.
მუშკი—მხურვალე და ხმელია.
ამბარი—მხურვალე და ნედლია.
ლადანა (ასარაი) მხურვალე და ნედლია.
ღალია—მხურვალე და ნედლია.
მუმია—მხურვალე და ნედლია.
ლაქუარდი—მხურვალე და ხმელია.
ცვილი—მხურვალე და ხმელია.
მეყნატის—ქვა (ანდამატის) მხურვალე და ხმელია.
რევანდი ჩინი—მეტად გრილი და ნედლია.
თაბაშერი ჰინდი—გრილი და ხმელია.
ჯაგზი—მხურვალე და ხმელია.
სანანებელი—მხურვალე და ცოტად ხმელია.
ბაზბაზი—მხურვალე და ნედლია.

ხოლინჯანი—მხურვალე და ხმელია.
ფილფილი—მხურვალე და ხმელია.
მიხაქი—მხურვალე და ხმელია.
ქაბაბი ჩინი—მხურვალე და ხმელია.
ზირა—მხურვალე და ნედლია.
ჰილი—(ყაყულა) მხურვალე და ხმელია.
დანამასტაქი—მხურვალე და ხმელია.
საკმელი—მხურვალე და ხმელია.
სამყი არაბი—მხურვალე და ნედლია.
სამყი სუმხი—მხურვალე და ხმელია.
სალიხა—მხურვალე და ხმელია.
სუმბული ჰინდი—მხურვალე და ხმელია.
შეთარ აჯი ჰინდი—მხურვალე და ხმელია.
ყარა ჩორაქ ოთი—მხურვალე და ხმელია.
საბრი უსყური—მხურვალე და ხმელია.
აბუჯაპლ ყაუნი (იოლდისალები)—მოჰთადილი და შეზავებულია.
შაყაიყი რუმე და უდისალაბ (ორივ სვინტრის ძირია)—მხურ-
ვალეა და ნედლია.

თეთრი ღარიყუნი—მხურვალე და ხმელია.
შირ ხიშთი—მოჰთადილი და შეზავებულია.
ყუსტი—მხურვალე და ხმელია.
ყურბი მონა (ტყიურას ბალახის თესლი)—მხურვალე და ხმელია.
ვჰაორია და მაზარონი—მხურვალნი და ხმელნი არიან.
ბროწეულის ყვაელი—გრილი და ხმელია.
გარნაბი—გრილი და ხმელია.
სულინჯანი—გრილი და ხმელია.
გოგირდი—მხურვალე და ხმელია.
ყათრანი (ფიჭვის დღვილი)—მხურვალე და ხმელია.
მორიელი—გრილი და ხმელია.
სალესავი ქვა—გრილი და ხმელია.

საჭმელეზი.

ზერვა—მეტად მაშენე და სარგებლიანი საჭმელია.
ჯავ ავი—მეტად გრილი და ნედლია.
მასულაყა—მოჰთადილი და შეზავებულია.
მუზაეარაა—(ყიმაშორვა)—გრილი და მოჰთადილია,
შილაფლაევი—მეტად შემრგო და მოჰთადილი საჭმელია.
ყაბული ფლაევი—თაევი და გამორჩეული საჭმელია.

იახინი ფლავი—კაი და შემრგო საქმელია.

ზანგი ყალია—კარგი და მწვავედ შემრგო საქმელია.

მწვადი

ყაურმა

ბოზყალია

ქუფთა—მხურვალი და ნედლია.

ერიშთა და დუღ მაჯი—ორივე გრილი და მოჭთადილია.

(აქ ტექსტი წყდება—ფურცლები აკლია).

ლიაზნოსტიკური ცნობანი.

ექიმის მთავარ ამოცანას შეადგენდა შეტყობა იმისა, თუ კაცი რა სენით არის ავად, ე. ი. ოთხ წვენიდან ანუ ხილთიდან რომელი ხილთი აქვს აშლილი და ამისი წამალი და ხელის შეწყობა როგორი უნდა ყოფილიყო.

ავადმყოფობის სწორედ გამოცნობის საქმეში ექიმს ძალიან ბევრსა სთხოვდნენ „და ექიმმან ერთისა შეხედვითა შორიდაღმან შიატყობს, თუ ამა კაცსა რა სენი ასძვრია და ან იმა ოთხისა ხილთისაგან რომელისაგან არის ავად, სისხლისაგან არის თუ საფრისაგან, ბაღლმისაგან არის თუ სევდისაგან, თეარა და წამლის ქნა ყოველმან კაცმან იცის“ (კარი „დ“)

როგორც ვიცით, მთავარ პრინციპად მიღებული იყო ის, რომ ადამიანი შექმნილია და კაცად გამოსახული ოთხი ნივთისაგან: წყლისა, მიწისა, ჰაერისა (ქარი) და ცეცხლისაგან. ეს ელემენტები ადამიანის სხეულში შემდეგნაირად არიან დალაგებულნი:

წყალი — სისხლი არის და სისხლის ბუნება უდრის ცეცხლისა და ჰაერის ბუნებას ანუ მხურვალე და ნედლია.

ცეცხლი — საფრა არის და საფრის ბუნება უდრის ცეცხლის ბუნებას ანუ მხურვალე და ხმელია.

ჰაერი — ბაღლამი არის და ბაღლმის ბუნება უდრის წყლის ბუნებას ანუ გრილი და ნედლია.

მიწა — სევდა არის და სევდის ბუნება უდრის მიწის ბუნებას ანუ გრილი და ხმელია.

დასკვნა: „ყოველი სენი და ავადმყოფობა ამა ოთხისა ნივთისა გარეთ არ არის და სხვაგან ნურც ეძებთ, ამისთვის რომე უსათუოდ და უმიზნოთ თუ კაცი ავად გახდების, ამა ოთხის ნივთისაგან ერთ ერთისაგან იქნების ან სისხლისაგან, ან საფრისაგან, ან ბაღლმისაგან და ან სევდისაგან იქნების“.

აღაპიანის ყოველი სენი და ავადმყოფობა ან სიმხურვალისაგან უნდა იყოს ან სიგრილისაგან. თუ კაცი სიმხურვალისაგან არის ავად, მაშინ ის ავად არის სისხლისაგან და საფრისაგან, იმიტომ რომ ეს ორივე ხილთი მხურვალეა და ამრავლებს სიმხურვალეს.

თუ კაცი სიგრილისაგან არის ავად, მაშინ ის ავად არის ბალღისაგან და სევდისაგან, იმიტომ რომ ეს ორივე ხილთი გრილია და ამრავლებს სიგრილეს.

ეხლა ვნახოთ, რა ნიშნების მიხედვით ასკენიდნენ, თუ ავადმყოფი ამ ოთხი ხილთისგან, სახელდობრ რომლით იყო ავად.

თუ ავადმყოფი სისხლის სიმხურვალით არის ავად, მაშინ ნიშნები შემდეგნაირია: პირის ელფერი წითელი ექნება, საფეთქლებისა და ყელის ძარღვები სავსე და ცხელი, პირი მოტკბო, ტანი ცხელი, სიცხე ერთ რიგზე და ხანგრძლივად.

თუ ავადმყოფი საფრით არის ავად, მაშინ: პირი მწარედ და ხმელად ექნება, მოსწყურდება, ავადმყოფს ჯერ გააციებს და მერე გააცხელებს.

თუ ავადმყოფი ბალღით არის ავად: ელფერი თეთრად და ჩაჯექვით ექნება, ზედმეტად ძილი მოუვა—ძილად მივარდება.

თუ ავადმყოფი სევდით არის ავად: ელფერი დაფანტვით ექნება და გაურკვეველი ფერისა, ექნება უხალისობა, მოწყენა, განმარტოების სურვილი, ავადმყოფი დაღვრემილი და ფიქრიანი იქნება.

ამ ნიშნებთან ერთად ავადმყოფობის გამორკვევაში უმთავრესი მნიშვნელობა მაინც მაჯას ჰქონდა, ე. ი. მაჯის მიხედვით მსჯელობდნენ სხეულის ამათუიმ ხილთისა თუ წვენის გამრავლებაზე ან შემცირებაზე მაგალითად:

თუ მაჯის ძარღვი ფიცხლად, ძალიანად და სავსედ სცემს—სისხლის სიმრავლის ნიშანი არის.

თუ მაჯის ძარღვი წყნარად და წყნარად სცემს, სიმხურვალისა და სენისა სიცოტავისა ნიშანი არის.

თუ მაჯის ძარღვი ჩქარა სცემს და დაკიმული არის, საფრის სიმრავლეს მოასწავებს.

- თუ მაჯის ძარღვი ჩქარად და ჩქარად სცემს—ეს სიცხისა და სიმბურვალის ნიშანი არის.
- თუ მაჯის ძარღვი ძლიერად და სავსე-სავსედ სცემს —ესეც სიცხისა და სიმბურვალისა ნიშანი არის.
- თუ მაჯის ძარღვი წყნარად და სუსტად სცემს—ეს სიმბურვალისა და სენის სიცოტავის ნიშანი არის.
- თუ მაჯის ძარღვი წყნარად და გვიანად სცემს—ეს ბალღმის და სიგრილის ნიშანი არის.
- თუ მაჯის ძარღვი არც ძალიან ჩქარად და არც ძალიან წყნარად სცემს—ეს ნიშანია არც ძალიან სიმბურვალისა და არც ძალიან სიგრილისა.
- თუ მაჯის ძარღვი მუდამ ერთ რიგზედა სცემს—ეს კარგი ნიშანია, კარგად ყოფასა და სიმთელეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი ზედმეტად ძლიერად სცემს—ესეც კარგი ნიშანია, გულისა და სტომაქის კარგად და ძალიანად ყოფას მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი სნეულს წვრილად ჰქონდეს—ეს სენის სიცოტავეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი სნეულს სავსე-სავსედ ჰქონდეს და ჰტყლად—ეს ცუდი ნიშანია, სენის ძალსა და მერე ზედმეტ სინედლეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი სნეულს აშლილათ და არევით უცემდეს—ეს ტანისა და გვამის ავადყოფასა და მეტად სიძნელეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი ფიცხლა-ფიცხლა, მაგრამ რბილად სცემს—ეს სისხლის სიმრავლეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი სნეულს გვიან-გვიანად უცემდეს და თითონ ძარღვი შეიძლება რბილადაცა ჰქონდეს—ეს ბალღმის სიმრავლეს მოასწავებს.
- თუ მაჯის ძარღვი სნეულს დაჭიმულ-დაჭიმული ჰქონდეს და გვიან-გვიანაცა სცემდეს—ეს სევდის ძალსა და სიმრავლეს მოასწავებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჯის გასინჯვისას შეაკრად იცავდნენ შემდეგ წესებს: ამ ღროს ავადმყოფი არც გაჯავრებული უნდა ყოფილიყო, არც მხიარული, არც ნალვლიანი და არც შეშინებული, არც მშვიერი, არც მაძლარი, არც დაღლილი.

ავადმყოფობის გამოკვეყნის დროს, მაჯის გარდა, ჯერ კიდევ ძალაში იყო „სატაძრო მედიცინის“ უძველესი ტრადიცია, სახელდობრ ის, რომ ამათუმი ავადმყოფობაზე მსჯელობდნენ იმ სიზმრების მიხედვით, რომელთაც კაცი ხედავდა ავადმყოფობის დროს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ავადმყოფები მიჰყავდათ ტაძრის კარზე ლამის. სათევად და რასაც იმ ლამეს სიზმრად ნახავდა, იმის მიხედვით ხდებოდა მისი მკურნალობა ქურუმების მიერ. ეს ჩვეულება საქართველოშიაც იყო, ხატის კარზე ავადმყოფების მიყვანა ჩვენშიც ძალიან იყო გავრცელებული და ზოგიერთ ადგილას თითქმის ჩვენამდისაც მოაღწია (იხ. „წიგნი სააქიმოჲ“. მედიცინა ძველ საქართველოში მე-XIII საუკუნე. გვ. XVII).

წინამდებარე წიგნი საგულისხმოა იმით, რომ აქ ნათლად არის დაცული ეს უძველესი დიაგნოსტიკური წესი. მეოთხე კარში ჩვენ ვკუთხულობთ:

„კიდევ სხვა ნიშნები, რომე ავადმყოფსა შიატყო, თუ ესე სნეული რომლისა გეარისა ხილთისაგან არის ავად, ამა ავადმყოფსა უნდა ჰკითხოთ, თუ რა სიზმარი უნახავს. აწე თუ ესე ავადმყოფი სიზმარშიგა წითელსა, ყირმიზსა რასმე ნახავს და ამავე რიგებსა წითელსა და ყირმიზსა რასმე წასძრახავს, იცოდეთ სისხლისაგან არის ავად.

და თუ სიზმარშიგა ყვითელი რამე ნახა და ან ყვითელსა რასმე წასძრახავს, იცოდეთ რომე საფრისაგან არის ავად და საფრა მორგეია.

კიდევე თუ ესე ავადმყოფი სიზმარშია თოვლსა, წვიმასა და ამავე რიგსა თეთრსა რასმე ნახავს და თეთრსა წასძრახავს, იცოდეთ რომე ბალღმისა და სიგრილისაგან არის ავად.

და თუ ავადმყოფი სიზმარშიგა შავსა ცხენსა, ტანისამოსსა და ამავე რიგად შავსა რასმე ნახავს და შავი ერგენების და შავსა წასძრახავს, და აშლილ მაშლილსა სიზმრებსა ნახავს, იცოდი სევდისაგან არის ავად და ყოვლსა ფერსა სენსა თაფთაეისი შესაფერი წამლები უნდა უყონ“.

შარდის შებჳობა. შარდის აღება ხდება დილით უზმოზე. ავადმყოფს წინა დლით არ უნდა ჰქონდეს ნაჭამი ან დალეული ისეთი რამ, რამაც შეიძლება შარდს ფერი შეუტევლოს. მაგალითად: ზაფრანა, მწვანილი და ღვინო. შარდის აღებისას სნეული არც ძალიან მშვიერი უნდა იყოს, არც ძალიან მაძლარი, არც გულმოსული და უძილო.

შარდის გასინჯვა ასე უნდა: კურკელი შარდით უნდა სამს საათს დადგან და არ გაანძრიონ. სამი საათის შემდეგ რომ ნახავენ, შარდი ნარინჯის ტყავის ფერისა უნდა იყოს, ცხელი და მხურვალე სუნი

არ უნდა უდიოდეს. არც ძალიან სქელი უნდა იყოს, არც ძალიან თხელი. თუ შარდის კურკელს (ყარუკას) ძირში ან ნაპირებზე ნალექი აქვს—ეს ხილთების დამწიფების ნიშანია.

თუ შარდი წითელი და მღვრიე იყოს—ეს სისხლის სიმრავლისა და სიმბურვალის ნიშანია.

თუ შარდი ძალიან წითელი, ან შავი იყოს, ან წყალსავით წმინდა—ეს სევდის სიმრავლისა და სევდის ძალისა ნიშანი არის.

თუ შარდი მოლურჯო და მღვრიე იყოს—ბაღლმის ძალისა და სიმრავლის ნიშანი არის.

თუ შარდი ზედმეტად ყვითელი იყოს და წყალსავით წმინდა—ეს საფრის სიმრავლესა მოასწავებს.

თუ შარდი სქელი იყოს და ქაფიც ბევრი ჰქონდეს—ეს ბაღლმის სიმრავლესა და ძალას მოასწავებს.

ფერით შარდი უნდა იყოს ან წითელი, ან ყვითელი, ან თეთრი, ყველა სხვა ფერის შარდი ცუდია და საშიში—სასიკვდილო.

ყირმიზი, ყვითელი ან შავი შარდი—სიმბურვალის ნიშანი არის.

თეთრი ან მოთეთრო შარდი კი—სიგრილის ნიშანი არის.

ბურჰანი (Crises)

„ბურჰანი ამა დღესა ჰქვიან რომე, ჳირი და კაცის სტომაჳი შეიბმიან, როგორც მეციხოვნე კაცი და გარედამან ციხის მოლაღატე კაცი. აწე ჰაჳიმთა და მეცნიერთა კაცთა გული ხელმწიფედ დაუღებია და ტანი—გვამი ციხედ და ჳირი მოლაღატედ. თუ ჳირსა გული და სტომაჳი მოერევის, ციხეც დამაგრღების და კაციც მორჩების და მოლაღატე კაცი გაიპარვის და წავა, და თუ მოლაღატე მოერევის, ციხეც წახღების და კაციც მოკვღების, ისრევე ესე ბურჰანი არის“.

„საოფლედ რომ ავადმყოფი შეძნელღების და შეშფოთღების, და ჯერ ავი და კარგი არ გადაწყვეტილიყოს, და ტანი და ჳირი კიღვე იბრძოდნენ—ამ ბრძოლას აჳიმნი ბურჰანს უძახიან“.

ამგვარად ბურჰანი რომ მოახლოვღება, „ავადმყოფი შეჩჳარღება და შფოთვასა დაიწყებს“. ბურჰანი ხუთგვარია:

1. როდესაც ის გამოიხატება ცხვირიდან სისხლის დენაში.
2. როდესაც გამოიხატება ქვემოდან გახსნით.

3. როდესაც ბურჰანი გამოიხატება რწყევაში.
4. როდესაც ის გამოიხატება შარდის დაღვრაში.
5. როდესაც გამოიხატება ოფლის დენით.

ყველა ამ ბურჰანის დროს ხდება მავნე და მოქარბებული ხილ-თის დაღვრა და სხეულის გაწმენდა ან ოფლით, ან ცხვირიდან სისხლის დენით, ან ტანში გახსნით, ან რწყევით, ან შარდის დაღვრით.

ბურჰანის დროს ყველაზე უარესი ის არის, თუ ავადმყოფს ჯერ ცხელი ოფლი მოუვა და მერე ცივი. ეს იმიტომ რომ, ამ შემთხვევაში რაც თხელი ოფლი და სენი არის, მხოლოდ ის გამოვა სხეულიდან, და რაც სქელი ოფლი და სენი არის, ის კი შიგვე რჩება.

პირველი ოთხი სახის ბურჰანის დროს სხეულის გაწმენდა მავნე ხილთებისაგან სრულად და საესებით ხდება.

სიცხიანი ავადმყოფობის ხანგრძლივობა გათვალისწინებული იყო ორმოცი დღით. ანგარიშობდნენ, თუ ორმოცი დღის განმავლობაში ავადმყოფი „რომელსა დღესა შეძნელდების და რასა და რომელსა დღესა მოხედვით იქნების“.

ოფლი რომელ დღეს მოუვა, ან მთელი და გათავებული ბურჰანი რომელ დღეს მოუხდება. გათავებული და ნაკლული ბურჰანი რომელ დღეებში იქნება. რომელ დღეს არ შეიძლება, რომ ბურჰანი ჰქონდეს, ან სახიფათო ბურჰანი რომელ დღეებში მოუვა—აი ამის მიხედვით მსჯელობდნენ ავადმყოფის მომავალზე (იხილე ტექსტში დართული ნუსხა „მთელი და ნაკლული, სახიფათო ბურჰანებისა“).

ამადმყოფობის კარგი და ავი ნიშნები.

ავი ნიშნები შემდეგია:

- თუ ავადმყოფს ცნობა დაკარგული აქვს და კითხვებზე პასუხს არ იძლევა—ეს ცუდი ნიშანია.
- თუ ავადმყოფი სინათლეს ერიდებოდეს და პირს ხშირად კედლისაკენ იქმოდეს—ცუდი ნიშანია.
- თუ ავადმყოფი უაზროდ ხორცს იფხანს და ხელებს არ ასვენებს—სიკვდილის ნიშანია.
- თუ ავადმყოფს ხშირად ასლოკინებდეს—სიკვდილის ნიშანია.
- თუ ავადმყოფი სიცხის გამონელების შემდეგ მაინც მძიმე მდგომარეობაში იქნება—სიკვდილის ნიშანია.
- თუ ავადმყოფს ცალი თვალი დაუპატარავდეს და მუდამ პირადმა იწვეს და ხშირად ფხილებზე იხედებოდეს—სიკვდილის ნიშანია.

- თუ ავადმყოფს აქწინებდეს, სუნთქვის დროს მხრებსაც თან ატანდეს, კბილებს აკრაჯუნებდეს და ფეხებს ღუნავდეს და სკიმავედეს—სიკვდილის ნიშანია.
- თუ ავადმყოფი დაღვრემილი და ზედმეტად მოწყენილია—ავი ნიშანია.
- თუ ავადმყოფი ძილში შეშინდებოდეს და შემოსძახებდეს—ავი ნიშანია.
- თუ ავადმყოფს სუნი მხურვალი და ძნელი ამოსდიოდეს, ცნობა დაკარგული ჰქონდეს და ბოდაედეც—სიკვდილის ნიშანია.
- თუ ავადმყოფს ხელ-ფეხი გაუცივდეს და კაცი გახსნითა იყოს და სიზმარში აბანოსა და მკვდრებსა ხედავდეს—სიკვდილის ნიშანია.
- თუ სიცხიან ავადმყოფს ხორცზე ავი სუნი უდიოდეს და პირიდანაც მძიმე სუნი ამოსდიოდეს—ავი ნიშანი არის.
- თუ ავადმყოფმა საკმელი აკრძალოს და ხელფეხი გაქიმული და ტანი გაშეშებული ჰქონდეს—სიკვდილის ნიშანია.

ქარბი ნიშნები უმჯობია:

- კაცი ავადმყოფობაში ძალიან არ უნდა შემძიმდეს, ჰკუპა და ელფერი თავის ადგილზე უნდა ჰქონდეს.
- გულსა და ტანზე მსუბუქად უნდა იყოს და რიგზე საკმელს უნდა ინდომებდეს.
ავადმყოფს პირის გემო არ უნდა წაუვიდეს და, რაცა სკამოს, კარგად მოინელოს.
- წამლები და სხვა მკურნალობა უნდა რგებდეს და ავადმყოფი უმჯობესდებოდეს.
- კარგად და რიგზე ეძინებოდეს— ისევ როგორც გაკრგადმყოფობაში.
- სიცხე დიდი არ უნდა ჰქონდეს და მაჯის ძარღვი კარგად და ერთ რიგზე უცემდეს.
- ავადმყოფი რომ ცხვირს აცემინებდეს და ტანზე მუწუკებმა და სხვა მსხმომ გამოაყაროს.

ავტორი ამ ნიშნებს ჰიპოკრატს, გალენს და სხვა ექიმებს მიაწერს. ის სწერს: „და რაცა ან ავი და საკირო, ან კაი და სალხინო ნიშნები დამიწერია, ყველა ბოღრატ და ჯალინოზ და სხვათა აქიმთაგან მრავალჯერ დაცდილი არის“.

კეჩიკო პათოლოგია და თერაპია.

ნერვიული ავადმყოფობანი. ეს განყოფილება იწყება მეშვიდე კარიდან.

ზ. კარი მეშვიდე. „სრულისა თავის ტკივილისა და თავის კედლის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

შ. კარი მეოთხე: „ნაზვარის თავისა, საფეთქლებისა და კეფის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

თ. კარი მეცხრე: „სურდოსა, სურაევანდისა და ცხვირის სისხლის ღენისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებს გიანბობს და მოგითხრობს“.¹

ი. კარი მეათე: „სარსამისა, სარსამი მხურვალი ვარამი არის, რომე ბევრის თავის ტკივილითა კაცი გაგიჟდეს“.

ია. კარი მეთერთმეტე: „საგთის სენისა, რომე ბევრი თავის ტკივილითა კაცი გაგიჟდეს“.

იბ. კარი მეთორმეტე: „სარისა, სარი ბნედასა ჰქვიან“.

იგ. კარი მეცამეტე: „მალხულიას სენისა“.

იდ. კარი მეთოთხმეტე: „უჩუხისა, ვითამცა და ანასდათ კაცი გაგიჟდეს“

იე. კარი მეთხუთმეტე: „ლალვისა და მუფალიჯისა, ვითამცა და ფილენჯისა და ფილენჯის კარისა“.

ივ. კარი მეთექვსმეტე: „დავაზასი და დუზლუ ბალამისა“.

თვალის ავადმყოფობანი.

იზ. კარი მეჩვიდმეტე: „ყოვლის ფერის თვალის ტკივილისა და თვალის გაოთვრებისა, ნიშნებსა, მიზეზებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

უურის ავადმყოფობანი

იწ. კარი მეთვრამეტე: „ყოვლის ფერის უურის ტკივილისა, უურის ყლილისა და ბუილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და ალამათებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

¹⁾ საგელისხმოა, რომ ეს თავი ტვინის ავადმყოფობებშია შეტანილი

პბილის ავადმყოფობანი.

ით. კარი მეოცხრამეტე: „ყოვლის ფერის კბილის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

ჟბისა, ლაწვისა და მის ავადმყოფობანი.

კ. კარი მეოცე: „უბისა, ლაწვისა, ენისა და ანშამისა ტკივილისა მიზეზებსა და ალამათებსა გამცნებს და გიანბობს“.

პირის ღრუს ავადმყოფობანი.

კა. კარი მეოცდაერთე: „ყოვლის ფერის პირის ტკივილისა და პირიდაღმან ავის სულის დენისა“.

ხახისა და ჟლის ავადმყოფობანი.

კბ. კარი მეოცდაორე: „ხახისა, ყელის ტკივილისა და ხუნაყისა“.

ფილტვების ავადმყოფობანი.

კგ. კარი მეოცდასამე: (აკლია)

კდ. კარი მეოცდაოთხე: „სილისა და ხეელისა, მკერდისა და გულის პირისა ტკივილისა“ (ამ თავს დასაწყისი აკლია)

კე. კარი მეოცდახუთე: „სათურასა და ზიყ ნაფასისა და ფირტვის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და ალამათებსა გამცნებს და გიანბობს“.

კვ. კარი მეოცდაექვსე: „ზიყ ნაფასისა და ფირტვის ტკივილისა“.

ღვიძლისა და თირკმლების ავადმყოფობანი. ¹⁾

კზ. კარი მეოცდაშვიდე: „ღვიძლისა და თირკმლის ტკივილისა და ამისავ მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

გულისა და სტომახის ავადმყოფობანი.

კწ. კარი მეოცდარვე: „სუდასა, წყურვილისა და სტომაქის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

კთ. კარი მეოცდაცხრე: „ხაფაყანისა და გულისა და სტომაქის ტკივილისა, გულის თრთოლისა და ფეთქისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

¹⁾ აქ თავები არეულია. აქვე ეკუთვნის კარი „ღ“ „ლა“ „ღბ“. თირკმლის ავადმყოფობა კიდევ ცალკე არის ქვემოთ, კარი „ღთ“ და „ღდ“.

ლ. კარი მეოცდაათე: „სათულ ჯანაბისა“.

ლა. კარი მეოცდათერთმეტე: „ყუთლისა და შავის იარაყანისა“

ლბ. კარი მეოცდათორმეტე: „ისისხისა, რომე სულუყუნია ჰქვიან“

ტყირპის ავადმყოფობანი.

ლგ. კარი მეოცდაცამეტე: „ტყირპის ტყვილისა და ტყირპის გადიდებისა“.

ნაწლავების ავადმყოფობანი.

ლდ. კარი მეოცდათოთხმეტე: „ბაღმისა, ყაბზისა და ყოლინჯისა და იმა სენისა რომე, კაცსა წელშიგა შეეკნების“.

ლე. კარი მეოცდახუთმეტე: „კაცსა რომე გვამშიგა კია დაესხას და ან კიაყელა და ნამაზ ბურდი შეეკნას“.

ლვ. კარი მეოცდათექვსმეტე: „ალის დაწოლისა, თათარ ყურთისა და კიპის კირისა“.

ლზ. კარი მეოცდაჩვიდმეტე: „მუცლის ტყვილისა და გვრემისა“.

ლშ. კარი მეოცდათვრამეტე: „კაცისა ანუ მარტვილისა უკანა კარის გამოქევისა, ზიდებისა, გატეხისა და სისხლის წვეთისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიანბობს“.

თირკმლისა, ბუზბისა და ხახამხო მრგანოების ავადმყოფობანი.

ლთ. კარი მეოცდაცხრამეტე: „ტყუნისა, თირკმლისა და ბუზბის ტყვილისა, შირიმისა და შარდის დახუთვისა, და ანუ რომე კაცსა შარდი ღროსა და უღროს გაზდიოდეს და ან სწვეთდეს და ქვეშ იფსემდეს“

მ. კარი მეორმეტე: „ყვერების სიმსივნისათვის. ყლის გადიდების წამლებს გამცნებს და გიანბობს“.

აქვეა — „კარი საშოს დავიწროებისა“

მა. კარი მეორმოცდაერთე: „ბავასილისა, ნოვასილისა და ხანაზირისა“.

მბ. კარი მეორმოცდაორე: „უშვილობისათვის დედაკაცი რომე არ ორსულდებოდეს, მის ნიშნებს და წაპლებს გიანბობს“.

მგ. კარი მეორმოცდასამე: „ფიტყისა, ფიტყი იმას ჰქვიან რომე, ბევრის წელისა და ბოქვენის ტყვილითა კაცსა ფუში

1 ეს კარი ამ განყოფილებისა არ არის, მაგრამ აქ რჩება როგორც მორჩივე.

ჩამოუვიდეს და ან რაცა წელის თალუხი და ტკივილი არის, იმისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიანბობს“.

ასომავისა და სახსრავის ავადმყოფობანი.

მდ. კარი მეორმოცდა ოთხე: „თირკმელისა და ნეკთა ტკივილისა მიზეზებსა, წამლებსა და ალამათებსა გიანბობს“.

მე. კარი მეორმოცდა ხუთე: „ირყინისასი, ვითამცა და თეძოების და კუკუხოს ტკივილისა“.

მგ. კარი მეორმოცდა ექვსე: „მიკრისისა სენისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიანბობს“.

მზ. კარი მეორმოცდა შვიდე: „ყოვლისა საბსრებისა ტკივილისა“.

მძ. კარი მეორმოცდა რვე: „დაღალვისა და მწოვედ ტერფისა და ქუსლის ტკივილისა და ქავილისა“.

ცივა-ცხელავისათვის.

მთ. კარი მეორმოცდა ცხრე: „ფერად ფერადის ცხელებისა და ცივებისათვის“.

ნ. კარი მეორმოცდა ათე: ტექსტში არ არის (აქ არც ფურცელი აკლია).

ქანის ავადმყოფობანი.

ნა. კარი მეორმოცდა თერთმეტე: „ბაშ ბარდისა და სიელიჯირისა ვითამცა და ყოვლის ფერისა მსხვილისა და წვრილის მუწუკებისა, მეჭეკებისა და ბებრებისა წამლებსა, ნიშნებსა და მიზეზებსა გამცნებს და გიანბობს“.

ნბ. კარი მეორმოცდა თორმეტე: „ხმელისა და ნედლისა მუნისა“.

[ნგ] კარი მეორმოცდა ცამეტე: „ქაჩლის წამლებს გიანბობს და ნიშნებს გასწავლის“.

ნდ. კარი მეორმოცდა თოთხმეტე: „დაუსალაბისა, ვითამცა და მონობისა“.

ნე. კარი მეორმოცდა თხუთმეტე: „დაულ ჰიასი, ვითამცა და ბარისა, ბაჰაყისა და სრსვილისა, რომე კაცსა სრულად ტანზედა გველსავითა ტყავი გასძვრების“.

ნვ. კარი მეორმოცდა თექვსმეტე: „კორძისა, თერიაყისა და ილან ჯულისა ნიშნებსა, მიზეზებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს“.

წყლულეგისა და დაკოდლიისა, მოძინილისა და დაფფარისა.

ნზ. კარი მერომოცდა ჩვიდმეტე: „ხუნამისა, დართულსა და ძველის დაკოდლიისა და ძარღვების წყლულისა მიზეზებსა და წამლებსა გიანზობს“.

ნწ. კარი მერომოცდა თვრამეტე: „ასოსა მოტეხისა, გახევისა და ამოვარდნისა და ანუ ხორცისა მოწყუეტისა წამლებსა და თათბირებსა გამცნებს და გიანზობს“.

ნთ. კარი მერომოცდა ცხრამეტე: „ცეცხლისა, მდულრისა და ანუ სხვის დამწურისა წამლებსა გიანზობს“.

ცოფიანი ძალის, გვალის, მოკრიდლისა და ფუტარის ნაკბინისათვის.

ა. კარი მესამოცე: „რომე ბრაზიანი ძალდი ან კატა კაცსა შეეხოს და ან უკბინოს, იმის ნიშნებსა და წამლებსა გიანზობს“.

აა. კარი მესამოცდა ერთე: ამ კარის სათაური და პირველი ფურცელი ტექსტს აკლია.

აბ. კარი მესამოცდა ორე: „დაულფილისა, ვითამცა კაცსა ერთი ფეხი გაუსივდეს“.

აგ. კარი მესამოცდა სამე: „ხელფეხისა, ლაშისა და ბაგის დახეტქისა“.

ად. კარი მესამოცდა ოთხე: „მარტვილის გარეთ სიარულისა, მზისგან წყენისა და დათენთვისა, და გულისა და სტომაქის წვისა ნიშნებსა და წამლებსა გიანზობს“.

აე. კარი მესამოცდა ხუთე: „სიცივისაგან წყენისა და ხელფეხის შეცივებისა და ძრობისა“.

აფ. კარი მესამოცდა ექვსე: „ოყნაებისა და შაფების თათბირებსა გიანზობს“.

აზ. კარი მესამოცდა შვიდე: „მაჯუნებისა და ფულუნებისა ხასიათსა გიანზობს“.

აწ. კარი მესამოცდა რვე: „ჰაბებისა და ყურსების ხასიათსა და შექნასა გამცნობს და გიანზობს“.

ათ. კარი მესამოცდა ცხრე: „ლუყებისა და სუფუფებისა“.

აკ. კარი მესამოცდა ათე: აკლია მთლიანად.

აბ. კარი მესამოცდა თერთმეტე: „ფერად ფერადისა მალამებისა ხასიათსა და შექნასა გიანზობს“¹. აქვეა „მურაბების შექნისა წესი“.

¹) ეს კარი ბოლოშია მოქცეული.

ობ. კარი მესამოცდა თორმეტე: (დასაწყისი აკლია) „ზეთებისა“.

ოგ. კარი მესამოცდა ცამეტე: „ფერად ფერადისა შარბათებისა ხასიეთებსა და შექნასა გიანბობს“

ამგვარია წინამდებარე წიგნის მედიკურ-ფილოსოფიური კონცეპცია, ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცნობანი, ჰიგიენა, დიეტეტიკა, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკური ცნობანი, კერძო პათოლოგია და თერაპია.

ახლა ვნახოთ, თუ როგორი იყო ავადმყოფის გასინჯვის ტექნიკა ამათუიმ ავადმყოფობის გამოსარკვევად, და რა ხერხებია წინამდებარე წიგნში ნახმარი ამათუიმ სნეულების განსაკურნებლად.

როგორ სინჯავდნენ ავადმყოფს? ზოგადი დიაგნოსტიკური ხერხები ჩვენ უკვე ვნახეთ. ვნახოთ ახლა, თუ სხვა რა ხერხებია ნახმარი დიაგნოზის გამოსარკვევად.

კარი „ლბ“ ჩვენ ვკითხულობთ: „ღვიძლის სიმსივნისა, სტომაქისა და ტყირპის სიმსივნისა პოვნისა საქმე ეს არი რომე, ესე ავადმყოფი გულ აღმა დააწვინო და ორივე მუხლების თავი მკერდთანა მოიტანოს და მერმე მუცელსა და სტომაქზედა ხელითა მოუნახონ“

როგორც ვიცით, ეს კლასიკური პოზა მუცლის ღრუს ორგანოების გასინჯვის დროს დღესაც ძალაშია.

ან კიდევ „კაცმა კაცს ტყირპზედა ხელი დაუსვას და მერმე მთლიანად დააჭიროს“ (კარი „ლგ“). კიდევ: „და კაცმან რომე მუცელზედა ხელი დაჭკრას როგორაცა გაბერილმან ტიკმან ხმა მისცეს, ისევე ხმა ამა კაცის მუცელმა მისცეს“.

ქალური ავადმყოფობის დროს გამოყენებული ყოფილა ორი თითით გასინჯვა ისევე როგორც დღეს, მაგალითად, კარი „მბ“ ჩვენ ვკითხულობთ:

„ტატბერმა საყმაწვილოს თავშიგა ორი თითი შეყოს და თუ თითსა ძალიან ძალიანად ეცემოდეს, და ან მწოვედ გამოსტეხდეს იცოდით ეს დედაკაცის უორსულობა ვარამისაგან (სიმსივნე) არის“

მაგრამ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, თუ როგორ იგებდნენ ძაღლის, ან სხვა ცხოველის ნაკბენის დროს—ძაღლი ცოფიანი იყო თუ არა. კარი „ჟ“ ჩვენ ვკითხულობთ: „მოიტანე ნიგვზის გული და ძაღლის ნაკბენის ალაგი იმა ნიგვზის გულითა დაუზილეთ და შერმე ესე ნიგოზი ქათამსა მიუყარეთ, და თუ ან არა ჭამა და ან ჭამა და ქათამი მოკვდა იცოდით ბრაზიანის (ცოფიანი) ძაღლის ნაკბენი არის. და თუ ჭამა და ქათამი არ მოკლა და მართლის ძაღლის ნაკბენი არის“

ან კიდევ (იხ. იგივე თავი): „იმა, ძალის ნაკბენზედა რომე, სისხლი გამოედინოს მოიტანე პური და ისი სისხლი მოსწმიდე და პური სხვას ძალსა მიუგდე და თუ მართალმან ძალმან ისა სისხლიანი პური არა ჰამა იცოდი ბრაზიანსა ძალსა უკბენია, და თუ ჰამა მართლის ძალის ნაკბენი არის“.

აქ ჩვენ გარკვეულ ცდასთან გვაქვს საქმე და საყურადღებოა მისი ხელახლად შემოწმება.

ორიგინალურია აგრეთვე მკვდრის შემოწმება, ეს ხერხები დღესაც ამ სახით არის დარჩენილი ჩვენს ხალხში:

კარი „ია“ ჩვენ ვკითხულობთ: „მოიტანე ერთი მიჭვრიტანა¹ და ზედ პირთანა დაუჭირე, და თუ პირმან მიჭვრიტანა მოაორთქლიანა, რომე ამა მიჭვრიტანაშიგა კაცი აღარ გამოჩდეს, იცოდი ესე კაცი ცოცხალი არის, და თუ მიჭვრიტანა ვერ მოაორთქლიანა და მკვდარი არის“.

ან კიდევ (იგივე კარი): „მოიტანე ორი თითი და უკანის კარის-დაღმან შეუყავ, და უკანა კარი ძალიანად გამოუჭყლიტე, თუ უკანა კარი ან ყოლ მოუჭირა, უსათუოდ კაცი ცოცხალი არის, და თუ უკანა კარი ვერ მოუჭირა და მკვდარი არის“.

ვნახოთ ახლა, თუ რა ხერხებია ნახმარი წინამდებარე წიგნში ავადმყოფის განსაკურნებლად. იმ საყოველთაოდ ცნობილი ხერხების გარდა, როგორიცაა, მაგალითად: ხელის გახსნა, სისხლის გამომწოვი კოტოშების მოკიდება, მშრალი კოტოშების მოკიდება, წურბელების აშვება, ტლეს შემოდება, ოყნის გაკეთება, ხმარებული ყოფილა აგრეთვე შემდეგი ხერხები:

ი ნ გ ა ლ ი ა ც ი ა: კარი „თ“ ჩვენ ვკითხულობთ: „მოიტანე ერთი აგური და კარგად გაახურე, მერმე გამოილე და ზედ ცხარი ძმარი დაასხი და ამა ცხვირ ცინგლიანმან კაცმან, ასრე უნდა, თავი და ცხვირი ამა ძმრის ორთქლზედა დაიჭიროს, და თავზედა რამე წაიხუროს, რომე ორთქლი არ გაუცივდეს და კარგად იორთქლონ“.

ან კიდევ (კარი „კვ“): „მოიტანე ერთი პირ ვიწრო ლიტრა და ამა ლიტრაშიგა ცოტაოდენი ვარდის ყვავილი ჩაყარე და ამაზედა ცოტა ნაკვერცხალი დააყარე და ნაკვერცხალზედა ამა გუნდებისაგან (წამალია) ერთი, ორი გუნდა დააფშენიტე და იმა ლიტრასა პირი მოუგლესე და ამა ლიტრასა პირშიგა ერთი ფუჩი ლერწამი დაამწყვდიეთ, და ამა ლერწმის მეორე წვერი ხაფაყარიანმან კაცმან პირშიგა უნდა დაიჭიროს და ამა წამლებისა კუამლი ამოსწოვოს, რომე ამა წამლებისა კუამლი ყუელა პირსა და ხახაშიგან შემოედინოს, და ასრე უნდა ესე კუამლი ჩაყლაპოს“.

¹ სარკე.

კიდევ (იგივე თავი): „ამა გუნდებისაგან ან ერთი ან ორი ნაკურცხალზედა დააკმიონ და ამისი კუამლი ცხვირსა და პირშიგა შეუშვან, და ესე კუამლი ჩანთქან, მწოვედ კარგი და აქიმთაგან მრავალჯერ დაცდილი არის“.

ეს ინგალაცია ანუ „კუამლება“ არა მარტო ყელისა და ფილტვების დაავადების დროს იყო გამოყენებული, არამედ მეტად ორიგინალური სახით სხვა ორგანოების დაავადების დროსაც. მაგ: კარი „იზ“ ჩვენ ვკითხულობთ:

„ვინცა აფთრის თვალი დაწვას, დანაყოს და გაცრას, და ნაკურცხალზედა დააყაროს და თვალშიგა იკუამლოს, რარიგადცა კაცი დღისით ხეღვიდეს, ისრევე ღამით დაინახოს“

ან კიდევ კარი „მზ“: „ეს წამლები ყველა დანაყეთ, გაცერით და ერთად აურივეთ და ცეცხლზედა დააკმიონ და ზედ გარდაალაჯონ და ამისი კუამლი და სული საშოშიგა შეუშვას“

კიდევ უკანა კარის გატეხვისა და ზიდვების დროს არის ეს საშუალება ნახმარი. კარი „ლზ“: „ვინცა გოგირდი დანაყოს და თხის თირკმლის ქონითა მოზილოს, და ამისგან ჰაბები შექნას და ესე ჰაბი ნაკურცხალზედა დააკმიოს, და კაცმან ზედ გარდილაჯოს და ამისი კუამლი მუცელსა და სტომამქშიგა შეუშვას, მწოვედ კარგად მოუხდების და უშველის“.

ინგალაციის გარდა ხმარებაში ყოფილა მშრალად წამლის ჩაბერვა ხახაში. კარი „თ“: „და ერთსა ლერწმისა ძასრაშიგა ჩაყარეთ (წამლები) და ამა მასრისა ერთი წვერი ცხვირშიგა შეუღვევით და მეორე წვერი პირთანა დაიჭირეთ და ამა მასრასა წყნარად და წყნარად შეუბერეთ, რომე ესე წამლები კაცსა დამალშიგა შეუვიდეს“ (დამალი პირის ღრუს უკანა ნაწილია)

ან კიდევ კარი „კბ“: „ლერწმის მასრითა ხახაში ჩაუყარონ და ასრე რიგად ჩაბერონ რომე, წამალი ხახაშიგა ჩაუვიდეს“.

ჩირქოვანი მუწუკის ან მეტხორცის გამორწყევა და მოკვეთა აუცილებელი ყოფილა: „და თუ ესე ხუნაყი რბილი იყოს, თითი დააჭირონ და გამოურწყონ“ (კარი „კბ“). ან კიდევ: „და თუ ესე ხუნაყი მართლად გამოჩნდეს და გამოუვიდეს ან უნდა მოჰკუეთონ და ან გაუხიონ“ (იგივე კარი)

მაგრამ წინამდებარე წიგნში ქირურგია მაინც სუსტად არის მოცემული. ამისი მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმაში, რომ იმ დროს მედიცინა მიჩნეული იყო წმინდა იდეურ ფილოსოფიურ და ზემთაგო-

ნებულ მოძღვრებად, და მაშინდელი ექიმები ერთგვარ სათაკილო საქმედაც კი სთვლიდნენ იარაღის ხმარებას ავადმყოფზე. მაგალითად, კარი „ლზ“: ჩვენ ვკითხულობთ: „და ბევრსა აქიმთა ასრეცა უთქუემს თუ აღარა ღონე იყოს (სწორი ნაწლავის გამოვარდნის დროს) უკანა კარი შეუყერონო და კიდეცა დასდაღონო, მაგრა დადგებისო, მაგრა რკინის საქმე და ჩუენი აქიმობა შორი შორ არისო“.

სამაგიეროდ მეტად ორიგინალური ხერხებია ნაჩვენები როგორც სისხლის შესაჩერებლად, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს ოპერაციაა ნაჩვენები. მაგალითად, კარი „ნზ“ ჩვენ ვკითხულობთ: „აგრევე თუ ან დაკოდილობითა და ან გატეხითა და გახეთქითა, კაცსა თავზედა სისხლი არ დასწყდეს მოიტანე შედედებული თბილი ძროხის სისხლი და დაკოდილზედა დაადევ და ფიცხლავ სისხლსა დასწყვეტს“.

ან კიდევ თვალში თეთრის დროს: „მოიყვანე ბერი დედაკაცი და ხმელი ყურძენი და ქინძი ერთად აქამეთ, და თეთრშერეულსა კაცსა თვალი აუხილეთ, და ამ ბერმან დედაკაცმან თეთრშერეული კაკალი თვალი ბევრჯელ უნდა გაშოლოკოს, და უსათუოდ კარგად უზამს, და თეთრს გამოიღებს, ამისთვის რომე ბერს დედაკაცსა ენა როგორაცა ქლიბი ისეთი აქუს“.

თავისებურად არის მოცემული ორგანოთერაპია. ცნობილია, რომ ძველად ქართველების შეხედულებით მოძრაობა, სიმამაცე და ვაეკაცობა სქესობრივ უნარიანობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ მოძრაობის მოშლა ესმოდათ როგორც სქესობრივი უნარიანობის მოშლა. აქედან გასაგებია, რომ სათესლე ჯირკვლები გამოყენებული იყო სწორედ ამ მოძრაობის მოშლის დროს. მაგალითად, კარი „იე“: ჩვენ ვკითხულობთ: „მამლის ქათმის ყუერები რომე კამათა და ცერეცოთა მოხარშონ და ისრე ჭამონ თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის“.

კიდევ იხ. კარი „იზ“: „ვინცა კაკბის მარჯვენა თვალი რძეში-გა. მოხარშოს და თვალშიგა გამოივლოს, თვალთა ასეთსა სინათლესა მისცემს, როგორცა დღისით ისრევე ლამით დაინახოს“

ან კიდევ ცოფიანი ძაღლის ნაკბენის დროს „ბრაზიანი (ცოფიანი) ძაღლი მოკლან და ამა ძაღლის ღვიძლი მოხარშონ, და ამა ნაკბენსა კაცსა აქამონ და მაშინვე ეშველების“ (იხ. კარი „ჟ“)

ან გველის ნაკბენის დროს: „და თუ ვითმე ამავე გველს მოჰკლავენ და ისივე გველი რომე გამოსწლან და თავისავე ნაკბენზედა დაადვან მაშინვე ულხენს და უშველის“ (იგივე კარი)

შარდით მკურნალობა და ქალის რძით მკურნალობა წინამდე-

ბარე წიგნში, ისევე როგორც ძველ ქართულ წერილობითსა თუ ხალხურ მედიცინაში, ფართოდ არის გამოყენებული. მაგრამ აქ საგულისხმოა ერთი დეტალი, რომელიც უნდა აღინიშნოს. ამ წიგნში ქალის რძე გამოყენებულია ჩირქოვანი ურეტრიტის დროს: „საფსლეს ხვერელშიგა უბიწოსა (ჯანსალი) ქალის რძე ჩაუწვეთონ“ (იხ. კარი „ლთ“).

გაკრვეულად არის წამოყენებული აგრეთვე მზითა და წყლით მკურნალობა. ძველ ქართველ ექიმებს კარგად ესმოდათ, რომ მიწიდან გამომავალი თბილი წყალი „თაობიდან ცივი წყარო არის და ესე ცივი წყარო ზოგი გოგირდისა მადანს გამოივლის და ზოგი ნავთის მადანსა გამოივლის და მაშინლა გათბების“ (იხ. კარი „ნა“)

მზითა და წყლით მკურნალობა უფრო გამოყენებულია „ისისხის სენის“ დროს. ეს სენი წყალმანკია (ალბათ, ტუბერკულოზური პერიტონიტი). კარი „ლბ“ ჩვენ ვკითხულობთ: „და ან მზეშიგა ცხელსა ალაგსა უნდა დაჯდეს, რომე ამა კაცსა თავი ჩრდილშიგა უნდა ჰქონდეს და სრულად ტანი მზეშიგა ჰქონდეს. და თუ მზე არ იყოს ამავე რიგად ცეცხლის პირსა და ან თორნის პირსა დაჯდეს“

კიდევ: „ან ზღვის წყალშიგა, ან შაბის წყალშიგა, ან გოგირდის ან ქანის (მინერალურ) წყალშიგა ყელამდისა ჩასვან. და თუ ესეები არც ერთი იყოს, ამავე რიგად ყელამდისი მარილს წყალშიგა ჩასვან“ (იგივე კარი)

კიდევ: „და თუ ასეთსა თბილსა აბანოშიგა იბანონ რომე მიწიდან მან თვითან თბილი გამოდიოდეს ამ რიგსა ილიჯაშიგა (ვანაში) ბანება და შიგ ჯდომა სისხისა სენსა და სიმსიენესა მწოვედ არგებს და კარგად მოუხდების“ (იგივე კარი).

ამის გარდა, ნერვიულ ავადმყოფობათა და სევდიანობის ანუ მელანქოლიის დროს გამოყენებულია, მთელ საქართველოში უწინ და დღესაც ხმარებული, მკურნალობა: სიმღერა, საკრავზე დაკვრა, ლამაზი საგნების ნახვა და ტკბილი საუბარი, „კაის საკრავისა და კაის ხმის გაგონება, და ლამაზის ადამის ტომის და ლამაზის პირუტყვისა და ლამაზის ალაგის ნახვა, და ყოვლის წამლისაგან მეტადრე თავის საყუარლის ნახვა და ჭურჭტა, ყოვლის სენისა და ქირისა წამალი და აქიმი არის“.

მეტად ორიგინალურია ის რჩევა, რომელიც მოცემულია ცოფიანი ძაღლის დაკბენის დროს:

„ამისი წამალი ეს არის სადამდისი ორმოცი დღე არ გათავდეს, ეს ძაღლის ნაკბენი ასრე უნდა შეინახონ რომე, არ გამრთელდეს“ (კარი „ჟ“)

ან კიდევ: „ბრაზიანმან ძალმან რომე კაცსა უკბინოს, თუ სხვა წამალი არ დაგესწრას, ბევრი ნიორი უნდა აქამონ და უსათუოდ უშველის“ (იგივე კარი).

ან კიდევ: სიცხიანი ავადმყოფობის დროს იყენებდნენ ყინულს (იხ. კარი „მთ“) — „და თუ იშოვებოდეს თოვლი ან ყინული ასრე ახლოს დაუდვან რომე, იმისი სიცივე პირსა მისდიოდეს“.

აი ამგვარი ხერხები და საშუალებანი არის გამოყენებული წინამდებარე წიგნში ამათუიმ ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ, ავადმყოფის მოსავლელად და განსაკუთრებლად. მაგრამ ამ ხერხების გარდა, დაკვირვებული მკითხველი წინამდებარე წიგნში ნახავს ბევრს ისეთს სხვა ხერხს და საშუალებებს, რომ სათანადო პატივს მიუზღავს ჩვენი განსწავლული წინაპრების ბრძნულ გონებამახვილობას.

თუ რის მიხედვით უწერდნენ წამლებს ან რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ძველად ქართველი ექიმები მკურნალობის დროს, ამაზე ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. აქ უნდა დაუმატოთ მხოლოდ ის, რომ მკურნალობის დროს ისინი მისდევდნენ პოლიფარმაციის პრინციპს ანუ ბევრი წამლის ერთად გამოწერას. ეს ტრადიცია შემოტანილი უნდა იყოს საქართველოში არაბეთიდან, სადაც არაბმა ექიმებმა წამლების ისედაც დიდი რიცხვი უფრო გაამრავლეს.

მაგრამ მიუხედავად ამ გარეგნული სიმრავლისა, მკურნალობის პრინციპი მაინც მეტად სადაა, მიზანიც უბრალოა და მარტივი; წამლეულობის საშუალებით დაცული უნდა ყოფილიყო წონასწარობა სხეულის სასიცოცხლო წვენების მიმოქცევაში, რადგანაც ამ წონასწარობის მოშლა იწვევდა ამათუიმ ავადმყოფობას. წამლებს უნდა გაემრავლებინათ სხეულის წვენი, თუ ის შემცირებოდა, და შემეცირებინათ, თუ ეს წვენი გამრავლდებოდა და ამით დაირღვეოდა პროპორციული თანაბრობა წვენების გარევაში, რადგანაც ეს პროპორციული თანაბრობა ანუ წონასწარობა მთავარი პირობა იყო ჯანმრთელობისა.

ამითვე იყო გამოწვეული ის, რომ ასე ხშირად მიმართავდნენ სისხლის გამოშვებას, პირლებინებას, მუცლის გახსნას. ეს საშუალებანი ყველაზე ძლიერად და კარგად სწმენდნენ სხეულს დაგროვილი მავნე წვენებისაგან და ხელს უწყობდნენ წვენებს შორის წონასწარობის აღდგენას და პროპორციული თანაბრობის დაცვას მათს გარევაში.

წამლეულობა, რომელიც ხმარებულია წინამდებარე წიგნში, მზადდებოდა უმთავრესად მცენარეულობისაგან და სხვადასხვა ხილისაგან, გამოყენებულია აგრეთვე ქიმიური წამლებიც.

ფარმაკოლოგიურ თვისებათა მიხედვით მთელი ეს წამლეულობა ლაგდებოდა შემდეგ ჯგუფებად: მუცლის დასალბობნი, სისხლის უკუმყენებელნი, გამაგრილებელნი, გამახურებელნი, სარწყველნი, მომხოცობელნი, მოსამწიფებელნი, გამომრწყავნი და სხვა...

წამლების დამზადების დროს გამოყენებული იყო თითქმის ყველა ის წესები, რომელნიც დღესაც არიან ხმარებულნი, მაგალ. გახმობა, დალბობა, მოხარშვა, გაწურვა, დანაყვა, გაღესვა, დაზეღვა, დასორსოლავენბა, სუნისა და გემოს გაკეთება და სხვ...

წამლეულობის ზომა და წონა წინამდებარე წიგნში გამოყენებულია არაბულ-ქართული მაგალითად:

ყერატი — 4 ქრთილის მარცვალი	„მუქაში ერთი დაქრვაა“
დანგია — 3 კერატია	ჩანახი -სხვადასხვა ადგილას
დირჰამი—დრამი—6 დანგია	სხვადასხვაა, ქართლში უდრის 8 კილოს
ოყა — 4 დრამია	ფიალა — დაახლოვებით $\frac{1}{2}$ კიქაა
ვაყია—უკია -- 12 დრამია	ფინჯანი — კიქაზე ცოტა ნაკლებია
რათალი — 130 დრამია	თასი — დაახლოვებით 1 ჩაის კიქაა
ლიტრა — 400 დრამია	ჩაიგირდაგი—დანგი $\frac{1}{8}$ -ედია
კოქი — დაახლოვებით 10 დრამია	
პეეშვი—ერთი მუქაა	

თუ როგორ ესმოდათ ექიმის დანუზნულება და რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ექიმის გამოცდილებას, ცოდნასა და პირად თვისებებს, ეს ჩვენ უკვე ვიცით „წიგნი სააქიმოი“-დან. აქ ჩვენ მოვიყვანთ ერთ მეტისმეტად საგულისხმო ამონაწერს (იხილე ხელნაწერი № 343, ფონდი H. სახ. მუზ. არქივი), საიდანაც ნათლად ჩანს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებოდა ძველ საქართველოში ექიმს ავადმყოფის საწოლთან.

„ეს დავსწერე ამაღ რომ ნიადაგ კაცი აქიმთან ვერ მივა. აქიმთან მისვლა მრავალ ფერი არის. ეგები ასეთ დროს მივიდეს რომ, გუნებაზედან არ იყოს და კაცის ნათქმავს და ფერისა, პირისა და ხილთის და სენის თავი ვერ შეიტყოს, და გონება ვერ მიაპყრას. და ეგები ასეთსა დროს იყოს რომე, ავადმყოფის პატრონმან რა გინდ კარგად, სწორედ უამბოს ის აქქიმმან ვერ შეიტყოს, და რაგინდ რა წამალი მისცეს და არა არგოს რა და მაზედან კაცი მწოვედ დაზინდების.“

და თუ აქიმმან ავადმყოფი და მაჯა არ ნახოს და კარგა აქიმობისა საქმესა გული არ მიუპყრას, ისევე სჯობს რომე კაცი თავის ნებაზედ იყოს, ამიტომ რომ, თუ აქიმი გულსა და გონებას არ დააპყრობს, ისევე ღვთის ინაზარაზედ იყოს ისი სჯობს, ამიტომ რომ სწეულს არ უჯობს. ზოგი ასეთი სენი არის რომე, სხვა წამალი მოხედეს და თუ არ აწყენს არც არგებს და მისთვის მოუმატებს სენსა. ამიტომ აქიმობას მრავალი საქმე უნდა და გასინჯვა, ეგების კირსა ასეთი წამალი მიუხდეს რომ, რარიგათაც ცეცხლზედან აღუღებულსა წყალსა ცივი წყალი დაახსნა იგი დააწყენაროს და მოანელოს, ეგრევე სწეულსა, კირსა მიხდომილმან წამალმან, ისრე არგოს და დააწყენაროს, და მოუხდეს კირსა.

აქიმობისა ბედი რომე, რა რიგადცა სიცხით გაფიცებულსა სახლსა ცეცხლი მოეკიდოს, ზენა ქარი უქროდეს და კაცმან მრავალი წყალი ასხას, და შერმე ქვენამან ქარმან შემოჰპეროს და მისი სახლისა დამავსებელსა ველარა შეიტყოს, ჩამოხლტეს და ველარ მიუდგეს—აგრევე აქიმობის საქმე არის, აქიმობას დიდი ცდა და გონების მოპყრობა უნდა რომე, არცა სენისა პატრონი დაზიანდეს და არცა აქიმი შერცხვეს“.

რაც შეეხება ჩვენი ავტორის ერუდიციას ანუ მკოდნეობას, ის მეტად ფართოა, რაც ნათლად ჩანს წინამდებარე წიგნში ნაჩვენებია ავტორებიდან. ეს ავტორები შემდეგნი არიან:

ბოლრატი—Hippocrates დაიბადა 460 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გარდაიცვალა 356 წ. თესალიის ქალაქ ლარისში.

ჯალინოზ — Claudius Galenus 131—201 წ., უდიდესი ექიმი, ექსპერიმენტული სკოლის შემქმნელი და მეთაური.

ლულმან აქიმი—Lycurgus—850 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ისაყ — Izaak ben Soleiman el Israili—ცხოვრობდა მეათე ს-ში.

ბურჰანა აქიმი—?

ერასტი თალის აქიმი — Erasistrat მე-3 საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ალექსანდრიის სკოლის სახელგანთქმული ექიმი, ფუძემდებელი ადამიანის ანატომიისა.

რუჰუზ — რუფას — რუფოს — Rufus ეფესიდან, 97 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცხოვრობდა რომში, გამოჩენილი ეკლექტიკოსი იყო.

ზაქარია აქიმი — ზაქარია შეილი — მაჰმად აქიმი — Muchamed Arasi Muchamed abn Sechariah 923 წ., გამოჩინებული არაბი ექიმი.

სინა აქიმი—სინაის ძე—Ebn Sina 980—1036 ჩ. წ.

მარჯუა — მასარჯუა — Maesrdshcavaih—680 წ., ებრაე-
 ლი ექიმი, ცხოვრობდა არაბეთში.
 მადაინი — მადანელი — Aëtius Amidenus 557 წ.
 ნუვის აქიმი — Nonus მე-X საუკუნე. ბიზანტიის ექიმი,
 შეადგინა მედიცინის კრებული.
 ჰუნან — Honain Ebn Jshak 804—877 წ.
 რუეთი აქიმი — ?
 ფულისა აქიმი — Fales მილეტელი 636 — 546 ჩვ. წელთაღ-
 რიცხვამდე, იყო იონიის სკოლის ექიმი.
 მასიპ აქიმი — Mesue უმცროსი, ცხოვრობდა მე-XII საუ-
 კუნეში.
 უჰანა — იოანა — Johannes Mesue—777 — 857¹ წ.

ამგვარია ბატონიშვილი დავითის იმავე დაუდხანის საექიმო
 წიგნი „იადიგარ დაუდი“, რომელიც, ჩვენის აზრით, წარმოადგენს
 ქართული წერილობითი მედიცინის მე-XVI საუკუნის უდიდეს ძეგლს.
 ვისაც აინტერესებს ქართული კულტურისა და კერძოდ ქარ-
 თული მედიცინის განვითარების გზები, ეს წიგნი ძვირფას სამსახურს
 გაუწევს შემდგომი კვლევის საქმეში.

ამ დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის გარდა,
 წინამდებარე წიგნი არ არის მოკლებული პრაქტიკულ ინტერესსაც,
 რადგანაც მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა საშუალებას
 მოგვცემს მრავალი პრაქტიკული დასკვნის გაკეთებისთვის, რაც უფ-
 რო მეტად გამოსცდის ჩვენს აზროვნებას და სათანადო იმპულსს
 მისცემს საექიმო აზრის შემდგომ განვითარებას.

„აწე ვისცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ და ძა-
 ლითა და შეწევნითა ლეთისათა ამა წამლების მიზეზითა იგი
 კაცი მორჩეს და ელხინოს, მე ცოდვისა და უღირსსა დაუდხანს
 ნუ დამივიწყებთ. ვინც შენდობა მიბრძანოთ, ღმერთმან თქვენც
 შეგინდნეს თქვენნი ცოდენი და ამა უხანოსა სოფელსაც უჭირ-
 ველად გამყოფოს და გაღლეგრძელოს და შეგარგოს და თქვენ-
 ზედა აღნად ქნას სარჯელნი და პირნახულნი ჩემნი“.

მადლიერი შთამომავლობა მოიხსენიებს დავით ბატონიშვილს
 როგორც უდიდეს ექიმს და ქართული მედიცინის ერთ-ერთ თვალსა-
 ჩინო და სახელოვან წარმომადგენელს.

თბილისი 1937 წელი 12 მაისი.

ლადო კოტეტიშვილი

1) წიგნში იხსენება კიდევ „იადიგარ აქიმი“. ჩვენის აზრით, „იადიგარ“ საკუთარ
 სახელს არ ნიშნავს. ამ სახელის ქვეშ წინამდებარე წიგნის ავტორი დაუდი უნდა
 იგულისხმებოდეს.

იქცევი ღმერთი



ქ: ნებითა და ბ'ბითა ლ'თისათა ქ'კსა უპე ¹⁾ ჩუენ მეფეთ მეფისა ბატონისა ლუარსაბის ძე საწყალი დაუთხან ჩუენსა საქმეზედა ისტამბულს, სულთან მურად ხელმწიფესთან მოვედით სასაქმოდ, და აქა ისტამბულს ორსა წელიწადსა ვიყავით, და ერთსა დღესა, ერთსა ბედნიერსა და ფილასოფოსსა კსა შემოვეყარენით, და თავის სახლშიგა მიმიყუანა, და მრავალი სააქიმო და სამეცნიერო წიგნები ჰქონდა და გვიჩვენა. და რა სრული ისი წიგნები ვნახეთ და გავსინჯეთ, მწოვედ მოგვინდა და მოგვეწონა, და წინას კაცთა მცნებასა და მკოდინარობასა გაეჰკვირდით, თუ ამა ყუელასა სენსა ჰირსა და

10 სატკივარსა ან როგორ მიხუდეს და ან გული როგორ გაავლეს და ან ამთენსა სენსა და ჰირსა თავ თავისი წამლები როგორ უბოვეს.

აწე ესე ჩუენცა ვიცოდით, რომე დღეს საქრისტიანოშიგა ამისთანა და ამ გვარი ქართული ²⁾ წიგნი სააქიმო არ იყო, და საქრისტიანოშიგა მრავალი ასეთი კაცი ვნახეთ, რომე უხელობითა და უცოდნელობითა მოკუდა და დაზიანდა, რომე რაცა მათ კაცზედა სენი და ჰირი ვნახეთ და ან მის სენისაგან ისი კაცი დაზიანდეს, მის სენისა და ჰირის წამალი, ყუელა ადვილის საქმითა მათ წიგნებშიგა ეწერა. ვნახეთ და წავიკითხეთ, და ამ რიგისა სენისა მკურნელი წამალიცა ბევრი ვნახეთ. მერმე ჩუენცა შევბედეთ და შევეცადენით,

20 ვითა ესე ორი თათრული სააქიმო წიგნები ქართულად გარდმოვათარგმანო მეტქი, ამისთვის რომე თავად ესე დიდი მადლი არის, რომე კაცმან კაცი სარჯელისა და სიკუდილისაგან დაიხსნას და მოარჩინოს.

მერმე ჩემი თავი და ჩემი გულის ყური, ჩემი ჰკუა და მკოდინარობა დავსცადო, თუ ამა ორისა თათრულისა წიგნისა ერთგან შეკრება და გარდმოთარგმანება შემიძლია თუ არა მეტქი. და მეცა იმა სრულთა წიგნთაგან ორი ბრძენთა და ფილასოფოსთა კაცთაგან

1) აქ გადამწერის შეცდომაა, უნდა იყოს „სჟე“.

2) ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სრულისა, იმა სააქიმოსა წიგნებიდალმან გამოკრებული და დაცლილი წიგნები გამოვარჩივთ, და ესე ორი წიგნი ორსა ბრძენსა და ფილასოფოსთა კაცთაგან სხუათა მრავალთა სააქიმოსა წიგნებშიგა გამოვარჩეული და გამოკრებული იყო. და რაცა იმა მრავალთა სააქიმოთა წიგნთაგან ან აქიმობა და ან წამლები მოსწონებოდა და ან მრავალჯერ დაეცადა, ყუელა იმა სხუათა წიგნთაგან გამოვლო და გამოეკრიბა და სრულად ამა ორსა წიგნშიგა დაეწერა. და ერთის წიგნისათვის მუნთა ხაზი შაფა დაერქმევიანა, ვითამცა სრულისა სააქიმოსა წიგნებიდალმან გამოკრებული და გამოვარჩეული, და ყოვლისა სენისა 10 მკურნელი და წამალი, და მეორის წიგნისათვის იადიგარ შარიფი დაერქმევიანა, ვითამცა ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელიო.

აწე ჩუენცა ამა ორისა წიგნისა გარდმოღებასა და გარდმოთარგმანებასა შევეცადენით, და ამა ორისა თათრულისა წიგნისაგან ერთი ქართული წიგნი გარდმოვთარგმანეთ, და ჩუენსა გარდმოთარგმანებულსა წიგნსა ჩუენცა სახელად იადიგარ დაუდი დავარქუით, ვითამცა ჩემი სახე და ჩემი მოსაგონებელიო.

აწე ჩუენცა ღთისაგინ ესე ვითხოვეთ და ესე ვიაჯეთ, რომე ამდენი კჳუა და გონება, სწავლა და გულის ყური მიბოძე და ამდენი ძალი და გაძლება მამეც მეთქი, რომე ესე ორი წიგნი ერთად შემოვკრიბო, და ორთავე თავი ერთად შემოუყარო და ნებისაებრვე ვათარგმანო, და მართლად და ურცხვად გარდმოვილო მეთქი, რომე თუ კაცი ასეთსა ადგილსა ავად გახდეს, რომე იქი აქიმი და შემტყობი კაცი არ იყოს, და განგებითა შენითა მის კაცისა დღენი არ აღსრულებულიყოს, ძალითა და შეწვევითა შენითა, ამა წამლებითა მოვჩეს და მრავალთა ხანთა და ჟამთა გაქებდეს და გადიდებდეს შენ, ტკბილსა და მრავალ მოწყალესა ღთსა ჩუენსა იესო ქრისტესა.

აწე მან უწყის, რომელსა არცა ცხადი დაემალვის და არცა იღუმალი, რომე ამა წიგნისა დაწერასა და გარდმოთარგმანებაშიგა მრავალი და მრავალისაგან უფროსი კირნი და სარჯელნი ვნახეთ, 30 და მრავალსა ალაგსა დავლონდით და მწოვედ გაგვიძნელდა, და მრავალი საქირო და საძნელო სიტყუანი და საქმენი გარდმოვთარგმანეთ. ბოლო ისმინა ღთმნ აჯა და მოხსენება ჩემი და მოგუცა ამდენი ძალი და შეძლება, კჳუა და გონება, რომე, რაცა იმა ორსა თათრულსა წიგნშიგა თათრულად ეწერა, ან მრავალფერისა სენებისა მიზეზი, ან ნიშნები და ალამათები, ან მაჯუნებისა და შარბათებისა შექნა, ან ტლებისა და ლოაბების გაკეთება, და ან მრავალ გუარისა სენებისა წამლები, ყუელა მართლად, კარგად და გაჩენით გარდმოვწერეთ და გარდმოვთარგმანეთ, და ყუელა ქართულად ამა წიგნ-

შიგა დავსწერე და ძალითა და შეწევნითა ღთისათა ადვილად გარდაუწყუიტეთ, და იმა მრავალფერისა სენსა და სატკივარსა რომე ძესა კაცისასა არ ასცილდების ყუელასა თავი ერთგ... [ან]

- საქმეები ურცხვად და მართლად გარდმოვთქუა და გარდავათარგმანო და ნებისაებრივ გავათავო. და ამას მივხუდე და შევიტყო, თუ კაცი რომლისა ხილთისა და ან რომლისა სენისაგან და კირისაგან გახდების ავად, და ან რა და რომელი სენი და კირი რომლისა ხილთისაგან და ან რომლისა მიჰირვებისაგან დაიბადების, ან იმა ხილთებისა და სენებისა ნიშნები და ალამათები რა და რომელი არის, ან მისი წამლები და ხელის შეწყობა როგორ უნდა. აწე ერთი სააქიმო მუხთასარი, ვითამცადა ცოტა და კარგი წიგნი გარდმოვილო და ყოვლის სააქიმოსა წიგნებიდალმან გამოვლებული და გამოკრებული, და ან რაც ბრძენთა და ფილასოფოსთა კაცთაგან ნაქმარი და ან ნათქუამნი, სიტყუანი და ან საქმეები იყოს, და ან მე ცოდვილსა და უღირსსა მამეგონოს და გამომელოს, და ან მრავალჯერ დამეცადოს, ყუელა ამა წიგნშიგან დავსწერო. და ის სენი და კირი, რომე ძესა კაცისასა არ ასცილდების, მის ყოვლისა ფერისა კირისა და სატკივრისა მიზეზები, ნიშნები და ალამათები, და მათ მათი შესაფერი წამლები მართლად შევიტყო და გარდმოვთქუა და ყუელა ამა წიგნშიგან მართლად და უმტყუენოდ დავსწერო. ამისთვის, რომე თუ კაცი ასეთსა ალაგსა ავად გახდეს, რომე იქი აქიმი და შემტყობი კაცი არა იყოს, ესე წიგნი დაიდვან წინა და ამა წიგნითა უაქიმონ. და რარიგადცა ამა წიგნშიგან ეწეროს ან მრავალ გვარისა სენებისა ნიშნები და ალამათები, ან თავ თავისა სენისა შესაფერი წამლები და ხელის შეწყობა, და მაჯუნებისა და შარბათებისა გაკეთებისა, და ან მალამებისა და ტლეების გაკეთება, ან მაჯისა და ელფერის შეტყობა, ან შარდისა და ყარურასა შეტყობა, ან სისხლისა და ან ზაფრისა, ან ბალღმისა და ან სევდის სენებისა ნიშნები, და მათ მათი შესაფერი წამლები და შეტყობა სწერია, ყუელა ისრე ქნან.
- 30 და ვინცა ამა წიგნსა მიჰყუეს და გაუგონოს ძალითა და შეწევნითა ღთისათა, აწე უსათუოდ კაცსა გულის ნება აუსრულდების და ავად მყოფსა მკურნელი ჰკურნებს, ძალითა და შეწევნითა მისითა. აწე ძალითა და შეწევნითა ღთისათა, ჩუენცა ყოვლსა ფერსა სენსა და სატკივარსა მივხუდით და შევატყევით, თუ რა და რომელი სენი რომლისა ძარღვისაგან იქნების და დაიბადების, ან

¹ აქ დედანს ერთი ფურცელი აკლია.

სიციხისა და ან სიგრილისაგან რომე კაცი ავად გახდეს, იმას როგორ უნდა შეტყობა. ან იმა ოთხისა ხილთისა ნიშნები რომელი არის, ან ამა ხილთებისა წამლები და ხელის შეწყობა როგორ უნდა, ყუელა მართლად და გაჩენით დამიწერია.

10 და ოთხმოცსა გუარსა სენსა ყუელასა თავი ერთად შემოუყარე, და ყუელა ერთად შემოვკრიბე და ამა ოთხმოცისავე სენისა ნიშნები და ალამათები, წამლები და ხელისა შეწყობა, ყუელა ამ წიგნშიგან გაჩენით და მართლად დავსწერეთ, და თვითოსა გვარსა სენზედა თვითო კარი გავმართეთ. და ყოვლსა სენსა და სატკივარსა თავ-თავისი მიზეზები, ნიშნები და წამლები, ყუელა გაჩენით დაუწერეთ, ამისთვის რომე, რომლისაცა სენისა და სატკივრისა პოვნა გინდოდეს, ყუელა სენი და ქირი თავთავის კარსა და ჯერგაშიგან უნდა მონახოთ, და იმა მრავალ გუარისა სენებისა ნიშნებსა და წამლებსა ყუელასა იქი იპოებთ.

აწე ვინცა ესე წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, ყოელი სააქიმონი საქმენი ისწავლოთ და გაიადვილოთ, წამლები და ლოაბები, მალამები და ტლეები, ყუელა ისწავლოთ და კარგათ ჰქნათ.

20 აწე ესე აქიმობა და მრავალფერი წამლები ამისთვის არის მოგონებული ზოგი საგრილო და ზოგი სამხურვალო, რომე თუ კაცსა დღენი არ მოსელოდეს, და ან განგებითა ღთისათა მის კაცის დღენი არ აღსრულებულ იყუნენ; კაცი მშოედ არ გაისაჯოს. თვარადა რა ბძანება და განგება ღთისა იქნების, და ან კაცსა სიკუდილისა დღენი მოუვლენ, ტინი კლდე იყოს. ისიცა ცვილად გარდიქცევის, და ნედლი გახმების არამთუ ბძანებასა და განგებასა ღთისასა კაცი მოურჩეს, და ან უგანგებოდ წამალმან კაცი მოარჩინოს.

30 აწე ვისცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ, და ძალითა და შეწეენითა ღთისათა ამა წამლებისა მიზეზითა იგი კაცი მოარჩეს და ელზინოს, მე ცოდვილსა და უღირსსა და აუთ ხანს ნუ დაგვივიწყებთ. ვინც უნდობა მიბძანოთ ღთნ თქუენცა შეგინდნეს თქუენი ცოდვანი და ამა უხანოსა სოფელსაცა უქირველად გამყოფოს, და გადღეგრძელოს, და შეგარგოს, და თქუენზედა აღნად ქნას სარჯელნი და ქირნახულნი ჩემნი.

აწე ესე წიგნი სამად გავჰყავით და სამ წილად ვჰქენით და გავაჩინეთ.

პირველი კარი ორი ბაბი არის და ესე პირველი კარი სააქიმოსა საქმებსა გამცნებს და გიანბობს.

მეორე კარი საქმლებსა, მაჯუნებსა და შარბათებსა გამცნებს და გიანბობს.

მესამე კარი და წილი ყოვლის ფერისა სენებისა და სა-
ტკივარისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიანბობს.

ა. პირველი წილი და კარი სააქიმოსა საქმეებსა რომე გამცნებს
და გიამბობს. ესე არის რომე, რასაცა საქმელსა სკამს, ყულა კაცის
მუცელსა და სტოპაქშივა დადნების, და მოღულებულსა ქერისა წყალ-
სავითა გასქელდების და ამას სახელად ქეილუსი ჰქეიან, და მერმე
სტომპქიდალმან სრულად ღვიძლთანა მივა და იქი ღვიძლისა სიციხე და¹
სიმბურვალე კიდეც სრულად დაადნობს. და მერმე ყოვლი ფერი სასმელ
საქმელი ოთხად ხილთად გარდაიქცევის: პირველი სისხლად,
10 მეორე საფრად, მესამე ბალღმად და მეოთხე სევდად.
მასუკან ესე ქეილუსი სრულად ძარღვებშივა გაიყოფის და დაიფან-
ტვის და კიდევე იქი სრულად დადნების და ძარღვებიდალმან ყო-
ვლსა ასოშიგან დაიფანტვის და გაიყოფის. ასრე რომე ამა ქეილუ-
სისაგან ფხილიცა არ დარჩების, რომე იმასაცა არ მიხუდეს და,
რადიგადაცა ზე წყლითა იხარებს და წყალი ანედლებს, ისრევე ყო-
ვლი ასო და ყოვლი ძარღვი ამა ქეილუსითა იხარებს და ნედლი
არის, და ამა ქეილუსითა ცოცხალა. და ესე ქეილუსი ანედლებს, და
ერთსა დღესა რომე ამისგან კაცისა ასოსა წყალი არ² მიხუდეს, ესე
იცოდი კაცისა ასო უსათუოდ განმების და დაუშავდების.

20 და ყოვლი ასო ამა ქეილუსითა ცოცხალა და ამისგან ადამის
ტომისა გუამსა და ასოშივა ზოგი სისხლად გარდაიქცევის, ზოგი სა-
ფრად, ზოგი ბალღმად და ზოგი სევდად.

პირველი სისხლად გარდაიქცევის და ამა სისხლსა რაც უნდა
ღვიძლი დაიქვრს, და სხავასა მეტსა სისხლსა ძარღვებსა და ყოვლსა
ასოზედან გაჰყოფს, და ამა სისხლისა თაბიათი მხურვალე და ნედლი
არის. და-სისხლის სიკეთე ის არის, რომე ესე სისხლი ყირმიზი იყოს
და ავისული არ უდიოდეს, და ესე სისხლი არცა მწოედ თხელი იყოს
და არცა მწოედ სქელი.

და ესეცა უნდა იცოდეთ, კაცი რასაცა კანსა სკამს და ან სვამს
30 ეს კაი სასმელ საქმელები ყულა კარგ სისხლად გარდაიქცევის. კაი
ხორცები, კაი შექამადები, კაი შარბათები, თოხლო კუერცხი, ესე ყუე-
ლა კარგ სისხლად გარდაიქცევის.

მეორე ხილთი საფრა არის და ამა საფრისა თაბიათი და აე-
რი მხურვალე და ხმელი არის, კაცსა ესე საფრა მხურვალისა ტკბი-
ლისა და ცხიმიანისა სასმლისა და საქმლისაგან დაეზადების და ამის-
განვე შეექნების.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² „არ“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ დედნის ხელით.

მესამე ხილთი ბა ლ ლ ა მ ი არის და ბა ლ ლ ა მ ის ა აერი და თა-
ბიათი გრილი და ნედლი არის და ესე ბა ლ ლ ა მ ი გრილისა და ნედლისა
სასმელ საკმლისაგან შეექნების და დაიბადების: თევზისაგან, მაწო-
ნისაგან და ყოვლის გრილისა და ნედლისა სასმელ საკმლისაგან
შეიქნების და დაებადების.

მეოთხე ხილთი სე ვ დ ა არის და ამა სე ვ დ ის ა აერი და თაბი-
ათი გრილი და ხმელი არის და ესე სე ვ დ ა გრილისა და ხმელისა.
სასმელ საკმლისაგან შეექნების და დაებადების მწოედ მხუვალისა და
მწოედ მლაშისა და მწოედ ცხარისა და მწოვისაგან დაებადების: ბევ-
10 რის ნიერის ქამითა ბევრის ხმელის ყუელის ქამითა, ბევრის თევზის.
ქამითა და ამათისავე მიმგზავსებულის ქამითა და უფრო ხმელის ხორ-
ცის ქამითა შეიქნების და დაიბადების.

მაგრა ამ ოთხისა ხილთისაგან რომელიცა კაცისა გუამსა და
სტომაქშიგა დაიწვის, ესე ოთხივე ხილთი უსათუოდ სევდად გარ-
დაიქცევის და სევდად იქნების, მეტადრე მაშინ რომე, გაზაფხულის-
პირი იყოს და ყოვლი ავი ხილთი აშლილიყოს.

აგრევე ესეც უნდა იცოდეთ, რომე ერთი წელიწადი ოთხი-
ფასლი არის: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.

და პირველი ფასლი გაზაფხული არის და ამა გაზაფხულისა.
20 აერი და თაბიათი მხურვალი და ნედლი არის და უფრო შეზავებუ-
ლი არის, და არც მწოედ ცხელი არის და არც მწოედ ცივი. ამა
გაზაფხულისა ფასლშიგა კაცს სისხლი დაუმრავლდების და ესე ოთ-
ხივე ხილთი ამა გაზაფხულზედა აეშლების. ამა დროსა დაიძურის
ვითამცა სისხლი, საფრა, ბა ლ ლ ა მ ი და სე ვ დ ა ო. და ამა გაზაფხულ-
ზედა მუწუკები, ძირ დიდაები, ყელის ტკივილი და ყოვლი ვარამი-
სა სიშხინები ამა ეამსა და ამა ფასლშიგან მრავლად იქნების.

აგრევე მეორე ფასლი ზ ა ფ ხ უ ლ ი და სი ც ხ ე არის. ამა ზაფხუ-
ლისა აერი და თაბიათი მხურვალი და ხმელი არის. და ამა ზაფხულ-
სა და სი ც ხ ე შიგან საფრა გამრავლდების და გაძალიანდების, და კაცი
30 დასუსტდების, და ძალი მოაკლდების კაცსა სტომაქი დაუსუსტდების.
და ძალი მოაკლდების.¹ კაცსა სტომაქი დაუსუსტდების და საკმელს.
მართლად ვეღარ მოიძნობს და აღარც კაცს საკმელი მოუნდების.

და ამა ზაფხულშიგა საფრაკი ცხელებები და მხურვალი ავად-
ყოფაები და მხურვალი სენები ამა ფასლშიგა ბევრი და მრავლად იქ-
ნების.

¹ „კაცსა სტომაქი დაუსუსტდების და ძალი მოაკლდების“ განმეორებუ-
ლია.

მესამე ფასლი შემოდგომა არის და ამა შემოდგომისა აერი და თაბიათი გრილი და ხმელი არის. ამა შემოდგომაშიგა სევდა გაძალიანდების, ტყირაპი გასივდების და გაიზდების. და ამა შემოდგომაშიგა სევდისა სენები და ავად ყოფაები ბევრი და მრავლად იქნების.

მეოთხე ფასლი ზამთარი არის და ამა ზამთრისა აერი და თაბიათი გრილი და ნელლი არის და ამა ზამთარშიგა გრილი, ნელლი და ბალღმიანი სენი და ავადყოფაები მრავლად იქნების. ბალღამი დამრავლდების და დაძალიანდების. ამისთვის ზამთრის ბალღმის სენები ბევრი იქნების, სურავანდი, ხარბუხა, ხუელა, წელისა და სახსრების ტკივილი, და ყოვლი ფერი გრილი სენები მრავლად იქნების.

და ესეც უნდა იცოდეთ, რომე სიცხე და ზაფხული კაცს მწოედ ფერს გაუყუთლებს და ასოებსა და ძარღვებსა მწოედ დაუსუსტებს, კაცს ძალს მოაკლებს და მწოედ მოაწყურვებს და ბევრს ოფლს აღენს, და კაცს დამაღსა წაუხდენს და დაასუსტებს. და ამა სიცხისა ფასლშიგან თვალის ტკივილიცა ბევრი იქნების. და ცივი ჰავა ხორცს მოუსვენებს და კაცსა საკმელსა მოაქარვებს და კიდევ ადრე მოანდომებს, და კაცს ელფერსა გაუყირმიზებს, და კაცს ძილს მოგურის.

აწე იმა ოთხისა ხილთებისა ნიშნებსა და ალამათებსა გამცნებს და გიამბობს. კაცსა თუ სისხლი სკარბობს და ან ეს კაცი სისხლისაგან არის ავად, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცს პირისა ელფერი და ენა ყირმიზი ექნების და პირის წყალიცა ტკბილი ექნების, მწოედ ძილი მოუვა, მწოედ მთქნარებასა და წოდინს დაიწყებს. კაცსა გულის ნდომა უკუვარდების და სისხლის გამოსაშვები ალაგები ყუელა ქავილს დაუწყებს, და ტანი მძიმედ ექნების, ტყავი გაქიმიით ექნებას და ტანზედა მუწუკები და სხუა სამსხმო ყრასა დაუწყებს, და ხშირად ცხვირს სისხლი წავარდების, და სიზმარშიგა ყირმიზსა და წითელსა რასმე ბევრჯელ ნახავს. აწე რა ესე ნიშნები და ალამათები კაცზედა ნახოთ, იცოდით ამა სნეულსა სისხლი სკარბობს და დასტურად სისხლისაგან არის ავად, და დიდი ხანი არის თურმე სისხლი არ გამოიშვია და ამისგან არის ავად. ასრე უნდა მკლავი გაუხსნან და ან კოტოში მოჰკიდონ და სისხლისა დამწუმენდელი და გამქარვებელი წამალი ასონ და აჰამონ და გრილი ტლეები უყონ.

თუ კაცსა საფრა სკარბობს და ან საფრისაგან არის ავად, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე თვალნი და ელფერი ყუითლად ექნების, გული მწოედ რევას დაუწყებს, პირი მწარედ ექნების და მწოედ წყურვილი აუვარდების და მეტის მეტად მოსწყურდების

ძილი არ მოუვა და გული და სტომაქი ასრე შეეკურის, რომე საქმელი არ მოუნდების, და თვითან ესე სნეულიცა მწოედ ცხლად იქნების, და სიზმარშიგა ყუითელსა წყალსა, ყუითელსა ტანისამოსსა და ამრიგსა ყუითელსა რასმე ბევრსა ნახავს.

აწე რა ესე და ამ რიგი ნიშნები და ალამათები კაცზედა ნახოთ, იცოდით უსათუოდ საფრა სკარბობს და მისგან არის ავად, ასრე უნდა საფრისა გამქარვებელი წამლები უყოთ, რომე საფრა უკანიდალმა დაალურევინოთ და სიმხურვალე გაუგდოს.

10 თუ კაცი ბალღმისა და სიგრილისაგან ავად არის, მისი ნიშანი და ალამათები ეს არის, სნეულსა ტანი მიძიმედ და სუსტად ექნების და ცოტად წყალიცა მოსწყურდების, კაცსა მწოედ ძილად მიაგდებს და ტანიცა ცივად ექნების და ყოელს საქმეზედან დაზარამცდების და სიზმარშიგა წყალსა, თოვლსა და წვიმაებასა ნახავს და მუდამსიზმარშიგა სველი იქნების და თეთრსა რასმე ბევრსა ნახავს.

აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით დასტურად ამა კაცსა ბალღამი თურმე სკარბობს და სიგრილისაგან არის ავად. ასრე უნდა მხურვალე მაჯუნები, მხურვალე საქმელები აქამოთ და ბალღმისა და სიგრილის წამლები უყოთ და ეს ბალღამი ქუემოდალმან დაალურევინოთ.

20 თუ კაცი სევდისაგან არის ავად, ამისი ნიშანი და ალამათები ეს არის, რომე კაცსა ტანი მქლედ ჰქონდეს, ელფერი მოშაოდ ჰქონდეს, სტომაქი და სტომაქის თავი ცხლად ჰქონდეს, გული და სტომაქი ეწოდეს, და მუდმად შიოდეს, ძილი არ მოუვიდეს, თვალი და პირი ხმელად ჰქონდეს და ცუდმადს ფიქრებს იქმოდეს სისხლი შავი და სქელი ჰქონდეს და ტანზედა ბალანი ბევრი ესხას და სიზმარშიგა მკუდარსა და ჩხაპა ჩხუპაებსა ნახევდეს, და ბნელსა ალაგებშიგა იყოს მშიშრეულსა საქმებსა და შავსა რასმე ბევრსა ნახევ. ეს, და მალღიდალმან ჩამოვარდებოდეს ყოლმე.

30 აწე რა ამ რიგი ნიშნები და საქმები კაცზედა ნახოთ, იცოდით ეს კაცი დასტურად სევდისაგან არის ავად. და ასრე უნდა სევდისა და სიხმის გამქარვებელი წამლები უყოთ, რომე ეს სევდა ზოგი რწყევითა და ზოგი გახსნით დაალურევინოთ.

მაჯის ნახვისასა გამცნებს და გიამბობს. აწე თუ ესე არ იცოდეთ თუ ესე სნეული რომლის ხილთისაგან არის ავად, მაჯა უნდა უნახოთ, მით შიატყობთ. და კაცსა რომე მაჯისა ძარღვი უნახოთ, ასრე უნდა უნახოთ—ოთხივე თითი მოიტანო და მაჯაზედა დადვა და ხელი არც ძალიანად მოუჭირო და არც მწოედ სუსტად დაიჭირო. მაგრამ ავად მყოფსა მაჯა ასეთსა დროსა უნდა უნახოთ, რომე ესე სნეული მწოედ გაგულისებული და გაჯავრებული არ იყოს. ან

მწოედ მხიარულად არ იყოს, ან მწოედ შეშინებული და ნალულიანად არ იყოს, მარხვისა და შიმშილისაგან მწოედ დასუსტებული არ იყოს, და ბევრი სიმაძლრე და ან ბევრი შიმშილი არ მისკირვებოდეს, ან ბევრი არ ეელოს და არ ესაჯოს.

აწე თუ ავად მყოფსა მაჯისა ძარღვი მწოედ ჩქარად და ჩქარად უცემდეს, იცოდით ამა სნეულსა მწოედ სიცხე და სიმხურვალე აქუს და ჩქარად ჩქარად მაჯისა ცემა დასტურად სიცხისა და სიმხურვალისა ნიშანი არის.

10 თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი ცხელი ჰქონდეს, დასტურად კიდევ სიმხურვალისა ნიშანი არის და სიცხესა და სიმხურვალესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი ძალიანად და სავსე სავსედ უცემდეს, კიდევ სიცხისა და სიმხურვალისა ნიშანი არის, და დასტურად სიმხურვალესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი წყნარად და წყნარად უცემდეს, კიდევ სიმხურვალისა და სენისა სიცოტავისა ნიშანი არის.

20 თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი წყნარად და გვიან და გვიანად უცემდეს და ან მაჯისა ძარღვი ცივად ჰქონდეს, ორიგ ბალმისა და სიგრილისა ნიშანია. და წყნარად და გვიან გვიანად მაჯისა ცემა დასტურად სიგრილეს მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი არც მწოედ ჩქარად უცემდეს და არც მწოედ წყნარად და საშუალებდა უცემდეს, იცოდე არც მწოედ მხურვალად არის და არც მწოედ გრილად, მართალსა სტომაქზედა თურმე არის და ღ'თითა აგეთი არა სკირს რა.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი მუდამ ერთსა რიგზედა უცემდეს მწოედ კარგი არის, სრულად ტანისა და სტომაქისა კარგად ყოფასა და სიმთელესა მოასწავებს, და რა სნეული ამ რიგად ნახოთ ღ'თითა ნულარას გემინიან, უსათუოდ სალხინო ჯრის.

30 თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი ასრე ძალიან ძალიანად უცემდეს, რომე ძარღვზედა თითი რომე¹ დასდვა ძალიან ძალიანად ეცემოდეს, გულისა და სტომაქისა კარგად და ძალიანად ყოფასა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვები წურღულად ჰქონდეს, იცოდით აგეთი არა სკირს რა და ეს ძარღვებისა სიწლო სიხმესა და სენისა სიცოტავესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვები პტყლად და სავსე სავსედ ჰქნდეს, იცოდით უსათუოდ სინედლითა და ძალიანად არის ავად, და

¹ ეს სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ამა სნეულსა დასტურად სენი მორეგია და დასძალიანებია. და ძარღვებისა სიბტყე და საესე და საესედ ქონა თავად სენისა ძალსა და მერმე მწოედ სინედლესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი აშლით და არევით უცემდეს, სრულად ტანისა და გუამისა ავად ყოფასა და მწოედ სიძნელესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი ფიცხლა ფიცხლად და რბილადაცა სცემდეს სისხლისა სიმრავლესა მოასწავებს.

10 თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი დაქიმულ დაქიმული ჰქონდეს და ფიცხა ფიცხადცა უცემდეს, მარტო საფრისა სიმრავლესა და სიმბურვალესა მოასწავებს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი გვიან გვიანად სცემდეს და ძარღვები რბილადცა ჰქონდეს, ბალღმისა სიმრავლესა მოასწავებს, რომე კაცი მწოედ გრილად იყოს.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვები მწოედ¹ დაქიმულ დაქიმული ჰქონდეს და გვიან გვიანცა სცემდეს, სევდის ძალსა და სიმრავლესა მოასწავებს, რომე ესე სნეული სიხშითა და სიგრილისაგან იყოს ავად და უძლებად.

20 შარდისა და ყარურასა ნიშნებსა, აღამათებსა და საქმებსა გამცნებს და გაამბობს. თუ ეს არ იცოდეთ, ესე სნეული სიმბურვალით არის ავად თუ სიგრილითა, ასრე უნდა: დილეულ რომე ჯერ არცარა ესვას და არცარა ეკამოს, სნეულმან შარდი ქნას და უნდა ნახოთ. მაგრა ამა სნეულსა ასეთი არა უნდარა პირველსა დღესა ესვას და ეკამოს რომე შარდსა ფერი უქციოს, ზაფრანა, მწვანელი და ღვინო, ამისთვის რომე ესეები შარდსა ზოგი გააყუითლებს და ზოგი გააშუანებს და ამისთვის ჰაქიმი მართლად ველარ შეიტყობს, თუ რა სენი სჭირს. მერმე ასრე უნდა, ამა სნეულსა არც მწოედ შიმშილი და არც მწოედ წყურვილი არ მისჭირვებოდეს, არც მწოედ გაგულისებული და გაჯავრებული იყოს და არც უძილობა მისჭირვებოდეს.

30 ამ რიგად სნეულსა ერთსა რაშიგანმე შარდი უნდა აქნევიონ და ესე შარდი სამსა საპათსა და ეამსა ასრე შეინახონ რომე არ დაძრან, მერმე სამსა საპათსა უკანა რაშიგაცა ესე შარდი იდგეს ის პინა ცოტად შიარხიონ და მერმე ესე შარდი გასინჯონ, თუ ამა შარდისა ფერი ნარინჯის ტყავის ფერი და სული მწოედ ცხელი და მბურვალი კი არ უდიოდეს, და ესე შარდი არც მწოედ სქელი უნდა იყოს და არცა მწოედ თხელი, ასრე უნდა ესე შარდი მოპთადილი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და შეზავებული იყოს, და ან ძირშია და ან ნაპირებშია, და ან ზეით პირზედა მოსქო ნაღებსავით ტლე ჰქონდეს, ამას სახელად რუსუბ ჰქუიან. და რა ნიშანი სნეულისა შარდზედა ნახოთ, იცოდით ხილთებისა დამწიფებისა ნიშანი არის.

თუ შარდი ყირმიზი და მლურიე იყოს, სიმრავლისა და სიმხურვალისა ნიშანი არის.

თუ შარდი ან მწოედ ყირმიზი და ან შავი იყოს და ესე შარდი წყალსავითა წმინდა ჰქონდეს, იცოდით სევდისა ნიშანი და სევდისა სიმრავლისა და სევდის ძალისა ნიშანი არის.

10 თუ შარდი მოლურჯო და მლურიე იყოს, ბალღმისა ძალსა და სიმრავლესა მოასწავებს.

თუ შარდი მწოედ ყუითელი იყოს და წყალსავით წმინდა იყოს, საფრისა სიმრავლესა მოასწავებს და მისივე ნიშანი არის.

20 თუ შარდი სქელი იყოს და ქაფიე ბევრი ჰქონდეს, კიდევ ბალღმისა და ქარისა ძალსა და სიმრავლესა მოასწავებს. და რაც შარდი ან ყირმიზი, ან ყუითელი, ან თეთრი არ არის სხუა ფერი ყუელა შარდი ავი საქირო და საფათერაკო არის, და იცოდით სიკუდილისა ნიშნები არის და მასვე მოასწავებს, რომე კაცსა სიკუდილისა ეამი მოახლოვდებოდეს. ბოლომ ავადმყოფისა შარდი რასაც ან ყირმიზი, ან ყუითელი, ან შავი არის, სამივეფერი შარდი სიმხურვალისა ნიშანი არის¹ და თეთრი² და ან მოთეთრო აქუს ორივე სიგრილისა ნიშანი არის და მასვე მოასწავებს.

30 ბ. პირველისა კარისა მეორე კარი, ეს არის რომე ალაგისა კარგი და ავი ჰავა შეიტყოთ. აწე ესე უნდა იცოდეთ კაი ჰავა და კაი ალაგი ის არის რომე მოპთადილი და შეზავებული იყოს, და არც მწოედ ცხელი იყოს და არც მწოედ ცრვი, და იმა ალაგსა კუამლი და ლული არ იყოს და ავ სულიანი ბალახი და ხეები არ იყოს რომე ავი სული უდიდეს: ნიგუზის ხე, ლელვის ხე, გარდუმის ხე არ იდგეს და ანწლი, და ავ სულიანი ბალახები არ იყოს, და სახლი კედელსა და კედელს შუა დამწყუდეული არ იყოს. და კაი ჰავა ამასა ჰქუიან გაშლილსა, მალალსა და შანდაკს ალაგსა იყოს და ღრმასა ალაგებშია არ იდგეს, სახლებისა და კედლების მოფარებით არ იყოს. და ასრე უნდა რომე თვითან ეს სახლიცა მაღალი და დიდი იყოს და ერთი კარი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდის და ერთი კარი ჩრდილოვეთისაკენ, და ჩრდილოვეთის კარი მუღმად მოსდიოდეს, და ესე კარი სახლშიგან შემოდდიოდეს, და მზეცა მუღმად შემოადგებოდეს.

¹ ეს სიტყვა აშიაზეა გატანილი დედნის ხელით.

² ეს სიტყვა განმეორებულია.

საკმელებისა საქმეებსა გამცნებს და გიამბობს. ესე უნდა იცოდეთ, პურების უკეთესი ხეარბლის პური არის და ხორცებშიგა კარგი, მარგე და შემრგო და ხორცების უკეთესი ცხურის შიშაკის ხორცი არის, რომე ეს ცხუარი სუქდეს და სამამლე იყოს, და მწოვრის ხბოსა და მწოვრის თნის თიკნის ხორცი არის, რომე ესე შავი იყოს. და ამათ გარეთად უკეთესი მსუქანი კუერცხ დაუდებელი ქათამი, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, ტრედის ხუნდი, ქაჭკავე და ახალი ირემი არის რომე სუქდეს, და თოხლო კუერცხი არის. ერბოვებშიგა კარაქის ერბო არის. ესეები ყუელა შემრგო და თავი, გამორჩეული და

10 სარგებლიანი საკმელები არის.

და ხილობის დროს ყურძენი და ლეღვი კაი და შემრგო ხილი არის. ასრე უნდა, თუ კაცსა საკმელი არ უნდოდეს, არა ჭამოს, და როდისცა კარგად მოშივდეს და გულს მოუნდეს, მაშინ ჭამოს. და საკმელის ჭამა ასეთს დროს გაუშვან, რომე საკმელი კიდევ უნდოდეს. და სადამდი ის ნაჭამი საკმელი არ მოიქარეოს სხვას საკმელს ნუ სჭამთ. ასრე უნდა კაცმან საკმელი ფიცხლად ჭამოს და ფიცხლავ საკმლის ჭამა გაუშვას. და როდისაც კაცმან ლუკმა პირშიგა ჩაიდვას, კარგად დაღეკოს და მერმე ჩაყლაპოს.

პირველ რაც კაი საკმელი იყოს ისი ჭამოს და მერმე წესიერი

20 საკმელები ჭამოს. და რა გაძღენ სარჯელი და სიარული კაცს აწყენს, და რა კაცმან საკმელი ჭამოს ასრე უნდა ერთსა ჟამსა და ან ნახევარსა ჟამსა ან დაწვენ და ან იჯდენ, და აღგილიდაღმან არ დაიძრან, ამისთვის რომე ეს ნაჭამი საკმელი სტომაქშიგან მოგროვდეს და იქ დადნეს, და მას უკან ცოტად უნდა დაიძრან და ათიოდ თორმეტი ბიჯი წაიძრას და მას უკან მოისვენოს.

და ესე ხილებია, რომე საკმელსა დაადნობს და დააღბობს და გულსა და სტომაქსა საკმლის ჭამასა უკან მოუგრილებს და კარგად მოუხდების: ყურძენი, ლეღვი, ქლიავი, საზამთრო, კიტრი, ულუი ბუხარა. ეს ხილები საკმელსა და სტომაქს ორსავე კარგად

30 მოუხდების. და ეს ხილები არის რომე კაცსა შეჰკრავს: ბია, ვაშლი, სხალი და ბროწეული.

ასრე კაცმან პირველ ეს წინა ხილები ჭამოს და ამას უკან ესეები ჭამონ. და რა ნესუი ჭამონ, ნესუთან სხვა ხილი და საკმელი აღარა ჭამონ. ამისთვის რომე რასაც საკმელთანა ნესუსა სჭამ, იმა ყოველსა საკმელსა წაახდენს.

და ზაფხულის და სიცხეშიგან საკმელი და შეკამადი, ასრე უნდა. გააციონ და ისრე ჭამონ. და ზამთრის ციესა დღეშიგა საკმელი და შეკამადი თბილ თბილი უნდა ჭამონ.

აგრევე ბევრი მეავე საქმელი რომე კაცჳან ჳამოს, კაცსა მწოედ დაამჳლობს, კაცს ფიცხლად მოსტეხს და აღრე დააბერებს. და ყოველი მეავე ძარღეებს მწოედ აწყენს. და ბევრის ტჳბილის რისამე ჳამა კაცსა სტომაჳსა დაუსუსტებს, ტანსა და გვამშვიგა სიცხესა და სიმხურვალეს მისცემს. და ბევრი მლაშის საქმლის ჳამაც კაცს გაახმობს და დაამჳლობს. და ასეთი საქმელი რომე კაცჳან ჳამოს რომ არც მწოედ ტჳბილი იყოს, და არც მწოედ მეავე, და არცა მწოედ მლაშე. ისჳანახითა შეჳნილი საქმელი, ერიშთასა და ყოველის ცომის საქმლის ჳამა კაცსა გუნებასა და სტომაჳსა¹ შეუჳრავს და საქმელს აღარ მოანდომებს.

აგრევე ესე უნდა იცოდეთ, კაცსა რომ ტჳბილჳან სასმელჳან და საქმელჳან აწყინოს, იმისი მშველე და გამჳარევებელი მეავე ბროწყული, მეავე ხართუთა, მეავე მაყუალი, კოწახური, მოცხარი, თუთუბო არის. და მეავემ რომე კაცსა აწყინოს, იმისი მშველე და გამჳარევები წამალი ტჳბილი სასმელი და საქმელი არის. ტჳბილისა რასამე ნაწყენსა მეავე გაუგდებს და მეავის ნაწყენსა ტჳბილი.

და ერბოიანჳან, მსუყემან და ცხიმიანჳან საქმელჳან რომე კაცსა აწყინოს, იმისი წამალი და აჳიმი მლაშე საქმელი არის. და მლაშემან საქმელჳან რომე კაცსა აწყინოს, იმისი წამალი და აჳიმი ერბოიანი და ცხიმიანი საქმელი არის.

ასრე უნდა, კაცჳან დღიე საქმელი თავად ერთხელ თვარემ ორჯელ ჳამოს და იყოფინოს, რომ კაცსა გულზედა არ დაადგეს და ემთილა და აიაზა არ შეიჳნან, და ამა მიზეზითა კაცი ავად გახდეს და დამალი არ დაუძაბუნდეს.

აწე თუ კაცსა სისხლი სჳარბობდეს, და ესე კაცი სისხლის ფრთე კაცი იყოს, ასრე უნდა ამრიგსა კაცსა გრილი, ცივი და მეავე სასმელი და საქმელი ასოთ და აჳამოთ, და მუდმათ სისხლის დამწმენდელი და სისხლის გამჳარევებელი სასმელ საქმელები ასვათ და აჳამოთ, ლიმო, ისრიმი, თუთუბო, კოწახური, მოცხარი, უშხუნი, მეაუნა, ხართუთა, მაყუალი, ნარდანგი და ან ძმარი აჳამონ. ოსჳი, მაში და ან ბოგრუჳა ამავე მეავეებშიგან მოხარშონ და ისრე ჳამონ. ან ჳინძი, ან სალათა და ან ისჳანახი გამოუხარშონ და ჳამონ. და თუ ასე მეავეები არ იყოს, თავად ხმელი დო თვარემ ახალი დო ამავე რიგად შეიჳნან და აჳამონ და ამავე რიგი მზე შარბათები უნდა სვან.

და ბილებისაგან: ვაშლი, სხალი, ბია, ჳლიავეი, ჳერეჳი, კიტრი, შუმხიარი, საზამთრო, ხართუთა და მაყუალი ჳამონ.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ჳემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ასრე უნდა სისხლის ფთემ კაცმან.¹ [ამ რიგის გრილითა და მეავეს სასმელ საკმელებითა ხელი შეიწყონ და ამავე რიგი გრილი და მეავე შარბათები სევან, რომე კაცსა სისხლი მოაკლდეს და ესე სისხლის სისქისაგან დაწმიდოს და გააკეთოს.

და ხანდახან სისხლი გამოუშვან და დედაკაცთან მივიდნენ, რომე ტანი მთლად დარჩეს.

10 თუ კაცსა საფრა სჭარბობდეს და ან საფრის სტომაქისა იყოს ამ რიგის საკმელებითა ხელი უნდა შეუწყონ, ბატენისა, შავის თიქნის ხორცი, ხობობი, კაკაბი, ვარია, დურაჯი და ამათივ ლაპები ტყემლის მეავითა შექამადად შექნან, ქინძი და ან ისპანახი გამოუხარშონ და ისრე აკამონ.

კაცი რომე საფრის სტომაქისა იყოს, ასრე უნდა, გრილის და ნედლის სასმელ საკმელებითა ხელი შეუწყონ. ისპანახით შექნილი შილაფლავი, აყიროს ყალია, ბოჭრანი იმავ მეავეებით შექნან, რომე აქვე სისხლზედა დამიწერია და ისრე კამონ. და ხილებისაგან კიტრი, მეავე ბროწული და გრილი და მეავე ხილები კამონ. ამავე რიგი გრილი და მეავე შარბათები, ჯულაბები სევან და ისეთი წამლები უყონ, რომე საფრა დააღბოს, გახსნას და დაალურევიოს.

20 თუ კაცი ბალღმის სტომაქისა იყოს და ან ბალღამი სჭარბობდეს, ამრიგი საკმელები უნდა სკამოს და სვას, რომე ბალღამი მოკუეთოს და გააქარვოს. და მხურვალისა და ხმელის სასმელ საკმელებითა უნდა ხელი შეიწყონ. მუხუდოს შექამადი კამონ რომე მიხაკითა, პილპილითა, სანელებლითა, და დარიჩინითა და მხურვალს ბალახებითა შექნილი იყოს. და სტაფილოსა, თალგმისა და ბრინჯის შექამადები კამონ, რომე ეს შექამადებიცა კიდევ ამავე მხურვალის იარაღებითა იყოს შექნილი. და მხურვალი მწვანევილი, მხურვალი ხილები ყუელა ექმევის. და შარბათებისაგან უდის შარბათი, ბროწეულის შარბათი, აბზინდის შარბათი, სამივე ესმის და არგებს. და მხურვალსა მაჯუნებსა, მხურვალსა საკმელებსა ყუელას სკამდენ და სვამდენ, რომე ყუელა არგებს და კარგად მოუხდების და გრილი და ცივი ყუელა აწყენს და ბალღამ დააძალიანებს. და თუ უხორცობა ვერ გასძღონ, მამლის შიშაქის ცხურის ხორცი, მსუქანი ქათამი, კაკაბი, ხობობი, დურაჯი, ტრედის ხუნდი და ქავექავი ამავე სანელებელითა მიხაკითა, პილპილითა გატეხონ. ან შეწონ და ან ხარშოდ ქნან და კამონ და, თუ ყაურმად იქმონენ, ისი სჯობს. ესე საკმელები ყუელა არგებს და კარგად მოუხდების.

¹ აქ დედანს ვრთი ფურცელი აკლია, აღდგენილია ვარიანტის A-ს მიხედვით. აქვე ქვემო აშიახე სწერია რვეულთა სათვალავი „ა“ დედნის ხელით.

თუ კაცსა სევდა სქარბობდეს და ან სევდის სტომაქისა იყოს ასეთი საკმელები და ჰაბები უნდა ჰქამოთ. რომე ტვინი, დამალი და ულბოს და გაუნედლოს. მსუქნის მამლის შიშაქის ხორცი და მსუქნის ქათმის ხარშო, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და ერიშთასა და ცომის შეკამადები აქამონ და ზენაარ და ესე სევდიანი კაცი მაწონსა, თევზსა, ხმელს ხორცს და კურდღლის და შულის ხორცს ნუ სჭამენ. თუ არა და მაშინვე ავად გახდების. და ზენაარ მაწონი რძე და მეთვე საკმელი ერთად არა ჰქამონ, თვარამდა შამხალი შეექნების და აკრელდების. და სევდის უფალმან კაცმან საკმლის კამაზედა ყურძენსა, ბროწეულსა და პრასას ნუ შეშკამენ, თუარადა მწოედ აწყენს.

10 ბოლომ ამ რიგსა სევდიანსა სენსა და კაცსა გრილი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს და მხურვალი ნედლი და მოძთადილი ყუელა არგებს. და ამა სტომაქისა კაცსა და ამა სენისა უფალსა ბრინჯი, ხმელი ყუელი, ხმელი ხორცი, ყოვლი თევზი, მაწონი, რძე, ძროხის და თხის ხორცი, ოსპი და ყოვლი გრილი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს და სევდას მოუმატებს და დაძალიანებს. და ამბრისა და ლადანის და ლალიას სუნება კარგია.

წყლის ხახიათებსა და თათბირებს გამცნებს და გიამბობს. წყლის სიკეთე ის არის, რომე ეს წყალი იყოს წმიდა გემო კარგი. წყალი იყოს ღ...¹ რიგმან კაცმან ცოტა უნდა სვას. და კაცი რომ დედაკაცთან მივიდეს, ან დალაღული და ნარბენი იყოს, ან ნედლი ხილი ექამოს, ან აბანოშიგან რომე იყოს, ან ახლად აბანოდან გამოსულიყოს, სადამდი ერთი ქამი არ გამოვიდეს, წყალი არ უნდა სუას, თვარემ აწყენს და თანგ ნათასსა აუძრავს. და მწოედ ცივისა რასმე სმა კაცსა აწყენს და უსათუოდ ავად მოუხდების. აგრევე წვიმის წყალი რომე კაცმან სვას, ეს წვიმის წყალი მწოედ კარგი და მარგე არის და მწოედ სუბუქიც არის. მაგრამე კაცის სტომაქშიგა ფიცხლად გასქელდების. და ერთსა ალაგსა რომე წყალი იღვეს და არ გასდიოდეს, ის წყალი კაცმან არ უნდა სუას, თვარადა უსათუოდ კაცსა აწყენს და ავსა სენებსა შიაქს. და თუ უღონოდ გახდეს და ამა ალაგსა სხვა წყალი არ იყოს, ასრე უნდა მოადულონ, თუ მოუვიდეს ქაფი მოჰხადონ, გააციონ და ისრე სუან. აგრეთვე თოვლიანი და ყინულიანი წყალი კაცსა აწყენს და, თუ კაცსა მწოედ არ ექირების და ან შიგნით მწოედ სიციხე და სიმხურვალე არა აქუს, არც კი უნდა სუას, თვარემდა აწყენს და სტომაქს წაუხდენს და

30

¹ ტექსტი აქამდის აღდგენილია გარიანტის A მიხედვით. ამ ადგილას გარიანტის ტექსტიც წყდება და გვერდნახევარი ცალიერი ალაგია დატოვებული.

გაუცივებს, მეტადრე მაშინ რომე, ეს კაცი ან ბერი და ან სტომაქ გრილი კაცი იყოს. და თუ სხუა მდინარე წყალი ან თოვლსა და ან ყინულზედა ქურკულითა დაადგან და გააციონ და ისრე სუნან ის კარგი არის და არცა კაცსა აწყენს.

აბანოს თათბირსა და სახიათებსა გამცნებს და გიამბობს. აბანოს უკეთესი აბანო ის არის, რომე ძველი და დიდი აბანო იყოს და ამა აბანოს წყალი ტკბილი და ნელთბილი იყოს, ვითამცა არც მწოედ ცხელი იყოს და არც ცივი. მაგრამე კაცი აბანოშიგა ასეთს დროს უნდა შევიდეს, რომე არც მწოედ მძღარი იყოს და არც სრულიად უზმა იყოს. და როდისაც კაცმან საქმელი მოიქარგოს, მაშინ უნდა აბანოშიგან შევიდეს და იბანოს. და ესე აბანო კაცსა მუნსა, ქეცსა და ფხანასა უშველის და მუწუკებსა და ძირ დიდებსა და ამწიფებს და უშველის. და კაცსა რომე არ ეძინებოდეს, კაცს მაშინვე ძილს მოგუვრის და დალაღვასა და დაღეწილობასა ტანიდან მან გაუგდებს და ხილთებს დაამწიფებს და შემოიყუანს. მაგრამე კაცსა ასოებსა და ტანსა დაუსუსტებს და დაკოდილსა, მოტეხილსა და ყოვლსა სიმსიენესა ასოებსა სამსაე მწოედ აწყენს.

და აბანოშიგან ბევრი ყოფა კაცსა ხაფაყანსა შიაქს, კაცს გულს შემოჰყრის, ტყუნისა და საქმლის ეშხსა ორსავე გაუგდებს. ასრე უნდა კაცი რომე აბანოშიგა შევიდეს მანამდისინ შიგ აბანოშიგა იყოს რომე, ამა კაცისა ტანისა ტყავი სავეს სავსედ მოვიდეს, და რომე კარგად ოფლმან დაასხას. და ოფლი გაუთავდეს და გულიცა შესჯერდეს და ხორცსა აღარ უნდოდეს, ასრე უნდა ფიცხლავ გამოვიდეს და კარგად სქელა კაბა ჩაიცვას და ამას უფთხილდენ, რომე არ შეიციონ მეტადრე მაშინ, რომე ზამთარი და სიცივე იყოს. და უზმა კაცი რომ აბანოშიგან შევიდეს, კაცსა ტანზედა დაამპლობს და გაახმობს, და მსუქანი კაცი ასრე უნდა სანამდისინ ოფლი კარგად არ ედინოს მანამდისინ აბანოშიგა იჯდეს და არ გამოვიდეს. და მკლე კაცმან ასრე უნდა აბანოშიგან ცოტას ხანს იბანოს და მოჰთადილი და ნელთბილი წყალი ბევრი დაისხას და ფიცხლად გამოვიდეს და თბილად იყოს.

ცივის წყალისა თათბირებსა გიამბობს. ცივისა წყლშიგან ასეთმან კაცმან უნდა ტანი იბანოს, რომე გულსა და სტომაქზედა არა ემიზეზებოდეს რა და ან ვაჟ კაცად იყოს, და ბერმან კაცმან და უსაკოდან მარტვილმან კაცმან ცივისა წყალსაშიგან არ უნდა იბანოს, თვარა და უსათუოდ აწყენს. და ვაჟმან კაცმანცა ასეთმან კაცმან უნდა იბანოს, რომე სურავანდი არა სჭირდეს, ან ემთილა არ შექნილიყოს, ვითამცა საქმელი არ გამოჰყოლოდეს, ან ხარბუხა არ სჭირდეს, ან

გული და სტომაქი სუსტად არა ჰქონდეს, ან ახლად დედაკაცთან არ მისულიყოს, ან მწოედ ნარბენი და დალალული არ იყოს. აწე ეს მიზეზები რომე არცაერთი არ ემიზეზებოდეს, მაშინცა ასრე უნდა ზამთარი დღე არ იყოს, ან დილა არ იყოს, ან საღამო არ იყოს. ასრე უნდა ზაფხულის შუადღისას იბანოს და მაშინაც ცოტა იბანოს.

მიწიდაღმან რომ თბილი აბანო გამოდიოდეს, იმის ხასიათებსა გაიშობს. ეს უნდა იცოდეთ, რომე ეს თბილი აბანოცა კიდევე ცივი წყარო არის, და ეს ცივი წყარო ან გოგირდის ქანსა გამოივლის, ან სხუას მხურვალსა რასმე ქანსა გამოივლის და მაშინლა გათბების. აწე ამ რიგსა თბილსა ილიჯაშიგა ბანება ტანისა სენსა, სეედის სენსა, სიხმესა და ბალღამსა სამსაე გააქარევეს. მუნსა, ქეცსა, ცივებასა, სიმსივნესა და დაკუტებასა ყუელას უშველის.

მაგრამე თუ კაცი ამ რიგსა აბანოშიგან დიდსა ხანსა იქნების, კაცსა თავსა აატკივებს, მაგრამე ძილს მოუგრის და საქმელს მოანდომებს.

ძურისა და სიარულისა თათბირებსა გაიშობს. კაცმან ასეთსა დროსა უნდა იაროს, რომე კაცსა საქმელი მოჰქარეებოდეს და მართ საქმელი კიდევე მონდომებოდეს. ამ რიგად რომე კაცმან იაროს, საქმელსა მწოედ მოადნობინებს, ტანსა და სტომაქსა აუსუბუქებს, და კაცისა ტანსა ზომიერად სითბოსა მისცემს, ელფერსა გაუყირმიზებს. და ადამის ტომისა სახსრებსა ამ რიგი სიარული ძალიანად და რბილად შეიქმს. და რიგიანი სიარული ეს არის, რომე კაცმან ამდენი იაროს რომე ტანშიგა სითბო შემოუვიდეს და კაცის ტყავი სავსე სავსედ მოვიდეს. და ოჟღმან ვითმე დაასხას. და თუ კაცი ამდენს ვითმე იარების და ან ირჯების, რომე ბევრი ოფლი იდინოს, კაცს აწყენს და ძალს მოაკლებს, და სახსრებსა და ასოებს დაუსუსტებს.

და კაცი რომე მულამ იჯდეს და არ იძროდეს, ისიც აფიარის, კაცს აწყენს, ბალღამს მოუმატებს, გულსა და სტომაქს ასრე შეუკრავს, რომე საქმელი აღარ მოუნდეს. მართ საქმლის ჭამას სრულად აუკრებს, გუამსა და სტომაქს შეურყუნის და ხილთებს გაამრავლებს და დაძალანებს, კაცს გაასუქებს. მაგრა რაცა კაცისა ტანშიგა სენი არის, იმას კი გაუგდებს. და მწოედ გაგულისება და მწოედ სიმხიარულე კაცსა ტანზედა ორიე წამოაცხელებს. და მწოედ ბევრი შიში და ბევრი ფიქრი და ნაღელი ტანზედა სამიე წამოაცივებს.

ძილისა და სიმღვიძრისა თათბირებსა გაიშობს. აწე ასე იცოდე, კარგი ძილი ის არის, რომე მუდმად კაცსა ერთსა რიგზედა ეძინებოდეს. და ასრე უნდა კაცი საძილოდ ასეთსა დროსა დაწვეს. რომე საქმელმან მოქარეება დაუწყოს. და ერთსა დღესა და ღამესა

რვის ქამის მეტი არ დაიძინოს, და თუ დღისით არ დაიძინებენ, მწოედ სჯობს. და თუ დღისით ძილი არ დაიშალონ, ასრე უნდა შუადღისაგან წინათ დაიძინონ. და როდისაც კაცი საძილოდ დაწვეს, პირველ ცოტასა ხანსა მარჯუენასა მხარზედა უნდა დაწვეს და მერმე მარცხენასა მხარზედა გადმობრუნდეს. და თუ კაცი პირდაღმა მუცელზედა დაწვების, საქმელსა მწოედ მოიღნობს და მწოედ კარგადცა შეერგების. და საქმელ ნაქამი კაცი თუ გულაღმა დაწვების, მწოედ ავი არის და კაცსა ბევრსა სენსაცა აუძრავს. თუ ეს ჩანსკამ ნაქამი კაცი პირველ მარჯვენასა მხარზედა დაწვების და მერმე მარცხენასა მხარზედა გადმობრუნდების და მას უკან გულაღმა დაიძინებს, მწოედ კარგად მოისვენებს, და კაცსა ძილი მოემატების, კაცსა დაღლვასა დაღეწილობასა ძარღვისა და¹ ტანიდაღმა გაუგდებს და საქმელს აღრე მოაქარებებს და ტანსა ნელლად შეუნახავს, და ტვინსა და დამალსა ძალსა მისცემს.

მაგრა თუ კაცი ბევრსა დაიძინებს, დამალსა და ტანს დაუმძიმებს და ბევრი ძილი კაცსა სიგრილისაკენ გარდააგდებს. და კაცმან რომე არ დაიძინოს, ბევრი უძილობაცა კაცს² დამალს გაუხმობს და დაუძაბუნებს, და კაცსა ჭკუა ხან მართლად ექნების და ხან კი დაეფანტების. და დღისით ბევრი ძილი თავად კაცსა აწყენს და ელფერსა გაუყუითლებს და ტყირბს გაუდიდებს, და მერმე ბალღამს აუშლის და კიდევ დაამრავლებს. და ბევრი ძილი კაცს დააზარამცებს და კაცსა საქმელს აუკრებს, და გულის ყურს დაუყრუებს.

ერთი კაცი რომე კაცმან ასრე შეინახოს, რომე ორსა სამს დღესა არ დააძინოს, ტვინის მეტი სიხმითა ჭკუა შეეშლების და ძაღლსავით ყუფას დაიწყებს. აგრეთვე თუ კაცი დღისით ძილს დაჩვეულიყოს, დღისით ძილი ერთ ხელობით არ უნდა მოიკუეთოს, თუარამ და აწყენს, ასრე უნდა ცოტა-ცოტა მოიკუეთოს და მერმე კაცმან დღისით აღარ დაიძინოს.

რწყევების თათბირებსა გიამზობს. როდისცა გულმან და სტომამან რწყევა მოინდომოს, ასრე უნდა არწყიოს და თუ არ არწყევს ავი იქნების და აწყენს. აგრევე თუ კაცსა შეკრულობა სჭირდეს, რომე კაცი გარ გასულაშივა გაირჯებოდეს, ასრე უნდა ამ თაბიათის კაცი ხან და ხან გასახსნელსა საქმელებსა სჭამდენ, და გასახსნელსა შარბათებსა სუემდენ და ან ისპანახითა, ან ჰარხლითა და დასალბობისა ბალახებითა ცხიმოიანს შეკამაღს შეიქმოდენ და სჭამდენ. და ან ბასეაიჯისა, ან ახლის იისა, ან ახლის ვარდისა, ან ჰერემისა, ან თაბლი ჰინდისა, ან ეჯაზისა და რევანდის შარბათი სუან, ეჯაზი ქლიავ-

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სა ჰქუიან. და ეს შარბათები ან ჰერემისა და ან ტყემლის წყლით
დააღბონ, და ბაზარყათუნას ლოაბი გაურონ და ასრე ასვან, და
შირიხიშტი და ან გაზანგვი ამ წყლებშიგან დააღბონ და ასვან. და
ან ოყნაი ლენა უყონ, ვითამცა ცოტა და რბილი ოყნაო. და ან
ამავ შირხიშთისა, გაზანგვისა და ბაზარყათუნას ლოაბის შათები შექ-
ნან და უკანას კარიღალმან აალებინონ, და თუ მწოედ გახსნას და ან
მწოედ გახსნამან მიაჭირვოს, თუთუბო, მოცხარი, კოწახური, ლიმო,
ისრიმი, უშხუნი, მეთუნა და კურკითავ დანაყილი ნარდაგის შექამა-
დები აქამონ, და ამა შექამადებშიგა ან ბია, ან ვაშლი გამოუხარ-
შონ. და თუ ეს სნეული გულსა და სტომაქზედა გრილად იყოს, ამა
10 შექამადებშიგა კევი, დარიჩინი, უდი, ზირა და დარი ფილფილი გა-
ურონ და ისრე აქამონ, ღთითა უსათუოდ უშველის.

ტყუნას თათბირსა და ხასიათებსა ვიამბობს. კაცმან ტყუნა
ასეთს დროს უნდა ქნას, რომე კაცი მწოედ მაძლარი არ იყოს და
საქმელი მოექარვოს. და ასრე უნდა კაცსა ტანსა და გულშიგა არა
ემიზებოდეს რა, და ისეთსა დროსა ქნან. მაგრა ასრე უნდა სადა-
მდისი კაცსა ნანდომი და თესლი¹ არ დაუმრავლდეს, მანამდი კაც-
მან ტყუნა არა ქნას. და კაი და სარგებლიანი ტყუნა ის არის, რომე
კაცს გულმან და ტანმან მოუყვენოს, და კაცი ტანშიგა ასუბუქდეს,
20 მაშინვე ძილი მოუვიდეს. აწე ამისთანა ტყუნა ბევრს ფერს სენს არ-
გებს, და ერთი ჰირი და სენი რომე ან სისხლისაგან, ან ბაღმისა,
და ან სეგდისაგან იყოს, ყუელას უშველის და კარგად მოუხდების,
და კაცს გაამხიარულებს, და ნაღველსა და ჯაფრსა გაუგდებს, ცულ-
მადს ფიქრსა და საგონებელსა დაუკარგავს და გაუგდებს. და კაცმან
როდისცა მოინდომოს ტყუნა, უნდა ქნას, ამისთვის რომე, თუ კაცსა
მწოედ უტყუნაობა მისჭირდების და ან ბევრი თესლი და ნანდომი
დაუგროვდების, კაცს თავი ბრუნეასა დაუწყებს და თვალთა დაუბ-
ნელდების და ტანი მძიმედ ექნების, ყუერებისა, ბარკლებისა და სა-
ზარდულისა ტკივილსა აუგდებს, და ესე ალაგები კიდევ გაუსივდე-
30 ბის, და მუხლნი და წელნიცა ასტკივდებიან.

აწე ასრე უნდა ცოდეთ თუ კაცი რიგზედ ტყუნასა იქს, ეს
სენები და სატკივრები ყუელა ეშველების და აღარც გამოაჩნდების.
და მეტისმეტი ტყუნაც კაცს კარგად არ მოუხდების, კაცს დაღეწს
და დააბოხებს, კაცს ძალსა და ძლიერებას წაართმევს, ეშყსა და
გულის ნდომას წაუღებს, საქმელს აუკრებს, გულსა და სტომაქს
დაუსუსტებს, ქარსა აუძრავს, ხათყანასა შიაქს და კაცსა სიგრილი-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

საკენ გარდაადგებს, კაცს მწოედ დაამქლობს და გაახმობს და ძილ-
სა აღარ მოგურის, წარბსა და წამწამსა გააყრევიანებს.

ესეცა უნდა იცოდეთ, რომე თუ კაცი უზმო და ან მწოედ
მწყურვალი, ან მწოედ მაძლარი არის, ან კაცი აბანოშიგ არის, ან
ახლად სისხლი აულია, ან კაცსა გასახსნელი ჯულაბი უსუამს, ან
ბევრი ურწყევია, ან კაცს მწოედ შარდი უნდოდეს, ან გარ გასულა
უნდოდეს, ან კაცსა მწოედ კუილი და ცუილი უნდოდეს, ამ დრო-
ებში კაცს ტყუნა მწოედ აწყენს და ბევრს სენსაც აუძრავს.

10 აგრევე თუ კაცმან ბერი დედაკაცი მოტყნას, ან მწოედ პა-
ტატას ქალთან დაწვეს, ან დიდის ხნის კაცის უნახავს დედაკაცთან
დაწვეს, ან უშეილოსა და ურწანს დედაკაცთან დაწვეს, ან ასეთს
პილწ დედაკაცთან კაცი მივიდეს რომე, კაცის გულს არ უნდოდეს
და ან ეზიზღებოდეს, და ან რაგინდარამე ასეთი იყოს კაცის გულს
არ უნდოდეს და არ იამებოდეს, ყუელა ავი და მაწყინარი ტყუნა
არის, კაცს დაასუსტებს და ქარს აუგდებს. და ავი და მაზიანე
ტყუნა ერთი ეს არის რომე, კაცმან ზეზე დგომით ტყუნა ქნას. ამ
რიგს ტყუნას კაცი უნდა უფთხილდეს, ამისთვის რომე კაცს ზეზე
დგომით ტყუნა მწოედ აწყენს და აზიანებს. კაცს ასოსა და სახსრებს
დაუსუსტებს, გულს აუთრთოლებს და აუფეთქებს, თავსა აატკივებს
20 და ხაფაყანსა შიაქს. და მუხლების ტკივილსა და მიკრისსა ორსავე
შიაქს.

აგრევე ავი და მწოედ საფათერაკო და საფთრხილო ტყუნა
ერთი ეს არის, რომე კაცმან გუერდზედა წოლითა ტყუნა ქნას, ამი-
სთვის რომე ამ რიგს ტყუნაშიგაცა თესლისა ნალეწი მისავე ალაგსა
დარჩების და კაცსა თეძოთა და კუკუხოთა ტკივილსა აუგდებს.
კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს და თიაქარსა და კოლინჯსა შიაქს.
ბოლომ ზედადომან დედაკაცისა დასმისა ტყუნასა და ზეზედგომით
ტყუნასა, თუ აღარა ღონე არი, კიდევ ისივე გუერდზედ წოლით
ტყუნა სჯობს.

30 კიდევ აბანოშიგან რომე კაცმან ტყუნა ქნას, მწოედ ავი არის
მეტადრე მაშინ, რომე აბანოშიგან კაცსა ბევრი ოფლი სდენოდეს,
და ეს ტყუნაცა ან ზეზედგომითა, ან გულადმა და ან გუერდზედა
წოლითა ექნას. მაგრამე ბევრი რეგვენი კაცი ასრე იტყუის, აბანო-
შიგ ტყუნა ექნეო და მისგან ზიანი ვერა ვნახერავო, იმ რეგვენმან
და უგუნურმან ამდენი არ იციან, რომე ვაჟმან კაცმან ვაჟკაცობაშიგა
ქუა კუნტოს არც ის აწყენს, მაგრამე ყველა სიბერის უამსა გამო-
აჩნდების.

10 უწმიდურს დედაკაცთან რომე კაცი მივიდეს, ავი არის, კაცს მწოედ აწყენს, მაშინ რომე დედაკაცი დაორსულდეს და შვილი მიეცეს როდისცა ეს მარტვილი გაიზდების უსათუოდ მონაობა შეეკნებინს. და კაცმან რომე ტყუნაშიგა დედაკაცი ზედ დაისევას და თვითან გულალმა დაწვეს და ისრე ტყუნა ქნას, მწოედ ავი და საფათერაკო ტყუნა არის და ბევრს აეს სენსაც აუშლის, ამისთვის რომე, თავად თესლი პირ აღმა სრულად ასრე ვერ წავა, რომე მისავ ალაგსაცა მისი ნალეწი არ დარჩეს, და ისი ნაკლები თესლი, კაცისა გუამსა და სათესლეშიგა დალაბების და სენად გარდაეკცევის და ბოქუნისა და თეძობის ტკივილს შიაქს.

20 აგრევე როგორაცა თესლი და ნანდომი კაცსა წაუვა, ისრევე თესლი და ნანდომი დედაკაცსა წაუვა. და თუ თესლი და ნანდომი კაცისაგან დედაკაცსა უწინ წაუვა უსათუოდ კაცს საფსლეშიგა¹ ჩაედინების და აღარ გამოვა, და დარჩების და იქ დალაბების. ეს იცოდი ბევრსა და მრავალფერსა სენსა და ქარსა შიაქს, კაცსა ყლესა, ყუერსა და ბოქუნენსა სამსავ აატკივებს და კიდევ გაუსივდების, და წელთა და თირკმელთ აატკივებს, და ესე სენი კაცის გუამი-
30 დალმან აღარცკი გამოვა, კაცის ღვიძლის ძირშიგა დაიბუდებს და იქ დადგების, და კაცს ან შიაქს მონაობასა და ან შამხალსა. ბოლო ეს სენი მწოედ ავი სენი არის და კაცი ამრიგს საქმებს უნდა უფთხილდეს და ერიდოს. და კაცმან რომე ხელით ჯალლი ქნას ისიც ავი არის, კაცს ნავლელს მოუმატებს, კაცს ააქმინებს მეტადრე მაშინ, რომე ამა კაცსა ხაფაყანი ქმინვა სჭირვებოდეს, ეს ყუელა ავი და მაწყინარი არის და კაცს დაასუსტებს და ქარსა აუგდებს.

30 ამა ოთხის ფასლისა თათბირს გიამბობს. პირველსა გაზაფხულს ედა სისხლის გამოშვება, გასახსნელის წამლების სმა და რწყევა უნდა, რომე კაცმან ესეები უსათიოდ ქნას, კაცსა ტანშიგა რიგიანად გაახურვებს და გააკეთებს. და კაცმან ხორცი ბევრი არ უნდა ჰკამოს, ბევრი არ უნდა ისაჯოს, და კაცი გაზაფხულზედა ჰალვაების ჰამას უნდა ერიდოს და არა ჰკამონ. და არც ბევრჯელ აბანოშიგ უნდა შევიდენ, და ცხარი, ტკბილი და მწარე საქმელები არ უნდა ჰკამონ და ერიდონ, და ტანს თხელი კაბა უნდა ჩაიცვან, და სისხლის გუარსა და სისხლის ფთვის კაცსა შეავე და მხე სასმელ საქმელი ასვან და აკამონ.

ზაფხულის კაცი ასრე უნდა, მოსვენებით იყოს და კაცმან ბევრი არ ისაჯოს, და მუდმად ჩრდილს იჯდეს, და ასეთი სასმელი და

¹ ვარიანტ A-ში ამ სიტყვის მაგივრად სწერია „სათესლეშიგა“, რაც უფრო სწორე უნდა იყოს.

საქმელი არა სვას და არა ქამოს, რომე ან კაცი გააცხელოს და ან ტანზედა დაამკლოს და გაახმოს. და ასრე უნდა ზაფხულის კაცმან საქმელი ცოტა ქამოს, და ნედლის ხილებისაგან ქლიავი, საზამთრო, კიტრი, შუმხიარი ქამონ და სხუას ხილს ნუ ექარბებიან, და მერმე ან სიქანჯუბინის შარბათი სუან და ან ისრე თითითა ლოკონ, ამისთვის რომე ის ხილები კაცისა სტომამქშივა არ წახდეს და პილწ ხილთებად არ გარდაიქცეს, და ამა ხილთებმან ცივება და ცხელება არ მოგუარონ. და ქათნის პერანგი უნდა ჩაიცვას, რომე ზაფხულის ტანი გრილად შეუნახოს. და თუ კაცსა რწყევა მოუნდეს,

10 კაცმან თავი არ უნდა დაზოგოს და არწყიოს, და ხელპირი ცივის წყლით უნდა დაიბანოს. და საფრის ფრთეს კაცსა რაც ზემორ საფრის გამქარვებელი გრილი, ნედლი და მკავე სასმელ საქმელები და შარბათები დაგვეწეროს ისა სვან და ისა ქამონ, და მხურვალსა და ხმელსა ყუელას ერიდონ.

შემოდგომაშიგა კაცმან ტანი ასეთის საქმლისაგან უნდა შეინახოს, რომე კაცი ტანზედა დაამკლოს და ამ შემოდგომის ფასლშიგა კაცი დედაკაცთანა ბევრჯუელ არ უნდა მივიდეს, და ცივსა წყალშიგან ბევრჯუელ არ უნდა იბანოს, და მწოდ ცივი წყალი არ უნდა სუას. და თავზედა ცივის წყლის დასხმას უფთხილდენ და თავს ნუ მოიხდიან, თვარამდა თავი გაუცივდების, და უსათიოდ სურავანდსა აუშლის და ხარბუხა და სურდო შეექნების. და ლამლამით ცივსა ალაგსა არ უნდა დაწვენ და დილეულ დილეულ თავს ნუ მოიხდიან, და თავ შიშველა ნუ იქნებიან, ბევრს ხილს ნუ სჭამენ და აბანოშიგა ხშირად უნდა შევიდენ.

20 მოიხდიან, თვარამდა თავი გაუცივდების, და უსათიოდ სურავანდსა აუშლის და ხარბუხა და სურდო შეექნების. და ლამლამით ცივსა ალაგსა არ უნდა დაწვენ და დილეულ დილეულ თავს ნუ მოიხდიან, და თავ შიშველა ნუ იქნებიან, ბევრს ხილს ნუ სჭამენ და აბანოშიგა ხშირად უნდა შევიდენ.

მაგრამ ამ შემოდგომის ფასლშიგა რწყევას უნდა უფთხილდენ. და რაც ზემორ სევდის სენზედა და სევდის სტომამქის კაცზედა სევდისა და დამალის დამალბობელი ტკბილი, მსუქანი და სასმელ საქმელი და შარბათები დაგვეწეროს, ისი ასვან და ისი აქამონ. და გრილსა და ხმელსა ყუელასა ერიდონ და ნუ სჭამენ, თვარამდა უსათუოდ აწყენს.

30 უსათუოდ აწყენს.

ზამთრის დღეთა ასრე უნდა კაცმან თავი თბილად შეინახოს, თბილი კაბები ჩაიცვას, თბილი ტყავი წამოისხან, სქელი და ერბოიანი და ავი საქმელები არა ქამონ, და თუ საქმლისა კამა უნდოდეს ამრიგი და ამ გუარი საქმელები უნდა ქამოს: არისა და ცომის ერიშთა, და მაჰიჩა და ბოლრა, და ბრინჯის ერბოიანი ფლავები რომე სტაფილოთა, თაღმითა, პილპილითა და მხურვლის იარალითა შექნან და ქამონ, მხურვალი მაჯუნები და მხურვალი მუფარაეები ქამონ, და ყალიაები, ყაურმა, ბრიანი და მწუალი და კარგი მხურვალი

ფრინველის ხორცები ამავე რიგად პილპილითა სანანებლითა, მიხაკითა, ზირითა და მხურვლის ბალახებითა შიამკონ, გატენონ და ჰამონ, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, ტრედის ხუნდი, ქავქავი, შიშაქის ხორცი, ირმისა და კურდღლის ხორცი, მხურვლის იარალითა და მხურვლის ბალახებითა შიამკონ და ჰამონ. და რაც მხურვალი მწუხანველი იყოს ბევრი ჰამონ: ბოლოკი, თალგამი, სტაფილო, წიწმბატი, კომბოსტო, ნიახური, ცერეცო, ქონდარი და კამა. ესეები ყუელა ჰამონ, და რწყევას უფრთხილდენ და მხურვალი და ხმელი რა გინდარა რომე იყოს ან სასმელი და ან საკმელი, ან ხილი და ან მწუხანველი ყუელა ჰამონ და სუან. და გრილსა და ნედლსა სასმელსა და საკმელსა ყუელას ერიდოს, თუ არ კაცი ავად გახმდეს. და თუ კაცი ავად გახდეს, რაც ზემორ ბალღმის სენზედა წამლები და ან ხელის შეწყობა დაგუეწეროს, ისი სუან და ისი ჰამონ, ყუელა კარგი და მარგე არის.

კაცი რომე ახლად ავად ყოფიდაღმან აღდგეს, იმის თათბირებსა გამცნებხ და გიაშობხ. ახლად რომე კაცი ავად ყოფიდაღმან აღდგომილ იყოს, მისი ასოები და სახსრები სუსტად იქნების, სული შვეიწროებით ექნების, სისხლი ცოტა ექნების¹, კაცსა მოსვენება მოუნდების სიარული და წავლა წამოვლაც მოუნდების, მაგრა ძალი არ ექნების, ასრე უნდა აღდგომას უკანა თავად ხუთსა დღემდი, თუარემ სამს დღემდისინ ამრიგმან ავად მყოფმან კაცმან ხორცი არა ჰამოს, და უხორცოდ ამ ხორცებისა შექამადები ჰამონ, ამისთვის რომე მორჩომილი კაცი კიდევე ახლად არ შიამქციოს, და ან საკმელი ველარ მოიღნოს და ემთილა შეიქნას, და ამ სენზედა მეორე სენი კიდევე დაერთოს. და ამა სამსა ოთხსა დღესა რარიგადცა ავადყოფაშიგა ეფარეზოს, ისრევე კიდევე სამსა ოთხსა დღესა აღდგომას უკანა უნდა იფარეზონ, და მეოთხესა და მეხუთეს დღეს უკანა ვარიის ხარშო ბრინჯითა შექნან და ამა ხარშოსა წუენი, და ამა ვარიისა კისერი, საფრინავი და ქუემო ბარკალი აჰამონ, და სხეას ასოებს ნუ აჰმევენ.

და მეორესა და მესამეს ჯერზედა კიდევე ესევ და ამავე რიგად აჰამონ, და მერმე ტანის ხორციცა სრულად აჰამონ, ღ'თითა აღარა შიში არის. და მეოთხესა და მეხუთესა დღესა ან ბატკნისა და ან თიკნის კისერი და ფეხები კარგად მოხარშონ და აჰამონ.

და თუ ან ყოლლა სიცხე და სიმხურვალე ჰქონდეს, და ან გუნებაზედა კარგად არ იყოს, ასეთსა ნურას აჰმევეთ რომე სიცხე და სიმხურვალე მისცეს და კიდევე შეაქციოს. და ათსა თორმეტსა დღესა

¹ ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ამ საქმეებსა დააჯერონ, მაგრამე საქმელი ცოტა ცოტა უნდა აკამონ. და შარბათებისაგან ლიმოს შარბათი ასუან, ახლისა ვარდისა შარბათი ასუან, ვაშლისა, ბიისა, იისა, ბროწეულისა, გავ ზაბანისა, ეენახის ღიქისა, რომე ჰასლი ჰინდუბა ჰქუიან, და ლულუფარისა შარბათი ასუან, რომე ამ სიქანჯუბინშიგა ბროწეულის შარბათიცერიოს.

ესე შარბათები ყუელა ასუან, ყუელა კაი და მარგე არის და ერთმანერთისა მჯობი. მაგრა ესე ბროწეულისა შარბათი სიქანჯუბინითა იყოს და ნაუუის გულისა ნიგოზსა, თხილსა, ნიშასთასა, და ჰალვაებსა და ტკბილსა საქმეებსა ყუელას უფთხილდენ, თვარადა უსათუოდ კიდევ შიაქცევს.

და ასრე უნდა ამრიგი ნავატყოფები კაცი მოსვენებით იჯდეს და არ ირჯებოდეს. და ამ რიგმან კაცმან არც მოიშიოს და არც მოიწყუროს, და ასეთი საქმელი არ უნდა ჰამოს, რომე კაცსა გულზედა დაადგეს და ან გამოჰყუეს და კაცი ემთილა შეიქნას და კიდევ შიაქციოს და ან წამოაცხელოს. და თუ გულმან და ან ხორცმან აბანო მოითხროს, ასეთსა აბანოშიგან იბანოს, რომე მოჰთადილი იყოს, და ამა აბანოს ტკბილი წყალი იყოს, ვითამცა და აბანოს წყალი მლაშე არ უნდა იყოს.

და ამა აბანოშიგა დიდსა ხანსა არ უნდა იყოს. და ამ რიგი ნაავადმყოფები კაცი ბევრს უძილობასა, ბევრს ოფლის დენასა, და მწოედ მუავის საქმლის ჰამასა, ამებეს ყუელას უფთხილდენ.

და თუ ზაფხული იყოს, ჯერ რომე არ დაცხომილიყოს საქმელი ისეთსა დროსა აკამონ, და თუ ზამთარი იყოს დილეულ ნუ აქმევენ, მზემან რომ კარგად ამოწუეროს მაშინ აკამონ.

და ახლად ადგომილი ავად მყოფი ასრე უნდა შეინახონ, რომე არ შიაშინონ და ასეთი ხმა არა გააგონონ რა, რომე ავად მყოფი შეშინდეს და არცრა ასეთი უჩვენონ რამე, რომ გულშიგ შეშინდენ, თუარამდა ეს იცოდით, უსათუოდ კიდევ შიაქცევს. და რასაც რომე კარგი სული უდიოდეს, იმავეებს უნდა უსუნებდენ: ამბარსა, მუშკსა, ლადანასა, ღალიასა და ამათსავე მიმსგავსებულსა ბალახებსა უსუნებდენ: ვარდსა, იასა, ზამბახსა, ზაფრანასა, რეჰანსა, იასამანსა, უდსა, სანდალსა, ვაშლსა და ბიასა ხშირად უსუნებდენ.

და ასრე უნდა რარიგადცა გულში იამებოდეს, ისრე უნდა ქნას. და რარიგსაც ალაგს იამებოდეს, იქ იჯდეს. ბევრი არ უნდა ისაჯოს, ბევრი არ უნდა იუბნოს, და არც სხუა კაცი ბევრს ეუბნოს, და თუ ეუბნონ, რაც ამა ავადმყოფსა იამებოდეს იმას უნდა ეუბნონ, და თავისა საყუარლის ნახვა ყოელსა წამალსა სჯობს.

და ასეთი სენი და ჰირი კაცსა არცკი ეჭირების, რომე კაცმან თავისი საყუარელი ნახოს და არ ელხინოს. ბოლომ ლამაზის ადამის ტომის ნახვა, ლამაზის პირუტყუსი ნახვა, ლამაზის ალაგის ნახვა, ლამაზის ხმისა და საკრავის გაგონება, ესე ყუელა კაი არის. ბოლომ რაცა ან თუალსა, ან ტუინსა, ან ყურსა და ან გულსა იამების, და ან გულს უკუჭყრის ეს ყუელა კაი არის. და თუ ითქმის მკუდარი იყოს გაცოცხლებების. და სადამდი კაცი მოიჯობინებდეს დედაკაცთან მისულას უნდა ერიდოს, და წყნარად უნდა წაივლიდეს და წამოივლიდეს, რომე სიარულს შეეჩვიონ და გულსა უკუეყაროს, რომე ადრე მოიჯობინოს.

10

ორსულობისა და დედათ წესისა თათბირებსა გამცნებს. და გიამბობს. როდისცა დედაკაცსა დროზედ დედათ წესი აღარ დაემართოს და გულმან რევა და ბნედა დაუწყოს, და გულმან და სტომაქმან ტკივილი დაუწყოს და საკმელი აღარა უნდოდეს რა, იცოდი დასტურათ ორსულად არის. და ამა ნიშნებსა უკანა ასრე უნდა ეს დედაკაცი მოსვენებით იყოს, არას ასწიოს, არა მიიჭირვოსრა და არც გასახსნელი და სარწყვეელი წამალი სუას, და როდისცა ქმარი მოუწვეს მწოედ ძალი არ უყოს, და მწოედ არ მოდრიკოს. და ვაშლისა, ბიისა და უდის შარბათი ასეან და ამ შარბათებშივა მუშკი, ამბარი, ინდოურის ნიგუზის გული და ჯავზიცა გაურონ და ისრე შარბათად ქნან, და მუდმად ეს შარბათები ასეან, და მუდმად კეცს უნდა ლეკდეს და მუშკსა, ამბარსა, ლადანსა, ლალიასა, ვარდსა, იასა, რეჰანსა, ზამბახტსა და ზაფრანას უსუნებდენ. უდსა, სანდალსა, ფუფალსა, ვაშლსა, ბიასა და რასაცა კაი სული უდიოდეს იმას უსუნებდენ, რომე გულსა, სტომაქსა და მარტვილსა სამსაე ძალი მისცენ.

20

და საკმლებისაგან ამ რიგს საკმელებს უნდა სკამდენ: წმიდასა პურსა, ვარიასა, გარეულის ხობზისა, კაკბისა, ღურაჯისა ლაპების, ხარშოებსა. ან თიკნისა და ან სამამლის შიშაკის ხორცსა აკმევედენ, და ამა ხორცებსა ან ნარდანგის წყლითა ან ლიმოთა, ან ისრიმითა, ან კოწახურითა, ან მოცხარითა, ან თუთუბოთა და ამავე რიგის მკევეებითა შეიქმოდენ და აკმევედენ. და ხილებისაგან: ვაშლსა, სხალსა, ბიასა, ბროწეულსა და მომქეავოს ხილსა, ყუელას აკმევედენ. და მწუანვილისაგან: პიტნასა, ტარხუნასა და ქინძსა აკმევედენ. და დაწოლის დროსა გულბა შაქარი, გვილან გვიბინი და თურინჯის ტყავის მაჯუნი აკამონ, თრიაქი ფარიყი, მაჯუნი თუსი მისრი, მაჯუნი მუშკი და ხანსა, და კაი მუფარაები აკამონ, რომე იალუთითა შექნას, რომე დედაკაცსა გული გაუმხიარულოს და მარტვილსა ძალი მისცეს.

30

და ორსულმან დედაკაცმახ ბევრი საქმელი არ უნდა ჰქონდეს, და ცოტას საქმელსა უნდა სკამდენ. და დღივ საქმელი ორჯერ ან სამჯერ უნდა ჰქონდეს და სამჯერვე ცოტა ცოტა ჰქონდეს, რომე ორსულსა ადამიანსა გული და სტომაქი არ ასტკივდეს და ამა მიზეზითა შიგნით მარტილს არ მისტირდეს. და ცხარსა, მწარესა და ჭარიანსა სასმელსა და საქმელსა უნდა არიდონ. და ასეთი საქმელები არა აქამონრა, რომე რაც დედათ წესის სისხლი შიგნით დარჩომოდეს ის ჩამოშალოს, და ყუელა ჩამოწმიდოს. და ზენარ იმ რიგს საქმელებს არიდონ და. ნუ აქმევენ მუხუდოს შექამადსა, ლობიოსა შექამადსა, ნიახურსა, ცერეცოსა, კამასა და სუზაბსა, ამავებს ნუ აქმევენ და არიდონ. ამისთვის რომე ეს საქმელები ყუელა მწოვედ აწყენს და დედათ წესს ჩამოუშლის და მარტილს დაასუსტებს და გულსა და სტომაქსა აატკივებს. და ორსულსა დედაკაცსა ნურც მწოედ ტკბილსა საქმელსა აქმევთ ყურძნისა და ჩამიჩის მეტსა. და ეს ტკბილი ჩამიჩი რომე ჰქონდეს, კარგადაც მოუხდების, საქმელსაც მოანდომებს და მარტილსაც დააძალიანებს.

და არასათვის ორსულსა დედაკაცსა არც სისხლი უნდა გამოუშვან და არც გასახსნელი წამალი ესმის, ამისთვის რომე, ხელისა და სტომაქის გახსნა მარტილს ორივე დაასუსტებს და როდისაც გაიზრდების, უსათუოდ ბნედა დაემართების. და თუ შვილის მოწყუეტი-საგან ეშინოდეს, წყლიანსა ხილსა, წუნთანსა შექამადებსა და აბანო-შიგ შესულასა, ამას სამსავ ერიდოს. და ასეთი სასმელ საქმელები სუნან და ჰქონდეს რომე გულსა და სტომაქსა ძალი მისცეს და მარტილი დააძალიანოს.

და ამას უნდა ეცადნენ და უფთხილდენ, რომე ორსული დედა-კაცი არ შიაშინონ. და ან მუცელშიგა არ შეკრას და ხშირ ხშირად წაივილიდეს და წამოვილიდეს, რომე მუცელშიგა ყმაწვილი დაიძრას და გაიშართოს. და გაქევეასა, რუს გახტომასა, დიდს გაბიჯებასა და მადლიდალმან ჩამოვარდნასა ერიდონ. და ესეც უნდა იცოდეთ, თუ მარტილი ცალსა მხარსა წევს, ის მარტილი უსათუოდ აღრე და ადვილად დაიბადების, და თუ მართლად და გაწონით უწევს და სწორად ბოქუენშიგა აქირებს, ის მარტილი მწოედ ძნელად და სარჯელით დაიბადების. და ასრე უნდა როდესაცა დედა-კაცსა ტეხა დაუწყოს, ხშირ ხშირად წაძრან წამოძრან და როდისცა დაჯდომა უნდოდეს, სკამზედა დასვან და ან¹.....

¹ ამ ადგილას ტექსტი წყდება, აკლია სამი ფურცელი. აღდგენილია ვარიანტის A-ს მიხედვით.

შირლილინის ზეთი, ან ნუშის ზეთი, და თუ იყოს ზეთის ხილის ზეთი ყუელასა სჯობს, გაათბონ და თბილ თბილის ამა ზეთებითა მტეხიარესა დედაკაცსა მუცელი, ბოქუენი, ფერდები და ზურგის მიძივები ყუელა თბილ თბილის ამ ზეთებითა კარგად დაუზილონ და საშო ამ ზეთებითა გამოუტენონ. და თუ ამ ზეთებისაგან არცერთი იშოებოდეს, კიდევ ამავე რიგად ეს ალაგები და საშო და მისი გარეშემო თბილ თბილის კარაქითა კარგად ამოუზილონ და კიდევ გამოუტენონ. და ტეხაშიგა, მოხარშული მსუქნის ცხურის წვენი, ქათმის ერბო, მუხუდოს შეკამადის წვენი და შირლილინის წვენი რომელიც იყოს თბილ თბილი ასუან, ტეხასაც მოუხშირებს და მარტვილსაც ადრე მოიყუანს.

10 და ასრე უნდა როდისცა დედაკაცსა ტეხა დაუწყოს და ტეხა გაუძნელდეს, აბანოშიგა აბანონ და ტანზედა და წელზედა ბევრი თბილთბილი წყალი დაასხან. და თუ წელთამდისინ თბილს წყალში ჩასმენ და ბოქუენსა, მუცელსა და ზურგის მიძივებსა კარგა დაუხელენ, ისი სჯობს. და თუ ზამთარი იყოს, ცეცხლი აანთონ და თბილსა სახლშიგან მოამშობიარონ, და თუ ზაფხული იყოს, გრილსა ალაგს მოამშობიარონ, ესე ასრე უნდა.

20 და თუ დედაკაცს ტეხა გაუძნელდეს, წელთამდისი თბილს წყალშიგა უნდა ჩასვან და მუცელი და წელი კარგად დაუზილონ. და მიცემის დროსა ტატბერი უკანიდალმა მოუჯდეს და სადამდის თავისი წყალი არ დაღვაროს და მტეხიარესა ხმა არ ეცვალოს, მუხლზედა არ უნდა დასვან და ამთენი აცალონ, რომე თავის წყალი დაღვაროს. და მას უკან ერთი ტეხა კიდევ მოუვიდეს და მერმე მუხლზედ უნდა დასვან და ორკეცი ნაბადი მუხლქვეშ დაუფინონ, დროსა ფიცხლა არ უნდა ისუნთქოს. ტატბერი უკანიდალმა მოუჯდეს მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ და, თუ არც ამით იქნას და კიდევ ტეხა დაუწყოს და გაუძნელდეს, მოიტანე ტუხტი და ან მალოქი, და ან თეთრი გვირილა, და თუ სამივე ერთად არის ისი სჯობს, და წყლითა კარგად მოხარშონ, და მტეხიარე აღამიანი წელთამდისი შიგ ჩასვან და მუცელი და ფერდები კარგად და ძალიანად ამოუზილონ, და ღთისა შეწვენითა ადრე და უზიანოდ დაეხსნების და მორჩების. და თუ მტეხიარეს ტეხა ოთხდღემდისი გაუგრძელდეს და აღარ მიეცეს, იცოდი უსათუოდ მარტვილი მკვდარი თურმე არის, და ამას უნდა ეცადონ რომე, რითაც ღონით იყოს მარტვილი დაეხსნას და დედა აგრეც მორჩეს.

30 აწე ამ მარტვილის დახსნისა და დავარდნის წამალი ეს არის რომე: მოიტანე ნახევარ დირამი თრიაქი ფარაიყი წყლით გალესეთ

და ასეით, და ძალითა და შეწევნითა ღმრთისათა მაშინვე ყმაწვილი დავარდების. და თუ არც ამით იქნას, მოიტანე ექუსი ღირჰამი ხიარ-შამბარას გული და ან ახლის იის შარბათითა, ან იის ზეთშიგა გაურეონ და მერმე წყლით გაულესონ და ასუან, ღმრთისა შეწევნითა უსათუოდ დაეხსნების. და თუ არც ამით იქნას, მოიტანე აბზინდა ბალახი რომე თათრულად ავსან თანი რუმე ჰქუიან და სპარსნი ფარიავშანს უძახიან, ვითამცდა აბზინდაო, დანაყონ, გამოწურონ და ამისი წვენი სუან, ღმრთითა უსათუოდ დაეხსნების.

10 და რა ღმრთიან უშველოს და შვილი დაეხსნას და დაიბადოს, კაი და შემრგო საკმელები და ვარიის ხარშოები, და ბრინჯით შექნილი ვარიის ხარშო რაც საკმელი არის ყუელასა სჯობს. და ამას უნდა ეცადნენ, რომე შიგნით დედათ წესისა სისხლი არ დარჩეს და მშობიარი დედაკაცი ამ პილწის სისხლისაგან კარგად ჩამოწმდეს, და სადამდი ეს დედაკაცი კარგად არ გამოწმდეს და არ გამთელდეს, მადამდისი ავი და სქელი საკმელები არ უნდა აქამონ, თვარემდა იმა დედაკაცს უსათუოდ სისხლი შეექნების, და ეს იცოდით ამ რიგი აღამიანი აღარც კი მორჩების.

ლადანა მხურვალია და ნელლია, თუ დედაკაცსა მუცელშიგა შვილი მოუკუდეს და ძნელად დაეხსნას, მოიტანე ლადანა და ნაკვერცხალზედა დააკმივე და ამისი კუამლი საშოშიგა უყრჩოლეთ და მაშინვე დავარდების და დაეხსნების ძალითა ღმრთისათა.

20 აწე წაშლებისა თათბირებს ვიამბობს. ბუჰრანისა და ცხელები-სა ნობათისა დროსა ავად მყოფსა კაცსა საკმელი არ უნდა აქამონ, ამისთუის რომე, არამც კაცს ძალი წაუვიდეს. და სრულად ყოვლსა ავად ყოფაშიგა კაცსა გამხიარულება და თავის საყუარლის კაცისა ნახვა, კარგის სულის ცემა, კაის ხმის გაგონება, ლამაზის აღამის ტომის ნახვა, ლამაზის პირუტყუის ნახვა, ლამაზის ალაგის ნახვა ავად-მყოფსა ეს ყუელა კარგად მოუხდების. და თავისის საყუარლის ნახვა და ამისის ხმის და საუბრის გაგონება, ყოვლის წამლისაგან უკეთ-30 თცა მოუხდების. და ასეთი ჰირი და სენი კაცსა არც კი ექირეების რომე კაცმან თავისი საყუარელი ნახოს და ის სენი და ჰირი არ გაეყაროს, და ან გულსა არ უკუეყაროს. მეტადრე მაშინ რომე, ეს სენი ან სევდისაგან და ან ნაღვლისაგან წაჰკიდებოდეს მერმე სეგ-დად შექნილიყოს.

ერთი თალის ჰაქიმმან თქუა: მე აღამისტომის გულისა და ჰქუისაგან სამი საქმე მიკვირსო, ერთი ესეო, რომეო ერთსა კაცსა ერთი ვინმე მწოდ უყუარდესო და ეს კაცი მოკუდესო და მერმე ისი ვინც უყუარს ამა მკუდარს კაცზედა მოვიდესო, ან ამა

თავის საყუარლის ხმასა და ჰკუასა რატომ არ გაიგონებსო, და ან ისი კაცი რატომ არ გაცოცხლდებისო. მერმე ესეო, რომე ის მკუდარი კაცი კაცმან თბილს ავაზშიგა ჩადესო ის კაცი რატომ არ გაცოცხლდებისო. მესამე ესეო რომეო, ცოცხალი კაცი ცივს წყალშიგა ჩაჯდესო მაშინვე სისხლს რატომ არ გაუყინავსო და რატომ არ მოკუდებისო მეტადრე მაშინ, რომე ზამთარი დღეები იყოს და ან მწოედ ყინევდესო, აგრევე ავადმყოფსა თემისა და ალაგის გამოცულა მწოედ კარგად მოუხდებისო.

10 ბოლომ ყოველსა ფერსა სენსა და ჰირსა თავთავისი შესაფერი წამლები უნდა უყონ. ასრე რომე თუ კაცი სისხლისა სიმხურვალისა და საფრისაგან იყოს ავად, ამრიგსა სენისა უფალსა კაცსა გრილი და მზე საკმელი უნდა აქამოთ, და ამავე რიგი საკმელი შარბათები ასუათ და გრილი წამლები უყავით, გრილი ტლევები შემოსდევით, გრილისასუნებლისათუის ასუნებინეთ, და ასეთი წამლები და შარბათები უყონ, რომე გულსა და ღვიძლსა და სტომაქსა მოუგრილონ, და ძალი და წყალი მისცენ, და სისხლი დაწმიდოს და გააქარვოს.

20 თუ კაცი სიგრილისა და ბალღმისაგან იყოს ავად, ასეთი მხურვალისა საკმელები და ასეთი მხურვალისა წამლები და შარბათები ასუან რომე, და ასეთი მხურვალისა ტლევები შემოსდევან, და მხურვალისასუნებლებისათუის ასუნებინონ, რომე ყოველის სიგრილისა სენი და ქარი გულისა, ფირტუისა და სტომაქიდაღმან გაუგდოს.

ავრევე თუ კაცს სისხლი სქარბობდეს სისხლი გამოუშევან, და თუ კაცსა სისხლიცა სქარბობდეს და სისხლთანა სხვის ხილთისგანცა ერეოდეს და ეს ავადმყოფი მითა ავად იყოს, კიდევ სისხლი უნდა გამოუშევან, მკლავის საშუალი ძარღვი უნდა გაიხსნან და კარგად სისხლი იღინონ.

30 მაგრამე თუ ავადმყოფი ამდენად ძალიანად და კარგად იყოს, რომე მკლავის გაუხსნელობა გასძლოს და ან მკლავის გაუხსნელად იქნებოდეს, კოტოში მოჰკიდონ და ხელს ნუ გაუხსნიან. და თუ ავადმყოფი მწოედ სუსტად და უსუსურად იყოს, ნურც მკლავს გაუხსნიან და ნურც კოტოშს მოჰკიდებენ, და გრილი და ნედლი წამლები და შარბათები ასუან და გრილი ტლევები შემოსდუან, გრილისასუნებლებისათუის ასუნებინონ, რომე ამ წამლებითა და ამ შარბათებითა ელხინოს, და სხვა ძნელი წამლები აღარ მოუნდეს. და ამ რიგი შარბათები უნდა ასუათ, რომე ავადმყოფი გახსნათ და სიცხე და სიმხურვალე გაუგოთ. ახლის ვარდის შარბათი, იის შარბათი, ლულუფრის შარბათი, შაჰთარას შარბათი, ჰუმუზის შარბათი, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, უშხუნისა, თამრი ჰინდისა, მეთუნას შარბათი;

ბროწეულისა, ხართუთისა, უნაბისა, ვენახის ღიქისა შარბათი, ვაშლისა, ქლიავისა, ბიისა, მაყულისა შარბათი და სიქანჯუბინის შარბათი ასეი. ესე შირბათები ყუელა კაი და ყოვლის მხურვლის სენის წამალი და მარგე არის და ყუელა ერთმანეთის მჯობი არის. რომელიც იყოს ამ შარბათებისაგან ასუით და ნუ დაუწყალობებთ, ყუელა კარგად მოუხდების. სიციხესა და სიმხურვალესა ყუელა გაუგდებს და გულსა და ღვიძლსა, და მხურვალსა ვარამებსა ყუელა არგებს და ძალსა და წყალსა ყუელა მისცემს.

10 და თუ ავად მყოფი მუცელშიგა გახსნით იყოს, ასისა შარბათი ასუით, რომე მარსინი ჰქუიან; სანდლის შარბათი ასუით, ამის გარეთ ბიისა, ბროწეულისა, ვაშლისა, ღიმოსა, კოწახურისა, ისარიმისა და უშხუნის შარბათი ასუით, ეს შარბათები ცოტა ცოტა ასუით, რომე სიმხურვალეც გაუგდოს და კიდევ შეკრას, და სიმხურვალეცა ჰქონდეს და შეკრუითაც იყოს, ვარდის წყლით გაღესული ახლის ვარდის შარბათი, ან იისა, ან ლულუფრისა, ან თაბლი ჰინდისა ან ქერემისა, ან ქლიავისა და ან შაპთარას შარბათი ასუით, სიციხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და კიდევ გახსნის.

20 და თუ ავადმყოფსა ან ძარღვები ან წელწული და გული და სტომაქი სუსტად ჰქონდეს და კიდევ ახუელებდეს, მქავესა¹ სასმელსა, საჭმელსა და შარბათებსა ნურც ასმევთ და ნურც აჭმევთ.

და თუ კაცი სიციხითა და სიმხურვალით იყოს ავად, ვარდის კაქიქისა, მსუქანას ბალახისა და სალათას წყალი გამოჰხადონ და ასუან და ესე აქამონ, რომე ყოვლის ფერის მხურვლის სენისა, ვარამისა, მჯდომისა, ღვიძლისა, იარაყანისა, სნებისა, ცხელებისა წამალი და აქიმი არის. და რაც საჭმელები აქამონ მქაუნათა, ისარიმითა, კოწახურითა, მოცხარითა, თუთუბოთა, ნარდანგითა ან ხართუთითა და მაყულითა აქამონ.

30 და თუ ავადმყოფი მწოედ სუსტად და უგუნებოდ და უსუსურად იყოს, ამა მქავებსა და საჭმლებშიგა ვარია გამოუხარშონ და ისრე აქამონ.

და თუ კაცი ან სისხლისაგან, ან საფრისაგან იყოს ავად, ესე მქავე საჭმლები აქამონ და მქავე შარბათები ასუან, და ან ესეც მათფუხი ფაქიას შარბათი ასუით, რომე გული და სტომაქი დაუღბოს და ყოვლის ფერის საფრისა და ხილთებისაგან გაწმიდოს.

მათფუხი ფაქიას იარალი ეს არის: მოიტანე ოცი მარცვალი კაი ქლიავეი, თორმეტი ღირჰამი უნაბი, თორმეტი ღირჰამი თემრი

¹ აქამდის აღდგენილია ვარიანტი A-ს მიხედვით.

ჰინდი კიდევ ხმელი ია, სინაი მაქი ვითამცდა ფუთფუთას ხის ფო-
 თოლიო, ტყავ შემოცრკვილი ტუხტის თესლი და ყუითლის ჰალი-
 ლას ტყავი, ამათგან თვითოსაგან ოთხ ოთხი ღირჰამი ქენით და
 ყუელა ნახევარზედა დანაყეთ, და ეს წამლები ყუელა ექუს ჟამამდი-
 სინ წყალშიგა დაალბეთ, კიდევ მოიტანეთ ხუთი ღირჰამი ლულუ-
 ფრის ყუავილის ფოთოლი, შვიდი ღირჰამი ყირმიზის ვარდის ყუავი-
 ლის ფოთოლი და ესეცა იმა სხვას წამლებშიგან გაურიეთ და ყუე-
 ლა ერთად მოადულონ და ამანედან ათი ღირჰამი შირხიშთი, ან ათი
 10 ღირჰამი გაზანგვი, ან ოცდათი ღირჰამი ახლის ვარდის წვენი, ან
 ოცდათი ღირჰამი ახლის იის წვენი ესეებიცა დანაყონ და გამოწუ-
 რონ და ეს წყლებიცა კიდევ ამავე სხვას წყლებში ჩაურიონ. და თუ
 უფრო ძალიანი და უფრო კაი გინდოდეს, თხუთმეტი ღირჰამი ხიარ
 შამბარას გული ერთის ღირჰამისა ნუშის ზეთითა გააყენონ და ესე-
 ცა იმევე წამლებშიგა ჩაურიონ და დაწურონ, და თუ კიდევ უფრო
 ძალიანი გინდოდეს ორის მუხუდოს წონა მაჰმულა წმიდად დანაყეთ,
 და ესეც იმავე წამლებშიგა გაურიეთ და სრულად ესე წამლები ოც-
 დახუთსა ღირჰამსა შაქარზე და დააწურონ და დიღეულ რომე ჯერ
 მზე არ ამოსულიყოს უზმოსა ასუან. და თუ ადრე არ გახსნას და ან
 ხან გამოშვებით ასაქმოს ერთი პეეშიგა დაქირვა ახალი ცერეცო და
 20 ათი ღირჰამი ყირმიზის ვარდის ფოთოლი, და ხუთი ღირჰამი ტყავ-
 გახდილი ტუხტის თესლი, ეს სამივე ერთად მოადულონ და თხუთმეტს
 ღირჰამსა თეთრს შაქარზედა დააწურონ და ასუან. და როდისა-
 ცა კაცი მწოედ კარგად ასაქმოს და ან კაცსა საქმობა გაუთავდეს,
 მოიტანე ხუთი ღირჰამი ძირტკბილას ძირი, ტყავი გაჰხადე, დაქეჰკე
 და მოხარზე და ათსა ღირჰამსა კაის თეთრსა შაქარსა დააწურეთ და
 თბილთბილი ასვან, რომე არწყევინოს და რაცა გულსა და სტომაქზედა
 ბალღამი და ბაყლი დარჩომილიყოს ისიც ყუელა პირიდაღმან ამოა-
 ლებინოს, და უკანიდაღმან და წინიდაღმან, ყოვლის ბაყლისა და დამ-
 წურების ხილთებისაგან გაწმიდოს. და რა რწყევასაც ბოლო მოე-
 30 ლოს ასრე უნდა ხელი, პირი და ფეხები სამივე ცივის წყლით დაი-
 ბანოს და მასუკან თორმეტი ღირჰამი ვაშლის შარბათი, ან ბიის შარ-
 ბათი ან სანდლის შარბათი ან ახლის ვარდის შარბათი ორმოცდა-
 ათის ღირჰამის გავზაბანის წყლით გალესონ და ექუსი ღირჰამი ვარ-
 დის წყალიცა გაურიონ და ასუან, რომე გულსა და სტომაქსა ძალი
 მისცეს და ღვიძლი დააძალიანოს. და თუ ესე გავზაბანის წყალი არ
 იყოს, ისრევე ორმოცდაათი ღირჰამი წყალი დაასხან, შარბათად
 გალესონ და ასუან. და ორსა საჰათსა და ჟამსა უკანა ან ერიშთა და

ან სხუა ცომის შექამადი აქამონ. და თუ კაცი მწოედ სუსტად იყოს და ან დასუსტებისაგან გეშინოდეს, ვარიის ხარშო აქამეთ.

და თუ საფრა სტომაქშიგა ჩასლოდეს ოთხი დირჰამი ძირტკბილას ძირი დაქექკონ და მოხარშონ და სიქანჯუბინზედა დააწურონ და თბილ თბილი ასეან, რომე ის საფრა, სტომაქშიგან რომე ჩასულია, არწყევინოს და ამა საფრისა და ყოვლის პილწის ხილთისაგან გაწმიდოს, და ყუელა ამ რწყევით ამოაღებინოს.

მაგრა ასრე უნდა, ყოველთა დღეთა გრილსა და ნედლსა შარბათებსა ასმევდენ, იის შარბათს, ლულუფრის შარბათსა, ქლიავისა და ქერემის შარბათსა, თაბლი ჰინდისა შარბათსა და შაჰთარას შარბათს ასმევდენ.

და თუ მწოედ გახსნამა მიაქირვოს და ან დასუსტდეს, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა და უშხუნისა შარბათი ასეან, და ესე შარბათი რომელიც იყოს გაეზაბანის წყლით გალესონ და ან ვარდის კაქაქის წყლითა და ან სხუის გრილის ბალახების წყლით გალესონ და ყოველთა დღეთა ესე შარბათები ასუან. და თუ ესე ბალახების წვენი არ დაგესწრას, ცივის წყლით გაულესონ და ასეან, ეს შარბათები ყუელა კაი და მრავალჯერ დაცდილი შარბათები არის. და აგრევე სიქანჯუბინისა შარბათი, კაის საზამთროს წვენი და ახლის აყიროს წყალი, ან კიტრის გულის წყალი, და ან შუმხიარის წყალი, რომე შაქრის მყინვართა შარბათად გალესონ და გერჩინენოს მარტო ასუან, და გერჩინენოს ოთხივ ერთად გაურიონ და ისრე ასუან, სისხლსა; საფრასა და სიმხურვალესა ყუელა გაუგდებს, და გულსა და ღვიძლს მოუგრკილებს და ძალს მისცემს. და ესე შარბათები ამ რიგის სიმხურვალის სენისათვის მრავალჯერ დაცდილი არის.

და თუ ესეები არ დაგესწრას, შაქრითა ჯავ ავი ასუან და ან კიტრისა და ან მსუქანას ბალახისა, და ან ვარდის კაქაქის რძითა ლულუფრის შარბათი ასუან, ეს წამლები ყუელა მწოედ კარგი და მარგე წამლები არის.

30 და თუ კაცსა საფრა სქარბობდეს, ცომის შექამადები და ვარიის ხარშო აქამონ, და საფრიანსა და საფრის გამაძალიანებელს საქმელგებსა ყუელას არიდონ.

და თუ კაცსა ბალღამი სქარბობდეს და ან გულსა და სტომაქზედა ბალღამიანად და გრილად იყოს, ორი დირჰამი თეთრი ღარიყუნა უნსულის შარბათშიგა გამოზილონ და მუღმათ ეს ალოკონ, და ან ამისი ჰაბები შექნან და ჯულაბითა ჩააყლაპინონ. და მერმე ორსა ეამსა და საათს უკანა ერთი დირჰამი ტყავ გახდილი ძირ ტკბილას ძირი და ერთსა პევშუშიგა დაქირვა ახალი ცერეცო, და ხუთი დირ-

ჰამი ტყავ გახდილი ტუხტის თესლი, ეს სამივე ნახევარზედა დაქვე-
კონ და სამივე ერთად მოადუღონ და თორმეტსა ღირჰამსა კაის შა-
ქარსა ზედ დააწურონ და ასუან.

- და თუ ამისგან უფრო ძალიანად უნდოდეს, მოიტანე ნახევარ-
ზედა დანაყილი ცხენის წაბლი და კურკა გამოღებული წითელი ჩა-
მიჩი შვიდ შვიდი ღირჰამი, და სამი ღირჰამი ენისუნი, და ასრე უნდა
ეს წამლები სამივე ერთად მოადუღონ, გაწურონ და თბილ თბილი
ასუან. და რა კარგად ასაქმოს და ან საქმობას ბოლო მოსწყდეს ის
მათბუხი ფაქია ასუან, რომე ზემოთ სარწყევლად მათფუხი ფაქია
10 სწერია. და ან ვაშლისა და ან ახლის ვარდის შარბათი ამათგან
თვითოსაგან თორმეტ თორმეტი ღირჰამი გავზაბანის წყლით გალე-
სონ, და ნახევარი ღირჰამი რეჰანის თესლი პირშიგა დაიჭირონ და
ისრე ასუან, და ქათმის ხარშო აქამონ, და ყოველთა დღეთა უნსუ-
ლის შარბათი და თავშავას ბალახის შარბათი, და ან ლიმოს შარ-
ბათი, რომელიც იყოს ასუან. და დაწოლისა დროსა მუდმად გულან
გვიბინი და სანჯათილი ფარეარდა და მხურვალი მაჯუნები აქამონ.
და საქმლებისაგან თაფლი, ტრედის ხუნდი, ქაეკაევი, კაკაბი, ხოხო-
ბი, ღურაჯი და კაის შიშაქის ხორცი, ყუელა ექმების და კარგად
მოუხდების, და ბალღმიანსა და ქარიანსა სასმელსა და საქმელს ყუე-
20 ლას უნდა ერიდონ, და გრილსა და ცივსა საქმელსა ნუ აქმევენ,
ცივსა წყალსა ნუ ასმევენ. გარეთ, წყლის პირსა და ცივსა ალაგსა
ნუ დაწევიან და ნურც ამრიგს ალაგს დაიძინებენ.

აგრევე თუ კაცსა უნდა ამრიგადაცა კარგად იქნების, რომე
მოიტანო ძირტკბილას ძირი, ცერეცო, ბოლოკის თესლი და ბოლო-
კის ფოთოლი, ეს წამლები ყუელა ერთად მოადუღონ და კაის
თაფლზედა დააწურონ და თბილ თბილი ასუან, რომე არწყევინოს,
და რაც ბალღმის სენი სჭირდეს ყუელა რწყევითა ამოალებინონ და
ყუელა ეშეელოს.

- და თუ კაცსა სევდა სქარბობდეს და ან სევდისაგან იყოს ავად
30 მათფუხი აფთიმონი ასვან. აწე მათფუხი აფთიმონი ეს არის, რომე
ამა მათფუხი აფთიმონშიგა ექუსი ღირჰამი კარგად გარცხილი და
კარგად დანაყილი ბასვაიჯი და სამი ღირჰამი ჰალილევი ქაბული, და
თვითო ღირჰამი თეთრი ღარიყუნი, და დამბალი თაბლი ჰინდი გაუ-
რიონ და ეს წამლები ყუელა ერთად და კარგად მოხარშონ, და რო-
დისცა კარგად მოხარშოს ოთხი ღირჰამი აფთიმონი და ცოტა და-
ნაყილი ნუში და ეს აფთიმონი თხელსა ქათანშიგა გამოჰკარ და ამა
მოდუღებულსა წამალშიგა ჩააგდონ, რომე ამა სხვა წამლებშიგა სამი
ოთხი პირი წამოადუღოს, რომე, რაც ძალი და ხასიათი ჰქონდეს,

ყუელა იმა სხეას წამლებზან გაიროს, მერმე გარდმოილონ და პირ-
ველზედა რომე მათუხი ფაქიას იარალი დაგვიწერია ეს წამლებიცა
იმაზედა დააწურონ. და იმა წამლებზედა ნახევარ ღირჰამი გილი არ-
მანი, და ნახევარ ღირჰამი ლაეუარდი ეს სამივე წმიდად დანაყოფ, გა-
ცრან და ესეც იმ მოდულებულს წამლებზედა მოაყარონ და ასუან. და
თუ ლარიყუნი ასრე კარგი და წმიდა იყოს, რომე საცერშიგა გაედი-
ნებოდეს, ნულარ დანაყენ, გაცრან და გაურიონ და რა რიგადცა ზე-
მორ მათუხი ფაქიაზედა დაგვიწერია, იმ რიგად ასვან, და რარი-
გადაცა იმ ფაქიაზედა წესი და რიგი დაგვეწეროს, ყუელა იმრიგად
10 ქნან. და ათსა დღესა უკანა მსუქნის ქათმისა და მსუქნის ვარიებისა
ხარშო აქამონ. და შარბათებისაგან ყოველთა დღეთა უმუხის შარ-
ბათი, ლიმოს შარბათი, ლულუფურისა და ან იის შარბათი, ან უშ-
ხუნისა და ან კოწახურის შარბათი, ან თაბლი ჰინდისა და ან სან-
დლის შარბათი, ამ შარბათებშიგ რომელიც იყოს გავზაბანის წყლით
გალესონ და ასუან. და სევდიანს კაცსა რაცა ზემორ სევდისა სენ-
ზედა მხურვალი, ნეღლი და მსუქანი და ცხიმიანი სასმელი და საჭ-
მელი დაგვეწეროს, ის ასუან და ის აქამონ. და ხმელს ხორცსა, ხმელს
თევზსა, ხმელს ყუელსა, მაწონსა და ყოველს ხმელს სასმელსა და
საჭმელსა ერიდონ, რომე სევდისა სენსა ეს სასმელი და საჭმელი
20 ყუელა გააძალიანებს.

და სალათა, კიტრი, შუმხიარი, საზამთრო და ქასნი ბევრი და
ბევრჯელ ქამონ. მსუქანი საჭმელები და თბილ თბილი თოხლო
კუერცხი ბევრი და ბევრჯულ ქამონ, რომე ტვინსა და დამალსა
დაულბობს და გაუნედლებს. და მოჰთადილსა აბანოშიგა ხშირ ხში-
რად იბანონ. და შიმშილსა და წყურვილსა ნუ მოიჭირვებენ, ამის-
თვის რომე მარხვა ხმელია და სევდაცა ხმელია, და ამისთვის სევდას
კიდევე უფრო დააძალიანებს.

ბოლომ სევდისა სენისა უფალსა კაცსა გული და სტომაქი მუ-
დამ მაძლარი უნდა ქონდეს. და თუ კაცი ან ყოლ კიდევ ხაზმუზია-
ნად იყოს და გულზედა ეხვეოდეს, და გულზედა მძიმედ იყოს, ან
30 გულსა და სტომაქზედა კარგად არ გაწმენდილიყოს, მოიტანე ძირ-
ტკბილას ძირი და ტყავი გააძრევე და ხე კი დაქექე და წყლით
კარგად მოხარშე და კაის თაფლზედა დააწურე და თბილ თბილი
ასვით, ფიცხლავ არწყევიანებს. და ვინიცის და რწყევა დაღვეიანოს
კიდევე ამავე რიგად ქენით, და აწყა ცოტა მარილი გაურიგეთ და
კიდევ ასვით და უსათუოდ არწყევიანებს, და ეს რწყევა გულსა და
სტომაქსა მწოედ კარგად უზამს. და თაფლითა ნაქმარი სიქანჯუ-
ბინი იმავე ძირტკბილას წვენითა შარბათად გალესონ და ასუან, მა-

შინვე არწყვეინებს და მწოედ კარგად უზამს. და რაც გულსა და სტომაქშიგა ან საფრა, ან სევდა და ან ბალღამი არის, ან რაცა პილწი და ავი ხილთები არის, ყუელას მოსწმედს და ყუელას ამოაღებინებს.

და თუ კაცი მწოედ ცხლად და მწოვედ მხურვლად იყოს სანდალსა, ლუუუფარსა, იასა, ინასა და ან მარსინისა და ტირიფის ფოთლისათვის ასუნებინონ. ვაშლსა, სხალსა, ბიასა, კიტრსა და საზამთროსა და გრილს ბალახებსა უსუნონ. სანდალსა, ფუფალსა, ქაფურსა, ვარდსა და ამისავ წყალს უსუნებდენ.

10 და გრილსა და ჩრდილს ალაგსა მოსვენებით დაჯდენ და ნუ ირჯებიან. და ვინცა გრილის სტომაქისა და გრილის თაბიათისა კაცი იყოს, მუშკსა, ამბარსა, ლადანასა, ლალიასა, იასამანსა, ზამბახტსა, უდსა და მხურვალსა სასუნებელსა და მხურვალსა ბალახებსა უსუნებდენ, რომე გრილს სტომაქს კარგად უზამს, და გულსა და სტომაქსა, და დამალს სამსავ დააძალიანებს და აქაბუჟებს.

და წყნარად და ზომიერად უნდა დაიძინენ და წყნარად იარონ, და ბევრს ნუ დაიძინებენ. და ესეც უნდა იცოდეთ, გასახსნელი ჯუღაბი და წამლები არც მწოედ სიტხეში მიეცემის და არც მწოედ სიტყვიშიგა, თუ არა მწოედ ექირების.

20 და ასრე უნდა გასახსნელი ჯუღაბი და წამლები გაზაფხულზედა და ვარდობაშიგა აალებინონ და ან შემოდგომაშიგა აალებინონ, ამისთვის რომე, კაცს მწოედ არ მისჭირდეს. და მობეროს კაცსა უსათუოდ შემოდგომაშიგა უნდა აალებინონ, და ვაჟკაცსა კაცსა გაზაფხულზედა, და მარტვილსა და უანაკოსა ადამიანსა წამალი სრულობით არ უნდა აალებინონ.

და ვისცა წამლისა აღება და ჯუღაბის სმა უნდოდეს, ასრე უნდა ქნას: პირველ სამსაოდენ დღესა იფარეზოს და ასეთი რამე ქამოს და სუას¹. რომე ხილთი დაალობს და დაამწიფოს და ცოტად კიდეცა გახსნას, და ხშირ ხშირად აბანოშიგა უნდა შევიდეს.

30 და წამლის ამლებმან კაცმან პირველ მულაბი უნდა სუას, რომე კაცსა² გული და სტომაქი დაუღბოს და ხილთებსა და ბალღამსა დაამწიფებს, და გულსა და მუცელსა ავისა ბაყლისა და ხილთისაგან გაწმენდს, და მერმე მას უკან გასახსნელი ჯუღაბი და წამალი სუას.

ვინ იცის და ეს წამლის ამლები კაცი მწოედ სტომაქ მხურვალად იყოს, ამ რიგს სტომაქ მხურვალს კაცსა გასახსნელი წამლები

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედ ის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

არ ესმის, ამისთვის რომე, თუ კაცი მწოედ მხურვლად და შეკრვით არის, ამ რიგის კაცის წამლის აღება მწოედ საფათერაკო არის, ამისათვის რომე, ეს წამალი კაცსა ან გახსნის და ან არა. და თუ გახსნის და ეს წამალი კაცისა სიმხურვალესა მოერევა, ღ თისა შეწეებითა კაციცა მორჩების და ეს კაციცა ავისა ხილთისაგან გაწმდების და ბაყლისაგანცა. და თუ წამალსა სტომაქისა¹ სიმხურვალე მოერევა, და ან კაცი ველარ გახსნა, უსათუოდ ამ წამლებისა ძალი და სიციხარე კაცსა გახეთქს და მოჰკლავს.

10 ვინ იცის კაცსა ავად ყოფა მწოედ გასძნელებოდეს, და ან ავად მყოფი კაცი მწოედ შეკირვებით იყოს, ის ხილთებისა დასალბობი და დასამწიფებელი სასმელი, საკმლები და წამლები უნდა ასუან და აქამონ, და გასახსნელი მათფუხი ფაქიაც ასუან და აქამონ.

მაგრა ამა წამლისა ამლებმან კაცმან ასრე უნდა, სადამდი ამა წამლებსა აილებდეს, სამსაოდე დღესა კარგად იფარეზოს და ორსა სამსა დღესა ზედაზედ აბანოშიგა შევიდეს, და ორსა სამსა დღესა თბილ თბილი მულაბი სუას, რომე, რაც კაცის გუამსა და სტომაქშიგა ხილთი და ბაყლი იყოს, ყუელა დაალობს და დაამწიფოს და რა რიგიცა და რა გუარიცა სენი სკირდეს იმისიე შესაფერი და ამისიე მუნასიბი საკმლები აქამონ და შარბათები ასვან. ასრე რომე 20 თუ კაცი სიციხისა, საფრისა და სისხლისაგან იყოს, იმას ასრე უნდა, გრილი და ნედლი სასმელი და საკმელი ასუან და აქამონ. და თუ ბალღმისაგან იყოს, მხურვალე და ხმელი სასმელი და საკმელი აქამონ. და თუ სევდისაგან იყოს მხურვალე და ნედლი დასალბობი საკმელები აქამონ და ასუან. და მსუქნისა და ცხიმიანისა საკმელებითა გული და სტომაქი დაილობს, და ან რბილი და ცოტა ოყნა ქნას, რომე ოყნაი ლიენა ჰქუიან, რომე გული და სტომაქი დაალობს, და ყოელი ფერი ხილთი, საფრა და ბალღამი ყუელა დაამწიფოს, ამისთვის რომე, თუ კაცი მწოედ შეკურით არის, ასეთსა დროსა რომე 30 კაცმან წამალი აიღოს, მწოედ საფათერაკო არის, ამისთუის რომე, არამცა კაცის სტომაქსა წამალი ველარ მოერიოს, და ან კაცი ველარ გახსნას და მეტის მეტი ამ წამლის სიციხარე უსათუოდ კაცს გახეთქს და მოჰკლავს. და რაც საკმელები აქამონ ასრე უნდა, ან საკმელებსა მარილი ცოტა უყონ. მაგრამე კაცმან წამალი ასეთსა ალაგსა უნდა აიღოს და სუას, რომე იგი ალაგი ზეგანი ალაგი იყოს, ვითამცა ისი ალაგი არც მწოედ ცხელი იყოს და არც მწოედ ცივი და თუ ესრე გასახსნელი² წამალი მწოედ ძალიანი იყოს, სადამდის

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ჰაბებსა და ლუყებსა სკამდეს და ან წამალსა სვემდეს ასრე უნდა, კაცმან ცოტასა ხანსა დაიძინოს და მას უკან ჯულაბი სუას და წამალი აილოს, რომე კაცი კარგად ასაქმოს.

ბოლო ამისი წესი და რიგი ეს არის, რომე სუსტი მუსილი და გასახსნელი იყოს იმა მათფუხი ფაქიასავითა ან ნუყუებისაგან იყოს, ან რაგინდა ჰაბები და გასახსნელი წამლები იყო¹. ამ რიგსა გასახსნელსა, წამლებსა ძილი არასათვის არ უნდა, ამისთვის რომე ძილი კაცსა ან მწოედ დაასუსტებს და ან კი აღარ ასაქმებს. და კაცმან გასახსნელი წამალი სუას და ან საქმობასი თაფი აულონ, ამას უკან ძილი აღარასათვის კაცმან აღარ უნდა დაიძინოს. და ესე გასახსნელი მათფუხი ფაქიას შარბათი თბილ თბილი უნდა სუან.

10

და კაცმან ეს შარბათიკი არა სუას და ჰაბები ჰამოს ან ლუყები და ან სხვა გასახსნელი მაჯუნები და წამლები სუას და ჰამონ, ასრე უნდა ფიცხლავ ამ გასახსნელს ჰაბებსა და ლუყებზედა ერთი კოვზი თბილი წყალი დალიონ. ბოლო ეს გასახსნელი წამლები და ჰაბები გერჩიოს სუსტი და ადვილი იყოს, გერჩივნოს ძალიანი და ძნელი იყოს, თუ კაცი დაიძინებს, ძილი ორსავე მოჰკუეთს და წაახდენს და აღარც კი ასაქმებს.

20

ასრე უნდა კაცმან რომე მუსილი სუას ბევრი არ ისაჯოს და არ იაროს, ერთსა აღაგსა დაჯდეს და მოსვენებით იყოს და რაც გულშივა იამებოდეს ისრე¹ იამოს და გამოისვენოს, ამისთვის რომე ბევრი სიარული და სარჯელი კაცს აღარ ასაქმებს. და კაცმან რომე, მუსილსა და გასახსნელსა წამლებზედან ან საქმელი ჰამოს და ან სხვა რამ ჰამოს, მუსილსა უსათიოდ წაახდენს, ჰოჰკუეთს და აღარ ასაქმებს.

30

აწე კაცმან ესე მუსილი და გასახსნელი წამლები ასეთსა დროსა უნდა სუას, რომე კაცსა საქმელისაგან სტომაქი დასცარიელებოდეს და სტომაქშივა კაცსა საქმელი აღარა ჰქონდეს, და ჯერ კი არ მომწეოდეს. ეგების ამ წამლის აღება კაცმან ვერ მოიშთენოს და ვერცა ეს გასახსნელი მუსილი სუას და არცა უსმელად იქნებოდეს, მოიტანე ცოტაოდენი ჯავ ავი ვითამცა და მოხარშულის ქერის წვენიო და ცოტაოდენი ბროწეულის მარცვალი და ცოტაოდენი ამისივე წვენი და ეს სამივე ერთგან აურიონ და ასუან. და თუ ზაფხული იყოს ან ცხელი იყოს, სიცხეშივა მუსილი და გასახსნელი წამალი არ უნდა სუას და როდისცა დაღამდეს და აგრილდეს, ასრე რომე ერთის ლამისა სამის წილისაგან ორი წილი გამოვიდეს და ერთი წილი დარჩეს, მაშინ უნდა ასუან. და თუ ან მათფუხი ფაქია იყოს და ან ნუყუჭი

¹ ეს სიტყვა განმეორებულია.

იყოს, გარიერაჟების დროს უნდა სუას. და თუ ზამთარი დღე იყოს და ან ციოდეს, ჰაბი იალუყა გათენების¹ დროს ჩაყლაპოს და ფიცხლავ ერთი კოვზი თბილი¹ წყალი დალიოს. და თუ ან მათფუხი ფაქია და ან ნუყუჰი იყოს, მზისა ამოსულის დროსა სუან.

- და თუ კაცმან ესე წამალი სუას და ან უდროოს დროსა კაცსა გული და სტომაჰი აეშალოს, და გულმან რევა დაუწყოს, და რწყევა ან არ უნდოდეს და ან არა სჯობდეს, ამისი წამალი ეს არის ბიისა, ვაშლისა, უნაბისა და ან ტარხუნის ფოთოლი რომელიცა იყოს კევსავითა აღეჰონ და ამ ფოთლებისა წვენი კი ჩაყლაპონ. და მერმე
- 10) მოიტანე ვარდის წყალი და ძმარი და ერთმან ერთშიგა აურივეთ და დამწუარს მიწაზედა დაასხან და ერთსა ხელსახოცშიგან გამოჰკრან და მუდმათ ამისთვის ასუნებინონ, და კევი უნდა აღეჰონ და ორივე მკლავები ხელის გახსნასავითა სათაგვეებთანა შეუტრან, თასმითა მაგრა შეუტრან და მწოედ კარგად მოუხდების.

- და ბევრი კაცი არის რომე წამლისა აღებაშიგა რა შარბათისა სულსა იცემს იზიზღებს და გული აერევის და ამა მიზეზითა წაწალსა ველარ სუამს. ამ რიგსა კაცსა ასრე უნდა, ორივე თვალეზი აუტრან და ორივე ცხვირისა ნესტევი ბანბითა გამოუტენონ, რომე ველარც თვალითა დაინახონ, და ველარც სული იცეს და ასრე ასუან.
- 20) და თუ წამლისა სმასა უკანა კიდევ გულმან ან რევა და ან ზიდვება დაუწყოს, ან უნაბისა, ან ტარხუნისა, ან ბიისა, და ან ვაშლისა ფოთოლი კევსავითა აღეჰონ და ამითი წვენიკი ჩაყლაპონ, და გულის რევისა და გულის ზიდვებასა ორსავე უკუაგდებს. და ამა შარბათისა წინათ ზედა ზედ მულლაბი უნდა სუას, რომე ხილთი და ბაყლი დაალბოს და დაამწიფოს. აწე მულლაბი ანას ჰქუიან: მოიტანე თხუთმეტი მარცვალი უნაბი, ხუთი დირჰამი ტყავგახდილი ტუხტის თესლი და ზომიერი წყალი დაასხან და თხუთმეტის დირჰამისა შაქრითა მოადულონ და სამსა დღესა ზედა ზედ უზომმან თბილ თბილი სუას.

- ვინ იცის და ამა მულლაბისა სმაზედა კაცსა ჰიპმან და ბუკელ-
- 30) მან ტკივილი და გრეხა დაუწყოს, მაშინვე თბილი წყალი უნდა სუას და ცოტა წაიაროს და წამოიაროს. და კაცმან მუსილი და გასახსნელი წამალი სუას და საქმობა დააწყებინოს, უკანა კარი ცივი წყლით არ უნდა გამოიბანოს, და თუ გამოიბანა არ დაიშალოს. თბილის წყლით უნდა გამოიბანოს.

და კაცმან რომე წამალი აილოს და გასახსნელი ჯულაბი სუას, ასრე უნდა სამსა დღესა უკანის და სამსა დღესა წინათ კაცმან ტყუ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ნა არ უნდა ქნას, მწოედ არ შეიწყინოს, მწოედ არ გაგულისდეს და არ შეშინდეს.

და მუსილი და გასახსნელი წამალი რა კაცმან სუას, თავი თბილად უნდა შეინახოს და არ შეიციოს, და სადამდი არ გამოდგეს ცივი წყალი არ უნდა სუას, და თუ უწყლობა ველარ გასძლოს, თბილი წყალი სუას. და რა კაცსა ბევრი ასაქმოს და ან მოკუეთის დრო და ვამი იყოს და კაცსა საქმობაცა გაუთავდეს, თუ ესე კაცი მხურვლის სტომაქისა იყოს, ვაშლის შარბათი და ან ახლის ვარდის შარბათი და ცოტა ბაზარყათუნას ლოაბი ასუან და მოჰკუეთონ.

10 და თუ ესე კაცი გუნება და სტომაქ გრილი იყოს, ამა შარბათ-შიგა რეჰან თოხმი გაუროინ და ისრე ასუან და მოიკუეთონ. და რა კაცსა ხელი გაუთავდეს, ან საქმობასა და რწყევასა ბოლო მოსწყედეს, კაი და შემრგო საქმლები აქამონ: კაი და მსუქანი ვარიები, სამამ-ლის შიშაქის ხორცი, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და ამათივ ლაპები. დღივ ერთხელ აქამონ. და თუ მწოედ არ უნდოდეს, ასეთს დროს ჰამა გაუშვან, რომე გულსა და სტომაქსა საქმელი კიდევ უნდოდეს, და თუ აბანაშიგა ბანება იამებოდეს, იბანონ.

20 და კაცსა საქმობამან და გარ გაყუანამან მწოედ შიაკირეოს, ორივ სისხო ბარკლები და ორივე სათაგვეები ხელსახოცითა მაგრად შეუქრან და ან სანდლისა, და ან ბიისა, და ან ვაშლის შარბათი მოხალულის რეჰანის თესლითა ასუან.

და თუ ესე შარბათები და რეჰანის თესლი არ იყოს, ცერეცოს წვენი გამოჰხადონ და ამა ცერეცოს წვენითა მოხალული წიწმატის თესლი ასუან.

30 და ვინ იცის ამა მუსილმან კაცი არ გახსნას, ვაშლი და ან ბია აღეკონ და ამათივ წვენი ჩააყლაპონ და ამათი ხორცი კი გამოყარონ. და თუ არცა ამან გახსნას, გასახსნელი შაფები ააღებინონ. და თუ არცა ამა შაფებმან გახსნას, ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და ცოტა ღა რბილი ოყნაო, და ან ძალიანად კოტოში მოჰკიდოს. და თუ არცა ამით ექნას, მკლავი უნდა გაუხსნან და რითაცა საქმითა იყოს კარგად სისხლი იდინონ, და ლ თითა ეშველებს და უსათიოდ კარგად უხამს ძალითა ღ თისათა.

აწე რწყევისა თათბირებხა გიამბობხს. ერთი კაცი რომე მკერდ ვიწრო იყოს და ყელ გრძელი იყოს, ან კაცსა ყელი წურილი ჰქონდეს, ან კაცსა ყელში სიმსიენე ჰქონდეს, ან გულსა და სტომაქშიგა აშლით იყოს ან თუალნი და ან ტვინი, და ან დამალი დასუსტებული და შეშინებული ჰქონდეს, ან დედაკაცი ორსულად იყოს და კაცი

მწოდელ სარჯლითა და ძნელად არწყევდეს, ამა სენებისა უფალი კაცი, ასრე უნდა, რწყევას მწოდელ ერიდოს და ამ რიგმან ადამიანმან კაც-მან არამც სარწყეველი წამალი უნდა სუას, თუარემდა ეს იცოდით, მათი საქმე მწოდელ ძნელი და საფათერაკო არის.

და თუ კაცსა რწყევა უნდოდეს, ასრე უნდა ორივე თვალეზი აიკრას და მუცელი შეიხვიოს და ისრე არწყვიოს, და რა რწყევა გაათაოს და ან რწყევას ბოლო მოსწყედეს, რწყევას უკანა ხელი და პირი ცივის წყლით უნდა დაიბანოს და ორჯელ სამჯერ ცივის წყლით პირი გამოირეცხონ, და მერმე ძმარი და ვარდის წყალი ერთმანერთ-შიგა აურიოს და უსუნონ და კიდეცა ქაშონ. და დანამასტაკი წმინდად დანაყონ, გაცრან და ახლის ვარდის შარბათშიგა გაურიონ და ისრე ასვან, ან ახლის იისა ან ახლის ლულუფრის შარბათში გაურიონ და ისრე ასუან.

და ერთსა კაცსა რომე მუდმად გულსა და სტომაქსა ეყრებოდეს, და ან ესე კაცი გულზედა ბაყლიანად იყოს, ასრე უნდა კუირა-შიგა ორსა დღესა ზედა ზედ არწყვიოს, ასრე რომე ერთხელ დღეს რომე არწყვიოს, ერთხელ ხვალ უნდა არწყვიოს და ამ ხუთს დღეს მოსვენებით იყოს. და რა ერთი კუირა გათავდეს კიდეცა ისრე უნდა ქნან. და სადამდისი კარგად გამოწმდებოდეს და ან გულს ეშველე-ბოდეს, მუდამ ამრიგად ქნან, და ღთისა შეწევნითა უსათიოდ¹ კიდეც გამოწმდების და კიდეც ელხინების.

აწე ხისხლისა გამოშვებისა თათბირებსა გამცნებს და გამბობს. ერთი კაცი რომე გრილის სტომაქისა იყოს, ან ცივი დღე იყოს, ან კაცი სუსტად იყოს, ან კაცსა ტანი მძიმედ ჰქონდეს ან კაცი დიდსა ხანსა აბანოშიგა ყოფილიყოს, ან კაცი მწოდელ ნარბენი და დაღალული ყოფილიყოს, ან კაცსა რომე ცივებისა და ცხელების ბორჯალი მოსლოდეს, ან მარტვილი რომე ჯერეთ ჰასაკსა არ მოსულიყოს, ვითამცა და ჯერ თოთხმეტის წლისა არ გათავებულყოს, და ან კაცი ახლად დედაკაცთან მისულიყოს, ან კაცი სამოცის წლისა გათავებულყოს, და ან სამოცსა წელიწადსა მისჯროდეს, ამ რიგსა და ამა მიზეზისა ადამის ტომსა სისხლისა გამოშვება ყუელას აწყენს, და სისხლისა გამოშვებასა უნდა ერიდოს. ამისთვის რომე, ხაფაყანსა ვითამცა გულის თრთოლასა აუგდებს, ფილენჯს შიაქს, ხელფებისა და თავის თრთოლას მოგურის.

და რა კაცმან სისხლი გამოუშვას, სუსხლის გამოშვებასა უკანა მარილიანი და მლაშე საქმელი არ უნდა ქაშონ, რომე მაშინვე მუნსა, ქეცსა და შამხალსა შიაქს. და კაცმან რომე სისხლი გამოუშვას ასრე

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ხემოთ არის ჩამატებული დედნის ზელით.

უნდა, ზაფხულის ხელი კაცმან სიგრილის დროსა გაიხსნას და დილაზედა, და ზამთრის მზე რომე კარგად შემომადლდეს მაშინ უნდა გაიხსნას. და თუ სისხლი შავი იყოს და ან ავი სული უდიოდეს სადამდი ყირმიზი სისხლი გამოვიდოდეს, და ან ავი სული გამოეცულებოდეს მანამდისი სისხლი უნდა ადინონ, და არ დასწყუიტონ, თუ არ კაცი მწოვდ შესუსტდეს და ან გული შეუბნდეს. და თუ სისხლის გამოშვებაზედ კაცსა გული შეუბნდეს, და ან შეშინდეს და შესუსტდეს, მკლავი შეუხსნან და სისხლი დასწყუიტონ და ვაშლისა, ბიისა, ბროწეულისა და ან ახლის ვარდისა შარბათი, რომელიც იყოს, ასუან. და თუ ეს შარბათები არ იყოს სანდლისა, უდისა, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა და უშაუნის შარბათი ასუან.

10

აწე ესე უნდა იცოდეთ ადამის ტომისა მკლავისა და თავისა დიდი და მთავარი, ტანისა და სისხლის ხელმწიფე ძარღვი სამი ძარღვი არის. სრულად ზემოსა თავისა ძარღუსა ყიფალი ჰქუიან, საშუალსა ძარღუსა აქალი ჰქუიან და სრულიად ქუემოსა ძარღუსა ბასილიცი ჰქუიან, ვითამცა და ტანის ბოძიო. და ესე საშუალი და ქუემო ძარღვი ერთმანერთზედა შემოგრეხილნი არიან და ამა¹ მიზეზითა ერთმანერთის შარბიქნი არიან, ვითამცადა საშუალი და ქუემო ძარღვი ორივე სწორე არისო. და კაცს რომე კაცმა ის ქუემო ძარღვი ვერ უპოვნოს და ეს საშუალი ძარღვი გაუხსნას, ისივე ჰოქმი აქუს, რომე ეს ქუემო ძარღვი გაგეხსნას, და ამა საშუალსა და ქუემოს ძარღუშიგა რომელსაც გაუხსნით ორივე სწორი არის. მაგრა თუ კაცსა ზემოსა ძარღუსა გაუხსნით, რომე ყიფალი ჰქუიან რაც ყელსა და ყელზეთ მანკი და სისხლის სენი არის ყუელას გასწმედს და ჩამოიღებს. და თუ საშუალსა ძარღუსა გაუხსნით რომე აქალი ჰქუიან, თავსა, ყელსა, სრულად ტანსა და ყოვლსა ასოსა გასწმედს. და რაცა ან მანკი და ან სისხლის სენი კაცის ტანსა და ასოშიგა არის ყუელას ჩამოიღებს და გამოსწმედს. და თუ სრულად ქუემოსა ძარღუსა გაუხსნით რომე ბასალიცი ჰქუიან წელსა და სარტყველს ქუეშეთსა ყუელას გასწმედს.

20

30

აწე თუ კაცსა მკლავი გაუხსნან და სისხლმან შეაწუხოს და ან სისხლი ვერ დასწყუიტონ, მოიტანე მაჰმუდა რომე სპარსნი საყმუნისა ეძახიან და ანზარუთი, ეგირი და მარილის თვალი თვითო დირჰამი, და ეს წამლები ოთხივე კარგად დანაყონ და გაცრან და ცხარის ძრმით მოზილონ და შაშრის ალაგს დაადვან, და მაგრად შეუხვიონ, და ესე წამალი ფიცხლავ მაშინვე სისხლსა დასწყუეტს. მაგრა ასრე უნდა

¹ სქ ტექსტს ერთი ფურცელი აკლია, აღდგენილია ვარიანტი A მიხედვით.

ეს შეხვეული წამალი ხუთსა დღემდისი აღარ გაუხსნან. და ერთი
კაცი რომე ჯერ თოთხმეტის წლისა არ იყოს, ან სამოციის წლისა
გათავებულებიყოს და ან მისჯროდეს, არცა მკლავი უნდა გაუხსნას, და
არც კოტოში უნდა მოჰკიდონ. და თუ კაცსა ექირებოდეს და ოყნა
საქნელად გინდოდეს, ეს ოყნა სიცხეში გინდოდეს, არამცა და არამც
გიქნია თუარამდა მაშინვე გულს შემოჰყრის, სიგრილეშია და გრილ-
სა ალაგსა უნდა უყონ. და ოყნა ამას ჰქუჟიან, რომე ამ ოყნის წესი
და რიგი ქუემო ოყნებისა კარსა და ჯერგაშიგა დაგვიწერია, და ან
იქ წამლებსა მოგიტხრობს, ასე უნდა: ის წამლები კარგად მოადუ-
ლოთ, გამოჰყლიტოთ, გაწუროთ და ერთსა მომცროს ტიკქორაში-
გა ჩაასხათ და იმა ტიკქორასა ერთი ლულა გამოაწყოთ, რომე ეს
ლულა ნეკის სისხო იყოს და ხუთის თითის დადება სიგრძე ჰქონდეს,
და მერმე პირდაღმა სასთაულზედა ეს კაცი გარდააწვინონ და ეს
ლულა უკანის კარიდაღმან შეუყონ, და ეს წამლები უკანის კარიდა-
ღმან წყნარად ჩაასხან. და რა ეს წამლები სრულად ჩაასხან, ეს ლუ-
ლა კი გამოიღონ და უკანა კარი მაგრად დაუჭირონ, და ეს წამლე-
ბი ან ორს ჟამსა და ან ერთს ჟამსა მუცელშიგა ამყოფონ. და მუ-
ცელი და სტომაქი, წელნი, კარგად მოუზილონ, და მერმე ააყენონ
დააკუკონ და ეს წამლები დააღურევიონ, რომე რაც კაცისა გუამსა
და სტომაქშიგა ბაყლი და ბალღამი, ავი და დამჰალი ხილოები იყოს
ყუელას დაღურის, და კაცის გული და სტომაქი ავისა და დამჰური-
სა ხილთისაგან და სევდისაგან გაწმდების და კაცი მორჩების და
დახალასდების.

ბოლო ყოელის წამლის უკეთესი, ადვილი და უშიშარი აქი-
მობა ეს არის, რომე ცოტა სისხლი გამოუშვან, ცოტა კოტოში
მოჰკიდონ, და გული და სტომაქი სირხიშითთა, გაზანგუითთა, იისა
და ლულუფრის შარბათითთა, ქლიავისა და ქერემის შარბათითთა და
ახლის ვარდის შარბათითთა დაიღობონ. და ცოტა და ადვილი ოყნა
ქნას რომე ოყნა ლეინა ჰქუ-ან. კაი შაფები აიღონ და სიქანჯუბი-
ნითა და ქერის წყლით არწყვიონ. ან ძირტკბილას ძირსა ტყავი გააძ-
რონ და ძირი კი დაღეკონ, კარგად მოხარშონ და ან თათლზედა და ან
სიქანჯუბინზედა დააწურონ და თბილ თბილი სუან რომე არწყვიონ. და
თუ მწოვდ ვახსნით იყოს გული და სტომაქი დანაყილის ბროწეული-
თა, ამისივე წყენითა და ამისავე წყლითა, ბიისა, ვაშლისა და ასისა შარ-
ბათითთა, სანდლისა და უდისა შარბათითთა და თაბაშერი ჰინდითა მუცე-
ლი შეიკრან და სტომაქი, რომე ამა შარბათებმან კაცი შეკრას და გუ-
ლსა და სტომაქსა მოუსვენოს და ძალი მისცეს. და სტომაქ გრილსა
კაცსა ზანჯათილი ფარვაიდა, ფალასუფა და მხურვალი მაჯუნები და

მუთყარები აქამონ, და ანდუზისა და თაეშაეასა ბალახისა, უდისა და ამავ რიგი მხურვალე შარბათები სუან. ამა შარბათებსა რომელსაცა სმენ ყუელა კაი არის. და ხშირად ეს მაჯუნები უნდა ჰამონ და ამ რიგი შარბათები სუან, რომე კაცსა გული და სტომაქი გაუთბოს. და თუ კაცი მხურვლის სტომაქისა იყოს, თაბლი ჰინდის შარბათი, კლი-აეისა და ქერემისა შარბათი, ან სანდლისა შარბათი დამბლის კო-წახურისა წყლით გაღესონ და სუან, რომე გულსა და სტომაქსა და ღვიძლს მოუგრილოს, და კაცი მთლად დარჩეს. და წამლები წიგა¹ ძნელი და საფათერაკო წამალი ის არის რომე კაცმან ბევრი და ან მეტისმეტი სისხლი იღინოს, ძნელი და მწოედ გასახსნელი წამლები სუას და მწოედ ძალიანი ოყნა ქნას.

ბოლომ აქიმთა და ოსტატთა კაცთა ასრე უთქუამს თუ კაცსა და ამ რიგსა ავად მყოფსა, ან საქმლებითა და ან შარბათებითა, ან ტლევებითა და ან ლოაბებითა, და ან სხვისა წვრილითა წამლებითა ეწამლების და ან ელხინების, იმას საძნელო წამლები და აქიმობა არ უნდა უყონ, არცა ძნელი და ძალიანი მუსილები და გასახსნელი წამ-ლები ასუან, არცა მწოედ ძნელი და ძალიანი ოყნაეები უყონ, არცა ძალზედა სისხლი აღინონ. და ვინციის ავად მყოფსა მწოედ საქმე გაუძნელდეს და გაუჭირდეს, და ან იმა ცოტამან და წურვილმან წამ-ლებმან ეერა უმეელოს, მას უყანა რაცა ან აქიმთა და ან ოსტატთა კაცთაგან ნათქუამი და ნაქმარი იყოს, და ან ამა წამლებშიგა სწე-რია ამრიგად უწამლეთ და ისრე უყავით. და ეს უნდა იცოდეთ, რომე ყოვლისა სახსრისა და ყოვლის ასოსა თაეი და შთაეარი ხელმწი-ფე და საძირკველი ტვინი და დამალი, გული და ღვიძლი არის. ას-რე კაცმან ამა სამისა ასოსა თაბითი და აერი შეიტყოს თუ რა მოუხდების, და ეს სამი ასო ასრე მთლად და ხელშეწყობით შეინა-ხოს, და ასრე ხელშეწყობით ამყოფონ, რომე ყოვლის ქარისა და ხილთისაგან ასრე გაწმედით შეინახონ, რომე ამა სამისა ასოსაგან სამივე მთლად, ძალიანად და უჭირველად იყოს, რომე არ დაქკენ, არ დასუსტდენ, არ დაძაბუნდენ. ამისთვის რომე აღამის ტომისა და ტანისა და სრულად ასოსა საძირკველი, სიცოცხლე და სიმთელე ყუელა ამა სამისა ასოთა არის.

აწე თუ ავად მყოფი მწოედ დასუსტდეს ვარიისა ხარშო, გა-რეულის მფრინელის ლაპების² ხარშოები აქამონ, და ან უქონოს წითლის ხორცის ყიმა შორვა ქნან და ის აქამონ, და ეს ხორცი მუ-

¹ ტექსტი აქამდის აღდგენილია ვარიანტის A-ს მი ვდევით

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნას ხელით.

ხუდოს სისხოდ უნდა დასკრან, წყლით მოხარშოთ, ქაფი მოჰხადოთ და რა ნახევარ ხარშვაზედ მოვიდეს ასრც უნდა: ცოტა კევი, ცოტა უდრი, ცოტა სანდალი გაურიონ და ახალსა კოქობშიგა ჩაყარონ და კოქობსა პირი მოუგლისონ და ცეცხლზედა დადგან, და რა ეს კოქობი აღუდღეს, ეს კოქობი ხშირ ხშირად შიარხიონ, და მანამდისი აღუდღონ რომე ხორცი კარგად მოხარშოს და ამა ხორცის სულმან ამოდენა დაიწყოს, მერმე გარდმოიღონ და კოქობსა თავსა მოჰხადონ და ის ხორცი კარგად ამოჰყლიტონ, და უხორცოდ ამისი შექამადი კოვზითა ახულიპონ. და თავისავე ავად ყოფისავე შასაფერი და

10 მუნასიბი წამლები უყონ. თავისავე შესაფერსა სასუნებელსა უსუნონ. და თუ ავად მყოფსა გული ან შეუბნდეს და ან შეუსუსტდეს გულზედა ცივი წყალი შეუსვან და კარგისა სასუნებლებისათვის ასუნებინონ. მოხალულის ქერის სული შესუსტებულის კაცისათვის მწოედკაი არის, შემწურისა ლაპებისა სულიც მწოედ კარგი არის, რომე ეს ლაპები ვაშლითა, ბიითა, ან ახლის ვარდითა და ან ნარინჯითა გატეხოს, ან ამათისავე ფოთლებითა გატეხოს, ან წითლის უქონოს ხორცი შეწვან და ასუნებინონ. თბილის პურისა და გახუხვილის პურისა სულიცა მწოედ კარგი არის რომე ასუნებინონ. რომე ან მუშკი, ან ქაფური ვარდის წყალითა გალესონ და პურზედა შიაფრქუიონ

20 და ასუნებინონ. ან წითლის ხორცის მწვადზედა ზაფრანა შიაფრქუიონ და მისთვის ასუნებინონ. და ახალი კიტრი რომე გაფცქუნან და მისთვის ასუნებინონ, მისი სუნებაც მწოედ კარგი არის და ავადმყოფსა და შესუსტებულსა კაცსა მწოედ ძალს მისცემს, და მოაცოცხლებს. და ახლის ვარდის შარბათი, ვაშლის შარბათი, სანდლის შარბათი, ან ბიის შარბათი, ან გავზაბანისა და ან ტირიფის წყლითა გაულესონ და ამა შარბათებშიგა ვარდის წყალი გაურიონ და ასუნან. და ვარიისა და ლაპების ხარშობშიგა ვარდის წყალი გაურიონ და კოვზითა ახულიპონ.

და თუ კაცისა გულმან და სტომაქმან გახსნა მოინდომოს ნუ

30 დაიშლიან და გახსნან, თუ არ მწოედ სუსტად და მიჭირვებით იყოს. და თუ კაცი მწოედ გახსნით იყოს და ამა გახსნამან ეს ავად მყოფი დაასუსტოს ვაშლისა, ან ბიისა, ან ბროწეულის წვენითა, ან მოხალულის ქერის ფქვილიცა ესევე ვაშლისა, ბიისა, ბროწეულისა, სანდლისა, უდისა და ან უმხუნის შარბათები, რომელიც იყოს, გაულესონ და ასუნან. და დაწოლის დროსა გულბა შაქარი აქამონ და ან ვაშლი, და ან ბია, ან მარსინი, ან ბროწეულის ყუავილი, ან ყირმიზი ვარდი, რომელიც იყოს, დანაყონ და ტლედ ქნან და ამა კაცსა გულსა, სტომაქსა და მუცელზედა შემოსდვან. და ორივე სათაგვები და ორივე

ბარკლები ხელისახოციტა მაგრად შეუკრან და ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, თუთუბოსა, მოცხარისა და ამავე რიგის მკავისა და შემკრავისა რისამე შეკამადები აქამონ. და თუ ავად მყოფი სუსტად იყოს ვარია და გარეული ლაპები შეუწვან და ეს ვარიები ან სანდლითა, ან კოწახურითა, მოცხარითა, თუთუბოთა, მარსინითა, ან ვაშლითა და ან ბიითა გაუტენონ, შეუწვან და აქამონ. და თუ ეს ხილები არ იშოვებოდეს ამათისავ ფოთლებითა გაუტენონ და აქამონ.

10 თუ ავად მყოფი გახსნით იყოს და სისხლსაცა ატანდეს ამა შარბათებშიგა გავზაბანის შარბათი, სანდლის შარბათი და ანჯუბას შარბათი გაურიონ და ამა შარბათებზედა დანაყილი თაბაშერი ჰინდი მოაყარონ და ისრე ასუან. და თუ ბევრი ოფლი სდიოდეს და ოფლის დენამან მწოედ მიაჭირვოს ის ავად მყოფი გრილად უნდა შეინახონ, გრილი საკმელები აქამონ, გრილი წამლები ასუან, გრილი ტლეები შემოსდვან, გრილის სასუნებლებრისათვის ასუნებინონ და მარსინის ფოთოლი და ყირმიზის ვარდის ღილი დანაყონ, ცოტა შაბი ურიონ და ტანზედა შიდაყარონ, და გალესონ და ტანზედა შესცხონ, და ამა სნეულისა ნიფხავ პერანგსა, ვარდის წყლითა სანდალი და ან ქაფური გალესონ, და შეაფრქუიონ, და ისრე ჩააცვან.

20 და თუ ეს კაცი ბევრსა არწყევდეს, ისრიმის შარბათი რომე პიტნისა წყლითა შექნას ასუან, ტკბილის ბროწეულისა შარბათი და ან წვენი ასუან. სანდლისა, უშხუნისა, ლიმოსა და კოწახურისა შარბათი ასუან. და ან მოხალულის ქერის ფქული მიეხოშისა ბროწეულისა წყალშიგა ამოუკიდონ და ისრე ასვან. და ახლისა ვაზისა რქა აღეკონ, და ამისი წყალი ჩააყლაპონ, და მუდმით კევი ლეკონ და სათაგვეებსთანა ორივე მკლავები და ორივე ბარკლები ხელისახოციტა მაგრად შეუკრან, და თუ არ ეშველოს თბილსა წყალშიგან ჩასვან და გულსა და სტომაქზედა, პირსა და ცხვირზედა ვარდის წყლით გალესული სანდალი შესცხონ. და თუ ავად მყოფი გახსნით იყოს კოწახური, თუთუბო და შემკურელი საკმელები აქამონ, თუ ავად მყოფი შეკურით იყოს, თაბლი ჰინდის წყალი ასვან. და თუ მწოედ სისხლსა არწყევდეს ამრიგი შარბათები ასუან: მოიტანე ერთი დირჰამი გილიარმანი და ერთი დირჰამი გულნარი, ვითამცადა ბროწეულის ყუავილიო, დანაყონ და გაწურონ და ასვან.

30 და თუ ცხვირსა მწოედ სისხლი სდიოდეს, ასრე უნდა პირველად ხელი, ფეხი და პირი მწოედ ცივის წყლით დაიბანონ რა ქაჭფურისა და ვარდის წყლისათვის ასუნებინონ და საქორეს წინათ სრულად თავზედა და შუბლზედა ახლის კიტრის ქერქი, საზამთროს ქერქი, ლულუფურის ყუავილი ან ფოთოლი, კარგად დაჭეკონ და შე-

მოსდევან. და თუ ესეები არ იყოს, ვარდის წყლითა სანდალი და ა ფუფალი გალესონ და ამაშიგან ქათნის ხელისახოცი დაასველონ და შუბლსა და საფეთქელზედან შემოსდევან, და სათაგვეებთანა ორივე მკლავები და ორივე ბარკლები ხელისახოცებითა მაგრად შეუჯრან, და ცხვირი დანაყილის გუნდით გამოუტენონ, და აბლა ბუდა მელან- შიგა ამოკულიტონ და ცოტაოდენი საკმელი, ან ცოტაოდენი ბრო- წყულის ყუავილი წმინდად დანაყონ, გაცრან და იმა აბლა ბუდესა და მელანზედა შიდაყარონ და ორივე ცხვირი ამა აბლა ბუდითა გამოუტე- ნონ, და თუ ეს სისხლი კაცსა მარჯუენისი ნესტვისაკენ სდიოდეს, 10 გულის პირზედა კოტოში მოჰკიდონ და ნუ მოუტრიაან. და თუ სი- სხლი მარცხენის ნესტვისაკენ სდიოდეს, ეს კოტოში ტყირაპზედა მო- ჰკიდონ და ნურც ამას მოუტრიაან. და უერბოვო ცივი დო ასუან და კიტრი, საზამთრო და ნიგოზი ბევრი აქამონ. და ყირმიზის ნაქსოვი- სათვის და წითლის რისათუისმე ნუ შეაწელებენ, უსათუოდ ცხვირს სისხლი დასწყედების. და თუ ამა ავად მყოფსა ძილი არ მოუვიდოდეს, ცხვირშიგა იის ზეთი ჩააწვეთონ და თავზედა აყიროს ერბო შემოს- ცხონ, ან ისევე იის ერბო შემოსცხონ, და ხელი და ფეხი კარგად და- უზილონ. და აგრევე ავად მყოფსა ძალიანი და მალალი ხმა არ უნ- და გააგონონ და არცა ბევრა ეუბნონ და თუ ეუბნონ რაცა იმ ავად- 20. მყოფს იამებოდეს, იმას უნდა ეუბნონ, თვარემ და მწოედ აწყენს. და ცოტად რომ წყლის ხმა ესმოდეს, და ან ქარი რომე ხესა არხევდეს და მისი ხმა ესმოდეს, ორივე მწოედ უჯობს, და ავად მყოფსა უსა- თუოდ ორივე კარგად მოუხდების. და ყოვლსა ფერსა ავად ყოფსა, მეტადრე სევდისა სენსა, თავისა საყუარლისა ნახუა და მისისა ხმის გაგონება ყოვლის წამლისგან უკეთ მოუხდების. და ასეთი ჰირი და სენი კაცს არცკი ეჰირვების, რომე კაცმან თავისი საყუარელი ნახოს და გულს არ უკუეყაროს, ამისთუის რომე, კაცი გულით ცოცხალა და გულით მოკულების, და სიცოცხლისა ნიჰი და საძირკუელიცა გული არის.

30 და რა კაცი თავისა საყუარელს ნახავს, გულშიგა იამების, გუ- ლი ახლად გაცოცხლდების და მწოედ გამზიარულდების, ამის ყო- ველი სენი გაეყრების და დაეფანტვის. აგრევე ლამაზის ადამისტო- მის ნახვა, ლამაზის პირუტყვის ნახვა, ლამაზის ალაგის ნახვა და ლამაზის საკრავისა და კაის ხმის გაგონება ავად მყოფსა ეს ყუელა კარგად მოუხდების და ყუელა გულს უკუჰყრის. ბოლო რაც ან თვალ- სა ან გულსა, ან ყურსა და ან კკუას იამების, ავად მყოფსა ყუელა კარგად მოუხდების, და სენსა და გულს შემოყრას უკუჰყრის. და სრულად ყოვლსა ავად ყოფაებშიგა კაცსა ტყუნა, უძილობა, ნავლე-

ლი, სარჯელი, წყურვილი, შიმშილი და ბევრი რწყევა, ესეები ყუელა აწყენს. და სნეული და ავად მყოფი კაცი ამაეებსა ყუელას უნდა უფთხილდეს და იფარეზოს. და ეს საქმეები რაც დაგვიწერია, იცოდი ავად მყოფსა ყუელა აწყენს, და უფრო გულისა და სტომაქისა ტკივილი, ამისთვის რომე ეს საქმეები ავად მყოფსა ყუელა აწყენს და კაცსა გულსა და სტომაქსა დაუსუსტებს, და ამა მიზეზითა კაცი ქირსა და ავად ყოფსა ველარ გაუძღებს, და ამისთვის სენი კაცსა დასძალიანდების, და ამისთვის სნეულსა საქმე გაუძნელდების, და ამისთვის ჰაქიმი და წაშალი ორიე დალონდების.

10

ბ. ბურჰანის დღის თათბირებსა გამცნებს და გიამბობს. ღ'თო უშველე ყოვლსა შიქირებულ დალონებულსა. აწე ბურჰანი ამა დღესა ჰქუიან, რომე ქირი და კაცის სტომაქი შეიბმიან როგორც მეციხოვნე კაცი და გარედალმან ციხის ძოლალატე კაცი. აწე ჰაქიმთა და მეცნიერთა კაცთა გული ხელმწიფედ დაუდებია და ტანი, გუამი ციხედ და ქირი მოლალატედ: თუ ქირსა გული და სტომაქი მოერევის, ციხეც დამაგრდების და კაციც მორჩების და მოლალატე კაცი გაიპარვის და წავა, და თუ მოლალატე მოერევის ციხეც წახდების და კაციც მოკუდების, ისრევე ესე ბურჰანი არის.

20

აწე ბურჰანი საოფლედ ავად მყოფი¹ კაცი რომე შეძნელდების და შეშფოთდების იმას ჰქუიან, და ჯერ ავი და კარგი არ გარდაწყუეტილიყოსრა და ტანი და ქირი კიდევე იბრძოდენ, ამა ბურჰანს აქიმნი ტანისა და ქირის ბრძოლასა უძახიან.

30

ბოლო რა ბურჰანი და ოფლი ავად მყოფსა მოახლოედების, ავად მყოფი მწოედ შეჩქარდების და შფოთვისა და გაგულისებასა დაიწყებს, მწოედ წამოკეხდების, და თუ კაცსა ღ'თი უშველის და კაი და ბედნიერი ბურჰანი მოუვა. ესე იცოდით: ბურჰანი და ოფლი ხუთი რიგი არის, და ამა ბურჰანებისა უკეთესი ბურჰანი და ოფლი ის არის, რომე კაცსა ცხვირიდალმან სისხლი ედინოს და ესე ბურჰანი და ოფლი კაცმან ცხვირის სისხლის დენითა გარდაიხადოს. ამას ქუემოთი ბურჰანი და ოფლი ეს არის, რომე ქუემოდალმან გახსნას და სიცხისა და სიმხურვალისაგან გაწმიდოს და ყოვლი ფერი ბაყლი, საფრა და ხილთი უკანიდალმან დაალურვეინოს, და ესე ბურჰანი და ოფლი ამა გახსნითა და ხილთებისა დაღურითა გარდაიხადოს. ამას ქუემოთი ბურჰანი და ოფლი ეს არის, რომე ავადმყოფსა ბევრი არწყუევინოს და რაც სიცხე და სიმხურვალე, ან საფრა და ბალღამი შიგნით კაცისა გუამსა და სტომაქშიგა იყო, და ან გულზედ ბაყლი და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბალღამი აწეეს, ყუელა მოხეთქოს და სრულად რწყევითა ყუელა პირიღალმან ამოაღებინოს, და ამა ავად მყოფისა და ოფლის და ბურჰანი რწყევითა გარღაიხადოს.

ამას ქუეშეთი ბურჰანი და ოფლი ის არის, რომე კაცი შარღზედა გახსნას და მრავალი შარდი დააღურევინოს და რაცა შიგნითა კაცისა გუამშიგა ოფლი და სიმბურვალე იყოს, ყუელა ამ შარდისა დაღურითა გამოვიდეს, და ესე ბურჰანი და ოფლი შარდის დაღურითა გარღაიხადოს.

10 და ყოვლისა ბურჰნებისა და ოფლისა უარესი ოფლი ის არის, რომე ავადმყოფსა პირველ ცხელი ოფლი ედინოს და მერმე ცივი ოფლი, ამისთვის რომე, ამრიგი ოფლის დენაშიგა რაც თხელი ოფლი და სენი არის ის კი გამოვად. და რაცა სქელი ოფლი, სენი და ბალღამი არის, ის შიგავ ტანსა და ასოშიგავ დარჩების. და თუ კაცი იმა წინას ბურჰნებითა გარღაიხდის, რაცა კაცსა ტანსა და ასოშიგა ან სქელი და ან თხელი ოფლი და ბალღამი არის, ყუელას გამოიღებს და კაცს დაახალასებს, ამისთვის ის წინა ბურჰნები სჯობს ამა მართალსა ოფლსა.

20 მაგრამე სრულად რაცა ავად ყოფა არის, ყოვლსა ავად ყოფაშიგა კაცი მუდამ ღამით შეწყყენით იქნების და გულს შემოიყრის, ამისთვის რომე რა დაღამდების კაცის თვალნი ვეღარას დაინახავს და ღამით კაცი ყუელა დაიძინებს, თვითან სნეულსა ძილი არ მოუა და ამისთვის ავადმყოფი გულს შემოიყრის და დაგურინდების, კაცსა წოლა მოეწყინების, კაცი საგონებელშიგა ჩავარდების, ძილი გაუკრთების და მისთვის ღამით კაცსა სენი მოერევის და დაძალიანდების, და ღამით კაცსა მწოედ შიაწუხებს და რააღონებს, და საგონებელშიგა ჩაავდებს.

30 აწე ბურჰანი ტანისა და ჰირის ბრძოლასა ჰქუიან, რომე საოფლედ კაცი შეშფოთდეს, ის არის. და ავად მყოფი პირველზედა დაწვეს და საგებლად ჩავარდეს იმა დღიღალმან ორმოცსა დღემდისინ ავად მყოფი რასა და რომელსა დღესა შეძნელდების ან რასა და რომელსა დღესა მოხედვით იქნების, ან რასა და რომელსა დღესა ოფლი ედინების. ან მთელი ოფლი და მთელი და გათავებული ბურჰანი რასა და რომელსა დღეს მიხუდების, ან ნაკლული ოფლი და ბურჰანი რასა და რომელსა დღესა მიხუდების, ან მოსუენების დღე, რომე იმა დღესა ოფლი და ბურჰანი არა ჰქონდეს, რასა და რომელსა დღეს მიხუდების, ან ავი და საფათერაკო ოფლი და ბურჰანი რასა და რომელსა დღესა მიხუდების.

აწე კაცი რომე ავად გახდეს და საგებლად ჩავარდეს, იმა დლი-
დალმე ორმოცა დღემდისინ ავად მყოფი რომელსა დღესა შეძნელ-
დების, და ან რომელსა დღესა მოხედვით იქნების, ან მთელი და
ნაკლული ოფლი რომელსა დღესა იქნების, ან წამალი რომელსა
დღესა მიეცემის, და ან საფათერაკო ოფლი და ბურჰანი რომელსა
დღესა იქნების, ესე დღეები ყუელა ოთხად გაგვიყუთა და ერთი ნუსხა
გაგვიკეთებია. რომელიცა დღეები და კაი და მშვიდობისა არის, და
ან მთელი და გათავებული ოფლი და ბურჰანი აქუს, ის დღეები ყუე-
ლა წითლის მელნითა დაგუიწერია. და რომელიცა დღე მოსვენებისა
10 არის და ამა დღესა ბურჰანი და ოფლი არა აქუს, ის დღეები ყუე-
ლა მწვანის მელნითა დაგუიწერია. და რომელსაცა დღეებსა ნაკლუ-
ლი და გაუთავებული ბურჰანი აქუს ის დღეები ყუელა ლურჯის მელ-
ნითა დაგუიწერია. და რომელიცა დღეები ავი, ძნელი და საფათერაკო
დღე არის, ის დღეები ყუელა შავის მელნითა დაგუიწერია, ამისთვის
რომ, ვინცა ესე ნუსხა ნახოთ და წაიკითხოთ, მოსვენებისა და სარჯე-
ლის დღეები ყუელა მართლად შეიტყოთ. და ავად მყოფისა უფალი ამა
დღეებშიგა თავთავის საყუარელსა და ავად მყოფსა მოუფთხილდეთ.

აწე ვისცა ამა წიგნითა და წამლებითა ელხინოს და მორჩეს
საბრალოსა და უღირსსა დაუთხანს შენდობას შიბძანებდით და კე-
20 თილისა საუბრისაგან ნუ დაგვივიწყებთ, და ვინც ჩუენ შენდობა გვი-
ბრძანოთ ღ'თმან თქუენცა შეგინდნეს თქუენნი ცოდვანი და ამა უხა-
ნოსა სოფელსაცა უჭირველად გამყოფოს და გადღეგრძელოს, აღნად
ქნას და შეგარგოს სარჯელნი და ჭირნახულნი ჩემნი.

აწე კაი და ავი, მთელი და ნაკლული ბურჰანისა დღეები ყუე-
ლა ესეები არის: პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე,
მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცა-
მეტე, მეთოთხმეტე, მეხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთორა-
მეტე, მეცხრამეტე, მეოცდაერთე, მეოცდაოთხე, მეოცდაშვიდე, მე-
30 ოცდაათე, მეოცდაათოთხმეტე, მეოცდაჩვიდმეტე და მეორმოცე დღე
არის, რომე ოფლი და ბურჰანი აქუს (იხ. შემდეგი გვერდი).

აწე მყოფდ მრთელი და გათავებული და კაი ბურნები ის არის,
რომე ესე ბურნები და ოფლი ან მეოთხესა, ან მეშვიდესა, ან მეთო-
ხმეტესა, ან მეოცესა, ან მეოცდაოთხესა, ან მეოცდაშვიდესა, ან მეოც-
დათერთმეტსა, ან მეოცდაათოთხმეტსა, ან მეოცდაჩვიდმეტსა, ან მე-
ორმოცესა დღესა კაის ბურჰნითა გარდაუწყდეს და რაც კაცისა ტან-
შიგა გამომავალი ან ჭირი და ან ოფლი იყოს, ყუელა შიგნით ჩაექ-
ცეს და ყუელა შარდათ წავიდეს. და ესე ოფლი და ბურჰანი შარ-
დის დაღურითა გარდაიხადოს.

მესამე დღე ხაკლული ბურჭანი და ოფლი არის	მეოთხე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის	მეხუთე დღე ნაკლული ბურჭანი და ოფლი არის	მეექვსე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის	მეშვიდე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის	მერვე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის
მეცხრე დღე ნაკლული ბურჭანი და ოფლი არის	მეთათე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის	მეთერთმეტე დღე ნაკლული ბურჭანი და ოფლი არის	მეთოთხმეტე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის	მეცამეტე დღე ნაკლული ბურჭანი და ოფლი არის	მეთხუთმეტე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის
მეთოთხმეტე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის	მეთექვსმეტე ნაკლული ოფლი და ბურჭანი არის	მეჩვიდმეტე ნაკლული ოფლი და ბურჭანი არის	მეცხრამეტე დღე ავი და საფათერაკო ბურჭანი არის	მეოცე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის	მეოცდაერთე დღე ნაკლული ოფლი და ბურჭანი არის
მეოცდარე დღე მოსვენებისა არის	მეოცდასამე დღე ნაკლული ოფლი და ბურჭანი არის	მეოცდაოთხე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის	მეოცდახუთე დღე ბურჭანი არა აქუს	მეოცდაექვსე დღე ბურჭანი არა აქუს	მეოცდაშვიდე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის
მეოცდარე დღე ბურჭანი არა აქუს	მეოცდაცხრე დღე მოსვენებისა ბურჭანი არა აქუს	მეოცდაათე დღე მოსვენებისა არის	მეოცდათერთმეტე დღე კაი და მრთელი ბურჭანი არის	მეოცდაორმეტე დღე კაი და მოსვენებისა არის	მეოცდაცამეტე დღე მოსვენებისა არის
მეოცდათოთხმეტე დღე მრთელი ბურჭანი არის	მეოცდათხუთმეტე დღე მოსვენებისა არის	მეოცდათექვსმეტე დღე მოსვენებისა არის	მეოცდაჩვიდმეტე დღე კაი ბურჭანი არის	მეოცდათურამეტე დღე მოსვენებისა არის	მეოცდაცხრამეტე დღე ბურჭანი არა აქუს
<p>მეორმოცე დღე მრთელი ბურჭანი არის</p> <p>პირველი დღე, მეორე დღე, და მეთურამეტე დღე ზოგთა უთქუამს კაი ბურჭანიო და ზოგთა უთქუამს თუ ავი ბურჭანიო</p>					

ნუსხა კარგი და ავი ბურჭანის დღეებისა.

აწე კარგი და გათავებული ოფლი და ბურჰანი ის არის, რომე ამა დღეებშიგა სნეულსა და ავად მყოფსა ან ცხვირს სისხლი წასქედეს და ან მუცელშიგა გახსნას, ან შარდზედა გახსნას და ბევრი შარდი დაალურევინოს, ან არწყევინოს და ან პირველ ცხელი ოფლი ედინოს და შერმე ცივი ოფლი ედინოს. ამათგან რომელიცა ამ კარგსა და გათავებულსა დღეებშიგა ედინების და ან დაემართების ყუელა მრთელი, სალხინო და გათავებული კარგი ოფლი და ბურჰანი¹ არის და ყუელა ოფლის დენად დაითულების. და რა კაცსა ესე ბურნები მოუვა და დაემართების ლ'თითა უსაოუოდ კაციცა მორჩების და კიდევ ელხინების, და ამა ბურნებს უკანა აღარცა სხვა წამალი უნდა უყოთ.

10 ნაკლული და გაუთავებელი ბურჰანი და ოფლი ის არის რომე, ან მესამესა, ან მეხუთესა, ან მეცხრესა, ან მეცხრამეტესა და ან მეჩვიდმეტესა დღესა ავად მყოფსა ან ცხვირსა სისხლი წასქედეს, ან მუცელშიგა გახსნას, ან არწყევინოს, ან ბევრი შარდი დაალურევინოს და ან მართალი ოფლი ედინოს, ამათგან რომელსაცა უზამს, ესე იცოდით ყუელა ნაკლული და გაუთავებელი ოფლი და ბურჰანი არის. და თუ ამა დღეებშიგა დაემართოს იცოდით რომე ჯერ ხელი და წესი არ გასთავებია, და არც ჯერ მრთელი ოფლი სდენია, ცუდი და 20 სატყუებელი ოფლი თურმე არის, და ამ რიგსა ოფლსა და ბურანსა ნურც დაუჯერებთ და ნურცკი მოსტყუედებით.

მოსვენების დღეები ეს არის, რომე ამა დღეებსა ბურჰანი არა აქუს: მეოცდა ორე, მეოცდა სამე, მეოცდა ხუთე, მეოცდა ექუსე, მეოცდა რვე, მეოცდა ცხრე, მეოცდა თერთმეტე, მეოცდა თორმეტე, მეოცდა ცამეტე, მეოცდა თხუთმეტე, მეოცდა თექუსმეტე, მეოცდა თურამეტე და მეოცდა ცხრამეტე არის.

ავი და საფათერაკო ოფლი და ბურჰანი ის არის, რომე ან მეექუსესა, ან მერვესა, ან მეათესა და ან მეათორმეტესა ან მეთხუთმეტესა, ან მეთექუსმეტესა ან მეცხრამეტეს დღესა ავადმყოფი აჩქარდეს და შემფოთდეს და რომ ოფლი და ბურანიცა იქნას მაშინცა 30 ავი, ძნელი და საფათერაკო ოფლი და ბურჰანი არის და ამა დღეებშიგა სნეულსა მწოედ სიფთხილე უნდა.

აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე ის კაცი რომ პირველსა შეყრაზედა მწოედ გააცხელოს და ძალიანად შეყაროს და მწოედ წაახვიოს და მართ კჳუაცა შეუშალოს; ამა ავად მყოფისა ბურჰანი უსათუოდ მეოთხეს დღენა იქნების. და თუ პირველსა შეყრაზედა მწოედ არ გააცხელებს და ან მწოედ არ წაახვევს, იმისი ბურჰანი და ოფლი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

უსათიოდ მეშვიდეს დღესა იქნების. და პირველ შეყრისა და დაწო-
ლის დროსა თუ ცოტად გააცხელა, ამა ავად მყოფისა ბურჰანი და
ოფლი უსათიოდ ან მეთოთხმეტესა, ან მეჩვიდმეტესა და ან მეო-
ცესა დღესა იქნების.

10 იცოდით ყოვლისა ავად მყოფისა ბურჰანი ამა დღეებშიგა და
ამრიგად არის ყიბისა ცხელების მეტი, და ესე ყიბისა ცხელება თუ
კაცს შეეყარა ეგების ამისი ბურჰანი მეოთხეს დღეს კი არ იქნას და
არცა ამ დღეს მოგვაროს, და ან მესამესა. და ან მეხუთეს დღეს ბურ-
ჰანი იქნას, და თუ ამა დღეებშიგა კაცსა ბურჰანი მოუვიდა, იცო-
დით ამ რიგად არის, რამე ამა ბურჰანისა კარშიგა სწერია. და თუ
10 ამა დღეებსა გარეთ სხუასა დღესა მოუვიდეს, იმა ბურჰანსა ეპთიბარი
არა აქუს და ნურც დაუჯერებთ.

აგრევე ავად მყოფსა რომე ბურჰანი მოუახლოვდეს და იმა
ლამესა ბურჰანის ღამე იყოს, იმისი ნიშანი და ალამათი ეს იქნების
რომე კაცი მწოვდ ჩაგრუნდების და კაცი მწოვდ ნალულიანად და-
მოწყენით იქნების, და მწოვდ შფოთვისა და გაგულისებას დაიწყებს,
და მწოვდ გაჟინიანდების და წამოქეხდების. აწე რა ესე ნიშნები
კაცზედა ნახოთ, იცოდი ბურჰანის მოსულის ნიშნები არის. და რა ამ
რიგი ნიშნები ნახოთ, ასრე უნდა ყოვლი ავად მყოფის უფალი ავად
20 მყოფს მოუფთხილდენ. და ესეცა უნდა იცოდეთ, რომე ერთსა ავად
მყოფს ამა ბურჰანებისაგან რომე ან ერთი დამართებოდეს და იმა
კაისა ბურჰანისა დღეებშიგა ან ცხვირს სისხლი სდიოდეს, ან მუცელ
შიგა გაიხსნას, ან ერწყიოს, ან შარდზედა გაეხსნას, და ან ოფლი
სდენოდეს და ბურჰანი გასთავებოდეს, იმა ავად მყოფსა ნულარცა
გასახსნელსა, ნულარცა სარწყეველსა, ნულარც შარდის დასალურ-
რელსა და ნულარც ოფლის. სადენს წამალს ნულარ უზამთ, და
აღარც უნდა. და ღთისა შეწვევითა ეს კაცი კიდევ მორჩომილი
არის. და ეს იცოდით თუ ამა ბურჰანსა უკანა კიდევ წამალსა
30 უზამთ, უსათიოდ კიდევ ახლად შიაქცევს და ავი და საფათერაკოცა
იქნების.

და თუ ან ბურჰანი და ან ხელი ნაკლები აქუს და ან დღეებში-
გა მოსულია, ან ოფლი და ან სხუა ბურჰანი, იცოდით ჯერ ხელი
თურმე არ გასთავებია და მართალსა და მართელსა ოფლსა და ბურ-
ანსა კიდევ აკლია და ჯერ მართლად არა გარდასწყუეტია რა.

და რა კაცი ამა ეამსა და ამა დროსა, და ამა რიგად ავად
მყოფი ნახოთ, ნულარც გასახსნელს წამალს დაუშურებთ, ნულარც
სარწყეველს წამალს დაუწყალობებთ, ნულარც შარდის დასალურელს
და ოფლის სადენელს წამალს დაუწყალობებთ. გახსნით, არწყევი-

ნებთ, ოფლს ადენთ თუ შარდს ლაალურევინებთ, რომელსაც უზამთ ერთი და ცოტა წამალი ეყოფის, ღთისა შეწეენითა მაშინვე ერთსავე წამალზედა მორჩების და გამთელდების. და თუ კაცსა ოფლი გაუძნელდეს და არ გამოუვიდეს, მოიტანე ოქრომქედლის ბორა, დანაყე და გაცერ და ეს ბორა გვირილას ერბოშიგა ამოქულღიმე, რომე სპარსნი ბაბუნაჯსა უძახიან, და ავად მყოფსა ბამბითა წელსა ზედათ ტანზედა შესცხონ და მაშინვე ოფლი დაასხამს და გამოუვა, ძალითა და შეწეენითა ღთისათა.

10 კაისა და ავსა ნიშნებსა და ალამათებსა გამცნებს და გიამბობს, თუ ამა ჭადყოფილადღმან კაცი მორჩების თუ არა.

ჯ ა ლ ი ნ ო ზ აქიმმან თქუა: თუ ავად მყოფსა ეუბნო და პასუხის თქმა ეძნელებოდესო, და ამა სნეულმან პასუხი არ მოგცეს, და თავისა არა იცოდეს რა თუ რას იქმოდეს, იცოდი ესე ნიშნები და ამ რიგი ალამათები ჭკუა კლებისა არის, და ამა ავად მყოფისა საქმე დასტურად საფათერაკოდ ძეს.

თუ სნეულსა სინათლის ნახვა არ უნდოდეს და ხშირად პირსა კედლისაკენ იქმოდეს იცოდი მისი საქმე საკეთილოდ არ არის და საქმე სათუოში უცს.

20 თუ ავად მყოფი ხშირად ხორცსა იფხანდეს და ყოვლსა ალაგსა ხშირად ხელსა მიიყოფდეს, იცოდი სიკუდილის ნიშანი არის, რომე სიკუდილი მოახლოვებოდეს.

თუ ავადმყოფსა ხშირად ასლოკინებდეს, მისი საქმე ღმერთზედა ჰკიდია და კაცმან იმედი უნდა გარდასწყუიტოს.

თუ კაცსა სიცხე ჰქონდეს და ის ავად მყოფი კაცი თვითან სუსტად კი არ იყოს და მწოვედ ნავლელი და ფიქრი ჰქონდეს, და ანასდათ სიცხემან კი გაუშვას და ნავლელი და ფიქრი ისრევე ჰქონდეს, უსათიოდ სიკუდილის ნიშანი არის.

30 თუ ავად მყოფსა ცალი თვალი დაუმტრდეს და მეორე თვალი ისრევე ალაგსა ჰქონდეს, ან პირადღმა იმზერდეს და ხშირად ფჩხილებზედა იხედვდეს, იცოდი ესე ნიშნები და უფრო თვალის დამცრობა სიკუდილისა ნიშანი არის.

თუ ავად მყოფსა მწოედ აქშინებდეს და მხრებსა თანა ატანდეს და ან კბილებს აკრაქუნებდეს, და ფეხებსა ხშირად შეილებდეს და გაიწუდიდეს იცოდი სიკუდილისა ნიშანი არის.

ბ ო ლ რ ა ტ ჰაქიმმან თქუა: ავად მყოფი რომე მწოედ მოწყენით და დაღრომით იყოს და ან მწოედ შფოთევდეს, ყუელა ავი ნიშანი არისო.

თუ ავად მყოფი ძილშივა შეშინდებოდეს, შეხლტებოდეს და შემოსძახებდეს მწოედ ავი ნიშანი არისო.

თუ ავად მყოფსა სული მხურვალე და ძნელი ამოსდიოდეს და ესე სნეული მართალსა კკუაზედა არ იყოს, და კკუაცა შეეშალოს, იცოდით სიკუდილის ღლე მოახლოვებია და მისი ნიშანი არის, მეტადრე მაშინ რომე მხურვალსა სენსა და ავად ყოფაშივა კაცსა ხელი და ფეხიც გაუცივდეს, და კაცი გახსნიტცა იყოს და სიზმარ-შივა აბანოსა და მკუდრებსა ნახევდეს და ამასვე წასძრახევდეს, იცოლი მისი საკმე სათუოშივა ძეს, და უფრო იქით არის რომე ჩვენკენ.

10

აგრევე მხურვალსა ავად ყოფაშივა რომე კაცსა ხორცზედა ძნელი და ავი სული უდიოდეს, და სულიცა მწოედ მხურვალე და ძნელი ამოსდიოდეს მწოედ ავი ნიშანი არის. და ამა სნეულსა რომე მაჯა აღარ უჩნდეს და ან ცოტად და საბრალოდ უცემდეს, იცოლი სიკუდილისა ნიშანი არის, მეტადრე მაშინ რომე, ამა დროსა საკმე-ლიცა აიკრიფოს, და სნეულსა ხელი და ფეხი გაწუდით და ტანი გა-შეშებით ჰქონდეს უსათიოდ ორივე ავი და სასიკუდილო ნიშანი არის.

20

აწე სნეულისა კარგსა და სალხინოსა ნიშნებსა გიაშბ ზბს. კაი და სალხინო ნიშნები ეს არის, რომე ავად მყოფმან ავად ყოფასა გაუძლოს და მწოედ არ შესჯერდეს და კკუა და ელფერი კარგად და მისავე აღაგსა ჰქონდეს და ამა სნეულსა კკუა და მცნება არ შეეშალოს. გულსა და ტანზედა სუბუქად იყოს და სნეულსა საკმელი არ აუკრიფოს, და რიგზედა საკმელსა ინდომებდეს. და არცა კაცსა პირშივა საკმლის გემო წაუვიდეს, და რაცა ჰამოს კარგად მოიღნოს, ან რაცა წამლები უყონ და ტლევები შემოსდვან ყუელა მოევიდოს. და ეს შიატყონ, თუ ამა წამლებმან და ტლევებმან ¹ არგო. და უკეთ არისო, და თვითან სნეულმანცა გულსა და სტომაქზედა მოიხედოს

30

და გულსაც უკუჰქაროს, და კარგად და რიგზედა ეძინებოდეს, რა-რიგადცა მისთა დღეივა მისი წესი და რიგი ყოფილიყოს, ისრევე ეძინებოდეს. და ხან მარჯუენასა მხარსა გარდაბრუნდებოდეს და ხან მარცხენასა. და ტანისა ხორცზედა რომე ხელი დასდვა ხორცის სიმხურვალემან ხელი არ დასწვას, და მაჯისა ძარღვი კარგად და მუდამ ერთსა რიგზედა უცემდეს. აგრევე რომე ავად მყოფსა ცხვირ-სა სცემდეს და ან მუწუკებმან და სხვამან მსხმომან დაჰყაროს. ისიც მწოედ კარგი ნიშანი არის, თუ არ კაცი საფირსა ცხელებისა-გან არის ავად, და საფირის ცხელებას დაყრა კი არ უჯობს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩანატებული დედნის ხელით.

აწე ესე იცოდით, რომე ესე ნიშნები და ალამათები ყუელა
სალხინო და საკეთილო არის, და რაცა ან ავი და საჭირო, ან კი
და სალხინო ნიშნები დამიწერია ყუელა ბოღრატ და ჯალინოზ
და სხუეთა აქიმთაგან მრავალჯერ დაცდილი არის.

კიდევე თუ ცხელებათიგა კაცი კბილებსა აკრაქუნებდეს, ეს
იცოდი, ის ავად მყოფი ან შესცდების, და ან მოკულების.

კიდევე გაცხელებული კაცი რომე მუდმათ ხელს პირთან
მიიყოფდეს და ან ძილი აუკრიფოს, ორივე მწოედ ავი და საფათე-
რაკო ნიშანი და ალამათი არის.

10

ესე ბაზი პურებისა სიკეთესა და ხასიათსა გიამბობს.

ხუარბალი მოჭთადილი და ნედლი არის და ცოტა სიმზურვა-
ლეცა ეთქმის, და ყოვლისა პურებისა უკეთესი წმინდა და გაცრილი
და კარგად გამტკიცული ხუარბლისა პური არის, რომე მარილი და
საფუარი კარგად, და მართლად რიგზედა ჰქონდეს. და ესე პური
არცა მწოედ სქელი იყოს, და არცა მწოედ თხელი. და ან თორნე-
შიგა უნდა იყოს გამომცხვარი და ან ფურნეშიგა. და სანამდისინ ეს
პური გაცივდებოდეს შორი შორ უნდა დადვან. და უსაფუეროსა
პურსა ნუ სჭამენ, მწოვედ მძიმე პური არის, კაცსა გულზედა და-
ადგების, გვიან დადნების, გულისა და სტომაქისა ტკივილსა აუგდებს,
კაცსა შეჭკრავს, მუცლის ტკივილსა და სუდასა ორსავე გააბევრებს.
და წყალშიგა დამბალი პურიცა კაცსა თიაქარს და ქარსა აუგდებს,
კაცი გვიან მოიღნობს, და კაცს მუცელშიგა გახსნის. და გაუცრელის
ფქუილის პურიცა ავი არის, კაცსა აწყენს, სტომაქსა დაუღბობს,
კაცსა საკმელსა აუკრეფს და მუნსა და ქეცსა შიაქს. და თუ ანაკუ-
ეთი არ ურეგია ამისთანა პური კარგი არის, კაცსა, ბევრსა საკმელს
ალარ აკმევს, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუძლებს; მაგრამ კაცს
მუცელშიგა შეჭკრავს და სუდას მოუმატებს.

20

ქერის პური პირველსა წილშიგა გრილი და ნედლი არის,
მაგრამ კაცსა აგეთსა არას არგებს, გულსა და სტომაქსა გვიან
გაუძლებს, კაცს ქარსა აუგდებს, კაცსა მწოედ შეჭკრავს და პილწსა
და ავს ხილთებსა გამოაჩენს. ბევრის კაცისათვის და ერთსა კაცსა
რომე მუცელშიგა ქარი უვლიდეს იმათთვის არ ვარგა, იმავე წამსა
კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს და ქარსა და ყოლინჯსაცა მოუმატებს.
და კაცსა რომე ქერის პურმან აწყინოს ამისი წამალი და გამჭარვე-
ბელი ტკბილი და ერბოიანი საკმლები არის.

30

ბრინჯის პური გრილი და ხმელი არის კაცი გვიან მოიღ-
ნობს, კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს, ესე ბრინჯის პური იმა კაცისათვის
კაცი არის რომე მუდმად მუშაობდეს და ადრე მოიღნოს.

ბაზლამაჯი ხმელი და შემკურელი არის. ამა ბაზლამაჯის უკეთესი ის არის რომე კაისა ხუარბლისაგან იყოს და მარილი რიგზედა ჰქონდეს, და ის ბაზლამაჯი კაცმან თბილ თბილი ჰამოს, მაშინ კარგად დაშუენდების.

ბაქსიმათი მხურვალი და ხმელი არის და კაცი ფიცხლად მოიღნობს. მაგრა კაცსა გულსა და სტომაქსა ვერ გაუძღებს. თიაქრიანსა და ბერსა კაცსა კარგად შეერგების და ძალსა მისცემს. და ამა ბაქსიმათისა უკეთესი ის არის რომე წმიდა და კაი იყოს. და კაცსა რომე სისხა სჭირდეს და ან სივდეს და ბევრი ეს ბაქსიმათი ჰამოს

10 სისხასა და სიმსივნეს¹ ორსავე უშველის.

ფეტვის პური გრილი და ხმელი არის კაცის სტომაქშიგა გვიან დაღნების, კაცსა შეჰკრავს. ესე ფეტვის პური იმა კაცისათვის კარგი არის, რომე კაცი მიწყივ მუშაობდეს და ან კაცსა სისხა სჭირდეს, ან სივდეს და ან უკანა კარი გამოქცეოდეს, და ან უკანასა კარსა აზიდებდეს და ან გასტებდეს, ფეტვის პური მისთვის მწოედ მუნასიბი და კარგი არის.

ეხე ბაბი ხორცებისა სიკეთესა გამცნებს და გიამბობს, თუ კაი და ავი ხორცი რომელი არის. ხორცისა სიკეთე ის არის რომე ეს ხორცი არც მწოედ მსუქანი იყოს და არც მწოედ მკლე. და ეს

20 უნდა იცოდეთ რომე, რაცა ფერი და გუარი ხორცი არის ძროხისა. და თხის ხორცსა გარეთ ყუელა მხურვალი და ნედლი არის, და ყოელი ფერი ხორცი კაცსა სისხლსა და თესლსა ორსავე¹ ბევრსა ჩაუყენებს. კაცსა ძალსა მატებს, ტანშიგა გაათბობს, მაგრამე სიმხურვალესა ხან მისცემს და ხან არა. და მწოედ მსუქანი ხორცი გულსა და სტომაქსა დააღბობს. და კაცისა სტომაქშიგა ფიცხლადცა დაღნების, და სრულად სისხლად გარდაიქცევის. და რაცა ავი ხორცი და ან სხვა ავი საქმელი არის ყუელა საფრას გააძალიანებს და ბალღამს მატებს.

ცხურის ხორცი და ადამის ტომისა სტომაქი ერთმანე-

30 რთზედა შეზავებული არის, კაცსა კარგად მოუხდების და სტომაქს ლამაზად დაშუენდების. და უფრო სევდიანის კაცისათვის მწოედ მარგე და კარგი არის, მეტადრე მაშინ, რომე ეს ცხურის ხორცი მწოედ მსუქანი იყოს. სისხლსა და თესლსა, ორსავე მწოედ მატებს და კარგს სისხლს ჩაუყენებს.

ბატკნისა და თიკნის ხორცი რაც ხორცები არის სრულად ყუელასა სჯობს და სხვის ხორცებისგან უფრო ნაზუქი და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნი. ხელით.

უფრო შემრგო არის. და კაცის სტომაქშიგა ფიცხლად დადნების და მხურვალი და ნედლი არის, და კარგ რიგად მოჰთადილი და შეზავე-ბული არის. კაცსა გაასუქებს და კაცისა ტანსა, ძარღუსა და ხორცსა წყალსა ასმევს და კარგ რიგად სითბოსა მისცემს. და თიკნის უკეთესი შავი და მწოვარი თიკანი არის, სუბუქი და მწოვდ შემრგო არის და კაცისა სტომაქშიგა ფიცხლად დადნების. ვისცა მუწუქები და ან სხვა მსხმო ასხია ყუელასათვის მწოვდ კარგი და წამალი არის. და კაცისა ტანშიგა სისხლსა დასწმედს და გააკეთებს, და თვითანც კარგ სისხლად გარდაიქცევის, და ყოვლის გუარის ხორცების უკეთესი ბატკნის ხორცი არის. მაგრა შიშაკის ცხურის ხორცი ბატკნის ხორცისაგან ცოტად უფრო გრილი არის და კაცსა მაშინვე შარდზე გახსნის, მაგრამე კაცსა სტომაქსა შეუკრავს. და თიკნის ხორციცა მწოვდ შემრგო და კარგი ხორცი არის, მაგრა ბატკნის ხორცისთანა ვერ არის და თიკნის უკეთესი შავი, მწოვარი და მამალი თიკანი არის, მაგრა სინედლე ცოტა აქუს და გემო კარგი. ცხურისა უკეთესი ის არის რომე შიშაკი და სამამლე ცხვარი იყოს.

თხის ხორცი გრილი და მწოვდ ავი ხორცი არის, კაცსა ავსა და პილწსა სევდასა აუგდებს, და ყოვლსა სევდიანსა სენსა გააძალიანებს და სისხლს გაასქელებს, ცივებას მოგუროს, ხაფაყანასა და სისხასა შიაქს. და თუ კაცმან არ დაიშალოს და ჭამოს, ასეთმან კაცმან უნდა ჭამოს, რომე კაცსა ტანსა და გულზედა არა ემიზებებოდეს რა და გული და სტომაქი მრთელი ჰქონდეს, მაშინცა ეს თხის ხორცი ასრე უნდა ხაზეითა, მუხუროთა, სტაფილოთა და თალგმითა და მხურვალის იარაღებითა მოხარშონ და ისრე ჭამონ, და მაშინცა ცოტა უნდა ჭამონ რომე არ აწყინოს.

ძროხის ხორცი გრილი, ხმელი და მძიმე ხორცი არის, გუამსა და სტომაქშიგა პილწად გასქელებების და გვიან დადნების და ავსა სევდასა და ბალღამის სენებსა აუძრავს, ყოვლსა სიგრილისა სენსა აუშლის და დაბადებს. კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს, და სევდის სენიანმან, ბალღმიანმან და ყოვლინჯიანმან, და თიქარიანმან კაცმან არ უნდა ჭამოს, თვარემდა აწყენს, მეტადრე მაშინ რომე, ეს ძროხის ხორცი მქლე იყოს, სისხასა და ხაფაყანასა აუძრავს, ცივებას მოგუროს. მაგრამე, სტომაქ მხურვალმან, ცხელებიანმან და ან იარაყნიანმან კაცმან ზაფხულშიგა ჭამოს იმას კარგად მოუხდების. და ეს ძროხის ხორცი რომე კაცმან ნესვის ქერქითა მოხარშოს და ისრე ჭამოს, ფიცხლადცა მოიხარშვის და კაცი კარგადცა მოიღნობს. მაგრა თუ კაცი ძროხის ხორცსა ბევრსა სჭამს მუნსა და ქეცსა შიაქს, მონობასა და ბნედასა შიაქს, სრსვილსა და ფხანასა შიაქს, და ტყირპს მწოვდ

აწყენს და გაადიდებს. და ძროხის უკეთესი მსუქანი და ერთის წლის დეკეული და ან კაი ფურბერწი არის.

ამისავე მწოვარი ხმოს ხორცი მხურვალე და ნედლი არის და მწოედ ნაზუქი და კარგი ხორცი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა მალე გაუძღებს. და თუ კაცი ან გაზაფხულზედა და ან ზაფხულის სქამს, კარგსა სისხლსა ჩაუყენებს. და ამავე ხმოს თავის ხორცი ავი არის კაცის მუცელშიგა ავად შედედების და სტომაქსა აწყენს, მაგრა კაცსა სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს.

10 ამისივე ტვინი გრილი და ნედლი არის, ბალღამსა მწოედ მატებს და გააძალიანებს, კაცსა სტომაქსა შეუკრავს და საქმლის ქამასა აუკრებს და სისხლს დასწვავს და წაახდენს და კაცსა გაასუქებს. მაგრა ასოების ტვინი თავის ტვინს მწოედ სჯობს, კაცსა უკეთადა დააშუნდების და შეერგების¹.

20 ირმის ხორცი მხურვალე და ხმელი არის ყოლინჯსა, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა სამსავე მწოედ არგებს, და იმა კაცსა რომე ხილთი ბევრი ჰქონდეს მისთუის მწოედ კარგი არის, ხილთებსა დააღბობს და დაამწიფებს. და ეს ირმის ხორცი რომე კაცმან ერბოთა და მჟავითა მოხარშოს და ისრე ქამოს მწოედ კარგი იქნების, და კაცსა მწოედ კარგად შეერგების და კიდეცა ადრე მოიდნობს და კაის სისხლს ჩაუყენებს.

ამისივე ხმოს ხორცი მხურვალე, ნედლი და ნაზუქი არის ფილენჯსა, ფილენჯის ქარსა და ყოლინჯსა სამსავე არგებს კაცსა ბევრს სისხლსა და ბევრს თესლს ჩაუყენებს, და თვითანცა კარგ სისხლად გარდაიქცევის, და კაცისა სტომაქშიგა ადრე დადნების. ამის უკეთესი ის არის, რომე კაცმან ესე ხმო შინდითა ან სხვის მჟავითა გატენოს, შეწოს და ისრე ქამოს.

30 ირმის რქა მხურვალე არის. ვინცა ესე ირმის რქა დაწვას, დანაყოს და გაცრას და ამა რქის ორი ღირჰამი გევანის ქათირითა და წყლითა გაღესონ და კაცსა ასეან, კაცი რომე ღუჟსა სისხლსა ატანდეს, ან კაცი მუცელშიგა გახსნით იყოს და ან სისხლზედ იარებოდეს, ამას სამსავე უშველის. შირიმის ქარისაგან რომე კაცსა წელნი და თირკმელნი სტკიოდეს, იმას უშველის, იარაყნისათვისცა მწოედ კარგი არის, რომე ამ რიგად ეს ირმის რქა გევანის ქათირითა და წყლითა გაღესოთ და უზმოსა სამჯერ ზედაზედ ასვათ, ამა სენებისა და სისხლისა ფსმისათვის მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი და ნასაქმები არის.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი „დ“ სწერია დედნის ხელი და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „ე“.

ჯერნის ხორცი მხურვალე და ხმელი არის და კაცსა მწოდ
აბარაქებს, და ადრე გააძღებს, და კაცისა სტომაქშიგა ფიცხლად
დადნების, მაგრამე სევდას აწყენს და გააძლიანებს.

10 ამისიე თიჯნის ხორცი მხურვალე და ხმელი არის, ყოლინჯსა
ფილენჯსა ჟა ფილენჯის ქარსა სამსაე მწოდედ არგებს და კაი წამა-
ლი არის. კაცისათვის ცალი ფეხი, ცალი ხელი და ან ენა რომე
შეეტაცოს, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს, ბევრს სისხლსა
და ბევრს თესლს ჩაუყენებს, ტანსა და ხორცშიგა კაცსა მწოდედ
ძალსა მისცემს და ბალღამს მოჰკუეთს, მაგრამე კაცის სტომაქშიგა
გვიან დადნების და ყოვლსა სევდისა სენსა მოუმატებს და გააძლი-
ანებს, და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, და თუ კაცი ბევრსა სკამს,
საფრას დასწევას.

შულის ხორცი ავი და მაწყინარი ხორცი არის, კაცისა
ტანშიგა რომე სევდა არსად იყოს ახლად დაბადებს, ბალღამს მატებს
და ბევრს სიგრილისა სენსა აუძრავს, კაცსა ცივებასა მოგურის, სისხლსა
წაახდენს და ხილთებს დაამრავლებს.

20 ღორი და ამისიე გოჭი მოჰთადილი და ნედლი არის, კაცსა
სისხლსა და თესლსა ორსაეე ბევრს ჩაუყენებს, კაცსა სტომაქსა ადრე
გაუძღებს. ავად მყოფსა როგორც ვარიის ხორცი ეკმების ისრევე
ეს სამისა და ან ხუთის დღის გოჭის ხორცი ეკმების. კაცსა რომე
ან შავი და ყუითელი იარაყანი სკირდეს, ან სნებისა და სხვის სიმ-
ხურვალისაგა ავად იყოს, სამის დღის გოჭი მიწაზედა დაახეთქონ,
მოკლან და მაშინვე შუა გააპონ ა ისრევე გულ ღვიძლითა და ტყა-
ვითა ერთი გულსა და სტომაქზედა დაადვან, და ერთი ბექსა და
ბექს შუა, მწოდედ კარგია.

30 ხმელი ხორცი მხურვალე და ხმელი არის, კაცსა ბევრსა
თესლსა ჩაუყენებს, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს და
გაუთბობს, კაცსა ტანშიგა და ხორცშიგა მწოდედ ძალს მისცემს, ბა-
ლღამსა მოჰკუეთს და კაცსა შეჰკრავს, მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან
დადნების და ყოვლსა სევდისა სენსა მოუმატებს და ძალს მისცემს.
მაგრამე თუ კაცი ბევრსა ხმელს¹ თევზსა სკამს, საფრასა და სისხლს
ორსაეე დასწევას და სევდად გარდაიქცევის.

გარეულის მხეცის ხორცი ყუელა მხურვალე და ნედლი
არის, სისხლსა და თესლსა ყუელა ბევრს ჩაუყენებს, თვალთა სინათლესა
ყუელა მატებს, წელსა და ხორცშიგა კაცსა ძალსა ყუელა მისცემს,
სოკოსა, ნოკასილსა და ბოვასილისათვის ყუელა მწოდედ კარგი არის,
და მწოდედ არგებს.

¹ ეს საღვფა სტრიქოს ზემოთ არის ჩამატებული დედნის სულით.

კატის ხორცი მწოვედ მხურვალის არის, თირკმელთა და წელთა მწოედ გააცხელებს, კაცს ბევრს თესლოს ჩაუყენებს, წელისა და ზურგის ტკივილისათვის და ყოვლისა ქარისა სენისათვის მეტად კარგი არის. ეს კატის ხორცი რომე კაცმან ჰამოს და ან ზედ დაიდვას, სოკოსათვის, ნოვასილისათვის და სარბანასათვის სამისათვისვე მწოვედ კარგი არის. აწე ბოვასილი სოკოსა ჰქუიან, ნივასილი ამასა ჰქუიან რომე უკანას კარსა გარეშემო ხურელებსა იქს და ან ქუეშეთ თუალის ძირშიგა გამოხეუქს და ისრეე ხურელებსა თვალის ძირშიგა იქს, და სარბანა ამას ჰქუიან რომე კაცსა უკანა კარის ნაპირები დაუსქედების, ამაებისათვის მწოედ კაი წამალი არის.

10 კურდლის ხორცი მხურვალის და ხმელი არის, ასოსა და სახსრების ტკივილისათვის და მიკრისის სენისათვის მწოედ კარგი არის, რომე კაცმან ეს კურდლის ხორცი ჰირველ ჩაჩხად ქნას, გაახმოს და მერმე¹ ისრე ჰამოს. მიკრისის სენისათვის ეს კურდლის ხორცი მწოედ დაცილილი არის და კარგი წამალი არის. შიგნით რომე კაცსა ყარჰა ესხას გუამსა და მუცელშიგა, მისთვის მწოედ კარგი და დაცილილი წამალი არის. ყარჰა ამას ჰქუიან რომე შიგნით გუამსა და სტომაქშიგა, და მუცელშიგა კაცსა მუწუკები და ან სხვა მსხმო ესხას, ყარჰა იმა სენსა ჰქუიან. და ეს კურდლის ხორცი კაცს

20 მწოედ შეჰკრავს და კაცსა რომე შარდი დახუთილი ჰქონდეს მაშინვე შარდზედა, გახსნის. მაგრა სეედა კი სენიანსა კაცსა მწოედ აწყენს და მაშინვე სეედისა სენსა აუშლის და სისხლსა დასწავს.

ცხენის ხორცი მწოედ მხურვალის და ნაზუქი არის, და ამა ცხენის ხორცსა ყოვლის ხორცისაგან კაცი უწინ მოიდნობს და კაცის ტანშიგა კაისა სისხლსა და თესლსა ორსავე დაამრავლებს. მაგრამე თუ კაცი ამა ცხენის ხორცსა ბევრსა სქამს, კაცსა გულსა და სტომაქსა აატკიეებს, და სეედის სენსა აუგდებს და დააძალიანებს.

აქლემის ხორცი მწოედ მხურვალის და ნედლი არის, ქარიანისა და გრილის სენიანი უფლისა² კაცისათვის მწოედ კარგი წამალი არის, რომე ეს აქლემის ხორცი კაცმან ძმრით მოხარშოს და ისრე ჰამოს. სახსრებისა, წელისა და ძულების ტკივილისათვის მწოედ კარგი არის.

კანჯრის ხორცი მხურვალის და ხმელი არის და კაცის სტომაქშიგა გვიან დადნების, და კაცსა მაშინვე გულსა აურევს.

ვირის ხორცი ავი და მაწყინარი ხორცი არის, ავსა ხილთებსა დაბადებს და აუშლის, სისხლს დასწავს და გაასქელებს,

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სევდას შეაქს. ესე ვირის ხორცი ყოველს ხორცს უარ არის, და თუ
კაცსა მწოედ არ ეჭირებოდეს, კაცმან არც კი უნდა ჰამოს.

10 ქათმის ხორცი მოჰთადილი და შეზავებული არის, ტვინსა და
დამალსა დაუღობს და დაუწმედს. კაცსა ჰკუასა და გულის ყურსა
მოუმატებს და კაცის სტომაქშიგა ფიცხლად დადნების. და ქათმის
უკეთესი ის არის რომე, ვარია და მსუქანი იყოს. და ჯერ კუერცხი
არ დაედვას. ამ რიგი ქათამი კაცსა ბევრსა და უმრავლესსა სისხლსა
და თესლსა ჩაუყენებს, გულსა და დამალსა დაუღობს. და სამამლის
ვარიის უკეთესი ის არის რომე, ჯერ არ ეყიფლოს, ან ქათამი არ
დაეჩინჩლოს და კარგად სუქდეს. და ამა მამლისა ხარშო თიაქარსა
და თავის თრთოლასა, ხაფაყანასა და სუსტის სულისათვის, ყუელა-
სათვის მწოედ კარგი და მარგე არის, და კაცის სტომაქშიგა რაცა
ქარი არის ყუელას გაავდებს და უჭირველად გააქარვებს.

20 ამისივე კუერცხი მოჰთადილი არის. ვინცა კუერცხის გული
ცარიელს წყალშიგა მოხარშოს, და ცოტაოდენი ზაფრანი და ცოტა
ვარდის ერბო გაურიოს და კაცსა მტკივანსა თვალზედა დასდვას,
ყოველს ფერს თვალის ტკივილს უშველის. ვისცა სოკო ანუ სარბანი
სჭირდეს, ვითამცადა უკანა კარი დაუსქდეს, მოიტანე ესევე კუერცხის
გული, ზაფრანა, ვარდის ერბო და ცოტაოდენი აქლილუმულუქი, ვი-
თამცადა ყუავის ქანგას ბალახის თესლიო, ეს ოთხივე ერთმანერთ-
შიგა აურივეთ და უკანას კარზედა ბამბითა დაიდვას, სოკოსა და
სარბანსა უსათუოდ ორსავე უშველის. და სოკოსა და ყოველის ვა-
რამისათვის მწოედ კარგი არის, ვარამი მჯდომსა ჰქუიან.

30 ვინცა სიცხისა და სიმხურვალისაგან მსივანსა და მტკივანსა
თვალშიგა კუერცხის ცილა ჩაიწვეთოს, სიმსივნე და ტკივილი ორი-
ვე უშველოს. ვინცა კუერცხის ცილა მზისგან დამწვარსა პირზედა
შეიცხოს დამწვარი პირი გაუმთელოს და გამოუყენოს. ვინცა კუერ-
ცხისა ცილა დანაყილსა და გაცრილსა საკმელშიგა გაურიოს, და სა-
ქოჩრეს წინათ სრულად შუბლსა და საფეთქლებზედა დაიდვას სუ-
რავანდი უშველოს და გააქარვოს. ვინცა კუერცხი გაათბოს და სუას
ბუშტის ტკივილსა და წვას ორსავე უშველის, თირკმლის ტკივილსა
და თირკმლის სენს უშველის.

კაცსა რომე ახველებდეს და ხუელას სისხლსა ატანდეს და თბი-
ლი კუერცხი სუას იმას ორსავე უშველის და ამისთვის მრავალჯერ
დაცდილი არის. კაცსა რომე გულსა და სტომაქზედა ბაყლი ეხვეო-
დეს ყოველსა დილასა სამ სამი თბილი კუერცხი სუას ამ რიგის ბალ-
დმისათვის მწოედ კარგი არის, და კუერცხისა ჰამა დამალსა მწოედ
დასწმედს, დააღობს და ტვინსა აქაბუკებს.

დურაჯის ხორცი კაი, მხურვალი, ნაზუქი და ნედლი არის. და ეს დურაჯის ხორცი იმა კაცისათვის კარგი არის, რომე კაცი გულსა და სტომაქზედა სუსტად იყოს. და ეს ხორცი ტვინსა და დამალსა გაანედლებს, კაცსა ჭკუასა და გულის ყურს მოუმატებს, დედაკაცსა რძეს ჩაუყენებს, კარგ სისხლად გარდაიქცევის, მაგრამე კაცს მუცელშიგა შეჰკრავს.

10 კაკბის ხორცი მხურვალი და ნედლი არის კაცსა ბევრს თესლსა ჩაუყენებს და კაცისა სტომაქშიგა ადრეცა დადნების, ტანსა და ხორცსა ორსავე მწოედ ძალს მისცემს, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუთბობს, და სისხიანის კაცისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის.

ხოხბის ხორცი მწოედ ნაზუქი და მოჰთადილი ხორცი არის, მწოედ კარგი და შემრგო ხორცი არის. დურაჯის ხორცსა მწოედ სქობს. კაცისა სტომაქშიგა ფიცხლად დადნების. კაცსა ჭკუასა და გულის ყურს მოუმატებს. კაცსა ტვინსა და დამალსა დაუღბობს, სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს და თვითანც კარგ სისხლად გარდაიქცევის.

20 კაცსა სისხლს დაუწმედს გულსა და სტომაქზედა ასუბუქებს და ტვინსა მწოედ დაუწმედს და მწოვედ აჰაბუქებს, და მამალსა დედალი სჯობს.

იხვისა და ბატის ხორცი ორივე მხურვალი და სქელი არის. კაცსა ორივე ცხელებასა და ციეებასა მოგურის დი კაცისა სტომაქშიგა ორივე გვიან დადნების, ბალღამს მოუმატებს და სევდას გააძლიანებს, და კაცსა გულსა და სტომაქსა შეუკრავს.

30 ტრედის ხორცი მხურვალი და ნედლი არის, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა და თავისა და ხელფეხის თრთოლვისათვის და გრილისა სტომაქისა კაცისათვის მწოედ კარგა არის. და კაცსა ასოები-სა სისუსტესა უშველის და გაუვდებს. კაცსა სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრსა ჩაუყენებს. და კაცმან რომე ესე ტრედის ხუნდი ისარიმის წყლითა და ქინძითა მოხარშოს და ისრე ჭამოს, კაცისათვის მწოედ მაშუნე და სარგებლიანი წამალი არის, და კაი საქმელი.

ქავქავის ხორცი მხურვალი და ნედლი არის. კაცსა თირკმელთა და წელთა გაუხურებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს და გრილს სტომაქიანს კაცს მწოედ კარგად მოუხდების და მწოედ არგებს.

ახლის თევზის ხორცი სრულად ყუელა, მწოედ გრილი და ნედლი არის. და კაცმან რომე ბევრი ახალი თევზი ჭამოს ბალღამს მოუმატებს და გააძლიანებს. კაცსა ხმასა დაუწმედს, გულსა და სტომაქსა დააღბობს. მაგრამე კაცის გუამშიგა რომელიცა უფრო ბევრი

და უფრო ძალიანი ხილთი დახუდების, ეს თევზიკა იმა ხილთად გარდაიქცევის, და კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს. მაგრამე თუ კაცი ბევრსა სკამს მრავალსა სიგრილისა სენსა აუძრავს. და კაცმან რომე ბევრი თევზი კამოს და აწყინოს, ამისი წამალი ძველი ღვინო არის, რომე სეას და ეშველებს.

10 ხმელი და მლაშე თევზი მხურვალი და ხმელი არის. კაცსა რომე საწამლაი ან ესვას და ან ეკამოს, მისთვის მწოედ კარგი და წამალი არის. მაგრამე დამალსა და კბილებს აწყენს. საფრასა ან სრულად დასწვავს და ან გაამრავლებს და კიდევე უფრო გააძალიანებს. სისხლს დასწვავს და კაცსა მწოედ მოაწყურებებს, და ავსა და ხმელსა ავადყოფაებსა აუგდებს და მონობასა, ხუელასა, მუნსა, სრსვილსა და ყოვლსა სევდისა სენსა აუგდებს. და თუ კაცი ბევრს თევზსა სკამს, ეს იცოდით საწამლაეს უარ არის. და თუ ამან, ხმელმან თევზმან, კაცსა აწყინოს, ამისიე წამალი და აქიმი კიდევე ძველი ღვინო არის. და ყოვლი თევზი კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს.

20 საყანყურის თევზი მხურვალი და ნედლი არის, კაცსა წელთა და თირკმელთა მწოედ გაუხურვებს და კაცსა მწოედ კაცობასა მატებს. მრავალსა ტყუნას აქნეინებს. რომე კაცმან ოცი დედაკაცი იხმაროს, ის ოცი დედაკაცი ყუელა შეწყენდეს და შესჯერდეს, და კაცსა არც მოეწყინების და არც ყლე დაუჭუტდების. მაგრა კაცს თესლი ძნელად და გვიან წაუვა, და რა კაცსა თესლი წაუვა, მის უკანა ყლეც დაუჭუტდების და კაციც მოისვენებს, მაგრა საფრას დასწვავს.

მ. ესე ბაბი მრავალ გუარსა ერბოებსა, ზეთებსა, რძეებს, მაწონსა¹, ყუელსა და ხსენისასა გამცნებს და გიინბობს.

30 კარაქისა ერბო პირველად სიმხურვალისა წილშიგა მხურვალი და ნედლი არის და მწოედ შემრგო და მარგე არის, ხუელასა, სრსვილსა და ყოვლისა სევდისა და ხმელისა და სენისა პირისათვის მწოედ კარგი არის. კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღბობს და კაცსა გაასუქებს, მაგრა სტომაქსა დაუსუსტებს და ბალღამსა გააძალიანებს. მართალი ერბო ხასიაოითა კიდევე ამეუ კარაქისთანა არის, მაგრა ერბო უფრო ძალიანი არის. მართალი ერბო საფრასა დააღბობს და გააკეთებს კაცსა. ყელსა, გულსა და სტომაქსა სამსაეე დაუღბობს, მეტადრე მაშინ, რომე ეს ერბო ან თათულითა კამონ და ან დანაყილის ნუშის გულითა. და ესე იცოდით, რომე ესე ერბო ყოვლის საწამლაის აქიმი და გამქარებელი არის, რომე კაცმან გაადნოს და სუას.

¹ ეს სიტყვა ტექსტში განმეორებულია.

დუმის ქონი მეორეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, საფრას გააქარეებს და ყოვლს მაგარსა ვარამებსა და სიმსივნებსა დაალბობს და დაამწიფებს, რომე კაცმან ჭამოს და თბილი ზედაც შეისევას, მაგრა სტომაქსა დაუსუსტებს.

შარჰა ერბოსა ხასიათიცა კიდევე ამავ დუმის ქონისა ხასიათისთანა არის და ვარამსა და სიმსივნებს მწოედ არგებს.

მუცლის ქონი მწოედ უშნო და მაწყინარი არის და კაცმან არკვი უნდა ჭამოს. და თუ კაცი ამა მუცლის ქონსა სჭამს, უსათიოდ ბნედას შიაქს, და ბეგრს ავს სენს სხევას აუგდებს და მწოედ აწყყენს.

10

ზეთის ხილის ზეთი ფერად ფერადი იქნების. ზოგსა შემოსულისა ზეთის ხილისაგან გამოჰხდინან, და ზოგსა შემოუსულელისა ზეთის ხილისაგან გამოჰხდინან, და ამა შემოუსულელის ზეთის ხილის ზეთი პირველს წილშიგა გრილი და ნედლი არის, და შემოსულის ზეთის ხილის ზეთი მხურვალი და ცოტად ნედლი არის, და ძუელის ზეთის ხილის სიმხურვალე კაცსაცა გაახურვებს და კაცსა თმასა და ბალანსა დაუწმედს და გაუგრძელებს, და გვიან გაათეთრებს. და ის ხამის ზეთის ხილის ზეთი უსუნოს, კაცისათუის მწოედ კაი და შემრგო არის.

20

სუსანის ერბო, ვითამცადა შირლილინის ერბოო, გრილი და ნედლი არის. კაცსა რომე ყელი სტკივოდეს და ან ყელშიგა დასჯროდეს რამე მისთვის, ორისათვისევე მწოედ კარგი არის, რომე კაცმან ამა სუსნის ტლე სამოსლითა სიმსივნეზედა დაიდვას, სევდიანისა სიმსივნისათვის მწოედ კარგი არის, და ამა შირლილინისაგან ან ორი და ან სამი დირჰამი მოათბოს, წყლით გალესოს და სუას. და კაცმან რომე ჭამოს, კაცს გაასუქებს და თანგ ნაფასისათვის მწოედ კარგი არის, მაშინვე დაალბობს და დაჰფანტავს. და კაცსა რომე ყელი და ფეხი და ბაგე დაუსქედეს და ეს შირლილინის ერბო შეიცხოს, მაშინვე გაუმთელებს, და კაცმან რომე ესე ზეთი წვევრსა და თმაზედა შეისევას, წვევრსა და თმასა გაუგრძელებს და კაცსა თესლსა მატებს. და დაქირულს დედათ წესსა ჩამოუშლის, რომე დედაკაცმან ან ჭამოს და ან მუცელსა და ბოქვენზედა ტლედ შემოიდვას. კაცმან რომე ამა ზეთისაგან ხუთი დირჰამი სუას, კაცსა სტომაქსა დაუსუსტებს, ვითამცადა ამა ხუთის დირჰამისაგან უფრო ცოტა უნდა სუას.

30

მაგრამე კაცსა გულსა და სტომაქსა აუშლის და აურევს, სტომაქსა აენებს და დაასუსტებს, კაცსა წყურვილსა აუგდებს, საკმელსა აუკრებს, კაცსა პირიდადმან ავსა სულსა ამოადენს. კაცსა რწყევასა და სიგრილესა ორსავე აუგდებს. სქელსა და ავსა ხილთებსა დაბა-

დებს. და თუ ესე შირლილანი კაცსა საქმელად უნდოდეს, მარტო ეს შირლილანი არ უნდა ჰქამოს; ასრე უნდა, სხვას საქმელთან აურიოს და ისრე ჰქამოს. და თუ კაცი ამა შირლილანსა ტკბილსა საქმელთან სქამს, კაცსა აღარას აწყენა.

ბოალი სინა აქიმმან თქუა: მე ამა სუსანისა ერბოსა ხასიათი და სარგებელი ვერა ვნახერაო, თუ არ სევდიანისა სენსა და სევდისა სიმსივნეზედა ტლედ შემოსდევანო და ან აქამონ, სხვას სენსა არას არგებსო, მაგრა სევდიანსა სენსა და სიმსივნეს რომე ტლედ შემოსდევანო, მისთვის კაი და სარგებლიანი არისო და ყოვლსა ვარამსა და სიმსივნესა დააცხრობს და გააქარეებსო, და ალაგიდალმა დაჰფანტავსო.

ტკბილის ნუშის ზეთი მოჰთადილი და შეზავებული არის, კაცსა¹ გულსა და სტომაქსა დაუღბობს და გაუხსნის. და ესე ნუშის ზეთი მწოედ ნედლი არის და ამა ხასიათითა ხუელისათვის² მწოედ კარგი არის, ღვიძლისა და ფირტვის სუდასა ორსავე ვახსნის, კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს და ყოვლსა სევდიანსა სენსა არგებს, და რითაცა საქმლითა აქმევთ ყუელას კარვად უზამს და სიმზურვალისაგან ნამტკივნებს თავსა და სიმზურვალით მტკივანს ყურსა და თირკმლის ტკივილსა, და ან კაცი რომე მართლად ვერა ფსემდეს, და ან კაცსა რომე ბუშტივიგა ქუა ეღვას, ან კაცსა რომე ბუშტი სტკიოდეს, ან დედაკაცსა საყმაწვილე სტკიოდეს, ან კაცსა ხუელა დასძველებოდეს და სილაღ გარდაქცეოდეს, ან კაცსა სათულ ჯანაბი სქიოდეს ვითამცდა ძუძუსა და მკერდსა მკვალე შემოეჭიდოს, სათულ ჯანაბი იმას ჰქუიან, ან კაცსა ყოლინჯი შემოეჭიდოს, ან კაცი თიქარმან მუცელშიგა შეკრას და მისი სიცხე და ალაგი გულსა და სტომაქსა შემოეჭიდოს. ან კაცსა სარსამი შეექნას, ვითამცდა თავი გაუშტერდეს და აუთრთოლდეს, და ამა მიზეზითა თავი ასტკივდეს და მეტის მეტის თავის ტკივილითა კაცი შესცდეს, სარსამი იმა სენსა ჰქუიან. ან კაცსა ძალმან უკბინოს, ამა სენებისათვის ნუშის ზეთი ყუელასათვის მწოედ კაი და აქიმი არის, რომე კაცმან სუას და ჰქამოს და სადაცა სტკიოდეს კაცმან ეს ნუშის ზეთი თბილ თბილი მტკივანსა ალაგზედა დაიდვას და შეიცხოს. ან ყურში ჩაიწვეთონ, ყუელასათვის კაი და ოსტატთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი არის.

ძროხის რძე გრილი და ნედლი არის და ყოვლის რძისაგან უფრო სქელი არის, და კაცის სტომაქი სხვის რძეებისაგან უფრო გვიან მოიდნობს, კაცსა ბალღამსა მოუმატებს, და კაცისა ტანშიგა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

რომელსაცა ხილთსა უფრო ძალიანად ნახავს. ესეც იმ ხილთად გარდაიქცევის.

მაგრამე კაცს ბევრს საქმელს აკმევს, ტანზედა გაასუქებს და სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს. მაგრა კაცსა ქარსა აუგდებს. და ან რძე და ან მაწონი რომე კაცმან ძმრითა ჭამოს ავი არის, უსათიოდ ან სირსვილსა და ან შამხალსა შიაქს. და ესე რძე კაცმან მოუხარშავად არ უნდა ჭამოს, თუარადა უსათიოდ აწყენს.

10 ცხურის რძე გრილი და ნედლი არის, კაცმან რომე ესე რძე ჭამოს კაცსა საქმელსა მოანდომებს, და ხუელისათვის მწოდ კარგი არის, კაცის ტანიდალმან ქარს გააგდებს. ვინც თბილ თბილითა ამა რძითა დაიზილოს, დამსხუდეს და გასქელდეს, და კაცსა გულსა და სტომაქზედა გასწმედს.

20 თხის რძე გრილი და ნედლი არის და უფრო მოჭთადილი და შეზავებული არის, ანასდათ კაცმან რომე ან საწამლაფი, და ან სხვა სასიკუდილო რამე, ან სუას და ან ჭამოს, და ან შეცთომით სხვა სასიკუდილო ბალახი რომე ეჭამოს და მერმე იმაზედა ესე თხის რძე სუას, კაცს აღარას აენებს, და იმა საწამლაფსა მაშინვე გააქარვებს. და კაცსა რომე ყელშიგა მსხმო ესხას და ეს თხის რძე სუას, იმა მსხმოსა უჭირველად უშველის. კაცსა რომე ხუნაყი შეექნას და ესე თხის რძე პირშიგა იმგვიბოს, იმა ხუნაყსა უჭირველად უშველის.

ხაკო გრილი და ხმელი არის კაცსა გულსა და სტომაქსა მოუგრილებს, მუცელშიგა გახსნის, და ადამისტომისა ასოშიგა რომე ხილთები იყოს ამა ხილთებისა სიცხარესა და სიმწვაფესა ყუელას გააქარვებს, სისხლს დასწმედს და კაცსა მაშინვე შარდზედა გახსნის. მხურვალსა ცხელებასა, სნებასა, ხაფაყანსა და იარაყნებსა, და ყოვლისა ფერისა მხურვლის სენისა და ავად ყოფისათვის კარგი არის, და კაცსა წყურვილსა მოუკლავს.

30 დედაკაცის რძე სრულად ყოველს რძესა ძჯობს, კაცის სტომაქსა დააღობს. და კაცმან რომე ესე დედაკაცისა რძე თუალშიგა ჩიწვეთოს თუალის ტკივილსა უშველის. სტომაქიდალმან მუცელშიგა ფიცხლად ჩაეა და კაცსა მწოდ კარგად მოუხდების. კაცსა ხორცსა გაუმაგრებს და ყოველსა ხმელსა სენსა კარგად უზამს, მონობასა, სრსვილსა, ხუელასა და სილსა¹, სილი ამას ჰქვიან რომე, კაცსა ხუელა დასტუელებოდეს და დუესა სისხლსა ატანდეს, ბალღამსა და ყოველსა ფერსა ცხელებასა და მხურვალს სენებსა ყუელას არგებს და კარგად უზამს.

¹ ამ სიტყვის მაგივრად ტექსტში შეცდომით სწერია „სრსვილსა“.

ვინცა დედაკაცის სძე და კუერცხის ცილა თულშიგა ჩაიწვე-
თოს, თუალის ტკივილი უშველოს.

რძიანას რძე მზურვალი და ხმელი არის, კაცისა ასოსა და
ტანიდალმან ბალღამსა და ქარსა გასწმედს და გააქარვებს. და ამა
რძიანას რძე რომე კაცმან ხუთის მუხუდოს წონა სუას და ან ქამოს,
მაშინვე სისხის სენსა უშველის, და კაცის ტანიდალმან ყუითელს წყა-
ლსა და წალასა გასწმედს.

10 ვირის რძე გრილი და ნელლი არის, ავის ავადყოფისათვის
მწოედ მარგე და აქიმი არის: მონობისა, სრსვილისა, ბარასისა, ხუე-
ლისა, სილისა, ვითამცდა ძუელის ხუელისა და სოკოსა, და ამათისავე
მიმსგავსოს სენებისა და ქირებისათვის, ყუელასათვის მწოედ კარგი
არის, რომე ესე ვირის რძე ასვან, და ამა რძისა ხასიათი ფიცხლავ
გამოჩნდების.

20 ვისცა კბილები სტკიოდეს და ან ღრძილი ჩახლეჩილი ჰქონდეს
ასრე უნდა, ეს ვირის რძე თბილ თბილი პირშიგა იმგვიბოს, კბილის
ტკივილს უშველის, კბილს დაამაგრებს და ღრძილს ანოიყუნანს. და
ამისავე ერბოსაცა ბევრი ხასიათი. აქუს. ვინცა ესე რძე სუას, ან პირ-
შიგა იმგვიბოს ხუელასა, ფირტვის ტკივილსა, ფირტვის სენსა რომე
სილი ჰქუიან, და ან კაცი რომე ხუელასა სისხლსა ატანდეს, ყუელა-
სათუის მწოედ კარგი არის. ასრე უნდა მოწველონ და თბილ თბი-
ლი სუან. და კაცსა რომე სასიკუდილო წამალი ან ესვას და ან ექა-
მოს, და მერმე ეს ვირის რძე სუას მაშინვე უშველის და საწამლავს
გააქარვებს. და კაცსა რომე უკანას კარი გასტეხდეს, ან აზიდვებდეს
იმას ორსავე უშველის.

და კაცსა რომე წელშიგა მუწუკები ესხას მისთვის მწოედ კარ-
გი არის. და კაცსა რომე დიდი გამოსაბამი რამე ებას და ან გა-
ხეთქას წინათ, ან გახეთქას უკანა ესე ვირის რძე ასვან მწოედ კარ-
გად უზამს და ამა კაცსა სენისაგან დაახალასებს.

30 აქლემის რძე მზურვალი და ნელლი არის და ერბო მწოედ
ცოტა და თხელი აქუს, და ამისი ერბო ცოტა იქნების, მისთვის ყოვლის
სენისათუის აქლემის ერბო აქიმი და წამალი არის, და სხვასა რძეებსა-
ვითა სუდასა არა იქს, და სტომაქიდალმა მუცელშიგა აღრე ჩავა.
მაგრა ყოვლისა რძისაგან უფრო უბარაქო არის. ახლად მოწველილი
ეს აქლემის რძე რომე კაცმან სუას მაშინვე შეჰკარავს და ფიცხლად
გახსნის. კაცსა რომე თავი უბრუნდებოდეს და ან თუალთა უბნელ-
დებოდეს, და ან ყელი სტკიოდეს და ეს აქლემის რძე სუას სამსავე
უშველის.

ვისცა სისხა სჭირდეს და ან სივდეს, მოიტანე აქლემის კურკლი

და აქლემის რძეშიგა გამოლესეთ და სისხიანსა კაცსა ასუით, მაშინვე სისხასა და სიმსივნესა ორსავე უშეელის. და სოკოსათვისცა მწოედ კარგი არის კაცის ტანიდაღმან ყუითელს წყალსა და წალასა გააქარებებს.

10 ცხენის რძეცა აქლემისე რძისაე მიმსგავსო არის და ტკბილი, ცხენის რძე გრილი და ნედლი არის, და მჟავე. ცხენის მაწონი გრილი და ხმელი არის, კაცსა მწოედ აბარაქიანებს. გულსა და სტომაქ მხურვალსა კაცსა კარგად მოუხდების, და სტომაქ გრილს კაცსა აწყენს. და ხსენიცა რძესავითა არის, მაგრამე რძისაგან ცოტად უფრო მსუყე არის და კაცი უფრო გვიანცა მოიდნობს. და თუ ამან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და მშველე ან შაქარი და ან თაფლი არის.

ახალი ყუელი გრილი და ნედლი არის, კაცმან რომე ჰამოს გულსა და სტომაქსა დააღბობს, კაცსა გაასუქებს, კაცსა საკმელსა მოანდომებს. მაგრა ბალღამსა გაამრავლებს სტომაქსა წაახდენს და სტომაქ გრილსა კაცსა აწყენს. და თუ ამ ყუელმან კაცსა აწყინოს ამისი წამალი და გამქარვებელი თაფლითა და ნიგუზითა არის.

20 ხმელი ყუელი მძიმე და შემკურელი არის და გვიანცა დადნების და კაცსა სუდასა შიაქს, წყურვილსა აუგდებს.

30 ტკბილი ყუელი და მარილიანი ყუელი ორივე მხურვალნი და ხმელი არის, ორივე გვიან დადნების, ხილთებს დასწავეს და კაცსა დაამჟღობს, საფრას მოუმატებს, სევდას გააძალიანებს და სტომაქსა აწყენს. ახლის ყუელის წყალი რომე კაცმან ეს ყუელი რძით მოხარშოს და ცოტა ძმარი გაურიონ, რომე რძე გაწყალდეს და ყუელი დარჩეს, მერმე გაწურონ და ყუელი კი ამოიღონ, და რძე კიდევე მოადულონ და ქაფი მოჰხალონ, მერმე ერთსა კიქაშიგა ჩაასხან და ცივსა წყალშიგა ჩადგან, რომე გაცივდეს, და ერთსა კაცსა რომე უჟავილი, ან ქუნთრუში, ან მუწუკები და ან სხვა მსხმო ესხას ამ რიგსა სენიანსა კაცსა ამა რძისაგან კიდევცა ასუან, და სადაცა მსხმო ესხან კიდევცა შესცხონ, ყუელასათვის მწოედ კარგი არის. და თუ ამა რძესა და ამა ყუელის წყალშიგა აფთიმონი გაურიონ და იარყნიანსა კაცსა ასუან, იარაყანსა უშველის და დამწვარსა სევდასა ტანისა და გვამიდაღმან უქირველად გაავდებს, გულსა და ლვიძლსა მწოედ მოუგრილებს. და თუ პირველსა გაზაფხულზედა უზმამან კაცმან სამს დილას ზედა ზედ ესე ყუელის წვენი და წყალი სუას, იმა კაცსა წამლის აღება აღარ უნდა, კაცსა ასრე გახსნის, და ყოვლისა ბაყლისა საფრისა და ავისა, და წამხდარის სევდისა და ხილთებისაგან გასწმედს და კაცსა ყოვლისა სენისაგან დაახალასებს.

3. ესე ბაბი ყოვლსა გვარსა თესლეულებსა, ხუარბალსა და ბრინჯსა გამცნებს და გიაშობს. ხუარბალი მოჰთადილი და ცოტად ნედლი არის, და ცოტად სიმხურვალეცა ეთქმის. და კაის ხუარბლისა შექამადი კაცსა თუალთა სინათლესა მოუმატებს, პირსა და ელფერსა წყალჯავარსა მისცემს. სრულად თესლებსა და მარცულებშიგა ამა ხუარბლის უკეთესი, და უფრო შემრგო თესლეული კაცისა სტომაქშიგა არა ჩავა. კაცისა სტომაქი და ეს ხუარბალი ერთმანერთზედა შიზავებული არის და სტომაქის მაშურო და შემრგო. და თუ უზნომან კაცმან ხუარბალი დაღეკოს და მსივანსა ალაგზედა დაიდევას, მაშინვე სიმსივნე დაჰფანტოს და გააქარვოს. ვინც დაღეჟილი ხუარბალი ბრაზიანისა ძალისა ნაკებენზედა დაიდევას, კაცსა აღარას აზიანებს. კაცმან რომე ხუარბალსა ტყავი გაჰხადოს და რაგინდარამ ამ ხუარბლის შექამადი ჰქმოს, კაცსა მწოედ ძალს მისცემს, ელფერსა და გულის ყურს გაუკეთებს, კარგსა სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს და კაცსა შეჰკრავს. მაგრა ვინც უზნა ხუარბალსა სჰამს გულსა და სტომაქსა აატკივებს და ქარსა აუგდებს, და კაცსა მუცელშიგა ჰიას დაასხამს.

10

ქერი პირველსა წილშიგა გრილი და ნედლი არის. ამა ქერისა ჯავ ავი, ან ქერის ბოზა ყოვლს მხურვალს სენს არგებს, სტომაქშიგა ფიცხლად დადნების, კაცსა ტანშიგა ძალს მისცემს, და ტანისა და გუამიდალმან ყოვლს მხურვალს სენს გააყენებს, გულსა სტომაქსა და ღვიძლსა სამსავე მოუგრილებს. კაცსა წყურვილსა მოუკლავს, ცხელეებისა სნებისა, იარაყანისა და მხურვალის ხაფაყანისათვის მწოედ კარგი და მუნასიბი არის. კაცსა რაგინდარას საქმითა შეკრულობა სჰირდეს და წელშიგა კურკლი გამაგრებოდეს, და კაცი მწოედ შეკრას, იმას დაალობს და გამოიღებს. ხილთებისა სიცხარესა და სიმხურვალესა გააქარვებს, და კაცი რომე კარგად ვერა ფსემდეს შარდსა გზას გაუხსნის და მაშინვე შარდსა აქნეგინებს.

20

ვინიცის და სტომაქ გრილმან კაცმან შეცდომითა სუას და აწყინოს, ამისი წამალი და მშველე ნიახურის წვენი და ან გვილბა შაქარი არის. აწე ჯავ ავი ამას ჰქუიან და გამოხდაცა ასრე უნდა: მოიტანე კარგი ქერი და დაარჩივე და ერთ დღე ღამესა წყალშიგა დაალბე, და მერმე ცოტად დანაყეთ რომე ქერქი შესცვივდეს, მერმე მოიტანე ერთი თიხის ქოთანნი და ესე დარჩეული ქერი შიგ ჩაყარეთ და რა ნივთიცა წონითა ეს ქერი იყოს თხუთმეტი იმ ქერის წონა წყალი დაასხით და კარგად მოხარ შეთ, და ქაფი მოჰხადონ, და მანამდისი აღულონ და ხარშონ, რომე ხუთის წილის წყლისაგან ერთი წილი წყალი დარჩეს. მერმე, გარდმოილონ და ამისი წვენი თუ უნდო-

30

დეს ქერკითავე და თუ უნდოდეს უქერქოდ კოვზითა ხულიპონ. და ამ რივსა ჯავ ავსა საია ჯავ ავი ჰქუიან. და თუ კაცსა ან შიგნით მკვალევედეს და ან წელ წული სტკიოდეს ეს წამლებიცა გაურიონ და ისრე ხულიპონ: მოიტანე უკურკო უნაბი ოცი ღირჰამი, სიფის-ტანი ოცდაათი მარცვალი, ეს ხილებიცა იმა ჯავ ავშივა უნდა გამოხარშონ, რომე ეს ჯავ ავი მოსქელდეს, შერმე გარდმოიღონ, გამო-ქულიტონ, გაწურონ, გააციონ და ოცი ღირჰამი იის ზეთი და სამი ღირჰამი ნუშის ზეთი ჩაურიონ და სუან, თავად მკვალსა და შერმე ყოვლისა სიმხურვალის სენსა ყუელას უშველის.

10 ბ რ ი ნ ჯ ი პირველსა წილშივა მხურვალი და ხმელი არის, ამა ბრინჯის ქამა კაი და ბარაქიანი არის, მწოედ სუბუქი და შემრგო არის, კაცსა კაისა ელფერზედა ამყოფებს და კაცისა ელფერსა კარგსა წყალსა და ჯავარსა მისცემს, სისხლსა დასწმედს, კაცსა გაასუ-ქებს, კაცსა შეჰკრავს. და საჰჯი, ამა სენისათვის მწოედ ქარგი არის, ვითამცა და კაცი რომე მუტელშივა გახსნით იყოს და წელთა ნახვეწი სცვიოდეს, საჰჯი იმას ჰქეიან, და ესე ბრინჯი ყოვლის საქმლი-საგან უკეთესი და უფრო სარგებლიანი არის.

ვინცა ახლის ფურის რძითა ეს ბრინჯი მოხარშოს და ქამოს მწოედ კარგი და მაშუნი საქმელი არის. აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ესეც უთქუამს, ვინცა მუდმად ბრინჯი ქამოს დღე გრძელი იყოს, მაგრა ამისი ქამა სულას აწყენს.

ოსპი პირველს სიგრილის წილშივა გრილი არის, და მეორეს სისხის წილშივა ხმელი არის. ესე ოსპი რომე კაცმან ქამოს სისხლს გააციეებს და დაადუმებს. კაცმან რომე ოსპი ქამოს კაცსა შეჰკრავს, და ოსპი რომე არა ქამოს და უოსპოთ ამა ოსპის წყალი ქამოს, ამისი წვენი კაცსა გახსნის. ვინც ოსპი მოხარშოს და ამისი წვენი პირ-შივა იმგვიბოს ხუნაყი უშველოს. და თუ ესე ოსპი წვენიდალმან გამოიღონ მოზიღონ და ხუნაყზედა დაიდვან, ხუნაყი უშველოს.

ამავ რივად რომე ესე ოსპი ყელ მტკივანსა კაცსა ყელზედა დასდვათ, ყელის ტკივილსა უშველოს. ამავ რივად რომე მოზიღონ და ხანაზირზედა დასდვან, მისთვის მწოედ კარგი არის, ხანაზირი კიდევ სოკო და სოკოსავ ქარი არის.

მაგრა ამ ოსპის ქამა კაცსა ქარსა აუგდებს, სევდისა სენსა მატებს და კიდევ უფრო გააძალიანებს, და ყოვლსა ხმელსა სენსა აუძრავს, ვითამცა მონობასა, სრსვილსა, მუნსა და მსხმოსა, კაცსა ტან-ზედა გაახმობს, თვალთა სინათლესა და კაცობასა ორსავე აკლებს.

ასრე უნდა კაცმან ესე ოსპი ტკივილსა საქმელთანა არა ქამოს, ამისთვის რომე, სხვას საქმელსაც აშლის და გაასქელებს, და კაცსა

სუდასა შიაქს. ვინც ოსპი ხმელსა ხორცთანა მოხარშოს და ქამოს ყოელსა აესა სენსა აუძრავს, დუზლუ ბაღლაშსა და სვედასა ორსავე შიაქს. ვინცა მუდმად ოსპი ქამოს მონაბოხა შიაქს. ამისი უკეთესი ის არის რომე, ვინცა ოსპის ქამა უნდოდეს მსუქანას ბალახთანა მოხარშონ, რომე თოხმაქანი ჰქუიან და მერმე ისრე ქამონ.

ბაყლა ცერცვი მოჭთადილი და შეზავეებული არის, კაცსა გაასუქებს და ხუელისათვის მწოვედ კარგი არის, კაცსა ყელსა და ხახასა დაუღობს. მაგრა ქარი სღევს და კაცსა მუნსა და ფხანასა შიაქს, ბალღამს მატებს და მძიმეცა არის.

10 ბოგრიჯა, ვითამცდა თეთრი და წერილი ლობიო, ესე ბოგრიჯა გრილი და ხმელი არის, ამისი ქამა სტომაქს დააღობს გულსა და ფირტუსა არგებს, კაცსა ბევრს თესლსა ჩაუყენებს. და დედაკაცსა რომე დედათ წესი შეეკრას და ამა ბოგრიჯას შექამადი ქამოს, მაშინვე დედათ წესსა ჩამოუშლის. და აგრევე ამავე ბოგრიჯას ნახარშს წვენშიგა რომე კაცმან შირხიშთი გაურიოს და მტეხიარესა დედაკაცსა რომე ასუან, მაშინვე შვილი დაებადების და ადვილად დაეხსნების.

20 და ვინცა ესე ბოგრიჯა მოხარშოს და ერთსა დედაკაცსა რომე მარტვილის თანა მამყოლი გვიან დაეარდეს, და თბილ თბილი ამა ბოგრიჯას ნახარში ასუან, მაშინვე მარტვილის თანა მამყოლი დაეარდების.

ვინცა ამა ბოგრიჯას ზეთი და ძმარი ერთგან მოადუღოს და ქარიანსა ქაცსა აქამოს, მაშინვე ქარსა უშველის. და თუ ცოტა მდოგვი და ცოტა დარი ფილფილი და შაჭთარა რომე გაურიონ ისი სჯობს. და თუ ესე წამლები არა იყოს, მომლაშო ქნან და ისრე აქამონ და ქარსა, და ან რაცა სენი დაგვიწერია ყუელას უშველის, მაგრა ამისი ქამა ბალღამს გაამრავლებს და ქარიცა აქუს. სტომაქსა და თავსა ორსავე აატკივებს.

30 ლობიო პირველსა წილშიგა მხურვალი არის კაცსა მაშინვე შარღზედ გახსნის, კაცსა გაასუქებს და ქარსა და ბალღამსა გაუგდებს, თესლსა ჩაუყენებს.

მუხუდო, პირველს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცმან რომე მუხუდოს შექამადის წვენი ქამოს, მწოვედ კარგი არის. და ესე მუხუდო რომე კაცმან თავისავ წვენითა ქამოს, მწოვედ კარგი არის და მარგე. მაგრა ასრე უნდა, კაცმან უწინ მუხუდო ქამოს და მერმე ამისი წვენი. მაგრა უწინოდ ამ მუხუდოს ქამა კაცსა ქარსა აუვდებს.

მაგრამე მუხუდოს ქამა კაცსა მწოვედ კაცობასა მატებს და დედაკაცთან მისულას მწოვედ მოანიღომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს

და ბევრსაცა აქნევიანებს. კაცსა ხმასა მწოედ დაუწმენდს, კაცსა გა-
 ასუქებს და კაცს მაშინვე შარდზედ გახსნის, და გულსა და სტრომაქსა,
 ლეიძლსა და ტყირპსა, თირკრელსა და სათესლესა ყუელასა ავის
 ხილთისაგან გასწმედს, და კაცსა კაისა ელფერზედა ამყოფებს. და
 ამა მუხუდოსა ზეთი რომე კაცმან გამოჰხადოს და მუნზედა შეიცხოს,
 მუნსა უშველის. ამა მუხუდოს წვენითა კაცმან პირი გამოირეცხოს,
 კბილის ტკივილსა უშველის. მაგრა ბევრის მუხუდოს ჰამა თირკმელ-
 შიგა ჰქუასა დაბადებს. თუ მუხუდომან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი
 და ისლავი ხაშხაშითა არის, რომე ჰამოს და ეშველოს. ასრე უნდა
 10 კაცმან ეს მუხუდო შუა ჰამაშიგა ჰამოს, და ამა მუხუდოს წვენიშიგა
 რომე ნიგოზი ჩაურიონ და ისრე ჰამონ. ამისი წვენის ჰამა ფილენ-
 ჯსა და ფილენჯის ქარსა, ორსავე უშველის. ვინცა ტყავ გახდილი
 მუხუდო, ხახვი და შირლიდანის ზეთი, და ცოტა წყალი ერთგან ამ-
 დენი აღუღონ, რომე მუხუდო დაჩქლთეს, მერმე ამოიღონ და გაწუ-
 რონ და ერთსა მინაშიგა შეინახონ, როდისცა კაცსა უნდოდეს, და
 ან კაცსა ეკირებოდეს ამისგან ერთი კოვზი ზეთი სუან. ამისგან უც-
 ხო ფერი და გასაკვირვებელი ხასიათები ნახოთ, რომე ამ ზეთის
 საქმითა კაცი გამცვიფრდეს. სხვას ხასიათს გარეთად ამღონს კა-
 ცობას მატებს რომე ამის საქმესა კაცი გაჰკურდეს. და ესე ზეთი ფი-
 20 ლენჯისა და ფილენჯის ქარისათვის, გრილის სისხისათვის და ყოვ-
 ლის გრილის სენისათვის მწოედ კარგი, და მრავალჯერ დაცდილი
 არის.

მურდუმაქი, ვითამცდა ცულის პირას ცერცვიო, ესე ცულის
 პირას ცერცვი პირველს სიგრილის წილშიგა გრილი არის და სიხმე
 და სინედლე ორივე ცოტა აქუს. ესე მურდუმაქი რომე კაცმან მო-
 ხარშოს, თუ უწნოთ ამა მურდუმაქსა სჰამს, კაცსა შეჰკრავს, და თუ
 უამისოდ წვენსა სუამს და გახსნის. ხუელისა, ცხელებისა სნებისა
 და სურავანდისათვის, ყუელასათვის მწოედ კარგი არის.¹

ვინცა ესე მურდუმაქის ცერცვი ჰამოს ასრე უნდა, ტყავი შე-
 30 მოსკარცვოს და ისრე ჰამოს. ვინცა ამა ცულის პირას ცერცვის
 წვენიშიგა თუთუბო და მუხუდო გაურიოს და ისრე ჰამონ მწოედ
 კარგი არის. ცხელებისა და ხუელისათვის მწოედ კარგი წამალი არის.
 მაგრა ცოტად ქარი აქუს, კაცსა კბილსა მოჰკუეთოს და კაცსა თესლსა
 გაუხმობს და მოაკლებს. ასრე უნდა ვინცა ამისი ჰამა უნდოდეს
 მწოედ კარგად მოხარშოს და ისრე ჰამონ და კაია.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი „ვ“ სწერია დედნის ხე-
 ლით და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „ვ“.

ბოი, ვითამცდა უღბოს თესლიო. აწე უღბოს თესლი პირ-
ველს წილშიგა მხურვალი და ხველი არის, ბალღამს გააქარეებს და
კაცსა დედაკაცთან მისულას მოანდომებს. კაცი რომე სიგრილისა-
გან სივდეს ასრე უნდა, ესე ბოი მოხარშოს კაცმან კიდეცა ქამოს
და სიმსიენეზედაცა დაიდვას, მაშინვე სიმსიენესა დაჰფანტავს და
დააცხრობს და ფირტუსა ბალღმისაგან გასწმენდს, გულისა და გუამი-
დაღმან ქარსა გაუგდებს.

10 ვინცა ამა ბოის ერბო გამოჰხადოს და პირზედა შეიცხოს, პი-
რის სიყუითღესა და კორფლსა ორსავე გარდაიყუანს. და კაცსა რო-
მე ბოქუენი და საზარდული სტკიოდეს და თბილ თბილი ამა ბოის
ზეთი შეიცხოს, ბოქუენისა და საზარდულის ტკივილსა ორსავე უშვე-
ლის და ბევრსა თესლსა ჩაუყენებს. მაგრა თუ კაცი ბევრსა სქამს,
კაცსა შარდსა შეხუთავს და ტანზედა ავსა სულსა აადენს, კაცმან
ეს ბოი ცოტა უნდა ქამოს.

20 სუსანი, ვითამცდა შირლიდანიო, პირველსა სიმხურვა-
ლის წილშიგა მხურვალი არის და მეორეს სინედლის წილშიგა ნედ-
ლი არის. ამისი ქამა კაცსა გულსა და სტომაქსა აუშლის და აუ-
რევს და სტომაქსა ავნებს, კაცსა წყურვილსა აუგდებს, კაცსა საკ-
მელსა აუკრებს, და ტანზედა ავსა სუნსა აადენს. მაგრა სეფდიანისა
30 სიმსიენისათვის მწოედ კარგი და მარგე არის, რომე ესრე შირლი-
დანი კაცმან ქამოს, და ან მსივანსა ალაგსა ტლედ შემოიდვას.
ამისი ქამა კაცსა გაასუქებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, თანგანათასის
სენისათვის მწოედ კარგი არის მაშინვე დააღბობს და დაჰფანტავს.
და კაცსა რომე ხელი, ფეხი და ბაგე დაუსქდეს და ამა სუსანის ერ-
ბო შეისვას, მაშინვე გაუმთელებს.

ადამის ტომმან რომე ესე ერბო წვერსა და თმაზედა შეისვას,
წვერსა და თმასა გაუგრძელებს, დაუწმენდს და გამოასხავს. დაქი-
რულს დედათ წესსა ფიცხლად ჩამოუშლის, რომე დედაკაცმან ამა
ზეთისაგან ხუთი დირჰამი სუას და ან ქამოს, და ამისი ტლე მუცელ-
30 ზედაცა და სტომაქზედაცა დაიდვას. მაგრა კაცსა სტომაქსა დაუსუ-
სტებს. და ვითამცა და ამ ხუთის დირჰამიდაღმან უფრო ცოტა უნ-
და ქამოსო. კაცსა პირშიგა ავსა სუნსა ამოადენს, წყურვილსა და
სიგრილესა აუგდებს, სქელსა და ავსა ხილთებსა აუგდებს და დაბა-
დებს. და ეს შირლიდანი რომე კაცსა საკმელად უნდოდეს, მარტო ეს
შირლიდანი არ უნდა ქამოს, ასრე უნდა სხუასა საკმელთანა აური-
ონ და ისრე ქამონ.

და ვინცა ამა სუსანსა ტკბილითა საკმლებითა სქამს, კაცსა
აღარას აწყენს.

ბოლო. სინა აქიმმან: თქუა მე სუსანისა ზეთისა აქიმობა და სარგებელი¹ ვერა ვნახერაო თუ არ სევდიანსა სენსა და მსივანსა ვარამსა აქამონ და ან ტლედ შემოსდევანო, სხეას სენსა არას არგებსო. მაგრა რომე კაცსა ან სევდის სენზედა და ან ვარამის სიმსივნეზედა ტლედ შემოსდევან მისთვის მწოედ კარგი და სარგებლიანი არისო. და თავად მჯდომსა და მერმე ყოველსა მუწუქსა და გამოსაბამსა და სიმსივნესა ვარამი ჰქეიან. და ეს იცოდით რაცა სიმსივნე არის ყუელა მჯდომისაგან არის, და ჯერ სურავანდიცა მჯდომისაგან არის.

10 ხაშხაში, მეორეს სიგრილის წილშიგა გრილი არის, ნეღლი არის. სურავანდისა, ხუელისათვის და უძილობისათვის სამისათვისევე მწოედ მარგე და გამორჩეული წამალი არის, ტეინისა და დამალისა ბალლამსა დაადნობს და გააცულებს. კაცმან რომე ორი ღირჰამი ესე ხაშხაში ორსა ღირჰამსა თაფლშიგა აურიოს და ჰამოს სურავანდსა, სურდოსა და უძილობასა სამსავე უშველის და ესე ხაშხაში რომე კაცმან ხუთსა ღირჰამმდისი ჰამოს კაცსა არას აწყენს, ბევრს თესლს ჩაუყენებს.

და ამა ხაშხაშის ტყავი კაცსა შეჰკრავს და ფიცხლავ გახსნის, მაგრა ფირტუსა აწყენს, მეტადრე მაშინ რომე კაცმან ბევრი ჰამოს, და ვინ იცის და ამა ხაშხაშმან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და
20 ნაწყენის გამქარებელი კევი და დანამასტაქი არის.

ყარა ჩორაქოთის თესლი, პირველს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ბალლამსა და სევდასა კაცისა ტანისა და გვამიდალმან ორსავე გააქარებებს. რაცა კაცისა ტანშიგა ქარი არის ყუელასა და-
30 ლეწს და გააგდებს, და ყოვლსა გრილსა სენსა არგებს და გააქარ-
ვებს. კაცმან რომე მაჯუნშიგა გაურიოს და ჰამოს, კაცსა მწოედ კაცობასა მატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

კაცსა რომე სისხა შეექნას და თავით ფერხთამდისი სრულად გასიედეს, და ესე ყარა ჩორაქოთი დანაყო და ხამსა თაფლშიგა ამო-
სურვიმო და ტლედ ჰქნა, და ამა გასიეებულსა კაცსა საქოჩრით ფერ-
30 ხამდისი სრულად შესცხო და ერთსა ჩარჩამშიგა წაახვიო, და გათე-
ნებამდისი ისრე ამყოფო, და ორჯერ სამჯერ ამრიგად უყო, სისხასა და სიმსივნესა ორსავე უშველის. მაგრა სანამდისი სიმსივნე ფეხთან არ ჩამოვიდეს, მანამდისი ყოვლს დაწოლის დროსა ამავე რიგად უნ-
და შესცხონ. მაგრა ამ რიგს კაცსა პური არ უნდა აქამონ, ხორცი არ უნდა აქამონ და წყალი ასრე უნდა აუკრიფონ, რომე თვალითაცა არ აჩუენონ, არამთუ ასუან. და თუ მწოედ უწყლობა და წყურვილი მისქირდეს ვარდის კაქაქის ყუაველის არაყი გამოჰხადონ და რო-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

დისცა მწოედ მოსწყურდეს სამსამი კოვზი ეს ვარდის კაქაქის ყუა-
ვილის არაყი დაალევიონ. და თუ ეს ყუავილი არ იშოვებოდეს, ამავე
ვარდის კაქაშის ძირის ტყავი დანაყონ. წყალი გამოჰხადონ და რო-
დისაც მწოედ მოსწყურდეს, წყლის ალაგსა ორი სამი კოვზი ეს ქას-
ნის წყალი ასუან. და თუ უპურობა ვერ გასძლონ, კაი ცომი ქენ, და
ამა ცომშიგა დანაყილი ნიახურის თესლიცა გაურვიეთ. ცომი დიდ-
ხანსა ამყოფონ და კარგად გამოაცხონ და ისრე აქამონ. და ან ბაქ-
სიმათი და ან ფეტვის პური აქამონ. და თუ კაცი მწოედ დასუსტ-
დეს და ან უხორცობასა ვერ გასძლებდეს, ტრედის ხუნდი, ქავექავი,
10 ხობობი, ღურაჯი, კაკაბი შეუწვან, ან ყაურმად უყონ და ან მო-
უხარშონ. პილპილი; დარიჩინი, მიხაკი და სანანებელი და მხურვა-
ლი ბალახები, რომელიც იყოს, გამოუხარშონ, ან ამავე იარაღითა
გაუტენონ და ისრე აქამონ, და კაკაბი თავი წამალი არის. და კაი
თათლი, ტკბილი ნესვიცა ექმების სისხიანსა კაცსა. და ერთი დირ-
ჰამი თრიაქ ფარიყი ყუელასა უჯობს.

ბურჩაყი, ვითამცადა ქუშნაო, რომე თვითან მწარე
არის, ძროხას აქმევენ, ესე ბურჩაყი მხურვალი და ხმელი არის, მკერდსა
დაალბობს, ფირტუსა არგებს და ხუელასა უშველის. კაცმან რომე
20 ამა ქუშნას ფქუილი პირზედა შეიცხოს, კაცსა პირის ტყავსა და
ელფერსა ორსავე გაუკეთებს. და თუ კაცსა პირზედა ან ქორფლი
და ან ლაქა აჩნია ორსავე უშველის.

კაცმან რომე ეს ბურჩაყი და შირლიღანი ერთად აურიოს და
ისრე კამოს მაშინვე შარდის გზასა გაუხსნის. გველის ნაცემს კაცსა
რომე ეს ქუშნა აქამონ, ან დანაყონ და ამისი წყალი გამოჰხადონ
და ის ასეან, და დანაყილი ზედაც დასდვან, მაშინვე შხამს გააქარ-
ვებს. ბრაზიანის ძაღლის ნაკბენზედა რომე დასცხონ და ან ამისი
ტლე შემოსდვან, მაშინვე უშველის. ბოლო ამ ბურჩაყისაგან რომე
კაცმან ან სვას და ან კამოს, ყოვლის ქირისათვის მარგე და კარგი
არის, მაგრა სამი დირჰამი უნდა სუას.

30 ფეტვი პირველსა წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცმან
ამა ფეტვის ფქუილი რაგინდა რას სიმსიენეზედა დაიდვას, ყოვლსა
სიმსიენესა დააცხრობს და გააცულებს. მეტადრე მაშინ, რომე კაცმან
ეს ფქუილი ან ვარდის კაქაქის წვენითა და ან ძაღლის ყურძენას
წვენით მოზილოს და ისრე დაადვას. მაგრა ამისი პური უბარაქო
არის. და სისხიანის კაცისათვის ფეტვის პური მწოედ კარგი და მა-
რგე არის, რომე სისხიანმან კაცმან კამოს, სუსტსა ასოვბსა ძალს
მისცემს, უკანას კარის გატეხასა. ზიდებასა და უკანა კარის გამოქ-
ცევასა, სამსავე უშველის.

ამისივე ბოზა გრილი და ხმელი არის. სტომაქ მხურვალსა კაცსა და მხურვალსა სენსა ყუელასა კარგად დაშუენდების და არგებს.

შაჰდანი, ვითამცა და კანაფის თესლიო, მწოდ მხურვალის და ხმელი არის, კაცმან რომე ჰამოს კაცსა გაამხიარულებს, ბევრს აცინებს. კაცსა რომე ყური სტკიოდეს, მოიტანე ორი დირჰამი კანაფის თესლი, დანაყე, და ამისი წვენი გამოჰხადე და თბილ თბილი ყურშიგა ჩააწვეთე, და ყურის ტკივილსა უშველის.

10 კაცსა რომე ყურე ყრუდ და მძიმედ ჰქონდეს მოიტანე ესე კანაფის თესლი და ზეთი გამოჰხადე, და თბილ თბილი ყურშიგან ჩაასხან, და ყურის სიყრუე და ყურის სიმძიმე მაშინვე ეშველების. მაგრამე ეს კანაფის წვენი იყოს თუ კანაფის ზეთი ორი დანგის მეტი არ უნდა იყოს, თვარემ აწყენს და კაცი ვერ გაუძლებს. და თუ ყურშიგა ჰია უზის დაჰხოცს და გამოჰყრის, მაგრა კაცსა კაცობას მოაკლებს, თავსა და გულსა აატკივებს და თესლსა გაუხმობს.

ვინცა ეს კანაფის თესლი დანაყოს და მაგარსა ვარამსა და სიმსივნეზედა დაიდვას, მაშინვე სიმსივნე და ვარამი დაჰფანტოს და გააქარეოს. და თუ ამ კანაფის თესლმან და ან ბანგმან კაცსა აწყინოს ან ბაზარყათუნას ლოაბი, და ან ბიის ლოაბი ასუან და ეშველების.

20 ბოლოკის თესლი, მესამესა სიმხურვალის წილშიგა მხურვალის არის და პირველსა სიხმის წილშიგა ხმელი არის. კაცსა რომე პირის სახეზედა ან ჰორფლი აჩნდეს, ან კაცსა რომე ბმოდეს რამე და ან სცემოდეს რამე, იმათი ან მანკი, ან ნიშანი დააჩნდეს და ამა ბოლოკისა თესლისა ტლე დაიდვას, და ან ამისივე წვენი შეისვას ჰორფლსა და დარჩომილსა მანკსა ორსავე გარდაიყუანს. და ამავე ბოლოკის თესლი რომე დანაყო და თეთრსა და შავსა ბაჰაყსა და ლაქასა, ვითამც და შამხალსა ტლედ შემოსდვა, მწოდ კარგი არის და მრავალჯერ დაცდილია, ასოვებისა და სახსრების ტკივილისათვის მწოდ კარგი არის, რომე კაცმან დანაყოს და ტლედ შემოიდვას.

30 ვინცა ამავე ბოლოკის თესლი დაეეჭკოს და წყლით მოხარშოს, გაწუროს და სიქანჯუზინზედა დააწუროს და სუას, რაგინდა რა ძნელი და მაგარი სტომაქი იყოს მაშინვე არწყევიანებს. ანუ ვინცა ამავე ბოლოკის წვენითა სიქანჯუზინი და ან თაფლი გალესოს და თბილ თბილი სუას, მაშინვე არწყევიანებს. ვინცა ბოლოკი ჰამოს სისხა უშველოს და მაშინვე აბოყინოს.

პირველ ყოვლისა ბოლოკისა რისაგანმე, თესლი უფრო ძალიანი არის, მერმე ბოლოკის ხორცი, მერმე ბოლოკის ქერქი და მერმე ბოლოკის ფოთოლი.

თ ა ლ გ მ ის თ ე ს ლ ი, მხურვალე და ნედლი არის, ამა თალგმისა თესლისაგან რომე კაცმან ორი ღირჰამი ჰამოს, კაცსა კაცობასა მატებს და ბევრსა თესლს ჩაუყენებს. მაგრამე თუ კაცი ბევრსა სჰამს ტყირჰსა გაზდის და ტყირჰს აუყენებს. და თუ ამან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ისლაჰი ნესვის თესლი არის.

ს ტ ა ფ ი ლ ო ს თ ე ს ლ ი, მეორეს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის. კაცსა რომე თავზედა ჰაჩალი ესხას, და ან სხეა მსხმო ეჩხას, და ეს სტაფილოს თესლი და ან სტაფილოს ფოჩი დანაყონ ან ჰაჩალსა და ან სხეასა მსხმოზედა დაიდვას, მაშინვე უშველის. ვინცა ასე სტაფილოს თესლი დანაყოს, წყალი გამოჰხადოს და სისხიანსა კაცსა ასვას და ან აჰამოს, სისხიანის კაცისათვის მწოედ კარგი არის. კაცსა რომე ან გველმან, ან მორიელმან და ან სხეამან, მძრომელმან უკბინოს და ეს სტაფილოს თესლი დანაყონ, ტლედ ჰნან და ნაკბენზედა დაიდვან, მაშინვე გააქარეებს და გააცუდებს და თუ კაცი სეამს, მაშინვე შარდზედა გახსნის. და დედაკაცსა რომე დედათ წესი შეეკრას და ესე სტაფილოს თესლი [დანაყონ]¹ და წვენი გამოჰხადონ და ასვან და ან მისი ტლე მუცელსა და ბოქუენზედა შემოსდვან, მაშინვე დაქირულსა დედათ წესსა ჩამოუშლის, და ტკივილს უშველის და გატეხას დაუამებს.

წ ი წ მ ა ტ ი და ტ ი ტ ა, ორივე ერთის თაბიათისანი არიან, ორივე მხურვალნი და ხმელნი არიან, ბალღამსა ორივე მოჰკუეეს და ორივე გააქარეებს. კაცსა რომე შარდი შეეკრას, შარდის გახსნისათვის ორივე კარგი არის. ვინცა წიწმატისა თესლი დანაყოს და ძმრითა ტლედ ჰნას და ან შავსა და ან თეთრსა შამხალსა და ლაქაზედა დაიდვას, უშველოს და გაქარვოს. ვინცა ორი ღირჰამი წიწმატისა თესლი მოხალოს და ჰამოს, კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს და კაცობას მწოედ მატებს.

ან ვინცა ორი ღირჰამი წიწმატის თესლი დანაყოს და ამისი წვენი გამოჰხადოს და სვას, ბევრს თესლსა ჩაუყენებს. ვინცა ესე წიწმატისა თესლი დანაყოს და სიქანჯუბინშიგა გაუროოს, შარბათად გაღესოს და სვას, რაც კაცისა ტანსა და ასოშიგა ან ბალღამი და ან ბალღამის ქარი არის ყუელას გააგდებს და გააქარეებს. მაგრა თუ კაცი ბევრს წიწმატსა სჰამს, კაცსა თავს აატკივებს.

ვინცა ტიტა დანაყოს და ამისი წვენი გამოჰხადოს და ეს წვენი იარაყნიანსა კაცსა ორსავე ცხვირშიგა ჩაასხას, შავსა და ყუითელსა იარაყანსა ორსავე უშველის. ვინცა ორი ღირჰამი ამა ტიტის თეს-

¹ ტტჰტში ეს სიტყვა გამოტოვებულია—ადღენილია ვარიანტის A-ს მიხედვით.

ლი ქამოს, სისხისათვის მწოდ კარგი არის და რაცა კაცისა ტან-
შიგა ყუითელი წყალი და წალა არის, კაცისა ტანიდალმან ყუელას
გამოიღებს. მაგრა კაცი თუ ბევრსა სქამს, კაცსა თავსა აატკივებს,
სისხლსა ორივ დასწევას და ზაფრას გააძაღიანებს.

რაზიანას თესლი, შიბითიც ამასვე ~~ქქედან~~ ვითამცა და
ცერეცო, მხურვალი და ხმელი არის, კაცისა სტომაქსა და მუცელშიგა
რაც ქარია ყუელას დაღეწს და გაუგდებს, და ესე რაზიანა რომე
კაცმან დანაყოს, წყალი გამოჰხადოს და გაციებულსა კაცსა ასვან¹
მაშინვე ციებას უშველის. ვინც ესე ცერეცო ქამოს, და ან ამისი
10 წვენი სვას, შარღზედა გახსნის, თუ დედაკაცმან ქამოს ბევრი რძე
ჩაუყენოს.

კაცსა რომე სიგრილისა და სიცივისაგან თავი სტკიოდეს და
ამა ცერეცოს წვენი გაათბოს და შეიცხოს, თავის ტკივილი უშვე-
ლოს.

ვინცა რაზიანას წვენი თვალშიგა გამოივლოს, თუალთა სინა-
თლისათვის კარგი არის, და თვალშიგა დამალიდალმან შავსა წყალ-
სა აღარ ჩამოუშვებს, და აქიმათა და მეცნიერთა კაცთა ასრეცა უთ-
ქუამს: გაზაფხულის პირზედა, მთვარიანსა ღამესა, გველი ველარას
ფერს ველარ დაინახავსო და თვალთა დაუბნელდების და თვალნი
20 აუჭრელდებისო, მერმე ამა ცერეცოსა ფოთოლსა თვალზედა მიის-
ვამს მოისვამსო და მასუკან როგორც დღისივ ისრევე ღამით დაინა-
ხავსო. ცერეცოს ამდენი ხასიათი აქუს და თვალთა ამდენსა სინა-
თლესა მატებს და ყოვლისა ბალღმისა და გრილის სენის წამალი
და აქიმი არისო.

დურახოთის თესლი, ვითამცა და კამაო, მხურვალი და ხმელი
არის, კაცისა ტანიდალმან ქარსა და ბალღამსა გააქარვებს, ცივებს
უშველის, ძილს მოგურის და რაცა კაცსა ძვალსა და ასოშიგა ტკი-
ვილი არის, ყუელას უშველის, გულსა და სტომაქსა დააღობს.

კაცმან რომე ამა კამის თესლი დანაყოს, გაცრას და ფქუილსავით
30 ფქუილად ქნას და ან ძმრითა ან ქანის წყლითა ასურიმოს და მსივანსა
ალაგზედა დაიდვას, მაშინვე სიმსივნეს დააცხრობს და გააქარვებს,
ასოების თრთოლასა და სისუსტესა დაამაგრებს, ამა დურახოთის ქამა
სუდასა და შარღის გზასა გახსნის. ამა დურახოთის პური რომ გა-
მოაცხონ და ქამონ, იმა კაცისათვის კარგი არის რომე კაცსა ან სი-
სხა სჭირდეს, ან უკანა კარი გამოუვიდეს, და ან უკანა კარი გას-
ტეხდეს და აზიდვებდეს, მაგრა ბუხარსა მალედ თავშიგა გაიყუანს და
აცსა გულსა და სტომაქსა აურევს და აუშლას, მაგრა ავსა სისხლსა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩაპატებული დედნის ხელით.

დაბადებს და გვიან დადნების. ამან რომე კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და მშველე რძე არის, რომე რძე კამოს და ეშველოს. ვისცა ამისი კამა უნდოდეს ან ზეთითა¹, ან რძითა და ან ერბოთა, ან მსუქნის ხორცითა მოხარშონ და ისრე კამონ.

10 ტარხუნა, მესამეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, მაგრა ამა ტარხუნაზედა ბევრნი აქიმნი დაცილებულან, ზოგთა უთქვამს მხურვალი და ხმელი არისო და ზოგთა უთქვამს გრილი და ნედლი არისო. ბოლო ტარხუნის კამა გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს და პირის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის, კბილებს დაამაგრეს და ღძილსა ამოიყუანს, კაცსა პირიდალმან აესასულსა გაუგდებს, ქარსა¹ გააქრვებს.

კაცმან რომე ტარხუნა დანაყოს და ამისი წვენი გამოჰხადოს და სვას, ღრძილის სიმსივნისათვის მწოედ კარგი არის. კაცსა რომე სტომაქშიგა საქმელი დარჩომოდეს, იმას გაათხელებს. მაგრამე თუ კაცი ტარხუნას ბევრსა სჭამს, ბუშტს აწყენს, თესლსა და კაცობას მოაკლებს, წყურვილს აუგდებს, ყელსა და ხახასა აწყენს. თუ ამან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და გამაქარვებელი ნიახური და გილი არმანი არის.

20 აღყარყარჰა და უდულყარჰა, ორივე გარეულის ტარხუნის ძირსა ჰქუიან და ესეცა ამავე ტარხუნასავითა მხურვალი და ხმელი არის, ქარსა და ბალღამსა კაცის ტანიდალმან ორსავე გააქარვებს, ამა სახსრების ტკივილს უშველის, და ბევრის ფერის სენის წამლად მოიხმარების, და ყოვლის ფერის გრილის სენის წამალი არის და უფრო მობეროს კაცისათვის.

წყლის წიწმატი, მხურვალი და ხმელი არის, კაცსა საქმელსა მოაქარვებს, ბევრსა თესლსა ჩაუყენებს და კაცსა წელთა და თირმელთა გაუხურვებს, ღედაკაცთან მისულას მოანდომებს, ღედაკაცსა ბევრსა რძესა ჩაუყენებს და ქარს გაუგდებს.

30 შინაური პიტნა, მხურვალი და ხმელი არის და უფრო მოჰთადილი არის: ხილთებიდალმან გასწმედს, კაცმან რომე ან პიტნა და ან ამისი თესლი ორი ღირჰამი დანაყოს და გამოწუროს და ამისი წვენი სუას, გულსა და სტომაქსა კარგად მოუხდების და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალას მისცემს. ვინცა ესე პიტნა ერბოთა მოხარშოს და კამოს, ქარსა და წყალსა კარგად უზამს და წელის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის, კაცსა კაცობასა მატებს, ბევრს თესლს ჩაუყენებ და ღედაკაცთან მისულას მოანდომებს, და გერჩივნოს კაცმან კამოს

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

გერჩიენოს დანაყო, გამოსწურო და სუა, გერჩიენოს დანაყო და ზედ დაიდვა, ყოვლის გუარის სიმსიენისათვის კარგი არის და ყოვლსა სიმსიენსა უშველის და გააქარებებს.

ვინცა ესე პიტნა მოხარშოს, კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, იმას ასევე მაშინვე სისხლს დასწყუეტს და კიდევცა შეჰკრავს. ამა პიტნის წვენი რომე იარაყნიანსა კაცსა ასუან, შავისა და ყუითლის იარაყანისათვის, ორისათვისვე მწოედ კარგი არის. ამა პიტნის წვენითა რომე ქაფური გააყენონ და საქოჩრეს წინათ შუბლზედა დაიდვან, მაშინვე ცხვირის სისხლის დენას უშველის.

10 კაცმან რომე ბროწეულის შარბათი მოადულოს და ეს პიტნაც დანაყოს და შიგა გაუროოს და ან ეს შარბათი კაცმან ლოკოს ან სუას, იმა დედაკაცისათვის კარგი არის, რომე დედაკაცსა დედათ წესისაგან მუცელი და წელნი სტკიოდენ, იმას ორსავე უშველის. პიტნა რომე ჩრდილშიგა გაახმონ და რძეშიგა ჩააგდონ, ისი რძე აღარ შედედდების და აღარც ყუელად იქნების. დედაკაცმან რომე კაცის დაწოლას წინათ ესე პიტნა ასურვიმოს და წინას კარიდალმან აილოს და მასუკან კაცი მოუწვეს იმა დაწოლაზედა ისი დედაკაცი აღარ დაორსულდების. მაგრა თუ კაცი ამა პიტნასა ბევრსა სჭამს, კაცსა თავსა აატკივებს, კბილებსა აწყენს, ფირტუსა აზიანებს, ქარსა აუძრავს, ფხანასა შიიქს და მუნსა გამოასხავს. ამა პიტნამან კაცსა აწყინოს ამის წამალი სტაფილო არის, ჰამოს და ეშველებს.

20 გარეული პიტნა, მხურვალი და ხმელი არის, ღვიძლსა და სტომაქსა ორსავე არგებს და ძალს მისცემს და მწოედ გაამაგრებს, კაცსა საჭმელსა მოანდომებს, გულსა და ფირტუსა ძალსა მისცემს, რწყევას უკუუგდებს. კაცსა რომე მუცელშიგა ჰია ესხას, იმას დაჰხოცს. გუამისა და სტომაქიდალმან ბალღამსა და ხილთებს გააყენებს, ქარსა გააქარებებს, კაცსა შეჰკრავს და თუალთა სინათლესა მატებს, და კაცობასა მუდმივ მოანდომებს, და თესლსა ჩაუყენებს.

30 ნიახური, მესამეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცსა კაცობასა მწოედ მატებს, ყოვლს ფერსა ქარებსა დაღეწს და გააგდებს და მაშინვე შარღზედა გახსნის და კაცსა პირიდალმან კაისა სულსა ამოადენს და სისხნის სენისათვის მწოედ კარგი არის.

ვინც ტუხტი დანაყოს და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას, ყოვლი ფერი ტკივილი უშველოს.

პრასის თესლი, მხურვალი და ხმელი არის, კაცის გვამიდალმან ქარს გააქარებებს და კაცობას მწოედ ძალს მისცემს, კაცსა ბევრს თესლს ჩაუყენებს, და კაცსა მაშინვე შარღზედა გახსნის, და სოკოსა სენისათვის მწოედ კარგი არის, რომე კაცმან მოხარშოს, ეს პრასაკი

ჭამოს და ამისის ნახარშის წვენითა უკანა კარი გამოიბანოს და მერ-
მე კარგად განოიხოცოს. მაგრა ამისი ბუხარი ფიცხლავ დამალშივა
გაუფა, გვიან დაღნების, თუალთა აწყენს, თუალთა დაუბნელებს,
თავსა აატკივებს, სურავენდს აუშლის და კბილებს აწყენს.

10 ქინძის თესლი, გრილი და ნეღლი არის. კაცმან რომე ესე
ქინძი ჭამოს დამალშივა ავსა ბუხარსა არ გაუშვებს, კაცსა რომე სი-
ხისა და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს: და ქინძის თესლი ან
ჭამოს და ან დანაყოს და ძმრითა გააყენოს და თავ მტკივანმა კაც-
მან თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილს მაშინვე უშველის. სისხლი-
სა და საფრისა, ცხელებისა, სნებისა და იარაყნებისათვის და ყოვ-
ლის მხურვლის სენისათვის, ყუელასათვის მწოედ კარგი არის. კაცმან
რომე ესე ქინძი და ამისი თესლი დანაყოს და საკმელშივა გაუროს
და ისრე ჭამოს, ან კაცმან ქინძის თესლი ლეკოს, ყოვლსა მხურვალ-
სა სენსა კარგად მოუხდების და პირიდალმან კაისა სულსა ამოადენს
და რაცა კაცისა ასოშივა ტკივილი არის, ყუელას უშველის და გა-
აგდებს.

20 კაცმან რომე ქინძი დანაყოს და ძმრით ტლედ ქნას და მსივანსა
ალაგზედა დაიდვას, ყოვლის სიმსივნისათვის გამორჩეული წამალი და
ყოვლს სიმსივნესა გააქარვებს, და ტკივილსა და გატეხასა მაშინვე
გაუშვებს.

1 კაცსა რომე ცხვირსა სისხლი სდიოდეს ასრე უნდა: ესე ქინძის
თესლი დანაყონ და ორივე ცხვირი გამოუტენონ, მაშინვე ცხვირსა
სისხლს დასწყუეთს. ამა ქინძის წვენი მწოედ და მწოედისაგან უფრო
გრილი არის, ყოვლის მხურვლისა სენებისა აქიმი და წამალი არის.

კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, ორი ღირჭამი გაეზაბანის
წყალი და ორი ღირჭამი ამა ქინძის წვენი ერთგან აურონ და ასუნა,
მაშინვე სისხლსა დასწყუეტს და ყუნას უშველის.

30 ესე ქინძი რომე კაცმან ჭამოს, რწყევასა და მწარეს ბოყინსა
ორსავე უშველის და უკუუვდებს. ვინცა ქინძის წვენი თოვლითა გა-
აციოს და ცხვირშივა ჩაიწვეთოს, მაშინვე ცხვირსა სისხლი დასწყუ-
იტოს.

ვინცა ღვინითა და ან ბაქმაზითა ქინძი გააყენოს და პირშივა
იმგვიბოს, კაცსა ყელსა და ხახასა გაუხსნის და ხუნაყსა უშველის, და
ყოვლისა მხურვლის სენისა გამორჩეული წამალი არის და კაცსა მუ-
ცელშივა გახსნის. მაგრა თუ კაცი ბევრსა ქინძსა სჭამს კეკუსასა და
მცაებასა შეუშლის, ელფერსა წაუხდენს და გაუშავებს, თესლს გაუ-
შრობს. კაცმან რომე ორმოცი ღირჭამი და ან უფრო ცოტა ქინძის
წვენი სუნას, ისი კაცი უსათიოდ უნდა მოკუდეს და ან თეთრი ფერი

შეექნას. და ვისცა ტანზედა მსხმო ესხას, მოიტანე ვარდის ერბო უმარული, ვარდის ფოთოლი და თაფლი და ესეები ყუელა ამა ქინძის წვენითა გააყენონ და ვისცა მსხმო ესხას შესცხონ და ძალითა ღთისათა ყუელას უშველის.

ვინცა ქინძისა და მადანოზის წვენი ერთგან აურიოს და თვალშიგა გამოივლოს, შაბ ქურობა ეშველოს.

10 სალაათას თესლი, ვითამცდა ხავარტიო, ესე სალაათა გრილი და ნედლი არის, სისხლს დასწვავს და საფრას გააქარებებს. ესე სალაათას თესლი და ან სალაათა რომე კაცმან სიქანჯუბინითა ჭამოს, იარაყნისა სენისათუის მწოედ კარგი არის, და კაცმან რომე ჭამოს და ან უსუნოს, კაცსა ტკბილსა ძილსა მოგუროს. სურავანდისათვის, დამალისათვის და ან სიხმისაგან რომე კაცსა ახუელებდეს, ამავებისათვის ყუელასათვის მწოედ კარგი არის.

კაცსა რომე ან სისხლისა და საფრისა და ან სხვის სიმხურვალისაგან თავი სტკივოდეს, მოიტანე სალაათა, დანაყე ძმრით გააყენე და თავმტკივანს კაცსა სრულად თავზედა შესცხონ, თავის ტკივილსა უშველის.

20 ვინცა ესე სალაათა პირველ თავს ქუეშე ამოიდვას, მერმე დანაყოს და ამისა წვენითა ხელი და პირი დაიბანოს, კარგად მოისვენოს და ტკბილად დაიძინოს.

ვისცა სული უგუბდებოდეს და ესე სალაათა ჭამოს, სულის გუბება გაეხსნას. ვისცა ავმან წყალმან აწყინოს და ან წყალმან კაცი იუცხოვოს, მისთვის მწოედ კარგი არის და უშველის.

კაცმან რომე ესე სალაათა მარილითა და ძმრითა ჭამოს, თავის ტკივილს უშველის და სურავანდისათვის მწოედ კარგი და მარგე არის.

ყურმტკივანმა კაცმან რომე ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის ტკივილს უშველის. ვინცა სალაათა ჭამოს, იმ დღე ღამეს ეშმაკმა აღარ დასცეს.

30 ვინცა ღვინოზედ ესე სალაათა ჭამოს, ღვინო აღარ მოეკიდოს. კაცსა რომე სიმხურვალისაგან და სიხმისაგან თუალნი სტკივოდეს და ამისი წვენი თუალშიგა გამოივლოს, თუალის ტკივილი უშველოს.

კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს, მეტადრე მაშინ რომე ესე სალაათა ძმრითა ჭამონ. მაგრა თუ კაცი ბევრს სალაათასა სჭამს, კაცობას მოაკლებს, თესლს გაუხმობს, ქარინანსა სენებსა აუშლის, თუალთა დაუბნელებს. და თუ ამა სალაათასა კაცი გარცხის და ისრე სჭამს, ქარი ბევრი ექნების, და თუ წყალსა არ უჩვენებთ და ისრე სჭამთ, ქარი და წყალი ცოტა ექნების, და კაცი

ფიცხლადცა მოიღნობს. და თუ კაცსა ამა სალათამან აწყინოს ამის წამალი და გამქარვებელი პიტნა და ნიახური არის.

ისპანახი და ამისივ თესლი, ორივე გრილი და ნედლი არის, მაგრა ბალღამი ცოტა აქუს, კაცმან რომე ისპანახი ჭამოს ხუელას მაშინვე უშუელის, კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღბობს.

10 კაცსა რომე სიხმისაგან და სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს და ისპანახის თესლი დანაყოს და ძმრით გააყენოს და თავმტკივანსა კაცსა თავზედა შემოსცხოს, მაშინვე თავის ტკივილსა უშუელის, სისხლსა და საფრასა ორსავე მოჰკუეთს და გააცულებს. და წელის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის. ცხელებისა, სნებისა, იარაყნისა და მხურვლის იარაყნისათვის და ყოვლის ფერის მხურვლის და ხმელის¹ სენისათვის აქიმი და წამალი არის. მაგრა სტომაქ გრილს კაცსა არ მოუხდების და აწყენს. და თუ ამ ისპანახმან კაცსა აწყინოს. ამისი წამალი და გამქარვებელი ღარიჩინი, პილპილი, მიხაქი და მხურვალის საჭმელები და მაჯუნები არის, ჭამონ და ეშველები.

7 შაჰთარა, გრილი და ნედლი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღბობს, კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, და ან ამისი თესლი, და თუ თესლი არ იყოს; და თვითონ შაჰთარა ორი ღირაჰში დაუნაყო და ცივის წყლითა გაუყენო, გამოსწურო და უზმოსა ასუა, 20 სისხლსა დაამზობს, საფრასა და სიმხურვალეს გააცულებს, კაცსა მაშინვე გახსნის, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ორსავე კარგად მოუხდების, რომე ან დანაყოთ და ამისი წვენი ასუათ, ან ამა შაჰთარას შარბათი ასუათ და ან წმიდად დანაყოთ და გარედალმან ამისი ტლე გარდაკრათ და ყოვლის სიმხურვალის სენის აქიმი და წამალი არის, სნებისა, ცხელებისა, იარაყნებისა, მხურვალის ხადაყანისა და ყოვლის მხურვალის სენის წამალი არის.

30 ვინცა შაჰთარა დანაყოთ და ძმრით გააყენოს და მტკივანსა თავზედა შემოსდვას, თავის ტკივილი ეშველოს და სურაევანდსა მწოედ კარგად უზამს.

ქასნის თესლი, ვითამცა და ვარდის კაქაქიო, გრილი და ნედლი არის, ვინცა ამა ქასნის თესლი და ან ძირი დანაყოთ და წყალი გამოჰხადოს და უზმამან სუას, გულსა, ღვიძლსა² და სტომაქსა მწოედ ძალსა და წყალს მისცემს და ღვიძლის სუდას გახსნის. მხურვლისა და გრილის ავად ყოფაებისათვის ორისათვისვე მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, სისხლსა და საფრასა ორსავე დააწყინარებს, სისხისა, იარაყნისა, მიკრისისა, ხაფაყანისა, სნებისა, ცხე-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლებისა, ციებისა და ყოვლის ფერის სიმსივნისა რომე კაცი ან შიგნით ან გარეთ სივდეს, და ეს ქასნის წვენი სუას და ან გარედალმა დაიდვას, ყუელას წამალი არის. კაცსა რომე ძილშიგა და ან უმისოდ პირსა წყალი მოსდიოდეს და ესე ან ქამოს და ან დანაყოს და ამის წვენი პირშიგა იმგვიბოს, მაშინვე პირისა წყლისა დენას დასწყუეტს. და თუ დანაყონ და მიკრისზედა დაადვან, გატეხა და ტკივილი მაშინვე უშუელოს.

10 ეს ქასნის თესლი შავისა და ყუითლის იარაყნისათვის მწოედ დაცილილი წამალი არის. კაცი რომე ან ამავე იარაყნისაგან, ან სისხისაგან ან შიგნით და ან გარეთ სივდეს, მისთვის გამორჩეული წამალი არის. ამისი ჯულაბი კაცმან რომე უშაქროთ სუას, ყოვლის მხურვლის სენის აქიმი და გამორჩეული, თავი¹ წამალი არის, და მაშინვე გულს უკუტყრის და სტომაქს მოუგრილებს.

20 ვინცა ესე ვარდის კაქაქი დანაყოს და ამისი წვენითა ქერის ფქვილი ტლედ ქნას, გულსა და სტომაქზედან გარდააკრან,² გულის ფეთქასა და გულის თრთოლასა ორსავე უშველის, სიცხესა და სიმხურვალეს უკუტყრის, რწყევას უკუუგდებს და კაცსა მაშინვე მუტელშიგა შექკრავს. და ბრაზიანმან ძალმან რომე კაცსა უკბინოს და ან სხუამან მაწყინარმან მძრომელმან უცეს, ან გველმან, ან მორიელმან, ან გვირაქმან, ესე ქასნის ძირი დანაყონ და ამისი წყალი ასუან და ამა ქასნის ტლე ნაკებნზედაცა დასდვან, ყუელასათუის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, ამისთვის რომე ქასნი მოჰთადილი და შეზაგებული წამალი არის.

30 თოხმაქანი, ვითამცადა მსუქანა ბალახიო, გრილი და ნედლი არის, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა სამსავე კარგად უზამს და მწოედ მოუგრილებს და ძალსა მისცემს. კაცმან რომე ესე თოხმაქანის თესლი დანაყოს და დოლბანდის ნაქერშიგა გამოჰკრას და წყალშიგა დაალბოს და ამისი წყალი ავადმყოფსა ასუან, და ამისავე ფურცლისავე ტლეცა შემოსდვან; მაშინვე სიცხესა და სიმხურვალესა დაავსებს და გაუგდებს, და კაცსა მაშინვე შარდზედა გახსნის, სისხლსა და საფრასა ორსავე მოჰკუეტს და გააცუდებს, და ყოვლისა მხურვლისა სენისა აქიმი და გამორჩეული წამალი არის ცხელებისა, სნეებისა და ხაფაყანისა.

გავზაბანი, ვითამცადა ძირ წითელა ბალახიო, რომე შტოებსა იქს და ლურჯსა ყუავილს გამოისხავს. ესე გავზაბანი მეორეს წილ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² „გულსა და სტომაქზედა გარდააკრან“ ეს წინადადება სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

შიგა გრილი და ნედლი არის, სისხლსა და საფრას დაავსებს და დააწყნარებს, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს, ყოვლისა სევდიანისა სენისა აქიმი და გამორჩეული წამალი არის.

10 კაცსა რომე თავი სტკიოდეს და ამა გაეზაბანისა შარბათი ან ჯულაბი ასუან, მაშინვე თავის ტკივილს უშველის. ცხელებიანმან, სნებიანმან, ხაფაყანიანმან და ანუ სისხიანმან კაცმან რომე ამავე რიგად სუას ცხელებასა, სნებასა, ღვიძლსა, მჯდომსა, შავსა და ყუითელსა იარაყანსა, ხაფაყანსა და სისხასა და ყოვლსა სიმბურვალესა და სიმსივნესა, ყოვლსა სისხლისა, საფრისა და სევდისა სენებსა ყუელასა არგებს და უშველის.

კაცი რომე მუცელში შეკუროთ იყოს და ამავე რიგად სუას, მაშინვე გახსნის. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს და ან სისხლსა ფსემდეს და ან სისხლს არწყევდეს, სამსავე მოჰკუეთს, გულსა და სტომაქსა დაუღბობს და ამისი ტლეცა მწოედ კარგი არის, რომე შემოსდვან, ამა სენებსა ყუელას უშველის და უქირველად გაამთელებს¹.

20 ა ს ლ ი ჰ ი ნ დ უ ბ ა, ვითამცადა ვენახის ღიქაო, მეორეს წილშიგა მწოედ გრილი და ნედლი არის. კაცმან რომე ამ ვენახის ღიქის შარბათი სვას, და ან უშაქროდ ამისი ჯულაბი სვას, გულსა და სტომაქსა მწოედ ძალსა და წყალსა მისცემს, ღვიძლსა, თირკმელსა და ყოვლსა მჯდომისა და ვარამისა სენსა არგებს და ყუელას კარგად უზამს და სუდაებსა მაშინვე გახსნის. ეს ვენახის ღიქა სნებისა, იარაყანისა, სისხისა და მხურვლის ხაფაყანისა ყუელასი კარგი და გამორჩეული წამალი არის. და ერთსა კაცსა რომე ცხელება და ცივება შეეყაროს და ოცსა ღღემდისი ეცხელოს, ამა ცხელებისა და ცივებისათვის ამა ვენახის ღიქისთანა წამალი არ არის, რომე ან ამისი შარბათი და ან ამისი წვენი უშაქროდ ასვათ, ცხელებასა და ცივებასა მაშინვე უშველის. და კაცი რომე ან სნებისა, ან ცხელებისა და ან სხვის სიმბურვალისაგან გახურვებული იყოს და ამისი ტლე შემოსდვან, მაშინვე გულს უკუჰყარის, სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს და ყოვლსა მჯდომისა და ვარამისა სენისათვის გამორჩეული და მწოედ დაცდილი წამალი არის.

30 მ რ ა ვ ა ლ ძ ა რ ღ ვ ა, მრავალ ძარღვა მწოედ გრილი და ხმელი არის შემკარავი არის. კაცსა რომე რწყევა აუფარდეს და ამა მრავალძარღვას წვენი სვას, მაშინვე რწყევას უკუუგდებს, სისხლსა, საფრასა და

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ვარიანტის A მიხედვით. ტექსტში ამ სიტყვის მაგივრად სწერია „უშველის“

ყოველსა სიმბურვალესა დაავსებს. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს და ან სისხლსა არწყევდეს და ამა მრავალ ძარღვას წვენი სვას, მაშინვე სისხლს მოსწყუეტს და კაცსა შეჰკრავს, სნებასა, ცხელებასა, იარაყანსა, ხაფაყანსა და სისხასა ყუელასა მწოედ კარგად მოუხდებობს.

კაცსა რომე კბილებიდაღმან სისხლი სდიოდეს და ამა მრავალძარღვას წვენი ჰძრშივა იმგებიოს, მაშინვე კბილებიდაღმან სისხლის დენას უშველის და ტკივილსა ჰკურნებს.

10 ყაყაჩო, ჰირველსა წილშივა მწოედ გრილი და ხმელი არის, ყოველსა მხურვალსა და სნებლსა სენსა არგებს და კარგად მოუხდების, სნებასა, ცხელებასა, იარაყებებსა და სისხასა. მაგრამე სისხისათვის მწოედ გამორჩეული წამალი არის, რომე ამა ყაყაჩოსა წყალი გამოსწურონ, ცოტა შაქარი გაურიონ და ასვან, მაშინვე სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს, გულსა და ღვიძლსა მოუგრილებს და უკუჰყრის.

კაცი რომე მუცელშივა გახსნით იყოს, ან სისხლზედ იარებოდეს, იმ სისხლსა არწყევდეს, იმას ყუელასა უშველის და მოჰკუეთს და მჯღომსა მეტის მეტად უშველის და არგებს.

20 ვინცა ყაყაჩო დანაყოს და მხივანსა ალაგზედა დაიდვას, სიმსივნე გააქარვოს: ვინცა ყაყაჩოს ჰერჰე კევსავითა დეჰტს, კაცსა რაგინდარა ძველი და ძნელი თავის ტკივილი სჭირდეს, ყუელა უშველოს, და რაცა თავსა და დამალშივა სენი და ჰირი სჭირდეს ყუელა უშველოს, ჩამოილოს და გააქარვოს. ვინცა ამისივე წყალი ცხვირშივა ჩაიწვეთოს, რაცა კაცისა თავსა, ტვინსა და დამალშივა სენი და ელათი ჰქონდეს ყუელა უჭირველად გამოილოს, და სურავანდი ასრე დაუკარგოს, რომე მისთა დღეშივან აღარ გამოაჩნდეს.

50 ალიონი, ვითამცა და სატაცურიო, ამისი თესლი მეორეს წილშივა მხურვალე და ხმელი არის, და ეს ალიონის თესლი რომე კაცმან ორი დირჰამი ჰამოს კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს, ბევრსა კაცობას აქნევენებს, დედაკაცსა რძესა ჩაუყენებს, მაგრა თუ კაცი ბევრსა სჰამს, კაცსა თავსა ატკივებს. თუ ამან კაცსა აწყინოს ამისი წამალი თაფლი არის.

აქლილუ მულუქ, ვითამცადა ყუავის ჰანგას ბალახის თესლიო, რომე მიწაზედა გაენთხმის და მოკავებული თესლი აქუს. ესე ყუავის ჰანგა მეორეს წილშივა მხურვალე და ხმელი არის და სისხისა, გრილისა ხაფაყანისა, სოკოსა და ყოველის გრილის სენის წამალი არის, ყოველისა ბალღმისა და სევდისა სენისა წამალი არის, რომე ან მისი თესლი სჰამოს და ან გარედაღმან ტლედ დაიდვას. ვინცა ესე ყუა-

ვის ჰანგა, ზაფრანა და ვარდის ერბო ერთგან აურიონ, დანაყოს და გაცრას, მერმე კუერცხის ცილითა ტლედ გააკეთონ და უკანას კარზედა დაიდვას სოკო უშველოს და გაახმონ.

სადაფის თესლი, მზურვალი და ხმელი არის, კაცსა საქმელსა მოაქარებებს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა ორსავე უშველის, სისხისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე კაცმან ან ჰამოს, ან დანაყოს და გარედალმან ტლედ შგმოდევას. მაგრა კაცსა ბალღამსა შიქს და თესლსა სრულდობით გაუხმობს.

10 კაპარი, მზურვალი და ხმელი არის, ბალღამს გააქარებებს, ტყირპს მწოედ არგებს, ღვიძლისა და ტყირპისა, ორსავე სუღის გახსნის. ამა კაპარისა ძირის ტყავი კაპარის¹ ფოთოლისაგან უფრო ხასიათიანი არის და კაცსა მაშინვე შარღზედა გახსნის, და ღედა-კაცსა რომე ღედათ წესი შეეკრას და ეს კაპარი დანაყოს და ცოტა წვენი გამოხადოს, ცოტა შაქარი გაურიოს და სუას, მაშინვე გზას გაუხსნის და ჩამოადენს.

20 ფარიავ შან ჰალნი და ავსანთინი რუმი, ორივე აბზინდა ბალახსა ჰქეინ, და ესე აბზინდას ბალახი მზურვალი და ხმელი არის, გრილსა სტომაქსა და გრილსა ღვიძლსა ორსავე მწოედ არგებს. რაც კაცისა სტომაქსაშიგა ან ბალღამს, ან სეფდა და ან ქარი არის, ყუელას დაღეწს და გააქარებებს.

კაცსა რომე სტომაქი გაუციფლეს და წიუხდეს, რომე ვადი შარ-თლად საქმელსა ველარა იქარებდეს, ამას სომავე უშველის, კაცისა გულსა და სტომაქსა გაათბობს და გააძლიანებს. ეს აბზინდას წვენი რომე ან შარბათად ქნან და ისრე სუან, და ან უშაქროთ ამისი ჯუ-ლაბი სუან, ტყირპის ტყივილისა და ტყირპის სუღას გახსნისათვის უცხოფრად მწოედ კარგი არის და მრავალჯერ დაცდილი.

ვინცა ორი ღირჰამი აბზინდას ერბო ქინძის წყლით გააყენოს და ან იარაყნიანსა და ან სისხიანსა კაცსა უზმოსა ასუან, სისხა და იარაყანი ორივე უშველოს და სუსტი სტომაქი გააძლიანოს.

30 კაცსა რომე სიგრილისა და სიცივისაგან თავი სტკიფოდეს ან ფილენჯის ქარი სქირდეს და თბილთბილი ამისი ერბო შეიცხოონ, თავისა და სახსრების ტყივილსა ორსავე უშველის, ქარსა გააგდებს.

კაცსა რომე ყურშიგა ქია უსხდეს და თბილთბილი ამისი ზეთი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ქიას მოჰკლავს და ყურის ტყივილს უშველის.

ღედაკაცსა რომე ღედათ წესი დახუთვილი ჰქონდეს და ამაგ რივად თბილთბილი მუცელზედა შეისვას, ღედათ წესსა მაშინვე ჩამოუშლის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვისცა თუალნისტიკოდეს და თბილთბილი ამისი ზეთი და ან წყალი შეისოს, თუალის ტკივილი უშველოს. ვინცა ამისი ზეთი მაღალად შექნას და სუსტსა ტანსა და ასოზედა შეისვას, ასო დააძალიანოს.

ზ. ესე ბაბი ხილებიხა სევათხა და ხასითახა გიაშბობს¹. ა ხ ა ლ ი . შ ა ქ ა რ ი პირველსა წილშიგა მხურვალე და ნედლი არის და ძველი შაქარი მხურვალე და ხმელი არის. ესე შაქარი რომე კაცმან ჰამოს, ხუელისათვის, მკერდისა და ყელის დაღბობისათვის მწოედ კარგი არის და კაცს კარგსა სისხლსა ჩაუყენებს, ყოლინჯსა და სუდასა 10 ორსავე გახსნის და რაგინდარა წამალი რომე კაცმან ამა შაქრითა მოადულოს, შარბათად ქნას და სვას, ამ შაქრის ხასიათი ეს არის რომე რასაც წამლებშიგა გაურეფთ, იმა წამლების ხასიათსა, ყოვლსა ასოსა და სტომაქსა არგებს და მიახვედრებს, და ყოვლსა ასოსა და ძარღვსა გაუყოფს და წყალსა ასვამს.

აგრევე წითელი შაქარი ქარისათვის მწოედ კარგი არის, ბალღამს დასწვავს და დაამწიფებს, თიაქარმან და ან მუცელში ჩხვერამან რომე კაცი შეკრას, იმას მაშინვე დააღბობს, გახსნის და ძარღვებსა დაამაგრებს. და ყოვლი შაქარი რასაც უფრო ძველი არის, უფრო და უფრო ძალსა და ხასიათსა იმატებს, კაცსა გულსა და 20 მკერდსა დაუღბობს და ბალღამსა გააქარეებს. და ესე შაქარი რომე კაცმან ნუშის ზეთითა სვას, მაშინვე კაცსა გახსნის და ყირმიზი შაქარი კაცსა მწოედ მოაწყურებს. და კაცმან რომე ცოტა წყალი დაასხას და მოადულოს და ქაფი მოჰხადოს და მასუკან სვას, წყურვილს აღარ აუღდებს.

და თეთრი შაქარი ყოვლს შაქარსა სჯობს და ყოვლის ფერის ავადყოფისა კაი და მაშუნე არის, და შაქრის ლერწამიცა კიდევე ახლის შაქრის ხასიათითა არის, მაგრამე ქარი აქუს.

თ ა ფ ლ ი მხურვალე და ხმელი არის. სუდას მაშინვე გახსნის და ბალღამს მოჰკუეთს, კაცსა საკმელსა მოანდომებს და საკმელსა 30 კარგად შიარგებს: კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღბობს და ძალს მისცემს, ასოსა და ძარღვებსა დააძალიანებს, გულსა და სტომაქსა წყალს მოსწმედს და კაცსა მთლად ამყოფებს. კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურებს, დედაკაცთან მისულას მოანდომებს, ქარსა და ასოების სისუსტესა გაუგდებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, დაქირულს შარდს გახსნის, და სრულად ყოვლის ფერის გრილის სენის აქიმი და წამალი არის, რომე ესე სენი ან ბალღამისა და ან სევდისაგან შვი-

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავი „ვ“ სწორია დედნის ხელით და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „ზ“.

რდეს. სისხისა ქარისა, სოკოსა, გრილის ხაფაყანისა და ცივებისა, ამა ყუელასი კაი და გამორჩეული წამალი არის, რომე სივრილითა სპირდეს, და უფრო სტომაქ გრილისა და მობეროს კაციასათვის მწოდ მარგე და შესაფერი წამალი არის.

10 მაგრა ბევრის თაფლის ჰამა სისხლს დასწევას, საფრას გჳაძალიანებს, მაგრა მაშინვე კაცსა მუცელშიგა გახსნის. და თუ ამა თაფლმან კაცსა აწყინოს, ამისი მშველე და წამალი მეთვე საქმელი არის, მეთვე შარბათები და მეთვე ხილები არის, მეთვე ბროწეული, ლიმო, ისრიმი, კოწახური თუთუბო, უშხუნი, მოცხარი და მეთუნა სვან და ესევე ჰამონ.

ისრიმი, პირველს წილშიგა გრილი და ხმელი არის, სისხლსა და საფრასა ორსავე დააწყინარებს და გააქარეებს, კაცსა წყურვილსა და რწყევასა ორსავე უკუუგდებს, სტომაქ მხურვალის კაციასათვის და მხურვლის ღვიძლისათვის ორისათვისვე მწოდ კარგი არის. კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, მაშინვე კაცსა შეჰკრავს და აღუღებულსა სისხლსა და საფრასა დაადუმებს და დაავსებს, კაცსა საკმელსა კარგად შიარგებს და კიდევ აღრე მოანდომებს.

20 კაცსა რომე სიციხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ან სისხლისა და საფრისაგან კაცსა აციხელებდეს, და ან იარაყანი სპირდეს, ან ღვიძლითა და ან სნებითა ავად იყოს, ამავებისათვის, ყუელასათვის მწოდ კარგი და გამორჩენილი წამალი არის, მაგრა ქარი სდევს.

30 აწე თუ კაცსა ამა ისრიმმან აწყინოს, ამისი წამალი და ისლაჰი გვილან გვიბინითა და შავი ყურძნითა არის. და ამა ისრიმის უკეთესი ის არის, რომე ისრიმი დანაყო და გამოწურო და მინაშიგა ჩაასხა და ამა მინითა ოცდაათსა დღესა მზესა გაუდგან და მას უკან როსცა კაცსა უნდოდეს და ან ეკირებოდეს იხმარონ, ჰამონ და სვან, მწოდ კარგი და მაშუნე მეთვე არის. და რაცა ზემო ან სისხლისა, ან საფრისა, ან ღვიძლისა და ან თავის ტკივილისა და სხვის მხურვლისა სენებისა წამლად გვითქუამს და დაგვიწერია, ყუელასათვის კარგი და მარგე არის.

ყურძენი, მესამეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, გულსა და სტომაქსა დაალბობს, კაცსა გახსნის და გაასუქებს, წელთა და თირკმელთა გაუთბობს, კაცსა კაცობასა მოანდომებს. ახლად მოწყუეტილი ყურძენი რომე ცოტასა ხანსა დაჰკიდონ, და შეინახონ და მერმე ჰამონ, და თუ კაცი ამა ყურძნისა ტყავსა, კურკასა და ხორცსა სამსავე ერთგან სჰამს უსათუოდ კაცსა აწყენს, და ახლად მოწყუეტილი ყურძენი რომე კაცმან ჰამოს, კაცსა შარდსა შეუხუთავს

და მუცელშიკი გახსნის და რაც ყურძნისა ხასიათი არის თუ კურ-
კითა სკამენ, ყუელა წახდების და სტომაქ მხურვალსა კაცსაცა აწყენს,
ეგების კოტა ჭამოს და მისთვის არ აწყინოს. და თუ ყურძენმან
კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ნაწყენის გამაქარვებელი მუევე სა-
ქმლები და მუევე შარბათები არის.

10 ხმელი ყურძენი მხურვალი და ნედლი არის, ღვიძლსა და სტო-
მაქსა მწოედ ძალს მისცემს, მეკრდსა და ფირტუსა მწოედ არგებს,
კაცსა ჭკუასა და გულსყურს მოუმატებს, მაგრა სტომაქ მხურვალსა
კაცსა სისხლს დაუწვავს და საფრას დააძალიანებს. და კაცი თუ
კურკით ყურძენსა სკაშს, კაცს რომე წელშიგა მუწუჟი და ან სხვა
მსხმო ესხას მისთვის მწოედ კარგი არის და სხვის სენებისათვის
კურკით ჭამა კარგი არ არის.

მაჰშად ფელამბარმან ბრძანა: ხმელის ყურძნის კურკით ჭამა
კაცსა შრავალსა სენსა და ჭირსა აუძრავსო, და უკურკოთ რომე
კაცმან ყურძენი ჭამოსო, ბევრს სენსა გააქარვებსო.

კიდევ მაჰშად ფელამბარმან ბრძანა: დილეულ უზმომ ოცდა
ათერთმეტე მარცვალი ხმელი ყურძენი ჭამოსო იმ დღეს კაცსა ჭი-
რთ არასათვის არ შეეყაროსო.

20 კიდევე აქიმთა დადებული და ნათქუამი ასრე არის: ვინცა პუ-
რი და წითელი ყურძენი ხშირად ჭამოსო, ის კაცი მისთა დღეში
აქიმის მინათი არ შეიქნასო და აღარც ასეთი სენი შეექნასო, რომე
აქიმილა მოუნდესო.

ბაქმაზი, მხურვალი და ხმელი არის, კაცისა გულსა და სტო-
მაქსა კარგად მოუხდების, მობეროს კაცსა არგებს, მაგრამე სისხლს
დასწვავს და წახდენს და საფრას გააძალიანებს. აწე ამისი შექნა
ასრე უნდა: მოიტანე...¹

30 ყორავა, გრილი და ხმელი არის, გულსა და ღვიძლსა არგებს
და დააძალიანებს სისხლსა და საფრას გაუცუდებს, სიმხურვალისა-
თვის, თავის ტკივილისათვის, იარაყნისთვის და ყოვლის ფერის
მხურვალის სენის წამალი არის, კაცსა მუცელშიგა შეჰკარავს, საქმელს
მოუქარვებს და კიდევე ახლად მოანდომებს. აწე ამისი შექნა ასრე
უნდა: მოიტანე...¹

ღვინო, პირველსა წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაც-
სა ამისი სმა გაახურვებს და წამოაჭებებს, კაცსა გაამხიარულებს.

¹ აქ დედანში და ვარიანტებში A და B ოთხი სტრიქონი ცალიერი ადგი-
ლია დატოვებული.

² დედანში და ვარიანტებში სამი სტრიქონი ცალიერი ადგილია დატო-
ვებული.

წელთა და თირკმელთა გაუხურებებს, კაცსა მწოიდ ღვდაკაცთან მი-
სულას მოანდომებს, კაცსა სისხლსა და თესლსა ორსავე ბევრს ჩა-
უყენებს და თვითან ეს ღვინოცა კარგ სისხლად გარდაიქცევის.

10 მაგრა თუ კაცი ბევრს ღვინოსა სვამს, კაცსა აწყენს და ღვიძლს
დაუკოდს, თავსა და ხელფეხსა აუთრთოლებს, თუალთა ცრემლთა
და წუწსა მოადენს. მაგრა აქიმთა და შემტუობთა კაცთა ღვინო და
მარილი ერთგან დაუღებია და ღვინოცა მარილისათვის მიუმსგავსე-
ბია, ამისთვის რომე ორივე მხურვალნი და ხმელნი არიან. თუ კაცი
საქმელშიგა მარილსა ცოტასა და ზომიერად ჩაურევს, გემოცა კარ-
გი ექნების და კაცსაცა კარგად დააზუნდების. და თუ კაცი საქმელ-
შიგა ბევრს მარილს ჩაურევს და ან შლაშესა იქს, კაცსა აწყენს და
20 არცა კაცსა იამების, ისრევე ესე ღვინო არის, თუ კაცი ცოტასა
სვამს და ზომიერსა, კაცსა კარგად დააზუნდების, და თუ კაცი ბევრ-
სა სვამს მწოიდ აწყენს, და კაცი ღვინის თრიაქი შეიქნების. აგ-
რევე თუ კაცი ღვინოსა პირვიწროსა სასმლითა სვამს, უფრო ადრე
დაითრობის, და თუ პირფართოსა სასმლითა სვამს, გვიან დაითრო-
ბის, ამისთვის რომე თუ პირვიწროსა სასმლითა სვამს, ღვინის სული
და ძალი მაშინვე ტვინსა და დამალშიგა ეცემის და მისთვის ადრე
დაითრობის და ეს ღვინის სული ადრე დაათრობს. და თუ პირ-
ფართოთა სვამს, ღვინის სული დაითრატვის და აღარ დაითრობის.

20 ძმარი, შესამე წილშიგა გრილი და ხმელი არის, კაცმან
რომე ამა ძმარსა უსუნოს, ამისი სუნება ტვინსა და დამალსა მწოიდ
არგებს, და კაცსა რომე ან სისხლისაგან და ან საფრისაგან თავი და
საფეთქლები სტკიოდეს, და ეს ძმარი კაცმან ან საქმლითა ჰამოს
და ან საფეთქელსა და თავზედ შემოიციხოს, თავის ტკივილსა მაშინ-
ვე უშველის, შეტადრე მაშინ, რომე ამა ძმართა ან სანდალი და ან
ფუფალი, ან გილი არმანი და თინი მიხთუმი შეიციხონ. ან სალათას
თესლი დანაყონ, გაურიონ და ამითა იმა სამისაგან ერთ ერთი გამო-
ლესონ და ისრე შეიციხონ. კაცსა რომე სიციხისა და ან სიმხურვალის-
30 საგან ან ღვიძლი, და ან სტომაქი სტკიოდეს და ეს ძმარი ან საქ-
მელშიგან გუარიონ, და ან შაქრითა შარბათად შექნან და ისრე
სვან და ამავე სანდლითა და ან გილი არმანითა და ან სალათას
თესლითა ტლედ ქნან და გულსა და ღვიძლზედა შემოსდვან, მაშინ-
ვე თავისა, ღვიძლისა და სტომაქის ტკივილსა სამსავე უშველის. კა-
ცი რომე ან სისხისა და ან იარაყნისაგან და ან სხვის პირისაგან
სივდეს და ეს ძმარი დასციხო, მაშინვე სიმსიენესა დააციხრობს.

კაცი რომე ნამთურალევი იყოს და ან ხუმარი იყოს და ამა
მიზეზითა თავი სტკიოდეს და ძმარიანი საქმელი ჰამოს, ან ძმარიანი

შარბათი სვას, მაშინვე გულს უკუპყრის და საკმელს კიდევ ადრე მონადომებს, კაცსა მუცელშიგა შეტყარავს.

კაცმან რომე ამა ძმრითა და შაქრითა სიქანჯუბინი ქნას და სვას, ყოვლის სიმზურვალის სენის წამალი არის და უშველის. ვინცა ძმარი და ყაყაჩოს წვენი თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილი უშველის.

10 ტკბილი ბროწეული, მზურვალი და ნედლი არის, კაცის სტომაქშიგა რომე საფრა ნახოს, ესეცა იმათ გარდაიქცევის, მაგრა კაცსა მკერდსა და ყელსა ორსავე¹ დაულობს, ტვინსა და დამალსა ძალსა მისცემს და თესლს ჩაუყენებს.

21 მჟავე ბროწეული, გრილი და ხმელი არის, კაცსა წყურვილსა მოუკლავს, რწყევასა უკუუგდებს, სისხლსა და საფრას გაატუდებს. გულსა, ღვიძლისა, სტომაქისათვის, სამისათვისვე მწოდ კარგი და მარგე არის. კაცსა გულსა გაუმზიარულებს, მზურვალის ხაფაყანისათვის, ცხელებისათვის და სნებისათვის, და შავისა და ყუითლის იარაყნებისათვის, ყუელასათვის მწოდ კაი წამალი არის. და კაცსა ამისი წვენი კი გახსნის და კურკა კი შეტყარავს. მჟავე და ტკბილი ბროწეული რომე კაცმან ერთგან ჭამოს, რაც ბროწეულის ქარი არის ყუელას გაუგდებს და უშველის. მოიტანე მჟავე და ტკბილი ბროწეული, რომე თუალი ჯერ ახლად შერთოდეს, და ტყავი გაჭხადონ, დამარტულონ და კურკითავე ავანშიგა დანაყონ და ამისი წყალი გამოჭხადონ და ასი ღირჭამი ამა ბროწეულის წყალი და ოცი ღირჭამი კაი შაქარი გაურიონ, შარბათად ქნან და უზმომან სვან, სტომაქისა ბაყლსა და ბალღამსა ორსავე გასწმედს და საფრისა სიცხეს და სიმწარესა ორსავე გააქარებებს. ვინიცის და ბერმან კაცმან შეცთომით სვას და აწყინოს, ამაზედა ან ნარინჯი და ან თურინჯი ჭამოს და მაშინვე ამის ნაწყენს გააქარებებს.

30 ტკბილი ნუში, მოპთადილი და შეზავებული არის, ამისი ჭამა კაცსა გაასუქებს და ყველასათვის ამა ნუშის ჭამა მწოდ კარგი არის ღვიძლსა, ფირტუსა, და ტყირჰსა სამსავე სუდას გაუხსნის, კაცსა ბევრსა თესლსა ჩაუყენებს, გულსა და სტომაქსა დაულობს.

ასრე უნდა კაცმან ესე ნუში ლეღვითა ჭამოს. მაგრა თუ კაცი ამა ნუშსა ბევრსა სჭამს, თოხმა შეიქნების და გულზედა დაადგების და მერმე მუცელშიგა დაღებების და ხილთად გარდაიქცევის და მერმე კაცსა წინიდაღმა და უკანიდაღმან სწორად გახსნის. და თუ კაცი მარილითა სჭამს, მაშინვე კაცსა მუცელშიგა გახსნის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინცა ღვინის სმაშიგა ნუში ქამოს, გვიან დაითროს. ვინცა ამა ნუშის ზეთი თბილთბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს. და სილისა სენისათვის და მჭულისათვის ამისი ზეთი, ორისათვისვე მწოდ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე თბილთბილი შეიცხონ.

10 მწარე ნუში, მხურვალი და ხმელი არის, კაცისა ასოსა და ტანიდალმან ქარსა გააგდებს. სტომაქ გრილმან კაცმან რომე ქამოს, არგებს. ამისი ზეთი რომე კაცმან მტკივანს ყურშიგა თბილთბილი ჩაიწურუს, ყურის ტკივილსა უშველის. ამავე რიგად რომე ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილსა, ყურის ბუილსა ორსავე უშველის და გააქარვებს.

ვაშლი, ტკბილი ვაშლი გრილი და ნედლი არის და მუჟევე ვაშლი გრილი და ხმელი არის და უფრო მოჰათადილობა ეთქმის. ვარდის წყლითა რომე მოხარშოს და კაცმან ვაშლი ქამოს, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის, გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს და კაცსა შეჰკრავს.

20 კაცსა რომე მორიელმან უცეს და ვაშლის წვენი ასვან და დანაყილი ვაშლი ნაკბენზედაცა დასდვან, მორიელის ნაკბენსა უშველის. მაგრა ბევრის ვაშლის ქამა საფრას გააძალიანებს, ქარს აუშლის.

თუ კაცმან ბევრი ვაშლი ქამოს და აწყინოს, ამის წამალი და გამჟარებელი ჯავარიში ჯალინოზითა, გვილბა შაქრითა, გვილან გვიბინითა და პიტნითა არის.

30 სხალი, გრილი და ხმელი არის და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს. თუ ესე სხალი არ მწოდ წყლიანი არის, მაგრა საფრას გააქარვებს, და კაცსა წყურვილსა მოუკლავს, გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს. რწყევას უკუუგდებს სუდასა და გუამსა ორსავე გახსნის და მწოდ ძალს მისცემს, და ყოვლის ხილისაგან ესე სხალი კაცსა გულსა უფრო გაუძღებს და ბარაქიანიც არის. და საქმელსა უკანა რომე კაცმან ესე ხილი ქამოს, თავსა და დამალშიგა ავსა ბუხარსა აღარ გაუშვებს და ბერისა და სტომაქ გრილის კაცისათვის არ ვარგა. და კაცსა კოლინჯსა და თიაქარსა შიაქს და ქარსა აუძრავს. და თუ ამ სხალმან კაცსა აწყინოს, ამის წამალი და მამუნე ზანჯაფილი ფარგარდა, მხურვალი მაჯუნები და ბაზბაზი არის.

ბია, ორი რიგი არის, ტკბილი ბია გრილი და ნედლი არის და მუჟევე ბია გრილი და ხმელი არის. ესე ორივე გვარი ბია სტომაქსა მწოდ ძალს მისცემს და კაცსა მუცელშიგა ორივე შეჰკრავს. რწყევასა და წყურვილსა ორივე უკუ უგდებს, კაცსა შარდზედა მაშინვე გახსნის, მეტადრე მაშინ რომე ეს ბია კაცმან მოხარშოს თათლი-

თა და ჰამოს. შარდზედ მწოედ ვახსნის. და ამა ბიის ხორცის¹ ჰამასა წვენის ჰამა მწოედ სჯობს, რომე კაცმან გამოწუროს და სეას, ან ბია დაღეკოს, წვენი ჩაყლაპოს და ბიის ხორცი კი გამოყაროს. ესე ბიის წვენი გულსა და ლეიძლსა მწოედ არგებს და ამავე ორსავე ასოსა დააძალიანებს.

საჰმელს უკან რომე კაცმან ბია ჰამოს, კაცსა მაშინვე ვახსნის და ამა ბიისა სული ტეინსა, დამაღსა, გულსა, ლეიძლსა და სტომაქსა მწოედ ძალს მისცემს, და ამისი წვენი რომე ნარშარაბი არის სუსანდარას სენისათვის მწოედ კარგი არის. სუსანდარა სიმბურგალითა სისხლზედა ყუანასა ჰქეიან.

10

მაგრა ესე ბია კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების და შირიმისა ჰეასა გაამაგრებს, და თუ კაცი ბევრსა სჰამს, ძარღვებს დაუსუსტებს. და თუ ამა ბიამან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი თაფლი არის და ბიის ნაწყენსა მაშინვე უშეეღის. და ამა ბიისა უკეთესი ის არის, რომე დიდი და შემოსული და დამჰქნარი ბია იყოს.

ატამი, მეორეს წილშიგა მწოედ გრილი და ნედლი არის, კაცსა საჰმელსა მოანდომებს. სნებასა, ცხელებასა, შავსა და ყუითელსა იარაყანსა, მხურვალს ხაფაყანსა, მხურვალს სისხასა და ყოველსა მხურვალსა სენსა, რომე ან სისხლისა და ან საფრისაგან იყოს, ყუელას არაღებს და ყუელასათვის აქიმი და წამალი არის. რომე ან ამა ატმისა წვენი გამოჰხადონ და სეან. და ან გაფცქუნან და ჰამონ.

20

მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების და ამისათვის ამის ხორცის ჰამასა. წვენის ჰამა სჯობს. სტომაქ მხურვალს კაცსა და ყოველსა მხურვალს სენსა კარგად მოუხდების. კაცსა ატმის ჰამა ბევრს თესლს ჩაუყენებს და კაცსა მწოედ ძალსა მისცემს და გახურვებულსა და გაცხელებულს კაცსა რომე ამა ატმის წვენი ან ასვან და ან აჰამონ, ყოველსა სიმბურვალესა უქირველად გაავადებს და გააცულებს.

30

მაგრა საჰმლისაგან ეს ატამი უწინ უნდა აჰამონ და ასვან. მაგრა კაცის სტომაქშიგა გვიან დადნების და ბალდამს მატებს. და თუ კაცი ბევრსა ატამსა სჰამს, ცხელებასა და ცივებასა აუგდებს. და თუ სტომაქ გრილმან და ან ბერმან კაცმან ჰამოს და აწყინოს, ამისი წამალი ის არის, ამაზედა ან თაფლი, ან სანჯაფილი ფარეარდა ან მხურვალის მაჯუნები, ან სანანებელი და ეგირი ჰამონ და ეშველების.

ჰერამი, გრილი და ნედლი არის, კაცის გულსა და სტომაქსა კარგად მოუხდების და მწოედ მოუგრილებს. კაცსა მაშინვე

¹) ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მუცელშიგა გახსნის და წყურვილსა მოუკლავს. კაცსა რომე გვამი-
დაღმან პირშიგა ავი სული ამოსდიოდეს, ამას გაუგდებს. ცხელები-
სა, სნებისა, იარაყნისა და ყოვლის მხურვლის სენისათუას წამალი
და აქიმში არის, მეტადრე მაშინ რომე ესე ავადმყოფი მუცელშიგა
შეკურითცა იყოს. მაგრა კაცის სტომაქშიგა ფიცხლად წახდების
და კაცსა გვამსა და სტომაქშიგა რაცა ხილთი დახუდების თვითანცა
ამა ხილთად გარდაიქცევის. და სტომაქ გრილსა კაცსა აწყენს და
გვამშიგა ბალღამსა დაბადებს, და თუ ამა ჰერემმან კაცსა აწყინოს,
ამისი წამალი სიქან ჯუბინი, ან კევი და ან დანამასტაკი არის.

10

თ ე მ რ ი ჰ ი ნ დ ი, გრილი და ნელლი არის, მაგრა უფრო მოჰ-
თადილი და შეზავებული არის. კაცი რომე სიმხურვალისაგან მუ-
ცელშიგა შეკურით იყოს და ამა თემრი ჰინდისა წვენი ან სვას ან
ჰამოს, რაგინდარა ძნელად შეკრული იყოს, მაშინვე გახსნის, გულსა
და სტომაქსა დაულობს და სიცხესა და სიმხურვალესა გააცუდებს,
წყურვილს მოუკლავს, რწყევას უკუუგდებს. კაცსა რომე სისხლისა
და საფურის ან სხვის სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკი-
ოდეს, და ამ თაბლი ჰინდის შარბათი და ან უშაქროთ ამისი ჯუ-
ლაბი ასვათ, თავისა და საფეთქლების ტკივილსა მაშინვე ჯშველის,
გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს. კაცსა რომე
ღვინომან ღვიძლი დაუკიდოს და ამა თაბლი ჰინდის შარბათი¹ და
ან მისი ჯულაბი სვას, მისთვის მწოედ გამორჩეული წამალი არის,
სიცხესა და სიმხურვალესა მაშინვე გაუგდებს, გულს უკუჰყრის და
ღვიძლს მოუგრილებს.

20

კაცსა რომე გულზედა საკმელი დაადრკეს და ამა მიზნითა-
ემთილა და აიაზა შექნილიყოს და ამისი შარბათი ასვა, იმა ემთი-
ლასა უშველის და მაშინვე იმა საკმელსა მოაქარვებს და კიდევ სა-
კმელსა ადრევე მოაქარვებს და მოანდომებს. კაცი რომე ან სნებითა,
ან ცხელებითა, ან იარაყნითა და ან სხვის სიმხურვალითა ავად იყოს
და ესე თაბლი ჰინდისა თაბიათი ყოვლისა გვარისა სიმხურვალისა
აქიმში არის, მეტადრე მაშინ რომე ესე სნეული მუცელშიგა შეკუ-
რითცა იყოს და ღვიძლისათვის მეტად კარგი არის, მეტადრე მაშინ
რომე ეს ღვიძლი ღვინისაგან სტკიოდეს. და ვერა მჟავე ამა თემრი
ჰინდის ვერ ეღარების და ამისმეტი ყოვლი მჟავე შემკურელი არის.

30

ხ ა რ თ უ თ ა, გრილი და ხმელი არის, კაცსა მაშინვე შეჰკრავს.
რწყევას უკუუგდებს, წყურვილს მოუკლავს, გულსა და ღვიძლსა მწოედ
არგებს. კაცმან რომე ამა ხართუთისა წვენი წყალშიგა აღრიოს და

¹ ეს სიტყვა სტრიქოსს ხვრთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

პირშიგა, იმგუბოს ყელის ტკივილს უშველის, სისხლს დასწმედს და საფრას მოჰკუეთს და გააქარეებს. კაცსა საქმელსა მოაქარეებს და კიდევ ადრე მონადომებს. გულსა, ლეიძლსა, იარაყანსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა მწოედ არგებს, სნებასა და ცხელებასა მწოედ კარგად მოუხდების, და თაბლი ჰინდსა აგეთს არას ჩამოუვლის. და თუ ამან კაცსა აწყინოს, ამის წამალი ათრაფილი საღირი არის, ვითამცა და წურილის სამყურის მაჯუნნი ჰამოს და ეშველებს.

10 თუთა, ეს მართალი თუთა მხურვალი და ნედლი არის, ამისი ჰამა სისხლსა წაახდენს, სტომაქს აწყენს, თავსა ატკივებს. კაცსა მუცელში გახსნის. მაგრა კაცსა ყელსა დაუღობებს და ბევრსა თესლსა ჩაუყენებს.

ნაჟევი და ინდოური ნიგოზი ორივე მხურვალი და ნედლი არის, ტვინსა, დამალსა ორივე დააღობებს, წელსა და თირკუმელთა გაუხურეებს, კაცსა კაცობასა მატებს. ბევრს თესლს ჩაუყენებს, ქარსა გაუყენებს, გრილსა გულსა, ლეიძლსა, ფირტუასა და თირკმელთა ყუელას არგებს და ყოვლსა გრილსა სენსა კარგად მოუხდების, სტომაქსა მწოედ კარგად დაშუენდების.

20 კაცსა რომე გული ერეოდეს და ესე ჰამოს, გულის რევასა უკუუღდებს, ბალღმიანისა ხველისათვის მწოედ კარგი არის, რომე კაცმან ჰამოს.

მართალი ნიგოზი, ძველი ნიგოზი მხურვალი და ხმელი არის, კაცსა შეჰკრავს, საფრას მოუმატებს, კაცსა თავსა აატკივებს და ბაგებსა და ლაშებსა აუბებრებს, და ცხელებასა მოგურის. და ვაჟმან კაცმან არ უნდა ჰამოს თვარემ აწყენს, საფრას დასწვაეს და სევდას გააძალიანებს.

ახალი ნიგოზი, მხურვალი და ნედლი არის, კაცის სტომაქშიგა ფიცხლად დადნების და კაცსა ბევრსა თესლს ჩაუყენებს.

30 ხმელი ნიგოზი და ლეღვი მოწამლულის კაცისათვის და გველისა და მორიელის ნაცემის კაცისათვის მწოედ კარგი წამალი არის. და რაცა ასეთი სიმსიენე არის, რომე კაცსა სევდისაგან წაჰკიდებოდეს, ყუელას უსათუოდ უშველის და კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის. და თუ კაცსა მუცელშიგა მატლი ასხია, ყუელას დაჰხოცს. ბრანჯიანის ძაღლის ნაკბენზედა რომე დაადვან, მწოედ კარგი არის და უშველის.

სტომაქ გრილმან კაცმან რომე ჰამოს, მწოედ კარგად მოუხდების, და სტომაქ მხურვალსა კაცსა აწყენს, მაშინვე ხუელას აუგდებს და ამისი ძველი ნიგოზი რომე ერთის წლისა ვითმე და ან უფრო იყოს, საწამლაეს უარ არის და მაშინვე კაცსა რწყევას აუგდებს. და

თუ ამა ნიგოზმან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ისლაჰი მეავის საქმლებითა, მეავის შარბათებითა და მეავის ხილებითა არის.

ამისივე ზეთი, მხურვალე და რბილი არის, კაცსა რომე შიგნით ქარი უდგეს და ან სახსრები და ასოები სტკიოდეს, ამავებისათვის ყუილასათვის მწოედ კარგი არის, რომე კაცმან კიდეცა ჰამოს და თბილთბილი ესე ზეთი ან მზეშიგა და ან ცეცხლის პირსა მტკივანსა ალაგზედა შეიცხოს.

10 ვისცა ყური სტკიოდეს და თბილთბილი ესე ნიგუზის ზეთი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს, ფილენჯისა და ფილენჯის ქარისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის. რომე ამავე რიგად ესე ზეთი თბილთბილი შესცხონ და სტომაქ გრილმან კაცმან რომე ეს ნიგუზის ზეთი გაათბოს და ტანზედა შეიცხოს, მწოედ კარგად უზამს და ძვალსა და ძარღვებსა დაამაგრებს და ყოვლსა ფერსა ქარსა დაღეწს და გაუგდებს.

20 ეჯაზი, ვითამცდა ალუი ბუხარიო, და თუ ეს ალუი ბუხარა არ იყოს, ოტურის ქლიავის გავალო ამათსავე საქმესავე ისაქმებს. მაგრა ეს გავალო გაფცქუნილი უნდა შეინახონ. აწე ამათი ხასიათი გრილი და ნედლი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა დაულობს და კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის, სისხლსა და საფრასა დააწყნარებს, ტანისა და სტომაქისა, გულისა და ღვიძლისა სიმხურვალესა გაავდებს, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და მოუგრილებს. კაცსა წყურვილსა უკუუგდებს.

კაცმან რომე ტკბილი ქლიავე ჰამოს და ზედ წყალი სვას, მაშინვე კაცსა მუცელშიგა გახსნის. სნებისათვის, ცხელებისათვის, იარაყნებისათვის და ყოვლის მხურვლის სენისათვის თავი და გამორჩეული წამალი არის, მეტადრე მაშინ, რომე ესე სნეული ან მუცელშიგა შეეკურით იყოს და ან შარდი შეხუთვილი ჰქონდეს. მაგრა თუ კაცი ამ ეჯაზსა ბევრსა სჰამს, კაცსა სტომაქსა დაუსუსტებს.

30 აწე თუ ამა ეჯაზმან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და გამქარვებელი გვილან გვიბინი, კევი და დანამასტაკითა არის, ჰამოს და ეშველებს.

ნარინჯი, ტკბილი ნარინჯი გრილი და ნედლი არის, ზოგთა აქიმთა უთქუამს არა, გრილი და ხმელი არისო. და მეავე ნარინჯი მესამეს წილშიგა გრილი და ხმელი არის. ტკბილი ნარინჯი კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების და ბალღამსა გააძლიანებს, და მეავე ნარინჯი მხურვალსა გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს. კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს და საქმელსა ადრე მოადნობინებს და კიდევ ადრე მოანდომებს. სისხლსა და საფრასა ორსავე

გააქარებებს და კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის. გახურებულ-
სა და გაცხელებულის კაცისათვის მწოედ კარგი და მუნასიბი არის.
თავად სისხლსა და მერმე ყოვლსა სიმხურვალესა დააესებს. და სიმ-
ხურვალისაგან რომე კაცსა თავი და საფეთქლები სტკიოდეს, იმას
უშველის, რომე ან კაცმან ჭამოს და ან ამისი შარბათი სვას, კაცსა
მაშინვე შეჰკრავს მუცელშიგა, რწყევას უკუუგდებს, წყურვილს მოუ-
კლავს. ცხელებასა, სნებასა, ხაფაყანსა, იარაყანსა და მხურვალსა
ყუელას არგებს და ყუელას წამალი არის. მაგრა მკერდსა აზიანებს
და ლიმოს ხასიათიცა შეავის ნარინჯის ხასიათისთანა არის.

10 ნარინჯის ქერქი, მეორეს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის
გრილსა სტომაქსა და გრილსა ღვიძლსა ორსავე კარგად მოუხდების
და ძალსა მისცემს, კაცსა პირშიგა კაის სულს ამოადენს, კაცსა საქ-
მელსა მოანდომებს და ქარსა გაუგდებს და ყოვლსა გრილსა სენსა
არგებს, და მწოედ კარგად მოუხდების.

ტკბილი ბალი, გრილი და ნედლი არის და კაცსა ფიცხლავ
ამოჰყორავს და გულზედა დაადგების, სტომაქს აშლის და დაასუს-
ტებს და ადამის ტომისა სტომაქშიგა რომელიცა ხილთი უფრო ბევ-
რი და უფრო ძალიანი დახუდების, ესეცა იმა ხილთად გარდაიქვე-
ვის. მეავე ბალი გრილი და ხმელი არის, ზაფრასა და ბალღამისა
20 მოჰყუეთს, სისხლს მოაკლებს და სიმხურვალეს დააესებს და გააცუ-
ლებს.

ალოჩა, გრილი და ხმელი არის, სისხლსა და საფრასა გააქარ-
ვებს, კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, წელს გაამაგრებს. მაგრამე კაცსა
გულსა აურევს და გულს მოუკერტავს. და ამა ალოჩისაგან რომე
კაცმან ოცი ღირჰამი წვენი გამოჰხადოს და ამა ალოჩის წყალშიგა
ცოტა დანაყილი ცერეცოს თესლი გაურიოს და ისრე სვას, დარულ
ფილის სენისათვის მწოედ კარგი არის. დარულ ფილი კაცსა რომე
მარტო ერთი ფეხი ან ერთი ასო გაუხივდეს, იმა სენსა ჰქუიან.

მაგრა ეს ალოჩა, რასაც მწოვედ მწიფე და კარგად შემოსული-
30 არის, ისი სჯობს, და ამა ალოჩის წვენისაგან რომე კაცმან სამი-ღირ-
ჰამი გამოსწუროს და სვას, საფრას გააქარვებს და, თუ ისრე უმსა
სჭამენ, თავსა და გულსა ორსავე ატკიენებს. თუ ამან კაცსა აწყინოს,
ამისი წამალი და ისლაჰი ენისუნითა არის.

ხურმა, მხურვალე და ხმელი არის, სტომაქ გრილისა და ბერის
კაცისათვის მწოედ მაწუნო საქმელი არის და კაცსა ბევრსა თესლსა
ჩაუყენებს. კაცი რომე დაიკოდოს და კაი მიწა მწოედ წმიდათ ვას-
ცრას და უგურკოს ამა ხურმასთანა დანაყო და დაკოდოილზედა დას-
ღვა ტკივილს მაშინვე დაუამებს და დაკოდოილსა ადრე გაამთელებს

მაგრა თუ კაცი ბევრსა სჯამს, თავსა ატკივებს, კბილებსა აწყენს, სისხლს დასწევავს, საფრას გააძალიანებს, მუწუკებს დაპყრის, მუნსა და ქეცსა შიაქს. ამა ხურამამან თუ კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და მშველე სიქანჯუბინი არის.

10 უნაბი, მოჰთადილი და შეზაეებული არის და სიმხურვალესა და სინედლესა შუა არის, სისხლსა და საფრასა დააწყნარებს, გულსა და ფირტუსა, ყელსა და მკერდსა ყუელას არგებს და ხუელისათვის მწოედ კარგი და მაშუნე არის. ესე უნაბი რომე კაცმან მოხარშოს და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბოს, ხუნაყსა უშველის. ამისივე წვენი რომე კაცმან გააციოს და სეას, გულისა და სტომაქისა სიმხურვალესა გაუგდებს და სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის. ყუაეილიანსა, ცხელებიანსა, სნებიანსა და იარაყნიანის კაცისათვის და მხურვლის ხაფაყანისათვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, გულსა და მკერდსა დაულბობს, კაცსა მუცელშიგა გახსნის და გულს უკუპყრის. სურდოსა და ხუელისათვის მწოედ კარგი არის. სიმხურვალისაგან რომე კაცსა თავი და საფეთქლები სტკიოდეს და ან კაცსა ტანზედა მსხმოჰყრიდეს, ამავებისათვის ყუელასათვის გამორჩეული წამალი არის და ყოვლსა მხურვალსა სენსა არგებს და კარგად მოუხდების.

20 ჯალინოზ აქემმან თქუა: რაცა ამა უნაბის საქმე და ხასიათი ენახე და გამოვსცადეო, ისიე ხასიათი წითლის ფშატისაო, ან კაცის სიმაშუნითა, ან სიმხურვალის გაგდებითა, ან ხუელის და სურდოს შუელითა და ან გულისა და სტომაქის დალბობითაო, მაგრა კაცისა სტომაქსა ფშატი არ დააშუნდების, და თესლსაცა მოაკლებს, და უნაბი კარგად დააშუნდების.

30 ფშატი, გრილი და ხმელი არის, კაცსა რწყევასა უკუუგდებს და ხუელისათვის მწოედ კარგი არის, კაცის გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, ტანისა და ასოდალმან კაცსა სისუსტესა გაუგდებს, წელებისა სენსა და მსხმოსა უშველის და გაამთელებს. კაცი რომე გახსნით იყოს და ან სისხლზედა იარებოდეს და ესე ფშატი ქერქითა ჰამოს, სისხლსა და ყუანასა ორსავე უშველის და მაშინვე შეჰკარავს. მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების და კაცისა სტომაქი ვერ მოიშთუნს. და თუ ფშატმან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და მშველე შაქარი, ტკბილი საკმელები და ტკბილი შარბათებია.

ზეთისხილი, რომელიცა მომკუახხო არის, გრილი და ხმელი არის, და რთმელიცა მწოედ მწოედ არის, მხურვალი და ხმელი არის. კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის და საკმელსა მოანდომებს, სტომაქსა გააძალიანებს, კაცისა ასოსა და სახსრებისა ტკივილსა უშვე-

ლის და გააქარვებს და თესლსა შატებს. მაგრა მწოედ მძიმე არის და თვალთა აზიანებს. კაცსა თავსა აატყივებს და სევდას მოუმატებს და უძილობას აუგდებს. აწე ასრე უნდა, ესე ზეთის ხილი კაცმან შუაჭამაშიგან ჰამოს.

10 ლეღვი, მხურვალი და ნედლი არის, კაცსა გაასუქებს, მუცელსა და სტომაქსა დააღობს და ხველისათვის მწოედ კარგი არის და ბალღამსა და სევდასა დაამწიფებს, საფრას მოუმატებს. მაგრა კაცი თუ ბევრს ლელუსა სჰამს, მუწუკებს გამოასხამს და სტომაქს მხურვალს კაცსა ცხელებასა აუგდებს. მაგრა კაცსა სიხმესა გაუგდებს, წყურვილს მოუკლავს. და კაცმან რომე ლეღვი ჰამოს, მაშინვე დაჰირულს შარდსა გზასა გაუხსნის. ვინცა მორიელისა ნაცემზედა ან ახალი და ან ძველი ლეღვი დანაყოს და დაადვას, და კიდევცა აჰამო, მაშინვე შხამსა გააქარვებს და უშველის. ყელისა სიმსივნისათვის და ხუნაყისათვის მოხარშულის ლეღვის წვენი მწოედ კარგი არის, რომე კაცმან ხშირად პირშიგა იმგვიბოს, ყელისა სიმსივნესა და ხუნაყსა მაშინვე ორსავე უშველის. ამა ლეღვმან თუ კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და გამქარვებელი შეავის. საჭმლებითა, შეავის შარბათებითა და შეავის ხილებითა არის.

20 ქეჩი ბოინუხის ხილი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, გულსა და მკერდსა დააღობს, სევდასა და ხილთებსა კაცის გემისა და სტომაქიდაღმან გააგდებს, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს, დედაკაცთან მისულას მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს და ბალღმისა და სევდისა სენისათვის ორისათვისვე მწოედ კარგი არის, რომე ჰამონ.

30 ლისანი ასურ, ვითამცა და იფნის ხის თესლიო. აწე ესე იფნის ხის თესლი მეორეს წილშიგა მხურვალი და პირველს წილშიგა ნედლი არის, ზაფაყანისათვის მწოედ კარგი და დაცლილი არის, რომე კაცმან მუღმათ ჰამოს, კაცსა კაცობასა შატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს, და ყოვლის გრილის სენისათვის აქიმი და წამალი არის. ცივებისა, ფილენჯისა ქარისა, სისხისა, სოკოსა, ასოსა და სახსრების ტკივილისა, ამავეებისათვის ყუელასათვის კაი და გამორჩეული წამალი არის, რომე კაცმან ჰამოს.

სიფიტანი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, გულსა და მკერდსა დააღობს, სევდასა და ხილთებსა კაცისა სტომაქიდაღმან გააგდებს და გააქარვებს. კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს და დედაკაცთან მისულას მუღმივე მოანდომებს და ბევრსა თესლსა ჩაუყენებს და ყოვლსა ბალღმისა და სევდისა სენსა არგებს და გააგდებს.

ამა თხილსა სინმე და სიმბურვალე ორივე სწორად აქუს. კაცმან რომე თხილი ჰამოს, ხველისათვის მწო-
და დედაკაცმან რომე ესე თხილი ჰამოს ბევრს რძე-
და სიცივისა და სიგრილისაგან კაცსა რომე გული და
ადეს და ესე თხილი ჰამოს, გული და სტრამაქის
ნვე უშველის. მაგრა კაცსა სტრამაქშივა გვიან დად-
იან მოიდნობს, კაცსა თავსა აატკივებს, თესლსა გაუ-
ედ შოაკლებს. საფრას შოუმატებს, ქარს აუგდებს. და
თ თხილი ჰამოს და აწყინოს, ამისი წამალი და აქიმი
რიანი საკმელეები არის, ჰამონ და ეშველები.

მესამეს წილშივა გრილი და ხმელი არის და მწოედ
შეავე არის. კაცი რომე მუცელშიგან გახსნით იყოს
შეჰამადი ჰამოს, მაშინვე მუცელშივა შეჰკრავს, მე-
რომე ესე შინდი კაცმან ცივად გამოჰხადოს და კარ-
იონ, სისხლს დასწმედს და დააწყინებს.

ომე ან შინდის შეჰამადი ჰამოს, და ან ამ შინდის
ულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალსა და წყალს
ვლსა სისხლისა და საფრის სიმბურვალესა არგებს
ამს.

აბი ამას ჰქუიან, რომე ხმელი შინდი ან ისრე წყალ-
და ან მოხარშო და ამისი წვენი გააციო და ასვა.
ანდის ჯულაბს უძახიან, და რისა გინდამ ჯულაბი გინ-
ს ასრე უნდა უყოთ და ჯულაბი იქნების, რომე ან მო-
აციოთ და ან დააღბოთ და ამისი წვენი ასვათ.

ჲლი, მწოედ გრილი და ხმელი არის. კაცსა მწოედ
ს გაუძლებს და მაშინვე ამოჰყორავს და კაცსა ფიც-
ვა შეჰკრავს. ან კაცსა, ან ცხენსა და ან ძალსა რო-
და ზღმარტლის ხის ქერქი დაჯეჰკოთ და მოხარშოთ,
ლისაგან ერთი წილი დარჩეს და მასუკან ეს ზღმარ-
ხილ თხილი შესცხონ, მაშინვე მუნს უშველის.

არის ამა ზღმარტლის ჰამა კაცსა გულსა მოუჰკრტავს,
და წყალს მოადენს. ასრე უნდა კაცმან თავად მხურ-
ჰამოს და ან თაფლითა შექნილი სიქანჯუბინი ლო-
ლის მოკერტვა და პირის წყლის დენა ორივე უშვე-

რი, მესამეს წილშივა გრილი და ხმელი არის, გულ-
და სტრამაქსა სამსავე მწოედ არგებს და დააძალიანებს.

და სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს. კაცსა წყურვილსა მოუკლავს, რწყევას უკუუგდებს, კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს.

კაცმან რომე ესე კოწახური ერთსა ღამესა წყალშიგა დააღბლს და უშაქროთ ამისი ჯულაბი სვას, ვითამცა და ამისი წვენი სვასო, ყოვლის სისხლისა და სიმბურვალის სენსა, ყოვლის საფრისა და ვარამის სენსა ~~კარგად მოუხდების. სნებასა, ცხელებასა, იარაყანსა, თავისა და საფეთქლებიხს ტკივილსა და ღვიძლისა და თირკმლის ტკივილსა მწოედ არგებს, სიცხეხა და სიმბურვალესა დაავსებს, რომე კაცმან ან ამისი შარბათი და ან ამისი ჯულაბი სვას და~~

10

ან ამით საქმელი ჰამოს.

ვინცა კოწახური დაჯექოს და ვარდის წყალი შიაფრქვიოს, რაცა კაცისა სტომაქშიგა საფრა იყოს, ყუელა გააქარვოს, და რაც კაცის წელშიგა ტკივილი აქუს, ყუელას გაუგდებს და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, იმას დასწყუეტს და უშველის.

~~თუთუბო, მესამეს წილშიგა გრილი და ხმელი არის, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა მწოედ მოუხდების, და ძალსა და წყალს მისცემს და დააძალიანებს, კაცსა მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს, წყურვილს მოუკლავს, რწყევას უკუუგდებს, კაცსა სტომაქსა გაუხსნის და საქმელსა მოანდომებს, და რაც უჰამია იმას აღრე მოაქარვებს. სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს, სისხლისა სიცხარესა დაავსებს, საფრას ძირით აღმოსთხრის და გააქარვებს. კაცსა რომე წელშიგა მუწუკები ესხას, იმას უშველის. კაცსა რომე ღვიძლიდაღმან სისხლისდიოდეს, იმას უშველის, რომე ამა თუთუბოსა წვენი პირშიგა იმგვიბოს, ღვიძლიდაღმან სისხლის დენასა უშველის და ყოვლის მხურვლის სენის აქიმი და წამალი არის. მაგრა ყოვლი მჟავე შემკურელი არის, თაბლი ჰინდის მეტი, და ყოვლი მჟავე ღვიძლს არგებს და ხველას აწყენს და მკერდს გაასქელებს.¹~~

20

მოცხარი, მოცხარი ჯერ ამ კოწახურსა და თუთუბოს ორსავე სჯობს, მაგრა შავისა და ყუითლის იარაყანისათვის ეს მჟავეები

30

მეტად კარგნი არიან.

ლოღნოშო, გრილი და ხმელი არის, ღვიძლს კარგად მოუხდების, სიცხესა და სიმბურვალესა დაავსებს და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, მაგრა გულისა და მკერდის ტკივილისათვის კარგი არ არის. კაცსა ძველსა მკვალსა აუშლის და მკერდსა გაასქელებს და თუ ამან კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ნაწყენი¹ გამჰქარებელი მხურვალი მაჯუნები და თაფლი არის.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალავი „ზ“ და შემდგომი გვერდის ხემო აშიაზე „ც“

გოგნარი, ¹ დიდი გული მხურვალე და ნედლი არის, წურვილი მხურვალე და ხმელი არის, კაცსა თესლსა ორივე მწოედ მატებს, ხველისათვის ორივე მწოედ კარგი არის, ბალღამსა მოჰკუთოს და ქარსა გააქარებებს და კაცსა გულსა გაუხურებებს და ცივსა ქარებსა გაუგდებს, სიცივისაგან რომე კაცსა წელნი სტკიოდეს, იმას უშველის, ფირტუსა და შირიმის ქვასა ორსავე გასწმედს. და ვინცა ესე გოგნარი და ლელვი ერდგან დანაყოს და გველისა და ან მორიელის ნაცემზედა დაადვას, მაშინვე გაამთელებს. მაგრა თუ გულ მხურვალე და სტომაქ მხურვალე კაცი ბევრსა სქამს, აწყენს, საფრას გააძლიანებს, სისხლს დასწვავს, კაცსა თავსა აატკივებს. ასრე უნდა, ვისცა ამისი ქამა უნდოდეს, გული გამოარჩიონ და ისრე ქამონ.

10

მაყული, პირველსა სიგრილის წილშიგა გრილი და ნედლი არის, გულისა და ღვიძლისათვის მწოედ მარგე და კაი მჟავე არის. ცხელებისა, სნებისა, შავისა და ყუითლის იარაყენებისათვის და მხურვლის ხაფაყანისათვის, ყუელასათვის მწოედ კაი წამალი არის. კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, წყურვილს მოუკლავს, რწყევას უკუუგდებს და ყოვლის მხურვალის სენისათვის აქიმი და წამალი არის, რომე ესე სენი ან სისხლისა და ან საფრისაგან და ან სხვის სიმხურვალისაგან წაჰკიდებოდეს. ვინცა ესე მაყულის ძირი მოთხაროს, გარეცხოს, მოწლოდ დაჰკრას და დაჯეჰკოს და ერთსა ქოთანაშიგა ჩაყაროს და ესე ქოთანი წყლითა აავსოს, თავსა დახუროს და პირი მოუგლისოს და ამდენი უნდა ხარშონ, რომე სამის წილისაგან ერთი წილი წყალი დარჩეს, მერმე გაწუროს და ერთსა ლამესა გარეთ დადგან და დილეულ უზმომან უნდა სვას.

20

ესე იცოდით, ყოვლის ფერის მხურვლის სენის გამოარჩეული და მრავალჯერ დაცდილი წამალი არის და უფრო სნებისა, რომე ამრიგად სნებიანსა კაცსა კაცმან ასვას, ფიცხლავ ოფლსა დაასხამს, გულსა უკუჰყრის და სიციხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და სენსა დაჰფანტავს.

30

სინაი მაქი; ვითამცა და ფუთფუთას ხის ფოთოლიო. ესე სინაი მაქი პირველს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის, ყოვლის გრილისა სენისა და მეტადრე სევდის სენისა აქიმი და გამოარჩეული წამალი არის, და ყოვლსა გრილსა და ნედლსა სენსა კარგად უზამს, ბალღამსა და სევდასა ორსავე გააქარებებს და ადგილიდამან მოხეთქს, და კაცსა რომე სიგრილისაგან თავი სტკიოდეს და ესე ფუთფუთას ხე სანდალსავითა გალესონ ძმრითა და ვარდის წყლითა, და

¹ ამის გასწვრივ აშიაზე დედნის ხელით სწერია: *ჟარაბულად აბათულ ხიზრა და ბან სპარსულად, ორივე ჩათლავუშსა ჰქუიან.*⁴

მტკივანსა თავზედა შესცხონ, მაშინვე თავის ტკივილს უშველის. ამას გარეთად ცივებისა სისხისა და სოკოსა და გრილის ხაფაყანისა, ყუელასი გამორჩეული წამალი არის. რომე ან ამისი შარბათი ასეან და ან გალესონ და ტლედ შემოსდვან, მაშინვე ტკივილსა და სიმსივნეს უშველის.

ნესევი, რომელიცა ტკბილი არის, მხურვალი და ნედლი არის, და უგემური ნესევი გრილი და ნედლი არის. და ტკბილი ნესევი სრულად საფრად გარდაიქცევის და კაცსა გააცხელებს. და ეს იცოდი, კაცის გვამსა და მუცელშიგა რასაცა ხილთსა ძალიანად ნახავს, თი-
10 თანცა იმა ხილთად გარდაიქცევის და კაცისა მუცელშიგა ფიცხლად წახდების და გულსა და სტომაქსა აზიანებს, კაცსა გულსა აურევს. ასრე უნდა კაცმან ნესევი უზომიან ჰამოს და საკმელს უკანა არ უნდა ჰამოს, ამისთუის რომე კაცსა სტომაქსა შეურყვნის და აურევს. აწე თუ ნესემან კაცსა აწყინოს და ან სტომაქშიგა ვერ გაიწყოს და ვერ მოიშვიინოს და გუამსა და ჯულზედა დააწვეს, ამისი წამალი ის არის, თბილი წყალი სუას და არწყიოს.

ამისივე თესლი რომე კაცმან ჰამოს, კაცის სტომაქსა გასწმედს, და დედაკაცმან რომე ჰამოს დედათ წესის გზას გაუხსნის, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუთბობს. კაცსა რომე შარდი სწვეთდეს,
20 და ან შარდი გაზდიოდეს, იმას დაუჭირავს და უშველის. და ვინცა ორი დირჰამი ნესევის თესლი გამოარჩიოს და ჰამოს, კაცსა კარგად შეერგების, გულსა და სტომაქსა გაუთბობს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

საზამთრო, გრილი და ნედლი არის, სისხლსა და საფრასა ორსავე გააქარვებს, კაცსა გულსა და სტომაქსა დაულობს, კაცსა მაშინვე შარდზედა გახსნის, მეტადრე მაშინ რომე ესე საზამთრო ჰამოს და ამისი წვენი კაცმან შაქროთა სუას, კაცსა წყურვილსა მოუკლავს. შავისა და ყუითლისა იარაყანისათვის ცხელებისა და სნები-
30 ვის მწოედ კარგი არის. სიცხისა და სიმხურვალისაგან რომე კაცსა ან შავი და ყუითელი შარდი ჰქონდეს, ამას ორსავე ფერს გამოუცვლის, შირიმისა სიმხურვალესა გაუგდებს და ყოვლსა მხურვალსა სენსა არგებს, და სტომაქ მხურვალმან კაცმან მუდმიდ უნდა ჰამოს.

მაგრა ბალლამს მოუმატებს, ბერსა და სტომაქ გრილსა კაცსა აწყენს. და თუ ამა საზამთრომა კაცსა აწყინოს ამისი წამალი და მშველე შაქარი არის.

აყირო, გრილი და ნედლი არის საფრას გააცულებს, სისხლისა სიმხურვალესა დაავსებს, ძველის ხველისთვის მწოედ კარგი

არის, სიციხისა და სიმხურვალისათვის მწოდ კარგი არის. კაცსა რომე, ან ეს აყირო მოხარშოთ ¹ და აკამოთ და ან დანაყოთ და ამისის გულის წყალი ასვით, გულისა და სტომაქის სიმხურვალესა და სიციხესა მაშინვე ყუელას გაუგდებს, კაცსა ყელსა და მკერდსა დაუღბობს. კაცსა რომე სიმხურვალითა ყური სტკიოდეს და ამა აყიროს წვენი გამოჰხადოს და ყურშიგა ჩაიწვეთოს, მაშინვე ყურის ტკივილს უშველის, კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს და კაცისა სტომაქშიგან ფიცხლად დადნების. კაცმან რომე ნედლი აყირო ცეცხლშიგა ჩაფლას და რა კარგად შეიწვას ამოილოს და ამისი წყალი გამოჰხადოს, გააციოს, შაქარი ურიოს და სუას, ყოვლის ფერის მხურვლის სენის წამალი და აქიმი არის. ცხელებისა, სნებისა, იარაყანისა და მხურვლის ხაფაყანისა.

მაგრა ბევრი ამა აყიროს ჰემა ბევრს ფერსა ხილთებსა აშლის, ბალღამსა გააძალიანებს წელებსა და ფაშეებსა აწყენს და სტომაქსა აშლის. თუ კაცი ან შიგნით, ან გარეთ გასივდეს მოიტანე ნედლი აყირო დანაყოთ, წვენი ასვით და ტლედ სიმსივნეზედა დასდევით და მაშინვე უშველის.

ვინცა აყიროს წვენი და ღვინო ერთგან გარიოს და სუას მაშინვე მუცელშიგა გახსნის. თუ აყირომ კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და ნაწყენის გამჟარებელი მდოგვი, პილბილი, მხურვალი მაჯუნები და კეფითა იქნების.

ამავ აყიროს ერბო, გრილი და ნედლი არის, კაცსა ტვინსა და დამალსა დაუღბობს და მალიხულიას სენისათვის და სარსამისათვის მწოდ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე ესე აყიროს ზეთი ცხვირშიგა ჩაიწვეთონ. კიდევ ესე აყიროს ერბო ცხარსა ძმარშიგან გაურიონ წამოადულონ ² და სიმხურვალითა მტკივანს თავზედა შემოსცხონ, მაშანვე თავის ტკივილს უშველის და კაცსა ძილად მიაგდებს და ტკბოლად დაეძინების. და კაცსა რომე დამალი სინმელითა გაუხმეს, და ყელი და ხახა გაუშრეს და ამა აყიროს ერბოსაგან ცხვირშიგა ჩააწვეთონ და ცხვირზედაცა დასცხონ, და ორივე ყუერები ამა აყიროსა ერბოშიგა ჩაუყონ და ორს ჟამამდისინ ყუერები ამა აყიროს ერბოშიგა უნდა ედვას, უსათუოდ დამალი გაუნედლდების, და ყელი და ხახაცა უსათუოდ დაუღბების და კაცი მორჩების. ³

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დიდნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დიდნის ხელით.

³ ამ ფურკლის გვერდის აშიაზე სწერია დუდნის ხელით „ამის ზეთს ერბო ჰქუიან“.

კიტრი და შუმხიარი ორივე გრილი და ნედლი არის, მხურვალსა გულსა და სტომაქსა მწოედ მოუგრილებს. და ამა კიტრის გული რომე კაცმან ჰამოს, მაშინვე შარდზედა გახსნის, ცხელებისა და სნე-ბისათვის მწოედ კარგი არის, რომე კიტრის გული ჰამონ.

მაგრა სტომაქშიგან გუიან დადნების და ბალღამსა გააძალიანებს. სტომაქ გრილისა და ბერის კაცისათვის ავი არის. და თუ კაცი ბევრს კიტრსა სჰამს; მაშინვე მუცელშიგა გახსნის. და თუ კიტრმან კაცსა აწყინოს ამის წამალი თბილი, მხურვალის და ტკბილისაჰმელები არის. ამა კიტრის თესლის წყალი საფრის სიმწარეს გაა-
10 ქარვებს, კაცსა გახსნის და ყოველს მხურვალს სენს არგებს.

კომბოსტო, მხურვალის და ხმელი არის, ბერსა კაცსა კარგად მოუხდების. ვინცა ამისი წვენი გაათბოს, და თბილ თბილი ყურშიგა ჩააწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველებს, კაცსა თესლსა ჩაუყენებს და დედაკაცთან მისულას მოანდომებს.

ბადილჯანი, მხურვალის და ხმელი არის, სევდას მოუმატებს და რაც სევდის სენი არის ყუელას აუგდებს, თავსა და თვალთა ორსავე მწოედ აწყენს და აატკივებს, კაცსა ელფერსა წაუხდენს და გააყუითლებს.

ვინცა არ დაიშალოს და ეს ბადილჯანი ჰამოს ასრე უნდა;
20 სამსა დღე ღამესა მარილ წყალშიგა დაალბოს, და მერმე მსუქნის ხორცითა მოხარშოს, გრილი და ნედლი ზეთები ურიონ, და ისრე ჰამონ, მაშინც ბევრი არ უნდა ჰამონ, თვარემდა უსათიოდ კაცსა აწყენს. ვინცა ამა ბადილჯანის ღერძი გაახმოს, დანაყოს და გაცრას, და ტლედ ქნას და ბანბითა ¹ სოკოზედა დაიდვას, სოკოსათვის მწოედ კარგი არის, გაახმობს და ჩამოაყრევიანებს.

დომალანი, გრილი და ნედლი არის, მაგრა მწოედ მაწყინარი არის. სევდასა და ბალღამსა მაშინვე აუშლის, კაცი გვიან მოი-
დნობს და მრავალსა სენსა სხუასა აუგდებს და რაც წიგნშიგა მაწყინარი, კაცის მავნე ბალახები სწერია, იმათგან ერთი ეს დომალანიც არის. და ეს დომალანი რომე ხმელსა და კენქნარიანსა ალაგ-
30 შია იდგეს, და ეს დომალანი ახლისა და მსუქნის ხორცითა მოხარშო, და კაი ერბო და ზომიერი მარილი ურთო, და ცოტა სჰამო, მაშინ კაცს არას აწყენს. და თუ ბევრსა სჰამენ, მაშინ კაცსა აწყენს. და ესეცა უნდა იცოდეთ, რომელიცა დომალანი ან ჩრდილშიგა დვას, ან ლელვისა და ან ზეთის ხილის ჩრდილშიგა დვას, და ან ნეხუზედა ამოსულა, ამ რიგი დომალინი კაცის მკულელი არის და არცა უნდა კაცმან ჰამოს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინცა ამა დომალანსა ბევრსა სკამს, ბევრსა და ავსა სენსა აუ-
ძრავს, პილწსა და ავსა ხილთებსა აუშლას, ფილენჯსა და ფილენ-
ჯის ქარსა შიამს. მაგრა ამა დომალანისა წყალი რომე კაცმან თუა-
ლშიგა გამოივლოს, თუალთა სინათლესა მწოედ მატებს.

10 ქანგარი, სიმბურვალეზედა მოჰთადილი და შეზავ ზული არის
და მეორეს წილშიგა ნედლი არის, კაცსა წელთა, თირკმელთა გაუთ-
ბობს და დედაკაცთანა მისულას მოანდომებს, ბევრს თესლსა ჩაუყე-
ნებს და ბევრს ტყუნას აქნევიანებს, კაცსა ტანზედა კაის სულსა აადე-
ნს, გულსა და სტომამქსა დაუღობს, და კაცსა რომე ილღიაშიგან
ავი სული უდიოდეს იმას გააქარვებს. და ვინცა ამ ქანგარის წვენი-
თა თავი დაიბანოს, თუ კაცსა თავშიგა ტილი ესხას ყუელა დახოცოს.

უშხუნი, პირველსა წილშიგა გრილი და ხმელი არის, ცხე-
ლებისა, სნებისა, მხურვლის ხაფაყანისა, და შავისა და ყუითლის ია-
რაყანისათვის, და ყოვლის მხურვლის სენისათვის, კაი და გამორჩე-
ული წამალი არის, რომე კაცმან ესე უშხუნი ან ასრე ქამოს, და ან
ამისი წვენი გამოჰხადოს და უშაქროთ ამისი ჯულაბი სუას, და ან
შაქრითა ამა უშხუნის შარბათი შექნას და ისრე სუას.

20 კაცსა რომე ათაში შეექნას, ვითამცადა კაცსა წყურვილი აუ-
ვარდეს და სტომამქი წყლითა არ უძღებოდეს და ეს უშხუნის წვენი
და ან ამისი შარბათი სუან, მაშინვე წყურვილს მოუკლავს და სტო-
მამქს გაუძღებს, სიცხესა და სიმბურვალესა დაავსებს.

კაცი რომე მუტელშიგა გახსნით იყოს, მაშინვე შეჰკრავს, გულ-
სა და ღვიძლსა მწოვედ არგებს და ძალსა და წყალს მისცემს და
ღვიძლსა მწოვედ ამთელებს. გულისა, ღვიძლისა და სტომამქის სიმ-
ბურვალეს გაუგდებს.

კაცსა რომე ტანზედა ან მუნი და ან სხვა მსხმო ჰყრიდეს, ან
კაცი შიგნით და ან გარეთ სივდეს, ამავებისათვის მწოვედ კარგი
არის.

30 კაცსა რომე მუტელშიდა ქარი უვლიდეს, იმასცა უშველის.
აქიმნი კაცნი ამასცა იტყუიან: რასაც დღეს დიღეულ კაცს. ამ
უშხუნსა ან სკამს და ან სვამსო, იმა დღესა იმა კაცსა ავი ჟამი არ
შეეყოებისო, და თუ შეეყრების, ვერას აწყენსო. ბოლო მხურვალე
სენისათვის უცხოფერს [იტყუიან]¹ კარგი და მრავალჯერ დაცდი-
ლი არის. და ასეთი სიმბურვალე კაცსა არ ექირვების, რომე ამა
უშხუნმან არ უშველოს.

მეაუნა და ყოჩ ყულადი,² მეორეს წილშიგა მწოვედ გრი-

¹ აღდგენილია ვარიანტის A-ს მიხედვით.

² ამ გვერდის ზემო აწიანზე დედნის ხელით სწერია: „ბაღახების წამლობა“.

ლნი და ხმელნი არიან, სისხლსა და საფრასა და ყოველსა სიმხურვა-
ლესა დაავსებს და დააწყნარებს, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის
და საქმელს ადრე მოაქარავებს, და კიდევ ადრე მოანდომებს, კაცსა
მუცელშიგა შეჭკარავს, გულსა და ღვიძლსა მწოედ მოუგრილებს და
ძალს მისცემს. სნებისა, ცხელებისა და იარაყნებისათვის მწოედ კარ-
გი არის.

10 კაცსა რომე დაკოდელი და ან მუწუკი გაუსკდეს და გაუძნელ-
დეს, და ან ამა მჟაუნასა ფოთოლი მოსწყვიტონ და ეს ფოთოლი
დაადვან, წამხდარსა და გამწყრალს, დაკოდელსა მაშინვე მოაბრუ-
ნებს და გააკეთებს. გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალს
მისცემს. და ეს ხასიათი ოსტატთა კაცთა ამ მჟაუნადადმან გამო-
ულია, კაცმან რომე ამა მჟაუნასი ან ძირი და ფოთოლი კევსავითა
ღეჭოს, მაშინვე გულის ტკივილსა უშველის.

ვინცა მჟაუნა ჭამოს მაშინვე აბოყინოს. ვინცა ამისი ფოთოლი
მარილითა დანაყოს და დამწვარსა რაზედამე დაიდვას, და დამწვარ-
სა მწოედ კარგა უზამს და მაშინვე დაუამებს. და ეს მჟაუნა დამწუ-
რისათვის ბევრჯელ და მრავალჯერ დაცდილი არის.

20 მარწყუევი, მხურვალი და ხმელი არის, და ყოველსა გრილ-
სა სენსა არგებს. კაცმან რომე ამა მარწყუის წყალი გამოჰხადოს და
ამა მარწყუითა იარაყნიანსა კაცსა საქმელი აჭამოს, შავისა და ყუთ-
ლის იარაყნების სენისათვის მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი
წამალი არის. და თუ კაცსა მუცელში ჭია ასხია, იმასცა ყუელასა
დაჰხოცს და გამოჰყრის და ულხენს.

ბოლოკი, მხურვალი და ხმელი არის, კაცსა მწოედ კაცობა-
სა მატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს. სიგრილითა რომე კაცსა
ახველებდეს, მისთვის გამორჩეული წამალი არის. ვინცა ბოლოკის
წვენი გამოჰხადოს და ამა ბოლოკის წყლითა თაფლის სიქანჯუბინი
გაღესოს და სეას, მაშინვე მუცელშიგა გახსნის.

30 ვინცა ბოლოკი ჭამოს, კარგად დაეძინოს და პირის წყლის დე-
ნა უშველოს. ვინცა აბანოშიგა ერთი თასი ბოლოკის წვენი დალიოს,
კაცსა პირადამან ავი სული გაუგდოს. კაცმან რომე საქმელზედა ბო-
ლოკი ჭამოს, საქმელსა ადრე დაადნობს და ფიცხლავ აბოყინებს,
და ქარსა ამოაღებინებს.

კაცსა რომე სიცივისაგან და ან სიგრილისაგან ყური სტკიო-
დეს და თბილ თბილი ესე ბოლოკის წვენი ყურშიგა ჩაიშვას, მაშინ-
ვე ყურის ტკივილი უშველოს, და, თუ კაცი ყრუ იყოს, სიყრუე ეშვე-
ლოს. ვინცა ბოლოკის წვენი თვალშიგა გამოივლოს, თვალთა მწოედ
დაუფერავს, და თვალთა სინათლესა მისცემს.

ვისცა მორიელმან უცეს, გერჩივნოს ბოლოკის წვენი ასვით, გერჩივნოს თვითან ბოლოკი დანაყეთ და მორიელის ნაკებნზედა დაადევით, ესე ორივე რიგი უშველის და შხამს გააქარებებს. და ასრეც იტყუიან, ბოლოკის წვენი რომე მორიელსა მიხუდესო, უსაცილოდ მოჰკლავსო. და იმა დღესა რომე კაცსა ბოლოკი ექამოსო, თავად მორიელი ვერ უცემსო, და თუ უცემს და ვერას აწყენსო.

ვინცა ბევრი ბოლოკი სისხიანსა კაცსა აქამოს, სისხა ეშველოს. ვინცა შავი ბოლოკი დანაყოს, მარილი ურიოს და მტკივან თავზედა შემოიდვას, თუ სიგრილისაგან თავი სტკიოდეს, ეშველოს.

10 მაგრა თუ კაცი ბევრს ბოლოკსა ჰამს, კაცსა ჰარსა აუგდებს, ტილს დაახსამს. ამა ბოლოკისა ბევრის ჰერჰის ჰამა კაცს ადრე დააბერებს და ადრე გაათეთრებს, კაცსა პირიდალმან ავსა სულსა ამოადენს. და თუ კაცი მარტო ბოლოკისა ტყავსა სჰამს, უსათუოდ არწყევინებს. და თუ ამა ბოლოკის ხორცსა სჰამს, საჰმელს ადრე მოიღნობს.

თ ა ლ გ ა მ ი, მხურვალე და ნედლე არის, კაცის გულსა და სტომაქსა მწოედ აბარაქებს, კაცსა თესლსა მატებს, კაცსა მაშინვე შარღზედა გახსნის, თუალთა, დამალსა მწოედ არგებს. მკერდსა და გუამსა დაალბობს, გულსა და სტომაქსა საფრისაგან გასწმედს. კაცმან 20 რომე თალგამი ამრითა და მდოგვითა მწნილად ჩადვას და ჰამოს, საჰმელს მოანდომებს, კაცსა თვალთა სინათლესა მისცემს და მწოედ მატებს, თირკმელთა დააძალიანებს.

ვინცა ამა თალგამისა წვენითა თავი დაიბანოს, თავის ტკივილი ეშველოს და წვერი და თმა უდროდ აღარ გაუთეთრდეს.

ს ტ ა ფ ი ლ ო, მხურვალე და ნედლე არის, ესე სტაფილო მოხარშულიცა და უმიცა კაცსა კაცობას მწოედ მატებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, მკერდსა და ხახასა დაულობს, კაცსა მაშინვე შარღზედა გახსნის, კაცსა წელთა გაუმაგრებს და თირკმელთა გააძალიანებს მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების, ავსა სისხლსა დაბადებს, 30 ჰარსა აუძრავს და სტომაქ მხურვალსა კაცსა უსათუოდ აწყენს.

ხ ა ხ ვ ი, მხურვალე და ხმელი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხსნის, კაცსა საჰმელს მოაქარებებს და კიდევ ადრე მოანდომებს. და ავისა და უცხოსა წყლისაგან რომე კაცსა ზადი ჰჰონდეს იმას მაშინვე უშველის. მოხარშული და შემწვარი ხახვი ხველისათვის მწოედ კარგი არის, სტომაქსა და ყელსა ორსავე დაულობს. მაგრა თუ კაცი ბევრს ხახუსა სჰამს, სისხლს დასწვავს, კაცს თავს აატკივებს, საფრასა და ბალღამსა ორსავე მოუმატებს, თუალთა აწყენს,

ლამით ძილშიგა კაცსა პირს წყალს წაადენს, კაცს მოაწყურებს, კეკუსა და გულის ყურს შეურყუნის.

აწე ხახვმან თუ კაცსა აწყინოს, ამისი წამალი და მშველე ძმარი, მაწონი და ქასნი არის, კამონ, ეშველები.

ნიორი, მეოთხის სიმბურვალის წილშიგა მხურვალი არის და მეორეს წილშიგა ნელლი არის, ბალამს მოჰკუეთოს, ქარსა კაცის ტანიდალმან დაჰკარგავს, კაცსა ბევრს თესლს ჩაუყენებს.

10 კაცსა რომე ხახვშიგა წურბელი დაეკრას და ეს ნიორი ქამოს მაშინვე წურბელი ჩამოვარდების. ბრაზიანმან ძალმან რომე კაცსა უკბინოს და ბევრი ნიორი ქამოს, მაშინვე შხამს გაუგდებს და კაცსა მოარჩენს.

სასუნებელსა წამლებსა, ბალახებსა გამცნებს და ყუაფილებსა გაამბობს.

რეჰანი, მხურვალი და ნელლი არის, მწოვედ მარგე და კი ბალახი არის. კაცმან რომე ამა ბალახზედა ვარდის წყალი შიასხას, და ამ რიგად, ამა რეჰანსა ხშირად უსუნოს, მაშინვე კაცსა ძილს მოგურის და ტკბილად დაეძინების და რეჰანისა სუნება ტვინსა და დამალსა გაანედლებს და ძალსა მისცემს, თვალთა წყალსა და სინათლესა მისცემს, კაცისა გულსა გაამხიარულებს და ძალსა და წყალს მისცემს.

20 ვინცა რეჰანი დანაყოს და ამისი წყალი გამოჰხადოს და ერბოთა თბილთბილი კაცსა ყურშიგა ჩაასხან, სიყრუევე ეშველოს და ყური გაეხსნას.

ნარგისი, მოჰთადილი და შეზავებული არის და უფრო სიმბურვალისაჲენ არის. ამა ნარგისისა სუნება ტვინსა და დამალსა მწოედ არგებს; თვალთა სინათლესა მოუმატებს და თვალთა და დამალსა ორსავე გაანედლებს და წყალს მისცემს, ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა ორსავე მწოედ არგებს. და კაცმა რომე ტყუნაშიგა ამა ნარგისსა უყუროს და თესლისა წასულაშიგა ცხვირი ამა ნარგისზედა დაადვას და ამისი სული იცეს, კი და მშვენიერი შვილი გამოუვიდეს. და ვინცა ამა ნარგისს უსუნოს, მაშინვე ძილი მოუვიდეს და ტკბილად დაეძინოს.

30 ვარდი, მხურვალი და ხმელი არის, გულსა და ოიძილსა, ტყირპსა და დამალსა ამას ოთხსავე არგებს, და ოთხსავე ძალს მისცემს, და ოთხსავე მწოვედ აკაბუკებს. კაცმან რომე საკმელზედა ვარდის წყალი სვას, მაშინვე საკმელს მოაქარვებს. კაცმან რომე ვარდი და შაქრის შარბათი ერთგან ამოჰკულიტოს და ორმოცსა დღესა კიქითა მზესა გაუდვას და კაცი რომე ავად ყოფაშიგა დასუსტდეს,

იმას აქამოს, გულსა და სტომაქსა გააძალიანებს, მაგრამე კაცსა სუ-
დასა შიაქს და ფიცხლად გაათეთრებს.

შინაური ია, რომე თათარნი სუსანს უძახიან, ამისი ძირი-
მხურვალი და ხმელი არის და უფრო მოჰთადილი და შეზავებული
არის, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა ორსავე მწოედ არგებს, ბნე-
დისათვისცა მწოედ კარგი არის და ყოვლის გრილის სენისათვის
კაი არის.

10 ~~გარეული ია, გრილი და ნელი არის და ესეცა ეთქმის~~
თუ მოჰთადილი და შეზავებული არისო, ყოვლის სენისა და ქირისა
წამალი და აქიმი არისო და მწოედ მარგე ყუაილი არის. ამა იის
შარბათი რომე კაცმან სწას, კაცსა ყელსა დაუღობს და ხეელასა
უშველის.

კაცსა რომე ფირტვი სტკიოდეს და ან ფირტვი წამბდარი
ჰქონდეს, მისთვის მწოედ კარგი და გამორჩეული წამალი არის.

კაცსა რომე გული და მკერდი სტკიოდეს, ორსავე მწოედ არ-
გებს. ~~სნებისა, ცხელებსა, შავისა და ყუითლის იარაყნისა და ყოვ-~~
~~ლის მხურვლის სენის წამალია.~~

20 კაცსა რომე ან შირიმისაგან და ან სხვის სიმხურვალისაგან შარ-
დი დაქირული ჰქონდეს, და ან ამისი შარბათი, და ან ამის ჯულაბი-
სგან, შარდისა გზასა მაშინვე გახსნის და უშველის.

კაცსა რომე მკერდზედა მიკვალი ერკუას და აქშინებდეს, იმას
მაშინვე უშველის. კაცსა რომე სიმხურვალისაგან თანგ ნაფასი სკირ-
დეს და ან ამა იისა შარბათი, და ან იის წყალი ასეთთ, თანგ ნაფას-
სა მაშინვე უშველის.

30 კაცსა რომე ავად ყოფაშიგა სლოკინი აუვარდეს და ამისი შარ-
ბათი ასეან, მაშინვე უკუუგდებს, ყოვლის ცხელებისა და სნებისა დვი-
ძლისა და იარაყნისათვის კირგი არის, პარტანტსა და ყუაილს გა-
რეთ, და პარტანტსა და ყუაილს არ ესმის. გახურებულსა და გა-
ცხელებულს კაცსა რომე ამა იის ტლე შემოსდვან, მწოედ კარგი
არის, გულსა უკუჰყრის და მოუგრილებს, მაგრა ეს ია პარტანტია-
ნსა და ყუაილიანს კაცსა არ ესმის და კაცსა სტომაქსა დაუსუს-
ტებს და წელებსა დაანედლებს.

ბუხარი მარამა,¹ და დევა დაბანი ორივე კოჩივარდასა
ჰქუიან და ეს კოჩივარდა მხურვალი და ხმელი არის. კაცსა რომე
სიცივისა და სიგრილისაგან თავი სტკიოდეს და ეს ვირის ყუერა კა-

¹ ამ გვერდის ზემო აშიაზე არა დედნის ხელით სწერია: „ბალაშების წამ-
ლების“ და შემდეგ გვერდის ზემო აშიაზე: „ძალი და ხასიათი“

ცმან დანაყოს, თბილის წყლითა გააყენოს, ტლედ ქნას და მტკივანს თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილსა მაშინვე უშველის. ეს კოჩივარდა რომე კაცმან დაქექკოს, მობარშოს და მისის წვენითა თავი დაიბანოს და დაბანას უკანა ამისი ნახარში თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილი უშველოს.

10 ვისცა ან ასო და ან ძეალი სტკიოდეს, და ან წელსა და ან ასოშიგა ქარი უვლიდეს და ძეალსა და ასოებსა გასწევედეს, ამავე რიგად რომე ტლედ ქნან და შემოსდვან, ამა სენებსა ყუელაისა უშველის და ყოვლისა ქარისა და გრილის სენის წამალი და აქიში არის. იასამანი, მოძთადილი და შეზავებული არის; კაცმან რომე ამა იასამანსა უსუნოს, ტვინსა და დამალსა გააკეთებს, გაანედლებს და ძალსა და წყალს მისცემს. გულს მოუსვენებს, კაცს გაამხიარულებს.

კაცსა რომე ან სიმზურვალისაგან ან სიგრილისაგან სიმსივნის სენი და ქირი წაჰკიდებოდეს და ესე იასამანი კაცმან დანაყოს და ტლედ ქნას და მსივანსა აღაგზედა დაიდვას, ტკივილსა და სიმსივნესა ორსავე უქირველად უშველის და გააქარვებს.

20 ზაფრანა, მეორეს წილშიგა მზურვალი და ხმელი არის, კაცსა რომე სიცივისა და ან სიგრილისაგან თავი და ან საფეთქლები სტკიოდეს და ესე ზაფრანა მზურვალს საქმელშიგა გაურიონ და ჰამონ, და ან თბილის წყლითა გააყენონ და თავსა და საფეთქელზედა შემოსცხონ, მაშინვე თავისა და საფეთქლებისა ტკივილსა უშველის.

კაცმან რომე ზაფრანიანი საქმელი ჰამოს, გულსა და ღვიძლსა მწოედ არგებს და ძალსა მისცემს. კაცმან რომე ესე ზაფრანა ჰამოს, წელთა და ნაწლევებსა მწოედ არგებს და გაუთბობს და ძალს მისცემს, კაცსა ლამაზსა ელფერზედა ამყოფებს, კაცსა გაამხიარულებს დედაკაცთან მისელას მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს და კაცსა მწოედ ძილს მოგურის.

30 დედაკაცსა რომე შვილის შობა გაუძნელდეს და ესე ზაფრანა გაულესო და ასეა, მაშინვე მარტვილი დაეხსნების. კაცმან რომე ხმელი ზაფრანა დაღეჟოს და ჰამოს, ამას უკან რომე კაცმან ერთი ასოცა მოსჰრას, ტკივილსა ველარას შეიტყობს, ასრე ასოსა და ხორცსა დაუბუყებს. ბოლომ ყოვლის ფერის გრილის სენის აქიში და წამალი არის.

შამბალილა, გრილი და ნედლი არის. კაცმან რომე ამ შამბალილას უსუნოს, მაშინვე ტკიბლსა ძილსა მოგურის, თავისა და საფეთქლებისა ტკივილსა უშველის. კაცმან რომე ჰამოს, გულსა და სტომაქსა დაულობს და მაშინვე მუცელშიგა გახსნის.

კაცსა რომე უსივდეს რამე და ესე შამ ბალილა დანაყონ, ტლედ ქნან და სიმსიენეზედა შემოსდვან, მაშინვე ტკივილსა და სიმსიენესა ორსავე უშველის. და თუ სნებიანმან, ან ცხელებიანმან, ან სხვა რიგად გახურებულმან კაცმან ამა შამ ბალილას უსუნოს, მწოედ არგებს და კარგად უზამს და მაშინვე დაიძინებს.

მარზანგვიში, მხურვალი და ხმელი არის, სრულად რაც ფერი ქარი არის ყუელას დაღეწს და გააქარებებს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა და ბნედასა და ყოვლსა გრილსა და ნედლსა სნებასა, ყუელასა გააგდებს, მოსთხრის და გააქარებებს.

10 კიდევე ამისივ ერბო მწოედ მხურვალი არის, და ესე ერბო ყოვლის ფერის ქარისა და გრილის სენებისათვის მწოედ კარგი. [წამალი] და აქიმი არის, მაგრა მხურვალსა კაცსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა მწოედ აწყენს და აზიანებს.

კაცსა რომე სიგრილისაგან ხაფაყანი სჭირდეს, იმას და შირიმსა ორსავე უშველის.

ლულუფარი, პირველს წილშიგა გრილი და ნედლი არის, კაცმან რომე ამა ლულუფარსა უსუნოს, ტვინსა და დამალსა გაანედლებს.

20 კაცმან რომე ამა ლულუფარის შარბათი სვას, სისბლსა და საფრას გაატუდებს. კაცსა თავისა და საფეთქლების ტკივილსა უშველის, გულსა და სტომაქსა დაალობს, კაცსა მუცელშიგა გახსნის. სნებისა, ცხელებისა, იარაყნებისა და ყუავილისათვის გამორჩეული წამალი არის, რომე ან ამა ლულუფარის შარბათი და ან გულაბი ასვან, და ესე ლულუფარი დანაყონ და ტლედ ქნან და გულსა და სტომაქზედა შემოსდვან. კაცსა რომე გული სტკიოდეს და ან ახველებდეს და ამა ლულუფარის შარბათი სვას, გულის ტკივილსა და ხუელასა, ორსავე უშველის.

30 კაცსა რომე ტყირპი სჭირდეს, ტყირპსა უშველის, საქმელსა მოაქარებებს. კაცსა რომე სული უგუბდებოდეს და გულს უჭირებდეს, იმასაც კარგად უზამს, სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და მაშინვე გულს უკუჰყრის.

გვირილაები, აწე ყუითელსა გვირილასა ხავარნი ჰქუიან, საკრწყილესა გვირილასა ბაბუნაჯი ჰქუიან, და თეთრსა გვირილასა ბაბათია ჰქუიან. და ესე სამი გუარი გვირილაები სამნივ მხურვალი და ხმელია, და ყოვლის გრილის სენისა და ჰირისათვის სამივ წამალი არის, რომე ან ამისი შარბათი ასვან, ან დანაყონ, ტლედ ქნან და სადაცა სტკიოდეს და ან უსივდეს იქ შემოსდვან. ყოვლსა ქარსა დაღეწს და გააყენებს, და ყოვლსა გრილსა სენსა არგებს და წამალი

არის. ცივებისა, სისხისა, გრილის ხაფაყანისა, ასოსა, ძულის და სახსრების ტკივილისათვის, თავისა და წელის ტკივილისათვის და ყოვლის ბალღმის წამალია.

ბუი მაღარონ, ვითამცადა მელისკუდას უუავილიო, აწე ესე მელისკუდას უუავილი ორი რიგი არის თეთრი და ყუითელი, მაგრა თეთრსა ყუითელი სჯობს უკეთესი ხასიათი აქუს, და ყოვლის ფერის გრილის სენის წამალი და აქიმი არის.

10 კაცსა რომე სიგრილითა თავი და საფეთქლები სტკიოდეს, ან კაცსა სისხა სკირდეს და სისხისაგან სივდეს, ან კაცსა ქარი სკირდეს, ან კაცსა ფილენჯი სკირდეს, ან ფილენჯის ქარსა ხელი და ფეხი შეეტაცოს, ყულასათვის გამორჩეული წამალი არის, რომე კაცმან დანაყოს, ტლედ ქნას, თბილის წყლითა გააყენოს და მსივანსა და მტკივანსა ალაგსა შემოსდვან, უკირველად უშველის, და უფრო მაშინ, რომე ესე სენი ბალღამი და ან სევედა იყოს, და მუნისა, ქეცისა და ყოვლისა მხურელისა და ხმელის სენის წამალი არის.

სანდალი, თეთრი და ყირმიზი, ორივე ესე სანდალი, თეთრი: გრილი და ნედლი არის, მწოდდ მარგე და ყოვლის ფერის სენისა და ჭორისა მარგე წამალი არის. ამა სანდლისა სუნება ტვინსა და დამალსა გაანედლებს და ძალს მისცემს. გულსა და ღვიძლს მოუგრილებს და ძალსა მისცემს, ან ღვინისა და ან სხვის მიკირვებისაგან კაცსა რომე ღვიძლი დაკოდელი და ან დახეთქილი ჰქონდეს, და ესე თეთრი სანდალი ვარდისა წყლითა გალესოს და სვას და გარედამანცა შემოიცხოს, ღვიძლსა მაშინვე გაუმთელებს და დაკოდელისა ისრევე ერთმანერთზედა გამოაბამს. სიცხესა და სიმხუვალესა გაუგდებს, კაცსა წყურვილსა და რწყევასა ორსავე უკუუგდებს.

20 კაცი რომე მუტელშიგა გახსნით იყოს, მაშინვე შეჰკრავს. კაცსა რომე თავი და საფეთქლები სიმხურვალისაგან სტკიოდეს და ძმრითა და ან ვარდის წყლითა გალესო და ასვა, და თავზედაცა შემოსცხო, თავის ტკივილსა უშველის და სიმხურვალეს გაუგდებს.

30 კაცი რომე ან ცხელებისა, ან სნებისაგან, ან ხაფაყანისაგან და ან ღვიძლისაგან მწოდდ ცხლად იყოს, და ესე სანდალი ვარდის წყლითა გალესონ და ტლედ ქნან, და გულსა და სტომაქზედა სამოსლითა გარდააკრან, მაშინვე სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და კაცსა გულსა უკუჰყრის და ტვინსა და დამალსა, გულსა და ღვიძლსა ოთხსავე მწოდდ არგებს და ძალს მისცემს. და ესე სანდალი რომე კაცმან ქინძის წყლითა გალესოს და ასვას, შირიმის ქუასა დაღეწს და გამოაგდებს. და კაცსა რომე თავი და ან პირი, და ან

დედაკაცსა საშო სტკიოდეს, სამისათვისვე მწოდ კარგი არის, რომე ვარდის წყლითა გალესონ და შესცხონ.

ყირმიზი სანდალი, თეთრის სანდლისაგან მწოდ უფრო ძალიანი არის, გულსა და ღვიძლსა მწოდ არგებს, და ერთსა ალაგსა რომე კაცსა ქარი შემოეჭიდოს და გასივდეს, და ეს ყირმიზი სანდალი კაცმან გულაბითა გალესოს და შესცხოს, ტკივილსა და სიმსივნეს მაშინვე უშველის, მეტადრე მაშინ, რომე ესე ქარი ან წითელი ქარი იყოს და ან მჯდომისა, ან ვარმისა და ან სურავანდისაგან წაჭკიდებოდეს.

10 კიდევ ფუფალსაცა ამავე თეთრის სანდლისავე ხასიათი აქუს ყოვლსა სენსა და საქმეზედა, თვალის წვისათვის, თვალის სიმსივნისა და ქავილისათვის, და თვალის ტკივილისაივის მწოდ კარგი და აქიმი არის, რომე კაცმან ეს ფუფალი ვარდის წყლითა გალესოს და შეიცხოს, და თვალშიგაცა გამოივლოს, და კაცსა კბილსაცა მწოდ დაუმაგრებს, რომე ესე ფუფალი დანაყონ და ზედა დაიყარონ.

უდი ჰინდი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ტვინსა და დამალსა გულსა და სტომაქსა, გრილსა ღვიძლსა და ფირტუსა ყუელასა მწოდ არგებს, გაანედლებს და დააძალიანებს.

20 კაცმან რომე უდი კევისავითა ლექოს, კაცსა პირიდალმან ავსა სულსა გაუგდებს და კაისა სულსა ამოადენს და საქმელსა მოაქარვებს. კაცი რომე მწოდ გახსნით იყოს, და ამა უდის შარბათი ასვათ, შეჰკრავს. კაცსა რომე სიგრილისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ესე უდი კაცმან ვარდის წყლითა გალესოს და მტკივანსა ალაგზედა შემოიცხოს, უშველის.

ამავე რიგად რომე კაცმან ან სისხისა და ან სხვა სიმსივნეზედა დაიცხოს, ყოვლს სიმსივნეს დაჰფანტავს და გააქარვებს. და კაცსა რომე ან თავი და ან ხელფეხი და ხორცი უთრთოდეს, იმას მწოდ არგებს და ძალს მისცემს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა მწოდ არგებს.

30 ვინცა ესე უდი, სანდალი და ფუფალი ბიის წვენითა მოსქოდ გალესოს და კაცსა ასვას, რაგინდარა კაცი ძნელად მუცელშიგა გახსნით იყოს, და ან სისხლზედა იარებოდეს, და ან სისხლსა ფსემდეს და არწყევდეს, და ამა რიგად ესე უდი ასვათ, მაშინვე უშველის.

კაცმან რომე უდი დანაყოს, გაცრას და ცოტა მარილი ურიოს და დამრულსა კბილზედა დაიყაროს, კბილსა უსათუოდ დაუმაგრებს და დაუთეთრებს, ღვიძლსა ამოგურის, ზანგსა და ბაყლსა გარდაართვამს.

ამ კბილის წამლისათვის და საქმისათვის ეს წამალი მრავალ-
ჯერ დაცდილი არის და ყოვლსა ბაღმისა და სევდისა სენსა
ყუელასა არგებს, რომე ესე სენი სიგრილისაგან წაჰკიდებოდეს.

ქაფური, მესამესა წილშიგა მწოვედ გრილი და ხმელი არის,
კაცსა რომე ასო და სახსრები სტკიოდეს, ყოვლისა ასოსა და სახ-
სრების ტკივილსა უშველის, და ყოვლისა სიმბურვალისა სენისათვის
გამორჩეული და მწოედ კაი წამალი არის. კაცსა წყურვილსა მოუკ-
ლავს. კაცმან რომე ამა ქაფურსა უსუნოს, სიცხესა და სიმბურვალე-
სა გაუგდებს. ცხელებასა, სნებასა, შავსა და ყუითელსა იარაყანსა
10 ყუელასათვის მწოედ კარგი არის, კაცმან ამისგან ან ერთი ღირჰამი
გალესოს და სეას და ან უსუნოს.

კაცსა რომე ცხვირსა სისხლი არ დასწყედეს მოიტანე ტარხუნა
დანაყე და გამოწურე და ამა ტარხუნისა წვენიშიგა ესე ქაფური შიგა
გამოლესეთ, და ამა კაცსა ცხვირშიგა ჩააწვეთონ, მაშინვე ცხვირსა
სისხლსა დასწყუეტს.

აგრევე დედაკაცმან რომე ესე ქაფური ერთი ღირჰამი ჰამოს,
ერთსა წელიწადსა აღარ დაორსულდების და თუ ორსა ღირჰამსა
სჰამს, ორს წელიწადს აღარ დაორსულდების, და თუ ორის ღირ-
ჰამისაგან მეტს სჰამს და მისთა დღეშიგა აღარ დაორსულდების.

20 აგრეთვე კაცისა არის, თუ კაცი ამა ქაფურსა ერთს ღირჰამსა
სჰამს, ერთს წელიწადსა შვილსა ველარ შეიქს, და თუ ორსა ღირ-
ჰამსა სჰამს, და ორსა წელიწადსა შვილსა ველარ შეიქს, და თუ
უფროსსა სჰამს და მისთა დღესშიგა ველარ შეიქს.

მუშკი¹ მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცმან
რომე ესე მუშკი თვალშიგა გამოივლოს, თვალთა ცრემლისა დენასა
უშველის, ბაღლაშსა და სევდასა კაცის გუამისა და ტანიდაღმან გაა-
ქარვებს, კაცსა გულსა გაუმხიარულებს და სულსა მოუსვენებს და
ტვინსა და დამალსა მწოედ ძალსა მისცემს. კაცსა წელთა და თირ-
კმელთა გაუხურებებს და კაცობასა მატებს.

30 ამბარი, მეორეს წელშიგა მხურვალი და ნედლი არის ამა
ამბრის ჰამაცა და სუნებაცა ტვინსა და დამალსა ორივე გაანედლებს,
აჰბუკებს და ძალსა და წყალს მისცემს, გულს მოუსვენებს და გაამ-
ხიარულებს. გულსა და დეიდლსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს.
კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურებებს, დედაკაცთან მისულას
მოანდომებს და ბევრსა თესლსა ჩაუყენებს.

¹ ამ გვერდის ხემო აშიახე სწერია არა დედნის ხელით: „წამლების ძალი
და ხასიათი“. ქვემო აშიახე კი დედნის ხელით რეველთა სათვალავ
„ც“ და შემდგომი გვერდის ხემო აშიახე „თ“.

ლა დანა, რომე თათრულად ასარაი ფასტიდას ჰქუიან. ესე ლადანა მხურვალი და ნელლი არის. კაცმან რომე ესე ლადანა წვე-რისა, ულვაშსა და წარბზედა შეისევას და დედაკაცმან თმაზედა შეი-სევას მწოედ გაუშაევებს. ამისი სუნება ტვინსა და დამალსა მწოედ არგებს, გულსა და ამხიარულებს და სულსა მოუსვენებს. და დედაკა-ცსა რომე შეილი მოუკუდეს მუცელშიგა და ძნელად დაეხსნეს, მოი-ტანე ესე ლადანა და ცეცხლზედა დააკმივე და საშოშიგა უნდა უყურჩოლონ და მაშინვე შეილი დაეხსნების და დაებადების და ყოვლის გრილის სენისა აქიმი და წამალი არის და უფრო სევდის სენისა.

10

ლალია, მესამეს წილშიგა მხურვალი და ნელლი არის, ამისი სუნება ტვინსა და დამალსა მწოედ არგებს და აქაბუკებს, ძალსა და სინედლესა მისცემს, კაცსა ამისი ჰამა წელთა და თირკმელთა მწო-ვედ გაუხურვებს, კაცობასა მწოვედ ძალს მისცემს და დედაკაცთან მისულას მუდმივ მონადომებს, და ბევრს თესლს ჩაუყენებს, და ყოვ-ლის გრილის სენისათვის მწოვედ კარგია, მეტადრე მაშინ რომე ესე სენი კაცსა სევდისაგან სჭირდეს და ან სევდად გარდაქცეოდეს.

20

მუმიო, მესამეს წილშიგა მხურვალი და მწოედ კარგი და მარ-გი არის. მოტეხილსა და ასო დაჭეკვილს კაცსა რომე ერბოთა გაუ-ლესო, და თბილ თბილი ასეა და ან აქამო, მაშინვე უშველის და მოტეხილსა ისრევე გამოაბამს. შეშინებულსა კაცს და ან მალლიდალ-მან ჩამოვარდნილსა კაცსა რომე შიგნით ერთი ასო ჩაეწყვიტოს და ამავე რიგად ერბოთა ასვან, მაშინვე უშველის და ისრევე მოაბამს, და შეშინებულსა გულსა გაუმაგრებს, და მოტეხილსა ისრევე ერთმან-ერთზედა გამოაბამს.

ლაეუხარდი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე წარბსა და წამწამზედა შეიცხოს, წარბსა და წამწამსა გაუგრძელებს და გაუხშირებს.

30

ცვილი, მხურვალი და ხმელი არის, ესე ცვილი რომე კაცმან მუმრულანად შექნას, ვითამცადა მალამოდ შექნასო, და ესე მალამო თბილთბილი კაცსა გულსა და მკერდზედა შესცხონ ყელის ტკივილსა უშველის, ხუელსა არგებს, გულსა, მკერდსა და დამალსა სამსავე და-ალბობს და არგებს.

მეყნატის ქვა, [ვითამცა და ანდამატის ქვაო. აწე ესე ანდამატის ქვა]¹ მხურვალი და ხმელი არის, ესე მეყნატის ქვა რომე კაცმან დაწვას, დანაყოს და გაცრას და კაცსა ასვას, ყოვლის ფერის თანანუჯისათვის კარგი არის და უშველის ასოვების ტკივილს

¹ ეს განპარტება ეკუთვნის ვარიანტ A-ს.

უშველის. დედაკაცსა • რომე შვილის შობა გაუძნელდეს და ესე მეყნატის ქვა მარცხენეს ხელითა დაიჭიროს და როდისცა მარტვილო მოვიდეს, და ან თავის წყალი დაღვაროს, მაშინ ესე ქვა ხელიდან განაგდოს, მაშინვე მარტვილი დაეზადების.

კაცმან რომე სპილენძის თეფშშიგა ნემსები ჩაყაროს და ეს ქვა იმა თეფშსა ძირზედა მოუსვას, რარიგადცა გარედან იმა ქვასა არონიებთ, ისრევე შიგნიდან ნემსები დაიწყებს სიარულსა.

10 რეევანდი ჩინი, მწოვედ გრილი და ნელლი არის, კაცსა რომე ღვიძლი სტკიოდეს და ან ღვიძლი და ან ფირტი ღვინისაგან დაპობილი და დაკოდლი ჰქონდეს, და ან სიცხისა და სიმბურვალისაგან კაცსა თავი სტკიოდეს და ან გული და ღვიძლ . ეწოდეს, კაცმან რომე ამა რევანდის შარბათი სვას, და ან უშაქროდ კაცმან ესე რევანდი წყალშიგა დააღბოს და ორჯელ სამჯერ უზმომან სვას, ღვიძლისა და ფირტვის ტკივილსა უშველის, გულისა და ღვიძლის წვას გაუგდებს. და თუ კაცსა ღვიძლი დაპობილი ჰქონდეს, იმას ისრევე გამოაბამს.

20 კაცსა რომე მხურვალე ვარამი ¹ სქირდეს, ვითამცა და მჯდომი სქირდესო, და ან შიგნით და ან გარეთ სივდეს, და ესე რევანდი კაცმან წყალშიგა დააღბოს და ასვას და ზედაცა შესცხოს მჯდომსა, ვარამსა, ასპასა, სემსიენესა, სნებასა, ცხელებასა, იარაყანსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა ყუელას კარგად უზამს, სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს, პარტახტსა და ასპასა გარ გამოაჭყრის, გულსა და სტომაქსა დააღბობს. კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის და ყოვლის ხილთისაგან გასწმედს და სიცხესა და სიმბურვალესა თან გამოიტანს და ყოვლის მხურვალის სენის წამალი და აქიმი არის, მეტადრე მაშინ რომე ესე სენი ან სიხმისა, ან ღვიძლისა და ან შეკრულობისაგან სქირდეს.

30 თაბაშერი ჰინდი, გრილი და ხმელი არის, გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს და კარგად მოუხდების და ძალს მისცემს, სიცხისა, სისხლისა და საფრის სიმბურვალესა დაავსებს.

კაცი რომე სიცხისა და სიმბურვალისაგან მუცელშიგა ავად და გახსნით იყოს და ამა თაბაშერისაგან კაცმან ოთხი დირჰამი დანაყოს, ცივის წყლით გაუღესოს და უზმოს ასვას, მაშინვე მუცელშიგა შეჰქრავს და ყუანას უშველის, მეტადრე მაშინ რომე ეს ყუანა საფრისა სენისაგან იყოს იარაყანიანსა და მხურვალსა ხაფაყანიანსა კაცსა რომე გაუღესო და ასეა, მწოვედ არგებს, ღვინო ნაწყენის კაცისათვის

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მწოვედ კარგი არის, რომე ამავე რიგად კაცმან სვას, ცხელებისა და სნებისათვის მეტის მეტად კარგი არის, სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, გულს უკუჰყრის, თავის ტკივილს უშველის.

კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს და ან სისხლზედა იარე-ბოდეს, ორსავე ადვილად უშველის.

10 ჯ ა ვ ზ ი, პირკელს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის. კაცის ასოშიგა რომე ქარი იყოს და ესე ჯავზი სკამო და გალესო. და ზედაცა დაიციხო, ყოვლს ქარსა დაღეწს და გააგდებს. ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა, ხელისა, ფეხისა და თავის თრთოლასა, ყუელასა მწოვედ არგებს და კარგად უზამს.

კაცსა რომე სიგრილისაგან სისხა სკირდეს და ან სივდეს, მისთვის მწოვედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე კაცმან კიდეცა ჰამოს და ღვინით გალესოს და ზედაცა დაიციხოს. ბოლომ ყოვლის ფერის გრილის სენისა და ბალღმის წამალი არის და არგებს, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს და დედაკაცთან მისულას. მოანდომებს.

20 ს ა ნ ა ნ ე ბ ე ლ ი, მხურვალე და ცოტად ხმელი არის, კაცისა ასოდაღმან ქარსა დაღეწს და გააგდებს, ცივებისათვის გრილის ხაფაყანისათვის და სისხისათვის მწოვედ კარგი არის. გრილსა ღვი-ძლსა და სტომაქსა მწოვედ არგებს. კაცმან რომე ერთი კოჭი ეს სანანებელი უზმომან ჰამოს, კაცსა გულსა და სტომაქსა წელსა და თირკმელსა გაუთბობს და გაუხურვებს, გულის წყალსა მოსწმედს, დედაკაცთან მისვლას მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, კაცსა რომე მუცელსა გურემდეს ან მუცელშიგა გახსნას, ან უკანით აზი-დვებდეს, ამას ყუელას უშველის და ყოვლს ბალღმისა, სევდისა და ქარის სენსა არგებს.

30 ბ ა ზ ბ ა ზ ი, პირველსა წილშიგა მხურვალე და ნედლი არის. კაცმან რომე ორი ღირჰამი ესე ბაზბაზი დანაყოს და ცოტა შაქარი გაურიოს და უზმომან ჰამოს, კაცსა მწოვედ მოეკიდების, კაცსა გაამხიარულებს, გულსა და სტომაქსა წელსა და თირკმელსა ოთხსავე მწოვედ გაუხურვებს, გრილს გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს. კაცსა ასოსა და სახსრებისა ტკივილსა უშველის, ქარსა დაღეწს და დაჰფანტავს.

კაცმან რომე ორი ღირჰამი ესე ბაზბაზი და ერთი ღირჰამი შა-ქარი ერთად დანაყოს და უზმომან ჰამოს ასოებსა და ძარღვებსა ასრე გაუხურვებს რომე ცეცხლს მოუდებს, კაცობას მეტის მეტად მატებს, მრავალს თესლს ჩაუყენებს და თესლს ადრე დაამწიფებს, ცივებისა, გრილისა ხაფაყანისა, სისხისა და გრილის თავის ტკივილისა და

ყოფლის ბალღმისა და სევდისა სენებისა, ყუელასი აქიმი და წამალი და მეტადრე კაცობისა, რომე მწოვედ დაცდილი არის.

ხოლინჯანი, პირველს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის და ყოვლისა ბალღმისა და სევდის სენისა და ქირისა გამორჩეული წამალი არის, ცივებისა და გრილის ხაფაყანისა, გრილის სისხისა, გრილის თავისა და საფეთქლების ტკივილისა, ამავეებისათვის მწოვედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, კაცისა ტანიდაღმან ქარსა დაღეწს და გააგდებს, ასოსა და სახსრების ტკივილსა გაუგდებს, გრილსა გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს და კარგად მოუხდების. 10 კაცსა გულსა და სტომაქსა მწოვედ გაუხურვებს, კაცსა წელთა და თირკმელთა, ძვალსა და ძარღვებსა მეტის მეტად გაუხურვებს.

კაცმან რომე ესე ხოლინჯანი მაჯუნშიგა გაურიოს, კაცსა წელთა და თირკმელთა მწოვედ გაუხურვებს. კაცსა კაცობასა მეტის მეტად მატებს და მწოვედ ძალს მისცემს, ბევრს თესლს ჩაუყენებს.

კაცმან რომე ისრე უმი ესე ხილინჯანი ერთი კოჭი პირშიგა ჩაიდვას და ლოღნოს, კაცსა მწოედ გაახურვებს. კაცსა რომე სიგრილისაგან გული და სტომაქი სტკიოდეს, იმას მაშინვე უშველის და გაუგდებს. და კაცი რომე მოკვლშიგან გახსნით იყოს¹ იმას მაშინვე მუცელშიგა შეჭკრავს, მუცლის გურემასა უშველის, მაშინვე 20 კაცსა წინას ასოს² აუყენებს და სადამდი კაცს პირშიგა უც აღარკვი დაუდგების. და კაცსა რომე სიგრილითა და ქართათა ასო და სახსრები სტკიოდეს, იმას უშველის. კაცი რომე სიგრილით გასივდეს და ეს პირში დაიქიროს, და ან ეს ხოლინჯანი გაღესოს და შეიცხოს მწოედ კარგად უზამს.

ფილფილი, პირველს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ყოვლს ფერსა გრილსა სენსა და ქარსა უშველის, ყოვლს ფერსა ბალღმისა და სევდის სენსა უშველის და არგებს. ყოვლსა მაგარსა ვარამსა და სიმსივნესა დააღბობს და გააქარვებს. სიგრილით რომე კაცს სისხა სჭირდეს და ან სივდეს მისთვის მწოედ კარგი და აქიმი 30 არის.

მიხაქი, პირველ წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, და ამავე ფილფილის რიგად ყოვლის ფერის გრილის სენისა და ქარების წამალი არის.

ყოვლის ფერის სევდისა და ბალღმის წამალი არის და უშველის. ესეცა ყოვლს ფერსა მაგარსა ვარამსა და სიმსივნესა დააღბობს

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² „წინას ასოს“ გვერდის აწიაზეა გატანილი დედნის ხელით.

და გაქარვებს. სიგრილით რომე კაცსა სისხა სკირდეს და ან სივდეს მისთვის მწოედ კაი და გამორჩეული წამალი არის. კაცსა პირიდალმან კაის სულს ამოადენს, კაცსა თირკმელთა და წელთა გაუხურვებს. კაცსა მწოედ კაცობასა მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს და კაცსა ქარსა გაუგდებს და წყალს გაუშრობს.

ქაბაბაი ჩინი, პირველს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ღვიძლისა და თირკმლის სულაებსა გახსნის, გრილსა ღვიძლსა მწოედ არგებს, კაცსა მწოედ გაახურვებს, კაცობას მწოედ ძალს მისცემს და მწოედ მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს.

10 კაცმან რომე ესე ქაბაბა საკმელსავით ღეჰოს წამხდარსა ღრიძილს ამოიყუანს. კაცმან რომე დედაკაცთან მისულაშია ესე ქაბაბა პირშიგა დაიჭიროს კაცობას მწოედ ძალს მისცემს.

კაცმან რომე ტყუნაშიგა ამისი წვენი ყლებზედა დანიცხოს და მერმე ისრე ტყუნა ქნას კაცსა და დედაკაცსა ორთავე ასრე იამებინს, რომე სიამოვნითა ორნივე დაბნდნენ, და ესე ქაბაბა ყოვლს გრილს სენს არგებს და ყოვლსა ბაღმისა და სევდის სენსა გააქარვებს. კაცი რომე იარაყენისაგან სივდეს მისთვის მწოედ კარგი არის და მარგე.

20 ზირა, მეორეს წილშიგა მხურვალი და ნედლი არის, ყოვლის გრილის სენისათვის, ყოვლის ბაღმისა და სევდის სენისათვის და მეტადრე ქარისათვის, მწოედ კარგი და წამალი არის.

ჰილი, რომე ყაყულს ეძახიან, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე ესე ჰილი ჰამოს, ქარსა ამოაღებინებს, ქარსა დაღეწს და გააქარვებს, ცივებისათვის, გრილის ღვიძლისათვის, გრილის ხაფაყანისათვის, გრილის სისხისათვის, და ყოვლის გრილისა და ქარიანისა სენისათვის, კაი წამალი და აქიმი არის. კაცსა კაცობასა მატებს, თესლს ჩაუყენებს, ქარს გაუგდებს. ღვინოზედა რომე კაცმან ჰამოს, ღვინოს მოაქარვებს და პირიდალმან ღვინის სულს გაუგდებს.

30 დანა მასტაქი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე ესე დანამასტაქი ან ჰამოს და ან ღეჰოს, ქარს გააქარვებს და ამოაღებინებს. კაცსა რომე ყელშიგა სისხლი სდიოდეს იმას უშველის. კაცსა პირიდალმან კაის სულს ამოადენს, კბილებს დაუმაგრებს და ლაუთეთრებს, და ყოვლისა გრილის სენისა კაი წამალია, და ღვინოზედა რომე კაცმან ჰამოს ავია.

საკმელი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. კაცი რომე გულ მავიწყი იყოს და ესე საკმელი ან ჰამოს და ან ღეჰოს, გულ მავიწყობას უშველის. გულსა და სტომაქსა ძალს მის-

ცემს და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, და ქარსა დაღეწს და გააქარებებს.

სამეცი არაბი, მხურვალი და ნედლი არის, ყელისა და მკერდის სიხმესა ორსავე არგებს. კაცმან რომე ესე 'სამეცი არაბი ძმრით ტლედ ქნას, ყუბასა უშველის.

სამეცი სუმხი, მხურვალი და ხმელი არის, ყოვლს გრილსა და ბალღმიანსა სენსა არგებს და კბილის ტკივილსა უშველის.

სალიხა, მესამეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, თირკმელთა და შირიმის სენსა მწოვედ არგებს. დედაკაცსა რომე დედათ წესი შეხუთვილი ჰქონდეს, დედათ წესსა მაშინვე ჩამოუშლის, და ყოვლისა ბალღმისა და სევდის სენსა არგებს. კაცსა რომე სიგრილითა სისხა შეექნას მისთვის კარგი არის.

სუმბული ჰინდი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ტვინსა და დამალსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს. კაცსა თმასა, წვერსა, წარბსა და ყოვლსა ბალანსა გაუგრძელებს და გაუხშირებს და ყოვლსა გრილსა სენსა კარგად მოუხდების, მეტადრე მაშინ რომე, ეს გრილი სენი ან ბალღმისაგან იყოს და ან სევდასაგან. კაცსა მწოვედ კაცობასა მატებს, დედაკაცთან მისულას შოანდომებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს, წელთა და თირკმელთა გაუხუროებს და ქარსა გაუგდებს.

შეითარ აჯი ჰინდი, მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის. ესე შეითარ აჯი ჰინდი რომე კაცმან დანაყოს და ან თეთრსა, და ან შავსა შამხალსა და ლაქასა, ტლედ ქნას და შემოსდვას, მაშინვე უშველის, და გააქარებებს.

ესე რომე დანაყო და სხეას წამლებშიგა გაურიო და კაცსა ასეა, ძელისა და სახსრების ტკივილსა უშველის. კაცმან რომე მაჯუნშიგა გაურიოს და ჰამოს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, წელთა და თირკმელთა გაუხუროებს და კაცობასა მატებს.

ყარა ჩორაქ ოთი, პირველ წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ბალღამსა და სევდასა გააქარებებს, ქარსა გააგდებს და ყოვლსა გრილსა სენსა გააქარებებს. კაცმან რომე მაჯუნშიგა გაურიოს და ჰამოს, კაცობას მწოედ მატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს. კაცსა რომე სისხა შეექნას და თავით ფეხთამდი სრულად გასივდეს, და ეს ყარა ჩორაქ ოთი დანაყო და ხამსა თაფლშიგა ამოთხულიპო, ტლედ ქნა და გასივებულსა კაცსა საქორით ფეხებამდისი სრულად შესცხო, სისხასა და სიმსივნესა ორსავე უშველის. მაგრამე სადამდი სიმსივნე ფეხებთან ჩავიდოდეს, მანამდი ყოველს დაწოლის დროს უნდა შესცხო, ერთს ჩარჩამშიგა წაახვიონ და დააძინონ. მაგრა პური, ხორცი

და წყალი ასრე უნდა აუკრიფონ, არც თვალით უჩვენონ, და თუ მწოვედ უწყლობა მისქირდეს ვარდის კაქაქის ყუავილის არაყი გამოჰხადონ და ის ასუან. და თუ ვარდის კაქაქის ყუავილი არ იყოს, ამა ვარდის კაქაქის ძირის ტყავი დანაყონ, წყალი გამოჰხადონ და წყლის ალაგსა როდისაც' მისქირდეს, თვითოს ოროლს კოვზსა ამისგან ასმევედენ. და თუ უხორცობა და შიმშილი ვერ გასძლონ ტრედის ხუნდი, ქაეკავი მოხარშონ, ფილფილი, დარიჩინი, მიხაქი და მხურვალი ბალახები ურიონ, ბრინჯი ურიონ, უხორცოდ და შექამადის წვენი აქამონ. კაკაბი, ხობობი, დურაჯი, თაფლი და კაი ნესვიცა ექმების ამრიგს სისხიანსა კაცსა.

10 საბრი უსყური, აწე ამა საბრსა ზოგნი აქიმნი აზვეის ეძახიან. ესე საბრი ორი რიგი არის შავი და ყუითელი. მეორეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ყოვლს გრილსა ბალღმისა და სევდისა სენსა არგებს და კარგად მოუხდების. კაცის ტანიდალმან ქარსა დაღეწს და გააგდებს, ტყუნას მოანდომებს და ნაყოფს ჩაუყენებს.

კაცსა რომე ქარისა და სიცივისაგან სახსრები სტკიოდეს და ერთი ღირჰამი ესე საბრი კაცმან დანაყოს და ან მშრალად ქამოს, და ან თაფლშიგა აურიოს და უზმონან ისრე ქამოს, მაშინვე კაცსა გახსნის. ქარს გაუგდებს, და სახსრის და ძულის ტკივილს უშველის.

20 მაგრა შავსა საბრსა ყუითელი საბრი სჯობს.

აბუჯაჰლ ყაუნ ი, ვითამცა და იოლდა სლებიო მოჰთადილი და შეზაეებული არის, ვითამცა და სიმხურვალესა და სიგრილესა შუა არისო.

კაცსა რომე გული და ღვიძლი სტკივოდეს და ესე იოლდა სალები ქამოს, და დაქრას, წყალშიგა დაალბოს, და ამისი წვენი სეას, გულსა და ღვიძლსა ორსავე მწოვედ არგებს და ფირტუსა ამთელებს.

30 ბოლო ყოვლის გრილისა და მხურვლის სენისათვის, ყუელასათვის გამოწრჩეული და მარგე წამალი არის, ცხელებისა, სნებისა, მჯღომისა, სურავანდისა ვარამისა, ამა ყუელასი წამალი არის. იარაყნებსა არგებს, სისხასა და სიმსივნესა არგებს, კაცისა გულსა და სტომაქსა დაალბობს, ქარსა და ასოსა და სახსრებისა ტკივილსა. უშველის და ღვიძლსა და მჯღომსა მწოვედ არგებს.

შაყაიყი რუმი და უდისალაბ, ორივე სეინტრის ძირსა ჰქუიან. ესე სეინტრის ძირი მესამესა წილშიგა მხურვალი და ნეღლი არის. კაცსა მწოვედ კაცობასა მატებს, და ბევრს თესლს ჩაუყენებს გულსა და სტომაქსა დაუღობს, ხველასა და მკერდსა ორსავე არ-

გებს, კაცსა მუცელშიგა გახსნის, ტვინსა და დამალსა არგებს და განედლებს, და თვალთა წყალსა და სინათლესა მისცემს და ძარლუსა დაანედლებს, და ყოვლის გრილის ბალღმიანისა და სევდიანისა სენისა წამალი არის.

თე თ რ ი ღ ა რ ი ყ უ ნ ი, მესამეს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის, ყოვლის ფერის სუდასა არგებს და გახსნის. ავსა და სქელსა ხილთებსა კაცის გვამშიგა დაადნობს და გააქარვებს, ქარსა დაღეწს და გააგდებს, ტვინსა და დამალსა ძალს მისცემს, კაცთა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს კაცობას მოანდომებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, და ყოვლის ფერისა ბალღმისა და სევდის სენისა წამალი არი
10 ცივებისა, სისხისა და გრილის ხაფაყანისა, ამათ ყუელასი წამალი და მარგე არის, და გრილსა ავად ყოფაებასა და გრილსა სენსა ყუელას არგებს და კარგად უზამს.

შ ი რ ხ ი შ თ ი, სიმხურვალეზედა მოჰთადილი და შეზავებული არის გულსა და სტომაქსა დააღბობს, კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, მუცელშიგა გახსნის, და ამა შირ ხიშთის გახსნა გაზანგვის გახსნისაგან უფრო ძალიანი არის, ტვინსა და დამალსა დააღბობს, სიმხურვალესა და სიგრილესა ორსავე არგებს, და კაცსა ბევრს თესლს ჩაუყენებს.

ყ უ ს ტ ი, მესამეს წილშიგა მხურვალე და ხმელი არი, თეძობისა და კუკუხოს ტკივილსა ორსავე უშველის. კაცსა რომე ასოები და სახსრები სტკიოდეს, იმას უშველის. ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა კარგად უზამს, გრილსა ხაფაყანსა და გრილსა სისხასა ორსავე არგებს. ცივებასა უშველის და რაგინდარა რამე სიმსივნე იყოს, ყუელას დააცხრობს და უშველის.

ყ უ რ ბ ი მ ო ნ ა, ვითამცა და ტყიურას ბალახის თესლიო, ესე ტყიურას ბალახის თესლი მესამეს წილშიგა მხურვალე და ხმელი არის ყოვლის გრილისა და ნედლის სენისათვის წამალი არის. სისხიანსა კაცსა რომე ან ასრე აკმით და ან მაჯუნშიგა გაურიოთ და ისრე
30 აკმით, მწოედ კარგი წამალი არის, ქარსა დაღეწს და გააგდებს, ცივებასა და გრილს ხაფაყანს ორსავე არგებს. კაცსა მწოედ კაცობასა მატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

ვ ჰ ა ო რ ი ა და მ ა ზ ა რ ო ნ ი, ორივე ერთის ხასიათისანი არიან, ორნივე მხურვალნი და ხმელნი, გრილს სტომაქსა და გრილს ღვიძლსა, ორივე მწოედ არგებს, ქარს არგებს და გააქარვებს და ყოვლის ბალღმისა და სევდისა სენსა არგებს და გააქარვებს, მეტადრე სისხისა სენსა, რომე ესე სისხა სიგრილისაგან წაჰკიდებოდეს, და ამა

სისხისა მიზეზითა მჯდომიცა აშლოდეს, და კიდეცა სივდეს, მისთვის გამორჩეული წამალი და ამა სენისა აქიმი არის.

ბ რ ო წ ე უ ლ ი ს ყუავილი, გრილი და ხმელი არის, გულსა და ღვიძლსა და სტომაქსა, სამსავე მწოედ არგებს და ძალს მისცემს.

კაცი რომე სტომაქშიგა სისუსტემან გახსნას, მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, იმას მაშინვე მოჰკუეთს და უშველის.

გ ა რ ნ ა ბ ი, გრილი და ხმელია, კაცმან რომე ესე გარნაბი ჰკამოს, იმ დღესა და იმა სმაზედა აღარ დაითრობის.

10 ს უ ლ ი ნ ჯ ა ნ ი, გრილი და ხმელი არის, ყოვლის ვარამისათვის და მჯდომისა სიმსივნისათვის, ყუელასათვის კაი და აქიმი არის, რომე კაცმან ეს სულინჯანი ძმრით გალესოს და ვარამსა და სიმსივნეზედა დასცხოს.

გ ო გ ი რ დ ი, მხურვალი და ხმელი არის, კაცსა რომე მუნი ესხას და ესე გოგირდი თაფლითა ჰკამოს და ტანზედაცა შეიცხოს, მუნსა უშველის.

ყ ა თ რ ა ნ ი, ვითამცა და ფიქვის დღვილიო, ესე ფიქვის დღვილი მეოთხეს წილშიგა მხურვალი და ხმელი არის, ამისგან რომე კაცმან ერთი წვეთი თბილთბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, თუ კაცსა ყურშიგა ჰია ესხას, მაშინვე დაჰხოცს და გამოჰყრის, და ყურის ტკივილსა და ბაყლის დენასა ორსავე უშველის.

20 მ ო რ ი ე ლ ი, გრილი და ხმელია, ესე მორიელი რომე კაცმან მოკლას და ზეთშიგა წამოადულოს და გაწუროს, და თბილ თბილი კაცსა მტკივანსა ყურშიგა ჩააწუროს, მაშინვე ყურის ტკივილსა უშველის, და თუ ჰია ასხია დაჰხოცს.

ს ა ლ ე ს ა ვ ე ს ქ ე ა, გრილი და ხმელი არის.

თ. საკმლებისა ხასიათებსა და შექნასა გაიმბობს.

30 აწე ერთსა საკმელსა ზერვა ჰჟიან და ესე ზერვა მწოვედ მაშუნე და სარგებლიანი საკმელი არის, ბალამსა და საფრასა ორსავე გააქარვებს, სუდას გახსნის. ყოვლის გვარის ცხელებისა, სნებისა და ცივებისათვის ეს ზერვა მწოვედ კარგობ და შემრგო საკმელი არის, მეტადრე მაშინ, რომე ეს ცხელება და ცივება ან საფრისა და ან ბალამისა სიმრავლისაგან წაჰკიდებოდეს. ღვიძლსა და თირკმელთა მწოვედ არგებს და დააძალიანებს.

აწე ამა ზერვას შექნა ასრე უნდა: მოიტანე ან ცხურისა და ან ქათმის ხორცი და წურილად და ყიმა ყიმად დაჰკერით და ცარიელის წყლითა ერთსა ქოთანშიგა¹ კარგად მოხარშეთ და ქათვი მოჰხადეთ.

¹ ამ სიტყვის გასწვრივ აშიაზე დედნის ხელით სწვრია „კოკობშიგა“

და მერმე მოიტანეთ ასი ღირჰამი კაი ძმარი, ორმოცდაათი ღირჰამი შაქარი, და თუ შაქარი არ იყოს, ორმოცდაათი ღირჰამი თაფლი გაურივეთ და კარგად მოხარშეთ, და კარგად აღლუეთ. და თუ კაცი ბალღმინანდ იყოს, თაფლი გაურიოთ თუ შაქარი, ორმოცდაათის ღრამისაგან უკეთ უნდა ჰქნათ, და უკეთ გაურიოთ და ცოტაოდენი დარიჩინი, ცოტაოდენი ზაფრანა და ცოტაოდენი მუხუნოს მუკაშარი დაქექილი, და ცოტაოდენი რყავ გახდილი და ცოტად დანაყილი ნუშის გული გაურიონ და ისრე აქამონ, მწოედ კარგი და მაშუნე საქმელი არის და არგებს.

10 ჯ ა ვ ა ვ ი, მწოედ გრილი და ნეღლი არის. და მწოედ მაშუნე არის და ყოვლის მხურვალის სენის წამალი და აქიმი არის, ყოვლს ხილთს დაამწიფებს და დამწვარსა ხილთებსა და აღურევინებს, კაცსა მაშინვე გახსნის და გასწმედს, და რაცა შიგნით სიცხე და სიმხურვალე არის ყუელას გარ გამოაგდებს და კაცსა მაშინვე შარდათ ვახსნის და სისხლსა და საფრასა გააქარეებს. კაცსა მაშინვე ძილს მოგურის და ხველისათვის მწოედ კარგი არის. ავსა ბუხარსა დამალშიგა აღარ გაუშვებს; გულსა და სტომაქსა მწოედ მოუგრილებს და ღვიძლსა არგებს. ცხელებისა, სნებისა და მხურვალის ხაფაყანისათვის და ყოვლის მხურვალის სენისათვის გამორჩეული წამალი არის.

30 აწე ამა ჯავავის შექნა ასრე უნდა: მოიტანეთ კარგი ქერი და დაარჩივეთ და ერთსა დღესა წყალშიგა დაალბონ და მერმე ამოიღონ და ასრე დაქექკონ, რომე ქერქი შესცივდეს; მერმე ერთსა კოჭობშიგან ჩაყარონ და რა ნივთიცა წონითა ესე დაქექილი ქერი იყოს, თხუთმეტი ამ ქერის წონა წყალი დაასხან და ამდონი აღლუნონ, რომე ხუთის წილის წყლისაგან ერთი წილი წყალი დარჩეს, მერმე გარდმოიღონ, გაწურონ და გააციონ და კოვზითა აქამონ და ჯავ ავი იქნების.

მასულაყა, მოჰთადილი და შეზავებული არის და ყოვლსა 30 თერსა სტომაქსა მოუხდების და ტანსა ზომიერად გაასუქებს, სევდასა გააქარეებს, სისხლსა და თესლსა კაცსა ორსავე ბევრს ჩაუყენებს, კაცსა ელფერსა გაუკეთებს და რასაცა იარაღსა ამა მასულაყას შექამადებშიგა გაურევეთ, თვითანცა იმად გარდაიქცევის.

აწე მასულაყა ამას ჰქუიან და შექნაცა ასრე უნდა, რომე ცარიელი ხორცი ცარიელს წყალშიგა მოხარშონ და ცოტა ბრინჯი ჩაყარონ და ეს შექამადი მასულაყა იქნების და ჰამონ.

მუზავარაა, ვითამცა და ყიმაშორვაო, ამა ყიმაშორვის ხასიათი გრილი და მოჰთადილი არის და როგორაცა ავადმყოფსა ვა-

რიისა ხარშო ექმების, თუ ვარიის ხარშო არ არის, ისრევე ეს ყიმა-
შორვა ექმების.

აწე ამა ყიმა შორვის შექნა ასრე უნდა: მოიტანეთ ცხურის
ხორცი, რომე მწოვედ მსუქანი არ იყოს, და წერილად, მუხუდოს
სისხოდ დაკემსეთ და ცარიელს წყალშიგა კარგად მოხარშეთ და რა
ხორცი, ნახევარ ხარშვაზედა მოვიდეს, მოიტანეთ ცოტაოდენი ბრინ-
ჯი და დაარჩიეთ და კარგად დარეცხეთ, და ეს ბრინჯი ჩაყარეთ და
ცოტაოდენი ნუშის ზეთი და ან კარაქი ჩაურით, ქინძი ჩააპერთ,
და მთელმთელი ხახვი შიგ ჩაურაეთ და გამოხარშეთ და ყიმაშორვა
იქნების და აქამეთ. მწოედ მარგე და მაშუნო საქმელი იქნების.

10 შილაფლაგი, მწოვედ შემრგო და მოძთადილი საქმელი არის.
და თუ მხურვალსა იარალსა არ ურევთ, ავად მყოფსაცა კარგად ექმე-
ბის. აწე ამა შილაფლაგისა შექნა ასრე უნდა: მოიტანე სამი თავრე-
ზული ლიტრა წყალი და ქუაბშიგა ჩაასხით, რომე ესე წყალი ორი-
ათას ოთხასი ღირჰამი იყოს, და ან ორი ქათამი შუა შუა დააპე და
ჩაყარე, და ან ორი ჰოყა ბატკნის ხორცი მოწლოდ დაქერი და ჩა-
ყარე, და თუ ქათამი და ბატკნის ხორცი არ იყოს, ოყა ნახევარი კაი
და მსუქანი ცხურის ხორცი მოწლოდ დაქერ და ჩაყარე და ზომიე-
რი მარილი ურთე, და მოხარშე, ქაფი მოჰხადე და რა ხორცი კარ-
გად მოიხარშოს; მოიტანე და ერთი ოყა ბრინჯი დაარჩიეთ, და
20 ორჯელ გარეცხეთ და ჩაყარეთ და რა ამა ბრინჯმან ერთი პირი იდუ-
ლოს, მოიტანე ზომიერი ხახვი და ალყა ალყად დაქერ და ჩაყარე და
შუა შუა დაქრილი ისპანახი, მუხუდოს მუკაშარი, წურილად დაქრილი
სტაფილო და კომბოსტოს კაი ალაგები ჩაყარეთ, და რა ბრინჯი
კარგად მოიხარშოს, მოიტინე ექუსი ღირჰამი პილპილა, ორი ღირ-
ჰამი მიხაქი და ეს ორივე ნახევარზედა დანაყონ და ჩაყარონ, და ამავე
მიხაქისოდენი დარიჩინი და ცოტაოდენი ზირაც ჩააყარონ და ზომი-
ერი ერბო ჩაადღონ, და თუ ხუთსაოდე კუერცხსა ჩაახლით ისი სჯობს,
და როდისცა ბრინჯი ხარშვითა გათაედეს გარდმოიღონ და შილა-
30 ფლაგი იქნების, მაგრამე ბრინჯსაცა და ხორცსაცა ხშირ ხშირად
დარევეა უნდა. ეს იცოდით, ყოვლის საქმლისაგან უკეთესი და ხელ-
მწიფედ საკადრისი საქმელი არის, მეტადრე მაშინ რომე შილაფლა-
ვი ლიმოთა შექჰნათ.

ყაბული ფლაგი, თავი და გამორჩეული საქმელი არის, კა-
ცი თუ მხურვალის იარალითა კარგად წიამკოპს, გრილსა და ბალ-
ღმიანსა სტომაქსა კარგად დააშუნდების, სევდა სტომაქიანსა კაცსა
მწოედ არგებს, და კარგად მოუხდების, ტვინსა და დამალსა დაალ-
ბობს და კაცსა ფიცხლად გააძღებს. აწე ამა ყაბული ფლაგის შექნა

ასრე უნდა: მოიტანე ლიტრა ნახევარი მსუქანი ხორცი და წურილად დაქერ, და სამი ლიტრა წყალი დაასხი, ადუღე, ქაფი მოჰხადე და რაქამცა ხორცი ასრე მოიხარშოს, რომე ხელი მოუჭირო, ხორცი დაჩქლთდეს, მერმე გარდმოიღე და წვენი სრულად ამოსწუნივე, მერმე მოიტანე ხახვი და ალყა ალყად დაქერ, და ერთი თავრეზული ლიტრა ბრინჯი კარგად დაარჩივეთ და ორჯელ გარეცხეთ, მერმე მოიტანეთ სამი ღირჰამი პილპილა, სამი ღირჰამი მიხაქი და სამი ღირჰამი დარიჩინი, ტყავ გახდილი მუხუდო, ტყავ გახდილი ნუში და ქიშმიში და ეს იარაღები სრულად იმ ხორცზედა დაჰფინეთ, და ამა იარაღზედა ბრინჯი დააყარეთ და ამა ხორცისა წვენისაგან ამღენი წვენი და-
 10 ასხით რომე ხორცსა, ბრინჯსა და იარაღსა ორის თითითა ეს წვენი უმაღლე იყოს და თავს დახურეთ და ადუღეთ, რა ბრინჯი ასრე მოიხარშოს, რომე ხელი მოუჭირო ერთის ხაშხაშის მარცვლის ოდენი გული კიდევ უმი იყოს, თუ ამ ქუაბში კიდევ ან ყოლ წვენი იყოს, სრულად წამოსწუნივეთ და, თუ წვენი აღარ იყოს და ბრინჯი ამ ხარშვაზედ იყოს, მოიტანე ერთი ჩარექი ერბო, რომე ესე ერბო ორასი ღირჰამი იყოს, მოადუღეთ, ქაფი მოჰხადეთ და დაასხით, ცოტად ბრინჯი ამოშაღეთ, ცეცხლი სრულად გამოუგზენით, თავს და-
 20 ხურეთ და ერთს ქაშს ისრე ამყოფეთ, რომე ბრინჯი კარგად გაიშალოს და ბრინჯმან ერბო სევას, მერმე გარდმოიღეთ და ყაბული ფლავი იქნების.

იახინი ფლავი, კაი და შეპრგო საქმელი არის. აწე ამა იახინი ფლავის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი თავრეზული ლიტრა ცხურის ხორცი და ასო ასოდ დაქერიტ და მოხარშე. რაქამცა ხორცი კარგად მოიხარშოს, ხორცი და ამისივე წვენი ცეცხლის პირსა თბილად დადგი. მერმე მოიტანე ამავე ხორცისავე წონა ერთი ლიტრა ბრინჯი, დაარჩივე და ორჯელ სამჯერ გარეცხე, და უხორცოს წვენშივა ჩაყარე, რომე წვენი ბრინჯსა ორის თითითა¹ უმაღლე იყოს, და ცოტა ტყავ გახდილი მუხუდო და ცოტა ზირა და სამი ღირჰამი პილპილი ჩაყარონ. რა ბრინჯი ასრე მოიხარშოს, რომე შიგნით გულშივა ხაშხაშის მარცვლის ოდენი გული კიდევ უმი იყოს, იცოდით ქნილა. თუ წვენი ჩამშრალიყოს ჩაყარეთ, თუ არა და წვენი სრულად ამოსწუნიეთ, მერმე მოიტანეთ ერთი ჩარექი ერბო, რომე ორასი ღირჰამი იყოს, მოადუღეთ, ქაფი მოჰხადეთ და ბრინჯზედა დაასხით. ბრინჯი ცოტად აშაღეთ, ქუეშ გამოუკეთეთ, ბატარად აცალეთ, რომე ბრინჯი გაიშალოს, იახინი ფლავი იქნების, ამოიღონ ხორცი ზედ დააწყონ და ვისცა უნდოდეს ქამონ.

¹ ამ სიტყვის გასწვრივ აშინაზე სწერია დედნის ხელით „სიმადლითა“.

ზანგი ყალია, კარგი და მწოდ შემრგო საქმელი არის, საფრის სტომაქისა კაცსა მწოდედ კარგად მოუხდების, კაცსა აღრე მოქქარდების და საქმელსა კიდევ აღრე მოანდომებს და კაცსა შე-
პკრავს.

10 აწე ამა ზანგი ყალის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ხორცი და მოწლოდ დაქერ, მოხარშე და ქაფი მოახადე, მერმე მოიტანე ნარ-
დანგის წვენი, დაასხი, და თუ ნარდანგის წვენი არ იყოს, ან კოწა-
ხურის წვენი, ან მოცხარის წვენი და შინდის წვენი და მოხარშე.
10 რა ხორცი ნახევარ ხარშუაზედა გარდავიდეს, მოიტანე ნიგოზი, ნუში
და მუხუდოს მუკაშარი და სამსავ ტყავი გააძრევით და ხახვი
აღყა აღყად დაქერით და ქიშმიში და ყანისცა ჩაურვიეთ, და თუ
ქიშმიში არ იყოს, ყურძენი ჩაურვიეთ, და რა ხორცი და ეს იარა-
ღები კარგად მოიხარშოს, მოიტანე თავად შაქარი, თვარემდა თა-
ფლი და რა ნივთიცა სიმკავე გინდოდეს იმთენი ჩაურვიეთ, ზომიერი
პილპილა დანაყე და ჩააყარე და რა გარდმოიღო, ნიორი მოსხოთ
დაქერ და კიდევ დანაყე და ჩაურვიე, და ზანგი ყალია იქნების,
თეთშებზედა დაასხი და ქამე.

20 მწვადრი, ყაურმა და ბოზ ყალია, ეს სამივე კაცსა მუ-
ცელშიგა შექკრავს, სამივე ბალამს გააღნობს და გააქარეებს. კაცსა
20 ტანშიგა ძალსა მისცემს და წამოაცხელებს, კაცსა გაასუქებს და ბევრს
თესლს ჩაუყენებს.

ქუფთა, მხურვალი და ნეღლი არის. სისხლსა და თესლსა ორ-
სავე ბევრს ჩაუყენებს, კაცსა გაასუქებს და ტანზედა ძალს მისცემს.

ერიშთა და დუდ მაჯი, ორივე ერთისა თაბიათისანი
არიან, ორივე გრილი და მოქთადილი არის და კარგად შეზავებული
არის, სტომაქ მხურვალის კაცისათვის და მხურვლის სენისათვის ორი-
სათვისვე მწოდედ მაშუნო და მწოდედ კარგი არის, და სტომაქ გრილის
კაცისათვის და გრილის სენისათვის მწოდედ კარგი და მაშუნო სა-
30 კმელი არის, და ხუელას მწოდედ უზამს, და თუ კაცი ამა ერიშთასა
კაის ცომითა მოხარშავს, მწოდედ კარგი და შემრგო საქმელი არის, და
თუ უცომოდ მოხარშვენ და გვიან დაღნების. და უცომო ერიშთა
კაცსა უსათუოდ სუდასა შიაქს და რაც ფერი და გვარი ცომისა
შექამადი არის, ყუელა ამ ხასიათისა და ამ თაბიათისა არის¹.

დედაკაცი რომე ორსულად იყოს, ესე დედაკაცი ქალით არის
ორსულად თუ ვაჟითაო, და ერთის დედისა და ერთის მამის შვილი

¹ აქ დედანში ნახევარ გვერდზე მეტი ცალიერი ადგილია. დატოვებული
და აშიახე დედნის ხელით სწერია „დედას წიგნს ფურცელი აკლდა“

ბევრი დიდი და ძალიანი გამოვარ, და ბევრი ცოტა და უსუსური, რისგან იქნებისო. აწე ერთის დედისა და ერთის მამის შვილი რომე ზოგი დიდი და ძალიანი გამოვა და ზოგი ცოტა და უსუსური, სამისა რისაგანმე იქნების: ერთი ამისაგან იქნების რომე წელიწადი მოჰხდების, რომე საშვილე და მარტვილის სადები დიდი და ძალიანი ჰქონდეს და ამა მიზეზითა მარტვილიცა დიდი და ძალიანი იქნების, და ბევრი წელიწადი იქნების და ამრიგი ტაროსი დაუდგების, რომე საშვილე და მარტვილის სადები ცოტა და ვიწრო ექნების და ამა მიზეზითა, მარტვილიცა ცოტა და უსუსური გამოვა. როგორაც

10 მსხვილი და წურილი მარგალიტი ტაროსისა სიკეთებდა ჰკიდი, და ან ხვარბალი წელიწადსა და ტაროსზედა ჰკიდი, რომე თუ კაი წელიწადი და კაი ტაროსი არის, ხვარბალიც კაი და მსხვილი იქნების, და თუ წელიწადი ავი და მანკიანი არის და ან დაიოდა, მარცვალეც წურილი ექნების და ყოელი მოსაველი წურილი და უსუსური იქნების, ასრევე ძე კაცისა არის.

მეორე ცოტასა და ბევრის თესლისაგან. თუ კაცი ან ხამი არის და ან ანაგებად ბევრი თესლი გვარობს და ამა შექნაზედა ბევრი თესლი უთქს, კაცეცა დიდი და ძალიანი იქნების, და თუ კაცი ან გაცვეთილი არის და ან ბევრი თესლი არა გვარობს, იმისი შვილი პატატა, სუსტი და უსაკო იქნების.

20 აქიმთა ესეცა უთქუამს, კაცის სიმცრო და სიზიდე კანის და ბევრის სასმელ საჭმელისაგან იქნების, თუ კაცი და დედაკაცი კარგსა სმენ და კარგსა სპამენ და კარგსა ალაგსა და გულ მხიარულად არიან, უსათუოდ შვილიცა სრული, დიდი და მშვენვარე გამოუვა. და თუ კაცი და დედაკაცი ავსა სმენ და ავსა ალაგსა და გულნალულიანად არიან, შვილიცა ავი, მკლე და უსუსური გამოუვა და უსათუოდ უსაკოცა იქნების.

კიდევ დედაკაცი რომე ორსულად იყოს და დამძიმდეს, მუცელი უნდა გაუსინჯოთ. თუ მუცელი მარჯვენასა მხარსა უფრო დიდი აქუს, უსათიოდ ვაჟითა არის და თუ მუცელი მარცხნით უფრო დიდა აქუს, უსათიოდ ქალითა იქნების.

30 კიდევ თუ ორსულობაშიგა დედაკაცი ლამაზსა და კანის ელფერზედა არის, უსათუოდ ვაჟითა არის, და თუ ორსულობაშიგა დედაკაცი ფერწასულით და ცერ ჩაქეკით არის, ქალითა იქნების.

კიდევ¹ დედაკაცი რომე დღეზედა იდგეს, მოიტანე ერთი ჯამი და წყლითა აავსე, მოიტანე ამა ორსულისა დედაკაცისა რძე და

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია ჩვეულთა სათვალავი „თ“ და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „ი“.

ამა წყლით სავსეა ჯამშიგა ჩაასხით, თუ ესე რძე წყალზედა დადგეს, უსათიოდ ვაეითა არის, და თუ რძე ძირს წავიდეს, და ქალითა იქნების.

კიდევ დედაკაცი რომე მძიმედ ორსულად იყოს და კაცმან და უძახოს, თუ მარჯვენას ფეხს უწინ წამოსდგამს უსათუოდ ვაეით არის, და თუ მარცხენასა ფეხსა უწინ წამოსდგამს, და ქალითა იქნების.

მერმე რომე დაჯდეს, თუ მარჯუენესა მხარსა უწინ მიიხედა უსათიოდ ვაეითა არის, და თუ მარცხენესა უწინ უკუიხედა, და ქალითა იქნების.

10 აგრევე ძუძუები უნდა გაუსინჯოთ. თუ მარჯვენა ძუძუ უფრო აქუს, უსათუოდ ვაეითა არის, და, თუ მარცხენა ძუძუ უფრო დიდი აქუს, და ქალითა არის.

აწე ესე ნიშნები და ესე ალამათები ყუელა ფილასოფოსთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი არის.

ბ. კარი მხეხამე. ტვინისა, ასოებისა და ძარღვების გამოხხმისა და შეტყობისა.

20 თუ ღთან პირველითგან ადამ როგორ შექმნა და როგორ გამოსახა, და რამთენი ასოები და ძარღვები გამოასხა, და ეს ძარღვები რას და რომელსა ალაგსა დაამკუიღრა, აწე ისმინეთ [საქმენი და საკვირველებანი ღთისანი. და ყოველი სული და იძვრისი წყალობისა-ებრივ აქებდით და აღიდებდით ტკბილსა და მრავალ მოწყალეს ღთსა ჩუენსა.

30 აწე ღთან რომე ადამ თიხისაგან შექმნა და სული ცხოველი შთაბერა, წურილსა ძარღვებსა გარეთად, ოცი მსხვილი ძარღვი გამოასხა, და ეს ოცივე ძარღვები ყუელა ტანზედა გამოასხა, და ძარღვები ყუელა თვითო თვითოსა ასოებზედა გამოასხა, რომე ყოველი ადამის კომისა ასო ამა ძარღვებისა ძალითა და წყალობითა ცოცხალ იყოს და წყალსა სევმდეს. როგორცა ხე წყლისა სმითა იხარებს და წყალი ანედლებს, ისრევე ყოველი ასო ამა ძარღვებითა იხარებს, და იმა ასოებსა ესე ძარღვები ანედლებს, და წყალსა ესე ძარღვები ასმევს, და ყოველი ასო ამა ძარღვებისა წყალობითა საქმობდეს.

აწე ღთან ესე ძარღვები კაცის ტანსა და ასოზედა ამისთვის გაყო, და თვითო თვითოსა¹ ალაგსა ამისთვის დაამკვიღრა, რომე კაცმან ჰკუითა და მცნებითა ღთი იცნას, ისმინოს და ილაპარაკოს, კარგი და ავი სული იცეს და შეიტყოს, ჰკუა; გონება, სიყუარული და სწავლულება ჰქონდეს. აწე ამა ოცის მსხვილის ძარღვისაგან ოთ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბი ძარღვი ორსავე თვალზედა გამოასხა, ამისთვის რომე თვალთა ამა ოთხის ძარღვისაგან იბრუნონ, და ამისის ძალითა და წყალობითა ისაქმოს, და ყუელასა რასმე ხედევდეს. და ამა ძარღვებისა წყალობითა თვალმან ტვინისაგან წყალი სვას და მით სინათლე მოიციეს.

აგრევე ერთი ძარღვი არის, იმას სახელად ბასილი ჰქუიან, და თუ კაცსა ესე ძარღვი ან დედის მუცელშივა და ან დაბადებამივან მარტვილსა დაუზიანდა, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ახლოდაღმან ვერას ხედავდეს და შორიდაღმან უკეთ¹ ხედავდეს. და თუ ესე ძარღვი ან მარტვილსა და ან დიდსა შიამყდა და დაუზიანდა, მაშინვე კაცსა თვალნი დაუდგებიან, ამისთვის რომე თვალთა მთავარი თავი ძარღვი ეს ბასილი არის, და თვალნი ტვინიდაღმან წყალსა ამა ძარღვისა წყალობითა სვამს.

კიდევე ორი ძარღვი ორსბვე ყურებზედა აბია, და ამა ძარღვებსა ორსავე შიგნით გული ფუჩი აქუს, ამისთვის რომე ძალიანი ხმა ტვინსა არ ეცეს და კაცსა ტვინი არ დაუზიანდეს. და ესე ორი ძარღვი ერთმან ერთზედა შემოგრეხილი არის, როგორაცა მინარისა გზა, ამისთვის რომე მალალი ხმა ტვინსა არ ეცეს და ხმისა სიძალიანემან ტვინსა არა აწყინოს, და კაცსა ტვინი არ დაუზიანდეს. და თუ კაცსა ესე ძარღვებისა ფუჩი შეეკრა, ეს იცოდით უსათიოდ კაცსა ყურნი დაუდგებიან. აგრევე ორი ძარღვი კაცსა ცხვირზედა აბია, ამისთვის რომე კაი და ავი სული შეიტყოს და რაცა სული იყოს ამა ძარღვმან ყუელა ტვინსა შეჰყაროს, და ამა სულემან ტვინი ანედლოს და აქაბუკოს. და აგრე ამა ძარღვებმან წყალი და სინათლე ტვინიდაღმან მოიციეს, ესე ძარღვები არ გახმეს და რაცა მეტი წყალი იყოს რომე, ამა ორსა ძარღვსა გარდასპარბდეს, ნესტვიდაღმან უნდა გამოვიდეს და ამა მიზეზითა დამალი და ტვინი მით მთლად იყოს. და თუ კაცსა ტვინი და ესე ძარღვები ნელად და ყოვლის თავისა და დამალისა სენისაგან ემინად და მოსვენებით ექნების, სურდოსა და სურავანდისაგან, ფილენჯისა და ფილენჯის ქარისაგან, თავის თრთოლასა და ყოვლის თავის ტკივილისაგან ემინად იქნების.

და თუ ესე ძარღვები ასრე შეეკრას, რომე ამან ძარღვებმან ტვინსაგან წყალი და სინათლე ველარ მოიციეს და მეტი წყალი ტვინმან ცხვირსა ველარ მისცეს, კაცსა ყოვლი ფერი თავის ჰირი და სატკივარი აეძურის, და აღარც ელხინების.

აგრევე ერთი ძარღვი კაცსა კბილებსა და სასაზედა აბია, და კაცი რასაცა ან ტკბილსა და ან მწარესა, ან მლაშესა და ან შეა-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვესა სკამს, ყოვლსა პირის გემოსა ყუელასა¹ ესე ძარღვი შეი-
ტყობს. და ერთი ძარღვი კიდევ ენაზედა აბია, რასაცა კაცი ან
უბნობს და ან საქმობს, ყუელა ამა ენის ძარღვისაგან არის, და
ყოვლსა სხვასა ძარღვსა ამა ენის ძარღვი სჯობს, ამისთვის რომე
პირშიგა საქმელსა ესე ენისა ძარღვი აბრუნებს, და სიტყუასაცა ესე
ძარღვი ათქმევინებს.

10 აწე ესე ათი ძარღვი ყელსა ზედათი თავშიგა არის გაყოფილი
და დალაგებული, და ამა ათსა ძარღვსა გარეთად რაცა ძარღვები
არის ყუელა ორად არის, გაყოფილი და ყუელა ერთმანეთზედა აბია.
ნახევარი მარჯვენის მხრისაკენ წამოვა და ნახევარი მარცხენის მხრი-
საკენ, ამისთვის რომე კაცმან ხელები და ფეხები ამა ძარღვებისა
ძალითა და წყალობითა იძრას, და იხმაროს.

და კაცსა მკლავებშიგა წურილს ძარღვებსა გარეთად მთავარი,
და ტანისა და სისხლის ხელმწიფე სამი დიდი ძარღვი აქუს. და სრუ-
ლადა ზემოსა ძარღვსა ყიფალი ჰქუიან, ვითამცა და ესე ძარღვი
თავზედა აბიაო. თუ კაცსა ან სისხლისა და ან სიმბურვალისაგან სენი
სჭირდეს, და ამა მიზეზითა კაცი ცხლად იყოს, და ან თავი სტკიო-
დეს, და სისხლის გამოშვება უნდოდეს, ესრე უნდა, სისხლი ამა ყი-
ფალის ძარღვიდალმან გამოუშვან. და საშუალსა ძარღვსა აქალი
20 ჰქუიან, ვითამცა და გულზედა აბიაო, და თუ კაცი ტანშიგა
მბურვლად იყოს, და ან სისხლი სპარბობდეს და მით ავად იყოს.
ასრე უნდა, ესე საშუალი ძარღვი გაუხსნან.

და შესამესა ქუემოსა ძარღვსა ბასალიყი ჰქუიან, ვითამცა
და ტანის ბოძიო, და თუ წელს ქვემოთ სისხლისა და სიმბურვალის
სენი კაცსა სჭირდეს, და ან სისხლის გამოშვება უნდოდეს, ასრე უნდა,
ხისხლი ქვემოს ძარღვიდალმან გამოუშვან. და ესეცა უნდა იცოდეთ
რომე, ქუემო და საშუალი ძარღვები ორივე ერთმანერთზედა შემო-
გრებილი არის და ორივე ერთმანერთისა შარიქნი არიან. და ეს ძარ-
ღვები ორივე სწორი არის, კაცსა რომე ქუემო ძარღვი ვერ უპოვო
30 და ესე საშუალო ძარღვი გაუხსნან, ისივე ჰოქმი აქუს, რომე ქუემო
ძარღვი გაგეხსნას. და ამა ორსა ძარღვშიგა რომელსაცა გაუხსნით,
ორივე სწორი არის.

და აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრე დაუღებია, თუ ზემოსა
ყიფალსა ძარღუსა გაუხსნიო, თავის სისხლსა და მანკს ჩამოიღებსო,
და თუ საშუალსა ძარღუსა გაუხსნიო, თავისა და ტანისა სენსა, სი-
სხლსა და მანკსა, ყუელას ჩამოიღებსო.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დეჟნის ხელით.

კიდევ ერთი ძარღვი კაცსა ყლგებდა აბია, რომე მისის ძალი-
თა და წყალობითა ისაქმოს და ადგეს, და ბევრს კაცს რომე არ აუ-
დგების მისი სენი და მიზეზი ის იქნების, რომე კაცსა ისი ყლის
ძარღვი დაუშავდების და ანკი დაუსუსტდების და კაცსა ყლე მის-
თვის აღარ აუდგების.

10 **ჯალინოზ** აქიმმან თქუა: კაცისა და ადამის ტომისა ასოშიგა
შვიდი ასო და სახე არისო, რომეო ძე კაცისა იმა ასოთა ცოცხა-
ლაო, და თუ ამა შვიდისა ასოსაგან კაცსა ან ერთი აკლიო, ეს
იკოდი, კაცი არც კი დარჩებისო, და უსათუოდ მოკუდებისო: პირ-
ველ ტვინი, მეორე გული, მესამე ღვიძლი, მეოთხე ფირტივი, მეხუთე
ნავლელი, მეექვსე ტყირპი და მეშვიდე თირკმელიო.

აწე კაცმან ესე უნდა იკოდეს, რომე კაცის სიცოცხლე გული
არის, და ამა გულისა ჰაერი და თაბიათი მხურვალი და ხმელი არის,
ღვიძლის ჰაერი და თაბიათი მხურვალი და ნედლი არის, და კაცისა
ელფერი, სიყირმიზე, სიყუითლე¹, სიმხიარულე, ყუელა ღვიძლისაგან
იქნების. აგრევე ტვინის აერი და თაბიათი გრილი და ნედლი არის,
კკუა, სიბრძნე, ძრეა და სწავლულობა, ყუელა ტვინისაგან არის.
აგრევე ფირტვის აერი და თაბიათი გრილი და ნედლი არის, ჭმინვა,
ძახილი, სირბილი და სულის ბრუნება, ყუელა ფირტვისაგან არის.

20 კიდევ ტყირპის აერი და თაბიათი გრილი და ხმელი არის, [ჯავრი,
სირცხვილი და გულ ღურტობა, ყუელა ტყირპისაგან არის. კიდევ
ნავლელისა აერი და თაბიათი მხურვალი და ხმელი არის, გაჯავრება,
ძალი და კაცობა, სამივ ნავლელისაგან არის. აგრევე თირკმლის აერი
და თაბიათი მხურვალი და ნედლი არის, ტყუნა, საკმლის დაღნობა
და შარდის დაჭირვა, ყუელა თირკმლისაგან არის.

30 აწე ესე შვიდი ასო ღთან ზოგი მხურვალი და ხმელი დაბადა,
და ზოგი გრილი და ნედლი, ამისთვის რომე ერთმანერთზედა შეზა-
ვებული იყოს. და მხურვალმან და ხმელმან ასოებმან გრილსა და
ნედლსა ასოვებსა მხურვალი და ცხელი ქარი და წყალი მისცეს, და
ამის მაგიერად გრილი და ნედლი ქარი და წყალი გამოართვას, და
ორნივე ერთმანერთითა იხარებდენ. და მხურვალი და გრილი, ხმე-
ლი და ნედლი ერთმანერთშიგა შეზავებული იყოს და კაცისა გული
და სტომაქი მით ცოცხალ იყოს.

აწე ესე ასოები თუ მართლად ერთმანერთზედა შეზავებით
იყოს, კაცისა მისა სიცოცხლეშიგა მთლად უსენოდ და ემინად და
უქირველად იყოს. და თუ ესე ასოები ერთმანერთზედა აშლით და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ურიგოდ იყოს, კაცისა მუდმად სენიანად და ხაზმეზიანად და სარ-
ჯელშიცა იქნების. და რა კაცსა გული, ლეიძლი და შიგნითი ასოები
ასრე აეშალოს, რომე ერთმანერთხედა ურიგოდ და უმსგავსოდ იყოს,
და ერთი ასო მეორესა ასოსა აღარ ემოწმებოდეს, მისი წამალი და
ხელის შეწყობა ძნელი და არის, ამისთვის რომე ლთან გული და
ნავლელი მხურვლისა და ხმელის თაბიათისანი დაბადა, და ტყინი
და ფირტივი გრილისა და ნედლის თაბიათისანი ქნა, ლეიძლი და
თირკმელნი მხურვალნი და ნედლი გააჩინა, და ტყირპის თაბიათი
გრილი და ხმელი არის.

10 აწე თუ ესე ასოები ერთმანერთსა არ ემოწმებიან, უსათუოდ
კაცსა სილი და დიყის სენი აუვარდების და, თუ მხურვალსა და ხმელ-
სა წამალსა უზამ, გულსა, ლეიძლსა ფირტუსა, თირკმელთა და ტყირ-
პსა აწყენს. და თუ გრილსა ნედლსა წამლებსა უზამ, ტყინსა და
ფირტუსა აწყენს, და ამისთვის აქიმი სნეულსა ხელსა ველარ შეუწყ-
ობს და ჰირი ტანსა და სტომაქსა მოერევის და დასძალიანდების.

დ. კარი შეოთხე. სნეულისა შაჯის შეტყობისა. თუ ესე კაცი
ან რის სენითა არის ავად, ან ამა ოთხისა ხილთისაგან რა და რო-
მელი ხილთი ასძურია, ან ამისი წამალი და ხელის შეწყობა რა არის
და ან რომელი უნდა.

20 აწე აქიმი და შემტყობი კაცი ამას ჰქუიან და აქიმის საქმე და
ოსტატობა ეს არის რომე, ჯერ იმა კაცსა თავისა ავად ყოფა
ვერ შეეტყოს, და აქიმმან ერთისა შახედვითა შორიდაღმან შიატ-
ყოს, თუ ამა კაცსა რა სენი ასძურია, და ან იმა ოთხისა ხილთისა-
გან რომლისაგან არის ავად, სისხლისაგან არის თუ საფრისაგან, ბალ-
ღმისაგან არის თუ სევდისაგან, თვარადა წამლის ქნა ყოველმან კა-
ცმან იცის.

30 ბოლო როდისცა კაცი ნახო რომე საქმელი კულაეინდებულად
ველარ მოედნოს და კაცი აშლით და ასოლვით იყოს და აბოყინებ-
დეს, ასრე უნდა ჰკითხონ, ისი ბოყინი მწარე არის თუ შეავე. და
თუ ესე ბოყინი კაცსა პირსა შეავედ დაუქერს, უსათუოდ ისი კაცი
ავად თურმე არის. და ესე უნდა იცოდეთ, ყოვერი ფერი ადამისტო-
მისა სენი და ჰირი ან იქნების სიმხურვალისაგან და ან სიგრილი-
საგან.

აწე თუ კაცი დასტურად სიმხურვალისაგან არის ავად, ან იქ-
ნების დასტურად და უსათიოდ სისხლისაგან და საფრისაგან, და თუ
კაცი სიგრილისაგან არის ავად, ან იქნების ბალღმისაგან და ან სევ-
დისაგან, ამისთვის რომე ლ თან ადამ შექქნა და კაცად გამოსახა,
ოთხის ნივთისაგან შექქნა და გამოსახა: წყლისაგან, ცეცხლისაგან,

ქარისაგან და მიწისაგან. ესე ოთხი ნივთი არის რომე ღ თან ერთად შეკრიბა და კაცად შექმნა. წყალი სისხლი არის და სისხლის თაბიათი მხურვალე და ნელლი არის¹. და ცეცხლი საფრა არის და ამა საფრისა² აერი და თაბიათი მხურვალე და ხმელი არის. ქარი ბალღამი არის, და ამა ქარისა და ბალღმის აერი და თაბიათი გრილი და ნელლი არის³. მიწა სევდა არის და ამა მიწისა და სევდისა აერი და თაბიათი გრილი და ხმელი არის.

10 ბოლო ყოველი სენი და ავად ყოფა ამა ოთხისა ნივთისა გარეთ არ არის და სხვაგან ნურც ეძებთ, ამისთვის რომე უსათუოდ და უმიზნოდ თუ კაცი ავად გახდების, ამის ოთხის ნივთისაგან ერთერთისაგან იქნების: ან სისხლისაგან, ან საფრისაგან, ან ბალღმისაგან და ან სევდისაგან იქნების.

ბოლო რაცა აღამის ტომისა ან თავსა და ან ტანსა ან სენი ან ჰირი მოვა, ყუელა ამ ოთხის ნივთისა ხილთებისაგან იქნების ერთ ერთისაგან.

აწე თუ კაცი სისხლის სიმხურვალისაგან არის ავად, მისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე კაცსა პირისა ელფერი ყირმიზად ჰქონდეს, ყელისა და საფეთქლის ძარღვები ცხელი და სავსე სავსედ ჰქონდეს, და პირი მოტკბოთ ჰქონდეს, და სადაცა სისხლისა გამოსაშვები და ან კოტოშის მოსაკიდები ალაგები ჰქონდეს, ყუელა ჰქაოლდეს. და ტანი ასრე ცხელად ჰქონდეს, რომე კაცი ახლად აბანოდალმან გამოსულიყოს, და თვითანცა კაცმან ტანსა და გულზედა ესე შეიტყოს თუ შვირს რამეო, მტკივის რამეო და უგუნებოდ ვარო.

20 და ესე კაციცა თვითანცა გრძლად გააცხელოს და სიცხემან აღარც მოუმატოს და აღარცა დააკლოს და ისე ერთსა რიგზედა იყოს. და თუ ან ქარი და სიცივე ეცეს, გულსა და ხორცშიგა იამოს. აწე რა ესრე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, რომე ბალღმისა და სისხლისაგან არის ავად. მერმე მოიტანე ოთხივე თითი და მაჯაზედა დაადევ, ხელსა ნურც მწოვედ ძალიანად მოუქირებ და ნურც ერთობ სუსტად დაიქერთ. მაგრამე სნეულსა მაჯა ასეთსა 30 დროსა უნდა უნახოთ, რომე ესე კაცი მწოვედ გაგულისებული და გაჯავრებული არ იყოს, ან კაცი მხიარულად არ იყოს, ან მწოვედ შეშინებული და ნალულიანად არ იყოს, ან მარხვისაგან და ან სხვის მიქირვებისაგან დასუსტებული არ იყოს, ან ბევრი სიმძღრე და ან ბევრი შიმშილი არ მისკირვებოდეს, ან ბევრი არ ესაჯოს, ან ბევრი ოფლი არა სდენოდეს.

¹ „ვითა ცეცხლისა და ჰერისა“.

² ტექსტში სწერია „ცეცხლისა“.

³ „ვითა წყლისა“.

აწე თუ ავად მყოფსა მაჯისა ძარღვები ფიცხლა ფიცხლად და ძალიანად სავსე სავსედ უცემდეს და რბილადაცა სცემდეს, სისხლისა სიმრავლისა ნიშანი არის, და თუ წყნარად და წყნარად უცემდეს კიდევ სიმხურვალისა სენისა სიცოტავესა მოასწავებს და შესაფერი წამლები უნდა უყონ.

10 თუ სნეულსა ავადმყოფსა მაჯისა ძარღვები ცხელი ჰქონდეს, და ან მწოვედ ჩქარად და ჩქარად, ფიცხლად და ფიცხლად უცემდეს, და ძარღვებიცა დაქიმულ დაქიმული ჰქონდეს, იცოდი საფრისა სიმრავლესა მოასწავებს და სნეულსა მწოვედ სიცხე და სიმხურვალე თურმე აქუს. და ჩქარად და ფიცხად მაჯის ცემა და ძარღვების დაქიმვა ყუელა მისი ნიშანი არის.

აგრევე თუ იმავე სნეულსა პირი მწარედ და ხმელად ჰქონდეს და მწოვედ წყალი სწყუროდეს და პირველ კაცი გააციოს და მერმე¹ გააცხელოს, იცოდით დასტურად საფრისაგან არის ავად.

20 და თუ სნეულსა მაჯა ცივად ჰქონდეს და ან მაჯა გვიან გვიანად უცემდეს და მაჯისა ძარღვებიცა რბილად ჰქონდეს და ელფერი თეთრად და ჩაქეკკით ჰქონდეს, და მწოვედ ეძინებოდეს და მწოვედ ძილად მიაგდოს, იცოდი სიგრილისა და ბალღმისა ნიშანი არის. და წყნარად და გვიანად მაჯისა ცემა და ძარღვისა სიცვივე, ყუელა სიგრილისა და ბალღმის ნიშნები არის და ბალღმისავე სიმრავლესა მოასწავებს.

30 და თუ ავად მყოფსა მაჯისა ძარღვები დაქიმულ დაქიმული ჰქონდეს და გვიან გვიანადაცა უცემდეს და ელფერიცა დაფანტვით ჰქონდეს, ასრე რომე კაცი ამას ვერ შიატყობდეს, თუ ეს ავადმყოფი რას ფერზედ არისო, და ესე სნეული ყოველს საქმეზედა მოშლით და ურიგოდ იყოს, და ბნელსა ალაგსა ყოფნა უნდოდეს და იამებოდეს და რაგინდარა მწვანე ნახოს მწოვედ იამოს, ან მწვანე ბალახი, ან მწვანე ფოთოლი და ან სხვა მწვანე რაგინდარა იყოს მისი ნახვა უნდოდეს და თვითან კაცი მწოვედ ფიქრიანად და დაღრომით იყოს, რა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით, რომე სევდისაგან არის ავად.

თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი არცა მწოვედ ჩქარად უცემდეს და არცა მწოვედ წყნარად და საშუალზედა უცემდეს, იცოდი არც მწოვედ მხურვალად არის და არცა მწოვედ გრილად, და მართალსა ზიგსა და სტომაქზედა არის, ღთითა აგეთი არა სქირს რა.

და თუ ავადმყოფსა მაჯა მუღმად ერთსა ნირზედა უცემდეს, რომე ესე ძარღვი თითებსა ძალიან ძალიანად ეცემოდეს, ორივე მწოვედ კარგი ნიშნები არის და ღთითა ნულარას გეშინიან, სრუ-

¹ ეს ოთი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლად ტანისა, გულისა' და სტომაქისა ძალიანად ყოფასა და სიმთე-
ლესა მოასწავებს და მისივე ნიშანი არის.

და თუ მაჯისა ძარღვები წურილად ჰქონდეს, იცოდი აგეოი
არა არისრა და ესე ძარღვისა სიწლო, იცოდი სენისა სიცოტავესა
მოასწავებს და მისივე ნიშანი არის,

და თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი პრტყლად და სავსე სავსედ
უცემდეს და ჰქონდეს, იცოდით სინედლითა. და ძალიანად არის
ავად და კაცისა სტომაქსა სენი თურმე შორევია და სენი თურმე
სქარბობს.

10 თუ სნეულსა მაჯისა ძარღვი აშლით და არევით უცემდეს, სრუ-
ლად ტანისა და გვამისა ავად ყოფასა და მწოვედ სიძნელესა მოას-
წავებს.

კიდევ ნიშნები რომე ავად მყოფსა შიატყო, თუ ესე სნეული
რომლისა გვარისა ხილთისაგან არის ავად, ამა ავად მყოფსა უნდა
ჰკითხოთ თუ რა სიზმარი უნახავს. აწე ესე ავად მყოფი სიზმარშიგა
წითელსა, ყირმიზსა რასმე ნახავს და ამავე რიგებსა წითელსა და
ყირმიზსა რასმე წასძრახავს, იცოდით სისხლისაგან არის ავად.

და თუ სიზმარშიგა ყუითელი რამე ნახა და ან ყუითელსა რასმე
წასძრახავს, იცოდით რომე საფრისაგან არის ავად და აფრა შორევია.

20 კიდევ თუ ესე ავად მყოფი სიზმარშია თოვლსა, წვიმასა და ამავე
რიგსა თეთრსა რასმე ნახავს და თეთრსა წასძრახავს, იცოდით რომე
ბაღლმისა და სიგრილისაგან არის ავად.

და თუ ავადმყოფი სიზმარშიგა შავსა ცხენსა, შავსა ტანისა-
მოსს და ამავე რიგად შავსა რასმე ნახავს, და შავი ეჩვენების, და
შავსა წასძრახავს, და აშლილ მიშლილსა სიზმრებსა ნახავს, იცოდი
სევდისაგან არის ავად და ყოვლსა ფერსა სენსა თავთავისი შესაფე-
რი წამლები უნდა უყონ.

30 კიდევ თუ მაჯისა ძარღვები ზემოსა თითთანა უცემდეს ან
სისხლისაგან იყოს, იცოდით სენი თავშიგა სკირს და ასრე უნდა,
სრულად ზემოთი ძარღვი გაუხსნან და ზომიერი სისხლი აღინონ, და
საფეთქლები გაუხსნან და ზომიერი სისხლი აღინონ.

და თუ მაჯა მეორეს თითთან უფრო ძალიანად უცემდეს, იცო-
დი სენი და სიმზურვალე გულსა და გვამშიგა სკირს, და ასრე უნდა
საშუალი მკლავის ძარღვი გაუხსნან, რომე აქალი ჰქუიან და ზო-
მიერი სისხლი აღინონ.

და თუ მაჯა მესამესა თითთანა უფრო ძალიანად უცემდეს,
იცოდეთ სენი მუცელსა და ბოქვენშიგა ჩასულია და ისევე საშუალი
აქალის ძარღვი გაუხსნან, და ან კუნთებზედა კოტოში მოჰკიდონ.

და თუ მაჯა ნეკთანა უფრო ძალიანად სცემდეს, იცოდი სენი და სიმბურვალე ფეხებშიგა ჩასულია და ღთითა აღარა შიში არის, და ასრე უნდა კოკთანა ფეხი გაუხსნან და ზომიერი სისხლი აღინონ, და ან ფეხები ხშირად ამა წამლებითა დაბანონ: მოიტანე ლერწმის ძირი და ან ფოთოლი, დაქერ და კარგად მოხარშე და ამოკულიტე და გაანელთბილე, მერმე მოიტანე ანაკუეთი, მარილი და წივის ნაცარი და სამივე ლერწმის წყალშიგა ჩაყარე და თბილ თბილის ამა წამლებითა ხელი და ფეხები დაბანეთ და ერთსა და ორსა ეამსა ფეხები ამა წამლის¹ წყალშიგა ჩაუყავით, და ფეხებზედა ფეხის ქვა წაუსვან, ხელები და ფეხები კარგად დაუზილონ, და ღთითა სიციხესა და სიმბურვალესა ყუელასა გამოიღებს, სიციხისა და სიმბურვალისათვის, სნებისა, ცხელებისა, იარაყნისა, ლეიძლისა და სისხისათვის, ამისთანა ფეხის საბანელი არ არის, და თუ სისხლი სქარბობდეს, სისხლი გამოუშვან.

10

მ. კარი მენუთე. შეტყობა ავად მყოფისა, ეს ხნეული ხალხინოდ წევს თუ საზიანოდ. ჯალინოზ ჰაქიმმან თქუა: თუ ავად მყოფსა პასუხის თქმა ეძნელებოდეს, და პასუხი არ მოგცეს და თავისა არა იცოდესრა თუ რას იქმოდეს, იცოდი ეს ნიშნები საფათერაკოდ ძეს.

20

თუ ავად მყოფი ხშირად ხორცს იფხანდეს და ყოვლსა ალაგსა ხელსა მიიყოფდეს, იცოდით სიკუდილისა ნიშანი არის.

კიდევ, თუ ავადმყოფი სინათლესა არ ინდომებდეს, და ხშირად პირსა კედლისაკენ იქმოდეს, იცოდი მისი საქმე საკეთილოდ არ არის, და საქმე სათუოშიგა უც.

აგრევე თუ ავად მყოფსა სლოკინი აუვარდეს, და ხშირ ხშირად ასლოკინებდეს, მისი საქმე ღთზედა ჰკილია, კაცმან იმედი უნდა გარდასწყუიტოს, რომე ღთის მეტსა, კაცსა მისი ხსნა არ შეუძლია.

30

თუ კაცსა სიციხე ჰქონდეს და ეს ავადმყოფი კაცი თვითან სუსტად კი არ იყოს და მწოვედ ფიქრიანად და ნალულიანად იყოს, და ანასდათ სიციხეკი გაუშვას და ნალველი და ფიქრი ჰქონდეს, ესე ნიშანი უსათუოდ და უმიზეზოდ სიკუდილისა ნიშანი არის.

თუ ავად მყოფსა ერთი თვალი დაუმკრდეს და მეორე თვალი ისრევე მისსა ალაგსა ჰქონდეს, და ან მუღმად პირალმა იწვეს და პირალმა იმზერდეს, და წვერშიგა სინათლე გაზდიოდეს, და უღვაში აეფუტკნოს და ხშირად ფრჩხილებსა იხედევდეს, იცოდი ესე ნიშნები, ყუელა სიკუდილისა ნიშანი არის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

კიდევ თუ ავად მყოფსა კაცსა მწოველ აქშინვებდეს და მხრებსა თან ატანდეს და კბილებსა აკრაქუნებდეს და ფეხებსა ხშირხშირად შეიღებდეს და გაიწუდიდეს, ესე იცოდი სიკუდილისა ნიშანი არის.

ბოღრატი აქიმმან თქუა: სნეული რომე მწოველ მოწყენით და დაღრომით იყოსო, და ან კაცი მწოველ შფოთევდეს, ყუელა ავი ნიშანი არისო.

კიდევე ძილშიგა რომე ავად მყოფი შეშინდეს, და ხშირად შეხლტებოდეს და შესძახებდეს, ავი ნიშნები არის.

10) თუ ავად მყოფსა სული მწოველ მხურვალე და ავი ამოსდიოდეს და სნეული მართალსა კქუაზედა არ იყოს და კქუაცა შეეშალოს, იცოდე სიკუდილის დღე მოახლოვებია და მისი ნიშანი არის, მეტადრე მაშინ რომე მხურვალსა ავად ყოფაშიგა კაცსა ხელი და ფეხი გაუცივდეს, და გახსნითაცა იყოს და სიზმარშიგა აბანოებსა და მკუდრებსა ნახევდეს და ამასვე წასძრახევდეს, იცოდით ამა სნეულის საქმე წასული არის.

20) აგრევე მხურვალსა ავად ყოფაშიგა რომე ხორცზედა¹ კაცსა ძნელი და ავი სული უდიოდეს, და სულიცა მწოველ ძნელი და მხურვალე ამოსდიოდეს, იცოდი მწოველ ძნელად ავად არის, და დარჩომაც ძნელი არის.

კიდევე, ავად მყოფსა რომე მაჯა აღარ უჩნდეს, და ცოტად და საბრალოდ უცემდეს, იცოდი სიკუდილის ნიშანი არის, მეტადრე მაშინ რომე ამა დროსა საქმელიც აუკრიფოს და აღარც საქმელსა ინდომებდეს.

კიდევე ავადმყოფსა რომე ტანი გაშეშებით და ხელფეხი გაწუდით ჰქონდეს, მწოველ ავი ნიშანი და ალამათი არის.

30) თუ კაცი საღბინოდ წევს, მისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ავად მყოფმან ავად ყოფასა გაუძლოს და მწოველ არ შენაწყენდეს და სნეულსა ელფერი მისსავე ალაგსა ჰქონდეს და გულსა და ტანზედა სუბუქად იყოს, და საქმელსა ინდომებდეს, და რარიგადაცა მისთა დღეშიგა სძინებოდეს, იმავე კუალზედა ეძინოს, ტანისა ხორცი ასრე ნელად ჰქონდეს, რომე კაცმან ხელი დაადვას ხელი არ დასწვას, და მაჯაცა მუდამად ერთსა რიგზედა უცემდეს და ეს მაჯა წუნარად და რბილად უცემდეს და კქუა და გონება მისსავე ალაგსა ჰქონდეს. და თუ რამე წამალი უყო, წამალი მოეკიდოს, და ესე შეატყო თუ ამა წამალმან არგო და უკეთ არისო. და ავად ყოფაშიგა ცხვირის ცემაცა კაის ნიშანი არის, და მუწუჟე-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბის დაყრაც კაის ნიშანი არის, თუ არ საფრისაგან აცხელებდეს, და თუ საფრისაგან აცხელებს, დაყრა მისთვის კაი არ არის.

10 ჯალინოზ აქიშმან თქუა: სნეულის კარგი და საკეთილო ნიშანი და ალამათი ეს არისო, ასრე უნდა ავად ყოფისა ჭკუა და მცნება მისსავე ალაგსა ჰქონდესო, და ელფერზედაცა კარგად იყოსო, და კაცსა რიგზედა ეძინებოდესო, და ხან მარჯვენასა მხარსა გარდაბრუნდებოდესო და ხან მარცხენასაო და საქმელი არ აუკრიფოსო და რაც კამოს კარგად მოიღნოს, და არც პირშიგა საქმლის გემო წაუფიდესო, იცოდი ესე ნიშნები ყუელა კაი და სალხინო არისო, და რაცა ან ავი და საჭირო, ან კაი და სალხინო [ნიშნები არისო]¹ ყუელა ჯალინოზ აქიშმისა და ოსტატთა აქიმთაგან ბევრჯელდაცდილი ნიშნები არის.

და თუ კაცი ცხელებაშიგა კბილებსა აკრაქუნებდეს, უსათუოდ ისი კაცი ან შეცდების, და ან მოკუდების. და გაცხელებული კაცი რომე მუდამად ხელს პირთან მიიტანდეს და მიიყოფდეს, მწოედ ავი ნიშანი არის, და ავადმყოფის უძილობაცა მწოედ ავი ნიშანი არის.

20 3. კარი შეექუსე. შეტყობა შარდისა და ყარურასი. რომე შარდსა ესე შიატყო, ესე ავად მყოფი კაცი სიგრილით არის ავად თუ სიმზურვალითა, ასრე უნდა, რომე ჯერ კაცსა არცარა ესვას და არცარა ეკამოს, დილეულ უზმომან კაცმან შარდი ქნას და პირველსა დღესა ასეთი არა უნდა ეკამოს და ესვას, რომე შარდსა ფერი უქციოს. ზაფრანიანი საქმელი, მწვანელი და ღვინო, შარდსა ესეები ყუელა ფერს უქცევს და შარდსა მართლად აღარ შეეტყობის, ამისათვის რომე ზოგი გააყუითლებს და ზოგი გაამწვანებს, და ზოგი გააყირმიზებს და ამა მიზეზითა შარდსა აღარ შეეტყობის, თუ ესე კაცი რომლის ხილთისაგან არის ავად. მაგრა ასრე უნდა, კაცი არც მწოედ მხიარულად იყოს, არც მწოედ შიმშილი და არც წყურვილი მისჭირვებოდეს, არც მწოედ გაგულისებული და გაჯავრებული იყოს, და არც უძილობა მისჭირვებოდეს, ამ რიგად უნდა ავადმყოფისა შარდი ნახოთ. მერმე მოიტანეთ ერთი ტაშტი და დილეულ უზმომან ამა ტაშტშიგან შარდი ქნას და ესე ტაშტი სამსა საათსა და ქამსა ასრე შეინახონ, რომე ნუ დასძვრენ, მერე სამსა ქამსა უკანა შარდი ნახეთ, და რა შიგანცა ეს შარდი იდგეს ის ჯამი ცოტად შეარხივეთ, და მერმე შარდი გასინჯეთ და თუ ამა შარდის ფერი ნარინჯის ტყავის ფერი იყოს, და მზურვალი და ხმელი, სული კი არ უდიოდეს და არცა მწოევდ თხელი იყოს,

¹ ეს ორი სიტყვა ტექსტში არ არის. ჩამარებულია ვარიანტის A მიხედვით.

და ესე შარდი ასრე მოჰთადილი და შეზავებული იყოს, და ან ძირ-
შიგა, ან ნაპირებშიგა, და ან ზეთ პირზედა მოსქო რძის ნაღებსა-
ვითა ტლე ჰქონდეს, იმა შარდსა სახელად რუსუბ ჰქვიან, და თუ
ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით ხილთები დამწიფებია და მისი ნი-
შანი არის.

და თუ ესე შარდი ყირმიზი და მლურგი იყოს, სისხლისა სიმ-
რავლისა ნიშანი არის. და თუ ესე შარდი ან მწოვედ ყირმიზი და
ან შავი იყოს, და წყალსავითა წმიდა იყოს, იცოდი სევდისა სიმრავ-
ლესა მოასწავებს, სევდისა ძალისა ნიშანი არის.

40 და თუ შარდი მოლურჯო და მლურგი იყოს, ბაღმისა ძალსა
და სიმრავლესა მოასწავებს. და თუ შარდი მწოვედ ყუითელი და
წყალსავითა წმიდა იყოს, საფრისა ძალსა და სიმრავლესა მოასწა-
ვებს.

და თუ შარდსა ქაფი ბევრი ჰქონდეს, და ესე შარდიცა სქელი
იყოს, კიდევ ბაღმისა და ქარისა¹ სიმრავლესა მოასწავებს. და
რაცა შარდი ან თეთრი, ან ყუითელი, და ან ყირმიზი არ არის, სხვა
ფერი შარდი ყუელა ავი და საფათერაკო არის, და ამა სამსა ფერსა
შარდსა გარეთად რაც ფერი შარდი არის, ყუელა სიკუდილისა დღი-
სა ნიშნებსა მოასწავებს, რომე სიკუდილისა დღენი მოახლოვებიან.
20 და ავადმყოფისა შარდი რასაცა ან ყუითელი, და ან ყირმიზი, და
ან შავი არის²), ესე სამივე ფერი შარდები სიმხურვალისა ნიშანი არის.

და თუ ესე შარდი ან თეთრი და ან მოთეთრო არის, ორივე
სიგრილისა ნიშანი არის.

**ჟ. კარი მუხვიდე. ხრულისა თავის ტკივილისა და თავის
კედლის ტკივილისა მიჯნავებსა, ნიშნავებსა და წამლებსა
გამცნებს და გიამგობს.**

ბოღრატ ჰაქიმმან თქუა: თუ კაცსა თავის ტკივილი შეექნა-
სო, იცოდი, ან სიცხისაგან, ან სარჯლისაგან და ან ავის საჰმლისაგან
30 დამართებიაო, და ამ სამისა მიზეზისაგან რომლისაგანცა რომე კაცსა
თავის ტკივილი ავარდნოდეს, ამ რივისა სენისა და თავის ტკივილის
ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე კაცსა თავის ტკივილსა და
გაცხელებასა დაუწყებს, და კაცსა თავი წამსა და წამსა, უფრო და
უფრო გაუცხელებდის, ასრე რომე კაცსა მწოვედ დაალონებს და
შიაწუხებს, კაცსა მწოვედ გააჟინიანებს და მწოვედ გულს შემოჰ-
ყრის, და კაცსა ძილიცა მწოვედ მოუვა, და კაცი ფიცხლად გაგუ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს წინადადება სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლისდების. კაცსა თვალნი გაუწითლდების და მოუსისხლდების, და ამა სენსა და ამა თავის ტკივილსა მზურვალი სასმელი და საკმელი და მზურვალი სანელებელი ყუელა აწყენს და აზიანებს, და გრილი სასმელი და საკმელი და გრილი სასუნებელი ყუელა არგებს და კარგად მოუხდების.

10 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, ესე სენი და თავის ტკივილი ავი საქმლისაგან, სიცხისა და სიმზურვალისაგან დამართებია და ამა სამისავე სენისა და მიქირვებისა ბუხარი დამალ- შიგა გასულია, და თავსა შემოსკიდებია და ავად თურმე მისგან არის.

20 აწე ამა სენისა და ამ რიგის თავის ტკივილისა წამალი ეს არის, რომე კაცი მუდმად ცივსა და გრილსა ალაგსა იჯდეს, და საცა ესე თავმტკივანი კაცი იყოს, ისი სახლი ცივის წყლით მუდმად მოარწყუევიდეს, და თუ იშოვებოდეს ან თოვლი და ან ყინული, ასრე ახლოს დაიდვან, რომე მისი სივა და სიცივე თავსა და პირზედა მისდიოდეს. და ამ რიგი კაცი მუდამ წყლის პირსა უნდა იჯდეს და იყოს, და მუდმად წყლის ხმა და ჩხრიალი ესმოდეს, და მუდამ წყალსა უყურებდეს, და ასეთსა ალაგსა უნდა იყოს, რომე იჯდეს თუ ეძინოს, მუდამ წყლის ხმა ესმოდეს, მუდამ ქარი რომე ხესა არხევედეს, მისი ხმა ესმოდეს. და ამ რიგის გრილისა და ნედლისა საკმელებითა ხელი უნდა შეუწყონ: სამამლის ვარიით შექნილი შილაფლავე ეკმების, რომე ისპანახი და ან ქინძი ერიოს, ყიმა შორვა ეკმების, ისპანახის ახსნა ეკმების, რომე ნუშის ზეთითა შეკაზმული იყოს.

ამავ რიგად სალათა, მსუქანა ბალახი და ნარდანგი, კოწახური, ისრიმი, თუთუბო, მოცხარი და მჟაუნა და ამათივ მიმსგავსო გრილი და ნედლი, მომჟაფო და მხე სასმელი და საკმელი ყუელა ეკმების, და კიდელა არგებს. და მზურვალი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს და აზიანებს.

30 ხილებისაგან ეკმების კიტრი, შუმხიარი, საზამთრო, ვაშლი, სხალი, ბია, ქლიავი, ალოჩა, თაბლი ჰინდი, ხართუთა, მაყუალი, უშხენი და ატამი.

და ესევე შარბათები ასვით, ყუელა არგებს და კარვადცა მოუხდების: იის შარბათი, ლულუფრისა, ლიმოსა, კოწახურისა, ისრიმისა, უშხუნისა, თაბლი ჰინდისა, ინჯაზისა, გაეზაბანისა, ვენახის ღიქისა, მჟაუნასი შარბათი და სიქანჯუბინი ასვით, ყუელა კარგად მოუხდების. და შარბათი ღუდი¹ ყუელასა სჯობს.

¹ „ღუდი“ შეკდომია, უნდა იყოს „უდი“.

და ყოვლი გრილი და ნედლი¹ ტლევები, წამლები და სასუნე-
ბელი ყულეა კარგად მოუხდების, რომე თავზედა შემოსდვან და
კიდეცა ასუნებინონ. და ქაფური და სანდალი რომე გააყენოთ და
ქინძის წვენითა ტლედ ჰქნათ და მტკივანსა თავზედა შემოსდვათ,
მაშინვე თავის ტკივილსა უყუღდებს.

და მომეაო ბალი და ჭერემი, და ან ხართუთა რომე შაქრითა
აქამოთ, მწოვედ კარგა მოუხდების. და გრილსა სასმელსა და საქ-
მელსა, ხილსა ნუ დაარიდებთ.

10 და როდისცა კაცსა თავის ტკივილმან წამოუაროს, მოიტანე
სანდალი და ქაფური და ქინძის წვენითა ტლედ ჰქნ და თავზედა
შემოსდევ, მაშინვე თავის ტკივილსა უშველის. და თუ ესეები არ
იყოს, მოიტანე ვარდის ერბო, სანდალი და ვარდის წყალი, სამივე
ერთად გალესეთ და ვარდის წყალი გაურიეთ, და ცოტა ძმარიც
გაურიეთ და თავზედა შემოსცხეთ, და უსათუოდ თავის ტკივილსა
უშველის.

და თუ ამა თავმტკივანსა კაცსა არა დია ეძინებოდეს და ძი-
ლი არ მოუვიდოდეს, ამა წამლებშიგა ძმარს კი ნუ გაურიეთ და სხვა
წამლები ისრევე უყავით და თავის ტკივილსა უსათუოდ უშველის.

20 და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ვარდის წყალი და ტირი-
ფის ფოთოლი, ია, ლულუფარი, ქინძი. შამბალილა, სანდალი, ვა-
ზის ფოთოლი, ვაშლი და სხალი და ამეგებსა უსუნონ, და მერმე
მოიტანეთ ია, ტირიფის ფოთოლი და ლულუფარი და სამივე ერთად
დანაყეთ და ვარდის წყალშიგა აურიეთ, და გამოწურეთ და ამა
წამლებითა პირველად თავმტკივანსა კაცსა თავი დაბანეთ, და მერმე
ესე ნაქყლეთი და გამოწურვილი წამლებისა ფოთოლი, თბილ თბი-
ლი, თავზედა შემოსდევით და შეუხვიონ. და ამას ეცადნენ რომე
თავი არ გაუცივდეს და უსათიოდ თავის ტკივილსა უშველის.

30 თუ კაცსა თავი სიგრილისაგან სტკიოდეს, მისი ნიშანი და ალა-
მათი ეს არის, რომე კაცსა ტვინსა მწოვედ გაუთხელებს და ადგომა
დაჯდომაზედა, და ყოვლსა საქმეზედა მწოვედ დააზარმაცებს და და-
ზარებას დაიწყებს, ჰკუა დაეფანტვის, და მართალს ჰკუაზედ აღარ
იქნების, და გულის ყური დაეპყრობის და დაუყურუვდების. და ცივ-
სა და გრილსა რასაცა ნახავს ეწყინების, და ან ასმევ, ან აქმევ და
ან ასუნებინებ აწყენს და აზიანებს. და თუ მხურვალსა და თბილსა
რასაცა ასმევ ან აქმევ და ან ასუნებინებ ყულეა არგებს და იამების.

აწე თუ ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით დასტურად
სიცივისა და სიგრილისაგან არის ავად, და თავიცა მისგან სტკივის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

აწე ამა სენისა და ამა თავის ტკივილისა წამალი ეს არის: მო-
იტანე ამბარი ან ლადანა და ჴეთის ერბოთი გააყენეთ და თავმტკი-
ვანსა კაცსა თავზედა შესცხე. ან მიხაკი დანაყე და გაცერ და ყუით-
ლის იასამანისა ერბოთა ტლედ ქნან და თავზედა შესცხონ. და თუ
ესე წამლები ყუელა ერთად აურიონ და თავმტკივანსა კაცსა თავზე-
და შემოსცხონ, თავის ტკივილი უსათიოდ უშველოს და მორჩეს
ძალითა ლ თისათა.

და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე: უდი ჰინდი, მიხაკი, ამბარი
და მუშკი და ნარინჯის ტყავი და ამავეს უსუნონ და ესეები ყუელა
10 ერთად აურიეთ, იასამანის ერბოთა ტლედ ქნან, და თავ მტკივანსა
კაცსა პირველ თავი მოჰპარსონ, და მერმე ესე წამლები თავზედა
შემოსცხონ და თავის ტკივილსა მაშინვე უშველის და გაცივებულსა
თავსა გაუთბობს.

და თუ კაცსა ამრიგი სიგრილისა თავის ტკივილი სქირდეს,
ამრიგად უნდა ხელი შეუწყუთ და ამრიგი საკმლები აქამონ: კაი
თაფლი, ცილა გამოღებულთი თოხლო კუერცხი, უერბოვო ყაურმა
და მწვადი ქნან და ნიგუზის ჴეთითა შემწვარი, რომე ეს ყაურმა
და მწვადი სანანებლითა, პილპილითა და მხურვლის იარაღითა შექ-
ნილი იყოს. მუხუდოს შექამადი რომე ნიგუზითა, სანანებლითა და
20 ან პილპილითა შექნილი იყოს, ექმების. მხურვალი და მომხურვალო
სასმელი და საკმელი ესმის და ექმების, და გრილი ყუელა აწყენს
და კიდევ თავის ტკივილსა აუგდებს. და ამ რიგი შარბათები უნდა
ასვან: ტკბილის ბროწეულის შარბათი, უდის შარბათი, იისა და ლი-
მოს შარბათი და მულაბის შარბათი. ეს შარბათები ასრე უნდა
მოათბონ და ისრე ასვან. და მხურვალი მაჯუნები აქამონ, და ყოვლსა
დაწოლის დროსა გულ ყანდი ქამონ და ან გვილან გვიბინი აქამონ.
ჯავზი და ბაზბაზი დანაყონ, გაცრან, შაქარი გაურიონ და ამისგან
უზმომან ორსა დირჰამსა სკამდენ. და უდსა, მუშკსა, ამბარსა, ლადან-
ნასა, იასამანსა და თეთრსა ზამბახტს უსუნებდენ.

30 კიდევე ამავე სიგრილის თავის ტკივილის მეორე ნიშანი ეს არის,
რომე კაცსა ცხვირის წვერი და შიგნითი ცხვირი გაუხმების, და კაცსა
მწოვედ ძილად წაიღებს. ამისი წამალი ეს არის, რომე ჯუღაბი სვას,
და თუ ჯუღაბი არ იყოს ან იის შარბათი, ან ლულუფრის შარბათი,
ქლიავის შარბათი და შაჰთარას შარბათი, რომელიც იყოს ცივის
წყლით გაღესოს და სვას. და თუ არცა ესე შარბათი იყოს, ცარიელი
შაქარი ცივის წყლით გაღესოს და სვას, კარგად უზამს. და ამრიგი
საკმლები აქამონ: ბატკნისა და თიკნის ხორცი, შიშაქის ცხურის ხორ-
ცი, მსუქანი ქათამი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ტრედის ხუნდი

და ამათივ ლაპები ყუელა ეკმების, რომე ან იახინად მოხარზონ და ან შილაფლავად ქნან, ხახვი და ისპანახი. ურიონ და აქამონ, და რომე შეწვან მაშინცა. ეკმების. და ეს საქმლები. თავმტკივანსა ავად მყოფსა უსათუოდ კარგად მოუხდების.

ასრე უნდა, ამრიგმან თავმტკივანმან კაცმან ხშირად იის ერბო, ლულუფრის ერბო და ტკბილის ნუშის ერბოებსა შეიცხებდენ და მესამესა და მესამესა დღესა აბანოშიგა შევიდოდენ. რომე აბანო-შიგა ერთი და ორი ჟამი დაყონ და ან აყიროსა, და ან იის ერბო-სა ორსავე ცხვირშიგა ჩაიწვეთებდენ, და მაშინვე თავის ტკივილსა გაუშვებს.

მაგრა აქიმთა და შემტყობთა კაცთა ესეცა უთქუამს, თუ კაცსა ესე ნიშნები სჭირდესო, უსათიოდ სისხლი სჭარბობს და მისგან არისო. აწე ამისი ნიშანი არის, რომე კაცსა თავი მძიმედ ჰქონდეს და თავი მწოვედ ცხელი ჰქონდეს, და თავსა მწოვედ ჩხულეტდეს, და თვალ-პირი: წითელი და ყირმიზი ჰქონდეს, და ძარღვები სავსე სავსედ ჰქონდეს და მწოედ ეძინებოდეს. და რა ესე ნიშნები კაცზედა¹ ნახოთ, ასრე უნდა, კაცმან მკლავის საშუალი ძარღვი გაუხსნათ, ან შუბ-ლი უნდა გაიხსნას, და ან თიკნებზედა კოტოში მოიკიდოს, და ან საფეთქლები გაიხსნას, და უსათიოდ თავის ტკივილი ეშველების.

მაგრამე ხორცი უნდა იფარეზოს, და ამ რიგმან თავმტკივანმან კაც-მან ხორცი არა ჭამოს, და მუდმად ქაფურსა, სანდალსა, იასა, ლუ-ლუფარსა, ვაშლსა, ბიასა, კიტრსა და გრილსა სასუნებელსა ხშირად უსუნებდეს და თავის ტკივილსა უსათიოდ და უმიზნოდ უშველის.

წ. კარი მერგე. ნახევრის თავისა, საფეთქლებიხა და კეფის ტკივილიხა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა ვამცნებს და გიამ-ბობს. **ჯ ა ლ ი ნ ზ** ჰაქიმმან თქუა: თუ კაცსა სიცხისა და სიმხურ-ვალისაგან ან ნახევარი² თავი, ან საფეთქლები და ან კეფა სტკიო-დესო, ამა სენისა ნიშანი და ალამათი ის არისო, რომე კაცსა თავი მძიმედ ჰქონდეს, პირი, თუალები და ელფერი ყირმიზად ჰქონდეს, პირიმოტკობდ ჰქონდეს, პირისა და საფეთქლებისა ძარღვები ასდგო-მოდეს. და სავსე ჰქონდეს, ასრე რომე კაცი ახლად აბანოდალმან გამოსულიყოს და თავი გასტეხდეს და გაუცხელდეს, და ესე თავის ტკივილი მჭუალსავეითა წამოუვლიდეს და ეკალსავეითა ესობოდეს, და მწოედ სჩხულეტდეს, და ამა თავმტკივანსა კაცსა მწოვედ ეძინებო-დეს, აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, ესე კაცი სის-ხლისა და სიმხურვალისაგან არის ავად, და ამ რიგი თავის ტკივილი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მწოვედ ძალიანი იქნების, და რა თავის ტკივილი მოუვა, მწოვედ რკმითა, ჩხულეტითა და ძალიანად წამოუვლის.

10 აწე ამ რიგი სენი და თავის ტკივილი უფროსი ერთი გაზაფხულზედა აუუარდების, ამისთვის რომე გაზაფხულზედა კაცსა სისხლი აუდულდების და მერმე ოთხივე გვარი ხილთი ამა გაზაფხულზედა აიშლების, და თავის ტკივილიცა ამა მიზეზისაგან მაშინ აეძვრის და მაშინ მოუვა. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით თავი დასტურად სისხლისა და სიმბურვალისაგან სტკივის. და ესე თავის ტკივილი ამისთვის და ამა მიზეზისაგან დამართებია, რომე ან ბევრი ტკივილი საკმელი უქამია, ან უდროს დროს ბევრი ხორცი უქამია და ველარ მოუდენია, ან ბევრი ავი ღვინო უსვამს და სისხლი დამრავლებია, და ამა სისხლისა და ღვინის სიმბურვალე თავსა შემოსკიდებია და უსათიოდ თავი მისთვის სტკივის. და ამა სამისავე რიგისა ნაწყენისაგან რომლისაგანცა არის, ამა სამისავე სენისცა წამალი ეს არის, რომე თუ ესე თავის ტკივილი გაზაფხულზედა იყოს, ფიცხლავე მკლავი გაიხსნას, და მკლავის ზემო ძარღვიდამან ბევრი სისხლი იდინოს, და თუ ამა ხელის გახსნითა არ ეშველოს და არცა თავის ტკივილმან გაუშვას, ან შუბლი, ან საფეთქლები გაიხსნას და კეფასა და ან კუნთებზედა კოტოში მოიკიდონ. და ასეთი 20 რამე ქამოს და სვას, რომე სტომაქი გაიხსნას და ჯავაფი მოადულონ და სვას და გრილსა ალაგსა გავიდეს, და სადამდისი თავის ტკივილი არ ეშველოს, ხორცი და მხურვალი საკმელი არ უნდა ქამოს. მუდამ წყლის პირს უნდა იჯდეს, მუდამ წყალს ჟუჯრებდეს, ეძინოს თუ ეღვიძოს მუდამ წყლის ხმა ესმოდეს, და ქარი რომე ხესა არხევდეს და მისი ხმა ესმოდეს, ისიც მწოედ კარგი არის. და რაც აქავ ზემოთ სისხლისა და სიმბურვალისათვის ან საკმლები და ან შარბათები დაგვიწერია ან სასუნებელი ¹, ან ტლეები დაგვიწერია, ისი სვან და ისი ქამონ. და გრილისა და ნედლის სასმელ საკმლებითა ხელი შეიწყონ, და კოწახურისა, ლიმოსა, მჟავის ბროწყელისა, ისრიმისა, უშხუნისა, თაბლი ჰინდისა, ქლიავისა, რევანდისა, ქერამისა, 30 ლულუფრისა, მჟაუნასა და შაჰთარას შარბათი სვან, ყუელა კარგად მოუხდების და ყუელა ერთმანეთის მჯობი არის.

და გრილი საკმლები ყუელა ქამონ, ისპანახი, მსუქანი ბალახი, მოლოქურის ბალახი, ოსპი, მაში, ბოგრუჯა, გამოლესული ხმელი დო, ნარდანგი, აყიროს შორვა, ყიმა შორვა ყუელა ექმების. და გრილსა, ნედლსა, მხესა და მომჟაოსა საკმელსა ყუელასა აქმევდით. და მხურ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვალსა სასმელსა და საქმელსა ყუელასა არიდონ. და გრილი და ნედლი ტლეები შემოსდვან. და გრილისა და ნედლის სასუნებლები-სათვის ასუნებინონ, და ამრიგისა გრილის წამლებითა თავსაცა დაიბანდენ, და თავზედა გალესულსა სანდალსა, თრიაქსა, ქაფურსა შემოიციხებდენ და ვარდისა, იისა, ლულუფრისა, ქინძისა, ფუფალისა და ყაყაჩოსა წყლებსა თავზედა შემოიციხებდენ, ესე წამლები ყუელა კაი და დაცილილი არის.

10 და თუ ესე წამლები ყუელა ერთპირად გალესოთ და ცოტა ძმარი გაურიოთ და თავმტკივანსა კაცსა თავზედა შემოსცხოთ, თავის ტკივილსა უსათიოდ უშველის. და თუ ესე ყუელა წამლები ერთად ვერ იზოვოთ, ორი რიგი იყოს, თვითო თვითო იყოს გალესონ და შემოსცხონ, ყუელა კაი და დაცილილი არის. და თავისა და თავის კედლისა და საფეთქლების ტკივილსა ყუელა უშველის. და თუ კაცსა არ ეძინებოდეს, ამ წამლებშიგა ძმარს ნუ გაურევთ და ისრე უყავით რომე სწერია.

20 და თუ არცა ამა წამლებმან უშველოს, მოიტანე ცოტა ფარფიონი, და ან ვარდის ერბოთა და ან ვარდის წყლითა გააყენეთ და ამა თავმტკივანსა კაცსა პირველ თავი მოჰპარსეთ და მერმე სრულად თავზედა ეს წამალი შემოსცხეთ და უსათიოდ თავის ტკივილსა უშველის. და ესე წამალი მწოედ დაცილილი არის. და გრილის სასმელ საქმლითა ხელი უნდა შეიწყონ, და მხურვალსა სასმელსა და საქმელსა ყუელასა არიდონ და თავის ტკივილი უსათიოდ ეშველებს.

30 თუ კაცსა თავი საფრისაგან სტკიოდეს, ამიღი ნიშანი და ალამათი. ეს არის, რომე კაცსა. პირი და თვალეები მოყუითალოდ ექნების, პირი მწარედ ექნების, თავი და თვალეები ხოშვად და ხმელად ექნების, და სასისა ძარღვები ცხელი ექნების, ძილი არა დია მოუვა, და ცხვირიდალმან ყუითელი და ცხელი წყალი წადენასა დაუწყებს და თავსა შემოეკიდოს და თავშიგა მკვალსავითა ერკმოდეს, და ამ რიგად სტკიოდეს. და რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით დასტურად თავი საფრისა და სიმხურვალისაგან სტკივის და მისგან არის ავად. და ამა თავის ტკივილისა მიზეზი ეს არის, ან დიდსა ხანსა ესე კაცი მზეშიგა ჯდომილა, და მზეს უწყენია, ან ბევრი სარჯელი და მიჰირეება რამე გარდახდომია, ან მწოვედ მწარე, მწოვე და ბევრი საქმელი უკამია, ან ხმელი ხორცი, ხმელი თევზი და მწოვედ მხურვალი რამე უკამია. ან დიდსა ხანსა ცხელსა აბანოშიგა ყოფილა, ან ბევრი უტირია, ან თავის საყუარელსა მოშორებია, და ესე სენი, და ესე თავის ტკივილი მისგან დამართებია, და ამა მიზეზისაგან ავარდნია.

აწე ამა თავის ტკივილის წამალი¹ ეს არის, როგე ქინძის წვე-
ნითა გაღუსტლი სანდალი თავზედა შემოსცხონ. ან სალათას თესლი
დანაყოზ, ძმრით გააყენონ, ცოტა ქაფურიცა ურიონ და მტკივნასა
თავზედა შემოსცხონ და მაშინვე თავის ტკივილსა უშველის, სანდალსა,
ფუფალსა, ქაფურსა. იასა. ლულუფარსა, ქინძსა და ამ რიგსა გრილსა
სასუნებლესა ბევრჯულელ უსუნონ, და ასეთსა გრილსა და წყლის
პირსა ალაგსა უნდა იყუნენ. რომე მუდამ ჰდინარესა წყალსა უყუ-
რებდენ. და ეძინოს თუ ეღვიძოს მუდამ წყლის ხმა ესმოდეს, და ჭა-
რი რომე ხესა არხევედეს, მუდამ მისი ხმა ესმოდეს.

- 10) და საქმლეებისა და შარბათებისაგან: სამაგლე კარია. ხობობი,
კაკაბი, დურაჯი, ეს ყუელა ეკმების, შავის თიკნის ხორციცა ეკმების,
რომე ლამოთა, ნარდანგითა, კოწახურიითა, ისრიმიითა. ხართუთითა,
მაყულითა, უნზუნითა და მჭაუნითა შექნან და ამაშიცა ქინძი, ისპა-
ნახი. მსუქანი ბალახი გამოუხარშონ და აკამონ. და შარბათებისაგან
ლიმოსა, ისრიმისა, მქავის ბროწეულითა, იისა. ლულუფარისა, თამრი
ჭინდისა, ჭერამისა და ქლიავის შარბათსა სვემდენ, გრილი და ნედლი
ყუელა კამონ და სვან და მზურვალსა და ხმელსა² სასპელსა და საქ-
მელსა ყუელასა ერიდონ და იფარებონ. ძმრიანი ან კოწახურიით შექ-
ნილი წურილი თევზი კამონ და სამსა დღეპიჯა თვითოს ჯერ აბანო-
2) შიგან იბანონ და თავზედა აყიროსა, ან იისა და ან ლულუფარის ერბო
შიციცხონ. და ხილეებისაგან მქავე ბროწეული, ვაშლი, სხალი, ბია,
კიტრი, საზამთრო, შუმხიარი, ქლიავი, ჭერამი და მქაუნა და ამათივე
მიმსგავსებული ხილი, ყუელა კამონ, ყუელა არგებს და საფრიანსა
თავის ტკივილსა უსათიოდ უშველის. და ამ რიგი კაცი ზენაარ ხმელს
ხორცსა, ხმელს თევზსა, და ხმელს ყუელსა, და ნიერის კამასა. ამას
ყუელასა ერიდონ, და თოხლო კუერციხ მუდამ კამონ.

კიდევ ერთი არეული სიგრილის თავის ტკივილი არის და ამა
თავის ტკივილის ნიშანი და ალაშთი ეს არის, რომე კაცსა თავი
მწოვედ მძიმე ექნების, და ტვინი მწოვედ ცივად ჰქონდეს, და კაცი
3) მწოვედ გაღვივებით იქნების, და კაცი მწოვედ ძილად მივარდების.
აწე რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით ბალღამი და საფრა
ერთად არევიდა და თავი მისგან სტკივის.

აწე ამა სენისა და ამა თავის ტკივილის წამალი ეს არის, რო-
მე ნახევარი დირჰამი ან თრიაქი ფარიყი, ან მისრი თუსი, ან თრია-
ქი არაბა და მზურვალი მაჯუნები და მუფარები აკამონ. და თუ ავად
მყოფი კაცი მწოვედ გრილად იყოს; ხორცს ნუ აკმევენ, ამისთვის
რომე ხორცის კამა სენსა მწოვედ გააძალიანებს. და ან დიდი ოყნა

¹ ეს სიტყვა სტრაქიანს ხეშოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

აალებინონ, რომე ოყნაი ჰადა ჰქუიან, და ან საშუალი ოყნა აალებინონ, რომე ოყნაი მუთავასითა ჰქუიან, რომე ესე კაცი გახსნას და ყოვლისა ბაღმისა და საფრისაგან გაწმიდოს და ყოვლისა ავის ხილთისაგან დასცალოს. ან ასეთი ძალიანი შაფეები აალებინონ, ან ასეთი ჰაბეები აჰამონ და ასეთი შარბათები ასეან, რომე ამანცა ოყნის ოღნად ასაქმოს, რომე ესე კაცი თავის ტკივილს მორჩეს. და შარბათებისაგან ლიმოსა და ისრიმის შარბათი ასეან, იისა, ლულუფრისა და გაეზაბანის შარბათი ასეან, თაბლი ჰინდისა, ქლიავისა და ან შაჰთარას შარბათი ასეან, ესე შარბათები ყუელა კაი და ერთმან

10 ერთის მჯობნი არიან. და ხილებისაგან ვაშლი, სხალი, ბროწეული, ბია, კიტრი, საზამთრო აჰამონ. და საქმლებისაგან კაი და მოჰთადილი საქმლები აჰამონ, ხორცსა გარეთად. და თუ კაცი მწოვედ დასუსტდეს, ვარიისა, ხაზბისა და ან დურაჯის ხარშოები შექნან და ქინძი ურიონ, კარგად მოხარშონ და ამოჰყლიტონ და უხორცოდ ამა ხორცისა შექამადი აჰამონ.

და ან სევდისაგან იქნების. აწე ამისა ნიშანი და ალამათი ეს არის, კაცსა დამალი გაუხმების და თვალი და პირი და ელფერი¹ მოშაოდ ექნების და ცუდმადსა ფიქრებსა იქმოდეს. რა ესე ნიშნები კაცზედა, ნახოთ იცოდით, დასტურად თავი სევდისა სიმრავლითა

20 და სიხმისაგან სტკივის. აწე ამისა წამალი ეს არის: მზურვალი მაჯუნები აჰამონ, და გრილი და ნედლი შარბათები ასეან, ამბრისა, ლადანსა და ლალია, მუშისათვის ასუნებინონ, რომე ტვინი და დამალი დააღბოს და ძალი მისცეს. და ასეთი ჰაბეები აჰამონ, და ასეთი წამლები ასეან, როზე კაცი გახსნას და ბევრჯულელ არწყევინოს. და ასეთი სასმელი და საქმელი არაუნდარა აჰამოთ, რომე სევდა გააძალიანოს და სევდას აწყინოს.

თუ იკითხავეთ, თუ სევდასა რა აწყენს, და ან რა გააძალიანებს, ირმის ხორცი, ჯერნის ხორცი, შულის ხორცი, კურდღლის ხორცი, ბატი, იხვი, ძროხისა და თხის ხორცი, კანჯარისა და ვირის ხორცი,

30 ხმელი თევზი, ხმელი ხორცი, ყოვლი მკლე ხორცი, ბევრი მგზავრობა და ბევრი ცხენზედ ჯდომა, დედაკაცთან დაწოლა, ბაყილას ცერცვის ჰამა და ღვინის სმა ყუელას უარ არის, ამისთვის რომე არაბთა და აჯამთა, ფრანგთა და თურქთა აქიმთა ყუელათ ასრე უთქუამს და ასრე დაუდებია, არასათვის სევდისა უფალსა კაცსა ღვინო არ ესმისო, და თუ არ დაიშალონ და სეან, ასრე უნდა მოადულონ, ჰაფი მოჰხადონ და ამაშიგა ვაშლი და ბია ჩააჰკრან და შიგ ამოხარშონ, ქინძი ურიონ, გაწურონ, გააციონ და ისრე სეანო. და გაეზაბანის

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

წვენი, აფთიმონის წვენი, ხიარ შამბარას წყალი და ან შირიხიშტის წყალი რომელიც იყოს სევანო.

და ყოვლისა სევდისა თავის ტკივილის წამალი ეს არის. მუ-
დამ ტკბილი და ცხიმიანი, და მსუქანი სასმელი და საკმელი სევას
და ქამოს, თოხლო კუერცხი ქამოს, ხშირ ხშირად აბანოშიგა იბანოს,
გრილსა ერბოებსა და გრილს წამლებსა თავზედა შესცხებდენ. და
თუ არცა ამითა ეშველოს, ამა წამლებსა თავზედა წაისვამდენ ყოლ-
მე, მოიტანე: აქლილო მულუქ, ვითამცა და ყუავის ქანგას ბალახის
თესლიო, ბაბუნაჯი, ვითამცა და გვირილას ბალახის ყუავილიო, ჯინ-
ქარი, ტუხტის თესლი, ია, გავზაბნის ფურცელი, ლულუფრის ფურ-
ცელი და ხაშხაშის ქერქი და მოიტანე სრულად ეს წამლები და
ყუელა სწორ სწორი ქენ, და წყლით კარგად მოხარშე და ამოკყლი-
ტე და ერთსა ცხრილშიგა გაწურე, და თავმტკივანსა კაცსა თბილ
თბილისა ამა წამლებისა წვენითა თავი დაბანეთ, მერმე ის გამოკ-
ყლეთილი ფოთოლი, ინსავეითა თავზედა შემოსდევით. და ხშირხში-
რად აბანოშიგა იბანონ. და ასრე უნდა, ესე აბანო არც მწოვედ
ცხელი იყოს და არც მწოვედ ცივი. და მუდამ ჯულაბსა და გრილსა
შარბათებსა სევმდენ.

20 და საკმლებისაგან მსუქნის ბატკნის ხორცსა, თხის ტვინსა
შაქრითა სკამდენ. გრილსა და ნედლსა სასუნებლებსა უსუნებდენ.
და გავზაბანის წვენსა, ბიის წვენსა, ვაშლის წვენსა და ამავე რიგსა
გრილსა წამლებსა სევმდენ, რომე ამა წამლებმან გულსა ძალი მის-
ცეს და ლეიძლსა არგოს. და ამა სევდისა სენსა ესეცა არგებს, რო-
მე კუერცხის ცილა გამოწურონ, და კუერცხის გული კარგად შეწონ
და ქამონ.

და ასრე უნდა ესე სევდიანი კაცი მუდამ გრილსა და ცივსა
ალაგსა იყოს, და მდინარესა წყალსა და მწვანესა უყურებდეს; მუ-
დამ წყლის ხმა და ქარი რომე ხესა არხევედეს, მისი ხმა ესმოდეს,
და ლამაზის ადამიანის ნახვა თავის საყუარლის ნახვა და თავის სა-
ყუარლის ხმის გაგონება, ან კაის საკრავის გაგონება, ან ლამაზის და
კაის პირუტყუის ნახვა, ან კაის ალაგის ნახვა, რომე გულს იამოს
და სევდა გაუგდოს, ყუელა კარგი არის.

30 ბოლო რაც ან ტვინსა და ან გულსა და ან თვალსა და ყურს
იამების, ყუელა კაი და სევდისა სენისა წამალი არის, კაცი მთლად
და უზიანოდ დარჩების, და თავის ტკივილიცა ეშველების.

კიდევ ერთი გვარი ამავე სევდის თავის ტკივილი სხვა არის,
ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცი დიდსა და განიცად-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სა საქმეშიგა ჩავარდეს და ბევრი ფიქრი ქნას, და თავისი ჰკუა ასეთსა ალაგსა მიიყუანოს, რომე კაცის ჰკუა გაშტერდეს და დაეყროს. და კაცი რომე გაშტერდეს და მეტის მეტმან საგონებელმან წაიღოს, ერთსა რასმე თვალნი დაასებოს და ველარა გამოაგოს რა, და პირი და თვალნი შავად დაუცემდეს. და კაცი რომე დედაკაცთან დაწვეს, დაწოლისა უკანა თავი და კეუა ასტკივდების, და ბევრის დედაკაცთან მისულთა კაცი სიგრილისაქენ გარდავარდნილ იყოს, და სიგრილისა ქარი და ბუხარი კაცსა თავსა და კეფასა შემოსჭიდებოდეს, და ან კაცმან ბევრი და ავი ღვინო სვას, და ღვინის სმა

10 ველარ მოიშთინოს, და ველარც ძილი გაითავოს და დილეულ კაცი აღდგეს და ხუშარი იყოს და ამა ღვინისა ბუხარი და სიხმელე კაცსა თავსა, ძარლუსა და ასოებშიგა დარჩეს, და მეტის მეტი ამა ღვინისა ძალი და ბუხარი კაცსა თავსა და კეფასა შემოსჭიდოს.

აწე რომელისაგანცა სენისაგან არის, მისი წამალი ეს არის რომე, კაცი მუდმად მოსვენებით იჯდეს და არა დია იუბნოს, გულს არ შემოიყაროს და ფექრი აღარ უნდა ქნას, და აღარცა თავისი ჰკუა ასეთსა ალაგსა მიიყუანოს, რომე ტვინი დაუბრუნდეს და ან ჰკუა და გონება შეეშალოს, და თავად დიდი ოყნა ქნას, რომე ოყნაი ჰადა ჰქუან, თუარადა ოყნაი მუთავასითა ქნას, რომე საშუალი

20 ოყნა არის, რომე გული და სტომაქი დაუღბონ, კაცი გახსნას და რაცა კაცის გუამსა და სტომაქშიგა ან ბაყლი, ან ბალღამი, და ან ავი სარწყვეელი ხილთები იყოს ყუელა დაალურევიონ, და ყოელისა ავისა, და დამწვრის ხილთებისაგან გაწმიდონ. და თუ ოყნა არა ქნან კარგი და ძალიანი გასახსნელი და სარწყვეელი ჰაბები აჭამონ, და ასეთი ძალიანი შაფები ააღებინონ, რომე გახსნან და მწოვედ კარგად ასაქმონ. და რა კაცი ბაყლსა, ბალღამსა, საფრასა და დამწვარსა ხილთებსა დაღურის, კაცსა უსათიოდ თავის ტკივილიცა ეშველების, და გულს უკუჰყრის. და რაცა კაცისა თავშიგა და დამალშიგა ავი სენი და ქარი იყოს, ყუელა ჩამოიღოს და გამოიტანოს, ამისთვის რომე, უსათიოდ ყოელი თავის ტკივილი გუამისა, ავის ხილთისა, და ქარისაგან იქნების.

30 და უფრო კეფის ტკივილი და კეფის შემოჭიდება, კაცის გაღლებება, ჰკუის დაკარგვა, ლაპარაკის დავიწყება და ველარ მოგონება, ყუელა ამა მიზეზისაგან იქნების, რომე კაცსა ესე ავი ხილთები მუცელშიგა დაეწვის, და ნერმე სევდად გარდაიქცევის, მისი ქარი და ალავი კაცსა ტვინსა და დამალსა, თავსა და კეფასა შემოეჭიდების, და თავის ტკივილი, გულმაივიწყობა და ჰკუის დაკარგვა, ყუელა მისგან იქნების. რა კაცი დასაღბობს წამლებსა სუამს და ოყნა-

სა იქს, ყოვლის გუარის ხილთებისა ქარსა, სიმწარესა ¹ გასწმედს და ჩამოიღებს, და მას უკან კაცი შთლად და უსენოდ დარჩების, და ყოვლის ფერის სენისა და ხილთისაგან კაცი გაწმედების და დახალასდების. და როდისცა ამრიგად კაცსა თავი ასტიკვდეს, მოიტანე ვარდის წყალი და მოადღუღე და ამა ვარდის წყალშიგა დაჯექვილი მიხაკი ჩაყარე და კარგად აღუღე, და მერმე ამა კეთა მტკიევანსა კაცსა თავი მოჰპარსე, და ესე ვარდის წყალი თბილ თბილი სრულად თავსა და კეთაზედა შეუსვით, მერმე მოსცხოს, ამა ვარდისა და მიხაკის წყლითა ბამბა დააღებთ და ესე ბამბა კეთაზედა დაადევით, და თავი ხელის სახოცითა მაგრად შეუქარით და ღთითა ეშუღლების. და საკმლებისაგან მხურვალსა, ცხიმიანსა და მსუქანსა საკმელებსა აქმევდით, მხურვალსა მაჯუნებსა და მუფარაებსა აქმევდით, და მხურვალსა ტლევებსა შემოსდებდით. გრილსა შარბათებსა ასმევდით სანდლისა და ლიმოსა შარბათსა, ბროწეულისა და ისრიმის შარბათსა, ვაშლისა და ქლიავის შარბათსა, კოწახურისა და თაბლი ჰინდის შარბათსა, იისა და ლულუფრის შარბათებსა ასმევდით. და უდისა, სანდლისა, ამბრისა, ლადანისა და ლალია მუშკისათვის ხშირად ² ასუნებინეთ, რომე ტვინისა და დამალიდამან სიხმე და ქარი ორივე გაუგდონ, და ხშირად ორივე ფეხები ამ საბანლითა დაბანონ: მოიტანე ლერწმისა ძირი და ან ფოთოლი, დაქერ და კარგად მოხარშეთ და გაანელთბილეთ, მერმე მოიტანეთ მარილი, ანაკუეთი და წივის ნაცარი და ამა ლერწმის წყალშიგა ჩაყარეთ, და ნელთბილისა ამა წამლებითა ხელნი და ფერხნი კარგად დაბანეთ და დაუზილეთ, ფეხები ან ორსა ეამსა, ან ერთსა ეამსა თბილ თბილსა ამა წამლებშიგა ჩაუყავით, ფეხებზედა ფეხის ქუა წაუსვით. და ხშირ ხშირად ნელთბილსა აბანოშიგა იბანონ, და თავზედა მოცხო წყალი ბევრი უნდა დაისხან, და ღთითა ეშველების. მაგრა ამ რიგი კაცი დედაკაცთან მისულას მწოედ უნდა ერიდონ.

და ყოვლის სიგრილის თავის ტკივილის გამორჩეული წამალი არის ქათმის ქონი, რომე კაცმან პირველად თავი მოიპარსოს და მერმე თბილ თბილი ესე ქათმის ქონი თავსა და კეთაზედა შეიცხოს, მეტადრე მაშინ რომე კაცმან ესე ქათმის ქონი სამჯერ ოთხჯერ ამრიგად შეიცხოს და თავი თბილად შეინახონ.

კიდევე ერთი გუარი თავის ტკივილი არის რომე ქარისა და სიგრილისაგან შეექნების და ამა სენისა მიზეზი ეს არის რომე, კაცსა სიცივისა და ბევრის მიჭირვებისაგან ტვინსა და დამალშიგა ქარი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით,

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

შეეკნებინ, და თავსა ის აატკივებს. და ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე დამალი გაწუდით და გაწუდით მოვა და ტიკიდალმან რომე ქარი გამოედინოს, ისრე გამოტეხასა, გამოზიდვასა და გამოწევას დაუწყებს, და კაცსა თავიცა მძიმედ ეკნებინ, და ყურებიცა გამოწვივოს დაუწყებს და ყუილსა და ბუილსა დაუწყებს, და კაცსა თავსა და დამალშიგა და ტვინშიგა ეკალსავითა სობასა და მკვალვასა დაუწყებს. და ესე ტკივილი ერთსა ალაგსა არ დადგების, და კაცსა მწოვედ გულს შემოჰყრის და სული შეუვიწროვდების.

10 აწე რა კაცზედა ესე ნიშნები და ალამათები ნახოთ იცოდით დასტურად, ბალღმისა და ქარისაგან არის ავად და თავიცა მისგან სტკივის.

აწე ამა სენისა და ამა თავის ტკივილის წამალი ეს არის რომე, რაცა ზემორ ბალღმის თავის ტკივილზედა წამლები დაგვიწერია, ისივე წამლები ამას უნდა უყონ. და ქარიანსა სასმელსა და საკმელსა ერიდონ და იფარებონ.

და შემრგო, სუბუქი და მოჰთადილი საკმლები კამონ, და რასაცა სკამდენ მომეყოსა და მეიხოშსა საკმელებსა უნდა სკამდენ და ყუელაშიგა ხმელსა ქინძსა ურევდენ. და სუფრისა აღებისა დროსა ან ერთსა ვაშლსა, ან ერთსა სხალსა, ან ერთსა ბიასა სკამდენ, რომე დამალშიგა ბუხარსა აღარ გაუშვებს, და ხშირ ხშირად თბილსა აბანოშიგან უნდა იბანონ.

და შოიტანონ ბაბუნაჯი ვითამცა გვირალას ყუავილიო, ფარიავშანი ვითამცადა აბზინდას ბალახიო, ბუი მადარონ ვითამცადა მელის კულდას ყუავილიო, და აქლილუ მულუქი, ვითამცადა ყუავის ქანგას ან თესლი და ან ბალახიო ესეები მოხარშონ და ამათის წვენითა თავი ორჯელ სამჯერ დაიბანონ, და დაბანას უკანა ამათი ნახარში თავზედა და მტკივანსა ალაგზედა შემოიდვენ და თავი თბილად შეიბვიონ, რომე ქარი არ ეცეს, და ყოვლსა დაწოლის დროსა გულბა შაქარი კამონ, და ამა გულბა შაქარშიგა ერთი დირამი ენისუნი გაურიონ და ისრე კამონ. და დილეულ დილეულ მხურვალე მაჯუნები კამონ.

80 და ან დამალშიგა ბუხარი აქუს და მისგან არის, აწე ზემოსა და ამა ქუემოს ორისავე წამალი ეს არის რომე, რომლისაცა ხილთისა ¹ ბუხარი თავსა და დამალშიგა გასლოდეს, იმა ხილთებისა გამჰკარვებელი წამლები ქნან და იმა ხილთებიდალმან გაწმდენ და ამას ეცადნენ რომე, თავშიგა აღარ გაუშვან. და თუ ბუხარი თავშიგა კქონდეს ისიც გახსნან და ჩამოილონ.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და შაქრითა ხმელი ქინძი, ან შაქრითა ბარძაყათუნა ჭამონ, და ამა დამალისა სენსა და ბუხარსა ესე ქინძი და ბარძაყათუნა და შაქარი გახსნის. და როდისცა საკმელი ჭამონ საკმელზედა ან ერთი ვაშლი, ან ერთი სხალი, და ან ერთი ბია ჭამონ და დამალსა უსათიოდ ეს ხილები გახსნის. და რაც საკმელი ჭამონ, ყუელა ხმელის ქინძით უნდა ჭამონ და ან დიდი ოყნა ქნას, რომე ოყნაი ჰადა ჰქუიან, და ან საშუალი ოყნა ქნან რომე ოყნაი მუთავასითა ჰქუიან, ამა ოყნაებშიგა ერთ ერთი ოყნა უყონ, რომე გული და სტომაქი დაულბოს, გახსნას და ყოვლის ავის ხილთისა და ბაყლისა და ბალღმისაგან გაწმიდოს.

და რაცა კაციცა გუამსა და სტომაქშიგა ხუანჯი, ხილთი და ქარი იყოს, ყუელა ჩამოიღოს და დაალურევიროს.

და თუ ესე ოყნაები არ აიღონ, ან გასახსნელი ჰაბები და წამლები ჭამონ, ან ძალიანი შაფები აიღონ, რომე კაცი გახსნას და გაწმიდოს, თვარამდა ესე იცოდით, მეტი ამრიგი თავის ტკივილზე კაცსა გააგიეებს და შიაცდენს.

და თუ ავი ბუხარი დამალშიგა გაუვიდეს, და დამალსა შეეკიდოს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, კაცი გულსა და სტომაქზედა სუსტად იქნების, გული რევას დაუწყებს, საკმელი აღარ მოუნდების და რასაცა კაცი საკმელსა სკამს, საკმელი სტომაქშიგა წაუნდების და ველარ მოიღობს, და გარ გასულაც გვიან მოუნდების.

აწე ამისი წამალიცა ესევე არის, რომე აქავე სწერია. რაცა ბუხარი თავსა და დამალშიგა გასულიყოს მისგან გუამი და სტომაქი გაიწმიდოს ან რწყევითა, ან ოყნაებითა, ან შაფებითა და ან ჰაბებითა, რომე გახსნან და გუამსა და სტომაქშიგა რაცა ან ბაყლი და ან ბალღამი, ან საფრა და ან სევდა, და ან სხუა ხილთი იყოს, ყუელასაგან გაწმიდონ და დაალურევირონ, და კაცი ყოვლსა სენისა და ქირისაგან მთლად დარჩეს და დახალასდეს.

და მხურვალი მაჯუნები ჭამონ, და ამზარსა და ლადანასა, ლალიასა და რეჰანსა და იასამანსა უსუნონ, ბიასა, ვაშლსა და კიტრსა უსუნონ. და ამ რიგი გრილი შარბათები სუან: ლიმოსა და ისრიმის შარბათი, თაბლი ჰინდისა და უმხუნის შარბათი, ლულუფრისა და იის შარბათი, კოწახურისა და ქლიავისა შარბათი. ამა შარბათებშიგა ბარძაყათუნა და ან ქინძი გაურიონ და ასრე ასვან, და შეკამადებიცა ამავე მქავეებითა აქამონ. და ამა მქავეებშიგა ასპანახი, აყირო, ქინძი და მსუქანა ბალახი შექნან, ქინძი ურიონ და აქამონ. და ხელი და ფეხი მუღმად დააზელინონ. და ამა საბანლითა ხშირად ფეხი

დაიბანონ: მოიტანეთ ლერწმისა ან ძირი ან ფოთოლი, დაჭერ და კარგად მოხარშე და გაანელთბილე, ჩერმე მოიტანე მარილი, ანაკუთი, და წივის ნაცარი, და სამივე ამა ლერწმის წვენი შიგა ჩაყარეთ და ნელთბილისა ამა წამლებითა ხელნი და ფეხნი კარგად დაბანეთ, ან ერთსა ან ორსა ეამსა ფეხები ამა წამალშიგა ჩაუყავით, და ფეხებზედა ფეხის ქუა წაუსვით და ხელნი და ფეხნი კარგად დაუზილეთ.

და თუ არცა ამა გახსნითა იქნას, და ან თავის ტკივილმან კიდევე მოუაროს, მოიტანე ნახევარი ღირჰამი თრიაქი ფარიყი, და ნახევარი ღირჰამი მისრი თუსი, და ესე ორივე ერთად მოზილე და თავ მტკივანსა კაცსა უზმოსა აქამეთ, და ძალითა ღთისათა თავის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

და თუ არცა ამან უშველოს და კიდევ თავის ტკივილი მოემატოს ასრე უნდა, კაცმან მწოვედ იფარეზოს და ხორცი აღარა ჰკამოს, ამისთვის რომე ხორცის ჰკამა, სენსა და თავის ტკივილსა ორსავე გააძალიანებს, და კიდევ თავის ტკივილსა მოუმატებს.

ვინ იცის და ესე ავად მყოფი მწოვედ სუსტად და უსუსურად იყოს, და უხორცობასა ვერ გასძლებდეს და ან უხორცობა აწყენდეს, სადილობის დროსა ან ვარიისა, ან გარეულის ფრინველის ხორცი და ან ყიმა შორვა აქამონ. და რა მზე ჩავიდეს საკმელსა ნულარ აქმევენ, თუარამდა საკმელი უდროს დროს აქამეს, ამა ივად მყოფის სტომაქი სუსტი არის, საკმელს ველარ მოიდნობს და გულზედა დააწვების, და რა კაცი საკმელსა ველარ მოიდნობს და ესე საკმელი სტომაქშიგა დაღების, და ამა წამხდრისა საკმლისა ბუხარი და აღავი კიდევე თავზედა და დამალსა ¹ შემოეკიდეების და თავის ტკივილსა კიდევე ახლა გაუახლებს.

კიდევე ერთი გუარი ბალმისა და სიგრილის სენის თავის ტკივილი არის რომე, ამრიგი და ესე სენი უფრო ბევრსა ადამისტომსა დაემართების, რომე გულმავეიწყი იყოს და ვერას დაიხსოვნიდეს, და რასაცა კაცი იქს და ან იტყვის, ყუელა ფიცხლავ დაავიწყებების და გულის ყურიცა მისთვის დაეპურობის და დაეფანტვის. და ესე იცოდით, ესე სენი და გულმავეიწყობა ორივე სიგრილისაგან დაემართების უსათიოდ. ამისთვის რომე, კაცმან უდროოს დროსა და ღამით ავი და ნამყენი საკმელი ჰკამოს, და საკმელი ველარ მოიდნოს. და ესე იცოდით ² ამა ჰირისა უფალსა ან უქამია რძე და ან თევზი, ან კურცხი და ან ერბოიანი და ცხიმიანი საკმელი, და ესე თავის ტკივილი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით,

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და გულმავიწყობა ორივე მისგან წაჰკიდებია, ამისთვის რომე კაცსა ბალღამი და სიგრილე მოერევის, და ამა სიგრილისა ქარი ტვინსა და დამალსა შეეკიდების. და ვითა ტვინისა აერი და თაბიათი გრილი და ნელლი არის და ესე სიგრილისა ქარი კიდევე ტვინსა ეცემის, და მეტის მეტი სიგრილე კაცსა ტვინსა და ჰკუასა გაულეჩებს და დაუძაბუნებს, და ამ რიგი გულმავიწყობა მისგან იქნების.

10 აწე ამა გულ მავიწყობისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა მწოვედ ძილად მიაგდებს და თავი და კეფა მძიმედ ექნების, და ამ რიგისა თავის ტკივილისა ნიშანი ეს არის რომე, ბევრსა კაცსა წყნარად და წყნარად, რბილად და რბილად მოუვა, და ბევრსა კაცსა ხანდახან წამოუვლის და როდისცა მოუვა ძალიანად მოუვა.

21 აწე ამა თაღის ტკივილის წამალი ეს არის რომე, მოიტანე ჰაბი ყუყია და უზმოპან სუას, რომე რაც პილწი და ავი ბაყლი და ხილთი იყოს, რომე ყუეჯასაგან გაწმიდოს და გააქარკოს. კიდევე ესე ჰაბი ყუყია მაშის ცერკვის წყლით გააყენოს, პირველ თავი მოპარსოს და მერმე ესე წამალი სრულად თავზედა შესცხონ, და თავის ტკივილსა უსათიოდ უშეელის. და რაცა შიგნით თავსა და დამალსა და ტვინსაგა ქარი და ავი ბუხარი არის, ყუელას უჭირველად გამოიღებს. და გულ მავიწყობისა წამალი ეს არის რომე, ძალიანი და დიდი ოყნა ქნან, რომე კაცი ყოვლის ბაყლისა და ხილთისაგან გაწმიდოს და კაცი მთლად ამყოფოს.

30 მაგრა ბოღრატი ჰაქიმი სხეებს აქიმებს შეეცილა, თუ ამ სენსა და ამრიგსა გულ მავიწყობასა, რწყევა და ოყნა ორივე აწყენსო, და ავად მოუხდებისო. და მას უკან არცა ჩუენ ვქენითო და ჩუენც შევიტყევით რომე, ამა სენსა რწყევა და ოყნა ორივე აწყენს. აწე თუ ამა რიგსა სენსა ოყნა და რწყევა აღარ უყოთ ჰფიყრა ასეან, რომე კაცი გახსნათ, და ყოვლის ბალღმისა, ქარისა და ხილთისაგან გაწმიდოს, და ყუელა დააღერევინოს. და ამითავე პირი გამოირეცხონ, რომე ცხუირს ცემა დაუწყოს, რომე რაცა ტვინსა და დამალ-შიგა ავი და ცივი წყალი იყოს, ყუელა წამოადინოს.

და თუ ამა წინას წამლებითა ან თავის ტკივილი და ან გულ-მავიწყობა არ ეშველოს, მოიტანე რეჰანი, გარეული პიტნა, საზბი, გვირილა, მელის კუდას ყუავილი, ყვავის ქანგა, მარზანგვიში, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ; და ყუელა ნახევარზედა დაჯექეთ და კარგად მოხარშე, და თავმტკივანსა ადამიანსა ამა წამლებისა წყლითა თავი დაბანონ, და დაბანასა უკანა ამა წამლებისა ნახარში ინსავეითა მტკივანსა თავზედა და ალაგზედა შემოსდვან, და თავი თბილად შეუხვიონ, რომე თავსა არ შესცივდეს,

თვარამდა თავი უფრო ასტკივდების. და ლალია, მუშქსა, უნდი უსუნებდენ, ამბარსა და ლადანასა უსუნებდენ, და ყუსტ იალი ან სადაფის იალი მუდმათ საფეთქლებზედა შემოიციხონ; და თავის ტკივილსა და გულმავიწყობასა, ორსავე უშეელის. და სიცივესა და ქარსა უნდა ერიდოს. და მხურვალე მაჯუნები, მხურვალე მუფარა-ები, და მხურვალე საკმელები აქამონ, მხურვალე ტლები შემოსდენ და გრილსა სასმელსა და საკმელსა ყუელასა ერიდონ, რძესა, მაწონსა, თევზსა და გრილსა სასუნებლებსა ერიდონ, მუხუდოს შეკამადსა ნიგუზითა, პილპილითა, სანანებლითა და მხურვალის ბალახებითა 10 შეიქმოდენ და სკამდენ. და მხურვალსა სასმელსა და საკმელსა, ლეინოს გარეთ ნუ დაერიდებიან და მუდამ საკმელი კეესავითა უნდა ლეკონ. და რაც საკმელი ქამონ ყუელა პილპილითა, დარიჩინითა, ზაფრანითა, სანანებლითა და მხურვლის ბალახებითა შექნან და ისრე ქამონ, და აღარ აწყენს. და უჯობს ჯავზი, ბაზბაზი და შაქარი სამივე ერთად დანაყონ და ქამონ რომე გული და წელნი, ტვინი და დამალი გაუხურვოს, და ქარი და ბალღამი კაცის გუამისა და თავი-დაღმან გააქარვოს. და ხშირად უშთური ყარას ძმარშიგა გამოადუ-ლებდენ, და ნელთბილის ამა წამლითა ხშირად პირსა გამოირეცი-დენ, და თავზედაცა შეიცხებდენ ყოლმე. და ორსა სამსა დღეშიგა 20 ერთხელ აბი შიბიარი ასუან, და დაწოლისა დროსა ღამით საკმელსა ნუ აქმევენ, და თუ მწოვედ შიოდეს, ცოტა და კაი საკმელი აქამონ.

აგრევე ამავ თავის ტკივილისათვის და გულმავიწყობისა ერთი კაი და გამორჩეული წამალი ეს არის რომე, მოიტანე მიხაკი და თეთრი საკმელი, და უზანლულის თესლი, და ეს წამლები სამივე სწორი ქენ, და მას უკან ყუელა ერთგან აურივეთ, და კარგად მო-ზილონ და მას უკან ჰაბები შექნან, და ან რარიგადაცა მაჯუნის წესი და რიგი იყოს, იმავ რიგად მაჯუნად შექნან თაფლითა, და ყოველსა დილასა ამა მაჯუნისაგან სამ სამსა დირჰამსა უზმო სკა-მდენ. და თუ კარგად არ არგოს, ხუთ ხუთსა დირჰამსა შკამდენ, და 30 გულმავიწყობასა უსათუოდ გაუგდებს და ქკუასა მოსცემს, ტვინსა გაუთბობს და გულის ყურს მოგურის. ესე იცოდით რომე, ამა სენისა და გულმავიწყობისათვის ესე მაჯუნი, ოსტატთა კაცთაგან მწოედ და მრავალჯერ დაცდილი არის, და ღ'თითა ამა სენსა კიდეცა აღრე უშეელის.

კიდევე მოიტანე ქათმის ქონი და გაათბე და ამრიგსა გულ-მავიწყსა და თავმტკივანსა კაცსა, პირველ თავი მოჰპარსეთ, და მერმე თბილ თბილი ესე ქათმის ქონი სრულად თავზედა შეუესვით. გერჩი-ვნოს გულმავიწყობა სკირდეს, გერჩივნოს მალნიხულია სკირდეს, და

გერჩივნოს თავი სტკიოდეს, ესე ქათმის ქონი რომე ამრიგად სამჯერ შესცხონ ამა სენა სამსავე უშველის, მეტადრე მაშინ რომე, ესე ქათმის ქონი¹ კაცმან ახლად მოპარსულსა თავზედა და კეფაზედა, ორჯელ სამჯერ თბილ თბილი შესცხონ.

10 თუ კაცსა თავი სიმქლისა და სისუსტისაგან სტკიოდეს, ამა სენისა და ამა თავის ტკივილისა ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, კაცსა სიციხემან და სიცივემან ორმავე აწყინოს და გულსა და ხორცშიგა პირსა და თუალშიგა არცა სიციხე იამოს, და არცა სიცივე. და რაგინდარა მაღალი და ძალიანი ხმა გაიგონოს ეწყინოს და რა საქმელი ჰქმნოს თავის ტკივილმან მოუმატოს. და რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ იცოდით, ესე სენი და თავის ტკივილი სიმქლისა და სისუსტისაგან არის.

10 აწი ამა სენისა და ამა თავის ტკივილის წამალი ეს არის, ვარდისა და მარსინის ერბო ერთმანერთშიგა აურიონ და თავმტკივანსა კაცსა თავზედა შემოსცხონ და ნიადაგ დაწოლის დროსა გულბა შაქარი და იის მაჯუნნი ერთმანერთშიგა აურიონ და ჰამონ და გვილან გვიბინი ჰამონ და² [თავის ტკივილსა უსათუოდ უშველის, და თბილ თბილი ქათმის ქონიცა მწოედ კარგი არის რომე ამრიგმან თავმტკივანმან კაცმან სრულად თავზედა შეიცხოს, თავის ტკივილსა და სისუსტესა ორსავე გაუგდებს და გაუქარვებს.

20 კიდევ მწოედ კარგი წამალი ყოვლის ფერის თავის ტკივილისა და უფრო ამავე სიმქლისა და სისუსტისა. თავის ტკივილისათვის მოიტანე: ლალია, მუშკი და თავმტკივანსა კაცსა წვერზედ შეუსვით და კიდევცა ასუნებინეთ. ეს ლალია, მუშკი მოპთადილი და შეზავებული არის და ცოტად სიმხურვალეცა ეთქმის, და ამა ხანიათითა ამა ლალია, მუშკის სუნება და წვერზედა შეცხება კაცსა თავის ტკივილსა უსათუოდ უშველის და კაცი რომე ხორცშიგა თრთოდეს და კრთოდეს, იმას ორსავე უშველის, და ტვინსა და დამალსა მწოედ არგებს და ძალს მისცემს.

30 და თუ არცა ამან უშველოს მოიტანე: ხოსიათულ სალაბ, მუშკი, ამბარი და ქაფური და ესე წამლები ოთხივე სწორ სწორი ქენ და ოთხივე ცალკე ცალკე წმინდად დანაყეთ და ყუელა ერთად აურივეთ, ერთსა ჩინურსა ან მარმარილოსა ქუაზედა ლულუფრის ერბოთა მოზილონ, და თავმტკივანსა კაცსა წვერზედ შეუსვით და თავის ტკივილისათვის მწოედ კარგი არის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² აქ დედანს ერთი ფურცელი აკლია, ტექსტი აღდგენილია გარიანტის A-ს მიხედვით.

[17] კარი მეცხრე. სურდოსა, სურავანდისა და ცხუირის ხი
ხხლის დენისა, მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებს გიამბობს და
მოგიტობს. აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე სურდო და სურავანდი
ორივე ერთი არის და რომელიცა ან საფრა, ან ბალღამი და ან
სხვა წყალი მოიქცევის, ან თავისა და დამალისა ჭირი დამწიფდების
და ცხვირიდალმან წამოვა და ჩამოედინების, იმას ყუელას სურდო
30 ჰქუიან, და რაცა თავისა და დამალისა ჭირი და სენი ცხუირის
ნესტვიდალმან აღარ ჩამოწმდა და დამალშივა მკუახედ და სენად
დარჩა, ზოგსა თვალსა და პირშივა შემოეკიდების და ან კბილებსა
და პირშივა ჩამოუა იმას ნუზლა და სურავანდი ჰქუიან, და ზოგსა
კაცსა გულსა, ფირტუსა და მკერდსაც შემოეკიდების და გუამაღა
ჩამოუა და ამასცა სურავანდი ჰქუიან, რადგორაც კაცმან საგუბრითა
წყალი დააგუბოს და რა წყალი ამძიმდეს ერთსა ალაგსა გამოხეთქს,
ისრევე ესე ნუზლა და სურავანდი იქს.

აწე ესე სურავანდი მჯღომი არის, რომე თათარნი აქიმნი ვა-
რამსა ეძახიან, და ამა სენსა თათარნი აქიმნი ნუზლასა უძახიან, აწე
ამა სენისა და ნუზლასი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, თუ
ხუელაშივა კაცმან რაც წამოაგდოს ის წამონაგდები ან მოსქოდ, ან
20 არეული იყოს, ან ბალღამი იყოს და ეს ბალღამი მხურვალი და
თხელი იყოს, და ხუელასა და ბალღამის ამოგდებაშივა ყელი, გული
და ხახა სამივე დასწვას და კაცსა პირი და თვალელებიცა წითლად
ჰქონდეს, აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით ესე სურა-
ვანდი და სურდო დასტურად სისხლისაგან არის და ასრე უნდა,
მაშინვე მკლავი გაუხსნან და ზემოსა, ყითალის ძარღვიდალმან კარგად
სისხლი აღინონ, და კეფაზედა კოტოში მოჰკიდონ და ამ რიგი შა-
რბათები ასუან ხაშხაშის შარბათი, ლულუფრის შარბათი და იისა,
ლიმოსა და ისრიმის შარბათი, თაბლი ჰინდისა და კოწახურის შა-
რბათი, უშხუნისა და მეთუნას შარბათი, რომელიცა იყოს ასუან. და
30 ხშირ ხშირად მოჰთადილსა აბანოშივა შევიდნენ და ამრიგი საჰქე-
ლები აჰამონ: ახლის აყიროს შეჰამადი ნუშის ზეთითა შექნილი,
უხას პურისა ერიშთა, რომე ესე ერიშთას შეჰამადი ისპანახითა,
მსუქანას ბალახითა ქინძითა და ნუშის ზეთითა შექნილი იყოს, ჰამონ,
და ქერის ჯავ ავი სუას და გრილსა სასუნებელსა უსუნონ, იასა
ლულუფარსა, სანდალსა, ფუფალსა, ქინძსა, რეჰანსა, ვაშლსა, სხალსა,
ბიასა, კიტრსა და ქათურსა უსუნებდენ. და გრილი და ნედლი სა-
სმელი და საჰმელი ყუელა სუან და ჰამონ. თავად ლეინოსა და მხუ-
რვალსა საჰმელებსა, ხილებსა ყუელასა ერიდნონ.

კიდევ ბოლრაქ აქიმბან თქუა: კაცსა თუ ნუზლა და სურავანდი სისხლისა და სიმბურვალისაგან სკირსო, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არი რომე, კაცსა ხმელ ხმელად ახუელებდესო და თვითან კაციცა ცხელი იყოსო, და როდისცა დუეი ამოალებინოსო, ეს დუეი მოყუითანო იყოსო. და ამა დუეშიგა ბაყლი და ბალლამი არ ერიოსო, იკოდით დასტურად საფრისა და სიმბურვალისაგან არისო.

10 აწე ამისი წამალი ეს არისო, იისა და ლულუფრისა შარბათი, ლიმოსა და ისრიმის შარბათი, ხაშხაშის და უნაბის. შარბათი, კოწახურისა და უმზუნის შარბათი ასევანო და ქერის ჯავ ავი და ბაყლა ცერცვის წყალი ნუშის ზეთითა ასევანო და ჯულაბი ასევანო. ჯულაბი ამას ჰქუიან ან შინდი, ან კოწახური ან მაყუალი წყალშიგან დაალბო, ან მოხარშონ და ან ამისი წვენი სუან და მბურვალსა, მეავესა და მლაშესა საკმელსა უნდა ერიდონ. და ვინ იცის და ეს ნუზლა სურავა] ¹ ნდი და ცხელება ერთად შეეყაროს და ერდგან ² შეექნას მაშინვე მკლავისა ძარღვი უნდა გაუხსნან და მკლავისა ზემო ძარღვიდალმან კარგა სისხლი აღინონ, ცა კიდევ ახლაცა იისა შარბათი სვას, ლულუფრის შარბათი სვას, ხაშხაშისა და უნაბის შარბათი სვას, ნუშის ზეთითა ქერის ჯავ ავი და ერიშთა კამონ, მსუქანა ბალახი, ისპანახი, სალათა და კიტრი კამონ. და თუ კაცსა არა აცხელებდეს, 20 და ესე სურავანდი ისრე, უცხელებლად შეექნას. ზუფას შარბათი სუას, ხაშხაშისა და უნაბის შარბათი სუას, და მეავეს საკმელებს ერიდონ.

კიდევ თუ ესე სურავანდი, თუ კაცსა პირსა და კბილებშიგან ჩამოუვიდეს, და ან თუალშიგა გამოაჩნდეს, მოიტანე ნესვის ქერქი და გაუცქუენ და დანაყეთ, და სურავანდიანსა კაცსა საქორკეს წინა, შუბლსა და საფეთქლებზედა დასდევ და უშველის. და გააქარვებს, ძალითა ღთისათა.

კიდევ კაცმან რომე ან ბაყლი და ან ბალლამი, ან პირიდალმან ამოილოს და ან ცხვირიდალმან წავარდეს, და ან უკანიდალმან 30 დავარდეს, და ესე დავარდნილი და ან ამოღებული ბაყლები და ბალღმეზი ცივი იყოს, იკოდი ამა სენისა უფალსა ცხვირიცა მწოვედ აჰქვედების და შუბლიცა აებმის, და რასაცა ესე კაცი პირიდალმან ან ბაყლსა და ან ბალღამსა ამოილებს. და ან უკანიდალმან დაღურის და დააგდებს, უსათიოდ ყუელა ცივი და ცხელი იქნების.

აწე ამისი წამალი ეს არის მოიტანე: თავშავას ბალახის შარბათი და იისა და ლულუფრის შარბათი, ლიმოსა და ან ისრიმის

¹ ტექსტი აჯანდის არის აღდგენილი.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნი ხელით.

შარბათი, კოწახურისა და ან უშხუნის შარბათი, და რომელიც იყოს ასუით და მულაბი მუნზაჯითა სუას. და ასრე უნდა, ამა ჭირისა უფალმან კაცმან ან ძალიანი ჰაბეზი ჰამოს, ან ძალიანი შარბათები სუას, ან ძალიანი შაფები აილოს, ან საშუალი ოყნა უყონ, რომე ოყნაი მუთავასითა ჰქუიან, ან რბილი და ცოტა ოყნა აადებინონ რომე, ოყნაი ლეინა ჰქუიან. და ან გასახსნელი წამლები აქამონ, რომე კაცი უსათიოდ გახსნას და რაცა კაცისა გეამსა და სტომაქშიგა ან ბაყლი და ან ბალღამი, ან საფრა და ან სევედა იყოს, ან აჯი და დამწუარი ხილთი იყოს, ან წამხდარი და დამწუარი ბალღამი იყოს, ან ხილთი იყოს, და ესე სურაევანდი მისისა ჰარისა და ალავისაგან წაჰკიდებოდეს ყუელასგან გაწმდეს და ყუელა უკანიდალმან დააგდოს და დაღუაროს¹, და ამა მიზეზითა თავი ტვინი და დამალი სამივე დაუწმდეს. მაგრა ამ რიგმა კაცმან თავი მწოვედ თბილად უნდა შეინახოს, და ან თაფლითა და ან შაქრითა, და ნუშის ზეთითა შეკახმული თაღგმის მხალი ნიადაგ და ხშირად ჰამონ, მსუქანას ბალღის მხალი ხშირად ჰამონ, ნუშის ზეთითა შიაკაზმინონ და მუღმად ისრე ჰამონ. და ყოვლსა დაწოლის დროსა გვილან გვიბინი, გულბა შაქარი და ან იის მაჯუნე ჰამონ, გაზანგვი ჰამონ და მუშკი, ლადანა და ჩორაქ ოთი მოხალული, ესე სამივე ერთსა ლორჯსა ხელისახოცშიგა ჩაყარონ და მუღმად ამას უსუნონ, და ან მკლავი და ან საფეთქლები გაიხსნან, და პირველსა ავად ყოფაშიგა აბანოშიგან ნუ შეველენ, და რა მოიჯობიხოს და ან ავად ყოფა დაუძველდეს, და ან სენი დაუბერდეს და დაუმწიფდეს, მაშინ შევიდეს და თბილი წყალი თავზედა ბევრი დაისხან, და მწოვედ კარგად მოუხდების. და ცივსა წყალსა უნდა ერიდონ.

10)

20)

30)

და ესეცა უნდა იცოდეთ რომე, სურდოსა და სურაევანდსა ბევრი საქმელი, ბევრი ძილი და ბევრი ხორცის ჰამა, ბევრი ტირილი, და ბევრი ერბოიანის ჰამა, ეს ყუელა აწყენს და სენსა გააძალიანებს. და მწოვედ ცხელსა და მწოვედ ცივს ალაგსა ყოფა, ორივე აწყენს. ასრე უნდა სადამდი კაცი კარგად გამოდგებოდეს, კარგსა, ზეგანსა ალაგსა იყოს, და კარგითა საქმელებითა და შარბათებითა ხელი შეიწყონ, და ძილსა და წოლაშიგა თავი მდაბლა დაიდვან, და ძალითა ღთისათა ეშველები.

ისაყ აქიმმან თქუა: თუ ესე სენი და სურაევანდი; კაცსა თავშიგა აეძრასო, ამისი ნიშანი და ალამათი ის არისო, რომე კაცსა ყურიდალმა ან ბაყლი და ან სისხლი დენასა დაუწყებსო, ამა სენისა

¹ ამ გვერდის ზემო აშიახე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვა-
ლავი „იბ“

წამალი ის არისო, რომე მკლავი გაიხსნასო და ყიფალის ძარღვიდალმან, ვითამცა ზემოსა ძარღვიდალმან კარგად სისხლი იდინოსო, და საკმელი ცოტა კამოსო, და ხშირად ვარდის წყალი პირშიგა იმგებიოსო, და ყოვლსა დაწოლის დროსა უსათიოდ პირი ვარდის წყლითა გამოირეცხოსო. და თუ ყურის ტკივილი დასძველებოდეს, მოიტანე თეთრი მალამა და ვარდის ერბოშიგა გამოადნევე, და ამა ყურმტკივანსა კაცსა თბილ თბილი ყურშიგა ჩაასხით, და ყურის ტკივილსა უსათიოდ უშველის, და რაცა დამალშიგა სენი არის გამოიღებს.

10 კიდევ რ უჭზ ჰაქიშმა თქუა: კაცს რომე ნუზლა და სურავანდი სიცივისა და სიგრილისაგან შექნოდესო, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არისო, რომე კაცსა აბუელებდესო და ესე ხუელა ხმელი არ იყოსო, და ან სისხლსა და ან ბალღამსა ნარევესა ამოაღებინებდესო. და ის ბალღამი რომე კაცსა ყელთანა მოადგების და მერმე ბალღამსა აღარ ამოაღებინებს, ამისი წამალი ეს არის რომე, როდისცა კაცსა ესე სენი აეძრას, ასრე უნდა, სამსა დღესა ზედა ზედ დილეულ დილეულად თბილი საკმელი კამოს, და ხშირად თბილსა წყალსა სვემდეს, რომე კაცის გუამსა და სტომაქშიგა რაც ბაყლი და ბალღამი იყოს, ყუელა დააღბოს და დაამწითოს, მოხეთქოს და გამოიილოს, და კაცი ავის ხილთისაგან გამოწმიდოს. და ხშირად ხაშხაშის შარბათი თბილის წყლით გალესოს და სუას, რომე ესე შარბათი ნაზლა სურავანდსა, და სურდოსა და ხუელასა ოთხსავე არგებს, და მწოედ კარგად უზამს, და ბალღამსა და საფრასა ორსავე გააქარვებს, და სურდოსა და სურავანდსა, ხუელასა და მჯდომსა ყუელასა კარგად უზამს.

აწე ამა მარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი წონა თეთრი ხაშხაში და წმიდად დანაყეთ, და ოთხი იმა ხაშხაშის წონა წყალი დაასხით და დააღბეთ, და ერთსა კოკობშიგა ჩაასხით და კარგად მოხარშეთ, და კარგად ამოქულიტეთ, და ვარდის წყალიც ურივეთ, და რა ნივთიცა წონითა ესე ხაშხაშის წყალი იყოს, იმავ წონითა ერთი მისივე წონა შაქარი ჩაავდეთ, და ნელად და წყნარად ადუღეთ, და როდისცა მოსქელდეს, და ან ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღეთ და ხაშხაშის შარბათი იქნების, როდისცა სასმელად გინდოდეს. ერთსა კოვზსა ამა შარბათზედა, ორი კოვზი წყალი დაასხან, გაქნან და სუან, სურდო სურავანდისათვის წამალი არის.

30 და ესე ჰაბი მუდამ პირშიგა დაიჭირონ, და კევსავითა ლეკდენ. აწე ამა სეინტრის ჰაბის შექნა ასრე უნდა: მოიტანეთ ცერეცოს თესლი და დარჩეული ნუშის გული, და გავანის ქითირა და ჰანილი ვითამცა და სეინტრის ძირიო, და ესე წამალი ოთხივე სწორ სწორი

ქენ, და ოთხივე დანაყე წმიდად და გაცერ, და ოთხივე ერთგან აურივე და მოპრტყო მოპრტყო ჰაბები შექენით, და ვისცა უნდოდეს, ერთსა მარცულსა პირშიგა დაიჭირდეს კაი არის.

ზ ა ქ ა რ ი ა ა ქ ი მ მ ა თ ქ უ ა : თუ კაცსა თავის ტკივილი სიცივისგან და სიგრილისაგა ასძროდესო, იმისი წამალი ეს არისო მოიტანე: ფარფიონი, პილპილი, უზანლულის თესლი, და კურკა გამოღებული წითელი ყურძენი, და ესე წამლები ოთხივე სწორ სწორი ქენ, და ოთხივე დანაყე და წმიდად გაცერ, და ოთხივე ერთად შეურივე და მოზილე, და თვითოს პილპილის ოდენ ოდენი ჰაბები შექენ, და როდისცა გინდოდეს, და ან ვისცა ეჭირებოდეს ამა ჰაბებისაგან ერთი მარცვალი ჰაბი პირშიგა ჩაიდვან, და წყლითა გალესონ და ცხვირშიგან ჩაიწვეთონ, მაშინვე სისხლს დასწყუეტს და სურავანდს უშველის.

თუ კაცსა მუდმად ცხვირს ცინგლი და წყალი სდიოდეს, მოიტანე ერთი აგური და კარგად გაახურვე, მერმე გამოილე და ზედ ცხარი ძმარი დაასხი, და ამა ცხვირცინგლიანმან კაცმან, ასრე უნდა, თავი და ცხვირი ამა ძმრის ორთქლზედა დაიჭიროს და თავზედა რამე წაიხუროს რომე ორთქლი არ გაუცივდეს, და კარგად იორთქლონ რომე რაცა კაცისა თავსა¹ ტვინსა და დამალშიგა ან სურდო და ან სურავანდი, ან ქარი და ან სხვა ქირი და წყალი იყოს, ყუელა დაამწიფოს, მოხეთქოს და ყუელა ცხვირისა და პირიდალმან წამოაღინოს, და კაცსა ტვინი და დამალი ავის სენისგან დაუწმდეს, და კაცმან მოისვენოს. და ამას უკანა აბანოშიგა უნდა შევიდეს, და რა აბანოდალმან გამოვიდეს უმარილო და უერბოო ბაყლას ცერცვი, ან მაში და ან ოსპი მოხარზონ, და ამრიგად ქამონ და ეშველები.

ვინც გარეული ბაყლას ქერქი კევსავით ღეკოს, მასუკან სურავანდი ასრე დაეკარგოს რომე, მისთა დღეშიგა აღარ გამოაჩნდეს.

ვინც ჩორაქ ოთისა და ბროწეულის ყუავილი ძმრითა მოადულოს და პირშიგა იმგვიბოს, სურავანდი და პირისა და კბილის ტკივილი ასრე დაეკარგოს, რომე მისთა დღეშიგა აღარ გამოაჩნდეს.

აყირო ძუელის ხუელისათვის მწოვედ კაი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღობს.

და თუ სურდო კაცსა თუალის ტკივილისაგან და თუალის სიციხისაგან შეექნას, ამისი წამალი ეს არის რომე, მუდამ დაწოლისა და აღდგომისა დროსა ცხვირშიგა იის ზეთი ჩაიწვეთონ, და ანაკუეთი ძმრითა გააყენონ და ერთსა გახურებულსა ქუაზედა შეფქვიონ და იმა ორთქლზედა თავი და ცხვირი ზედ დაიჭირონ. და ქაფური

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვარდის წყლითა გააყენონ და მუდამ იმას უსუნონ. და ესე წამალი აღეკონ, რომე მწოვედ დაცდილი არის: მოიტანე კურკა გამოღებული სამი ღირჰამი წითელი ყურძენი და კარგათ დანაყეთ, და სამი ღირჰამი კარგად დანაყილი დანამასტაკიცა გაურიეთ, და კიდევ კარგად დანაყეთ, და ცოტა ახალი ბამბაცა ჩადევით და კევსავეთ აღეკეთ, როდისცა პირშივა წყალი მოადგეს ფიცხლა¹ ფიცხლად გამოდუჟონ, და სურდოსა და სურავენდსა და ყოვლსა ამავე რიგსა თავის სენსა ყუელას კარგად უზამს.

- 10 ისაყ აქიმმან თქუა: კაცის ასოშივა სისხლის ბურანი რომე იყოს და ან ცხვირიდაღმან და ან ქვემოდაღმან სისხლი სდიოდესო და კაცი თუ ამა გამომაველსა სისხლსა დასწყუეტსო, და ასეთსა წამალსა უზამს რომე სისხლი შეხუთოსო, ამრიგის გამომაველის სისხლის შეხუთვა უსათიოდ კაცს გახეთქსო, და ამრიგად რომე კაცსა ან ცხვირიდაღმან და ან ქვემოდაღმან სისხლი სდიოდესო, მანამდისი არ უნდა შესუთონ და დასწყუეტოსო, სანამდი თვითან არ დასწყედესო, თუ არ კაცი მწოვედ შესუსტდეს, და მწოვედ მისკირდესო. და ვინ იცის უდროოდ და უნებლივ ესე სისხლი დასწყუეტონ, უსათუოდ კაცსა გახეთქს, როგორაცა გამომაველი ოფლი რომე
- 20 კაცმან შეხუთოს და უკუუბრუნოს, და ამა ოფლის შეხუთვამან და უკუბრუნებამან კაცსა აწყინოს და მოკლას. ისრევე ეს სისხლი რომე შეხუთო, ისრევე ეს აწყენს და კაცს გახეთქს. და ეგების ეს კაცი ან ხიდაღმან, ან ცხენიდაღმან ჩამოვარდნილიყოს, და ან სხვის მიკირგებისაგან სდიოდეს ესე სისხლი, და სენი, გამომაველი სენი და² სისხლი კი არ იყოს, და სისხლის დაწყუეტა გინდოდეს, კეფაზედა ცივი წყალი დაასხით, და ესე კაცი გულალმა დააწვინეთ და კეფა ცივსა წყალშივა ჩაუდევით, და ორივე მკლავები სათაგვეებთანა და ორივე სისხო ბირკლები ხელისახოციითა მაგრათ შეუქარით, და ხშირად ცივი წყალი უნდა ასეან. თუ სისხლის დაწყუეტამან დაიგვიანოს, ცხვირი ცხარის ძმარით გამობანონ, და მერმე მოიტანე
- 30 თრიაქი და ზაფრანა, ორივე თვითო ღირჰამი და ორივე წმიდად დანაყონ და გაცრან, და ორი ქათნის ფილთა მოკჳაზმონ, და ესე ფილთა პირველ ძმარშივა ამოაელონ, და მერმე ესე დანაყილი თრიაქი და ზაფრანა სქლად ზედ შიყარონ, და ორივე ცხვირი ამა ფილთებითა გამოუტენონ. და მაშინვე სისხლს დასწყუეტს.

აგრევე მოიტანეთ ფეიქარას კიის ბუდე და მელანშივა ამოჯლუღიმე, და ამაზედა წმიდად დანაყილი და გაცრილი საკმელი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

დააყარე და ან წისქვილის მტვერი შიფრქვევე და ორივე ცხვირი ამითა გამოუტენე, და მაშინვე სისხლსა დასწყუეტს. და თუ არცა ამ წამალმან დასწყუეტოს, მოიტანე საკმელი, გილი არმანი, ბროწეულის ყუავილი, იქი ყარდაშ ყანი, და ვარდის ფოთოლი, ესე წამლები ხუთივ დანაყე, გაცერ და ყუელა ერთგან აურივეთ, და ორივე ცხვირი ამა წამლებითა გამოუტენონ, და უსათიოდ ესე წამლები სისხლს დასწყუეტს. და თუ ამით ირ დასწყუედეს, ისი ფეიქარას ბუდე და მელანიცა ამა წამლებშიგა აურიონ, და კიდევ ახლა ორივე ცხვირი გამოუტენონ, და უსათიოდ ცხვირის სისხლს დასწყუეტს.

10 **ჯალინოზ** აქიმმან თქუა: თუ კაცს ცხვირის სისხლი არ დასწყუედეს, მაშინვე მკლავი უნდა გაუხსნათო და თავზედა ცივი წყალი უნდა დაასხანო, და ცივი და თოვლიანი წყალი ასვანო, და კეთაზე-დაცა დაასხანო. და ლიმოსა კოწახურისა, ისრმისი, უშხუნისა, იისა და ლულუფრის შარბმით ასვანო. და გრილი და მზე საქმელები აქამონო, კოწახური, მოცხარი, თუთუბო, ისრიმი და ამავე რიგითა საქმელებითა და მკავეებითა ოსპი, მაში და ბოგრიჯა მოხარშონ და ისრე აქამონო. და თუ არცა ამით დასწყუედეს მოიტანე ყირმიზი ვარდი, ბროწეულის ყუავილი და სალათა, და ეს სამივე ერთგან დანაყონ და ორივე ცხვირი გამოუტენონ, და ამისი წვენი ცხვირშიგა ჩაასხანო, მაშინვე დასწყუეტსო. და ესე უნდა კაცმან იცოდეს, რომე კაცი სისხლისაგან ცოცხალა, და ძალი და ძლიერებაცა ამავე სისხლისაგან აქუს. და თუ კაცის ტანიდალმან სისხლი ბევრი გავიდა ან ხელის გახსნისაგან, ან ცხვირის სისხლის წახეთქისაგან, და ან ქუემოდალმან სისხლზედა გახეთქისაგან, ან სოკოსა და ან სხვის ქირისაგან, კაცსა მწოედ ავად მოუხდების, და მრავალსა სიგრილისა სენსა და ქარსა აუგდებს. და ამ რიგმან კაცმან ხორცი უნდა იფარეზოს, და კოწახურითა, მოცხარითა, ისრიმითა, ან თუთუბოთა და ან ნარდანგითა, ახალი თევზი მოხარშონ და აქამონ, და ან ოსპი და მაში ამავე რიგად მოხარშონ და აქამონ, და ახალსა ყველსა და თევზსა აქმევდით.

30 და თუ სისხლის დენამან კაცი დაასუსტოს და დააძაბუნოს, სადილობის დროსა კაი და შემრგო საქმელები აქამონ. ან ვარია და ან გარეული მფრინვლის ლაპები, ან ამათივ მიმსგავსო მფრინვლის ხორცი, ან ბატკნისა, ან შავის თიკნის ხორცი, ამავე მკავეებით მოხარშონ და ისრე აქამონ.

ბურჰანა აქიმმან თქუა: თუ ესე წამალი, სისხლის დაწყუეტისათვის ბევრჯელ მიქნია, და დამიცადიაო. მოიტანე თოვლისა, ბაზარუჯისა და კიტრის გულის წყლები და ამა წყლებშიგა გილი არმანი გააყენეთ და ცოტა ქაფურიცა გაურივეთ, და ორსავე ცხვი-

რშიგა უნდა ჩაასხან. და მერმე მოიტანე და ქათნის ფილთა დაგრიხე და ძმარშიგა ჩაღვეით, მერმე მოიტანეთ შაბი და დამწვარი გუნდა, და ცოტა ქაფური, ესე სამივ დანაყონ, და ამა ძმარიანსა ფილთასა ზედა სქლად მოაყარონ, და ორსავე ცხვირშიგა ესე ფილთები შეუღვან და უსათუოდ სისხლს დასწყუეტს და უშველის.

მურადათი, ვითამცა წურილი წამალი, რომე კაცსა ცხვირის სისხლის ღენასა უშველის.

10 ვინცა კიტრი ან ახალი აყირო დაფხიკოს და ასურიმოს, და თავსა და შუბლზედა შემოიდვას, ცხვირის სისხლი დასწყუეტოს.

ვინცა თრიაქი და ან ქაფური ვარდის წყლითა გააყენოს, და თავსა და შუბლზედა შემოიცხოს, უსათიოდ სისხლი დასწყუეტოს.

ვინცა ან ცხენისა და ან ვირის ნეხვითა ცხვირები გამოიტენოს, სისხლის დაწყვეტისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინც ბევრი ცივი და თოვლიანი წყალი სვას და კეფაზედაცა დაისხას, სისხლი დასწყუეტოს.

ვინცა ყაყაჩოს წყალი გამოჰხადოს და შუბლსა და საფეთქლებზედა მისი წყალი შეისვას, მაშინვე ცხვირსა სისხლი დასწყუეტოს.

ვინცა ვირის ფსელი ცხვირშიგა ჩაიწვეთოს, უსათუოდ ცხვირის სისხლი დასწყუეტოს.

20 ვისცა ცხვირი სტკიოდეს, მოიტანე ქავეკავის სისხლი და ცხვირზედა შეიცხოს და ცხვირშიგა ჩაიწვეთოს, ცხვირის ტკიველი ეშველოს.

ვინცა წისქვილის ქუის ნატეხი გაახურვოს და ცხარი ძმარი დაასხას და თავი ამის ორთქლზედა დაიქიროს, უსათიოდ სისხლი დაწყუეტოს, მაგრა თავს რამ უნდა წახურონ, რომე ორთქლი არ გაუციონ. ან ვინ ცხარი ძმარი და წყალი ერთმანერთშიგა აურიოს და ცხვირსა და პირზედა შეისვას, უსათიოდ ცხვირის სისხლის ღენა დასწყუეტოს.

30 ვისცა ცხვირის სისხლი არ დასწყედეს, მოიტანე ზირაი ქირმანი დანაყეთ და წყლით გააყენეთ და ცხვირსა, პირსა, შუბლსა¹ და საფეთქლებზედა შეუსვით, და მაშინვე სისხლს დასწყუეტს.

ვინც ნიორი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და ესე ნივრის წყალი ცხვირშიგა ჩაიწვეთოს, რაცა კაცსა ცხვირშიგა ან ბაყლი უთქს, და ან ავი რამე დარჩომია, ყუელას გამოსწმედს და გააქარებებს.

ვისცა ცხვირიდამან მუღმად ცინგლი და ან ცივი წყალი სდიოდეს, მოიტანე ჩორაქ ოთი და დანაყე, და ერთსა პარკშიგა გამოჰკარით, ან ჩაყარეთ პარკშიგა და წყლითა ასვრიმეთ, და მუღმად

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნი: ხელით.

ამას უნდა უსუნებდეს, რომე რაცა ცხვირშიგა და დამალშიგა ცივი და ავი წყალი იყოს გამოსწოვოს და ყუელა გამოიღოს.

ვინცა საღაფის ბალახი დანაყოს და ცხვირსა და შუბლზედა შეისევას, ცხვირის სისხლი დასწყუიტოს.

ვინცა ჯინჰრის ფოთოლი დანაყოს და ან ასურიმოს, და ორიე ცხვირი გამოიტენოს, ცხვირსა სისხლი დასწყუიტოს. და თუ ესე ჯინჰარი მარილითა მოხარშოთ, და თბილი მსივანსა ალაგზედა დაიდვან, უსათუოდ სიმსივნეს უშველოს და დასკროს.

10 ბადრუყი მხურვალი და ხმელია. ვინცა ესე ბადრუყი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და ესე ბადრუყი, ძმარი და ცოტა ქაფური ჩაურთეთ, და ცხვირშიგა ჩააწვეთეთ და მაშინვე სისხლს დასწყუეტს.

ვინცა შაბი დანაყოს და წყლით გააყენოს და კაცს ცხვირშიგა ჩააწვეთოს, ცხვირის სისხლი დასწყუეტოს.

შაბ იამანი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე შაბ იამანი წყლით გალესოს და შუბლსა და ცხვირზედა შეისევას. მაშინვე ცხვირის სისხლი დასწყუეტოს და უშველოს.

ვინცა ტრედის სკინტლი და ტრედის კუერცხი ერთმანერთშიგა აურიოს და შუბლსა და ცხვირზედა შეისევას, ცხვირის სისხლის დენა უშველოს.

20 ვინცა პიტნის წყალი გამოჰხადოს და ქაფურითა გააყენოს და შუბლზედა დაიდვას, მაშინვე ცხვირსა სისხლი დასწყუეტოს.

აგრევე ერთი სენი არის, რომე ახშამი ჰქუიან, ვითამცა და კაცსა ცხვირისა ძარღვი ასრე შეეკრას, რომე კაისა და ავსა სულსავერ შეიტყობდეს, ახშამი ამა სენისა ჰქუიან. აწე ამის მიზეზი ის არის. რომე კაცსა ბალღამი მოერევის და ესე ბალღამი ტვინისა და ცხვირის¹ ასრე ვზასა შეუკრავს, რომე ტვინსა სული აღარ მიედინებდის. და კაისა და ავსა სულსა მისთვის ველარ შეიტყობს.

აწე ამისი წამალი ესე არის: მოიტანე ფარფიონი, საკმელი. ალყარყარა და მუშკი და ესე ოთხივე წმიდად დანაყეთ და გაცერით. და ერთსა ლერწმისა მასრაშიგა ჩაყარეთ, და ამა მასრისა ერთი წვერი ცხვირშიგა შეუღვეით და მეორე წვერი პირთანა დაიპირეთ, და ამა მასრასა წყნარად და წყნარად შეუბერეთ, რომე ეს წამლები კაცსა დამალშიგა შეუვიდეს, და ტვინი და დამალი გაათბოს და ბალღამი გაადნოს, და ცხვირს ცემა დაუწყოს. და ტვინი და დამალი გაუხურვოს. და რაც ბაყლი და წყალი იყოს ყუელა მოაქციოს და ცხვირიდალმან წამოაღიანოს და ტვინსა და ცხვირსა გზა გაესხნას.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ხელით არის ჩაპატებული დედნის ხელით.

და ტვინი და დამალი, ცხვირის ძარღვი სამივე სიცივისაგან და ქარისაგან¹ დაწმედს, და კაცი ემინად დარჩეს. და ასრე უნდა, ამრიგი კაცი ხშირად ძმარსა უსუნებდეს, და მას უკან სულიცა მიედინების, და კაისა და ავსა სულსაცა შეიტყობს, და ესე ძმარი რასაცა ძუელი, ცხარი და ძალიანი არის, ისი სჯობს.

აწე რაცა სისხლის კერძო საქმე არის, რომე სისხლსა ან არგებს და ან აზიანებს, და სისხლს დასწმედს და დაამცრობს, რომე სურდოსა და სურავენდსა არგებს და ან აწყენს, ამის წამლებსა გაიმბობს.

10 ქასნი და თოხმაქანი რომე კაცმან ან სოს და ან ჰამოს, სისხლსა ორივე დასწმედს და დააწყენარებს, და სისხლსა ძალსა მოაკლებს.

ჰალთითი კაცსა რომე შიგნით დაბეილი სისხლი ედგას, მისგან გასწმედს. ბია და ვაშლის წყლები ავსა სისხლსა დასწმედს და დასწყუეტს, და სისხლსა ძალსა მოაკლებს.

მსუქანი ხორცი კაია, ბალღამსა სისხლად გარდააქცევს. თუთუბო, მოცხარი, კოწახური, ისრიმი, ნარდანი და ყოელი ამავრიგი მუავეები სისხლს გააშრობს, კაცსა შეჰკრავს, და გულსა და ღვიძლსა არგებს, სისხლს დასწმედს და საფრას გააქერვებს.

20 უნაბი სისხლს დასწმედს, ღვიძლს არგებს, და კაცსა გახსნის. სურდოსა, სურავენდსა და ხეღასა, სამსავე მწოედ არგებს, და საფრასა და სიმხურვალესა გააქარვებს.

თოფალახი ყოელის ფერის სისხლისათვის კარგი არის და არგებს. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, ან სისხლსა ფსემდეს, ან სისხლსა სდუეევდეს, არწყევდეს და ესე თოფალახი ჰამოს, ყუელასათვის კარგი და მარგი არის.

ოსპი და მაში სისხლის სიფიცხესა დააცხრობს, მაგრა სისხლსა გაასქელებს. რძე კაცსა სისხლსა დაუმცრობს, მაგრა მწოედ აწყენს. ცივი წყალი სისხლსა დასწმედს და დასწყუეტს.

36 ქერის წყალი სისხლსა დაამცრობს, მაგრამე სისხლს აადულებს. რასინი სისხლსა დასწმედს და დაამცრობს. მოუხარშავი უნაბი სისხლს აადულებს, მაგრამე სისხლისა სისქელესა არგებს და სისხლსა გაასქელებს.

ძროხისა და ბატის ხორცი სევდიანსა სისხლსა მოუმატებს. ბატკანი და თიკნის ხორცი სისხლსა და ბალღამსა გაამრავლებს, ბატისა და იხვის ხორცი სისხლსა წაახდენს და გაასქელებს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ქერამი და ატამი ორივე სისხლს დაამრავლებს. ბადილჯანი სისხლსა გაასქელებს და გააძალიანებს. ნედლი ხურმა სისხლს აშლის და წაახდენს, თაფლი სისხლს დასწვავს.

ხმელი პრასა სისხლს აშლის და წაახდენს და კაცსა სისხლზე- და ყუანასა დააწყებინებს. ქარხალი სისხლსა აშლის და წაახდენს.

ცხურის სადურიტი, ცხურია წელები, ცხურის ცური და ცხურის ყუერები, ესე ოთხივე ასო სქელსა სისხლსა გაუთხელებს და ბალღამსა სისხლად გარდააქცევს.

10 O. კარი მეთვე. ხარხამიხა, ხარხამი მხურვალე ვარაში არის, რომე ბევრის თავის ტკივილითა კაცი გაგიჟდეს. აწე ასე უნდა იცოდეთ, რომე ესე ვარამიანი ხარხამისა სენი უფრო ტვინსა ემტერების, და ესე სენი უსათიოდ ტვინთანა შეექნების, და ესე ცხელი და მხურვალე ვარამი ან შეექნების სისხლისა სიმრავლისაგან და ან სისხლისა სიმხურვალისაგან, და ან საფრისაგან. ამისთვის რომე, კაცსა ან სისხლი დასქარბდების, და ან საფრა, და ესე მხურვალე ვარამის ქარი მისგან დაემართების, და ვითაცა სისხლი და საფრა ორივე მხურვალე არის და ცხელსა ვარამსა მისი სიცხე და სიმხურვალე შიაქს.

20 აწე ამა სენისა და ცხელისა ვარამისა ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე კაცსა ტვინსა და დამალშიგა მწოვედ სიცხე და სიმხურვალე ექნების, და ჰკუაცა შეეშლების, და ერთსა ნირსა და ერთსა გუნებაზედა აღარ დადგების, და სხვა და სხვა რამე საქმე მოუნდების, და თვითან კაცი მწოვედ გაეჩინიანდების, და ჰკუა შეშლილსავითა რაც მოეგონების, იმას დაიწყებს საუბარსა და მიდებ მოდებასა. და კაცი რომე ეუბნებოდეს ეწყინების, და სულიცა გვიბებასა დაუწყებს, და ველარცა მართლად დაიძინებს. და რომე ძილიცა მოუვიდეს, ძილშიგა შფოთვასა, სარჯელსა და ბრუნვასა დაიწყებს. და პირველზედა ზოგსა კაცსა ენა გაუყუითლდების, და ზოგს კი გაუწითლდების და მერმე კი გაუშავდების, და ესე ცხელი ვარამი შარდსაცა შეუხუთავს და ესე ავადმყოფი შარდსაცა წვრილად და წყნარად დაუწყებს დაღვრასა და მართლად ველარ მოფსამს, და მაჯაცა აშლით და ურიგოდ დაუწყებს ცემასა.

30 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით ან სისხლისაგან წაჰკიდებია, და ან საფრისაგან. და თუ ეს სისხლისაგან სჭირს, კაცსა პირი, თვალი და ენა სამივე წითლად ექნების, და თავისა და საფეთქლებისა ძარღვები სავსედ ექნების, და ცხვირიდან მან წვეთ წვეთი სისხლი დაუწყებს დენასა, და თვალნიცა მოუფსელდების. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, ესე ცხელი ვარამი მეტის

სისხლისაგან დამართებია, და ესე ცხელი ვარამი სარსამად გარდა-
ქცევია, და დასტურად ესე კაცი მისგან ვაგიყებულა. ამის წამალი
ეს არის, რომე ფიცხლავე ორივე საფეთქლები გაუსხნან და ზომიერი
სისხლი აღინონ, გრილი შარბათები ასეან, და გრილი წამლები და
ტლევები შემოსდვან, და გრილი ზეთები შემოსცხონ.

10 თუ ესე ვარამი და სარსამი საფრისაგან არის, ამისი ნიშანი
და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ძილი არ მოუვა და მწოვედ
გულს შემაიყრის და ერთსა ალაგსა ვერ დადგების, და ვერც ერთსა
წამსა დაჯდების, იქით და აქეთ სიარულსა და გარბენასა დაიწყებს,
ფიცხლად ფიცხლად გაგულისდების და მწოვედ გაეინიანდების, და
თვალი, პირი და შარდი სამივე გაყუთილდების. რა ესე ნიშნები
კაცზედა ნახოთ, იცოდით ესე კაცი დასტურად საფრისაგან არის
ავად, და ესე ვარამი სარსამიცა საფრისაგან დამართებია.

20 ამისი წამალი ეს არის, რომე ასრე უნდა ფიცხლავე გასახსნელი
წამლები ასეან და გასახსნელი ჰაბები აკამონ, და ან ოყნაი ლეინა
უყონ, ვითამცა და რბილი და ცოტა ოყნაო, რომე გული და სტო-
მაქი დაუღბოს და კაცი გაწმიდოს, და ყოვლის საფრისა და ავის
ხილთისაგან კაცი გაწმიდოს და ყუელა დააღურევინოს, და საფ-
რამან კაცსა აღარა აზიანოს რა. თუარა რა კაცსა საფრა მოერე-
ვის, ეს იცოდით, კიდევცა მწოვედ შეჰკრავს და კიდევც მწოვედ გარ-
ჯის. და მოიტანე იისა, ლულუფრისა, აყიროსა და ნუშის ზეთი და
კაცსა მტკიევანსა თავზედა შესცხეთ, მწოედ კარგად უზამს. და თუ
ამ ზეთებსა სამსა ან ორსა ერთგან აურევთ და ისრე შესცხებთ,
ჯერ ისი სჯობს, თვარადა რომელიც არის ყუელა კაია, შესცხეთ,
არა იცის რა. და მოიტანე ბიის გული, დანაყეთ და ზომიერი¹ წყა-
ლი დაახსით და გამოწურეთ და ლუაბათ ქინით, გაწურეთ და შაქ-
რის მყინვართა შარბათად ქენით და თავმტკიევანსა კაცსა ასვით.
მწოვედ კარგად უზამს, საფრას გააქარეებს, და თავის ტკივილს
უშველის. და თავზედა გრილი ტლევები შემოსდვან და გრილი წამ-

30 ლები და შარბათები ასეან. და ესე საფრიანი სნეული ასეთსა ალაგ-
სა დააყენონ, რომე არცა მწოვედ ცხელი იყოს და არცა მწოვედ
ცივი იყოს და უფრო ცივი ალაგი უნდა იყოს და ასრე ხშირ ხში-
რად ფეხსა და ხელსა დაიბანდენ ამა წამლებითა: მოიტანე ლერწმის
ძირი და ან ფოთოლი, და ჯერ დაჯეჰკე და კარგად მოხარშე და
გაანელთბილე, მერმე მოიტანე მარილი, ანაკუეთი და წივის ნაცარი,
და ესე სამივე ამა ლერწმის წყალშიგა ჩაყარეთ და ფეხები შიგა ჩა-
უყავით, და ამა წამლებითა ხელ ფეხი კარგად დაბანეთ და კარგად

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

დაუზილეთ, და ფეხებზედ ფეხის ქუა წაუსვან და ორს ქამსა და ან ერთს ქამსა ფეხები ამა წამალშიგა ჩაუყონ, და ხელფეხი მუდმად დაუზილონ და მწოვედ კარგად უზამს.

ბოლო რატი აქიმმან თქუა: თუ ესე ვარამისა სარსამი საფრისაგან იყოს, ამას უნდა ეცადნენ, რაცა ზემორ საფრისათვის ან ოყნა და ან გასახსნელი აბები, წამლები, მუსილები დამიწერია, ის წამლები მალედ უყონ, რომე ეს სენი ადრე უშველონ, თვარამდა რა ესე სენი გაუძნელდების, და ან გაუგრძელდების, ამისი შველა ძნელილა არისო. და ასრე უნდა ნიადაგ ამა წამლებსა ასმევდენ: ბროწეულისა და ქერამის წვენსა, ნედლის აყიროსა, კიტრისა და საზამთროს წყლებსა, შათარასა და ძაღლის ყურძენას წვენსა, ქლიავისა და ან თემრი ჰინდის წვენსა, ლულუფრისა, იისა და უნაბის წვენსა და ამათსავე შარბათსა, ტირიფის ძირის წყლისა და გაჭზაბანის წვენს.

10 აწე ასე წამლები ან შარბათად უნდა ქნან და ისრე ასვან, და ან უშარბათოდ ამათის წვენის ჯულაბი ასვან.

ქერისა, ოსპისა, მაშისა და გრილი შექამადები აკამონ, და ისპანახი და მსუქანა ბალახი, ქინძი და ქლიავი გამოუხარშონ და ვარამისა სარსამსა და სიგიყესა მწოვედ კარგად უზამს.

20 და გრილის წამლებითა მუდამ თავი დაიბანონ, და ნახარში ფოთოლი თავზედა შემოსცხონ და შემოადვან, მწოვედ კარგად უზამს, და ღთისა შეწვენითა კიდეცა უშველის.

თუ ესე ვარამი სარსამი, ბალღმისა და სიგრილისაგან სკირდეს, იმისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ენა გაუთეთრდების და ფიცხლა ფიცხლა დაამთქნარებს და ამა კაცს ფსელი ვირის ფსელს დაემსგავსების, ვითამცა მოსქე და მოთეთროდ, მოყუითანო ფსელი ექნების. და მუდამ კაცი პირსა ღიასა დაიქერს, და რასაცა დაინახავს ყოელასა თვალსა დაახეხებს, და თვალებსა გვიან გვიანად დაიბლატუნებს. რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდი ბალღამი მორევი და ესე ვარამი სარსამი მისგან დამართებია, და მისთვის შემცდარა.

30 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ფიცხლავ გასახსნელი წამლები და შარბათები სვას, გასახსნელი ჰაბები კამონ, ან ოყნა ააღებინონ, და ბევრჯელ არწყვიონ, რომე კაცი გახსნას და ყოვლის ბაყლისა და ავი ხილთისაგან გაწმიდოს, რომე შიგნით ბალღამი და ავი ხილთი აღარ დარჩეს და კაცი ყოვლის სენისაგან ემინად იყოს. და ან ყირმიზისა და ან ყუითლის ვარდის ერბო ძმარშიგა გაურვიონ და თავზედა შეიცხონ, მწოედ კარგად უზამს.

ვინცა მთაბუის ყუერი დანაყოს და გაცრას, და ზეთშიგა გაუ-
რიონ, და თავზედ შეიცხონ, თავის ტკივილისათვის მწოვედ კარგი
არის და თავის ტკივილს უშველის.

თუ ესე ვარამი სარსამი სევდისაგან იყოს, ამისი ნიშანი და
ალამათი ეს არის, რომე კაცი ცუდმადსა ლაპარაკსა დაიწყებს, და
თვითან კაცი მუდმად მშივრად იქნების და ტირილს დაიწყებს და
მწოვედ ეძინებოდეს და კკუაცა შეეშალოს, და რასაცა იქმოდეს და
ან იტყოდეს, თავისა ნაქმარსა და ნაუბარსა ველარ დაიხსოვნიდეს,
და არცა ესე იცოდეს თუ რას იქმოდეს. პირის ელფერი მოშაოდ
10 ჰქონდეს და ცხუირის ნესტოებიცა გაუხმეს, და სულიცა გუბებასა
დაუწყებს, და თულთა ბლატუნსა და ხუკვასა დაუწყებს და მუდამად
თავი ტკივილსა დაუწყებს და სიმბურვალეცა კარგად ექნების. და
მაჯისა ძარღვებიცა წყნარად ნელად, და ძნელად სცემდეს.

აწე რა ესე ნიშნები და ალამათები კაცზედა ნახოთ, იცოდეთ,
რომე ესე ვარამი სარსამი სევდისაგან არის და მისგან სკირს. ამისი
წამალი ეს არის, რომე დიდი ოყნა ააღებინონ, ან საშუალი ოყნა
ააღებინონ, რომე კაცსა გული და სტომაქი დაუღბოს და კაცი გახ-
სნას და ავისა ხილთისა და სევდისაგან გაწმიდოს, და რაცა სვედა და
ბალლამი კაცის გუამსა და სტომაქშიგა იყოს, ყუელა დაადნოს და¹
20 დაალურეენოს. და ასეთი ჰაბები და წამლები სუან და ჰამონ, რომე
ბევრჯეღ არწყიონ, და რაცა კაცისა გეამსა და სტომაქშიგა სეედა-
და ხილთი იყოს, ზოგი რწყევითა და ზოგი ქვემოდაღმან დაღური-
თა გარ გამოილოს, და ავად მყოფი გაამთელოს და კარგად გამოწ-
მიდოს. თვარადა ამრიგისა ავადმყოფის საქმე ძნელი არის. და დი-
ლულ დილეულ ჯულაბსა და სიქანჯუბინსა ასმევდენ. და მტკივან-
სა თავზედა მუდმად გრილსა და ნელსა წამლებს შემოიდებდენ, და
გრილსა ყუავილებისა ზეთებსა შემოიცხებდენ, იისა, ლულუფრისა,
და ნუშის ზეთსა მუდმად შემოიცხებდენ, და აყიროს ყუავილსა და
ნუშის ზეთსა ერთად აურევდენ და მზეშიგა სრულად თავზედა შეი-
30 ცხებდენ, და ან ცეცხლის პირთანა შეიცხებდით. და ხშირად თავსა
გვირილას ბალახითა და გრილის ბალახების ნახნარშითა დაიბანდენ,
და ამათსავე ნახარშს ბალახებსა თავზედ შემოიდებდენ და ღთისა
შეწევნითა თავის ტკივილსა და სიგრილესა ორსავე უშველის.

იპ. კარი შეთერთმეტე. ხაგთის ხენისა, რომე ბევრის თავის
ტკივილითა კაცი ვაგიჟდეს. აწე ისი სარსამი და ესე საგთა ორივე
ერთი გუარო სენი არის. თუ ესე ჰირი ნახევარს ტეინსა და დამალსა

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

შესტაცებს და გაუცივებს, იმას სარსამი ჰქეიან, და თუ ტენისა სრულად შესტაცებს და გაუცივებს, იმას საგთა ჰქეიან.

10 აწე ამა საგთისა და გაგიუებისა ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ცხუირი მკუდარსავეითა ჩამოვარდნით ჰქონდეს და ხელფეხსა იქნევდეს, და შენ რომე ეუბნებოდე ისი ხმასა არ გაგცემდეს; და ასრე მოკუდეს, რომე კაცმან სიცოცხლე ვერ შეატყოს. აწე რა კაცი ამ რიგად ნახოთ, ასრე უნდა, მოიტანო ერთი ნიჭურიტანა და ზედ პირთანა დაუჭირო, თუ პირმან მიჭურიტანა მოაოროთქლიანა, რომე ამა მიჭურიტანაშიგა კაცი აღარ გამოჩნდეს, იცოლდი ესე კაცი ცოცხალი არის, და თუ მიჭურიტანა ვერ მოაოროთქლიანა და მკუდარი არის.

აგრევე ერთი ნიშანი კიდევ არის რომე, რა ისრე კაცი მოკუდეს, მოიტანე ორი თითი და უკანის კარიდალმან შეუყავ, და უკანა კარი ძალიანად გამოუქყლიტე. თუ უკანა კარი ან ყოლ მოუჭირა, და ან დაიძრა, უსათიოდ კაცი ცოცხალი არის, და თუ უკანა კარი ვერ მოუჭირა, და მკედარი არის.

20 და თუ კაცი ცოცხალა, და ან ყოლლა სული უთქს, უსათიოდ უკანას კარსა ან მოუჭირებს, და ან დაიძრავს. და თუ არცა მიჭურიტანა დააოროთქლიანა, და არც უკან კარი დაიძრა, და არც მოუჭირა, უსათიოდ მკუდარი არის, და სარჯელი აღარ უშველის. და თუ არ მოკუდეს და თავიირი ყირმიზად ჰქონდეს, და თავისა და საფეთქლებისა ძარღვები ასდგომოდეს, იცოლდით, ესე საგთა დასტურად სისხლისაგან არის და მისგან წაჰკიდებია და ავადაც მისგან არის.

30 ამისი წამალი ის არის, ასრე უნდა ფიცხლავე ორივე მკლავები გაუხსნან და ბასალიყის ძარღუიდალმან ზომიერი სისხლი აღინონ, ვითამცა და სრულად ქუემოს ძარღუიდალმან სისხლი აღინონო, და ორივე კუნთები გაუხსნან და ან კუნთებზედა კოტოში მოჰკიდონ, და ორივე ხელები და ორივე ფეხები, ყლე და ყუერები ძალიანად დაუზილონ, რომე ცნობას მოვიდეს. და რა ცნობას მოვიდეს, ძმარი და ვარდის წყალი ერთმანერთშიგა აურივეთ და პირშიგა იმგვიბონ, და ორჯერ, სამჯერ პირი გამოურეცხონ და მერმე ფიცხლავე გულაბის შარბათი ასვან, და ან ხველი ღო გამოუღესონ და ის ასვან. და თუ ამით არ ეშველოს, ასრე უნდა, ან დიდი ოყნა ააღებინონ, რომე ოყნაი ჰადა ჰქეიან, თუარადა საშუალი ოყნა ააღებინონ, რომე ოყნაი მუთავასითა ჰქეიან, რომე გული და სტომაქი დაუღბოს, გახსნას და გაწმიდოს, და რაცა კაცისა გუამსა და მუცელშიგა, თავსა და დამალშიგა ავი სენი, ქარი და ხილთი იყოს, ყულელა ჩამოიღოს

და დააღურევინოს. და თუ ოყნა არა ქნან, ძალიანის შაფეებითა, ძალიანის ჰაბეებითა და ამავ რიგის წამლებითა და შარბათებითა თავი გაიხსნან, რომე უსათიოდ გახსნან, და ყოვლის ავის ხილთისაგან თავი დაიხსნან და გაწმიდონ.

მაგრა ამ რიგი ავადმყოფი კაცი მალალსა ხმასა უნდა არიდოთ, რომე რაგინდარა მალალი ხმა იყოს ტვინსა არ ეცეს, და მისი სა-მეცა სათუოშიგ ჩაეარდების, და აღარც კი მორჩების.

10 თუ ესე საგთა ბაღმისა და სიგრილისაგან არის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე პირი მოყუითანოდ თეთრად ჰქონდეს, და რა რიგადცა ზემორ სწერია, ისრევე მკუდარსავითა ცხური ჩამოუვარდეს და მკუდარსავითა ეგდოს და ძარღვებიცა აზღვამოდეს, იცოდი ესე პირი და ამ რიგი¹ საგთა ბაღმისაგან არის, დასტურად.

20 აწე ამისი წამალი ეს არის რომე, მოიტანე ერთი ქუაბი და გაახურვეთ და თავზედა ჩამოაცვან, და ესე ქუაბი ასრე რიგად კეფის სიახლოვეს უნდა დიუქირონ, რომე თუ ითქმის თმა დასწვას, რომე მისი სიციხე და სიმბურვალე ტვინსა და დამალშიგა შეუვიდეს და რაცა ბაღმისა და სიგრილისა ქარი არის და ალავი ტვინსა და დამალშიგა იყოს, ყუელა გადნოს და ისი ცივი წყალი, ყუელა ცხვირიდამან წამოაღინოს, და ზოგი პირადამან ამოაღებინოს, და ამა მიზეზითა ტვინი და დამალი გაუთბეს და გიეი კაცი ჰქუას მოვიდეს.

და თუ ჰქუასა არცა ამით მოვიდეს მოიყუანე მაჩქათელა და აბგამა და ძმარი და გარეული ტარხუნა, რომე არაბულად აღყარყარას უძახიან, და პირველ ეს გარეული ტარხუნა დანაყეთ და გაცე-რით, და მერე ყუელა ერთ პირად აუღივეთ და პირშიგა წაუსვან და მუშკი და საკმელი ერთგან აურიონ, დანაყონ, გაცრან, წყლით გაქნან და ცხვირშიგა ჩაასხან.

30 და ორივე სისხო ბარკლები, და ორივე მკლავები სათაგვესთანა ხელისახოციითა მაგრალ შეუკრან, და ძალიან ძალიანად ყურშიგა უნდე ჩასძახონ, რომე გაცოცხლდეს და მცნებას მოვიდეს. ჰაბი ყუყია აჰამონ და ძალიანი ჰაბეები აჰამონ, ძალიანი შაფეები ააღებინონ და ან ოყნაები უყონ, რომე ესე კაცი უსათიოდ გახსნან, რომე რაცა შიგნით ბაყლი და ბაღლამი კაცის გუაშსა და სტომაქშიგა იყოს, ყუელა მოხეთქოს, დააღბოს და დააღურევინოს, და კაცის ტვინი და დამალი, გული და სტომაქი ყუელა დაახალასოს. და ამა შაფეებისა და ჰაბეებისა სმასა, ჰამასა და აღებაშიგა, მუდამ თბილი, ტკბილი და მომწო საკმელი უნდა აჰამონ. და ესე საკმელი არის რომე არგებს

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და ეკმების: ტრედის ხორცი, კაი ცხურის ხორცი, კაკაბი, ხონობი, ღურაჯი, კაი ქათამი, ჭავექაეი, რომე სანანებლითა, პილპილითა გატენონ, თაფლი, ხახეი და მხურვალი ბალახები ურიონ და ყაურმად ქნან, ან შეწონ და ისრე ჭამონ. მხურვალი, მაჯუნები, მხურვალი მუთარაეები აქამონ, მუშკსა, ამბარსა, ლადანასა, და მხურვალსა ყუაეილებსა და ბალახებსა მუდმად უსუნებდენ. და თაფლსა, ბოლოკსა და წიწმატსა მუდმად სკამდენ, და ჯაეზი და ბაზბაზი ერდგან დანაყონ, და ცოტა შაქარი გაურიონ, და ამისგან უზმომან ორი მიტყალი მუდმად ჭამონ¹.

70 და თუ არცა ამა წამლებმან უშველოს მოიტანე მისრი თუხი და ანღუზი და მაჯუნი შალიშა და აქამე, და ლ'თისა 'მეწევენითა თავის ტკივილსა უშველის უსათიოდ და კაცი ყოვლის ჭირისაგან მორჩების.

იბ. კარი მეთორმეტე. ხარისა, ხარი ბნედასა ჭქუიან. და ამა სენსა, ამა ჟამნისა კაცი უჩხსა ეძახიან. და ესე ბნედა კაცსა უსათიოდ მეტის ბალღმისა და სიგრილისაგან შეექნების, ამისთვის რომე კაცსა² ბ [ალღამი დასქარბდების და ამა ბალღმისა ქარი და სიგრილე კაცსა თავსა და ტვინსა შეეკიდების და კკუასა 'მეუშლის, და მისგან არის, რომე კაცი დაბნდების და მერმე გავიჯღების, და თრთოლას დაიწყებს. და ესე ჭირი ასეთი ჭირი არის რომე, თუ ესე სენი ოცდა ხუთსა წელიწადსა გადასქარბდა, რომე არ ეშველა ამას უკან აღარასათვის წამალი აღარ ექნების, და არცა კაცი გამთელდების და ამას უკან კაცის მორჩენაცა ძნელი არის. მაგრა წამალი იმისთვის უნდა უყონ, რომე კაცსა სენი დაუსუსტდეს და აღარ გაუძნელდეს და კაცმან ცოტაცა იყოს, მოიმჯობინოს, თვარამდა ამას სენისა სრულად მორჩენა და შველა არასათვის არ იქნების. და თუ კიცსა ესე ბნედა შეექნას, დაეცეს და დაბნდეს და პირს სისხლი წავარდეს, მისი მორჩენა ძნელი არის. და ესე ჭირი აეი, ძნელი და საფათერაკო ჭირი არის, და ესე ჭირი კაცსა უფრო სევდისა და საგონებლისაგან დაემართების.

30 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ასრე უნდა გრილი და ნედლი წამლები და შარბათები ასუან, და გავზაბანის წყალი და კაი მუშკი და კაი მუთარაეები და მხურვალი მაჯუნები მუდმად აქამონ, და ისი მუსილი ყავი სვან, რომე ლაღვასა და მუთალიჯსა კარგად

¹ ამ გვერდის ქვემო აწიხე დედნის ხელით სწერია რეუულთა სათვა-
ლაეი „იბ“.

² აქ ტექსტს ერთი ფურცელი აკლია, აღდგენილია ვარიანტის A-ს მიხედვით.

ზოუხდების, ვითამცა და ისი წამლები სენაო, რომე ფილენჯსა და ცალის კერძოსა ხელფებისა შეტაცებასა რომე არგებს, ამასცა ისი წამალი არგებსო. და ისი გასახსნელი წამლები და ჰაბები აჰამონ, და უსათუოდ ამა სენსაცა კარგად უზამს. და ზენაარ ამ რიგი კაცი ნიახურისა სულსა არიდონ, თვარემე რაგინდ დიდის ხნის გამთელე-ბული იყოს რა ნიახურის სულს იცემს, კიდევე ახლად დაუზრუნდე-ბის და ახლად შეაქცევს და მოუა.

10 აგრევე თუ კაცსა ესე უჩუხი მოუვიდეს დაბნდეს. და დაეცეს, მოიყუანე აიახლუ ჩაიანი ვითამცა და შავი დიდი ქიაო, და ორი ქუა გაახურვე და ესე შავი ქია იმა გახურვებულსა ქუებსა ქუეშე ცო-ცხლივ შეყარე და კარგად დაწვით, და მერმე აქიდალმან გამოიღეთ და წმინდად დანაყეთ და გაცერით და ან კუერცხითა და ან რძითა გააყენონ და ამა ბნელიანსა კაცსა ასუან და ძალითა ლ'თისათა გიგო-ბასა და ბნელასა, ორსავე უშველის. და თუ კაცი კიდევ დაბნდეს და კიდევ გაგიჟდეს, მოიტანეთ კატუნის შიგნიერი და წელები, და-ქერ, დარეცხე და კარგად მოხარშე და აჰამე, და ბნელასა და სიგი-ეესა, ორსავე უშველის ძალითა ლ'თისათა.

20 [იზ.] კარი მეცამეტე. შალიხულიახ სენისა. აწე ესე მალიხუ-ლია ერთი თავის ტკივილის სენი არის, რომე ამა სენსა მალიხულია ჰქუიან. და ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა სა-გონებელი წაილებს და ცუდსა და ავსა ფიქრებსა იქს, და ასეთისა რისაგანმე შიშსა დაიწყებს რომე, არა მართებდეს, და მუდმად დაღ-რომით და დაღონებით და ნალულიანად იქნების, და ბნელსა ალაგსა შიგა ყოფნა უნდოდეს, და კაცთანა ყოფნა არ უნდოდეს და არცა იამებოდეს, და ხალვათად და მარტო ბნელშიგა ყოფა უნდოდეს, და ფიცხლა ფიცხლა გაგულისდებოდეს და ცუდ მუდსა ლაჰარაკებსა და მიდ მოღებასა დაიწყებს და უცხო ფერსა ფიქრებსა იქმოდეს და მო-იგონებდეს.

30 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით დასტურად მა-ლიხულია დამართებია და თავიცა მისთვის სტკივის. აწე ამა სენისა მიზეზი ეს არის რომე, კაცსა გუამსა და სტრმაქშიგა ავი ხილთები დასწვია და სევდად გარდაქცევია, და ამა დამწურისა. და ავის ხი-ლთებისა ქარი და ალაფი თავსა და დამალშიგა გასულია, და ტვინ-სა შეჰქიდეზია, მისგან დამართებია, და თავიცა მისთვის სტკივის და კქუაცა მისთვის დაჰკლებია.

აწე ამა სენისა წამალი ადვილი ნუ გგონიათ, და არცა ადვი-ლი არის, და ნურცა ადვილად და აგდებით დაიქირავთ. ესე იცო-დით თუ ამა სენსა კაცი ადრე არ უწამლებს და წამალსა არ მიას-

წრობს, ესე მალიხულას სენი ავი და მწოვედ საფათერაკო სენი არის და მწოვედცა გაძნელდების, და უსათიოდ სიგიჟედ გარდაიქცევის და მას უკან აღარც კი ეშველებს.

10 აწე თუ კაცსა სისხლი სკარბობდეს მკლავი გაუხსნან და ზემო თავის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, და თუ საფრისაგან და ან ბალღმისაგან და ან სევდისაგან იყოს, გასახსნელი და სარწყველი წამლები და შარბათები ასუან, და ამავე რიგი ჰაბები და მაჯუნები აქამონ, ან ძალიანი შაფები აალებინონ და ორჯელ, სამჯერ, ახლის ყუელის წყალშიგა აფთიმონი გაურიონ და ისრე ასვან, ან

10 ოყნა უყონ, რომე რაცა გუამსა და სტომაქშიგა პილწი და ავი ბალღამი იყოს ყუელა დააღბოს და დააღურეგინოს და ყუელასაგან გაწმინდოს, და ხშირად თაჯხედა იისა, ლულუფრისა, აყიროსა და ნუშის ზეთი შეიცხონ. და ამა აყიროსა ერბო ცხუირშიგაცა ჩაიწვეთონ და თავის ტკივილსა და მალიხულიასა ორსავე უშველის.

და ამავე რიგი გრილი შარბათები ასუან იისა]¹ ლულუფრისა შარბათი, გავზაბანისა და შაპთარასა და ვენახის ღიქის შარბათი. ლიმოსა, ისრიმისა, თემრი ჰინდისა და კოწახურის შარბათი, უშხუნისა, მჟაუნასი და უნაბის შარბათი, ამა შარბათებშიგა რონელიცა იყოს ასუით ყუელა მწოვედ კარგი და ერთმანერთისა მჯობი არის

20 და ყუელა კარგად უზამს.

და საკმლებიცა, ამ რიგი საკმლები აქამონ, ვარია და მსუქანი ქათამი, ან სამამლის მსუქნის შიშაკისა და ან შავის თიქნის ხორცი. ან ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივ ლაპები კარგად მოხარშონ, და ან იეზინად და ან მოთხო შილაფლაფი, და ან ყიმა შორვად შექნან და ამაშიგა ისპანახი, მოცხარი, ნარდანგი, კოწახური, ისრიმი და ან სხუა მჟავე ურიონ და ისრე ჰამონ.

30 და მწვანეილისაგან ქინძი და სალათა ჰამონ, და ხილებისაგან საზამთრო, კიტრი, შუმხიარი. ბროწეული, ვაშლი, სხალი, ბია, ატამი, ქლიავი, ყაისი, ჰერემი, გავალო და ნუში. და ყოვლი გრილი ხილი ჰამონ და ყუელა კარგად მოუხდების.

და ამრიგი კაცი ხშირად. აბანოშიგა უნდა შევიდოდეს და თავხედა ბევრი თბილი წყალი უნდა დაისხას. და ცუდმადი ფიქრი უნდა გაუშვას და აღარა ქნას. და რაცა ამა წიგნშიგა ეწეროს ან წამლები, და ან ხელის შეწყობა, ყუელა ისრე ქნან. და სრულად გიჟობის წამლები ეს არის, რომე ამა წიგნშიგა დამიწერია, და ამა წამლებსა გარეთად კაცი მუდამ გული მხიარულად უნდა იყოს. და ასეთსა მაჯუ-

¹ ტექსტი აღდგენილია აქამლის.

ნებსა და მუფარაებსა სკამდენ, რომე კაცი გაამხიარულოს და გულს უკუჰყაროს. და ასეთი არა უნაზო რა და არც უყონ, რომე გულში-
გა ეწყინოს. და კაცი მუდამ გულმხიარულად უნდა იყოს. და რაცა
გულშიგა იამებოდეს იმას იქმოდეს, და რაც უყუარდეს იმას ნახევ-
დეს, რომე ამა სენსა გულმხიარულობა მწოვედ კარგად უზამს, და
ნავლელი და გულს შემოყრა ყოვლს ავად მყოფსა, და ავად ყოფასა
მწოედ აწყენს. და კაის საკრავისა და კაის ხმის გაგონებასა, და
ლამაზის აღამის ტომის, და ლამაზის პირუტყუისა და ლამაზის ალა-
გის ნახვა, და ყოვლის წამლისაგან, მეტადრე თავისა საყუარლის
ნახვა და ჭურჭტა, ყოვლის სენისა და ჰირისა წამალი და აქიმი¹
არის. და არა წამალი ამისთანა არცკი არის, რომე სნეულმან და
შეჭირვებულმან კაცმან, თავისი საყუარელი ნახოს, და ან მისი ხმა
ესმოდეს.

10

**იღ. კარი მეთოთხმეტე. უჩუხისა, ვითამცა და ანახდათ კაცი
გაგიჟდეს.** აწე ამა უჩუხისა სენისა ნიშნები და წამლები, ყუელა ზე-
მო საგთისა კარსა და ჯერგაშიგა დამიწერია, და ისიე წამლები ამა
უჩუხ უნდა რომე უყოთ.

20

**იძ. კარი მეთხუთმეტე. ლადვისა და მუფალიჯისა. ვითამცა
და ფილენჯისა და ფილენჯის ქარისა.** რომე კაცსა ფილენჯის ქარ-
მან ან ენა, და ან ცალი ფეხი, და ან ცალი ხელი შესტაცოს, და ან
ცალი კერძო მხარი, ბარკალი და ძარღვები სრულად შესტაცოს, იმის
წამლებსა გამცნებს და გაამბობს.

აწე ესე ფილენჯი ორი რიგი არის. ერთი რიგი ის არის რომე,
კაცსა ცოტა დე ცოტა გამოაჩნდების, და კაცი თუ კარგად ხელს
მიაპყრობს, და კარგს წამლებს უზამს, ეგების ეშველოს.

30

და ერთი რიგი კიდევე ის არის რომე, სრულად ერთხელად
გამოაჩნდების და სრულად დაგრეხს. და ერთი რიგი ფილენჯი ამის-
განაცა დაემართების, რომე კაცი დაიკოდოს, და ან თავს რამე ძა-
ლიანად ეცეს, და ან მეტის მეტის შიშითა, ან მეტის წყენითა, და ან
ბევრის სისხლის დენითა კაცსა ფილენჯსა ჰკრავს, და ამა მიზეზითა
ფილენჯი დაემართოს, და ფილენჯი შეეჭანას.

აწე ესე იცოდით, რომე ესე ფილენჯები ყუელა სიგრილისა და
სინედლისაგან წაეკიდების, და ესეცა იცოდით, რომე რიგი ფილენჯი
არასათვის კაცსა არ ეშველებს. მაგრამე აქიმთა და მეცნიერთა კა-
ცთა კიდევე ყუელასათვის წამალი დაუდებია, ამისთვის რომე, ესე
სენი ცოტაცა იყოს დაუსუსტდეს და ან სენი აღარ გაძალიანდეს,
თვარემდა სრულ შეველა მწოვედ ძნელია და არცა იქნების.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

აწე ფილენჯის უკეთესი წამალი ეს არის რომე, კაცმან თავი და ტანი ყუელა მხურვლად შეინახონ, და კარგი და მხურვალე საკმლები, და მაჯუნები კამონ, და გრილსა და ნედლსა ყუელასა ერიდონ და თევზსა, მაწონსა წიწმაცსა, რძესა, კუერცხსა და ჩამიჩსა ერიდონ და ნუ სკამენ, რომე ფილენჯიანის კაცისვთვის, ესე საკმლები საწამლაეს უარ არის. აგრევე ცივსა, თოვლიანსა და წყაროსა წყალსა ერიდონ. და ყოვლს ფერსა გრილსა და მჟავესა ერიდონ, სასმელსა და საკმელსა, ყუელასა ერიდონ.

10 და საკმლის კამა უნდოდეს ამრიგი საკმელი უნდა კამონ: ტრედის ხუნდი და კაი მსუქანი ცხვარი, მსუქანი ქათამი, კაკაბი, ხობობი, ღურაჯი და ქავეკავი მოხარშონ მუხუდ აბად ქნან, ნიგუზისა და ან ნაქუსის ზეთი ურიონ, სანანებელი, პილპილი, მიხაქი, ზაფრანა და მხურვალე ბალახები ურიონ, და ისრე კამონ. ან ამავე რიგად შეწონ და ისრე კამონ. და თუ ამავე იარაღითა ყაურმად იქმოდენ, ყუელას ისი ჯობს. და თაფლი და რძე ერთგან გამოლესონ და სუან. და შუდამ წყლის ალაგსა თაფლ წყალი სუან. და ხილებისაგან თხილსა, ნაქუსა, მართალსა ნიგოზსა, წიფელსა და ინდურის ნიგუზის გულსა მუდმად სკამდენ. ტკბილსა ბროწეულსა, ტკბილსა ნეშუსა, თაფლსა და შაქარსა სკამდენ. და მწვანეილისაგან ქონდარი, ბოლოკი, ხახვი. 20 კომბოსტო, სტაფილო, თაღამი, პიტნა, ცერეცო და კამა კამონ. და ყოვლი მხურვალე სასმელი და საკმელი და ხილი ესმის და ეკმების და ყუელა არგებს, და გრილი სასმელი და საკმელი ყუელა აწყენს. და ხშირად საკმლის კევი და ან დანა მასტაკი ლეკონ.

და თუ ესები არ იყოს მართალი საყიზის კევი ლეკონ, და ხან და ხან თვითო დირკამი თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, მისრი თუ-სი და მხურვალე მაჯუნები კამონ. და ჯადვალე წყლით გალესონ და, სუან. მხურვალე შარბათები სუან, უდისა და ბროწეულის შარბათი ბიისა და აბზინდა ბალახის შარბათი, სანანებლისა და თაფლის შარბათები და მუსალისები სუან, მხურვალე ერბოები შეიცხონ, და ნიორი დანაყონ, ძმარშიგა გაურიონ და ხშირად პირშიგა იმგვიბონ. და ხშირად მუშქსა, ამბარსა, საკმელსა და მხურვალსა ბალახებსა უსუნონ, რომე ტვინი და დამალი გაუხურვოს, და ცხვირს ცემა დაუწყოს, და რაც ტვინსა და დამალშიგა ავი ქარი და წყალი იყოს ნესტვი-დალმან წამოედინოს და ტვინი და დამალი დაახალასოს და მთლად დარჩეს.

30 და წყლისა ალაგსა მუდამ თაფლწყალი სუან. და თუ თაფლწყალი არ იყოს ღვინო სუას, და ხშირად ჰაბი ყუყია კამონ. დავალ მუშქი, ფალასუფა, ზაფრანის მაჯუნი და კაი მუფარაები კამონ, ზან-

ჯაფილი ფარვარდა ჰამონ, რომე კაცი გაამხიარულოს, და სიმხიარულე ამა სენსა მწოვედ კარგად მოუხდების. და ჯაფი და ბაზბაზი დანაყონ დმ ცოტა შაქარი გაურიონ, და ამისგან დილეულ უზმომან ორი დირჰამი ჰამონ. და მუდამ ერთი კოჭი ხოლინჯანი, ან სანანებელი, ეგირი, პირშიგა დაიჭიროს. და თუ იშოვებოდეს ან მიხაკისა, ან დარიჩინისა, ან ჰილისა¹ არაყი სუან, ყუელა კაი და დაცდილი წამალი არის.

10 და ხშირად თავსა და პირსა მლაშის წყლით დაიბანდენ, და რაც ალაგი ფილენჯის ქარისაგან შეტაცებული ჰქონდეს, ეს მარილ წყალი იყოს თუ მლაშე წყალი იქ შეისვან, ან თავსა და ტანსა და დაჭირულსა ასოსა და ძარღვებსა გოგირდის წყლითა, და ან შაბის წყლით დაიბანდენ. და თუ ეს გოგირდისა, შაბისა და მლაშე წყლები არ იშოვებოდეს, მხურვლის ბალახების წყლითა დაბანეთ. და ამ რიგი ადამიანი დედაკაცთან მისულას უნდა ერიდოს, რომე მწოვედ აწყენს. და მხურვალი და ხმელი ტლევები თავსა, კეთასა და ბექსა და ბექსშუა შემოიდებდენ. და მგლის ტყავი წამოსხან და თუ მგლის ტყავი არ იყოს, მელის ტყავი წამოასხან, ბამბისა და შალის ტანისამოსი ჩაიცვან და აბრეშუმისა და ქათნის ტანისამოსსა ერიდონ.

20 აგრევე კაცსა რომე ამავე ფილენჯის ქარმან სრულად ცალი კერძო მხარი, ბარკალი და ენა შესტაცოს და ძარღვები, ამას მუფალიჯი ჰქუიან, და მისი წამალიცა კიდევ ისიე არის, რომე ფილენჯისა წამლები დაგვიწერია, ამა სენსა მუფალიჯი ჰქუიან.

30 აწე მუფალიჯი ამას ჰქუიან, რომე კაცსა ფილენჯის ქარმან ცალი კერძო ხელფეხი და ან ენა ასრე შესტაცოს, რომე ხელსა და ფეხსა ველარ იხმარებდეს, და ყოვლი იმა მხრის ძარღვები და ხორცი სუსტად ჰქონდეს, ამრიგი სენი უსათიოდ ბალღმისა და სიგრილისაგან დაემართების. და ამა სენისა მიზეზი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა სიგრილე და სინედლე დასქარბდების, და მეტის მეტად ბალღამი დაუმრავლდების. და რარიგადაცა ხესა ცალი კერძო შიახმების და ამა ხისა წყალი და სინედლე ცალის მხრისაკენ წავიდეს, და ის ცალი მხარი ხმელი დარჩეს, ისრევე ბალღმისა სიცივე და სიგრილე ცალის მხრისა ძვალსა და ძარღვებსა გაუცივებს, და სისხლი და სიმხურვალე, ორივე იმა მეორის მხრისაკენ წავა, და ამა მიზეზითა ცალი კერძო მხარი და ბარკალი მოეღების და შეახმების, და ცალი კერძო ისრევე ნედლად დარჩების.

აწე რომელმანცა ამა სენმან ან პირი, და ან თუალები გაუმრუდოს იმას ლალვას უძახიან, ვითამცა და ფილენჯიო. და რომელიცა

¹ ამ სიტყვის მავივრად ტექსტში შეცდომითა სწერია «ტლისა».

ესე სენი ან ხელფეხსა, ან ენასა და ან ძარღვებსა შესტაცებს, იმას მუფალიჯი ჰქუიან. და თუ ნახევარი კერძო ტვინი და დამალი შესტაცა, იმას სარა ჰქუიან. და თუ სრულად ტვინი და დამალი შესტაცა, იმას საგთა ჰქუიან. და თუ ან თავი და ან ხელფეხი აუთრთოლა, იმას რახშას უძახიან.

აწე ამა სენებისა წამალი ყუელა ერთი რიგი არის, და რაცა წამლები დაგვეწეროს ყუელა ისრე უყავით.

წურილსა წამლებსა გიამბობს, რომე ყოვლსა ფილენჯისა ქარსა არგებს.

10 ვინც კურდღლის ტვინი ან ჰამოს და ან ხელფეხსა და თავზე და შეიცხოს, თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინც ირმისა და ან ამათისაგ ხბოს ხორცი ჰამოს, ფილენჯსა და ყოვლსა ფილენჯისა ქარსა, თავისა და ხელფეხის თრთოლასა ყუელას მწოვედ არგებს. ტრედის ხუნდი, ჰვექავი, ხოხობი, ღურაჯი და პერის მამლის ხორცი ფილენჯისა და ფილენჯის ქარისათვის, თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის, მეტადრე მაშინ რომე, ესე ხორცები სანანებლითა, პილპილითა, მიხაკითა, ზაფრანითა შიამკონ და ამაშიგა ცერეცო და კამა გამობარშონ და

20 ნიგუზის ზეთითა მოხარშონ, ამავე იარაღებითა ყაურმა ქნან, ხახვი დააქრან და ჰამონ.

ვინცა ოდოში ჰამოს ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა და თრთოლასა ყუელასა კარგად უზამს. ჰალთითი მალიხულის სენსა მწოვედ არგებს. საროსა ხილის კამა, თავისა და ხელფეხის თრთოლასა მწოვედ კარგად უზამს, რომე თათარნი რახშას უძახიან.

მამლის ქათმის ყუერები რომე კამათა და ცერეცოთა მოხარშონ და ისრე ჰამონ თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის. ნიგუზისა, ნაჟვისა, და წიფლის ზეთების კამა, და მტკივანსა ალაგსა შეცხება, ფილანჯისა და ყოვლის ფერის ფილანჯის ქარისათვის, მწოვედ კარგი არის, რომე ცალი კერძო მხარი და ბარკალი შეეტაცოს, და თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის. საზბისა, აბზინდას ბალახისა, გვირილასა, მელის კულას ყუავილების¹ ერბოები რომე თბილ თბილი შეიცხონ, ფილენჯისა და ფილენჯის ქარისათვის, თავისა და ხელფეხისა თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის.

30 გოგირდის წყალი, შაბის წყალი და ყოველი მლაშე წყალი რომე კაცმან გაათბოს და შიგა ჩაჯდეს და ამითა ტანი იბანოს ფილენ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ჯსა და მუფალიჯსა, რახშასა და თრთოლასა ოთხსავე მწოველ კარგად უზამს, მეტადრე მაშინ რომე, ამა სენსა ძარღეებიცა შეეტაცოს.

თაფლ წყალი ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსავე მწოველ კარგად უზამს. და მუხუდოს შექამადი რომე ნიგუზის ზეთითა და მხურელის იარალითა შექნილი იყოს ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსავე კარგად მოუხდების. თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, მაჯუნნი საზარი თუსი, ფალასუფა და ყოველი მხურვალნი მაჯუნნი ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსავე კარგად უზამს.

10 ჯავზი და ბაზბაზი რომე კაცმან ერთგან დანაყოს, ცოტა შაქარი ურიოს და უზმომან ჰამოს ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსავე მწოველ კარგად უზამს.

ვინცა ხოლნიჯანი პირშივა დაიჭიროს ყოვლსა ქარისა და სიგრილისა სენსა კარგად უზამს. ბევრის ღვინის სმა კაცსა თრთოლასა მოგურის. ყოველი გრილი სასმელი და საქმელი თრთოლასა მოგურის, ფილენჯსა და მუფალიჯსა აწყენს. წყაროს წყალი ფილენჯსა და თრთოლასა აწყენს. ძმარი და ყოველი მქავე სასმელი და საქმელი ფილენჯსა, მუფალიჯსა, თრთოლასა და ძარღეებსა მწოველ აწყენს¹.

20 იმ. კარი მეთექუსმეტე. დავაზასი და დუზლუ ბალღამისა ხენისა. აწე დუზლუ ბალღამი ამას ჰქუიან რომე, ჯერ კაცსა სენი კი არ გასცოცხლებოდეს და არცა შეჰქნოდეს, და ამა ბალღამისა ქარი შეჰქნოდეს, და თუ კაცმან კარგად ხელი არ უყოს, და ან წამალი არ მიასწრას, ის სენიცა გაუცხოვლდების. აწე ამა დუზლუ ბალღამისა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ტანი მძიმედ ექნების და ყოვლსა საქმეზედა ზარმაცობასა დაიწყებს, და კაცი საქმელსა ვერ იქარვებდეს. რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, რომე დუზლუ ბალღამი სჭირს და ჯერ ბალღამი კი არ შეჰქნია. ამის წამალი ეს არის რომე, ძალიანი ოყნა უყონ, რომე რაცა შიგნით ბალღამი, და ან ბალღამის ქარი იყოს, ყუელა დაალურვეინოს და კაცი 30 ცის გული, გვამი და სტომაქი, ყოვლის ავის ხილთისა და ბაყლისაგან გაწმიდოს, და კაცი გამოხალასდეს. და თუ ოყნა არა ქნან, ან ძალიანი შაფები უნდა აილონ, ან ძალიანი ჰაბები ჰამონ, ან ძალიანი ჯუღაბი და შარბათები სუან, რომე უსათიოდ კაცი გახსნას. თვარემ და

¹ ამ ფურცლის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა მაჩქათელას ტვინი მუშკითა და ზაფრანითა გააყენოს და წვერსა და თმაზედა შეისვას მისთა დღეშივა აღარ გაუთეთრდეს.“ „ან ვინცა მაჩქათელას ნავლელი გათეთრებულსა წვერსა და თმაზედა შეიცხოს. მაშინვე თეთრი თმა გაუშავდეს“.

კაცსა ეს ბალღამიცა სკირს და კიდევ შეჰკრავს, უსათიოდ კაცსა გახეთქს. ასრე უნდა, ფიცხლავ გასახსნელი ჰაბები წამლები და შარბათები ასვან და აჰამონ, რომე კაცი უსათიოდ გახსნას, და ბალღამისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოს.

აგრევე თუ ესე ღუზლუ ბალღამი სისხლისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, პირის წყალი ცოტა და ტკბილი ექნების და დილეულ აღარ დაეძინების. ამისი წამალი ეს არის, კეფაზედ კოტოში მოჰკიდონ. თუ ამით არ ეშველოს მკლავი გაუხსნან, იისა, ლულუფრისა, კოწახურისა, თემრი ჰინდისა და შაჰთარას შარბათი ასუან. ან ლიმოსა ისრიმისა, ბროწეულისა, ქლიავისა და გავეზაბანისა, რომელიც იყოს ასვან, ყულელა კარგად მოუხდების და შაჰკრითა ჯავ ავი ასუან. და საკმელებისაგან ოსპი, მაში, კოწახური, მოცხარი და მჟავე საკმელები ჰამონ, გრილი ტლები შემოიდვან, გრილსა სასუნებლებსა უსუნონ, გრილსა და წყლიანსა ალაგსა უნდა იყონ, რომე იჯდეს თუ იწვეს მუღმად წყლის ხმა ესმოდეს და ასეთსა გრილსა და ხევენარიანსა ალაგსა უნდა გავიდეს, რომე ქარი რომე ხესა არხედეს, ქარის ხმა და ხის რხევის ხმა ორივე ესმოდეს.

და თუ ან სევდისა და საფრისაგან იყოს ასრე უნდა, გასახსნელი და სარწყვეელი მუსილი და წამლები ასუან, და ან გასახსნელი და სარწყვეელი ჰაბები აჰამონ, ან ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და რბილი და ცოტა ოყნაო, რომე უსათიოდ გახსნას, და სევდისა და საფრისაგან, ორისაგანვე გაწმიდოს და უსათიოდ დაალურეინოს, და კაცი მთლად და უსენოდ დარჩეს. და კაცსა რომე თავი უბრუნდებოდეს, ამა სენსა სახელად და ვაზა ჰქუიან. ამა ორისავე სენისა მიზეზი ეს არის, და კიდევ ესევე ხილთები არის, რომე კაცის გუამისა და სტომაჰიდალმან, ავი ბუხარი და ქარი გავა, და თავსა და დამალსა შეეკიდების და მისგან დაემართების.

აწე ამა დავაზისა სენისა წამალი ისივე არის, რომე აჰავ ზემო გახსნისა და რწყევისა წამლები დამიწერია, ისავე ამას უყავით.

ვინცა ზარნი ყადას შარბათი სუას ფიცხლავ არწყევინოს. ვინცა ბოლოკის თესლი დაჯეკკოს, და წყლით მოხარშოს, გაწუროს, და თბილთბილი სუას, რავინდ მაგარი და ძალიანი სტომაჰი ჰქონდეს უსათიოდ არწყევინებს.

მურადათი არის ვითამცა და წურილი და დაცდილი წამლები არის რომე, ამითა ყოვლს თავის ტკივილსა ეწამლების და ჰქურნებს.

ვისცა თავი სტკიოდეს მოიტანე კურდღლის კურკლი და ვარდის წყლითა გალესე, და მტკივანსა თავზედა შემოსცხე. ან ვინცა დაფშუნას და საკმელსავეთა ცეცხლზედა დააკმოს, და ამისი კუამ-

ლი თავ პირზედა იკრას და ცხუირშიგაცა შეუშვას, უსათიოდ თავის ტკივილი ეშველოს, ან ვინცა ამავე კურდღლის ქონი ნაყურცხალზედა დააკმიოს და ცხვირსა და პირშიგა იყრჩოლოს, თავის ტკივილი ეშველოს¹.

ვინცა ნუშის ზეთი ძლიანსა მზეშიგა თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილი უშველოს და თავი კარგად დაიზილოს.

ვინცა ტკბილი ნუში დანაყოს და ძმრით გააყენოს და თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილი ეშველოს.

10 და თუ თავი დედაკაცსა სტკიოდეს ეს ნუშის ზეთი ორსავე ცხუირშიდა ჩააწვეთონ და თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ან იისა, ან ლულუფრისა და ან ვარდის ზეთი ძმრით გააყენოს და თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა აყიროს ზეთი ცხუირსა და ყურშიგა ჩაიწვეთოს, და ან ხშირად უსუნოს, თავის ტკივილი ეშველოს უსათიოდ და დამალი და, ტვინი გაუნდლოს. ან ვინცა ესევე ერბო ძმრით გააყენოს და წამოადულოს, და თავსა და საფეთქლებზედა შეიციხოს თუ თავი ან საფრისა, და ან სისხლისა და ან სხვის სიმხურვალისაგან სტკიოდეს, უსათიოდ თავის ტკივილი ეშველოს, და ტკბილად დაიძინოს.

20 კიდევე ვისცა დამალი გაუხმეს, და ან ყელი და ხახა გაუშრეს, მოიტანე ესე აყიროს ზეთი და ორსავე ცხუირშიგა ჩააწურე, და ცხუირზედაცა შეუსვი, და ორივე ყუერები ერთსა ეამამდისინ, ამა აყიროსა ზეთშიგა ჩაუღვე, და უსათიოდ დამალი გაუნდლდების, და ყელი და ხახა გაუნდლდების და დაუღებების.

ვინცა ყაყაჩოს ძირი საკმელსავეითა ღეკოს, თავის ტკივილი ეშველოს, და რაც კაცისა თავსა და დამალშიგა სენი და ქირი იყოს, ყუელა ჩამოილოს. და თუ ამავე ყაყაჩოს წვენი ცხუირშიგა ჩაიწვეთონ, რაცა ცხუირსა და დამალშიგა ქარი და ელათი იყოს, ყუელა გამოილოს.

30 და თუ ამავე ყაყაჩოს წვენი ძმრით გააყენონ და თავზედა შემოსცხონ თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ცხურის სისხლი და ცხურის ნავლელი ერთმანერთშიგან გაურჩოს და თბილი თავზედა შემოიციხონ, თავის ტკივილი ეშველოს.

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია „ვინცა დათვის ქონი სრულად თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილსა უსათიოდ ეშველოს“. „ვინცა გილი არმანი ძმრით გაღესოს და თავზედა შემოიციხოს, თავის ტკივილი ეშველოს, მწოდ დაცდილი არის ჭეშმარიტად.“ „ვინცა ვარდას უსუნოს, თავის ტკივილი ეშველოს. ან ვინცა დანაყოს და თავზედა შემოიღვან, თავის ტკივილი ეშველოს, თუ სიმხურვალითა სტკიოდეს“.

ვინცა ძროხის თირკმლის ქონი შაქრითა დანაყოს და სრულად თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა თბილ თბილი ვირის რძე თავსა და საფეთქლებზედა შემოიცხოს, და გათენებამდისინ ისრე იყოს, და მერმე თბილის წყლით დაიბანონ, თავის ტკივილი უსათიოდ ეშველოს¹.

ძალლის ყურძენა გრილი და ხმელია, კაცსა რომე ან თავპირი და ან თვალეზი გაუსივდეს, მოიტანე ძალლის ყურძენას ფოთოლი და წმიდად დანაყე, და მსივანსა ალაგზედა დაადევ და შეუხვივე, ტკივილსა და სიმსივნესა ორსავე უშველის:

10 ვინცა სალათას თესლი დანაყოს და ძმრით გააყენოს და თავზედა შემოიცხოს, თავის ტკივილი ეშველოს; მეტადრე მაშინ რომე თავი სიგრილისაგან სტკიოდეს².

იისა, ლულუფრისა, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, უშხუნისა და თემრი ჰინდისა შარბათი და ამათივ ჯულაბი, თავისა და საფეთქლების ტკივილისათვის ყუელა გამორჩეული წამალი არის, რომე კაცსა თათი ან სისხლისა, ან საფრისა და ან სიმბურვალისაგან სტკიოდეს, და თუ კაცსა თავი სიგრილისაგან სტკიოდეს.

ვინცა უდი და ცხურის კურკლი ორივ დანაყოს, და ორივ ერთად აურიოს და ნაკურცხალზედა დააკმიოს და ამისი კუამლი ცხურისა და თავ პირშივა იყრჩოლოს, თავის ტკივილი ეშველოს.

20 ვინცა ზაფრანიანი საკმელი ჰამოს, უსათიოდ თუ თავი სიგრილისაგან სტკიოდეს, ეშველოს, ამისთვის რომე, თავის ტკივილი უფროსი ერთი სიგრილისაგან იქნების და ან სიცივნისაგან დაემართების და გრილის სენებისათვის ზაფრანის ჰამო მწოვედ კარგი არის. ბაზბაზი მბურვალი და ხმელი არის, ესე ბაზბაზი რომე დანაყონ და იის ზეთითა გააყენონ და კაცსა ცხურიშივა ჩააწვეთონ, თავის ტკივილსა უშველის.

30 დანამასტაქი მბურვალი და ხმელია, ვინცა ესე დანამასტაქი ლექოს თავის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის: და თუ ესე დანამასტაქი არ იყოს საკმელი ლექოს.

საბრი მბურვალი და ხმელი არის, ვინცა ესე საბრი ძმრითა და ვარდის ერბოთა გააყენონ და მტკივანსა თავზედა შემოსდვან, თავის ტკივილი ეშველოს.

¹ ამის გასწერის აშიაზე დედნის ზელით სწერია „ეს ვირის რძე მწოვედ დაედილი არის“.

² ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ზელით სწერია: „ვინცა სანდალი ძმრით გალქოს და თავზედა შემოიცხოს, თავის ტკივილი ეშველოს“, „ვინცა საზაზბელი ძმრით გალქოს და თავზედა შემოიცხოს, თავის ტკივილი უშველოს“

ვინცა მაჰმუდა, ძმარი და ვარდის ერბო ერთგან აურჩიონ და სრულად თავზედა შემოცხონ, რაგინდარა ძუელი და ძნელი თავის ტკივილი იყოს უსათიოდ ეშველოს.

ხიარშამბარა მოჰთადილი არის, კაცმან რომე ჰამოს თავის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის.

იასამანი მხურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე, ამა იასამანსა უსუნოს და ამისი ზეთი შეიცხოს, თავის ტკივილსა უშველის.

ვინცა შავის ბოლოკის ქერქი დანაყოს, მარილი ურიოს და თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილი ეშველოს.

10 ვინცა თალგამის წვენითა თავი დაიბანოს, თავის ტკივილი ეშველოს და თმა და წვერი გვიან გაუთეთრდეს.

ვინცა პიტნა დანაყოს და სრულად თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა პიტნა მოხარშოს და ამისი წვენითა თავი დაიბანოს, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ენისუნის თესლი ცეცხლზედა დააკმიოს და ცხვირსა და პირშიგა იყრჩოლოს, თავის ტკივილი უსათიოდ ეშველოს.¹

20 ვინცა შინაურის იისა ან ყუავილი. ან ძირი და ან ფოთოლი დანაყოს და თავზედა შემოიდვას, თავის ტკივილი და შუბლის ტკივილი უსათიოდ ეშველოს, და ბზიკის ნაცემსა რომე შემოსდვა მისთვისცა მწოვედ კარგი არის.

ბაბათია, ვითამცა და ყუითელი ლა თეთრი გვირილაო, ბუიმა-დარონ, ვითამცა და მელის კუდას ყუავილიო, ორივე მხურვალი და ხმელი არის. ვინცა ესე ბალახები და ან ამათი ყუავილები დანაყოს და მტკივანსა თავზედა შემოსდვას, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ამათივე ზეთები თავზედა შემოიცხოს, თავის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ენდრო დანაყოს და სრულად თავზედა შემოიდვას უსათიოდ თავის ტკივილი ეშველოს.

30

¹ ამ გვერდის აშოებზე დედნის ზელნთ სწერია: „ვინცა ნარის აქლების ფსელი თავზედა შემოიცხოს, ან ამა ფსლითა ინა დახილოს და თავზედა დაიდვას უსათიოდ თავის და საფეთქლების ტკივილი ეშველოს. და მწოდ დაცდილი არის, მაგრა თუ ეს თავმტკივანი ადამიანი დედაკაცი იყოს მის წამალი სხვა ნახოს“. „ვინცა კანაფის თესლი დააკმიოს ცეცხლზედა და ამისი კუამლი ცხვირსა და პირშიგა იყრჩოლოს, თავის ტკივილი ეშველოს.“ „ვინცა მთახუის ყუერი ცეცხლზედა დააკმიოს და ამისი კუამლი თავ პირსა იკრას, თუ თავი სტკიოდეს ეშველოს.“ „ვინცა ყანნი და ქაფური წყლით გააყენოს, ცხვირშიგა ჩააწვეთოს, თავისა და საფეთქლების ტკივილი ეშველოს“.

აქლილუ მულუქი მხურვალე და ხმელი არის, ვითამცა და ყუა-
ვის ქანგას ბალახის თესლიო, მოიტანე ესე ბალახი დანაყე და ძმა-
რშიგა მოხარზე და ტლედ ქენით, და რაცა ალაგი სტკიოდეს, იმა
ალაგსა შემოსდევით, და თავისა და საფეთქლები სტკივილსა ორსა-
ვე უშველის. თუ კაცსა თავი სტკიოდეს და ან მწოვედ თავის ტკი-
ვილი დასძულებოდეს, მოიტანე დევა დაბანი, რომე სპარსნი ბუხა-
რი მარამას ეძახიან, ვითამცა და კოჩი ვარდაო, დანაყე და ამისის
წვენითა თაფლი გააყენე, მერმე მოიტანე ცხურის მატყლი და ორი
ფილთა დაგრახე, და ესე ფილთები იმა თაფლსა და კოჩივარდას
10 წყალშიგა ამოავლეთ და ესე ფილთები ორსავე ცხურიშიგა შეუდე-
ვით, და ერთსა დამესა ისრე გათენებამდისინ ამყოფონ, და თავის
ტკივილსა უსათიოდ უშველის და სურავანდსა და ნუზლასა, ყუელას
ჩამოიღებს, და ზოგს პირიდალმან და ზოგსა ცხურიდალმან წამოა-
დენს, და ტვინსა და დამალსა დაახალასებს.

ყარა ჩორაქ ოთი მხურვალე არის, კაცმან რომე ესე ყარა ჩო-
რაქ ოთი დანაყოს, და თავე მტკივანსა კაცსა თავზედა შემოსდვას,
თავის ტკივილსა უშველის. და ვინცა ესე ჩორაქ ოთი, ბროწეულის
ყუავილი და ძმარი ერთგან მოადულოს და პირშიგა იმგვიბოს, პი-
რისა და კბილის ტკივილი ეშველოს, და სურდო სურავანდი და
20 ნუზლა გააქაროს.

ბალდური ყარა, რომე სპარსნი ფარისიაოშანს ეძახიან, ქალა-
ქურს წყაროს სუმბულს ჰქუიან, მოჰთადილი და შეზავებული არის.
ვინცა ესე სუმბული დასწუას, დანაყოს და გაცრას, და მარსინისა
ზეთითა გააყენოს და თავე მტკივანსა კაცსა თავზედა შესცხოს, ყოფ-
ლსა გუარსა თავის ტკივილსა უშველის და რაცა კაცისა თავსა, ტვინ-
სა და დამალშიგა, ტკივილი და ელათი არის ყუელას გამოსწვავს
და გამოიღებს.¹

ვერხვის ხეო მხურვალე და ხმელი არის, ამა ვერხვის ფოთო-
ლი რომე კაცმან დანაყოს, ტლედ ქნას და სრულად თავზედა შე-
30 მოიდვას, თავის ტკივილს უშველის.

და თუ კაცსა სიგრილითა თავი ან კეფა და ან საფეთქლები
სტკიოდეს, მოიტანე აიდ იაფრალი დანაყე, და მტკივანსა თავზედა
შემოსდევ და თავის ტკივილსა უშველის.

ძროხის მძივი მოჰთადილი არის, ვინცა ერთის ქერის მარცვ-
ლისოდენი რომე ვარდის წყლითა გალესოს და შუბლსა და საქორ-
რეს წინათ შესცხოს, თავის ტკივილსა უშველის.

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა კანაფის თესლი და-
ნაყოს, გაცრას და ძმრით ტლედ ქნას და საქორრეს წინათ დაიდვას, მაშინვე
ცხურის სისმლი დასწყუიტოს“.

აგრევე ვინცა ამავე ძროხისა მძივი ერთის ქერის მარცვლის-
ოდენი, ახალს მთვარესა ვარდის წყლითა გალესონ, და მკლეს კაცსა
ასუან, უსათიოდ გასუქდების, მაგრა ეს მძივი ერთის დირჰამის მეტი
არ უნდა სუას, თვარემდა აწყენს.

აწე ამას გიამბობს, თუ კაცსა თავის ტკივილსა რა მოგურის.
ბევრის ქერემის კამა კაცსა თავსა აატკივებს. ბევრის ხურმის კამა
თავსა აატკივებს. ბევრის წიწმატის კამა კაცსა თავსა აატკივებს.
ბევრის ნიფლისა, ბევრის წიფლისა კამა მხურვალსა თავსა ორივე
აატკივებს. ბევრის პილპილის კამა თავს აატკივებს.

10 შინაური ზეთის ხილი რომე კაცმან ბევრი კამოს თავსა აატ-
კივებს ან ბანგი და ან კანაფის თესლი რომე კაცმან ბევრი კამოს,
თავს აატკივებს. ბევრის წაბლის კამა თავსა აატკივებს. ბევრის ნია-
ხურის კამა, ბევრის პრასის კამა, ბევრის კაპრის კამა, კაცსა თავსა
აატკივებს.

კაცმან რომე ბევრი ღვინო სუას, ან ბევრი იცინოს, ან ბევრი
იაროს სამივე თავს აატკივებს.

**იჲ. კარი მინდობი. ყოვლის ზვიხის თვალის ტკივილისა და
თვალის მათმთრეხისა ნიშნებასა, მიწეხებასა და წამლებასა მამ-
20 ცნებას და გიამბობს.**

აწე თუ კაცსა თვალნი ცხელისა და მხურვლის ვარამისაგან
სტკიოდეს, ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა
თვალნი გაუსიედების, და თვალთა წუწი მოედინების, და თვალნი-
ერთმანერთზედა წებებასა დაუწყებს და ორნივე საფეთქლებიცა ას-
ტკივდებიან, და ტკივილსა, და ეკალსავითა სობასა დაუწყებს, და
თვალნი მძიმედ ჰქონდეს და ძნელად ახვემდეს, რა ესე ნიშნები კაც-
ზედა ნახოთ იცოდით, დასტურად, ცხელი ვარამი არის, და თვალნი-
მისგან სტკივის.

30 ამა თვალის ტკივილის მიზეზი ეს არის რომე, ამა ცხელის ვა-
რამისაგან კაცსა სისხლი დამრავლებია, და ამა სისხლისა სიმხურვა-
ლე კაცსა თვალშია ჩამოსულია და თვალნი თურმე მისგან სტკივის.

აწე ამისი წამალი ეს არის, შუბლიდაღმან სისხლი გამოუშვან
და უკანას კეფაზედა კოტოში მოჰკიდონ და ორნივე თიკნები გაუხ-
სნან, და თუ არცა ამით ეშველოს ორივე მკლავები გაიხსნან.

და თუ ერთი თვალი სტკიოდეს და ორი არა სტკიოდეს, თუ
მარჯუენა თვალი სტკიოდეს მარჯუენა მკლავი უნდა გაუხსნან, და
თუ მარცხენა თვალი სტკიოდეს და მარცხენა უნდა გაიხსნან. და
გრილი შარბათები უნდა სვან იისა და ლულუფურისა, ბროწეულისა,

კოწახურისა, თემრი ჰინდისა. და საკმლეებისაგან ოსპი, მაში, ამავე მჟეავებითა მოხარშონ და ჰამონ, და ღვინოს ნუ სმენ, ნურც ხორცსა სკამენ, თუ არ მისკირდეს და ეშველების. და თვალშიგა ყოვლს დაწოლის დროსა კუერცხის ცილას ჩაიშვებდენ.

თუ კაცსა თვალნი საფრისაგან სტკიოდეს, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, კაცსა თვალნი წითლად ჰქონდეს, და ის წითელი მოყუითანოდ დაუცემდეს, და კაცსა თვალნი ცხლად და ხმელად ჰქონდეს, ჰჩხულეტდეს და ხშირად და წურილად თვალთა ცრემლი სცვივდებოდეს, და თვალნი ცოტად კიდევ ეწებებოდეს და კიდევ ფიცხლავ გაეხსნებოდეს.

10 აწე რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ იცოდით თვალნი დასტურად საფრისაგან სტკივის. ამის წამალი ეს არის რომე, ან ძალიანი ჰაბები ჰამონ, და ან ძალიანი წამლები და შარბათები სვან და ან ოყნა ქნან, რომე კაცი მწოვედ გახსნას, და რაცა გუამსა და სტომაქშიგა ხილთი და საფრა იყოს ყუელა დააღბოს და მოხეთქოს, და ყუელა დაალურევინოს, და კაცი ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და კაცი მთლად დარჩეს, და ყოვლის თავისა და დამადისა, და თვალეებისა ტკივილისაგან ემინად იყოს. და გრილი და კაი შარბათები ასვან: 20 ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, თემრი ჰინდისა, ქლიავისა და შაქთარასი, და გრილი საკმლები აჰამონ და ეშველების.

თუ კაცსა თვალნი ბალმისაგან სტკივის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, თვალთა მძიმედ ახვემდეს და ზედათი ქუქუთო ქუეშეთს ქუქუთოზედა ეწებებოდეს. და კაცსა თვალნი ცოტად კიდევ სტკიოდეს დი თეთრიცა შეერიოს, რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, თვალნი ბალმისა და სიგრილისაგან სტკივის.

აწე ამისი წამალიცა კიდევ ისივე არის, რომე საფრის თვალის ტკივილზედა დამიწერია, იმავე რიგად გასახსნელი ამას უნდა უყოთ.

კიდევ ერთი თვალის ტკივილი არის რომე მტვერისა და ავის 30 საკმლისაგანცა დაემართების, რომე ავის საკმლის ბუხარმან კაცსა ჰკრას და მისგან ასტკივდეს ან ჰარისა და სიცივისაგან ას¹. [ტკივდეს და ან თბილის სახლიდალმან, და ან თბილის აბანადალმან გამოასულა და ნათბილარს ჰარი და სიცივე სცემია და მისგან სტკივის და ამ რიგსა თვალის ტკივილსა თვალთა ქავილიცა სდევს. და ან მწოედ სინათლეში ჯდომილა და თეთრის რისათვინშე ბევრი უყურებია, და მწოედ დასცქერია და დაჰხეხებია, ან მალედ უვლია და

¹ აქ ტექსტს ერთი ფურცელი აკლია, აღდგენილია ვარიანტის A-ს მიხედვით.

ბევრი უქმენია, ან უდროოდ ბევრი და ავი საქმელი უკამია და ადრე დაუძინია და ესე სენი მლაშისა, ხმელისა, მწარესა და მწოესა საქმელებისაგან წაჰკიდებია და მისგან შეჰქნია. და ამრიგი თვალის ტკივილი ბევრის ტირილისაგან, ბევრის დადაკაცთან მისვლისაგან, ბევრის ძილისაგან, ბევრის უძილობისაგანცა დაემართების. ბოლო ამრიგი და ამგუარი თვალის ტკივილი ამ საქმეების და ამ მიზეზებისაგან დაემართების რომე დაგვიწერია.

10 ასრე უნდა თვალმტკივანი კაცი ამა საქმეებსა და ამ რიგსა საქმეებსა უნდა ერიდონ, რომე ამა სენზედა სწერია და დაგვიწერია და თვალის ტკივილისაგან უსათუოდ ემინად იქნების. ხახვი, ნიორი, წიწმბატი, პრასა და ყოელი მწარე საქმელი თვალმტკივანმან კაცმან არ უნდა ჰკამოს, თვარემ აწყყენს და თვალის ტკივილს მოუმატებს. და თუ არ დაიშალონ და ჰკამონ, ცოტა უნდა ჰკამონ რომე არ აწყყინოს. და ესე იცოდით რაცა ამ წიგნშიგა თვალის ტკივილისათვის მიზეზები დამიწერია ყუელა თვალის მაწყინარე და მაზიანე არის, და ყუელა თვალის ტკივილსა მოუმატებს.

20 და ამა თვალის ტკივილისა წამალიცა ისევე გახსნა არის, რომე ზემო საფრის თვალის ტკივილზედა დამიწერია ან ჰაბებითა, ან მუსილითა, ან ოყნითა უსათუოდ გახსნან და გაწმიდონ. მაგრამ რა ერთხელ ამრიგი კაცი გახსნან, მასუკან მწოედ შეეკურას უნდა ერიდონ, და ამას უფრთხილდენ და ასრე ხელი შეიწყონ, რომე აღარ შეეკრას.

და ამა სენისათვის ერთი კაი წამალი ეს არის რომე, ასოცდაათი ღირჰამი ხმელი ჰერემი და ათი ღირჰამი პიტნა დაჰქერ და კარგად მოხარზე, და ხუთსა ღირამსა შაქარზედა დააწურე და თვალმტკივანსა კაცსა ასვით, და ამ თვალმტკივანსა კაცსა მუდამ სასთაული მალლა უნდა დაუდვან და ეძინოს.

30 თუ იწვეს მუდამ გულალმა და ამართვით უნდა იწვეს და ამავე რიგად ეძინოს და თვალმტკივანსა კაცსა მუდამ შავი ხელსახოცი შუბლზედა უნდა ეკრას. თვალის ტკივილს დაუამებს. და ესე თვალმტკივანი კაცი უფრო მობნელოს სახლში უნდა იჯდეს და იყოს, და სინათლესა და მზეში სიარულსა უნდა ერიდოს. და კაის და მოჰთადილის საქმელებითა ხელი უნდა შეიწყოთ და რაც შარბათები ზემო რ საფრისა თვალის ტკივილზედა დაგვეწეროს, ისი შარბათები და გვაზაბანისა შარბათი სუან. და ყოელსა დაწოლის დროსა თვალმტკივანმან კაცმან გვილან გვიბინი და იის მაჯუნი უნდა ჰკამონ, და გრილის საქმელებითა და შარბათებითა ხელი უნდა შეუწყონ, და ამრიგი საქმელები აკამონ: აყირო, მსუქანა ბალახი, თოხლო კუერცხი,

ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, კაი ვარია და ამათივ ლაპები, რომე ის-
პანახითა, ქინძითა და ქლიავითა შექნილი იყოს, და ერბოს მაგიე-
რად ზეთი ერიოს, აქამონ. ერიშთას შექამადი და გამოწურვილი ქე-
რემი აქამონ. ეს საქმელები ყუელა ექმების და კარგადაცა მოუხდების.

და თუ არ ეძინებოდეს სამი ღირჰამი ხაშხაშის თესლი დანა-
ყეთ და ან შარბათებშიგან და ან საქმელებშიგან გაურივეთ, გამო-
ხარშეთ და ისრე აქამეთ და ძილს მოგუროს.

10 აგრევე როდისცა კაცსა თვალის ტკივილი მოუვიდეს მოიტანე
კუერცხის ცილა და ლილა და წმიდად გალესე და მტკივანსა თვალ-
შიგა ჩააწურე და თვალის ტკივილსა უშველის. და თუ ამან არ უშ-
ველოს მოიტანე ასეთის ქალწულის ქალის რძე, რომე ჯერ კაცი არ
მიახლოებოდეს და თვალ მტკივანსა კაცსა თბილთბილი თვალშიგა ჩა-
აწურეთ, და თვალის ტკივილსა უშველის. და ასრე უნდა ხშირ ხში-
რად თვალეხსა თბილის ვარდის წყლით გამობანდენ. და სანამღი
თვალის ტკივილი კაცსა სრულობითა არ ეშველოს მანამღი აბანო-
შიგა არ უნდა შევიდენ თვარემდა უსათიოდ აწყენს და ტკივილსა
კიდევ მოუმატებს.

20 თუ კაცსა თვალშიგა თეთრი შეუვიდეს, ან ამა სენებისა და ან
ყუავილისაგან, ასრე უნდა, მაშინვე სასისა ძარღვი გაუხსნან და სასი-
დაღმან კარგად სისხლი აღინონ, მერმე ძმარი და ვარდის წყალი
ერთგან აურიონ და ორჯელ სამჯერ პირი გამოუტყუონ და ამას
უკანა ამდენი აცალონ, რომე კაცსა თვალშიგა სიწითლე გამოუვიდეს
და სიწითლე აღარ ჰქონდეს. მერმე მოიტანე ხამი და კაი თაფლი
და ორი ამ თაფლის წონა წყალი დაასხით და კარგად ამოქყლიტეთ
და გაწუ¹ რეთ, მერმე ამდენი აღუღეთ რომე სამის წილისაგან ორი
წილი დაიკლოს და ერთი წილი დარჩეს, მერმე მოიტანე წმიდად
დანაყილი და წმიდად გაცრილი ზანდალოზი, ჩაურივე და ამდენი
აღუღონ, რომე სამის წილისაგან ერთი წილი² დარჩეს, მერმე გარ-
დმოიღონ და შეინახონ. და სამ სამსა დღეშიგა ერთხელ, აბანოშიგა
30 უნდა შევიდენ და იბანონ, და თვალეხი თბილის ვარდის წყლითა
გამოიბანონ და თუ ვარდის წყალი არ იყოს და თბილის წყლითა
გამოიბანონ. და მერმე პაშტას ხანსა თვალეხი თბილის წყლის ორთ-
ქლზედა დაიჭიროს და თვალშიგა კარგად იორთქლონ. მას უკან ეს
მოდულებული წამალი სურმასავითა თვალშიგა გამოივლონ, და თვა-
ლის ტკივილსა და სითეთრესა უსათიოდ, ორსავე უშველის.

¹ ტექსტი აქამდის აღდგენილია.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინიცის და კაცსა თვალშიგა წითელი დარჩეს, ეს წამალი მანამდის არ უნდა უყონ, ვირემდისინ კაცსა თვალიდაღმან სიწითლე სრულად ¹ არ გამოუვიდეს. და თუ ამით არ ეშველოს და არცა თეთრი გამოუვიდეს, მოიყუანე ბერი დედაკაცი და ხმელი ყურძენი და ქინძი ერთად აქამეთ და თეთრ შერეულსა კაცსა თვალი აუხილეთ, და ამ ბერმან დედაკაცმან თეთრშერეული კაკალი თვალი ბევრჯულე უნდა გამოლოკოს და უსათიოდ კარგად უზამს, და თეთრს გამოიღებს, ამისთვის რომე, ბერსა დედაკაცსა ენა როგორაცა ქლიბი, ისეთი აქუს, და თვალიდაღმან თეთრსა ამრიგად ენა უკეთ გამოუტანს, და მერმე ბერი დედაკაცი მწოვედ გრილი არის, და ეს გრილი ენა სისხურვალესაცა და თეთრსაცა გამოიღებს.

10

და თუ თეთრი მწოვედ დიდი ჰქონდეს, და არცა ამა წამლებითა ეშველოს, მოიტანე თუთიაი ხალისი, და ინდაური ზანგარა, და ზაფრანა, და კუერცხის ხეჭუჭი, ესე წამლები მოხალონ, დანაყონ და მწოვედ წმიდად გაცრან და სურმად ქნან, და ყოვლსა დაწოლის დროსა და დილასა ადგომის დროსა სურმასავითა თვალშიგა გამოიღებდენ. ეს წამალი უსათუოდ თვალისა სითეთრესა გამოიღებს და სრულად გაუქარეებს ².

20

თუ თვალზედა სქლად ფარდა გარდაეკრა ცუდად, კაცისა სარჯელი აღარას უშველის, და ნურცა რჯით და ნულარცა ირჯებით, რომე არასათვის აღარ ეშველების. და თუ თვალის ფარდა თხელი ჰქონდეს გარდაკრული, და ან თეთრი ცოტა შესლოდეს, მოიტანე ანზარუთი და შაქარი სამ სამი დირჰამი, ზაფრანა ერთი დირჰამი, ზღვის ქაფი ნახევარი დირჰამი და ორი მარცვალი მამირონი ჩინი, რომე სპარსნი მასფირს უძახიან, ერთამცა და ზარდანჩუაო. მერმე სრულად ესე წამლები ცალკე ცალკე დანაყეთ, და წმიდად გაცერით, და სრულად ერთად აურიევთ, და ყოვლსა დაწოლისა და ადგომის დროსა, თვითოს ქერის მარცულის წონასა თვალშიგა ჩაყრიდენ, და უსათიოდ თვალის ტკივილსა და სითეთრესა, ორსავე უშველის და თვალის სითეთრესა გამოიღებს,

30

აგრევე კაცმან რომე დიდსა ხანსა კანჯრის თვალებსა უყუროს, იმა კაცსა თვალი აღარ გაუთეთრდების და აღარცა თვალი ასტკივდების, და თუ კაცსა თვალშიგა თეთრი ურევია ისიც გაუქარდების.

ჯალინოზ აქიმმან თქუა: ღ'თსა კანჯრისათვის ამდენი წყალობა უქნიაო, და ამდისთანა ხასიათი უბოძებიაო რომე, ადამის ტომ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის ზემო აწიხზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალავი „იდ“.

სა კანჯრისა თვალდაღმან ამდენი ფაიდა ეცემისო და ამრიგად ჰკურნებსო.

ვინცა მერცხლის სკინტლი ნაკუერცხალზედა დააკმიოს და თუ-
ალში თეთრ შერეულმან კაცმან დიდსა ხანსა თვალნი ამა მერცხლის
სკინტლის კუამლზედა დაიპიროს, უსათიოდ თვალის თეთრსაცა გა-
მოიღებს და ტკივილსაცა უშველის, ესე მერცხლის სკინტლი აქიმთა
და მეცნიერთა კაცთაგან დაცდილი არის და გულმართლად მართა-
ლი არის.

10 ანუ ვინცა მერცხლის სკინტლი დანაყოს, გაცრას და თაფლ-
შიგა მოზილოს და მოადულოს და ნელთბილი ესე წამალი თეთრ-
შერეულსა კაცსა თვალშიგა გამოავლოს, თვალის სითეთრესა გამო-
იღებს და ტკივილსაც უშველის, და თვალის სინათლესაცა მისცემს.

ვინცა ჯორის ქონი დაწვას, დანაყოს, და გაცრას, და თვალ-
შიგა გამოივლოს, თვალის სითეთრე უშველოს, და ტკივილი გაუგ-
დოს.

ვინცა მაჩქათელას ტვინი დაწვას, დანაყოს და გაცრას, და
სურმასავითა თვალშიგა გამოივლოს, უსათიოდ თვალდაღმან თეთრი
გაუქარვოს, და გამოიღოს, და ტკივილიც უშველოს.

20 ან ვინცა ამავე მაჩქათელას ტვინი, თეთრის ხახვის წვენითა გა-
აყენოს, და თვალშიგა გამოივლოს, თვალის სინათლესა მისცემს, ტკი-
ვილს უშველის და თეთრს გამოიღებს.

ან ვინცა მაჩქათელას სისხლი თვალშიგა გამოივლოს, თვალის
თეთრი გაუქარვოს, და ლამით კარგად დაინახოს.

ვინცა ეგირი და ოსპი ორივე წონითა სწორ სწორი ქნას და
ორივე დანაყოს, გაცრას და ან ვარდის ერბოთა, და ან ბიის წვენითა
გააყენოს და კიქითა გაათბოს, და დაწოლის დროსა ბამბითა თვალ-
ზედა დაიდვას, თეთრსაცა გამოიღებს და ტკივილსაცა უშველის,
მაგრამე გათენებამდისინ ზედ უნდა ედვას.

30 ვინცა ჰაეჰავის ნავლელი ოქროს მილითა თვალშიგა გამოივ-
ლოს, თვალის სითეთრე გამოიღოს და ტკივილი უშველოს, და თვა-
ლთა სინათლესა მწოვედ მისცემს.

ვინცა გრძღაბის ნავლელი თვალშიგა გამოივლოს, თვალის თეთ-
რი და ტკივილი ორივე უშველოს.

ვინცა ხორბალი, რომე გერ წყლადვე იყოს თვალშიგა ჩაიწუ-
როს, თვალის ტკივილი და სითეთრე ორივე უშველოს.

ვინცა შავის ვირის რძე თვალშიგა ჩაიწუროს თბილ თბილი,
სითეთრესაცა გააქარვებს, და ტკივილსაცა უშველის.

აგრევე ჰარიობი მხურვალე არის, ვითამცა და რეჰანიო, ვინცა ესე ჰარიობი დანაყოს და გაცრას, და ვარდის წყალშიგა ამოსური-
მოს, და ამის წვენი კაცსა თვალშიგა ჩააწუროს, მწოვედ კაი არის, თეთრს გაუქარებებს, და სინათლესა მისცემს.

10 აგრევე ერთი თვალის ტკივილი არის სიცივისაგან და ბევრის დაცქერისაგან დაემართების, და სახელად ზარური ასფარ ჰქუიან, ვითამცა და აზმაითიო, და ზოგსა ადამიანსა ამა მიზეზითა თეთრიცა შეუა; და ამა სენისა მიზეზი ის არის, რომე კაცსა თვალნი გაუყუით-
ლდების, ამისი წამალიცა ისივ არის, რომე აქვე თვალშიგა თეთრის შერევაზედა დაგვიწერია. და თუ ამა წინამა წამლებმან თეთრი არ გაუგდოს, და არ გამოიღოს, ესე სურმა გააკეთონ და თვალშიგა გამოაველეთ, და თეთრსა და ტკივილსა ორსავე უშველის: მოიტანე ისპანური ხურმა სამი დირჰამი, ზეთის დუდა ორი დირჰამი, გაუხურე ტელი მარგალიტი და ზაფრანა თვითო დირჰამი, მუშკი და ქაფური თვითო დანგი. მოიტანე ესე წამლები და სრულად დანაყეთ, და მწოვედ წმიდად გაცერით, და სრულად ერთგან აურივეთ და სურმა იქნების. ვისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს მილითა თვალშიგა გამოიღებდენ, მწოვედ კარგი და ამა სენისათვის დაცდილი არის, თვალისა თეთრსა უსათიოდ გაუქარებებს, და ტკივილსა უშველის.

20 თუ კაცსა თვალთა ცრემლი სდიოდეს, მოიტანე ყანთურიონ უსარსი დანაყე ო- წყლითა გააყენეთ, და საქორჩეს წინათ შუბლსა და საფეტქლებზედა დასდევ, და გათენებამდისი ზედა უნდა ედვას, და ცრემლის დენასა უშველის და უსათიოდ ცრემლს დასწუუეტს.

ვინცა დათვის ნავლელი თვალშიგა ჩაიწვეთოს, თვალთა ცრემლის დენა უშველოს.

ვინცა შინდის ფოთოლი დანაყოს და ამისი წვენი თვალშიგა ჩაიწვეთოს, თვალთა ცრემლის დენა უშველოს.

30 ვინცა წეროს ნავლელი გაახმოს, დანაყოს და გაცრას, და სურმასავითა მილითა თვალშიგა გამოივლოს, ან ვარდის წყლითა გააყენოს და კიდევ თვალშიგა გამოივლოს, თვალთა ცრემლისა დენა უშველოს. და თვალთა სინათლე სცეს. [ვინცა მუშკი სურმასავითა თვალშიგა გამოივლოს, თვალთა ცრემლის დენა უშველოს.]

თუ კაცსა თვალშიგა ბეწვი გამოუვიდეს, მოიყუანე ტრედის სენდი, დაკალ და თბილთბილი ამისა ისხლი თვალშიგა ჩააწვეთეთ, და თვალის ტკივილსა და ბეწუსა ორსავე უშველის.

ვინცა ბუზის სისხლი თვალ ბეწვიანსა კაცსა თვალშიგა ჩააწვეთოს, ბეწუსა და ტკივილსა ორსავე უშველის.

ვინცა ოფოფის სისხლი თვალშიგა ჩაიწვეთოს, ტკივილი და ბეწვი ორივე უშველოს, და მწოვედ დაცდილი არის. და თუ ამან არც ერთმან უშველოს, ოყნა უნდა უყონ, რომე შიგნით ბაყლი და ბალღამი დააღბოს, და მოხეთქოს და ყუელა დააღურევენოს, და ყოელის ბაყლისა, ბალღმისა და ხილთისაგან გახსნას და გაწმიდოს და ყუელა დააღურევენოს, და ესე სენი და ბეწვი გააქარვოს.

10 ვინცა დათვის სისხლი თვალშიგა გამოივლოს, თვალის ბეწვი უშველოს. თუ კაცი შაბ ქური იყოს, ვითამცა და ღამით ვერას ხედვედეს, მოიტანე ცერცო და კამა, დანაყე და წყალი გამოჰხადე, და თვალშიგა გამოავლე, თვალთა სინათლისათვის მწოვედ კარგი არის, თვალშიგა შავსა წყალსა აღარ ჩამოუშვებს.

აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრეცა უთქუამს, გაზაფხულის პირზედა მთვარიანს ღამესა, გველი ვერასფერს ვერას დანახავსო და თუალთა დაუბნელდების, და თუალნი აუქრელდებისო, მერმე ამა ცერეცოს ფოთოლსა თუალზედ მიისვამს მოისვამსო და მას უკანა როგორაცა დღისით, ისრევე ღამით დაინახავსო. ამა ცერეცოს ამდენი ხასიათი აქუს, და კაცსა ამდენსა სინათლესა შატებს.

20 ვინცა ქინძი და მადანოსი ორივე ერთად დანაყოს და ამათი წვენი გამოწუროს და თვალშიგა გამოივლოს, შაბ ქურობა ეშველოს და ღამით კარგად დაინახოსო.

ვინცა კაკბის მარჯუენა თვალნი რძეშიგა მოხარშოს და თვალშიგა გამოივლოს, თვალთა ასეთსა სინათლესა მისცემს, როგორაცა დღისით, ისრევე ღამით დაინახოსო.

ვინცა ღამით ვერას ხედვედეს, მოიტანე ერთი ღირჰამი გრძღაბის ხორცი დანაყე და იის ზეთშიგა გაურივე, და გამოწურე, და სამსა ღამესა ორსავე ცხვირშიგა ჩაასხი და მერმე ღამით კარგად დაინახავს, მაგრამე ეს წამალი ან ჰკუეთს პირველს გაზაფხულზედა და ან ზამთრის, თვარამდა უმისოდ არა ჰკუეთს.

30 ვინცა აფთრის თვალნი დაწვას, დანაყოს და გაცრას და ნაკვერცხალზედა დააყაროს და თვალშიგა იკუამლოს, რარივადცა კაცი დღისით ხედვედეს, ისრევე ღამით დაინახოს.

ვინცა ძროხის ნაელელი თაფლშიგა ამოზილოს და თვალშიგა გამოივლოს, თვალთა სიბნელესა უშველის და უცხოფერსა სინათლესა მისცემს.

ვინცა მაჩქათელას სისხლი თვალშიგა გამოივლოს, ღამით კარგად დაინახოს. ვინცა ღვეის ყური და ან თეთრი ღორჩკოლა დანაყოს, და გაცრას, და სურმანსავეთა თვალშიგა გამოივლოს, თუალთა მზის მზავესად დაუფერავს და სინათლესა მისცემს, ძალითა ღთისათა.

წერილი წამლები, რომე ამა წამლებითა თვალის ტკივილს ეწამლებიხ. მოიტანე ანზარუთი და სათვალე მძივი და მამისა ვითამცა...¹ ხუთ ხუთი დირჰამი, და ზაფრანა და სპბრი, და აფთიმონი, ნახევარ ნახევარი დირჰამი, მოიტანე სრულად ეს წამლები და ცალკე ცალკე, დანაყე და მწოედ წმიდად გაცერ, და ყუელა ერთად აურივე, და როდისცა თვალის ტკივილმან წამოუაროს, ესე წამლები ზომიერად კაკალს თვალშიგა ჩააყარეთ და კარგად მოუხდების და თვალის ტკივილს უსათიოდ უშველის.

10 ვინცა გუნდა და ნიშადური სწორ სწორი ქნას, დანაყოს და გაცრას, და თეთრშერეულსა თვალშიგა ჩაიყაროს, თეთრი უსათიოდ გამოიღოს.

აგრევე თუ კაცსა თუალნი სიცხისა და სიმხურვალისაგან სტკიოდეს, და ან იმა წამლებმან ვერ უშველოს, მოიტანე ქაფური, ზარური, დამწვარი სადაფი და წმიდა სახამებელი თვითო დირჰამი, და გაუხვრეტელი მარგალიტი ორი დირჰამი, ოთხივე ეს წამლები წმიდად დანაყეთ და წმიდად გაცერით. და თვალმტკივანსა კაცსა ზომიერად თვალშიგა ჩააყარეთ, და თვალის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

20 და თუ არცა ამან უშველოს, მოიტანე აბზინდას ბალახის თესლი, გაახმე და წმიდად დანაყე, და ერთსა წმიდასა ქათანშიგა ფომფედ გამოჰკარ, და თბილსა წყალშიგა დაალბე, და დაწოლის დროსა მტკივანსა თვალზედა დაადე, და გათენებამდისი ზედ უნდა ედვას, და რაცა თვალის ტკივილი და ან მანკი არის ყუელას გამოიღებს და როდისცა გათენდეს, ეს წამალი და ქათანი გაწურეთ, და ასრე უნდა, ამა ქათნიდალმან სისხლი გამოვიდეს.

30 და თუ არცა ამან გარდაუწყვიტოს, მოიტანე ამავე აბზინდას ბალახის ფესვი, დაჯექვე, მოხარშე და გაწურე, და ამისი წვენი გააცივე და თვალ მტკივანსა კაცსა ასვით, და თვალ პირზედაცა შეუსვით, და თვალის ტკივილსა უშველის, და უსათიოდ თვალიდან მან ბეწვის სისხო შავი კია ჩამოვარდების².

¹ აქ ტექსტში ერთი სიტყვის ოდენა ცალიერი აღგილია დატოვებული.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვისცა სიცხისა და სიმხურვალისაგან თუალი სტკიოდენ ან უსივდეს, კვერცხის ცილა თვალშიგა ჩაიწურონ და ტკივილსა, სიხმესა და სიხსიენესა სამსავე უშველის“.

„ვინცა უცილო კვერცხის გული ცარიელს წყალშიგა მოხარშოს და ცოტაოდენი ზაფრანა და ვარდის ხეთა გაურიოს და თვალზედა დიდაცა ყოვლის ფერის თვალის ტკივილის წამალი არის და უშველის ღ'თითა“.

კიდევ სხვა წამალი: მოიტანე სამი ღირჰამი ია, და ათი მარცვლი ნუში და უკურკო უნაბი, და ერთის კუერცხის ცილა და ეს წამლები სრულად ერთად დანაყე, და ამ კუერცხის ცილითა დავარდის წყლითა გააყენეთ, და ტლედ ქენით და ძველსა ბამბაზედა გააკართ, გაათბეთ, და მტკივანსა თვალზედა დაადევით და შეუხვიეთ, რომე არ მოეშალოს, და გათენებამდისი ზედ უნდა ეღვას დალთითა თვალის ტკივილი უსათიოდ ეშველების.

10 კიდევ მოიტანე ტკბილის ბროწეულის წვენი და ერთსა მინაშიგა ჩაასნი, და ოცსა დღესა მზესა გაუდგი, და მზისა სიცხე, ამა ბროწეულის წვენსა გაასქელებს და შეადელებს. და მას უკანა ვისცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, თვალშიგა გამოივლებდენ, უცხოფერად თვალთა სინათლესა მატებს, და თვალთა ტკივილსა უშველის, და რასაცა ეს ბროწეულის წვენი ძველი არის, ისი სჯობს და უკეთესი ხასიათიც ექნების.

ვინცა სანანებელი ვარდის წყლითა გაღვსოს და თვალშიგა გამოივლოს, თვალთა მწოვედ დაუწმედს და დაუფერავს, და თვალთა სინათლესა მოუმატებს, მაგრა ცოტად დასწავს.

20 ვინცა თხის ნავლელი გაახმოს, დანაყოს და წმიდად¹ გაცრას, და სურმასავითა თვალშიგა გამოივლოს, ადვილად თვალის ტკივილი აღარ შეეყაროს, და რომე კაცი სრულად ვერას ხედავდეს, რაკაცი ამ რიგად ამა თხის ნავლელსა გამოივლებს, უსათიოდ კაცსა თვალთა სინათლესა მისცემს, და თხის ნავლელსა ბოტისა სჯობს, და ბოტისასა გარეულის ვაცისა.

ვინცა ყოვლსა ახალსა მთვარესა კაქბის ნავლელი თვალშიგა გამოივლოს და ან თვალშიგა ჩაიწვეთოს, მწოვედ თვალთა სინათლესა მატებს, და ტკივილსა დაუამებს.

30 ვინცა ბუზი გაახმოს, დანაყოს და გაცრას, და სურმასავითა თვალშიგა გამოივლოს, და წყლით გააყენოს და საქორეს წინათ თავზედა შეიცხოს, თვალის ტკივილსა უსათიოდ უშველის და თვალთა უცხო ფერს სინათლეს მოუწატებს.

ვინცა აყიროს ყუავილის ღილი ცომშიგა ჩადვას და ცხელსა ნაცარშიგა ჩაფლას, რომე შეიწვას, მერმე გამოიღე, დანაყე და გამოწურე, თუ წყალი არ გამოვიდეს, წყალი შიაფქუივით და ისრე გამოწურეთ, და თვალმტკივანსა კაცსა ამისი წვენი თვალშიგა გამოავლეთ, და თვალის სიყუითლესა უშველის, რომე ესე სიყუითლე იარაყნისაგან სჭირდეს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული ღვინის ხელით.

და ვინცა ამავე აყიროს წყალი ან ამა აყიროს ყუაველის წყალი გამოაზხადოს და თვალმტკივნანსა კაცსა თვალშიგა გამოაველო, თუ ესე თვალის ტკივილი სიციხისა და სიმბურვალისაგან არის, უსათიოდ უშველოს.

ვინცა ასეთის ქალწულისა ქალის რძე, რომე ჯერ კაცი არ მიხლებოდეს, თვალშიგა გამოივლოს და ჩაიწვეთოს, თვალის ტკივილი უშველოს.

ვინცა პიტნა პირველ დაჯექკოს და მერმე თვალშიგა გამოივლოს, თვალის ტკივილი უშველოს.

10 ვინცა მულამ მერცხლის ხორცი კამოს, თვალთა სინათლესა მისცემს. ვინცა თბილი ქორის ნავლედი თვალშიგა გამოივლოს, მის დღეშიგა თვალის ტკივილი აღარ ნახოს.

ვინცა თუთუბო დანაყოს და ვარდის წყალი შეაფრქუიოს, და ისრე გამოაწუროს, და ამისი წვენი თვალშიგა ჩაიწუროს, თვალის ტკივილისათვის მწოვედ კარგია, და თვალის ტკივილსა უშველის, და თვალთა სინათლესა მისცემს.

20 დომალანი გრილი და ნედლი არის, ამისი წვენი რომე კაცმან თვალშიგა ჩაიწუროს, მწოვედ კაი არის, თვალის ტკივილს უშველის, და სინათლეს მატებს, მაგრა ეს დომალანი ხმელის ალაგისა უნდა იყოს, კორდსა და ნეხვიანსა ალაგსა მოწყუეტილი არ ვარგა.

ფისი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე ფისი გაახმოს, დანაყოს და გატრას და ნაკურცხალზედა დააყარონ, და ამა ფისისა კვამლზედა დიდსა ხანსა თვალი ზედ დაიკირონ, თვალთათვის მწოვედ კარგი არის, და თვალს მწოვედ სინათლეს მისცემს.

ვინცა ჰალილეი ქაბული სრულად დაწვას, დანაყოს და გატრას, და სურმასავითა თვალშიგა გამოივლოს, თვალთათვის მწოვედ კარგი არის. თალგმის კამა მტკივნის თვალისათვის, მწოვედ კარგი არის.

30 აგრევე კაცსა რომე სურავანდისაგან და ან სხვის სენისაგან, თავ პირი და თვალეზი გაუსივდეს და ან დაუშუბდეს, მოიტანეთ თეთრის იის თესლი დანაყეთ და ძველსა ღვინოშიგა გაურჩეთ და გაწურეთ, და თავ პირ და თვალეზ გასივებულსა, დაშვიპებულსა კაცსა ასეით და მწოვედ კარგად უზამს, სიმსივნესა და დაშვიპებასა ორსავ უშველის¹.

¹ ამ გვერდის აშიახე დედნის ხელით სწერია: „საკუირველი წამლები: თუ კაცმან მერცხლის სკინტილი ფურის რძეშიგა გააყენოს, შავსა თმაზედა შეისვას, შავი თმა გაათეთროს“. „კიდევ სხვა წამალი ვინცა თბილის გული დაწვას, დანაყოს და ზეთშიგა მოზილოს და მარტვილსა ხშირად სასულეზედა დასცბოს, თეთრი თვალეზი გაუშაუდეს, მაგრა ასეთს მარტვილს უნდა დასცბონ, რომე ჯერ 'ასულე არ გამაგრებოდეს“.

აგრევე ვისცა თვალნი გაუსიედეს და მოსისხლული ჰქონდეს, მოიტანე ნესვის ქერქი გაფქვენი და გაახმე, დანაყე და ნაკურცხალზედა დააყარე, და კაცსა თავ პირზედა და თვალებშიგა უკუამლე, და თვალის სიმსიენესა და თვალის სიწითლესა ორსაე უშველის.

და თუ არცა ამან უშველოს, მოიტანე ძაღლის ყურძენას ფოთოლი და წმიდად დანაყე, და მსივანსა ალაგზედა დაიდევ, და უსათიოდ ეს ძაღლის ყურძენა ყოვლსა სიმსიენესა დააცხრობს და გააქარებებს.

10 და ვინ იცის და ესე სურავანდი თვალსა, პირსა და კბილებშიგა ჩამოუვიდეს, მოიტანე ესევე ნესვის ქერქი, გაფქუენ და კარგად დანაყე, რომე მალამასავითა შეიქნას, და ამრიგსა სურავანდიანსა კაცსა საქორგეს წინათ შებლსა და საფეთქლებზედა შემოსდევ, სურავანდსა და ნუზლასა უსათუოდ უშველის.

კაცსა თუ თვალნი ცხლად ჰქონდეს და კიდევ უსიედეს, მოიტანე ვარდის კაქაქის ფოთოლი ან თესლი და თვალზედა დასდევ, და კიდევცა ასვით, თვალისა სიხმესა, სიცხესა, და სიმზურვალესა, და სიმსიენესა, სამსაე უშველის უსათუოდ.

20 ვინცა კურცხის ცილა და დედაკაცის რძე ერთგან აურიოს და თვალშიგა ჩაიწუროს, თვალის ტკივილი უშველოს და თვალთა სინათლე მისცეს.

ვინცა ცეცხლსა ბევრი უყუროს, თვალის ტკივილი უშველოს და თვალთა სინათლე მისცეს.

ვინცა ქინძის და მადანოსის წვენი და დედაკაცის რძე ერთად აურიოს და თვალშიგა ჩაიწუროს, ყოვლი ფერი თვალის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ოთხი დირჰამი სანანებელი და ათი დირჰამი გუნდა დანაყოს, გაცრას, და თვალშიგა ჩაიყაროს, სიწითლე და სიმსიენე ორივე უშველოს.

30 აწე ესე წამლები აქიმთა და მეცნიერთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი და სხვას წამლებშიგა გამორჩეული არის.

იძ. კარი მეთურამბა. ყოვლის ფერის ყუარის ტკივილისა, ყუარის უშილისა და ბუილისა მიზეზებასა, ნიშნებასა და ალაამათებასა და წამლებასა გამცნებას და გიამგობას.

აწე თუ ესე ყურის ტკივილის სენი და მიზეზი სიცხისა და სიმზურვალისაგან არის, ამისი მიზეზი და ალაამათი ეს არის, რომე კაცსა ყური და მისი გარეშემო გაუწითლდების და თითი რომე დაადვა, ამას შეიტყობ თუ სიცხე აქუსო, და კაცსა თავიცა მიიმედ

ექნების და ორივე საფეთქლების ძარღვები აუღებების, და ესე საფეთქლების ძარღვები ძალიანად ცემას დაუწყებს, და რა კაცმან საშა-
ედაოდ თავი წაილოს, თავი ასტიკივდების. აწე რა ესე ნიშნები
კაცზედა ნახოთ იკოლით, ყური სიცხისა და სიმბურვალისაგან სტი-
ვის და უსათიოდ თავიცა ასტიკივდების.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე მკლავი გაიხსნას და ყიფალის
ძარღვიდალმან კარგად სისხლი იდინონ, ვითამცა და მკლავის ზემო
ძარღვიდალმან კარგად სისხლი იდინოსო, მერმე მოიტანე-ორი წონა
ვარდის ზეთი და ერთი წილი ძმარი და ორივე ერთგან აურიონ, და
10 მანამდისი აღულონ, რომე სამის წილისაგან ერთი წილი ჩაიშროს
და ორი წილი დარჩეს, მერმე მოიტანე ეს წამალი და თბილი ყურ-
შიგა ჩააწვეთე, და ყურის ტკივილს უსათიოდ უშველის.

და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ქაფური და ვარდის ზეთი
და ასპიოშის¹ წყალი და სამივე ერთგან გააყენე და გაათბე და თბილ
თბილი მტკივანსა ყურშიგა ჩაწურე და ყურის ტკივილსა უსათიოდ
უშველის.

და თუ ესე წამალი არ დაგესწრას, თრიაქის შავი წყლითა
20 გააყენონ და ყურშიგა ჩაიწვეთონ, ყურის ტკივილი უსათიოდ ეშვე-
ლების.

და სანდალი ვარდის წყლითა გალესონ, და ცოტა ქაფური
ურიონ და თავზედა შემოსცხონ, რომე ტვინსა და დამალსა ძალი
მისცეს და ტვინი გაასქელოს, და ყურის ტკივილი უშველოს.

და თუ კაცი შეკურით იყოს, თემრი ჰინდისა, კერემისა და
შაპთარას შარბათი სვან, და ასეთი ხილები ჰამონ, რომე გული და
სტომაქი დაულბოს და კაცი გახსნას, და ყოვლის საფრისა და ავის
ხილთისაგან გაწმიდოს და ყუელა დაადვრევინოს. და რაცა ავი
ბუხარი კაცისა ტვინსა და დამალშიგა იყოს, ყუელა გაუგდოს და
გააქარვოს.

და თუ კაცი სტომაქ გრილად, ნედლად და გახსნით იყოს,
30 ბროწეულისა, ბიისა, ვაშლისა და სანდლის შარბათი ასვან, რომე
მუცელშიგა შეკრას და გული და სტომაქი, ტვინი და დამალი და-
აძალიანოს, და კაცმან მოისვენოს.

და ამ რიგსა ავადმყოფსა საკმელი ცოტა უნდა აქამონ, და
ღვინოს ნუ ასმევენ და ხორცსა ნუ აქმევენ, რომე ხორცის ჰამა
ყურის ტკივილსა მწოვედ აწყენს. და რაცა საკმელი აქამონ, გრილი
და მომეაო სასმელი და საკმელი ასვან და აქამონ, და ტკბილსა,

¹ ამ გვერდის ქვეშა აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ასპიოში ბარძაყა-
თუნასა ჰქვიან“.

ცხარსა და მხურვალსა, სასმელსა და საკმელსა ყუელას არიდონ, და სიქანჯუბინი წყლითა გააყენონ, გალესონ და ამა შარბათითა ხშირად პირი გამოირეცხონ.

10 თუ ეს ყურის ტკივილი სიგრილისა და ან სიცივისაგან იყოს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ყური ასტკივდეს, და ყურმან ყუილი და გამოტეხა დაუწყოს, ან ყურმან წივილი და ბუილი დაუწყოს, იცოდი რომე სიგრილისა და ქარისაგან არის. პირველ ამისმეტი წამალი არ უნდა, ან თავშეფას ბალახის შარბათი, ან იისა და ლიმოს შარბათი მულღაი მუმინითა გალესონ და სევან. და ლამ ლამით დაწოლის დროსა გულბა შაქარი, ან გვილან გვიბინი, ან იითა, ან ათრაფილი საღირითა კამონ. ხორცსა ნუ სჭამენ, ნურც ღვინოსა სმენ. ხორცის ქაშა და ღვინის სმა კაცსა ყურის ტკივილსა ორივე აწყენს. და სხვა საკმელები რაცა კამონ, ან თაფლითა და ან შაქრითა შექნან და ისრე კამონ, და უდროს დროს საკმელი არ უნდა კამონ, თეარემდა ყურის ტკივილსა მაშინვე აუგდებს.

20 ზ ა ქ ა რ ი ა შ ვ ი ლ მ ა ნ ჰ ა ქ ი მ მ ა ჰ მ ა დ თ ქ უ ა : თუ დაბადებითგან კაცსა ყური ყრუ გამოაყუაო, აღარასათვის აღარ ეშველებისო და ცუდად კაცსა ნურცა რჯით და ნურც ირჯებიითო. და თუ დაბადებითგან ყრუ არ იყოს, და ან თავ ქედობით დამართებია, ან ოფლი გასცივებია და მისგან დამართებია, და ან ყურის ტკივილი დასძველებია, მოიტანე თეთრი მალამა და იისა და ან ვარდის ზეთშიგა გამოაღნევე, და ყურ მტკივანსა კაცსა თბილ თბილი ყურშიგა ჩააწურე და ძველსა და ახალს ყურის ტკივილსა, ყუელას უშველისო.

30 ა გ რ ე ვ ე ჯ ა ლ ი ნ ო ზ ა ქ ი მ მ ა ნ თ ქ უ ა : ამრიგს ყურის ტკივილსა და ყურის ბუილისა წამალი ეს არის: მოიტანე, ერთო დირჰამი ხარბაყი და დანაყეთ და გაცერით და თაფლშიგა გამოადულონ და ამისგან ფილთა ქნან და ყურშიგა შეუღვან, და ერთსა ღამესა გათენებამდისი, შიგ უნდა ეღვას, და ეს ფილთა რომე ორსა დღესა ყურშიგა ეღვას, ისი სჯობს. რომე, რაცა კაცისა თავსა, ტვინსა და დამალშიგა ბაყლი, ხილთი და ქარი არის, ყუელას გამოსწავს და გამოიღებს და კაცსა რომე ყურის სმენის გზა დაჭირული აქუს, იმას გამოსქამს და გამოსწოვს, და კაცსა ყურის გზასა გაუხსნის.

და თუ ყურის ტკივილი ბუხრისაგან იყოს, მოიტანე ცოტაოდენი ოქრომჭედლის ბორაქი, დანაყე და ძმრით გააყენეთ და გაწურეთ, და თბილ თბილი ყურშიგა ჩააწურეთ, და ცოტასა ხანსა ისრე უნდა იყოს, და მერმე იმა მტკივანს ყურზედა დაწვეს, და ესე წამალი წამოიღვაროს და რაც კაცის ყურშიგა ბაყლი, ქარი და სენი არის, ყუელასა თან გამოიტანს, და ყურის ტკივილსაცა უშველის..

და თუ ყურის ტკივილი ძალიანად სკვრდეს, მოიტანე კანათის თესლი, დანაყე და იისა და ან ვარდის ზეთშია ამოკლიტი, და ყურმტკივანსა კაცსა ყურშია ჩააწურეთ, და ყურის ტკივილსა უშველის. და ყურშია თბილ თბილი მწარის ნუშის ზეთი ჩაიწურეთ და ყურის ტკივილსა უშველის.

და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, ასეთი წამლები და შარბათები ასეთი, ასეთი ჰაბები აქამეთ, რომე ან ოყნა უყავით, გული და სტრომაქი დაიღბონ, გახსნას და ყოვლის ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და ყურის ტკივილი და ბუილი ეშველოს.

10 თუ კაცსა ყურიდაღმან სისხლი და ან ბაყლი სდიოდეს, იცოდეთ თავშია სურავანდისა სენი ასძურია, და ამისი ნიშანი და ალამათი ის არის რომე ყურიდაღმან სისხლი და ბაყლი დაუწყებს დენასა. ამის წამალი ის არის: მოიტანე სამი ღირძამი ჯულაბი, და ერთი ღირძამი ტბილის ნუშის ზეთი, და ორივე ერთგან აურივეთ, გაათბეთ და შიგ ძველი ბამბა დაასოვლეთ და თბილ თბილი ყურშია ჩააწურეთ, და ესევე ძველი ბამბა ყურ მტკივანსა კაცსა ყურშია დასტენონ, რომე ქარი და სიცივე არ შეუვიდეს, და მაშინვე ყურის ტკივილსა გაუშვებს, და რაცა კაცისა ტვინსა და დამალშია ქარი და მანკი არის, იმასაცა ყუელასა გამოსწოვს და გამოიღებს.

20 ისაჰყ ჰაქიმმან თქუა: თუ კაცსა ყურთა დააკლდესო, თუ დაბადებითგან ყრუ არისო, აღარასათვის ეშველებისო, ცუდად ნურცა რჯით და ნურც ირჯებითო. და თუ მასუკან დამართებოდესო, შოიტანე იის ზეთი და თბილ თბილი ყურშია ჩაასხით და სრულად თავზედაცა შესცხეთ, და ყური გაეხსნებისო. და თუ არ უშველოს, პირველ თაფლწყალი გაათბეთ და თბილ თბილი ყურშია ჩაასხით, მერმე მოიტანეთ საბრი, საკმელი, ანზარუთი, მური და იქი ყარდაშყანი, რომე დემულ ახვანის უძახიან და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ და კარგად დანაყეთ და წმიდად გაცერით, და ყუელა ერთგან აურივეთ, და ერთი ბამბის ფილთა დაგრიხეთ და ეს ფილთა თაფლშია ამოავლეთ, და მერმე ამ წამლებშია გააგორვეთ, და ამრიგად ესე ფილთა ყურ მტკივანსა კაცსა ყურშია შეუდევით და გათენებამდისი შიგ უნდა ედვას, და რაცა ყურშია ან ძველი ქარი უთქს და ბაყლი, დი ან მანკი დარჩომილა ღთითა ყუელას უშველის, და უჭირველად ყუელას გამოიღებს და გაამრთელებს.

კიდევე თუ კაცსა შიგნით ყურშია რამე ებას და ჯერ არ გამორწყოდეს, მოიტანე ესევე დანაყილი წამლები, და თათლის შარბათითა გააყენეთ და ყურმტკივანსა კაცსა ყურშია ჩააწურეთ, და უსათიოდ ყურის ტკივილსა უშველის, და ქარს გამოიღებს.

აგრევე თუ კაცსა ესევე¹ ყურის ტკივილი მწოედ ძნელად და ძალიანად ჰქონდეს, ან მწოვედ გასძნელებოდეს, და მწოედ აწუხებდეს, ან ამა წამლებმა ვერ უშველოს, მოიტანე რკინის წიდა და წმიდად დანაყე და წმიდად გაცერ და მწოედ კარგსა და ცხარსა უწყლოს ძმარშიგა ჩაყარე და კარგად ამოქლულიმე და გაწურე² და ყურ მტკივანსა კაცსა თბილ თბილი ყურშიგა ჩააწვეთეთ, და რაგინდარა ძნელი და ძველი ყურის ტკივილი იყოს, ყუელას გამოსწავეს და გამრიღებს და ეს წამალი მწოედ რაცდილი არის და სხვას წამლებსა ყუელას ესე სჯობს ძალითა ღთისათა.

10 კიდევე თუ კაცსა ყურშიგა ყურბელა და ან სხვა ჭია და მატლი ჩასძრომია, და ან ესე ჭია შიგ ყურშიგა დაბადებია და ყური მისთვის სტკივის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე ყურთა აკლებს და ყური მძიმედ ექნების და ყური მუდმად ყუილსა და გატეხასა დაუწყებს და წყნარად და წყნარად ტკივილსა დაუწყებს და ყური ქაეილსა, და მატლი არის თუ ჭია. შიგ ყურშიგა ჩუჩუნსა დაუწყებს. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით კაცსა ან ჭია ჩასძრომია და ან ყურშიგა დაბადებია, დასტურ ყური მისთვის სტკივის.

20 ამისი წამალი ეს არის, რომე მოიტანე საბრი უსყური და დანაყე და რძეშიგა კარგად მოხარშე, რომე დამქლთდეს და მერმე თბილ თბილი ესე წამალი მტკივანსა ყურშიგა ჩააწურეთ, და მაშინვე ჭიას მოჰკლავს, და ეშველებს.

ან ვინცა ესე საბრი და ატმის კურკის ზეთო, ან ატმის ფოთლის წვენი ერთგან აურიოს და თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწუროს, ჭია მოკლას და ტკივილი უშველოს.

ვინც თბილ თბილი პიტნისა და ან კაპრის წვენი ყურშიგა ჩაიწუროს, თუ მატლი და ჭია უჯდეს, მოკლას და ტკივილი უშველოს, და სისხლსა და ბალღამსა გამოსწმედს³.

30 ¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.
² ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ელით სწერია: „ვისცა ყური სტკიოდეს ან ყურიდაღმა ბაყლი სდიოდეს და სისხლიცა სდიოდეს თაფლწყალი გაათბეთ და ყურშიგა ჩაასხით ტკივილს უშველის, სისხლსა და ბალღამსა გასწმედს და სიყრუეს გაუხსნის“.

³ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა ან პიტნისა, ან ატმისა, ან აბზინდასი, და ან სადაფის ფოთოლი დანაყოს და ძველის ღვინითა წამოადულოს. და თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს. თუ კაცსა ყურშიგა ჭია ასხია მოჰკლავს, სისხლსა და ბალღამსა გამოსწმედს და ტკივილსა უშველის, და თუ ეს ბალღამები ერთგან არის ისი სჯობს, თუ არა და რომელიც არის არა გავარა“.

ამავე გვერდის ზემო აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა საბრი დანაყოს და ღვინითა წამოადულოს, თუ კაცსა ჭია ასხია დაჰხოცს, ტკივილსა უშველის და სისხლი და ბაყლი მოსწმიდოს“.

ვინცა ან აბზინდასი და ან სადაფის ბალახის წვენი უჯრშიგა ჩაიწუროს, უჯრის ტკივილი უშველოს და მატლი და კია მოკლას და სისხლი და ბალღამი გამოსწმიდოს.

ვინცა ძროხის ნავღელი გვირილას ბალახის წვენითა გააყენოს და თბილი უჯრშიგა ჩაისხას, კია მოკლას და ტკივილი უშველოს, სისხლი და ბალღამი გამოსწმიდოს.

10 თუ კაცსა უჯრშიგა ცივი და ან თბილი წყალი ჩასღგომია, და უჯრი მისგან სტკივის, მისი ნიშანი ეს არის, უჯრსა აკლებს, და უჯრი წყნარად დაუწყებს ტკივილსა, და თუ ეს არ იცოდეს, თბილი წყალი ჩასღგომია თუ ცივი, ასრე უნდა, აბანოშიგა შევიდეს, თუ ცივი წყალი ჩასღგომია საღამდი აბანოშიგა არის დაუამებს და რა გამოვა ისრევე ასტკივდების. აწე თუ ცივი წყალი ჩასღგომია, ამისი წამალი ეს არის, მოიტანე ქალღლი და ფიღთად გაეკეთე, და უჯრმტკივანსა კაცსა უჯრშიგა შეუღვეით, და რაც უჯრშიგა წყალი უთქს, ეს ქალღლი დაღბების, და ყუელას გამოსწოვს, და გამოიღებს, მერმე უჯრშიგა თბილი წყალი ჩაასხით და პატარას ხანსა უჯრშიგა ბამბა დაურქვევით, და მერმე პატარას ხანს უკან იმა უჯრ წყალ ჩასხმულსა უჯრზედა დაწვეს, რომე რაცა უჯრშიგა წყალი ეღვას, ყუელა ერთგან მოგროვდეს და ყუელა ერთად გამოვიდეს. და რა ესე წყალი გამოვიდეს, მოიტანე ერბო და გაათბე და სამიოდ წვეთი ერბო უჯრშიგა ჩააწვეთეთ და უჯრის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

20 აგრევე თუ კაცსა [უჯრშიგა] თბილი წყალი ჩასღგომია, ნიშანი ეს არის, აბანოშიგა რომე შევიდეს უჯრის ტკივილს მოუმატებს. ამისი წამალი ეს არის, მოიტანე ახლად მოწველილი თბილი ფურის რძე და უჯრშიგა ჩააწვეთონ, და უჯრის ტკივილსა უშველის.

30 და თუ ამით არ ეშველოს მოიტანე კამას ბალახის კაჭკი, და ამა კაჭკაჭედა ძველი ბამბა დაახვივეთ და თბილსა ერბოშიგა ამოავლეთ და უჯრშიგა შეუღვეით და გათენებამდისი ისრე ამყოფეთ, თბილი წყალი უთქს თუ ცივი, ორსავე გამოსწოვს და გამოიღებს, და უჯრის ტკივილსა უშველის.

ვინიცის და შიგ უჯრშიგა კიღვე წყალი დარჩეს, მოიტანე ძველი ბანბა და ამისგან ფიღთა დაგრიხეთ და უჯრმტკივანსა კაცსა გათენებამდისი უჯრშიგა შეუღვეით და რაცა უჯრშიგა წყალი დარჩომილა, ეს ფიღთა ყუელას გამოსწოვს და გამოიღებს და უჯრის ტკივილს უშველის.

კიღვე თუ კაცსა უჯრი მწოვედ სტკიოდეს, ან წყალი ჩასღგომოდეს და უჯრი მწოვედ გაჰყოდეს, ან ბაყლი სღიოდეს, მოიტანე

შავის ბოლოკის წვენი და ამითა თხის ნავლელი გააყენე და გაათბე, და ყურმტკივანსა კაცსა თბილ თბილი ყურშიგა ჩააწურე, და ყურის ტკივილი ეშველებს, და წყალი უთქს თუ ბაყლი ორსავე გამოიღებს და გამოსწოვს.

ვისცა ყურიდაღმან სისხლი და ბაყლი სდიოდეს, მოიტანე წეროს ნავლელი და მწარის ნუშის ზეთი და ერთგან აურივეთ და ყურმტკივანსა კაცსა ესე ზეთი და ნავლელი თბილ თბილი ყურშიგა ჩასხით სისხლსა და ბაყლსა მოსწუყუეტს და ტკივილს უშველის ნებითა ღ'თისათა¹.

10 მურადათი არის ვითამცა და წურილი და დაცლილი წამლები, რომე ამა წამლებითა ყოვლს ფერს ყურის, ტკივილსა ყურის ბუილსა, ყურის ყუილსა და სიყრუეესა წამალი ექნების.

ვისცა ყური სტკიოდეს, მოიტანე აბზინდას ბალახი და დანაყე და ნუშის ზეთითა მახარშეთ და მანამდის ხარშეთ, რომე ესე აბზინდას ბალახი დაჩქლთეს და ძალი წაუვიდეს, და ამა აბზინდასა ბალახისა წვენშიგა ცოტა თხის ნავლელიც გაურივეთ და ყურმტკივანსა კაცსა თბილ თბილი ყურშიგა უნდა ჩაასხან და ყურის ტკივილს უსათიოდ უშველის, და ქარი უთქს თუ ბაყლი, ყუელას გამოსწოვს და გამოიღებს და სიყრუეესა და ყურის ბუილსაცა უშველის.

20 ვისცა ყურთა აკლებდეს, მოიტანე შავარდნის ნავლელი და შავის ბოლოკის წვენითა გააყენე და გაათბე და თბილ თბილი მტკივანსა ყურშიგა ჩააწურე და ტკივილსა და სიყრუეესა ორსავე უშველის.

ვინცა გელინ ჯუგის ყუაილი და ან ძირი ვითამცა და ყაყაჩო დაჯეკოს და მოხარშოს და თბილი ამისი წვენი ყურშიგა ჩააწურეთ, სიყრუეე და ყურის ტკივილი ორივე ეშველოს.

ვინცა ძმარი მოადულოს და ამის ორთქლზედა ყური ზედ დაიქიროს, სიყრუეესა და ყურის ტკივილსა და სიმძიმესა, ორსავე მწოდ კარგად უზამს.

30 ვისცა ყური ყრუდ და მძიმედ ჰქონდეს, მოიტანე კანათის თესლი, დანაყე და ამისგან ზეთი გამოჰხადე და თბილ თბილი ყურშიგა ჩაასხი, ყურის სიმძიმესა და ტკივილსა ორსავე უშველის, მაგრა ან უნდა ერთი დირჰამი იყოს და ან ორი, თვარამე ამის მეტსა კაცი ვერ გაუძლებს.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა ბატკნის ტვინი შაქრითა ჰკაშოს, უსათიოდ სიყრუეესა ეშველოს და ყური გაუხსნას“. „ვინცა რეჩანი დანაყოს და ერბოშიგა წამოადულოს და თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს სიყრუეე უშველოს და ყური გაეხსნას“.

ვინცა თბილ თბილი ახალი, ახლის ცხენის ნეხვი კაცსა ყურ-
შიგა ჩააწუროს, ყურის ტკივილი და სიყრუე ორივე უშველოს.

ვინცა პრასის წვენი გამოწუროს და ამაშიგა ცოტადენი სა-
კმელი და ვარდის ერბო და ძმარი გაურიოს და გაათბოს და თბილ
თბილი ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის ტკივილი უშველოს და ყუილი
და ბუილი გაუგდოს.

ვინცა ბოლოკის თესლი მოხალოს, დანაყოს და ერბოშიგა გა-
მოადნოს და თბილ თბილი ეს ერბო ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის
ტკივილი უშველოს და ყუილი და ბუილი გაუგდოს.

10 თუ კაცსა ყური მწოვდ უყუოდეს და უბუოდეს, მოიტანე თრი-
აქი და წყლით გალესეთ და ამისგან სამიოდე წვეთი ყურშიგა ჩაი-
წვეთონ, ყურის ტკივილსა, ბუილსა და ყუილსა სამსავე უშველის¹.

ვინცა ქიაყელა დანაყოს და იხვის ქონშიგა მოხარშოს, და
თბილ თბილი ამისი წვენი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი
ეშველოს.

ვინცა ბერის ფურის ნალეული და მწარის ნუშის ზეთი ერთგან
აურიოს და თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშ-
ველოს.

20 ვინცა ხმელი ქერამი მოხარშოს და ამისი წვენი თბილ თბილი
ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს.

ვისცა მწოვედ ყური სტკიოდეს, მოიტანე უერბოო უხა და შერე
ჩაქერ, და ცარიელის წყლითა მოადლეთ და შექაზადად ქენ, შერე
ყურმტკივანმან კაცმან ორჯელ სამჯერ დიდსა ხანსა მტკივანი ყური
ამის ორთქლზედა დაიჭიროს, და ყურის ტკივილი უსათიოდ ეშვე-
ლოს.

ვინცა ცხურის ნავლელი ბოლოკის წვენითა გააყენოს და თბილ
თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს.

30 ვინცა ბოლოკის წვენი გაათბოს და თბილ თბილი ყურშიგა
ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს, და რაც ყურშიგა ქარი უთქს
ყუელას გამოიღებს.

¹ ამ გვერდის აშინზე სწვრია დედნის ხელით: „ვინცა მოხარშული ჰარხა-
ლი ქამას, სიყრუისათვის მწოვდ კარგი არის, და თუ ესე სიყრუე დიდს
ხნისა იყოს, ვითამცა და ან ერთის წლისა და ან უფრო იყოს, მოიტანე ცერცო
და ან კანა, დაჯექვე და ქოთანში წყლითა მოხარშე; ქოთანსა პირი მოუჯლისე და
რა ნახუარზედა ჩაიჭროს მოგლესილი ნემსითა ჩახურითოს და ორთქლზედა ყუ-
რი ზედა დაიჭიროს და ეშველებს, და. თუ არ ეშველოს, ორჯერ სამჯერ ამ რიგად
უზავ და ეშველებს“. „ბახარ უჯრ კურდღლის ფსლითა წამოადლდოს და თბილ
თბილი ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის ტკივილი უშველოს, თუ სისხლი ბაყლი
უთქს მოსწმედა და გამოიღებს“. „ვინცა თუთუბო დანაყოს და კაცსა ყურშიგა
ჩააწუროს, ყურის ტკივილსა უკველის და ბაყლსა და სისხლსა ყუელას გაძოსწმედს“

ვინცა მწარის ნუშის ზეთი, ან ტკბილის ნუშის ზეთი, ან ნიგუზის ზეთი, და ან კერძის კურკის ზეთი, და ან აყიროსა, ან იისა ან ლულუფრისა, და ან ვარდის ზეთი, ამ ზეთებშიგა რომელიც იყოს გაათბეთ და კაცსა თბილი ყურშიგა ჩააწვეთეთ, და ყურის ტკივილსა ყუელა უშველის, და ბუილსა და ყუილსა ყუელას გაუგდებს.

ვინცა მრავალძარღვას წვენი ან პიტნითა, ან თოვლითა და ან წყლითა გააყენოს და თბილ თბილი ყურშიგა ჩააწუროს, ყურის ტკივილი უშველოს.

10 ვინცა ასკილის ფოთოლი დანაყოს და ყურზედ დაიდვას, ყურის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ძაღლის ყურძენას ფოთოლი წმიდად დანაყოს და მტკივანსა ყურზედა დაიდვას, ყურის ტკივილი ეშველოს. და თუ მუწუკი აბია, იმასაც უშველის.¹

მღოვკის თესლი მხურვალი და ხმელი არის, ვინცა ესე თესლი და ლელვი ერთად დანაყოს და ყურზედა დაიდვას, ყურის ტკივილი უშველოს.

20 თუთია გრილი და ხმელია, ვინცა ესე თუთია კვერცხის გულითა გააყენოს და ყურშიგა ჩაიწვეთონ, და ან ბანბითა ყურზედა დაიკრან, ყურის ტკივილი ეშველოს, და თუ ყურშიგა ჰია უზის, მოჰკლავს და გამოაგდებს.

ვინცა სადაფის ბალახის ზეთი თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილსა უშველის და ყურის ბაყლსა გამოსწმებს.

ყათრანი, ვითამცა ფიქვის დღვილიო, მხურვალი და ხმელია, ვინცა თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს, და თუ შიგნით ჰია და ან მატლი ასხია დახოცს.

ვინცა გუნდა წმიდად დანაყოს და გაცრას და იასამანის ზეთშიგა ამოქღელიმოს და ყურშიგა ჩააწუროს, ტკივილი უშველოს, და თუ ყურშიგა ჰია ასხია, დაჰხოცს.

30 ¹ ამ გვერდის ზემო აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა თბილ თბილ [თბი]სა ან ფურის რძესა ყურშიგა ჩაიწურავს, ყურის ტკივილი ეშველოს, და თუ ცოტას წვაღს გ [აურვეთ] ისი სჯობს.“ გვერდის აშიაზე სწერია: „ვინცა მელის ჰონი და შირლილინის ზეთი ერთგან გაურიოს და თბილი ყურშიგა ჩაიწუროს, ყურის ტკივილი ეშველოს“.

ქვემო აშიაზე სწერია: „ვინცა ბამბის ფილთა იასამანის ზეთშიგა ან ბოლოკის წვენიგა დაასოვლოს და გათენებამდისი ყურშიგა შეიდვას, ყურის ტკივილი ეშველოს“.

„ვინცა აყიროს ყუაეილი, ან ნედლი აყირო გამოწუროს და ყურშიგა ჩაიწვეთოს, თუ ყური სიმხურვალითა სტკიოდეს, მაშინვე ეშველოს“.

ვინცა თბილი ქათმის ქონი ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი უსათიოდ ეშველოს.

ვინცა კომბოსტოსა და ან ყაყაჩოს წვენი გაათბოს და ყურშიგა ჩაიწვეთოს, ყურის ტკივილი ეშველოს.

აგრევე თუ კაცსა შიგნით მუწუქი ებას და ყურიღალმან ან ბაყლი და ან სისხლი გამოსდიოდეს, მოიტანე ბუნაქი და ან თეთრი საკმეველი და მალამად შექენ, და გარედღალმან ყურზედა დაადევით და მწოვედ კარგად უზამს.

10 კიდევე თუ კაცსა ყურთანა სოკო გამოუვიდეს, მოიტანე მრავალძარღვა და წმიდად დანაყეთ და კარგად მარილი ურიევთ, და ამა გამოსულსა სოკოზედა დაადევ და უსათიოდ სოკოს შესქამს და უშველის და გააქარეებს ძალითა ღთისათა.

ით. კაჩი მცხარამთ. ყოვლის ფირის კბილის ტკივილინა მიუფეზგასა, ნიუნეზგასა და წამლეზგასა გაგნეზგასა და გიამგოგას

20 აწე ესე უნდა იცოდეთ როგორაცა სხვა სენი შეექნების სიციხისა და სიმხურვალისაგან და სიგრილისაგან, ისრევე ეს კბილის ტკივილი არის. აწე ამა კბილის ტკივილის მიზეზი ეს არის, რომე კაცი ბევრსა ავსა საკმელსა სქამს და ისი საკმელი კაცის გვამშიგა წახდების და დაღებების, და ყოვლი ფერი კბილის ტკივილი მისგან დემართების, და ან სურავანდისა და სისხლისაგან ასტკივდების. აწე თუ კაცსა კბილები სტკიოდეს და ეს არ იცოდეთ, სიგრილით სტკივის თუ სიმხურვალითა, მოიტანე ცივი წყალი და კბილ მტკივანსა პირშიგა უმგვიბეთ, თე ესე ცივი წყალი კბილებსა იამოს და ტკივილი დაუამოს, იცოდი, კბილები დასტურად სიმხურვალითა სტკივის, და თუ კბილები უფრო ასტკივდეს და ელყაცა დაუწყოს სიგრილითა სტკივის.

30 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, და თუ კბილები სიციხისა და სიმხურვალისაგან სტკივის და საფრისაგან, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ცივი წყალი, რომე პირშიგა უმგვიბო, იამების და ტკივილსა დაუშვებს, და გარედღალმან რომე კბილზედა ხელი დაადვა, კბილები ცხელი ჰქონდეს და პირზედა წამოკეხებით იყოს და პირიცა მოტკბოდ ჰქონდეს. რა ესე ნიშნები და ალამათები ნახოთ, იცოდით კბილები დასტურად სიციხისა და სიმხურვალისაგან სტკივის, და სისხლი თურმე სქარბობს. და თუ ესე ტკივილი ჩხულეტითა სტკიოდეს იცოდით, საფრაცა ურევი და ისრე სტკივის.

ამისი წამალი ეს არის, რომე მაშინვე კეფაზედა კოტოში მოჭკიდონ, და თუ ამ კოტოშის მოკიდებითა არ ეშველოს, და ან ტკი-

ვილმან არ გაუშვას, რომლისაცა მხრისაკენ კბილი სტკიოდეს, იპავე მხრისაკენ მკლავი გაუხსნან და ზემოსა და ან საშუალის ძარღვიდამან კარგად სისხლი ადინონ. და გასახსნელი წამლები და ჰაბები სვან და ჰამონ, ან ძალიანი შაფები აიღონ და ან ოყნა ქნან. რომე რაცა კაცისა გვამსა და სტომაქშიგა ან საფრა და ან ავი ხილთი იყოს ყუელა დააღბოს და ჩამოიღოს, და ჩამოწმიდოს, და კაცისა გვამი და¹ სტომაქი ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და ხშირად კბილზედა ან ვარდისა და ან მარსინის ზეთი წაისვან და კბილის ტკივილსა უშველის.² და თუ ამა წამლებითა ტკივილი, არ ეშველოს მოიტანე: ქაფური, ძმარი, და ვარდის წყალი და სამივე ერთგან აურიონ და ხშირად ამითა პირი გამოირეცხონ, და დიდსა ხანსა პირშიგა დაიპირონ. და თუ ესე წამლები არ იყოს, ან გრილი¹ წამლები და ან ცივი წყალი ხშირად პირშიგა იმგვიბონ და ტკივილსა ორივე უშველის.

10 და თუ არცა ამან დაუშვას, მოიტანე ერთი ღირჰამი ვარდის ზეთი და ამა ვარდის ზეთშიგა დანა მასტაქი მოადულეთ, და ამდენი აღუღონ, რომე ეს დანა მასტაქი დადნეს, და მერმე ეს დანა მასტაქი თბილ თბილი პირშიგა იმგვიბონ და მაშინვე ტკივილს დაუამებს. და თუ აღყარყარა ვითამცა და გარეული ტარხუნაო და ქაფური ერთგან აურიონ და კბილის ძირშიგა წაისვას, მწოედ კაი იქნების და
20 ტკივილს უშველის. ან ეს ქაფური და ვარდის ზეთი ერთგან გამო-
/ ლესონ და კბილზედა და ღრძილზედა წაისვან, მწოედ კბილის ტკივილს უშველის.

თუ არცა ამან უშველოს და კბილის ძირშიგა სისხლი სდიოდეს და ღრძილზედა წურბელნი უნდა მოჰკიდონ, რომე რაცა მანკი და ან ავი და ძველი სისხლი და მეტი სისხლი იყოს ყუელა გამოიღოს.

და ესეცა იცოდეთ, რაცა ფერი კბილის ტკივილი არის, ხორცის ჰამა და ღვინის სმა ყუელას აწყენს და კბილ მტკივანმა კაცმა უსათიოლ უნდა რომე ხორცი, ღვინო, მანონი, თევზი და ნესვი ეს ყუელა იფარეზოს, რომე ამ რიგის ავის საქმლისაგან ასტკივდების კაცს კბილი.

30 კიდევე თუ კბილი საფრისა და სიმზურვალისაგან სტკიოდეს და კბილის ტკივილზედა ღრძილიცა უსივდეს და ესე ტკივილი ნემსსავითა სჩხულეტდეს, მოიტანე ვარდის წყალი და ერბო ერთგან აური-

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის ქვემო აშიაზე სწერია დედნის ხელით: რვეულთა სათვალავი „იდ“ და შემდეგი გვერდის ზემო აშიაზე „იე“.

ვე და ამითა ორჯელ სამჯერ პირი გამოირეცხონ და ტკივილსა და ჩხულეტასა ორსავე უშველის. და თუ ამან არ უშველოს, მოიჯანე სარუ ჰალილა და საბრი და ორივე წმიდად დანაყეთ და გაცერით და თერმი ჰინდისა წყლითა გააყენეთ და ცოტა თეთრი შაქარი ჩაურევით და ესე წამლები ხშირად პირშიგა იმგვიბონ და კბილის ტკივილსა და ჩხულეტასა უშველის და ავსა სულსა გაუგდებს ძალითა და შეწვენითა ღთისათა.

10 თუ ესე კბილის ტკივილი სიგრილისაგან და ბალღმისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა კბილები წყნარად და წყნარად დაუწყებს ტკივილსა და ღძილები კი არ უსივდეს. და თუ კაცმან თბილი წამალი დაიდვას და ან პირშიგა თბილი წყალი იმგვიბოს, ტკივილმან და ყუილჰან ორმავ დაუშვას და დაუამოს. რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდი კბილები სიგრილისა და ბალღმისაგან სტკივის, და თუ ტკივილმან და გატეხამან მოუმატოს იცოდი, სიმხურვალისაგან არის და ამისი მიზეზი და ალამათი ეს არის, რომე, პილწი ბალღამი და ხილთები კაცსა მუცელშიგან და გვამშიგა¹ დამრავლებია და დაღობია და კბილი მისგან სტკივის.

20 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ჰაბი ყუყია ჰამონ და სტომაჰი უსათიოდ გაიხსნან, რომე კარგად ასაქმოს. და ამას უკან მოიტანე პილპილი და მკურის დღვილი და ორივე ერთად დანაყე, და ერთგან გაურევით და კბილის ძირშიგა წაუსვან, და თუ კბილი სიგრილისაგან და ბალღმისაგან სტკივის უსათიოდ უშველოს. ან შახში ხანთალი, რომე ხანთლის თესლი დანაყოს, შმრით მოადულოს და ბამბითა მტკივანსა კბილზედა დაიკრან, კბილის ტკივილს უსათიოდ უშველის.

30 მაგრა ამა სენისა უკეთესი წამალი ეს არის, რომე ასეთი გასახსნელი წამლები, შარბათები და ჰაბები ასვათ და აჰამოთ, რომე გული და სტომაჰი დაუღბოს და მუცელშიგა გახსნას და ყოვლის ბაყლისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოს და ყუელა დაალურევინოს. და ან ოყნა უყონ, რომე კაცი მწოედ გახსნას, და ესე კაცი მისქამშიგა თავისა და თვალის ტკივილისაგან, ყურისა და კბილისა ტკივილისაგან, და ყოვლისა სახსრისა და ასოსა ტკივილისაგან, და ყოვლისა ჰარისა და ავის ალავისაგან მორჩეს, და მისსა ეამშიგა ემინად და მოსვენებით იყოს.

და თუ კაცსა ამრიგის სიგრილისაგან კბილები სტკიოდეს, ასეთი ტკბილი და მჟავე საკმელი არ უნდა კაცმან ჰამოს, რომე ან

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

კბილს მიეკრას და ან ღძილი დასწევას და დაამალალოს, და ან კბილი მოჰკუეთოს. ხურმა, ლელვი, მაწონი, თევზი, ხორცი, ლენო და ძმარი და ყოვლი მკავე კბილს მწოედ აწყენს, კბილსა და ღძილსა დაამალალებს. და კბილსა და ღძილსა ესეცა აწყენს რომე კაცმან პირველად მწოედ ცხელი და ან თბილი რამე სვას და ჰამოს და მერმე ცივი წყალი დალიოს. და კბილებსა ესეცა აწყენს, რომე კბილსა და კბილებსა შუა მაგარი რამე დაიმწყუდიოს და ძალიანად კბილი მოუჭიროს და გატეხოს ან კაკალი, ან ნუში, ან თხილი, და ან ამავე რიგი რაგინდარა გასატეხი იყოს. და ან კაცი რომე მუდმად კბილებსა იკრკნიდეს, კბილებს ესე ყუელა აწყენს.

10 ვინცა კბილის ძირშიგა თრიაქი ფარიყი წაისვან, კბილის ტკივილი ეშველოს ვინცა მარილიანი ზეთის ხილი წყლით მოადულოთ და პირშიგა იმგვიბოს კბილის ტკივილი ეშველოს.

ვინცა თბილ თბილი კუერცხის გული კბილზედა დაიდვას, კბილის ტკივილი ეშველოს. ან ვინცა ალყარყარაჰა, შეითარ აჯი ჰინდი, პილპილი და ფარფიონი ეს ოთხივე დაინაყოს, ერთგ. ნ გაურნოს და კბილის ძირზედა დაიყაროს, კბილი დაამაგროს და ტკივილი ეშველოს, მწოედ დაცდილი არის.

20 ვინცა თრიაქი წყლით გააყენოს და ბამბითა კბილზედა დაიკრას, უსათიოდ კბილის ტკივილი უშველოს.

კიდევე თუ კაცსა ან სურავანდისაგან და ან სხვის მიჭირვებისაგან ცუდად და უმიზეზოდ კბილები სტკიოდეს და ღძილი კი არ უსივდეს, და ან კბილები დაშავებოდეს, იცოდით, სეედისა და სურავანდისაგან არის რომე, ავისა ხილთისა ალაფი თავსა და დამალსა შესქიდებია და სურავანდად გარდაქცევია და მისგან არის.

ასრე უნდა ამა სენსა ადრე და ჟამზედა უწამლონ რომე კაცმან ზოგი გახსნითა და ზოგი რწყევითა გული და სტომაქი გაიწმიდოს და პილწის ქარისა და ბუხრისაგან გაწმდეს, და რაცა ავი ხილთი იყოს ყუელა დაღვაროს, თვარადა კაცსა ადრე არ უწამლეს, 30 ეს სენი უფრო დასძალიანდების და მერე თავსა და ტვინსა. შემოეკიდების, და ბევრსა ავსა სენსა სხეასა აუძრავს.

აწე ამისი წამალი ეს არის: მოიტანე ჰაბი ყუყია, შეითარ აჯი ჰინდი და ფარფიონი, დანაყილი პიტნა, ალყარყარაჰა. ესე წამლები ყუელა ერთად დანაყეთ და ღძილსა და კბილზედა წაუსვით, უსათიოდ კბილის ტკივილსა და სიშავესა ორსავე უშველის. და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ზღვის ქაფი და ქაზმაზუ ვითამცა და გრავის ხილიო, და ენისუნი, ხუთ ხუთი ღირჰამი, ქაბაბი ჩინი და ჰილი სამ სამი ღირჰამი, ალყარყარა, ვითამცა და გარეული ტარხუნაო ორი

დირჰამი, ვარდის ფოთოლი და თაბაშერი ჰინდი თვითო დირჰამი და ლერწმის ბუნბული და მარილის თვალი ოც ოცი დირჰამი. ასრე უნდა ეს წამლები ყუელა დანაყოთ და წმიდად გაცრათ და თათლშიგა ამოზილოთ და კბილ შავსა და კბილ შტკიევანსა კაცსა ძალიანად წაუსვან კბილის ძირშიგა და ტკივილსა უშველის, და კბილებს დაუთეთრებს და შწოვდ ჯავარს მისცემს და კიდევ დაუშავგრებს.

კიდევ თუ კაცსა კბილები დაუშავდეს და ან ძალიანად კბილები სტკიოდეს და ან კბილსა და ღძილშიგა ავი სული უღიოდეს, მოიტანე კანაფის თესლი, წმიდად დანაყეთ და თათლშიგა ამოზილეთ და ბამბაზედა გააკარით, და ვისცა კბილები დაუშავდებოდეს, ესე წამლები შავსა კბილზედა წაუსვით და კბილებსა უსათიოდ გაუთეთრებს, აეს სულსა გაუგდებს და წყალსა ჯავარს მისცემს.

კიდევ შავის კბილის წამალი. მოიტანე ოქრომჭედლის ბორაქი და მარილი თვითო დირჰამი, დანაყეთ და გაცერით და თათლშიგა ამოზილეთ და ესე წამალი გაშავებულსა კბილებზედა ძალიანად წაუსვით და უსათიოდ კბილის სიშავეს გაუქარებებს, და კბილს დაუშავგრებს. და ესე იცოდით, კაცსა რომე კბილები დაუშავდეს, თავად სევდისა ხილთისაგან და მერმე ნედლის ხილისა და საქმლისა ჰამისაგან დაემართების. და კბილის დაძურა ბევრის ძმრისა და ბევრის მქავის ჰამითა დაემართების და მისგან დაეძერის.

აწე რა კაცსა კბილები დაუშავდეს, მისი წამალი ეს არის მოიტანე შაბი ყუყია და აქამე, რომე კაცი გახსნას და რაცა თავსა და დამალშიგა, გვამსა და სტომაქშიგა პილწი და ავი ქარი და ხილთი იყოს, ყუელა დაალბოს და მოხეთქოს, და ყუელა დაალურეგინოს, და ყუელასაგან გაწმიდოს. მერმე მოიტანე პილპილი და თოფალახი, სუმბული და მარილის თვალი და სალვის ხის ყოზალალი და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, და ყუელა ერთად დანაყე და წმიდად გაცერ და ყუელა ერთად გაურიეთ და ამა წამლებსა მუდამ ძალიანად კბილზედა წაისვემდენ და კბილსა დაამაგრებს და დაათეთრებს, და შავსა ლაქასა უსათიოდ გააქარებებს.

ვისცა ღძილი სტკიოდეს და ან ღძილიდაღმან სისხლი სდიოდეს, მოიტანე ყირმიზი ჰალილა და ბროწეულის ყუაგილი და ცოტაოდენი ზარნიხი და ეს წამლები სამივე კარგად დანაყეთ და გაცერით, და კბილის ძირშიგა წაუსვან, და უსათიოდ ღძილსა გაუმთელებს და კბილს დაამაგრებს და სისხლს მოსწყუეტს, და ამას უკანა ან ვარდისა და ან მარსინის ზეთი წაისვან და ამათისავე წყლითა ორჯერ სამჯერ პირი გამოირეცხონ და მასუკან ღძილიდაღმან სისხლს აღარ გამოადენს. და ესეცა იცოდეთ, თუ კაცსა კბილი მწოვედ დაე-

ძრა, დამაგრება მწოვედ ძნელი და არის, და კაცმან არც კი უნდა ისარჯოს.

აგრევე სხვა მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი, რომე ღძილისა ტკივილსა, და სისხლის დენასა უშველის და კბილს დაამაგრებს. მოიტანე ყირმიზი ვარდის ყუავილი და ბროწეულის ყუავილი და დანაყილი ჰალილა და ცოტაოდენი თავად ყირმიზი, თვარადა ყუითელი ზარნიხი, ეს წამლები ყუელა დანაყე და გაცერ და ერთგან აურივეთ და კბილის ძირშიგა წაისვან.

10 და თუ ამ წამლებმან ან ყოლ უკეთ უყოს, ამ წამლებითა პირიცა გამოირეცხონ და ორჯერ სამჯერ პირშიგა იბგვიბონ და უსათიოდ ღძილს გაუმთელებს და კბილს გაამაგრებს და დაათეთრებს, მაგრა ტკბილს საკმელებს უნდა ერიდონ.

კიდევ სხვა კაი წამალი, რომე ღძილიდაღმან სისხლს დასწყუეტს და ღძილის ტკივილსა უშველის: მოიტანე თუთუბო და ბროწეულის ყუავილი, გუნდა და მარსინის ფოთლის წყალი და ყირმიზის ვარდის ყუითელი, ყუავილი, ესე წამლები ყუელა დანაყეთ და ყუელა ერთად მოადუღეთ, და ამა წამლებითა პირი გამოირეცხონ და ორჯერ სამჯერ პირშიგა იმგუიბონ, კბილის ტკივილისათვის, დამაგრებისა და სისხლის დენისათვის, სამისათვისვე მწოვედ კარგი წამალი არის.

20 კიდევე თუ კაცსა კბილები დაეძრას ან სურავანდისა და ან სხვის მიჭირებისაგან, მოიტანე ზღვის ქაფი და ყალისუნი ხუთხუთი ღირჰამი, უდი და აყაყია ოროლი ღირჰამი, მარილის თვალი ერთი ღირჰამი და ქაფური ნახევარ ღირჰამი, ეს წამლები დანაყეთ და წმიდად გაცერით და ერთგან აურივეთ და დილეულ ამა წამლებითა პირი გამოირეცხოს, დაწოლის დროსა კბილის ძირშიგა წაისვან და ზედაცა დაიყარონ, და ესე წამლები კბილებსა მწოვედ გაათეთრებს, კიდევცა მწოვედ დაამაგრებს და კბილის ტკივილსაცა უსათიოდ უშველის, და ესე წამლები გულ მართლად მართალი არის და ბევრჯელ დაცდილი არის.

30 კიდევე, ვისცა კბილების დამაგრება და დათეთრება უნდოდეს მოიტანე თაბაშერი ჰინდი, ზღვის ქაფი, და სუმფერა, და ყირმიზი ვარდი ათ ათი ღირჰამი, მოხალული შაბიამანი რვა ღირჰამი, გაუხურეტელი მარგალიტი შვიდი ღირჰამი, და ქაფური ერთი ღირჰამი. ეს წამლები ყუელა დანაყეთ, გაცერით და სრულად ერთგან აურივეთ და დაწოლის დროსა კბილის ძირზედა დაიყარონ და კბილებზედა წაისვეპდენ და ამა წამლებითა კბილებსაცა გამოირეცხდენ, კბილებსა მწოვედ გაამაგრებს და დაათეთრებს, და წყალ ჯავარსა მისცემს და ეს წამლებიცა მრავალჯერ დაცდილი არის.

კიდევ სხვა მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი რომე კბილს დაამაგრებს და გაათეთრებს და ღვიძლს ამოიყვანს: მოიტანე თეთრი შაბი, სახამებელი და ნიშადური და სამივე სწორ სწორი ქენ, წმადლ დანაყე და გაცერ, და კბილის ძირშივა წაისვი, და დაწოლის დროსა კბილზედა დაიყარე, და დაძრულსა კბილსა უსათუოდ დაამაგრებს და დაათეთრებს, ეს წამალი უსათუოდ მართალი არის, და ღვიძლსაცა ამოიყვანს.

10 თუ კაცსა კბილები სტკიოდეს და კბილების დათეთრება უნდოდეს, ესე წამალი უყავით და უსათუოდ კბილებს დაამაგრებს და დაათეთრებს, და ღვიძლს ამოიყვანს, და ავსა სულსა გაუგდებს. და აგრეთვე რომე მარტილსა ენა და პირი დაჯებბრდეს, და ეს წამალი ზედ მიაყაროთ, მისთვისცა მწოვედ კარგი და ოსტატთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი არის: მოიტანე მყულის ნეკერი და პიტნა დანაყე, ამათი წყალი გამოჰხადე და თვითო ჯამი ამათი წყალი ქენ და ამივე ჯამითა საესე დანაყილი თეთრი შაბი ქენ და სამივე ერთგან აურიე და მანამდისინ აღულეთ, რომე სამის წილისაგან ორი წონა წავიდეს და ერთი წონა დარჩეს და [ამა] წამალსა კბილზედა წაისვემდენ და დაწოლის დროსა კბილზედა დაიყრიდენ.

20 მარჯუა აქიმმან თქუა: კაცსა რომე კბილები ენძრეოდეს და ან ღვიძლები მოშლოდეს, ეს წამალი მისთვის მწოვედ კარგი და ჩემგან დაცდილი არისო: მოიტანე ბროწეულის ყუვეილი, თოფალახი და ლუსმარა ეკალიო თვითო თვითო დირჰამიო, და თეთრი შაბი ნახევარი დირჰამი, და მარილის თვალი ერთი დანგი. ეს წამლები დანაყე, და გაცერ და კბილის ძირშივა დააყარე, და კბილები გამოირეცხონ, და კბილსა მწოვედ დაამაგრებს.

30 და თუ ღვიძლები მოშლოდეს, მოიტანე ჩინურის ნატეხი და ქიქის ნატეხი, მარილის თვალი და აყიყი, რთხივე სწორი ქენ, დანაყე და მწოვედ წმიდად გაცერ და კბილის ძირშივა წაისვან, და დაწოლის დროსა კბილის ძირშივა დაიყარონ, რაცა კბილისა და ღვიძლისა ელათი და მანკი არის ყუელას გამოიღებს, კბილებს დაათეთრებს, და წყალ ჯავარსა მისცემს. მეორეს დილასა ძმარი და ვარდის წყალი ერთგან აურიონ და პირი გამოირეცხონ

კიდევ კაი წამალი, რომე კბილსა დაამაგრებს და დაათეთრებს, და კბილებსა წყალ ჯავარსა მისცემს: მოიტანე კაი მარილი და ქერი სამ სამი დირჰამი და ორივე დანაყე და ექუსსა დირჰამსა თვალშივა გაურიონ და მოადულონ, და მერმე მოიტანე ლერწმის ძირი სამი დირჰამი, და ირმის რქა, და სირაქლემის კუერცხის ხეჭუჭი ოროლი დირჰამი, და ოქრომქედლის ბოჩა და ჩინურის ნატეხი თვითო დირ-

ჰამი, ესე წამლები ყუელა დანაყე და წმიდად გაცერ და ყუელა ერთ-
გან აურივეთ, და კბილზედა წაისვას, და კბილზედა დაიყაროს და
გათენებამდისი ზედ უნდა ეყაროს, კბილს მწოედ დაამაგრებს და
დაათეთრებს.

კიდევ [სხვა] ¹ წამალი რომე კბილებს დაათეთრებს და დაამაგ-
რებს და კბილის ძირს ძალას მისცემს: მოიტანე პილპილი, ბროწე-
ულის ყუავილი და ვარდის ხმელი ყუავილი და ქაზმაზუ, ვითამცა
და გრაკის ხის ხილიო, თუთუბო, გრკოს აფსკა, მარსინის ხილიო,
სინაი მაქი, ვითამცა და ფუთფუთას ხის ფოთოლიო, ესე წამლები
10 ყუელა სწორ სწორი ქენ, და წმიდად დანაყეთ, და გაცერით და კბი-
ლის ძირშიგა წაისვან, და დაწოლის დროსა კბილის ძირშიგა დაი-
ყარონ, კაია.

მა და ინი აქიმმან თქუა: კაცსა რომე ღძილები დაუსუსტდეს
და დაუზიანდესო, ეს წამალი უყავით და მაშინვე უშველისო: მოიტა-
ნე ბროწეულის ყუავილი, თეთრი შაბი, გუნდა, ყირმიზი ვარდი, თუ-
თუბო, ლუშარა ეკალი და აყაყია, თაბაშერი ჰინდი და ქაზმაზუ,
ვითამცა და გრაკის ხის ხილიო, და ესე წამლები ყუელა სწორ სწო-
რი ქენ, დანაყე, გაცერ და ყუელა ერთგან აურივე და კბილის ძირ-
შიგა წაისვით, და დაწოლის დროსა კბილის ძირშიგა დაიყარეთ, და
20 კბილს გაამაგრებს და გაათეთრებს და ღძილებს გაამთელებს.

კიდევ ყუელას მჯობი წამალი და მრავალჯერ დაცდილი: მოი-
ტანე სამი მარცვალი ხმელი ყურძენი და ბამბითა კარგა დანაყეთ,
და მტკივანს კბილზედა დაადევით, და ტკივილს უსათიოდ უშველის.

აგრევე ესე წამალი ერთი წამალი არის, რომე რაც ფერი კბი-
ლისა და ან პირის ტკივილი არის, ყუელასათვის მწოედ კარგი არის
და უსათიოდ ყუელა უშველის: მოიტანე ენისუნი სამი ღირჰამი, ხო-
ლინჯანის თესლი და თოფალაბი ოროლი ღირჰამი, კურკა გამოღე-
ბული ყურძენი, ყირმიზის ვარდის ყუითელი ყუავილი და სანელებელი
თვითო ღირჰამი და გარეული ტარხუნა, რომე სპარსნი აღყარყარას
30 უძახიან, ნახევარ ღირჰამი, ეს წამლები მოიტანე და ყუელა დანაყე
და მოადუღე და თორმეტსა ღირჰამსა თათლზედა დააწურონ და
თბილ თბილი ესე წამლები ზშირად პირშიგა იმგვიბონ, მწოვედ კარ-
გად მოუხდების.

კიდევ თუ კაცსა ჰიამან კბილი ან წაუხდინოს და ან დაუ-
ზიანოს და კბილი მისთვის სტკიოდეს, იმისი ნიშანი და აღამათი ეს
არის, რომე ან კაცსა კბილები დაუშავდეს და ან ავი სული ამოსდი-
ოდეს. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით უსათიოდ ეს

¹ აღდგენილია ვარიანტი A-ს მიხედვით.

კბილი ქიასა ან ნახევარზე შეუქამია, და ან გაუხურეცია და დასტურად კბილი მისთვის სტკივის და მისთვის გაშაგებია.

აწე მისი წამალი ეს არის, მოიტანე ყასნი და პილპილა და სამყი არაბი, და ზერან დუდ და ესე წამლები ოთხიკ კარგად დანაყეთ და წმიდად გაცერით, და ქიის ნაქამსა და მტკიენსა კბილზედა დააყარონ და ქიასაც მოჰკლავს და ტკივილსაც გაუშვებს და კბილს გაათეთრებს, და აესა სულსაცა გაუგდებს.

და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ესევე ყასნი, მთახუის ყუერი, პილპილა, სანელგებელი, თრიაქი და ჩეია, და ესე წამლები ყუელა 10 წმიდად დანაყეთ, გაცერით და თაფლითა მოზილეთ და ცოტა დღვილიცა ურივეთ, და ქიისაგან ნაქამსა კბილზედა დაადეან, და მაშინვე ტკივილს გაუშვებს, და რაცა კაცისა კბილშიგა ქირი და სენი არის ყუელას გაუშვებს, გამოსწოვს და გამოიღებს.

აგრევე ამა სენის უკეთესი წამალი ეს არის, ან ჰაბი იარა და ან ჰაბი ყუყია ასეან, რომე კაცსა გული და სტომაქი, ტვინი და დამალი ოთხივე დაუღბოს და კაცი გახსნას, და რაც კაცისა თავსა და დამალშიგა, გვამსა და სტომაქშიგა ავი ქარი და ელათი იყოს, ყუელა თავსა და დამალიდამან ჩამოიღოს და ჩამოწმიდოს, ან რაცა კაცისა გვამსა და სტომაქშიგა ავი ბაყლი და ბალღამი, ან საფრა 20 და სევდის ხილთები იყოს, ყუელასაგან გაწმიდოს და ყუელა დააღურევენოს, და კაცი მორჩეს და დახალასდეს.

და მერმე მოიტანე ალყარყარჰა, ვითამცა და გარეული ტარხუნაო, პიტნა და სათარი და ეს წამლები წმიდად დანაყე და ძმრით მოადუღონ, და ამა წამლებითა ბევრჯულე პირი გამოირეცხონ, და დიდსა ხანსა პირშიგა იმგუებონ, კარგად უზამს.

და ხშირად აბანოშიგა უნდა იბანონ, და დაწოლის დროსა გვილან გვიბინი და გვიღბა შაქარი ჰამოს, ზანჯაფილი ფარეარდა, უდი და დანამასტაკი ჰამონ, ჯავზი და ბაზბაზი ერთგან დანაყონ, ცოტა შაქარი გაურიონ და ამისგან უზმომან ორი დირჰამი ჰამონ, 30 რომე კაცსა ტვინი და დამალი გაუცხელოს და ქია დაუსუსტოს, და ხშირად ყურშიგა იასამანის ზეთი ჩაიწურონ, და საქმელად მუდამ მუხუდოს შექამადი ჰამონ და კბილია ტკივილსა უსათიოდ დაუამებს, და უშველის ძალთა ღ თისათა.

ნ უვის აქიმან თქუა: თუ კაცსა კბილი სტკიოდესო და ან ქია ასხიაო, მოიტანე პრასისა და კანაფის თესლიო და ორივე დანაყეო, და თეთრი ცვილი გაურიეო და ნაკვერცხალზედა დააყარე, და კაცმან თავ პირი ამის კუმმლზედა დაიქიროს და პირი გააღრიონს და ეს

კვამლი პირშია შეუშვას, და მაშინვე კიასა დაჰხოცს და გამოჰყრი-
სო და ტკივილს დაუამებს და უშველისო.

მასიჰ აქიმშან თქუა: თუ კაცსა კბილი სტკიოდეს, და ან ჰია
ესხასო, მოიტანე ან შავი და ან წითელი კუნელიო, კარგად დანაყე
და თაფლშია ამოზილე და კიისაგან ნაჰამს კბილზედა დაადეო და
მაშინვე კბილის ტკივილს დაუამებსო.

ვინცა სანანებელი დანაყოს და გაცრას, და ეს სანანებელი,
თაფლი და ძმარი სამივე ერთგან მოადულოს, და მანამდისი აღუღონ,
რომე კარგად მოსქელდეს და ბამბითა კიის ნაჰამსა კბილზედა დაი-
10 დვან, და კბილზედაცა შეისვან, კბილის ტკივილისათვის მწოედ
კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის.

კიდევე კიის ნაჰამის კბილისათვის ერთი უკეთესი წამალი ეს
არის, მოიტანე ერთი რკინის წინდის ჩხირი და გაახურე და რომე-
ლიცა კბილი სტკიოდეს, ღძილთანა ისი კბილი დასდაღონ. და თუ
არცა ამით ეშველოს, რომელიცა კბილი სტკიოდეს, იმა კბილისა
პილწი და ავი-ხორცი ამოსკრან და ამოფხიკონ, რომე ახალი ხორ-
ცი ამოუვიდეს და კბილი დამაგრდეს. და თუ კაცსა კბილიდაღმან
და ღძილიდაღმან ავი სული ამოსდიოდეს, ეს იცოდით კბილის
დაძვრისა და ჩაეარდნისა, პირველი თავის აღებისა ნიშანი და ალა-
20 მათი ეს არის, რომე კაცსა კბილები დაუყუითლდების და ღძილები-
დაღმან ავი სული დაუწყებს ამოდენასა, და ცოტა ძალი რომე დაე-
მართოს და ან მისკირდეს, მაშინვე კბილი ჩაეარდეს, და აღარასა-
თვის აღარ დაადგეს და ამოსტურეს.

აწე თუ ამა წამლებითა ან არ დამაგრდეს, და ან ტკივილმან
არ გაუშვას, ამა წამლებითა უგაზოდ კბილი მოაძრონ, რომე ტკივი-
ლი ვერ შეიტყოს და რა კბილი ამოაძრონ: მოიტანე მარილ წყალი
და ამა მარილ წყალშია ძველი ბამბა დაალბეთ და ამოძრობილის
კბილის ალაგი ამა მარილ წყლიანისა ბამბითა გამოუტენონ, და
ისრე დაიძინოს და გათენებამდისი შიგ უნდა ედვას, სხვასა კბილებსა
30 დაამაგრებს და ადგილიდაღმან აღარ დასძრავს, ღძილებსა შემოჰყრის
და ჩინაობასა გაუგდებს და ენასა კბილების რჯიდაღმან დააწყენა-
რებს.

აგრევე ვისცა უგაზოდ კიის ნაჰამის კბილის ამოღება უნდო-
დეს, მოიტანე ყასნი და მკუახის ლეღვის რძითა მოზილეთ და კიის
ნაჰამსა კბილზედა დაადევიო, და იმა კიის ნაჰამსა კბილსა სიცი-
ვისა და ყინვის მსგავსად დააზრობს და ამოიღებს, და ამას უნდა
უფთხილდეთ, მართალსა კბილსა არ მიხუდეს, თვარემ იმასაც
წაახდენს და ამოიღებს.

კიდევ ეოვლის წამლისაგან უკეთესი წამალი, რომე უგაზოდ კბილი ამოიღოს: მოიტანე ალყარყარა, ვითამცა და გარეული ტარხუნაო, და ოცდაათსა დღესა ცხარსა ძმარშიგა დააღბონ, რომე ცომსავით შეიქნას, მერმე ოცდაათს დღესა უკანა ძმრიდაღმან ამოიღონ და ჭიის ნაქამსა კბილზედა დაადვან და მაშინვე კბილს ამოაძრობს.

და თუ ეს წამლები შზას არ გქონდეს, მოიტანე თეთრი თუთის ფესვი. დანაყონ, და მიიხ წყალი გამოჰხადონ და ამაშიგა ბამბა დაასველონ და ბამბითა ჭიის ნაქამსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილსა ამოიღებს, ასრე უნდა მართალსა კბილსა არ მოახვედრონ, თუარემდა მთელს კბილსაცა დაღეწს და დაუზიანებს.

ვინცა დანა მასტაკი დანაყოს და წმიდად გაცრას, და ცხარს ძმარშიგა ამოზილოს, და ჭიის ნაქამსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილს დაღეწს და ნაფეთნაფეთად ამოიღებს, და რა კბილი ამოაძრონ მოიტანე მარალ წყალი, და ამა მარალ წყალშიგა ძველი ბამბა დააღბეთ და კბილის ალაგი ამა ბამბითა გამოუტენონ და გათენებამდისი ისრე ამყოფონ. სხვასა კბილებსა დაამაგრებს და ღძილებსა შემოაჭყრის და ჩიხობასა გაუგდებს.

ვინცა შინდორის ბაყაყი დაიჭიროს და მარჯუნა ფეხი მოსკრას და მტკივანსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილსა ამოაძრობს, და ამას უნდა უფრთხილდებოდენ, რომე უბრალოსა კბილსა არ მიახლონ, თუარემე იმასაც დაღეწს და წაუხდენს.

ვინცა აღმასი კბილზედა დაიდვას, კბილი ნაფეთ ნაფეთად დაამტურიოს და ამოიღოს და თუ კაცმან ჰამოს, მაშინვე ნაწლავები დაუქრას და მოკლას.

ვინცა თუთი ჩინის ყუავილი ერთსა ჭიქაშიგა ჩაყაროს, და მზეს გაუდგით და გაახმეთ, და მერმე ეს ყუავილი ამოსაღებსა კბილზედა დაიდვან, მაშინვე კბილს დააძრობს და ამოიღებს, და ამას უნდა უფრთხილდენ, მართალსა კბილსა არ მიხედეს, თუარემე იმასაც დაღეწს და ამოიღებს.

მურადათი არიხ რომე ამა წამლებითა კბილის ტკივილსა ეწამლებიხ, ვითამცა და წურილი, დაცდილი წამლები.

ვინცა ჭიყაყელა დახოცოს და სელის ზეთშიგა მოხარშოს, და თუ კაცსა კბილი მარჯუნით სტკიოდეს, მარცხენა ყურშიგა ჩააწურეთ, და თუ კბილი მარცხენით სტკიოდეს, მარჯუნანსა ყურშიგა ჩააწურეთ და კბილის. ტკივილსა უსათიოდ უშველის და გაამთელებს.

ვინცა ხმელი ყურძენი დანაყოს და ძმარშიგა მოხარშოს, და ნელთბილი ეს ყურძენი და ძმარი კაცმან პირშიგა იმგვიბოს,

კბილებს დაუთეთრებს, და თუ ეს კბილის ტკივილი სიგრილისაგან არის, იმასაცა უშველის.

ვინცა თბილ თბილი ფურის ერბო პირშიგა იმგვიბოს, კაცსა კბილებსა მწოვედ დაუთეთრებს და კბილებსა დაამაგრებს, და კაცსა პირიდალმან ავსა სულსა გაუგდებს, და ამა ერბოსა მგვიზებასა უკანა, რომე კაცმა თეთრი ცვილი ლეკოს, კბილის დამაგრებისათვის ისიცა მწოვედ კაი და მარგე არის.

10 ვინცა ქაფური და ალყარყარჭა, ვითამცა და გარეული ტარხუნაო, დანაყოს და გაცრას და ერთგან აურიოს და კბილის ძირშიგა წაისვას და ან დაიყაროს, მაშინვე კბილის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ერთის მუხუდოს ოდენი თრიაქი ვარდის ერბოთა გააყენოს, გაათბოს და ბამბაზედა გააკრას, და მტკივანსა კბილზედა დაიდვას, კბილის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

ვისცა ღძილებიდალმან ავი სული ამოსდიოდეს, კაპოეტი ბალახი და ცვილი ერთად დანაყეთ, კევსავითა ლექეთ და ღძილიდალმან ავსა სულსა გაუგდებს და შერმე შემწვარი ახალი ყუელი და შემწვარი კვერცხის გული ერთგან აურიონ, კევსავითა ლეკონ, ავსა სულსაცა გაუგდებს, და კბილებსაცა დაუთეთრებს.

20 ვინცა ერთი კბილი ნიორი შუა გააპოს და მტკივანსა კბილზედა დაიდვას, მაშინვე კბილის ტკივილი დაუამოს, ან ვინცა ესე ნიორი დანაყოს და კბილზედა დაიდვას კბილის ტკივილი დაუამოს, და თუ ქია ესხას, დახოცოს.

ვინცა საზაბის ზეთი და ან წყალი მტკივანსა კბილზედა დაიდვას და წაისვას, კბილის ტკივილი ეშველოს.

ვინცა თხის ნავლელი იის ზეთშიგა აურიოს და თბილ თბილი კბილზედა დაიდვას, კბილის ტკივილი ეშველოს.

ვინცა ტარხუნა ლეკოს და კამოს, კბილის სისხლი დასწყუიტოს.

30 შრეშის ბალახი მხურვალი და ცხარია, ვინცა ამის ძირი დანაყოს და მოხარშოს და მტკივანს კბილზედა წაისვას, კბილის ტკივილი ეშველოს.

მრავალძარღვა მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე მრავალძარღვა მოადულოს და ამისი წყალი თბილ თბილი პირშიგა იმგუიბოს, კბილის ტკივილი ეშველოს, და კაცსა ბევრსა აბოყინებს და ქარსა ამოაღებინებს.

ისაყ აქიმმა თქუა: კბილის ტკივილისათვის ამისთანა წამალი არ არისო, რომე კაცმან ფიცხლაე მკლავი გაიხსნასო, და ზემოსა ძარღვიდალმან სისხლი გამოუშვასო და ასეთი წამლები და გასახს-

ნელი შარბათები სვასო, რომე გახსნას, და ყოვლის ბალღმისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოსო, და მხურვალსა სასმელსა და საკმელსა ერიდოსო, და გრილი ყუელა კამოსო. მოიტანე ცოტა თრიაქი და ვარდის ერბოშიგა გაურივეო და ორიე ერთგან გააღწევე, და რომელსაჲცა მხარსა კაცსა კბილი სტკიოდეს, იმავე მხრისაკენ კაცსა ქურშიგა ჩააწვეთონ და კბილის ტკივილსა უსათოდ უშველის, და ასეთი გასახსნელი ჰაბები და წამლები¹ სვან და კამონო, რომე კაცი უსათოდ გახსნასო, და რაცა კაცისა გუამსა და თავშიგან მანკი და ხილთი იყოს, ყუელა გახსნას და ჩამოილოს, და თავისა და

10

კბილის ტკივილისაგან კაცი მუდმად ემინად იყოსო.
ვინცა კანაფის თესლი დანაყოს და კარგად მარილი უყოს, და ძმრითა მოადულოს, და ხშირად პირშიგა იმგვიბონ, კბილი დაათეთროს, და ტკივილი უშველოს, და სიზავე აილოს.

ჰუნან ჰაქიმმან თქუა: თუ კაცსა კბილი მწოვედ სტკიოდეს, და ძარღვებიცა ასდგომოდეს, და გასცემდესო, მაშინვე კოტოში უნდა მოიკიდოსო, რომლისაჲცა მხრისაკენ კბილი სტკიოდეს, ისივე მკლავი გაუხსნასო და ზემოსა ძარღვიდაღმან სისხლი აღინონო. და ვარდის წყალი და ძმარი ერთგან აურიოს და ბევრჯულელ პირი გამოირეცხოსო, და ან თუთუბო ვარდის წყლითა გააყენონო და ცოტა დანაყილი ქაფურიცა გაურიონ, და ბამბითა მტკივანსა კბილსა დაადვანო. და მოიტანე კიტრის ფოთოლი, და გრაკის ხის ხილი, და ორივე ძმრითა მოადულონ და ხშირად პირშიგა იმგვიბონ და მწოვედ კარგად უზამსო.

20

ვინცა თეთრი შაბი და თაფლი ძმრით მოადულოს, და ხშირად პირშიგა იმგვიბოს, ღძილებს გაუმთელებს და სისხლს დასწყუეტს და კბილებს დაამაგრებს, და დაათეთრებს ძალითა ღ თისათა.

ვინცა ასკილის ყუაველის თესლი დანაყოს და დასისხლებულს კბილსა და ღძილზედა დაიდვას, სისხლი დასწყუეტოს და გაუმთელოს.

30

ვინცა კრიკინა ძმარშიგა მოადულოს და პირშიგა იმგვიბოს, კბილის ტკივილი გაუშვას.

ვინცა ვირის ბოლოკი, ვითამცა და ტიტაო, ძმრით მონარშოს და იმისი წყალი პირშიგა იმგვიბოს, კბილის ტკივილსა უშველოს.

აგრევე ვინცა ღძილები დაულაპეს და ან ავი სული მოსდიოდეს, მოიტანე მოლოქის ბალახის ფოთოლი, და ათსა თორმეტსა დღესა დილეულ დილეულ, უზომან კევსავით ღეკონ, ღძილებსაჲცა ამოგურის და ავსა სულსაჲცა გაუგდებს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვისცა კბილი კიისაგან შექმული ჰქონდეს და მისთვის სტკიოდეს, მოიტანე ჯავშერი, რომე სპარსნი ოლლან აშსა უძახიან, და კიის ნაჭამსა კბილზედა დაიდვას, კიას მოჰკლავს და კბილის ტკივილს უშველის.

გრაკისა და ჯორის ძუისა ხეები ორივე გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე ხეები მოხარშოს და პირშიგა იმგვიბოს, კბილის ტკივილს უშველის.

10 და თუ ამავე გრაკის ხის ცილა კაცმან კევსავითა ლექოს, ისი სჯობს. ვინცა კანაფისა ფოთოლი კევსავითა ლექოს, ღძილები და კბილები ორივე¹ გაუმთელოს.

ვინცა მაყულის ფოთოლი უზმომან კევსავითა ლექოს, ღძილები გაუმთელოს და გაუმაგროს.

ვინცა ჰადრის ხის ცილა და ან ქერქი დაჯეკვოს, ძმრით მოხარშოს და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბოს, კბილისა და ღძილის ტკივილი ორივე უშველოს.

20 თოფალახი მზურვალი და ხმელი არის, კაცმან რომე ეს თოფალახი კევსავითა ცოხნოს, ან დანაყოს და ღძილზედა დაიდვას, ღძილს უსათიოდ გაუმთელებს და ამოიყვანს, კბილს დაამაგრებს და დაუთეთრებს, და ტკივილს უშველის.

ვისცა კბილები ბაყლიანი და ყუითელი ჰქონდეს, მოიტანე ზღვის ქაფი და ყუითელსა და ბაყლიანსა კბილზედა წაუსვით, ბაყლსა და სიყუითელსა ორსავე აიღებს და კბილს მწოედ დაათეთრებს.

ვინცა ქაბაბი ჩინი კევსავითა ლექოს, რაცა კბილის ძირშიგა მანკი და ელათი იყოს, ყუელა გააქარვოს, და ღძილი ამოიყუანოს, და ავი სული გაუგდოს.

30 ვინცა ზეთის ხილის ფოთოლი ისრიმითა მოხარშოს და ამთენი ხარშოს, რომე თაფლსავითა მოსქელდეს და ბამბითა კბილის ღძილზედა დაიკრას, ღვიძლს გაუმთელებს, და დამპალს ღძილს ამოიყუანს.

ვინცა კრიკინა ბამბაშიგა ჩადვას და წყალშიგა დაალბოს, და მერმე კარგად დანაყოს და მტკივანს კბილზედა დაიდვას, კბილის ტკივილი უშველოს.

და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, მოიტანე ერთი წინდის ჩხირი და კბილთანა ღძილი დასდაღე, თუ კია ასხია, იმას მოჰკლავს და ტკივილსა უშველის.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ქ. კარი მელცე. შვინა, ღაწვინა, ენისა და ახუაშინა
ტკივილინა მიწუწეგსა, ნიწნეგსა და ალაშათეგსა
გამცნეგს და გიამგოგს.

აწე ამა იგი ენის ტკივილი და სიმსივნე ბევრფერი იქნების, ზოგი ტკივილითა, ზოგი სიმსივნითა, ზოგი ქავილითა და ზოგი წვითა იქნების. აწე ამა ქირებისა მიწუწი ეს არის, რომე ამა კაცსა უსათიოდ მწოედ მზურვალი და ცხელი რამე უქამია, ან მეტის სიცხისა და სიმზურვალისაგან მეტის მეტად დამალი გაჰზურვებია, და ამა დამალის სიმზურვალისაგან სისხლი, საფრა და ავი ხილთი დამ-
10 რავლებია, და ამა ხილთებისა ალავი და ავი ქარი თავისა და დამალიდალმან ჩამოსვლია, და ენასა შემოსქიდებია, და ენა თურმე მისთვის და მისგან სტკივის, ეწვის და ჰქავის.

აწე თუ ესე ენის ტკივილი, წვა და ქავილი, სისხლისაგან არის, ამისი ნიშანი და ალაშათი ეს არის, რომე კაცსა ენა წითლადა ჰქონდეს, და ესე ენაზე გამოყრილიცა წითელი იყოს, და დაუბებრდეს და ტყავი ასტურეს, და ენასა მართლად ველარ იმარჯვებდეს, და პირის წყალი ცოტა და ტკბილი ჰქონდეს, და ენა დასწვას და მწოედ ჰქაოდეს. და მუდმად ენასა კბილითა ფხანასა დაიწყებს და კიდევ
20 და კიდევ, უფრო და უფრო აჰქავდების, და კბილები დაუსუსტდების და დაუბობდების, და რა პირშიგა თბილი წყალი ჩაიყენოს, მწოედ იამოს. აწე რა ესე ნიშნები კაცხედა ნახოთ, იცოდით, რომე სისხლისა და სისხლის სიმზურვალისაგან არის.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე მაშინვე კეფაზედა კოტოში მოჰკიდონ და მარჯუენა მკლავი გაიხსნას, და ზემოსა თავისა¹ ძარ-
ლვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, რომე ყითალის ძარღვი ჰქუიან, და ასეთი გასახსნელი წამლები, შარბათები და ჰაბები ასეან და აქამონ, რომე ხილთი დაალბოს, გახსნას და გაწმიდოს, ან ოყნაი
30 ლენინა უყონ, ვითამცა ცოტა და რბილი ოყნაო, რომე გული და სტომაქი, ტვინი და დამალი ყუელა დაუღბოს, და ყოვლი ავი ბაყ-
ლი და ავი ხილთი ყუელა დაალურვეინოს, და კაცი გაწმიდოს და დაახალასოს. და ხშირად თბილის წყლითა პირი გამოირეცხოს, და მერმე შაქარი რძით უნდა გააყენოს და ენა ამა შაქრითა დაუზილონ, და გრილი წამლები დანაყონ და წყალშიგა დაალბონ, და ენაზედა წაუსვან. და პირი ვარდის წყლითა და მჟავის რითმე გამოირეცხონ და პირშიგა იმგვიბონ. ბროწეულის ყუავილი და ან თუთუბო ძმარ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

შიგა მოხარშონ და პირი ამითა გამოირეცხონ და ბევრჯელ პირშიგა იმგვიბონ.

ამას უკან ძმარი და ან ვარდის ერბო, და ან ვარდის წყალი ერთგან აურიონ, გაათბონ და თბილ თბილი პირშიგა იმგვიბონ და ხშირად პირი გამოირეცხონ, და ამა წამლებითა ენაცა დიიზილონ.

10 თოხმაქანისა, ქასნისა, გავზაბანისა, მწარის კიტრის წყლები და ამავე რევისა გრილისა ბალახებისა წყლები გამოწურონ, და ხშირად პირშიგა იმგვიბონ, და ენაზედაცა შეიცხონ. და თუ ენა და პირი დაუბებრდეს და ტყავი ასძვრეს, მოიტანე მრავალძარღვა, დანაყე და წყალი გამოჭხადე, და რა ნივთიცა გინდოდეს, ამა მრავალ ძარღვას წყალი აიღე, და ამისივე წონა თუთუბო ქენ, და ამა თუთუბოს ნახევარი ძმარი ქენ, და ესე სამივე ერთგან აურივეთ და გაათბეთ, და ამა წყლებითა ხშირად პირი გამოირეცხონ; და პირშიგა იმგვიბონ, ენის ტკივილსა და ქავილსა ორსავე უშველის. და ამ რიგი საქმელები უნდა აკამონ: მსუქანი ქათამი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივე ლაპები, და თუ ესეები არ იყოს, კაი ცხურის ხორცი და მოხარშული ფეხები და თოხლოდ შემწვარი კუერები კამონ. და ესე ხორცები ქინძითა ან სალათათა, ან ისპანახითა შექნან, ქლიავი, კიტრი და ან აყირო ჩააქრან, და კაი კარაქი ურიონ, 20 და ისრე კამონ, და ენის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

თუ ესე ენისა ტკივილი და სიმსიენე და გამომავალი საფრისაგან არის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, ენა მოყუითანოდ ექნების და ისი გამოყრილი მუწუკიცა, მოყუითანოდ იქნების, სიციხე და ტკივილიცა ძალიანად ექნების.

ამისი წამალიცა კიდევ ისივე არის რომე, აქავ სისხლის ენის ტკივილზედა წამლები დამიწერია. ასრე უნდა, წამლითა იყოს, შარბათებითა იყოს, თუ ოყნითა ამა კაცსა საფრა დაუღბონ, და უსათიოდ ამა კაცსა სტომაქი გაუხსნან, და ყოვლის საფრისა და ხილთისაგან გაწმიდონ და ყუელა დაალურევიონ. და ხშირად ვაშლისა, 30 ან მეფის ბროწეულისა, ქასნისა და თოხმაქანის წყლებითა პირი გამოირეცხონ, და თეთრის თუთისა, ან წვენი და ან შარბათი სეან.

აგრევე თუ ენის ტყავი დაუსქდეს და ენა მისთვის სტკიოდეს, ეს იცოდით, ესეცა კიდევ სიციხისა და სიმზურვადისაგან იქნების, ამისი წამალი ეს არის: მოიტანე სიფისტანი და ბიის გული და ოსპი, ყუელა ეს სამივე დააღბონ და ცოტას წყალშიგა გაურიონ, და დააღბონ და როდისცა კარგად წვენი გამოიცეს, ეს წამლები პირშიგა იმგვიბონ.

კიდევ ერთი სისხლით სენისა ენის ტკივილი არის, რომე კაც-
 სა ენის ძირშიგა ნუშსავითა რამე გამოუვა, ამისი წამალი ეს არის,
 კეთაზედა კოტში მოჰკიდონ და მარჯვენა მკლავი გაუხსნან, და ზე-
 დათის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ. და ასეთი წამლები
 და შარბათები ასვან, და ასეთი ჰაბები აქამონ, და ან ოყნა უყონ რომე
 უსათიოდ ხილთი დაუღბოს და გახსნას და ყოვლის და ავის ხილთისა-
 გან გაწმიდოს, და იმა მუწუქზედა ასეთი რამე დასდევან, რომე ისი
 მუწუქი გააქარვოს. და მოიტანე ზუფა, მარილი, ბროწეულის ქერქი,
 ნიშადღური და შაბი, და ეს წამლები ყუელა ერთად დანაყონ და იმა
 10 მუწუქზედა დასდევან, რომე მუწუქი შექამოს და გააქარვოს. და ვინ
 იცის და ამა წამლებმან ისი მუწუქი ვერ შექამოს და ვერცა გააქარ-
 ვოს, კიდევ ამავე რიგად ძნელი, მწარე და დასალბობი წამლები დას-
 დევან, და გასახეთქი წამლები უყონ, რომე გახეთქოს და გააქარვოს.
 და თუ არცა ამა წამლებითა იქნას, ასრე უნდა გაუქრან და ისი მუ-
 წუქი ასრე გამოართვან. თვარა და ესე იცოდით, უფრო გაუძნელდე-
 ბის, და ამისი შიშიც არის, არამც ენა შესტაცოს, და ვინ იცის ამა
 მუწუქის გამოსულითა კაცი მწოვედ გააცხელოს, და ან ცოტად გა-
 აცხელოს, ამ რიგი შარბათი ასვით, ძალის ყურძენას შარბათი, მეთ-
 ვის ბროწეულისა და ან თუთბოს წვენი და ვარდის შარბათი ასვით.
 20 და ბროწეულის ქერქი, ხართუთა, ძალის ყურძენა, მარსინის ფო-
 თოლი და გრაკის ხილი, ესე წამლები ყუელა ერთად მოადუღონ და
 ამა წამლებითა პირი გამოირეცხონ ბევრჯუელ და თბილ თბილი პირ-
 შიგა იმგვიბონ. და ბროწეულის ყუავილი წმიდად დანაყონ გაცრან
 და ამა მუწუქზედა შიაყარონ, და გავზაბანისა, თოხმაქანისა, ქას-
 ნისა და შათარას წყალი სვან. ¹ აგრევე ამავე ტკივილისათვის ერთი
 კაი წამალი ეს არის: მოიტინე ბროწეულის ყუავილი რვა ღირჰამი,
 ზაფრანა ორი ღირჰამი, ქაფური და ნიშადღური თვითო ღირჰამი, ესე
 წამლები ყუელა დანაყონ, გაცრან და ამა მუწუქზედა მოაყარონ
 მწოედ კარგად მოუხდების.

30 აგრევე ერთი ენისა სენი არის სახელად მა შარა ჰქუიან, და
 ესე მაშარის სენიცა კიდევ ვარამი არის, და სისხლისა და საფრისა
 სიმხურვალისაგან შეექნების, და კაცსა თავსა და პირსა შემოეკიდების,
 და უწინ თავ პირზედა გამოაჩნდების. ხან კაცსა პირის სახესა შემო-
 ეკიდების და დაუქერს, ხან თვალებსა შემოეკიდების და თვალებსა
 დაუქირავს, რომე კაცმან თვალები ველარ აახილოს, ხან თავი და

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალავი
 „ოგ“ და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „იე“.

თვალეები ერთად გაუსივდების, და პირის სახე ყირმიზად ექნების და თავსა და ტვინსა შემოეკიდების და თავსა და ტვინშიგა რქმასა, ჩხულეტასა დაუწყებს და კაცსა ტანზედაცა გააცხელებს.

10 აწე რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით უსათიოდ, ესე სენი მაშარის სენი არის. აწე ამისი წამალი ეს არის რომე, კეფაზე- და კოტოში მოჰკიდონ, თუ ამითა არ ეშველოს მარჯვენა მკლავი გაუხსვან და ზედათის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, და კუნთებზედა კოტოში მოჰკიდონ; და ან წამლებისა და შარბათებისა სმითა, ან ჰაბებისა და მაჯუნებისა ქამითა, და ან ოყნითა გული და სტომაქი დაიღობონ, და უსათიოდ ეზპალი უყონ, რომე კაცი გახ- სნას, და ყოველის ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და ყუელა დაადგრე- ვინოს, და ქაფური ვარდის წყლითა გააყენონ და სრულად თავსა და შუბლსა და საფეთქლებზედა შემოსცხონ.

და თუ კაცსა ყელიცა გაუსივდეს და ჯირკვლებიცა ჩამოუწვეს, იცოდით უსათიოდ სისხლისა და საფრისაგან არის. ამა სენისა ნი- შანი და ალამათი კიდევ ისივე არის რომე, სისხლისა ენის ტკივილ- ზედა დაგვიწერია, კაცსა პირი წითლად და ყირმიზად ექნების, ჯირ- კვლები ჩამოუწვების და ქირკვლები და ყელი ყუელა ტკივილსა დაუ- წყებს, და მწოედ ცხელი ექნების.

20 აწე ამა სენისა წამალიცა ისივე ხელის გახსნა და კოტოშის მოკიდება ყრის. და ოცდათი დირჰამი იის შარბათი გაულესონ და ასვან. და მერე მოიტანე ან იისა და ან ვარდის შარბათი ოცდათი დირჰამი, და ათი დირჰამი ხიარ შამბარას გული, და ერთი დირჰამი ნუშის ზეთი და ესეები ყუელა კაიასა და ხამსა თაფლშიგან ამო- ზილონ, და პირის სახეზედა, ჯირკულსა და ან სადაცა სტკიოდეს, იმა ალაგსა წაუსვან და კარგად დაუზილონ. და მარსინისა, ბროწე- ულისა და ვარდის ყუაილი, რომელიცა იყოს, ძმარშიგა მოადულონ, გაწურონ და ესე წამალი პირშიგა იმგვიბონ, და უსათოდ ტკივილ- საცა უშველის, და ჯირკვლებსაცა დაუსვამს ძალითა ღთისათა.

30 თუ ესე ენისა და ყელის ტკივილი და ჯირკვლები ბალღმისა და სიგრილისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, თუ ესე მაშარის სენი და ყელისა და ენის ტკივილი სიგრილისაგან არის, კაცსა პირის ელფერი თეთრი ჰქონდეს და ენაზედა გამოსული მუწუეკიცა თეთრი იყოს, და პირის წყალი ნამეტნავად ბევრი ჰქონ- დეს. და ენაზედა გაძოჰყაროს, თუ ჯირკვლები ჩამოუსხდეს, ცოტად კიდევ სტკიოდეს. რა ესე ნიშნები [კაცზედა] ნახოთ იცოდით ენა სტკივის თუ ყელი, ორივე სიგრილისაგან არის და ბალღმისაგან.

აწე ამისი წამალი ეს არის, თუ ყელი სტკიოდეს და ჯირკუ-
ლები ჩამოუსხდს, მოიტანე ოცდაათი ღირძამი იისა და ან ვარდის
ზეთი, და ათი ღირძამი ხიარშამბარას გული, და ერთი ღირძამი
ნუშის ზეთი, და ესეები სრულად კაისა და ხამსა თაფლშიგა ამოზი-
ლეთ, და სადაცა კაცსა ან უსივდეს, და ან სტკიოდეს, და ან ჯირ-
კულები უსხდეს, იმა ალაგსა შესცხონ და კარგად დაუზილონ, და
კარგად უზამს.

10 და თუ ენა სტკიოდეს ასრე უნდა, ბალღამი ეზაპალი უყოთ,
ვითამცადა ასეთი რამე ასეთ და აქამოთ, რომე ესე კაცი უსათიოდ
მუცელშიგა გახსნათ, და ან ოყნა უყოთ, რომე კაცი უსათიოდ გახ-
ნათ, და რაც კაცისა გვამსა და სტომაქშიგა ბაყლი და ბალღამი
იყოს, ყუელა მოხეთქოს, და დაალურევინოს, და ყოელის ბაყლისა
და ხილთისაგან გაწმიდონ. და იმავე ხილთების წვენითა ხშირად¹ პი-
რი გამოირეცხონ, რომე აქავ საფრაზედა დაგვიწერია. და ყოელსა
დაწოლასა და ადგომაზედა, დილეულ უზმოსა, მხურვალი მაჯუნები
აქამონ კაია.

20 თუ ესე ენისა ტკივილი და სიმსივნე სევდისაგან არის, ამისი
ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ენა და ესე ენაზედა გამო-
ყრილი და სიმსივნე² შავი ჰქონდეს და მაგარი იყოს, და პირის
წყალიცა ცოტა ჰქონდეს და პირი გაუშრეს და ტკივილი და სიმსი-
ვნე მწოვედ და ძალიანად ჰქონდეს, რა კაცი ამ რიგად ნახოთ, იცო-
დით რომე დასტურად სევდისაგან არის, ამისი წამალი ეს არის,
რომე ესე სევდა დაუღბონ და ასეთი წამლები და შარბათები ასვან
ან ასეთი ჰაბები და მაჯუნები - აქამონ, ან ოყნა უყონ, რომე ესე
სევდა ეზაპალი უყონ, ვითამცა და ესე კაცი უსათიოდ გახსნან. და
ასეთი წამლები ასვან, რომე სამჯერ ოთხჯერ არწყევინონ, და რაცა
სევდა და ან ავი ხილთი კაცისა გვამსა და სტომაქშიგა იყოს, სრუ-
ლად ყუელა დაალურევინოს, და კაცი ემინად, და მთლად დარჩეს.

30 აწე ყოელის ფერის ენის ტკივილის თათბირი და წამალი ეს
არის რომე, რა კაცსა ენაზედა რამემან გამოჰყაროს, მოიტანე შაქარი
და შაქრის მყინვარი, თაბაშერი ჰინდი, ბროწეულის ყუავილი, თოხმა-
ქანი და ვარდის გულის ყუითელი ყუავილი, ან ვარდის ხის მწვანე
ფოთოლი, ხმელი ია და ბიის კურკის გული, აწე ესე წამლები თვითო
თვითო ღირძამი ქენ და ყუელა წმიდად დანაყეთ და გაცერით, და
მტკივანსა და აბებრებულსა ალაგსა დააყარეთ, და მერმე ამა წამ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლებითა პირი გამოურეცხეთ, და დიდსა ხანსა პირშიგა უმგვიბეთ და უსათიოდ უშველის.

აგრევე ესე უნდა იცოდეთ რომე, რაცა ან თავისა, ან თვალისა, ან ყურისა და კბილისა სენი და ტკივილი არის, უსათიოდ უფროსიერთი ვარამისა და სურავანდისაგან იქნების და ესე სენიცა სურავანდისაგან აეძურის და აუვარდების.

10 და ვარამი იმა სენსა ჰქუიან, რომე ქართველნი მჯდომსა უძახიან, და სურავანდიცა კიდევ იმავე მჯდომისაგან იქნების. და ვინიცის და ამა სურავანდმან კაცსა ენაცა შესტაცოს. მოიტანე კატუნის წელები დაქერ და დარეცხე, და ცარიელის წყლითა მართლად მოხარშე და აკაშე, და განგებითა ღთისათა, მაშინვე ენა გაეხსნების. და თუ ამავე დროსა კაცსა ენა გაუსივდეს, იცოდი ესეცა იმავე ვარამისა და მჯდომისაგან არის.

ასრე უნდა, ფიცხლავე ორივე მკლავები გაუხსნათ და ლინითა პირი გამოურეცხოთ და ღთისა შეწვევითა უსათიოდ ეშველების და აღარც კი გამოაჩნდების და კაციცა შორჩების.

კიდევე რომე კაცსა ენა შესტაცოს რამემან, და ენა დაუძმოდეს და ველარ უბნოდეს, და ან რაგინდარა ენისა სენი და პირი იყოს ან იქნების სიცხისა და სიმხურვალისაგან, ან სიგრილისა და
20 ბალღმისაგან.

აწე ენისა დაბმისა და დამძამებისა მიზეზი ბევრი იქნების, ზოგი ვარამისა და სიმხურვალისაგან, ზოგი სიგრილისა, დაკოდლილობისა და ბევრის სისხლისა, და ზოგი შიშისაგან, და ან თავსა და კეფაზედა ძალანად შემოკურისაგან, ან კაცსა რომე ენისა ძარღვი შიდაწყდეს, და ან ოფლის გაცივებისა და თასანუჯისაგან იქნების. ესე ყუელა ენის მაზიანებელი არის და ყუელა ენასა შესტაცებს.

აწე უფროსი ერთი ენისა დაბმისა მიზეზი სიმხურვალისა და ვარამისაგან იქნების, რომე ქართველნი მჯდომასა უძახიან. აწე თუ ესე ენისა დაბმა სისხლისა და საფრისაგან არის, ამისი მიზეზი და
30 აღამათი ეს არის რომე, კაცსა ასრე ენა გაუსივდეს, რომე კაცი ენასა პირშიგა ველარ იტევედეს, და ენა წითელი ჰქონდეს. და ენასა მართლად ველარ იმარჯუებდეს, და პირის წყალრცა ცოტა და ტკბილი ჰქონდეს. აწე ამისი წამალი ეს არის რომე, ფიცხლავე კოტრში მოჰკიდონ და მარჯვენა მკლავი გაუხსნან, და სრულად ზემოსა ძარღვიდალმან ზომიერი სისხლი აღინონ, ან ცოტა და რბილი ოყნა უყონ, რომე ოყნაი ლეინა ჰქუიან, და მერმე ენა ვარდის წყლითა და შეავითა რითამე დაუხილონ, ან თუთუბოთა, რომე რაცა კაცისა პირსა და ენაშიგა სენი და პირი იყოს, მისი ბუხარი და სენი

ყუელა გამორღოს, და ამა სენისა პილწი და ავი წყალი ყუელაპირი-
დალმან წამოადინოს, და რაცა კაცისა თავსა, ტვინსა და დამალშიგა
მანკი და ავი წყალი იყოს, ყუელა ჩამოიღოს.

აგრევე ერთი, ენისა დაქირვისა მიზეზი და ალამათი ეს არის
რომე, კაცსა ენა ასრე დაუსქედეს, რომე ჭამასაცა უშლიდეს. აწე ესე
ენისა დახეთქა კიდვეე სიციხისა და სიმხურვალისაგან იქნების და
დაეშართების, და ამისი ნიშანი ეს არის რომე, რასაცა კაცი მარი-
ლიანსა სკამს და მკავესა სკამს და ან სვამს, ენაცა დაეწვის და კი-
დეცა აწყენს¹.

- 10 ამისი წამალი ეს არის: მოიტანე ბარძაყათუნას ლუაბი და შა-
ქარი ჩაურივე და დიდსა ხანსა პირშიგა უმგვიბეთ და ჯავ ავი და
გრილი შარბათები სევან და ჭამონ, და ენა კიტრის წყლითა დაუზი-
ლონ და მასუკანა ან იისა, ან ვარდისა და ან ლულუფრის ზეთი შე-
სცხონ და მწოედ კარგად მოუხდების. თუ კაცსა ტანზედა არა სკი-
რდეს რა და გულსა და სტომაქზედაცა მთლად იყოს, და არცა რა და-
კოდრილობითა და სისხლის დენითა ემიზეზებოდეს, და ისრე უბრა-
ლოდ და უჩიზებოდ, ცუდად² კაცსა ენა დაეხას, და ან კაცსა ენა დაუ-
მძიმდეს, რომე საუბარსა მწოედ უშლიდეს, ამისი წამალი ეს არის: მოი-
ტანე ნიშადური, მარილი და სანანებელი, და ეს სამივე სწორ სწორი ქენ,
20 და დაჯეკე და ძმრითა მოადულე და პირშიგა უმგვიბე, და დანაყე და
წმიდათ გცერით და ამა წამლებითა ენა კარგათ დაუზილეთ, რომე რაცა
სენი და ქარი იყოს, ყუელა ჩამოიღოს და ჩამოწმიდოს. და თუ ამა
წამლებმან არ უშველოს მოიტანე ცოტაოდენი ნიშადური, პილპილი,
სანანებელი, ალყარყარჰა, ვითამცა და გარეული ტარხუნაო, უხანლუ-
ლის თესლი, რომე მარიამ საკმელსა უძახიან, კურკა გამოღებული
შავი ყურძენი და ხმელი მარხანგვიში, რომე თათარნი ბალუხ ოთს
უძახიან, ვითამცა და საგალი ბალახიო, ესე წამლები ყუელა დანა-
ყონ, და ყუელა ერთად წყლით მოადულონ და კარგად ამოკყლიტონ
და გაწურონ და ხშირად პირშიგა იმგვიბონ, და უსათიოდ ენა გაე-
30 ხსნების, და ისრე მოუხარშავი ესევე წამლები დანაყონ, გაცრან და
ენაზედა დაიყარონ, და ენა კარგად დაუზილოს, და ისრე დაწვეს და
პირი ღია დაიჭიროს, რომე მისი წყალი გარ გამოედინოს. ზირა და

¹ ამ ფურცლის გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია „და თუ ესე ენისა
დაბმა სიხპისა და სიმხურვალისაგან არის მოიტანე ვირის რძე და თაბახი ჭულ-
ბა და მოხარშულის ლედვის წყლითა ენა დაიხილოს და ორჯერ საბჯერ პირ-
შიგა იმგვიბოს, და კისრისა და ყურის ძარღვები იისა, ან ვარდისა და ლულუ-
ფრის ზეთითა კარგად დაიხილონ ღთითა უსათიოდ უშველის“.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ან ქიმუნნი დაჯექკონ, ძმრით მოადულონ და პირშიგა იმგვიბონ და ძალითა და შეწვენითა ლ'თისათა უსათუოდ ენა გაეხსნების და გაუკეთდების.

კიდევე თუ კაცსა ანაზდელად ენა დაუმძიმდეს, და საუბარსა უშლიდეს იცოდი, ესე სენი თასანუჯისაგან იქნების. აწე თასანუჯი ამას ჰქუიან რომე, კაცსა ოფლი გაუცივდეს. და ამა ოფლისა გაცივებისა, და თასანუჯისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა პირველ მწოედ გააცხელებს, მერმე ენასა შესტაცებს და დაუჭირავს. რა ამ რიგად დაემართების, კაცსა ენა მწოვედ დაუსუსტდების, და 10 პირიდალმან წყალი წაედინების, და ამა სენისა უფალსა კაცსა ამღებნი ძალი და გული არა ჰქონდეს, რომე იუბნოს.¹

აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით რომე, თასანუჯისა სენი არის და სარჯელი აღარას უშველის, ნურცა რჯით და ნულარცა ირჯებით, და თულა წამალი უყოთ ეგების სენი აღარ დასძალიანდესო.

ასრე უნდა, რა კაცი ამრიგად ნახოთ ასრე უნდა რომე, შეიღსა დღემდისინ წამალი აღარა უყოთ რა და მეშვიდეს დღესა და მას უკან რაცა ფილინჯის ქარისა ზემორ წამლები დამიწერია, ისიე წამლები ამას უნდა უყონ, და ესე სენიცა, ისიე სენი და ქარი არის, 20 რომე მუფალიჯსა უძახიან, და კაცსა ცალსა კერძოსა, მხარსა და ბარკალსა შესტაცებს, ესე ენისა დაჭირვაცა ფილენჯის ქარისაგან იქნების.

აწე თუ კაცსა ესე სენი მწოვედ ძალიანად შეეყაროს, ამისი წამალი ის არის რომე, ფიცხლაე დიდი და ძალიანი ოყნა უყონ, რომე ოყნაი ჰადა ჰქუიან, და ამა ოყნისა ქნისა წესი და რიგი, ყუელა ოყნაებისა კარშიგა სწერია.

და ესე ენისა შეხუთვა უსათიოდ თასანუჯისა ქარი არის, მაგრა უფროსი ერთსა კაცსა ესე სენი და ენისა შეხუთვა ამისთვის დაემართების რომე, კაცმან ბევრი ავი საქმელი ჰამოს, და ისი საქმელი 30 ველარ მოიღნოს, და მისი ქარი და ალავი: თავსა, დამალსა და ენასა შემოეჭიდების და კაცსა ენა დაუჭიროს.

აწე ამრიგისა თასანუჯისა ქარისაგან რომე კაცსა ენა შეეხუთოს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, ან კაცსა ენა უკუ-

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია „და თუ ესე ენისა და ბმა სიგრილისა და ბევრის რწყვევითა იქნას, მოიტანე ნიშადური, პილაილი, გარეულის ტარხუნის ძირი და მღოგვის თესლი, ოთხივ სწორი ქენ და წმიდად დანაყე და გატერ და ყოველთა დღეთა ამა წამლებითა ენა დაუხილონ და ზედა მოაყარონ და უშველის ლ'თითა“.

უდგეს და დაუმძიმდეს, და ან კაცსა ენა ასრე დაუგრძელდეს, რომე ლაპარაკსა ძნელად იტყოდეს. და კაცსა რომე საუბარი არ უნდოდეს, ენა თვითან ხლტოდეს და სარსარობდეს.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ამა წამლებითა ტვინი და დამალი გაუწმიდონ, და კაცი ამა სენისაგან მორჩეს და ემინად იყოს. მოიტანე ბაბათიას ზეთი ვითამცა და გვირილას ყუაველის ზეთი, ან ცერეცოსა და კამის ზეთი, და ორივე ერთად აურივეთ, და ამა წამლებითა ხშირად პირი გამოირეცხონ, და კეფაზედა ხშირად თბილი და მოცხო წყალი დაისხან, და ხელისახოცითა თავი მაგრად შეიკრან. და თავსა, საფეთქელსა და კეფაზედა მხურვალე ერბოები და ზეთები შეიციხონ, კაი არის.

აგრევე კაცსა ენა ამაზედაცა დაებმის რომე ან თავსა, ან საფეთქელსა და ან კეფასა ძალიანად რამე სცემოდეს, და ცოტასა ხანსა უკანა ამა მიზეზითა ენა დაებას. და ან კაცი დაკოდილი იყოს და მწოედ ბევრი სისხლი სდენოდეს, და სივრილისა და ფილენჯისა ქარბან ენა შესტაცოს. და ან მეტის შიშისაგან დაებმის კაცსა ენა.

აწე თუ ან დაკოდილობისა და სისხლისაგან და ან შიშისაგან დაებას ენა, ამისი წამალი ეს არის რომე, ისი ეარამი დაუღბონ, და ასეთი რამე ასვან და აკამონ, და ან ოყნა უყონ რომე, უსათიოდ გახსნან და სტომაქი ავისა და პილწის სისხლისაგან გაიწმიდონ, და კაცი მორჩეს.

და თუ ესე ენისა დაბმა ძალიანად ცემისაგან იყოს, ამისი წამალი არამ აქიმმან არ ვიცით და არცა სააქიმოს წიგნებშიგა გვიწერიან, და აღარცა ეშველები, ცუდად ნურცა რჯით და ნურცა ირჯებით, რომე სარჯელი ცუდი არის.

და თუ ესე ენა დაბმული კაცი მარტვილი იყოს და მისთვის ვერ უბნობდეს, და ენა გვიან ამოიდგას, დასტურად ენა ენის ძირშიგა დაბმული თურმე აქუს პატატას ძარღვითა, და ამისგან თურმე ვერ უბნობს.

ამისი წამალი ის არის რომე, ენასა ქუეშე პატატა ძარღვი რომე არის, ისი ძარღვი შიპკრან, და მერმე დანაყილი და წმიდად გაცრილი შაბი წაუსვან, და ეშველების, და ღთისა შეწვენითა უსათიოდ მარტვილი ენასა ამოიდგამს.

კიდევ ერთი ენისა დაბმისა დიდი და ძალიანი სენი ეს არის რომე, კაცსა ენისა ძარღვი ან შეაწყდეს, და ან დაუგრძელდეს და ან გაეხიოს, და ენა მისთვის დაებას და დაუდგეს. და რა რიგადცა ან ხელი და ან ფეხი საქმობს ძარღვის წყალობითა და ძალითა, ისრევე ესე ენა საქმობს ძარღვის ძალითა და წყალობითა, და რა ესე დიდი და

მთავარი ენისა ძარღვი კაცსა დაუზიანდების, უსათიოდ ენაცა დაე-
ბმის და დაუშავდების¹.

ჰა. კარი შეოცდაერთე. ყოვლის ფერის პირის ტკივილისა და
პირიდალმან ავის ხულის დენისა.

აწე თუ კაცსა პირშივა რამემან გამოჰყაროს და ან პირი დაუ-
ბებრდეს, იცოდი უსათიოდ სისლისაგან არის, და თუ პირი მწარედ
აქუს საფრისა და სიმზურვალისაგან იქნების, და თუ ესე გამოყრილი
თეთრი არის სიგრილისაგან იქნების, და თუ ისი გამოყრილი, შავი-
არის და სევდისაგან არის.

- 10 აწე ამავე ოთხისავე გვარისავე ხილთების წამალი და თათბირი
ისივე არის, რომე აქვე ზემო ენის ტკივილზედა დაგვიწერია, ის წა-
მალი იკითხეთ და ისივე წამალი ამავე პირის ტკივილსა და ამა სენსა
უყავით.

აგრევე თუ კაცსა პირდალმან ავი სული ამოსდიოდეს და ესე
ავი სული კბილისა და ან ღძილიდალმან ამოსდიოდეს, ეს იცოდით,
ესე ავის სულის დენა ან იქნების სისხლისა და სიმზურვალისაგან, და
ან სიგრილისა და ბალღმისაგან.

- აწე თუ ესე ავი სული სისხლისაგან ამოზდის, ამისი ნიშანი ეს
არის, კაცს პირი მოტკბოდ ექნების და პირშივა რომე თბილი წყა-
20 ლი ჩაიყენოს, იამების.

ამისი წამალი ის არის რომე კეთაზედა კოტოში მოჰკიდონ და
ან მარჯუნა მკლავი გაიხსნან. და თემრი ჰინდისა და შაჰთარას შარ-
ბათი სვან, და მსუქანსა ხორცსა და ტკბილსა სასმელსა და საკმელსა
ყუელასა ერიდონ. და რაც ან ჰამონ და ან სვან, ყუელა მეთვე ჰა-
მონ და მეთვე სვან. და ხორცებისაგან კაი ვარია, ხოხობი, კაკაბი,
ღურაჯი დი ამათივე ლაპები, შავი თიკანი და ცხერის ხორცი ჰამონ,
და ესე ხორცები კოწარურითა, ნარდანგითა, ისრიმითა და ან სხვის
მეთვეებითა მოხარშონ, ჰინძი და ან ქლიავი ურიონ და ისრე ჰამონ.

- და თუ საფრისაგან სკირს ამისი ნიშანი ეს არის: პირის გემო-
30 მწარე ჰქონდეს, ამისი წამლებიცა ესევე სისხლის წამლები და ამავე
რიგი საკმლები არის. ხელის გახსნის გარეთ ასეთი წამლები ასვით
და აქამეთ, რომე გახსნას და საფრა დაალურგეინოს ან ოყნა უყავით,

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია. „ვინცა კაჰკაჰისა ტვინი შა-
ქრითა მოზილოს და მარტვალსა აჰამოს, ესე მარტვილი ენა პირიანი შეიქნას, და
რაცა ან ისწავლოს და ან გაიგონოს, აღარ დაავიწყდეს“. „ვინცა ამავე კაჰკაჰისა
სისხლი გაახმოს და ვარდის წყლითა გააყენოს და კაცსა ასვას და ან აჰამოს, ისი
კაცი მუდმად ბევრსა და ცუდად უზნობდეს და ასეთსა მიედგებოდეს და მოედგებო-
დეს; რომე არ იცოდეს რას უზნობდეს“.

და სარწეველი წამლები ასევე რომე, სამჯერ, ოთხჯერ არწყევინოს. მოიტანე ძირტკბილას ძირი დაფხიკე და დაჯეკე და სიქან ჯუბინზედა დააწურეთ და ასევე, რომე არწყევინოს, და თუ რწყევა დაუგვიანოს, კიდევ ამავე რიგად ძირტკბილა მოხარშე, კიდევ სიქან ჯუბინზედა დააწურეთ და აწყა კარგა მარილი ურივეთ, და თბილ თბილი ასევე, და არწყევინებს.

ვინცა ბოლოკის წვენითა სიქან ჯუბინი და ან თათლი გალესოს და სვას, ფიცხლავ არწყევინებს.

10 ვინცა ორი ღირძიმი ჯიბილჰანგი დანაყოს, რომე სპარსნი განჯიხუნს უძახიან, ვითამცა და ბალბალუკას თესლიო და თბილის წყლითა გააყენოს და ასევე, მაშინვე არწყევინოს.

ვინცა ვარდის კაპკის თესლი დანაყოს და ღილა გაურიოს და ისრე სვას, არწყევინოს.

თუთუბო ვარდის წყლითა გააყენონ, ცოტა ქაფური ურიონ¹, და პირშიგა იმგვიბონ.

20 ვინცა თაბლი ჰინდის შარბათი და სიქან ჯუბინის შარბათი, ორივე ტკბილისა და მეავის ბროწეულის წვენითა ერთგან გალესოს და სვას, რაცა კაციცა გვამსა და ტანშიგა ავი სენი და ელათი იყოს, ყუელა გაუგდოს და უშველოს, მაგრამე მუდამ უნდა სვას. და თუ ან კიტრისა და ან თოხმაქნის წვენითა სიქანჯუბინის შარბათი გალესონ და სვან, ამა სენისათვის მწოვედ კარგი არის. და კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს და ან გულზედა კაცი ბაყლიანად იყოს, ამა წამლებმან უსათიოდ გახეთქოს და გაწმიდოს, და კაცი ყოვლის სენისა და ავის ხილთისაგან დაახალასოს. მოხალული პილპილა რომე ჰამონ ამა სენისათვის მწოვედ კაი არის. იისა, ლულუფრისა, ნარინჯისა და ვარდის შარბათები, ყუელა კარგი არის რომე სვან, და ტკბილსა და მხურვალსა სასმელსა და საკმელსა ყუელასა ერიდონ, და გრილი ყუელა ჰამონ. მაგრა ასრე უნდა, თუ საკმლის ჰამა უნდოდდეს პირველ ან ვაწლი, ან ბია და ან ნუში ღეკონ და ან ჰამოს, 30 და მასუკან საკმელი ჰამონ, ამისთვის რომე კბილსა და ღძილშიგა ესე ხილების ხორცი დარჩეს, და კბილსა და ღძილშიგა მართალი ხორცი არ დაეჯაროს, თუარადა კბილსა და ღძილსა ხორცის დაჯრა მწოვედ აწყენს. და როდისცა კაცმან ჰამოს და გაათაოს ასრე უნდა, კბილები კარგად გამოირეცხოს და გამოწმიდოს, რომე კბილსა და კბილშუა ხორცი არ დარჩეს. და გამოწმიდასა უკანა კბილებსა და ღძილზედა სუნუნი უნდა შეისვან.

¹ ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

აწე სუნუნი ამას ჰქუიან, მოიტანეთ თოფალახი და წმიდად და-
ნაყეთ და გაცერით და რეჰანის წყალშიგა დაალბეთ, მასუკან მო-
ხალონ და კიდევ დანაყონ და გაცრან, მერმე მოიტანე ამა თოფალა-
ხისაგან ათი ღირჰამი, და უდი ჰინდი და გუნდა ხუთ ხუთი ღირჰამი,
ზღვის ქაფი და მარილის თვალი სამსამი ღირჰამი, და მოხალული
მარსინის თესლი, მიხაქი, სუნბული, ჯავზი ბავა, ქაბაბაი ჩინი, ბულა
ყამუსნი და ხიარშამბარას ქერქი, ამათ ყუელასაგან ოროლი ღირჰა-
მი ქენ, და ეს წამლები ყუელა დანაყონ და გაცრან და მერმე სრუ-
ლად ერთმან ერთშიგა გაუერიონ და ამა წამლებითა მუდამ პირი და
10 კბილები გამოირეცხონ და მწოვედ კარგად უზამს, სულს გაუგდებს
და ღძილებს გაამთელებს.

და თუ ესე ავი სული სიგრილისაგან მოსდიოდეს, ამისი ნიშა-
ნი და ალამათი ეს არის რომე მუდამ კაცსა პირიდალმან ავი სული
ამოსდიოდეს, და რა კაცმან გრილი რამე ან ჰამოს და ან სვას, ავი
სული მოემატოს, და თუ მხურვალე რამე ან ჰამოს და ან სვას ავი
სული მოაკლდეს. და ამა კაცსა პირი ან მუავეთ აქუს, და ან მლა-
შეთ ექნების და უფრო დილეულ და უზმოსა.

აწე თუ ესე ავი სული კბილისა და ღძილიდალმან მოსდის, ამი-
სი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა კბილები დაუყუითლ-
20 დების. აწე ამისი წამალი ეს არის რომე, ძირტკბილას ძირი გაფხი-
კონ და დაჯექკონ, და წყლით კარგად მოხარშონ და სიქანჯუბინზე-
და დააწურონ და თბილ თბილი სვან, რომე არწყევინოს. და მარილ
წყალი გაათბონ და ისი სვან, რომე არწყევინოს და იარაჯი ფიყრა
სამჯერ, ოთხჯერ სვას რომე ოთხჯერ, ხუთჯერ ძალიანად არწყევი-
ნოს, რომე რაცა კაცისა გვამსა და სტომაქშიგა ბაყლი და ავი ხილ-
თი იყოს, ყუელა ამოაღებინოს, და კაცისა გვამი და სტომაქი პილ-
წისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოს. და მას უკანა ზანჯაფილი ფარ-
ვარდა და ათრაფილი საღირი ჰამონ, ვათამცა და წურტილის სამყუ-
რის მაჯუნიო და მხურვალე მაჯუნები ჰამონ, და დანამასტაქი და
30 ან საკმელი კევათ ღექონ, უსათუოდ გვამსა და სტომაქსა გაუწმინდს,
და ავსა სულსა გააქარვებს. აგრევე ესე წამლები სვან, რომე ამა
სენისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის, მოიტა-
ნე: შახმი ხანთალი რომე ესტამბულს მაჰმუდასა უძახიან თვითო
თვითო ღირჰამი, იარაი ფიყრა და ჰალილეი ქაბული, და ჰალილეი
ზარდ და საბრი უსყური, რომე სპარსნი აზვიის უძახიან და ენისუნი,
ამათგან თვითოსაგან ნახევარ ნახევარ ღირჰამი ქენ. და ნავთის დუდა
ღირჰამ ნახევარი ქენ, და ესე წამლები ყუელა დანაყონ და გაცრან და
თეთრის ბოლოკის წვენითა მოზილონ და ამისგან ჰაბები შექნან, და

ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს, ამა ჰაბებისაგან უზმომა ორო-
ლი ღირჰამი ჰამონ. და გრილსა სასმელსა და საქმელსა ერიდონ,
ამისთვის რომე ბალღამს გააძალიანებს და სიგრილისა ჰირსა მოუ-
მატებს, და მხურვალე საქმელი და სასმელი ყუელა არგებს, და ბალ-
ღამსა და სიგრილესა გააქარვებს, და მულამ თბილი წყალი ჰირშიგა
იმგვიბონ, კარგად უზამს. და თუ ჰირიდაღმან ავი სული არ დას-
წყდეს, იცოდი რომე ესე ავი სული კბილისა და ღძილიდაღმან არ
იქნების, თურმე ეს ავი სული გვამისა და სტომამქიდაღმან თურმე
ამოზღის.

10 ამისი წამალი ეს არის რომე ათრაფილი საღირი და ნუყუჰი,
საბრი და ავსანთინი რუმი, რომე სპარსნი თარ იავშანსა უძახიან,
ვითამცა და აბზინდას ბალახიო, და იარაჯი ფიყრა, ესე წამლები
ყუელა დანაყე და გაცერ, და ან თაფლითა მაჯუნად ქენით და ჰა-
მეთ, და ან თაფლითავე შარბათად ქენით და ვისცა უნდოდეს სვან,
ღრთისა შეწვევითა, უსათიოდ გვამიდაღმა ავსა სულსა გაუგდებს.

კიდევ ეგების ესე სენი თავისა და დამალიდაღმან ჩამოსლო-
დეს და ყელსა და სასაშიგა ჩამოუწვეს და ის აპყროლებოდეს, ამისი
წამალი ეს არის რომე, ამა წამლებისაგან ჰაბები შექნან და ჰირშიგა
დაიქირონ, ავსა სულსა გაუგდებს და სენსა გააქარვებს. მოიტანე

20 უდი და ნარინჯის ტყავი, მიხაკი და სუმბული ჰინდი და ბაზბაზი,
ამა წამლებისაგან თვითო თვითო ღირჰამი ქენ და ერთის მუხუდოს
წონა მუშკი ჩაურთე და ეს წამლები ყუელა წმიდად დანაყეთ და
გაცერით და ცერეცოს წვევითა და ან ბადაგითა მოზილონ და ამი-
სგან მუხუდოს ოდენ ოდენი ჰაბები შექნან და ჰაბებისაგან მულამ ან
ერთი და ან ორი ჰაბი ჰირშიგა დაიქირონ, მწოვედ კარგად უზამს,
და ჰირდაღმან ავსა სულსა გაუგდებს, და კაისა სულსა ამოედენს
და რაც კაცისა გვამსა და სტომამქშიგა სენი და ავი ჰირი არის, ყუე-
ლას გაუგდებს და გაუქარვებს. და ესე ავისა სულისა ღენა რომე, ბალ-
ღამისა და სიგრილისაგან სქირდეს, და ესე ჰაბები და ჯავარიში ჯა-
30 ლინოზ რომე აქამო, იმასაცა გაუგდებს.

და კიდევ ესე წამალიცა ამა სენისათვის მწოვედ კარგი და
მრავალჯერ დაცდილი არის. მოიტანე ნედლის მარსინის ფოთოლი
ექუსი ღირჰამი, სუმბული და შავი ჰალილა, თოფალახი, მიხაკი,
დანამასტაქი და ნარინჯის ქერქი, ამათგან სამ სამი ღირჰამი, და მუშ-
კი ნახევარ ღირჰამი, ესე წამლები ყუელა დანაყეთ და გაცერით, და
მოიტანეთ ხუთი ღირჰამი უკურკო ყურძენი და ამა ყურძენითა მო-
ზილონ და ყოვლსა დაწოლისა და ადგომისა დროსა თვითო ნიგუ-
ზის ოდენოდენი უზმომან ჰამოს, და კარგად ღეჰონ რომე, ამა წამ-

ლებმან კაცსა სტომაქისა და გვამიდაღმან ავი სული გაუგდოს, და გაუქარვოს, და ბალღამი გაადნოს, და სევდა დააღბოს და დაამწითოს, და სევდა და ბალღამი ორივე გააქარვოს. და ამა წამალსა და მაჯუნსა, რასაც დიდხანსა კაცი პირშიგა დაიჭირავს და ამის წყალსა ჰყლაპავს ისი სჯობს.

ფულისა ჰაქიშმან თქუა: ამა სენისა და ავისა სულისა დენისა წამალი ეს არისო, რომე ჯაეარიში, ზანჯაბილი და გვილან გვიბინი ჰამოსო. და ესევე მაჯუნენბი წყლით გალესოს და ასვასო, რომე ბევრჯეულ არწყევინოსო.

10

ასრე უნდა ესე წამლები საკმელთანა სვას და ან ჰამოსო, რომე რაც კაცისა სტომაქშიგა სენი და ავი ბუხარი იყოსო, ყუელა რწყევითა ნაჰამსმა ამოატანოსო, ვითამცა ამა სენისა უკეთესი წამალი რწყევა არისო. და ამა სენისა უფალი კაცი რასაც ბევრსა არწყევს წამალი არის. და აქვე ზემო რომე ჰაბეები სწერია იმა ჰაბეებისაგან პირშიგა დაიჭიროსო და ცხიმიანსა და გრილსა საკმელსა ერიდოსო, და რაცა ჰამონ ყუელა სანანებლითა, პილპილითა, ზაფრანითა და მხურვალის ბალახებითა გატენონ და ისრე ჰამონო. და ჰაბი საბრი და ჰაბი ყუყია და ათრაფილი სალირი, ესე სამივე ჰაბეები ხანდახან ჰამონო და უზომამან აბგამა სვასო. და ხშირად ნიახური ჰამოსო, რომე ნიახურის ხასიათი, პირისა ავის სულისა დენისათვის უცხოფერად კარგი და მრავალჯერ დაცდილი არისო, და პირისა ავის სულისა დენასა უსათიოდ გააქარვებსო.

20

კიდევ ესე ჰაბი პირისა [ავის] სულისა დენისათვის, მწოვედ კარგი და დაცდილი არის. მოიტანე უდი ჰინდი დანამასტაკი და მიხაკი და სამივე სწორ სწორი ქენ, დანაყე და გაცერ და საბაზის წყლითა მოზილეთ და ამისგან ჰაბეები შექენით, და ამა ჰაბისაგან ერთი ან ორი ხანდახან პირშიგა დაიჭირონ და კარგად ლოღონ და დიდსა ხანსა პირშიგა დაიჭირონ და ამისი წვენი ჩაყლაპონ, და როდისცა ენისა გემო გამოეცალოს იცოდი გამთელებულა. ამისი ნიშანი ეს არის, პირი მუდამ კარგსა გემოზედა ექნების, ავი სული მოაკლდების და უფრო უზმასა.

30

და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, ასრე უნდა მოიტანონ საკბილე და კბილის ძირი კარგად ამოფხიკონ, რომე ახალი ხორცი ამოვიდეს, და მაშინვე ეშველებს და ავი სული დასწყდების.

კიდევ თუ კაცსა და ან მარტვილსა, ძილშია და ან უმისოდ პირსა დორბლი და ან წყალი სდიოდეს, თუ ისი დორბლი სიმხურვალისაგან იყოს, მოიტანე ქანნი, ვითამცა ვარდის კაჰაკიო და მარლი შიყარეთ და ჰამეთ, და დორბლისა და პირის წყლას დენასა

ორსავე მოჰკვეთს და მოსწყუეტს. მაგრა ასრე უნდა, ამრიგმან პირ-
დორბლიანმან კაცმან ხანდახან კიდეცა არწყიოს, და ამას უკანა მო-
ხალული ქერი დაფქონ და ამა ქერის ფქულია უზმომან კამოს, და
დორბლი სდის თუ წყალი, უსათუოდ ორსავე უშველის.

10 და თუ ესე პირდაღმან დორბლისა და წყლის დენა სიგრილი-
საგან იყოს, ამა მოხალულსა ქერის ფქულიშიგა დანაყილი მდოგვის
თესლიცა გაურთონ და ისრე კამონ და დილასა უზმომან აბგამაც
სვან და დორბლი სდის თუ წყალი, ორსავე უშველის. და თუ არ
ეშველოს მოიტანე ბოლოკის წვენი და სიქანჯუბინი, და ან თაფლი,
გალესეთ და ასვით რომე არწყევინოს და მუდამ დანამასტაქი და
საკმელი უნდა ლეკონ, და ამითი წყალი ჩაყლაპოს, და ათრაფილის
სალირის მაჯუნი, ფალასუფას მაჯუნი, და მხურვალი მაჯუნები კამონ.
და თუ ესე დორბლი მარტვილსა სლიოდეს მოიტანე აყაყია და კარგს
ღვინოშიგა დააღბე, და პირდორბლიანსა ამა აყაყიათა და ღვინითა
პირი გამოურეცხეთ, და პირი კარგად გამოსწმიდეთ, და დორბლი
სდის თუ წყალი, ორივე უსათუოდ ეშველების და მოსწყუეტს.

20 მუფრიდათი არის ვითამცა და წურილი და დაცდილი წამ-
ლები რომე ყოვლის ფერს პირის ტკივილსა და პირისა ავის სულის
დენისა წამლებსა გამცნებს და გიანბობს.

20 ვინცა უდი ჰინდი დაწვას, დანაყოს და გაცრას და ცოტა მა-
რილი ურიოს და კბილის ძირზედა დაიყაროს, კბილი დაამაგროს,
ღძილი ამოიყუანოს და პირიდაღმან ავი სული გაუგდოს.

ვინცა ესევე უდი მარილითა დანაყოს და კამოს პირისა და გეა-
მიდაღმან ავი სული გაუგდოს და კაი სული ამოადინოს.

30 ვინცა ესე უდის მაჯუნი კამოს, ავი სული გაუგდოს და კაი
სული ამოადინოს, და გვამისა და სტომაქიდაღმან ბალღამი გაწმი-
დოს და გააქაროს, პირის წყლის დენა დასწყუიტოს, და ამა მაჯუ-
ნის კამა, ბოქუენსა და ბუშტსა მწოვედ არგებს და დააღბილებს.
მოიტანე უდი და სტაფილოსა და ნიახურის თესლები დანაყე და
მოსხოთ გაცერ, და სამი ამა წამლების წონა თაფლი მოადღუდე, ქა-
ფი მოჰხადე და რარიგადაცა მაჯუნის შექნისა წესი იყოს, ამა წამ-
ლებითა ისრე მაჯუნად შექენ, და ყოვლს დილასა უზმომან სამ სამი
ღირჰამი უნდა კამონ, და ამა სენებსა ყუელასა უშველის.

ვინც ბოლოკი დაფხიკოს და თაფლითა მოადღულოს, და მაჯუ-
ნად შექნას და კამოს, ბალღამი გააქაროს, და პირშიგა ავი წყალი
აღარ ჩამოუშვას.

ვინც ქასნი მარილითა კამოს პირიდაღმან დორბლისა და წყლის
დენა უშველოს.

ვინც თოხმაქანი ჰამოს მჟავისაგან მოკუეითილი კბილი გაამთუ-
ლოს. კოწახური და ამისიე შარბათი ღძილდაღმან სისხლის დენასა
უშველის. ¹

ვინცა გავზაბანი დანაყოს და პირმტკივანსა კაცსა, მტკივანსა
პირსა და კბილზედა დაადვას, პირისა და კბილების ტკივილი ორი-
ვე უშველოს, და ჯერ კაცისაგას მარტვილისათვის უფრო კარგია.

ვინც კრიკინა ძმრით მოადულოს და პირშიგა იმგვიბოს, პირისა
და კბილის ტკივილი უშველოს, და მუწუქსა და დაბებრებულსა ხორ-
ცსა გაამთელებს.

10 ვინც მკუხეხ ბროწეული ჰამოს, პირიდაღიან ავი სული გაუგ-
დოს, მაგრა კბილებს აწყენს.

ვინცა ძაღლის ყურძენას ყუითელი ყუაიელი დანაყოს და კბი-
ლსა და ღძილზედა დაიდვას, ღძილსა ამოიყუანს, ავსა სულსა გაუ-
გდებს და რაც ტკივილი და სიმსიენე არის, ყუელას უშველის.

ვინც ნარიჯანის ფოთოლი კეესავითა ლექოს, პირიდაღმა ავი
სული გაუგდოს.

ვინც თოფალახი კეესავითა ლექოს, პირიდაღმან ავი სული გა-
უგდოს. ვინცა აღყარყარჰა, ვითამცა და გარეული ტარხუნა, დანა-
ყოს და პირშიგა დაიჭიროს, პირის ტკივილი ეშველოს.

20 ვინცა ზეთის ხილის ფოთოლი დაჯექკოს და ძმარშიგა მოხარ-
შოს და პირშიგა იმგვიბოს, პირდაღმან ავი სული გაუგდოს.

ვინც ხმელი ყურძენი და მარსინი ერთად დანაყოს, და გუნდ-
ბად შექნას, და დაწოლისა და ადგომის დროსა, დილეულ უზმომან,
ამ გუნდებისაგან სამსამი გუნდა შექამოს, მწოვედ კარგად უზამს,
ავსა სულსაცა გაუგდეს და პირის ტკივილსაცა უშველის.

ბარანბოს ბალახის ჰამა და ან ამავე ბარანბოს ბალახის წვეინს
პირშიგა მგვიბება, პირიდაღმან ავსა სულსა გაუგდებს. ბაკლა ცერ-
ცივი რომე კაცმან ჰამოს, პირიდაღმან ავსა სულსა გაუგდებს.

30 ვინცა ცხენის წაბლი ჰამოს პირდაღმან ავსა სულსა გააქარეებს.
ძმარი ღძილებსა გაამაგრებს, პირისა და კბილის ტკივილსა უშვე-
ლის და ავსა სულსა გაუგდებს. ლიმო და ლიმოს შარბათი პირიდა-
ღმან ავსა სულსა გაუგდებს, ხურმა პირსა და კბილს ორსავე აწყენს.
ხახვი, ძილშიგა და უძილოდცა კაცსა პირსა დორბლსა და წყალსა
მოადენს. ნიგოზი კაცსა პირსა დაუბებრებს და მუწუქსა დაჰყროს,

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია - ვინცა ჰერამი და ან ქლიავი
ჰამოს და ან ამათიე შარბათები სვას, თუ ესე ავი სული გვამიდაღმან ამოსდიო-
დეს, ისი ავი სული გაუგდოს“ „ვინცა ჰაბაბა კეესავითა ლექოს, პირის ტკივილი
და ავი სული უშველოს და ღძილები ამოიყუანოს“.

და კაცსა ენასა დაუმძიმებს, და ყოველი მეთვე კაცსა კბილებსა აწყენს და მოჰკლეთს.

ვინც მრავალძარღვა დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და პირშიგა იმგვიბოს, პირისა, კბილის ტკივილი და დაბებრებული, სამივე უშველოს.

[კვ] **კარი მონაცდარკი. ხახისა, ყელის ტკივილისა და ხუნაყისა.**

აწე რარიგადცა სხვა სენი და ავად ყოფა, არის სიცხისა და სიმბურვალისაგან, ისრევე ესე ყელის ტკივილი და ხუნაყი არის სიცხისა და სიმბურვალისაგან, და სიგრილისაგან. აწე თუ კაცსა ხუნაყი გამოუვიდეს ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე კაცსა ყელი გაუსივდების და სულსა ძნელად მოიბრუნებებს და თავად კაცსა საკმელი არ მოუნდების, და რომეცა კამა მოუნდეს ვერა სკამოს, და რომეცა კამოს, ვერ ჩაყლაპავს, და რომეცა ჩაყლაპოს იმასცა ძნელად და სარჯელით ჩაყლაპავს. რა ესე ნიშანი ნახოთ იცოდით დასტურად ხუნაყი არის.

და თუ ესე ხუნაყი სისხლისა და სიმბურვილისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ენა წითელი ექნების, ყელი და ხახა მწოვედ ასტკივდების, ყელისა და საფეთქლების ძარღვები მწოვედ აუღგების და სავსე სავსედ ექნების, და თვითან კაცი მწოვდ ცხლად იქნების, და მწოვედ წყალი მოსწყურდების, და ორსავე ბექსა და ბექს შუა ტკივილსა დაუწყებს. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით დასტურად სიცხისა, სისხლისა და სიმბურვალისაგან არის.

ამისი წამალი ეს არის რომე, ფიცხლავე ენისა ძირშიგა ძარღვი გაუხსნან და კეფაზედა კოტოში მოჰკიდონ, საფეთქლები და შუბლი გაუხსნან.

და თუ ამა მცირისა სისხლისა გმოშვებითა არ ეშველოს, მარჯუნა მკლავი გაუხსნან და ზემო თავისა ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ. და მოიტანე თუთისა და ან ვარდის წყალი, და ამა თუთისა და ვარდის წყლითა ოსპი მოხარშონ და პირველსა და მეორესა დღესა ესე ოსპის წვენი თბილ თბილი¹ პირშიგა იმგვიბონ, და ორსა სამსა დღესა საკმელი არ უნდა კამოს. და იისა, ლულუფრისა გავზაბანისა, კერამისა და ან თუთის შარბათი, რომელიც იყოს ასგან, ტკივილსაცა დაუამებს და სისხლსაცა დააცხრობს. ბიის კურკა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

დაჯექონ და დააღბონ და ამისი ლუბი ასეან და ნუშის ზეთითა ჯავ ავი აქამონ.

და თუ მწოვედ მისკირდეს და წყურვილი და უწყლოობა ვერ გასძლონ, გავზაბანის წყლითა ცარიელი შაქარი გალესონ და ისრე ასეან. გრილსა სასუნებლებსა უსუნონ. ბექსა და ბექ შუა გრილი ტლეები და გრილი წამლები დაიდვან, და ნუშის ზეთითა მუმრულანი შექნან, ვითამცა და მალამა შექნანო, და ბექსა და ბექ შუა დაიდვან და უსათიოდ მაშინვე უშველის.

10 და თუ მწოვედ შეეურით იყოს და ან გულსა და სტრმაქზედა ბაყლიანად იყოს, გასახსნელი წამლები და შარბათები უნდა სევან და ჰამონ, ან ძალიანი შაფები აილონ, ან ოყნა ქნან რომე გული და სტრმაქი დაიღბონ, და უსათიოდ კაცი გახსნან, და ყოვლის ბაყლისა და ხილთისაგან გაწმდეს. მაგრა როდისცა გასახსნელი წამლები მისცეთ ზენარ ზენარ ამა გასახსნელსა წამლებშიგა მქავეს ნურას გაურევთ.

და რა ესე ხუნაყი და ყელის ტკივილი ასრე ეშველოს, რომე საქმლის კამა და კარგად ჩაყლაპვა კარგად შეეძლოს, ცომისა შექამადი და ან ისპანახისა, და ან აყიროს შექამადი შეუქნან, ნუშის ზეთი უკრიონ და აქამონ, და ან თბილ თბილი თოლხო კვერცხი აქამონ.

20 და თუ საქმელი გვიან კამონ და მწოვედ ყელს უჭირებდეს, ასრე რომე კოტოში ჰკიდონ, არ მოუტრან, საქმელისა ჩაყლაპასა მწოვედ კარგად უზამს.

და თუ ესე ხუნაყი თვითან გასქდეს, ჯულაბითა და ან თბილის წყლითა, ან ვარდისა და ან იის ზეთი გააყენეთ და ორჯელ, სამჯერ პირი გამოირეცხეთ და პირშიგაცა უმგვიბეთ.

და თუ ესე ხუნაყი რბილი იყოს, თითი დააქირონ და გაუქელიტონ, და გამოურწყონ და ისრევე ჯულაბითა, და ან თბილის წყლითა, და ვარდისა და ან იის შარბათითა, პირი გამოურეცხონ.

30 და თუ ესე ხუნაყი მართლად გამოაჩნდეს და გამოუვიდეს, ან უნდა მოჰკუეთონ და ან გაუხიონ, და ისრევე ვარდისა და ან იის ზეთითა და თბილის წყლითა პირი გამოურეცხონ.

ჯალინოზ აქიმმან თქუა: რა ხუნაყი კაცსა გამოაჩნდესო ასრე უნდა, ენასა ძირს ქუეშე რომე ძარღვი არის, ისი ძარღვი გაუხსნანო, კეთაზედა კოტოში მოჰკიდონო, საფეთქლები და ან მკლავი გაუხსნანო და ამა ლუყი რუმანითა პირი გამოურეცხოთო, და უსათიოდ ხუნაყსა უშველის.¹

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალავი #ივ^ა.

აწე ლუყი რუმანი ამასა ჰქუიან: მოიტანე ტკბილი ბროწეული და მეავე ბროწეული და შუა შუა გააპონ და ქერქითავე მოხარშონ, და მანამდისი ადულონ, რომე დადნეს, მერმე კარგად ხელითა გამოჰყლიტონ და გაწურონ, და მასუკანა მოიტანე ბროწეულის ყუავილი, შაბი და გუნდა თვითოსაგან ხუთხუთი დირჰამი ქენ, და ესე წამლები, სამივ დანაყეთ, და გაცერით, და სამივე ამა ბროწეულის წვენიშვიგა ჩაყარეთ, და ამდენი ადუღეთ რომე, მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, და მერმე ესე წამალი პირშიგა იმგვიბონ, და ხუნაყისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის, და ესე საქმელი ქამოსო რომე, ხუნაყისათვის მწოვედ კარგი, მრმვალჯერ დაცდილი არისო: მოიტანე რძე და ლეღვი და ბალღური ყარა, ვითამცა და წყაროს სუმბულიო, რომე სპარსნი ფარისიოშანს უძახიან, ძირტკბილას ძირი, ბოლოკის წვენი და ანაკეთი და ესეები ყუელა დაჯეჰკეთ და შაქრითა და ნუშის ზეთითა წამოადუღე და ისრე ქამონ, და ხუნაყსა უშველის.

მაგრა ამა ხუნაყსა მწოვედ მუცელშიგა შეკურა სდეგს, და ამას უნდა ეცადნეთ რომე, რა ამ რიგად კაცი შეკრას, ან ჰაბებიითა, ან წამლებითა, და შარბათებიითა და ცოტას ოყნითა. რომე ოყნაი ლენა ჰქუიან გახსნათ, და ყოვლის ბაყლისა და ხილთისაგან გასწმიდოთ, კაცსა მწოვედ კარგად მოუხდებას. და ასრე უნდა თავად ყოვლსა ავად მყოფსა და მერმე უფრო ამა სენისა უფალსა ხშირად ფეხები ამა საბანლითა დაბანოთ: მოიტანე ლერწმის ძირი და ან ფოთოლი დაქერ და კარგად მოხარშე და გაანელთბილე, მოიტანე ანაკუეთი, მარილი და წივის ნაცარი და ესეცა ამა ლერწმის წყალშიგა ჩაყარონ, და ორივე ფეხები ამა ლერწმის წყლითა და ამა წამლებითა დაბანონ, და ფეხებზედა ფეხის ქუა წაუსვან. ხელები და ფეხები ორივე ამა წამლებითა კარგად დაუზილონ და ერთსა, და ან ორსა ეამსა ფეხები ამა წამლებშიგა ჩაუდვან და ისრე ამყოფონ. და ხელებიცა ამავე წამლებითა დაიბანონ და ხელნი და ფეხნი ორივე კარგად დაუზილონ. და ასეთ რაჲმე, აქამოთ რამე, თუ დაბანოთ და ან შემოსდვათ, ყუელა ასრე უნდა, თბილ თბილი უყოთ.

და თუ ტკივილი მწოვედ ძალიანად იყოს, მოიტანე თბილი რძე და ხიარ შამბარას გული, და ერთგან გამოჰყლიტე და პირშიგა იმგვიბოს მწოვედ კარგი არის, ტკივილსა და ხუნაყსა ორსავე უშველის¹.

¹ ამ გვერდის ზემო აშიაზე დედნის ხელით რვეულთა სათვალავი სწერია "იზ".

და რა ესე წამლები უყოთ, მოიტანეთ მეორეს დღესა კინძის წყალი, ხმელი ყირმიზი ვარდი, ძაღლის ყურძენა და შინაურის იის ძირი, ესეები ასრე უნდა წყლით მოადულონ, გამოქყლიტონ და გაწურონ და ხიარშამბარას გულიცა ამა წამლებშიგან გამოქყლიტონ და თბილ თბილი პირშიგა იმგვიბონ, მწოვედ კაია.

და თუ კაცს ყელი მწოვედ გაუსივდეს, მოიტანე ბარიაყუ და მტკივანსა და მსივანსა ყელზედა გარედალმან თბილ თბილი შემოსდვან, მაშინვე სიმსივნესა მოჰკლავს და გააქარევს.

10 ვინცა თბილ თბილი ნუშის ზეთი პირშიგა იმგვიბოს, უსათი-
ოდ ხუნაყი გახეთქოს და გამორწყოს.

ან ვინცა ამავე ნუშის ზეთშიგა კვერცხი ამოთქუიფოს და თბილ თბილი პირშიგა იმგვიბოს, ხუნაყისათვის მწოვედ კარგი და მრავალ-
ჯერ დაცდილი არის.

თუ ესე სენი, ტკივილი და ხუნაყი სიგრილისა და ბალღმისა-
გან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, თვითან კაცი ტანზედა გრილად და ცივად იქნების და ტკივილიცა ცოტა ექნების, და პირის წყალი ბევრი ექნების, რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით რომე, ესე ტკივილი და ხუნაყი დასტურად ბალღმისაგან და სიგრილისაგან არის.

20 აწე ამისი წამალი ეს არის მოიტანე გვირილას ყუაველი, ცე-
რეცო, აქლილუმულუქი, ვითამცა და ყუავის ჯანგას ბალახიო და კანათის თესლი, ესე წამლები ოთხივე ერთად დანაყეთ, მოხარზე და კარგად ამოქყლიტე და ამა წამლებისა წყლითა ბევრჯულელ პირი გამოირეცხონ და პირშიგა იმგვიბონ, და ესე ნახარში წამლები რომე გამოქყლიტო და გამოილო, თბილ თბილი ბექსა და ბექ შუა დასდვან და მტკივანი ალაგები კარგად დაუზილონ, და ყელსა და მტკივანსა ალაგებსა, მხურვალი ზეთები შემოსცხონ. და თუ ამ რიგი ზეთები არ დაგესწრას მხურვალი და თბილ თბილი წამლები და ტლევები დასდვან, და ესე წამლები ცეცხლის სითბოსთანა უნდა შესცხონ და
30 დასდვან.

და რაცა ან დასდვან და ან შესცხონ, და პირშიგა იმგვიბონ, ყუელა თბილ თბილი უნდა იყოს. და თუ ამან არ უშველოს თაბალი ჰულბათა პირი უნდა გამოირეცხონ, ორჯერ სამჯერ, და პირშიგა იმგვიბონ.

აწე თაბალი ჰულბა. ამას ჰქუიან: მოიტანე ლელვი და მკავე სა-
ფუარი, და მოდუღებული ღვინო, და ერბო და ეს ოთხივე ერთად მოადუღე და ესე წამალი თბილ თბილი პირშიგა იმგვიბოს, და თა-
ბალი ჰულბა იქნების და ხუნაყსა მწოედ კარგად უზამს, და ხუნაყსა

უსათუოდ უშველის, და ესე წამალი ამა ხუნაყისათვის მწოვედ დაც-
დილი არის.

და როდისცა კაცსა ესე ხუნაყი გამოერწყოს და ბაყლი გამო-
ედინოს, თბილის წყლითა, იისა და ვარდის ზეთი გააყენონ და პირ-
შიგა უმგვიბონ, და ესე წამლები გულ მართლად მართალი და მრავალჯერ დაცდილი არის. და ამას უკანა თუთუბოთა, კოწახურითა, მოცხარითა, ლიმოთა და ამ რიგის შემკრავის წამლებითა ორჯერ, სამჯერ პირი უნდა გამოირეცხონ და თუთისა და ან ლიმოსა შარბათი, ცერეცოსა და ან კამის წვენითა გალესონ, და ისრე ასეან, მწოვედ კარგად უზამს, და ხუნაყსა უსათუოდ უშველის. მხურვალე შარბათეები სეან, მხურვალე ტლეეი შეაოიდეან, მხურვალსა სასუნებლებსა უსუნონ. და ამრიგი საქმლები უნდა აქამოთ: მოიტანე თავად ქერის ანაკუეთი, თვარამდა ხვარბლისა ანაკუეთი და წყალშიგა დაალბონ და გამოწურონ, მოაღულონ და მოხარშონ, და ამაშიგა კარგად შაქარი გაურიონ და ჭამონ, ამა სენსა და ხუნაყსა მწოვედ კარგად უზამს, და უშველის ღთითა.

აგრევე ვინცა ესე წამლები დანაყოს და ყელ მტკივანსა კაცსა ყელშიგა ჩაბეროს და ხახაშიგა, უსათიოდ უშველის. მოიტანე ცხენის წაბლი თორმეტი დირჰამი, ია და ბროწეულის ყუავილი ექუს ექუსი დირჰამი, გუნდა და ბროწეულის ქერქი ოროლი დირჰამი, ესე წამლები ყულა დანაყეთ და გაცერით და ლერწმის მასრითა ხახაში ჩაუყარონ, და ასრე რიგად ჩაბერონ, რომე წამალი ხახაშიგა ჩაუედეს, და ყელის ტკივილსა უსათიოდ უშველის და გააქარევეს.

თუ ესე ყელის ტკივილი და ხუნაყი კაცსა ან სიგრილითა სჭირდეს და ან სიმხურვალითა, ესე წამალი უყავით, და სიგრილისაგან არის თუ სიმხურვალისაგან, ეს წამალი ორსავე უშველის. მოიტანე გუნდა და ხმელი ვარდი, ოსპი და თუთუბო, ბროწეულის ყუავილი და გრაკის ხის ხილი, გარეული პიტნა და შაქარი, ამათგან ყულასაგან ოროლი დირჰამი ქენ, კიდევ მოიტანე ქაბაბი ჩინი და პილი, თაბაშერი ჰინდი, თვითო დირჰამი, და ზარავანდი თავილი¹.

.....
.....

¹ აქ ტექსტი წყდება და დატოვებულია მთელი გვერდი ცალიერი ადგილი და ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწვრია. (აქ ვიცავთ ტექსტის მართლწერას) „დედას (დედანს) წიგნს ფურცლები აკლდა ბევრი“. ტექსტს აკლია მეოცდასამე კარი მთლიანად და მეოცდამოთხე კარის დასაწყისი. ეს ცარიელი გვერდი ნახევრამდის შეესებულია არა დედნის ხელით და სწვრია შემდეგი: „ვისაც ბუასილის ქარი უვლიდეს, უკანას კარში და ზეწუებში ჩასტეხდეს, მოიტანე ტინჰარის

ისრევე ზედ დახურეთ და ისეთი ცომშიგა წაახვიეთ, და ამა ცომითავე ცხელსა ნაცარშიგა ჩაფალით და ამ რიგად კარგათ შეწვიეთ, და რა შეიწვას მერმე გამოიღეთ და გამოწურეთ, და კურკა კი გამოყარეთ, და ესე ბროწეულის წვენი ერჩივნოს უზმომან სვას, და თუ ერჩივნოს საკმელთანა სვას. და ყოველთა დღეთა თვითოსა ბროწეულსა ამრიგად სვემდენ და პირშიგა მუდმიად შაქრის მყინვარი დაიჭირონ, და ხუელასა და გულის კირებასა ორსავე უშველის.

10

აგრევე თუ ესე სენი სიგრილისაგან იყოს, იცოდით უსათიოდ ბალღმისა სიმრავლისაგან იქნების. აწე ამისი წამალი ეს არის: მოიტანე ხმელი ყურძენი, ლეღვი, ეგირი, შინაური იის ძირი, რაზიანა, ვითამცადა კამის თესლიო, ძირტკბილას ძირი და ტუბტის თესლი და ან ძირი და ბალღური ყარა, რომე სპარსნი ფარი სიაოშონს უძახიან, ვითამცა და წყლის სუმბულიო, ასრე უნდა ესე წამლები

თესლი, ღოღოს თესლი, დედალი მრავალძარღვას თესლი, ქოთანში ჩაყარეთ, პირი მოუგლისე და მოადღუ და დილაზედ თითო ფიელას დაღვედით. მერე მოიტანე ქონდარი ღვინით ასრიმე და ცომში ჩადე და გამოაცხვე, კიდეც თაბილაზედ ზედაც დაჯდეს, მენჯებზედაც შემოიდევ. მერმე მოიტანე ასის თავა ძირ ფოჩიანათ და ქონდარი ერთგან მოხარზე წაყლითა, მოხარზე და იორთქლე, კიდეც წელქვეითი ჩაგბანოს, თბილ თბილი შემოიდვას, ფაფაც აკამოს.

20

მოიტანე პარას და გარეული პიტნა, ორი ერთად მოხარზე წყლითა, კიდეც იბანე ტანზედაც შემოიღვიეთ, და კიდეც იბანოს, მუცელი, მენჯები

ვინც მუცელაში გახსნით იყოს და პირს ალებინებდეს კრაკოს ბუდე გაახმე დანაყე და ფაფა შექენით, შიგ მარილივით ჩაყარეთ და ძროხის ქონითა აკამეთ. კიდეც ლადანა წყლით გაღვსეთ დააღვეინეთ. თუ ამან არ არგოს. ცოტა ღვინო გაღვსეთ და დააღვეინეთ. ქ[....]ბის წავენში სამი ლადანა გაღვსეთ და დააღვეინეთ ესეც ამა პირის: ცოცხის ყვავილი და ქინძი და თეთარი საკმელი დანაყეთ ცოტა ვარდის წყალი დაწვეთათ, პურის ცომში გამოაცხვეთ და შუა გაჭერით, ნახევარი კიპახედა დასდეთ, და ნახევარი კიპას სისწორ უკან ქთალი კოხა მოხარეთ, იმის წვენი მოკაზრო შექენით და აკამეთ. წაყალს თუ სვემდეს და ან სისხლზედა იყვანდეს შაბი დამწვარი, წაყლით დააღვეინე.

30

გვერდის აშიახე კი იმავე ხელით და იმავე ქართულით სწერია: „ვის ათეში სტირდეს მოიტანე წყლის ინა, ტირიფს რომ ფურცელი უგავ და წამიდათ დანაყე, ბროწეულის ჰერკი, მწვანე გუნდა წმინდათ დანაყეთ და გამტკიცეთ, კაფიც დანაყეთ, განგარო, შახიამან დანაყეთ და გამტკიცეთ. კოჭი სანანებელიც დანაყეთ, ისიც იმაში აყარე, ყველა ერთად შეხილეთ, საცა ათეშიც ესხას იქ დაიდებდეს.

გარეული პიტნა მოხარშევდეთ, იმითა იბანებდეთ. თუ ტანზედა ასხა ტანას იბანდეს, ირომ გამოთელდებოდეს კიდეც იბანდეს, კიდეც იმ წამალს იღებდეს“ „ყმუჯელო უისულო“!

ყუელა სწორ სწორი ქნან და და ერთსა კოკობშიგა ჩაყარონ, და ზომიერი წყალი დაასხან, და კარგად მოადულონ და მერმე თავად შაქარსა, თვარამდა თაფლზედა დააწურონ და ორსა სამსა დღესა თბილ თბილი უზმოსა ასვან, ზედა ზედ, და ხუელასა უშველის, ბაყ-
10 ლსა და ბალღამსა დაამწიფებს და გამოაცხობს. და მერმე გასახსნე-
ლი მუსილი და წამლები უნდა სვან, რომე ბაყლი და ბალღამი მო-
ხეთქოს და დაალურგეინოს. და ყოველთა დღეთა იის შარბათი,
ლულუფრის შარბათი, შაჰთარას შარბათი და ზუფას შარბათი სვან
და ლუყი უნსული სვან, და ხახვი დანაყონ და ამისი წვენი გამოჰბა-
დონ და ამავე ხახვის წონა თაფლი გაურიონ, და მანამდისი აღუ-
ლონ, რომე თაფლი მოსქელდეს, და ყავაშზედა მოვიდეს, და რო-
დისცა უნდოდეს და ან კაცსა ეკირებოდეს, ან ასრე ჰამონ და ან
შარბათად გალესონ, მოათბონ და ისრე სვან, და როდისცა წყალი
მოსწყურდეს მუდამ წყლის ალაგს ჯულაბი სვან. და თუ ჯულაბი
მზასა არ იყოს, ან ტუბტის თესლისა, ან ბარძაყათუნასი, და ან ბიის
გულის ლუაბი სვან.

კიდევ კაი ჰაბი რომე ხუელას უშველის: მოიტანე შაქრის
მყინვარი და გევანის ქითირა, და სამყი არაბი, და სამივ დანაყე და
20 გაცერ და ბიის გულის ლოაბითა მოზილეთ და ნუშის ზეთითა ამის-
გან ჰაბები შექნან, და მუდამ ესე ჰაბი პირშიგა დაიკირონ და ხვე-
ლასა უშველის და ქარსა ამოაღებინებს და გულსა და სტომაქსა
მწოვედ მოუსვენებს.

და ამ რიგი საკმლები აქამონ: კარაქითა შექნილი მუხუდოს
შექამადი, კარაქითა შექნილი ქათმის ხარშო, რომე ამაშიგა ან ისპა-
ნახი და ან ქინძი გამოეხარშოს. და თუ ხახუსა, თალღამსა და სტა-
ფილოსა გამოუხარშავთ, ის მწოვედ სჯობს და ხველას კარგად მო-
უხდების. და უცილო თოხლო კვერცხი ჰამონ. თაფლი და კვერცხი
და ლელვი აქამონ. ხმელი ყურძენი აქამონ ბოლო რაცა ჰამონს და
30 ან სვას ყუელა ან შაქრითა და ან თაფლითა უნდა ჰამონ, და მხურ-
ვალი ხილი და საკმლები ჰამონ.

თუ ესე ხველა სევდისა და სიგრილისაგან იყოს, ტკბილის
ბროწეულის შარბათი ასვით, იისა და ლულუფრისა შარბათი ასვით,
ან ახლის ვარდისა და შაჰთარას შარბათი ასვით, გავზაბანისა და
უნაბის შარბათი სვან, ბიის კურკისა და ბარძაყათუნასი და ან
ტუბტის თესლის ლუაბი შაქრითა სვან, და შაქრითა ჯავ ავი აქამონ,
ჯავ ავი ქერის წვენსა ჰქუიან. თოხლო კვერცხი და თაფლი ჰამონ და
ისი დასალბობი და დასამწიფებელი მულღაბი ამას ასვან, და ისიე

გასახსნელი ამას ასევე, რომე აქვე ზემო ბაღმის ხეგლაზედა დაში-
წერია.

ბოლო ასეთი სასმელი და საკმელი სვან და კამონ, რომე ესე
სევედა უსათიოდ ეზაპალი უყონ და ამრიგი კაცი უსათიოდ უნდა
გახსნან, და სევედისა და ავისა ხილთისაგან გაწმიდონ, და კაცი-
მთლად დარჩეს და დამალი და სტომაქი დაუწმდეს.

10 აწე ამა გასახსნელისა მუსილისა იარალი ეს არის: მოიტანე
თურბითი და აფთიმონი და მარილის თვალი, და სამისგანვე თვითო.
დირჰამი ქენ, და სამივე მომსხოთ დანაყონ და ახლის ყუელის წვე-
ნითა მოადულონ, და დილეულ უზმომან თბილ თბილი უნდა სვას,
რომე სევედა ეზაპალი ქნას და კაცი უსათიოდ გახსნას და ყოვლისა-
ავის ხილთისაგან გაწმიდოს.

კიდევე ჯაგარიში იუჰანა, რომე გულსა და სტომაქსა ძალს
მისცემს, და გულსა და სტომაქსა გააძალიანებს, საკმელსა მოაქარ-
ვებს, გუნებასა და სტომაქსა დაანედლებს და ხეველსა უშველის. მო-
იტანე პალილეი ქაბული თხუმეტი დირჰამი, ზურუნბადი და ზარუ-
ნაჯი აღრბი, და სალიხა და მაჰმუდა, რომე სპარსულად საყმუნია
30 ჰქვიან, ესე წამლები ყუელა სამსამი დირჰამი ქენ და თეთრი თურ-
ბითი ოცი დირჰამი ქენ, და ესე წამლები ყუელა წმიდად დანაყე და
გაცერ, და კანისა და წმიდასა, ხამსა თათლშიგა მოზილონ, და რო-
დისცა უწოდდეს და ან ეკირებოდეს, ამისგან სამი დირჰამი უზმო-
მან კამოს, და ხეველს უსათიოდ უშველის, გულსა ძალსა და წყალ-
სა მისცემს და სტომაქსა გააძალიანებს, საკმელსა მოაქარვებს და
გუნებასა გაუხსნის და დაანედლებს.

კიდევე ძველის ხეველისათვის, ზიყ ნაფასისათვის და მუცლის
ქუილისათვის. ესე ლუყი ასყილი მწოვედ და მწოვედისაგან უფრო
კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის, და ესე ლუყი ასყილი გვამი-
სა და სტომაქიდან, ბაყლსა და ბაღლამსა და ავსა ხილთსა, ყუე-
ლისა გამოიღებს, მოხეთქს და დაალურევიანებს. და ესე ასყილი რომე
30 შესწვა და ან მოხარშო და მერმე მოიტანე ესე ასყილი სამი დირ-
ჰამი, ლურჯის, შინაურის იის ძირი ორი დირჰამი, და ფალასიონი
და ზუფა თვითო თვითო დირჰამი ქენ, ესე წამლები ყუელა წმიდად
დანაყონ და გაცრან და ქათმობდილსა თათლშიგა ამოზილონ და
და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ეკირებოდეს, ამა ლუყისაგან
სამსა დირჰამსა სკამდენ, ზიყნაფასისა და ხეველისათვის, და ბაღ-
ლმის გაქარვებისათვის ამისთანა წამალი, და ამა სენებისათვის ამის-
თანა აქიმი არ იქნების, და ბევრჯეულ დაცდილი არის.

კიდევ სხვა, კაი და მრავალჯერ დაცდილი თესლების ლუყი, რომე ზიყ ნაფასსა და ხველას უსათიოდ უშველის, და უცხოფერს ხველისა და ზიყ ნაფასისათვის დაცდილი და კაი არის, გულსა და მკერდსა დაალბობს გულსა და სტომაქსა მოუსვენებს, სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს და უშველის, ხმის ჩავარდნასა და ხმის სიბოხესა ორსავე¹ უშველის, ფირტუსა და ყარყანტსა მწოვედ არგებს, და ყარყანტსა ბალღმისაგან გასწმედს, და ყარყანტშივა ბაყლსა და ბალღამსა აღარ დააყენებს და ყუელასა გაადნობს: მოიტანე სამყი არაბი, გაენის ქითირა, სახამებელი და თეთრის ხაშხაშის თესლი ათ

10

ათი ღირჰამი, აყიროს თესლის გული, კიტრისა და შუმხიარის თესლების გულები, და ბიის გული ხუთ ხუთი ღირჰამი, თაფაშერი ჰინდი და ტუხტისა და ხურფარასტის თესლები ოროლი ღირჰამი ქენ, და ესე წამლები ყუელა წმიდად დანაყონ, და ტკბილის ნუშის ზეთითა მოზილონ, და ათი ღირჰამი შაქარიცა ურიონ, და თუ შაქარი არ იყოს ამდენივე კაი თაფლი ურიონ, და როდისცა უნდოდეს, და ან ეჭირებოდეს, ამა ლუყისაგან სამი ღირჰამი ჰამონ ამა სენებისა და ზიყ ნაფასისათვის მრავალჯერ დაცდილი არის.

20

მუფრიდათი არის რომე ხილისა და ხველიხა, მკერდისა და გულის პირისა ტყვილიხა, წურილისა და დაცდილსა წამლებსა გამცნებს და გაამბობს.

ბოღრატ ჰაქიმმან თქუა: ხაშხაში გრილი, ნეღლი და გამხსნელიაო, ხაშხაშის შარბათი მისთვის კარგი და გამორჩეული წამალი არის, რომე კაცსა სურავანდი გულსა და მკერდსა შემოეჭიდოს, და ან ყელსა და პირშივა ჩამოუვიდეს და ხველასა უსათიოდ უშველის, და მწოვედ დაცდილი არის.

ისპანახი გრილი და ნეღლი არის, ამისი ჰამა გულსა და მკერდს დაალბობს, და გულისა და მკერდის ტყვილსა და ხველასა, სამსავე უშველის.

30

ქარხალი² გრილი, ნეღლი და გამხსნელია, ვინცა ქარხალი მოხარვოს და ჰამოს, კაცსა გულის პირსა რბილად შეუნახავს და რაცა კაცისა გულსა და სტომაქშივა საფრა და სევდა არის ყუელას გააქარებებს, მაგრა თუ კაცი ბევრსა სჰამს თიაქარსა, კოლინჯსა და ქარსა აუძრავს.

თაღამი მხურვალი და ხმელია, კაცისა გულსა და სტომაქსა საფრისა და სევდისაგან გასწმედს და მკერდსა დაალბობს და ხველასა არგებს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სტაფილო მხურვალია, ნედლია, ვინცა სტაფილო ჰამოს, ხვე-
ლა უშველოს, და კაცსა კაისა ხმასა მოგერის.

ბაყლა ცერცი გრილი და ნედლია, ვინცა ესე ბაკილა მოხარ-
შოს და ან წყალშია დაალბოს, ხუელა უშველოს. და ან ვინც გა-
რეული ბაყლა კეცავეთ ღეკოს და ამისი წვენი ჩაყლაპოს, სურავან-
დი ასრე დაეკარგოს, რომე, მისთა დღეშია აღარ გამოაჩნდეს და
ხველისათვისცა მწოვედ კაი არის, მაგრა ქარი სდევს, და კაცსა
ავსა სიხმარსა უჩვენებს, და კაცს არ შეერგების და გვიანცა დად-
ნების.

კამა და ცერციო მხურვალი და ხმელია, სტომაქიდალმან ბალ-
ლამს გასწმედს და გააქარვებს, და მკერდსა ძალს მისცემს, და ვინცა
ესე კამა და ცერციო დაქრას და მოხარშოს და ამდენი ადულოს
რომე, ნახევარი ჩაიშროს და ნახევარი დარჩეს, და ამ რიგად კაცმან
თბილ თბილი სვას, რაცა კაცისა ტანსა და სტომაქშია ქარი და
ან სიგრისის სენი არის, ყუელასა დაღეწს და გააქარვებს, მაგრა
კაცსა რწყევასა აუგდებს.

კანაფის თესლი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე თესლი მო-
ხარშოს და მერმე წმიდად დანაყოს, და სამი ამ კანაფის წონა თაფ-
ლი გაურიოს, და კარგად მოზილოს, და ყოვლსა დილასა კაცმან
20 ამისგან თვითო კოვზი ჰამოს, ხველასა და გულისა და მკერდისა
ტკივილსა, სამსავე უშველის.

ჩორაქ ოთი ყოვლისა ბალღმისა სენისთვის და ხველისათვის
კაია. ქინძი გრილი და ნედლია, საფრის ხველისათვის კაია, რომე
კაცმან ან სვას და ან ჰამოს.

გავზაბანი გრილი და ხმელია, ვინცა ამა გავზაბანისა ძირი მო-
ხარშოს და შექამადად ქნას და თბილ თბილი ჰამოს ხუელა ეშვე-
ლოს და ყოვლის მხურვლის სენისათვის გამორჩეული წამალი არის.

გველის ნიორი ვითამცა და ელეწოდაო, მხურვალი და ცხარია,
კაცმან რომე ამისგან ცოტა ჰამოს ხველასა უშველის.

30 ვინცა მალაქისა და ან ტუხტის ბალახი და ან თესლი დანაყოს,
და თბილ თბილი ამისი წვენი სვას, კაცსა გულსა და სტომაქსა და-
უღბობს, და ხველისათვის მწოვედ კარგი არის.

ონტკოფა მხურვალია, ვინცა ესე ონტკოფა თაფლითა ხავიწად
ქნას და ჰამოს, ხუელა ეშველოს, და სურავანდსა არგებს.

აყირო გრილი და ნედლია, კაცსა გულსა მკერდსა და სტომა-
ქსა დაუღბობს და ძველსა ხველასა არგებს, მეტადრე მაშინ, რომე
ესე ხუელა ან სევდისა და ან საფრისაგან იყოს. და ანუ ვინც ამავე
აყიროს თესლი დანაყოს და ამისი წყალი სვას, ხველისათვის მწოვედ

კარგი არის, მეტადრე მაშინ რომე კაცსა სიხმისა და სიმბურვალისაგან ახველებდეს, ვითამცა და საფრისაგან ახველებდესო.

ტკბილი ნუში მოჰთადილი და შეზავეებული არის, ვინცა ნუში წმიდად დანაყოს და თოხლოს კვერცხითა ჰამოს, გულსა და სტომაქსა დაუღობს და ხველას უშველის, და მწოვედ დაცდილი არის.

ან ვინცა ამავ ნუშის ზეთი, და ან ტყავ გახდილი ნუში ჰამოს, ხველა და ხმის სიბოხე უშველოს, და კაცსა გაასუქებს.

10 კარაქი მხურვალთა, ნედლია, გულსა და სტომაქსა დააღობს, ბალღამს დაამწიფებს და გამოაცხობს, ხილთებსა მოხეთქს და ამოაღებინებს და ხველას უშველის, და მკერდსა მწოვედ არგებს.

შირლიონის ზეთი, ცოტად მხურვალთა არის, გულსა და სტომაქსა დააღობს, ყელისა სიხმესა და სიმსიენესა უშველის, და ხუელისა და ზიყნაფასისათვის მრავალჯერ დაცდილი არის და უსათიოდ უშველის.

ლეღვი ხუელასა არგებს და კაცსა გაასუქებს.

ქოქნარის ხილი რომე კაცმან ჰამოს, კაცსა ხმასა მოგურის და ხველასა უშველის.

ვინცა ან ცხურისა, ან თხისა, ან ფურისა და ან ცხენის რძე თბილ თბილი სვას, გულსა და სტომაქსა დააღობს და ხუელასა უშველის.

უნაბისა და ტკბილის ბროწეულის შარბათი ხუელისათვის მწოვედ კარგია.

იისა და ლულუფურის შარბათი ხუელისათვის და საფეთქლების ტკივილისათვის, მწოვედ კარგი არის, კაცსა ხმასა დაუწმედს და დაუნარინებს.

ოღლან აში, რომე სპარსნი ჯაეაშერსა უძახიან, მხურვალთა, ხმელია, კაცსა რომე ძველი ხველა ბალღმისა და სიგრილისაგან სკირდეს, იმას უშველის.

30 ერიშთასა და ყოვლის ცომის შეკამადი მოჰთადილი და შეზავეებული არის, კაცმან რომე ცხერის ხორცითა შექნას და თბილ თბილი ჰამოს კაცსა კარგა დააშუნდების, და ხუელისათვის მწოვედ კარგი არის.

შაქარი მხურვალთა, ნედლია, კაცსა გულსა და სტომაქსა დაუღობს და საფრისაგან გასწმედს, სტომაქსა და სტომაქის თავსა ძალს მისცემს, და გულის სიხმელესა და ხმის ბოხობასა, ორსავე უშველის, და ხველასა არგებს.

თოხლო კვერცხი ხუელისთვის მწოვედ კაი არის.

ვინცა არგუჯის ხილი ქამოს ხველიათვის კაი არის. ვინცა ილან ბირჩალისა ძირი შეწვას და თაფლითა ქამოს, ძველი ხველა უშველოს.

ვენახის ფოთოლი მხურვალია, ხმელია, ხველისათვის მწოედ კარგი არის და დახუთვილსა შარდსა გახსნის.

ყათრანი მხურვალია, ხმელია, ძველსა ხველასა და სილისა ჰირსა ორსავე უშველის.

10 ვინცა ხველასა სისხლსა ატანდეს, ან კაცსა გულზედა ბაყლი და ბალღამი ეხვეოდეს, მოიტანე სამი კვერცხი და თოხლოდ შეწვი და უზმოსა აქამე, სისხლსა და ბაყლსა, ორსავე უშველის.

თუ კაცი ღუესა სისხლსა ატანდეს, მოიტანე რევეანდი ჩინი და წყალშიგა დააღბე, დიღეულ უზმომან სეას, სისხლს მოსწყუეტს და ხველას უშველის.

ბაკლას ცერცვის ქამა ხველისათვის მწოედ კარგი არის, და ყელსა ბერსა არგებს და კაცი რომე ღუესა სისხლსა ატანდეს, ამა სისხლსა მოსწყუეტს და ხველისათვისცა მწოედ კარგი ირის.

თოხმაქანის წვენი ხველისათვის მწოედ კარგი არის, და კაცი რომე ღუესა სისხლსა ატანდეს, იმას მოსწყუეტს.

20 დარიჩინი მხურვალია, ხმელია. მკერდსა ბალღმისაგან გასწმედს, და სტომაქსა ძალს მისცემს და ბუშტისა თავსა გაუხსნის.

სანანებელი პირის წყლის დენისათვის მწოედ კარგი არის, და მაშინვე პირდაღმან წყლის დენასა უშველის.

საბრი მხურვალია, ხმელია, კაცმან რომე ამა საბრისაგან ორი ღირძაძი ქამოს და ან სვან, კაცი რომე სისხლსა ღუესა ატანდეს, იმას უშველის.

დარუ ფილფილი კაცისა გვამსა, სტომაქსა და წელეგსა, სამსავე გასწმედს და ბაყლსა და ბალღამსა და ავსა ხილთსა გააქარეგებს.

კრკო, რომე კაცმან ან შეწოს და ან მოხარშოს და ქამოს, კაცი რომე ღუესა სისხლს ატანდეს, იმას მოჰკვეთს.

30 ბიის წვენი, კაცი რომე ღუესა სისხლსა ატანდეს, იმას მოჰკვეთს და სისხლზედა ყუანასა უშველის და რაბოას სენისთვის მწოედ კარგი არის.

ცხრა ფეხა რომე კაცმან დანაყოს და სეას, კაცი რომე ღუესა სისხლსა ატანდეს, იმას მოსწყუეტს და უშველის.

ყოვლი ზღვის თევზი სისხლის ტანებისათვის კაი არის.

მუჭრუჯა ბალუჯაბ, კაცი რომე ღუეს სისხლს ატანდეს და ან სისხლს არწყევდეს, მისთვის მწოედ კაი და მრავალჯერ დაცდილი არის.

გაზანგვი და უნაბი ხველისათვის მწოვედ კარგი არის, სიმსივნესა და ხმის სიბოხეს უშველის.

ირმის რქა, რომე კაცმან დაწვას, დანაყოს და გაცრას და მერმე წყლით გარეცხოს, და მასუკან მოიტანე ამა ირმის რქისაგან ერთი მიტყალი და გავანის ქითირითა და წყლით გააყენონ და სევან. კაცი რომე დუესა სისხლსა ატანდეს, ან სისხლსა არწყევდეს, ან სისხლზედა იარებოდეს, ან მუცელშიგა გახსნით იყოს, წელისა ქარსა და იარაყანსა, ან კაცსა შირიმისაგან რომე წელი სტკიოდეს, ამა სენებისათვის, ყუელასათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დატყდით არის.

ძმ. კარი მეოცდახუთე. ხათულ რახა და ზიყ ნაფასისა და ფირტვის ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და ალამათებსა გამცნებს და გაამბობს.

აწე სათულრა იმა სენსა ჰქუიან რომე, მხურვალი და ცხელი ვარამი კაცსა ფირტუსა შემოეკიდების და ფირტუშიგა დაიბუღებს, და კაცსა ფირტუსა წაუხდენს, და რა კაცსა ფირტვი წაუხდების, ეს იცოდით აღარც კაცი დარჩების.

აწე ამა სენისა მიზეზი ეს არის რომე, ან შეეკნების მეტის მეტის სისხლისაგან, და ან დუზლუ ბალლამი არის.

აწე დუზლუ ბალლამი ამას ჰქუიან, რომე ჯერ კაცსა თვითან ისი სენი კი არ შეჰქნოდეს და იმა სენისა ქარი ასძროდეს, და თუ კაცმან აღრე წამალი არ უყოს და არ უშველოს, ისი სენიცა გაუცოცხლდეს და შეეკნას.

აწე ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცი ტანზედა მწოედ ცხლად იყოს, და სული მწოედ მხურვალი და ცხელი ამოსდიოდეს, და კაცსა სული უგვიბდებოდეს და ქშინავდეს, და დაწვებშიგა კაცი წამოკეხებით იყოს, და კაცსა დაწვები და პირის სახე დაუშვიპდეს, და მკერდი და სტომაქი მძიმედ ჰქონდეს; გული და გულია პირი ორივე სტკიოდეს, და ესე ტკივილი გულიდალმან ორსავე ბექსა და ბექს შუა შემოეკიდოს, და მწოვედ ტკივილი დაუწყოს, და მწოვედ ტკივილი აუვარდეს და მუდამ კაცი გულალმა იწვეს და გულალმა წოლა იამებოდეს, და მაჯაცა რბილად და აშლით უცემდეს; ამა სენსა სათულ რა ჰქუიან. და რა ესე ნიშნები და ალამათები ნახოთ იცოდით გულმართლად სათულრას სენი სჭირს და მისგან არის ავად. აწე ამა სენსა ადვილად და აგდგებით ნუ დაიქერთ რომე, მწვედ ძნელი და ავი, და საუეთერაკო, კირი და სენი არის. და რა ესე სენი კაცსა წაეკიდების, ასრე სისხლს წაუხდენს და გაუსქელებს რომე, კაცმან შაშარი ჰკრას, სისხლი აღარ

გამოედინოს და რომეცა გამოედინს ისიცა სქელი და შავი იქნების. და თუ ადრე ხელს არ მიუპყრობს ესე სისხლი დაიწვის და სვედად გალიქცევის, და სოკოსა, მექექსა და შავსა ლაქასა გამოპყრის, ტყირბსა და სუდასა შიაქს და დამწურისა სისხლისა სიმბურვალე ბევრს წყალსა ასვამს, და შერმე ესე წყალი მუცლისა ფარდაებშიგა დალბების, და იმა სისხასა რომე დაბლი ჰქუიან, ისი სისხა შექქნების.

10 აწე ამა წენისა წამალი ეს არის რომე, რომლისაცა მხარისაქენ სტკიოდეს, იმავე მხარისაქენ მკლავი გაუხსნან და ზემო თავისა ძარღვიდალმან, რომე თათარნი ყოფალსა უძახიან, კარგად სისხლი აღინონ. და თუ მეტი სისხლის სისქითა სისხლი არ გამოედინოს, ხელი მოუქირონ და ისრე გამოადინონ. ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და საშუალი ოყნაო, რომე გული და სტომაქი დაუღბონ და რაცა გულსა და სტომამგვიგა, ბაყლი, საფრა და ავი ხილთი იყოს, ყუელა მოხეთქოს და დაალურევინოს, და ყოვლისა ავისა ქარისა და ხილთისაგან გაწმიდოს. და ნუშის ზეთითა მუმრულანი შექნან და ყოველთა დღეთა ესე მუმრულანი პირის სახესა და გულის პირზედა წაუსვან, რომე გული და სტომაქი და გვამი დაუღბოს და ამ რიგი შარბათები ასვან: იის შარბათი, ლულუფრის შარბათი, უნაბისა და 20 ან შაჰთარას შარბათი, ტკბილის¹ ბროწეულისა და ან ტუხტის შარბათი ასვან, ბარძაყთუნასა და ბიის გულის ლოაბი ასვან.

და თუ ამა ბიის გულისა და ბარძაყთუნასა გაეზაბანის წყალშიგა დააღბობენ, ის მწოვედ სჯობს, და მოიტანე: ძირტკბილას ძირი, უნაბი და ბიის კურკა, და ესე სამივე დანაყონ და ერთად წყალშიგა დააღბონ და ამათი წყალი სვან. და რომელიცა ასვათ ასრე უნდა, იმა ლოაბსაცა და ამა გულაბსაცა შაქრის მყინვარი გაურიონ და ორივე ასრე ასვათ, მწოვედ კარგა მოუხდები.

30 და ამას უფთხილდენ რომე, ამა სენისა უფალი კაცი მწოვედ არ გახსნან, თვარემდა მწოვედ საფათერაკო არის, და მუდმად სანდლისა, ხაშხაშისა და მარსინის შარბათი უნდა ასვან, რომე აღარ გახსნან.

და თუ კაცი სტომაქზედა მთლად და კარგად იყოს, ამრიგი საქმელები აქამონ პირველსა შეყრაზედა, და სამსაოდე დღესა შაქრითა ჯავ ავი აქამონ, ერიშთას შეკამადი აქამონ, რომე ამა საქმელებშიგა ისპანახა, ქინძი და ნუშის ზეთი ერიოს. ისპანახისა, ქარხლისა და მოლოქურის შეკამადი შექნან, ნუშის ზეთი ურიონ და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ისრე აქამონ. და რასაცა ან ასვემდენ და ან აქმეედენ, ყულაშიგანუშის ზეთი უნდა ურიონ, და რომე ნუში ისრე კამონ ისიც კარგად მოუხდების. და თუ კაცი სუსტად და უსუსურად იყოს სადამლი სიცხე და სიმბურვალე¹ სრულად არ გაუვიდეს, ესე და ამ რიგი ხარშოები აქამონ: სამამლის ვარიის ხარშო რომე ცოტა ბრინჯი ურიონ და ისპანახი, ქარხალი ან ქინძი გამოუხარშონ, ნუშის ზეთი ურიონ და ისრე აქამონ.

10 ამავე რიგად ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივ ლაპები ხარშოდ უყონ და ცოტა ბრინჯი გამოუხარშონ და ისრე აქამონ. და ამავე რიგი გრილი ტლეები შემოსდვან: მოიტანე სანდალი და ვარდის წყლითა გალესეთ, და ქათნის ხელისახოცი დაასოვლეთ და გულსა და სტომაქზედა შემოსდევით და გარდააკარით, და გრილი ტლეები შემოსდევით, რომე გულისა და სტომაქიდან სიცხე და სიმბურვალე გაუგდოს და როდისცა სიცხე და სიმბურვალე სრულად გაუვიდეს, თოხლო კვერცი აქამონ, და მტკივანსა ალაგსა გრილი ტლეები შემოსდვან. და თბილსა და მოჰთადილსა აბანოშიგა იბანონ. და თავი ასრე თბილად უნდა შეინახონ რომე, სიცივე და ქარი არ ეცეს, და თავისაგან ჯერ გულსა და მკერდსა უფრო უნდა უფრთხილდენ, რომე სიცივე და ქარი არ ეცეს, არ შემომჰკვალოს და კიდევ არ შეიქციოს. და თუ მეორედ შიაკცევს, მწოვედ ავი იქნების, და სენი მეორედ დაუბრუნდების, და მერე კაცსა საქმე სათუოშიგა ჩაუვარდების.²

20 აგრევე ამავე სათულ რას ნიშანი და ალამათი ერთი ეს არის რომე, კაცი მწოვედ ქშინაედეს და მწოვედ წყურვილი აუვარდეს, და მაჯის ძარღვები მწოვედ ძალიანად უცემდეს, თუ ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, უსათიოდ სათულ რას სენი შეჰქნია და მისგან არის ავად. ამისი წამალიცა კიდევ ისივ მკლავის გახსნა არის, და ისივ წამლები და შარბათები ამას ასეან და ამას უყონ, და ის საქმლები ამას აქამონ, რომე აქვე ზემო სათულრას სენზედა დამიწერია, და გრილი ტლეები შემოსდვან, რომე გულისა და სტომაქისა სიცხე და სიმბურვალე გაუგდოს. მოიტანე: სანდალი და ვარდის წყლითა გალესეთ, და ამაშიგა ერთი ქათნის ხელისახოცი დაასოვლეთ და გულსა და სტომაქზედა გარდააკარით და ჯავ ავი აქამეთ.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიახე დედნის ხელით სწერია: „ვიცა თბის სისხლი თაფლითა და წყლითა შარბათად გალესოს და სვას უსათიოდ სათულ რასა სენი ეშველოს“.

კმ. კარი მეოცდა ექუსე. ზიყ ნაფასიხა და ფირტვის ტკივი-
ლიხა. აწე ესე ზიყ ნაფასი და თანგ ნაფასი ორივე ერთი სენი არის,
და ზიყნაფასი სულის გვიბეზასა და სულის შვეიწროებასა და ქში-
ნვასა ჰქუიან, რომე ქართველნი ხრინწსა ეძახიან, და ესე ზიყ ნაფასის
სენი უფროსიერთას კაცსა ავის საქმლის ქარისა, და ავის ხილთისა-
გან შეექნების და მეტადრე მაშინ რომე, ესე ხილთი ბალღამი იყოს.

10 აწე ამა სენისა მიზეზი ეს არის რომე, ყოვლისა სულდგმულისა
სული ფირტვშივა ბრუნავს, და რა კაცსა ბალღამი მოერევის და ესე
ბალღამი ფირტვისა და ყირყუნტის გზასა ასრე შეუკრავს რომე,
კაცი ყირყუნტიდაღმან სულს ველარ ამოსტევეს, და ამა მიზეზითა
სულს მართლად ველარ მოიბრუნებებს, და სული გუბებებს დაუწყებს,
და ამისთვის კაცი ქშინვასა დაიწყებს, და ზიყ ნაფასი იმა სენსა
ჰქუიან და ქართველნი ხრინწსა ეძახიან.

20 აწე ამ რიგისა ბალღამიანისა ზიყნაფასისა და ხაფაყანის წამალი
ეს არის რომე, ხშირ ხშირად თვარადა სამს დღეში ზედა ზედ ნახე-
ვარ ღირჰამი თრიაქი ფარყი, და ან თრიაქი არაბა კამონ, მისრი
თუსი, ფალასუფას მაჯუნი, ჯალინოზის მაჯუნი და მუშკის მაჯუნი
კამონ, მხურვალი მაჯუნები და მუფარები კამონ, ჯაეზი და ბაზბაზი
დანაყონ, ცოტა შაქარი გაურიონ და ორსა სამსა დღესა უშმომან,
ამრიგად ოროლი ღირჰამი კამონ.

30 და ესე ასრე იცოდი ამა სენისათვის თავად ეს მაჯუნები, და
მერმე ყუელას ნამეტნაეად, ჯალინოზის მაჯუნი ამა სენისათვის გა-
მორჩეული და მრავალჯერ დაცდილი მაჯუნი არის. და მუდმად
ხოლინჯანი, ეგირი, სანანებელი, დანამასტაკი, საკმელი, ჰილი და
დარიჩინი პირშივა დაიჭირონ, კევი პირშივა დაიჭარონ, და ამათგან
რომელიც იყოს ღეკონ, და ამათი წვენი ჩაყლაპონ, და რა დაღბეს
თვითანცა ჩაყლაპონ, რომე ქარი და სიგრილე დაღეწოს, და ტანისა
და გვამიდაღმან გაადღოს და გააყენოს, რომე გული და სტომაქი
გაუხურვოს და ბალღამი გააქაროს და ქარი გააყენოს. და ამ რიგი
მხურვალი ტლეები უნდა შემოსდვან: გვირილასა და მელის კუდას
ყუავილი, აბზინდასა და ბარანბოს ბალახის ბალახი, და ან ყუავის
ქანვას ბალახი, და ამავ რიგად მხურვალი ბალახები კარგად, წმინდად
დანაყონ, და სამოსლის ნაქერითა გულსა და სტომაქზედა გარდაა-
კრან, რომე გულსა და სტომაქსა სიმხურვალე მისცეს და სტომაქმან
შოისვენოს, და ამრიგსა მხურვალსა სასუნებლებსა უსუნონ: მუშკსა,
ამბარსა, ლადანასა, საკმელსა, უდსა, სანდალსა, ჯაეზსა, ბაზბაზსა,
ფარფიონსა, თეთრს ზამბახტსა, იასამანსა, მელის კუდასა, გვირილას
ყუავილსა, ცერეცოსა, კამასა და ქონდარსა, აბზინდასა და ბარანბოს

ბალახსა, ავმანსა და ნიგუზის ფოთოლსა და ამავე რიგს მხურვალს. ბალახებსა და ყუავილებსა ხშირად უსუნონ რომე, გულსა და სტომაქსა ტვინსა და დამალსა ორსავე ძალი მისცეს, გაათბოს და დაძალიანოს.

10 და როდისცა წყალი მოსწყურდეს, ზენაარ ცივი წყალი არასეან თვარადა უსათიოდ აწყენს. წყლის ალაგს თათლ წყალი უნდა ასეან და ცერეცო, კამა, ენისუნი, ნიახური და ან ბარამბო მოხარშონ, ცოტა შაქარი ურიონ და ან თათლი გაურიონ, მოათბონ და ისრე თბილ თბილი სეან. და ან ამათი თესლები მოხალონ, და დანაყონ და შაქრითა კამონ, რომე გული და სტომაქი გაუხურვოს და ბალღამი გააქარვოს, და წითელი ჩამიჩი და სტაფილო ერთად მოხარშონ გაწყურონ, და თბილ თბილი ამისი წვენი სეან. ან ბარამბოსა, რეჰანისა, ცერეცოსა და გავზაბანის წყლები გამოჰხადონ, ცოტა ზაფრანა გაურიონ და თბილ თბილი სეან¹.

20 საკმელებისგან კაის შიშაკის ხორცი, კაი დედალი ქათამი, ხობი, კაკაბი, დურაჯი, ტრედის ხუნდი და ქავკაევი ან შეწონ, ან ყაურმად ქნან და სანანებელი, პილპილი, ზაფრანა, დანამასტაკი და მხურვალი ბალახები გამოუხარშონ, თათლი და წითელი ყურძნის ჩამიჩი ურიონ, და ისრე კამონ, რომე გულსა და სტომაქსა ძალი მისცეს, გულისა და გვამიდაღმან ქარი გაუგდოს, და გულმან და სტომაქმან ძგერისა და ფეთქისაგან მოისვენოს, და გული და სტომაქი, ტვინი და დამალი ყუელა გაახურვოს.

და. შარბათებისაგან: უდისა, ზუფასა, სანდლისა, ტკბილის ბროწყელისა, ვაშლისა, ბიისა, თურინჯისა, ბარამბოსა, გავზაბანისა, ვარდისა, იისა, ლულუფრისა შარბათი, რომელიცა იყოს ასეან, და ყოველსა დაწოლის დროსა გვილან გვიბინი და ან გულბა შაქარი აკამონ. და თუ ამ გვილან გვიბინშიგა, და ან გვილბა შაქარშიგა ან დანამასტაქსა, და ან კევსა, და ან ენისუნის თესლსა, და ან ზირას გაურევენ და ისრე აქმევენ ისრე სჯობს.

30 და ხილებისაგან: ტკბილი ბროწყელი, ტკბილი ნარინჯი, ინდაური ნიგეზის გული, ნაქვისა და წიფლის გული და თელის თესლი, და ყურძნის ჩამიჩი და ნიგოზი კამონ.

და მწვანევილი: გან; რეჰანი, პიტნა, ნიახური, ქონდარი, ენისუნი, ტარხუნა, ბოლოკი, თაღამი, სტაფილო, კომბოსტო და ყოვლი მხურვალი და ხმელი სასმელი და საკმელი ყუელა² სეან და

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია რეველთა სათვალავი „იზ“ და შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „იპ“.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

კამონ, და გრილსა და ქარიანსა ყუელასა ერიდონ და ეშველე-
ბის.

და თუ ახუელებდეს, ღუეი ყელთანა მოადგებოდეს, და ღუესა
და ბალღამსა ყელიდაღმა ვერ ამოსტევედეს, თავად ბარძაყათუნას
ლოაბი თუარადა ბიის გულის ლოაბი გამოჰხადე და რომელიც იყოს
შაქრითა ასეით, და თუ ესე არც ერთი იყოს, ამავე რიგად ტუხტის
თესლი დაჯეკკონ, დაალბონ და ამისი ლოაბი შაქრითა ასეან, რომე
ესე ლოაბები გულსა და მკერდსა უსათიოდ დაუღობოს, ბაყლსა და
ბალღამსა მოხეთქს, და ყუელასა უქირველად ამოაღებინებს. მაგრა
10 ამ რიგი კაცი ძმარსა, და ყოვლსა მეთევესა სასმელსა და საკმელსა
უნდა ერიდონ.

და თუ ამით არ ეშველოს ასრე უნდა¹ პირველ სამსაოდე
დღესა მხურვლის ბალახების მულაბი სეას, რომე ამა მულაბის
სმის წესი და რიგი, ქვემო მულაბის კარშიგა მოგიტხრობს, რომე
ბაყლი და ბალღამი დაალბოს და დაამწიფოს, და მერმე გასახსნელი
ჰაბები და შარბათები ასეან და აკამონ, რომე რაცა ამა წამლებსა
და მულაბსა შიგნით ბაყლი და ბალღამი და ავი ხილითი დაელბოს,
დაემწიფოს და ან მოეხეთქოს, ყუელა უქირველად დაალურევინოს,
და კაცის გეამი და სტომაქი ბაყლისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოს.

კიდევე ამა სენისათვის გამორჩეული ერთი წამალი და შარბათი
20 ეს არის, მოიტანე ხახვისა და უნსულის წვენი, და ერდგან აურივე,
და ორი ზომა თაფლი გაურივე, წესისაებრივ შარბათად ქენ, შეინახე
და ვისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს, თბილის წყლით გაღესონ
და თბილ თბილი სეან.

კიდევე ესე შარბათი ამრიგის ხაფაყანისათვის, მწოდე გამო-
რჩეული შარბათი არის, და მრავალჯერ დაცდილი, მეტადრე მაშინ,
რომე ესე ზიუნაფასი ბალღამისაგან იყოს: მოიტანე შაბი და ზუფა,
ლეღვი და ხმელი წითელი ჩამიჩი, და ბროწეულის მარცვალი, ესე
წამლები წესისაებრივ თაფლითა მაჯუნად ქნან და ხშირად ესე
30 მაჯუნი კამონ, ან თაფლითა შარბათად შექნან და თბილ თბილი
სეან.

კიდევე ამა სენისათვის ესე მაჯუნი მრავალჯერ დაცდილი არის,
მოიტანე სამაყი არაბი, გეანის ქითირა, თეთრის ხაშხაშის თესლი
და სახამებელა ათ ათი ღირჰამი, აყიროსა, კიტრისა და შუმხიარის
თესლები და ბიის გული ხუთ ხუთი ღირჰამი, თაბაშერი ჰინდი;
ზაფრანა, ტუხტისა და ხურფარას თესლები ოროლი ღირჰამი, ესე
წამლები ყუელა დანაყეთ და გაცერით და ათი ღირჰამი შაქარიც

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ხეშოთ არის ჩაპატებული დედნის ხელით.

გაურივეთ და ნუშის ზეთითა მაგრად მოზილეთ, და თუ ნუშის ზეთი არ იყოს, თაფლითა მოზილეთ და ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს ამა ლუყისაგან დილეულ უზმომან სამი დირჩამი კამოს, ზიყ ნაფასისათვის მწოვედ დაცდილი არის.

ვინცა ოცდაერთი ლოფორთქინა ფურნესა და ან კეცშიგა შეწვას, დანაყოს და გაცრას და ხამსა თაფლშიგა ამოსურიმოს და სამს დღესა უზმომან ზედა ზედ კამოს, ხაფაყანი უშველოს, მაგრა ეს წამალი ძველს მთვარესა და ოთხშაბათს უნდა დიწყოს კამა.

10 კიდევ ამა სენისათვის მრავალჯერ დაცდილი წამალი, მოტანე გაეზაბანის წმთელი ძირი და დაფხიკე და გული კი გარდააგდე, და რა ნივთიცა ესე გაეზაბანის ძირი იყოს ამისივე წონა ბარამბოს ბალახისა ან თესლი, და ან ფოთოლი ქენ, და ორივე ერთად მოხარშე, და ცოტა შაქარი გაურივე და ზიყიანსა კაცსა თბილ თბილი ასვით, და ესე წამალი უსათიოდ უშველის. მაგრა სამჯერ ოთხჯერ ზედა ზედ ამ რიგად თბილ თბილი უნდა ასვით.

20 და თუ ესე ზიყნაფასი საფრისა და სიმბურვალისაგან იყოს, რარიგადცა აქვე ხაფაყანისა სენზედა წამლები დაგვეწეროს, ისივე წამლები ამავე მხურვალსა ზიყნაფასსა უყავით. მაგრამე იშვით მოჭხდების რომე ესე სენი სიმბურვალისაგან და საფრისაგან იყოს, ამისათვის რომე, ყოვლსა აქიმსა ასრე დაუდებია, ესე ზიყის სენი უსათიოდ სიგრილისა და ბალღმისაგან შეექნებისო.

30 თუ ესე ზიყ ნაფასი სევდისა და სიხმისაგან იყოს, შაქრითა ჯავ ავი და გრილი, ნედლი და დასალბობი საქმლები აქამონ, და ამრიგი შარბათები ასეან ლულუფრისა და იის შარბათი, გაეზაბანისა და შათარას შარბათი, ვარდისა და დინარის შარბათი ხშირად ასეან, თაფლ წყალი, ბარძაყაუნასა და ბიის ლუაბი შაქრითა ასეან, რომე გული და სტომაქი, ხახა და მკერდი ყუელა დაუღბოს და სევდა და ბალღამი დააღბოს, მოხეთქოს და დაალურევინოს. და მერმე ასეთი ჰაბები აქამონ, და ასეთი წამლები ასეან რომე, უსათიოდ მუცელშიგა გახსნას. და ან ცოტა და რბილი ოყნა უყონ, რომე ყოვლის გვარის ხილთისაგან გაწმიდოს და ყუელა დაალურევინოს, და კაცი მთლად და უსენოდ დარჩეს, და მხურვალსა სასუნებლებსა უსუნონ.

და საქმლებისაგან მხურვალი და ნედლი საქმლები კამონ, და გრილსა ყუელას ერიდონ: კაი და მსუქანი შიშაკის ხორცი, მსუქანი დედალი ქათამი, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, ტრედის ხუნდი, კავკავი და თოხლო და თბილი კვერცხი ბევრჯულე კამონ, და ესე ხორცები ბილპილითა, სანანებლითა და მხურვალის ბალახებითა შიამკონ და

ისრე ქამონ. მზურვალსა სასუნებლებსა უსუნონ, აბანოშიგა ხშირად იბანონ, და ცხიმიანი და მსუქანი ბევრი ქამონ.

აგრევე თუ ესე ზიყნაფასი სიმსივნისაგან იყოს ასეთი წამლები უყონ, რომე სიმსივნე დაუცხროს, ვარდისა, გაეზაბანისა და შაპთარას შარბათი ასეან, სანდლისა და ვენახის ღიქის შარბათი ასეან, საია სიქანჯუბინი თითითა ალოკონ, ვარდის კაქაქისა და ახლისა აყიროს წვენი გამოჯხადონ და შაქრითა ასეან. ბოლო ასრე უნდა, ვისცა ესე ზიყნაფასი სქირდეს, მეთვესა, ცხარსა, ქარიანსა და მლაშესა სასმელსა და საქველსა ყუელას ერიდონ.

10 **ჯალინოზ** აქიმმან თქუა: ესე ბუხური ზიყნაფასისათვის მწოვედ კარგი არისო და მრავალჯერ დამიცილიაო და უსათუოდ სულის გზასაცა გაუხნისო, და ფირტუსაცა გაამთელებსო, და ბაყლსა და ბალღამსა დაადნობს და დაამწიფებსო, და სტომაქსა ავის ქარისა და ავის ხილთისაგან გასწმედსო.

აწე ამა ბუხურისა შექნა ასრე უნდა: მოიტანე შაქარი და პილბილი, ყუითელი ზარნიხი, კაი ცვილი და უცილო კვერცხის გული, და ცოტა ლურჯი სამოსელი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი უნდა ქნან, და ყუელა კარგად დანაყონ, და ძროხის თირკმლის ქონითა ამა წამლებისაგან თეითოს თხილის ოდენ ოდენი გუნდები უნდა შექნან, და ვისცა უნდოდეს, და ან ექირებოდეს იმა გუნდებისაგან, ან ერთი და ან ორი ნაკუერცხალზედა დააკმიონ, და ამისი კვამლი ცხვირსა და პირშიგა შეუშეან, და ესე კვამლი ჩანთქან, მწოვედ კარგი და აქიმთაგან მრავალჯერ დაცილი არის.

და თუ ამითა არ ეშველოს, მოიტანე ერთი პირვიწრო ლიტრა, და ამა ლიტრაშიგა ცოტაოდენი ვარდის ყუავილი ჩაყარე და ამაზედა ცოტა ნაკუერცხალი დააყარე, და ნაკუერცხალზედა ამა გუნდებისაგან ერთი ან ორი გუნდა დააფუხინიე, და იმა ლიტრასა პირი მოუგლისე, და ამა ლიტრისა პირშიგა ერთი ფუჩი ლერწამი დაამწყუდივეთ, და ამა ლერწმის მეორე წვერი ხაფაყანიანმან კაცმა პირშიგა უნდა დაიჭიროს და ამა წამლებისა კვამლი ამოსწოვოს, რომე ამა წამლებისა კვამლი ყუელა პირსა და ხახაშიგან შემოედინოს, და ასრე უნდა, ესე კვამლი ჩაყლაპოს, ხაფაყანისათვის ესე წამალი და ბუხური მწოვედ კაი და მწოედისაგან უფრო კაი არის, და ოსტატთა კაცთაგან მრავალჯერ დაცილი და ნასაქმები არის, და ზიყნაფასსა და ხაფაყანსა უსათიოდ უშველის, ბალღამს დაამწიფებს, მოხეთქს და ამოაღებინებს.

მუფრიდათი არის ვითამცა და წურილი, დაცილი წამლები, რომე ამა წამლებითა ფირტესა ეწამლების და არგებს.

თოხლოს კვერცხის ჰამა სილის ქირსა არგებს, ხუარბლის შე-
ჰამადი და ყოვლი ფქუილის შეჰამადი, სილის ქირსა არგებს, ფირ-
ტემტკივანსა კაცსა მწოვედ არგებს, ერიშთასა შეჰამადი ფირტვის
ტკივილს არგებს, ყოვლი ზღვის თევზი ფირტვის ტკივილს კარგად
უზამს, რომე ზაფრანითა მოხარშო და სჰამო. ნიგუზისა და ნავეისა
ზეთი ფირტუსენიანსა კაცსა მწოვედ არგებს, თაფლიანი ფალურტა
ფირტუს მწოვედ არგებს. აყიროს მურაბა ფირტუს მწოვედ არგებს,
და თუ კაცსა ფირტვი დაკოდილი აქუს, ფირტვის ბაყუს გამო-
სწუმდს. ხმელი ყურძენი ფირტვის ტკივილს მწოვედ არგებს. უნაბი
ფირტუსა მწოვედ არგებს. ქოქნარის ხილი ფირტუს ბაყლისა და
ავის. ხილთისაგან გასწუმდს. ყადიფა რომე კაცმან ნუშითა გატენოს
და ჰამოს, სილის სენსა მწოვედ არგებს, ცხრა ფეხა სილიანსა კაცსა
მწოვედ არგებს. იისა, ლულუფრისა, და ტკბილის ბროწეულის შარ-
ბათი კაცსა და სილის სენსა მწოვედ არგებს. კერემის ხის წებო,
სხლის ხის წებო და ქლიავის ხის წებო ფირტვის ტკივილისათვის
სამივე მწოვედ კაი არის. ახალი ყურძენიკა კაი არის, რომე კაცმან
ჰამოს. ფეტვის პური ფირტუს მწოვედ აწყენს. სიქანჯუბინი ფირტუს
მწოვედ აწყენს. ძმარი და ყოვლი შეავე, ფირტუსა ყუელა მწოვედ
აწყენს, და ყოვლი ჭარიანი ხილი ფირტუსა აწყენს.

**ქ. კარი მორცდა ზვიღე. ღვიძლისა და თიჩქმლის ტკივილსა
და ამისაჲ მიჯნუბება, ნიშნება და წამლებსა განსენება და
გიაგორგს.**

აწე თუ კაცსა მარჯუენას მხრისაკენ, ღვიძლის კერძოთ, ღვიძლი
და ფერდი უსივდეს და ან სტკიოდეს, ამისი ნიშანი და ალაბათი
ეს არის რომე, კაცსა პირისა ელფერი წაუხდეს და პირი ან წითლად
ჰქონდეს და ყუითლად, რა ესე ნიშანი კაცზედა ნახოთ იცოდით,
კაცსა წინა კერძო ღვიძლი სტკივის და მისგან თურმე არის ავად
და ფერ წასულით.

ამისი წამალი ეს არის, ასრე უნდა მაშინვე მარჯუენა მკლავი
გაუხსნან, და საშუალის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ. და
თუ ამა მკლავის გახსნამან არ უშველოს, მოიტანე ვარდის კაჰაჰის
ძირი და ან ფოთოლი, დანაყეთ და წყალი გამოჰხადეთ, და ამა
ვარდის კაჰაჰის წყლითა სიქანჯუბინი და ყურსი. რევენდი გაულესონ
და ესე სამივე ერთგან გაურჩონ და ორჯერ, სამჯერ ზედა ზედ
უზმოსა ასეან, ღვიძლის ტკივილს მაშინვე უშველის და ღვიძლისა
სიშივიენს დააცხრობს. და ამ რიგსა შარბათებსა ასმევედით: ღიმოსა,
ისრიმოსა, თემრი ჰინდისა, უშხუნისა, კოწახურისა, მეავის ბროწეუ-

ლისა და შათარას შარბათსა ასმევედით, იისა, ლულუფრისა, გავზა-
ბანისა, და ასლი ჰინდუბას შარბათსა ასმევედით, ვითამცა და ვენახის
ლიქის შარბათით. და შავი შარბათი ჯერ ამა შარბათებს, ლვიძლისა
და მჯდომისათვის ყუელასა სჯობს. ბოლო ამა შარბათებისაგან რო-
მელიცა იყოს ასვით, რომე ლვიძლისა და სიმბურვალის მჯდომისა
და ვარამისათვის ყუელა კარგი და ერთმანერთის მჯობი არის. და
მუდამ გრილსა ტლევებსა შემოსდებდით, რომე ლვიძლსა სიცხე და
სიმბურვალე გაუგდოს. აწე ესე წამლები არის რომე ტლევდ ჰქნათ
და გულსა და ლვიძლზედა გარდაკრათ და ლვიძლის ტკივილსა და
10 სიმსივნესა ორსავე უშველის: მოიტანე ვარდის კაჰკის ფოთოლი,
ძაღლის ყურძენა, ჯინჯარი, ჰანდრის ფოთოლი, დანაყილი სანდალი,
ძმარი და ვაშლის წვენი, ესე წამლები რომელიცა იყოს ცოტა ჰა-
ფური გაურივეთ და ამის წყალშიგა ერთი ხელისახოცი დაასოვლეთ
და გულსა და სტომაქსა და ლვიძლსა საწოლსა ალაგზედა გარდა-
აკარით, და ძალითა ღთისათა ლვიძლის ტკივილსა და სიმსივნესა,
ორსავე უშველის.

და თუ ამა წამლებისაგან ორსა, სამსა ერდგან იქთ, ისი სჯობს.
მაგრა ჰაფური თუ იშოვებოდეს ყუელაშიგ უნდა გაურიოთ.

და საკმლებისაგან ამრიგი საკმლები აქამონ: კაი ვარია, ხო-
20 ხობი, კაჰბი ღურაჯი და ამათივ ლაპები. ან შავი მწოვარი თიკანი.
და ესე ხორცები ასრე ყიმა შორვად ქნან, ან ქინძი და ან ისპანახი
გამოხარშონ და ამა შეავეებისაგან ერთ ერთი გაურიონ და ისრე
აქამონ. ლიმო, ისრიმი, კოწახური, თუთუბო, მოცხარი, თემრი ჰი-
ნდი, ქლიაფი, ნარდანგი, მქაუნა, მაყუალი, ხართუთა, და ან ძმარი
გაურიონ და ისრე აქამონ.

გრილი საკმელი და გრილი ხილი ყუელა ეკმების. წურილი
ახალი თევზი რომე ამა შეავებშიგა გამოეხარშოს, ყუელა ეკმების.

ვინ იცის და კაცსა სტომაქი მწოვედ ხმელად ჰქონდეს და
30 შეკვრით იყოს, მოიტანე ძაღლის ყურძენას წყალი, მუხუდოს წვენი
და შათარას წვენი, ესე წამლები სამივე ერთმან ერთშიგა აურივეთ
და ასვით. და თუ სამივე ერთად არ დაგესწრას, რომელსაც ასვამთ
სამივე კაი არის, ლვიძლის ტკივილსა და სიმსივნესა სამივე უშველის.

აგრევე თუ კაცსა ლვიძლი კი არ უსიედეს, და აღარც სიცხე
ჰქონდეს, და აღარც კი აცხელებდეს და იმა წინასა ავად ყოფაზედა
ისრე ცუდად, ფერ წასულით იყოს და თვალების გარეშემო და
თვალის ძარღვები დასკნობოდეს, მისი წამალიცა ესევე არის, რომე
აქვე ლვიძლის ტკივილზედა დაგვიწერია, ასრე უნდა ისივე შარბათე-

ბი ასევე, ისევე საკმლეები აქამოთ, და ისევე ტლეები შემოსდვათ და ეშველებს.

ვინ იცის და კაცსა¹ სისხლზედა ყუანა დააწყებინოს, ან ამა ლვიძლისა მიზეზისა და ან სხვის ეზპალისაგან და სენისაგან კაცი რომე გარ ვავიდოდეს და მუდამ სისხლი სდიოდეს, და ესე სისხლი შავი და მოსკე იყოს, და კაცსა სხვა ასო და ალაგი არა სტკიოდეს რა, ამ რიგსა სისხლსა დაწყუეტა და შესაკრავი წამლები არ უნდა მისცენ, ამისთვის რომე თუ კაცსა სხვა ასო და ალაგი არა სტკივის რა, და ასო უმტკივნად სისხლზედა იარების, ამ რიგი სისხლზედა

10 სიარული და გახსნა კაცსა არას აწყენს და ჯერ მწოვედცა უჯობს.

აწე ესე იცოდოი რომე თუ ამ რიგად კაცი სისხლზედა იარების რომე, სხვა ასო და ალაგი არა სტკიოდესრა ღ'თის შეწვენითა დღეის უკან ისი კაცი ლვიძლისა სენისა და ტკივილისაგან, ყოვლის სისხლის სენისა და ალამათისაგან, უკანას კარისა ტკივილსა და ვატეხისაგან, სოკოსა და მექეკის ყრისაგან და ჯერ მჯდომისა და ვარამისაგანაცა ნულარას ეშინიან. და ეს უსათუოდ უნდა იცოდეთ, თუ ამ რიგად ასო უტკივრად კაცსა სისხლი სდის და სისხლზედა იარების, ამა სნებისაგან, ყუელასაგან, მორჩომილი და დახალასებული არის და ესე კაცი ამა სნებისაგან ყუელასაგან ემინად უნდა იყოს,

20 და ნულარცა ეშინიან.

და ვინიცის და ამრიგშა სისხლის დენამან კაცი მწოვედ დაასუსტოს და მწოვედ მიაკირვოს, ასეთი წამლები უნდა მისცენ, რომე შეკრას. აწე შესაკრავის წამლების ნუსხა ეს არის: ყურსი ქარბა და ან ჰაბი მუყილი რომე, ვაშლისა და ან ბიის წყლითა აქამონ, სანდლისა და ხაშხაშის შარბათი და თაბაშერი ასეან, და შეჰკრავს და ელხინების. და თუ ამა წამლებმან არ შეკრას, რაცა ზემორ მუცლის ტკივილის კარშივა ან წამლები, ან შარბათები, ან ტლეები და ან საკმლეები დამეწეროს ის ასეით, და ისი აქამეთ და ისი ტლეები შემოსდევით და შეჰკრავს.

30 აწე რაცა ლვიძლსა ან აწყენს და ან არგებს იმას გიამბობს: სალათა, ქასნი და თოხმაქანი ლვიძლს სამივე მწოვედ არგებს და აქაბუკებს, და ძალსა და წყალს მისცემს მეტადრე მაშინ, რომე ლვიძლი სიმბურვალისაგან სტკიოდეს. უშხუნი, მქაუნა და გავზაბანი, ლვიძლს სამივე მწოვედ არგებს და აქაბუკებს და დააძალიანებს. კოწახური, თუთუბო და მოცხარი მხურვალსა ლვიძლსა მწოვედ არგებს. თაბლი ჰინდი, ხართუთა და მაყული მხურვალსა ლვიძლსა

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ყიმა შორვა ლვიძლს მწოვედ არგებს და დააძალიანებს“.

მწოვედ არგებს და დააძალიანებს, შეავე და ტკბილი ბროწეული, ვაშლი და ბია ჩხურვალსა ღვიძლსა, სამივე მწოვედ არგებს და დააძალიანებს. ქერის წყალი და ქერის ჯავ ავი მხურვალსა ღვიძლსა მწოვედ არგებს და სიმხურვალესა გაუგდებს. ნედლის აყიროს წყალი, დაძაბუნებულს ღვიძლს მწოვედ არგებს და აქაბუკებს და გულსა, ღვიძლს გაამთელებს და ძალს მისცემს.

ია და ლულუფარი მხურვალის ღვიძლისათვის მეტის მეტად კაი არის. ქინძი და ისპანახი მხურვალის ღვიძლისათვის მწოვედ კაი არის და მწოვედ მოუგრილებს და დააძალიანებს. სანდალი და რევიანდი ჩინი მხურვალს გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს და დააძალიანებს, სიციხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, და ღვინისაგან და სიციხისაგან რომე კაცსა ღვიძლი დახეთქილი და დაპობილი ჰქონდეს, მაშინვე გაამთელებს. კარხალი მხურვალს ღვიძლს მწოვედ არგებს და აქაბუკებს. ცხრა ფეხა ღვიძლისა და მჯდომსა ორსავე მწოვედ არგებს. შეავე ვაშლი მისთვის კაი არის და იმას მოჰკვეთს რომე, კაცი ღვიძლისაგან სისხლზედა იარებოდეს. მომეაო ბია ღვიძლსა და სუსანდარასა ეზაღსა მწოვედ არგებს, სუსანდარია ერთსა რიგსა სისხლზედა ყუანასა ჰქუიან. ისრიმი ღვიძლს მწოვედ არგებს და დააძალიანებს, ახალი დო, და ხმელი დო მხურვალს ღვიძლს ორივე მწოვედ არგებს, მეტადრე მაშინ რომე, კაცი გახსნით იყოს, და ან გულსა აზიდებდეს და რწყევა აუეარდეს.

და თუ კაცსა ღვიძლი სიგრილისაგან სტკიოდეს და ან სტომაქ გრილად იყოს ნიახურისა და რაზიანას ძირის ქერქები ღვიძლს მწოვედ არგებს და აქაბუკებს, და სუდასა და შარდსა ორსავე გზას გაუხსნის. შაი უსული ღვიძლს მწოვედ არგებს. სარმაშულის ფოთოლი რომე, მოხარშო და სკამო და ან ტლედ შემოიდვა, გრილს ღვიძლს მწოვედ არგებს. ხოლინჯანი, სანანებელი, დარიჩინი, ეგირი, გრილს ღვიძლსა და გრილს სტომაქსა მწოვედ არგებს და სუდას გახსნის. 80 ჯაუზი, ბაზბაზი, ქაბაბაი ჩინი და დარუ ფილფილი გრილს ღვიძლსა სამივე მწოვედ არგებს. ნაევი და ამისივ ზეთი, ნიგუზის ზეთი და წიფლის ზეთი, გრილს ღვიძლსა მწოვედ არგებს. ტკბილი ბროწეული, ინდაური ნიგონი და თხილი, გრილს ღვიძლს მწოვედ არგებს, ზაფრანა ღვიძლს მწოვედ არგებს და სუდას გახსნის ამისთვის რომე, ღვიძლი ზაფრანის არშიყი არის, და მაშინვე ამა ზაფრანასა შემოეკიდების და ამა მიზეზითა გრილს ღვიძლსა მწოვედ არგებს. ვარდის კაქაქი გრილსა და მხურვალს ღვიძლს ორსავე¹ მწოვედ არგებს;

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ამისთვის რომე მოჰთადილი არის. ბროწეულის შარბათი, უღის შარბათი აბზინდას ბალახის შარბათი, სანანებელის შარბათი და თაფლის შარბათი, და ყოელი მხურვალი მაგუნები, გრილს ლეიძლს უელა არგებს. შაქრით შექნილი სიქანჯუბინი, ლეიძლს მწოვედ არგებს, და მხურვალს ლეიძლსა მწოვედ მოუგრილებს. და სიქანჯუბინი რომე მეთვის ბროწეულითა ჰქნა, ლეიძლს მწოვედ არგებს, და სუდას გაუხსნის. ბიის მოხარშული სიქანჯუბინი ლეიძლს მწოვედ არგებს. თაფლი და თაფლ წყალი კაცსა გულსა და ლეიძლს გაუხურებს, და მხურვალსა ლეიძლსა აწყენს. სიფისტანი ლეიძლსა აწყენს. საზამთრო ვარამიანის ლეიძლისათვის ავი არის და კაცს მწოვედ აწყენს.

აგრევე თუ კაცსა თირკმელნი, და ან თირკმელის თავი სტკიოდეს, და ან ეწოდეს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, ესე თირკმელ მტკივანი კაცი პირზედა მწოვედ წამოქებებით იქნების, და ძარღვები მწოვედ აღდგების, და თირკმლის ალაგები მწოვედ ცხლად ექნების, და წყალი მწოვედ მოსწყურდების. რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით რომე, უსათუოდ თირკმელნი სტკივიან, და მისგან არის ავად.

აწე ამისი წამალი ეს არის რომე, ფიცხლავე მარჯუნა მკლავი გაუხსნან, და მკლავის საშუალის ძარღვიდამან ზომიერი სისხლი აღინონ. და კაი და გრილი შარბათები ასვათ, და გრილი ტლეები შემოსდვან, და ამა ტლეებშიგა ქაფურიც გაურიონ, და გულსა და სტომაქსა და თირკმლის თავზედა, ესე ტლეები შემოსდვან. და თუ არ ეშველოს მოიტანე ბალილა, ია და შირიხიშთი და ესე სამივე ერთად გამოწურე და თირკმელ მტკივანსა კაცსა უზმოსა ასვით, და ღთისა შეწევნითა თირკმლის ტკივილსა, და თირკმლის სიმხურვალესა, ორსავე უშველის.

და ვინიცის და ამა წამლებსა უკანა, თირკმელმან ძგერა და ფეთქა დაუწყოს, ასრე უნდა მაშინვე თაფლ წყალი გაღესონ და ასვან, რომე არწყევინოს, და თირკმლისა ძგერა და ფეთქა, მაშინვე უსათუოდ ეშველებს.

და თუ კაცსა თირკმლის თავი მძიმედ ჰქონდეს, და ხელფეხიცა აშლით და მოშლით ჰქონდეს, მოიტანე მოხარშული აფთიმონი და ჰაბი ყუყია, აქამე რომე დამალი და სტომაქი დაუღბოს და გაუწმინდოს. და ასრე უნდა, ამრიგსა კაცსა კაცმან საქმელებითა კარგად ხელი შეუწყონ, და გრილი და შემრგო საქმელები აქამონ: შემწვარი ქათამი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამთივე ლაქები შეწვან, და ან

მეავეითა მოხარშონ და ისრე აქამონ, და ყოელსა დაწოლისა და ადგომის დროსა, გულბა შაქარშიგა ქინძი ურიონ და ისრე აქამონ.

10 თუ ესე თირკმლის ტკივილი სიგრილისა, და თირკმლის შწოვედ მიქირვებისაგან არის, ამისი მიზეზი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ბევრი ტყუნა ექნას და მეტის მეტად მისქირვებოდეს, და ამა მიზეზითა თირკმელთა ქონი შემოეცვაროს. აწე თირკმლის ტკივილი, და თირკმლის დამკლობა, და ქონისა შემოცურცა ან იქნების რწყევისაგან, რომე კაცმან ბევრი არწყიოს, და ან ბევრის ტყუნისაგან, რომე კაცსა ერთი ვინმე გულითა არ უნდოდეს და არც უყუარდეს, და უგუნებოდ კაცი ხშირად ამ რიგსა ადამისტომთანა მივიდოდეს და ამა მიზეზითა, და ბევრის ტყუნის მიქირვებითა, კაცსა წელნი, თირკმელნი და სათესლე ყუელა ასტკივდეს. და ან კაცი რომე სტომაქზედა აშლით, და ხაზმუზიანად იყოს, მისგან იქნების.

20 აწე ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა შარდი. თეთრი ექნების, და წელი დაუსუსტდების, და კაცსა ყლე გვიან გვიანად აუდგების, და როდისცა აუდგების, მაშინცა ავად დასუსტად აუდგების, და წელნიცა ეტკივნებიან და კიდევ ფიცხლადვე დაუჩუტდების, და კაცსა თესლი დაუცოტაედების, და ესე თესლიმწოვედ თეთრი, თხელი და ცივი იქნების, და რა კაცისა წელიდალმან თესლი ჩამოვა, მაშინვე ამა თესლისა ალაგსა სიცივე დაიქერს. და ამას თვითან კაციცა შეიტყობს, რომე თესლის დაღურა აწყენს, და კაცსა უგუნებოდ შეიქს და დაასუსტებს, და მაშინვე ძილს მოგურის.

30 აწე ამა სენისა წამალი ეს არის რომე, მხურვალის ზეთებითა ცეცხლის პირსა თირკმლის ალაგები კარგად დაიზილოს, და კარგად ცეცხლი იმცხუნვარონ, რომე ქარი და სიცივე გააგდოს და თირკმელსა ძალი მისცეს. ასფურის თესლის ზეთითა, ვითამცა და იფნის ხის თესლის ზეთითაო, ან ნიგუზის ზეთითა, ან ნაყვისა და ინდაურის ნიგუზის ზეთითა, ან ნუშის ზეთითა, ან წიფლის ზეთითა, და ან მართლის ერბოთა, ან თხილისა და ან ზეთის ხილის ზეთითა, ან სელისა, და ან ყუსტის ზეთითა, ან ქათმისა, ან იხვისა, და ან ბატის ქონითა შეიქონონ და კიდევცა კამონ. თარანჯუბინი შაქრითა ასვან, და ამა ზეთებისაგან და ან ქონებისაგან რომელიცა იყოს, თირკმლის ალაგები კარგად შეიქონონ, და კარგად ცეცხლი უმცხუნვარონ, და თირკმლის ალაგები კარგად დაიზილონ, და თირკმლის ტკივილსა მაშინვე უშველის, და თირკმელსა დააძალიანებს. და თუ იშოვებოდეს ან მელის ქონითა, და ან აფთრის ქონითა ცეცხლის პირსა თირკმ-

ლისა ალაგები კარგად დაიზილონ. და ესე იცოდით რომე მელის ქონი და აფთორის ქონი მწოვედ კარგად უზამს, და ამა სენისათვის აქიმთა და მეცნიერთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი და ნასაქმები არის.

10 და კაცსა რომე სიგრილითა თირკმელნი სტკიოდეს ასრე და-
ადევ, მელის ქონისთანას წამალსა ვერცარასკი უზამთ. და ამ რიგნი
საქმლები აქამეთ რომე, თირკმელნი გაუსუქოს და ძალი მისცეს,
ვარიისა, ხობზისა, კაკბისა ღურაჯისა და ამათისავე ლაპებისა, და
ტრედის ხუნდის ხარშო შიაქნევირონ, ქინძი და ისპანახი ურიონ,
სანანებელი, დარიჩინი და მხურვალი ბალახები გამოხარშონ და ისრე
აქამონ. და ამა ხარშოებშიგა ერბოსა ალაგსა ან ქათმისა, ან ბატი-
სა და ან იხვისა ქონი გაურიონ, და ისრე აქამონ. და მუდამ ამრი-
გი ხილი ქამონ: ხმელი ნუში, ხმელი ყურძენი, ინდოურის ნიგვზის
გული, ნაყვის გული, ფილფილი და ახლობაში დამდღღერილი თხი-
ლი, ესე ხილები თირკმელს ყუელა გაახურებებს, და დააძალიანებს,
და ქონსა ისრევე შემოაკრავს, და თესლსა ისრევე ჩაუყენებს.

20 მაგრა ასრე უნდა, ეს ხილები ან შაქრითა და შაქრის მყინვა-
რითა ქამონ, და მუდამდ დანა მასტაქი, დარიჩინი და ან ქაბაბი ჩი-
ნი ღექონ და ჰილი, ეგირი და ან ხოლინჯანი ქამონ. და ხილები-
საგან ტკბილი ბროწეული, ტკბილი მაყუალი, კიტრი, საზამთრო,
კოწახური, ქინძი, სალათა, ისპანახი ქამონ, რომე ესე საქმელი და
ხილები; თირკმელსა ყუელა გაასუქებს და გააძალიანებს, და ტკივი-
ლსა და გატეხასა უშველის, და თესლსა ჩაუყენებს. და თუ ამა წამ-
ლებმან და ტლევმან არ უშველოს, თბილ თბილი მხურვლის ბალა-
ხების წვენითა ¹ ოყნა უნდა ² უყონ, და ეშველებს. ³

30 აგრევე თუ კაცსა თირკმელშიგა ქარი დაუდგეს, ეს იცოდით
რომე თირკმელნი მწოვედ ასტკივდების, და თირკმელნი დაუსუსტ-
დების, და სრულად თირკმელსა ქარი მწოვედ სდევს. და კაცსა თუ
თირკმლისა ქარი აუვარდეს, ამისი წამალი ეს არის რომე, ასეთი
წამლები ასეან და აქამონ რომე, ბევრი შარდი აქნევიროს, და ასე-
თი მაჯუნები და წამლები აქამონ და ასეთი მხურვალი ზეთები შეს-
ცხონ, და ასეთი ტლევები შემოსდევან რომე, ქარი დაღეწოს და გა-
უგდოს, და გულსა, მუცელსა და თირკმელზედა ასეთი ტლევები შე-
მოსდევან, რომე ამა ქარსა ალაგი დააგდებინონ. და დილასა უზმო-

¹ ეს სიტყვები სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვისცა თირკმელი და ან ბუჭტი სტკიოდეს და ან ეწოდეს, ცოტად რომე კვერცხი გაათბონ და სვან, ორ-სავე უშველის“.

მან და დაწოლისა დროსა ფალასუფას მაჯუნე, სტაფილოს მაჯუნე, მუხუდოს მაჯუნე და მხურვალე მაჯუნეები აკამონ, დანამასტაქი და დარიჩინი ოქქოს, ჰილი და სანანებელი ჰამოს, ხოლინჯანი და ეგორი პირშიგა დაიქიროს, ყუელა მწოვედ კარგად უზამს, და თირკმელსა გაახურვებს, და გააძალიანებს. და ყუსტის ზეთი, თეთრის ზამბახტის ზეთი, ყუითლის იასამანის ზეთი და ნიგუზის ზეთი, რომელიცა იყოს გაათბონ და თბილ თბილი შესცხონ, და კარგად ცეცხლი უმცხუნვარონ, და თირკმლისა ალაგები ამა ზეთებითა კარგად დაიზილონ და მწოვედ კარგი არის, თირკმელსა გაახურვებს და გააძალიანებს და ქონსა მოაბამს.

10 კიდევე თუ კაცსა თირკმელნი სტკიოდეს და კიდევე აცხელდეს, ასრე უნდა, სითყენცა თირკმელნი სტკიოდეს, იმავე გვერდისაკენ შკლავის საშუალი ძარღვი გაიხსნან, და კარგად სისხლი აღინონ, და შუმბიარის თესლის წყალი, აყიროს თესლის წყალი და ხაშხაშისა და ასპიუშის ლობი ვითამცა და ბარძაყათუნას ლობიო ერთმანერთშიგა აურიონ და თაფლ წყალითა ასვან, იისა, ლულუფრისა და გაეზაბანის შარბათი ასვან, და ხმელი გამოლესული დო ასვან, და ბაყილას წყალი ნუშის ზეთითა ასვან, სანდალი დანაყონ და გაცრან, და ან ვარდის წყლითა, და ან ტუბტის წყლითა, ტლედ ქნან

20 და თირკმლებსა გარდააკრან, და მაშინვე ეშველებიან.

ასრე უნდა, თუ კაცსა თირკმელნი სტკიოდეს მალლა ძახილსა, ბევრსა სარჯელსა, და ძნელსა და ძალიანსა საქმესა, ამას ყუელასა ერიდოს. და მუდამ მოსვენებით უნდა იყოს. და მუდმად ისპანახისა, სალათასი და ქინძის შექამადი ჰამოს. და ხილებისაგან სპანთრო, კიტრი, მოცხარი, კოწახური და კაი ქლიავეი ჰამონ, ხართუთა, ბროწეული და კაი ატამი ჰამონ. და რა სიცხემან და სიმხურვალემან გაუშვას და სიმხურვალე დაძველდეს, თბილის მუმრულანითა თირკმლების ალაგები დაუზილონ. და თუ მუმრულანი არ იყოს ან ბატისა და ან იხვისა, და ან ქათმის ქონითა ცეცხლის პირსა შექონონ,

30 და კარგად ცეცხლი უმცხუნვარონ, და თირკმლისა ალაგები კარგად დაიზილონ. და თუ კაცსა თირკმლები მწოვედ სტკივოდეს, ასრე უნდა, ეს თირკმელ მტკივანი კაცი ხშირად თბილს წყალშიგა ჩაჯდეს, რომე თირკმლის ტკივილმან და ყუილმან, ორმავ გაუშვას.

მუფრიდათი ვითამცა წურილი, დაცდილი წამლები, რომე ამა წამლებითა თირკმლის ტკივილსა ეწამლებიან.

ვინცა პრასა მოხარშოს და ძმარი გაურიოს და ძმრითა სვას, თირკმლის ტკივილისათვის მწოვედ კარგად მოუხდების.

ვინცა გვირილა ბალახი მოადულოს და ამის წყალშია ჩაჯდეს, თუ კაცსა შირიმის ქუა აქუს დალეწს და გამოაგდებს, და შარდსა თან გამოატანს.

ვინცა თოფალახი ჰამოს და დანაყილი თირკმლისა ალაგზედა დაიდვას, თირკმელსა მწოვედ ძალს მისცემს და აკაბუკებს.

დემურ თიქანი, რომე სპარსნი ხარი ხასაქს ეძახიან, ვითამცა და ლუსმარა ეკალიო, ეს რომე კაცმან დანაყოს და შაქრითა ამისა წვენი სვას, და ტლედაცა შემოიდვას, კაცსა რომე თირკმელშია ქუა ჰქონდეს, იმას გააქარებებს.

ზაფრანა თირკმლისა და გრილის ღვიძლისათვის მწოვედ კარგი არის და ორისვე ტკივილს უშველის.

წყლის წიწმატი თირკმლის ქუასა დალეწს, და კაცსა რომე წელთ ნახვეწისაგან წელეები დაკოდელი ჰქონდეს, იმას გაამთელებს.

სვინტრი თირკმელსა მწოვედ ძალს მისცემს. თალგმის ჰამო თირკმელს გაამაგრებს.

ვინცა პური და ხმელი ყურძენი ერთად ჰამოს, თირკმელსა გაასუქებს და გააძალიანებს და თესლსა ჩაუყენებს.

ვინცა ლეღვი ჰამოს, თირკმელი ავის ხილთისაგან გაწმიდოს და თირკმლის ტკივილისათვისცა მწოვედ კაი არის.

ნუში მოძთადილი არის, კაცმან რომე ან ნუში, და ან ამისი ზეთი ჰამოს, თირკმელსა მწოვედ არგებს.

ვინცა თავისა და ან სხვისა ასოსა ტვინი, შაქრითა შეჰკაზმოს და ჰამოს, თირკმლის ტკივილსა უშველის, თირკმელსა გააძალიანებს და თესლს ჩაუყენებს.

ვინცა გაზანგვის წყალი გამოჰხადოს და სვას, თირკმელს მწოვედ არგებს და მეტად ძალს მისცემს და თესლს ჩაუყენებს.

ვინც ერბოიანი ყუელი ჰამოს, თირკმელს გაასუქებს და გააძალიანებს, და თესლს ჩაუყენებს.

ვინცა ქათმისა, ბატისა და იხვის ქონი შეჰკამადებშია გაუროს, მწოვედ კარგად მოუხდების. ან ვინცა ესე ქათმის ქონი, ბატისა და იხვის ქონი პურითა ჰამოს, მწოვედ კარგი არის, თირკმელს გაასუქებს და გააძალიანებს.

ვინცა ფალასუფას მაჯუნნი, სტაფილოს მაჯუნნი, მუხუდის მაჯუნნი და ან სხვა მხურვალი მაჯუნები ჰამოს, თირკმელსა გაახურებს და გააძალიანებს.

ვინცა ზირა, ჯაეარიში ჯალინოზითა ჰამოს, თირკმელსა მწოვედ გაახურებს, გაამაგრებს, ქონს გამოაბამს და ბევრს თესლს ჩაუყენებს. და თუ ამითა არცა ერთითა არ იქნას, თბილ თბილი ოყნა უხნა კნან, რომე ესე ოყნისა იარალი მხურვალი ბალახები იყოს.

კვ. კაკი მონტდაკვი. სუდასა, წუჟკვილინა და სტომაქის ტკი-
ვილინა მიჴმეიხსა, ნიხნეხსა და წამლეხსა გამცნეხს და
გიაგორხს.

აწე სუდა ამას ჰქუიან რომე როგორაცა სისხლისა და სიმხურ-
ვალისაგან, კაცისა ასოშიგა ნაველელი დაიბადების, ისრევე სიგრილი-
სა, ქარისა და წყლისაგან, ესე სუდა დაიბადების.

10 აწე სტომაქისა ტკივილი ან ამისგან იქნების რომე, კაცსა უდ-
როოს დროსა ბევრი მხურვალი საკმელი ეკამოს, და ესე საკმელი
ველარ მოედნოს, და ემთილა შექნილიყოს. და ესე საკმელი კაცსა
გუამსა და სტომაქშიგა დასწოდეს, და ამა კაცისა გულსა და სტო-
მაქსა იმა საკმლისა სიმხურვალე მორეოდეს, და მისი სიცხე და ალა-
ვი, გულსა, სტომაქსა და სუდასა შემოსქიდებოდეს, და ამა მიზეზე-
თა თონმა და აიაზა შექნილიყოს.

20 აწე კაცსა რომე საკმელი გამოჰყუეს და ველარ მოიდნოს, იმას
ემთილა ჰქუიან. და თუ მეორეს დღესა წინადალმან და უკანიდალმან
სწორად გახსნა, იმას აიაზა ჰქუიან. აწე ესე და აიაზა, ვარამი არის,
და ამისი მიზეზი ეს არის რომე, კაცისა გული, სტომაქი და მადა,
სამივე მხურვალი არის და ესე მხურვალი სენი არ მოჰხდების რომე,
ან სისხლისაგან არ იყოს, და ან საფრისაგან.

აიაზა ამას ჰქუიან, რომე კაცმან უდროოს დროსა ნამყენი და
ავი საკმელი ჰკამოს, და ესე საკმელი კაცმან ველარ მოიდნოს, და
გულსა და სტომაქზედა დაადრკეს და წინადალმან და უკანიდალმან
სწორად გახსნას.

30 აწე თუ ესე ემთილა, აიაზა და ვარამი საფრისა და სიმხურვა-
ლისაგან არის ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე გულისა
და სტომაქის თავი მწოვედ ცხელი ჰქონდეს, და კაცმან რომე ხელი
დააქიროს, ხელშიგან მწოვედ ეცხელოს, და შიგნით ისი ვარამიცა
ეტკივნოს, და კაცსა მწოვედ წყურვილი აუვარდეს და მწოვედ წყა-
ლი სწყურდებოდეს, და პირი მწარე ჰქონდეს, და გული რევასა
დაუწყებს, და უსათუოდ გულსა საფრა აურევს, და როდოსცა არწ-
ყვეს ესე ნარწყვეიცა საფრა იქნების, და კაცი გულზედა მწოვედ
შევიწროებით იქნების, და კაცმან რომე ერთი რამე ან სასმელი და
ან საქიელი მოინდომოს, და რა მიართვან ველარა ჰკამოს.

აწე რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით რომე კაცსა
უდროოს დროსა საკმელი უკამია და ველარ მოუდვინა, და ესე საკ-
მელი გულსა და სტომაქზედა დასწვია, და მისი სიცხე და ალავი კაცსა

გულსა და სტომაქზედა შემოსქიდებია, და ესე ემთილა, ვარამი და აიაზა მისგან შექნია, და საფრისა სიმბურვალისაგან არის კაცი ავად.

აწე ამისი უკეთესი წამალი ეს არის რომე, ფიცხლავ თბილი წყალი სვას და არწყიოს, აბანოშიგა იბანოს და ბევრი დაიძინოს. და თუ კაცსა სისხლი სკარბობდეს, მარჯუნა მკლავი გაიხსნას, და სისხლი გამოუშვას, დი უსათიოდ ეშველებს.

და თუ კაცი მხურვლად და გახსნით იყოს კოწახურისა, ისრი-მისა, ლიმოს შარბათი, რომელიც იყოს ასეან. უშხუნისა, მქავის ბრო-
10 წეულისა, ვენახის ლიქისა შარბათი, რომელიც იყოს ასეან. ვაშლისა, ბიისა, უმუზისა, სანდლისა და ან სიქანჯუბინის შარბათი ასეან.

ბოლო ამა შარბათებისაგან რომელსაცა ასეამთ, და ყუელა შწო-ვედ კარგი არის, და ყუელა კაცსა მუცელშიგა შექკრავს, და გულსა და სტომაქსა ყუელა არგებს და დააძალიანებს.

და თუ ესე ავად მყოფი მხურვლად და შეკურით იყოს, ახლის ვარდისა შარბათი, იისა და ლულუფრის შარბათი, თემრი ჰინდისა და ან შაპთარას შარბათი და შავი შარბათი ასეან, რომე რომელსაცა ასეამ, ყუელა გულსა და სტომაქსა დააღობოს, სიცხესა და სიმ-ბურვალესა გაუგდებს, და მხურვალსა მჯდომსა და ვარამსა ყუელა არგებს, და მაშინვე მუცელშიგა გახსნის და გულს უკუპყრის. ¹

20. და თუ ის წინა შარბათები არ დაგესწრას, და კაცი მწოვედ-ცხლად და გახსნით იყოს, თაბაშერი ჰინდი ან ყურსი, ან ქაფური ჰინდი, კოწახურის ყურსი და ან გილი არმანი, რომელიცა იყოს, ან ვარდის წყლითა, ან ქანის წყლითა, ან ცივის წყლითა გაუღესონ და ასეან. და ქანისა და თოხმაქანისა წყალი ასეან, ბარძაყათუნასი და ან ბიის გულის ლობი შაქრითა ასეან. საზამთროს წვენი შაქ-რითა ასეან. და ხშირად ამ რიგი ტლეები გულსა და სტომაქზედა გარდააკრან, რომე გულსა უკუპყაროს და სიცხე და სიმბურვალე გაუგდოს: მოიტანე ნედლი აყირო და ან ახალი კიტრი დაფბიკე და დანაყე, ტლედ ქენ და გულსა და სტომაქის თავზედა გარდააკარ, და მაშინვე სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს, და სტომაქისა ტკი-30 ვილსა უშველის. და თუ ახალი აყირო და კიტრი არ იყოს, ძალლის ყურძენა დანაყონ, ტლედ ქან და გულსა და სტომაქისა თავზედა გარდააკრან, და სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს და გულისა და სტომაქის ტკივილსა უშველის.

ან ვარდის წყლითა სანდალი გაღესონ და ცოტა ძმარი ურიონ და ამა სანდლის წყალშიგა ერთი ქათნის ხელისახოცი დაასოვლონ

¹ ამ გვერდის ქვემო აშიახე რვეულთა სათვალავი „იძ“ სწერია დედნის ხელით.

და გულსა თა სტომაქზედა გარდააკრან. ან ქერის ფქული ვარდის წყლითა გააყენონ, ტლედ ქნან და გულსა და სტომაქზედა გარდააკრან. ან ვარდი დანაყონ და ძმრით ტლედ ქნან, და გულსა და სტომაქზედა გარდააკრან, ყუელა მწოვედ კარგი და სხვას ტლეებშიგა გამორჩეული და მრავალჯერ დაცდილი ტლეები არის.

10 და თუ ეს ტლეები არ იყოს ბალან კევრცხი შემოსდევით. ბალან კევრცხი ამას ჰქუიან: თხის ბალანი სამოსელზედა დაჰფინეთ და კევრცხი ხეკუქითავე ზედ დაალეწეთ და ისრე შემოსდევით. და ან ვარდის ზეთი თოვლზედა გააცივეთ და გულსა და სტომაქზედა გარდააკრით, და ყოვლის ტლის მჯობი არის, და გულსა და სტომაქსა და სუდასა, სამსავე მწოვედ მოუგრილებს¹

და ამრიგი გრილი საქმელები აქამონ; ვარია, ხოხობი, დურაჯი და ამათივე ლაპები და ან შავი მაწოვარი თიკანი ზირაბაჯად ქნან, და ან კოწახურითა და ან მოცხაჩითა, ან ისრიმითა და ან ხმელის დოთა ზირაბაჯად ქნან და ისრე აქამონ, ზირაბაჯი ყიმა შორვასა ჰქუიან, და ზირაბაჯი ამას ჰქუიან, რომე ამა ხორცებისაგან რომელიცა იყოს წვრილად დასკრა და დაკემსო და წყლით მოხარშო, და ცოტა ან ბრინჯი, ან ოსპი, ან მაში და ან ბოგრუჯა, ვითამცა წურილი და თეთრი ლობიო, რომელიცა იყოს ურიოთ, და ქინძი და
20 ან ისპანახი გამოუხარშონ და ცოტა მჭავე რამე ურიონ და ისრე ქამონ. ამა საქმელსა ზირაბაჯი ჰქუიან, და ყოვლის ფერის ავად ყოფისათვის, მწოვედ კარგი არის და კარგადცა მოუხდების. და ერთი კაცი რომე, ან სიმხურვალისაგან და ან ემთილასაგან ავად იყოს, მისთვის გამორჩეული საქმელი არის, და მწოვედ კარგადცა დააშუნდების.

და ხილებისაგან ვაშლი, სხალი, ბია და ქლიავი ქამონ, საზამთრო კიტრი და შუმხიარი ქამონ, კაპრის მწნილი, ხახვე, ბოლოკი, წიწმბტი და ყოვლი ფერი მლაშე და ყოვლი ფერი მწარე და ცხარი რაგინდარა იყოს, ან სასმელი და ან საქმელი ყუელა კაცსა გულსა
30 და სტომაქსა გაუხსნის, და საქმელსა ყუელა მოაქარებებს, გულს უკუპყრის და კიდევ ადრე მოანდომებს. და კოწახური, მოცხარი, ხართუთა, სალათა, ქასნი, თოხმაქანი და ქინძი მუდამ აქამონ. და მხურვალსა სასმელსა და საქმელსა ყუელასა ერიდოს, და გრილი ყუელა ქამონ. ვარდი დაჯეკონ და ტლედ ქნან, და ხშირად გულსა და სტომაქზედა გარდააკრან. და ტკბილი ბროწეული დაბეყონ, და

¹ ამ გვერდის ზემო აშიაქ დედნის ხელით რვეულთა სათვალავი სწერია „ით“.

შუადღის დროსა მუდამ ამრიგად ეს ბროწეულის წვენი ამოსწოვონ და ქერის ჯავ ავი აქამონ და უსათუოდ უღზუნს.

კიდევ თუ კაცსა ათაში შეექნას ვითამცა და მეტის მეტად წყურვილი აღეარდეს, ათაში ამა სენსა ჰქუიან. ამისი მიზეზი უსათუოდ გულისა და სტომაქის სიმხურვალისაგან იქნების. მაგრა ბევრჯულელ ასრეცა იქნების რომე, ჯერ წყალი სტომაქშიგა არ დალაგებულიყოს კიდევ და კიდევ წყალს ითხოვდეს. და როდისცა ან წყალსა სვამს და ან საკმელსა სვამს და რა წყალი სტომაქშიგა ჩავა და გათბების, მაშინვე არწყევინებს. ან რასაცა სვამს იმასაცა პირიდალმან ამოაღებინებს.

აწე რა ამრიგად ავად მყოფი ნახოთ, ასრე უნდა, წყალი არ დაუწყალობოთ, და რამთენჯერცა წყალი მოითხოოს ასეით, და ასეთი არცარა ასეით და არცარა აქამოთ, რომე რწყევა უკუუგდოს, თუ არ ავად მყოფსა მწოვედ შისპირდეს და დასუსტდეს, ამისთვის რომე, რაც ბაყლი, საფრა და ხილთი შიგნით გულსა და სტომაქზედა აწევს, ყულელა მოხეთქოს და ამოაღებინოს.

და თუ ან ავად¹ შისპირდეს და ან რაცა წყალი სვას ისიე წმიდა წყალი ამოაღებინოს, და ამა წყალშიგან სხვის ხილთებისაგან აღარა ერიოს რა, და ასრე გამოწმდეს რომე, ცარიელის წყლის მეტი აღარა ამოაღებინოს რა, იცოდი რომე ყოვლის საფრისა და ბაღლმისაგან, ყოვლისა სეველისა და ავის ხილთისაგან გამოწმდილა და დახალასებულა.

მერმე წყალი ასრე უნდა აუკრიფოთ რომე, აღარ ასეით, და აღარცა საკმელი და პური აქამოთ. და თუ უწყლოობა მწოვედ შისპირდეს, ვარდის წყლითა თეთრი სანდალი გალესონ და ასეან. და თუ თეთრი სანდალი არ იყოს, და ან ვარდის წყალი არ იყოს, ეს თეთრი სანდალი ქანისის წყელით გალესონ და ასეან. და თუ არცა ქანისის წყალი იყოს, ცივის წყლით მოსქედ გალესონ და ასეან, ან ამავე რიგად თაბაშერი ჰინდი გალესონ და ასეან. ან გილი არმანი, ან გილი მახთუმი ასეით.

და თუ ეს წამლები არც ერთი იყოს, კიტრისა, საზამთროსა, აყიროსა და შუმხიარის თესლების გული დანაყონ, და ამათი რძე გამოჰხადონ და უზმოსა ასეან. და ბიის თესლის ლოაბი, ან ბარძაყათუნას ლოაბი, და ან ტუხტის თესლის ლოაბი, თემრი ჰინდის წყალშიგა გაურიონ და სეან, და ან ქერმის წვენიშიგა გაურიონ და სეან, რომე სიცხე და სიმხურვალე გაუგდოს და გულსა სიცხემან უკუჰყა-

¹ ტექსტში აქ ნიშანი უხის და აშიახე სწერია დედნის ხელით „მყოფსა“ ვარიანტებში ეს შეცდომა განმეორებულა უვანმარტებოდ. ვარიანტი A. B. C.

ოს. და თუ უკმელობა ვერ გასძლოს, სამამლე ვარია შეწვით და ცოტა მარლი შიაცარეთ, და ერბოს მაგიერად ესეე გალესული სან-დალი შესცხეთ, და ისრე აქამეთ, რწყევასაც დაუქერს და გულსაც მოუგრილებს, და თუ შიგნით ან გული და ან ლეიძლი დახეთქილი აქუს, იმასცა ისრეე გამოაბამს.

10 და რა ესე შიატყოთ, რომე რწყევა უკუუვარდეს ლიმოსა, ის-რიმისა, კოწახურისა, თემრი ჰინდისა შარბათები ასვით, სანდლის შარბათი, უშხუნის შარბათი და ეჯახის შარბათი, რომელიც იყოს ასვით, რწყევას უკუუგდებს, კიდეც შეჰკრავს და გულსაც მოუგრი-ლებს.

და თუ ამრიგი ავადმყოფი შეკურით იყოს, თაბლი ჰინდისა, ვარდისა, ლულუფრისა და იის შარბათი, კერამის შარბათი, ეჯახის შარბათი და ან შათარას შარბათი ასვით, მაშინვე გულს მოუგრი-ლებს, სიცხეს გაუგდებს, რწყევას უკუუგდებს და მაშინვე გახსნის.

მგარა ამას უნდა უფრთხილდეთ, რომე მწოვედ ბევრი არ არწყევინოთ, ამისთვის რომე, არამც ბევრმან რწყევამან გული და სტო-მაქი დაუსუსტოს, და ან რწყევა ველარ დაუქირონ და საქმე გაუძ-ნელდეს, და შერმე საქმე სათუომიგა ჩაუვარდეს, და ამისთვის აქიმი დალონდეს.

20 აწე თუ რწყევა მწოვედ მისქირდეს და ველარამ ფერმან სხვამ წამალმან რწყევა ველარ დაუქიროს, მოიტანე ნიგუზის წენგო, და-ნაყე და წვენი გამოჰხადე და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბონ და მა-შინვე რწყევას მოჰკვეთს და უკუუგდებს.

და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, რაცა აქავ ზემო საფრი-სა გახსნაზედა ან წამლები და ან ტლეები დაგვეწეროს, ისიე ამას უყავით. და მომეო ბროწეული, ხართუთა, მაყუალი აქამონ, ყიმა შორეა ისრიმითა ან მოცხრითა, ან კოწახურითა შექნან, და ან ქინ-ძი, და ან ისპანახი გამოუხარშონ და ისრე აქამონ.

30 აგრევე ბევრსა კაცსა ესე სენი დუზლუ ბალღამისგანცა აედვ-რის. ამისი ნიშანი და ალამათი ისიე არი, რომე აქავ ზემო დაგვი-წერია, და კაცი ხშირ ხშირად წყალსა სევმდეს, და რაგინდარა ბევ-რი წყალა სეას, კიდეე და კიდეე, უფრო და უფრო მოსწყურდეს.

ამისი წამალი ეს არის რომე, ესე დუზლუ ბალღამი ზოგი გა-ხსნითა და ზოგი რწყევითა გააქარგოს, და ენისუნი დანაყონ და წყ-ლით მოადლღონ, და ამისის წყლითა თაფლი გალესონ, გაწურონ და სეან. ყიმა შორეა მეთავითა აქამონ და რაცა აქავ ზემო ან შარ-ბათები, და ან ტლეები, და ან ლოაბები დამეწეროს, ისიე ამას ას-ვით, აქამეთ და შემოსდევით, და უსათიოდ ეშველების.

ჯ აღინოზ აქიმმან თქუა: კაცი რომე ემთილა შვიქნასო და მერმე მწოვედ გახსნასო, და უკანა კარიც მწოვედ სტკიოდესო, და მწოვედ ეწოდესო, იცოდი ესე სენი საფრისა და სიმბურვალისაგან იქნებისო, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, ამა კაცისა გარგანავალი წითელი და ან ყუითელი იყოს. და წყალი მწოვედ სწყურდებოდესო, და კიპი, ფერდი და ნაწლევები უუელა სტკიოდესო, და კიდეცა ეწოდესო, და შიგნით მუცელს მწოვედ გურემდეს და გრეხდესო, რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, ესე სენი საფრისა და სიმბურვალისაგან იქნებისო.

10 ამისი წამალი ის წამლები არის რომე, აქავ ზემო წამლები და შარბათები დაგვიწერია. ისივ წამლები და შარბათები ასვით, ისივ საკმლები აქამეთ, და ისივ ტლევები შემოსდევით და ისივ ლობები ასვით, და მწოვედ კარგად უზამს, და მკურნელი ჰკურნებს ძალითა და შეწევნითა თვისითა.

და თუ არცა ამა წამლებითა იქნას, და წამსა და წამსა ტკივილმან უფრო და უფრო მოუმატოს, და უკანა კარიცა მწოვედ ეწოდეს, მისი თათბირი და წამალი ეს არის: მოიტანე ოცი ღირჰამი სირხიშთი და ვარდის წყლითა გააყენე, გაწურეთ და უზმოსა ასვით. რომე კაცი გახსნას, სამჯერ ოთხჯერ კაცი კარგად ასაქმოს, რომე 20 რაც შიგნით ხილთი და ბაყლი დარჩომოდეს, ყუელასაგან გაწმიდოს, და ყუელა დააღვრევინოს, და მერმე ტკივილსა და წეასა ორსავე დაუამებს. და მერმე შესაკრავი წამლები და შარბათები ასვით, სანდლის შარბათი, ისრიმისა და კოწახურის შარბათი, ვაშლისა და ბიის შარბათი და ან გავზაბანის შარბათი, რომელიც იყოს ასვით, გულსა და სტომაქსა მოუსევენებს და მოუგრილებს, კაცსა უსათიოდ შეჰკრავს. და თობმაქანის წყალშიგა თაბაშერი დაალბონ, გაწურონ და უზმოსა ასვან, გილი არმანი და გილი მახთუმი ასვან, და შემკრავი ტლევები შემოსდვან.

და თუ კაცი მწოვედ გახსნით იყოს და ან იმა სხვამ წამლებმან ვერ შეკრავს, ესე ტლევები შემოსდევით და მაშინვე შეჰკრავს: მოიტანე ყირმიზი ვარდი და ბროწეულის ყუაიელი და ბროწეულის ქერქი, და ვაშლისა და ბიის ფოთოლი, ესეები დანაყონ და ძველის ღვინითა მოხარშონ და ტლედ ქნან, და გულსა, მუცელსა და სტომაქის თავზედა სამოსლის ნაჭერითა გარდაკრან, უსათიოდ შეჰკრავს. და ახალი ყუელი და ან დო რომე კამოს, ორივე მწოვედ შემკრავი არის და კარგადცა მოუხდების, მაგრა ასრე უნდა, აღარცა სევს ღვინო, და აღარცა კამოს ხორცი, ამისთვის რომე. ეზაპალი კაცსა სწოვედ

წელსა და ფაშეებსა დაუმალალებს და ხორცი და ღვინო დამალა-
ლებულსა წელსა ორივე აწყენს, და წაუხდენს.

და თუ ან კაცსა მისკირდეს, და ან კაცი დასუსტდეს, და ან
უკეთ იყოს, ძმარშიგა უცილო კუერცხის გული მოხარშონ და აქა-
მონ, და ახალი სამამლე ვარია ან ხოხობი, ან კაკაბი, ან ღურაჯი
და ან შაეის მაწოვრის თიქნის ხორცი, რომელიცა იყოს, ყიმა შორ-
ვად ქნან და ან ისრიმითა, ან კოწახურიითა, ან მოცხარითა და ან
სხვის ამავე რიგის შეავეებითა მოხარშონ და აქამონ, და თუ იშოვე-
ბოდეს ან ჯერნის ხორცი, ან კურდღლის ხორცი, ან ახლის ძროხის
10 ხორცი, ამავე რიგად ყიმა შორვად ქნან, ამავე შეავეებითა მოხარშონ
და კამონ.

აგრევე ოსპი, მაში, ბოგრუჯა, ვითამცა და წვრილი და თეთ-
რი ლობიო, ან ბრინჯი რომელიც იყოს, კიდევე ამავე რიგათ, ამავე
შეავეებითა და ან ხმელის დოს წვენიითა გამოხარშონ შექამადად
ქნან და აქამონ. ესე საკმლები ამ რიგსა ავად ყოფსა ყუელა ექმე-
ბის და ყუელა არგებს.

კიდევე ესე ტლე მწოვედ კაი ტლე არის, და ამა ტლესა ზა-
მადი ბარად ჰქუიან: მოიტანე ოცდა თექუსმეტი ღირჰამი ¹ კაი ცვი-
ლი. და ვარდის ზეთი და ია თორმეტ თორმეტი ღირჰამი, პირველ
20 ცვილი გაადნივ და ცოტა ვარდის წყალი გაურიონ, და მერმე ვარ-
დის ზეთითა, და იითა, ტლედ გააკეთონ, და ათსა თორმეტსა დღე-
სა ზედა ზედ სამოსლის ნაქერიითა, ესე ტლე გულსა და სტომაქზე-
და გარდაკრან, და მერმე ვარდის კაქაქის წყალი გამოწურონ და
ამა წყლითა სამი ღირჰამი ხიარ შამბარას გული გაღესონ, თაფლ-
შიგა გაურიონ და ასვან, მას უკანა იის შარბათშიგა ნუშის ზეთი
გაურიონ და ასვან მწოვედ კარგად მოუხდების.

და თუ ვერცა იმა ზამადი ბარადის ტლემან, და ვერცა ამა
წამლებმან გულს ვერ გარდაჰყაროს, მოიტანე ია და ვარდი, ტუხ-
ტის ხის ნეკერი, ქერის ფქვილი, დანაყილი კანაფის თესლი, ასრე
30 უნდა ეს წამლები ყუელა წმინდად დანაყონ და ან ვარდისა, და ან
ქანისის წყლითა ტლედ გააკეთონ და სამოსლის ნაქერიითა გულსა და
სოტმაქზედა გარდაკრან. ესე ტლე მწოვედ კაი ტლე არის და მაშინ-
ვე სიცხესა გაუგდებს.

თუ ესე ემთილა და ვარამი სივრილისა და ბადღმისაგან არის
ამისი მიზეზი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა სივრილე და ბალ-
ღამი მოერევის და სტომაქსა გაუცივებს, და ამა მიზეზითა საკმელს ვე-
ლარ მოიღნობს და ემთილა და აიაზა შეიქნების, და საკმელი სტო-

¹ ეს სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩამატებული დედნას ხელით.

მაქშიგა წახდების, ისი საქმელი ბალღმად გარდაიქცევის და ესე ბალღამი ვარმად და მჯღომად გარდაიქცევის.

აწე თუ ესე ემთილა და ვარამი სიგრილისა ბალღმისაგან არის, იმისა ნიშანი და ალამათი ეს არის, საქმელსა დაადნობს და შერმე ესე საქმელი კაცის სტომამქშიგა დამქავდების, და კაცსა სტომამქი ქართთა აევსების, და მქავესა ბოყინსა დააწყებინებს, და ესე ბოყინი კაცსა პირს მქავედ დაუქერს და ხშირად ბოყინსა დააწყებინებს, და თუ დასტურად მუცელშიგა ქარი უთქს მუცელი კყურ-კყურსა დაუწყებს. და პირსა და ბაგესა სარჯელსა და გრეხსა დააწყებინებს, და ერთსა წამსა ბაგესა არ დააწყენარებს. და თუ დასტურად გვამსა და სტომამქშიგა ქარი უთქს, სლოკინსა დააწყებინებს და გული რევასა და მოწყალეობასა დაუწყებს, და საქმელსა სრულად აუკრებს, რომე აღარ მოუნდეს, და თუ არწყევს, ეს ბალღამიცა თეთრი ნარწყვევი ბალღამი ¹ იქნების, და პირის წყალი ბევრი ექნების და დორბლად მოედინების, და ცოტად წყალიცა მოსწყურდების, და ენა თეთრად ექნების, ელფერი თეთრად და ჩაჯეკვით ექნების, და პირის სახე თეთრსა სამოსელს დაეგვანების და პირის სახე დაუშვიპდების, და შიგნით ვარამიცა რბილად ექნების. აწე რა კაცზედა ესე ნიშნები და ალამათები ნახოთ, იცოდით ესე ემთილა და ვარამი სიგრილისა და ქარისაგან არის.

აწე ამისი წამალი ეს არის რომე რა კაცსა ესე შიატყოთ, რომე ჯაცმან საქმელი მართლად ველარ მოიდნოს და საქმელი გამოძყუეს და ემთილა და აიაზა შეიქნას, და ესე კაცი ასოღვით და აშლით იყოს, და კიდევცა აბოყინებდეს, ასრე უნდა, ფიცხლავ თბილი წყალი სვას და არწყიოს, და სტომამქი და კუქეკი ავის საქმლისა და ავის ქარისაგან დააცარიელოს, და სტომამქი გაიწმიდოს, და თბილსა აბანოშიგა იბანოს, და დაიძინოს, რომე ამა ემთილასათვის ძილისა, რწყევისა და აბანოშიგა ბანებისთანა წამალი არ არის. და ყოვლსა დაწოლისა და ადგომის დროსა ასრე უნდა, მუდამ ახლის ვარდის შარბათსა სვემდეს, ტკბილის ბროწყულისა და ან ნარინჯის ქერქის შარბათსა სვემდეს. და თუ ესე შარბათები არ იყოს, მოიტანე ნიახურისა. ცერეცოსა და ენისუნის თესლები, დანაყეთ და წყლით მოადლულეს, კაწყურეთ და ამისგან თაფლითა და ან შაქრითა შარბათად ქენით, და რა წყალი მოსწყურდეს, წყლის ალაგსა მუდამ ესე შარბათი სვან, და რამთენჯერცა წყალი მოსწყურდეს წყლის ალაგსა კამისა, ცერეცოსა, ნიახურისა და ენისუნის თესლები, რო-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მელიც იყოს დაჯექონ, მოადულონ და მუდამ ამათი წვენი ასვან, ან ამათგან შარბათი გააკეთონ, თაფლი ურიონ და ისი სვან. და ყოვლსა დაწოლისა და ადგომის დროსა ნახევარი ღირჰამი ან თრიაქი-ფარიყი, ან თრიაქი არაბა აქამონ, და ამას გარეთ მხურვალე მაჯუნები აქამონ, ფალასუფას მაჯუნი, სტაფილოს მაჯუნი და სულეიმანის მაჯუნი. ენისუნისა, ნიახურისა, ცერეცოსა და კამის თესლები პირველ მოხალონ და მერმე ისრე აქამონ. კევი, დანამასტაკი და უდი აღექონ. ეგირი, ხოლინჯანი, სანანებელი და ჰილი, რომელიცა იყოს პირშიგა დაიჭირონ და მუდამ ლექოს და ამათი წვენი ჩაყლაპოს, და მერმე თვითანცა ჩაყლაპონ, რომე გულსა და სტომაქსა ძალი მისცეს და გაახურვოს და გააძალიანოს, და ყოვლსა დაწოლის დროსა გვილან გვიბინი და გულბა შაქარი აქამონ. და გვილან გვიბინსა და გულბა შაქარშიგა კევი და დანამასტაკი, ჰილი, ხოლინჯანი, მიხაქი და სუმბული, რომელიც იყოს, დანაყონ, გაცრან და გაურიონ და ისრე აქამონ, ქარსა და სიცივესა გააგდებს, გულსა და სტომაქსა დააძალიანებს და სტომაქსა გაუხსნის. და გულსა და სტომაქსაზედა ხშირად ამრიგი ტლეები გარდააკრან: ან მელის კუდას ყუაგილისა ან საკრწყილისა, ან ყუავის ქანგას ზეთითა, ან ვარდის ზეთითა, ან შირლიღანის ზეთითა, ან ბაბათიას ზეთითა, და ან ვარდის წყლითა ხელი-სახოცი დაასოვლონ და გულსა, სტომაქსა და მუცელზედა გარდაკრან. ან თუ იშოვებოდეს ამავე რიგად თრიაქი არაბას ტლე გარდაკრან.

და თუ ამათ არ უშველონ და ან არ უკუჰყაროს, მერმე მოიტანე კევი, საკმელი, მიხაქი, ჰილი, ზაფრანა, ენისუნი, ფარფიონი, ყირმიზი ვარდი, უდი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, დანაყე და ყუელა ერთად აურივეთ, და ზეთითა ტლედ გააკეთეთ და გაათბეთ, და სამოსლის ნაქერითა გულსა, სტომაქსა და მუცელზედა შემოსდევით, რაცა გულსა და სტომაქსაშიგა ქარი და სიცივე არის ყუელასა გააქარებებს და გამოიღებს.

მაგრა კაცმან თავი თბილად უნდა შეინახოს და ქარსა და სიცივესა ერიდოს.

კიდევ სხვა კაი ტლე: მოიტანე ქერის ფქული და ტუნტის ხის ნეკერი, დანაყილი კანაფის თესლი, გვირილას ბალახის ყუაგილი, ყირმიზი ვარდი და თოფალახი, ესე წამლები ყუელა ერთად დანაყეთ, ტლედ ქენით და გულსა და სტომაქსაზედა გარდაკარით, მწოვედ კარგად უზამს, და სიმხურვალესა და სიმხმელესა ორსავე გამოიღებს. და ამ რიგი საკმლები აქამეთ: კვერცხ დაუდებელი ვარია, ხობი, კაკაბი, დურაჯი, ტრედის ხუნდი და ამათივე ლაპები და ან

მაწოვარი, შავი თიკანი და ესე ხორცები ან შეწვან და ან ყაურხად ქნან, და თუ ამ რიგად ვერ მოისწრათ, ყიმა შორავათ ქნან და სანან-ნებლითა, პილპილითა, მიხაკითა, დანამასტაქითა, ზაფრანითა და ან დარიჩინითა, რომელიცა იყოს ამა მზურელისა იარაღებითა გატენონ, და მზურვალი ბალახები გამოუხარშონ და ისრე აქამონ. და როდის-ცა საკმელი ჰქამონ, საკმელსზედა ზენაარ ცივსა წყალს ნუ სევას, თვარემ აწყენს და ყოვლს გრილსა და ჰარიანსა სასმელსა და საკმედსა ერიდოს, და მზურვალი ყუელა ჰქამონ, და კაი მზურვალი და შემრგო საკმელები აქამონ, და ავსა ხმელსა და ასეთსა საკმელსა ყუელასა ერიდონ, რომე გვიან მოიდნოს ამისთვის რომე, არამც გვიან მოიდნოს და კიდევ გამოჰყუეს და კიდევ მეორედ ემთილა და აიაზა შეიქნას.

და ბოსტნეულისაგან: შინაური პიტნა, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ცერეცო, კამა და ბოლოკი, ყუელა ეკმების.

აგრევე თუ ესე ემთილა და ვარამი სევდისაგან არის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის რომე, კაცსა ვარამი მწოვედ სპირდეს, და მწოვედ სტკიოდეს, და შიგნით ეს ვარამიცა მწოვედ მაგარი ჰქონდეს, და კაცსა სული ჩავარდნით და ჩაყრჩობით ჰქონდეს, და თავ პირისა და თვალების ელფერი შავი ჰქონდეს, და ბევრ ფერსა ფიქრსა და საგონებელშიგა ჩავარდეს, რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, ესე სენი და ვარამი სევდისაგან არის.

აწე ამისი წამალი ეს არის რომე, მოიტანე ცერეცოსა და ნიახურის წყალი, და ამ წყალშიგა ხიარ შამბარას გული გამოლესონ, და ნუშის ზეთიცა ურიონ და სვან, ლულუფრისა და იის შარბათი ასვან, ან ახლის ვარდის შარბათი ასვან, ჯავ ავი შაქრითა აქამონ, მზურვალი მაჯუნები აქამონ, ბაზბაზი დანაყოს და შაქრითა ჰქამონ, რომე დამალი გაუხურვოს.

მერმე ამრიგი ტლეები შემოსდვან მოიტანე გვირილას ყუავილი და აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ჰანგას ბალახიო და ტუხტის ახალი ნეკერი, ესე წამლები ყუელა წმინდად დანაყეთ, [და ტლედ ქენით,] და გულსა და სტომაქზედა შემოსდევით, და ხან და ხან ან ია, ან ვარდი და ან ორივე ერთად მოხარშონ გაწურონ და შვიდი დირჰამი ხიარ შამბარას გული გამოლესონ, ნუშის ზეთიცა ურიონ და ასვან, მწოვედ კარგად უზამს, და სევდასა დაულბობს და უშველის, კარგად ასაქმებს, და სევდასა და ხილთსა უსათუოდ ყუელასა უჭირველად დაალურეგინებს. და რა კარგად ასაქმოს მერმე მოიტანე ესევე გვირილას ბალახი, აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ჰანგას ბალახიო და ტუხტის ახალი ნეკერი, ესე სამივე ქათ-

მის ქონითა გააყენე და მალამად შექენ და გულსა და სტომაქზედა გარდაქარ, რომე შეკრას. და თუ ამან არ შეკრას ასეთი წამლები. ასეთთ, ასეთი ტლები შემოსდევით, რომე უსათიოდ შეკრას და ათსაოდე დღესა აცალონ და ამრიგად შეკურით ამყოფონ, და მერმე, აქა ზემორ რომე ხიარ შამბარას შარბათი დამიწერია, ის შარბათი ასეან და ან შატარას შარბათი ასეან, რომე კიდევ გახსნას, და რაცა კაციისა გულსა და სტომაქშიგა ან სევედა და ან ბაყლი დარჩომილიყოს, კიდევ მეორედ ჩამოწმიდოს, და ხშირად აბანოშიგა უნდა იბანოს.

10 და ხშირად ესე მაჯუნნი აქამონ, რომე კაცსა ესე სენი ან სევედისაგან და ან ბალღმისაგან წაჭკიდებოდეს, ამისთანა მაჯუნნი არ იქნების: მოიტანე ცერეცოს თესლი და ნარინჯის ტყავი, და ხმელი ვარდი, პილპილი, სანანებელი, დანამასტაკი და უდი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, დანაყე და გაცერ და სამი სრულად ამა წამლების წონა თაფლი მოიტანე, მოადლე და ქაფი მოჭხადე და ნელად ადლე, რაქამცა თაფლი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, სრულად ესე წამლები შიგ ჩაყარეთ და კარგად მოზილეთ და მაჯუნნი იქნების, ვისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს დიღეულ უზომან ამა მაჯუნისაგან თვითოს ნიგვზის ოდენ ოდენსა სქამდენ, 20 ესე მაჯუნნი სრულად ყოვლის ფერის სიგრილისა და ქარის სენის წამალი არის, და მქვალსა და კოლინჯსა გააქარებებს, და თუ ამა მაჯუნსა თბილის წყლით გალესენ და ისრე სმენ, ისე სჯობს.

და თუ ამა საქმლისა გამოყოლაზედა მუცელმან ტკივილი დაუწყოს, და ან კიპმან გრება დაუწყოს, და ან კიპი ამოუვარდეს, მოიტანე ტუხტისა ან თესლი, ან ძირი, და ან ახალი ნეკერი დაჯექე და წყალი დაასხი და მოადლე, გააცივე და ასვი, და მუცლის ტკივილსა, კიპის გრებასა და ამოვარდნასა მაშინვე უშველის.

და თუ გული და სტომაქი რწყევამან მწოვედ შიაწუხოს და დაასუსტოს მოიტანე ერთი ხელისახოცი და ვარდის წყალშიგა დაასოვლე და გულსა და სტომაქზედა გარდაქარ, მაშინვე რწყევას უკუუგდებს და გულს დაუამებს.

და თუ რწყევისა მოკვეთა გინდოდეს რაცა ქუემო მუცლის ტკივილისა კარშიგა დაგვეწეროს ისივ წამლები ამას უყავით. და ძმრით სანდალი გალესეთ და გულსა და სტომაქზედა გარდაქარით, და პირშიგა წენგოს წენი უმგვიბეთ და რწყევას უკუუგდებს.

და თუ ან რწყევამა რწყევითა ან მუცელშიგან გახსნამან კაცი მწოვედ შიაწუხოს და ან დაასუსტოს, სამსაოდე დღესა, რომე ჯერ ქათამი არ დაეჩინლოს სამამლე ვარია, ან გარეულის მფრინველის

ლაპები, და ან შავი მაწოვარი თიკანი ყიმა შორვად მოხარშონ, და ან ცოტა მაში, ან წვრილი და თეთრი ლობიო, და თუ ესეები არ იშოვებოდეს, ცოტა ბრინჯი ურიონ, ქინძი გამოუხარშონ, და ხმელი დო გამოუღესონ და უხორცოდ ამისი შეკამძლი აკამონ, რომე გულსა და სტომაქსა ძალი მოემატოს, და ასრე მწოედ არ დაეარდეს და არ დაძაბუნდეს, რომე სტომაქი არ გაერყუნას.

10 და ამ რიგი შარბათი ასვან, ახლის ვარდის შარბათი, იისა და ან ლულუფრის შარბათი, ბროწეულისა და ან შათარას შარბათი, რომელიცა იყოს ასვით, ყუელა კარვად უზამს. და მკაეისა და შემკრავის ხილებასაგან იფარებონ და ნუ სკამენ.

და თუ კაცსა მუცელშიგა საკმელი წაუბდეს და ისი საკმელი ბალღამად გარდაექცეს და სიგრილე აუარდეს მოიტანე ენისუნი, ქიმნუნე, ცერეცო, დანამასტიკი და უდი და ყუელა დაჯექეთ და ერთად მოადლეთ, გაწურეთ და თბილ თბილი ასვით, და შინაური პიტნა, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი და ბოლოკი აკამონ, ყუელა კარგი არის.

20 კიდევ მწოვედ კაი ტლე: მოიტანეთ ვაზის ხე დაწვით და დაანაცრეთ მერმე მოიტანეთ ესე ვაზის ნაცარი, თოფალახი და სუმბული და ესე სამივე დანაყეთ და გაცერით და სამივე ერთად აურივით და ძმრით ტლედ ქენით და სამოსლის ნაქერიტა გულსა და სტომაქზედა გარდაკარით და ძალითა ლთისათა, მაშინვე ულხენს, და ესე ტლე მწოვედ კაი ტლე არის და რამთენჯერცა წყალი მოუნდეს, წყლის ალაგს მუდამ თაფლწყალი უნდა სვას.

აგრევე თუ ამა წამლებმან კი არ არგოს და გარ განავალსა ფერი კი გამოეცვალოს და ეს გარ განავალიცა თეთრი იყოს, და აღარც უკანა კარი სტკიოდეს და აღარც ეწოდეს, და აღარცა წყალსა იწყურვებდეს იცოდით, რომე სიგრილე შორევია.

30 და ამისი წამალი ეს არის რომე, ყოვლსა დილასა უზმოსა გავარიში ქუნდური აკამონ. აწე გავარიში ქუნდური ამას ჰქუიან: მოიტანე პილპილი და სუმბული ჰინდი, დანამასტაკი, ენისუნი, ბროწეულის ყუავილი და უდი, და ესე წამლები წონითა ყუელა სწორ სწორი ქენ, და ყუელა დანაყე და გაცერ და მისგან ნუშის ზეთითა თვითო ღირჰამი ყურსები შექენ და გავარიში ქუნდური იქნების, და როდისცა უნდოდეს ამისგან დილეულ უზმომან სამ სამი ღირჰამი უნდა კამონ და ელხინების. და ამ რიგი საკმელი უნდა აკამონ: კაი კვერცხ დაუდებელი ვარია, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი და ტრედის ჰუნდი, ამა ხორცებშიგა, რომელიც იყოს შეწონ და ან ყაურმად

ქნან და სანანებელი, პილპილი და დანამასტაკი ურიონ, მხურვალის ბალახებითა შიამკონ და ისრე აქამონ.

და თუ ეხაპალი და გახსნილობა ცოტა ჰქონდეს და მუცელი და უკანა კარი მწოვედ სტკიდეს, და კიპსა უგრებდეს, ამა სენისა მიზეზი და ნიშანი ეს არის რომე, უსათუოდ ამა კაცსა მუცლისა და გვამიდალმან, პილწი რამე ხილთი დასცვიენია, და ან მწოვედ მხურვალი რამე უქამია და ბალღამი დასწვია, და უსათუოდ მუცელი და უკანა კარი მისთვის სტკივის, და მისგან ეწვის. აწე ამა სენსა არაბულად ყულჰათუ ჰმა¹ ჰქუიან.

10. და ამისი წამალი ეს არის: მოიტანე საკმეველი და სამეი არაბი, და ხუნი სიოაშან, და შაფი აფიონი, ესე წამლები ყუელა დანაკეთ და ერთად მოზილეთ, ვარდის ზეთითა, ნეკის სისხო სისხო შაფები შექენით და უკანას კარიდალმან ააღებინონ და ღთითა უსათიოდ შეჰკრავს და ტკივილსა და წვასა ორსავე უშველის და მაშინვე დაუამებს.

მუფრადათი არის ვითამცა გულისა და ხტომაქის ტკივილისა წერილსა და დაცდილსა წამლებსა გამცნებს და გიანბობს, თუ გულსა და სტომაქსა ან რა არგებს, და ან რა აწყენს.

20. დურიტა და დელამუტი სუდასა და სტომაქისა სქელსა სისხლსა გასწმედს და გახსნის. თეზი კაი არ არის სტომაქსა აწყენს და კაცსა მწოვედ მოაწყურებებს და მხურვალსა სტომაქსა არგებს, კაცსა შეჰკრავს, წყურვილსა და რწყევასა ორსავე უკუღდებს. ბრინჯი კაცსა შეჰკრავს გულისა და სტომაქის წვასა გაუგდებს. ქერი და ქერის შეჰკამადი გრილი და ნედლი არის, სიმხურვალესა და სიხმესა, ორსავე უშველის, წყურვილს მოუკლავს და მხურვალს სტომაქსა მწოვედ არგებს. თობზაქანი მხურვალსა სტომაქსა არგებს. კანაფის თესლი მხურვალია, ხმელია, კაცმან რომე ქამოს, სტომაქის ქარსა აუგდებს, და თუ ტლედ შემოსდებ ყოვლსა გრილსა ვარამსა, ქარსა და სიმსივნესა არგებს. კამასა, ცერეცოსა და გვირილას ზეთები, 30. კაცსა რომე სტომაქშიგა ქარი ჰქონდეს, მისთვის მწოვედ კარგი არის. გარეული პიტნა რომე წყლის პირს მოსულიყოს, გრილს სტომაქს არგებს. კაპარი კაცსა სტომაქის თავსა გაუწმედს, სალათა სტომაქის სიმხურვალესა დააცხრობს და წყურვილსა მოუკლავს. ქასნი სტომაქსა ძალს მისცემს და კაცსა შეჰკრავს, და თვითან მოჰთადილი არის და ამისთვის ყოვლის გვარის ვარამისა და სიმსივნისა წამალი და აქამი არის. ნიორი მხურვალი და ხმელია დუზლუ ბალღმი-

¹ ეს სიტყვა მრავალწერტილებშია ჩასმული.

სა რწყევასა უკუუგდებს და ციესა სტომაქსა გაათბობს. სანანებელი სტომაქიდაღმან ქარსა გაუყენებს და გრილსა სტომაქსა არგებს და ძალს მისცემს. დარი ფილფილი საკმელსა ფიცხლად დაადნობს, ქარს გაუყენებს და სტომაქსა ძალს მისცემს. დანამასტაქი ქარს დაღუწს და ამოაღებინებს და ბაღმისაგან დასუსტებულსა სტომაქსა ძალს მისცემს და მწოვედ არგებს. პილი ქარს ამოაღებინებს და დაღუწს და გრილსა სტომაქსა ძალს მისცემს და მწოვედ არგებს. ეგორი ყოვლის გრილის სენისათვის კარგი არის, გრილს სტომაქსა მწოვედ არგებს და დააძალიანებს. აყირო კაცსა სტომაქსა გაუნედლებს და წყურვილსა მოუკლავს. კიტრი სიმბურვალისათვის და წყურვილისათვის კაი არის, თუ საფრად არ გარდაიქცევის. ტუბილის ნუშის ზეთი და თვითან ნუში სტომაქისათვის ორივე მწოვედ კაი არის და კაცსა წყურვილსა მოუკლავს. შეავე ბროწეული სტომაქის თავის ტკივილსა უშველის და კაცსა შეჭკრავს და წყურვილსა და რწყევასა მოაქვეთს და ღვიძლს მწოვედ არგებს. მეიხოში ბროწეული გულისა და სტომაქის წვისათვის მწოვედ კარგი არის. კარგ სულიანი ვაშლი და იმისივე ჩირი სტომაქსა ძალს მისცემს და რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუ უგდებს. ბია გულსა ღვიძლსა და სტომაქსა, სამსავე არგებს, და კაცსა შეჭკრავს და სიმბურვალესა რწყევასა და წყურვილსა სამსავე უკუუგდებს. ახალი ყურძენი კაცსა გახსნის, სტომაქსა მწოვედ ძალს მისცემს, და მწოვედ არგებს. ალუჩა სტომაქსა ძალს მისცემს და რწყევასა უკუუგდებს. ქლიაფი სტომაქსა ძალს მისცემს და მოუგრილებს¹ რწყევასა გაუადვილებს. ნედლი ხურმა გრილს სტომაქსა არგებს. მარილიანი და გერჩივნოს უმარილო ზეთის ხილი სტომაქს ორივე არგებს და ძალს მისცემს, და რწყევას უკუუგდებს. შაქარი სტომაქსა არგებს, მაგრა კაცსა საფრასა აუშლის და წყურვილსა აუგდებს². თაფლი გრილსა სტომაქსა და ფირტუსა ორსავე არგებს. შინდისა, თუთუბოსა, კოწახურისა, მოცხარისა და უშხუნისა, ესე ოთხივე ჯულაბები სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს წყურვილსა და რწყევასა უკუუგდებს, და კაცსა მუცელშიგა შეჭკრავს და სტომაქსა ოთხივე არგებს. ისრიმი კაცსა შეჭკრავს რწყე-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზგზოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „თბილსა წყალშიგა ბანება, კაცი რომე ემთილა ზეწნილიყოს და სატბელი ვერ მოედნოს, იმას გააქარებებს და მოადნობინებს, მაგრა სტომაქსა დაუსუსტებს, ტყირბსა და გულსა გაუსიკვებს და ელფერს წაართმევს“. კაცმან რომე თოვლის წყალი სვას, სტომაქსა ძალს მისცემს და სიმბურვალესა გაუგდებს. „ვარდის წყალი სტომაქსა ძალს მისცემს, სატბელსა მოაქარებებს და სიმბურვალესა გაუგდებს“.

ვასა და წყურვილსა უკუუგდებს და სტომაქისათვის მწოვედ კარგი და მარგე არის. ძმარი შემკრავი არის და მხურვლის სტომაქისათვის მწოვედ კარგი არის. უშხუნის რუბი და შარბათი სიციხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, წყურვილსა და რწყევასა უკუუგდეს, გულსა, ლვიძლსა და სტომაქსა სამსავე მწოვედ არგებს და სამსავე ძალს მისცემ. მეავის ბროწეულისა, ლიმოსა და ისრიმის რუბები და შარბათები, სამივე გულსა, ლვიძლსა და სტომაქსა, მწოვედ არგებს და ძალს მისცემს, კაცსა სამივე შეჰკრავს, წყურვილსა და რწყევასა სამივე მოჰკუეთს და სიციხესა და სიმხურვალესა სამივე გაუგდებს. ბიისა და თურინჯის რუბი გულსა და სტომაქსა, ორივე არგებს და ძალს მისცემს, წყურვილსა და რწყევასა ორივე უკუუგდებს და კაცსა შეჰკრავს, და ამათსავე შარბათსაცა ამათივე ხასიათი აქუს. ქერამისა რუბსაცა კიდევ ისრიმის რუბის ხასიათი აქუს. ბით შექნილი სიქანჯუბინი, სტომაქსა მწოვედ ძალს მისცემს, სიციხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, წყურვილსა და რწყევასა ორსავე¹ უკუუგდებს და კაცსა შეჰკრავს და საკმელსა მოაქარვებს. ყურძნის შარბათი კაცსა რომე სტომაქშიგა მსხმო ესხას, იმას უშველის და გრილსა სტომაქსა არგებს. საია სიქანჯუბინი სიციხესა გაუგდებს, რწყევასა და წყურვილსა ორსავე მოჰკუეთს, საკმელსა მოაქარვებს და სტომაქსა არგებს და დააძალიანებს. ტვინი კაცსა გულსა აურევს, რწყევას აუგდებს და სტომაქს წაუხდენს.

თევზი ავი არის, სტომაქსა აწყენს, სიგრილესა აუგდებს, ბალღამს გააძალიანებს და ბევრს წყალს ასმევს. და თუ კაცი ბევრს თევზს სჭამს, საწამლავს უარ არის. ქერეში სტომაქსა დაასუსტებს, სიგრილესა აუგდებს. ბაკლას ცერცივი სტომაქისა ქარსა აღძრავს. ერიშთასა შეჰამადი, სტომაქშიგა გვიან დადნების. ბადილჯანი კაცსა სტომაქს აატკივებს. ნესვი სტომაქისთვის მწოვედ ავი არის, კაცისა სტომაქშიგა რომელსაცა ხილთს ძალიანად ნახავს, თვითანც იმ ხილთად გარდაიქცევის, და კაცი თუ ბევრს ნესუსა სჭამს და ესე ნესვი კაცსა სტომაქშიგა ხილთად გარდაიქცევის, როდისცა დაუღებების მერმე საწამლავად გარდაიქცევის.

კანაფის თესლი სტომაქსა ქარსა აუგდებს. თხილი სტომაქსა აწყენს, გვიან დადნების და ქარსა აუგდებს, და კაცი თუ ბევრს სჭამს, თავსა აატკივებს, და კაცი თუ შაქრითა სჭამს, მაშინ მწოვედ კარგი იქნების, და აღარც თავს აატკივებს, და კაცსა რომე სიგრილისაგან გული სტკიოდეს, იმასაც უშველის. წიწმბი მხურვალს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სტომაქსა აწყენს და გრილს სტომაქსა არგებს. ნედლი ხურმა გრილს სტომაქსა არგებს და მხურვალსა სტომაქსა აწყენს. ყოელი გვამის ქონი კაცსა გულსა აურევს და სტომაქსა დაუსუსტებს. შირლიღინის ზეთი კაცსა სტომაქსა აურევს და აუშლის და დაუსუსტებს, და საკმელსა აუკრებს. უნაბი გვამშიგა გვიან დადნების და სტომაქსა არ მოუხდების.

10 თაფლი და თაფლ წყალი კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხურვებს და კაცსა მოაწყურვებს¹. და თუ კაცი სტომაქ მხურვალე არის ეს თაფლიცა ფიცხლავ საფრად გარდაიქცევის და ფირტვსა არგებს.

ესე წამლები ყუელა დაცდილი არის, მისთვის ყოველმან სულმან უნდა დაიჯეროს.

[ძმ] კარი შეოცდაცხრე. ხაფაყანისა და გულისა და ხტომაქის ტკივილისა გულის თრთოლისა და ფეთქისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გამცნებს და გიამზობს.

20 აწე ასე უნდა იცოდეთ რომე, ხაფაყანი ქშინვასა და გულის ფეთქასა და გულის ძგერასა ჰქუიან, და ესე ხაფაყანი ორი რიგი არის. ერთი რიგი ხაფაყანი სიმხურვალისა და საფრისაგან დაემართების, და ერთი რიგი ხაფაყანი სიგრილისა, ბალღმისა. და გულის სისუსტისაგან დაემართების და ბევრს კაცსა ავის საკმლისაგანცა აუარდების. აწე ესე ხაფაყანი [რომელიცა] სიმხურვალისა და საფრისაგან არის ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ხაფაყანი სჭირდეს და კიდეცა აცხელებდეს და ამრიგსა ხაფაყანსა უსათიოდ ცხელება სდევს, და მწოვედ წყალი მოსწყურდების და მწოვედ წყურვილი აუვარდების, სტომაქი და სტომაქის თავი მწოვედ ცხლად ჰქონდეს და ხელი რომ დააქირო, ხელშიგა მწოვედ გეცხელოს, და მხურვალი და ცხელი სული ამოსდიოდეს, და ფიცხლა ფიცხლა ქშინევდეს და მაჯაცა ფიცხლა ფიცხლად უცემდეს, და რასაცა კაცი სკამდეს ვერ მოიღნობდეს, და გულზედა დაადგებოდეს, ნაფელსა და თასასა ბევრსა იქმოდეს და ვერ მოისვენებდეს, და თუ ცივი ჰაფა და ქარი ეცეს გულსა და ხორცშიგა იამოს.

30 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით ესე ქირი და სენი დასტურად ხაფაყანის სენი არის და ესე ხაფაყანი დასტურად სიმხურვალისა და საფრისაგან წაჰკიდებია.

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „თუთუბო სტომაქსა გასწმედს და საკმელსა ადრე მოაქარვებს, და კიდევ ადრე მოანდომებს, და საფრისაგან რომე კაცსა გული ერეოდეს იმას უკუუგდებს“.

აწე ამ რიგისა და ამ გვარისა ხაფაყანისა წამალი ეს არის რომე, ფიცხლავე მკლავი გაიხსნან და საშუალის ძარღვიდამან კარგად სისხლი იდინონ, და ქაფურის ყურსი ვაშლის წყლითა გალესონ და ისრე ასეან. და ახლის ვარდის შარბათი, იისა და ლულფურის შარბათი ასეან, ან უმუზისა, შაჰთარასა ვაშლისა და გავზაბანის შარბათი ასეან, ან ბროწეულისა, კოწახურისა, და ან შავი შარბათი ასეან. ბოლო ამა შარბათებშიგა რომელიცა იყოს ან გავზაბანის წყლითა, ან ვარდის წყლითა და ან თოხმაქანისა წყლითა გალესონ, და ესე შარბათები ყუელა კარგი და ამა სენისა აქიმი და

10 წამალი არის.

გულის პირზედა გრილი ტლევები შემოსდევან. ახალი ვარდი დანაყონ ძმრით ტლედ ქნან და გულის პარზედა გარდაკრან, ან ამავე ვარდის ზეთი თოვლზედა მწოვედ გააციონ და სამოსელი დაასოვლონ და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან. ან ვარდის წყლითა და ან ძმრითა სანდალი გალესონ და ამა სანდლის წყლითა ხელისა-ხოცი დაასოვლონ, და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან, და თუ ამა ტლევებშიგა ბარძაყათუნასა ლუაბსაცა ურევენ მწოვედ სჯობს. და თუ ესე ტლევები არც ერთი არ დაგესწრას, ან ია, ან ლულუფარი, ან ახალი აყირო, და ან ახალი კიჭრი დაფხიკონ და წმიდად დანაყონ, ძმრით ტლედ ქნან და სამოსლის ნაქერიითა ესე ტლევები გულსა და სტომაქზედა გარდაკრან. ან ამა ტლევებისა წვეწვიგა ხელისახოცი დაასოვლონ და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან და მაშინვე გულის ტკივილსა, გულის ფეთქასა და გულის თრთოლასა სამსავე¹ უშველოს და გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს. და თუ გული და ყელი მწოვედ ცხლად ჰქონდეს და მხურვლად და ბაყლსა და ბალღამსა ვერ ამოიღებდეს, ბარძაყათუნას ლოაბი, ბიის ლოაბი და ტუხტის თესლის ლოაბი ასეან, მაშინვე გულსა და სტომაქსა დაუღბობს, ბაყლსა და გრილსა² ბალღამსა მოხეთქს და ნათედ ნაფეთად ამოაღებინებს. და ხშირად ამ რიგსა ხილსა სჰამდენ: ვაშლსა, სხალსა, ბიასა, მომეაოსა და მეიხოშს ბროწეულსა, კიტრსა, შუმბირასა და საზამთროსა აქმევდენ, ხართუთასა, მაყუალსა და კოწახურსა აქმევდენ, რომე გულისა და სტომაქისა სიცხე და სიმხურვალე გაუგდოს, გულსა და სტომაქსა ძალი მისცეს და გულისა და სტომაქისა ტკივილი, ფეთქა და თრთოლა სამივე მაშინვე უშველოს. და მერმე მოიტანე ია, ვარდი, ლულუფარი, ტირიფის ფოთოლი, კიტრი, საზამთრო, შუმხიარი, ვაშლი, სხალი, ბია, ნარინჯი, მარსინი და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვებ სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ქაფური, მუდმათ ამავებსა უსუნებდენ, და ქინძსა და გრილსა ბალახებსა მუდმათ უსუნებდენ.

10 და ამ რიგი საკმელი უნდა აქამონ: სამამლე ვარია რომე ჯერ ქათამი არ დაეჩინჩლოს, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და ან ამათივ ლაპები. და ან შავის მაწოვრის თიქნის ხორცი, რომელიცა იყოს, ყიმა შოვრად უნდა ქნან და ნარდანგითა, ისრიშითა, კოწახურითა, მოცხარითა, თუთუბოთა და დოთა მოხარშონ და ხარშოდ შექნან და ამა ხარშოშიგა ვაშლი, ბია, ქლიავი. გამოუხარშონ, ქინძი და ისპანახი გამოუხარშონ და ამ რიგად ხარშოდ შექნან. და აქამონ, მწოვედ კარგად მოუხდების, და სიცხესა და სიმხურვალესა გაუგ-

დებს და გულის ტკივილსა და ფეთქასა ყუელასა უშველის. და თუ ამა წამლებმან და ტლევებმან არ უშველოს, და ან გულს არ უკუჰყაროს, მოიტანე ქერის ხალი დანაყე და წმიდად გაცერ და ან ვარდისა, და ან ვარდის კაქაქის წყლითა ტლედ ქნან და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან და მაშინვე გულის თრთო-
ლასა და გულის ფეთქასა ორსავე უშველის.

20 მაგრა ამრიგი ხაფაყანიანი კაცი მუდმად მდინარისა წყლისა პირსა უნდა იყოს და მუდამ წყლის ხმა ესმოდეს, და ქარი რომე ხესა არხევდეს მუდამ იმა ხის რხევის ხმა ესმოდეს, და რითაღა საქ-
მითა გულს უკუიყრიდეს და ან გული გაუმხიარულდებოდეს იმ რი-
გად ქნან, გულს უკუიყარონ და გულიდალმან ნაელელი განიშორონ.

და აქიმთა და მეცნიერთა კაცთა ასრე უთქუამს და ასრე დაუ-
დებია რომე, არა წამალი და არა აქიმობა, თავისის საყუარლის ნახვისთანა არ არისო. და ასეთი სენი და ქირი კაცს არც კი ექირ-
ვებისო, რომე კაცმან თავისი საყუარელი ნახოსო და გულს არ უკუ-
ჰყაროსო.

აქნმთა და მეცნიერთა კაცთა გული და გვამი ხელმწიფედ დაუდებია, ტანი ციხედ და ქირი მოღალატედ.

30 ზ ა ქ ა რ ი ბ ა აქიმმან თქუა: ესე ამას ჰგავსო, რომე ერთსა კაც-
სა მტერი გარე შემოხვეოდესო და ულონოდ და უიმედოდ გამხდა-
რიყოსო, და რა კაცსა კაი იმედი და კაი მეშველი მოუვიდესო, კაცი ახლად გაცოცხლდესო და ზურგი მოებასო და საქმესა აღარ დაულონდესო, და მტერი გაექცეს და უკუეყაროსო, ისრევე რა-
კაცი თავის საყუარელსა ნახავსო ყოვლი ქირი და სატკივარი დაე-
ფანტვის და გაეყრებისო, და ქირი გვამსა გაექცევისო, და შექირვე-
ბული და დალონებული გული ახლად გამხიარულდების და გაცო-
ცხლდებისო.

აწე გულმართლად ყოვლსა წამალსა თავისის საყუარლის ნახვა სჯობს, და ვერაფერი წამალი იმდენად გულს ვერცკი უკუჰყრის რომე, თავისის საყუარლის ნახვა, კაის საკრავისა, და კაის ხმის გაგონება და ლამაზის ადამისტომისა ნახვა, ლამაზის პირუტყუისა და ლამაზის ალაგის ნახვა. ამისთვის, რომე რაცა ან გულსა, ან ყურსა და ან თვალსა იამების და ან ავადმყოფსა გულსა უკუჰყრის, ყუელა არგებს და კარგად მოუხდების.

10 და კაცსა რომე სიმხურვალისაგან¹ ხაფაყანი სჭირდეს, სისხლი უნდა გამოუშვას და დედაკაცთან მივიდეს, რომე გულისა და სტომაქიღალმან სიციხე და სიმხურვალე გააგდოს და გააცუდოს. და თუ საფრა სჭირდეს თხმამაქანი და შირიხიშთი ქერამის წვენითა გამოხარშონ და ესე სამივე ერთგან აურიონ და ისრე ასვან, რომე გახსნას და სიმხურვალე გაუგდოს.

20 თუ ესე სენი და ხაფაყანი სიგრილისა და ბალღმისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა მკლავისა ძარღვი მძიმედ ჰქონდეს, და მძიმედ უცემდეს და სულიცა მძიმედ ამოსდიოდეს, და რაცა მხურვალე რამე ნახოს, და ან ჰამოს იამოს, და ან უსუნოს, იამოს და არგოს, კაცს ელფერი აშლით, თეთრად და ჩაჯექვით ჰქონდეს, და შარდიცა თეთრი და მოთეთროდ ჰქონდეს.

30 აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით, რომე ესე სენი და ხაფაყანი სიგრილისა და ბალღმისაგან სჭირს. ამისი წამალი ეს არის, რომე ნახევარი ღირჰამი თრიაქი ფარიყი, ან თრიაქი არაზა უზმოსა სამჯერ ზედა ზედ აქამონ, მუშკის მაჯუნნი, ფალასუფას მაჯუნნი, სიაზარი თუსის მაჯუნნი და მხურვალე მაჯუნები აქამონ, რომე ქარი და სიგრილე დაწოს და გააგდოს, და გულმან თრთოლისა და ფეთქისაგან მოუსვენოს, და მუღმად დანამასტაკი, ჰილი და კევი ლექოს. და მუღმად სანანებელი ხოლინჯანი და ეგირი პირშიგა დაიქირონ და ლოლან და ამათი წყალი ჩაჰყლაპონ, და ქარსა დაღეწს და გააგდებს და გულის თრთოლასა და ფეთქასა ორსავე უშველის.

30 მხურვალე ტლეები უნდა შემოსდვან: გვირილას ტლეები, მელის კულას ყუავილის ტლე, რომე სპარსნი ბუი მადარონს ეძახიან. ბარაშბოს ბალახის ტლე ან ყუავის ჰანგას ტლე რომელიცა იყოს წმიდად დანაყონ და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან.

მხურვალის სასუნებლისათვის ასუნებინონ, მუშკისა, ამბრისა, ლადანასა, საკმლისა, უდისა და მხურვალის რისათვისმე ასუნებინონ. უდისა, მუშკისა, ტკბილის ბროწეულისა და ბარაშბოს შარბათები

¹ ტექსტში ამ სიტყვის მაგიერად რედლომით სწერია „სიმხიარულისაგან“.

რომელიც იყოს ასევე. და რამდენჯერაცა წყალი მოსწყურდეს, წყლის ალაგსა ცერეცო ან კამა მოხარშონ და ამათი წვენი გაწურონ და თბილი ასევე. ან ბარამბოსა, ან რეჰანისა და ან გავზაბანის წყლები გამოჰხადონ, ცოტა ზაფრანა გაურთონ და თბილ თბილი ასევე.

და ამრიგი საკმელები აქამონ: მსუქნის შავის ცხერის ხორცი, მსუქანი დედალი, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, ტრედის ხუნდი და ამათივე ლაპები ან შეწვან და ან ყურმად ქნან სანანებლითა, პილ-პილითა, ზაფრანითა, დანამასტაკითა, და მხურვლის ბალახებითა გატენონ და ისრე კამონ. და ამა საკმელებშიგა თავლიცა ურიონ, რომე გულსა და სტომაქსა ძალი და სიმხურვალე მისცეს, და სიგრილე და ქარი გააქარვოს, და გულმან ფეთქისა და ძვერისაგან მოისვენოს.

და ხილებისაგან: ტკბილი ბროწეული, ტკბილი ნარინჯი, ინ-დაური ნიგოზი, ნაქვის გული, წიფლის გული და ფისტა კამონ.

მწვანეფილისაგან: რეჰანი, პიტნა, ტარხუნა, ქონდარი, თალგამი, სტაფილო, ბოლოკი და მხურვალი ყუელა კამონ, და გრილსა ყუელასა ერიდონ.

და ვისცა ამგვარი გრილი და ბალმიანი ხაფაყანი სჭირდეს, ზენაარ ზენაარ ამრიგსა კაცსა მუსილო და ჯვასახსნელი წამლები არ მისცეთ, თუარადა იმა კაცისა მორჩენა ძნელი ღა არის. და თუ მწოვედ შეკრას და ან გაუხსნელად არ იქნებოდეს, ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და საშუალი ოყნაო. და ამას უნდა ეცადნეთ, რომე ნირი გამოუცვალოთ, ვითამცა და არც მწოვედ გახსნით იყოს, და არც მწოვედ შეკურით, თუ არა და შეკურა და გახსნა ორივე აწყენს და კიდევ უარ მოუხდების.

აგრევე ხაფაყანისათვის ესე წამალი მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის: მოიტანე გავზაბანისა ძირი ერთი მუქაშიგა დაქირვა, რომელიცა მიწაშიგა ყოფილიყოს, და ამისი გული კი გარდააგდე, და რა ნივთიცა ესე გავზაბანისა ძირისა ნაფხეკი იყოს ამისივე წონა ბარამბოს ბალახი გაურივე და ორივე ერთად მოხარშეთ და გაწურეთ, და ზომიერად შაქარი ჩაურივეთ და სამსა დილასა ზედა ზედ უზმოსა თბილთბილი ასვით. ეს წამალი უსათიოდ და უმიზეზოდ ხაფაყანის ქარსა, გულის თრთოლასა, ფეთქასა და ქმინვასა ყუელასა უშველის და დაუწყნარებს, ესე წამალი ამა სენისათვის მწოვედ დაცდილი არის.

მუფრიდათი არის ვითამცა გულის ტკივილისა, გულის ძვერისა და გულის ფეთქისა, წურილსა და დაცდილსა წამლებსა გიამბობს.

ვინცა ცერეცო და ან კამა მოხარშოს და გაწუროს და ამის
წვენი თბილ თბილი სვას, გულის ტკივილი და ფეთქა ორივე უშვე-
ლოს.

ვინცა ორი ღირჰამი შირლიდანის ზეთი თბილის წყლითა გა-
ყენოს და თბილ თბილი ასვას, ხაფაყანისათვის მწოვედ კარგი არის.
ვინცა ესე შირლიდანის ზეთი და ან იასამნის ზეთი მოათბოს და ამა-
შიგა ხელისახოცი დაასველოს და თბილ თბილი გულსა და სტომაქ-
ზედა გარდაიკრან და ამა ტლევებშიგა ცოტა მუშკი და ზაფრანაც
გაუროს, ისი სჯობს, და ისრე შემოსდვან, გულის ტკივილსა და
10 გულის თრთოლასა მაშინვე უშველის.

ვინცა იისა თავთავი შაქრითა მოზილოს და ესე მოზელილი ია
ქიქაშიგა ჩადვას და ოცდა ათსა დღესა ამა ქიქითა მზესა გაუდვან,
რომე მზეშიგა ფარვადა შეიქნას და მერმე ქამოს, გულს მწოვედ ძალს
მისცემს გულსა და სტომაქსა რბილად დაუქერს, წელებს მწოვედ
გასწმედს და არგებს, და კაცისა გვამსა ავისა და პილწის ხილთისა-
გან გასწმედს.

გვილან გვიბინი და გულბა შაქარი რომე კაცმან ქამოს, გულს
ძალს მისცემს და სტომაქსა კარგად დაუქირავს მეტადრე მაშინ, რომე
20 ამა გვილან გვიბინშიგა დანაყილი პილი, დანამასტაკი, ხოლნჯანი
და პილპილი გაურიონ და ისრე აქამონ. ვაშლისა და ბიის მურაბა
გულს მწოვედ არგებს და დააძალიანებს.

ვინცა ტკბილი ვაშლი ოთხად გაკუეთოს და გული გამოართვას
და გაფტქუნას და ცარიელს წყალშიგა მოხარშოს და გაწუროს, და
ზომიერი შაქარი ჩაადლოს, მანამდისი აღულოს, რომე მოსქელდეს
და ყავამზედა მოვიდეს, ცოტა მუშკიცა გაურიონ, და მერმე ან ქა-
მონ და ან მოათბოს წყალითა შარბათად გალესონ და სვან, კაცსა
საქმელსა მოანდომებს, გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს და [გუ-
ნებასა]¹ გაუხნის. ბიის შარბათი გულის თრთოლვისათვის და გუ-
ლის ფეთქისათვის მწოვედ კარგი არის, გულსა და სტომაქსა მწო-
30 ვედ ძალს მისცემს. ყარაჯა ოთი, რომე სპარსნი ხარბაყსა ეძახიან,
ეს რომე გარეცხოს და მოხარშოს და კიდევ გაახმო და მერმე წმი-
დად დანაყო და გასცრა, და ხამის თაფლითა გააყენო და საშსა
დაწოლის. დროსა წყლითა გალესო და ამისგან ოთხი, ხუთი კოვზი
სვა, გულის ტკივილისა და გულის სიმსივნისათვის მწოვედ კარგი
არის, და გულის ტკივილსა და სიმსივნესა უსათიოდ უშველის.

¹ ეს სიტყვა ვარიანტიდან არის. ტექსტში ამის მაგივრად სწერია „გულსა და სტომაქსა“.

ვისცა მწოვედ გული სტკიოდეს, მოიტანე მუხუდოს ოდენი ფულუნია და უზმომან უნდა ჩაყლაპოს, და ხუთი ღირაჰში ენისუნნი მოადუღონ და ცოტა შაქარიცა ურიონ, და თბილ თბილი სვას, გულის ტკივილსა უსათიოდ უშველის.

ვინც თეთრი სიფისტანი ყირმიზის ვარდით მოხარშოს და კამოს, გულის ტკივილი და გულის სიმხურვალე ორივე უშველოს. ნუშის კამა გულის ტკივილისა და ყოვლის ფირტვის სენისათვის, მწოვედ კარგი არის. ბია შემკრავეი არის, კაცმან რომე ბია ლექოს, და ამა ბიის წვენი ჩაყლაპოს, და ის ნაღეჰი ბია კი გამოყაროს, გულის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის, და გულსა და დამალსა ორსავე ძალს მისცემს და გაანედლებს. მქავე ნარინჯი გრილი და ხმელი არის, გულის თრთოლისა და გულის ფეთქისათვის მწოვედ კარგი არის, და კაცსა მაშინვე შეჰკრავს. თხილი მხურვალი და ნედლი არის, სიცივისა და ან სიგრილისაგან რომე კაცსა გული და სტომაჰი სტკიოდეს, იმას უშველის, მაგრამე კაცის სტომაჰშიგა გვიან დადნების, და ქარიცა აქუს, თუ კაცი ბევრსა სკამს თავსაც აატკივებს, და კაცმან რომე ესე თხილი შაქრითა კამოს, მაშინ მწოვედ კარგი არის და შემრგო, აღარც ქარს აუძრავს და აღარც თავს აატკივებს.

ვინცა ბარამბოს ბალახი მოხარშოს და ამისი წვენი თბილ თბილი სვას, გულსა და ღვიძლს ორსავე მწოვედ ძალს მისცემს და თრთოლისა და გულის ფეთქისა ორსავე უშველის. გარეული პიტნა მხურვალი და ხმელი არის და მწოვედ შემრგო არის, ნალულიანსა და შეწუხებულსა კაცსა რომე ესე პიტნა ძმრითა¹ აქამო და ან ძმარშიგა ამოსურიმო და ცხვირთანა დაუჰირო, რომე ამისი სული ცხვირსა და დამალშიგა შეუშვას, ცხვირსა და დამალსა მწოვედ ძალს მისცემს.

იასამანი მხურვალი და ხმელი არის, სიცივისა და სიგრილისაგან რომე კაცსა გული სტკიოდეს, ამრიგსა გულის ტკივილსა უშველის, და დამალსა მწოვედ არგებს და გაანედლებს.

მუშკი მხურვალია, ხმელია, ამისი კამა და სუნება გულსა და გრილს ღვიძლს მწოვედ არგებს და ძალსა მისცემს.

ამბარი მხურვალი და ნედლი არის, ამა ამბარისაგან რომე კაცმან ერთი დანგი კამოს, გულსა, სტომაჰსა და დამალსა მწოვედ ძალს მისცემს, და ამისი სუნება დამალსა გაანედლებს.

სანდალი გრილი და ხმელი არის. გულის ფეთქისა და გულის თრთოლისათვის ესე სანდალი მწოვედ კარგი არის, და ამა სანდალისა და ამბარის სუნება და კამა, კაცისა სულსა და გულსა მოუხსენებს და მწოვედ ძალსა და სინედლესა მისცემს. უდი მხურვალი და

¹ ეს ორი სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩამატებული დედანის ხელით.

ხმელია, გულსა და გრილს ღვიძლს მწოვედ არგებს და ძალს მისცემს, და სტრომაქისა ტკივილსა უშველის.

ვინცა ეგირი ღეკოს და ქამოს, გულისა და სტრომაქის ტკივილი უშველოს, და ყოვლი ქარი გააგდოს და დაღეწოს.

იოლდასალები მოჰთადილი და შეზავებულია, ყოვლს თერსა სენსა არგებს, და გულის ტკივილსა მაშინვე უშველის.

სანანებელი მხურვალი და ხმელია, ქარს დაღეწს და გააგდებს, და გულისა და გრილისა ღვიძლის ტკივილსა, ორსავე უშველის.

10 ხოლინჯანი მწოვედ მხურვალი და ხმელი არის, ესეცა ეგირსა და სანანებელსა ჰგავს, მაგრამე ამისი და იმათი ძალი არასა გავს. ვინცა ერთი კოჭი ესე ხოლინჯანი პირშიგა დაიჭიროს და ლოღნოს, და რა კარვად დაღბეს, მერმე კი ჩაყლაპოს, ყოვლი ქარი დაღეწოს და გააგდოს და გულისა, სტრომაქისა და გრილის ღვიძლის ტკივილსა უშველის. და რა კაცი ამა ხოლინჯანსა პირშიგა დაიჭერს, მაშინვე კაცს ყლე აუღებინს და სადამდისი ესე ხოლინჯანი კაცსა პირშიგა უცს, აღარც კი დაუჩუტდების.

ვინცა ჯავზი ქამოს, ქარი დაღეწოს და გააგდოს და გულისა და სტრომაქის ტკივილი უშველოს.

20 ვინცა ზირა დაჯეკოს, მოხარშოს და გაწუროს და ამისი წვენი თბილ თბილი [სვას], ქარსა გაუგდებს და გულის ფეთქასა და თრთოლასა ორსავე უშველის.

თოფალახი მხურვალია, ხმელი, რაცა კაცისა გვაშვიგა სენი და ქარი არის, ყუელასა მოაქარებებს.

30 ვინცა დანამასტაკი და კევი ღეკოს, ქარი გააქარვოს და გულსა არგებს. ყუელის ხაქო მწოვედ გრილია, ხმელია, კაცმან რომე ესე ხაქო ქამოს, მაშინვე მუცელსა აუქყურიებს, მაგრამე გულს მწოვედ არგებს და სიმხურვალესა გაუგდებს, და რაცა კაცისა გულსა და სტრომაქშიგა ხილთი და ავი ქარი არის, უშველის. მოიტანე დანამასტაკი, დარიჩინი, მიხაკი, ჯავზი ბაეა, ბაზბაზი, სუმბული, უდი, ამბარი, ცოტა მუშკი და ბარამბოს ბალახი, ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, დანაყე და გაცერ და სრულად ერთად აურივეთ, და ვაშლის წყლითა მოზილეთ და მისგან ჰაბები შექქენით და ყოვლსა დილასა ამა მაჯუნისაგან ოროლსა დირჰამსა სჰამდენ; მწოვედ არგებს და გულის ფეთქასა და თრთოლასა და ტკივილსა¹ მაშინვე უშველის.

მეავე თუთა მწოვედ შემკრავი არის. მუხუდო კაცსა სტრომაქსა რბილად დაუქერს. წმიდად გაცრილი პური შემკრველი არის. ქერი-

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული ღედნის ხელით.

სა და ბრინჯის პური ორივე შემკვრელი არის. ფეტვის პური შემკვრელი არის. ქეჩი ბოინუზის ხილი ნედლია, მწოვედ კაცსა გახსნის, და თუ ხმელი კი, შეჰკრავს.

ხაშხაში თვითან შემკვრელი არის და ამ ხაშხაშის წყალი მწოვედ გამხსნელი არის. ნარინჯი, ბია, ვაშლი, შინდი, კოწახური და თუთუბო კაცსა ესე ყველა მწოვედ შეჰკრავს.

ხმელი ღო და ახალი ღო, კაცსა ორივე შეჰკრავს, და ეზაპალიანის კაციისათვის ორივე მწოვედ კარგი არის, მეტადრე მაშინ, რომე ესე კაცი საფრისაგან იყოს მუცელშიგა გახსნით, მაშინვე შეჰკრავს.

10

უშხუნის რუბი, ისრიმის რუბი, კოწახურისა და შინდის რუბი ყველა შემკვრელი არის, ნარინჯისა და ლიმოს რუბი, მეავის ბროწეულის რუბი, სამივ მწოვედ შემკვრელი არის. ახალი ხურმა, და ახალი ყურძენი, ორივ სტომაქსა დააღბობს. კიტრი, საზამთრო და შუმხიარი სტომაქსა დააღბობს.

ლ. კარი მეოცდაათე. ხათულ ჯანაბიხა. აწე სათულ ჯანაბი ისი ვარამი არის და იმა სენსა ჰქუიან რომე, ძუძუსა და მკერდზედა კაცსა მკვეალი დაესვას და კაცი მწოვედ შეკრას, და აწე იმისსა ნიშნებსა, მიზეზსა და წამლებსა გამცნებს და გაიმბობს.

20

ამა სათულ ჯანაბის მიზეზი ეს არის რომე, ან სისხლი და ან საფრა მეტის მეტის სიმბურვალისაგან შიგნით გვამშიგა კაცსა დაეწვის, და მისი ქარი და ალავეი კაცსა შიგნით გვამსა და სტომაქშიგა მკუელად გარდაეჭევის, და მერმე ძუძუსა და მისავ გარშემო შემოეკიდების, კაცს მწოვედ დააღონებს და შიაწუხებს. და ესეცა იქნების რომე, ესე ვარამი, სენი და მკვეალი ბალღმისა და ან სევდისაგანცა აეძრას და მისგან იყოს.

აწე ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა ტანი მწოვედ გაუცხელდების, და სული მწოვედ დაუგუბდების და შეუვიწროვდების, და ესე ტკივილი ჩხულეტით და რუგით დაუწყებს ტკივილსა და შაჯისა ძარღვი ძალიანად და აშლით უცემდეს, და პირველსა ხველაზედა ხმელი ხველა იყოს და ამა ხველასა არა ამოატანოს რა, და რა ხველასა ხანი გაუგრძელდეს და ან კაცსა ხველა დაუძველდეს, მერმე ბაყლ სისხლსა ამოატანდეს.

30

აწე ამისი წამალი ეს არის რომე, სითკენცა მკვეალი ერკვას და ან სტკიოდეს, იმავე მხრისაჲენ მკლავი გაიხსნას და საშუალის ძარღვიდაღმან კარგად სისხლი იდინოს, და სტომაქი ცოტასა და რბილის ოყნითა დაიღბოს, რომე ოყნაი ლეინა ჰქუიან. და თუ ამა ცოტასა ოყნითა არ იქნას ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და

საშუალო ოყნაო, რომე გვამი და სტომაქი დაუღბოს, და კაცი გახ-
სნას და გაწმიდოს, და რაცა ავი და დამწვარი ხილთი იყოს ყუელა
დაალურევინოს, და მასუკანა კაცი ყოვლის ფერის სენისა, კირისა
და სატკიერისაგან მორჩეს. და ნუშის ზეთითა მალამა შექნან, და
მუღმად ესე მალამა გულის პირსა და სტომაქსა, და გვამზედა წაი-
სევმდენ, და მუღამ ამ რიგსა შარბათებსა სვამდენ: იისა და ლულუფ-
რის შარბათსა, უნაბისა და ან ტკბილის ბროწეულის შარბათსა, შა-
თარასა და ბარძაყათუნას შარბათსა ასმევდით¹. და ნიადაგ ტუხტი და
ძირტკბილა და უნაბის წყალი და ბიის გულის ლოაბი, და ეს წამლები

10 ასვან, ყუელა კარგად უზამს: მოიტანე ბარძაყათუნას ლოაბი და
ბიის გულის ლოაბი რომე, ესე ლოაბები გავზაბანის წყლითა იყოს
დამბალი, და მერმე ამა ლოაბებშიგა ძირტკბილას ძირის წყალიცა
გაურიონ, და ამათი ლოაბი გამოჰხადონ და შაქრითა ასვან.

აწე ასე უნდა იცოდეთ, ამა სენსა მწოვედ გახსნა მწოველცა
აწყენს. ასრე უნდა, ამ რიგსა სნეულსა ხაშხაშისა, მარსინისა და სან-
დლის შარბათი უნდა² ასვან რომე კაცი შეკრას და გულსა, ფირ-
ტუსა და სტომაქსა ძალი მისცეს, და მოუგრილოს. და ამრიგი საქ-
მელები უნდა აკამონ: პირველ სამსაოდე დღესა შაქრითა ჯაგ ავი
აკამონ, ერითას შეკამიდი აკამონ, ქინძი და ისპანახი და ამათივ
20 მხალი აკამონ, რომე ესე შეკამადები და საქმელები ნუშის ზეთითა
შექნილი იყოს, და გრილი სასმელი და საქმელი ყუელა ასვან და
აკამონ, და მხურვალსა სასმელსა და საქმელსა ყუელასა არიდონ.

და ასრე უნდა რაცა ან ასვან და ან აკამონ, ყუელაშიგა ნუშის
ზეთი ურიონ და ისრე ასვან და აკამონ. მაგრა შეიღსა დღესა უკან
უსათიოდ კაცი დასუსტდების. და ასრე უნდა, მერვეს დღესა ვარიისა
და ან გარეულის მფრინვლის ლაპების³ ხარშო შექნან და აკამონ,
ნუშის ზეთი ურიონ, ქინძი და ისპანახი გამოუხარშონ, და ისრე
აკამონ, და ცოტა ბრინჯიცა ურიონ. და სადამდი სიცხე და სიმხურ-
ვალე გაუვიდოდეს ესე საქმელები აკამონ, და რა სიცხე და სიმხურ-
ვალე გაუვიდეს თოხლო კვერცხიცა აკამონ, და მას უკან ხოხობი,
30 კაკაბი, დურაჯი და ამათივ ლაპები, ვარია და ან შავის თიკნის
ხორცი ხარშოდ ქნან, და ცოტა ბრინჯი და ნუშის ზეთი ურიონ.
ქინძი გამოხარშონ და აკამონ. და კარგსა და ნელთბილსა აბანოშიგა
აბანონ, და რა აბანოდალმან გამოვიდეს, თავი და ტანი სიცივისა და

¹ „ტკბილის ბროწეულისა“ და „უნაბისა“ ტექსტში განმეორებულია.

² ეს სიტყვა სტრაქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

³ ეს სიტყვა სტრაქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ქარისაგან თბილად შეინახონ, რომე სიცივე არ ეცეს, და კიდევ არ შემომპყვალოს.

ლა. კარო შეოცდა თერთმეტე, ყუითლიხა და შავის იარაყ-ნიხა, რომე კაცსა თვალი, პირი და ტანი ყუელა ან გაუყვითლდების და ან გაუშავდების.

10 აწე ამისი მიზეზი ან იქნების საფრისაგან და ან სევდისაგან, და ან ღვიძლსა და ან ნავლელსა და ნაწლევს შუა, ან ღვიძლსა და ტყირპს შუა, და ან ტყირპსა და სტომაქს შუა სუდა შეექნების და მისგან წაეკიდების. და ან გულისა და სტომაქის თაბიათი ბურჰანსა იქს და მისგან წაეკიდების, ვითამცა და გამომავალი ოფლი და კირი შიგნით აღარ დადგების და გარეთ გამოზიდვას და ის არის.

აწე ამისი წამალი ეს არის რომე ხშირად ასლი ჰინდღუბას შარბათი სვას, ვითამცა და ვენახის ღიქის შარბათი სვასო, და სიქანჯუბინი ბუზური სვასო, რომე მისი შექნა და ხასიათი ქუემო შარბათების კარსა და ჯერგაშიგა სწერია. მუდამ ესე ვენახის ღეკის შარბათი, სიქანჯუბინის შარბათი, ბროწეულის წვენი და ქერის ჯავ ავი უნდა სვას.

20 და თუ ამა სენმან და იარაყანმან კაცი შეკრას ალუი ბუხარის შარბათი ასვით. და თუ ესე ალუი ბუხარას შარბათი არ იყოს, იისა, ლულუფრისა, ქლიავისა და შათარას შარბათი ასვით, ქასნის თესლი დანაყეთ და ამის წვენი რძითა ასვით, და ოყნაი ლეინა უყავით, ვითამცა და რბილი და ცოტა ოყნაო. ბოლო ეს საფრა და სევდა უსათიოდ ეზაჰალი უნდა უყონ ვითამცა და მუცელშიგან გახსნან, და ესე პილწი და დამწვარი ხილთი დაალურგეინონ, რომე კაცი გახსნან და ყოვლის საფრისა და სევდისაგან გაწმიდონ. და ამ რიგსა კაცსა მუსილი და გასახსნელი წამლები უნდა ასვან.

30 აწე მუსილი იმას ჰქუიან: მოიტანე ვარდის კაქაქის თესლი, ძირი და ფოთოლი და ესეები დანაყონ და ამისი წყალი გამოჰხადონ და ამა ვარდის კაქაქისა წყალშიგა დანაყილი რევანდი ჩინი და ხიარ შამბარის გული გამოოულესონ და ამა იარაყნიანსა კაცსა ასვან, რომე კუირშიგა ორჯელ ზედაზედ არწყვიინოს. და ასეთსა აბანო-შიგა დასვან, რომე ოფლი აღინონ, და ყუითელი პერანგი და ყუითელი ტანისამოსი ჩააცვან და მკლავსა და ცერსა ყუითელი ქარვა შემოაბან და მობნელოს სახლშიგა დასვან. და როდისცა აბანოდალმან გამოვიდენ, თვალეზი ვარდის წყლითა და ან ქინძის წყლითა გამოიბანონ, და ათსა თორმეტსა დღესა მუდამ ისრიმში, კოწახური, თუ-თუბო, მოცხარი და ამავე რიგის შეავეების შეკამადები აქამონ, ამავე მჟევეებითა ყიმა შორვა შექნან და აქამონ. და ამა შეკამადებშიგა აყირო გაურიონ, ქინძი გამოუხარშონ და ისრე აქამონ.

და ხილვებისგანცა ამრიგი ხილვები აქამონ: მკავე ბროწეული, მკავე ხართუთა, მაყუალი, ატამი, ქლიავი, კოწახური, უშხუნი, მოცხარი, კიტრი, საზამთრო, შუმხიარი, სალათა, ქასნი და თოხმაქანი, ეს ყუელა ეკმების. გრილი და ნედლი სასმელი და საკმელი, ყუელასა ასმევდენ და აკმევდენ, და მხურვალსა და ხმელსა სასმელსა და საკმელსა ყუელასა არიდონ, და ნურც პურსა აკმევენ.

და თუ ესე ყუთი ირაცანი მწოვდ ძალიანად იყოს, ასრე უნდა: ბასალიყის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, ვითამცა და მარჯვენის¹ მკლავის ზემო ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონო, და მუსილისა და მუცელშიგა გას: ხნელის წამლებისაგან აბზინდის ბალახის შარბათი, უნაბისა და ქერამის შარბათი, თაბლი ჰინდისა და შაპთარას შარბათი სვან. პულბას თესლი, სტაფილოს თესლი და ვარდის კაქაქის თესლები, რომელიც იშოვებოდეს, დანაყონ, წყალი დაასხან, გამოწურონ და სვან.

და ხშირად სუსანის შარბათი სვან, სუსანი შინაურს იასა ჰქუიან. აწე ესე წამლები ოთხივე ერთად უნდა მოადულონ, გაწურონ და სვან [პულბას თესლი] ვითამცა და ბოი, აბზინდას ბალახი, სტაფილოს და ვარდის კაქაქის თესლიო.

და თუ ამისგან უფრო წყნარი წამალი გინდოდეს და ესე იარაცანა ცოტად სჭირდეს, ფულუსი ხიარშამბარას გული და ქასნის წყალი სვან და კარგად მოუხდების, და ყოველთა დღეთა სიქანჯუბინი ქასნის წყლითა გალესონ², ბუზური სვან, მწოვდ კარგად მოუხდების. და ოთხსა ეამსა უკანა ხმელი დო გამოლესონ და ის აქამონ, და ამა დოშიგა ან ნიახურის ძირი, ან ქასნის ძირი, ან ბადიონის ძირი და ან კაპრის ძირი, რომელიცა იყოს, შიგ გამოხარშონ და ისრე აქამონ.

და ვინ იცის და ამა სიყუითლესა ცხელებაცა სდევდეს, ყოველთა დღეთა საია სიქანჯუბინი ასვან, და ესე სიქანჯუბინი ან ქასნისა, ან თოხმაქანისა და ან ბროწეულის წვენიათა გალესონ და ისრე ასვან. ამისთვის, რომე ესე წყლები ამა ირაცანსა ყუელა მწოვდ არგებს და კარგადაც მოუხდების. და იმა ხმელსა დოშიგა რომე ნუშის ზეთი და შაქარი ჩაურთონ და ისრე აქამონ, ის მწოვდ სჯობს და კარგად მოუხდების.

და ამრიგსა ირაცანიანსა კაცსა რომე ქასნის წყლიათა და ან რძითა ხელი, პირი და ტანი დაბანოთ და კიდეცა ასვათ, მწოვდ კარგი და გამორჩეული წამალი არის. და თუ ამა წამლებმან არ უშველოს, მოიტანე ორი წილი აბზინდას ბალახის წვენი და თვითო

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

წილი რეჰანისა და ბოლოკის წვენი, და ეს სამივე ერდგან აურივეთ, და ერთი ამათივე წონა ოქრომკედლის ბორა ამა წყლებშიგა გამო-
ლესონ, და უზმოსა ასვან, ესე წამალი სიყუითლესა ტანიდალმან
შიასუბუქებს და ქუემო ჩააყენებს და მწოვედ კარგად უზამს.

და თუ ესე აბზინდას ბალახის წყალი ორის წილისაგან მეტი
უყონ და ექუსი დირჰამი ხმელი ქარხლის ფოთოლი დანაყონ და გაც-
რან, და ჯულაბშიგა გაურიონ და ან თაფლწყალშიგან გალესონ და
ამავე რიგად ასვან, მწოვედ კარგი იქნების. და ან ერთი დირჰამი
ენდროს ძირი რომე დანაყონ, გაცრან და უცილოსა თობლოს კუერც-
ხის გულშიგა აურიონ და ისრე აქამონ, ტანიდალმან სიყუითლესა
ქვემორ ჩააგდეს. ან ვინცა ოთხი დირჰამი ფარისიაოშონ, ვითამცა და
ქალაქურის წყაროს სუმბულიო გაახმოს, დანაყოს და გაცრას და ენი-
სუნის შარბათშიგა გაურიონ და იარაყანისა კაცსა ასვან, იარაყანსა და
სიყუითლესა ტანიდალმა ქუემო ჩააგდებს, და ჩააყენებს და უშველის.

შავი იარაყანი რომე კაცსა პირსა, თვალსა და ტანსა გაუ-
შავებს, იცოდი ამრიგი იარაყანი სევდისაგან დაემართების.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე მარცხენასა მხრისაკენ სრუ-
ლად ზემო თავისა ძარღვიდალმან ქარგად სისხლი აღინონ, რომე
ყიფალი ჰქუიან და ყუელის წყალი სვას, რომე მერმე კაცმან არწ-
ყიოს, და მწოვედ კარგად მოუხდების, და მწოვედ უჯობს. და ისი
თათბირები ამა შავსა იარაყანსა უნდა უყონ, რომე სუდასა გახსნის,
და ასეთი წამლები უნდა ასვან, რომე არწყევინონ და რაცა შიგნით
სევდა იყოს ყუელა რწყევითა ამოაღებინოს.

მაგრა ასრე უნდა ესე სარწყეველი წამლები, ყუელა სევდის
წამლები იყოს. და ამა შავის იარაყანისათვის მოხარული შავი ჰა-
ლილა მწოვედ კარგი არის, და ესე შარბათებიცა უსათიოდ შავსა
იარაყანსა არგებს და უშველის. მოიტანე შინაური პიტნა და ქალა-
ქური წყაროს სუმბული, და ორივე სწორ სწორი ქენ, და ზომიერი
წყალი დაასხი და მოადულე, და რა მოსქელდეს გარდმოიღე და
ფიცხლავ გაწურე და ამა შარბათებისაგან წონითა სამოცდახუთი დირ-
ჰამი ასვან, და ესე იარაყანისა კაცი ან დიდსა ხანსა მზეშიგა დაჯდეს ან
ცხელსა აბანოშიგა დაჯდეს და ან თბილსა თორნის პირსა უნდა დაჯ-
დეს, რომე ოფლი იდინოს და ისი იარაყანი ოფლთანა სწორად გამოვა
და გააქარეებს, და კაცი ამა სევდისა და იარაყანისა სენსა მორჩების.

მუფრიდათი არის ვითამცა და წვრილი და დაცდილი წამლები,
რომე ამა წამლებითა ორსავე ფერსა იარაყანსა ჰქურნებს და უშველის.

აწე იარაყანი ამა სენსა ჰქუიან, რომე კაცსა სიყუითლე მოერევის
და თვალსა, პირსა, ტანსა და თვალის თეთრსა სამსავე გაუყუითლებს,
და შავი იარაყანიცა კიდევე ამავე რიგად შავად შემოერევის.

აწე ამა იარაყენებისა თავი წამალი ეს არის: მოიტანე დევა და-
ბანის ძირი, რომე სპარსნი ბუხარი მარამს უძახიან, ვითამცა კოჩი-
ვარდას ძირიო, სამი ღირჰამი დანაყე, და ღვინითა და ან თაფლითა
გააყენეთ და თავპირსა და ტანზედა შესცხე, და თბილსა სახლშიგან
დააწვინეთ, და თბილად დახურეთ, რომე ოფლი გამოუვიდეს და ამა
იარაყენისა ფერი თან გამოიტანოს და ოფლსა თან გამოჰყუეს და
კაცი მორჩეს.

10 გვიგაე ოთი, ვითამცა და საკრწყილის ყუავილიო, მხურვალი და
ხმელი არის, ვინცა ესე საკრწყილის ყუავილი მოხარშოს და იარაყენიან-
სა კაცსა ტანზედა და თავპირზედა თბილთბილი აბანოშიგა შესცხონ,
იარაყენისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის.

ვირის ბოლოკი, ვითამცა და ტიტაო, მხურვალი და ხმელი არის.
ესე ტიტა რომე კაცმან დანაყოს და ამისი წყალი გამოჰხადოს და
იარაყენიანსა კაცსა ორსავე ცხვირშიგა ჩააწვეთოს, იარაყენისათვის
მწოვედ კარგი არის.

20 ბალღური ყარა, რომე სპარსნი ფარი სიანოშანს უძახიან, ვითამცა
და ქალაქური წყაროს სუმბულიო, მოჰთადილი და შეზავებული არის,
იარაყენისათვის მწოვედ კარგი არის, რომე კაცმან მოხარშოს და ამისი
წვენი კაცმან თავსა, პირსა და ტანზედა შეიცხოს, და კიდეცა სვას,
და ან დანაყოს, გაცრას და უცილოს თობლის კუერცხის გულითა ჰამოს.

ვინცა რძე და ძმარი ერდგან მოადღულოს, რომე რძე გაქრეს
და ყუელი შეიქნას და მერმე ესე ყუელი გაწურონ და ამა ყუელის
წყალი ახლად მოადღულონ და ქაფი მოჰხადონ, მერმე გარდმოიღონ
და ერთსა მინაშიგა ჩაასხან და ესე ჰიქა ციესა წყალშიგა ჩადგან,
რომე კარგად გაცივდეს და მასუკანა ამა ყუელის წყალშიგა დანა-
ყილი აფთიმონი გაურიონ, და იარაყენიანსა კაცსა უზმოსა ასვან,
იარაყენსა უშველის და გააქარებებს.

30 მარწყვი მხურვალი და ხმელია, კაცმან რომე მარწყვი დანაყოს
და წყალი¹ გამოჰხადოს და ამისის წყლითა კაცმან საკმელი ჰამოს,
ყუითლისა და შავის იარაყენისათვის მწოვედ კარგი არის. და თუ
კაცსა მუტელშიგა ჰია ასხია, იმას ყუელას დაჰხოცს და გამოჰყრის
ხიარ შამბარა მოჰთადილი და შაზავებული არის, საფრასა და
ბალღამსა ტანიდალმან გააქარებებს და იარაყენისა და ყელის ტკივი-
ლისათვის მწოვედ კარგი არის.²

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია „ვინცა ლოფორთქინა წყალ-
შიგა ჩაყაროს და ამოთქვიფოს, შაქარი გაურიოს და უზმონ სვას, იარაყენი უს-
თოდ უშველოს“.

ნიორი, სტომაქსა ძალს მისცემს და კაცმან რომე ნიორი დან
ყოს და წვენი გამოჰხადოს და ამა ნივრისა წყლითა კაცმან ხიარ-
შამბარა გალესოს და სვას, იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა ტირიფისა ძირი და ან ფოთოლი დანაყოს და ამისი
წყალი გამოჰხადოს და ამისგან წონით ოცი ღირჰამი სვას, იარაყნი-
სათვის მწოვედ კარგი არის.

საბრი მწოვედ მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე საბრი დანა-
ყოს და ლენით გააყენოს და სვას, იარაყნისა გააქარეებს.

10 ბადრანგ ბუა და ოღულ ოთი ორივე ბარამბოს ბალახსა ჰქუიან
და ესე. ბარამბო მხურვალი და ხმელია. კაცმან რომე ამისი წვენი
სვას, იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის.

ქაქუნაჯი და ლამბილი ორივე ონტკოფასა ჰქუიან, და ესე ონტ-
კოფა მხურვალი და ხმელია. ვინცა ესე ონტკოფა ჰამოს, იარაყნისა და
ზიყნათვისათვის მწოვედ კარგი არის, და მრავალჯერ დაცდილი, და
კაცმან რომე ამა ონტკოფასა ფოთოლი დანაყოს და წვენი გამოჰხადოს,
და ამისი ორი ღირჰამი სვას, თუ კაცსა მუცელშიგა ჰია ასხია, ყუელა
სა დაჰხოცს და კაცსა მწოვედ წყურვილსა მოუკლავს, მაგრა ამისი
ძალი ამისავე ფოთოლშიგა არის და ესე ონტკოფა შინაური უნდა იყოს.

20 ვინცა ჯორის ძუის ფოთოლი დაჯეჰკოს, ძმრით მოხარშოს და
ჰამოს, იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის.

ხობობი და ღურაჯი იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის, მე-
ტადრე მაშინ რომე ეს ხორცები მეაუნას წვენითა ხარშოდ შექნან.

ქინძი გამოუხარშონ და აჰამონ. ვარდის კაჰაჰის წვენი იარაყნი-
სათვის მწოვედ კარგი არის, რომე კაცმან სვას. თომბაქანის რძე იარაყ-
ნისათვის მწოვედ კარგი არის, რომე ცოტა შეჰარი გაურიოს და სვას.

კაცმან რომე კოწახური და ან მოცხარი წყალშიგან დააღბოს,
და ამა კოწახურის წყალშიგა ცოტა შეჰარი გაურიოს და სვას, ი-
არაყნისათვის მწოვედ კარგი არის.

30 ვინცა კამისა და ცერეცოს წვენითა სიქანჯუბინი გალესოს და
სვას, იარაყნისა მწოვედ არგებს, მაგრა საჰმელს. უქანა უნდა სვას,
რომე არწყევინოს და სულა გაუხსნას.

ვინცა ძმარი და წყალი ერდგან აურიოს და სვას, იარაყნისათ-
ვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა ატამი, ბროწეული, კიტრი, შუმხიარი, ქლიავი და საზამ-
თრო ჰამოს, იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის, და ამა საზამთროსა
ჰამა სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, და ყუითელსა და შავსა
შარდსა ფერს გამოუცვლის, მეტადრე მაშინ, რომე საზამთრო
გამოწურო და ამ საზამთროს წვენიშიგა შეჰარი გაურიო და ისრე ასვა.

ვინცა ან იისა და ან ლულუფრისა შარბათშიგა თაბლი ჰინდი გაურჩოს და სვას, იარაყინსათვის მწოვედ კარგი არის, სიციხესა და სიმბურვალესა გაუგდებს და უუითელსა და შავსა შარდსა ფერს გამოუცვლის.

ბოლო ესე უნდა იცოდეთ, რომე ამრიგი იარაყანი და სიყუითლე ღვიძლის სიმბურვალისაგან იქნების. ასრე უნდა, რა კაცი ამ რიგად ნახონ, მჯღომის წამლები მიაყარონ და გრილი ტლევები შემოსდენ და გრილსა სასუნებლებსა უსუნონ, რომე ყუელა არგებს¹.

10 ლბ. კარი მეოცდა თორმეტე. ისისხისა, რომე ხულუყინია ჰქუიან. აწე ესე სენი ერთი სენი არის, რომე კაცსა ფერსა გაუყუითლებს, და მერმე სიყუითლე მოთეთროდ დაუცემს და თავპირი და მუცელი, ფეხები და ყურები, ყველა გაუსივდების და ბაგეცა დაუსქდების, და თუ ესე ნიშნები სპირდეს, ამა სენსა სულუყინია ჰქუიან. და თუ ამა სენზედა ღვიძლიც გაუსივდა და მუცელიცა, ამა სენსა ისისხა ჰქუიან. და ასრეცა იქნების რომე, რა კაცსა ესე სენი შეექნას, ტანიცა სრულად გაუსივდეს.

20 აწე ამა სენისა მიზეზი ან იქნების მეტის მეტის სიმბურვალთა, ან მეტის მეტის სიგრილისაგან, რომე კაცსა ღვიძლი დაუსუსტდების და ძარღვებშიგა სულა შეექნების, და ესე სენი და სიმბურვალე ავისა და პილწის საკმლისაგან და უფრო მწოვედ ტკბილის საკმლისაგან შეექნების და დაემართების.

30 ბოლო სრულად ამა სისხებისა სენი და ქარი ყუელა ამისგან შეექნების და აუვარდების, რომე კაცი უდროოს დროსა ბევრსა ავსა და ურიგოს საკმლებსა სკამს, და ამისთვის კაცი საკმელსა ველარ მოიდნობს, და კაცი ემთილა შეიქნების, და მერმე ესე საკმელი კაცსა მუცელშიგა დაეწვის, და გვამსა და სტომაქშიგა კაცსა სენად გარდაექცევის, და ესე დამწვარი ხილთი საფრად და ან სევდათ გარდაექცევის, და მერე ამა საფრისა და სევდის სიმბურვალ და სიხმელე² კაცსა ბევრს წყალს ასმეფს, და ესე წყალი ერთსა ალაგსა დაგროვდების და იქი დაღებების, და ზიყის სისხა დასტურად მისგან შეექნების და აუვარდების.

და ბევრჯულ ამა სენისა და ისისხისა მიზეზი ამრიგადცა იქნების, რომე კაცსა ტყირაჰი გაუსივდეს და გაუდიდდეს და შიგნით სტომაქიცა გაუსივდეს და მეტის სტომაქისა სისუსტისა, სიმსივნისაგან კაცსა ღვიძლი დაუსუსტდეს და დაუსაბრალოვდეს.

¹ ამ გვერდის ქვემო შიახე რვეულთა სათვალავი „კ“ სწერია დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიჰონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

აწე ამა ოთხისა რიგისა კირისა შეტყობისა საქმე და ნიშანი
ეს არის, ვითამცა ლეიძლის სიმსიენისა, სტომაქისა და ტყირპის სიმ-
სიენისა პოვნისა საქმე ეს არის, რომე ესე ავადმყოფი კაცი გულ
აღმა დააწვინო, და ორივე მუხლების თავე მკერდთანა მოიტანოს და
მერმე მუტელსა და სტომაქზედა ხელითა მოუნახონ,¹ თუ ესე სენი
და სისხა ლეიძლის სიმხურვალისაგან არის ამისი ნიშანი და ალამათი
პირველ ეს არის რომე, კაცსა მწოვედ წყალი სწყურდებოდეს, და
გული და სტომაქი ასრე შეეკვრას, რომე კაცი საქმელსა აღარ ინ-
დომებდეს, და შარდიცა ყუითელი ჰქონდეს, და ლეიძლის საწოლი
10 ალაგი, რომე მარჯუენით გვერდს ქუეშეთ არის, თუ ის ალაგი ცხელი
აქუს, და ან რასაც მხურვალსა წამალსა დაადებ, აწყენს და აზიანებს.
აწე რა ეს ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდეთ რომე ამა სნე-
ულსა ლეიძლი სიმხურვალისაგან სტკივის, და დასტურად მისგან
არის ავად.

აწე არაბულისა ენითა მწოვედ წყურვილსა ისისხა ჰქუიან. ამისი
წამალი ეს არის რომე, გრილი და ნედლი ლეიძლისა და მუდომის
წამლები უნდა უყონ, და ხშირად დინარის შარბათი სვან, ვითამცა
და ვენახის ღიჭის შარბათიო, და ან სიქანჯუბინი უნსული და ან
20 სიქანჯუბინი ბუზური ასეან, და ამაშიგა სიქანჯუბინი უნსულიცა გაუ-
რიონ და ისრე ასეან, ისი სჯობს.

და თუ კაცი მწოვედ შეკურით იყოს, ერთი დირჰამი რევენდი
ჩინი დანაყონ და გაცრან და ამა უნსულისა შარბათშიგა გაურიონ
და ისრე ასეან, მაშინვე გახსნის. ან კოწახურის ყურსი დაალბონ და
ამავე რიგად წყალშიგა გაურიონ და ასეან, ესეცა მაშინვე გახსნის.
ან ხიარ შამბარა წყლით გალესონ და ასეან, ან თემრი პინდისა და
ან შათარას შარბითი ასეან, ყუელა მაშინვე გახსნის და გულს უკუჰ-
ყრის, ამიტომ რომე, ესე წყურვილი გულისა და სტომაქის სისუსტი-
საგან დაემართების². ამისთვის რომე ასრე უნდა სასმლისა და საქ-
30 მლისაგან ლეიძლმან ამდენი წყალი აილოს, რომე ყოვლსა ასოსა
წყალი გაუყოს, და ყოვლი ასო ამა ლეიძლმან წყლითა გააძლოს.

აწე თუ კაცსა ლეიძლი დაუზიანდა და ან კაცსა ლეიძლი ასრე
დაუსუსტდა და დაუსაბრალოვდა რომე, და ან ლეიძლი ასრე გაუშრა
რომე, მეტის მეტის სისუსტითა ლეიძლმა ამდენი წყალი ველარ აი-
ლოს, რომე ყოვლი ასო წყლით გააძლოს, და ველარცა ლეიძლმან

¹ ამ ფურცლის გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწვრია „არაყი სუსა და
ბაიამი ბალი ორივე ერთი არის და ამისი მიაი ძირტკბილსაგან წყლით არის,
თვითან შავია და შავს კევეს გავს.“

² ამ გვერდის ზემო აშიაზე რვეულთა სათვალავი „კა“ სქერია დედნის ხელით.

სხვა ასოზედა მართლად წყალი გაყოს და ვერცა სტომაქი და ასო-
 ები მართლად წყლითა გააძლოს, და ველარცა სასმელი და საქმელი
 მართლად სისხლად გარდააქციოს და ამა მიზეზითა გული და ღვიძ-
 ლი, სტომაქი და ყოვლი ასო და ძარღვი ასრე გაუშრეს და დაუწ-
 ურდეს რომე ყოველმან ასომან ღვიძლსა წყალი სთხოვოს, და მე-
 ტის სისუსტითა და სისაბრალოვითა ღვიძლი ამდენს წყალსა ველარ
 აიღებს, რომე გული და სტომაქი და ყოვლი ასო წყლითა¹ გააძ-
 ლოს, და ამა მიზეზითა ღვიძლი სხვას ასოვებს წყალს ველარ მისცემს,
 და მისთვის ყოვლი აღამის ტომისა ასო დაწყურდების და უწყლოდ
 10 დარჩების. როგორცა კაცსა საქმელი არ უნდოდეს და ეშთაჰა არა
 ჰქონდეს და საქმელი ვერა ქამოს, და თუ უგულოდ და ძალად ქა-
 შოს, ველარ მოიღნოს, და ესე საქმელი კაცსა გულზედა დაადგეს
 და კაცი ემთილა და აიიზა შეიქნას, და აწყინოს, ისრევე რა ღვიძლ
 დასუსტდების და წყლის აღება და გაყოფა აღარ მოუნდების, და
 რა ღვიძლი ზომიერსა წყალსა ველარ აიღებს და ან სხვასა ასოვებს
 ზომიერსა წყალსა ველარ ასვამს, როგორცა სტომაქი მართლად ვე-
 ლარ დადგეს, ისრევე ესე სისხა სტომაქისა და ასოვებისა წყურვლის
 აუგდებს, და ამა მიზეზითა, და მეტის სისაბრალოვითა ღვიძლს
 წყალი აღარ მოუნდების, ამისთვის რომე, ღვიძლი სუსტი და უსუ-
 20 სური არის, და მეტის სისუსტითა სხვას ასოვებს წყალს ველარ გაუ-
 ყოფს, და მერმე მოვა და ესე წყალი სრულად ღვიძლს დააწეების
 და იქიდაღმა მუცლის ფარდაებშიგა დაგროვდების, და ამისგან სტო-
 მაქი და ასო წაუხდების და დაუსენიანდების, და ამისთვის ესე სენი
 რომე აჰშა ჰქუიან გაუძალიანდების და ამ სენისა დელილი და თარგ
 მანი დიდსა სააქიმოსა წიგნშიგა სწერია.

მაგრამ იხი სისხა, რომე ამისი მიზეზი ღვიძლის სიმზურვალი
 საგან იყოს ასრე უნდა, რაცა კაცისა გვამსა და ასოშიგა სინედლ
 იყოს ყველა წამლითა და ჰაბებითა გააქარვონ, ზოგი ოფლის გამო
 30 დენითა, ზოგი შარდის დაღურითა და ზოგი რწყევითა. ამისთვის
 რომე, როგორცა კაცი ბევრის შარდის დენითა, ან ბევრის ოფლი
 დენითა შეწუხდეს, და ან კაცი რომე, მუდმად მუცელშიგა გახსნი
 იყოს და სისხლზედა იარებოდეს და იმან კაცი შიანწუხოს და დაასუს-
 ტოს, ისრევე კაცსა ესე ღვიძლის სიმზურვალე დაასუსტებს და ღვიძლ
 სა დააძაბუნებს, და ამა მიზეზითა ღვიძლი სასმელ საქმელსა სის-
 ლად ველარ გარდააქცევს, და ამისთვის ველარც სასმელ საქმლისა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული ხელით.

გან ლეიძლი სისხლსა აიღებს, და ამისგან და ამა მიქირვებითა კაც-
სა სისხა შეექნების¹.

ამისი წამალი ის არის, გრილი წამლები და გრილი შარბათები
ასვან, გრილი ტლევები შემოსდვან და გრილსა სასუნებელსა უსუნონ.

და ამ რიგი საკმელები აქამონ: ახალი ვარია, დედალი ხოხო-
ბი, კაკაბი დურაჯი და ამათივ ლაპები იახანად მოხარშონ და კოწა-
ხური ურიონ. ქინძი გამოუხარშონ და აქამონ. და თუ კაცი ფრინ-
ვლის ჭამითა შესჯერდეს, და ამა იახინისა ჭამა აღარ უნდოდეს, ესე
ფრინვლის ლაპები იყოს თუ შავი მაწოვარი თიკანი ნარდანგითა,
10 თუთუბოთა, მოცხარითა, კოწახურითა და ან ისრიმითა მოხარშონ, და
ყიმა შარვად ქნან, და წითელი ჩამიჩიც გამოუხარშონ და ისრე აქამონ.

მაგრა ასრე უნდა, ამ რიგმან კაცმან საკმელი ცოტა ჭამოს,
რომე საკმელი კარგად შეირგოს და აღარ გამოჰყუეს. და ამ რიგმან
კაცმან საკმელი ბევრი არ უნდა ჭამოს, ამისთვის რომე, არამცა საკ-
მელი გამოჰყუეს და ემთილა შეიქნას. და ამ რიგმან კაცმან ტკბილი
და ავი საკმელი არ უნდა ჭამოს, რომე ამ რიგსა სენსა ტკბილი საკ-
მელი მწოვედ გააძალიანებს, და მაშინვე კაცსა თავსა და ტეინსა
შემოეკიდების.

ზენაარ ამ რიგი და ამა სენისა უფალი კაცი ბრინჯსა,
20 თავ ფეხსა, დუღმაჯსა, სახამებლიანსა, ფქულიანსა, ტკბილსა საკ-
მელსა, ამას ყუელასა ერიდოს და იფარეზონ. და ხშირად ამა საბან-
ლითა ფეხნი დაბანონ, რომე სიმბურვალე და სიმსიენე ფეხთაკენ
ჩამოსწიოს და შიასუბუქოს, მოიტანე ლერწმის ძირი და ან ფოთო-
ლი დაქერ, და თუ ძირი იყოს დაჯეკეკე, და წყლით კარგად მოხარ-
შე და გაანელთბილე, მერმე მოიტანე მარილი, ანაკუეთი და წივის-
ნაცარი, და სამივე ამა ლერწმის წყალში ჩაყარე და ნელთბილის
ამა წამლებითა ხშირად სნეულსა ფეხნი დაბანეთ, და თავად ორსა,
თვარადა ერთსა ეჟმსა ფეხები თბილ თბილსა ამა წამლებშიგა
ჩაუღვან, და ფეხებზედა ფეხის ქვა წაუსვან, და ხელნი და ფეხნი
30 კარგად და ძალიანად დაუზილონ რომე სენი. და სიმსიენე ტანისა
და სტომაქიდალმან შიასუბუქოს, და ფეხთაკენ ჩამოსწიოს და მორჩეს.

აწე ესე უნდა იცოდეთ რომე, ისისხა სამი რიგი არის, და ამა
ერთსა რიგსა სისხასა ზიცი ჰქუიან, და ამა ზიცისა აერი და თაბიაფი.
წყლიანი და ნელლი არის, და ამ გვარი და ამ რიგი სისხა უსათიოდ
სიგრილისაგან შეექნების და აუეარდების.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია „და ხშირად თბილსა-
აბანოშიგა იბანონ, და თუ მიწიდალმან თბილი წყალი გამოდის იმაშიგ ბანება სის-
ხის სენისათვის წამალი არის.“

აწე თუ ესე სისხა სიგრილისაგან არის, ამისი ნიშანი და აღმათი ეს არის რომე, ამა კაცსა ბაგე, ენა და შარდი სამივე თეთრი ექნების, და ცოტად წყალიცა სწყურდებოდეს, და ელფერი წასულით და ჩაჯეკით ჰქონდეს, და მაჯის ძარღვიცა სუსტად და საბრალოდ უტემადეს, და მუცელიცა შიშვლად ჰქონდეს და როგორცა საესე ტივი, მუცელიცა ისრე სავსედ ჰქონდეს.

აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, ესე სენი დასტურად ზიყისა სისხა არის და უსათუოდ ბაღმისა და სინედლისაგან დამართებია.

- 10 აწე მისი წამალი ეს არის რომე, ასლი ჰინდუბას შარბათი ასვან, ვითამცა და ვენახის ლიქის შარბათიო. და ამ რიგსა სისხიანსა კაცსა წყალი ასრე უნდა შეხუთონ რომე, თუ ითქმის არც კი უჩვენონ, არა თუარემდა ასვან. ამისთვის რომე, ესე ზიყისა სენი უსათუოდ სიგრილისა და ბაღმისაგან შეექნების და წყალი მისთვის აწყენს. და არც პური უნდა აქამონ და ხორცი სრულობით არ უნდა აქამონ, და თუ მწოვედ მისქირდეს და უწყლოობა ვერ გასძლოს, რამეთუჯერცა წყალი მოსწყურდეს, წყლის მაგიერად ვარდის კაქაქის ყუავილის არაყი გამოჰხადონ და ასვან. და თუ ეს ყუავილი არ იშოვებოდეს, ამავე ვარდის კაქაქის ძირის წყალი გამოჰხადონ და ასვან,
- 20 ან კოწახური წყალშიგა დააღბონ და ამა კოწახურისა წყალშიგა მოღუღებული და ქაფმოხდილი შაქარი გაურიონ და ასვან.

და თუ არცა ამით იქნას, და ან უწყლოობა ვერ გასძლოს, და მწოვედ მოსწყურდეს ზენაარ არამცა და არამცა ცარიელი წყალი გისმევიათ, ან ცოტა წყალ ნარევი ბროწყელის წვენი, ან წყალნარევი ბიის წვენი, რომე ამ წყლებშიგა ქაფ მოხდილი შაქარიცა ერიოს, ისრე ასვან, ან ნიახურის ძირი და ან ფოჩი დანაყონ და წყალი გამოჰხადონ და ეს ნიახურის წვენი იმა წყლებშიგა გაურიონ და ისრე ასვან.

- და თუ ესევე წყლები არ დაგესწრას, ესევე ნიახურის წვენი მართალს წყალშიგა გაურიონ და ისრე ასვან, რომე თავად ნიახურისა წვენი და მერმე ამა ხილებისა წვენი ღვიძლა ყუელა მწოვედ არგებს და ძალსა მისცემს. მაგრა ასრე უნდა, ამა წამლებშიგა ქაფ მოხდილი შაქარი გაურიონ და ისრე ასვან, ამისთვის რომე, ესე შაქარი ამა წამლებისა ხასიათსა ყოვლსა ასოსა გაუყოფს და მიახვედრებს და ამ რიგისა სენისათვის მწოვედ მარგე წამალი არის. და თუ წყალსა არ იწყურებდეს და არ ინდომებდეს იცოდი კიდევ სიგრილისაგან არის ავად, და ასრე უნდა ამასცა კიდევ ასლი ჰინდუბას შარბათი ასვათ, ვითამცა და ვინახის ლიქის შარბათიო, და არცა პური უნდა აქამონ, არცა ხორცი უნდა აქამონ. და თუ მწოვედ მისქირ-
- 30

დეს და დასუსტდეს, და პურის უკმელობა ვერ გასძლოს, ან ბაქსი-
მათისა, ან მქადის პური და ან . ბაზირგან ჩორაქი აქამონ. და თუ
ამა ბაქსიმათსა და მქადსა აღარ ინდომებდეს და კაცი მწოვედ დასუს-
ტდეს, მუდამ ამ რიგი პური აქამონ მწოვედ კარგად გამომცხვარი-
და გამოსუხვილი აქამონ რომე, ამა პურისა ცომი დიდსა ხანსა ყო-
ფილიყოს და ამა ცომშიგან ან ნიახურისა, ან ბადიანისა და ან პიტ-
ნის თესლი ცოტად დაჯექკონ და გაურიონ, და მერმე კარგად გამო-
აცხონ და ყოველთა დღეთა ესე პური აქამონ, და სხვას პურსა ნუ
აქმევენ. და თუ ამა პურსა მუხუდოს შექამადშიგა გაურევენ და ჩაუ-
ყრიან და ისრე აქმევენ მწოვედ უჯობს, რომე ესე მუხუდოს შექა-
მადი ან კარაქითა, და ან ნუშის ზეთითა, და ან ნიგუზის ზეთითა
შექნან. ესე მუხუდოს შექამადი სანანებლითა, პილპილითა და მხურ-
ვლის ბალახებითა შექნან და ისრე აქამონ. და რასაცა უმსა და მო-
ხარშულსა ბოლოკსა ბევრსა სქამენ, სისხისა სენისა აქიმი და მწო-
ვედ დაცდილი არის, და თუ არ კაცი მწოვედ დასუსტდეს, ამ რიგსა
კაცსა ხორცსა ნუ აქმევენ. და თუ კაცი მწოვედ დასუსტდეს და
უხორცობა ვეღარ გასძლოს, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, ტრედის ხუნდი
და ქავქავი ან შეწონ და ან ყაურმად ქნან სანანებლითა, პილპილითა,
მხურვლის ბალახებითა გატენონ და შიამკონ და თათლიცა ურიონ
და კურკითავ წითელი ხმელი ყურძენი ურიონ და აქამონ. და თუ
ეს მფრინველები არ იშოვებოდეს ამათივ ლაპები, კარგი ვარია, და
ან შავი მაწოვარი თიკანი, ამავ რიგად მხურვლის იარალითა შიამ-
კონ და ქამონ. მაგრა ამას უნდა უფრთხილდეთ რომ ქონი არ ჩაა-
ტანო. და ზენაარ თუ კაცსა ამ რიგი სისხისა სენი სქირდეს ასეთსა
ნურას ასმევთ და ნურცარას აქმევთ, რომე მუცელშიგა გახსნას, თვა-
რემდა ამ რიგსა სისხიანსა კაცსა გახსნა მწოვედ აწყყენს, და ამ რიგ-
სა კაცსა გახსნასა შეკვრა მწოვედ უჯობს.

და ყოველსა დილასა მოკთადილი რიაზათი უნდა ქნას ვითამცა
და ასრე რიგად იმარხონ და იფარეზონ რომე, კაცსა მწოვედ არ მის-
ქირდეს და ან კაცი მწოვედ არ დასუსტდეს. და კუირაშიგა ორჯერ
ჰაბი ლარიყუნი უნდა ქამონ, რომე ბევრჯელ არწყყიოს, რომე რაცა
კაცისა გულსა და სტომაქსა და ტანშიგა ან ქირი, და ან სინედლე
იყოს ყუელა რწყყევასა თან ამოატანოს.

ბოლო ამ რიგმა კაცმა კუირაშიგა ორჯერ უსათიოდ უნდა
არწყყიოს, ასრე რომე ერთხელ დღეს არწყყიოს და ერთხელ ხვალე,
და იმ ხუთს დღეშიგა მოსვენებით უნდა იყოს, რომე მეტის რწყყევითა
სტომაქსა არ მისქირდეს და გული არ დასუსტდეს. და რა ერთი კუ-
ირა გათავდეს, კიდევ ისრე ქნას.

და ხილებისაგან ამ რიგი ხილები აქამონ: ტკბილი ბროწეული, ტკბილი ბია, ხმელი ყურძენი, ნავეის გული, წიფლის გული, ნიგოზი, შაქარი და თაფლი თითითა ლოკონ, ან ბოლოკითა ქამონ ყუელა არგებს და და კარგად უზამს. და ხან და ხან თვითთა ღირჰამი თრიაქი ფარიყი, ან თრიაქი არაბა, და მხურვალე მაჯუნები ქამონ. ჯაგზი და ბაზბაზი დანაყონ ცოტა შაქარი გაურიონ და დილეული უზომან ამისგან ოროლი ღირჰამი ქამონ. ეგირი, ხოლინჯანი და სანანგბელი ლექონ, დანამასტაკი, საკმელი, პილი და კევი მულმად პირშიგა დაიჭირონ და ლექონ.

- 10 და კაცი რომე შარდსა ვერ იკავებდეს და მუდამ შარდი გაზდიოდეს, რაცა იმისი წამალი იყოს და ან დაგვეწეროს, ისივე წამალი იმავე ზიყის სისხასა უნდა უყონ. ან ზღვის წყალშიგა, ან შაბის წყალშიგა, ან გოგირდის, ან ქანის წყალშიგა ყელამდისი ჩასვან. და თუ ესეები არც ერთი იყოს ხმავ რიგად ყელამდისი მარილ წყალშიგა ჩასვან და ან ორი და ან ერთი ეამი შიგ უნდა იჯდეს და ღთითა ეშველების. და თუ აქლემისა ფსელსა ასმევენ მწოვედ კარგად მოუბდების ამა ზიყის სენა, და მწოვედ დაცდილიც არის ამ სენისათვის. და ამ რიგისა საბანლითა ხშირად ფეხნი დაბანეთ: მოიტანე ლერწმის ფოთოლი და ან ძირი დაქერ, და კარგად მოხარშე, და გაანელთბილე, მერმე მოიტანე მარილი, ანაკუეთი და წივის ნაცარი და ამა ლერწმის წყალშიგა ჩაყარე და ნელთბილის ამა წყლებითა სნეულსა ფეხნი დაბანეთ. და თავად ორსა თვარა და ერთსა ეამსა ფეხები ნელთბილსა ამა წყალშიგა ჩაუდევე, და ფეხებზედა ფეხის ქუა წაუსვით. და ხელნი და ფეხნი კარგად, ძალიანად დაუზილეთ, რომე სენი და სიმსივე ტანისა და სტომაქიდალმან შიასუბუქოს და ფეხთაკენ ჩამოსწიოს. მაგრამე ამ რიგი კაცი საბანებლად აბანოშიგა შესულსა უნდა ერიდოს, რომე ამ რიგსა კაცსა აბანოშიგა ბანება მწოვედ აწყენს. და თუ არ დაიშალოს და იბანოს, ასეთსა დროსა იბანოს რომე, ღვიძლი გამთელებოდეს და კაცისა ღვიძლსა ძალი მომატებოდეს, და სიმსივენე ფერხთანა ჩამოსულიყოს, და ფეხს ზედათ აღარა უსივდეს რა.
- 20 და მაშინცა ამ რიგი კაცი რომე აბანოშიგა შევიდეს ასრე უნდა, წყალი ცოტა დაისხას და ასეთსა თბილსა აბანოშიგა დაჯდეს, და ამა აბანოშიგა ამდენი ხანი დაყოს რომე ბევრი ოფლი იდინოს და ან მზეშიგა მწოვედ ცხელსა ალაგსა უნდა დაჯდეს რომე, ამა კაცსა თავი ჩრდილშიგა უნდა ჰქონდეს და სრულად ტანი მზეშიგა ჰქონდეს. და თუ მზე არ იყოს ამავე რიგად ან ცეცხლის პირსა, და ან თორნის პირსა დაჯდეს, და ან თბილს სახლშიგა დაჯდეს.
- 30

და თუ ასეთსა თბილსა აბანოშიგა იბანონ რომე, მიწიდალმან თვითან თბილი გამოდიოდეს, ამ რიგსა ილიჯაშიგა ბანება და შიგ ჯდომა სისხისა სენსა და სიმსიენესა მწოვედ არგებს და კარგად მოუხდების

10 **ჯალინოზ** აქიმმან თქვა: კაცსა რომე სივრილითა ამ რიგი ზიყის სისხა წაეკიდოს, და მრავლის წყლის სმითა ამ გვარი სისხა შეექნასო, და ან კაცი თავით ფეხამდის სრულად გასივდესო ასრე უნდა, ამ რიგსა სისხიანსა კაცსა წყალი არ ასვანო და არც პური აქამონო, და რაცა მხურვალი საკმელები იყოს ის აქამონო, თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, თუსი მისრი, ფალასუფას მაჯუნე, სულეი-მანი, მუდმან უზმოსა აქამონ.

და საკმელებისაგან ბოლოკი და შემწვარი კაკაბი სისხიანსა კაცსა ყოვლსა საკმელსა უჯობს, რომე ესე კაკაბი სანანებლითა, პილპილითა და მხურვლის ბალახებითა გატენილი იყოს, და ისრე კამოს.

20 და თუ კაცი თავით ფეხამდისი სრულად გასივდეს, და ან სხვამ წამალმან ველარა უშველოს რა, მოიტანე ჩორაქ ოთის თესლი და წმიდად დანაყეთ და ხამსა თაფლშიგა ამოსურიმეთ, და ყოვლსა და-წოლის დროსა ესე წამლები საქორით ფეხებამდისი სრულად შეს-ცხე, და ერთსა ჩარჩამშიგა წაახვიეთ და ისრე დააწვინეთ, ნახეთ თუ ბძანებისა ღ'თისათა ამა წამლის ხასიათი იმა სისხისა სენსა რას უზამს, და ან სიმსიენესა როგორ ჩამოიღებს. და აქაე ზემო რომე ლერწმის ფოთლის ფეხის საბანელი დამიწერია, იმაე რიგად, იმაე საბანლითა ხშირად¹ ფეხნი დაბანონ.

და თუ კაცი მწოვედ სივდეს, და ან ესე სიმსიენე ფირტუსა შემოეკიდოს და მერმე ხუელაცა დააწყებინოს, ამ რიგისა ავადმყოფისა იმედი უნდა კაცმან გარდაწყვიტოს, რომე ამა სნეულისა ხსნა და შევლა ღ'თის მეტსა კაცსა არ შეუძლია, და აღარცა ამის შევლასა კაცი უნდა ეცადოს.

30 დი მეორე რიგი ისისხა ეს არის რომე, ლაჰამი ჰქუიან, და ესე ლაჰამის სისხა ამისგან და ამა მიზეზითა შეექნების, და წაეკიდების, რომე კაცსა ბალღამი მოერევის და ესე ბალღამი და სისხლი სრულად ერთმანერთშიგა აერევის, და რაცა ძარღვები არის ყუელა ამა არეულისა სისხლითა და ბალღმით აევსების. და ამ რიგი, და ამ გვარი ლაჰამის სისხა მისგან შეექნების.

აწე ამა ლაჰამის სისხისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა თავ პირისა და ტანის სახეობა ასრე წაუხდეს და აეშალოს

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

რომე, არას კაცის ელფერსა ამისი ელფერი და სახეობა აღარა გვან-
დეს, და ესე სნეული კაცი გუნებაზედა მწოვედ ნელდად იყოს. აწე
რა ესე ნიშნები კაცზედ ნახოთ იცოდით ამა კაცსა დასტურად ლაპ-
მის სისხა სკირს და მისგან არის ავად.

10 აწე ამისი წამალი ეს არის რომე, ასეთი წამლები და შარბა-
თები ასვან, ასეთი მაჯუნები და ჰაბები აჰამონ რომე, ამა სნეულსა
ბევრი არწყევინოს. და ყოველთა დღეთა მოჰთადილი რიაზათი ქნან,
ვითამცა და ასრე რიგად იმარხოს და იფარეზოს რომე, სნეულსა
მწოვედ არ მისკირდეს და არ დასუსტდეს, და ზშირ ზშირად პირი
უნდა გამოირეცხოს, და გული და სტომაქი იარაჯი ფეყრითა დაილ-
ბოს და თანყა ქნან. და ესე სნეული ან ზღვის წყალშიგა, ან შაბის
წყალშიგა, ან გოგიგირდის წყალშიგა ყელამდისი ჩასვან. და თუ ესე
წყლები არ ოშეგობოდეს ამე რიგად¹ ყელამდისი მარილწყალშიგა
ჩასვან, და ამა მარილ წყლითა ტანი დაბანონ. და ესე ბანება მწოვედ
კარგად მოუხდების. და კატის ძუძუ მოთხარონ და ამისი ძირი მო-
ხარონ, და რამთენჯერცა წყალი მოსწყურდეს მუდამ წყლის ალაგსა
ესე კატის ძუძუს წყალი ასვან, მწოვედ კარგად მოუხდების, და მწო-
ვედ უჯობს ძალითა ღ'თისათა.

20 შესამე რიგი სისხა ეს არის რომე დაბლი ჰქუიან, და ესე დაბ-
ლის სისხა ამისგან და ამა მზეზითა შეექნების და აუვარდების რომე,
კაცსა ქარი შეექნების და მოერევის და ესე ქარი კაცსა სტომაქსა
შესტაცებს, და სისხლისა გააცივებს და წაახდენს, და ესე დაბლის
სისხა მისგან შეექნების და აუვარდების.

აწე ამა დაბლის სისხისა ნიშანი და აღამათი ეს არის რომე,
კაცსა ჰიბი გარგამოუვიდეს და მუცელი მწოვედ მძიმედვე არა ჰქონ-
დეს, და კაცმან რომე მუცელზე ხელი დაჰკრას, როგორცა გაბერილ-
მან ტიკმან ხმა მოსცეს, ისეთივე ხმა ამა კაცის მუცელმან მოსცეს.
აწე რა ესე ნიშნები და აღამათები კაცზედა ნახოთ, იცოდით რომე,
კაცსა დაბლის სისხა სკირს და მისგან არის ავად.

30 აწე ამ რიგსა სისხისა წამალი ეს არის რომე, მოიტანე დანა-
ყილი მარილი და ანაკუეთი და ერთმანერთშიგა აურივეთ და კარგად
გაათბეთ, და ერთსა სამოსლისა ნაჭერშიგა ჩაყარეთ და პირს მოჰ-
კრან, და ესე ანაკუეთი და მარილი თბილ თბილი მუცელზედა დაად-
ვან, და თავად სამურისა, თვარამდა კვერნის ტყავი ზედა დახურონ,
და ბაღდადი ყუნის მაჯუნნი, და სხვა მხურვალი მაჯუნები აჰამონ და
მაულ უნსული ასვან, და მუდამ საკმელი, დანამასტაკი და ზირა კე-

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნისი ხელით.

სავითა ღეჰონ. და ხოლინჯანი, ეგირი და სანანებელი მუდამ პირ-
შიგა დაიჭირონ და ლოლნონ. ხშირად ჯავუზი და ბაზბაზი უზმომან
კამოს, და ამასაცა მუდმივ მუხუდოს შეკამადი და ისივ პურები აქა-
მონ რომე, აქავ ზემო ზიყის სისხაზედა დამიწერია.

მუფრიდათი ვითამცა წურილი, დაცდილი წამლები არის, რო-
მე ამა წამლებითა სისხასა და სიმსივნესა წამალი ექნების და ჰკურნებს.

ძმარი მხურვალთა, ხმელია, ვინცა ესე ძმარი სისხისა სიმსივნე-
ზედა დაიცხოს, სიმსივნე დააცხროს.

10 კარხლის ბუნება გრილი და ნედლია, ვინცა სიმსივნისა პირველ
გამოჩენაზედა ამა კარხლის ფოთოლი მოხარშოს და მსივნისა რაზე-
დამე დაიდვას და შეიხვიოს, სიმსივნე უსათიოდ გააქარვოს და ტკი-
ვილი უშველოს.

რეჰანის ბუნება მოჰთადილი და შეზავებულია, ვინცა ესე რე-
ჰანი დანაყოს და მსივნისა რაზედამე დაიდვას, სიმსივნე და ტკივი-
ლი ორივე უშველოს.

ქინძის ბუნება გრილი და ნედლია, ვინცა ესე ქინძი დანაყოს
და მსივნისა რაზედამე დაიდვას, სიმსივნე და ტკივილი ორივე უშ-
ველოს და გააქარვოს.

20 ჯინჯარი გრილი და ნედლი არის, ვინცა ესე ჯინჯარი დანა-
ყოს და მსივნისა რაზედამე დაიდვას, სიმსივნე და ტკივილი ორივე
უშველოს.

ძალის ყურძენა გრილი და ხმელია, ვინცა ესე ძალის - ყურ-
ძენას ფოთოლი დანაყოს და მსივნისა რაზედამე დაიდვას, ტკივილი
და სიმსივნე, ორივე უშველოს და ოთხსაოდღე დირჰამსა კიდევცა ას-
მევენ, ისი სჯობს.

ვინცა ითქესირა დანაყოს და ხამსა თათლშიგა ამოსურიმოს,
და მსივნისა ალაგზედა დაიდვას, თავად სისხასა და მერმე მუცლისა
და ტანისა, ხელფეხისა და ტანისა, თავპირისა და თვალებისა სიმსი-
ვნისა ყუელასა უშველის და გააქარვებს.

30 ქასნი ვითამცა და ვარდ კაქაჭიო მოჰთადილია, ვითამცადა შე-
ზავებულიო, ვინცა ესე ქასნი მოთხაროს, ამისი ძირი დანაყოს და
ცოტა შაქარი გაურიოს და ამისი წვენი სვას, სისხასა უსათიოდ
უშველის, და სიმსივნე, გარეთ არის თუ შიგნით, ორსავე გააქარვებს.

აყირო გრილი და ნედლია, კაცი რომე შიგნით და ან გარეთ
სივდეს, მოიტანე ნედლი აყირო დანაყე და სიმსივნეზედა დაადევ და
კიდევცა ასვით სიმსივნეს მაშინვე უშველის და გააქარვებს.

რევანდი ჩინი გრილი და ნედლი არის, ვინცა ესე რევანდი და-
ნაყოს და გაცრას და ძმრითა ან ვარდის წყლითა, და ან ქასნის

წყლითა გაქნას და მსივანსა ალაგზედა დასცხოს, სიმსივნე უსათიოდ უშველოს. და თუ ძმარი და ეს წამლების წყლები არ დაეგსწრას, რომე წყლით გალესო და ისრე დასცხო მწოვედ კაი არის, და თუ კიდევცა სმენ ისიც კარგი არის. ვინცა სურინჯი ძმრით გააყენოს და მსივანსა ალაგზედა დაიცხოს, სიმსივნე დაფანტოს და გააქარვოს.

ზრეშის ბალახი მხურვალე და ცხარი არის, თუ დედაკაცსა ან ძუძუსა და ან ზურგზე სიმსივნე ჰქონდეს და ესე ზრეშის ძირი კაც-მან მანამდისი ხარშოს, რომე კარგად მოსქელდეს მერმე სიმსივნე-ზედა დაიღვას სიმსივნე და ტკივილი უსათუოდ ორივე უშველოს.

10 ვინცა ოსპი და აქლილუ-მულუქი ვითამცადა ყუავის ქანგას ბალახიო, დანაყოს და ან ეარდისა და ან ბიის წყლითა გააყენოს და მსივანსა ალაგზედა დაიღვას, სიმსივნე დაფანტოს და გააქარვოს.

ვინცა წყლის თაგვი დაწვას, დანაყოს და გაცრას, და ძმრით ტლედ ქნას და სიმსივნეზედა დაიცხოს, ისი სიმსივნე დასწვას და გააქარვოს.

სტაფილო მხურვალე და ნეღლი არის, ვინცა ამა სტაფილოს თესლი დანაყოს და გამოწუროს, და მისი წყალი სვას, სიმსივნე ში-გნით იყოს თუ გარეთ, ორივე უშველოს.

20 ვინცა ნიორი ქამოს სიმსივნესათვის მწოვედ კაი და მარგე არის.

აგრევე თუ კაცსა სისხა და სიმსივნე ორივე სქირდეს, მოიტა-ნე ძალლის ყურძენა და მოხარშონ, და ქაფი მოჰხადონ და გაწუ-რონ, და ამა ძალლის ყურძენას წყლისაგან წონით ოცი ღირჰამი სვან, სისხასა და სიმსივნესა ორსავე უშველის.

ვინცა ან ქათამი, ან სამის დლის გოქი შუა გააპოს და სიმსი-ნეზედა დაიღვას, მაგარს სიმსივნესა დაალბობს და გააქარვებს.

30 ვინცა კაკბის ხორცი ან შეწვას, და ან ყაურმად ქნას და სა-ნანებლითა, პილპილითა და მხურვლის ბალახებითა გატენოს და შია-მკოს და სისხიანმან კაცმან ქამოს, სისხისა სენისათვის ეს კაკბის ხორცი მწოვედ კაი არის. ბაქსიმათის პური რომე სისხიანმან კაც-მან ქამოს მწოვედ კაი არის.

ფეტვის პური რომე სისხიანმა¹ -კაცმან ქამოს მწოვედ კაი არის, მეტადრე მაშან რომე, ესე მკადი და ბაქსიმათი მუხუდოს შექამად-შიგა ჩაიქრას და ისრე ქამოს. და ესე მუხუდოს შექამადი ან ნაჟუ-ვისა, ან ნუშისა, და ან ნიგუზისა ზეთითა შექნილი იყოს, და ამაშიგა სანანებელი, პილპილი და მხურვალე გამოეხარშოს და ისრე ქამონ.

¹ ეს სიტყვმ სტრიქონხ ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბოლოკი მხურვალე და ხმელია, სისხიანი კაცი რასაც ან უმ-
სა და ან მოხარულსა ბევრსა ბოლოკსა სკამს, და ბევრჯულს სკამს
ამა სისხისა წამალი და აქიმი და მრავალჯერ დაცდილი არის.

ტიტა მხურვალე და ხმელია, ვინცა ორი დანგი ამა ტიტის
თესლი ქამოს, სისხისათვის მწოვედ კარგი არის, და რაცა კაცის
ტანშიგა ყუითელი წყალი და წალა ღვას, ყუელასა გასწმედს და გა-
აქარებებს.

შამ ჩოლანი, რომე გარნა ჰქუიან, მხურვალე და ხმელი არის,
ვინცა ესე შამ ჩოლანი დანაყოს და გამოწუროს და ამის წვენისაგან
10 სამი ღირჰამი სევას, უსათიოდ სისხა უშველოს.

ალუ ალაჯი ვითამცა და იელის ხეო, მხურვალე და ხმელია,
ვინცა ესე იელის ხე სანდლის ხესავითა ძმრითა გალესოს, და მსივან-
სა ალაგზედა შესცხოს, არგებს. და ანუ ამისი ფოთოლი დანაყოს და
ზედ შემოსდვას, რაგინდარა ძნელი და მაგარი სიმსიენე იყოს, და-
ალბოს და გააქარვოს.

თრიაქი გრილი და ხმელია, საფრასა, მაშინვე გააცულებს, ვინ-
ცა ესე თრიაქი წყლით გალესოს და მხურვალსა სიმსიენეზედა დაი-
ცხოს, სიმსიენე უსათიოდ გააქარვოს.

ბაბუნაჯი ვითამცა და გვირილაო მხურვალე და ხმელია, ვინ-
20 ცა ესე გვირილა დანაყოს და სიმსიენეზედა დაიდვას, მაგარსა სიმ-
სიენესა დაალბობს და გააქარებებს.

ბუი მადარონ ვითამც და მელის კუდას ყუითელი ყუაველიო,
მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე მელის კუდას ყუაველი დაჯეკოს,
და მოხარშოს, და მსივანსა ალაგზედა დაიდვას, თუ ესე სიმსიენე
სიგრილისაგან იყოს, დაფანტოს და გააქარვოს

ფარფიონი მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე ფარფიონი და-
ნაყოს, გაცრას და თოხლოს კუერცხშიგა ჩაყაროს და ქამოს, სქელ-
სა ბალამსა გააქარებებს და სისხისათვის, ხელ ფეხისა და ტანისა
სიმსიენასათვის, მწოედ კარგი არის, სუდასათვის და ამა ყუელასა-
30 თვის კაია.

გარეული ია და ლულუფარი, ორივე გრილი და ნელლია, ამა
ორშიგა რომელიცა დანაყონ და ან საფრისა, და ან სევდისა სიმსიენ-
ეზედა დაადვა, სიმსიენეს უსათიოდ უშველის. და ან ამათგან რო-
მელიცა დანაყო, და წყალი გამოჰხადო, და შაქარი გაურხო და
ამათგან სამი ღირჰამი სვან, ტანიდალმან საფრასა და სევდასა გა-
აქარვოს.

ბოი ვითამცა და ულბო, ამა ულბოს თესლი, თესლსა გაამრავ-
ლებს, და დანაყილი რომე გრილსა სიმსიენეზედა დაიდვა, და ან

მოხარშო და ამისი წვენი სევან, გრილსა სიმსივნესა მაშინვე გააქარ-
ვებს. მაგრა ასრე უნდა, ეს ულბო დაფქო, ვარდის კაქაქით ტლედ
ჰქნა და ისრე დაიდვა.

თაბაშერი ჰინდი გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე თაბაშირი
დანაყოს და ძმრით გააყენოს, და სიმსივნეზედა დაიცხოს, თუ ესე
სიმსივნე ბალღამისა და ან საფრისაგან იყოს, უშველოს.

ინა გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე ინა წყლით მოზილოს
და სიმსივნეზედა დაიდვას, თუ ესე სიმსივნე ბალღამისა და ან საფ-
რისაგან იყოს, სიმსივნე დაჰფანტოს და გააქარვოს.

10 ტუხტი და მალოქი ორივე გრილი და ნედლია, ვინცა ესე ტუ-
ხტი და ან მალოქი დანაყოს და სიმსივნეზედა დაიდვას, თუ ესე სიმ-
სივნე სიმბურვალისაგან არის, უსათუოდ სიმსივნე უშველოს და გა-
აქარვოს.

ხიარ შამბარა მოჰთმდილი არის, ვინცა ესე ხიარ შამბარა
წყლით გაღესოს და სვას, რაცა ყელსა და გვამშიგა სიმსივნე არის,
ყუელა უშველოს.

დარიჩინი მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე დარიჩინი ლექოს და
ან ჰამოს, გულის სიმხიარულესა მოგურის, ფირტვის ტკივილსა უშ-
ველის და სიმსივნისათვის მწოვედ კარგი არის.

20 მარილი მხურვალე და ხმელი არის, ვინცა გარეული რაზიანა
დანაყოს და მარილითა ცომივითა მოზილონ, და მსივანსა ალაგზედა
დაიდვას, სიმსივნე დაფანტოს და გააქარვოს, მეტადრე მაშინ რომე,
ესე ხიმსივნე ან თავსა და ან ყურის ძირშიგა ჰქონდეს, ესი იცოდი
იმე ვამსა გააქარვებს.

ზოგსა აქიმთა უთქუამს. ცომის მაგიერად რომე ძროხის ტვინი
გაურიონ ისი სჯობსო. და ზოგთა აქიმთა ასრე უთქუამს, ცომის მა-
გიერად რომე თაფლის ფიტი გაურიონ, ისი სჯობსო.

ლახოსტაკი მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე ლახუსტაკი ორი-
დირჰამი დანაყოს და გატრას, და ხამსა თაფლშიგა ამოუკიდოს, და
30 ჰამოს, რაცა კაცისა ტანსა და მუცელშიგა ყუითელი წალა და წყა-
ლი დვას, ყუელას გამოიღებს და გააქარვებს, და სისხისათვისცა
მწოვედ კარგი არის.

ლურჯი შაბი, რომე თათარნი შაბი იამანსა უძახიან და მწვანე
შაბი, ორივე მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე შაბი, კანაფის თეს-
ლი და ჰულბას თესლი, ეს სამივე ერთად, დანაყოს და სიმსივნეზედა
დაადვას, თუ ესე სიმსივნე ბალღამისა და სიგრილისაგან იყოს, უსა-
თიოდ უშველოს და გააქარვოს.

თეთრი შაბი მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე შაბი დანაყოს და ძმრით ტლედ ქნას და მსივანსა ალაგზედა დაიდვას, სიმსივნე უშველოს და გააქარვოს.

ვინცა აქლემის კურკლი, ამავე აქლემის რძეშივა გამოლესოს, და სისხიანსა კაცსა ასვას, სისხა უსათიოდ უშველოს.

რძიანას რძე მხურვალე და ხმელია, ვინცა ხუთის მუხუდოს წონა ამა. რძიანას რძე სვას, სისხისათვის მწოვედ კარგი არის, და კაცსა სუდასა და სტომაქსა გაუხსნის და ავის ხილთისაგან გასწმედს.

10 კევი მხურვალე და ხმელია, რასაც სიმსივნეზედა დაადებ, ყუე-ლასათვის მწოვედ კარგი არის.

ტირიფი გრილი და ნედლია, ვინცა ტირიფის ხის ფესვის ნაცარი ძმრითა ასურიმოს და კაცსა გულსა და სტომაქზედა გარდაკრას, თუ კაცსა გულზედა სისხისაგან ძალი დამართებია, და ან გულის ტკივილი, და ან გულის სიმსივნე დასძველებოდეს, ტირიფის ხის ფესვის ნაცარი ძმრითა ასურიმონ და შემოიდვან, მაშინვე უშველის.

20 სუსანი ვითამცა და შირლილინიო, მხურვალე და ნედლია, ვინცა სევდისაგან სიმსივნე სკირდეს, ეს სუსანი ჰამოს და ზედაც შემოიდვას, და ესე სიმსივნე გარეთ არის თუ შიგნით, უსათიოდ ორსავე უშველის.

თეთრი სანდალი და ფუფალი, ორივე ერთისა თაბიათისანი არიან, და ერთის ბუნებისანი, ორივე გრილი და ხმელი არის, ვინცა ესე სანდალი და ფუფალი ან ვარდის წყლითა და ან ძმრითა გალესოს და სიმსივნეზედა დაიცხოს, რაცა სიმსივნე სიმხურვალისაგან არის უსათიოდ უშველის და სისხისათვისცა სმა და შეცხება ორივე მწოვედ კარგი არის. და თეთრსა სანდალსა ჯერ ყირმიზი სჯობს და უფრო ძალიანი არის.

30 უდი ჰინდი, მხურვალე და ხმელი არის, რაცა კაცის ტანშივა ქარი არის ყუელას გააქარვებს და სუდას გახსნის, და კაცმან რომე ვარდის წყლითა გალესოს და სვას და ან ზედა დაიცხოს სისხისათვის ორივე მწოვედ კარგი არის, რომე ამისგან კაცმან ორი ღირჰამი ვარდის წყლითა გალესოს და სვას.

ყათრანი ვითამცა და ფიქვის დღვილიო მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე დღვილი სიმსივნეზედა დაიცხოს, სიმსივნე გააქარვოს.

ყირმიზი ბაჰმანის ფორი მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე წითელი ბაჰმანი მოხარშოს, და ამისი წყალი სისხიანსა კაცსა ასვას. სისხისათვის მწოვედ კარგი არის.

ასფურის თესლი ვითამცა და ალი სარჩულის თესლიო, ვინცა ესე ალი სარჩულის თესლი დანაყოს და ამისი წვენი კაცსა ასეას, ლაჰმისა და ზიყის სისხისათვის, ორისათვისვე მწოედ კარგი და მარგე არის.

ლისანი ასეურ, ვითამცა და ჩიტის ენაო, იფნის ხის ხილსა ჰქუიან, მხურვალი და ხმელია, ესე იფნის ხის ხილი რომე, კაცმან ჰამოს, სისხისა და მერმე ყოვლის გრილის სენის წამალი არის.

ნიგოზი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე ნიგოზი წმიდად დანაყოს და კაცსა რომე სევდის სიმსივნე ჰქონდეს იმა სიმსივნეზედა დაადვას, ან ამა ნიგოზისა ზეთი შესცხონ სიმსივნეს უსათიოდ უშველის ძალითა ღ'თისათა.

ლმ. კაკი მმოცდა ცამებე, ტყირპის ტყივილისა და ტყირპის გადიდებისა.

აწე ტყირპის ტყივილი და ტყირპის გადიდება ორი რიგი არის, ერთი ტყივილისა და ქარისაგან, ერთი ვარამისაგან.

ასრე უნდა, კაცმან კაცს ტყირპზედა ხელი დაუსევას და მერე მთლიანად ხელი დააქიროს, თუ ტყირპმან ჰყუილი დაუწყოს და მერმე დასწყნარდეს, იცოდი რომე ქარისაგან არის, და თუ ტყირპმან ხმა არ ამოიღოს და ისრე ეტყვიოს, იცოდი რომე, დასტურად ვარამისგან არის, და ვარამი ბჯდომსა ჰქუიან. და ამა ორისავე გუარის სენისა მიზეზი უსათუოდ ორივე სევდისგან არის, და ამისი წამალი ესევე არის რომე, რაცა აქვე ზემო სისხისა სენზედა წამალი დავიწერია, ისივე წამალი ამა ტყირპსა უნდა უყონ.¹

და საკმლისა კამაზედა ზენაარ წყლის სმასა ერიდოს აესა მსუქანსა და ქარიანსა საკმელსა ერიდონ. და ასრე უნდა ტყირპ მტყივანმან კაცმან საკმელი ცოტა კამოს, და ასეთსა საკმელსა ნუ სკამენ რომე სევდა მოუმატოს და სევდა გააძალიანოს.

აწე ესე საკმელი არის რომე ტყირპსა აწყენს და სევდასა გააძალიანებს: ყოვლი ხმელი ხორცი და ხმელი თევზი, ძროხისა, თხისა, ირმისა, ჯვირნისა და შულის ხორცები. და ყუელასაგან უარესი შულისა და კურდღლის ხორცია.

ოსპი, მაში, ბადილჯანი, დომალანი სოკო, ხმელი და მლაზე ყუელი, ძმარი და ღვინო და ყოვლი მლაზე, ცხარი და ხმელი საკმელი, ესე ყუელა უნდა იფარებონ და ერიდონ. და ამ რიგის საკმლებითა ხელი უნდა შეიწყონ და კამოს: ძმარშიგა დამბალი ლეღვი თალგმისა და კაპრის მწნილი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივე

¹ ამ გვერდის ქვემო აწივზე დედნის ხელით სწერია ჩვეულთა სათვალავო „კა“ და შემდგომი გვერდის ზემო აწივზე „კბ“.

ლაპები, ტრედის ხუნდი, ჭავჭავი, მსუქანი ვარია და ქათამი და კა-
ის მსუქნის შიშაქის ხორცი, ესეები ყუელა ექმების.

მაგრა ასრე უნდა, ყოველთა დილათა უზმოსა ტყირპი დაუზი-
ლონ. და თუ ეს ტყირპის ტკივილი ქარისაგან იყოს, მოიტანე მა-
რილი და ანაკუეთი, ერთგან აურივეთ და კარგად გაათბეთ და თბი-
ლი ტყირპზედა შემოსდევით და ეს მარილი და ანეკეთი ორსავე
რიგსა ტყირპის ტკივილსა უშველის.

10 კიდევე მოიტანე ასყულუფინდრონი, რომე ასყულიფი ჰქუიან,
აბზინდას ბალახი, გვირილას ყუავილი და ყვავის კანგას ბალახის
თესლი და ან თვითან, რომე სპარსნი აქლილუ მულუქს უძახიან, ხუთ
ხუთი დირპამი, კიდევე ძმარშიგა დამბალი ლელვი, ბოი ვითამცა და
ულბო და კაპრის ძირის ტყავი სამი დირპამი, კაი და ყუითელი ცვი-
ლი ოთხი დირპამი, და პირველ ეს ცვილი გაადნონ, და შერე ესე
წამლები დანაყონ და გაცრან, და სრულად ამა გამდნარ ცვილშიგა
ჩაყარონ და მალამად ქნან, და პირველ ესე ტყირპიანი კაცი აბანო-
შიგა შეიყვანონ და აბანონ, და ტყირპი კარგად დაუზილონ, და რა
აბანოდალმან გამოვიდეს, შერმე ესე ტლე სამოსლისა ნაქერიითა ტყირპ-
ზედა გარდაკრან, და ძალითა ლ'თისათა ესე ტლე იმა ტყირპსა გა-
აქარეებს.

20 კიდევე სხვა კაი წამალი ტყირპის გაქარეებისათვის: მოიტანე
თეთრის თუთის ქერქი და თავისავე ცილითა ასრე გაახმეთ ჩრდილ-
შიგა¹, რომე კარგად დაიწვას და შერე ცეცხლშიგა დაწვან და მისი
ნახშირი აილონ, დანაყონ და გაცრან, და ერთი დირპამი ეს თუთის
ნახშირი ქენ, და ათიოდე მარცვალი უზანლულის თესლი ქენ და
ესეცა დანაყე, ორივე ხამსა თაფლშიგა აურივე და სამსა დღესა ზედა
ზედ უზმოსა ამა წამლისაგან აქამონ და ძალითა და შეწეწითა ლ'თისა-
თა ტყირპი უსათიოდ ეშველების და კიდევაცა აღვილად გააქარეებს.

30 კიდევე ტყირპის გაქარეებისათვის ესე წამალი და ესე ლოცვა
მწოვედ დაცდილი და ბევრჯერ ნასაქმები არის. ახალსა მთვარესა,
პირველსა ოთხშაბათსა დღესა ესე ლოცვა ერთსა ქალადღზედა და-
წერონ, და ესე ლოცვა მარცხენასა მხარსა შემოაბან, და მულამ
ხელითა ტყირპი ინახონ, გაქარეებულა თუ არა, და თუ ტყირპი გაქარ-
ეებულ იყოს, ესე ლოცვა შეიხსნან და განიშორონ. და თუ არ გა-
ქარეებულიყოს, ნუ შემოიხსნიან, და ძალითა ლ'თისათა ესე ლოცვა
ტყირპსა ასრე გახდის რომე ერთი მარცვალი ტყირპი აღარ დარჩეს².

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია „დედანს წიგნს ესე სამი ლო-
ცვა აკლდა“.

და თუ ამა ლოცვასა და ამა ლაპარაკსა არა ჯერხართ, ესე ლოცვა დაწერეთ და ათსა თორმეტსა დღესა ერთსა ცხვარსა ყულ-ზედა შემოაბით, და მერმე ისი ცხვარი დაკალით და ნახეთ, ამა ცხვრის ტყირპი დარჩომილალა თუ არა, და ჩემი ლოცვა და აქიმობა მა-შინ დაიჯერეთ.¹

კიდევ სხვა ლოცვა და წამალი მთვარის ცხრომისა, ოთხშაბათ-სა დღესა პირველსა ეამსა ესე ლოცვა დაწეროს და მარცხენასა მკლავსა შემოიბას და ტყირპი უსათუოდ ეშველებინს.²

10 კიდევ ესე ლოცვა და ესე ნიშანი ერთსა პატატასა ქალალდ-ზედა დაწერონ და ასრე შიანვიონ, რომე ერთის ბაყილას ცურცვის ოდენი ძლიე იყოს, და ესე დაკეცილი წიგნი ერთსა კოვზშიგა ჩადვან და ცეცხლი მოუკიდონ, და ესე კოვზი ამა დაკეცილითა ქალალდი-თა პირდალმა ტყირპზედა დაადვას, რომე ესე დაკეცილი ქალალდი ღუგუნის მაგიერად დასწვას, და ტყირპი უსათიოდ ეშველებინს ლ'თითა.³

მუფრიდათი არიხ ვითამცა წურილი, დაცდილი წამლები არიხ რომე ამა წამლებითა ტყირპსა წამალი ექნების და ჰკურნებს.

20 ვინცა ძველსა მთვარესა კაპრის ძირი მოთხაროს, მოხარშოს, გასწუროს და გააციოს, და შაქარი გაურიოს, და ერთსა ღამესა გარეთ დადვას და პირს დოლბანდი გადახურონ და ამისგან სამსა დილასა უზმომან თვითო კოვზი დალიონ ლ'თითა უსათიოდ ტყირპი ეშველებინს და გააქარვებს.

ვინცა ოთხი დირჰამი ბასვიაჯი, ერთსა ჩანახსა ხაქოს წყალში-გა მოხარშოს და ამდენი აღულონ, რომე ნახევარი ჩაიშროს და ნახევარი დარჩეს და მერმე გარდმოიღოს და გაწუროს და ამა ბასვია-ჯის წყალშიგა ათი დირჰამი შაქარი გაურიონ, და სამსა დილისა ზედი ზედ ეს წამალი თბილ თბილი სვას, ტყირპი ეშველოს.

30

¹ ამის შემდეგ სხვა ხელით და სხვა მელნით სწერია: „ვის ტყირაპი საჭირ-დის ვირის ტყავი ახალი დაიდვას სამს დაღეს შეკრული ქონდეს. კიდევ ტყირ-პაბისათვის ცოტა რკინა დაიდვას. რკინა ტარის პირი ზედამ დაადვას სამს დაღეს შეიკრას, წყლის გველი დაიპირე და ბოლითი თავევე დაქიდევ ქვეშ ტასტით წყა-ლი შეუდგი, ის გველი პირიდან ქვას წამოაგდებს, ის ქვა რასაც ტყირაპიანს ტყირაპზედ დაადვით სამის სიტყვის თქმამდის თავათ არ ების ტყირაპს თორემ სწეულობით დასიებულ ტყირაპს კი სრულად გააქარობს“.

² ტექსტში აქ ცალიერი ალაგია დატოვებული და აშიაზე სწერია დედნის ხელით: „აკლდა დედას წიგნსა“, ვარიანტ A-ში ეს შენიშვნა ასეთია: „სამი სტრი-ქონი აკლდა დედას წიგნსა“

³ ტექსტში აქ ორი სტრიქონი ცალიერი ალაგია დატოვებული.

ვინცა დედალი საღირსურულის ძირი, ვითამცა და თევზის საგალის ძირიო, მოთხაროს და მოხარშოს, და მარჯვენა ფეხი ამა საგალის წყალშიგა ჩაუყოს და ამისავე წყლისაგან უზმომან ცოტა კიდეცა სვას, უსათუოდ ტყირპს გააქარეებს.

ვინცა კანაფის თესლი დანაყოს და ძროხის ტყინშიგა გაურიოს და ტლედ ქნას, და რა ნივთიცა ესე ტყირპი იყოს იმდენი სამოსელი გამოჰკუეთონ, და ამაზედა გააკრან, ესე ძროხის ტყინი და კანაფის ტლე ტყირპზედა გადაკრან და სამსა დღესა ზედა ზედ სხვა და სხვა გამოუცვალონ, ტყირპსა უსათიოდ უშველის.

10. ვინცა ოთხშაბათსა დილასა, რომე ჯერ მზე არ ამოსულიყოს თავისის ხელითა გავანის ძირი მოთხაროს და მეორეს ოთხშაბათამდისი ჩრდილშიგა გაახმოს და საჯზედა მანამდისი ხალონ, და მანამდისი აბრუნონ ამა საჯზედა, რომე დაიწვას ეს გავანის ძირი და დანაცრდეს, და მერმე ხელპირ უბანელმან, რომე ჯერ მზე არ ამოსულიყოს, ამისგან უზმომან სამსა დღესა ზედა ზედ ამისგან თვითო კოვზი წყლით გალესოს და უზმომან უნდა სვას, და ტყირპსა უსათუოდ უშველის და გააქარეებს ძალითა ღვთისათა.

ვინცა პიტნა დაკრას და მოხარშოს და სამსა დღესა ზედა ზედ თბილ თბილი ტყირპზედა დაიდვას, და ამა პიტნის წვენი სამსა დღესა ზედა ზედ თვითო თასი უზმომან სვას, ტყირპი უშველოს.

20. ზარავენდი თავილი, ვითამცა და ძირ მწარეო, დედალი და მამალი არის, და მამლის ძირ მწარის ფოთოლი გრძელ გრძელი არის და დედლის ძირ მწარის ფოთოლი მგურგალი არის, ვინცა დედლის ამა ზარავენდისა ერთი ღირპამი დანაყოს, და წყალი გამოჰხადოს, და გაწუროს, და ცოტა წყალიცა გაურიონ და სამსა დღესა ზედა ზედ თვითო ფინჯანი ასვან, ტყირპი ეშველოს.

ვისცა ტყირპი მწოვედ მაგრად ჰქონდეს და ლვიძლიცა სტკიოდეს, მოიტანე უშალი, რომე სპარსნი დანაი ჩადიროს ეძახიან, და დანაყეთ, და ტლედ ქენით და ტყირპზედა დაადევით, და ტყირპისა და ლვიძლის ტყივილსა ორსავე უშველის.

30. ვინცა დედალი ღარიყუნი დანაყოს და თაფლითა ასვას, ტყირპი უშველოს და გააქარეოს.

გარეული პიტნა მხურვალთა, ხმელია და მწოედ შემრგო და მაშუნე არის, და ლვიძლსა მწოვედ არგებს და ძალს მისცემს, ვინცა მარილითა ეს პიტნა დანაყოს და ტყირპზედა დაიდვას, მწოვედ კარგად უზამს.

ვინცა ენდროს ხილი დანაყოს, და თაფლში ამოსურიმოს და ქამოს, ტყირპი ეშველოს. ან ვინცა ესევე ენდროს ხილი დანაყოს და

ან სიქანჯუბინითა და ან ძმრითა სვას, ტყირპისათვის შწოვედ კარგი არის.

ვინცა დევა დაბანი, რომე სპარსნი ბუხრი მარამს ეძახიან, ვითამცა და კოჩივარდას ძირიო, ვინცა ესე კოჩივარდას ძირი დანაყოს და ტყირპზედა დაიდვას, შწოვედ კარგი არის.

ვინცა სარმაშული ვითამცა და ხის უფალიო, მოხარშოს და ამისი წვენი ცვილითა და ზეთითა ტლედ ქნან, და სამოსლითა ტყირპზედა გარდაკრან, ტყირპსა უსაიოდ უშველოს.

10 წყლის წიწმატის თესლი მხურვალი და ხმელია საქმელის დამდნობი არის და კაცსა შიგნით სტომაქშიგა აშლის, ვინცა ამა წყლის წიწმატის თესლი დანაყოს და თაფლითა ტლედ ქნას და ტყირპიანსა კაცსა ტყირპზედა შემოსდვას, უსათიოდ ტყირპი ეშველოს.

ვინცა ან სიქანჯუბინისა და ან იისა, ან ლულუფრისა, ან შათარას შარბათები სვას, ტყირპი უშველოს.

ვინცა ბროწეული დამარცხლოს და შაქრითა ქამოს, ტყირპსა და ღვიძლსა ორსავე არგებს.

ვინცა აღუ ალაქი, ვითამცა და იელის ხეო, ამისი ხილი დანაყოს და თაფლითა ამოსურიმოს¹ ტლედ ქნას, და გარედამან ტყირპზედა დაადვას, ტყირპსა გააქარვებს.

20 ვინცა გრაკის ფოთოლი მოხარშოს და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპი უშველოს.

ვინცა ლულუფარისა წყალი და ღვინო ერთმანერთშიგა აურიოს და სვას, ტყირპი გააქარვოს.

ვინცა ბალი ყალმონის თესლი დანაყოს, და ორმოცსა დღესა ჩრდილშიგა გაახმოს, და ამისგან ერთი დირპამი ღვინითა გალესოს და სვას, რა გინდა ძველი და მაგარი ტყირპი იყოს, გააქარვოს და უშველოს.

ვინცა მიხაკი დანაყოს, გაცრას და ძმრითა ტლედ ქნას და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპი გააქარვოს და კიდეცა უნდა სვას.

30 ვინცა ორი დირპამი რევანდი ჩინი თავად ღვინოშიგა თვარადა წყალშიგა დააღბოს და სვას ტყირპი უშველოს.

ვინცა ტუხტი და ან მალოქი დანაყოს და² ტყირპზედა დაიდვას, ტყირპი უშველოს.

ვინცა ღრინქოლა დანაყოს, გაცრას, ძმრით გააყენოს³ და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპი უშველოს, და ეს ძმრით გაყენებული ღრინქოლა კიდეცა სვას.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

³ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინცა უზანლულის თესლი ჰამო' ტყირპის ტყივილი უშველოს, და თუ ესევე უზანლულის თესლი დანაყონ და თათვითა ტლედ ქნან, და ტყირპზედა დაიდვან, ტყირპი გააქარვოს.

ეგირი მხურვალი და ხმელი არის, ვინცა ესე ეგირი ერთი კოქი ჰამოს ტყირპი, უშველოს. ენისუნის ჰამა ტყირპის სიმსიენეს გააქარვებს.

ვინცა ბაზბაზი დანაყოს და გაცრას და იის ზეთშიგა ამოვლულუმოს და ტყირპიანსა კაცსა ცხვირშიგა ჩააწვეთოს, ტყირპის ტყივილი უშველოს.

10 ვინცა თოხმაქანი დანაყოს. და ამისი რძე ასვას ტყირპისათვის მწოვედ კარგი არის, და რაცა კაცსა საფრისაგან სენი სქირს, ყუელასათვის კაი არის.

მარწყუი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე მარწყუი დანაყოს, და ძმრითა ამისი ტლე გააკეთოს და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპის სიმსიენეს უშველის.

მლოგვი მხურვალი და ხმელი არის. სიგრილისაგან რომე კაცსა. ტყირპი სქირდეს და სტკიოდეს, მისთვის და სხვის, ყოვლის სენისათვის კარგი არის.

20 ვინცა ზღვის ქაფი ვარდის ერბოთა და ცვილითა გაათბოს, და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპის ტყივილსა უშველის.

ტირიფის ფოთოლი რომე კაცმან დანაყოს და ტყირპზედა დაიდვას, და ამა ტირიფის წვენისაგან ერთი მიტყალი კიდეცა სვას, ტყირპს გააქარვებს.

თეთრი ზამბახტი მხურვალი და ხმელია, ტყირპის ტყივილისათვის მწოვედ კარგი არის, რომე კაცმან ტლედ შემოიდვას და სამი-მიტყალი კიდეცა სვას.

საბრი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე საბრი დანაყოს და ძმრით ტლედ ქნას და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპის ტყივილსა უშველის და გააქარვებს.

30 პილპილი მხურვალი და ხმელია, ტყირპისა სიმსიენისათვის ამისი ჰამა მწოვედ კარგი არის და კაცსა კარგად შეერგების.

ძროხისა და ცხურის თირკმელი რომე, კაცმან ასრე დანაყოს მალამისავეითა შეიქნას და ტყირპზედა დაიდვას, ტყირპსა გააქარვებს.

ია ტყირპის სიმსიენეს გააქარვებს. ხმელი ლელვი ტყირპის აშლილობასა დასვამს. ხმელი ყურძენი გრილსა ტყირპსა არგებს და ძალს მისცემს.

მწარის ნუშის ზეთი ტყირპისათვის მწოვედ კაია. ნიახური ტყირპსა სულდასა გაუხსნის. და ამავე ნიახურის ძირი რომე კაცმან დანაყოს.

და ამისი წვენი გამოსწუროს და ძმრით სვას; ტყირპის ტყივილსა და აუსვამს.

ვინცა ძროხის კოჭი დაწვას, დანაყოს და ძმრითა გალესოს, და სვას, ტყირპს დასწმედს და დაახალასებს.

აქლემის რძე რომე კაცმან სვას, ტყირპის სულასა გასწმედს, და ყოვლისა ტყირპის ჰირისათვის მწოვედ კარგი არის.

კიდევ რაცა საფრის. კერძო საქმე არის ან მარგე და ან მაზინე: კოწახური საფრასა დაჰკარგავს და გააცულებს. თაბლი ჰინდი ისრიმი და ლიმო საფრასა გააცულებს. მეთვე ბროწეული, ხართუ-
10 თა და მაყუალი, სამივე საფრისა სიმბურვალესა გააცულებს. ფურის დო, კაცი რომე მუცელშიგა საფრისაგან განხნით იყოს, მისთვის მწოვედ კარგი არის.

ისრიმის რუბი, საფრას ძირით ამოსთხრის და გააქარეებს. მარსინის შარბათი საფრას გააქარეებს. თუთუბო, მოცხარი, უშხუნი, მეთუნა და შაქარი, საფრას, რომე სტომაქშიგა ალაგდებოდეს, იმას გაავლებს.

თაბლი ჰინდი საფრას ეზაპალად გარდააქცევს. აყიროს ჰამა საფრიანის კაცისთვის მწოედ კარგი არის.

ვინცა ტყბილი და მეთვე ბროწეულის წვენი კარგად აურიოს და
20 სვას და თუ კაცსა საფრა სჭირს, იზაპალად გარდააქცევს. თაფლი რომე მხურვალმან კაცმან ჰამოს, საფრად გარდაიქცევის.

ჰერამი იზაპალსა საფრად გარდააქცევს. ნედლი ლეღვი ტყირპის სისხლსა გაასქელებს და წაახდენს. ტყბილი ნესვი საფრად გარდაიქცევის.

ლღ. კარი მორცდა თორთხმება: ბაღმისა, ყაბჯინსა და ყოლინჯინსა და იმა ხინისა, რომე კაცსა ველშიგა შემძნებინს.

აწე ყოლინჯი ისი სენი არის, რომე ქართველნი უჩუხსა და
30 თიქარსა ვეძახით, რომე კაცსა მეტის მეტად მუცელშიგა შეჰკრავს და წელნი და წელები ასტკივდებიან, და კაცსა შიგნით ნაჰამი გაუხმების და ცხურის კურკლსავითა, კურკლად გარდაექცევის და წელზედ მიეკურის, კაცსა მწოვედ შეჰკრავს და მწოვედ დაალონებს. და ველარას ღონითა კაცი გარ ველარ გავა, და რასაცა კაცი ან სვამს და ან სჰამს, ყუელასა არწყევს, და ყუელასა პირიდაღმან ამოაღებინებს და ხშირად რყწევასა დააწყებინებს, ამა სენსა ყოლინჯი ჰქუიან.

აწე რა კაცსა ესე სენი და პირი წაეკიდოს, იცოდი ამა სენსა ოყნის მეტი წამალი არა სძეს. პირველ ოყნაი ლეინა და მერე ოყნაი

ჰადა უყონ, ვითამცა და პირველად ცოტა და რბილი ოყნაო, და მერმე დიდი და ძალიანი ოყნა უყონ, რომე კაცსა გული და სტომაქი, და ხილთები ყუელა დაუღბოს და გახსნას, და მაშინვე ყოვლის ფერის, ხილთისა და შეკრულობისაგან გაწმიდოს, და ყუელა დააღურევინოს და კაცი შორჩეს, და ესე კაცი დღეის უკან უსენოთ და მთლად დარჩეს.

10 აწე ესე ყოლინჯი ერთი სენი და ტკივილი არის, რომე, კაცსა წელეზშიგა შეექნების, და კაცსა მწოვედ შეჰკრავს და დაალონებს, და რომე კაცსა გარ გასულა უნდოდეს, გარ ველარ გავა, შიგნით კურკლად გაუხმების და კაცის წელსა მიეკურის, და ველარას ღონისათვის, კაცი გარ ველარ გავა, და ამისი ქარი და ალავი, და ამისი ტკივილი გულსა და სტომაქსა, წელსა და თირკმელსა შემოეკიდების, და კაცსა მწოვედ ავად გაჰხდის.

აწე ამა სენისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე წელ წულეზშიგა ტკივილი და ქარი უვლიდეს, და თუ კაცმან ან პირიდალმან და უკანიდალმან ქარი ამოიღოს, თუ ცოტაცა იყოს ტკივილმან და მუცლის ჩხვერამან უშვას, და რაცა მხურვალი საქმელი ქამოს აწყინოს, და ტკივილმან მოუმატოს.

20 და ან ეს არის, რომე სქელი და ძალიანი ბალღამი შეჰქნია და დამრავლებია. და ათასისაგან ერთხელ ესეცა იქნების რომე, ესე სენი და ტკივილი საფრისაგან იყოს, მაგრა იშვით მოჰხდების, რომე ეს სენი და ტკივილი საფრისაგან იყოს, მაგრა უფროსიერთი ყოლინჯისა ნიშანი და ქირი ეს არის, რომე არცა ქარი გამოუვიდეს, და ამა ქარსა სიხმითა კურკლი ნაწლაგზედა ასრე შიახმეს, რომე ველარას ღონითა კაცი გარ ველარ გავიდეს, და საქმლის ქამის ეშთაჰა ალარა ჰქონდეს, და თავად საქმელი ველარა ქამოს, და თუ ქამოს, ველარ მოიღნოს, და გულმან რევა დაუწყოს და ქიჰმანცა გრეხა და ტკივილი დაუწყოს, და წელი და ბარკლები ორივე სტკიოდეს, და შარდიც წითელი და ყირმიზი ჰქონდეს, და წყალიცა მწოვედ სწყურდებოდეს, და წყალი რომე სვას წყურვილი არ მოუკლას, და წყალი კიდევ და კიდევ, უფრო და უფრო სწყურდებოდეს.

30 აწე რა ესე ნიშნები და ალამათები კაცზედა ნახოთ, იცოდით დასტურად ყოლინჯის ქარი გულსა და მუცელსა შემოსკიდებია და მისგან არის, შიგნით ნაქამი გაჰხმობია და კურკლად გარდაქცევია, ეს კურკლი ნაწლაგზედა მიჰკვრია და დასტურად ის ირის.

აწე ამა სენისა წამალი ეს არის, რომე თუ ესე სენი ამ რივად იყოს, ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და საშუალი ოყნაო, რომე შიგნით კურკლი და რაცა დამწვარი ხილთი იყოს, ყუელა დააღბოს,

მოხეტქოს და ჩამოიღოს და რაცა შიგნით კაცისა გვაშა და სტო-
მაქშიგა ბაყლი, ბალღამი და ქარი იყოს, ყუელადღმან დაახალასოს.

კიდევ თუ ესე სენი და ქირი საფრისაგან არის, ამის წამალი
ამისმეტი არა არის რა რომე, ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და ცო-
ტა და რბილი ოყნაო, რომე გვამი და სტომაქი დაუღბოს, და მერ-
მე ოყნაი ჰადა უყონ, ვითამცადა დიდი და ძალიანი ოყნაო.

ესე ასრე იცოდით, და ყოველმან აქიმმან დაიჯერეთ, რომე ამა
ყოლინჯისა სენსა ამის მეტი წამალი არა სძეს, რომე ხშირად კაც-
მან ოყნა ააღებინოს. და რა ესე ოყნაები უყონ, ათსა თორმეტსა

10 დღესა უკანა ესე წამლები ასვით: მოიტანეთ შვიდი ღირჰამი კურკა
გამოღებული წითელი ყურძენი. ხუთი ღირჰამი სინაი მაქი, ვითამცა
და ფუთფუთას ხის ფოთოლიო, ხუთი ღირჰამი ბასვიაჯი, და ხუთი
მარცვალი ლელვი, ერთ მუქაშიგა დაქირვა ბალღური ყარა, ვითამცა
და წყაროს სუმბულიო, და ნიახურისა, ცერეცოსა, ენისუნის თესლე-
ბი და ზირა, ყუელა ხუთ ხუთი ღირჰამი ქენ, და მერმე ესე წამლე-
ბი ყუელა ერთად მოადუღეთ და გაწურეთ, და ცოტაოდენი კვევი
და ან საკმელი დანაყონ და გაცრან, და ესეცა იმა წამლებისა წვენ-
ზედა მოაყარონ და ისრე ასეან. და მხურვალე მაჯუნები უნდა აქა-
მონ: თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, მაჯუნი მუშკი, და ფალასუფასა
20 და სიაზარი თუსის მაჯუნი აქამონ.

და თუ არცა ამან უშველოს დაწოლის დროსა სამი ღირჰამი
ყასნი აქამონ და გაუშვას მაშინ. თუ არა და მაშინ ერთსა და ორსა
დღესა ნურას აქმევენ და შარბათსა ნუ ასმევენ, და ამას უკანა შექამა-
დი აქამონ და მისსა სისქესა ნუ აქმევენ, ამა შექამადისა წვენი კოფ-
ზითა ახულიპონ. და სადამდისი სრულად არ გაკეთდეს პურს ნუ
აქმევენ, და ამ რიგი საქმლები უნდა აქამონ: ბერის მამლის ხორცი,
თუ ეს არ იყოს, დედლის ქათმის ხორცი, და ან მსუქანი ვარია, კა-
კებისა, ხობხისა და დურაჯის ხორცები, ან ამათისავე ლაპების ხორ-
ცები, და ან მსუქანი შიშაკის ხორცი აქამონ, და ამა ხარშოგბშიგა
30 კამისა, ან ცერეცოს ბალახი ჩააქრან, და შავი მუხუდო, სანანებე-
ლი და დარიჩინი, და კვევი დანაყონ და გაურიონ, და ისრე აქამონ,
და ვინ იცის ეშთაჰა მწოვედ ჰქონდეს, ვითამცა და მწოვედ შიო-
დეს, და საკმელსა ინდომებდეს, და აღარცა რა აგეთი სქირდეს და
არცა სტკიოდეს, ვარიისა და გარეულის მფრინელის ლაპების¹ ია-
ხანი აქამონ.

და ხილებისაგან ამ რიგი ხილები აქამონ: ლელვი, წითელი
ყურძენი აქამონ და ვაშლსა, სხალსა, ბიასა, ალოჩასა, კიტრსა, ნეს-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

უსა, საზამთროსა, ბრინჯსა, ტარხუნისა და მწოვედ მოხარშულსა კუე-
რცხის კამასა ერიდონ, და შორს იყონ. ბოლო ამა საკმელებსა ყუე-
ლასა ერიდონ და ნუ სკამენ. და ასეთსა შემკრავსა სასმელსა ყუე-
ლასა ერიდონ, რომე ან მუცელშიგა შეკრას, და ან გარ გასულა და-
უშალოს. და საკმლის კამისა უკანა ტყუნასა და წყლის სმასა ერი-
დონ. და ხილის კამაზედა რომ კაცმან თეცხლაჲ¹ წყალი სვას, ისიც
მწოვედ აწყენს.

და თუ ესე სენი საფრისაგან იყოს, რყნა უყავით, და ამ რიგი
საკმელები აკამეთ: მსუქანი მაწოვარი ბატკანი და ან შავი თიკანი,
10 ან მსუქანი დედალი და ვარიები ხარშოდ ქნან, ისპანახითა ან ქინძი-
თა შეუქნან, ნუშის ზეთი ურიონ და ისრე აკამონ. და იის შარბათი
ლულუფრისა, ეჯაზისა, კერამისა, თემრი ჰინდისა და შათარას შარ-
ბათი ასვან.

მუფრიდათი ვითამცა და წურილი წამლები, რომე ყოლინჯსა
ამითა წამალი ექნების.

ვინცა მამლისა ხორცი მარილწყლითა მოხარშოს, და მანამდი-
სინ ხარშოს დადნეს და ან კარგად დაიხვეწოს, და ყოლინჯიანმან
კაცმან კამოს და ამისი წვენი კოეზითა ხულიპოს, ყოლინჯსა კარგად
უზამს.

20 ვინცა ქორის კანგები წელზედა შემოიბას, მისთა დღეშიგა ყო-
ლინჯი აღარ წაეიღოს. ვინცა ამავე ქორის ხორცი მოხარშოს და
კამოს, ყოლინჯი უშველოს.

ვინცა კამისა ან ტერეცოს ძირი მოხარშოს, და ამისი წვენი
სვას ყოლინჯსა და მკვალსა ორსავე უშველოს.

შაქარი მხურვალი და ხმელია, ვინცა ესე შაქარი კამოს, ყო-
ლინჯსა უშველის და ძარღვებსა გაუმაგრებს. მაგრა შაქარი რასაცა
ძველია, ძალას მოიმატებს, და ისი სჯობს.

ვინცა ოქრომკედლის ბორა და ნიორი ერთად დანაყოს შაფად
ქნას, და უკანას კარიდალმან აიღოს, ისი კაცი ყოლინჯის კარისაგან
30 ემინად იყოს.

ვინცა ხურმა ძროხის ნაველითა მოზილოს, და ყოლინჯის
სიმტკივნეზედა დაიდვას, მწოედ კარგად უზამს.

ეგირის ძირი მხურვალი და ხმელია, ვინცა ამა ეგირის ძირი
მოადულოს და ამისი წყალი სვას, ყოლინჯისა და მკუალის ტკი-
ვილსა ორსავე უშველის.

ვინცა ნუშის ზეთი გაათბოს და მკვალსა და ყოლინჯზე დაი-
ცხოს, მწოედ კარგი და მარგი არის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოდ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ან ვინცა მწარის ნუშის ზეთი მაულ უნსულითა სვას, ყოლინჯი ეშველოს.

ინა გრილი და ხმელია, ვინცა ამა ინისაგან ნახევარი ღირჰამი წყლითა გააყენოს და სვას, ყოლინჯისათვის კარგი არის, მაგრა ყელს მწოედ აწყენს, ამისი სმა და ჰამა ორივე გევანის ქითირითა უნდა.

ტუხტი გრილი და ნედლი არის, ვინცა ამა ტუხტისაგან სამი ღირჰამი სვას ან ჰამოს, ყოლინჯი გააქარვოს. და დედაკაცსა. რომე დედათ წესი შეჰკროდეს, იმასაც გაუხსნის.

10 ხიარ შამბარა მოჰთადილი და შეზავებული არის, ამისგან რომე კაცმა სამი ღირჰამი სვას, ყოლინჯსა გახსნის. და თუ ესე ხიარ შამბარა და ხარბაყი ჰინდი ერთგან აურიონ და აქამონ, ყოლინჯი გააქარვოს.

ვინცა თალგამის თესლი დანაყოს და ყოლინჯზედა დაიდვას, და კიდევცა სვას, ყოლინჯი უშველოს. ვინცა საპოენი შაფად ქნას და ყოლინჯიანსა კაცსა უკანას კარიდალმან აალებინონ, ყოლინჯსა გახსნის და უშველის.

და ესე მუცელშიგა შეკრულობა და ყაბზი, თუ უყოლინჯოდ, ან ბალღისა, ან საფრისა და ან სევდის სენისგან იყოს, პირველ ასრე უნდა: სამს დღესა ზედა ზედ ქუმო რომე მულლაბები დამიწე-
20 რია, თავ თავისა სენისა შესაფერი ისი მულლაბი ასვათ, რომე გული და სტომაქი დაუღბოს, და მერმე ძალიანი და კარგი მუსილები და გასახსნელი წამლები ასვათ და აქამოთ, რომე მუცელი და სტო-
მაქი დაუღბოს, და კაცი მაშინვე გახსნას. მოიტანე ქერამი და უნა-
ბი ოც ოცი მარცვალი, თემრი ჰინდი ათი ღირჰამი, ყირმიზის ვარ-
დისა და ლულუფრის ყვავილი ექუს ექუსი ღირჰამი, და დანაყილი
სარუ ჰალილას ტყავი, სინაი მაქის ფოთოლი, ვითამცა და ფუთფუ-
თას ხის ფოთოლიო, და ტყავ გახდილი ტუხტის ხის ძირი ოთხ-
ოთხი ღირჰამი, ასრე უნდა ესე წამლები ყუელა ერთად შეჰყაროთ
და ექუსი ღირჰამი წყალი დაასხა, რომე ჰოყა ნახევარი იყოს და
30 მანამდისინ ადულოთ, რომე სამის წილისაგან ორი წილი ღაიდულოს
და ერთი წილი დარჩეს, გამოჰყლიტონ, გაწურონ, და ოცი ღირჰამი
კაი და თეთრი შაქარი ჩაურეონ, და ერთი ღირჰამი რევანდი ჩინი
დანაყონ და წმიდათ გაცრას და ესეცა იმა წამლებშიგა ჩაურეონ,
და ბამბითა ორივე ცხვირი გამოუტენონ, და დილეულ უხმოსა ესე
შარბათი თბილ თბილი დააღვეინონ, და ფიცხლავე ამაზედა. საკმელი
აქამონ. და თუ არ გახსნას, მოიტანე ყუელის წვენი და ოცი ღირ-
ჰამი შაქარი, გაურეონ და ასვან, და თბილის წყლით შაქარი გაუ-
ლესონ და ასვან და მაშინვე გახსნის და უშველის.

კიდევ სხვა კარგი და გამორჩეული წამალი, რომე შეკრულსა კაცსა მუცელშიგა გახსნის: მოიტანე სანანებელი, დარიჩინი, მიხაჭი, პილპილი, დარი ფილფილი, სუმბული, დანამასტაკი და ბროწეული თვითოსაგან თვითო ღირჰამი, და რვა ღირჰამი მაჰმუდა, ესე წამლები ყუელა დანაყეთ და გაცერით, და ყუელა ერთად აურივეთ და გაცერით, და დილეულ დილეულად სამსა დღესა ზედა ზედ თვითო კოვზი ესე შარბათი თბილის წყლითა გაულესონ, და კაცი რომე სიგრილისაგან მუცელშიგა შეკურით იყოს, იმრიგსა კაცსა უზმოსა ასვან, და ღთითა გახსნის. და რა ესე შარბათი სევას, ამაზედა ორი

10 კოვზი თბილი წყალი დაალევინეთ და მოსვენებით დაჯდენ, და შხის მოსულის დროსა ბრინჯის შექამადი აქამონ.

კიდევ სხვა კაი წამალი, რომე კაცი მუცელშიგა შეკურით იყოს და გახსნის: მოიტანე ორასი ღირჰამი წითლის თხის რძე; მოწველე და მაშინვე მოადულღე, და ტყავი გახდილის ლეღვის ხითა დაურიონ და როდისცა ასრე მოდულღეს, რომე გარდმოსულაზედა იყოს, მოიტანე ცოტაოდენი ლიმოს წყალი და თუ ლიმოს წყალი არ იყოს, ცოტაოდენი კაი ძმარი და ამა რძეზედა დაასხით, და რა რძე მოიქცეს და აიჭრას, გარდმოიღონ, და გაწურონ, და ოცი ღირჰამი შაქარი ჩაურიონ, და ამ რძისაგან წონითა ასი ღირჰამი რძე სევან, მა-

20 შინვე გახსნის და ულხენს.

კიდევ სხვა კაი წამალი, რომე ეზაჰალსა და შეკრულრბასა უშველის: მოიტანე თემრი ჰინდი და შავი ქლიავი ოთხმოც ოთხმოცი ღირჰამი, წითელი ყურძენი და წითელი ფშატი ორმოც ორმოცი ღირჰამი, და ყუითელი ჰალილას ტყავი ექუსი ღირჰამი, სრულად ეს წამლები არის რათლის წყლით მოადულღონ რომე, ორას სამოცი ღირჰამი წყალი იყოს, და რა სამის წილის წყლისაგან, ორი წილი წყალი ჩაიშროს, და ერთი წილი წყალი დარჩეს, მერმე გარდმოიღონ და გაწურონ ერთი ღირჰამი იარა და ერთი დანგი მაჰმუდა, რომე სპარსნი საყმუნიას ეძახიან, დანაყონ, გაცრან და ეს წამლებიცა ამ წამლებშიგა ჩაყარონ და მოადულღონ, და ამა წამლებისაგან დილეულ უზმომან ერთი ფინჯანი სევან, რომე საფრას დაამწიფებს, მოხეთქს, და უკირველად დაალურევინებს, და კაცი ავის ხილთისაგან მორჩების.

30

კიდევ სხვა რიგი კაი წამალი ბაყლსა და ბალღამსა დაამწიფებს, მოხეთქს და თავის ტკივილსა უშველის; მოიტანე ჰალილეი ქაბული და ბალილა და ამილა და ენისუნე, დანამასტაკი, ნანხაჰ და შათარა, ამათგან ყუელასაგან ხუთ ხუთი ღირჰამი ქენ, და უკურკო წითელი ყურძენი შვიდი ღირჰამი, და თოფალახი სამი ღირჰამი,

აწე სრულად ესე წამლები ერთ რათლის წყლით შოადუღეთ, რომე ეს წყალი ას ოცდაათი ღირჰამი იყოს და მანამდისი ნელად და წყნარად ადუღონ, რომე სამის წილისაგან ორი წილი ჩაიდუღოს და ერთი წილი დარჩეს, მერმე გაწურონ და ერთი ღირჰამი იარა და ნახევარი ღირჰამი დანაყილი და გაცრილი თეთრი თურბითი გაურიონ, და როდისცა უნდოდეს თბილი სევან.

- კიდევ სხვა კაი წამალი. ესლის მუსილი საფარჯილი არის, რომე მუცელშიგა კაცი შეკურით იყოს და გახსნას, და ვინცა ამა შარბათსა სევამს, უსათიოდ მკვალსა და შეკრულობასა ორსავე უშველის, 10 რწყევასა და გულის რევასა უკუუგდებს, და ბალღამსა ეზჰალად გარდააქცევს, და კაცსა მაშინვე გახსნის და გასწმედს. მოიტანეთ ერთი კაი შემოსული ბია, გაფცქუენ და გული გამოართვით, და ოთხად დახივეთ და სამოცდაათსა ღირჰამსა ან კარგსა ღვინოშიგა, და ან კარგსა ღვინის ძმარშიგა მოხარშონ, და როდისცა კარგად მოიხარშოს, ამოიღონ, და ერთსა ცხრილზედა დაყარონ, და მანამდისი ამ ცხრილზედა ამყოფონ, რომე წყალი სრულად დაწრტეს, და რა წყალი სრულად დაწრტეს, ერთსა ხისა ავანშიგა დანაყონ, რომე ცომსავითა შეიქნას, და ასორმოცდაათსა ღირჰამსა ქაფმობდილსა თაფლშიგა გაურიონ, და მანამდისინ ადუღონ. რომე, თაფლი ყავაშზედა 20 მოვიდეს, მერე მოიტანე სანანებელი, დარი ფილფილი ოთხ ოთხი ღირჰამი, დარიჩინი, პილი და ზაფრანა სამსამი ღირჰამი, დანამსტაკი ხუთი ღირჰამი, ყუითელი მაჰმუდა ათი დანგი¹ და თურბითი ჰინდი ოცდაათი ღირჰამი. აწე ესე წამლები ყუელა ცალკე დანაყონ და გაცრან და სრულად ერთგან აურიონ, და მერმე ესე წამლებიცა სრულად იმა მოდუღებულსა თაფლსა და ბიაშიგა ჩაყარონ, და კარგად ამოზილონ, და შარბათად ქნან და შეინახონ, და როდისცა უნდოდეს ამა შარბათისაგან ოთხი კოვზი მოიტანე და ექუსი კოვზი თბილი წყალი დაასხით, შარბათად ვალესეთ, და უზმოსა ასვით, მწოვედ კაია.

- 30 კიდევ სევდის დამამწიფებელი წამალი ეს არის: მოიტანე შავი ქლიაფი და წითელი ფშატი ოც ოცი მარცუალი, კურკა გამოღებული წითელი ყურძენი ათი ღირჰამი, პალილეი ქაბული და პალილეი სიაჰ და სინაი მაქი თვითოსაგან ხუთ ხუთი ღირჰამი, თავშავას ბალახის ყუავილი და ყანთურონი სამ სამი ღირჰამი, აფთიმონი, აბზინ-

¹ ტექსტში სწერია „ღირჰამი“, ვარიანტში—„დანგი“, ღირჰამი დიდი ღიზა, შეცდომა უნდა იყოს.

დას ბალახი, ბალილა და ამილა ოროლი დირჰამი აწე ესე წამლები ყუელა ერთად შეყარეთ და ორი რათალი წყალი დაასხი, რომე ესე წყალი ორას სამოცი დირჰამი წყალი იყოს; და მოხარშონ, და მანამდისი ხარშონ, რომე სამის წილისაგან ორი წილი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, გარდმოიღონ და კარგად გაწურონ და ორ ოლი დირჰამი ღარიყუნი, იარა და თურბუთი დანაყონ და გაცრან, და ესეცა ამა შარბათშიგა გაურიონ, და ამა წამლებისა ნახევარი დიღეულ უზმომან უნდა სვან თბილ თბილი. ესე წამალი მწოვედ დაცდილი არის და უსათიოდ მწოვედ კარგადცა უზამს.

10 მუფრიდათი არის, რომე ამა წამლებითა მუცელში შეკრულსა კაცსა წამალი ექნების და მუცელშიგა გახსნის.

მოიტანე ახლის იისა, ახლის ვარდისა და შაჰთარას შარბათი, რომელიცა იყოს, წყლით გალესონ და ასვან, და თუ მწოვედ მოსწყურდეს, წყლის ალაგსა ქერმის წვენი ან თემრი ჰინდისა შარბათი ასვან.

და თუ ამა შეკრვაზედა ყოლინჯიცა სქირდეს, ჯავ ავი უსკუჰი ასვან და ავადმყოფსა დახედონ, რა რიგად, და რა ნივთს ძალზედა არის, და მისივე შესაფერი გასახსნელი წამლები ასვან და აქამონ.

20 და საკმლებსიგან: ვარიის ხარშო აქამონ, რომე ამა ხარშოშიგა ისპანახი, ქინძი, თალგამი, ქლიაფი, ან ქარხლის ფოჩი ერიოს, და კამას ბალახი გამოხარშონ და ცოტა ნახევარზედა დანაყილი მუხუდოცა ურიონ.

ვინცა მუცელშიგა მწოვედ შეკურით იყოს, მოიტანეთ ყირმიზის ვარდის ყუავილი და ცარიელს წყალშიგა მოხარშეთ და კარგად ამოკვლიტეთ და გაწურეთ, მერმე ამა ვარდის წყალშიგა ერთი იმდენი ვარდის ფოთოლი კიდევ ჩაყარეთ და მოადლეთ, და კიდევ კარგად ამოკვლიტეთ და გაწურეთ, და მესამეზედა კიდევ ვარდის ყუავილი ჩაყარეთ, რომე წელან ჩაჰყარეთ, და ისრევე ეს მოხარშეთ, ამოკვლიტეთ და გაწურეთ, მერმე რა ნივთიცა სრულად ესე ვარდი იყოს, იმისი მეოთხედი შაქარი ჩააგდე და ადულე, როდისცა მოსქელდეს, გარდმოიღე და ვარდის შარბათი იქნების, და როდისცა გინდოდეს ამისგანა ოცდაათი დირჰამი ცივის წყლით გაულესონ და უზმოსა ასვან. და თუ არ გახსნას, ესევე ვარდის შარბათი ოროცი დირჰამი ქენ და აწყა თბილის წყლით გალესონ და უზმოსა ასვან, უსათიოდ მუცელშიგა გახსნის და ხუთჯერ ექვსჯერ ძალზედა ასაქმებს.

30 ვინცა საში დირჰამი რევანდი ჩინი, და თორმეტი დირჰამი ხიარ შამბარას გული, წყლითა და შაქრითა გამოლესოს, და დიღეული უზმომან სვას, და რა ცოტა ხანი გამოვიდეს ბაზარყათუნას

ლოაბი კიდევ შაქრითა სვას, და სადილობის დროს ბრინჯისა შეკმალი აკამონ, მაშინვე მუცელშიგა გახსნის.

ვინცა ქასნის თესლი დანაყოს და წყალშიგა დაალობს, და ძმარსა და თაფლში გაურიოს და სვან, ჯულაბისაგან უფრო მწოედ გახსნის და ძალზედა¹ ასაქმებს.

ვინცა ათი დირჰამი შაპთარას წვენი შაქრითა სვას, საფრასა ეზაპალად გარდააქცევს, და კაცსა მწოედ გახსნის, და გასწმედს, და ჯულაბისაგან უფრო ასაქმებს.

10 ვინცა შაქარი და ნუშის ზეთი ერთგან აურიოს და სვას, კაცსა მწოედ გახსნის და ყოლინჯსა უშველის.

ვინცა ნელლი აყირო დანაყოს, და ღვინოშიგა გაურიოს, და სვას, მაშინვე გახსნის და ასაქმებს.

თემრი ჰინდი გრილი და ხმელია. ეს რომე კაცმან დაალობს დამისაგან ერთი ფინჯანი სვას, კაცსა მწოედ გახსნის, და სიმბურვალითა რომე კაცსა არწყევინებდეს, იმას უკუაგდებს. ამისი სიკეთე ეს არის, რომე ესე თემრი ჰინდი იის შარბათითა გალესონ და ისრე სვან.

20 ვინცა ათის დირჰამიდან მან თხუთმეტ დირჰამამდის ხიარ შამბარა სვას, კაცსა ძალად და უნებლავ გახსნის, და ასაქმებს ძალზედა. ჰერამი გრილი და ნელლი არის, ვინცა ესე ხმელი ჰერამი წყალშიგა დაალობს და ამისი წყალი სვას, მაშინვე კაცსა გახსნის და ძურვილსა მოუკლავს, და თუ ამისი ხოქაპი ჰამონ და წვენი კისევანისი სჯობს, საფრას მოჰკვეთს და კაცსა გახსნის.

ტკბილი ქლიავი გრილი და ნელლია. კაცმა რომე ესე ქლიავი ჰამოს, და ზედ ცივი წყალი სვას, უსათუოდ გახსნის, მაგრა თუ კაცი ბევრს ქლიავსა სქამს, სტომაქსა დაუსუსტებს. ამისი წამალი კევი და გვილან გვიბინი არის.

30 ვინცა ახლად მოწყუეტილი ყურძენი ჰამოს, მუცელშიგა გახსნის. აფთიმონი მხურვალე და ხმელი არის, ვინცა ესე აფთიმონი ან ჰამოს და ან სვას, ხმელსა ბალღამსა უშველის, და გასწმედს, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა, თავისა და ხელ ფეხისა თრთოლასა, სარსა და მალიხულიასა და ყოველსა სევდისა სენსა არგებს, და უშველის, და ვინცა ამისგან ან ერთი, და ან ორი დრამი ჰამოს, კაცსა მწოედ გახსნის. ესე აფთიმონი ბერის კაცისათვის მწოედ კაია, საფრისა სტომაქიანსა კაცსა აწყენს, ნალველსა მოუმატებს. ამისი წამალი ის არის, რომე ეს აფთიმონი გავანის ქითირითა ჰამოს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

თაფლი მხურვალე და ხმელია, სტომაქსა ძალს შისცემს და კაცსა მართლად შეინახავს, და ასოებისა და სახსრების სისუსტესა გაუგდებს, კაცობასა მატებს და გულსა და სტომაქსა დაუღობს. კაცმა რომე მოადულოს, ქაფი მოხადოს, და ცვილიდალმან გამოიყუნოს და ჭამოს, კაცსა გახსნის, ბერსა და გრილ სტომაქიანსა კაცსა მწოედ არგებს და კარგად მოუხდების

ოქრომქედლის ბორა მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე ბორა ან ლიმოთა და ან ღვინითა წამოადულოს და სვას, მაშინვე გახსნის, და რაცა კაცის ტანშიგა ქარი არის, მაშინვე ყუელას გაავდებს.

10 დაფნი გრილი და ხმელი ხრის, კაცმან რომე ამისაგან ორი ღირჰამი სვას, მაშინვე გახსნის, სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და მხურვალსა სენსა არგებს. საწამლაე ნაქამსა, ან მორიელ ნაცემსა კაცსა რომე ასვა, ორსავე უშველის, მაგრა თუ კაცი ბევრსა სვამს თუალთა ¹ აწყენს. ამისი წამალი ის არის, რომე ეს დაფნი გაყანის ქითირითა ჭამოს.

რძის ხაჰო გრილი და ხმელი არის, კაცმან რომე სვას, მაშინვე გახსნის და გულს მოუგრილებს, და რაცა კაცის გვაშშიგა ავი ხილთი არის, ყუელას გააქარვებს და დაქირულს შარდსა გზასა გაუხსნის.

20 ხახვი მხურვალე და ხმელი არის, რაცა კაცისთვის უტხოსა და ავსა წყალსა უწყენია და ან ამისგან სენი ასძურია, ყუელას უშველის და კაცსა გახსნის.

თალგამი რომე დაფხიკონ და ორჯელ სამჯერ კარგა დამღულრონ და ძმარი და მდოგვი ურიონ და ამისგან ბევრი ჭამონ, კაცსა გახსნის. და ამისი სიკეთე მაშინ იქნების, რომე ჯავარიშითა ჭამოს, ბალღამსა, სევდასა და რწყევას მაშინვე სამსავე ² გააქარვებს.

და ამა ჯავარიშის შექნა ამ რიგად უნდა: მოიტანე ყირმიზი ვარდი ოთხი ღირჰამი, კოწახური სამი ღირჰამი, ქიმნუნი ვითამცა და ზირა, რომე ძმარში დამბალი იყოს, ნახაპ, და ნაყვის გული ოროლი ღირჰამი, ესეები ყუელა წმიდად დანაყონ და ყუელა ერთად აურიონ, და ესეები შეიბეჭთა სვან. მწოედ კარგი არის.

30 ბარამბოს ჭამა ყოვლსფერს ბალღმის სენს უშველის. მწარის ნუშის ზეთი ბალღმისთვის კაი არის: წიწმატი ბალღამს გააქარვებს. მსუქანი ხორცი ბალღამსა სისხლად გარდააქცევს. უნაბი ბალღამსა სისხლად გარდააქცევს. აღისარჩულისა და იფნის ხის თესლები, დამ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით,
² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

წვარსა სისხლსა და ბალღამსა ეზაპალად გარდააქცევს. ბოლოკი ბალღამს გააქარებებს. ნიორი და აყირო ბალღამსა სისხლად გარდააქცევს. პილპილი, მდოგი და ჩორაქ ოთი სამივე ბალღამს გააქარებებს. დარიჩინი ბალღამს გააქარებებს. ყოვლი თევზი, ყოვლი ტ'ვი¹ ბალღამდ გარდაიქცევის. ხაშხაშის შარბათი საბრალის სტომაქს უფრო წაახდენს. მანთარი ხილთებსა და ბალღამს გააქარებებს. ქარხალი ხილთს ბალღამდ გარდააქცევს. პური ბალღამს აზიანებს.

10 ლმ. კარი მეოცდა თხუთმეტე. ქაცსა რომე გვამშიგა ქია და-
ეხსნახ, და ან ქიაყელა და ნამაზ ბურღი შეექნახ დი დაესხახ, იმის
მიზეზებსა და წამლებსა გიამბობს.

ესე უნდა იცოდეთ, რომე თუ ქაცსა შიგნით მუცელშიგა ქია
ასხია, სიგრილისა და დამპლის ბალღამისგან ასხია და მისგან შეექ-
ნების, და ესე დამპალი ბალღამი ქიად გარდაიქცევის.

აწე ესე ქია და მატლი სამი რიგი არის, ერთი გრძელი და
დიდი არის, და მეორე პტყელი და მომსხო და აყიროს თესლსა
გავს, და მესამე რიგი წურილ წურილი არის, როგორაცა ყუელის
მატლი ისეთი არის.

20 და თუ ქაცსა დიდი და გრძელი ქია ასხია, ეს ქია ქიაყელა
არის, რომე გარგანავალსაცა ბევრჯულელ გაჰყუების. და ამ რიგი ქია-
ყელა უსათუოდ ქაცსა გვამშიგა ასხია, და ისი მეორე მოპტყო მატ-
ლი, რომე აყიროს თესლსა გავს, წელსა და ფაშეებშიგა ასხია, და
ისი წურილი მატლი, რომე ყუელის მატლსა გავს, უკანას კართან-
ესხმის, და ესე სამივე რიგი და გვარი მატლები სამივე სიგრილისა,
ბალღამისა და სინედილისაგან დაესხმის და დაიბადების.

30 აწე ამა სენისა და ამა ქიის სხმისა ნიშანი და ალამათი ეს არის,
რომე ღამ ღამით ძილშიგა ქაცსა პირს წყალი მოსდიოდეს და ბა-
გეები ღამღამობით სოველი ჰქონდეს, და დღისით ბაგეები ხმელი
ჰქონდეს. და ესე ქაცი გულშიგა შევიწროებით იყოს, და ძილშიგა
კბილებსა აკრაჰუნებდეს, და რა ქაცი საქმელსა სქამდეს გული აე-
რეოდეს, და რა ქაცი გარ გავიდოდეს ამა გარგანავალსა ქაცი ხში-
რად ქიაყელასა გაატანდეს ხოლმე, და თუ წურილი მატლი ასხია,
ესე იცოდეთ, უკანა კარი ქაცსა გაყუილსა დაუწყებს და ამა მატ-
ლებსა ნაჭამსაცა გაატანს.

აწე რა ესე ნიშნები ქაცზედა ნახოთ, იცოდით, შიგნით გვამ-
შიგა ქაცსა ბალღამი დაღპობია და მატლი მისგან დასხმია. აწე ამა
სენისა და ამა ქიის წამალი ეს არის, რომე შიგნით ესე ბაყლი და

¹ ეს ქარაგმა ასე იხსნება: „ტან ცივი“-ცივტანიანი ცხოველი.

ბალღამი მოხეტქოს და პირიღადღმან ბალღამი ამოაღებინოს და შიგ-
ნით ჭია დაასუსტოს.

მაგრა ასრე უნდა, ვისცა ეს მატლი და ჭია ასხია, გრილი,
ნედლი და ბალღმის გამაძალიანებელი საქმელი იფარეზოს, და ასე-
თი არა ჭამოს რა, რომე ბალღამი მოუმატოს, და ამ რიგს საქმლებს
უნდა ერიდოს: რძესა, მაწონსა, ახალბა ყუელსა, ნედლსა თევზსა,
ნედლსა ხილსა და ნსუქანსა და ცხიმიანსა საქმელსა ყუელასა ერი-
ღონ, რომე ჭიასა და ბალღამსა ყუელა დააძალიანებს.

10 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე მოიტანეთ ეს წამლები და
ამისგან ყურსები ქენით და აქამეთ, რომე შიგნით მატლი გააქროს.
აწე ამა ყურსის წამლები არის: ჰალილეი ქაბული, ვაქილ დარუ და
თარამიას, და დარამნეი თურქი და ნიშადური, ძიმწარე და აშაყ,
ბროწეულის ფესვი და ჰაბინილი და თარბული, ასითატ და მდოგ-
ვის თესლი, და ონტკოფა. ასრე უნდა, ეს წამლები ყუელა დანაყონ
და გაცრან ¹ და ამისგან ყურსები შექნან, და ყოვლსა დილასა უზ-
მოსა აქამონ, რომე რაცა შიგნით მატლი და ჭია იყოს, ყუელა და-
ხოცოს და გამოყაროს და კაი და მხურვალი საქმლები და მაჯუნე-
ბი აქამონ, და გრილსა საქმელსა ერიღონ და იფარეზონ.

20 კიდევ სხვა კაი წამალი ჯაღინოზ აქიმისა და სხვათა აქიმთა-
გან დაცდილი. ასრე უნდა, რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ და ესე
დაიდასტურო, თუ ამა კაცსა დასტურად ჭია ასხიაო, ამ რიგი საქმ-
ლები უნდა აქამო: მიხაქი, პილპილი, სანანებელი, ეგირი, ენისუნი,
ზირა, ინდოური ნიგუზის გული, მართლის ნიგუზის გული და მძაღე
აქამონ და ხალდი უნსული სვას და ამ რიგი და ამისთანა ჰაბეები
უნდა ჭამოს, რომე რაცა შიგნით გვამშიგა ჭია და მატლი ასხია,
ყუელა დახოცოს და გამოყაროს, და მაშინვე ასეთი წამლები და
შარბათები ასვან რომე, ბალღამი მოხეტქოს და არწყვეინოს და კაცი
დაახალასოს.

30 აწე ამა ჰაბისა ნუსხა ეს არის, და შექნაცა ასრე უნდა: მოი-
ტანე ასი სარხაზ, რომე ყუზღუნ იოთი ქუიან, აბინილი რომე ყურ-
თუმი ჰინდი ქუიან, შიპი არმანი რომე ყუითელი იავშანი ქუიან, ფარ
იავშანი ვითამცა აბზინდას ბალახიო, ყამბილი ვითამცა ონტკოფაო,
ხვარასანი, ენისუნი, ძიმწარე, ატმის ფოთოლი, თურბითი და თარა-
მია. ამა წამლებისაგან ყუელასაგან სამ სამი დირჰამი ქენით და ყუე-
ლა დანაყონ და ერთად აურიონ და ორი დირჰამი მუყლი აზრაყი,
და ორი დირჰამი მაჰმუდაცა დანაყონ, გაცრან და ესეცა გაურიონ,

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

უნსულის შარბათითა მაგრად მოზილონ, და ამისგან ჰაბები შექნან და დილეულ უზმომან უნდა ქამონ. და ან ესე ჰაბები შარბათად გაღესონ და დილეულ უზმომან სვან. და ასრე უნდა ეს ჰაბები ქამონ თუ სვან, ამაზედა ფიცხლავ ნიგოზი უნდა ქამონ და მერმე ამაზედა ფიცხლავ თბილი წყალი დალიონ და მერმე ამა წამლებისა ხასიათი და საკვირველობა, და კაცის კეჟა და მოგონება ნახეთ და გასინჯეთ, თუ ამა ქიასა და მატლსა ესე წამლები ან როგორ დაჰხონ, და ან როგორ გამოჰყრის, ძალითა ღთისათა.

10 ლგ. კარი მეოცდა თექუსმეტე. ალის დაწოლისა, თათარ ყურთისა და ჰიპის ჰირისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიამბობს.

და ალის დაწოლასა ქაბუსი ქუიან, და ესე ქაბუსი ერთი სენი და ჰირი არის, რომე კაცსა ეძინოს, ძილშიგა ერთი რამე მოვა და კაცსა თავს დააწვების და გულზედა შიაწვების, და კაცსა დასცემს და დასქუქნის და კაცი ველარ გაიძურის და ველარცა ხმასა ამოიღებს და კაცი მწოედ შეშინდების და ელფერი წაუა.

აწე თუ კაცსა ხშირად ესე სენი დაემართებოდეს და ამ რიგად ალი დააწვებოდეს ყოლმე, იცოდით, უსათუოდ უჩუხის სენისა პირველი თავის აღება არის, და თუ კაცი თავსა არ მოუფრთხილდების და წამალსა არა იქს, უსათუოდ უჩუხი წაეკიდების, და ან საგთისა 20 სენისა პირველი თავისა აღება არის.

აწე რომელიც არის, ესე სენი და ჰირი ადვილი ნუ გგონიათ, და არცა ადვილად და აგდებით უნდა დაიქიროთ.

აწე ამა სენისა წამალი ეს არის, რომე, თუ სისხლი სკარბობდეს, იმავე მეორეს დღესა მკლავი გაუხსნან, და ან ზემოსა და ან საშუალის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ. და ასეთი წამლები და ჰაბები ასვან და აქამონ ¹, რომე ბევრი არწყევინონ და იარაჯი ფეყრითა, ლარიყუნითა, შაჰმი ხანთლითა და ჰუბი ისთამ ხი ყუნითა ბევრი არწყიონ. და თუ ეს თარქიბები და ჰაბები გინდოდეს, ჰაბლარების კარსა და ჯერგაშიგა იკითხეთ და იქ შეიტყობთ.

30 კიდევ რომე კაცსა თასანუჯი დაემართოს და თასანუჯი ამას ჰქუიან, რომე კაცსა გვამშიგა ჰია დაესხას, აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე თასანუჯი ორი რიგი არის და კაცსა თუ თასანუჯი და გვიზანი დაემართოს, ვითამცა და კაცსა გვამში თათარ ყურთი დაესხას, აწე ესე სენი და ესე ჰია სამი რიგი არის: ერთი რიგი ის არის, რომე კაცსა ეს ჰია ძარღვებსა, სახსრებსა და ასოვებშიგა შეექნების, და ესე ჰია ხან გაიწუდების და გაგრძელდების, ხან მოიბლუძვის და გაგრძელდების.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნას ხელით.

და მეორე რიგი ქვის სენი ის არის, რომე კაცის გეამი და ასო-
ვები მეტის სინედლისაგან ასრე გასულიყოს, რომე ასოშიგა სინედ-
ლე აღარა ჰქონდეს, ან მეტის მეტის რწყევითა და მუცელშიგა გახს-
ნითა გვამი და სტომაქი დასცარიელებოდეს და მისსა აღაგსა ამა
ქიასა დაებუდოს. ამა სენსა სახელად ხმელი თასანუჯი ჰქუიან.

და მესამე ის არის, რომე სარის ჯერგაშიგა დამიწერია. აწე
ამა თასანუჯი ემთილას ნიშანი ეს არის, რომე ესე ქიები ყუელა ერთ-
პირად დასცივიდეს, და ხმელის თასანუჯის ნიშანი ეს არის, რომე
ქია ცოტა ცოტა დასცივიდეს, და ეს ქიაცა, როდისცა კაცმან ბევ-
10 რი არწყიოს, მას უკან ჩამოსცივიდეს.

აწე თასანუჯი, ემთილას, წამლები ის არის, რომე რაცა წამ-
ლები ფილენჯსა და უილენჯის ქარზედა დაგვიწერია, ისიე წამლები
ამავ თასანუჯი, ემთილას, უნდა უყოთ. და მუდამ თავსა და გულ-
ზედა უუსტის ერბო, სუზაბის ერბო, ნიგუზისა და ნაჟეის ზეთი, ან
წიფლის ზეთი გამოჰხადონ, გაათბონ და შესცხონ, და დანაყილი მა-
რილი, უზანლულის ან თესლი ან ფოჩი საჯშიგა ესეები მოხალონ და
მწოედ გააცხელონ, და ერთსა სამოსლისა ნაქერშიგა ჩაყარონ და
თბილ თბილი გულსა და სტომაქზედა დაადვან. და როდისცა ეს
წამლები გაცივდეს, კიდევ და კიდევ თბილ თბილი დაადვან, მერმე
20 მოიტანე გვირილას ბალახი, გარეული კამა, აბზინდას ბალახი, გარე-
ული პიტნა, უზანლული, და ყუავის ქანგას ბალახი, რომე აქლილუ
მულუქი ჰქუიან, ასრე უნდა ესე წამლები ყუელა ასეთსა ქუაბშიგა
ჩაყარო, რომე კაცი ჩაეტოედეს და წყალი დაასხან და მწოედ კარ-
გად მოადლუონ, ამოჰყლიტონ და ესე სენიანი კაცი ამ თბილ თბილ-
სა წამლებშიგა ყელამდისი ჩასვან. და რა ესე წამლები გაცივდეს
ან ქუემოდალმან გაათბოს და ან ცხელი წყალი ჩაუმატონ, და ესე
მოხარშული წამლები ტანზედა წაუსვან, და ამა წამლებითა ტანი
დაბანონ, და ამა ბანებასა და ამა წამლებსა აბზანი ჰქუიან ¹.

და რა კაცი ამა წამლებიდალმან ამოვიდეს, თბილად უნდა
30 დააწვინონ, რომე ოფლი ედინოს და მერმე მოიტანე ერთი ან სიპი
ქვა და ან აგური და კარგად გაახურეონ, და ზედ ღვინო დაასხან,

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია: „თუ კაცსა უკანა კა-
რი მწოვედ ჰქონდეს და კიდეცა გამოსტგრედეს, იცოდით უსათიოდ უკანა კართა-
ნა წურილი ქვა ასხია და მისგან არის. ამისი წამალი ის არის რომე მოიტანე
საბრი და პიტნა და წმიდად დანაყეთ და ძროხის ნალულითა გააყენეთ, თითის
სისხო ბამბის პატრუქი დაგრიხონ და პატრუქი ამა წამალშიგა ამოხვარონ და
უკანას კარიდალმან აალებინოს, და რაცა უკანა კართანა ქვა ასხია მეორეს დღეს
ქიასა სრულად დააყრევინებს და კაცსა გასწმედს ძალითა ღთისათა.“

და თავ პირი და ცხვირი ამა ღვინისა ორთქლზედა უნდა დაიჭირონ, რომე ამისი ორთქლი ცხვირსა და პირშიგა, ტვინსა და დამალშიგა შეუვიდეს, ესე წამალი მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი არის და უსათუოდ კიდევცა უშველის.

მერმე ამას უკანა მოიტანონ ეს ტლე და რაცა ალაგი სტკიოდეს, სამოსლითა იმა ალაგზედა გარდაკრან: მოიტანე ერთი ოყა ძველის ზეთის ხილის ზეთი, თხუთმეტი ღირჰამი ცვილი, თხუთმეტი ღირჰამი ფარფიონი. პირველ ზეთი მოადუღეთ და ფარფიონი ამა მოდუღებულსა ზეთშიგა ჩაყარონ და კარგად დაურჩონ, და მერმე 10 მას უკან ცვილი ჩააგდონ და თბილ თბილი ესე ტლე გულსა და სტომამქზედა შემოსდვან, და ეს ტლე უცხოფრად კარგი და მრავალჯერ დაცდილი ტლე არის ამ სენისათვის.

კიდევ მეორე ხმელის თასანუჯის წამალი ეს არის, მოიტანე ვარდისა და იის ფოთოლი, კარხლისა და აყიროს ფოთოლი, ტუბტისა და ან მალოქის ფოთოლი, და ამათგან ყუელა სწორ სწორი ქენით და წყლითა ერთსა ასეთსა ქებაშიგა მოადუღონ, რომე კაცი ჩაეტეოდეს და რა კარგად მოიხარშოს, ეს წამლები კარგად ამოკულიტეთ, და ესე სენიანი კაცი ამა წამლებშიგა ყელამდისი ჩასვით, და ამა წამლებითა ტანი დაბანონ, რომე ამ რიგსა სენსა მწოედ არგებს და უსათუოდ უშველის. და რა აქადამან ამოვიდენ მოიტანონ იისა და ან აყიროს ერბო და გაათბონ, და სრულად ყელი იგურგლიე და ზურგის მძივის ქუემო ამა ზეთითა დაუზილონ. და ესე წამლები წმიდად დანაყონ და გაცრან, და ამ რიგად მუმრულანი შექნან და თავსა, ყელსა და კისერზედა შესცხონ, და კარგად დაუზილონ: მოიტანე ხმელი ია და ხმელი ტუბტი და ცვილითა მალამად შექნან, და თბილ თბილსა ამა მალამითა ხშირად თავი, ყელი და კისერი დაუზილონ. და მუდამ თბილ თბილი აყიროს ერბო ცხვირშიგა ჩააწვეთონ, რომე მწოედ არგებს. და ამ რიგი საკმელები აქამონ: ნუშის ზეთითა ხმელი დო გამოლესონ და ამაშიგა მსუქანი ქათამი მოუხარშონ და აქამონ, და ვირის რძე შაქრითა ასვან. და 20 თათარ ყურთის წამლებიცა, ამავე ყურუ თასნუქის წამლები არის.

და სიაზარი თუსი, ჰაქიმმან თქუა, თუ ესე თარქიბი და ესე მაჯუნე ჯაღინოზ ჰაქიმის წინათ იყო და უნონ ხელნწიფემან სიაზარი თუს თვითან გამოიღო აწე ესე თარქიბი ერთი თარქიბი არის, რომე ყოვლისა ტანისა ტკივილი რომე სიგრილისაგან იყოს, უშველის და გააქარეებს.

და კაცსა რომე თათარ ყუთი შეეყაროს, და ან ყელი და ხახა სტკიოდეს, ან ტყირპი და თირკმელნი სტკიოდეს, და ან ყოლინჯ:

და შეკრულობა სპირდეს, ამას ყუელას უშველის, და ამას გარეთ რაცა არეული და პილწი ხილთები არის, იმას ყუელას გასწმედს და უშველის. და კაცსა რომე თვალთა უბნელდებოდეს და ან კკუა ეკარგოდეს, იმას და რაცა ძველიდგან სიგრილისა სენი სპირს, ამავებ-სა ყუელასა უშველის და ზიყ ნათასისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცლილი მაჯუნი არის და ყოვლსა ქარსა გააქარებებს. ღვიძლისა და ტყირპის სუდას გახსნის, გულსა და მკერდის ტკივილსა უშველის, და კაცსა რომე ავადყოფაშიგა სლოკინი აუვარდეს, იმას უკუუგდებს, და სისხა, რომე ღვიძლის სისუსტისაგან წაჰკიდებოდეს, იმას უშველის. რუბუასა და თავის ტკივილსა ორსავე უშველის.

- 10 და თუ ეს თარქიბი პირველსა სიშემცდრეზედა კაცმან კამოს, სიშემცდრესა უშველის და აღარ მოუვა, და რაცა კაცისა გეამსა და ტანშიგა ან დამწვარი სევდა, და ან დამპალი ბაღლაში არის, ყუელასა უშველის და გააქარებებს. ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსა, თავისა და ხელფეხის თრთოლასა, და ასოვებისა ტკივილსა და სისუსტესა, ყუელასა უშველის. კაცსა რომე ფილენჯი სპირდეს და პირი და თვალი გაუმრუდდეს და ამა მაჯუნისაგან ერთის ოსპის ოდენი შაჰთარას წყლითა გალესოს, და კაცსა შუბლსა, ცხვირსა და საფეთქლებზედა შესცხო და ცხვირშიგა ჩააწვეთო, ამა თავპირისა და თვალების გამრუდებასა უშველის.

- 20 და თუ პირველსა გაზაფხულზედა შირიმიანსა კაცსა აქამონ, შირიმიის ქუასა დაღეწს და გამოაგდებს, და დაქირულსა შარდსა გზასა გაუხსნის, და ხუნაყისთვისცა მწოვედ კარგი არის, და მაჯუნისიარალი მაჯუნების ჯერგაშიგა მონახეთ და იქი სწერია და პპოებთ.

მუფრადათი არის ვითამცა წურილი და დაცლილი წამლები, რომე ამითა თათარ ყურთსა და ქიასა წამალი ექნების.

ვინცა ცოტა დათვის ნავლელი ცივის წყლითა გალესოს და სვას, თათარყუთი და ქია ორივე უშველოს.

- 80 ვინცა ყარაჯა ოთი მოთხაროს და გარეცხოს, და გაახმოს, და მერზე წმიდად დანაყონ, გაცრან, და ნახევარსა კოვზსა თათლშიგა ამოსურიმოს, და დილეულ უზმომან და დაწოლის დროსა წყლით გალესონ და სვან, ამა სენსა მწოვედ კარგად უზამს.

აგრევე თუ კაცსა კიბი ამოუვარდეს, და ან კიბი და მუცელი ორივე სტკიოდეს, ამ რიგი ტკივილი უსათუოდ იმისგან არის, რომე წელ წულშიგა ქარი თურმე უვლის. აწე ამისი ნიშანი ეს არის, რომე კაცსა მუცელი უქუქუუნებდეს და შიგნით მუცელსაცა სპირდეს, და რა კაცმან ქარი ან პირიდალმან ამოუშვას და ან ქვემოდალმან გაუშვას, თუ ცოტაცა იყოს ტკივილმან უფონოს და გაუშვას.

აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით სიგრილისა და ქარისაგან არის, ამის წამალი ეს არის მხურვალი და ქარის გამაქარებელი მაჯუნები აქამონ: ფალასუფას მაჯუნი, ზაფრანის მაჯუნი, სტაფილოს მაჯუნი, და სხვა ყოვლი მხურვალი მაჯუნები და მუფარები ქამონ, და ჯავზი და ბაზბაზი დანაყონ, და ცოტა შაქარი გაურიონ და ქამონ, და ხშირად სანანებელი, ეგირი, ხოლინჯანი პირშიგა დაიჭირონ. და ნიახურის თესლი, ცერეცოსა და მდრგვის თესლი, ზირა და ენისუნის თესლი ქამონ და დანამასტაქი ღეჭონ. და უდი, დანამასტაქი და ენისუნი ერთად აურიონ, და დილეულ უზმომან 10 პირშიგა უკუყარონ და ქამონ, ან თაფლშიგა ამოსურიმონ და ისრე ქამონ, რომე ქარი დაღეწოს და გაუგდოს.

და ყოვლსა დაწოლის დროსა გვიღან გვიბინი და გულბა შაქარი ქამონ, ან შაქრითა ენისუნი მოადულონ და ამისი წყალი სვან.

და თუ კაცსა წიღებდია და მუცელიცა მწოვედ სტკიოდეს, და კიდეცა შეკრას, ასრე უნდა: დიდი და ძალიანი ოყნა უყონ.

და თუ კაცსა ქიპი ამოუფარდეს, და ბევრსა კაცსა კიდეცა ჩაუვარდების, ამისი წამლები კიდევ ესევე წამლები არის, რომე აქავ სწერია.

აგრევე ასრეცა მოჰხდების, რომე ესე ტკივილი სიგრილისაგან 20 კი არ იყოს და საფრისა და სიმხურვალისაგან სტკიოდეს. ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა მწოვედ წყალი სწყურდებოდეს, და ესე გურემა მკვალსავითა ერქმოდეს, და რა გარ გავიდოდეს, ესე გარ განავალი მწოვედ თხელი იყოს, და ამა გარ განავალსა საფრასა და წელთ ნახვეწსა ატანდეს.

ამისი წამალი ეს არის, რომე რეჰანის თესლი, გავზაბანის თესლი, ბარძაყათუნას და თოხმაქანის თესლი, ბროწეულისა, კოწახურისა და ან სანდლის შარბათითა, ლულუფრის წყლითა გამოლესონ, რომე ამაშიგა ყურსი თაბაშერი, ჰუმაზი გამოლესონ და ასვან, საფრასა და სიმხურვალესა გაუგდებს, კიდეცა შეჰკრავს, და წელთ ნახვეწსაცა მოჰკვეთს. 30

და თუ ესე წამლები ყუელა ერთად არის, ისი სჯობს, და თუ ყუელა ერთად არ იყოს, რომელიცა მოიხელოთ ასვით, ყუელა ერთმანერთის მჯობი წამლები არის, და საცა სტკიოდეს ვარდის წყლითა გალესული სანდალი დასცხონ.

გიდევე ამ რიგი და ესევე სენი და ქირი ერთი ეს არის, რომე კაცსა წიღებშიგა დუზლუ ბალლამი და სევდის ქარი ჩაუვარდების. ამისი მიზეზი და ნიშანი ეს არის, რომე გვამშიგა კაცსა ბალლამი და სევდა ერთად აერევის და ორივე ერთგან დაეწვის, და

მერმე კაცსა მწოვედ გახსნის, და გარ განავალსა ბალღამსა და სევ-
დასა გაატანს, ვითამცა ეს გარ განავალი ზოგი ბალღამი და ზოგი-
დაჯექვილსა სისხლსავითა იქნების.

10 აზე ამისი წამალი ეს არის, რომე ასეთი წამლები და ჰაბები
სვას და ქამოს, რომე ბევრი არწყევინოს და რაცა სტრმაქსა და
გვამშიგა ბაყლი, ბალღამი და სევდა და ან ხილთი იყოს, ყუელა-
პირიდაღმან ამოაღებინოს. და რაცა მუცელსა და წელწულშიგა სევ-
და, ბალღამი და ხილთი იყოს, საშუალი ოყნა უყონ, და ყუელა ქუეი-
დაღმან დაალურევიონ, რომე ყოვლის სენისა და ქირისაგან კაცი
გაწმდეს, და ამ რიგის ტკივილისაგან კაცი მორჩეს.

და ესეცა იქნების, რომე ესე ქიპის გრეხა და მუცლის ტკივილი-
ამაზენდაცა იყოს, რომე მისი ბურჰანი, ლხენა და წამალი იზჰალი და-
გახსნა იყოს, იმასცა ასეთი წამლები უნდა ასეთ და აჰამოთ, რო-
მე კაცი მუცელშიგა გახსნას და ტკივილისაგან მორჩეს.

ლზ. კარი შიოცდაჩვიდმეტე. მუცლის ტკივილისა და გურემი-
სა, რომე კაცსა მწოვედ მუცელშიგა გახსნის, და უკანა კარი მწო-
ვედ გასტეხდეს და აზიდვებდეს, და მწოვედ სტკიოდეს; ამისა ნიშ-
ნებსა და ალამათებსა და წამლებსა გაამბობს.

20 აწე ეზჰალი ამას ჰქვიან, რომე კაცი მწოვედ ¹ მუცელშიგა გაბ-
სნას, და კაცსა ხშირ ხშირად იყვანდეს. ამისი მიზეზი ეს არის, რო-
მე ამ კაცსა ან ასეთი გრილი და გასახსნელი რამე უსვამს და უჰა-
მია, რომე ასრე მისგან დამართებია, და ან საკმელი გვიან უჰამია-
და ველარ მოუღუნია და ემთალა და აიაზა შექნილა, და ისი საკმე-
ლი მუცელშიგა დაღობია და დამეყვებია, და ესე სენი მისგან და-
მართებია, ან მეტის მეტის გრილის საკმლის ჰამისაგან ღვიძლსა და
სტრმაქსა სიგრილისა ქარი შესქიდებია, ან წელები სუსტად აქუს და-
მისგან დამართებია, ან დამალიდაღმან სტრმაქშიგა ნუზლა და სურა-
ვანდი ჩამოსულა, და მისგან დამართებია, ან კაცის სტრმაქსა და
გვამშიგა ბევრი ხილთა და ბალღამი დარჩომილა, და ამა ხილთსა
30 კაცისა სტრმაქი ვერ მორეგია, და მისგან დამართებია, და ეზჰალი-
სა ბურანისაგან არის, ვითამცა და გამომავალი ქირი არის, ბურაჰნი
გამომავალსა ოფლსა ჰქვიან.

აწე ამ რიგები სენები და ქირები უსათუოდ ყუელა ქიპის ტკი-
ვილითა, გრეხითა და მუცლის ტკივილითა იქნების.

აწე თუ ეს სენი და გახსნილობა ან ბევრის ხელთისაგან, და ან
გამომავალის ბურჰანისაგან იყოს, ზენაარ ასეთსა წამალსა ნუ მისცემთ

¹ ეს სიტყვა სტრკონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

რომე ეს კაცი შეკრას, თუ არ მწოედ და ან მწოედისაგან უფრო მისკირდეს, და ან ეს კაცი თუ მეტის მეტად არ დასუსტდეს და არ დაძაბუნდეს. და ან ამისგან არ შეშინდეთ რომე, არამც მეტმან გახსნამან წელწული დაულპოსო და დაუკოდოსო, და თუ არ ამრიგი შიში გქონდეს, არასათვის ამ რიგსა კაცსა ეზაპალი არ უნდა დასწყვიტოთ, და არცა შესაქრავი წამლები მისცეთ.

ამ რიგსა კაცსა რასაც ბევრჯულელ ასაქმებს, უკედ მოუხდების და მწოედ უჯობს. აგრევე ესეცა უნდა იცოდეთ, რომე რა გინდარა ფერი ეზაპალი და მუცელშიგა ყუანა იყოს, ყოვლისა ეზაპალისა 10 და მუცელშიგა ყუანისა წესი და აქიმობა ეს არის, რომე რა კაცსა ყუანა დააწყებინოს და მუცელშიგა გახსნას, მაშინვე ახლის ვარდის შარბათი ასვან და ხაშხაშის ტყავი და ტუხტის ტყავი ორივე ერთად მოხარშონ და ამის წყალი დადაღონ და ასვან, ვითამცა და ან ქუა და ან რკინა გაახურვონ და ამ წყალშიგა ჩააგდონ, და გააცივონ და ისრე ასვან, დადაღვა ამას ჰქუიან.

და თუ სისხლიცა გაპყუებოდეს, სანდლის შარბათი, გავზაბანის შარბათი და ანჯუბას შარბათი, სამივე ერთად აურიონ და ასვან. და თუ ამან არ შეკრას, ამ რიგი გრილი და შემკრავი შარბათები ასვან: ბროწეულისა შარბათი, უშხუნისა, კოწახურისა, ისვრიმისა და ლი- 20 მოს შარბათი ასვან. ბროწეულის ყუაილი, თუთუბო, მოცხარი, ვაშლი, ბია, ბროწეულის წყალი, მარსინის ხილი, გილი არმანი და ბარძაყათუნა ასვან და აქამონ, და თაბაშერი ჰინდი დანაყონ და ან იმა შემკრავსა შარბათებზედა მოაყარონ, და ან ცივის წყლითა გაღესონ და ასვან, და მაშინვე შეჰკრავს.

კიდევ მხურვალე წამლები, რომე კაცი სიგრილითა ავად იყოს, და ან სიგრილითა კაცი მუცელშიგა გახსნით იყოს, იმას უნდა ასვან: ენისუნი, მდოგვი, ხმელი და ახალი დო, ზირა, პილპილი, სანანებელი, მიხაკი, სამყი არაბი, ქარვა, ეს ყუელა შემკურელი არის.

აგრევე შემკურელი შარბათები ესეები არის: ბიისა და ვაშლის 30 შარბათი, უდისა და სანდლის შარბათი, უშხუნისა და გავზაბანის შარბათი, ეს შარბათები ასვან. და ყურსი თაბაშერი ჰუმაზი, ან ყურსი თაბაშერი ქაფური დანაყონ, გაცრან და ამავე შარბათებითა სქლად მოზილონ, ყურსები შექნან და ლოკონ, მწოვედ კარგი არის და კარგადცა მოუხდების.

აწე ესე შემკრავი წამლები და შარბათები რომე სწერია ასრე უნდა, კაცსა სტომაქი და ავად ყოფა გაუხინჯონ, თუ რა სენი და კირი სკირს და რამდენიცა წამალი კაცისა გულმან და სტომაქმან მოიხდინოს და გაიწყოს, იმდენი უნდა ასვათ და აქამოთ.

და ესე თესლები, რომე აქვე ზემო გვითქვამს და დაგვიწერია, ამა თესლებისა დანაყასა და სმევასა ისი სჯობს, რომე ესე თესლები კარგად მოხალონ, და იმა შემკრავსა წამლებსა და შარბათებშიგა გაურიონ და ისრე ასვან, და თუ ეს ყუანა ბალღმისა და სიგრილისაგან სქირდეს, ამა შარბათებსა და საქმლებშიგა მიხაკი, დარიჩინი, სანანებალი, პილპილი, დარი ფილფილი, დანამასტაკი, მოხალული ენისუნი და ქიმნუნი გაურიონ, და რაცა კამონ ისრე კამონ და შარბათებიცა ისრევე ამითავე სვან, და მხურვალი მაჯუნები და მუფარაები აქამონ ხშირ ხშირად, ოროლი დირკამი ჯავზი და ბაზბაზი

10 დანაყონ, ცოტა შაქარი გაურიონ და უზომან კამონ. და მუდამ დაწოლის დროსა გულბა შაქარი და გვილან გვიბინი აქამონ. და კევი და დანამასტაკი აღეკონ, ენისუნი, უდი, დანამასტაკი დანაყონ, ერთმანერთშიგა აურიონ და დილეულ უზომან პირშიგა უკუიყარონ.

და თუ ამა იზაჰალსა და ყუანასა წელთ ნახვეწიცა სცვიოდეს, ზენაარ თუ კაცი გახსნით იყოს და წელთ ნახვეწიცა სცვიოდეს, ამ რიგსა ავადმყოფსა კაცსა ნურცა მეავესა შარბათსა ასმევთ, ნურცა მეავესა საქმლებსა აქმევთ, და ნურას ფერს მეავესა ნურც ასმევთ და ნურც აქმევთ, თვარადა უსათუოდ წელებსა დაუზიანებს.

და თუ ამისთანასა ავადმყოფსა წელთ ნახვეწი კი არა სცვიოდეს და უწელთ ნახვეწოდ ეზაჰალი სქირდეს და მუცელშიგა გახსნით იყოს, რაცა აქვე ზემორ ან შარბათები და ან წამლები დაგვიწერია, ისი ყუელა ისრევე ასვით და აქამეთ, და ყუელა მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის და მწოედ არგებს ¹.

მუცელშიგა შეკურისთვის მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი და ტლე არის, რომე კაცი მუცელშიგა მწოედ გახსნით იყოს და სხვამ ვერამ ფერმან წამალმან ვერ შეკრას, ესე ტლე უსათუოდ შექრავს ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა.

მოიტანე გუნდა, დანაყე და გაცერ, და ესე გაცრილი გუნდა, შრეში, ინა, ჯავზი და საბრი, ეს ყუელა სწორ სწორი ქენ, ყუელა

30 დანაყე და გაცერ, და სრულად ესე წამლები უცილოს კუერცხის გულითა გაუყენეთ და ტლედ ქენით და სამოსლის ნაქერითა მუცელსა და გულის კოვზზედა გარდაკარით და მაშინვე მუცელშიგა შეკრავს ძალითა და შეწევნითა ღ'თისათა.

კიდევ სუფუფი დინ ეზაჰალი საჰჯი ამისთვის კი და გამორჩეული წამალი არის, საჰჯი, ამ წელთ ნახვეწი სცვიოდეს, იმასა ჰქვიან.

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა ირმის რქა დაწვას, დანაყონ და გაცრას და გავანის ქითირითა წყლითა სვას მუცელში და სისხლზედა ყუანა ორივე უშველოს“.

ამა წელთ ნახვეწის ცვიენასა, კიპის გრეხასა და მუცლის ტკივილსა უუელასა უშველის. და თუ არცა ამან უშველოს, მოიტანე ოცი ღირ-
ჰამი ბარძაყათუნა, გავზაბანის თესლი, თონხაქანი და რეჰანი ათ ათი
ღირჰამი, გილი არმანი და სამყი არაბი, თხუთმეტ თხუთმეტი ღირ-
ჰამი, ასრე უნდა რაცა თესლი იყოს ის კი არ დანაყონ, და რაცა
სხვა წამლები იყოს ის კი დანაყონ, და სრულად ერთმანერთშიგა აუ-
რიონ და წყალი გამოჰხადონ და ეს თესლები მოხალონ. და ისრე
მთლად ჩაყარონ, რომე თესლები და ბალახის წყლები ყუელა სამი
ღირჰამი იყოს, და ეს წამლებიცა იმა ზემო შარბათებშიგა გაური-
ონ, და სამი ღირჰამი დილეულ უზმომან, და სამი ღირჰამი დაწო-
ლის დროსა სვან და მწოვედ კარგად მოუხლები და უსათიოდ შექ-
კრავს.

10 აწე რაცა საქმელი იზაპალსა არგებს, და ან მუცელშიგა შექ-
კრავს, ეს საქმლები არის: მოხალული ქერი, კოწახური, თუთუბო,
მოცხარი, დანაყილი ნარდანგი, და ყოვლი მეთვე და ამათივ შარბა-
თები. თემრი ჰინდს გარეთ ისრინითა და ხმელის დოთ მოხარშული
ხარშოები და ყაურმა, შეშწვარი ქათამი, ტრედის ხუნდი და ჰავკა-
ვი აქამონ, კარგად მოხარშული კუერცხი და ძველი ყუელი, რომე
მარილი ცოტა ერიოს და ცხურის თავფეხი, რომე ძმრითა და ნიე-
20 რით იყოს ნაქმარი.

და თუ ამა გახსნილობაზედა წელთ ნახვეწიცა სცვიოდეს, ზე-
ნაარ ნულარც მეთვესა, ნულარც მლაშესა, და ნურცა ცივისა წყალსა
ნუ ასმევთ და ნურცა აქმევთ, მწოვედ აწყენს¹.

აგრევე თუ კაცსა ეზაალი და გახსნილობა სჭირდეს და სისხლ-
საცა ატანდეს, და ესე სისხლი შავი იყოს და გარ გასულას უკანა
მწოედ სისხლიცა დაედინოს და ან წვეთ წვეთად ჩამოსდიოდეს,
იცოდეთ, რომე ესე სისხლი სოკოსაგან იქნების და უსათუოდ მისგან
სდის, და ამა კაცსა რომე ძალი მწოვედ მოაკლოს და გარ გასულის
დროსა მუხლები უთრთოდეს, და მუხლები მძიმედ ჰქონდეს, ამრიგსა
30 კაცსა ასეთი წამალი არ უნდა მისცეთ, რომე სისხლი დასწყუიტოთ,
თვარამდა სისხლის დაწყუეტა ბევრსა სენსა აუძრავს, და ისი სჯობს
რომე ამ რიგმან კაცმან ბევრი სისხლი იდინოს.

¹ ამ გვერდის ქვემო აზიაზე სწერია დედნის ხელით: „თერი სანდალი და ფუფალი აბის [შარბათშიგა] გაღესოს და სამსა [დღესა] ზედა ზედ უზმომან [სვას] უსათუოდ შექკრავს და მუცელზედა ყუანა [უშველის]. აჯავზი დანაყონ და [თონხლ]ის კვერცხი [ჯავზი]თა, კამოს უსათუოდ შექკრავს და სისხლზედა ყუანა უშველის.“

აწე თუ ამ რიგსა კაცსა ბევრსა სისხლსა ადენთ, ბევრსა სენსა და ჰირსა გაუქარებს. და თუ სისხლსა დასწყუეტთ, ეს იცოდით, სისხლის დაწყუეტა ბევრს ფერს სენსა და ჰირსა აუშლის და შიპს.

10 აწე თუ ეს ეზპალი საფრისა და სიმბურვალისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ყოვლი ასო ეწოდეს და ცხელად ჰქონდეს, და მწოდ წყალი სწყურდებოდეს, და კაცსა გული და სტომაჰი უხურევდეს, და შიგნითცა მწოდ ცხლად იყოს, და თვითან კაცი მკლედ და მოყუითალოდ იყოს, და კაცი პირველზედა გააცხელოს და მასუკან ესე სენი და ეზპალი აუვარდეს, იცოდით საფრისა და სიმბურვალისაგან არის.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ყოვლსა დილასა ყურსი თაბაშერი, ბიის წვენი და სამყი არაბი, ბიის შარბათითა აურიონ და ასვან, გილი არმანი და თეთრი სანდალი ცივის წყლითა გაულესონ და ასვან. და თუ არ აცხელებდეს და ისრე ეზპალი და განხნილობა სჰირდეს, მჟავეს დოშიგა ერთი გახურვებული ჰვა ჩაადონ, და ესე დადაღონ, და თაბაშერი ჰინდი და მარდუჰმაზ ამათგან თვითო დირჰამი იმა დადაღულ დოშიგა გაურიონ და სვან, უსათუოდ შეჰკრავს.

20 და ამ რიგი საქმლები აქამონ: დანაყილი ოსპი წყლით მოხარშონ, და წყალი კი გარდაწურონ და კიდევ წყალი დაასხან: და ერთი პირი წამოადულონ კიდევ და ესე წყალიცა გარდაწურონ, და მესამედ კიდევ სხვა წყალი დაასხან და თვითო პირი კიდევ წამოადულონ, და ეს სამივე რიგი წყალი გარდაწურონ, და მეოთხეზედა ან ისრამი, და ან ნარდანიგი, ან კოწახური ან მოცხარი, თუთუბოს წყლები რომელიც იყოს ამ ოსპზედა დაასხან და შეჰამადად შეჰნან, ნუშის ზეთი ურიონ, და შემწვარი ცხერის ფეხები კიდევ ამჟე მჟავეებშიგა გამოუხარშონ და აქამონ, მწოდ კარგად მოუხდების და უსათუოდ შეჰკრავს. და თუ უკანა კარი მწოდვედ ეწოდეს და გასტეხდეს, ეს იცოდით, ესე უკანას კარის წვა და გატეხა კიდევ სიმბურვალისაგან არის. ასრე უნდა, ამ რიგი კაცი ყოვლს ფერ მხურვალსა და ხმელსა სასმელსა და საქმელსა ერიდოს, და გრილი და ნედლი საქმელი და შარბათები ყუელა სვან და კამონ.

30 მოიტანე ასპიუშის წყალი, ვითამცა და ყარნი არუხი, აყიროსა და ან ლულუფრის ზეთი, და ან იისა და ან ნუშის ზეთი, და ხაშხაში და სალათა და შირ ხიარინი. ესე წამლები ყუელა ერთად დანაყეთ და გამოწურეთ, და უკანას კარსა და მის გარეშემო დასცხეთ, და უკანა კარის წვასა და ტკივილსა ორსავე უშველის.

და თუ ესე ეზპალი და განხნილობა ბალღმისაგან იყოს და ან სიგრილისა და სიცივისაგან წაჰკიდებოდეს, ამისი ნიშანი და ალამა-

თი ეს არის, რომე, რა გარ გავიდეს ნაფეთ ნაფეთსა ბალღაშედა იყუანდეს.

10 ამისი წამალი ეს არის, რომე თუთუბო, კოწახური მოცხარი და ისარიმი აქამოთ, და მოხალული ურშათის თესლი, ვითამცა და თოხმაქანის თესლი, წიწმაცის თესლი, რომელიც იყოს ასრე მთელ მთელი ამა მჟევეებშიგა გაურიონ და ისრე აქამონ. და ან ამა მჟევეებისაგან ერთ ერთი, და ან ამა თესლებისაგან როქელიც იყოს მოხალონ, და ამა მჟევეებშიგა გაურიონ, თბილის წყლით გააყენონ და ასვან. და ან სამი ნედლი ხაშხაშის თავი და ამისივე წონა საკმელი

20 ორივე წმიდად დანაყონ, და სამიოდ კოვზი ან მარსინისა ან ბიის შარბათი დაასხან, გააყენონ და ასვან, და უსათიოდ ეს წამლები ეჭალსა შეკრავს და დააბრუნებებს, ბოლომ ეს წამლები ჰაქიმთაგან მწოვედ დაცდილი არის.

კიდევე თუ კაცი სისხლზედა იარებოდეს, ესე სისხლი ორი რიგი არის. ერთი ეს არის, რომე ღვიძლიდაღმან ჩამოვა და ამისი ნიშანი ეს არის, რომე ცარიელსა და ჰტენარსა სისხლზედა იარებოდეს და არა სტკიოდეს რა, და თუ ესე ნიშანი ნახოთ იცოდით, ესე სისხლი ღვიძლიდაღმან ჩამოვა. ასრე უნდა, ღვიძლისა და მჯღომის წამლები ასეათ და აქამოთ, რევეანდისა და თაბლი ჰინდისა შარბათი, ლულუფრისა და იის შარბათი, ბროწეულისა, ისარიმისა, კოწახურისა და უშხუნის შარბათები, რომელიც იყოს ასვით, რომე ღვიძლი ამთელოს და ღვიძლსა მოუგრილოს და ამავე რიგის გრილისა და მჟევისა რასმე საკმელი აქამონ, ამაშიგა ვარია და გარეულის ფრინვლის ლაპები გამოუხარშონ¹.

30 და მეორე რიგი სისხლის სენი ეს არის, რომე ხან ცარიელი სისხლი მოვა და ხან ნაქამს გამოჰყუების. აწე თუ ამა სისხლის ფერი შავი იყოს, იცოდი ესე სენი და სისხლი ავი საკმლისაგან და ბევრის სარჯელისაგან არის. ამისი წამალი ეს არის, რომე მუდმად ეს შარბათი ასეათ: მოიტანე ყურსი ქაპრაბა, და ბიის წვენი და სიქანჯუბინისა შარბათი, ქასნის წვენი, ბუხილისა და ასპიუშის წყლები, ვითამცა და ბარძაყათუნაო, ძაღლის ყურძენას წყალი და აბი ბალაგი ბუხილი. ეს წამლები ყუელა დანაყე და წყლები გამოჰხადე, და რა ნივთიცა სრულად ეს წამლების წვენი იყოს წონითა, ორი ამ წამლების წონა შექარი მოიტანე და ამა წყლებშიგა ჩააგდე და რა რი-

¹ ამ გვერდის აშახე დედნის ხელით სწერია: „ვინცა უზანღულის თესლი ვარდი: ერბოთა მოზრაკოს და კამოს, სისხლიცა დასწყუიტოს და კიდევცა შეკრას“. „ვინცა ხაშხაში დანაყოს და ღვინითა სვას, მუცელშიგა შეკრას“.

გადცა შარბათისა წესი და რიგი იყოს, იმ რიგად შარბათი შექენ და ავად მყოფსა კაცსა ასვით, და უსათუოდ უშველის.

და ამ რიგი საკმლები აქამეთ: ოსპი, მაში, გამოლესული ხმელი დო, კოწახური, ისრინი და ამავე რიგი შეყვები და ამა შეყვებშიგა მომცრო ვარია გამოუხარშონ და ისრე აქამონ, ღთითა უსათიოდ სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, და ღვიძლის ტკივილსაცა უქირველად უშველის.

10 თუ კაცსა უკანა კარი მწოვედ გამოექცეს და ძნელად შეუვიდოდეს, მოიტანე ვარდის ერბო და ასპიუშის ლოაბი, ვითამცა და ბარძაყათუნას ლოაბიო, და ორივე ერთგან მოზიღეთ და გაათბეთ, და თბილ თბილი უკანას კარსა და მის გარეშემო დასცხეთ, და ხელი მოუქირეთ და ისრევე უკუუკრიფეთ, კარგად უხამს და აღარ გამოუვა.

თუ არცა ამით დადგეს, მოიტანე კინკარი, და მურისა და ბროწეულის ყუაველის წვენი, და თვითან ბროწეულის წვენი, და ქაზმაზუ, ვითამცადა გრაკის ფოთლის წვენიო, მოხარშეთ და ამა წამლებშიგა წელთამდისი ჩასვით და კარგად უხამს. სურმა გალესონ, ვარდის ერბოთა გააყენონ და უკანას კარზედა წაუსვან და კარგად უხამს, ისრევე უკუუბრუნონ.

20 და ბევრსა აქიმთა ასრეცა უთქვამს, თუ აღარა ღონე იყოს, უკანა კარი შეუქერონო და კიდეცა დასდაღონო, მაგრა დადგებისო. მაგრა რკინის საქმე და ჩუენი აქიმობა შორი შორ არისო.

და ტკბილსა და მლაშე საკმლებსა უნდა არიდონ. და თუ დედაკაცსა საყმაწვილო გამოექცეს, ესევე წამლები დედაკაცსა უნდა უყონ, და კაცისაგან დედაკაცს უკეთ ჰკუეთს. მაგრა კაცისასა დედაკაცისა კიდეც უფრო ძნელი არის.

მუფრიდათი რომე ამა წამლებითა იზჰალსა და სისხლზედა ყუანასა წაშალი ექნების, იზჰალსა ეწამლების და კაცსა მუტელშიგა შექკრავს.

30 ვინცა კურდღლის დურიტა გაახმოს, დანაყოს და გაცრას, და თოხლო კუერცხშიგა მარილის ალაგს ჩააყაროს და ჰამოს, და სამსა დილასა უზმომან სამსამი კუერცხი ამ რიგად ჰამოს, უსათიოდ იზჰალი ეშველოს და შეკრას.

ვინცა პირველ ბრინჯი მოხარაკოს, და მერმე ცარიელის წყლითა რომცა ფლავად მოხარშოს, და ხმელთ დო თბილის წყლითა გამოლესოს, და კარგად ნიორი ურიოს, და ამა ხოშვა ფლავზედა დაასხას და ჰამოს, რაგინდარა კაცი მწოვედ გახსნით იყოს, მაშინცა შექკრას.

და თუ ნუშის ზეთითა ერბო კუერცხი შექნას და ამასთანავე ქა-
მოს, ისი სჯობს.

ვინცა ხუთი თავი ლელვი ხმელი პიტნითა გატენოს, და სამსა-
დილასა ამრიგად ხუთ ხუთი ლელვი ქამოს, კიდევცა შეჰკრავს და-
სისხლსაცა დასწყევტს.

10 ვინცა სამჯერ ყუელი მოადულოს და სხვა და სხვა წყალი გა-
მოუცვალოს, მერე გაახმოს და დანაყოს, და მარილის ალაგსა ეს
ყუელი თოხლო კუერცხშიგა ურიოს, და სამსა დილასა ამ რიგად სამ
სამი კუერცხი უზმომან ქამოს, კიდევცა შეკრავს და სისხლის დენაცა
უშველოს.

ვინცა მუხუდოს ოდენი ფულუნია ქამოს და ამაზედა ხუთი-
დირჩამი ენისუნი წყლითა და შაქრითა მოადულოს და თბილ თბი-
ლი სვას, კიდევცა შეჰკრავს და სისხლსაცა დასწყევტს.

ვინცა ბურჩაყი მოხარშოს, ვითამცა და უგრეხელი ცერციო,
რომე ქუშნას უძახიან, და დანაყოს და ისრე ცივად ან ბოქუენსა და
საზარდულზედა დაიდვას, უკანა კარის გატეხასა და იზჰალსა ორსა-
ვე უშველის.

20 მრავალ ძარღვა გრილია და ხმელია, ვინცა დედალი მრავალ-
ძარღვა და ან ამისი თესლი დანაყოს და ღვინითა სვას, ან ძმრითა
და მარილითა მოხარშოს და ქამოს, კაცსა მაშინვე მუცელშიგა შეჰ-
კრავს, და მაშინვე ქარსაცა ამოაღებინებს, მეტადრე მაშინ, რომე ეს
კაცი საფრით იყოს შეკრავით.

და ცარიელი ამა მრავალ ძარღვას თესლი რომე დანაყო და
ცივის წყლითა გაჰქნა და სვა, კაცსა რომე კბილისა და პირიდაღმან
სისხლი სდიოდეს, ორსავე უშველის და ყოვლის მხურვლის სენისათ-
ვის კარგი არის.

ვინცა თეთრი ძაღლის ღრინჭოლა დანაყოს, წყლით გაღესოს,
და სვას, სისხლზედა ყუანა უშველოს. და შეკრას.

30 ვინცა ლულუფრის ძირი დანაყოს და სვას, მუცელშიგა ყუანას
უშველის.

ვინცა ყარფალისა წყალი სვას, უსაათოდ მუცელშიგა შეკრას
და პირის სისხლის დენასაცა არგებს.

გარეული პიტნა მხურვალი და შემრგო არის, ვინცა დანაყოს
და ამისი წვენი გამოჰხადოს, და ან თაფლითა და ან მარილითა სვას,
ფირტვის ტკივილსა მწოედ არგებს.

ვინცა სარამაშულის ყუავილი სამის თითითა მოწყვიტოს და
დანაყოს, და ღვინითა გააყენოს და გაწუროს და დღივ ორჯერ სვას,
სისხლზედა ყუანასა უშველის, სისხლს დასწყევტს და კიდევცა შეკრავს.

ვინცა ნედლობასა ჩაბშური დანაყოს, ღვინითა გააყენოს და სვას, პირიდაღმან სისხლის ¹ დენასა და იზალსა, ორსავე უშეელის და კაცსა შეჰკრავს.

ვინცა ყასურღა მოხალოს და წყლითა სვას, ან დანაყოს და ღვინით გააყენოს და სვას, სისხლს დასწყუეტს, და კაცსა შეჰკრავს და მაშინვე შარდზედა გაიყუანს და ძილს მოგურის.

მაგრა თუ კაცი ამას ბევრსა სკამს და სვამს, თავის ტკივილს მოგურის. ურუზ ოთი გრილი და ხმელია, ვინც ესე ურუზ ოთის ბალახი გაახმოს და კაცმან კამოს და სვას, რაცა კაცისა გვამსა და
10 წელწულეებშიგა ხილთი და ავი ქარი იყოს, ყუელას გააქარებებს. და ესე ბალახი ჩრდილშიგა . . . ² . . . არის, ყუელასა გააგდებს და გააქარებებს და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, ღვიძლს მწოედ არგებს და ძალს მისცემს, და რაცს კაცსა წელშიგა ტკივილი აქუს, ყუელას გაუგდებს. და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, იმას მოჰკუეთს.

თრიაქი, კაცსა რომე წელთ ნახვეწი სცვიოდეს, იმას უშველის, და კაცი რომე მუცელშიგა განხნით იყოს და ამისგან ერთის მუხუდოს ოდენი კამოს, კაცსა გაამხიარულებს, და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, და კაცი თუ ბევრსა სკამს აწყენს, თვალთა დაუბნელებს, ყელსა დაუქერს და სლოკინს დააწყებინებს.

20 თუ კაცმან ბევრი კამოს და აწყინოს, ამისი წამალი ეს არის, ფიცხლავ არწყინოს და პილპილი, დარიჩინი, და სანანებელი აქამონ და ძველი ღვინო ასვან, რომე ნაქამი მოფხიზლდეს.

გავარიში გულნუქ კაცსა სტომაქსა მხურვლად დაუქერს, კაცსა საქმელსა მოაქარებებს და კაცი თუ ბალღმისადგან განხნით არის, შეჰკრავს ³.

კიდევ თუ კაცსა ზახირი ჰაყ დაემართოს, ვითამცა და კაცსა უკანა კარი გასტეხდეს სტკიოდეს და ან აზიდებდეს, და ან ზახირი ბათილი დაემართოს, ვითამცა და კაცი მუცელშიგა მწოედ შეკრას, და მუცელშიგა ნაქამი გაუხმეს, და თხის კურკლსავითა კურკლად
30 გარდაექცეს, და ეს კურკლი ასრე წელეებზედა მიეკრას, რომე გარ გასულის ხსნა და ღონე არ იყოს, და როდისცა ბევრი სარჯლითა და წელწულის კრითა კაცი გარ გავიდეს, მაწინცა ბალღამსავითა და წელთ ნახვეწსავითა დავარდეს. აწე ამისი ნიშანი და ალაშათი ეს არის, რომე კაცსა მუცელი მძიმედ ჰქონდეს და წელის ძულეები

¹ ეს სიტყვა სტრაქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² აქ ტექსტს ერთი ფურცელი აკლია.

³ ამ გვერდის ზემო აშმაზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალავი

სტკიოდეს და კიპი მუღმად გრეხდეს და სტკიოდეს, და საქმლის
კამა არ უნდოდეს, და არა თუ კაცმან ბევრი ისაჯოს, და ბევრი
გააქიროს ვერასათვის კაცი გარ ვერ გავიდეს. და რა ბევრის კირითა
და სარჯელითა გარ გავიდეს, მაშინცა მუხუდოს ოდენ ოდენი და ან
უფრო დიდი კურდღლის კურკლსავითა ხმელ ხმელი და ცხელი და-
აგდოს. ამისი წამალი ეს არის, რომე იისა და ლულუფრისა, კერა-
მისა, ქლიავისა, თაბლი ჰინდისა და შაჰთარას შარბათი სვან, ყუელა
მწოვედ კარგად უხამს და არაგებს. ტუხტის წყალი, ბიის გულის
ლოაბი, ბარძაყათუნას ლოაბი და იის მაჯუნი ხიარშამბარათა კამონ.

10 და ოყნა ლეინა უყონ რომე ვითამცა და ცოტა და რბილი ოყნაო,
რომე ამა ოყნისა წყალშიგა სხვას წამლებს გარეთ ნახევარ ღირჰამი-
მუყლი აზრაციცა ერიოს.

და კაი, გრილი და ნედლი საქმლები აკამონ, ისპანახი, კინძი,
ქარხალი, ქლიავი, აყირო, კიტრი, საზამთრო და გრილი, და გამხ-
სნელი სასმელი და საქმელი ყუელა ასვან და აკამონ, და მხურვალსა
და ხმელსა ყუელასა არიდონ.

და თუ კაცსა ის ზახირი ჰაყ დაემართოს, ვითამცა და უკანა.
კარი გასტეხდეს, სტკიოდეს და აზიდებდეს, ამისი ნიშანი და მიზეზი
ეს არის, რომე ქარი და სიცივე კაცსა წელსა და გვამსა შესქიდებია,
20 და მისგან არის. ამისი წამალი ეს არის, რომე ბაბუნჯის ერბო,
ვითამცა გვირილას ერბო და მალამები უკანას კარზედა დასცხონ და
მარილი, ანაკუეთი და ფეტვი მწოვედ კარგად მოხალონ, გაახურონ
და ერთსა სამოსელშიგა ჩაყარონ და ამაზედა დაჯდენ. ან აგური-
გაახურონ ზედ ღვინო დაასხან, და ზედ ყირმიზი ნაბადი გა-
რდახურონ, და ამაზედა დაჯდეს. ან თბილსა აბანოშიგა შევიდეს
და ცხელს ქვაზედა დაჯდეს. ან უკანა კარის გატეხასა და გაქირვე-
ბაშიგა დაკუყდეს და ქუემ ნელთბილი ნაკურცხალი დაიყაროს, და
ამ ნაკურცხალზედა დანაყილი პილბილი და ან ხმელი პიტნა, ან
ხმელი ქონდარი და მხურვალი ხმელი ბალახები დაყარონ, და ასრე.
30 რიგად ზედ დაკუყდეს, რომე ამათი კუამლა მუცელსა და ბოქუენშიგა
შეუშვან, და მერმე თბილად დაწვენ და მოდრკენ, და მუხლები-
ერთმანერთსა შემოუქირონ და მაშინვე უშველის.

და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ზირა, გვირილას ბალახი,
აბზინდას ბალახი და ტუხტი, დაჯეკკონ და ერთსა ქვამშიგან წყლითა
კარგად მოადლუოს, და თბილ თბილსა ამა წყალშიგა წელთამდისი-
შიგ ჩაჯდეს და უკუუგდებს. და თუ წყლის მაგიერად ღვინო ჰქნათ
და ან შიგ ჩასვათ, და ან. საბანს ქუემ უოროთქლოთ და ისი სჯობს.

კიდევ ერთი მუცლის ტკივილი ეს არის, რომე ბალღამი და საფრა ორივე ერთმანერთშიგა აერევის, და ეს არეული საფრა და ბალღამი კაცსა წელეზშიგა შეეკნების და ამ რიგი მუცლის ტკივილი მისგან შეეკნების ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე როდისცა გარ გაეა, ამა გარ გაყუანაშიგა საფრა და ბალღამი, ორივე არევით გაატანოს.

10 ამისი წამალი ეს არის რომე ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და ცოტა და რბილი ოყნაო რომე საფრისა, ბალღმისა ქარისა და ყოვლისა ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და რაცა ავი და დამწვარი ხილთი კაცის გვამშიგა იყოს ყუელა უქირველად დაალურევიოს.

და თუ არ ეშველოს მერმე ეს წამლები უყონ: მოიტანე გილი არმანი და სამყი არაბი ოცდაათ ოცდაათი ღირჰამი, გავზაბანის თესლი, თოხმაქანის თესლი, ბარძაყათუნა ოც ოცი ღირჰამი, რეჰანის თესლი, მარსინის ხილი, და ბროწეულის ყუაგილი თხუთმეტ თხუთმეტი ღირჰამი, ასრე უნდა ეს წამლები რაცა თესლები იყოს არ დანაყოთ, და რაცა თესლებს გარეთ სხვა წამლები იყოს დანაყეთ და გაცერიოთ, მერმე ყუელა ერთმანერთშიგა აურიონ და სამსა დილასა ზედა ზედ ეს წამლები უზმომან სამ სამი ღირჰამი, და სამ სამი ღირჰამი დაწოლის დროსა, სხვებს შემკრავს შარბათებშიგა გაურიონ და 20 სვან, ძალითა ღთისათა უსათიოდ შეტკრავს და ესე წამლები ყოვლის გვარისა იზჰალისა ტკივილს უშველის.

და შაფი ზახირი ვარდის ერბოთა დაასოვლონ და უკანას კარიდაღმან აალებინონ. და მუყლი აზრაცი, ვარდის ერბო და კურკის ცილა, სამივე ერთგან აურიონ გაათბონ და თბილ თბილი ეს წამლები უკანას კარზედა და იმის გარეშემო დასცხონ.

ბოლო სრულად ამა ზახირების სენებსა ყუელა თბილ თბილი უნდა დასდევან, და თავიცა თბილად შეინახონ და სიცივესა ერიდონ, თვარამდა სიცივე ზახირისა სენსა უსათიოდ აწყენს, ტკივილსა და 30 გატეხასა მოუმატებს. ბოლო თბილი და მხურვალი ყუელა არგებს, და ცივი ყუელა აწყენს და აზიანებს.

და თუ ეს ვერ შეიტყოთ თუ ესე ზახირი ჰაყი არის თუ ბათილი, ასრე უნდა: მოიტანო ათიოდე მარცვალი ქეჩი ბოინუზის კურკა, და თუ ეს ქეჩი ბოინუზის კურკა არ იყოს, ისრევე ათიოდე მარცვალი ბოინ თესლი, ვითამცა უღბოს თესლი და ამა კაცსა ჩააყლაპინე, და როდისცა ეს კაცი გარ გავიდეს, გარ განავალი უნდა უნახონ, თუ ეს კურკები ცოცხალ ცოცხალი არ გამოჰყუა, იცოდი ბათილის სენი არის.

აგრევე ამა ზახირებისა სენებისა ერთი მწოვედ კაი და მრავალჯერ დაცდილი წამალი ეს არის, მოიტანე უცილო კუერცხის ყუითელი გული, ვარდის ერბოშიგა ამოურივე. მერე მოიტანე დანაყილი, გაცრილი და გარეცხილი მურდასანგი, უმარილი და სამყი არაბი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი უნდა ქნან, და ყუელა ერთად აურიონ გაათბონ და ბამბითა თბილ თბილი უკანას კარზედა დააკრან, რომე ეს წამალი ყოვლის ფერის ზახირებისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი და ტლე არის.

10 და თუ კაცსა ცხელება კი არა სპირდეს და ესე სენი და ზახირი უცხელებოდ სპირდეს მოიტანე მქადი და დადალულს ახალ რძეშიგა ჩააგდე, და რა კარგად დალბეს ამოილე და ქამე. რძის დადალვა ამას ჰქუიან, რომე ამა რძეშიგა ან გახურებულნი რკინა, და ან გახურებულნი ქვა ჩააგდონ.

და თუ ესე ზახირისა სენი და ტკივილი სიგრილისაგან იყოს, ყველასა დილასა ჰაბი ერშადი მოხალონ, და ესე ჰაბი წყალშიგა ჩაყარონ და ეს წყალი გაათბონ და თბილ თბილი ასვან, და ამა სენისათვის მწოვედ დაცდილი წამალი არის.

კიდევ სხვა მწოვედ დაცდილი წამალი, რომე უკანა კარის გატეხასა და ზიდვებას უშველის: მოიტანე მოხალული ნიგუზის გული 20 სამი დირჰამი, ნანხაჰ ერთი დირჰამი და საკმელი ნახევარი დირჰამი, ცალ ცალკე დანაყონ და მას უკან სამივე ერთად აურიონ და თბილის წყლითა გააყენონ და თბილ თბილი სვან, მწოვედ კარგად მოუხდების.

კიდევ ერთი კაი შაფი და წამალი ეს არის, მოიტანე თრიაქი, მური და ვშიდა და თეთრი საკმელი, აყაყია და ზაფრანა. ეს წამლები ყუელა სწორ სწორი ქენით და კარგად დანაყეთ, და გაცერით და კუერცხის ცილითა კარგად მოზილონ, და ნეკის სისხო შაფები შექნან და ამა შაფებშიგა ერთი მომსხო მკედი დაატანონ, და უკანას კარიდალმან აალებინონ, და როდისცა გამოლება უნდოდეს მკედს გამოსწიონ და გამოილონ, და მწოვედ კარგად უზამს, და ესე შაფი 30 ამა სენისათვის აქიმთაგან მრავალჯერ დაცდილი არის.

შუფრიდათი არის ვითამცა უკანას კარის გატეხასა და ზიდვებისა წურილსა და დაცდილსა წამლებსა გაამბობს.

ვინცა გოჯირდი დანაყოს და თხის თირკმლის ქონითა მოზილოს და ამისგან ჰაბები შექნას, და ესე ჰაბი ნაკვერცხალზედა დააკმიოს, და კაცმან ზედ გარდაილაჯოს, და ამისი კუამლი მუცელსა და სტომაქშიგა შეუშვას, მწოვედ კარგად მოუხდების და უშველის.

ვინცა სამყი წყალშიგა დაალობს, და მერმე ამა სამყის წყალშიგა ბრინჯი დაალობს, და მერმე თხის თირკმლის ქონითა მოზარმოს და ქამოს, უკანას კარის გატეხა და ზიდვება ორივე უშველოს.

ვინცა ბაქსიმათი ახალ დოშიგა ჩაყაროს და ჰამოს, გუცელ-
შიგა შეკრას.

ვინცა ტკბილი ბროწეული ორად გაქრას და ცომშიგა ჩადვას,
და მხურვალსა ნაცარშიგა ჩაფლას და შეწვას, მერე ცომისა და
ბროწეულის წყალი სწორად გამოსწურონ, და ერთსა ჯამშიგა ჩაას-
ხან, და ესე ჯამი ერთსა ღამესა გარ დადვას, და დილეულ უზმომან
სვას, უსათიოდ შეკრავს.

10 ვინცა ცერეცოს თესლი და ულბოს თესლი მთელ მთელი წყალ-
შიგა ჩაყაროს, და სამსა დილასა უზმომან სამ სამი კოვზი ამ
რიგად სვას, უსათიოდ შეკრავს.

ვინც მკურის დღვილი შვიდჯერ წყლითა გარეცხოს და მუსთა-
იყით აურიონ, და კუერ კუერად ქნან, და თვითო კუერი კაცსა
ქიპზედა დააკრან, უსათუოდ შეკრას.

ვინცა ქეჩი ბოინუზის ხილი და თეთრი საკმელი ერთად დანა-
ყოს, და ამაშიგა დანაყილი თუთუბოცა გაურიონ, და თბილის წყლითა
გააყენონ, და თბილ თბილი სვან, კაცსა უსათუოდ შეკრავს.

20 ვინცა თვითო ღირჰამი რეჰანისა და მრავალძარღვას თესლები
და თეთრი ანზარუთი მოხალონ, და ათი ღირჰამი შაქარი თბილის
წყლითა გაქნან და ეს წამლები სამიე შიგა ჩაყარონ და სამსა დილასა
ზედა ზედ ამ რიგად უზმომან დალიოს, უკანას კარას გატეხვასა და
ზიდვებასა, ორსავე ჭიშველის და კიდეცა შეკრავს.

კიდევე ვინცა უკანა კარი მწოვედ გასტეხდეს და გასულაშიგა
აზიდვებდეს, მოიყუანე ასეთი ვარია, რომე ჯერ კუერცხი არ დაედვას
და მუხუდლოთა მოხარშონ, რა კარგად მოიხარშოს მუხუდო და ვარია
ორივე ამოიღონ და ამ წვენშიგა უერბო ბაქსიმათი და მქადი ჩაუ-
ყარონ, და კოვზითა სამსა დილას ამ რიგად ცოტა ცოტა აქამონ,
და მესამესა და მეოთხესა დღესა წვენი და ხორცი ყველა აქამონ,
ალარას აწყენს და კიდეცა შეკრავს.

30 ვინცა ბია ოთხჯერ გაკუეთოს და წყლითა კარგად მოხარშოს,
რომე ეს ბია დადნეს, მერე ამოკულიტონ და გაწურონ და ამისი
წყალი ქუაბშიგა ჩაასხან, და ნელად და წყნარად ადუღონ, რომე
ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღონ და ბიის შარბათი იქნების. ამისგან
უზმომან რომე ხუთხუთი ღირჰამი წყლით გალესოს და სვას, უსათი-
ოდ შეკრავს და ზიდვებასა უშველის.

მქადი მხურვალე და ხმელია, ვინცა მქადი ჰამოს, კაცსა შეკ-
რავს და ზიდვებასა და უკანას კარის გატეხასა მწოვედ არგებს. და
კაცსა რომე შარდი მებუთვილი ჰქონდეს, შარდსა გზას გაუხსნის,
და მაშინვე შარდსა აქნევიანებს. სისხისათვისცა წამალი არის, მაგრა

აესა სისხლსა დაბადებს. და ამა მკადმან თუ კაცსა აწყინოს რძე და ან მსუქანი ხორცი აკამეთ და ნაწყენსა გაუგდებს.

ვინცა ტკბილი ნუშის ზეთი თბილ თბილი უკანა კარზედა და-
იცხოს, გატება და ზიდვება ორივე უშველოს.

თაბაშერი ჰინდი გრილი და ხმელია, ვინცა ესე თაბაშერი
წყლით გააყენოს და გალესოს და სამსა დღესა ზედა ზედ უზომან
სამი ღირჰამი სვას, მაშინვე შეჰკრავს და ყუანასა უშველის, მეტადრე
მაშინ, რომე ესე მუცელშიგა ყუანა საფრისაგან იყოს.

10 ლწ. კარი მყოცდა თურამეტე. კაცისა და ანუ მარტვილისა
უკანა კარის გამოქცევისა, ზიდვებისა, გატებისა და სისხლის წვე-
თისა მუხეზებისა, ნიშნებისა და წამლებსა გვიამბობს.

თუ კაცსა და ან მარტვილსა უკანა კარი გამოექცეს და ძნელად
შეუვიდოდეს, ამისი წამალი ეს არის: მოიტანეთ ცხურის ქლიკი და
ან რქა და კარგად დაწვით; დანაყეთ და გაცერით, და ამისივე წონა
კრკო და ბროწეულის ყუაველი, შაბი, დანაყილი გუნდა და ვარდი,
და მარსინის ფოთოლი და ბროწეულის ქერქი ამათგან ყუელა სწორ
სწორი ქენ და ეს წამლები ყუელა ცოტად დანაყონ და წყლით
20 მოადლონ და ამდენი ხარშონ, რომე ამა წამლებისა ძალი და
ხასიათი ამა წყალშიგა გამოვიდეს, და მერმე ეს უკანა კარ გამო-
ქცეული აღამიანი პაშტასა ხანსა წელთამდისი ამა წამლებშიგა ჩასეან
და მერმე ფეხზედა ააყენონ, ორივე ხელები ნაწყლზედა შემოუქირონ
და ეს გამოქცეული უკანა კარი ისრევე უკუ უბრუნონ, და ცოტასა
ხანსა კიდევ ჩასეან და მყოედ კარგად უზამს, და უკანას კარის
გამოქცევასა უსათუოდ უშველის.

აგრევე თუ მარტვილსა უკანა კარი გამოუვიდეს, და ან უკანა
კარი გასტებდეს და სტკიოდეს, ასრე უნდა უკანას კარიდალმან შაფი
ზახირი ააღებინონ და კურდღლის დურიტა გაახმონ და დანაყონ და
ოთხი ლობიოს წონა ეს კურდღლის დურიტა წყლით გაულესონ და
ასეან. და თუ კურდღლის დურიტა არ იყოს, ან ბატკნისა, ან თიკნისა
30, დურიტა ამავე რიგად დანაყონ და გაცრან, და ოთხის მარტვილის
ლობიოს ცერცვის წონა წყლით გაულესონ და ასეან.

და საქმლებისაგან ამ რიგი საქმლები აკამონ: ნუშის ზეთითა
შექნილი ბრინჯის შეკამალი კამონ და სახამებლიანი საქმლები კამონ,
და შემკრავი შარბათები სეან, სანდლისა, უდისა, ბროწეულისა,
ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა და უშხუნისა შარბათი სეან, და
ცხურის ფეხები ამავე მეთავეშიგა მოხარშონ დი აკამონ და ლ'ითთა
უსათუოდ ეშველების.

კიდევ ამევე რიგი სენი არის, რომე კაცსა უკანა კარის ნაპირები დაუსქდების. აწე თუ ესე უკანას კარის დახეთქა სიმზურვალისაგან არის, ამისი ნიშანი ეს არის, რომე ყოვლი ძარღვეები საესე საესე ექნების, და უკანა კარიცა ცხელი ექნების. აწე ზა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდი ესე სენი სისხლისა და საფრისაგან წაჰკიდებია და სიმზურვალისაგან.

ამისი წამალი ეს არის, რომე საშუალის მკლავის ძარღვიდალმან ზომიერი სისხლი აღინონ და ორსავე თეძოზედა კოტოში მოჰკიდონ, და ან ორივე თიქნები გაიხსნან, და ღთითა მაშინვე ეშველებს.

10 აგრევე თუ კაცსა უკანა კარი უსივდეს და ესე სიმსიენე სიმზურვალისაგან იყოს, და ან უკანა კარი ეწოდეს, მოიტანე ვარდის ყუავილი და კვერცხის ცილა და ერთგან აურივე, ორივე ტყუივაზედა კარგად დანაყონ, რომე ტყუივის სიშავე აილოს და ტლედ ქნან, და ბამბითა უკანას კარზედა დააკრან და უშველის.

20 და თუ ამან არ უშველოს ქაფურის მალამა ამევე რიგად უკანას კარზედა ბამბითა დაადვან, ამ სენისათვის მწოედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის. და თუ ესე სიმსიენე და დახეთქა სიგრილისაგან იყოს, მუყლის მალამა ამევე რიგად ჟსდა დაადვან, და ესე მალამა მწოვედ კარგად უზამს, და ქავილსა და სიმსიენესა ორსავეს მაშინვე უშველის, და გახეთქილსა ისრევე გამოაბამს ძალითა ღთისათა.

კიდევ თუ კაცსა უკანა კარი მწოვედ ჰქოდეს და გამოსძგერდეს, იცოდი, უკანას კართან უსათიოდ წურილი ჰია ასხია და მისგან არის.

30 აწე ამისი წამალი ეს არის, მოიტანე საბრი და ძროხის ნავლელი და პიტნა და სამივე წონითა სწორ სწორი ქენ, და პირველ საბრი და პიტნა ხოლმე დანაყონ და მერმე ძროხის ნავლელითა გააყენონ, და ნეკის სისხო ბამბის პატრუქი დაგრიხონ და ამა წამლებშიგა ამოსეარონ და უკანას კარიდალმან აალებინონ, მწოედ კარგად უზამს, და რაცა ჰია უკანას კართან ასხია, მეორეს დღესა ამა ჰიას ყუელასა დააყრევინებს, და კაცსა გასწმედს. და თუ კაცსა ჰია არ დასკვივდა, და ან ესე ქავილი ჰიის მიზეზისაგან არ არის და ისრე ჰქავის¹, და ისრე ქავილი წვასავით ჰქონდეს და ან მოფხანას უკანა დაეწვას იცოდი, ესე ქავილი სოკოს ქარი არის და პირველი სოკოს სენის თავის აღება არის.

ამისი წამალი ეს არის, რომე მკლავი გაიხსნან და საშუალის მკლავის ძარღვიდალმან ან ზომიერი სისხლი იდინოს და ან თავსა

¹ ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და კუნთებზედა კოტოში მოიკიდონ, და მოხარშული აფთიშონი სენ, ჰაბი ღარიყუნი ჰამონ რომე ბევრი არწყიონ, და სეველიანსა და ხმელსა საქმლებსა ერიდონ, ვითამცა ხმელსა ხორცსა, ხმელსა თევზსა, ხმელსა ყველსა, ჯეირნისა და ირმის ხორცსა, შულისა და კურდღლის ხორცსა და ყოვლსა მლაშესა და ცხარესა საქმელსა, ამას ყუელასა ერიდონ, რომე ყუელა აწყენს. და უკანას კარზედა მუღამ მუყლი ჰაზრაყი და ჰერემის კურკის ზეთი ერთგან აურიონ, გაათბონ და უკანას კარზედა შეიცხონ და ჰკურნებს.

10 კიდევე თუ კაცსა უკანა კარი გამოეჭეცეს და დაკოდლიცა ჰქონდეს, და სისხლიცა სდიოდეს, პირველ იმა შემკრავის წამლებითა და შემკრავის შარბათებითა უკანა კარი გამოიბანონ, და მას უკანა ეს წამლები ზედ დააყარონ: მოიტანე დანაყილი და გარეცხილი მურდანანგი რუა ღირჰამი, ყირმიზი ვარდი და თუთუბო ოთხ ოთხი ღირჰამი, მური ორი ღირჰამი, ასრე უნდა ეს წამლები წმიდად დანაყონ და გაცრან, და როდისცა კაცსა უკანა კარი გამოეჭეცეს, და ან იმა შემკრავისა წამლებითა გამოიბანოთ, მერმე ესე წამლები ზედ მოაყარეთ და ხელი მოუკირეთ, და ესე გამოქცეული ნაწყლი ისრევე შეუკრიფეთ და მწოვედ კარგად უზამს.

20 და ესე წამალი და ესე შაფი კაცსა რომე უკანა კარი გამოეჭეცეს და სისხლიცა სდიოდეს, მისთვის მწოედ¹ კაი შაფი არის¹: მოიტანე მური და აყაყია და ბაზულ ბანჯი, ვითამცა ლენცოფაო, სამყი არაბი და თეთრი ბრინჯი, ესეები ყუელა თვითო თვითო ღირჰამი ჰქენ, დანაყე და გაცერ და ან მარსინისა, ან გაუზბანის წყლითა მაგრად მოზილე, და ამისგან ნეკის სისხო შაფეები ჰქენ და უკანას კარიდაღმან აალებინონ, სისხლსა დასწყუეტს და უკანას კარის გატეხასა და ზიდვებასა უშველის.

30 კიდევე სხვა შაფი და წამალი: მოიტანე საჰფი, მური, თრიაჰი, საკმელი და ზაფრანა, და ეს წამლები ოთხივ სწორ სწორი ჰქენ, ყუელა დანაყონ, გაცრან და ქინძის წყლითა მაგრად მოზილონ და ამისგან ნეკის სისხო და გრძელი შაფეები შექნან, და ამა შაფსა შუაშიგა მსხვილი და გრძელი მკედი დაუმწყვდიონ და უკანას კარიდაღმან აალებინონ, მწოედ კარგად უზამს და როდისცა ამა შაფის გამოღება უნდოდეს, მკედს გამოსწიონ და გამოიღონ.

მუფრიდათი არის ვითამცა წურილი და დაცდილი წამლები. რომე ამითა უკანა კარის გამოქცევასა, სისხლის დენასა, გატეხასა და ზიდვებას წამალი ექნება.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინცა ძროხის წვივის ტვინი, ან ქერქის ცომითა და ან სახამებლითა მოზილოს და მალამასავითა შექნან, და ბამბითა უკანასკარზედა დაადვან, ნაწყლის გამოქცევისათვის მწოვედ. კარგი არის.

თუ მარტვილსა მუცელმან შემოსტიველის, მოიტანე ან სუზაბისა და ან აბზინდას ბალახის წვენი, და ამაშიგა სამოსელი დაასოვლონ, და მარტვილი გულ აღმა დააწვინონ და მუცელსა და ბოქვენზედა გარდაკრან და მუცლის ტკივილსა უშველის.

10 ვინცა რეჰანის თესლი, მრავალძარღვას თესლი და თეთრი ანზარუთი სამივ თვიფო თვითო ღირჰამი ჰქნან და ესეები მოხალონ, და ამა თესლებშიგა ათი ღირჰამი შაქარიცა გაურიონ და მერე თბილის წყლითა გალესონ და ყოველთა დილასა ამა წამლებისაგან ამრიგად თვითო თასი ასევან, მწოვედ კარგად უზამს.

ვინცა ერთი ღირჰამი უზანლულის თესლი და სამი ღირჰამი ზირაი ქირმანი დანაყოს და წმიდად გაცრას, და მარტვილისა დედის რძითა გალესონ და მარტვილსა ასევან, ნაწყლის გამოქცევისა და მუცლის ტკივილსა ორსავე უშველის. და თუ ეს მარტვილი მოზდილი იყოს, მოიტანე ბრინჯი და მოხალე და ცარიელის წყლითა ხოშკაფლაგად მოხარშე და დოთა აქამე, და მაშინვე მარტვილსა მუცელშიგა შეკრავს, და უკანას კარისა ტკივილსა და ზიდვებას უშველის.

20 მაგრა თუ მარტვილის გარ განავალსა ავი სული უდიოდეს, შესაკრავი წამლები არ უნდა ასევან და აქამონ. და თუ გარგანავალსა ავი სული კი არ უდიოდეს და ისრე თხელზედ იყვანდეს, მაშინ რასაცა ან ასეთსა ასმევთ და აქმევთ რომე შეჰკრათ, და ისი სჯობს.

თუთია გრილია, ხმელია, ვინცა ეს თუთია წმიდად დანაყოს და გაცრას და თბილის წყლითა გააყენოს, და უკანას კარსა და იმის გარშემო თბილ თბილი დაიციხოს, უკანას კარის სიმსივნეს უშველის.

30 ვინცა ღურახოთი, ვითამცა და კამაო, დაწვას, დანაყოს და გაცრას და ვარდის წყლითა გააყენოს, და გაათბოს და შეიციხონ ან საფსლეშიგა ჩაიწვეეთოს ყლის ტკივილისათვის, საშოს ტკივილისათვის და უკანას კარის გატეხისა და ტკივილისათვის, ყუელასათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა მაჯუნი მუყლი კამოს, ან გალესოს და სევას, მწოვედ კარგი არის.

ვინცა მარსინისა და ყირმიზის ვარდის ფოთოლი წყლით მოხარშოს, უკანა კარგამოქცეული მარტვილი იყოს თუ დიდი კაცი, წელთამდისი თბილსა ამა წამლებშიგა ჩასევან, უკანას კარის გამოქცევა ეშველოს.

და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, ზოგთა აქიმთა ასრეცა უთქუაშს, რომე თუ კაცსა უკანა კარი გამოოუვიდესო და მწოვედ გამოექცესო, ვერამ წამალმან ვერ დაუყენოსო და მწოვედცა სტკიოდესო, კიდეცა შეეკრონო და კიდეცა დადაღონო, მწოვედ კარგად უზამსო, მაგრა ჩუენი აქიმობა და რკინის საქმე და ცეცხლით დადაღვა მწოვედ შორი შორ არისო.

**ლთ. კარი მერცლა ცხარამბე. ბაუნისა, თირკმლისა და ბუზბის
ტაივილინა, შირიმისა და შარდის დახუთვისა**

10

და ანუ რომე კაცსა შარდი დროსა და უდროოს გაზდიოდეს, და ან სწვეთდეს, და ან ქვეშ იფსემდეს, და ან რაცა თირკმლის თალუბი, ვითამცა რაცა თირკმლის კერძო საქმეები არის, და ან რაცა არგებს, ან აზიანებს, ეს კარი იმისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიანბობს ¹.

20

აწე ესე უნდა იცოდეთ—კაცობა, შარდის დაქირვა, შირიმის ქუის შექნა და ანუ შარდის შეხუთვა, ეს ყუელა თირკმლის სიმბურვალისა. და თირკმლის ძალისაგან იქნების. და ესეცა უნდა იცოდეთ, კაცი რომე სარჯლითა და ძნელად ფსემდეს, და კაცსა შარდი სრულად შეეხუთოს, ან რომე კაცი შარდსა ვერ იქირევდეს, და დროსა და უდროსა კაცსა შარდი გაზდიოდეს და ან სწვეთდეს, ესე ორივე სიგრილისაგან იქნების. და იშვით მოჰხდების, რომე ესე სენი სიმბურვალისაგან იყოს.

30

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ან ალიონის და ან უნსულის შარბათები ასეან და ენისუნისა, ცერეცოსა, ნიახურისა და ნესვის თესლები და ზირა ცოტად დაჯეკკონ, ყველა ერთად მოადულონ, გაწურონ და ცოტად მოანელთბილონ, ან შაქრითა და ან თაფლითა შარბათად ქნან, და თბილ თბილი სეან, მაგრა მწოვედ ცხელი კი არ უნდა სეან, თვარემ მწოვედ აწყენს, და უფრო მწოვედ შეჰკრავს.

და საკმლებისაგან: თაფლი, მუხუდოსა შეკამადის წვენი, სტაფილოს შეკამადი, ხახვი, ნიორი, თალგამი, ალიონი და წიწმბატი კამონ, ან იმა სტაფილოსა და მუხუდოსა გამოხარშონ და ისრე კამონ.

და ვინ იცის და ესე სენი სიმბურვალისაგან იყოს, ამისი წამალი იისა, ვარდისა, ლულუფრისა და ამავე რიგი გრილი შარბათები

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ალიონი სატაცურსა ჰქვიან, ამა სატაცურის, ტბილის ბროწეულისა და ლუქმარას ეკლის შარბათი თაფლითა შექნან და ხშირად ასეან“.

არის, თუთუბო, ნარდანგი, კოწახური, მკევე მაწონი და მკევე დო აქამონ, მხურვალსა არიდონ და გრილსა ნუ დაუწყალობებენ, და მაშინვე გახსნის და შარდსა აქნევინებს. ხარი ხასაქის შარბათი და უღის შარბათი არის, ხარი ხასაქ ლუსმარას ეკალსა ჰქუიან, რომე თათარნი დემურ თიქანს ეძახიან, ამათი შარბათები გალესონ და ასეან, შაქრითა საზამთროს წყალი ასეან.

და თუ ესეები არ იყოს, კიტრი, კიტრის თესლი, შუმხიარის თესლი, საზამთროს თესლი და თოხმაქანის წყალი, რომელიც იყოს, შაქრითა ასეან, და საზამთრო, კიტრი, ბია და სალათა აქამონ.

10 აგრევე კაცი რომე ძნელად ფსემდეს, ამა სენსა იოსარი ჰქუიან. აწე ამა ძნელად მოფსმის მიზეზი ან იქნების დაკოდლობისაგან, ან მალლიდალმან ჩამოვარდნისაგან, ან სტომაქის და გვამის სისუსტისაგან, და მეტის სიგრილისაგან, ან ძალიანის ქარისა და სტომაქის აშლილობისაგან, ან ცუდისა და ავის ხილთებისაგან, რომე ამა ხილთებმან ბუშტის თავი შესტაცოს, ან შირიმის ქვა დაუდგეს, ან დამპალი და დაბევილი სისხლი იქნების, და ესე სენი და უფსმელოზა მისგან წაეკიდების.

20 აწე ამისი წამალი ეს არის: თუ ესე სენი და კირი ან მალლი-დალმან ჩამოვარდნით იყოს, ან დაკოდლობით იყოს, ან ძალიანად დაცემისაგან იყოს, და ამათგან წაჰკიდებოდეს, ასრე უნდა, მაშინვე მკლავე გაუხსნან და მკლავის საშუალის ძარღვიდალმან კარგად ზომიერი სისხლი აღინონ, და თბილსა დოშვიგა წელამდისი ჩაჯდენ. და ზეთისა და ვარდის ერბო ერთგან აურიონ და ტანზედა შესცხონ. და თუ გინდოდეს უშალი, რომე დანაი ჩადირი ჰქუიან, მოლოქურის წყლითა გააყენონ და ტანზედა შესცხონ. და თუ გინდოდეს ესე წამალიცა შეუსვით: მოიტანეთ შინაურის იის ერბო, ან იასამანის ერბო და ისევე დანაი ჩადირი, მოლოქურის თესლი და ფარფიონი დანაყონ და ამა ერბოებშიგა გაურიონ და შესცხონ, და თუ ყუელა ერთად არ იყოს, რომელიცა იყოს ყუელა კაია, ნუ დაუწყალობებთ 30 და შეუსვან.

და თუ შარდი სრულად შეეხეთოს, ადრალუ ბაკლის წამალი უყონ და ან ასეან, და ან სარტყელსა ქუემოთ შესცხონ და წელთამდისი ამა წამლებშიგა ჩაჯდენ, რომე მაშინვე შარდი აქნევინოს.

და თუ ესე სენი სიმხურვალისაგან სქირდეს, ძალლის ყურძენას წყალი და თოხმაქანის თესლის წყალი ასეან, და ამა წამლებმან თუ ვერ გახსნას, ცოტა რბილი ოყნა უყონ, რომე ოყნაი ლეინა ჰქუიან, რომე კაცი გახსნას და ყოვლის ავის ხილთისა და ქარისაგან გაწმიდოს.

და თუ ესე შარდის დაქირვა ან შირიმის ქუისაგან, ან სხვის საქმისაგან იყოს, რომე საფსლეშიგა ქვა დასდგომოდეს და ეს შარდი იმას შეეხუთოს, ამა შირიმის ქვის ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა შარდი წვეთ წვეთად სდიოდეს და მწოვედ სარჯლითა მოფსემდეს, და საფსლის ხურელი კიპსავეითა გაღებული ჰქონდეს და პირი უკუეშალოს. რა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით, ამა კაცსა დასტურად შირიმი სქირს და მისგან არის.

10 ამისი წამალი ნუშის ზეთი, მსუქანი ხორცი და მოჭთადილი და შემრგო საქმლები აქამონ, ერიშთას შექამადი, ისპანახი, ახალი აყირო, თოხმაქანი, მაში, ნუშის ზეთითა და ამა წამლებითა შეკაზმონ და აქამონ. და თოხლო კუერცხიცა აქამონ, და ხორცი ცოტა უნდა აქამონ: ცხურის ხორცი, ვარია, მსუქანი ქათამი; ხოხობი, კაკაბი და ღურაჯი კამონ. და რაცა მოსახარშავი ხორცები იყოს, ან ამა ბალახებშიგა, ან ისრე მოხარშონ და ცოტა ცოტა კამონ. ჯავ ავი, იისა და ლულუფრის შარბათი, ქლიავის შარბათი და ჯულაბი სვან. და ბიის გულის ლოაბი, უბიწოს ქალის რძე და ვარდის ერბო ეს წამლები სამივე ერთმანერთშიგა აურიონ და ამა წამლებითა ოყნა ქნან.

20 კიდევ თუ კაცი ზნ ბუშტსა, ან თირკმელშიგა ზიანად იყოს და ან მიჭირვებისაგან დაკოდლილი ჰქონდეს და ან მუწუკი ესხას, ამისი ნიშანი ეს არის, კაცმან რომე მოფსას, ფსელს უქანა ამა ფსელსა ბაყლი და ქაფიანი რამე გამოჰყუების, და ამა შარდსა ავი და ძნელი სული უდიოდეს, და როდისცა კაცმან მოფსას, სარცხვენლის თავი და საფსლე, ორივე ეტკივნოს და დაეწვას.

30 ამისი წამალი ეს არის: ან ძალიანი ოყნა უყონ ან ასეთი გასახნელი წამლები ასვან და აქამონ, რომე მწოვედ გახსნას და გაწმიდოს. და ასეთი წამლები უნდა სვას და კამოს, რომე არწყევინოს. და ამ რიგმან კაცმან მწოვედ მთავე, მწოვედ ტკბილი, მწოვედ მლაშე, მწოვედ ცხარი საქმლები არ უნდა კამოს. და ისივ საქმლები ამას აქამეთ, რომე აქავ შირიმისა სენზედა დაგვიწერია, და საფსლის ხურელშიგა უბიწოსა ქალის რძე ჩააწვეთონ.

და თუ კაცი ძნელად და წვითა ფსემდეს, და ან კაცი სისხლსა ფსემდეს მისი წამალიცა ესევე არის. და შარბათი ხასაქი, ვითამცა და ლუსმარას ეკალიო, გაგზაბანის შარბათი, და შარბათი ანჯუბა ასვან, რომე ამა შარბათებშიგა ცოტაოდენი გევანის ქათირა, ცოტაოდენი დანაყილი ქარვა, ამავე შარბათებშიგა გაქნან და ისრე ასვან, სანდლის შარბათი და გილი არმანიცა ასვან. ესე წამლები და ესე შარბათები მწოვედ კარგად უზამს, და სისხლსა უსათუოდ დასწყვეტს, და აღარ მოათსმევიინებს.

და თუ ესე შარდის დახუთვა სისხლისა სიმბურვალისა, სისხლისა სისქისა, და ან სისხლისა დაბევილობისაგან იყოს, მოიტანე შაბი და ერთსა დღესა და ღამესა ძმარშიგა დააღბონ და მერმე გაწურონ და ზომიერი შაქარი ჩაავდონ, მოადულონ და ყავამზედა მოიყუანე, და ყოვლსა დილასა ამისი შარბათი ასეთით.

და თუ ამა შარდის დაქირვა ქარისაგან იყოს, მოიტანე მაიუსული, ნუშის ზეთითა ასვან, მწოვედ კარგად უზამს.

და თუ ესე სენი შირიმის ქარისა და მიქირვებისაგან იყოს, წელთამდისინ შირბითის წყალშიგა ჩასვან, და მწოვედ არგებს.

10 თუ კაცსა შარდი დაქირული ჰქონდეს, მოიტანე ცერეცო და წყლით მოადულონ, და ცოტა იის წყალიცა გაურონ და ზომიერი თაფლი ჩაავდონ, მოადულონ და კიტრისა და ნესვის თესვები დანაყონ და წყალი გამოაშხადონ, და ესეც ამა ცერეცოს წყალშიგა ჩაურონ, მოადულონ, ყავამზედა მოიყუანონ და სვან. ესე შარბათი ამა სენისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის. მაგრა ესე შარბათები და წამლები მწოვედ ცხელი არ უნდა სვან, თვარამდა ესე იცოდით, მწოვედ შარდსა უფრო შეხუთავს.

კიდევ რომე კაცსა შარდი მუდმად გაზდიოდეს, ან შარდი სწვეთდეს, ან ძილშიგა ქუეშ ჩაიფსემდეს, და ძილშიგა ფსელსა ვერ დაიქირაედეს, 20 ესე სენი უფრო სიგრილისაგან და წელთ მოშლისაგან დაემართების.

ამა სენის წამალი ეს არის, რომე მხურვალე მაჯუნები და ჰაბები აქამონ, თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, ფალასუფას მაჯუნი, ზაფრანის მაჯუნი და ესე საკმლის მაჯუნიცა მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის, რომე აქამონ. მოიტანე: ყუსტი, მუშკი, თოფალახი, წითელი ყურძენი და ასტახუდუს ვითამცადა თავშავას ბალახის ყუავილიო, ზირა და საკმელი, ესე წამლები ყუელა დანაყე, გაცარ, და რაც სრულად ეს წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონა თაფლი მოიტანე, მოადულე და ქაფი მოჰხადე, და აღულე რაემცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, ესე წამლები ყუელა 30 შიგ ჩაყარეთ და კარგად მოზილეთ, და საკმლის მაჯუნი იქნების. ასრე უნდა, ამა მაჯუნისაგან სამსა დრამსა დილეულ უზმოსა აქმევდეთ, და სამსა დრამსა დაწოლის დროსა სკამდეს, ესე მაჯუნი შარდის დენისა და წვეთისათვის მწოვედ კარგი არის, და შარდის დენასა უსათიოდ უშველის. და უდისა, და ხარი ხასაქის შარბათი ასვან, ხარი ხასაქ ლუსმარას ეკალსა ჰქუიან, რომე თათრულად დემურ თიქანსა ეძახიან.

და საკმლებისაგან თუთუბო, კოწახური, მოცხარი, ისრიმი, ნარდანი, ხართუთა, მევეე მაყუალი, რომელიცა იყოს შეკამადად

შექნან, მხურვალე იარაღები და მხურვალე ბალახები ურიონ, შიგა გამოხარშონ და აკამონ. და თუ კაცი შარდსა ვერ იკირვედეს და შარდი გაზდიოდეს მწოვედ მეთევე, მწოვედ ტკბილი, მწოვედ მლაშე, და მწოვედ ცხარი საკმლეები არ უნდა კამონ, თვარემ მწოვედ აწყენს.

კიდევე წამალი, რომე შარდის დენასა და წვეთასა უშველის და მოსწყუეტს: მოიტანე წაბლი, კრკო და მური, რასინი რომე ანდუზი ქვიან, საკმელი და თოფალახი, თაეშაეას ბალახის ყუავილი, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, დანაყე და გაცარ და ამა წამლებშიგა ზომიერი შაქრის მყინვარი გაურივეთ და ამა მაჯუნისაგან 10 ორორსა დრამსა დილეულ უზმო სკამდენ, და ოროლსა დრამსა დაწოლის დროსა.

კიდევე ერთი შარდის გადენის სენისა ეს არის, რომე კაცსა შარდი მუდმად გაზდიოდეს და შარდის გადენას ვერ შეიტყოზდეს. ამისი მიზეზი სიგრილისა და თირკმლის სიცივისაგან იქნების.

ამისი წამალი რწყევა და გოგირდის წყალში ჩაჯდომა არის. და გოგირდის წყალი ამასა ქუიან: მოიტანე გოგირდი და წყალშიგა ჩაყარე და მოადლოე, და თბილსა ამა გოგირდისა წყალშიგა წელთამდისი ჩაჯდენ და სუზაბისა და ფარფიონის ერბოები გაათბონ და კიპსა, ბოქვენსა და წელზედა შესცბონ, და ესე მაჯუნი აკამონ: 20 მოიტანე საკმეველი, მარსინის თესლი, თოფალახი და მუხლაყის თესლი და ხოლინჯანი და კირფა, ვითამცა და ნეკრის დარიჩინის ხის ტყავიო, და ეგირი და ანზარუთი, ამა წამლებისაგან ყუელა სწორ სწორი უნდა ქნან, დანაყონ და გაცრან და შაქრითა მოზილონ და ამა მაჯუნისაგან სამსა დირჰამსა დილეულ უზმა, და სამსა დირჰამსა დაწოლის დროსა აქმევედენ, და ამა მაჯუნსა ამავე რიგად გალესავდენ და სვამდენ, მწოვედ არგებს.

და აქიმთა ესეცა უთქვამს: ამა სენისა შემწვარი მელის ხორცი მწოვედ კარგად უზამსო.

კიდევე სხვა წამალი რომე სალასილ ბავლსა და შარდის დენასა 30 და წვეთასა უშველის: მოიტანე კრკო და პიტნა და ბილნუზის თესლი და ერკამლის ბუშტი, რომე ესე ბუშტი პირველ გაახმო, და დასწვა და დანაყო; და ამავე ერკემლის ნავლელი და ეს წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, და ამავე ბილნუზის წყლითა გალესონ და სვან, მწოვედ კარგი და დაცდილი წამალი არის ამა სენისათვის და უშველის¹.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე სწერია დედნის ხელით: „ვინც გარეული პიტნა ჰამოს [ე]შმაქმან აღარ და [სძლიო]ს. და ვინც ესევე მო[ხარ]მოს და ამისი წვენი [თაფ]ლითა სვან, დაქირ[ული] შარდი გახსნას“.

მუფრიდათი პრის ვითამცა შარდის დენისა; შარდის შეხუთვისა და შარდის წვეთისა, წურილსა და დაცდილსა წამლებსა გაიმბობს.

ერთმან კაცმან რომე ვერ მოფსას და შარდი წვეთ წვეთად სდიოდეს, და საფსლეცა ეწოდეს: მოიტანეთ ორი დირჰამი საკმეველი დანაყეთ და გაცერით, და ორსა დრამსა შაქარშიგა აურიონ, და სამსა დღესა ზედა ზედ უზმომან ამ რიგად ჰამოს, უსათიოდ უფსმელობა ეშველების და მოათსმევინებს, და რა შუე გარდაბრუნდეს აღარა უნდა რა ჰამოს.

10 ბოლო რატ აქიმმან თქუა: ერთსა კაცსა რომე საფსლეშიგა ქვა ედვას, მართლად ვერ მოფსემდესო და შარდი წვეთ წვეთად სდიოდესო, და დენასა უკანა ყლის თაეი და საფსლე კიდეც დაეწვასო. ასრე უნდა: ბოლოკი დაფხიკონ და რძით მოხარშონ, და სამსა დღესა ზედა ზედ ამ რიგად ჰამონ, და უსათიოდ შარდის გზასა გაუხსნის.

ვინცა ენისუნისა და რაზიანას თესლები სამიე ან ერთად და ან ცალკე დანაყოს და გაცრას, შაქარი აურიოს და ჰამოს, მაშინვე კაცსა შარდზედა გახსნის.

20 ვინცა დემურთიქანის ძირი ან ფოთოლი, და ან გარეული პიტნა დაჯეკვოს, და წყლით მოხარშოს, და ამის წყალშიგა თათლი გამოლესოს და სვას, უსათიოდ საფსლე გაეხსნას.

ვინცა მუყლი და ჯაეშირი დანაყოს და ძროხის ქონითა მალამად შექნას და ტანზედა შეიცხოს, შარდსა გზას გაუხსნის.

ვისცა შარდი შეხუთვილი ჰქონდეს, მოიტანე სტაფილოს თესლი და დანაყე, წყლით გაუყენე და ასვი, მაშინვე შარდსა აქნევინებს.

თალგამი მხურვალი და ხმელი არის, კაცსა თირკმელსა და ზურკსა ორსავე გაუცხელებს, და კაცმან რომე ამა თალგამის თესლი დანაყოს, წყლით გააყენოს და ასვას შარდს გზას გაუხსნის.

30 ჩოლანი, ვითამცა და მთის კარხალიო მხურვალია და ნედლია. ეს რომე კაცმან ჰამოს ან სვას, ფსლის გზასა გახსნის და შირიმის ქვას დაღეწს. მაგრა ასრე უნდა, ეს ჩულუნდური ორის დირჰამისაგან უფროსი არ უნდა ჰამონ, თვარემდა კაცს მწოვედ აწყენს. და თუ ამან კაცსა აწყინოს ასრე უნდა, ამაზედა გევანის ქითირა ჰამოს და ეშველების.

ნიორი მხურვალია და ხმელია, ბევრის ნივრის ჰამა კაცსა შარდზედა გახსნის.

გარეული ნიახური თირკმელშიგა რომე ქვა იყოს დაღეწს და დაჭირულსა შარდსა გახსნის.

რაზიანა, ვითამცა და ცერეცო, მხურვალე და ხმელია, ვინცა ესე ცერეცო ჰამოს, ან დანაყოს და ამისი წვენი სვას, ფსლის გზასა გახსნის, და ფსლის გზასა და თირკმელთა, ორსავე გასწმედს, და კაცსა რომე მუღმად ფსელი სდიოდეს, იმასცა უშველის.

დედაკაცსა რომე დედათ წესი შეეკრას, იმასცა გახსნის და ჩამოადენს.

ვინცა ნიახურისა, პრასისა, ცერეცოსა, კამასი და ულბოსა ან ბალახი, ან თესლები ცოტად დაჯეკონ და წყლითა მოადულონ, და ამათისა წყლითა თათლი გალესონ და სევან, მაშინვე შარდის გზა გახსნას.

ენისუნი, მხურვალე და ხმელია, კაი ბალახი არის, გულსა და სტომაქსა ძალს მისცემს. კაცმა რომე ესე ენისუნი ჰამოს, ან მოხარშოს და თათლითა ამისი წვენი სვას, დაჰირულსა შარდსა გახსნის.

შაპთარა გრილია, მწოედ გამხსნელია, ყოვლის მხურვლის სენის წამალი და აქიმი არის. ვინცა ესე შაპთარა ჰამოს, ან ამისი წყალი სვას, შარდის გზა გახსნას, და შარდი აქნევიროს. ვინცა ესე შაპთარა მოხარშოს და ამისი წყალი სვას, შირიმისათვის და თირკმლის ტკივილისათვის მწოვედ კაი არის¹.

ტუხტი გრილია და ხმელი, ვინცა ტუხტის ძირი მოხარშოს და ღვინითა სვას, კაცსა რომე შარდი²

[მ] კარი მეორმოცე³: ყვერების ხიშხივნისათვის, ულის გადიდების წამლებს [გამცნებს და გაამბობს].

აწე თუ კაცს ულე გაუსივდეს, დედაკაცთან დაწვეს, მაშინვე მორჩების, დიახ მრავალჯერ დაცდილი არის.

თუ კაცს ყვერები გაუსივდეს და მაგარი ქონდეს, ასე რომ ქვასავით იყოს და ამ სიმსიენის თერი წითელი იყოს, ან ყირმიზი იყოს, იმისი წამალი ეს არის; მაშინვე უნდა რომ მკლავი გაუხსნან, ან ქვემო ან საშუალო ძარღვისაგან კარგად ზისხლი ადინონ, კუნთშიაც ან გაუხსნიან ან კოტოში მოჰკიდონ. თუ სუსტათ არ იყოს ის კაცი, სარწყვეელი წამალი მიეცით, რომე არწყვიოს. მერმეთ ბაკლის ცერეცვი დაფქვან, ან თათლითა, ან ძმრითა, ან ფურის ერბოთი ხა-

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: ლი ძროხის ზედა შეიცხოს შარდი აქნევი ოედ დაცდილი". ქვემო აშიაზე კი სწერია რვეულთა სათვალავი "კდ".

² აქ ტექსტი წყდება. ტექსტს მეორმოცე კარი მთლიანად აკლია, მხოლოდ ბოლოდაა დარჩენილი; ეს კარი აღდგენილია ვარიანტის C-ს მიხედვით.

³ ვარიანტში "კარი ოცდა ათი".

ვიწად შექნან, ეს ხაეიწი დღეში ორჯელ თბილ თბილი სამოსლის ნაკრით ყვერებზე და ყლეზედ დაიდვან, მწოვედ კარგად უშველის.

ვინც ანაკვეთი და მარილი ერთმანეთშიგან აურიოს და ერბო-თი და ხაეიწათა ქნას და ყვერებზედ დაიდვან, უსათუოდ ტკივილს უშველის.

ვინც ძაღლის ყურძენას ფოთოლი, თბილ თბილი, ყლეზედ და ყვერებზედ დაიდვას, სიმსივენს უშველის.

10 ასე უნდა, ყლე და ყვერ მსივანმან კაცმან ხორცი არ უნდა ჭამოს, ყველას სასმელს და საჭმელს უნდა ერიდოს და იფარეზოს, თორე ძნელია მისი საჭმე.

თუ კაცსა ყლის გადიდება და გამსხვილება უნდოდეს: მოიტანე ხახვი და ნარგიზის კურკა, წითელი ყურძენი და ალყარყარა, ეს წამლები სწორ სწორი ქენით, ყველა დანაყეთ, გაცერით, ძროხის ნავლელით სქლად დანაყეთ, თბილ თბილი ყლეზედ შეიცხოს და კარგად იზილოს, და ერთ ჟამს ზედ უნდა ეცხოს, კაცს ყლეს უსათუოდ გაუდიდებს, ყლეს მწოვედ გაუმაგრებს, კაცს წელსა და თირკმელს გაუხურვებს, კაცობას მატებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს. კაცს რომ დაჩუტება უნდოდეს, სანამდისინ ოთხჯერ, ხუთჯერ ცივი წყალი არ დაისხას, არ დაურუტდებინს.

20 ეს ტლე თუ დედაკაცმან საშოზედ შეიცხოს, ასრე იამების, რომე სიამოვნით დაბნდების და ჭკუა წაუყალს.

კაცსა რომე ამა ტლეების შეცხება უნდოდეს თუ აბანო იყოს, შევიდეს და თბილის წყლით ყლე კარგათ დაირეცხოს და დაიზილოს, ასე რომ გაწითლდეს, მერმეთ უნდა შეიცხოს, ერთ ჟამს უნდა ედვას, მერმეთ გაბანოს, თბილათ სამი დღე უნდა შეინახოს, უსათუოდ გაუდიდებს და მწოვედ გაუმსხვილებს.

კიდევ კაი წამალი: მოიტანე ბოლოკის თესლი და ქალაქაჯის თესლი და ალყარყარა და ბანბის კურკის გული. ეს წამლები ყველა ოროლი დრამი ქენით და წმინდათ დანაყეთ, გაცერით და თეთრი ქუნჯითის ან ყვითელის იასამანის ერბოშიგან წამოადლულეთ, თბილ თბილი სამს დღეს ყლეზედ შეიცხოს და კარგათ იზილოს, უცხო ფრად ძალს მისცემს და ბევრს ტყენას აქნევიანებს და ყლეს უსათუოდ გაუდიდებს და გაუმსხვილებს.

30 კიდევ სხვა კაი ტლე: მოიტანე ჟანგარა და ოქრომქედლის ბორა თითო დრამი, დანაყე და გაცერ, ზამბახტისა ან იასამანის ერბოთი ტლე ქენით, ყლეზე თბილ თბილი შეიცხევით, კარგათ დაიზილეთ, მერმე თბილ თბილის წყლით დაიზილეთ—დაიბანონ,

უცხო ფერათ კაცობას ძალს მისცემს და ბევრს თესლს ჩაუყენებს, ყლესაც გაუმსხვილებს, გაუდიდებს.

ვინც კორდის კიანყელა გარ] ¹ ეცხოს, დახოცოს და ჩრდილ- შიგა გაახმოს და გაცრას და მერმე თეთრის ზამბახტისა და ან იასამანის ერბოთა წამოადულონ, და აბანოშიგა შევიდენ და რა რიგადცა ზემო თავს დაგვეწეროს, იმ რიგად ყლე დაიბანოს, და ეს ერბო თბილ თბილი შეიცხოს, და კარგად დაიზილოს, ყლე დაუმსხვილდეს და გაუდიდდეს.

10 ვინცა ყუითლის ქათმის ქონი გაათბოს, და თბილ თბილი წესისაებრი ყლეზედა შეიცხოს, და ყლე კარგად დაიზილოს, ყლე გაუდიდდების და დაუმსხვილდების.

ვინცა ჯინქარი დანაყოს და თაფლითა ტლედ ქნას, და თბილი ყლეზედა შეიცხოს, და ყლე კარგად დაიზილოს, უსათიოდ კაცსა ყლე გაუდიდდეს და გაუმსხვილდეს.

კიდევე მოიტანე ძველის შაქრის ლერწამი და ვისთვისცა გინდოდეს, იმის ყლის ზომაზედა გამოსკერ, და ერთი დანგი მუშკი დანაყე და ამა ლერწამზედა შეაყარე, და პირველ წესისაებრი ყლე თბილის წყლითა დაიბანონ, დაიზილონ ამდენად რომე ყლე გაუწითლდეს, და მერმე ესე ლერწამი ყლეზედა წაიკრან, თავად შეიღსა, თვარადა 20 ხუთსა საათსა ზედ უნდა ეკრას, და ესე წამლები ყლეს უცხოფრად გაუდიდებს, და დაუმსხობს, და რაცა სისხო აქუს ორს. იმ სისხოს შეუქს და კაცობასაცა მწოვედ მატებს, და ყლე თბილად შეინახონ.

კახი ხაშთსა დავიწროებისა. თუ დედაკაცსა საშო წყლიანი და სველი ჰქონდეს, მოიტანე მუშკი, ამბარი, ქარვა და სუმბული ჰინდი ოთხივ დანაყე და გაცერ. და ღვინოშიგა წამოადუღეთ, და მერე აქლემის მატყლისაგან ნეკის სისხო შეაფები დაგრიხონ და ამ წამლებშიგა დაალბონ და წინას კარიდალმან აიღოს, მწოვედ გაუხურვებს და დაუნედლებს, და თუ ითქმის უბიწო ქალს დაემგვანების, და წყალსა და სისოვლეს უშველის.

30 სხვა შაფი და კაი წამალი: მოიტანე მუშკი, გუნდა, ბროწეულის ყუაველი და მიხაკი, ეს წამლები ყულეა დანაყეთ და გაცერით და ძმრით მოზილეთ, და ამისგან შაფები ქენით, და როდისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს, ერთი შაფი წინა კარიდალმან აიღონ და მწოვედ გამოაშრობს, და მწოვედ დაუვიწროებს და სისოვლესა უშველის.

კიდევ სხვა წამალი: მოიტანე დათვის ნაველელი და ცოტა მუშკი, თეთრის ზამბახტის ზეთი, და ეს სამივე ერმახერთშიგა აურიონ და ნეკის სისხო აქლემის მატყლი დაგრიხონ და შაფად ქნან, და ამა

¹ აღდგენილია აქამდის.

წამლებშიცა დააღბონ და წინას კარიდაღმან აიღონ, ასოსა მწოვედ დაავიწროებს, და კაცი რომე მოუწევს, ამას ვერ შეიტყობს თუ ქალი¹ არ არისო, და კაცსა მწოვედ გარჯის.

კიდევე სხვა კაი შაფი: მოიტანე ამბარი, აშაბი², უდი ჰინდი თვითოსაგან ნახევარ ნახევარი ღირჰამი, დანაყე და გაცერ და კაის ღვინითა გააყენე, და ნეკის სისხო აქლემის ბალნის პატრუქი დაგრიხონ და ამა წამლებშიცა დააღბონ, და წინას კარიდაღმან აიღონ, და ადამის ტომისა ასოსა ასრე გამოაშრობს და ასრე დაავიწროებს, რომე როგორა ახალი³ უბიწო ქალი, ესეცა ისეთი იქნების, და სისხლიცა წაუა, ეს მართალია დასტურად.

კიდევე კაი შაფი და კაი წამალი: მოიტანე ერთი ღირჰამი ბანგი და ნახევარი ღირჰამი ზაფრანა, ეს ორივე კაის ღვინოშიცა წამოადუღონ, და წესისაებრ ერთი აქლემის მატყლის შაფი დაგრიხონ, და ამა წამლებშიცა დაასოვლონ და წინას კარიდაღმან ააღებინონ, უცხოთრად გამოაშრობს და დაავიწროებს, და ხორცსა გაუხურებს და დაუნედლებს.

კიდევე კაი წამალი და შაფი: მოიტანე სამი ღირჰამი ბანგი და ერთი ღირჰამი მიხაკი, და ოთხი ქერის წონა მუშკი, და ეს ოთხივე დანაყონ და გაცრან, და ამა წამლებზედა თორმეტი ღირჰამი კაი ღვინო დაასხან და წამოადუღონ, და ამა წამლებშიცა შაფად დაგრიხილი აქლემის მატყლი დააღბონ და წინას კარიდაღმან აიღონ, უსათუოდ ადამის ტომისა ასოსა მწოვედ გამოაშრობს, და მწოვედ დაავიწროებს, მწოვედ გაახურებს და დაუნედლებს, ბრძანებითა ღთისათა.

[მა] კაკი მეთრამოცდა ერთი. ბავახილინა, ნოვახილინა და ხანაზირიხა.

აწე ბოვასილი სოკოსა ჰქუიან. თუ კაცსა სოკო შეექნას, ესე უნდა იცოდეთ, რომე კაცსა სოკო სევდისაგან შეექნების, ასრე რომე სევდა სისხლად გარდაიქცევის, და ესე სოკო მისისა ქარისა და ალავისაგან დაიბადების და მისგან გამოესხმის⁴.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ სიტყვის მაგიერად ტექსტში სწერია „აშადი“, შევღებ ეს სიტყვა წაშლილია და ზემოდან აწერია დედნის ხელით „აშაბი“.

³ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

⁴ ამ ფურცლის გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა ზაფრანა, ვარდის ერბო და აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის კანგას ბალახიო, ან თესლიო აურითს, და დანაყონ, და კვერცხის ცილითა მოხილოს და სოკოზედა“.

მაგრა ასრე უნდა სოკოიანმან კაცმან ასეთი საკმლები არა ქამოს რა, რომე სევდა გააძალიანოს და ან სევდა მოუმატოს, და ამ რიგსა და ამა სენიანსა კაცსა ხანდახან რწყევაცა მწოვედ კარგად მოუხდებოს. და ასრე უნდა, რა ესე სოკო კაცსა გამოაჩნდეს, მას უკან გრილსა, ხმელსა და ქარიანსა საკმლებსა ერიდოს, და ესე სევდა ასრე უნდა ეზაპალი უყონ, ვითამცა ასეთი წამლები და შარბათები სეას, რომე კაცმან გული და სტომაქი დაიღბოს, და მუცელშიგა გახსნას, და კუირაშიგა ორჯელ არწყიოს.

- 10 და თუ უკანას კარიდაღმან სისხლი ბევრი სდიოდეს, მკლავი აღარ უნდა გაუხსნან და უკანა კარი ცივის წყლით არ უნდა გამოიბანონ, რომე თუ ამ რიგი კაცი ცივის წყლით უკანას კარს გამოიბანს, მაშინვე მკულად გარდაექცევის. და მუდმად ამ რიგი მაჯუნი უნდა ქამონ, რომე კაცი გახსნას და ყოფლისა ავისა და პილწის სეგდისა, სისხლისა და ხილთისაგან გაწმიდოს: მოიტანე ქალილეი ჰინდი და კაი მური, ბარძაყათუნა და მურღონ ართუხი, ესე წამლები ყუელა ერთად დანაყონ, და ცოტას მურაბითა გაურიონ, და ქამოს, რომე გახსნას და გაწმიდოს, და თუ უკანა კარი და ან სტომაქი მწოვედ სტკიოდეს, ან აქლემის ღუმის ერბო, და ან შწარის ქერამის კურკის ზეთი მუყლი აზრაციითა გააყენონ, და თბილ თბილი უკანას კარისა და იმის გარეშემო დაიცხონ. მერმე მოიტანე ხაშხაშის ქერქი და ტუხტის თესლი და პრასა, და მოადუღონ და თბილ თბილი ამათის წვენითა რამთენჯერცა გარ გავიდეს, უკანა კარი გამოიბანონ და ფიცხლავ გაიწმიდონ, რომე არ გაცივდეს, თვარემ აწყყენს, და თუ სისხლი სწვეთდეს, ანჯუბას შარბათი სევან. ამა ანჯუბას შარბათის ხასიათი ეს არის, რომე კაცსა მუცელშიგ კი არ შეჰკრავს და სისხლს კი დასწყვეტს.

- 20 და საკმლებისაგან ამ რიგი საკმლები უნდა აქამონ: მსუქნის ცხურის ხორცი, ბატკნისა და ან შაფის თიკნის ხორცი, მსუქნის ქათმის ხორცი, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი, ტრედის ხუნდი, ქავკავი და 30 ამათივ ლაპეები, თოხლო კუერცხი, ესეები ყუელა არგებს და ექმეების, ისპანახის შექამადი, ერიშთას შექამადი, რომე ან ნუშის ზეთი-დახტოს, სოკო უშველოსქ. (შემდეგი სტრიქონი ველარ ირჩევა ფურცლის დახიანებისა გამო).

ამვე ფურცლის ქვემო აშიაზე არა დედნის ხელით სწერია: „სოკოსათვის ხმაელის აღაგის გველი მოკალ, ოთხი თითი თაეისკენ მოსქერ და ოთხი ბლლოსკენ, გამოწალ, და ამისი მუცლის ქონი გამოურთავ და დაადნევ და [ბ....] ზედაწ ნუ იხლებს, ორჯელ სამჯერ, მერმე რახან სოკო გახმეს და მოვარდეს, ხახვი შეწვი და დანაყე, ძროხის ქონი მოადუღე, მაღამასავითა ხელზე დაიხილე, სოკო-ზედან დაიდვას (შემდეგ აღარ ირჩევა)....იყოს, ქალის რძით ჩაუშვი“.

თა. ან შირლიღნის ზეთითა, ან სელის ზეთითა და ან კარაქითა, რომელიცა იშოვებოდეს, ეს საკმლები ამა ზეთებითა შექნან და ქა-
მონ, მგავესა, გრილსა და ხმელსა სასმელსა და საკმელსა უნდა.
ერიდონ.

ხმელსა ხორცსა, ხმელსა თევზსა, სმელსა ყუელასა, მაწონსა,
რძესა, ძროხისა და თხის ხორცსა, ირმისა და ჯეირნის ხორცი, შუ-
ლისა და კურდღლის ხორცი, სევდის სენს ეს ყუელა აწყენს, და კი-
დევე ახლა დააძალიანებს.

10 ბოლო ეს ბოვანილი ერთი სენი არის, რომე უსათუოდ სევდა
სისხლად გარდაექცევის, და ესე სოკო მისგან შეექნების, და ბევრს
ფერსა ქარსა და ტკივილსა აუძრავს და აუგდებს.

აწე ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, კაცსა უკანა კა-
რი მწოვედ ეწოდეს და მწოვედ სტკიოდეს. და რომელიცა მოსჭოსა
სისხლისაგან იყოს, მისი წვა და გატეხა უფრო ცოტა ჰქონდეს,
მაგრა ტკივილი მწოვედ ძალიანი იყოს.

20 და ესე სოკოს ქარი სქელი და მწოვედ ძალიანი ქარი არის,
ამისი ნიშანი ერთი ეს არის, რომე მუცელი გურემასა და კუუილსა
დაუწყებს, და ბევრჯულ ასრეცა იქნების, რომე ამისი ქარი ბოქუნესა,
ყუერებსა და სასირცხოსა შემოეჭიდოს, და ეს საშიე ასო. მწოვედ
ასტკიედების. და ასრეცა იქნების, რომე ეს ქარი ღვიძლსა შემოე-
ჭიდოს. და ასრეცა იქნების, რომე კაცი მუცელშიგა გახსნას და სი-
სხლზედა ყუანა დააწყებინოს. და ასრეცა იქნების რომე, კაცი მუ-
ცელშიგა სრულად შეკრას და ამისი ტკივილი ძალიანად მოუვიდეს,
და კოლინჯსა და თიაქარსავითა კაცის მუცელსა და სტომაქშიგა
სოარულსა დაიწყებს, და მუცელსა და ასოებსა გამოქრას დაუწყებს.
და ბევრჯულ ასრეცა იქნების, რომე კაცსა სრული ასოები ყუელა
ტკივილსა დაუწყებს.

30 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე თუ სისხლი და საფრა ერთად
არეული იყოს, ასრე უნდა მკლავის საშუალის ძარღვიდამან სისხლი
გამოუშვან, და მერმე მოხარშული ჰალილა და სიფისტანი, ხიარი
შამბარა და უნაბი, და შავი ქლიაეი, ეს ყუელა მოადულონ და ქა-
მონ, და ამათი წვენი სეან, რომე არწყვიონ. და თუ ამა წამლებმან
არ არწყვიენოს, მოიტანე ორი ღირჰამი ქანჯი ხუნ, რომე თათრუ-
ლად ჯიბილჰანვ ჰქუიან, ვითამცა და ბალბალუკას ბალახის თესლიო,
ეს თესლი დანაყონ, თბილის წყლით გააყენონ და სეან, და მაშინვე
არწყვიენებს.

და თუ არცა ამან არწყვიენოს, მოიტანე ძირტკბილას ძირი,
დაფხიკე, დაჯეკე, და კარგად მოხარშე და სიქანჯუბინზედა დააწუ-

რე და ასე და თუ სიქანჯუბინი არ იყოს, თაფლზედა დააწურეთ, ცოტა ძმარი შრთეთ და თბილ თბილი ასვით და მაშინვე არწყვე-
ნებს, რომე ამა სენსა რწყევა მწონდ არგებს, მეტადრე მაშინ, რომე
გაზაფხულის პირი იყოს. და ათრაფილი საღირის მაჯუნცია აკაშან,
ათრაფილი სამყურის მაჯუნსა ჰქუიან.

და თუ კაცი რამთენჯერცა გარ ვავიდოდეს მუდმად სისხლი
სდიოეს, და ესე სისხლი შავი და მოსქე იყოს, და სხვა ასო და
ილაგი არა სტკიოდეს რა, ამ რიგსა სისხლსა შესაკრავი და დასაწ-
უეტი წამალი არ უნდა მისცეთ.

10

და თუ კაცსა სხვა ასო და ალაგი არა სტკივის და ისრე სის-
ხლზედა იარების, ეს იცოდით, უტკივრად სისხლზედ სიარული და
მუცელშიგა გახსნა კაცსა არას აწყენს, და ჯერ კიდევ უჯობს.

აწე თუ კაცი ამ რიგად, ასო უმტკივრად სისხლზედა იარებო-
დეს, ღთისა შეწევნითა ისი კაცი ღვიძლის ტკივილისაგან და მეტის
სისხლის ალამათისაგან, და უკანაკარის გატეხისა და ტკივილისაგან
ნულარას ეშინიან.

20

და ესე იცოდით, თუ სხვა ასო უმტკივრად, ამ რიგად კაცსა
სისხლი სდის, ამა სენებისაგან, ყუელასაგან, მორჩომილი და დახალა-
სებელი არის, და დღეის უკან ამა სენებისაგან ეშინად უნდა იყოს.

და ვინ იცის მეტის სისხლის ღენითა კაცი¹

[შბ] ძარი მმორმოდდა ორე². უშვილობიანათვის, დედაკაცი
არამე არ ორსულდებოდეს, მის ნიშნებს და წამლებს გიანგობს.

დიდნი აქიშნი ბრძანებენ: ათი სენი არის დედაკაცის უშვილო-
ბის მიზეზიო, ამ ათ სენში რომელიც სჭირდეს დედაკაცი არ დაორ-
სულდება, მანამდის ეს სენი არ განიკურნოსო.

პირველი ეს არის—საშვილემში მეტი მეტი ხორცი დაიბადე-
ბის სიმსუქნითაც.

მეორე ეს არის—რომე ბუასილის ქარი მორეოღეს.

30

მესამე ეს არის—რომე დედაკაცს ნამეტნავის სიმხურვალით
დედათ წესი შეკროდეს.

მეოთხე ეს არის—რომე დედაკაცს საშვილოსნო მობრუნებოდეს.

მეხუთე ეს არის—რომე სტომაქში ქარი დაიბადების.

მეექვსე ეს არის—რომე გარსი ან მარსი გამოესხმის საშვი-
ლემში.

¹ აქ ტექსტი წყდება—ამ თავის დასასრული და ორმოდდა მეორე თავის
დასაწყისი აკლია. შემდეგი კარი აღდგენილია ვარიანტის C-ს მიხედვით.

² ვარიანტით „კარი ოცდა მეექვსე“:

მეშვიდე ეს არის—რომე დედაკაცი მოწამლული იქნების.

მერვე ეს არის—რომე დედაკაცი მოწამლული იქნების.

მეცხრე ეს არის—რომე ნამეტნავი სიმხურვალე საშვილეს ექნება, კაცი რომ დაუწვეს, ნაყოფს დასწვამს და აღარ ისაქმებს.

მეათე ეს არის—რომე უშვილობის ეტლზედ დაიბადების, დედაკაცი მისთვის არ დაორსულდება.

აწე ეს უნდა იცოდეთ, რომე დედაკაცს რომ შვილი არ მიეცეს და არც დაორსულდეს, ამის სენი და მიზეზი ბევრი ფერი იქნების: ერთი ესე რომე ცედაკაცის საყმარწვილო მწოვედ წყლიანი და 10 ქარიანი იქნების. მეორე რომ დედაკაცს საყმარწვილო მწოვედ მხურვალე [ექნების რომე] სიმხურვალით დედათ წესსაც შეკრავს, თესლსაც აიძვნილებს—ამისთვის არ დაორსულდება, მეტის სიმხურვალით თესლს დასწვამს. მესამე რომე დედაკაცის საყმარწვილო როგორც ფაშვი იყოს, როგორც ქლიბის პირი იყოს, ისე იქნების, ეს ქლიბის პირი ბალღმით ამოივსების, და ეს ბალღამი კაცის თესლს აღარ მოჰკიდებს და იმისთვის ვეღარ დაორსულდება.

და ან ვარმისაგან საყმარწვილოს პირი მსივნად ექნების, კაცის თესლი რომ მივა პირს მართლა ვერ მოუჭირებს და თესლი ისევე გაუბრუნდება და უკანვე გამოედინების.

20 თუ საყმარწვილოს თავი მარჯვნითა აქვს მრუდი, კიდევ წამალი ექნების, დაორსულდება და იმედიცა ქონდეს კაცსა, და თუ მარცხნით აქვს მრუდი, იმას წამალი აღარ ექნების² და აღარცა დაორსულდება, ცუდად ნურცა რჯით და ნურცა ირჯებით. აწე თუ საყმარწვილე ქარიანი აქუს, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე ერთის სამოსლის ნაქერის ნეკის სისხო პატრუქი ქნან და საშოდალმან აალებინონ. თუ ესე სამოსელი სველი გამოვიდა, საყმარწვილოცა სველი და წყლიანი აქუს, და ასრე უნდა სისველის წამალი უყონ. და თუ მშრალი გამოვიდა, იცოდით შიგნით სიმხურვალე აქუს და ამისგან არის, და მისთვის არ დაორსულდება, და ასრე უნდა ამისი წამლები უყონ.

30 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე მოიტანე საღვის ხის ხილი და მარსინის ფოთოლი, და იქი ყარდაშ ყანი, რომე სპარსნი დემულ ახვანის უძახიან. ასრე უნდა, რომე ესე წამლები ყველა სწორ სწორი ქნან, დანაყონ და გაცრან და თაფლითა მოზილონ, და თხილის ოდენ ოდენი გუნდები შექნან, და გაუბანელსა ცხურის მატყლშიგა წახვიონ, და ამ რიგად ოთხი ხუთი გუნდა გააკეთონ, და საშოდალ-

² აღდგენილია აქამდის.

მან ააღებინონ, და საყმაწვილოსა პირშიგა მისცენ, და ერთსა ეამსა ისრე უნდა იყოს; და შერმე ღთითა უსათიოდ დაორსულდების.

და გრილი საქმელები უნდა აკამონ და გრილი წამლები, და გრილი შარბათები ასვან.

10 და თუ დედაკაცი არ დაორსულდებოდეს, და ამა დედაკაცისა არ ორსულობა ბალღმისა და ქარისაგან იყოს ეს იკოდი, ამისი სენი და მიზეზი ეს არის, რომე დედაკაცის საშვილე როგორცა ცხურის ფაშიე, ისრე დახეთქილი და დაპობილი და ეკლიანი არის, და როდისცა დედაკაცი დაორსულდების, ასრე უნდა, კაცის თესლი იმა დახეთქილმან და ეკალსავეითა ფაშუმან მიიკრას, და კაცის თესლი იმა ეკლიანმან დაიკიროს, და ადამის ტომი იქი დაწიწილდეს, და დედაკაცი იმითა დაორსულდეს.

აწე დედაკაცისა არ დაორსულობისა მიზეზი ეს არის, რომე დედაკაცი მწოვედ გრილად და ბალღმიანად იქნების და ისი საშვილე, და ფაშუსავეითა დახეთქილი და ეკლიანი საშვილე ბალღმითა ამოვესების, და ამა მიზეზითა კაცის თესლსა დედაკაცის საშვილე აღარ მოიკიდებს, აიძვლინებებს და ისევე ჩამოედინებებს, და დედაკაცი მისთვის არ დაორსულდების.

20 აწე თუ ესე დედაკაცის უორსულობა ბალღმისა და ქარისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე დედაკაცსა მუცელი კუთილსა დაუწყებს, და კაცი რომე დაუწყებს, თესლი ისრევე გამოედინებებს.

30 აწე ამა სენისა და ამა უშვილობის წამალი ეს არის, რომე სარწყეველი წამალი ასვან, და გასახსნელი შარბათი ასვან, რომე რაცა გულსა და სტომამქშიგა ბაყლი და ბალღამი იყოს ზოგი გახსნითა და ზოგი რწყევეითა ყუელა მოხეთქოს და ამოაღებინოს, და ყოვლის ბაყლისა და ავისა და პილწის ხილთისაგან გაწმიდოს. და შერმე საშოდღმან კარგი და ძალიანი ოყნა უყონ, რომე რაცა შიგნით მუცელსა და ან საშვილეშიგა ბილწი ბაყლი და ხილთი იღგეყ, ყუელა უქირველად დააღვრევეინოს და ყუელასაგან გაწმიდოს, და საშვილე ასრე გამოურეცხოს, რომე დედაკაცის საშვილემან კაცის თესლი აღარ მოისხლიტოს, და მართლად მიიკრას. შერე მსუქანისა, ტკბილისა, მხურვალისა და კარგის საქმელებითა ხელი შეიწყონ. და ოცსა ორმოცსა დღესა კაციცა და დედაკაციცა ასრე იყუნენ, რომე არა ქნან რა, და ორავე მწოვედ ხამნი და მწოვედ მონდომით უნდა იყუნენ. ამისთვის რომე კაცსა ბევრი თესლი და ნანდომი დაუკროვდეს და მისულის დროსა კაცის თესლი საშვილესა ძალიანად ეცეს, და ბევრი თესლი ჩაახსან. და აგრევე დედაკაცი ამისთვის უნდა ხა-

მი იყოს, რომე იმასცა მწოედ მოუნდეს და მწოედ გახურდეს, და თესლი და ნანდომი როგორც კაცსა წაუვიდეს, ისრევე დედაკაცსა წაუვიდეს.

10 და ასეთსა ღროსა უნდა კაცი დედეკაცთანა დაწვეს, რომე დედაკაცი არც მწოვედ მშვიარი იყოს, არცა მწოვედ მადლარი და ცოტარამე მოტკბო, მომსუქნო, და მომხურვალო საკმლები ეკამოს. და ასრე უნდა ამა ღროსა ორნივე მწოვედ ნდომით და მწოვედ ეშყინად შეიყარნენ, და პატარას ხანს ითამაშონ და ისაყვარლონ. და დედაკაცმან თავი აღრე არ უნდა დაანებოს, რომე კაცსა და დედაკაცსა ორთავეს მწოედ მოუნდეს და ორთავეს გული და თირკმელი გაუხურდეს, ორთავეს თესლი და ნანდომი დაუგროედეს და მწოვედ დახურდენ. და რა ხელი მიჰყოს დედაკაცსა სასთაული გამოაცალოს, და კარგად თავდაღმა და გარდაკიდებით დაიწვინოს, რომე კაცის თესლი საშვილეშიგა ჩაედინოს, და კაცმან დედაკაცი მწოვედ უნდა მოდრიკოს, მაგრა მწოვედ ძალი არ უნდა უყოს, წყნარად და წყნარად ბევრი უნდა უძალოს და თესლი გვიან ჩაასხას, ამისთვის რომე დედაკაცსა უფრო მოუნდების და საშვილესა პირი დაულბების, და პირსა მოუშვებს, და თესლი მისა ალაგსა უკეთ ჩაედინების, და დედაკაცსაცა მაშინ უკეთ წაუვა თესლი.

20 და რა კაცი დაწვეს და საჭმე გაათავოს, ასრე უნდა, პაშტას ხანსა კაცი დედაკაცზედა ზედ იწვეს და არ გამოილოს, და არცა ხელიდაღმან ტუხები გაუშვას, რომე გაიშალოს, ამისთვის რომე ნანდომი და თესლი დედაკაცსაცა წაუვიდეს და ღ'თისა შეწვენითა დედაკაცი უსათუოდ დაორსულდების, და კაცი და დედაკაცი ორივე გულის ნებასა ეწვეის.

30 და თუ დედაკაცი დასტურად დაორსულდა, იმისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე დედაკაცსა მწოვედ იამების და კაცსა ზედ შემოეფხანების, გული შეულამდების და თესლი და ნანდომი როგორცა კაცსა, ისრევე დედაკაცსა წაუვა. თუალნი მოუბნელდების, და თუ სთქუა თვალ მრუდსა და ელამსა კაცსა დაემსგავსების, და თვალთა სინათლე ჰღარ ექონების.

აწე რა ესე ნიშნები დედაკაცზედა ნახოთ, იცოდით უსათუოდ დაორსულდა, და მას უკან ასრე უნდა ¹ ათსა თორმეტსა დღესა კაცი არ მიუდგეს, და დედაკაცი ასრე მოსვენებით უნდა იყოს, რომე არ ირუებოდეს და არას ასწიოს, და არა მიიჭირვოს რა, და არცა გასახსნელი და არცა სარწყველი წამლები სვას და კამოს. და ათსა, თორმეტსა დღესა უკანა რომე ქმარი მოუწვეს, აღარა გავარა, მაგრა

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ძალი არ უნდა უყოს, მწოვედ არ მოდრიკოს. და მერმე მოიტანე ან მთახუის ყუერი, ან ჯავაშერი, რომე ოლლან აშსაც უძახიან, ან სუმბული ჰინდი, ან ყუსტი, ან მუყლი აზრაცი და რომელიცა იყოს ეს წამლები დანაყეთ და გაცერით, და მერე მოიტანეთ შავი ყურძენი და ერთსა დღესა დააღბონ და გამოჰყელიტონ და ამა ყურძნის მოსქო წვენითა იმა წამლებისაგან, რომელიცა იყოს, კარგა მაგრად მოზილონ, და ნეკის სისხო შაფები ქნან და წინას კარიდაღმან აილონ, ამისთვის რომე დედაკაცისა საშვილე გამოაშროს და კაცისა თესლი შეადედოს და თავისა ალაგსა დაამაგროს, და კაცისა თესლი აღარ გამოედინოს, და ამა მიზეზითა და ამა წამლებითა დედაკაცი დაორსულდეს.

10

მაგრა ყოვლი ფერი წამლები და ოყნაები მაშინ უნდა ქნან, რომე დედაკაცსა დედათ წესი გაუთავდეს და ტანი დაიბანოს: ეს წამლები და ეს საქმეები ყუელა მაშინ უნდა ქნან.

და თუ არცა ამითა დაორსულდეს, მოიტანე დარიჩინი, ბაზბაზი, თეთრი საკმელი და უშალი, რომე სპარსნი დანაი ჩადირს უძახიან და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი უნდა ქნან, წმიდად დანაყეთ და გაცერით და თხის თირკმლის ქონითა მაგრად მოზილონ და თხილის ოდენ ოდენი გუნდები შექნან, და გაუბანელსა ცხურის მატყლშიგა წაახვიონ, და ამისგან ერთი გუნდა საყმაწვილოს პირშიგა მისცენ და ერთსა ეამსა შიგ უნდა დაიჭირონ, და ღ'თითა მერმე უსათუოდ დაორსულდების.

20

და თუ ესე დედაკაცისა უორსულობა ვარამისგან არის, ასრე უნდა, ტატბერმან საყმარწვილოს თავშიგა ორი თითი შეყოს, და თუ თითსა ძალიან ძალიანად ეცემოდეს, და ან მწოვედ გამოსტეხდეს, იცოდით ეს დედაკაცისა უორსულობა და უშვილობა ვარამისაგან არის, რომე საშვილესა პირი გასივები და ამა მიზეზითა საშვილე პირს ველარ მოუჭირებს და თესლი ისრევე გამოედინების, და მისთვის არ დაორსულდების.

30

აწე ამისი წამალი ეს არის: მოიტანე ბატისა, იხვისა და ქათმის ქონი და ესე სამი რიგი ქონი ერთად მოადულონ და გაწურონ, და კაისა თეთრის ცვილითა ეს ქონები მალამად შექნან, და იმავე რიგად ერთის თხილის ოდენი გუნდა შექნან, და ეს გუნდა გაუბანელსა ცხურის მატყლშიგა წაახვიონ და საყმაწვილოს პირშიგა დასტენონ, და სადამდი დედაკაცი სრულად გამთელდებოდეს, ამ რიგად ამა წამალსა ააღებინებდენ. და ღ'თითა უსათიოდ დაორსულდების. და თუ საყმაწვილესა თავი მარჯუნით გამრუდებოდეს და მისთვის არ დაორსულდეს, ამისი წამალი ეს არის: მოიტანე თხის თირ-

კმლის ქონი გაადნონ და გაწურონ, და მოიტანე უშალი, რომე სპარს-
ნი დანაი ჩადირსა უძახიან და ძველი ღვინით სქლად გააყენე რო-
მე მალამასავითა შეიქნას, და მერე ამავე თხის თირკმლის ქონითა¹
კარგად და მაგრად მოზილონ, და იმავე რიგად ერთის თხილის ოდენ-
ნი გუნდა შექნან და გაუბანელსა ცხურის მატყლშიგა წაახვიონ და
საყმაწვილოდან ააღებინონ, და ღ'თის ძალითა უსათიოდ დაორსულ-
დების.

კიდევ უორსულობის წამალი, რომე დედაკაცი დაორსულდეს:
მოიტანე შაბი ორი დირჰამი, ზაფრანა, უდი და თუთუბო სამივე
10 თვითო თვითო დირჰამი, ასრე უნდა ეს წამლები დანაყონ და გაც-
რან და თაფლითა მაგრად მოზილონ და ცხურის მატყლი ვარდის
ერბოშიგა ამოსეარონ, და მერმე გაწურონ, და ის წამლები ამა მა-
ტყლითა ფილთად შექნან და საყმაწვილოდამან ააღებინონ. მაგრა
ეს წამლები ყუელა მაშინ უნდა ქნან, რომე დედაკაცსა დედათ წესი
დაემართოს და ტანი დაიზანოს, და მერმე სამსა დღესა ზედა ზედ
ეს შაფები აილოს, და მერმე მესამეს დღეს უკანა ქმარი დაუწვეს,
დაორსულდება.

კიდევ დაორსულების: მოატანე მგლის ღურიტა, და მგლის
ნეხვი, და ხამი თაფლი, და სამივე სწორ სწორი ქენით, და სამივე
20 ერთგან მოზილეთ და ამავე რიგად სამსავე დღესა ზედა ზედ ამისი
შაფი საშვილოს პირიდალმან აილოს და უსათიოდ დაორსულდების.

კიდევ სხვა წამალი: თუ დედაკაცის დაორსულება განდოდეს,
მოიტანე ოფოფი სრულად ძულითა, ბალნითა და ხორციითა და ავან-
შიგა დანაყონ, მერმე მოიტანე ზღვის ქაფი, ანზარუთი და შაქრის
მყინეარი და ყუელა ერდგან დანაყონ და გაცრან, და ნეკის სისხო
შაფები შექნან, და იმავე რიგად რომე აქავე ზემო გვითქვამს, სამსა
დღესა ზედა ზედ ამისი შაფები აილონ, და სამსა დღესა უკან ქმარი
მოუწვეს, და ღ'თითა უსათიოდ დაორსულდების.

კიდევ, თუ დედაკაცი ამა წამლებითა არ დაორსულდეს, იცო-
30 დით დასტურად შიგნით ბაყლი და ქარი აქუს, და ამისთვის არ და-
ორსულდების. ასრე უნდა ეს ოყნა უყონ, და თბილ თბილი ეს წამ-
ლები საშოდალმან ჩაასხან და საყმარწვილო გამოურეცხონ: მოიტანე
გვირილას ყუავეილი ან ბალახი და კამა, და ცერეცო, აბზინდას ბა-
ლახი, მარზანგვიში, ნიახურის თესლი, ხმელი სუზაბი, ნანხაჰ, ზირა,
უზანლულის თესლი და ვარსამა, ასრე უნდა ეს წამლები ყუელა სწორ
სწორი ჰქნათ, და კარგად მოხარშოთ, და ამოსკყლიტოთ და გას-

¹ ეს სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

წუროთ, და ამა წამლებისა წყლისაგან წონითა ოცდა ცამეტი ღირ-
პამი აიღონ, და ამა წამლებისა გარეთ კიდევე მოიტანე სამი ღირ-
პამი იასმნის ერბო, და სამი ღირპამი ყუსტის ერბო, და სამი ღირ-
პამი ბროწეულის ძირის ერბო, სრულად ეს წამლები და ეს ერბოე-
ბი ყუელა ერთგან გაურიონ, და თბილ თბილი საშოდანსა საშვი-
ლეში ჩაასხან, საყმარწვილე გამოურეცხონ და ეს წამლები ორსუ-
ლობისათვის მწოდელ ყარგი არის, საყმაწვილოს თავს გაუმართავს და
ამას უკან უსათუოდ დაორსულდების.

10 კიდევე სხვა კარგი ოყნა, თუ დედაკაცი ძნელად დაორსულ-
დებოდეს და ეს უორსულობა სიგრილისაგან იყოს, ეს ოყნა ქნან:
მოიტანე საკმელი ოცდათი ღირპამი მომსხოთ დანაყილი, თოფალახი
ოცდაათი ღირპამი და მური ათი ღირპამი და სამის რათალის წყლი-
თა ეს წამლები მოადუღონ, რათალი ასოცდაათსა ღირპამსა ჰქუ-
იან, და მანამდისი ადუღონ, რომე სამის წილის წყლისაგან ერთი
წილი ჩაიშროს და ორი წილი დარჩეს, მერმე ეს წამლები გაწურონ,
და სამსა დღესა ზედა ზედ ამა წყლისაგან ორმოცდა რვა ღირპამი
საყმაწვილეშიგა ჩაასხან და ოყნა უყონ, და უსათუოდ დაორსულდების.

20 მაგრა ყოვლი ზემო და ქუემო წამლები ასეთს დროს უნდა
უყონ, რომე დედაკაცსა დედათ წესი დაემართოს, და ტანი დაიბა-
ნონ, მაშინ უნდა ქნან.

კიდევე სხვა ოყნა, რომე დედაკაცსა ფიცხლა ფიცხლა შვილი
სწყდებოდეს და ის დაადგეს და აღარ მოსწყდეს. ეს უნდა იცოდეთ,
რომე ფიცხლა ფიცხლა შვილის მოწყუეტა დასტურად სიგრილისა
და სინედლისაგან არის. ასრე უნდა: მოიტანო ახალი ხანთალი და
ცოტა თავი მოჰყუეთო და გული გამოუყრევიონ. და ეს ხანთლის
ქერქი შირლიდანის ზეთითა აავსონ და მერმე ის მოკუეთილი თავი
ისრევე დახურონ და ცომშიგა წაახვიონ, და ცხელსა ნაცარშიგა
ჩაფლან, რომე ესე აეთი ამა ხანთალში ადუღდეს, და ერთი ორი
პირი შიგ წამოიდუღოს, მერმე ამოიღონ და გაწურონ და თბილ
30 თბილი ეს წვენი საშვილეშიგა ჩაასხან და ოყნა უყონ, რომე ეს ერ-
ბო სრულად შიგ ჩაასხან და გარ აღარა დარჩეს რა, და უსათუოდ
საყმაწვილოს სიგრილესა და სინედლესა ორსავ უშველის, და მას
უკან დედაკაცი უსათუოდ დაორსულდების. და მხურვალი მაჯუნები
და მხურვალი საქმლები და წამლები აკამონ, და შვილი აღარ
მოსწყდეს.

მერმე მოიტანე ნიახურისა, ცერეკოსა, ენისუნისა, ნანხპასა
და ანჯუზანის თესლები, დანაყონ, გამოწურონ და ასვან. გარეული
მთის პიტნა, შინაური პიტნა და თოფალახი, ზირა, ზურამბადი, ეს

წამლები ყუელა სწორ სწორი უნდა ქნან, ყუელა წმიდად დანაყოფ და ყუელა ერთგან აურიონ და ამისგან ხუთი ღირჰამი რეჰანის წყლი-
თა სევან და მუდმად მხურვალი მაგუნები და მხურვალი მუფარე-
ბი აჰამონ, მასუკანა კიდეცა დაორსულდების, და შვილიც დაადგების.

კიდევ ერასტი თალის აქიმმან თქუა: რომელსაცა დე-
დაკაცსა შვილი ძნელად მიეცესო, მოიტანე ჩანხახის ქუა, ვითამცა და
კაჟიო და სამოსელშიგა გამოჰკარ, და მტეხიარესა დედაკაცსა გვერ-
ცა დაჰკიდე, და ან წელთა შემოაბიო და შვილი ადვილად ძიეცე-
მისო.

- 10 ვინცა ჭინძი ძირით მოთხაროს და ამ რიგად ძირი და ფოჩი
მტეხიარესა დედაკაცსა ბარკალზედა შემოაბას, შვილი ადვილად
მიეცეს.

რომელმანცა დედაკაცმან ძნელად შვილი შობოს, მოიტანე ოთ-
ხი ღირჰამი ხიარ შამბარას ქერქი, წმიდად დანაყე და გაცერ და
პირველ სამი წილი წყალი, რომე ცხრა ღირჰამი იყოს, და ერთი
წილი ერბო გაათბეთ და მერმე ეს ხიარ შამბარას ქერქი ამათში
გამოლესეთ, და თბილ ობილი ასვით, მაშინვე შვილი დაეხსნების და
დაებადების.

- 20 ვინცა მეყნატის ქუა მარცხენასა ხელსა დაიჭიროს, როდისცა
მარტვილი მოვიდეს ისი ქვა ხელიდალმან გააგდოს, მაშინვე მარტ-
ვილი დაებადების.

ვინცა მარჯანის ქუა საშოსთანა შემოიბას და რა თავის წყალი
მოვიდეს, შეიხსნას და გააგდოს, მაშინვე შვილი მიეცეს.

ვინცა მარტვილის მოსულის დროსა აყიყის ქუა ქუეშ დაიჭი-
როს, შვილი ადრე და გაურჯელად დაეხსნას.

თუ დედაკაცსა შვილის შობა გაუძნელდეს, მოიტანე ზაფრანა
და წყლით გაულესეთ და თბილ თბილი ასვით, მაშინვე შვილი და-
ეხსნების და ტკივილსა და მიცემას ვერ შეიტყობს.

- 30 თუ დედაკაცსა მუცელშიგა შვილი მოუკვდეს, მოიტანე ლალია
და ცეცხლზედა დააკმივე და საშოშიგა უყაროლე. მაშინვე მარტვი-
ლი დაებადების და დაეხსნების.

აგრევე თუ დედაკაცსა მუდმად საშოდალმან სისხლი სდიოდეს,
მოიტანე უმარილი, ვარდის ერბო, სისამბარი ვითამცა და¹
და ქათმის ქონი, და კუერცხის ცილა, და ეს წამლები ყუელა ერთ-
მანერთშიგა გაურივეთ, და ამისგან ნეკის სისხო შაფები ქნან, და
თუ სისხლი საშოდალმან სდიოდეს, საშოდალმან ააღებინონ, და თუ

¹ აქ ტექსტში ერთი სიტყვისათვის ცალიერი ადგილია დატოვებული და
გასწორებ აშიახე დედნის ხელით სწერია „ამისი სახელი [ქართულად არ იყო“

უკანას კარიდალმან სდიოდეს, უკანას კარიდალმან ააღებინონ და მ: შინვე სისხლს დასწყუეტს და უშველის.

და თუ არცა ამით ეშველოს, მოიტანე ხაშხაშის წვენი, ასპიო- შის წვენი, ვითამცა და ბარძაყათუნას წვენიო და ნუშის ზეთი, და სამივე ერთად აურივეთ და ასვით, მაშინვე სისხლსა დასწყუეტს და ეშველებს.

კიდევ თუ დედაკაცსა საშვილვე და საყმაწვილვე გამოუბრუნ- დეს, ამა სენსა თათრულად ენთინაყი რაჰმ ჰქუიან, ვითამცა და საყ- მარწვილოს გამოქცევაო. ამისი წამალი ისივე არის, რარგიადცა ზე- 10 მორ უკანას კარის გამოქცევაზედა დაგვიწერია. ისივე წმალეზი ამავე წინას კარს უნდა უყოთ, და იმავე რიგად ეს უკუუბრუნოთ, და ეშ- ველებს.

მაგრა თუ დედაკაცსა ესე სენი სჭირდეს, არც ეკმების მწოვედ ტკბილი, არც ეკმების მწოვედ მჟავე და არც მწოვედ მლაშე. ბო- ლო რაც უკანას კარის გამოქცევაზედა დაგვიწეროს, ისივე წამლეზი ამას უყავით, და ისივე საქმლეზი ამას აქამეთ.

კიდევ, თუ დედაკაცსა დედათ წესი შეეკრას და შიგნით სისხ- ლი დაუგვიბდეს, და მუცელი გაუსივდეს, და ამა მიზეზითა მუცელ- მან და გეამზან ტკივილი დაუწყოს, ასრე უნდა, მაშინვე მკლავი გაუხ- 20 სნან და საშუალის ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, და კუნ- თებზედა კოტოში მოჰკიდონ, და ყურსი. მური აქამონ, და ნიახური- სა და სადაფის წყალი ასვან, და შავის მუხუდოს წყალი ნიგუზის ზეთითა აქამონ. და მერე მოიტანე კინჰარი, სადაფის ბალახი, ბაღი- ონი, ნიახური, გვირილას ყუავილი და მარზანგვიში, ასრე უნდა, ეს წამლეზი ყუელა ერთად მოხარშონ და წელთამდისი დედაკაცი შიგ ჩასვან, მაშინვე სისხლის დენასა უშველის და სისხლსა დასწყუეტს. მაგრა ასრე უნდა, თუ დედაკაცსა ესე სენი სჭირდეს, მლაშესა, მჟა- ვესა და მწარესა სასმელსა და საქმელსა ერიდოს და იფარეზოს. და რაცა კამოს, ყუელა მსუქანი, ცხიმიანი, მხურვალი და ტკბილი საქ- 30 მლეზი კამონ.

და თუ დედაკაცსა დედათ წესი სრულობით შეეკრას და სის- ხლი აღარა სდიოდეს, ესე უნდა იცოდეთ, ესე სენი უფრო უბიწოს ქალსა, მუახლესა და ქალსა დედაკაცსა დაემართების, რომე დიდი ხა- ნი გამოსულიყოს, რომე კაცი არ ენახოს, და როგორაცა კაცსა და- უგროვდების თესლი და ნანდომი, და ამა თესლისა ბუხარისა სიბ- ხურვალისაგან კაცსა თავს ბრუ დაესხმის და გული დაუბნდების, და ხელსა და ფეხსა ქნევასა დაიწყებს, და პირსა დორბლი წაედინების და მომაკუდავსა კაცსა დაემგზავსების, რა დედაკაცთანა დიდსა ხან-

სა კაცი არ მისვს ისრევე სისხლი და თესლი დედაკაცსა და ჯგროვდებ-
ბის, და ისრევე, იმავ რიგად დედაკაცსა და ემართების.

აწუ ამა სენის წამალი ეს არის, რომე თავად ცოტა და რბილი
ოყნა უყონ, რომე ოყნაი ლეინა ჰქუიან, რომე კაცი გახსნას და ყოვე-
ლისა ავის ხილთისაგან ვაწმიდოს, თუ არა და მოიტანე ხიარ შამ-
ბარას გული და შირხიშტი და სიქანჯუბინის შარბათი, და ეს სამი
ერთგან აურიონ და სალათას წვენითა მოსქოდ, შარბათად ვალესონ
და ასვას, რომე ადამისტომი გახსნას და ვაწმიდოს, და გული და
სტომიქი დაუღბოს.

- 10 კიდევ სხვა რიგი მწოვედ კარგი და ამა სენისათვის შრავალ-
ჯერ დაცდილი წამალი: ასრე უნდა, ამ რიგსა დედაკაცსა თუხები
კარგად და ძალიანად დაუზილონ, და ულუყის ერბოთა ტატბერმან
ოთხივე თითი დაისოვლოს, და სადამდისი ხელი მიუწულებოდეს,
გარეთი და შიგნითი საშო ყუელა კარგად და ძალიანად გამოუზილონ
და ეს ულუყის ერბო შესცხონ. მას უკან მოიტანე საკმელი, გოგირ-
დი, ჯავაშერი და ხუმიანი, ეს წამლები ყუელა დანაყეთ, გაცერით
და ერთად აურივეთ, და ცეცხლზედა დააკვიონ, და ზედ გარდა-
ლაჯონ, და ამისი კუამლი და სული საშოშიგა შეუშვას, და ამა წამ-
ლებსა კიდევ უსუნოს. მოიტანე ამბარი, მუშკი, ლალია და უდი,
20 დანაყონ და გაცრან და მაგრად მოზილონ და ნეკის სისხო შეფები
შექნან და წინას კარიდალმან ააღებინონ, მწოვედ კარგად უზამს.

- კიდევ თუ დედაკაცსა დედათ წესი ბევრი დაემართოს, და
მწოვედ ბევრი სისხლი ედინოს, და მწოვედ შიანუხოს, ასრე უნდა,
ფიცხლავ მკლავი გაუხსნან და საშუალის ძარღვიდალმან ბევრი სისხ-
ლი აღინონ, და თუ არ ეშველოს, მოიტანე გილი არმანი, მუშკი,
სამყი არაბი, აყაყია, ბროწეულის ყუავილი, გრაკის ხის ხილი, ხარ-
თუთის წვენი, მარგალიტი და ცოტა ქაფური. ასრე უნდა ეს წამ-
ლები ყუელა დანაყონ, და ყუელა ერთგან აურიონ, ძველს ღვინო-
შიგა გამოკყლიტონ, გაწურონ და უზმასა ასვან, მაშინვე კარგად
30 უზამს და უშველის.

და თუ არცა ამან უშველოს, მოიტანე ბროწეულის ყუავილი,
გრაკის ხილი, უმარილი, ხუნისიაოშან ვითამცა და¹ და
გუნდა და ანზარუთი. ეს წამლები ყუელა დანაყონ და გაცრან, და
მაგრა მოზილონ და ამისგან ნეკის სისხო შეფები შექნან, და წინას
კარიდალმან ააღებინონ, მწოვედ კარგად უზამს, და სისხლს დას-
წყუეტს.

¹ აქ ტექსტში ერთი სიტყვისათვის ცალიერი ადგილია დატოვებული და
ზემო აშიახე სწერია დედნის ხელით „ვერ ითარგმნა ქართულად“.

და თუ არცა ამან გარდაუწყვეტოს, მოიტანე მურდის წყალი, ვაშლის ფოთლის წყალი, გუნდა და ბროწეულის ქერქი. ასრე უნდა ეს წამლები ყუელა ერთად მოადუღონ და წელთამდისი თბილსა ამა წამლებისა წყალშია ჩასვან და ეშველების და სისხლს დასწყუეტს. და როდისცა ამა წამლებიდაღმან ამოვიდეს, ორსავე ძუძუს ძირშია კოტოში მოჰკიდონ და ბევრი სისხლი აღინონ, და უსათუოდ ეშველების.

10 და საკმლებისაგან თუთუბო, მოცხარი, კოწახური, ისრიმი, უშხუნი, მჟაუნა, ნარდანგი, ხართუთა, და ხმელის დოთა საკმლები აქნეინონ და ისრე კამონ. და ამავე მჟავეების შარბათები სვან, ყუელა კარგად მოუხდების. ბოლო ამა სენსა მჟავეიანი და შემკრავი სასმელი და საკმელი ყუელა არგებს და კარგად უზამს. მაგრა ასრე უნდა, ამ რიგმან აღამიანმან ხორცი და ტკბილი საკმელი ცოტა კამოს. მჟავესა და შემკრავსა საკმელსა ეჰარბოს, და აბანოშია გვიან გვიანად შევიდეს და ეშველების უსათუოდ.

[მგ] ქარი მჟორმოცდა ხამე. შიტიჟისა.

20 ფიტყი ამას ჰქუიან, რომე ბევრის წელისა და ბოქვენის ტყვილითა კაცსა ფუში ჩამოუვიდეს, და ან რაცა წელის თალუხი და ტყვილი არის, იმისა მიზნებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიამბობს.

თუ კაცსა წელნი მწოვედ სტკიოდეს, ასრე უნდა, ოყნაი ლენა უნდა უყონ, ვითამცა და ცოტა და რბილი ოყნაო, და მერმე ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და საშუალი ოყნაო, და ესე ოყნები ერთსა ჟამსა კაცისა მუტელშია უნდა დააყენონ და მუტელი და ბოქუენი კარგად ამოუხილონ, რომე რაცა კაცისა გვამსა და მუტელშია ბაყლი, ხილთი, სენი და ქარი იყოს, ყუელასგან გაწმიდოს, და ყუელა დააღურევენოს, და ყოვლი სენი უშველოს.

30 და რა ამ რიგად გახსნას, მერე ესე ტლევები დასდვან, მოიტანე უშალი, რომე დანაი ჩადირსა ეძახიან, ოცი დირჰამი, დანამასტაკი და თეთრი საკმელი ათ ათი დირჰამი, მური ხუთი დირჰამი, საბარი რომე თურქნი აზვეის უძახიან, სამი დირჰამი, ეს წამლები უნდა დანაყონ და გაცრან და ძველის ღვინითა გაქნან და მოადუღონ, და მანამდისი აღდუღონ, რომე მოსქელდეს, მერმე ერთსა სამოსელზედა გააკრან და თბილ თბილი მტკივანსა ალაგსა და წელზედა შემოსდვან, და წელის ტყვილსა უშველის.

და საკმლებისაგან მხურვალი და შემრგო საკმლები უნდა აქამონ, და გრილსა და ქარიანსა ყუელასა ერიდონ.

კიდევ კაი ტლე და წამალი, რომე წელის ტკივილსა უშველის: შოიტანე მდოგვისა, წიწმარისა და უზანლულის თესლები და კაპარის ძირის ქერქი, და ოთხივე სწორი ქენით, და ნახევარზედა დანაყეთ, და სრულად ეს წამლები ნახევარზედა დანაყეთ და მარხანგვის წყლით მოადუღეთ, ვითამცა და საგალი ბალახიო და ტლედ ქნან, და წელ მტკივანსა კაცსა წელზედა დასდვან. ეს ტლე უტხოფრად კარგი და დაცდილი წამალი არის წელის ტკივილისათვის, და წელის ტკივილს უსათიოდ უშველის.

10 კიდევ კაი შაფი, რომე მაშინვე წელის ტკივილსა უშველის: შოიტანე ატმის კურკის გული, ჩორაქ ოთი და უზანლულის თესლი, სამისგანვე ათ ათი ღირჩამი, ბაყირ თვალი, დიმლითი ვითამცა და შავი, ხმელი ყურძენიო, თექუსმეტ თექუსმეტი ღირჩამი, ეს წამლები სრულად წმიდად დანაყონ, და რომელიც გაიტკივოდეს გაცრან, და ეს უკურკო შავი ყურძენი ასრე დანაყონ, რომე თაფლსავითა შეიქნას, და ის სხვა წამლები ამით მოზილონ და ნეკის სისხო შაფები ქნან, და თვითო დღისით ააღებინონ და თვითო ღამით. და უსათუოდ ეს შაფი წელის ტკივილს უშველის.

წურილი წამლები, რომე ამ წამლებითა წელის ტკივილსა და ფუშს წამალი ექნების და ეშველები.

20 შოიტანე ათი ღირჩამი დაფნის ხის ფოთოლი, დანაყე და ასი ღირჩამე სელის ზეთშიგა ჩაყარეთ, ამოკყლიტეთ და მანამდისინ აღუღონ, რომე ფოთლის ძალი და ხასიათი ყუელა ზეთშიგა გამოვიდეს, მერმე გარდმოიღონ, შეინახონ და როდისცა კაცსა წელი ასტკივდეს, თბილ თბილი ეს წამლები ცეცხლის პირსა წელზედა შესცხონ, მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი წამალი არის წელის ტკივილისათვის.

ვინც თბილ თბილი სუზაბის ზეთი, ან ერბო წელზედა შეიცხოს, თუ წელნი ქარისა და სიგრილისაგან სტკიოდეს, უსათუოდ უშველის.

30 ვინც თბილ თბილი ბალასინის ზეთი წელზედა შეიცხოს, რაცა კაცსა წელშიგა სევდისა და ბალღმისა სენი სქირდეს, ყუელა უშველოს, და თუ ესე წელის ტკივილი ქარისაგან იყოს, ისიცა გააქარვოს. ვინცა თბილ თბილი იის ზეთი წელზედა შეიცხოს, წელის ტკივილი უშველოს.

ვინც გველი ან შეწვას და ან მოხარშოს და ქამოს, უსათუოდ წელის ტკივილსა უშველის, და კაცსა ძალსა მწოვედ მოუმატებს.

ვინცა ჯორის ძუის ხის ფოთოლი და ან ნეკერი დანაყოს და კარვად მოხარშოს და ამისგან უზომან ერთი თასი დალიოს, წელი-სა, თირკმელისა და თეძოების ტკივილსა, სამივე უშველოს.

ვინცა ესევე ჯორის ძუა დაჯექოს და ღვიის წყლითა მოადუ-
ლოს, გაწუროს, და თბილ თბილის ამ წყლითა ოყნა ქნას, თეძოსა
და წელის ტკივილსა და ძველს ქარსა, ყუელას გაუგდებს.

ისპანახის შექამადი წელის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის.

აღუ ალაჯი ვითამცა და იელის ხეო მხურვალე და ხმელია,
ვინცა ესე იელის ფოთოლი დაჯექოს და მოხარშოს და წელზედა
დაიდვას, წელის ტკივილი ეშველოს.

10 ვინცა გრაკის ხის ხილი დანაყოს და თათლშიგა ამოზილოს და
ქამოს, წელის ტკივილი უშველოს: ან ვინცა ღვინითა მოხარშოს და
წელზედა დაიდვას, თუ ესე ტკივილი სიმხურვალისგან იყოს, წელის
ტკივილი უშველოს. და ვინცა თათლითა ქამოს კაცსა, რომე წელ
წულშიგა მსხმო ესხას, ისიცა უშველოს.

კიდევ რაცა ქარსა აწყენს და არ არგებს: ენისუნი, ქიმნუნი,
ცერეცო და კამა, სტომაქიდალმან და წელიდალმან ქარსა გააგდებს
და გააქარვებს.

სანანებელი, პილპილი, ეგირი და ხოლინჯანი სტომაქიდალმან
და წელიდალმან ¹ ქარსა გააგდებს და გააყენებს.

20 დანამასტაქი, საკმელი, კევი და ყასნი სტომაქიდალმან და წე-
ლიდალმან ქარსა გააგდებს და გააყენებს. ჯავზი და ბაზბაზი რომე
კაცმან ერთად დანაყოს და ამისგან უზმომან ქამოს, ქარსა დაღეწს
და გააქარვებს.

პილი კაცსა ქარსა ზოგსა გაუგდებს და ზოგსა ამოალებინებს.

წიწმატი, ქონდარი, პიტნა და საბზი, ქარსა ოთხივე გააგდებს
და გააქარვებს. წყლის პიტნა ქარისათვის მწოვედ კარგი არის და
ქარსა გააქარვებს. გარეულის პიტნის ერბო ქარისათვის მწოვედ კარ-
გი არის.

სარამაშული, რომე კაცმან დაჯექოს და მოხარშოს, და წელ-
ზედა დაიდვას, ქარსა გააქარვებს.

30 არჯუჯის ხილი რომე კაცმან ქამოს, ქარსა გააქარვებს. ფალა-
სუფას მაჯუნი ქარსა დაღეწს და გააქარვებს. სტაფილოს მაჯუნი,
მუხუდოს მაჯუნი და ზაფრანის მაჯუნი ქარსა ყველა დაღეწს და
გააქარვებს.

ინდოური ნიგოზი, ნაქვის გული, წითელი და ნიგოზი, ქარსა
ოთხივე კარგად უზავს. მწოვედ წმიდა და უსაფუერო პური ორივე
ქარს აუგდებს.

¹ ეს სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ისრინი სტომაქშიგა ქარსა დაბადებს. გაუცრელი პური ქარსა აუგდებს. თხილი ქარსა გააძალიანებს. ბაკლა ქარს აშლის. ქერის პური ქარსა აუგდებს. ბოლოკი და თალგამი ორივე ქარიანი არის. ხახვი და ბადილჯანი. ორივე ქარიანი არის. სალათა და ვარდის კაქაქი რომე კაცმან წყლითა გარეცხოს, ორივე ქარიანი არის.

10 მღ. კარი მეორმოცდა ოთხე. თირკმელისა და ნეკთა ტკივილისა მიზეზებსა, წამლებსა და ალამათებსა გაამბობს. თუ ესე ნეკთა და თირკმელის ალაგისა ტკივილი სიმბურვმლისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე თირკმლის ალაგი მწოვედ ცხელი ექნების და მწოვედ წყალი მოსწყურდების, და რა კაცი ამრიგად ნახოთ, იცოდით დასტურად სიმბურვალისაგან სტკივის.

ამისი წამალი ეს არის—იისა, ლულუფრისა, შაჰთარასი და გრილი შარბათები ასეან, და გრილი ტლეები შემოსდენ, გრილი წამლები და გრილი ლობები ასეან. და თუ ან ამა ტლეებშიგა, და ან ამა შარბათებშიგა ქათურსა გაურევთ, ამ რიგსა სენსა უცხოფრად კარგად მოუხდების.

და თუ სიგრილისაგან და ქარისაგან სტკივის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე შარდი თეთრი ექნების, და თესლი ცოტა თხელი და ცივი ექნების, და კაცსა წელნი დაუსუსტდების.

20 ამისი წამალი ეს არის, რომე მხურვალის ოყნაები უყონ, მხურვალის ზეთებითა თბილსა ალაგსა შექონონ. ასფურის თესლის ერბო, ვითამცა და ალი სარჩულის ერბო, ინდოურის ნიგუზის ზეთი, ნაევის ზეთი, ყუსტის ზეთი, თბილის ზეთი, წითლის ზეთი, სელის ზეთი, ნიგეზის ზეთი თბილ თბილი შეიცხონ, და ამ ზეთებშიგა ნუშის ზეთი გაურიონ და ქამონ და ამა ზეთებშიგა შაქარი გაურიონ და აქამონ. და თბილ თბილისა მელის ქონითა შექონონ, ესე მელის ქონი ამა სენისათვის ყოვლსა ქონსა სჯობს, რომე თბილ თბილი ესე მელის ქონი, თბილსა ალაგსა, მტკივანსა ალაგზედა შეცხოს. და ანდუზის ზეთიცა კარგი არის, რომე თბილსა ალაგსა შექონონ, და

30 ქარისა და თირკმლის სენისათვის მწოვედ კარგი წამალი არის ეს ზეთები და ეს ქონები.

აწე ამა ტკივილის მიზეზი ეს არის, რომე ან კაცსა თირკმელი დამჟლობია, ან თირკმელსა ქონი შემოსცურცია, ან ბევრი ტყუნა მისქირეებია, ან ბევრის რწყევითა და სტომაქის აშლილობისაგან იქნების.

ამის წამალი კიდევ ისევე არის, მელის ქონი, ქათმის ქონი, ბატისა და იხვის ქონი თბილ თბილი მტკივანსა ალაგზედა შეიცხონ, და თირკმლის გასუქების თათბირნი ქნან, და ესევე ქონები, ტვინები

და ესევე ერბოები თბილ თბილი შესცხონ, და ეს ერბოები კიდევცა სკამონ. და თუ თარანგუბინსა შაქრითა გაულესავენ და ასმევენ, მწოვედ არგებს.

და ეს თირკმლის ტკივილი დასტურად მისგან არის რომე, კაცის თირკმელშიგა სქელი ქარი დაიბუღების, და ამისი წამალი ეს არის, რომე ადრალუ ბაკლის წამალი ასვან, და ამავე გვარი ტლევები შემოსდვან, რომე ქარი და სიგრილე დაფანტონ, და გაუგდოს, და შარდი დაალურევიროს, და ყუსტისა და ზამბახტის ერბო შესცხონ.

10 და თუ კაცსა თირკმელი გაუსივდეს და ამა მიზეზითა კიდევცა გააცხელოს, ასრე უნდა, სითყენცა თირკმელი სტკიოდეს, იმავე მხრისაკენ მკლავი გაუხსნან და საშუალის ძარღვიდალმან ბევრი სისხლი აღინონ. და შუმბიარის თესლის წყალი, აყიროს თესლის წყალი და ხაშხაშის ლობი ასვან. და იისა, ლულუფრისა, ქლიავისა და შაპთარას შარბათი ასვან, ბაკლას წვენი ნუშის ზეთითა ასვან, და ჯავავი და ქეშქაბი აკამონ, და სანდალი დანაყონ, და ან ვარდის წყლითა და ან ტუბტის წყლითა გალესონ და მტკივანსა ალაგსა ტლედ დასდვან. და ესევე ტუბტის წვენით დანაყონ და ტლედ დასდვან.

და მწოვედ ძალიანად ძახილსა და სარჯლიანსა და ძნელსა საქმეებსა ერიდოს. და საქმეებისაგან ისპანახის შექამადი, მარული ვითამცა და სალათა, და ქინძი კამონ. და ხილისაგან კიტრი, შუმბიარი, საზამთრო, ვაშლი, სხალი, ქლიავი და ატამი კამონ.

კოწახური დაჯეკკონ და ვარდის წყალი შიაფრქუიონ, და თუ იყოს შაქარი შიაფრქუიონ და ისრე მუდმად კამონ, და სიცხესა და სიმბურვალესა უსათუოდ გაუშვებს. და თირკმელსა და მტკივანსა ალაგზედა მუმრულანი, იისა ზეთი, ისი ზეთები და ისი ქონები შეიცხონ, რომე აქავე ზემო სწერია.

და თუ კაცსა თირკმელნი მწოვედ სტკიოდეს, ხშირად თბილსა წყალშიგა უნდა ჩაჯდეს და უსათუოდ ეშველების.

30 მუფრიდათი არიხ რომე ამითა თირკმლის ხენსა და ტკივილსა ეწამლებიხ. ვინცა კაპრის ძირის ქერქის წყალი გამოჰხადოს და იმდენივე ძნარი დაასხას, და სამსა დღესა ზედა ზედ თვითო თასი დალიოს, თირკმლის ტკივილი უშველოს.

ლეღვი თირკმელთა არგებს და გასწმედს. გველთევზა თირკმელთა ქონსა შემოაკრავს და თირკმელთა მწოვედ არგებს.

ვინცა ბაბათია ვითამცა და გვირილას ბალახი, მოხარშოს და სევას, და თბილსა იმის წყალშიგა კიდევცა ჩაჯდეს, თირკმელის ტკივილი უშველოს და ქვა გააქარვოს.

ტკბილის ნუშის ზეთი, ინდაურის ნიგეზის ზეთი და ნაკვის ზეთი, თხილის ზეთი, ნიგუზის ზეთი, ალისარჩულის თესლის ზეთი, სელის ზეთი, მელის ქონი, ქათმის ქონი, ბატისა და იხვის ქონები, ეს ყუელა თირკმელსა ქონსა გამოაბამს და შემოაკრავს, რომე კაცმა ქამოს ან თბილ თბილი მტკივანსა ალაგზედა შეიცხოს.

თოფალახი თირკმელთა არგებს, ტანს გაათბობს და ქვასა დაღეწს. დემურ თიქანი, რომე სპარსნი ხარი ხასაქს უძახიან, და ქართველნი ლუსმარას ეკალსა ეძახიან, ესე რომე კაცმან მოხარშოს, და ამისი წვენი სვას, ბუშტსა და თირკმელშიგა რომე ქვა იყოს, იმას უშველის და გააქარვებს.

10

ზაფრანა კაცსა გაამზიარულებს, თირკმლისა ტკივილსა უშველის, და რაცა სენი არის, ყველას მოხეტქს და გააქარვებს, და თირკმლის ქვასა, და წელწულშიგა რომე კაცსა მსხმო ესხას, ორსავე უშველის.

ყამბილი, ვითამცა და ონტკოფაო, თირკმელსა, ბოქვენსა და საზარდულსა სამსავე არგებს და დაამაგრებს, და ძალს მისცემს, და თუ თირკმელშიგა ტკივილი არის, უშველის.

ქაბაბაი ჩინი სტომაქისა და წელწულეზიდალმან ხილთებსა გასწმენდს. ზირა რომე კაცმან ჯავარიშითა ქამოს, თირკმელს გაამაგრებს, და თუ მუწუკი ასხია, უშველის.

20

ფალასუფას მაჯუნი, სტაფილოს მაჯუნი, ზაფრანის მაჯუნი, სიანარი თუსის მაჯუნი, თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, ეს მაჯუნები ყველა თირკმელსა გააძალიანებს, და თუ ქვა არის დაღეწს და გამოჰყრის.

[მშ] კარი მეორმოცდა ზუთე. ირყინისახი, ვითამცა და თეძოვბინა და კუკუზოხ ტკივილინა. აწი ამა სენსა სპარსნი ირყინისასა ეძახიან, და ამა სენისა ნიშანსა, აღამათებსა და წამლებსა გიამბობს.

აწე ირყინისა ამა სენსა ჰქუიან, რომე კუკუზო და საივე სტკიოდეს და ამ რიგისა სენისა ტკივილი და აღამათი ეს არის, რომე, კუკუზო და საივე სტკიოდეს, და საივისა და თეძოვბიდალმან ტკივილმან, ყუილმან და გაწვამან დაუწყოს, და ეს ტკივილი საივით კოქებამდისინ სრულად სტკიოდეს.

30

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე თუ ეს მტკივანი ალაგები ცხელი და ყირმიზი ჰქონდეს, იცოდით ესე სენი სისხლისა სიმზურვალისაგან წაჰკიდებია, და ასრე უნდა, კოკისა გარეთ მხრისაკენ სამსა ძარლუსა შუაზედა სისხლი გამოუშვან და ზომიერი სისხლი აღინონ. და თუ ისი ალაგები ყირმიზი არა ჰქონდეს, ასრე უნდა, ასეთი წამლები და ჰაბები ასვან და აქამონ, რომე კუირაშიგა ერთხელ არწ-

ყვეინოს, და ან თხუთმეტსა დღეშიგა ორსავე დღესა ზედა ზედ არწყვეინოს. და საკმლეებისაგან ხორცის გვარსა ნურას აკმევენ. და ყოვლსა გრილსა და ქარიანსა საკმელსა და სასმელსა, თევზსა და მაწონსა, ამას ყუელასა ერიდონ. და არცა ცხელი უნდა სვას, და ოყნაი მუთავასითა უყონ, ვითამცა და საშუალი ოყნაო. და ორსა დღესა ზედა ზედ ტლეები დაადვან. მოიტანე ცომი და კარგად და-

- 10 ზილე, და ამა ცომისა ერთი ასეთი კუერი შექენით, რომე ამა კვერშიგა ხელი გაეტეოდეს და საცა სტკიოდეს, ეს კვერი ამა ალაგსა მიაკრან და ცომითა პირი მოუგლისონ, რომე ამა კუერშიგა კაცმა
- 70 წამალი ჩაასხას არ გაედინოს, და კაი მარილი დანაყონ და გაცრან, და კვერის შუაგულობაშიგა ასრე მოჰქენონ, რომე ხორცი აღარა ჩნდეს და ამ მარილზე თბილი ზეთის ხილის ზეთი დაასხან, და თუ ზეთის ხილის ზეთი არ იყოს, ამავე რიგად სელის ზეთი დაასხან, და მარილი და ზეთი თითითა დაურიონ, და რა მარილი და ზეთი ერთმანერთშიგა აურიონ, კიდევ სხვა ზეთი გაათბონ, და პირველისაგან უფრო მოცხო ქენით, და კიდევ დაასხით, და კიდევ თითითა აურივეთ და ორსა, სამსა დღესა ამ რიგად უნდა იყოს, რომე ისი კუერისა შუაგული ალაგი, ამა მარილმან და ზეთმან ჩაახუროს და დასწვას ვითმე, და მერმე კუერი კი ააძრონ და ან კანაფის ქერქი, და
- 20 ან ბამბა დაადვან და შეუხვიონ, რომე მარილი და ზეთი არ ჩამოსცვინდეს, და ერთსა დღესა და ღამესა ამ რიგად შეხვეული ამყოფონ და ტკივილსა უსათუოდ უშველის, ძალითა და შეწევნითა ღთისათა.

და ამა ირყინისას სენსა რომე ოყნა უყოთ, მისი იარალი ეს არის: მოიტანე დღემურ თიქანი, რომე სპარსნი ხარხისაჲს ეძახიან და ქართულად ლუსმარა ეკალი ჰქუიან, ამისე ფოთოლი და კაძას ბალახი, და გვირილას ყუავილი და ან ბალახი, და აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყაუვის ქანგას ბალახის თესლი და ან ფოთოლი, და გარეული პიტნა და საბზის ბალახი, ამათგან ყუელა სწორ სწორი

- 30 უნდა ქნან, და ყუელასაგან თვითო მუჭაშიგა დაქირვა უნდა იყოს, კიდევ მოიტანე ყანთურიონი დაყიყი ათი დირჰამი, ყისაულ ჰემარ, კაპრის ძირის ქერქი და ნახევარზედა დანაყილი ასფურის თესლი, ვითამცა და აღისარჩულის თესლიო და ტკიპას თესლი ეს ოთხივე ხუთ ხუთი დირჰამი, ბოის თესლი, ვითამცა და ულბოს თესლიო, და აღყარყარჰა, ვითამცა და გარეულის ტარხუნის ძირიო, ოთხ ოთხი დირჰამი, ასრე უნდა სრულად ეს წამლები ერთად ჩაყარონ და შვიდი რამთალი წყალი დაასხან; რათალი ას ოცდა ათსა დირჰამსა ჰქუიან, და მანამდისინ აღუღონ, რომე ოარი წილი წყალი ჩაიშროს და

ერთი წილი დადგეს. მერმე მოიტანე ამ წყლიდაღმან ოთხმოცდა ათი დირჰამი და თორმეტი დირჰამი თათლი, თორმეტი დირჰამი სუსანის ერბო, ვითამცა და შინაურის იის ერბო და თორმეტი დირჰამი თეთრი ზამბახტის ერბო, და ორი დირჰამი მუყლი აზრაყი და ერთი დირჰამი სამინაჯი და ნახევარი დირჰამი მთახვის ყუერი. აწე ასრე უნდა სრულად ეს წამლები ერთად აურიონ და ავანშიგა დანაყონ, და ესე წამლები და ესე ერბოები ყუელა წყალშიგა ჩაყარონ და კარგათ აურიონ, და მერმე თბილ თბილისა ამა წამლებითა ოყნა უყონ წვისისაებრივ, და უსათიოდ ტკივილსა უშველის და ქარსა

10

გაუგდებს ძალითა ღ'თისათა. და ამა ოყნასა უკანა ზურგი, თეძოები და კუკუხოები, და რაცა ასოები და ალაგები სტკიოდეს, თბილ თბილისა ყუსტისა და შინაურისა ერბოთა დაუზილონ, და კარგად შექონონ და უშველის.

კიდევ სხვა კარგი წამალი რომე ამა ირყინისასა სენსა უშველის და ქარსა გაუგდებს: მოიტანე სინაი მაქი, ვითამცა და ფუთფუთას ხის ფოთოლიო ათი დირჰამი, ცხენის წაბლი, რომე თათრულად სულინჯანი ჰქუიან, ხუთი დირჰამი, ზაფრანა ერთი დირჰამი, სამივე ეს წამლები კარგად დანაყონ და ერთად აურიონ და ამისი შარბათი სამი დირჰამი შაქრის მყინვართა გალესონ და უზმამან

20

სეან.

თუ ესენი არ ეშველოს და მწოვედ გაუგრძელდეს, იარაჯი ფეყრა აკამონ და მარილიანისა თევზის წყლითა და ყისაულ ჰემართა ერბოთა ოყნა უყონ, და ან გოგირდისა წყალი მოადულონ და წელთამდისი იმის წყალშიგა ჩაჯდეს, ან ამავე რიგად ზღვის წყალი გაათბონ და წელთამდისი შიგა - ჩაჯდეს, და ან ამავე რიგად მართალ წყალშიგა ჩაჯდეს და უშველის.

30

კიდევ წამალი რომე მიკრისსა და იმა ირყინისას სენსა მწოვედ არგებს: მოიტანე ცხენის წაბლი ათი დირჰამი, კაი შაქარი ხუთი დირჰამი, ზაფრანა ნახევარი დირჰამი, ეს წამლები სამივე დანაყონ, ერთმანერთშიგა აურიონ, და ამისგან ერთი დირჰამი ცივის წყლითა გალესონ და უზმომან სეას.

ვინცა თორმეტსა ლამესა დაწოლის დროსა ზედა ზედ სამი დირჰამი უზანლულის თესლი მრთელ მრთელი შექამოს, უსათიოდ ირყინისას სენი და ყოვლი სხვა ქარი უშველოს, და ესე წამალი მწოვედცა დაცდილი და ნასაქმები არის მრავალჯერ, და სარჯელსაცა მოურჩენს ღ'თითა.

[83] კარი მეთრმოცდა ექლხე. მიკრისისა სენისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიამბობს. აწე მიკრისი ისი სენი არის, რო-

მე კოქებიდალმან ფეხების ცერამდისი როგორაცა სისხა ისრე გაუსივდების და ამა მიკრისისა და ყოვლის მუფასილებისა მიზეზები ეს არის, რომე კაცი ბევრსა საქმელსა სკამს და ზედ წყალსა სვამს, და მადლარმან კაცმან რომე ტყუნა ქნას, ან მწოვედ მადლარმან კაცმან რომე ხელი და ფეხი დაიზილოს, ეს მიკრისი, წელისა და მეჯის ტკივილი, მუხლისა და თითების ტკივილი, და უფროსიერთი ეს მიკრისის და მუფასილის სენები მისგან დაემართების.

და ამა სენებისა წამალი ყუელა ერთი რიგი და ერთმანერთის მიმსგზავსო არიან.

10 მერმე ამა სენების მიზეზი ამისგან იქნების, რომე კაცი ავად გახდეს და ავადმყოფისა ტანმან ოფლი, მართლად და გათავებით არ გამოიღოს, და ესე ოფლი შიგავე ტანშიგა დარჩეს, და მერმე ესე ოფლი კაცსა სენად გარდაექცევის.

როგორაცა კაცმან ბევრი საქმელი ჭამოს და ნამყენი საქმელი ველარ მოიდნოს, და ემთილა შეიქნას, და ისი საქმელი კაცისა გუამსა და მუცელშიგა დალპეს და წახდეს, და მრავალი სენი აუძრას, და ან კაცსა ტვინისა და ცხვირისა გზა ასრე შეეკრას, რომე ცხვირიდალმან წვინტლი და წყალი ვერ წამოვიდეს და შიგნით მკუხებდ დარჩეს, და სენად გარდაექცეს, და ამა მიზეზითა თავისა, თვალისა და საფეთქლებისა ტკივილი აუგდოს, ისრევე ეს არის, რა კაცის ტანიდალმან მართლად ოფლი გარ აღარ გამოვია და ეს ოფლი კაცის ტანშიგა დარჩების, ის ოფლი უსათუოდ სენად გარდაიქცევის, და მერმე ესე ოფლი კაცსა ფეხებ შუა და ძარღვებშიგა ჩამოუა, და ესე მიკრისი მისგან დაემართების, და მერე ამისისა წამლის ქნა აქიმთაგან ძნელილა არის, და აქიმები ამა სენსა მარზი იომარსა უძახიან, ვითამცა და სადამდი კაცი ცოცხალა ვერას მოისვენებსო და ავად იქნებისო.

და აქიმთა სააქიმოს წიგნებშიგა ასრეცა უწერია, თუ მიკრისიანი კაცი დღე გრძელი იქნებისო, მაგრა მისთა დღეთა ჭირითა და 30 სარჯლითა გამოივლისო.

და თუ კაცსა მიკრისი შეექნას, ეს იცოდით, რომე მიკრისი მწოვედ ავი და ძნელი სენი არის, და თუ კაცსა მიკრისი შეექნა, ესე კაცი მისთა დღეშიგა ველარას მოისვენებს, და ამა სენისა აქიმობაცა მწოვედ ძნელი არის.

ასრე უნდა, მიკრისიანმან კაცმან მუდმად იფარეზოს, და ესე მიკრისი ფარეზობითა და შიმშილითა ეშველების. და ასრე უნდა მიკრისიანი კაცი ხორცის ჭამასა, ღვინის სმასა, დედაკაცთან მისულას მწოვედ ერიღოს და იფარეზოს. და თუ საქმელი ჭამოს, კარ-

გი, შემრგო და მოპთადილი საკმლები ქამონ, და რა მზე გარდაბ-
რუნდეს მასუკან საკმლები აღარ უნდა ქამოს.

აწე თუ ესე მიკრისი სისხლის სიმშურვალისა და სიმრავლისა-
გან არის, ამისი ნიშანი და აღამათი ეს არის: ტკივილი მწოვედ-
ძნელად და ძალიანად მოუვა, და ესე მტკივანი ფეხი მსივნად და
წითლად ექნების, და ძარღვები ლურჯად ექნების, და ფეხის ცერის-
თითზედა რომე ხელი მოუქირონ, ცერის თითი ცხელი ექნების. და
ამა სენისა პირველს შეყრაზედა თუ ესე ტკივილი და რკმა მწოვედ-
იყოს, და კაცმან რომე ცივი რამე დაადვას, სნეულსა იამოს და

10 ტკივილი დაუამოს.

აწე რა ესე ნიშნები და აღამათები კაცზედა ნახოთ, იცოდით
ძარღუეშიგა სისხლი ჩასულია და ის არის. ამისი წამალი ეს არის,
რომე თუ ესე ტკივილი და სიმსივნე წელთ ქუეით იყოს, უნდა
მკლავი გაუხსნან, და სრულად ქვემოს ძარღვიდალმან კარგად სის-
ხლი აღინონ.

და თუ ესე ტკივილი და სიმსივნე სარტყელს ზედათ იყოს, სა-
შუალი მკლავის ძარღვი გაუხსნან და კარგად სისხლი აღინონ, და
თუ კაცსა მარჯუენის მხრისაკენ ესე სატკივარი სტკიოდეს, სისხლი
მარცხენით უნდა გამოუშვან, და თუ მარცხენით სტკიოდეს, მარ-
20 ჯუენით უნდა გამოუშვან. და რა სისხლი გამოუშვან გრილი ტლეე-
ბი შემოსდვან და ძმრით გალესული სანდალი, კატის ძუძუს წყალი,
ძალის ყურძენას წვენი, ქინკრის ტლე, ქარხლის ფოთოლი, საზამთ-
რო, კიტრი, შუმხიარი, ატამი, ახალი ძმარი, ბარძაყათუნა, ქასნი,
თოხმაქანი, ნელლი ქინძი, ქასნი, შაპთარა და სხვა გრილი წამლები
ან დანაყონ, ტლედ ქნან და დაადვან, ან გამოწურონ და ამათს
წვენშიგა ქათანი დაასოვლონ დნ გარდაკრან, ესე წამლები ყველა
მწოვედ კარგად უზამს, და ტკივილსა ყუელას დაუამებს.

შარბათებისაგან: სიქანჯუბინი, შაპთარა, ქლიავისა და კოწა-
ხურისა, ლიმოსა და ისრიმისა, უშხუნისა და მეაუნას შარბათი და
30 თაბლი ჰინდის შარბათი, რომელიც იყოს ასვან, ყუელა კარგად მო-
უხდების. იისა და ლულუფრის შარბათი ასვან, თოხმაქანი, საზამთ-
რო, კიტრი, შუმხიარი, ვაშლი, სხალი, ბია, ქლიავი ქამონ, ან მათი
წვენები გამოწურონ და სვან. და ამა წყლებსა და შარბათებშიგა ან
თოვლი და ან ყინული ჩააგდონ და ისრე ცივი სვან და მწოვედ
კარგად უზამს. და თუ ამ წყლებსა და შარბათებშიგა ტკბილის ბრო-
წეულის წვენს გაურევთ, ისი სჯობს. და ესე შარბათი სამსა დღესა
ზედა ზედ უზმომან უნდა სვას, მწოვედ კარგად უზამს.

და საქმლეზისაგან ჯავ ავი, ვითამცა და ქერის შექამადიო, და მანამდი ეს ჯავ ავი უნდა აქამონ, რომე სიმსიენე გაუვიდეს და სიმაგრე დაუღბეს და ტკივილიც დაუშვას. და სანამდი ეს სამიე არ ეშველოს, გასახსნელს წამალს ნუ მისცემენ.

თუ ან მწოვედ საფრამან დაამეტოს და ან მწოვედ ტკივილმან შეაწუხოს, და თუ საფრა სქარბობდეს, მოხალული ცხენის წაბლი დანაყონ და ორჯერ სამჯერ უზმოსა ასვან და უშველის ძალითა ღ'თისათა.

10 და თუ მიკრისი და ტკივილი საფრისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე სიმსიენე ცოტა ცოტა იქნების და ტკივილი¹ და მკველი მწოვედ ძალიანად ექნების, და ის ალაგი რომე ცოტად მსიენად აქვს ისი სიმსიენე წითლად და მწოვედ ცხლად ექნების. და იშვით მოხდების, რომე ამა საფრასა სისხლი ერიოს, და სრულად საფრა არ იყოს, და ავადმყოფსა ფერი ან მართალზედა მოყუითანოდ ექნების და პირი მწოვედ მწარედ ექნების და წყალი მოსწყურდების, და ძილი არ მოუვა. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, იცოდით ესე ტკივილი და მიკრისი საფრისაგან არის.

20 ამისი წამალი ეს არის, რომე გრილი წამლები და გრილი შარბათები ასვან და მოხალული ჰალილა და ცხენის წაბლი დანაყონ² და ერთმანერთშიგა აურიონ და დილეულ უზმოსა ასვან ორჯერ, სამჯერ, და სადამდისი ტკივილი დაუშვებდეს ასრე უნდა, მუდამ³ ისრიმისა, ან კოწახურისა, ან მოცხარისა ან თუთუბოსა შექამადები, და ქერის წყალი ერთგან შექამადად ქნან და ისრე აქამონ. და ყიმა შირვა აქამონ, რომე იმაშიგა ნედლი აყირო, კიტრი, ისპანახი, ქინძი, თოხმაქანი, შუმხიარი ერიოს, და რომელიც იყოს, შიგ გამოხარშონ და აქამონ, და ქერი მოხალონ და დაფქონ და ამა ქერის ფქუილშიგა შაქარი აურიონ და ისრე აქამონ, და თუ ამა წამლებმან არცა ერთმან არ უშველოს, და არ უაქიმოს, ოყნაი მუთავასითა უნდა უყონ, ვითამცადა საშუალი ოყნაო, რომე კაცი ბალღმისა, საფრისა
30 და ყოვლის ავის ხილთისაგან გაიწმიდოს, და ეს კაცი მუდამ გახსნით უნდა იყოს, შეკურა მწოვად აწყყენს.

და ხშირად მაჯუნი სულინჯანი უნდა ქამონ, რომე რაგინდარას გვარისა, სენისა და ქირისაგან კაცსა მიკრისი სქირდეს, ეს სუ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამ ტეხული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არას ჩამატებული დედნის ხელით.

³ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლინჯანის მაჯუნი ყუელასა აქიმი არის. სულინჯანი ცხენის წაბლსა ჰქუიან.

მოიტანე ვარდის წყალი, ძაღლის ყურძენას წყალი, ან კატის ძუძუს წყალი და ან დედაკაცის რძითა და ძმრითა, თეთრი სანდალი დანაყონ, და გაცრან და ეს წამლები ყუელა ერთად გააყენონ, ტლედ ქნან და მტკივანსა ალაგზედა დაადვან. და თუ გატეხა და გაწვა მწოველ ძალიანად სჭირდეს, მოიტანე ცოტა თრიაქი და ცოტა ზაფრანა და ესეცა ამა სანდლის ტლეშიგა გაურივეთ, და ისრე შემოსდევით.

10 და თუ ეს წამლები ვერ იშოვნოთ, მოიტანე ყადუნა, დანაყე და ძმრით ტლედ ქენით, და მტკივანსა ალაგზედა დაადევით, და მაშინვე ტკივილსა გაუშვებს და უშველის.

და თუ ეს მიკრისი სიგრილისა და ბალღმისაგან შეჰქნია, იმისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა ფეხები მსივნად ექნების, და სიმსივნის ფერი როგორცა ტანის ფერი ისრე თეთრი ექნების, და ესრე სიმსივნე რბილიცა ექნების, და ავად მყოფსა პირწყალი მოედინების და ტკივილი ცოტა ექნების, და ამაზედა რომე თბილი რამე დაადვა, იამების და ტკივილსა გაუშვებს. აწე, თუ ესე ნიშანი ნახოთ, იცოდით, დასტურად ფეხები ბალღმისა და სიგრილისაგან სცკივის, და მიკრისიცა მისგან ასტურია.

20 ამისი წამალი ეს არის: მოიტანე აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ქანგას ბალახიო, ბაბუნაჯი, ვითამცა და გვირილას ბალახიო, ბოი, ვითამცა და ულბოს თესლიო, და კანაფის თესლი, სრულად ეს წამლები დანაყონ და წყლით მოადუღონ და მანამდისი ადუღონ, რომე დომხლის შეკამადსავითა შეიქნას და ეს წამლები თბილ თბილი, ტლესავითა მტკივანსა ალაგზედა დაიდვან, და ტკივილსა უშველის. ეს წამლები რომე ყველა ერთად არ იყოს, არა გავარა.

30 ვინცა თეთრი ბოგრიჯა, ვითამცა და თეთრი წურილი ლობიო, კაცმან კარგად მოხარშონ და ამოკყლიტოს, რომე გასქელდეს, და მტკივანსა ალაგზედა დაიდვან, ტკივილი უშველოს, მაგრა ფიცხლა ფიცხლა უნდა გამოუყვალოს და სხვა და სხვა დაიდვან. რაცა კაცსა ან ტკივილი და ან ჰირი სჭირს, ყუელას უშველის. და თუ ესე ბოგრიჯა არ იშოვებოდეს, ბაყლას ფქვილი კიდევ ამავე რიგად ქნან და თბილ თბილი დაიდვან და უშველის. და თუ არცა ესე ბაყლას ფქვილი იშოვებოდეს, მარილი დანაყონ და გაცრან და ანაკუეთშიგან აურიონ და კარგად გაათბონ, და თბილის წყლითა ასურიმონ,

და თბილ თბილი დაადვან, მაშინვე ტკივილსა და წვასა დაუშვებს¹.

და ასრე უნდა ამა სენის უფალმან ქაცმან ბალღმისა და საფრის მუსილი სვას, ვითამცა და გასახსნელი წამალიო, ერთმანერთშიგა აურიონ და ისრე სვან, და ამავე რიგი ჰაბები ჰამონ, რომე ძარღვები დაუფიწროონ, თვარამდა სადამდისცა ძარღვების. სიფართე არ დავიწროვდების, მანამდისი ესე ტკივილი არ გაეყრების.

10 და რაგინდა რა კაცმან ბევრი მუსილი სვას, თუ გული და სტომაქი დამიწმდესო და სენი მეშველოსო, რა კაცი უკეთ შეიქნების, მერმე საკმელიცა მოუნდების, და დედაკაცთან მისვლაცა მოუნდების, და თუ ამავებსა მართლად არ იფარეზებს და თავს კარგად არ შეინახავს, და ან საკმელსა ბევრსა სკამს და ან დედაკაცთან მივა, ამა შიზებითა სტომაქის სიმზურვალეს გაუგდებს, მაგრა ბევრი საკმლის ჰამა ძარღვებშიგა ჩაუვა, ამისთვის რომე კაცსა ძარღვები ფართო აქვს და აძლენსა არ აცლის, რომე ეს საკმელი კაცის გვამსა და სტომაქშიგა დადნეს და დასისხლდეს და მერმე ჩავიდეს, და ესე ძარღვები ვითაც ფართო არის მისთვის უმსა საკმელსა ადრე ჩაუშვებს, და ესე უმი საკმელი კაცსა ძარღვებსა გაუტენს და დაუჭიმავს, და ამ რიგი სენი კაცსა მისგან შეექნების და კიდეცა მისთვის ეტკივნების.

20 აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე ბევრის მუსილისა და გასახსნელისა წამლისა სმითა ადვილად კაცსა ესე სენი არ ეშველებს. გგების ასეთი წამლები ჰამონ, რომე ძარღვებსა პირი შემოუყაროს და დაავიწროოს, თორემ ეს სენი ადვილად არ ეშველებს.

აწე ესე მაჯუნნი არის, რომე ძარღვებსა დაავიწროებს და პირს შემოუყარის: ცხენის წაბლის მაჯუნნი, და ესე ცხენის წაბლი რომე ისრე უმაჯუნოთ კაცმან ჰამოს, მაშინცა კაი არის და მიკრისის სენსა მწოვედ არგებს და კარგად მოუხდების.

30 და თუ ესე ძარღუშიგა ჩასული სენი სევდისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე სნეულსა პირი მოშაოდ ექნების და თვითონ სნეული მკლედ იქნების, და ფეხის სიმსივნეზედა რომ ხელი დააქირო მწოვედ ეტკინების. აწე რა ესე ნიშნები კაცზედა

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „კიდევ კაი წამალი მიკრისისა და ყოვლის ფერის მუწუქისა; „მოიტანე ზღვის ქაფი და ვარდის ერბო ან ზეთი და ცვილი, წესისაებრ გაადნევ და მალამად ქენ, ვისცა ან მუწუქი, ან მიკრისი ესხას ზედ დასდევ, კარგად უხამს და სიმსივნეს დაუსვამს.“

ქვემო აშიაზე კი სწერია: „მთის თაღგამი დაფხიკოს და მოხარშოს და მიკრისზედა დაიდვას [ტკივი]ლი უშველოს, მიკრისის სენისათვის მწოვედ კარგ არის.“

ნახოთ, იცოდით, ესე მიკრისი სეედისაგან არის, და ტყირპიცა სკირს, და ტკივილიცა მწოვედ მოუვიდოდეს.

ამისი წამალი ეს არის, რომე ხმისა გამაქარეველი რამე აქა-
მონ, ან აფთიმონი და ან ბანგის თესლი, და ეს წამლები დანაყილი
ზედაცა დაადვან და ან დასცხონ. და თუ ტკივილმან მწოვედ არ
შიაწუხოს, ამა წამლებსა ნურცა სკამენ და ნურცა შეიცხებენ,
და ეს წამლები იმისთვის უნდა შეიცხონ, რომე რაცა ხმის წამრთმე-
ვი წამლები არის, ყუელა ტკივილისათვის გამირჩიული და მწოვედ
კარგი წამალი არის, მაგრა ხილთებს გაასქელებს და გააძალიანებს,
10 და თუ ავად მყოფმან შეიდსა დღესა უკან მოიძჯობინოს, ეს ტლეები
რომე დაგვიწერია, მარტო მარტოსა ამა წამლებსა ნუ უზამენ, ცო-
ტაოდენი კანაფის თესლიცა ჩაურთონ იმა ტლეებშიგა და ისრე დაად-
ვან, რომე ხილთი დააღბოს და დაამწიფოს.

მაგრა პირველსა ავადყოფაზედა ამათთანა მხურვალე წამალი
არ გაეხედვის, ამისთვის რომე მხურვალე წამალი და ტლეები ხილთ-
სა მწოვედ გარეთ გამოსწევს, და კაცსა მუნად გარდაექცევის!

კიდევ ვინცა მაჩქათელას თავი მოჰყვეთოს და სპილენძისა
ქურქელშიგა მოხარშოს და თეთრის ზამბახტისა ერბო დაასხან და
მანამდისი მოხარშონ რომე ეს მაჩქათელას თავი დადნეს, და თუ
20 ერბო ჩაიშროს კიდევ და კიდევ ესევე ერბო უნდა დაასხან, მერმე
გარდმოიღონ და შეინახონ, მიკრისსა, ძველსა და ახალსა ფილენჯსა,
ხელისა და ფეხის შეტაცებასა, თავისა, ხელებისა თრთოლასა, და
ყოვლისა ტანისა და ასოსა სიმსივნეზედა რომე თბილ თბილი შე-
სცხონ, ამა სენებსა ყუეოასა უშველის და გააქარეებს.

აგრევე თუ დედაკაცსა რომე შვილის შობა გაუძნელდეს და
თბილ თბილი ესე ზეთი, მუცელსა, ბოქვენსა და საშოსა გარეშემო შე-
სცხონ, და ალაგები დაუზილონ, შვილი ადვილად და უტკივრად
მიეცერის, და ესე ზეთი ამა სენებისა და შვილის დახსნისათვის მწო-
ვედ დაცდილი არის. მაგრა ესე ზეთი თბილ თბილი და ცეცხლის
30 პირსა უნდა შესცხონ და ეშველების ძალითა ღთისათა.

აწე ამა მიკრისისა სენისა საჭირო და საძნელო აქიმობა მაშინ
არის, რომე კაცსა ძარღვებშიგა ფერად ფერადი ხილთები ჩაუვიდეს,
და ძარღვები ამა ხილთებითა დაეტენოს, ვითამცა სისხლი, საფრა,
ბალღამი და სეედავო.

აწე თუ სისხლი და საფრა ერთმანერთშიგა არევიან, და ესე მი-
კრისი და ტკივილი მისგან სკირს, ამისი ნიშანი ეს არის, ფეხები
მწოვედ ტკივილსა, ყუილსა და დაწვას დაუწყებს.

ამისი წამალი ეს არის, რომე მკლავიდაღმან სისხლი გამოუშვან, და თუ ესე სატკივარი მარჯუნით სტკიოდეს, სისხლი მარცხნით გამოუშვან და თუ მარცხნით სტკიოდეს და მარჯუნით, და კრაცა აქავ ზემორ სისხლისა სენზედა დაგვიწერია, ისივ ამას უყავით.

აგრევე ამათგან ჯფრო ავი და საძნელო მიკრისი ეს არის, რომე ძარღვებშიგა სქელი ბალლამი და საფრა ერთგან ჩაუვიდეს, ამისი ნიშანი ეს არის, რომე ცივს დაადებ თუ თბილსა, ორივე იამების.

ასრე უნდა, ზემო რომე საფრისა და ბალლმის მუსილი დაგვიწერია, ის ასვით, და ოყნაი ლეინა უყავიფ, რომე საფრა და ბალლამი მოხეთქოს და დაალურევინოს. და გრილი მოპთადილი საქმლები აქამონ, და გრილი ტლები შემოსდვან, და ხორცსა ნუ აქმევენ, აწყენს.

და თუ ესე სენი ქარისაგან სჭირს, ამისი ნიშანი ეს არის, რომე სიმსიენე ცოტა ექნების და ტკივილი ცოტა ექნების და ერთსა ალაგსა არ დადგების, სხვასა სხვასა ალაგსა იცულის და ამრიგად ასტკივლების. და თუ ესე ფეხებისა სიმსიენე ცხლად ჰქონდეს და ფეხები მწოვედ ქავილსაცა დაუწყებს, იცოდით ესე ნიშნები ბაყლისაგან არის. მაგრა ამა ვეჯა ვაფასილისა ჯერგაშიგა იქნების, რომე ესე სენი ბაყლისაგან იყოს და მისგან სტკიოდეს, ღთო მიშეეღე.

მზ. კარი შეორმოცდა შვიდე. ყოვლისა სახსრებისა ტკივილისა. აწე ასე უნდა იცოდეთ, რომე სახსრებისა და ასოების ტკივილი ყოვლსა სახსრებშიგა შეექნების, და მერე აქედალმა გამოვა და სხვაგან შეექნების, და თუ ეს ტკივილი თირკმელისა ალაგსა და მის გარშემო სტკივის, იმას წელის ტკივილი ჰქუიან, და თუ თემოებდაღმან მუხლებამდისი სტკივის, ან კოჭებამდისი ჩამოუვა და სტკივის, იმას ირყინისა ჰქუიან, და თუ მუხლს ქვემოთ კოჭებამდისი და კოჭიდაღმან თითებამდისი სტკივის, იმას ნიყრისი ჰქუიან, და სრულად ესე ვეჯაი ვაფასილი, რაცა კაცისა ასო და სახსრები არის, ყუელას დაივლის, და თუ კაცი თავსა კარგად არ შეინახავს, ყუელგან შეექნების, და კაცსა მწოვედ გარჯის.

აწე ამისი წამალიცა ისივ არის, რაცა აქავ ზემო მიკრისისა წამლად დაგვიწერია. აწე სრულად ამა სენებისა მიზეზი ესე არის, რომე ან შეექნების სისხლისაგან, და ან საფრისაგან, ან ბალლმისაგან, და ან სევდისაგან, და არეულის ხილთებისაგან, ასრე რომე სისხლი, საფრა და ბალლამი, სამივ ერთად არეული იყოს და ისრე სჭირდეს. და იშვით იქნების, რომე ესე სენი ან მარტოს ბალლმისაგან, და ან მარტოს სევდისაგან იყოს და საფრაცა არ ერიოს.

აწე თუ სისხლისგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე, რაცა ასო სტკივის, მისი ფერი წითელი იქნების და გაუსივ-
დების, და მწოედ ტკივილსა, რქმასა და ჩხულეტასა დაუწყებს.

ამისი წამალი ეს არის, რომე მკლავი გაიხსნან და საშუალისა
ძარღვიდალმან კარგად სისხლი აღინონ, ახლის იის შარბათი და
ლულუფრის შარბათი ასვან, ლიმოსა შარბათი, ან ისრიმის შარბათი
ასვან, ან ახლის ვარდის შარბათი და ან უნაბის შარბათი ასვან და
ნედლის ქინძის წვენი, ძალის ყურძნის წვენი, და ვარდის ერბო
ძმრით გააყენონ, ტლედ ქნან და სადაცა სტკიოდეს იმაზედ დაადვან.

10 და თუ ტკივილი და გაწვა მეტისმეტად ჰქონდეს, ცოტაოდენი
თრიაქი და ზაფრანაც გაურიონ და ისრე შემოსდვან. და თუ ესე
ტლევები არ იყოს, ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და ცოტა რბილი
ოყნაო, და ან ჰაბი საბრი და ჰაბი სოლინჯანი აქამონ და ეშველების.

თუ ესე ასოებისა და სახსრების ტკივილი საფრისაგან არის,
რაცა პიომი საფრისა სენზედა და შარბათები დაგვეწეროს, და ან
წამლები და საქმლები დაგვეწეროს, ხორცს გარეთ, ისინი სვან და
ჰამონ, და ის წამლები ქნან.

20 და ეს იცოდით ამა სენისა, უფალსა კაცსა ხორცი არასათვის
არ ექმების, და პირველად მტკივანსა ალაგსა, ვარდის წყლითა გა-
ლესული სანდალი შესცხონ, და ან თეთრი, ან ყირმიზი სანდალი,
ან ქინძის წვენი, ან ქასნის წვენი, ან ძმრითა გალესონ და სა-
დაცა სტკიოდეს და ან უსიედეს, იქ დასცხონ. და ჯერ თეთრსა
ისი სანდალსა ყირმიზი სანდალი სჯობს.

და თუ მწოვედ სტკიოდეს, ცოტაოდენი თრიაქიცა გაურიონ,
და ისრე დასცხონ. და რა ტკივილი დაუმცრდეს და დაუძველდეს,
მოიტანე ია, ტუხტი და გვირილას ბალახი, მოხარშონ და თბილ
თბილის ამა წყლებითა მტკივანი ალაგი დაბანონ, და ღთითა ტკი-
ვილი და ძარღვებისა და სახსრების გაწვა, ორივე უსათიოდ ეშველების.

30 და თუ ესე ასოსა და სახსრების ტკივილი ბალღმისაგან არის,
ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე სიმსივნე ცოტა ექნების,
და ფერი თეთრი ექნების, და თბილი რომე დაადვა რამე მწოვედ
იამების, და რა დაღამდების ტკივილმან მოუმატოს მეტადრე მაშინ,
რომე ზამთარი იყოს და ზაფხულის სიციხეშიგა ტკივილმან დაუშვას.

აწე რა ესე ნიშნები ნახოთ, იცოდით, ბალღმისა და სიგრილი-
საგან არის. ამისი წამალი ეს არის, რომე პირველ მულაბი მუნზა-
რიჯი სვას, ან სიქანჯუბინი უნსული და ან სიქანჯუბინი ბუზური
სვას, რომე ბალღამი დააღბოს და დაამწიფოს, და მერმე ჰაბი საბრი,
რომე ამაშიგა ცხენის წაბლი ერიოს, ჰამოს, რომე გახსნას და ბალ-
ღმიდალმან გაწმიდოს.

და საქმლეებისაგან, პირველ ათსაოდე დღესა, ან თათლითა, ან შაქრითა ნიგუზიანი მუხუდოს შექამადი აქამონ, და მხურვალი ბალახები გამოუხარშონ და ისრე აქამონ, ან პურიტა კაი ხამი თათლი აქამონ, და ერიშთას შექამადი აქამონ, კარგი მხურვალი მაჯუნები აქამონ. ფალასუფა, ზაფრანის მაჯუნი, სტაფილოს მაჯუნი, თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, რომელიც იყოს, უზმოსა აქამონ.

10 და ავად მყოფი თუ არ მწოვედ დასუსტდეს, ხორცი არ უნდა აქამონ, სადამდისი ათი დღე არ გამოვიდეს, და რა ათი დღე გამოვიდეს, ასეთი წამლები უნდა ასვან, რომე არწყვიენოს. და რა ორჯელ სამჯერ არწყვიოს, მას უკანა კამასა ან ცერეცოს ბალახითა ტრედის ხუნდი მოუხარშონ, და პილპილი და დარიჩინი ურიონ, და ისრე აქამონ.

ან მამლის ქათმის ხარშო ამავე რიგად აქამონ, და ყოვლსა და წოლის დროსა გვილან გვიბინი აქამონ.

20 და საცა სტკიოდეს ყუსტის ერბო, ან ბაბუნაჯის ერბო, ფარფონის ერბო გაათბონ, და თბილ თბილი მტკივანსა ალაგსა შესცხონ. და მერმე აბანოშიგა შევიდენ. და რა აბანოდამან გამოვიდენ, ან თათლი და ან კაკბის ქონი შესცხონ. მერმე მოიტანე ულბოს თესლი, ყუავის ქანგას თესლი, რომე აქლილუ მულუქი ჰქუიან, კანაფის თესლი, საკმელი, შამური კევი და ცხენის წაბლი, ეს ყუელა დანაყეთ, გაცერით და ყუთლის ცვილითა მალამად შექნან, და როდისცა უნდოდეს და ან ეპირებოდეს, ეს მალამა თბილ თბილი მტკივანსა ალაგსა შესცხონ. და ცივი წყალი და ცივი აბანო ორივე აწყენს. და თუ აბანოს წყალი თბილი წყალი არის, ისიც აწყენს. ასრე უნდა ამა აბანოს წყალი მლაშე წყალი იყოს და თვითან აბანო თბილი იყოს, ასრე უნდა, კაცი აბანოშიგა თბილსა ალაგსა დაჯდეს და წყალი ბევრი არ უნდა დაისხას, და მტკივანი ალაგები მხურვალის ერბოებითა და მარილითა ასეთსა დროსა დაიზილონ, რომე კიდევ აბანოშიგვე იყუნენ, და წყალი არ უნდა დაისხან, დაიზილონ და გამოვიდნენ.

30 თუ ესე ასოებისა და სახსრების ტკივილი სევდისაგან არის, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, სიმსივნე მწოედ მაგარი ექნების და ტკივილი ცოტა, და კაცმან რომე ხელი მოუქიროს, მწოვედ ეტკინების, და მტკივანის ალაგის ფერი შავი ექნების. ამისივე წამალი ისივე არის, რაცა ჰიომაი სევდაკის სენზედა ან წამლები და ან საქმლები გვითქვამს, ამისი წამალიცა ისივე არის.

და თუ ესე სახსრისა და ასოვებისა ტკივილი ქარისა და სიგრილისაგან იყოს, რაცა ზემორ ჰიომაი და წამლები ბალღამზედა გვით-

ქუამს, ამისი წამალიცა ისივ არის. და თუ არეულის ხილთისაგან იყოს, ამისი წამალი ის არის: ასეთი წამლები ასვან და აკამონ, რომე ორჯერ სამჯერ არწყევინონ და მერმე ოყნაი ლეინა უყონ, რომე ამა წამლებშიცა ცხენის წაბლიცა ერიოს.

10 ჯალინოზ აქიმმან თქუა: რომე სრულად ყოვლი სენი და კირი, რომე კაცსა დასძველებოდეს, და კაცისა ასოშიცა დაებუდოს და ძარღვშიცა, ყოვლი წამალი მისის ხელისგან დაღონდებისო, და მისი გაგდება და გაქარვება გაუძნელდებისო. ამისი უკეთესი წამალი და აქიმი ფარეზობა არის და ცოტას საქმლის კამა, და ხე-

20 ლის შეწყობა არისო, და მერმე უწამლოდცა გაქარდებისო. და თუ კარგად კაცი იფარეზებს, და ხელს შეიწყობსო, მიკრისიცა ეშეელების, არა თუ სხვა სენი არ უშველისო.

აწე ესე იცოდით, რომე ამ რიგსა სენსა სიქანჯუბინი ძმარი და ყოვლი მეთავე მწოვედ აწყენს, რომე კაცსა ხილთებისაგან ასო და სახსრები სტკიოდეს, და თუ ესე სენი კაცსა სკირდეს, საქმელი ცოტა უნდა კამოს, და ხორცი არც სრულად უნდა კამონ. და კაც-მან რომე საქმელი კამოს და ფიცხლავ მაძლარი აბანოშიცა შევიდეს, ან საქმელზედა ფიცხლავ წყალი დალიოს, და ფიცხლავ მაძლარმან ტყუნა ქნას, ან ბევრი ისაჯოს, ამა სენსა ესეები ყუელა აწყენს. მე-

30 ტადრე მაშინ რომე, ესე ტყუნა ან გვერდზედა წოლითა, ან ზეზე დგომითა, ან აბანოშიცა ქნას. ეს იცოდით, თუ ამ რიგად კაცი დედაკაცთან მივა, რომე ესე სენიცა არა სკირდეს, მაშინცა შეექნების, არა თუ სკირდეს და ის არ დააძალიანოს.

აწე თუ ესე ვეჯა ვაფასილი, ვითამცა და ასოების და სახსრების ტკივილიო, სიმზურვალისაგან სკირდეს, ესე ტლე უნდა დასდ-

30 ვან და მაშინვე ეშველების:

მოიტანე ყირმიზი და თეთრი სანდალი ხუთ ხუთი ღირჰამი, ზაფრანა ორი ღირჰამი, და თრიაქი ერთი ღირჰამი, ასრე უნდა ეს წამლები ყუელა კარგად დანაყონ და გაცრან და ვარდის წყლითა გააყენონ, და ერთი კოვზი ძმარი დაასხან და ხუთი კოვზი ნედლის ქინძის წვენი დაასხან, და ესე წამლები ტლედ ქნან, და საცა სტკიოდეს ესე ოლე სამოსლის ნაჭრითა იქ გარდაკრან, და მაშინვე სიცხესა და სიმზურვალესა გაუგდებს და ტკივილსა უშველის.

და თუ ქინძის წვენი არ იყოს, ქინძის წვენის მაგიერად¹ ამდენივე ცივი წყალი დაასხან და შემოსდვან.

და თუ ესე ასოებისა და სახსრების ტკივილი სიგრილისაგან

¹ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

იყოს, ესე ტლე დაადევით და მაშინვე ტკივილსა უშველის. მოიტანე ტუხტი, გვირილას ყუავილი ან ფოთოლი, აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ქანგას ბალახის თესლიო, ზაფრანა, კანაფის თესლი და ესე წამლები ყუელა ხუთ ხუთი დირჰამი ქენით, დანაყეთ და გაცერით და ქინძის წვენითა ტლედ გააყენეთ, და საცა სტკიოდეს, იქი დაადვან.

10 კიდევ სხვა მრავალჯერ დაცდილი და კარგი წამალი და ტლე, რომე ასოსა და სახსრების ტკივილსა და გაწვასა უქირველად უშველის: მოიტანე ძველი ან ზეთის ხილის ზეთი, ან ნიგუზის ზეთი და ან სელის ზეთი ორასი დირჰამი, პილპილი ათი დირჰამი, საკმელი, ფარფიონი და მუზმინი სამივე ხუთ ხუთი დირჰამი, დაფნის ხის ერბო და ორმოცდაათი დირჰამი და ცოტა ცვილი, და პირველ ესე ცვილი და პილპილი ერთად დანაყონ და ზეთშიგა გაურიონ, და ერთსა ქოთანშიგა ჩაასხან, და ამდენი აღულონ, რომე ოთხის წილისაგან ერთი წილი დადგეს, და მერმე ცეცხლიდადმან გარდმოიღონ და გაწურონ, გააციონ, და მერმე მოიტანე ფარფიონი და საკმელი და წმიდად დანაყონ და გაცრან, და ამა გაწურვილსა ზეთსა და ცვილშიგა გაურიონ, და ერთი ორი პირი კიდევ წამოადულონ, რომე ეს ფარფიონი და საკმელი შიგ გადნეს, და მას უკან ეს მუზმინი და დაფნის ხის ერბო გაურიონ და ან ჰიქითა და ან სპილენძის ქურკლითა შეინახონ და როდისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს, მზის პირსა ან ცეცხლის პირსა, და ან თბილსა აბანოშიგა, საცა სტკიოდეს ან გასწვევდეს და ან უსივდეს, თბილ თბილი ესე ტლე შესცხონ, ტკივილსა, გაწვასა და სიმსივნესა სამსავ უშველის.

20 კიდევ ყველაზე უკეთესი ტლე და წამალი ეს არის, კაცსა რომე სიგრილისა და ქარისაგან ასოები და სახსრები სტკიოდეს: მოიტანე ახალი ძროხის ნეხვი და მტკივანსა ალაგზედა თბილ თბილი დასდევ, და ტკივილსა და სიმსივნესა ორსავე უშველის, გაუგდებს და გაუქარებს.

30 და თუ ამავე რიგად თბილის ვარდის წყლითა ირმის კურკლი გააყენონ და თბილ თბილი ტლედ შემოსდვან, ჯერ ამას ისი სჯობს, და ყოვლისა ასოსა და სახსრების ტკივილისათვის ჰაბი აიაროჯი რომ გალესო ან ასეა და ან აქამო, ყუელას კარგად მოუხდების.

წურილი და დაცდილი წამლები რომე ამითა ასოხა და ხახხრების ტკივილსა ეწამლებიხ.

თუ კაცსა თეძოები და სახსრები სტკიოდეს, და ან ხელი და ფეხი უთრთოდეს, მოიტანე იის ზეთი, გაათბე და მტკივანსა ალაგსა თბილ თბილი შესცხე, და მწოვედ კარგად უხამს.

ესევე იის ზეთი რომე, თაფლშიგა აურიო და უზმომან სამჯერ ზედა ზედ სქამო, შეცხებას ჯერ ისი სჯობს.

ვინცა უშალი მოადულოს, რომე დანაი ჩადირსა ეძახიან და ამისი წყალი სვას, ასოვებისა და სახსრების ტკივილსა უშველის.

ვინცა მთის თალგამი დანაყოს და დაიდვას, ან მოხარშოს და ისრე დაადვას, მიკრისისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა სუზაბი დანაყოს და თაფლშიგა ამოსურიმოს, და საცა სტკიოდეს იქ შესცხოს, სისხისა და ასოვებისა ტკივილსა უშველის.

ვინცა კოჩივარდას ძირი დანაყოს და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას, ტკივილი, გაწვა და ქარი სამივე უშველოს.

ვინცა ან გვირილას ან მელის კუდას ყუაველი დაჯეკკოს და მოხარშოს, და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას, ასოსა და სახსრისა ტკივილს უშველოს.

ვინცა მელის ქონი გაათბოს და შეიცხოს, ასოსა და სახსრისა ტკივილი უშველოს, და ესე მელის ქონი ყოვლს ქონსა და ერბოსა სჯობს და უკეთესი ხასიათიცა აქუს.

ვინცა ჯავაშერი, რომე ოღლან აშსაცა ეძახიან, ხის წებოთა დანაყოს და ასოზედა დაიცხოს, ასოსა და სახსრის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის.

20 ეგირი მხურვალე და ხმელი არის, ვისცა სიგრილითა ასო, სახსრები და ან წელი სტკიოდეს, და ან ესე ეგირი, ან სანანებელი, და ან ხოლინჯანი ჰამოს, ყოვლიფერი ქარი დაღეწოს და გააგდოს, და ახოსა და სახსრების ტკივილი უშველოს.

ვინცა ჯავზი და ბაზბაზაი ერთად დანაყოს, და ცოტა შაქარი გაურიოს, და ამისგან ორი დირჰამი უზმომან ჰამოს, კაცსა მწოვედ გაახურებებს, ტვინსა და ძარღვებსა გაუცხელებს, ქარსა დაჰფანტავს, და სახსრისა და ასოვებისა ტკივილსა უშველის.

30 ვინცა აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ჰანგას ბალახის თესლიო, რომე დაჰეკკონ, მოხარშონ და მტკივანსა ალაგზედა დაიდვან, ქარსა დაჰფანტავს, და ასოსა და სახსრების ტკივილსა უშველის და სიმსივნესა გააქარებებს.

ბასვაიჯი სტომაქსა და ხახასა დაძალიანებს და ასოვებისა სისუსტესა გაუგდებს, ვინცა ესე ბასვაიჯი დანაყოს, გაცრას და ერბოშიგა წამოადულოს, და თბილ თბილი მისი ტლე მტკივანსა ალაგსა დაიდვას, ასოსა და სახსრისა ტკივილი უშველოს.

ვინცა მაყულის ფოთოლი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს და გაათბოს, და მტკივანსა ალაგსა თბილ თბილი შესცხოს, ასოსა და სახსრის ტკივილი უშველის.

დღვილი რომე კაცმან მტკივანსა ალაგსა თბილ თბილი შესცხოს, ასოსა და სახსრის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა სამს ღღესა ზედა ზედ უზმომან თვითო დრამი საბრი, რომე თურქნი აზვის უძახიან დანაყოს, და თაფლშიგა გაუროს და კამოს, რაგინდარა ძნელი ასოსა და სახსრების ტკივილი სჭირდეს, უსათიოდ უშველის.

ვინცა საგალი ბალახი მოხარშოს და მტკივანსა ალაგზედა დაიდვას ასოსა და სახსრისა და ფეხის ტკივილი უშველოს ლ თითა.

მც. კარი მეთრმოდა რვე. დალაღვისა, და მწოვედ ტერფისა და 10 ქუხლის ტკივილისა და ქავილისა. კაცმან რომე ბევრი იაროს, და მწოვედ სიარული მიიჭირვოს, და მეტის დალაღვისა და სიარულისაგან სახსრებშიგა სენი გამოუჩნდეს, და ამა მიჭირვებითა სახსრებმან ტკივილი და გაწვა დაუწყოს და ტანი და მუხლები ასრე საქმისაგან გამოვიდის, თუ ითქმის, კაცი ფეხზედა ვერ დადგეს, ამისი წამალი ეს არის რომე, ხელისა და ფეხის ფრჩხილები წინდის ჩხირითა ნუნსთანა დასდაღონ, და ფურის ერბოთა ხელისა და ფეხის ფრჩხილები შეუქონონ, და გაკეთდების.

და თუ ერბო არ იშოვებოდეს და ზამთარი დღე იყოს, ასრე უნდა, ორივე ფეხები მუხლამდისი თბილ წყალშიგა ჩაუყონ, რომე 20 ეს თბილი წყალი კვირისტაესა და მუხლსა არ შესცილდეს, თუარემ აწყენს.

და თუ ესე სენი ზაფხულის დაემართოს, ორივე ფეხები მუხლამდისი ცივსა წყალშიგა უნდა ჩაუყონ, რომე ესე ცივი წყალი მუხლის ზედათ არსად მიხუდეს, და მაშინვე ტკივილსა და გაყუილს დაუშვებს და ეშველებს.

რულანი ფოლადი ერთი რიგი ერბო არის, რომე ბევრი ფერი ხასიათი აქუს, და მეტის სიარულისა და მიჭირვებისაგან რომე, კაცსა ასო და სახსრები სტკიოდეს და საქმისაგან დასდგომოდეს და ველარ იხმარებდეს, და ან მზეშიგა, და ან ცხელსა აბანოშიგა, რომე 30 კაცმან, და ან ცეცხლისა თორნის პირსა, მტკივანსა ალაგსა ესე რულანი ფოლადი შეიცხოს, და კარგად დაიზილოს, ასოსა და სახსრების ტკივილსა უშველის, და ძარღვებსა და ასოსა გაამთელებს. ფილენჯსა და ფილენჯისა ქარსაგან დაჭირულსა ასოსა რომე თბილ თბილი, ამავე რიგად თბილსა ალაგსა შესცხო უშველის, ასოვებსა და ძარღვებსა გაშლის და დააძალიანებს, და სისუსტესა გაუგდებს, კაცისა ტანისა და ასოშიგა ქარსა არ დააყენებს, წელის ტკივილსა და ირყნისას სენსა უშველის, ბუმტისა და თირკმლის ტკივილსა და

სენსა ორსავე უშველის, თავისა და ხელის თრთოლასა და ყოლინჯსა, რომე ქართველნი თიაქარსა ეძახიან, ორსავე უშველის.

აწე რულანი ფოლადი ამას ჰქუიან და შექნაცა ასრე უნდა: მოიტანე სუმბული ჰინდი, ყუსტი, ანდუზის ძირი, საროს ხისა და ფიკვის ხისა ნორჩები და ყუელასაგან ათ ათი ღირჰამი ქენ, და პირველად ესე წამლები სრულად დანაყეთ, და ერთსა დღესა და ღამესა წყალშიგა დააღბონ, მერმე ორი რათალი ცხურის რძე, და ორი რათალი თხის რძე, და ერთი რათალი შირლიღანი გაურიონ, რათალი ვითამცა ას ოცდა ათი ღირჰამიო, და მერმე მოადულონ და ამდენი უნდა ადულონ რომე ხუთის წილისაგან ოთხი წილი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, მერმე ცეცხლიდაღმან გადმოილონ, გაწურონ და როდისცა უნდოდეს, და ან ეკირებოდეს თბილ თბილი მტკივანსა ალაგზედა შესცხონ, რაცა სენი დაგვიწერია ყუელას უშველის¹.

• მთ. კარი მეორზოცდა ცხრე. ფერად ფერადის ცხელებიხა და ცივებიხა.

აწე ასე უნდა იცოდეთ ცხელება და ცივება ათი, თორმეტი რიგი არის, ზოგი სისხლისაგან, ზოგი საფრისაგან, ზოგი ბალღმისაგან, და ზოგი სევდისაგან იქნების, და ან არეულისა და წამხდრის ხილთებისაგან იქნების.

და თუ კაცი გააცხელოს და გული მწოვედ გაუხურდეს, და გულის სიმხურვალითა ყოვლი ასო გაუხურდების და მწოვედ გააცხელებს, და პირველსა ცხელებაზედა თუ კაცსა მხურვალი და ცხელი სული ამოსდიოდეს, და ტანიცა მწოვედ ცხელი ჰქონდეს, და ან კაცსა ცხელება მწოვედ გაუგრძელდეს და არ გაუშვას, და თავით ფეხებამდისი რაცა ასო აქუს ყუელა სტკიოდეს, და ავად მყოფი მწოვედ დაამკლოს და დაუსუსურდეს, და უკან და უკან ხუელაც დააწყებინოს, ამა სენსა და ამა ცხელებასა ჰომი დიყი ჰქუიან, ვითამცა და წურილი ტკივილიო.

და თუ ჯერ ხილთი მართლად არ დამწიფებია და მაშინ გააცხელებს, ამა ცხელებასა სუნუხუშ ჰქუიან. და თუ ესე ცხელება შეეყაროს იცოდით უსათიოდ სისხლისაგან არის, და სხვა მიზეზი არა სძეს. და რა ესე ხილთი დამწიფდეს, და მას უკანა თუ ესე ხილთი სისხლად გარდაიქცეს ეს იცოდი ესე სისხლი მუდმად ძარღვებშიგა იქნების და ძარღვებიდაღმან აღარ გამოვა, და ესე სისხლი არც დალ-

¹ ეს ორი სიტყვა აშინაზე არის ჩამატებული დედნის ხელით.

პების, და არც წახლებს. და ეს რომე კაცსა ხან შუა დღე გააცი-
ვებს და გააცხელებს, ხან საღამოს გააცხელებს, ხან ღამით და ხან
დილას გააცხელებს და ამა ცხელებასა დრო და ბორჯალი არ
მოაჩნია, ამ რიგი ცხელება უსათიოდ ამა სისხლისაგან იქნების, რომე
ხილთი სისხლად გარდაიქცევის, და, ესე სისხლი ძარლუშიგა დად-
გების, და ძარლუიდაღმან აღარც კი გამოვა, და ამა ჰომავისა მიზეზი
უსათიოდ სისხლისა სიმრავლისა და სიავისაგან დაემართების.

აწე, ამ რიგისა ცხელებისა ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე
კაცსა თავპირი და ელფერი და თუალეები ყირმიზად ექნების, ძარღვე-
10 ბი საესე საესედ ექნების და ტანი, და ყოვლი ასო მძიმედ და ცხელად
ექნების, და კაცი მწოვედ ზარმაცობას დაიწყებს, და შარდი წითე-
ლი და სქელი ექნების, და მაჯის ძარღვებიცა საესედ და გატენით
ექნების, და სული მწოვედ შეუვიწროვდების და მეშვიდეს დღესა
ბურჰანი ექნების.

აწე რა კაცხედა ეს ნიშნები ნახოთ იცოდით ესე ცხელება
მეტისა და ავის სისხლისაგან არის, ამისი წამალი ეს არის რომე,
თავად ორივე, თვარემდა ერთი მკლავი გაუხსნან და საშუალის ძარ-
ღვიდაღმან კარგად სისხლი აღინონ, და სტომაქი ოყნაი ლეინათა
დაუღბონ ვითამცა და ცოტა და რბილი ოყნაი, რომე კაცი გახსნას
20 და ბაყლისა და ავის ხილთისაგან გაწმიდოს, და ორსაოდე დღესა
საქმელი არ უნდა ჰამონ, და რა საქმელი ჰამოს გრილი მჟავე და
სისხლის გამქარვებელი საქმლები უხდა ჰამონ: ძმრით მოხარშული
ოსპი, მაში, ბოგროჯა, ნარდაგი, თუთუბო, მოცხარი, კოწახური, ლი-
მო, ისრიმი, თაბლი ჰინდი, ხართუთა, მაყუალი, უშხუნი, მჟაუნა და
ხმელი დოს შეჰამადები ჰამონ, ერიშთას შეჰამადი, ამავე მჟავებითა
ჰამონ, ისპანახი და ქინძი ურიონ და ისრე ჰამონ, და სალათა ძმრით
ჰამონ.

და ამ რიგის ცხელების უფალმან კაცმან ხორცი არ უნდა ჰა-
მოს, და შარბათებისაგან: ლიმოსა, ისრიმისა, მჟავის ბროწეულისა,
30 კოწახურის შარბათები სვან. უშხუნისა, ქერამისა, ქლიავისა და უნა-
ბის შარბათები სვან, იისა ლულუფრისა შარბათი სვან. თუ კაცსა
სისხლი სჰარბობდეს, ამა შარბათებისაგან, რომელიცა იყოს, ცივის
წყლითა გაღესონ, ან თოვლი და ან ყინული ჩაიგდონ და სვან.

გრილი ტლეები შემოიდვან, გრილს სასუნებელსა უსუნონ, და
სანდალი ძმრითა გაღესონ და ამაშიგა ქათნის ნაქერი დაასოვლონ
და თავსა, გულსა და სტომაქხედა გარდაიკრან.

ხილებისაგან: კიტრი, შუშხიარი, საზამთრო, უშხუნი, ქლიავი,
ატამი, მჟაუნა, კოწახური, და ძმრით სალათა ჰამონ.

და ერთსა კაცსა რომე, სისხლისა და სფრისაგან აცხელებდეს ესე საკმლები, ესე შარბათები, და ეს ხილები ყუელა ეკმების და მწოვედ კარგად მოუხდების.

და თუ ამით არ გაუშვას ნუყუჭი მუსილი და მათბუხი ფაქია ასეან, და მუდამ სანდალი ვარდის წყლითა გალესონ, ცოტა ძმარო-ურიონ, ტლედ ქნან თა სტომაქზედა გარდაკრან და თავზედა შემოს-ცხონ. საზამთროს წყალი გამოჰხადონ, შაქარი გაურიონ და ასეან, რომე ბევრი შარდი აქნევინოს და სიცხე და სიმზურვალე გაუგდოს. და თუ საზამთრო და შაქარი არ იწოვებოდეს, კიტრისა. აყიროსა.

10 და თოხმაქანის თესლები დანაყონ, ამათი რძე გამოჰხადონ, და თუ შაქარი იწოვებოდეს შაქრითა ასეან, და თუ შაქარი არ იწოვებოდეს და უშქროთ ასეან, და თისა შეწვევითა ულხენს.

თუ ესე ცხელება 'საფრისაგან არის, ამისი მიზეზი ის არის რომე, კაცსა ავი ხილთი წაუხდების და საფრად გარდაექცევის, და მერმე ესე საფრა ძარღვშიგა ჩაუვა და იქ წაუხდების, ამა ცხელება-სა სახელედ ყიბი ლაზიმა ჰქუიან, ვითამც ამა ცხელებასა დრო, ნობათი და ბორჯალი არ მიიჩნიაო, და როდისცა უნდა მაშინ გააცხელებსო, და არცა კაცისა ტანიდალმან სიცხე და სიმზურვალე გამოვა, და მუდამ აცხელებს და ამა ცხელებასა დრო და ბორჯალი არ მიიჩნიაო.

20

და თუ ესე საფრა, რომე ძარღუსა გარეთ არის, და ესე საფრა ძარღუსა გარეთ წაუხდა და მით აცხელებს ამა ცხელებას ყიბი-დაირა ჰქუიან, და ესე ყიბი დაირის ცხელება ერთსა დღესა აცლის და ერთსა დღესა გააცხელებს.

და თუ ესე წამხდარი საფრა გულისა და ლვიძლისა ახლოს არის და მით აცხელებს ამას ჰომი მიურიყა ჰქუიან, ვითამცა და შავი ტკივილიო, და ეს ჰომი მიურიყა სნებასა ჰქუიან.

და თუ საფრა ბალღამსა არ შეეყაროს და ისრე მარტო საფრა აცხელებდეს, ამა ცხელებასა სახელად ყიბი ხალისა ჰქუიან, ვითამცადა საფრის ცხელებაო.

30

აწე ამათი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცსა მწოვედ წყალი მოსწყურდების და თავი ტკივილს დაუწყებს, პირი მწარედ ექნების, ენა გაუხმების. და თუ მწოვედ გააცხელოს პირველ ენა ყუითლად ექნების და ძერმე გაუყირმიზდების, ბაგე დაუსქდების, ძილი არ მოუვა. და საუბარი არ იამების, სანთლის ნახვა და სინათლეში-გა ყოფა ეწყინებოდეს და არ უნდოდეს. ცხელება მწოვედ მოუვა, მწოვედ გააცხელებს და გაახურვებს, და წყურვილი, შეწუხება და სულის შევიწრება მწოვედ ექნების, და როდისცა დროზედ გააციოს

და გააცხელოს და ბორჯალი გაუთავდეს, გათავეების დროს ოფლს დაასხამს და მერმე გაუშვებს, და მაჯის ძარღვიცა აშლით და არე-
ვით ჰქონდეს.

- აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, ესე ცხელება
ყიბი დაირას ცხელება არის და საფრა ძარულს გარეთ წაჰხდომია,
და დასტურად მისგან აცხელებს. და ამა ცხელებისა პირველი თავის
აღება ეს არის რომე, კაცსა პირველ წოდინსა დააწყებინებს, და
მერე გააცივებს და თრთოლასა დააწყებინებს და ცივება ცხელები-
საგან უფრო ცოტა ექნების, და ესე ცხელება თუ ხალისის ცხელება
10 არის უსათიოდ ეშველების. და ამა ცხელებისა ნობათი ოთხის სა-
თიდაღმან თორმეტ საათამდისი იქნების. და თუ ამისგან უფრო გა-
აცხელებს, ამა ცხელებასა სახელად ლეირი ხალისი ჰქუიან, და თუ
ესე ცხელება ხალისის ცხელება არის შვიდისა საათიდაღმან არ გა-
დააქარბებს. და რა შვიდი საათი გათავდების გაუშვებს, და ესე ხა-
ლისის ცხელება შვიდჯრის მეტად არც კი მოუვა, თუ არ კაცი
შეირყუნის და უმსგავსოს საკმელსა სკამს. და ასე ლეირი ხალისის
ცხელება თუ არის, ესე საფრის ცხელება და ცივება ერთსა ნობათ-
ზედა, ერთსა დღესა და ღამესა ასრე აციოს და აცხელოს რომე, არ
გაუშვას, და ექუსა თვესა არ გაეყაროს და მუდმით აცხელებდეს¹.
- 20 და უფროსი ერთი ეს ცხელება ამისთვის გაუგრძელდების რომე,
კაცსა სტომაქშიგა ხილთი და რაც ავი საკმელი არის დაეწვის, და
ასრე გრძლად და გაუწყურტლად მისთვის გააცხელებს. და ესეცა
უნდა იცოდეთ რომე, თუ ესე ცხელება და ცივება ზაფხულის შეეყ-
რების, უფრო და უფრო გაუშვებს, და თუ შემოდგომაში შეეყრების
უფრო ძნელად და გვიან გაუშვებს. და უფროსი ერთი ასრე იქნების
რომე, კაცსა ტყირაპი შეექნას და გაუმაგრდეს, და ესე ცხელება და
ცივება ზამთრის შეჰყუეს, და გაზაფხულამდიცა გაჰყუეს, და არცა
მაშინ გაუშვას.
- 30 და თუ ესე გინდა შეიტყო თუ ხალისის ცხელება რომელი
არის და ან ლეირი ხალისის ცხელება რომელი არის, ხალისის ცხელე-
ბის ნიშანი ეს არის რომე შარდსა წურილად დაუწყებს ფსმასა. და
ლეირი ხალისის ცხელების ნიშანი ეს არის რომე შარდი მოსქო და
ბევრი ექნების. და ესე საფრის ცხელება უფროსიერთსა კაცსა მუ-
ცელშიგა შეჰკრავს და გული რევას დაუწყებს და საფრასა რწყე-
ვასა დააწყებინებს, და პირველზედა რომე ცხელება მოუვა მწოვედ

¹ ამა გვერდის ქვემო აშიაზე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვალ-
ვი „კმ“ და შემდგომი გვერდის აშიაზე „კთ“.

გაათრთოლებს, და მეორესა და მესამესა ნობათზედა და მას უკანა უფრო ცოტად გაათრთოლებს. და რა დრო გაუთავდების ოფლი გამოუვა და გაუშვებს. და ამა ცხელებისა ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, შარდი ცეცხლსავითა ყირმიზი და ცხელი ექნების, ეგების საფრა თავსა და დამალშიგა გაუვიდეს და შარდი მისთვის თეთრი იყოს და აღარ გაუყირმიზდეს,

აწე თუ ამ რიგად კაცსა საფრა თავსა და დამალშიგა წაუვიდა, და ცხვირს სისხლი არ ედინა, ამისი შიშიც არის სარსამი არ შეექნას, სარსამი თავის ტკივილსა ჰქუიან.

10 აწე ამისი წამალი ეს არის რომე, ამ ცხელებაზედა არასათვის კაცს სისხლი არ უნდა გამოუშვან თუ არ მწოვედ და მეტის მეტად სისხლი დასჰარბდეს. აბა მეორესა დღესა ასრე უნდა ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და რბილი და ცოტა ოყნაო, რომე კაცი საფრისა და ხილთისაგან გაწმიდოს, და საფრა დაალურევინოს. და თუ მას უკან კიდევ სიცხე და სიმხურვალე ჰქონდეს, მკლავი გაუხსნან და საშუალის ძარღვიდალმან ცოტაოდენი სისხლი აღინონ.

და თუ კაცსა საფრისაგან აცხელებდეს ასეთი წამლები ასვან, და ასეთი ტლევები შემოსდვან, რომე სიცხე და სიმხურვალე გაუგდონ, და ასეთი თათბირი და წამლები უყონ რომე, კაცსა ძილი 20 მოუვიდეს, თუარამდა ავადმყოფსა უძილობა მწოვედ აწყენს.

და თუ საფრისანისა ცხელებიანისა კაცისა მუცელშიგა გახსნა გინდოდეს, მესამესა, მეხუთესა, მეექვსესა და მეშვიდესა დღესა, არამცა და არამცა მუსილი და გასახსნელი ან გისმევიათ და ან გიქმევიათ. ამისთვის რომე, გასახსნელი წამლები ბუჰრანის დღესა მწოვედ ძნელი და საფეთერაკო წამლები არის. ამისთვის რომე, ბურჰანი ამას ჰქუიან რომე, კაცისა გათავების და გადაწყურებისა ოფლისა ბორჯალი იყოს. და ამა დღესა ასრე უნდა, ავადმყოფსა ოფლი ედინოს. და კაცი მორჩეს, და იმა დღესა რომე, ავადმყოფსა ოფლი დაუბრუნდეს და უკანიდალმან გახსნას, ასრე უნდა წამსა და წამსა აღგეს, 30 თავად ოფლი გაუცივდების და ახლად შიაქცევს, და მერმე ოფლსა დაუბრუნებს, და უკანიდალმან გახსნის, კაცის საქმე მწოვედ სათუროშიგა ჩავარდების და კაცსა საქმე გაუძნელდების.

და თუ კაცი მწოვედ შეკურით იყოს და გაუხსნელად არ იქნებოდეს, ცხელებიანის გახსნის უკეთესი დღე მერვე დღე არის, მეათე დღე და ან მეათორმეტე დღე არის რომე გასახსნელი წამლები მისცენ და გახსნან.

მაგრა ჯალინოზ აქიმმან თქუა: ცხელებაშიგა ავად მყოფსა გახსნა არც სრულად უნდა, და არც მოუხდებისო. და ესე უნდა იცო-

დეთ, თუ ავად მყოფისა გახსნა გინდოდეს მუსილების უკეთესი ეს არის რომე მაურმანი და მათბუხი ფაქია ასეან და გახსნან.

და თუ მწოვედ გახსნამან მიაკირვოს, უმზუნისა, ბროწეულისა, კოწახურისა, ლიმოსა, ისრიმისა შარბათები და სანდლის შარბათი ასეან. პიტნა დანაყონ, წვენი გამოხადონ და ასეან, რომე გულსა და სტომაქსა ძალი მისცეს და შეკრას. და გულის რევა და რწყევა თუ ამით არ ეშველოს, და ან უკუეარდეს, მოიტანეთ თაბაშერი ჰინდი და თუთუბო და ხმელი ქინძი, და ყირმიზის ვარდის ყუთიელი ყუავილი, და ეს ოთხივე წონითა სწორ სწორი ქენით, და ოთხივე დანაყეთ, და თუ იშოვებოდეს ცოტაოდენი ქაფურაივა გაურიონ და ასეან და ან ამისგან ჰაბები შექნან და აქამონ, მაშინვე რწყევასა და ეზაპალსა ორსავე უშველის, და უკუუგდებს.

და თუ ენაზედა ნაზლა ეკრას, მოიტანე ბიის გული დაჯეკე და ლობი გამოჰხადე და ენა გარდასწმიდე. თუ პირი, ენა და ყელი გაუხმეს, მოიტანე ბარძაყათუნა, რომე ყარნი არუხი ჰქუიან, და დოლბანდის ნაქერიტა წყალშიგა დაალბეთ, და ამითა ენა და შიგნითი ლაშები გამოსწმიდეთ და კიდეცა ასეით, სიცხესა და სიმზურვალესა გაუგდებს, ყელსა დაუღობს და წყურვილსა უკუუგდებს.

და თუ სიცხე და სიმზურვალე მწოვედ ჰქონდეს, მოიტანე ტირიფის ხის ან ფოთოლი და ან ფესვი დანაყეთ, და თათლითა ტლედ გააყენეთ, და გულსა და სტომაქზედა გარდაკარით: მერმე მოიტანე კიტრისა, საზამთროსა, აყიროსა და ქასნის თესლები დანაყე და წყალი გამოჰხადეთ, და სამიოდ წვეთი ძმარი ჩააწვეთეთ და ასეან, მაშინვე გულს უკუჰყრის.

და თუ არცა ამან უკუჰყაროს და სიცხე და სიმზურვალე მეტად ჰქონდეს, ასეთი წამლები უნდა ასეან რომე, ბევრი შარდი აქნევიონ, კიტრისა, შუმზიარისა, აყიროსა, საზამთროსა, თოხმაქანისა და ქასნის თესლები დანაყონ და ამათი რძე ასეან, და საზამთროს წვენი შაქრითა¹ და თაბაშერიტა ასეან, ესეები ყულელა ბევრს შარდს აქნევიანებს. და სახლი ცივის წყლითა მოარწყუევიონ. და ავადმყოფი წყლის პირსა და გრილსა ალაგსა დააწვიონ. და თუ იშოვებოდეს ან თოვლი და ან ყინული ასრე ახლოს დაუდვან რომე, ამისი სიცივე პირსა მისდიოდეს.

და ვაშლი, სხალი, ბია, კიტრი, ახალი ვარდი, ია, ლტლუფარი, ქინძი, შამბალილა, მარსინისა და ტირიფის ფოთოლი, ძმარი, ქაფური და ვარდის წყალი, ესეები რომელიცა იშოვებოდეს, წინ დაუ-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

დევან რომე, მუდამ ამათ უყურებდეს, და მუდამ ამავეებსა უსუნებდენ, და თუ ამათგან ან ორი, ან სამი, ან ოთხი ერთად დანაყონ, ტლედ ქნან, და გულსა და სტომაზედა გარდაკრან, მწოველ კარგად მოუხლების.

და თუ ავადმყოფსა არ ეძინებოდეს, ძმრისა, ქაფურისა და შარსინისათვის ნუ ასუნებინებთ, და სხვა რაცა სწერია ყუელას უსუნონ.

10 და თუ ესე საფრის ცხელება ოცსა დღემდისი არ გაუშვას, მოიტანე თაბაშერი ჰიომაზი და ან ყურსი თაბაშირი, ქაფური¹, შარბათი ასლი ჰინდუბა, ვითამცა და ვენახის ღიქის შარბათი¹ და ისი ყურსიცა ამა შარბათებშიგა გაურიონ და ასეან და ეშველების.

20 და როდისცა გააცხელებდეს ყოლმე, მეორეს დღესა ნელთბილსა აბანოშიგა შევიდოდენ რომე, ამა აბანოსა წყალი ტკბილი წყალი იყოს. და ამა აბანოშიგა ცოტა ხანი დაყოს და ფიცხლად გამოვიდეს. და ტანზედა ნელთბილი წყალი ბევრი დაისხას. და მეორეს დღესა ასეთი მუსილი და გასახსნელი სვას რომე, გახსნას. და რამთენჯერცა შეკრას ან შაფებითა, და ან ოყნაი ლეინათა, ვითამცა და ცოტასა და რბილის ოყნითაო, გული და სტომაქი დაუღბონ რომე, გახსნას და ბალღმისა, სეედისა და საფრისაგან გაწმიდოს. და ოთხჯერ, ხუთჯერ კარგად ასაქმოს, და ყოველთა დაწოლის დროთა, კიტრისა, ქანისა და აყიროს თესლი დანაყონ, წყალი გამოხადონ და შაქრითა ასეან.

30 და კაცი რომე პირველ გააცხელოს ასრე უნდა: ორსა, სამსა დღესა საკმელი აუკრიფონ რომე, წყალ პურის მეტი არა აქამოს რა, და მესამეს დღესა შაქრითა ჯავ ავი აქამონ რომე, საფრა გააქარვოს, და სიცხე და სიმხურვალე დაავსოს და როდისცა ნობათის დრო იყოს, და ან ცხელებას მოელოდეს, ასრე უნდა, იმა დღესა კაცი მარხული იყოს, და არა ქამოს რა. თუ ცხელების ბორჯალი საღამოს დროს იყოს, მაშინაც წყალ პური ადრიანად აქამონ.

და თუ ცხელების ბორჯალი საღამოს იყოს, დილეულად შაქრითა ჯავ ავი აქამონ, ვითამცა და ქერის შეკამადი აქამონო, ან ლულუფრის შარბათი ასეან.

ბოლო ყოვლის ცივებისა და ცხელების წესი და რიგი ეს არის რომე, კაცმან საკმელი ექუსის საათითა ბორჯლისაგან უწინ ქამოს, რომე სადამდი კაცსა გააცხელებდეს, და ან ბორჯალი მოუვიდოდეს, მანამდისი. ავადმყოფმან საკმელი მოიდნოს რომე გააცხელებაშიგა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მუცელშიგა საქმელი არ აღუდღეს და არ არწყევინოს და გულსა, სტომაქზედა არ აშალოს.

და თუ საქმელსა აღრე არ აქმევთ, და გაცხელების დროს აქმევენ, ჯერ რომე საქმელი ვერ მოედნოს ისეთსა დროსა თუ გაცხელებს, კაცისა სტომაქი საქმელისა დადნობასა ძალს მისცემს, და ჭირსა და ცხელებას თავს ველარ აუვა, და მერმე ამა მიზეზითა ჭირი სტომაქსა მოერევის.

10 და თუ ექუსსა საათსა ცხელებასა წინათ აქმევენ, მწოვედ უჯობს. მაგრა ბევრჯულელ ასრეცა მოჰხდების რომე, ცხელების ბორჯლამდისი ავად მყოფსა კიდევე მოშივდეს და სტომაქი დაუსუსტდეს და რა რიგადაც ავად მყოფისათვის ის არა ვარგა, რომე კაცი ცხელებას მწოვედ მადლარი დახუდეს, ისრევე ის არ ვარგა, რომე ცხელებასა მწოვედ მშიარი დახუდეს.

10 აწე ბორჯლის დრომან რომე მოსულა შიატყოზინოს, მოიტანე ძირტკბილას ძირი და კარგად გარეცხე, დაფხიკე და ძირი კი დაგეკეკე, და ცარიელის წყლითა კარგად მოხარშე, და ან შაქარსა, და ან სიქან ჯუბინზედა დააწურეთ და თბილ თბილი ასვით, რომე ორჯელ სამჯერ არწყევინოს, და ცხელებასა უხილთოდ და სტომაქ გამოწმედილი დახუდეს, და ამა რწყევამან ცხელება დაამკლთს და ძალი წაართვას. და რწყევასა უკანა ცოტაოდენი გულბა შაქარი აქამონ, და ლიმოსა და ან ისრიმის შარბათი ასვან რომე, გულსა და სტომაქსა ძალი მისცენ. და თუ კაცსა რწყევა მწოვედ აუვარდეს და ან გულმან რევა დაუწყოს, თაბლი ჰინდი წყალშიგა დააღბონ და მერმე შაქარზედა დააწურონ და ისრე ასვან, რომე რწყევა და გულის ზიდება დაუშვას და უკუუგდოს.

და საქმლებისაგან ისპანახისა, ქინძისა, ახლის აყიროსა, თოხმაქანისა და ქლიავის შექამადები აქამონ, ჯავ ავი და გამოლესული ხმელი დო აქამონ.

30 და თუ ავადმყოფი მწოვედ დასუსტდეს და მისქირდეს ღურჯისა და ან ხობზის ხორცი ხარშოდ ქნან, ქინძი ან ისპანახი ურიონ და აქამონ. და როდისცა ცხელებამან გაუშვას და მოშივდეს, მსუქანი ქათამი და იმავ გარეულის ფრინველის ხორცები და შიშაქის მცხურისა ხორცი ყიმა ყიმაღ ქნან და აყიროთა, ისპანახითა, და ქინძითა ყიმა შორეად ქნან და მოხარშონ, და ნარდაგი, კოწახური, მოცხარი, თუთუბო, ლიმო, ისრიმი და თაბლი ჰინდი, უშხუნი, მეაუნა, ან ძმარი და ან ხმელი დო, რომელიც იყოს გაურჩიონ, ყიმა შორეად ქნან და ნუშის ზეთი ურიონ და აქამონ. და პურსა თავად ნუ აქმევენ, და თუ აქამონ ცოტა აქამონ..

მაგრა ყიბი ხალისის ცხელგებაზედა, შვიდსა დღესა უკანა, სამამ-
ლის ვარიის ხარშო უნდა აქამონ. და შარბათებისაგან იისა, ლულუ-
ფრისა, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა, თაბლი ჰინდისა, უშხუნის-
სა, კერამისა, ქლიავისა და შაპთარას შარბათი ასვან. ხანდახან
სიქანჯუბინი ასვან.

და თუ ოცსა დღემდისი არ უკუეყაროს, მეოცესა დღესა ას-
ლი ჰინდუბას შარბათი ასვან, ვითამცა და ვენახის ღიქის შარბათიო,
და მაშინვე ეშველებს. ან ყურსი ამბარი, ბარიში რევანდი ასვან,
ვითამცა და კოწახურის ყურსიო.

10 და თუ ამა ყურსსა, ამა შარბათებშიგა გამოულესავ და ისრე
ასვამ, უსათიოდ უშველის. და ხშირად საზამთროს წვენი შაქრითა
ასვან ამისთვის რომე, შარბაზედა გახსნის და სიცხესა და სიმბურვა-
ლესა გამოიღებს, და ბუშტსა თავსაცა შემოუყრის, და წყურვილსაცა
მოუკლავს.

და თუ შაქარი და საზამთრო არ იშოვებოდეს, თობმაქანისა,
კიტრისა და აყიროს თესლები დანაყონ, და ამათი ლუბი გამოჰბა-
დონ და ასვან. საზამთროსა, შუმხიარისა და ქანის თესლი ამავე რიგად
ასვან, და თუ შაქარი იყოს, შაქრითა ასვან, და თუ შაქარი არ იყოს
უშაქროდ ასვან. და ნედლი აყირო ცომშიგა ჩადვან და ცხელს ნაცარ-
20 შიგა ჩაფლან, რომე კარგად შეიწვას, მერმე გამოიღონ წყალი გამოჰ-
ხადონ, გააციონ, შაქარი ურიონ და ასვან, ყოვლის მხურვლის სენის
წამალი არის.

და ხილებისაგან: კიტრი, საზამთრო, შუმხიარი, ატამი, ქლიავი,
სალათა, და თობმაქანი ძმრით აქამონ, და საზამთრო შაქრითა აქა-
მონ, ყუელა კარგად მოუხდების, და ან მეავის ბროწეულის შარბათი,
იის შარბათითა ასვან. და ხშირად ფეხნი ამ წყლებითა დაბანონ:
მოიტანე ლერწმის ფოთოლი, დაქერ და კარგად მოხარშე, მერმე
გარდმოიღე და გაანელთბილე, და მოიტანე მარილი, ანაკუეთი, და
წივის ნაცარი და ამა ლერწმის წყალშიგა ჩაყარეთ, და თბილ თბი-
80 ლის ამა წყლებითა ფეხები დაბანეთ, და ხელი და ფეხი ერთსა ეამ-
სა შიგ ჩაუყავით და ხელი და ფეხი კარგად დაუზილეთ და ფეხებ-
ზედა ფეხის ქუა წაუსვით, და რა ღმერთმან იპრიანოს და ეშველოს.

და ბურჰანი რომე ქნას და გაკეთდეს, სადამდისინ ერთის ბურ-
ჰანის დღე და ბორჯალი კიდევ არ მოუვიდეს, ავად მყოფი აბანო-
შიგა არ უნდა შევიდეს, ისრე რომე, თუ ავად მყოფსა ბურჰანი
დღეს დაემართოს თხუთმეტსა დღემდისი აბანოშიგა არ უნდა შევი-
დეს და მას უკან რომე შევიდეს უჯობს.

მაგრა ჯალინოზ აქიმშან თქუა: ამ რიგი კაცი რომე, ოცდა-
ათსა დღესა აბანოშიგა არ შევიდეს, მწოვედ უჯობსო.

თუ ესე წამბდარი ხილთი სევდათ გარდაექცეს, და ესე ხილთი ძარლუშიგა შეუვიდა და მით აცხელებს, ამა ცხელებასა და ციებასა რუბი ლაზიმა ჰქუიან, და ნობათი და დრო არცა ამა ცხელებასა და ციებასა მიაჩნია.

და თუ ესე ცხელება ძარლუს გარეთ დაულპა და მით აცხელებს, ამა ცხელებასა რუბი დაირა ჰქუიან, და ამა ორსავ რიგსა ცხელე-
ბასა და ციებასა ჰიომავი სევდაკი ჰქუიან, ვითამცა და სევდიანი
10 ცხელება და ციებაო. ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის რომე, პირველ რომე მოუვიდეს ცოტა გაათრთოლოს, და რა ხილთი დამ-
წიფდეს შწოვედ გააციოს, და შწოვედ გაათრთოლოს. ბოლომ კაცსა
ასრე გააცივებს რომე, კბილებს ერთმანერთზედა სცემდეს, და კაცს
ასრე ეგონების, თუ ძვალეზი დამელეწაო. და ესე რუბი დაირას ცი-
ვება ორსა დღესა აცლის და მესამესა დღესა მოუვა.

აწე რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ იცოდით, ესე ცხელება სევდისაგან წაჰკიდებია, და მისთვის აციებს.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ასეთი წამლები და მულლა-
ბები ასვათ, რომე სევდა დააღბოს და დაამწიფოს, უშაქროთ ჯავ ავი
აჰამეთ, და როდისცა სევდა დაუმწიფდეს, ასეთი მუსილები და გასახ-
სნელი წამლები, ასვით და აჰამეთ, რომე ორჯელ სამჯერ არწყევი-
20 ნოს, და უშაქროდ ქერის შექამადი აჰამონ, რომე სევდა დააღბოს
და ლულუფრისა, იისა, ლიმოსა და შათარას შარბათი ასვით, იომუ-
ზის შარბათი ჯულაბითა ასვით, და ხანდახან სიქანჯუბინისა შარბა-
თიცა ასვით.

და საქმლებისაგან ერიშთას შექამადი ნუშის ზეთითა აჰამონ.
მაგრა ასრე უნდა, როდისცა ნობათის დრო იყოს და ციებას მო-
ელოდეს, იმ დღეს მარხული უხდა იყოს, და წყალ პურის მეტი არა
ჰამოს რა. და როდისცა ციების მოსულამან შიატყობინოს, მოიტა-
ნე ძირტკბილას ძირი, დარეცხე, დაჯეჰქე, თაფლზედა დააწურეთ
და თბილ თბილი ასვით რომე; ორჯელ, სამჯერ არწყევი-
30 ცხელებასა სტომაჰ გამოწმედილი დახუდენ, და ხშირ ხშირად თბი-
ლსა აბანოშიგა შეიყუანეთ. და თუ კაცი შწოვედ დასუსტდეს, ვარი-
ისა, დურაჯისა, და ან ხობხის ხარშოები აჰამონ, რომე ესე ხარშო
ცერეცოთა, ან კამათა, ან ენისუნითა შექნას, და დარიჩინი, სანანე-
ბელი და ზირაცა გამოეხარშოს, ამ რიგი ხარშო აჰამონ, შწოვედ არ-
გებს.

და რა ციებამან გაუშვას მსუქანი ქათამი, მსუქანი შიშაკი
ცხურის ხორცი, ამავე მხურელის ბალახებითა და იარაღებითა მოხარ-
შონ და ჰამონ, ბროწეული, თაფლი, და ცხიმინი საქმელები ჰამონ, და

სტაფილოს შეჭამადი აქამონ, მხურვალე ტლები შემოსდენ, გვირი-
ლასა, მელის კუდასა ყუავილები და ლუსმარას ეკლის ბალახი.

თუ ძარლუს გარეთ რომე ბალღამი არის და ისი ბალღამი ან
ძარლუს გარეთ, და ან შიგ ძარლუშიგა დაღპენ, და ესე ცხელება ამა
ბალღამისა მიზეზისაგან იყოს, ემ ცხელებასა ჰიომი ბალღამი ჰქუიან,
და ესე ცივება და ცხელება ყოველთა დღეთა მოუვა, და გააცხე-
ლებს, ვითამცა და ბალღამის ცივებაო.

10 ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე კაცი ცოტად გააცხე-
ლოს და მწოვედ გააციოს, და რა შარდის ფერი ნახოთ, ან თეთრი
და ან ცოტად ყირმიზი იყოს. და ესეცა იქნების, თუ კაცი ცხლად
იყოს, შარდი მისთვის ცხელი ჰქონდეს და მერმე სიციხითა შარდსაცა¹
ფერი ყირმიზი ჰქონდეს, და მაჯის ძარლუიცა აშლით, სუსტად² და
საბრალოდ უცემდეს, სტომაქიცა რბილად და რიგზედა ექნების, ვი-
თამცა და არც მწოვედ გახსნით იქნების, და არც მწოვედ შეკურით
და ცოტა წყურვილიცა ექნების.

და თუ დუზლუ ბალღამი არის, რა ნობათი მოვა კაცი მძი¹
იქნების, და საქმეზედა ზარმაცობასა დაიწყებს, და ძილი არა
მოუვა, და ცოტად ოფლი ედინების.

20 და თუ ესე დუზლუ ბალღამი ღამით მოუვა, და ღამით გააღ
ლებს, ბევრჯულ მოჰხდების, რომე, თუ ღამით გააცხელა, სტომაქ
ჰკივილს დაუწყებს, და კაცსა მწოვედ დააღონებს და დაასუსტ
და როდისაცა ცხელების ნობათი მოუვა, გული დაუსუსტდება
არცა საქმლისა, და არას ფერის ნღომა და ეშთაჰა აღარ ექნების.
ამა დუზლუ ბალღამისა ნიშანი ეს არის, რომე ამისი ცივება
ცხელება თურამეტ ეამამდისი არ გაეყრების, და აცივებს და აც
ლებს.

30 აწე ამისი წამალი ეს არის: ასეთი წამლები, ჰაბები და შარბა-
თები ასევე და აქამონ, რომე პირველ ბალღამი დაღბოს და დაამ-
წიფოს, და ალაგიდაღმა მოხეთქოს. და მერმე ასეთი წამლები ასევე
და აქამონ რომე, ეზაჰალი უყონ და კაცი გახსნას, და ბალღამისა
და ბაყლისაგან გაწმიდოს. და ასრე უნდა ამ რიგი სნეული სისხლი-
სა გაშვებისა მწოვედ უფთხილდეს, თუ არა და ესე იცოდით, მაშინ-
ვე ფილენჯსა ჰკრავს. და თუ ავად მყოფი მწოვედ შეკურით იყოს,
ან კარგისა და ძალიანის შაფებითა, და ან ოყნაი მუთავასითა გახ-
სნან, რომე გული და სტომაქი დაუღბოს და ბალღამი მოხეთქოს,

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და ბალღმისა და ავის ხილთისაგან გაწმინდოს, და ყუელა დააღურე-
ვინოს.

და შარბათებისაგან სუზაბისა, აბზინდასა ბალახისა, გვირილისა
ყუავილისა და ლუსმარას ეკლის შარბათები ასვან, ცერეცოსა, კამი-
სა და ლიმოს შარბათები ასვან, და კიტრისა, ქასნისა, ნიახურისა,
ცერეცოსა და ენისუნის თესლები, და ძირტკბილას ძირი და ფარი
სიაოშანი, რომე თურქნი ბალღური ყარას უძახიან, დაჯექკონ, მო-
ხარშონ და თაფლზედა დააწურონ და თბილ თბილი ასვან, და ან
ქუემო შარბათების ჯერგაშიგა, რომე ბალღმის დამამწიფებელი მულ-
ლაბი სწერია, თბილ თბილი ისი მულლაბი ასვან, და თუ ფარი
სიაოშანი არ იყოს, რომე ქართველნი წყაროს სუმბულსა უძახიან, ესე
არ იყოს, თაბლი ჰინდი და ქერამის წვენი ასვან, შაგრა უფთხილდენ,
რომე მარტო მარტო ან ეს თემრი ჰინდი და ან ქერამის წვენი არ
ასვან, თვარამე მაშინეე თეთრსა ფერსა ჰკრავს.

და თუ ესე ცხელება ოცსა დღემდისი არ გაეყაროს, შარბათი-
ყიშრისალი და ასლი ჰინდუბა ასვან, ვითამცა და ვენახის ლიქიო. და
თუ შაქარი არ იყოს, ან თაფლითა და ან ისრე ასვან, და ყურსი-
ამბარი, ბარიში, რევანდი ასვან.

და საკმლებისაგან, პირველ ცოტას ხანსა მუხუდოს შექამადი-
ნუშის ზეთითა შექნან, შაქარი და ან თაფლი ურიონ და ისრე აქა-
მონ. და ან თაფლითა და ან შაქრითა ჯავ ავი ასვან, ვითამცა და
ქერის შექამადი აქამონო, და ამას უკან ერიშთას შექამადი და ან
ყიმა შორვა შაქრითა და ნუშის ზეთითა აქამონ. და რა თოთხმეტი-
დღე გათავდეს, მეთოთხმეტეს დღეს ვარიის ხარშო შეუქნან და ამა-
შიგა დარიჩინი, დანამასტაქი, ღურახოთი¹ რომე კამა არის გამო-
უხარშონ და აქამონ.

და თუ ამა საკმლებმან არ მოიშთეინოს, მხურვალსა საკმლებსა
და მხურვალსა ბალახებსა და შარბათებსა ნულარც ასმევთ და ნუ-
ლარც აქმევთ. და საკმელი ცოტა აქამონ და ყველასა დაწოლის დრო-
სა კიტრისა, ნესვისა, შუმზიარისა და ქასნის თესლის გოლები დანა-
ყონ, და ამათი რძე გამოჰხადონ, და სიქანჯუბინშიგა გაურიონ და
ასვან, და გულსა და სტომაქზედა ცივი ვარდის ერბო გარდაკრან.
და ან ბიაშიგა რომე დანამასტაქი და სუმბული ჰინდი გამოეხარშოს,
გულსა და სტომაქზედა გარდაკრან.

კიდევე მოიტანე აბზინდას ბალახი და მიხაქი, და ყირმიზის
ვარდის ყუითელი გულის ყუავილი, დანაყონ და ვარდის ერბოთა.

¹ ეს სიტყვა სტრიკონს ზემოთ არის ჩაბატებული დედნის ხელით.

ტლედ ქნან, და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან. და როდისცა გაცხელებიდა და გაცივების დრო იყოს, და ცოტად შეატყობინოს, მოიტანე ძირტკბილას ძირი, და კამას ბალახისა ან თესლი, და ან თვითონ ბალახი, და ბოლოკის ფოთოლი და ან თესლი, და ესე სამივე დაჯექონ და ერთად მოადუღონ და თავლზედა დააწურონ, და ნელ თბილი ასვან, რომე ორჯერ სამჯერ არწყვიენოს, და ბალლამი დაალურევიენოს, და ცივებასა სტომაქ გამოწმედილი დახუდეს¹

10 და თუ ან ორი და ან სამი ხილთი ერთგან შეიყაროს და ისრე აცხელებდეს და აცივებდეს, ჰიომბი მურაქაფა ჰქუიან, ვითამცა და არეული ცხელებათ. და თუ საფარა და ბალლამი ერთმანერთშიგა აერივა და ორივე ერთად წაუხდა, და მით აცხელებს, ამა ცხელეებასა ყიბი ყვირი ხალისი ჰქუიან.

და ასრეცა მოხდების ესე საფრა და ბალლამი ორსა ალაგსა დაეფანტოს, და ორსა ალაგსა დაულპეს, და ერთსა ალაგსა ბევრი ექნების, და ერთსა ალაგსა ცოტა, და ამა მიზეზითა ერთსა დღესა მწოვედ გააცივებს და გააცხელებს, და ერთსა აღარ შოუვა.

20 აწე ესე ცხელება ან ორი და ან სამი არეული იყოს, და ისრე აცხელებდეს, ასრე უნდა, რა რიგადცა ან ბალლამის ცივებასა ცხელებაზედა, ან საფრის ცხელებასა და ცივებაზედა, და ან სვედ ცივებაზედა წამლები, შარბათები და ან საქმლები დაგვეწეროს, ი წამლები, და ისი შარბათები, და ისივე საქმლები ამას ასეათ, აქამო და უყოთ.

30 აწე ამა ცხელებასა რომე დრო და ნობათი არ მიიჩნია, ამი მიზეზი ეს არის, ან დიდი მუწუკი გამოუვა და მისგან გააცხელეც ან ასოსა სიმსიენე გააცხელებს, ან ბევრი მარხვა გააცხელებს, ან დევე რომე კაცსა სტომაქშიგა ხილთი დაულპეს და ამისგან ცხელ ბა აეშალოს, და ან ავის საქმლებისაგან იქნების: მაწონისა, თევზის და წყლიანისა და მწოვედ ნედლისა ხილისაგან, რომე მკუახე (შემოუსვლელი ხილი კაცმან ბევრი ჰამოს, ნესვი, კიტრი, ატამი, ქლავი, ჰერამი, ყურძენი და მკუახე ტყემალი, ან ერბოიანი და მსუქა საქმელი ბევრი ჰამოს, და ველარ მოიღნოს და სტომაქშიგა დარჩე და ესე საქმელი სტომაქშიგა დალპეს, და მერმე ესე დამბალი საქმელი ხილთად გარდაექცეს, და მისგან იქნების.

და კაცსა რომე ყოველთა დღეთა აცივებდეს და აცხელებდეს, ყოვლის დღის ცხელებისა მიზეზი ან არის საყუარლისა მოშორებინა და ბევრის ნარეულისა და საგონებლისაგან, ან ბევრის მარხვისა

¹ ამ გვერდის აშიაზე ტექსტი: "დღით სწერია: „და რომემცა გამთელდეს ოცდახუთსა დღემდისი აზაროშიგა ა... უნ... ა... იდეს, აწყენს.“

და შიმშილისაგან, ან მწოვედ გაგულისებისა და ბევრი სიანჩხლისაგან, ან ბევრის შიმშისაგან, და ან მწოვედ სიმზიარულისაგან, ან ბევრის უძილობისაგან და მწოვედ დაღალვისაგან, ან ბევრის გასახსნელის წამლების სმისაგან და მწოვედ გახსნისაგან, და ბევრის მიჭირვებისაგან, და საქმლის ბევრის ქამისა და გამოყოლისაგან. ან მწოვედ წყურვილისაგან, ან მუწუკებმან რომე დაჰყაროს და იმან გააცხელოს, ან მწოვედ სიცხისა, და ან მწოვედ სიცივისაგან, ან მხურვლის საქმლებისა და მაჯუნების ქამისაგან, ან ბევრსა, მწოვედ ცხელსა აბანოშიგა ბანისაგან, და დიდსა ხანსა ცხელსა აბანოშიგა ჯდომისაგან. და ან ნაჩვევი კაცი რომე დიდსა ხანსა აბანოშიგა აღარ შევიდეს, ან სურდოსაგან, ან სურავანდისაგან, ან ბევრის ტირილისაგან.

10

ამისი ნიშანი ეს არის რომე პირველ ავად ყოფაზედა¹ გაცივებით კი არ გააციოს, და ცოტად სიცივე შეატყობინოს და ცოტად წოდინი დააწყებინოს, და მაჯაცა კარგად უცემდეს.

რა ესე ნიშნები კაცზედა ნახოთ, ნულარას გეშინიან, ღთისა შემწვევნითა ესე ცხელება სალხინო და საკეთილო არის, და საზიანო არ არის.

ესე ცხელება მუდმით ერთსა ბორჯალზედა გააცხელებს, და დაწყებით გაშვებამდისინ ერთსა ნირზედა ამყოფებს, და ამ რიგის ცხელებისა ასრეცა იქნების, რომე ყოველთა დღეთა ერთსა ბორჯალზედა გააცხელოს, და მერმე ნირი გამოიცვალოს და მესამესა დამესამეს დღეს დაუწყოს ცხელება.

20

ამისი წამალი ის არის, თუ რომლისგანცა ხილთისაგან იყოს, ასეთი წამლები უყოთ, რომე ისი ხილთი გააქარვოთ. და გრილი და ნედლი შარბათები ასვან, გრილი ტლევები შემოსდვან, გრილსა სასუნებლებსა უსუნონ, და რაცა საფრისა და სისხლის ცხელებაზედა ან საქმლები, და ან შარბათები დაგვეწეროს, ისივ ამას ასვით, და ისივ აქამეთ, და ღთითა უსათიოდ ეშველებს.

30 და თუ გინდოდეს რომე, ბალღამი რწყევითა ამოაღებინო, მოიტანე თვითო დირჰამი ღარიყუნი და ჰალილეი ქაბული, და ნახევარი დირჰამი ოქშუზი, ვითამცა და ყურძნის კუფხალსა რომე მკედსავითა შემოეხვევის, და სარმაშულსა გავს, იმისი თესლი უნდა, ესეებო სამივ დანაყო და უნსულის შარბათითა უნდა მოზილონ, და ამა წამლებსა ხშირად უსუნონ და არწყევინებს. და თუ ამან არ არწყევინოს ჰაბი საბრი აქამონ და არწყევინებს, და რომეცა გამთელდეს ამა ბალღმისა სენიანი კაცი ოცდა ხუთსა დღემდისი აბანოშიგა არ უნდა შევიდეს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

და ესე შარბათი სიღმთ ერთი შარბათი არის რომე, ყოვლსა ფერსა ცხელეზასა და ცივეზასა უკირველად¹ უშველის: მოიტანე ათი ღირჰამი დანა მასტაქი და ხუთი ღირჰამი საყმუნია, ვითამცა და მაჰმულაო და ესე ორივე დანაყეთ, გაცერით და როდისცა ეკირეზოდეს და ან უნდოდეს ამისგან ორი ღირჰამი ცივის წყლითა გაულესონ და ასეან, და ულხენს.

10 კიდევე კაი წამალი რომე ბალმისა და სევდის ცივეზასა უსათუოდ უშველის: მოიტანე ერთი ლიტრა ქალაქური კაი და ძველი ღვინო, რომე რეაას: ღირჰამი იყოს, და სამი კაი შავი ბოლოკი ამა ღვინოშიგა წურვილად და თხლად ჩააქრან, და აღულონ, რა ერთი ორი პირი წამოიდულოს, მოიტანე ორი ტკბილი ვაშლი გაფცქუნ და ესეცა წმიდად ჩააქერ, და ერთი ორი პირი რომე წამოიდულოს, მოიტანე ერთი ღირჰამი პილპილი და ერთი ღირჰამი მიხაქი, წმიდად დანაყონ და ამავე ღვინოშიგა ჩაყარონ, და ერთსა კოქობშიგა ჩაასხან და ესე ღვინო ამა წამლებითა ამდენი აღულონ, რომე ნახევარი ჩაიდულოს და ნახევარი დარჩეს, მერმე გარდმოიღონ და ერთის მინითა შეინახონ. როდისცა კაცსა ეკირეზოდეს და ან გააციოს, ამა ღვინისაგან ერთი თასი დაალევიონ.

20 და თუ ცივეზამ არ გაუშვას, ერთი თასი კიდევ დაალევიონ და უსათუოდ უშველის, და ესე წამლები, რომე დღე გამოშვებით კაცსა აცივებდეს, და ან სამსა დღეშიგა ერთხელ გააცივებდეს, ამა ცივებისათვის, ორისათვისვე მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის, და უშველის ძალითა და შეწვენითა ღთისათა.

აწე კაცი რომე ყოველთა დღეთა გააციოს და გააცხელოს, იცოდი, ესე ცხელეზა ან გამოჰყარის, და ამისი ნაშანი ეს არის, რომე კაცი ცხლად და წამოჯებებით იქნების და ფიცხლა ფიცხლა ყრასა დაუწყებს და დღისით მწოვედ მოჰქაედების. ამისი წამალი ეს არის, რომე მკლავი გაიხსნას და კარგად სისხლი იდინოს, და გასახსნელი წამლები ასეან და აქამონ, და მჟავეს ბროწეულსა, კოწახურსა, ისრიმსა, 30 ლიმოსა, და თაბლი ჰინდისა წვენი ასეან. და ხორცსა ნუ სკამენ, ოსპი, მაში, ჰინძითა და ამავე მჟავებითა მოხარშონ და აქამონ.

კიდევე თუ სნეულსა ასპამან და პარტახტმან დაჰყაროს, ეს იცოდეთ, რომე ასპა, ვითამცა და პარტახტო, ყუავილი და ქუნთორუში, ყუელა ამისგან იქნების რომე, კაცსა სისხლი აუღულდების და თავისის ალაგიდალმან დაიძურის, და ესე სისხლი წახდების და საფრად გარდაიქცევის, და ასპასა ყუავილსა და ქუნთორუშსა ყუელასა მის-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

გან გამოჰყრის. და ესე ასა და პარტახტი მარტვილებსა და ვაქსა
კაცსა უფრო ემტერების, და ეს ასა პირველსა გაზაფხულზედა და
გულსა სიცხეშიგა უფრო ბევრი იქნების, და ბერსა და მიღღევნებუ-
ლსა კაცსა უფრო არ გამოგსხმის.

აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე ავი და საფათერაკო ასა პირ-
ველ შავი არის, მერმე იის ფერი, და მერმე მწვანე, მერე ყირმიზი,
მერმე მწვანე და ყუითელი. ეს ასაებეი საფათერაკო და მწოვედ
ძნელი ასაებეი არის.

10 და პირველ რომე წელზედა ყუავილმან გამოჰყაროს, და მერმე
მას უკან კი გააცხელოს, ამ რიგი გაცხელება მწოვედ საფათერაკო არის.

და აგრევე რომე კაცი გააცხელოს და არ გამოჰყაროს, და მერ-
მე სიციხემან კი გაუშვას და მას უკან გამოჰყაროს, ისიც მწოვედ სა-
ფათერაკო არის. და ესე ყუავილი რომ მკერდზედა, გულის პირზედა
და მუცელზედა ბევრი გამოყაროს, და ესე ყუავილი ხშირად და
გართხმით იყოს, და კიდეცა იბარტყოს, ყუელასაგან ეს უფრო სა-
ფათერაკო არის, მეტადრე მაშინ რომე იმა ასპიდალმან სისხლი
ელინოს, ის ასა უსათიოდ, სიკუდილისა ნიშანი არის, და ესე ასაცა
უსათიოდ საჭირო და საფათერაკო არის, რომ ბევრი გამოჰყაროს
და ხშირად ესხას, კიდეცა იბარტყოს, მეტადრე მაშინ რომე ამა წე-
20 ლიწადსა ავი ეამიცა იყოს.

და კარგი ნიშანი ეს არის, რომე მომსხო და ცოტა დაჰყაროს,
და ტანშიგა სიციხე და სიმბურვალე ცოტა ჰქონდეს, ხმა კარგად
ჰქონდეს, და სული მწოვედ მბურვალე არ ამოსდიოდეს. და პირველ
ასრე უნდა გააცხელოს და მას უკან ყუავილი იყოს, თუ ქუნთრუში,
თუ ასა იმან გამოჰყაროს, და ამ რიგი და ეს ასა ღთისა შეწევ-
ნითა უსათიოდ სალხინო და საკეთილო არის.

და როდისცა ნახოთ, რომე ამ რიგსა ავადმყოფსა მწოვედ წყა-
ლი სწყურდებოდეს, და ეს კაცი მწოვედ შექირვებით და გულ შევი-
წროებით იყოს და ტანიდალმან სიციხე გაუვიდეს, და ტანი გრილად
30 ჰქონდეს, და ასა და ყუავილი ან შავი და ან მწვანე იყოს, იცოდი
ასა არის და ყუავილი თურმე შიგნით ჩაქცევია და მისი მორჩენა
ღთის მეტსა კაცსა არ შეუძლია, და იცოდი, სიკუდილის დრო მო-
ახლოვებია.

და ქუნთრუში ამა ასპის გვარი არის, და ქუნთრუში ყუავილი-
საგან უადვილესი არის. აწე ან ასა და ან ყუავილი რა კაცსა გამო-
აჩნდეს, და მერმე გვიან დაჰყაროს, და ან ესე ასა და ყუავილი ში-
გნით ჩაექცეს და გულსა და გვამშიგა გამოგსხას, ასრე უნდა, ცე-
რეცოს წვენი შაქრითა ასვან, და ან ნიახურა დანაყონ, ამისი წყალი

გამოჰხადონ და შაქრითა ასვან. უნაბის შარბათი ან მოხალული ქე-
რის ფქვილითა და ან ჯაე აეთა ასვან, და ორსა სამსა სმევაზედა
გილი არმანი, და ან გილი მახთუმი ასვან. მერმე ორჯერ საქჯერ
წყალშიგა დამბალი რევენდი ასვან, და მაშინვე პარტახტს გარეთ
გამოჰყრის. და ტყავ გახდილი ოსპის შექამადი ცოტას ძმრითა და
შაქრითა აქამონ, ან მსუქანას ბალახის შექამადი ნუშის ზეთითა
აქამონ, და ტკბილი ბროწეული აქამონ, და რამთენჯერცა წყალი
მოუნდეს, წყლის ალაგსა უნაბი მოხარშონ და ამა უნაბის წყალი
ასვან.

10 და თუ ან ასა და ან ყუაილი მწოვედ წურილი იყოს, მე-
თერთმეტესა დღესა ვარიის ხარშოცა ექმების. და თუ ავად მყოფსა
კაცსა რომე ღამით ძილი არ მოუვიდეს, ამა შექამადებშიგა ხაშხაში
გამოუხარშონ და ისრე აქამონ, რომე ძილი მოგვაროს, და ტანსა
თბილი რამე ჩააცონ, რომე სიცივე არ ეცეს.

და კაცსა რომე ყოვილი გამოესხას, და გამოსხმიდაღმან იან-
გარიშონ, და რა სამი კუირა გაუთავდეს, ისპანური სურმა ვარდის
წყლით გალესონ, და მუღმად თუალშიგა გამოავლონ. ან ესეე სურმა
ქინძის წყლითა გალესონ და თუალშიგა გამოავლონ. ან თუთუბო
ვარდის წყლითა, ან ქინძის წყლითა დაალბონ, გამოწურონ და თვალ-
ში ჩააწვეთონ, და ხელებზედა და ფეხებზედა ინა დასდევან, რომე
სიციხემან და სიმხურვალემან პირი სხვაგნით ქნას.

20 და თუ თვალშიგა ყოვილი არ გამოუვიდეს, თუთუბოთა და
ვარდის წყლითა ხშირად პირი გამოიჩეცხონ.

და თუ მაწოვარსა მარტვილსა ან ყუაილი, და ან ქუნთრუში
გამოჰყაროს, ასრე უნდა, ძიძამან კარგად იფარეზოს და მეავე საქმე-
ლი არა ქამოს, და ძიძის საკმელი, მუღამ შაქარი და ნუში უნდა
ქამოს, და ხშირად ლულუფრისა შარბათი უნდა სვას, და ღვინოსა
ნუ სვამს.

30 და თუ მარტვილი ან ექუსის თვისა იყოს, და ან ექუსის თვისა-
გან უფრო იყოს, პირველს გამოჩენაზედა ბექსა და ბექ შუა კოტო-
ში უნდა მოჰკიდონ, და მაშინვე გამრთელდების. და თუ ტანზედა
ყუაილის ალაგი დარჩომილ იყოს, ნაქვის გულის ზეთითა და სახა-
მებლითა აბანონ და ეშველების. და ასრე უნდა, წამლად მუღამ უნა-
ბის შარბათი ასვან, და რამთენჯერცა წყალი მოსწყურდეს, წყლის
მაგიერად უნაბი წყალშიგა გამოხარშონ, და ესე უნაბის წყალი
ასვან.

და თუ ავად მყოფსა ყუაილი და ხველასკირდეს, წყლისალაგს
კოწახური წყალშიგა დაალბონ და ნიადაგ ის ასვან, ალხენს.

ნქ. კარი მორჩმოდდა თეკთმითი. ბაზბაკდისა და სივლიჯიკი-
სა, ვითამცა და ყოვლის ზმარისა მხხვილისა და წუკილისა
მუწუკიბისა, მახამიბისა და ბიბრამისა წამლიბისა, ნიშნებისა და
ჩივიზებისა გამცნებს და ბიამგოგს.

აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე სრულად რაცა მუწუკი არის, და
ან რაცა სიმსიენე არის, ან იქნების სისხლისაგან, ან საფრისაგან, ან
ბაღმისაგან, და ან სეველისაგან, და ან ქარისაგან.

10 აწე თუ ესე მუწუკები სისხლისაგან არის, ამისი ნიშანი ეს იქ-
ნების: კაცსა პირი და მსივანი ალაგი ყირმიზად ექნების, და კაცსა
წოდინსა დააწყებინებს, მკვალე ერკმოდეს და თვითან კაციცა ცხლად
იყოს, და რა მუწუკი გაევისოს 'იმხურვალეცა მწოვედ მიეცეს და
ტკივილმან მოუმატოს, და რა გამოერწყოს' ტკივილმან და სიცხემან,
ორმავ დაუშვას.

და თუ ესე მუწუკები საფრისაგან არის, ამისი ნიშანი ეს იქნე-
ბის, რომე კაცსა სიცხე მწოვედ ექნების და ტკივილი წვითა და წვი-
თა წამოუვლის, და მუწუკსა მოყუითანოდ ფერი ყირმიზი ქქონდეს,
და რა თითი დააპირო, სიყირმიზე კი წავიდეს და ყუითელი კი
დარჩეს.

20 აწე ყოვლი მუწუკი და სიმსიენე ვარმისგან იქნების და მჯღო-
მისაგან, და უფროსი ერთი ესე ვარმის პირი არეული იქნების, ასრე
რომე ამა ოთხის ხილთისაგან, ვითამცა სისხლისა, საფრისა, ბაღ-
მისა და სეველისაგან, ან სამი და ან ორი ხილთი ერთად აერევის
და მისგან იქნების.

და ესე იშვით მოჰხდების, რომე ესე ვარამი და პირი მარტო
ერთის ხილთისაგან იყოს, და სხვა ხილთიცა ა' ერიოს.

30 და ამა ორისავ რიგის პირის წამალი ეს არის რომე, თუ სი-
სხლი სქარბობდეს, სისხლი გამოუშვან. და თუ საფრისაგან იყოს,
ასეთი გასახსნელი წამლები ასვან რომე, და ასეთი შაფები ააღებინ-
ონ, კაცი გახსნას და გაწმინდოს, და კუირაშიგა ორსა დღესა ზედა
ზედ არწყევინონ.

და თუ ესე ვარამი ხელსა და მკლავსა გარეთ სხვაგან სქირდეს,
სისხლი, საცა ვარამი სქირდეს და სტკიოდეს, იქ უნდა გამოუშვან.
და თუ ესე ვარამი ხელ მკლავშიგა სქირდეს, მკლავიდალმან სისხლი
არ უნდა გამოუშვან. ასრე უნდა, სისხლი სხვის ადგილიდალმან გამო-
უშვას, და ამ რიგი გრილი შარბათები უნდა ასვან: უნაბისა, ლულუ-
ფრისა, ახლის ვარდისა შარბათი, ლიმოსა, ისრიმისა, კოწახურისა
და სიქანჯუბინის შარბათი ასვან. უშხუნისა, თაბლი ჰინდისა და ქლია-

ვის შარბათები ასვან, ყუელა მწოვედ კარგი და ერთმანერთის მჯობი არის, და გრილისა და შემრგოს საკმლებითა ხელი შეუწყონ-ოსპისა, მაშისა, ისპანახისა და თოხმაქანის შეკამადები ამავე შეავე-ბითა, რომე შარბათად დაგვიწერია, შეუქნან. და ან ნუშის ზეთი და ან კარაქი ურიონ, ცოტა ბრინჯი უყონ და აკამონ. და ტკბილსა და მხურვალსა საკმლებსა არიდონ.

10 და თუ ესე კირი და სატკივარი დამალში და ყურს უკან გამოაჩნდეს, ან ღვიძლიდაღმან ბარკლებშიგა გამოაჩნდეს, ასრე უნდა, პირველს გამოჩენაზედა ამას ეცადნენ, ასეთი წამლები დასდევან რომე ისი სენი და ვარამი გააქარვონ.

ესე წამლები არის ამა კირისა გამქარვებელი: ვარდის ზეთითა შექნილი მუმრულანი, ნედლის ქინძის წყალი, ვარდის ერბო, ქასნისა და თოხმაქანის წყლები, მქაუნას წვენი და ძმარი, რომელიცა იშო-ვებოდეს, ნუ დაუწყალობებენ და დასცხონ, ღთისა შეწვენითა გა-აქარვებს.

20 და თუ ესე სენი და გამოსაბამი, ან წინასა ასოზედა, ან ყუერებზედა, და ან უკანას კარშიგა გამოუვიდეს, ან დედაკაცსა საშო-ზედა გამოუვიდეს, ასეთი წამლები არ უნდა უყონ, რომე უკან უკუ-უბრუნონ. გერ ასეთი წამლები უნდა დასდევან, რომე კიდევ გარგა-მოსწიონ. და რა ყლე, ყუერი და უკანა კარი ავის სენისა და კირი-საგან გამოწმედს, და კაცი მთლად და უსენოდ დარჩეს.

და თუ ესე სენი კაცსა ან ყლესა, ან ყუერსა, და ან უკანას კარშიგა ჩამოუვიდეს, ეს ერბოები უნდა დასცხონ, ან მართალი ერბო. ან კარაქი, ან ღუმის ქონი.

30 ბოლომ გერჩივნოს ეს სენი სისხლისაგან იყოს, გერჩივნოს სა-ფრისაგან იყოს, და გერჩივნოს არეულის ხილთისაგან სქირდეს, რა კირი ჩამოვიდეს, გამოაჩნდეს და გამოუსივდეს, ესე წამლები დას-ცხონ, რომე სიმსივნე და სენი, ორივე უშველოს: ულბო. გვირილას-ყუავილი ან ბალახი, ქათნის თესლი, აქლილუ მულუქი, ვითამცა და ყუავის ქანგას ბალახი და ან თესლიო, ლეღვი, და კურკა გამოლე-ბული წითელი ყურძენი, ამათვან ყუელასაგან სამ სამი ღირჰამი უნ-და ქნან, და ეს წამლები დანაყონ და ყუელა ერთად მოადულონ, და ხუთი ღირჰამი ან ერბო და ან ღუმის ქონი გაურიონ, ტლედ ქნან, და საცა სტკიოდეს იქი დაადევან. და თუ არ ეშველოს, კიდევ მე-ორედ და მესამედ ამავე რიგად დაადევან, თუ გამოსარწყავი არის, გამოერწყუის, და თუ გასაქრობელი არის და უსათიოდ გაუქრების.

ვინცა ხიარ შამბარას გული თაფლითა და ნუშის ზეთითა ამო-კყლიტოს და დაადვას, გასახეთქელი არის, გახეთქოს და გამოერწყავს, და თუ გასაქრობელი არის და გააქრობს.

შემწვარი ხახვი და ცომის საფუარი ორივე მუწუქსა შწოვედ დაამწიფებს და შემოიყვანს.

კიდევ ხიარაკისა, ძირ ღიდასი, და სხვის ღიდასი გამოსაელის მუწუქებისა წამლები და თათბირი კიდევ ესევე არის, რომე აქვე ზემორ დაგვიწერია. და სრულად ვარამებსა და მუწუქებსა აბანო და თბილი წყალი ყუელასა დაალობს და დაამწიფებს.

კაცსა რომე ვარამი სკირდეს, შაძლარი არცა აბანოშიგა უნდა შევიდეს, და არცა დედაკაცთან დაწვეს, თვარემდა შწოვედ აწყენს. და რა მუწუქმან პირი გამოსარწყავად ქნას და გამოერწყოს, არასათვის არცა გასახსნელი, და არცა სარწყვეელი წამლები აღარ მიეცემის, თვარემ კაცსა სტომაქზედა აშლის და შწოვედ აწყენს.

მუფრიდათი არის ვითამც და წურილი წამლები, რომე ამა წამლებითა ღიდასა და წურილსა, მუწუქსა, ტკივილსა და წვასა, და ყოვლსა ძირ ღიდასა და ხიარაკსა, და რაცა ამათივე მიმსგზავსო ან მუწუქი, ან სიმსივნე არის, იმას უშველის.

აწე ესე უნდა შეიტყოთ, კაცსა რომე მუწუქმან და ან სხვამან მსხმომან დაჰყაროს, და ან შიგნით გვამშიგა გამოესხას, თუ ესე მუწუქი ან ოცსა, ან ოცდაათსა ღღესა გამოერწყო და გაუმრთელდა, იმას მუწუქი ჰქვიან. და თუ ოცდაათსა და ან ორმოცსა ღღემდისინ არ გაუმრთელდა, და ორმოცსა ღღესა გარდასქარბდა, ის მუწუქი კი აღარ იქნების, და ორმოცსა ღღესა უკანა სენი დაერქმის, და ამა სენსა ყარპა ჰქვიან. და ამას უკანა ამა ყარპასა და დართულის წამლები უნდა უყონ.

ვისცა მუწუქის გახეთქვა უნდოდეს, მოიტანე ყუითელი შაბი, დანაყე და მუწუქზედა დააყარე, და ერთი დაყრა ეყოფის, მაშინვე გახეთქს და გამოარწყავს. და თუ ღრძილზედა ესხას, თითითა წაუსიან და ეშველების. თუ კაცსა გამოჰყაროს, მოიტანე ასეთის წითლის ფურის ფსელი, რომე სხვაფერი ბეწვი არ ერიოს, და ესე ფურის ფსელი მანამდი აღდუღეთ, რომე ორი წილი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, მერმე გამოყრილსა მუწუქზედა დასცხონ და ეშველების.

ვისცა ნამუწუქიარი, ან ნაყოფილები აჩნდეს, მოიტანე დათვის ნავლელი, ნამუწუქარსა და ან ნაყუავილებსა ალაგსა დასცხონ და ასრე გარდაიყუანს, რომე აღარ აჩნდეს.

ვისცა სარამაშულის ახალი ფოთოლი დანაყოს და მუწუქზედა დაიდვას, მკამელსა მუწუქსა უშველის.

ვისცა ჯინჯარი დანაყოს და მუწუქზედა დაიდვას, მუწუქი და სიმსივნე ორივე უშველოს.

ვისცა ტანზედა მუწუკმან დაჰყაროს და ან დიდი მუწუკი გამო-
უვიდეს, მოიტანე წიწმატი, დანაყე და ზედა დაადევ, მაშინვე უშვე-
ლის და გამოარწყავს¹.

ვინცა ნარგიზის ძირი დანაყოს, და თაფლითა მოზილოს და ან
გამწყრალოს, და ან დამპალსა მუწუკზედა დაადვას, ორისათვისვე
მწოვედ კარგი არის. და თუ ან უსივს, ან ხიარაკი აბია, ორსავე
გააქარებებს.

10 ვისცა ან ქუნთრუშმან, და ან ამ რიგად სხვამან მსხმომან ტან-
ზედა გამოჰყაროს, ახლის ყუელის წვენი რომე სვას და ტანზედაცა
შეიცხოს, მაშინვე უშველის.

20 და თუ კაცი თბილსა წყალშიგა ებანოს, ბალოამსა დასწმედს
და გაათხელებს, და სიმხურვალესა ძალსა მისცემს და საქმელს მო-
ანდომებს, და კაცსა ძილს მოგურის. მაგრა ასრე უნდა, აბანო მო-
ნელთბილო იყოს, და მწოვედ მოცხო არ იყოს. ილიჯას წყალი თა-
ობითგან ცივი წყარო არის, და ესე ცივი წყარო ზოგი გოგირდისა-
მადანს გამოივლის, და ზოგი ნავთის მადანსა გამოივლის და მაშინ-
და გათბების, და თუ მწოვედ ცხელი არ არის, ესე ილიჯაცა გამ-
თბარსა წყალსა დაეგვანების, და კაცის ტანსა და გვამსა მწოვედ
არგებს. მუნსა, ქეცსა და მუწუკსა და ქუნთრუშსა ამასა ოთხსავე
უშველის, და მწოვედ არგებს. გულსა და სტომაქსა დაუღობებს, და
თუ მწოვედ ცხელი არის, ის კი აწყენს. და თუ აბანო მწოვედ ცხე-
ლი არის, კაცის ტანშიგა, რომე კარგი სისხლი იდგეს და სითბო
და სიმხურვალე იყოს, იმას ყუელასა წაახდენს, და კაცის ტანიდალ-
მან ყუელასა გააგდებს, და ავსა სისხლსა, და ავსა სიმხურვალესა-
დაბადებს, და საფრასა აადულებს, და თავის ადგილიდალმან მოსთ-
ხრის და ყუელასა კუქეკშიგა ჩაჰყრის, და გულსა და სტომაქსა ასრე
შეუკრავს, რომე კაცსა საქმელი აღარ მოუნდეს, და ქეკუსაც მოაკ-
ლებს, და გულის ყურს დაუფანტავს და ხორცსა ჩამოადნობს.

30 ვინცა გარეული მლოგვი დანაყოს და მუწუკზედა დაიდვას,
მუწუკი ეშველოს. ვინცა ტუბტისა ან ყუაფილი და ან თესლი დანა-
ყოს და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს, და ძარღვების ტკი-

¹ ამ გვერდის აშინზე არა დედნის ხელით სწერია: „ვისცა ბედნიერი გა-
მოუიდეს, მოიტანე შინაური იის ძირი, დაფხიკე, წურილად დასკერ და ძაფზედ ას-
ხი, მერმე ვარდის წყალში მოხარზე, ვარდის წყალიდამ რომ აპოილო, ფურის
რძეში მოხარზე, ისევე რაგანი განმე და დანაყე და გამტკიცე ერთი წილი ქლა შაქ-
არი, ერთი წილი შაქრის მყინვარე, ერთმანერთში აურიე და კვერცხის გულით-
აზილე, ვისცა გვირებოდეს ნურწყევით გაიქმოდეს, ბანბახედ გაკრევდეს, დაიდებ-
დეს. თუ ახალი ამოსული იქ უს იმას კი გააქრობს.“

ვილსა უშველოს. და თუ ესევე ტუხტი ან ბატისა და ან იხვის ქონითა მალამად ქნას, და ისი სჯობს.

ვინცა ზღვის ქაფი ვარდის ერბოთა და ცვილითა აურიოს, და მალამად შექნას, და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი ეშველოს, და თუ ესე მალამა მიკრისზედა წაისვან, მიკრისისათვისცა მწოვედ კარგი არის.

მარილი მხურვალი და ხმელია, კაცსა ხორცსა გაუმაგრებს, და ტანისა და გვამიდალმან ბალღამსა დასწმედს, და ვინცა ესე მარილი ზეთითა მოზილოს და მუწუკზედა დაიდვას, მუწუკი გამორწყოს და უშველოს.

10 ვინცა ზივთი მიკრისზედა დაიცხოს, მწოვედ კარგად უზამს. და თუ ესევე ზივთი ქერის ფქვილითა და პილპილითა მოზილონ და მუწუკზედა დაიდვან, მუწუკი უშველოს. ზივთი ფისსა ჰქუიან.

ვინცა ტირიფის ფოთოლი დანაყოს და გამოწუროს, და ამისგან სამისაგან ოც დიძპამამდე სვას, გულისა და სტომაქის სიმხურვალესა გაუგდებს. და თუ ესევე ტირიფის ფოთლის წვენი აბანოშიგა კაცმან ტანზედა შეისვას, ქუნთრუში და მოლოქური და რაცა ამ რიგი წურილი მსხმო არის ყუელასა უშველის.

ვინცა ლარიყონი სიქანჯუბინზედა გაურიოს და სვას, მიკრისის ტკივილი უშველოს, და რაცა კაცისა ტანსა და ძარღუშიგა მოარული ქარი და ხილთი იყოს, ყუელა უშველოს. მაგრა ამისი შარბათი ერთის დანგიდალმან ნახევარის დიძპამამდისი არის რომე სვან, და თუ ამისგან მეტსა ასვამთ, კაცსა გახეთქს.

აგრევე იადიგარ აქიმმან თქუა: თუ ესე წამალი ამისთვის მოვიგონეო, ვისცა ამა წამლითა ისი სენი გეშველოსო, დამლოცეთ და შენდობა მითხარითო, კაცსა რომე ასეთი მუწუკი გამოუვიდეს, რომე აღარას ღონითა აღარ ეშველოს, ამ რიგსა მუწუკსა პირველ სამართებლითა მოსკრიდიანო ამას წინანდელნი აქიმნი, და ზოგსა დასდადედიანო, მაგრა თუ ან ერთის ფეტვის მარცვლის ოდენი დარჩა, უსათიოდ კიდევ გამოუვა, და კიდევ ახლა მეორედ უნდა ან მოსკრან, და ან დასდალონ, და კიდევ მეორედ გასაჯონ.

აწე ესე წამალი მე ამისთვის მოვიგონე, რომე ჩემად იადიგარად იდვასო, და ვისცა ამა წამლითა უწამლოთ, მოჩჩეს. და აღარ გაისაჯოსო, მე დამლოცოსო.

ვისცა ძნელი და ავი მუწუკი გამოუვიდეს და ან გაუძნელდეს, მოიტანე საფუარი და კარგად მოზილე, და რა ნივთიცა ის მუწუკი იყოს იმას გარ შემოაქენ, და მერმე მუწუკსა სამჯერ ზედა დაადუეონ, და მოიტანე უტყაოს ტირიფის ხის ნაცარი და ესე საფუარის კუერი გამოტენე და მაგრად შეუხვიე, და რაცა ავი და პილწი ხორ-

ცი არის იმას დასწვავს და მოხეტქს. და რაცა კაი და მრთელი ხორცი არის იმას კი არას ავენებს, და კაცი შორჩების¹.

მეჭეკეებისა წამალსა გაიმბობს. ეს უნდა იცოდეთ, რომე მეჭეკეი ბევრი ფერი არის, ერთი რიგი ეს არის, რომე თავი გაპობილსავეთა და დახეტქილსავეთა აქუს, და ერთი რიგი ის არის, რომე თავი გახეტქილსავეთა არა აქუს, და თავი მრთელი აქუს, და ერთი რიგი მეჭეკეი კიდევე არის, რომე იმას სახელად მისმარია ჰქუიან და ლუსმარსა გავს, და ამა მეჭეკესა ლუსმარსავეთა თავი დიდი ექნების და ძირი წურილი, და კაცსა ასოზედა როგორაცა ლუსმარი ისრე გამოებმის, და ერთი რიგი კიდევე არის რომე, გრძელ გრძელი იქნების და ამა მეჭეკესა არაბულად ყურუნ ჰქუიან.

აწე ყოვლის მსხვილისა და წურილის მეჭეკეებისა შიზეზი ამისგან იქნების, რომე ბალღამი და სევდა ერთმანერთშიგა აერევის, და ესე ორი სქელი და ხმელი ხილთები, კაცისა გვამსა და ასოშიგა დაღლების და ამისი ალავი და ქარი მეჭეკეებად გამოჰყრის.

ბოლო ყოვლი მეჭეკეი ყუელა ამა ორისა ავის ხილთისაგან იქნების. აწე ამისი წამალი ეს არის რომე, თუ სისხლი სკარბობდეს, მკლავი გაუხსნან, და საშუალის ძარღვიდაღმან კარგად სისხლი აღინონ, და ასეთი გასახსნელი წამლები სვან და ასეთი ჰაბები ჰამონ, რომე ბალღამი და სევდა მრხეტქოს და ზოგი რწყევითა, და ზოგა ქუემოდაღმან დაღურითა² გააქარვოს, და მათბუზი აფთიმონი და ამავე რიგი სევდის დამალბობელი წამლები სვან, და უნაბისა და უნსულის შარბათი სვან, და მერმე საკმლებითა კარგად ხელი შეიწყონ. კარგი, შემრგო და მოჰათილი საკმლები აქამონ, და რაცა ჰამონ, ყუელა ნუშის ზეთითა შექნილი ჰამონ, მას უკანა ან კაპრისა, ან მარსინისა ფოთლითა და ან ჩორაქოთითა, და ძმრითა ან მარილითა მეჭეკეი კარგად დაუზილონ და ღთითა ეშველების.

ვინცა ვარდის ერბოთა მეჭეკეი კარგად დაიზილოს, უსათიოდ მეჭეკეი ამოაგდოს და გააქარვოს.

და ასრეცა იქნების, რომე ამა მეჭეკეისაგან ბევრსა კაცსა შუბლზედა გამოუვა, და ბევრსა კაცსა პირზედა გამოუვა, და ამა მეჭეკეებისა ერთსა აღასია ჰქუიან, და ერთსა ჰანდაია ჰქუიან. და ისი აღასია

¹ ამ გვერდის აშიაზე სწერია დედნის ხელით: „ვინცა მრავალძარღვას ძირი მოთხაროს და მუწუკიანსა კაცსა გვერცა დაჰკიდოს, ამისის ხასიათითა ის მუწუკები გაუხმეს და ეშველოს“. „ვინცა ვირის ქაჩაჩი ძმრით გაღესოს და დაყრილსა ტანზედა წაისვას და ან ისრე ხმელად მოისვას, მსხმო უსათიოდ უშველოს“.

² წინადადება „და ზოგი ქუემოდაღმან დაღურითა“ ტექსტში განმეორებულია.

უსათიოდ საფრისაგან გამოვა და ესე ჰანდაია სევდისა აღამათისაგან გამოვა, და ან სისხლისაგან იქნების.

ამისი წამლებიცა ისივ არის, რომე გასახსნელი წამლები ასე და არწყონ, და მერმე ყირუთი დანაყონ და მეტეკებდა დაიდვან. და ოუ არ გააქარვოს, იმაზედავ ზედა მოსწრობით მოიტანე ქლიავის წებო და კრიკინა, შეითარ აჯი ჰინდი, გოგირდი, საკმელი და ოქრომკედლის ბორა, და ეს წამლები ყუელა ერთად დანაყონ და ერთმანერთშიგა აურიონ, და ძმრით მოზილონ და მეტეკებდა დაიდვან, და ღ'თითა უსათიოდ გააქარვებს.

10 კიდევ სხვა კაი წამალი, რომე მეტეკესა გააქარვებს. ასრე უნდა პირველ მეტეკე მარსინის ფოთლითა კარგად დაუზილონ, და მერე მარილი და შაბი ძმრითა მოზილონ და მეტეკებდა დაიდვან, უსათიოდ უშველის და გააქარვებს. და თუ არცა ამან უშველოს, მოიტანე ლურჯი გუნდა და ზარდაჩუა თვითო დირჰამი, ნიშადური და ეანგარა ნახევარ ნახევარი დირჰამი, და ესევ ოთხივე დანაყონ და გაცრან, და ერთად აურიონ, და ძმრითა და ვარდის წყლითა მოზილონ, და მეტეკებდა დაიდვან, უსათიოდ უშველის.

20 კიდევ ჰუნან ჰაქი მმან თქუა: მეტეკისათვის ამისთანა წამალი და თარქიბი არ იქნებისო, და სევდასა და ბალღამსა უსათიოდ გააქარვებსო: მოიტანე ჰილი და ენისუნი ოროლი დირჰამი და ნახევარიო, დარიჩინი, დარიფილფილი და საყმუნია, რომე მაძმუდას უძახიან, და მარილის თვალი ოროლი დირჰამი, და შაქარი ერთი დირჰამი, ასრე უნდა სრულად ეს წამლები კარგად დანაყონ და გაცრან, და ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს, ამისგან ოთხი დირჰამი გალესონ და სვან, ბალღამსა და სევდასა და ან რაცა სევდის სენი არის, და ან კირი სკირს, უსათიოდ ყუელასა გააქარვებს.

ვინცა მწვანის მხულიკის სისხლი მეტეკებდა დაიცხოს, უსათიოდ მეტეკე უშველოს. ვინცა კურდღლის კურკლი ძმრით მოზილოს და მეტეკებდა დაიდვას, მეტეკე უშველოს.

30 ვინცა ძველსა მთვარესა, ძველის ყირმიზის აბრეშუმითა მეტეკესა შეუტვიროს და გაუშვას, მეტეკე გახმეს და ჩამოვარდეს.

და ვინცა ფჩხილითა მეტეკე მოსკრან და აბედი დაადვან და შეუხვიონ, უშველოს და გააყრევიონ, ძალითა და შეწეენითა ღ'თისათა.

კიდევ თუ კაცსა ფჩხილები მრუდად ესხას, მოიტანე შრეშის ბალახი, მარილის თვალი, ძმარი და ძმრის ტლე, ესე ოთხივე კარგად დანაყონ და ფჩხილზედა დაადვან და შეუხვიონ, და უსათიოდ ფჩხილსა გაუკეთებს. და თუ ფჩხილი სრულად მრუდად ებას, ჰაბი აფთიმონ:

და ბალღმისა და სევდის გამაქარებელი წამლები ასვან და აქამონ, რომე გახსნას და გაწმიდოს და სევდა და ბალღამი ორიე დაალურეინოს და ფჩხილი გაუკეთდეს.

10 აგრევე თუ კაცსა ფჩხილები წამხდარი ჰქონდეს, ამის წამალი აქიმებმან ბევრი რიგი რამე წამალი თქუეს, მაგრა რ უე თი აქიმმან თქუა: ერთსა კაცსა ფჩხილი წამხდარი და გაშვეებული ჰქონდავო, და მე სააქიმოდ და საწამლედ მიმიყუანესო, მერე ერთი ღედაკაცი მოვიდაო და იმან თქუაო, ამისი ადვილი წამალი მე ვიცოო. მოიტანა ათი ღირჰამი ინა და წყალშიგა დააღბო და ასრე უთხრა თუ ესე სეიო, და იმ კაცმან შიშითა ის ინა კი ვერა სეავო, არამც მაწყინოსო, და ამა ათის ღირჰამის ინის წყალი სეაო, და ფჩხილები უწინდლისაგან უკეთესი შეექნაო, ჩემის თვალით ენახეო.

20 კიდევე თუ კაცსა ფჩხილები წაუხდეს, ესე იცოდით, ამ რიგი ფჩხილის წახდომა ცხელის ვარამისაგან იქნების, და ამა სენსა სახელად დახისი ჰქუიან. და აწყანდელნი აქიმნი ყულ ნულანს ეძახიან. ამისი წამალი მკლავის გახსნა და სისხლის აღება არის, და ამრიგმან კაცმან გასახსნელი წამლები უნდა სეას, და ან ცოტა და რბილი ოყნა ქნან, რომე ოყნათ ლეინა ჰქუიან, რომე რაცა შიგნით სევდა და ან ვარამის ქარი იყოს, ყუელა დალურეინოს და ყუელასაგან გაწმიდოს. და მუდმად გრილი საქმელი და გრილი შარბათები სეან და ჰამონ, ჯავ ავი, ისპანახი, მსუქანა ბალახი, ქარხალი და ქლიავის შექამადი ნუშის ზეთითა ჰამონ. და პირველ რომე კაცსა ფჩხილებმან წახდენა დაუწყოს, მოიტანეთ ბარძაყათუნა და ძმარშიგა დააღბეთ და წამხდარსა ფჩხილზედა დაადევით, ან გუნდა დანაყეთ, გაცერიოთ და ძმარშიგა დააღბევით და ფჩხილზედა დაადევით და წაუხვივეთ, და გერჩიენოს ბარძაყათუნას ლოაბი დასდვათ, და გერჩიენოს გუნდის ლოაბი დაადვათ, ასრე უნდა ეს წახვეული თითი ან თოვლშიგა და ან ცივს წყალშიგა ჩაუღვან. და თუ ტკივილი არ ეშველოს, თბილსა და მოცხოს ერბოშიგა ჩაუყონ.

30 და თუ არცა ამით ეშველოს, დასაღბობი რამე დასდვან, რომე დააღბოს და დაამწიფოს და გამორწყოს.

თუ კაცსა ფჩხილი წაუხდეს, მოიტანე კუნტა მქალი და შუა გააპე, და წამხდარსა ფჩხილზედა დაადევ და შეუხვიე, და ორსა დღესა ნულარ გაუხსნი და უსათიოდ ეშველების.

ვინცა ფიქვის კევი წამხდარსა ფჩხილზედა დაიდვას და შეიბვიოს, იმა ფჩხილსა წააგდებს და სხვა კაის ფჩხილსა ამოიყუანს.

ვინცა თევზის წებო დაჯექილსა ფჩხილზედა დაიდვას და შეუხვიონ, მწოვედ კარგად უზამს.

ვინცა ბოის ბალახი დანაყოს და ფჩხილზედა დაიდვას, ფჩხილი ამოიყვანოს. ბოი უღბოსა ჰქუიან.

ნბ. კარი მეორმოცდა თორმეტე. ხმელიხა და ნედლისა მუნისა მიზეზებხა და წამლებხა ვიანბობხ.

10 აწე ესე უნდა იცოდეთ, რომე მუნი და ქეცი ორივე, სისხლისა სიმხურვალისაგან იქნების, რომე კაცისა ასოშიგა სისხლი დაიწვის და მუნსა და ქეცსა ორსავე ამა სისხლის სიმხურვალე გამოჰყრის, და ან საფრისა სიმხურვალე კიდევე საფრასავე დასწევას და ამისგან იქნების, და ან ღუზლუ ბალღმისა და სევდისაგან იქნების. და ესე მუნი და ქეცი სისხლისა აღუღებისა და სისხლისა სიმხურვალისაგან იქნების, და ამა სისხლისა აღუღება მხურვლისა, მლაშისა, მარილიანისა, ტკბილისა და ცხარისა, ხმელიხა და ნედლისა, და სევდიანისა საჭმელისაგან იქნების, რომე კაცსა სისხლი აღუღლების და მუნი და ქეცი ორივე მისგან გამოჰყრის.

და თუ კაცსა ხმელი მუნი ესხას, იცოდი სევდისაგან იქნების, და ესე ხმელი მუნი ძნელადცა ეშველების.

20 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე პირველ მკლავი გაუხსნან და კარგად სისხლი ადინონ, და მერმე მათბუხი ფაქიათა და მათბუხი აფთიმონითა, ყუელის წყლითა, შათარას წყლითა, რომე ამა შათარას წყლითა პალილეი ქაბული და სხუა პალილებიცა ერიოს, სვან. და ყოველთა დღეთა ლიმოს შარბათი, შათარას შარბათი, კოწახურისა, ისრიმისა, თაბლი ჰინდისა შარბათი ასვან, და მეავე საკმლები აქამონ: ისრიმი, კოწახური, თუთუბო, მოცხარი, მეაუნა და ღოს შექამადი აქამონ, და ჯავ ავი აქამონ, რომე სიხმე და სიმხურვალე გაუგდოს.

30 და თუ ესე მუნი ბალღმისგან იყოს, ვითამცა და ნედლი იყოს, სიქანჯღბინი უნსული სვან. და საკმლებისაგან აყიროს შექამადი, ისრიმის შექამადი, ქლიავისა, ქასნისა, თოხმაქანისა და ისპანახის შექამადები აქამონ, და ამა შექამადებშიგა ვარია, ხოხობი, კაკაბი და ამათივ ლაპები გამოუხარშონ და აქამონ. და თუ ესეები არ იყოს, ბიტკნისა და ან თიკნისა, და ან სამამლის თოხლის ხორცი კიდევე ამავ გრილს ბალახებშიგა გამოხარშონ და აქამონ, და რასაცა საჭმელსა ცოტასა სჭამს ისი სჯობს, და მლაშესა და ცხარსა საჭმელსა ერიდონ, და მსუქანსა და ცხიმიანსა და ერბოიანსა, და მომეაოს საკმლებსა უნდა სჭამდენ, და ცივსა წყალსა სვემდენ. და დედაკაცთან მისულასა სრულად ერიდონ. და მოჰთადილსა აბანოშიგა ხშირად უნდა შევიდენ, და აბანოშიგა ცოტა ხანი დაყონ, და ნელ

თბილსა წყალსა დაისხემდენ. და თუ ესე აბანო მიწისაგან თბილი გამოდის, მუნისა და ქეცისათვის გამორჩეული წამალი არის. და თურმუზისა ფქული კურდღლის სისხლითა და ლიმოთა მოზილონ და აბანოშიგა ტანზედა შეისვან, და თუ კურდღლის სისხლი არ იყოს, ისევე თურმუზისა ფქული ან ლიმოთა და ან ძმრითა გააყენონ, და აბანოშიგა ტანზედა შეისვან. და მას უკან ან იისა, და ან ნუშის ზეთითა მუდმად კაცი კარგად დაზილონ.

10 და თუ არცა ამით ეშველოს, საბრის ჰაბი აქამონ და ეშველების. კაი ტლე, რომე კაცსა მუნსა და ქეცსა უშველის, და კაცისა ტანსა მსხმოსა და მუნისაგან გასწმედს: მოიტანე ჩორაქ ოთის თესლი და წითელი ზარნიხი და ზეთი, და ასრე უნდა, პირველ ზარნიხი და ჩორაქ ოთი დანაყონ და მერმე ზეთითა თხლად გააყენონ და ტანზედა შეიციხონ, და მზეს დაუჯდენ, რომე ამა წამალ შეცხებულმან კაცმან ოფლი იდინოს, და მუნსა და ქეცსა უსათიოდ ორსავე უშველის, და კაცის ტანსა მსხმოსაგან გასწმედს.

20 კიდევე მწოვედ კაი წამალი: მოიტანე ფარსი გოგირდი ექუსი დირჰამი, მურდასანგი, ლახოსტაკი, ინა და თუთიაი ყალამი ოთხ ოთხი დირჰამი, ვერცხლის წყალი ორი დირჰამი, და მურდის ფოთოლი დირჰამ ნახევარი. ესე წამლები ყუელა დანაყონ და წმიდად გაცრან, და პირველ ინა წყლითა მოზილონ. და ვერცხლის წყალი ამა ინითა მოკლან, მერმე სრულად ესე წამლები ერთის კვერცხის ცილითა მოზილონ და კვერცხის ნაქუქშიგა ჩადვან, და ესე კვერცხის ხეკუქი ცომშიგა წაახვიონ, და ცხელსა ნაცარშიგა ჩაფლან, და რა კარგად შეიწვას ორასის დირჰამის შავის ცხურის ღუმითა გააყენეთ, და აბანოშიგა ტანზედა შეიციხონ, და იმ დღესა და ღამესა ზედ უნდა იყოს, და მერმე კიდევე აბანოშიგა შევიდეს და იბანოს, და ღ'თითა მუნია თუ ქეცი უსათიოდ ეშველების, და ესე წამალი მწოედ დაცდილი არის.

30 კიდევე სხვა დაცდილი წამალი, რომე მუნსა უშველის: მოიტანე ჭმარული, ვარდის წყალი, თოფალახი და ზაფრანა, ეს ოთხივე დანაყეთ და ტლედ გააყენეთ, და აბანოშიგა ტანზედა ზეიციხონ და ორსა დღესა და ღამესა ზედ უნდა იყოს, და მესამესა დღესა თბილის წყლითა დაიბანოს, და ღ'თითა უსათიოდ ეშველების და ულხენს.

კიდევე კაი წამალი, რომე მუნს უშველის: მოიტანე სამი კუერცხი და კარგად გათქუიფეთ, მერმე მოიტანეთ ერთი დირჰამი სულიეჰანი, ვითამცა და დარიშხანაო, და წმიდად დანაყეთ და გაცე-

რით, და ამა კუერცხის ცილაშიგა ჩაყარეთ, და თუ კუერცხი არ იყოს, მაწონითა ქენით და კარგად ამოთქუიფეთ, და ერთსა დღესა და ღამესა შეინახეთ, და მეორეს დილასა მუნნიანი კაცი აბანოშიგა შევიდეს და მუნი კარგად დაიფხიკოს, და მერმე ესე წამალი კიდევ კარგად ამოთქუიფონ და მუნზედა შესცხონ, და ორსა საათსა ამყოფონ, და მას უკან თბილის წყლითა დაიბანონ, და ღთითა უსათიოდ ეშველებინ.

10 კიდევ სხვა კაი წამალი, რომე მუნსა, ქეცსა, წელის ტკივილსა და ავსა ქარსა უსათიოდ ეშველებინ: მოიტანე ვარდის ფოთოლი, მარსინის ფოთოლი, პიტნა და ზირა და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ, და ძველის ღვინითა მანამდისი აღულონ, რომე ნახევარი ჩაიკლოს და ნახევარი დარჩეს, მერმე მოიტანე ასი ღირჰამი წყალდაუსხმელი კირი, და ყუითელი ზარნიხი თხუთმეტი ღირჰამი, და სანანებელი, ჯავზი, მიხაკი და თეთრი საკმელი ყუელასაგან ცამეტ ცამეტი ღირჰამი, და ჩორაქ ოთი ათი ღირჰამი. ეს წამლები სრულად კარგად დანაყონ, გაცრან და ესენიცა ინა მოდუღებულ ღვინოშიგა ჩაყარონ, და ასრე რიგად ამოზილონ, რომე არცა სქელი იყოს და არცა თხელი, და აბანოშიგა შევიდეს და ასეთსა დროსა შეიცხონ, რომე ჯერ წყალი არ დაესხას, და მუნსა, ქეცსა, წელის ტკივილსა და ავსა ქარებსა, უსათიოდ ყუელასა უშველის.

20 სხვა მუნი, რომე არაბულად სურუქი ჰქუიან, ვითამცა და თხის მუნიო. მოიტანე აყიროს თესლის გული და გოგირდი, და ორივე სწორ სწორი ქენ, წმიდათ დანაყეთ და გაცერით, და შავი ცხურის ღუმის ქონითა მოზილონ, და ეს წამალი პირველ იდაყუის წინათ შეიცხონ, და ცეცხლის პირსა გაიშრონ, და მერე სრულად ტანზედა შეიცხონ, და ცეცხლის პირსა გაიშრონ, და ესე წამალი ორსავე მუხლებზედა და ბარკლებზედაცა შეიცხონ, და ორივე ბარკლები და მუხლები ერთმანერთს მოუქირონ და ისრე დაიძინონ, და დილეულ თბილის წყლითა დაიბანონ და ეშველებინ.

30 კიდევ მუნისათვის ესეცა მწოვედ კარგი წამალი არის და მწოვედ დაცდილი: მოიტანონ მურდასანგი და წმიდად დანაყონ, გაცრან და ზეთითა მოზილონ და ცხარი ძმარი დაასხან და ტლედ ქნან და როდისცა აბანოშიგა შევიდეს, ესე წამალი მუნზედა შეიცხონ, მუნსა და ქეცსა ორსავეს უსათიოდ უშველის.

და ასრე უნდა მუნიანმან კაცმან მოიტანო თხუთმეტი ღირჰამი ხიარ შამბარას გული, და ოცსა ღირჰამსა შაჰთარას წყალშიგა გამოდღესოს, და ყოველსა დილასა უზმომან სვას და ეშველებინ.

კიდევ სხვა კაი წამალი: მოიტანე პიტნა და ნიახური, დანაყე, გამოწურე და ცოტაოდენი ცხარი ძმარი ჩაურივეთ და სამივე ერთგან აურივეთ, მუნზედა შესცხეთ და მუნსა¹

[ნბ. კარი მეორმოცდა ცამეტე. ქაჩლის წამლებს გიანბობს და ნიშნებს გასწავლის].²

10 თუ ქაჩალმან დაყაროს თავზედ, ან თუ ასხია, იმას ქაჩალი ქვიან. და თუ წერილი არის და დაფანტული იქნების ფერი ან წითელი და ან მწვანე აქვს, ან თუ ყვითელი წალაცა სდის, იმას სირაჯა ჰქვიან. ამისი მიზეზი ეს არის, რომე წამხდარის სისხლისა და სინედლისაგან იქნების, და თუ ეს სენი და ქაჩალი მარტვილს შეექნას იცოდეთ გვამისაგან და გვამშიგან სინედლე და ბუხარი ბევრი ექნების და ამ რიგი სენი ასოების სისუსტისაგანაც დაემართების.

20 აწე იმისი წამალიც ეს არის, რომე მაშინვე ყიფალის ძარღვი გაუხსნან და კარგად ზომიერი სისხლი აღინონ, გული და სტომაქი მოხალულის ყალიათი გაიხსნან, და შეიძლებდეს ან კეთაზედ და ან ბექებზედ ან ქაქას შუა კოტოში მოკიდონ, და ტკბილს სასმელს და საკმელს არიდონ, მერმეთ ეს წამლები უყონ: მოიტანე სამი დრამი ინა, ძიმწარე და ეს ორივე წმინდათ დანაყეთ, გაცერით და ზეთის ერბოში ამოზილეთ, ამ რიგად ორჯელ სამჯერ სამოსლით თავზედ გარდააკარით, უსათუოთ უშველის.

კიდევ კაი წამალი: მოიტანე ზარდანჩო და მურდასანგი და ბროწეულის ქერქი, სამივე დანაყეთ, გაცერით, ძრმითა და ვარდის წყლით გააყენეთ და ქაჩალს სამოსლის ნაქრით თავზედ გარდააკარით, მაშინვე ქაჩალს უშველის და მოარჩენს.

30 ერთი რიგი ქაჩალი სხვა არის, რომე ეს ქაჩალი ხმელი იქნების, უსათუოდ სევდისაგან იქნების, რომე სხვა ხილთი დაიწვის და სევდათ გარდაიქცევის. ამისი წამალი ეს არის, რომე ასეთი წამლები ასვათ არწყიოს, და სევდა რწყევით ამოაღებინოს, სტომაქი სევდისაგან გაუწმნდეს, მერმე თავზედან თბილი წყალი უნდა დაასხან, მუდამ ეს წამლები თავზედ დაადვან: მოიტანე თეთრი ცვილი და ვარდის ერბოშიგა გააღნონ, მერმეთ ქასნის წყლით გააყენონ და ერთის ჰიქით შეინახონ და როდესაც უნდოდესთ და მერმეთ თავზედ შესცხონ, ლ'თის ძალით ეშველენ.

ამას გარდა მუდამ თავზედ გრილს ერბოებს შეიცხებდეთ ხვალმე: იისა და ლულუფურისა, აყიროსი, ნუმისა და ვარდის ერბო, ესე ყუელა სულ გრილი ზეთები არის.

¹ აქ ტექსტი წყდება. აკლია ამ თავის ბოლო და ორმოცდა მეცამეტე თავის დასაწყისი—ეს დასაწყისი აღდგენილია ვარიანტის C-ს მიხედვით.

² ვარიანტში „კარი მეზვიდმეტე“.

და თუ ქაჩალი მწოვედ სქლად ესხას, ასრე უნდა, კარგად დაფხიკონ და ან წურბელი მოჰკიდონ, და მერმე თუ ამა წამლებმან არ გაამთელოს, დუგუნი დასვან. და თუ ყურს უკან სისხლს გამოუშვებენ, ისიცა მწოვედ კარგი არის, და ასრე უნდა ესე სისხლი იმა დაფხეკილსა თავზედა შესცხონ, და მერმე ყირმიზი მალამა დასცხონ, რომე მალამი მარჯუა ჰქუიან, და ესე ყირმიზი მალამა, მალამების ჯერგაშია მონახეთ და იქი იპოვებთ.

10 და თუ არცა ამითა ეშველოს, მკლავის ზედათის ძარღვიდაღმან სისხლი გამოუშვან, და ან ყელსა, და ან თავზედა, და ან ორსავე ბექს შუა, საცა იყოს, კარგად სისხლი გამოუშვან.

ჯალინოზ აქიმმან თქუა: ნედლის ქაჩლის შველა, მწოვედ ძნელი არისო, და თუ არ მეტის მეტად კაი აქიმი მიხუდებისო, და ამისი წამალიცა ჯალინოზ აქიმმანცა ესევე თქუა: მკლავის გახსნა, კოტოშისა და წურბლის მოკიდება, გასახსნელისა და სარწყვეელისა წამლებისა სმა და ქამა. და მოიტანე თეთრი ცვილი და ვარდის ერბო და ერთგან გააღნონ და ქანისა და ტირიფისა, და იის წყალი გაურიონ.

20 კიდევე მოიტანე ტუხტი, მოლოქურის ბალახის თესლი, ზღვის ქაფი და დამწვარი ილან მუნჯუხი, ვითამცა და წურილი მკლავის საბამი ღვრინქილაო, და ეს წამლები ყუელა თვითო დირჰამი ქენ, და ერთის კუერცხის ცილაცა გაურივე, და ეს წამლებიცა იმ ცვილსა და ვარდის ერბოშიგა ჩაყარეთ, მალამად ქენით და ქაჩალს თავზედა დასდევით, მწოვედ კარგად უზამს.

30 კიდევე ქაჩლისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცლილი წამალი: მოიტანე საზამთროს ქერქი და აყირო, და ძველი ჰასირი, და ესე სამივე წონითა სწორ სწორი უნდა ჰქნათ, და ეს სამივე დასწვათ, და ამისი ნაცარი აიღოთ, და მერმე მოიტანონ ეანგარა, ინა, მურდასანგი, ვერცხლის წყალი და არდუჯის ხის დღვილი და ასრე უნდა, ამა წამლებისაგან ყუელა სწორ სწორი ქნან და კარგად დანაყონ და გაცრან, და ზეთის ერბოთა ასრე რიგად მოზილონ, რომე მალამასავითა შეიქნას და ორჯელ, სამჯერ სამოსლისა ნაქერითა თავზედა გარდაკრან, და სიქაჩლეს უსათიოდ უშველის ძალითა ღთისათა.

კიდევე ამა ქაჩლისა ერთი რიგი ის არის, რომე კაცსა პირზედა გამოჰყრის. ამისი წამალი ის არის, რომე ოთხისავე ძარღვიდაღმან სისხლი გამოუშვან, ვითამცა ორივე ბარკლები და ორივე მკლავები გაუხსნან, ორსავე კუნთებზედა და ბექსა და ბექს შუა კოტოში მოკიდონ, საცა მოეკიდებოდეს, წურბელიცა მოჰკიდონ; და ხშირად

აბანოშიგა შევიდენ და პირი თბილის წყლის ორთქლზედა დაიკირონ და პირზედაცა ესევ წამლები შეისვას, რომე აქავ დაგვიწერია¹ ისი წამლები ქნან.

ვინცა ღორის ნაფელი, თაფლი და პილპილი სამივე ერთგან აურიოს და ქაჩალსა თავზედა შეიცხოს, ქაჩალსა და უბალნოს თავზედა ბალანი გამოასხას, და ესე წამალი ბევრჯულ დაცდილი არის.

ვინცა მგლის ტვინი დამძაღებულის ერბოთი მოზილოს და პირველ თავი დაუფხიკოს და მერმე ესე ტვინი და ერბო დასცხოს, ქაჩალი უსათუოდ უშველოს და ბალანი გამოასხას.

10 ვინცა კუს ბაკანი დაწვას და დანაცროს და ძველის ერბოთა ასურიმოს, და ქაჩალსა თავზედა შესცხოს, ქაჩალი ეშველოს და თმა გამოასხას, მაგრა ესე ერბო რასაც ძველი არის ისი სჯობს.

ნღ. კარი მეორმოცდა ოთხმეტე. დაუხალაზიხა, ვითამცა და მონოზიხა რომე კაცი მელხავითა გაიქცევიხ, და კაცსა წარბი, წაშწამი და წვერი, და თმა ყუელა გასკვივის. აწე იმისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გაიმბობს.

20 მაგრა ყოვლი ფელამბრები და ყოვლი აქიმნი და მეცნიერნი კაცნი ცდილან და მოუქირვიათ ამის მიხდომასა და შეტყობასა, თუ ესე სენი რისგან არის, და ან რისგან შეექნებისო, მაგრა ვერა წინასწარმეტყუელნი და ვერა აქიმნი ამას ვერ მიხდომიან, თუ ესე სენი კაცსა რისგან დაემართების და ან წამალი რატომ არ მოეცილებისო. მერმე ერთსა დღესა რაცა აქიმნი და შემტყობნი კაცნი იყუნენ კრება ქნეს, და ერთად შეიყარნეს და ამის მეტსა ვერას მიხუდეს და ყუელამ ესე თქუეს, თუ ესე სენი ორსა რისაგანმე იქნებისო, რომე ბევრი კაცი უწმინდურსა დედაკაცსა არ დაერიდებისო, და უწმინდური დედაკაცი რომე დაორსულდეს, ისი პილწი და ავი სისხლი თესლშიგა გაერევისო, და ესე სენი მისგან დაემართებისო, და ამისთვის ამა სენისა წამალი ძნელი და საჭირო არისო, და წამალსაცა მისთვის არ მოიკიდებსო. და მეორე ესე, რომე ესე სენი ასეთი სენი არისო, რომე კაცსა ოთხთავე ხილთი ერთად აეშლებისო, და ესე ხილთები კაცსა გვამსა და სტომაქშიგა დაეწვის და იმისგან იქნებისო.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიახე დედნის ხელით სწერია: „ზახვის წვენითა თაფლი წყალსავითა გააყენოს და უბანლოსა თავზედა შეიცხოს, უბანლოსა თავსა ბალანი გამოასხამს“. „ვინცა ნივრის კერქი დანაყოს და ზეთის ხილის ზეთშიგა გამოლესოს და თავზედა შეიცხოს, უსათუოდ გაუშთელოს, და უბანლოს თავზედა თმა გამოასხას“.

ამავე გვერდის ზემო აშიახე დედნის ხელით სწერია რვეულთა სათვა-ლაფი „ლა“.

და ამ ნიშნითა რომე, ხმასა სევდის სიხმე წაართვამს და პირ-
ზედა საფრის სიხმე დაჰყრის. ვითაცა ბალანისა სიძალიანე სისხლისა
ძალისა და სიმრავლისაგან არის და სისხლსა გააშრობს, და მეტი
სიმხურვალე ამა სისხლსა დასწევას, თმა და წვერიცა მისთვის გა-
სცვივის. და ესე დაუსალაბი და დაუაია ორივე მისგან იქნების,
რომე სისხლი, საფრა, ბალლაში და სეედა, ოთხივე ხილთი ერთმან-
ერთშიგა აერევის, და ესე ოთხივე ხილთი ერთგან დაიწვის, და ესე
მონობისა სენი მისგან წაეკიდების.

10 ამა სენსა ამის მეტი წამალი არა სძეს. და არცა ვიცით, რომე
ამისთანას კაცსა კაცი შორს უნდა ექცეს, და ოთხისავე მხრიდალმან
სისხლი უნდა გამოუშვან, ვითამცა ორივე მკლავი და ორივე ბარკ-
ლები გაუხსნან და ბევრი სისხლი აღინონ, და ოთხისავე ხილთისა
წამლები უყონ, რომე კაცი გახსნას და გაწმიდოს. რომე სისხლისა,
ბალმისა, საფრისა და სევდისაგან დაახალასოს.

და ყოველთა დღეთა გრილი, შემრგო და გამხსნელი წამლები
ასვან და ამავე რიგი საქმლები აკამონ და უნაბისა, თაბლი ჰინდისა,
ქლიავისა, ქერამისა და შაჰთარას შარბათი მუდამ ასვან, და შირი-
ხიშთიანი შეჰამადი აკამონ, და მუდამ თბილსა წყალშიგა ჩასვან, და
ესევე თბილი წყალი თავზედაცა ბევრი დაასხან.

20 მეორე რიგი ეს არის, რომე საფრისაგან იყოს, ამისი წამალი
ეს არის, რომე ტკბილისა და მეავის ბროწეულის წვენი სვას, და
მოხარშულის ჰალილას წვენი ასვან, და იის ერბო ბარძაყათუნას
ლოაბშიგა გამოლესონ და საცა წვერი და თმა გისცვივნოდეს, იქი
შესცხონ. და ათრაფილი საღირის მაჯუნი აკამონ. და ძმარი და
ვარდის წყალი ერთად აურიონ და მუდამ ამითა პირი გამოირეცხონ.

მესამე ეს არის რომე, ესე სენი მეტის ბალმისაგან იყოს,
ამისი წამალი ეს არის, რომე ჰაბი ყუყია და წითლის ხახვის წვენი
და ნარგისის წვენი ერთად აურიონ და საცა თმა და ბალანი გასც-
ვივნოდეს, იქი შესცხონ. და იარაჯი ფიყრითა და ალყარყარითა
80 ორჯერ სამჯერ პირი გამოირეცხონ, და კაი და შემრგო საქმლები
და მწვადები ჰამონ, და მუდამად საკმლის კევი ლეჰონ.

და მეოთხე რიგი სევდისაგან შეიქნების და სევდის ალამათი ეს
არის, კაცსა პირის სახე შავად ექნების, და ამა სენისა გარდამკიდე
კაცი მწოვედ სენიანად და შიზეზიანად იქნების. ამისი წამალი ეს
არის, რომე გასახსნელი და სარწყეველი წამლები ასვან და აკამონ.
და საქმლებისაგან მხურვალე და ნედლი საქმლები აკამონ, მსუქანი
და ცხიმიანი საქმლები აკამონ, ახლის ყუელის წყლითა ხიარშამბარას
გული გაულესონ და ასვან და ჯულაბი სვან. და ჯულაბი ამას ჰქუ-

იან, რომე ან ხმელი შინდი, ან კოწახური და ან მოცხარი წყალშიგა დააღბო და ამისი წვენი სეან, თავად ამა სენსა და მერჳე ყოვლსა მხურვალსა სენსა ყუელას კარგად უზამს.

მაგრა კაცსა რომე წვერი და თმა გასცვიედეს, მისთვის ამის-თანა წამალი არ არის, რომე ხშირად კაცმან საპოენითა და თბილის წყლითა დაცვიენილი ალაგი დაიბანონ, და დაბანვას უკან შირლი-ლინის ზეთი შეისვას. ან თბილს წყალშიგა გაურიოს და თავი დაი-ბანოს, ტუხტისა და ბიის გულის ლობითა, ან ფარი სიაოშნითა, რომე ბალდური ყარა ჰქუიან, და ქარხლის წყლითა, და სეინტრის წყლითა, და ან ბროწეულის ყუავილითა თავი და პირი დაიბანონ, და გაცვიენილსა ალაგსა შეუსვან, ყუელა კარგად მოჭხდების, და თმის ძირსა ასრე დაუმაგრებს, რომე აღარ გასცვიედეს და მას უკანა ჰალილას მურაბა აქამონ, მწოვედ კარგად მოუხდების.

და თუ კაცსა წვერი და თმა გასცვიედეს, და ეს უნდოდეს, რომე მწოვედ კარგი წვერი და თმა გამოუვიდეს, კვერცხის ცილა და ბანის ერბო, ბანი ერთი ბალახი არის რომე მისრეთს იშოვების, და ვერხვის ხის ხილი, თხის ქონი და მოხრაკული ბუზი, თბილის ხეჭუჭი და ცოტა ყადუნა, ასრე უნდა ეს წამლები ყუელა კარგად დანაყონ, გაცრან და ტუხტის წყლითა გააყენონ. და ეს წამლები მოხარშონ და ნელ თბილისა ამა წამლებითა თავ პირი და გაცვი-ენული თმა და წვერი დაიბანონ. და ამა ბალახებისა ნახარშითა თავი დაიზილონ და უსათუოდ წვერი და თმა გამოუვა, და კიდევ გაუგრძელდების, და მას უკან აღარც კი გასცვივის. და საქმლებისა-გან მსუქანი, ცხიმიანი და ტუბილი საქმლები უნდა ჰამონ, ხშირად აბანოშიგა იბანონ და თავზედა ბევრი წყალი დაისხან, და მლაშესა და ცხარსა საქმელსა ნუ სჳამენ, და შიმშილსა და წყურვილსა უფთხილდენ.

მუფრიდათი არის ვითამცა და წურილი და დაცდილი წამლე-ბი, რომე ამა წამლებითა თმათა გაცვიენასა ეწამლებიხ.

ვინცა დამპალი და აყროლებული ცხერის წელეები ზეთის ერბოთა მიხრაკოს, და თმა გაცვიენილსა ალაგსა შეიცხოს, თუ ამა ქირისაგან გასცვიენია, კიდევ თმა გამოესხას.

ვინცა ჩათლაყუში დაწვას და ერბოთა მოზილოს და თმა გაცვიენილსა ალაგსა შეიცხოს, კიდევ წვერი და თმა გამოესხას.

ვინცა ქარხლის ფოთოლი მოხარშოს და ამის წვენითა თავი და პირი დაიბანოს, თმა და წვერი გამოესხას და თმის ძირი დაუ-წმიდოს, და თუ წილი ესხას გააყრევინოს.

ვინცა რეჰანი დანაყოს, და ახლის ერბოთა მოხარშოს და თავზედა შეიციხოს, თმა გაუგრძელოს.

ვინცა ხახვი დანაყოს და წყალსავითა ამით თაფლი გააყენოს, და კაცმან თავზედა შეიციხოს, უბალნოს თავსა ბალანი გამოცხას.

ვისცა თმის გახშირება და გაგრძელება უნდოდეს, ნივორის ქერქი დანაყოს, და ზეთის ერბოშიგა გაურიოს, და თავზედა შეისვას, უსათუოდ თმა გაუგრძელოს და უთმოსა ალაგსა თმა გამოასხას.

10 აბზინდას ბალახი მხურვალია და ცხარია, ვინცა ესა აბზინდა დაწვას და ამისი ნაცარი გაცვივნილსა თმაზედა შეისვას, თმის გამოშვებისათვის მწოვედ კარგი არის.

ვისცა მონობა სჭირდეს, მოიტანე ყაყაჩოს ყუავილი, დაწვი და ამისი ნაცარი გაცვივნილსა თმაზედა შეუსვი, მწოვედ კარგია.

ვინცა წიწმბი დაჯეჰკოს და ღვინოში გაურიოს და შეიციხოს¹, თმა და წვერი გამოასხას.

გველის ნიორი მხურვალია და ცხარია, ესე გველის ნიორი გარეთ იქნების და ძირი დიდი აქუს. ვინცა ესე გველის ნიორი, დანაყოს და თაფლშიგა გაურიოს და გაცვივნილსა ალაგსა შესცხოს, თმა და წვერი გამოასხას.

20 ვინცა კურდღლის სისხლი ძროხის ქონშიგა გაურიოს და თაფლშიგა წამოადულოს, და ნელ თბილი თმასა და წვერზედა შეიციხოს, ბეწვი გამოასხას.

ვინცა ტუბტი დანაყოს და წყალი გამოჰხადოს, თავი და წვერი დაიბანოს, თმის ძირი გამოუწმიდოს, და ბალანი დაამაგროს და გაცვივნასა მოარჩინოს.

ვინცა შირლიდანის ერბო თმასა და წვერზედა შეისვას, თმა და წვერი დაუგრძელოს.

საბრი მხურვალია და ხმელია, ვინცა ესე საბრი დანაყოს და ღვინითა გააყენოს და წვერსა და თმაზედა შეიციხოს, თმის გაცვივნასა მოარჩინოს.

30 ვინცა ხანთალას თავი გაუხვრიტოს და კურკა გამოაყრევინოს, და ხამბახტის ერბოთა აავსოს, და მერმე ეს გახურეტილი პირი ცომითა დაუქიროს და ცეცხლზედა დაადვას, რომე ერთი პირი წამოადულდეს, და გარდმოიღოს, და ესე ერბო თმასა და წვერზედა შეიციხოს, დიდსა ხანსა თმა და წვერი აღარ გაუთეთრდეს.

ვინცა ან გარეულისა ტირიფითა და ან მარსინის წყლითა, ქალაქური წყაროს სუმბული მოხარშოს, და თავი და წვერი დაიბანოს, თმის გაცვივნა უშველოს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ნმ. კარი მეორმოცდა თხუთმეტე. დაულ ჰიახი, ვითამცა და ბარსისა, ბაჰყისა და ხრსვილისა, რომე კაცხა ხრულად ტანზედა გველხავითა ტყავი გახძურების.

აწე ესე სენი მწოედ ძნელი სენი არის და მონობისაგან ცოტად აქათ არის. და ბარსი ამასა ჰქუიან, რომე კაცი აქრელდების და ტყავი აფეტქუნების. და ესე ბარსისა სენი კაცსა ამისგან შეეკნების, რომე კაცსა სტომაქშივა საქმელი დაულბების და ისი საქმელი ხილთად გარდაიქვევის, და ესე ბარსი იმა ხილთისაგან გამოაჩნდების.

10 და ამა ბარსისა და იმა ბაჰყისა განყოფილება ამის მეტი არა არის რა, რომე ამა ბარსსა ტყავი ასძურების, და ბაჰყისა კი არ ასძურების, თუარამ ორივე ერთი არის; და ამა ბარსსა ერთი ესე სქირს, რომე კაცსა ფეტვის მარცულის ოდენად დაჰყრის და დაუბებრდების, და, რომე ნემსი აძგრო, არც სისხლი გამოვა და არც წალა.

და ზოგთა აქიმთა ასრეცა უთქუამთ, რომე ესე სენიცა უწმიდურის დედაკაცისაგან იქნებისო, რომე კაცი უწმინდურს დედაკაცთან მივიდეს და შვილი შიაქნასო, და იმისი ჰარარათი გამოჰყუესო, და ესე ბარსიცა მონაობისა ერთი წილი არისო. როგორაცა ქუნთრუში და ყუავილი ერთი არისო, ისრევე ბარსი და მონობა არისო.

20 ასეთი წამლები სვან, რომე ხილთი დამწიფდეს, და რა ხილთი დამწიფდეს, ასეთი წამლები სვან, და ასეთი ჰაბები ჰამონ, რომე ზოგი რწყევითა და ზოგი განხნითა, გვამი და სტომაქი ავისა და პილწის ხილთისაგან გაწმიდოს.

მოხარშულის აფთიმონის წვენი სვან, თრიაქი ფარაიყი, თრიაქი აჰტი; რომე შარბათი უნსული გამოლესული იყოს, ასვან, და გრილი და მოჰთადილი ერბოები შეიცხონ, და კარგად დაიზილონ, და აბანოშივა ხშირად უნდა შევიდენ ¹.

30 და თუ ვაჟი კაცი იყოს, ერთი დირჰამი თრიაქი ფარაიყი ასვან. და თუ მობერო კაცი იყოს, უფრო ბევრი ასვან, და რაცა საქმელი აქამონ, კაი და მოჰთადილი საქმლები აქამონ: მსუქანის ცხურის ხორცი, მსუქნის ჭათმის ხორცი, კაკაბი, ხოხობი, დურაჯი, ტრედის ხუნდი, თოხლო კუერცხი და შილაფლავი ისპანახითა და თალგმითა აქამონ.

შარბათებისაგან: ლულუფრისა, იისა, ბროწეულისა და ახლის ვარდის შარბათი ასვან.

¹ ამ წინადადების გასწვრივ აშიახე სწერია დედნის ხელით: „ჟინცა წენგო დანაყოს და სრსვილხედა დაიცხოს, სრსვილი ვშველოს, მაგრა სრსვილი კარგად უნდა დაფხიკოთ“.

ხშირად აბანოშიგა შევიდენ და ტანზედა ღვარძლიანისა ბაყლას ფქუილი შეიცხონ, და თუ ეს ბაყლას ფქუილი არ იყოს, მუხულოს ფქუილი, დანაყილი ენდრო და ქერის ფქუილი, ძალიანის ძმრითა და მარილითა გააყენონ და სრულად ტანზედა შეიცხონ, და ღთითა უსათუოდ გამთელდების.

ღემრავევი სრსვილსა ჰქუიან, და სრსვილი ორი, სამი რიგი იქნების: თეთრი, შავი და ყუითელი. ესე სრსვილები და სენები ყუელა ბალღმისაგან იქნების და წაეკიდების, ამისი წამალიცა ის არის, რომე ბარსზედა დაგვიწერია.

10 თუ კაცსა ხელზედა ტყავი სძურებოდეს, ან არის დუზლუ ბალღმისა, და ან სევდისაგან. ამისი მიზეზი ეს არის, რომე კაცსა შიგნით გვამშიგა ან სისხლი, ან საფრა მეტის მეტისა სიმბურვალისაგან დაეწეის, და მეტის სიხმითა სევდად გარდაეკეცვის, და ესე სენი და ხელზედა ტყავის ძრომა მისგან იქნების.

აწე ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, როდისცა კაცმან თბილსა წყალშიგა ხელი ჩაყოს, იმაე წამსა ხელზედა ტყავი აეცრცნას, და ხელზედა ტყავი უფრო და უფრო ასძურეს. და ამა სენისა უფალმან კაცმან რომე ან ძმარი, ან ხმელი ყუელი, ან ძროხისა და თხის ხორცი, ან სხვა ხმელი ხორცი და ხმელი თევზი რომე ჰამოს, ხელზედა ტყავი უფრო და უფრო ასძურების.

20 აწე რა ესე ნიშანი კაცზედა ნახოთ, იცოდით, რომე ან იქნების დუზლუ ბალღამი, და ან სიხმისა და სევდისაგან. მაგრა იშვით მოჰხდების, რომე ესე სენი ბალღმისაგან იყოს და სევდისაგან არ იყოს, და უსათიოდ ესე სენი კაცსა სევდისაგან წაეკიდების.

აწე ამა სენისა წამალი ეს არის, რომე პირველსა გაზაფხულზედა კუირაშიგა ორს დღეს ზედა ზედ არწყვიონ, და გასახსნელი წამლები სეას და ჰაბები ჰამონ, რომე კარგად ასაქმოს, და რაცა შიგნით სევდის სენი სკირდეს, ყუელა დააღურევინოს. და თუ მართალსა გასახსნელსა ჯულაბსა სმენ, მწოვედ სჯობს.

30 და იის ზეთითა შექნილი მუმრულანი, ვითამცა და მალამო, მუდამ ხელზედა შეიცხონ. და თუ იის ზეთისა მუმრულანი არ იყოს, ან ბატისა, ან იხვისა, და ან ჭათმის ქონისა მალამა შექნან და ის შესცხონ, ჯერ იმ წინას მუმრულანსა ეს მუმრულანი სჯობს. და მერე ხუთოს წყლით ინა დააღბონ და ხელზედა დაიდვან, და ესე ხუთოს წყალი კიდეცა სვან, მწოვედ კარგად უზამს.

და ეს უნდა იცოდეთ, ამა სევდის სენსა ძროხისა და თხის ხორცი, ირმისა და შულის ხორცი, ყურდღლისა და ცხენის ხორცი, მლაშე ყუელი და მაწონი, ყოელი ძმრიანი საკმლები და ყუელას

ნამეტნავად მკლე ხორცი, ეს ყუელა მწოვედ აწყენს, და ყოვლი მხურვალი, ნელლი და ცხიმიანი, და მსუქანი და ტკბილი საქმელი და სასმელი ყუელა არგებს და კარგად მოუხდების. აბანოშიგ ბანე-ბაცა მწოვედ არგებს. ხმელი, მლაშე და მკლე სასმელი და საქმელი ყუელა აწყენს.

კიდევ ბაჰაყი თეთრსა შამხალსა ჰქუიან, რომე კაცი აკრელდების იმის მიზეზებსა, ნიშნებსა და წამლებსა გიანბობს, თუ ესე ბაჰაყის აკრელება რამთენი ფერი არის.

10 ბაჰაყი აბიაზ ვითამცა და თეთრი შამხალიო, რომე კაცი აკრელდების და ფოთოლ ფოთოლი¹ თეთრი ლაქები დააჩნდების, ესე იცოდით ამა სენისა მიზეზი უსათიოდ ბალღამი არის, რომე კაცსა ბალღამი დამრავლებია და ესე სენი უსათიოდ მისგან იქნების. და თუ ესე შამხალი წურილი არის და ან დაწითლდების, იმას წამალი კიდევ ექნების და კიდევ მოეკიდების. და თუ ეს შამხალი არ დაწითლდების და ისევ თეთრად არის, იმას ბარსი ჰქუიან, და ამა ბარსსა წამალი არ მოეკიდების, და არცა ეშველებს, ცუდად ნურცა რჯით და ნურცა ირჯებით.

20 და თუ დაწითლდეს, ამისი წამალი ეს არის, რომე ყოველსა დაწოლის ღროსა ყაყაჩოს თესლი და ან ფოთოლი დანაყონ, წყალი გამობადონ, ცოტა შაქარი გაურიონ და სეან. და თეთრფეროვანსა საკმელებსა ერიდონ, ლიმოსა შეკამადსა, ბრინჯის შეკამადსა, თევზსა, მაწონსა, სალათასა, თონმაქანსა და ქათმის ხარშოსა ამავეებსა ერიდონ, და ნუ სქამენ. და ნურცა მწოვედ მსუქანსა ცხურის ხორცსა სქამენ. ბოლომ რაცა ბალღმისა მომმატებელი და გამაძალიანებელი საკმელები იყოს, იმას ყუელასა ერიდონ. და თუ მკლის ცხურის ხორცსა სქამენ და არა გავარა.

30 და ამ რიგი საკმელები უნდა აქამონ: ბრიანი მწვადი, ყაურმა, ტრედის ხუნდი, ქავკავი, კაკაბი, ხობობი სანანებლითა, პილპილითა და მხურვლის ბალახებითა შიამკონ, თაფლი ურიონ და ქამონ. და მხურვალი საქმელი ყუელა ქამონ და გრილსა ერიდონ. და კუირა-შიგა ორჯერ ერთმან ერთზედა ამ რიგად არწყვიონ: მოიტანე კამას ბალახი და ძირტკბილას ძირი და დაჯეკონ, მოხარშონ, ხამს თაფლზედა დაწურონ და თბილი თბილი ასვან. რომე არწყვეინოს და რაცა გულსა და სტომაქშიგა ბაყლი და ბალღამი ჰქონდეს ყუელა ამოაღებინოს და მწოვედ კარგად უზამს.

და ყოველსა დაწოლის ღროს ათრატელი საღირის მაჯუნი და ან გვილან გვიბინი აქამონ. და შარბათებისგან: სიქანჯუბინი უნსუ-

¹ ტექსტში სწერია „ფოლ ფოლი“.

ლი და ერთი ღირჰამი შიყაიყი რუმანის თესლი პირშიგა დაიჭიორნ, და ესე სიქანჯუბინი უნსული ისრე სვან. და მაჯუნებისაგან: თრიაქი ფარიყი, თრიაქი არაბა, მაჯუნი მუშკი, თუსი მისრი, ფალასუფას მაჯუნი და მხურვალი მაჯუნები მუდამ ჭამონ., და ერთსა კუირასა სრულად მულლაბი მუნზარიჯი, ასვან. და თუ ესე მულლაბი სიქანჯუბინი უნსული ზედ დააწურონ და გვილან გვიბინიცა ზედ დააწურონ, ამაშიგაე გაურონ და ისრე სვან, რომე რაცა შიგნით ხილთი იყოს, ყუელა დაამწიფოს და დააბეროს, და მერმე ბალლაბი გახეთქოს და გაწმდეს.

10 ამა სენისა უკეთესი წამალი ის არის და ეს ბალლაბი ამითა გაწმდების, რომე მეშვიდეს დღესა ჰაბი თოხში ხანთალიცა იმავე წამლებშიგა გაურონ, და ისრე ასვან, რომე კაცი გახსნას და გაწმიდოს და თუ ღ'თნ იპრიანოს და ესე სენი სრულად ეშველოს, ასრე ყოვლსა პირველსა გაზაფხულზედა, და ყოვლსა შემოდგომაზედა ამავე რიგად ამა წამალსა სვემდენ, რომე სენი აღარ გამოჩნდეს.

და რა ესე წამლები სვან და გახსნას და რწყევითა და გარგასულითა გული და სტომაქი გაუწმდეს, მას უკან ასრე უნდა: მოიტანო წითელი ზარნიხი და თეთრი მდოგვის თესლი და შეითარ აჯი ჰინდი, ამათგან სამისაგანვე თვითო ღირჰამ ნახევარი ქენით, კიდევე მოიტანეთ ჟანგარა და ენდრო თვითო ღირჰამი, აღუ ყუნდუზი და ყუსტი ოროლი ღირჰამი, ბოლოკის თესლი, ქიბრითი, ილან მუნჯუხი, ვითამცა და მარტვილის ხელსაბამი თეთრი ღრინკოლოო ხუთ ხუთი ღირჰამი. ასრე უნდა სრულად უს წამლები დანაყო და გაცრას და თავად ლიმოს წყლითა თუარა და ძმრით მოზილონ, და დაწოლის დროსა პირველ ისი შამხალი კარგად დაიფხიკონ და მერმე ესე წამალი შეიცხონ და შეიხვიონ, და გათენებამდისი ისრე ზედ უნდა იყოს. და დილეულ აბანოშიგა შევიდეს და ამა შამხალზედა მუხუდოს ფქუილი შეიცხოს, და დაიბანოს, და შავი ლაქა არის თუ თეთრი, ღ'თითა ორივე ეშველების.

30 აგრევე შავი ბაჰაყი ის არის რომე, კაცსა ტანზედა ფოთოლ ფოთოლად¹ ააქრელებს, და კაცმან რომე მოიფხანოს ანაკვეთსავითა ქერცილი ასცვიდეს.

აწე ამა სენისა და ქირისა მიზეზი ეს არის, რომე კაცსა საფრა და სისხლი ერთად დაეწვის, და მერმე ესე არეული და დამწვარი საფრა და სისხლი სევდად გარდაიქცევის, და ესე შავი ბაჰაყი მისისა სიხმისა და ალავისაგან დაემართების, და მისგან ააჩნდების.

¹ ტექსტში სწერია „ფოლ ფოლად“.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ძკლავი გაუხსნან და ოთხსა ხუთსა დღესა ზედა ზედ მოხარშულის აფთიმონის წვენი სვან. და მოჰთადილსა აბანოშიგა ბევრჯულელ შევიდენ, და ბევრი თბილი წყალი დაისხან, და შემრგო და შეზაფებული შარბათები სვან და კაი საკმლეები კამონ. და რაცა ასეთი სასმელი და საკმელი იყოს რომე, სევდასა და ან სიხმესა მატებდეს; ყუელასა ერიდოს, და უნდა იფარეზოს. და ხმელსა და ანუ ნედლსა თევზსა, ხმელს და მკლესა ხორცსა, მლაშესა და ხმელს ყუელსა, ირმისა, ჯერნისა, შულისა და უფრო კურდღლის ხორცსა და ლეინოსა, ამავებსა ყუელასა უნდა ერიდოს და იფარეზოს, და რაცა აქავ თეთრისა ბაჰაყისათვის და შამხალისათვის წამლები დაგვეწეროს, ისივ წამლები ამავ შავსა შამხალსა და ლაქასა უყონ.

10

ვინცა წიწმატის თესლი დანაყოს, და ძმრით გააყენოს და შეიცხოს, თეთრი და შავი ლაქა ორივე ეშველოს, ძალითა და შეწვენითა ღთისათა.

ნმ. კარი მეორმოცდა თექუსმეტე. კორძიხა, თერიაყიხა და ილან ჯუღიხა ნიშნებხა, მიზეზებხა და წამლებხა გამცნებხ და გაიმზობხ. აწე ესე იკოდით რომე, სრულად ყოვლსა ავად ყოფობაშიგა ამის უძნელესი, და ამის უარესი ავად ყოფა არ არის, და ამა ავის ეამისა საკმესა ყოველნი აქიმნი გაკუირებულან, თუ ბევრი კაცი რომე მწოვედ ძნელად იქნების, და რაცა ავი და სასიკუდილო ნიშნები ვიცით, ის ყუელა ექირებების, და აღარა ევენების რა და მორჩების, და ბევრი კაცი ადვილად იქნების და ანაზდად¹ მოკულებების. რისგან იქნების, ბოლომ ამ სენსა, ნედლსა ქაჩალსა და მონობასა ვერა აქიმი და ვერა ფელამბარი ვერ მიხდომიან, თუ რისაგან იქნებისო.

20

ბოლომ რასაც ოდენ შევატყობთ, ამა ავისა ეამისა შეყრა და მიზეზი ავისა ჰავისაგან, ავისა სულისაგან, და ხმელისა და ავის საკმლისაგან შეექნების ესე სენიო. და ესე ავი ეამი მხურვალე და ცხელი ვარამი არის, და ვარამი მჯდომსა ჰქეიან. და ესე კორძი უფრო ზაფხულის და სიცხეშიგ გამოვა. და მისი ნიშანი და აღამათი ეს არის, რომე კაცსა მწოვედ გარჯის და მწოვედ გააცხელებს, გული რევას დაუწყებს და ხშირად არწყევს, გული დაუსუსტდების, მწოვედ მოსწყურდების, ძნელი და ავი სული ამოედინების, და კაცი მწოვედ შეწუხდების, მწოვედ ქშინვას დაიწყებს. სიცხე და სიმხურვალე გარეთ ცოტა ექნების და შიგნით ბევრი და ცეცხლსავითა დას-

30

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით

წვაეს, და ესე ავი ქამი კაცსა უფროსიერთი ან ყურის უკანა, ან ილ-
ლიაშიგა, და ან საზარდულზედა გამოუვა, და ამა ავის ქამის გარ-
ემემო ან მწვანე, ან შავი და ან ყირმიზი იქნების.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე პირველად რომე კაცი საავ-
ქამოდ გააცხელოს, და ესე შეიტყოთ თუ ეს კაცი საავქამოდ გააც-
ხელო, სადამდისი კორძი გამოუვიდოდეს, ასრე უნდა, ფიცხლავ
მარჯუენა მკლავი გაუხსნან და საშუალის ძარღვიდალმან სისხლი
აღინონ, და მათბუხი ფაქია და ან ნუყი მუსილი ასვან რომე კაცი
10 მუცელშიგა გახსნას, და ყოველისა ავისა ხილთისაგან და ავისა ბაყ-
ლისაგან გაწმიდოს, და დაალურევინოს. და თუ ესე მათბუხი ფაქია,
ან ნუყი მუსილი არ იყოს, და ან ესე გაცხელებული კაცი მარტვილი
და უსაკო იყოს, რომე ამა წამლებსა ვერ გაუძლებდეს, და ან კაცი
ვერა სვემდეს, სხვა გასახსნელი წამლები ასვან და აქამონ. და თა-
ბლი ჰინდის შარბათი, ქერამის შარბათი, ახლის ვარდის და შათა-
რას შარბათი ასვან და მაშინვე გახსნის. და რევანდი ჩინი წყალშიგა
დაალბონ და ასვან და ესეცა მაშინვე გახსნის. ან ათი ღირჰამი ხიარ
შამბარას გული, ორმოცდა ათსა ღირჰამსა ქერამის წყალშიგა გამო-
ლესონ და ასვან, და მაშინვე გახსნის.

და ვინ იცის და კაცსა სტომაქი მწოვედ გაუციედეს და ან
20 სტომაქი აეშალოს, მოიტანე შეიდი ღირჰამი თაფლი, წყლითა შარ-
ბათად გაულესეთ და ასვით, და კიდეცა გახსნის და სტომაქსაც და-
უამებს, და აღარც მისჭირდების. მაგრა კაცი უსათიოთ გახსნან, რომე
ავის ხილთისაგან გაწმდეს და სტომაქი დასცალოს, და სარწყე-
ველი წამლები ასვან, და ჰაბები აქამონ, რომე ბევრი არწყევიონ,
რომე რაცა გულსა და სტომაქზედა ბაყლი და ბალღამი აწვეს, ყუ-
ელა ამოაღებინოს, და გული და სტომაქი გაუწმიდოს.

და რა კორძი გამოაჩნდეს და ან გამოუვიდეს და მერმე კი
30 გაუქრეს, ნულარც ხელს გაუხსნით და ნულარცა სისხლს გამოუშვებთ,
ნულარც გასახსნელსა და სარწყეველს წამალს მისცემთ. და თუ კაცი
მწოვედ მუცელშიგა შეკრას, და მწოვედ უღონოდ გახდეს და გაუ-
ხსნელად არ იქნებოდეს, ოყნაი ლეინა უყონ, ვითამცა და ცოტა და
რბილი ოყნაო.

და შარბათებისაგან: სანდლისა, ახლის ვარდისა, ლიმოსა,
უმუხისა, ისრიმისა, კოწახურისა, მქავის ბროწეულისა, მქავის ვაშ-
ლისა, მქავის ბიისა და ან სიქანჯუბინის შარბათი ასვით, ამა შარ-
ბათებშიგა რომელიცა იშოვებოდეს ასვით, ყუელა ერთმანერთის მჯო-
ბი არის. და ყოვლის შარბათებისა და ყოვლის წამლის უკეთესი

და მგობი, და ყოველის მხურვლის სენის წამალი და აქიმი უშხუნი და ამისივ წვენი არის, მაშინვე სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს, კაცს შეჰკრავს, და რწყევას უკუუგდებს.

და ასრეცა იტყვიან, რასაც დღესა დილეულ კაცი უშხუნსა სკამს და ან ამის შარბათსა სეამსო, იმა დღესა, იმა კაცსა ავი ეამი არ შეეყრებისო, და თუ შეყრების ვერას ავნებსო.

მაგრა ამა შარბათებისაგან რომელიცა ასვით ან ვარდისა, და ან გავზაბანის წყლით გაუღესონ და ისრე ასვან, და ესე შარბათები ამისთვის კარგი არის, რომე ყველა გრილი არის და სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს. და კორძიანსა კაცსა მწოვედ რწყევა აწყენს, და ესე შარბათები ყუელა რწყევასა დაუქერს და უკუუგდებს. კორძიანსა კაცსა მწოვედ გახსნა აწყენს და ესე შარბათები ყუელა შემკრავი არის.

და საკმლეებისაგან: ოსპი, მაში, სალათა და მსუქანას ბალახის მხალი აქამონ და შეკამადად შეუქნან, ნუშის ზეთი ურიონ და ისრე აქამონ. და ამა შეკამალებშიგა ან ნარდანგი, ან კოწახური, ან მოცხარი, ისრემი გაურიონ და ისრე აქამონ¹. და ამ რიგსა კორძიანსა კაცსა ზენაარ ზენაარ ტკბილი და ან მოტკბო სასმელი და საკმელი არ უნდა ასვით და ან აქამოთ. თევზი მაწონი, ხმელი ყუელი, ირმისა, ჯერნისა, შულისა და ძროხის ხორცი, თხისა, კურდღლისა, ვირისა და მკლე ხორცი, ბადილჯანი და ამავე რიგი ტკბილი და მოტკბოსა სასმლისა, და საკმლისა და ხილისაგან იფარეზონ.

და მეთვე და მხე ყუელა სვან და ქამონ, და ხილისაგან: მეთვე ბროწეული, მეთვე ვაშლი, მეთვე ბია, სხალი, მეთვე ნარინჯი, კოწახური, უშხუნი, თოხმაქანი, ქასნი და სალათა, ეს ხილები ყუელა აქამონ, ყუელა ეკმების, და კარგად უზამს. და სადამდისი შიგნიდალმან სიცხე და სიმხურვალე არ გაეყაროს, არამცა და არამცა ხორცი უქმევია, თუ არა კაცი მწოვედ დასუსტდეს და ან ძალი მოაკლდეს. და თუ კაცი მწოვედ დასუსტდეს და ძალი მოაკლდეს, ცოტა სამამლე ვარია, რომე ჯერ ქათამი არ დაეჩინლოს, დედალი ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი და ამათივ ლაპები, და შავი მაწოვარი თიკანი ყიმა შორვად მოხარშონ, ქინძი გამოუხარშონ და ნარდავითა, კოწახურითა, მოცხარითა, ისრემითა და ან ხმელის დოთა გამოუხარშონ, და თავად უხორცოდ იმისი წვენი და ხარშო აქამონ.

და თუ მწოვედ სუსტად იყოს ხორციცა აქამონ. და ესე მეთვეები რომე ისრეცა აქამონ, ისიც მწოვედ კარგი არის, მაგრა ბევ-

¹ ამის გასწვრივ აშიახე დედნის ხელით სწერია „ჯავავი აქამონ“.

რი საქმელი არ უნდა ქამონ, არც გამოჰყუეს და ემთილა შეიქნას, და ერთსა სენზედა კიდევე მეორე სენი დაერთოს. და არცა მწოვედ მზიარი და მწყურვალი უნდა იყოს, და ბევრი სარჯელი და ბევრი ტყუნა არ უნდა ქნას.

და თუ არ მწოვედ ექირებოდეს, აბანოშიგა არ უნდა იბანოს. მაგრა ამა კოროძედა გრილი და ცივი არა უნდა რა დაადვან. და თუ ამა კოროძედა ზედა დადება რისამე გინდოდეს, ან შავი ვარია და ან ორის, სამის დღის გოკი მიწაზედა დააწყვიტონ, შუა გააპონ და რომელიც იყოს, ტყავითავე ზედა დაადვან, მწოვედ კარგად მიუხდებ-
10 ბის, აღრე შემოიყუანს და აღრე დაამწიფებს. და ხშირად გილი არმანი და გილი მახთუმი წყლით გაულესონ, ცოტა ძმარი გაულესონ, და ასვან. ყურსი თაბაშერი ჰუმში, ყურსი თაბაშერი ქაფური წყლით გაულესონ, ცოტა ძმარიცა ურიონ და ისრე ასვან. ბარძაყათუნასა და ბიის ლობითა ხშირად ენა და პირი გამოსწმიდონ, და თუ ან ხახა და ან მკერდი ხმელად ჰქონდეს, კიდეცა ასვან. შეავე ბროწეულის წვენი გამოჰხადონ და ცოტა შაქარი გაურიონ და სვან.

და ამ რიგი ტლები გარდააკრან: მოიტანე სანდალი და ან ვარდის წყლითა და ან ძმრითა გალესეთ, და გულსა და სტომაქზედა გარდაკარით. ან ამავე რიგად გილი არმანი გარდაკარით. და თუ
20 ორსავე ერთად აურევთ, ისი სჯობს.

და საცა იწვეს, ისი სახლი ძმრით მოარწყუენინეთ და სახლშიგა ან მარსინისა და ან ლულუფრის ფოთოლი დაჰფინეთ. და თუ ეს მარსინის და ლულუფრის ფოთოლი არ იყოს, ტირიფის ფოთოლი დაჰფინეთ.

და ამ რიგი ბუხარი დაუკმიონ: მოიტანე საკმეველი, სანდალი, უდი, ქაფური, თოფალახი და ესე ოთხივე სწორ სწორი ქენ, ცოტა ამბარიცა გაურივეთ და თვითოს ოდენი შაქრის მყინვარი ჩაატანეთ, დანაყეთ და გაცერით და ვარდის წყლითა მაგრად მოზილეთ და ბუხური შექენით, და მუდამ ესე ბუხური დაუკმიონ რომე ამისი სუ-
30 ლი მწოვედ კარგად უზამს. და თუ ამ რიგად ესე იარალი მზას არა გქონდეს, რომელსაცა დაუკმევ ყუელა კარგი არის, და კარგად უზამს. და ხშირად ნახევარი ღირჰამი თრიაქი ფარიყი უმუზისა შარბათითა გაულესონ და ასვან. და თუ უმუზისა შარბათი არ იყოს, ან ვარდის წყლითა და ან ქინძის წვენითა გაულესონ და ასვან, და ესე თრიაქი ფარიყი ნახევარი ღირჰამის მეტი არ უნდა ასვან თვარემ აწყენს. და მუდამ თავსა და ტანზედა ვარდის წყალი შესცბონ.

და თუ ესე ვარდის წყალი, საცა წვეს იმა ალაგსა, და იმისა ქუეშაგებსა და ტანისამოსსა შეათქვიონ, მწოვედ სჯობს. და მუდამ ვარდსა და ვარდის წყალსა, სანდალსა, ქაფურსა, ლულუფარსა, ქინძსა, ბიასა, ვაშლსა, მარსინსა და ტირიფსა უსუნონ, კიტრსა, შუმბი-არსა და ძმარსა უსუნონ.

ვინცა ჩორაქ ოთი დანაყოს, გაცრას და თაფლშიგა ამოსური-მოს და ერთი პირი წამოადულოს და თბილ თბილი ისურლუსა შეს-ცხოს მაშინვე უშველის, და ისურლუ ილანჯუგსა ჰქუიან, და ან სხვა მსხმოსა, და გერჩიენოს ავსა ეამსა რომე თბილ თბილი შესცხო უსათიოდ უშველის, და ესე წამალი მწოვედცა დაკდილი არის.

და ილან ჯუგი კიდევე ავის ეამისავ ნიშანი არის, რომე კაცსა ერთსა ალაგსა წითლად გამოუა, და წითელსა მკედსავითა გაგრძელ-დების, და ილან ჯუგი ამა სენსა ჰქუიან.

აწე რა ესე ნიშანი ნახოთ, იცოდეთ რომე ესე ილან ჯუგიცა ავისა ეამისა ნიშანი არის, და ამა სენსა და ჰირსა ილან ჯუგი ჰქუ-იან, და ავის ეამისაგან უფრო ადვილიცა არის, და ოთითა, ამაშიგა კაცი იშვით დაზიანდების.

მაგრა რაცა ნიშნები ზემო ავის ეამის კარშიგა სწერია, ისიე ნიშნები ამას ეკირეების. მაგრა ამისი გაცხელება და ან სხვა ავი ნიშნები ავი ეამისა ნიშნებისაგან უფრო ცოტა იქნების და ადვილი. და ამისი წამალიცა ისიე არის, რომე აქავ ზემო ავსა ეამზედა ან წამ-ლები, და ან ტლები, და ან წესი და რიგი დაგვიწერია, ისრეე ამას შეუწყვეით ხელი და მწოვედ კარგად უზამს.

თუ ესე ავი ეამი ბალმისა და სიგრილისაგან იყოს, ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ესე ვარამი და სიმსიენე ორიე თეთრი იყოს, და ამა სნეულსა სიცხე და სიმხურვალე ცოტა ჰქონ-დეს, და ესე ვარამი და სიმსიენე ორიე ცოტა ჰქონდეს და რბილი იყოს.

აწე ამისი წამალი ეს არის, რომე ისეთი წამლები ასვან და აქამონ, რომე ესე ბალლამი დაალბოს და დაამწიფოს და მერმე ასეთი წამლები და შარბათები ასვით და ასეთი ჰაბები აქამეთ, რომე ესე ბალლამი მოხეთქოს და მუცელშიგა გახსნას: და ყუელა დაალურეენოს, და ყოვლისა ავისა ხილთისაგან გაწმიდოს. და ყოვ-ლსა კუირაშიგა ზედა ზედ ორჯერ არწყიონ ასრე რომე, ერთხელ დღეს არწყიონ, და ერთხელ ხვალე, და ხუთსა დღესა მოსვენებით იყოს. და გრილსა და ბალლამიანსა სასმელსა და საკმელსა ერიდონ. და მხურვალე იაჯუნები და მხურვალე საკმლები ჰამონ პილპილითა და სანანებლით ძექნილი მუხუდოს შეკამადი ჰამონ რომე, ამა შე-

კამადშიგა ან კამა და ან ცერეცო გამოეხარშოს და ნიგუზით. შექ-
ნილი იყოს. და თუ შწოვედ დასუსტდეს და ან ძალი მოაკლდეს,
კაი ვარია, ხოხობი, კაკაბი, ღურაჯი, ტრედის ხუნდი და ამათივ
ლაპები ყაურმად ქნან პილპილითა, სანანებლითა და მხურვლის ბა-
ლახებითა შიამკონ და კამონ. ამავე მხურვლის ბალახებითა გატენონ,
შეწონ და კამონ. და ამას ეცადნენ რომე თოხმა არ შეიქნან, ვითამ-
ცა უდროთ ბევრი და უმსგავსო საკმელი არა კამონ, რომე საკმელი
არ გამოჰყუესო. და ცივსა წყალსა ნუ სმენ. და ხანდახან ნახევარ
დირჰამი თრიაქი ფარიყი, და ან თრიაქი არაბა კამონ, რომე გული
10 და სტომაქი დაუღბოს და რბილად დაუქიროს. და ამ რიგი შარ-
ბათები სვას: იისა, ლულუფრისა, ხაშხაშისა, უნაბისა შარბათი სვან,
სანდლისა, უდისა და ტებილის ბროწეულის შარბათი სვან. და ამ-
ბარსა, მუშკსა, ლადანასა და ლალიასა უსუნებდენ, უდსა, სანდალსა,
რეჰანსა და მხურვალსა ბალახებსა უსუნებდენ. და ხშირად ამა ფეხის
საბანლითა ფეხები დაიბანოს: მოიტანე ლერწმის ფოთოლი, დაქერ-
და კარგად მოხარშე და გაანელთბილე, ძერმე მოიტანე დანაყილი-
მარილი, ანაკუთი და წივის ნაცარი, და სამივე ამა ლერწმის წყალ-
შიგა ჩაყარე, და სნეულსა ორივე ფეხები ამა წამალშიგა ჩაუდევით,
და ფეხნი კარგად დაბანეთ, ფეხებზედა ფეხის ქვა წაუსვით, ფეხნი
20 კარგად დაუზილეთ. მერმე მოიტანეთ საგალი, გვირილა, მელის კუ-
და, მოხარშეთ, ტლედ ქენით და გულსა და სტომაქზედა შემოსდევან,
რომე ბაყლი და ბალღამი და საფრა დააღბოს და მოხეთქოს.

თუ ესე ავი ეამი და სიმსივნე სევდისაგან იყოს, ამის ნიშანი
და აღმათი ეს არის, რომე ვარამი და სიმსივნე მოშაოდ ექნების,
და სიმსივნე მაგარი და ტკივილი ძალიანი ექნების. ამისი წამალი
ეს არის, ასეთი რამე სვას და ან კამოს, რომე არწყევინოს, და სევ-
და რწყევეითა პირიდაღმან ამოაღებინოს, და მოჰათილი და შემგრგო
საკმელი კამონ და ამავე რიგი შარბათები სვან. და სევდიანსა სას-
მელსა და საკმელსა ერიდონ. და ნელთბილსა აბანოშიგა ხშირად
30 შევიდენ, და ასეთი ზეთები და ერბოები წაისვან, რომე ვარამი და
სიმსივნე დაუღბოს: შინაურის იის ერბო, ზეთის ხილის ერბო, მარ-
თალი ფურის ერბო, შირლილნის ერბო, და ნიგუზის ზეთი, ქათმისა,
ბატისა და იხვის ქონი, ეს ერბოები და ქონები, რომელიცა იყოს,
გაათბონ და თბილ თბილი შესცხონ, და სრულად ყოვლისა ვარამისა
წამალი ეს არის, რომე ესე შეიტყო, თუ ესე ვარამი რომლის ხილ-
თისაგან არის, და მისი შესაფერი წამლები ასვან და დაადევან, და
მისივე შესაფერი საკმელი აქამონ, და შარბათები ასვან, კარგად
მოუხდების.

**ნუ. ქარი მორგორება ჩვიდმეტი. ხუნაგისა, დართულინა და ძვე-
ლის დაკოდინისა, და ქარდვების წყლულისა მიჯნეობასა და
წამლებასა გიამგობს.**

10 ძარღვის წყლული ბევრი ფერი არის. ზოგი ეს არის, რომე ხმლითა და იარალითა დაიკოდების, ზოგი ის არის, რომე ან ხეზედ ჩამოეხევის და ან ძვალსა და კლდეზედა დაეხევის, რომე კაცი მალ-
ლიდალმან ჩამოვარდეს და ამ რიგი დაკოდელი გაუძნელდეს, ამას
წამალი არ ექნების. და თუ ან რკინით დაკოდელი იყოს, და ან ჩა-
მობეული იყოს, მოიტანე ცოტაოდენი ტალახი და უკურკოს ხურმა-
შიგა აურიონ და ცოტაოდენი ცხურის წვლები და ცხურის ღუმეა,
ესე ოთხივ ერთად დანაყონ და მალამასავითა შექნან, და დაკოდი-
ლი იყოს თუ ჩამობეული, ზედ დაადვან და სამსა დღესა ზედა ზედ
ნახევარი დირჰამი მუშია თბილის წყლითა გალესონ და ასვან, და
თუ მუშია არ იყოს, ამავ რიგად რევანდი ჩინი დაალბონ და თბი-
ლის წყლითა და შექრითა¹ ასვან, და ღვინოსა და რა გინდარამე
მეავე იყოს, ერიდონ და უსათიოდ გამოეღლებინ და ყოვლის ძველი-
სა და ახლის დაკოდელისა და წყლულის წამალი ეს არის, რომე უა-
ლაგოს ალაგიდალმან სისხლი გამოუშვან და ან კოტრში მოჰკიდონ.
20 ულაგო ალაგი ამას ჰქუიან, რომე თუ კაცი მარჯუნით იყოს დაკო-
დელი, სისხლი მარცხნით გამოუშვან, და თუ დაკოდელი მარცხნით
იყოს და მარჯუნით.

და თუ კაცსა დაკოდელიდალმან ბევრი სისხლი სდიოდეს, სი-
სხლის გამოშვება აღარ უნდა და გული და სტომაქი ან შეფებითა
და ან ოყნაი ლეინათა გაიხსნან, და თუ ოყნა არა ქნან, ხიარ შამ-
ბარა, რევანდი ჩინი, ქანისი წვენი ტკბილის ნუშის ზეთითა და შექ-
რითა ასვან და ესე წამლები უსათიოდ გახსნის და გასწმედს.

და სტომაქისა გახსნა ამას ჰქუიან და ესე შარბათები ასვან:
30 ნედლის ვარდის შარბათი, ასლის შარბათი, ვითამცა და ვენახის ლი-
ქის შარბათი, ვაშლის შარბათი, შაჰთარას შარბათი, ძაღლის ყურ-
ძენას წვენი და ჯულაბი გავზაბანის წყლითა და შექრითა სვან.

და საქმლებისაგან: ოსპი, მაში და ბოგროუჯა აქამონ და უცი-
ლო თონლო კუერცხი აქამონ. და თუ კაცი მწოვედ დასუსტდეს და
ძაბუნად იყოს, ოსპსა და მაშშიგა ვარია გამოუბარშონ და ისრე აქა-
მონ და სადამდი ოთხი დღე არ გამოვიდეს, ხორცს ნუ აქმევენ. და
ნურასათვის დაკოდელს კაცსა ღვინოს ნუ ასვამთ. და ახლად რომე

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

კაცი დაიკოდოს და ან ჩამოეხოს, თუ შეეკრვა უჯობდეს და ან უნდოდეს, შეუეკრონ და საცა სტკიოდეს და ან უსივდეს, ან ვარდისა და ან მარსინის ერბო შესცხონ.

აგრევე ზარური ჰარ ერთი წამალი არის, რომე ძველისა და წამხდრის დაკოდლისათვის მწოვედ კარგი არის და ადრე გაამთელეებს. მოიტანე საბრი უსყური და ანზარუთი, ამათგან ორივე სწორ სწორი ქენ და რა ნიეთიცა ესრე საბრი უსყური და არზარუთი იყოს, ამა ორისავე წონა საკმელი ქენ და ესე წამლები სამივე დანაყეთ და მწოვედ წმიდად გაცერით და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ესე წამალი დაკოდისზედა დააყარონ და ლ'თითა უშველის.

10 ისაყ ჰაქიმმან თქუა: ერთსა დაკოდისსა რომე სისხლი არ დასწყედეს, ესე წამალი დააყარონ და დასწყუეტსო. მოიტანე: მური და ყალანდარი და გილი ბაჰმური და ვაცის წვერას ბალახის თესლი, დანა მასტაკი, აყაყია და საკმელი და ამა წამლებისაგან ყუელა სწორ სწორი ქენ, და ეს წამლები ყუელა კარგად¹ დანაყეთ და გაცერით და ერთმანერთშიგა აურივეთ და ვისცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ესე წამალი დაკოდისზედა დააყარონ და ღვთითა უშველის და მაშინვე სისხლსა დასწყუეტს, აგრევე რომელიცა დაკოდისი ახალი არის და ან მართლად გაჭრილი არის, ისი სჯობს და ასრე უნდა, დაკოდისსა ორივე პირი ერთად შეუყარონ და ამას ეცადონ, რომე დაკოდისშიგა ან მიწა და ან ქვა არ ჩაუვარდეს და ხოშკა ბანდი ქნან, ვითამცა იმ ხელად თუ სხვა არა დაგესწრას რა, ანზარუთი დანაყეთ გაცერით და დააყარეთ. ან ამავე რიგი სხვა წამალი დააყარეთ, რომე სისხლი დასწყუეტოს.

20 და თუ ესე დაკოდისი მართლად არ იყოს გაკუეთილი და ირიბად იყოს და კიდევ სხვაგნინცა იყოს გახეული და სამი კილო ჰქონდეს, ასეთი წამლები უნდა დააყარო, რომე ხორცი შეკრას და ერთმანერთსა გამოაბას მოიტანე: უმარილი და მურდანსანგი თვითო დირჰამი, მური და ტყუიის წივა ნახევარ ნახევარი დირჰამი, ეს წამლები ოთხევი დანაყონ გაცრან და ზედ დააყარონ.

30 და თუ დაკოდისი თავზედ იყოს, რომე კაცი ჩამოვარდნილი იყოს, მოიტანე: ზარაფანდი მუდარაჯი და დაჯეჰქე და ღვინომიგა მოხარშეთ და კიდევ გაახმეთ, დანაყონ და გაცრან და დაკოდისზედა დააყარონ და მწოვედ კარგად უზამს.

აგრევე მოიტანე; საბრი და იქი ყარდაშ ყანი ოროლი დირჰამი, ხმელი ცომი, ანზარუთი და საკმლის ხორდა თვითო დირჰამი და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ყუელა დანაყუთ და გაცერით და დაკოდილზედა დააყარეთ და მაშინვე სისხლს დასწყუეტს და დაკოდილს დაუამებს.

კიდევ დაკოდილისა მწოვედ კაი წამალი: მოიტანე ანზარუთი, მკევის ბროწეულის ქერქი და გუნდა ნახევარ ნახევარი ღირჰამი, იქი ყარდაშ ყანი და სარუჯილა თვითო დანგი, და ეს წამლები სრულად დანაყონ და გაცრან და დაკოდილზედა დააყარონ, და დაკოდილსა მწოვედ კარგად უზამს და გაამთელებს ძალითა ღთისათა.

10 მუფრიდათი ვითამცა და წურილი და დაცილილი წამლები, რომე დაკოდილსა ეწამლებიხ. თუ დაკოდილიდალმა კაცსა სისხლი არ დასწყედეს მოიტანე: ყუითელი შაბი, დანაყე და წმიდად გაცერ და დაკოდილზედა მოაყარეთ და მაშინვე სისხლსა დასწყუეტს.

ვინცა მკუდრის კაცის თმა მოსკრას და დაწვას და ძმრით მალამად ქნას და დაკოდილსა დაადვის და ან ისრე დააყაროს მაშინვე ტკივილსა დაუამებს და ფიცხლად გაამთელებს.

ვინცა დაკოდილსა კაცსა მგლის კბილი ან ყელსა და ან მკლავსა შემოაბას, ტკივილსა გაუშეებს, და თუ მგლის კბილი მარტვილსა დაჰკიდონ დევისა და მაცთურისაგან და ყოვლის ღამით მავნისაგან ემინად იყოს და აღარ ეშინოდეს და აღარცარა გარდაეკიდოს.

20 ვინცა ძაღლის ენა და ან კოქი გაახმოს, დანაყოს და გაცრას და დაკოდილზედა დააყაროს, დაკოდილს დაუამებს და ფიცხლად გამთელებს.

აგრევე თუ ან დაკოდილობითა და ან გატეხითა და გახეთქითა კაცსა თავზედა სისხლი არ დასწყედეს, მოიტანე: შედედებული თბილი ძროხის სისხლი და დაკოდილზედა დაადევ და ფიცხლად სისხლსა დასწყუეტს.

კიდევ თუ კაცსა დაკოდილიდალმან ისრის პირი და ან ხე აღარ გამოსტურეს, მოიტანე: ძროხის ნეხვი და ძროხის ქონი და ერთად მოზილეთ და დაკოდილზედა დაადევით და, ისრის პირი არის თუ ხე, მაშინვე გამოილეს.

30 ზარავანდი თავილი ვითამცა და ძიმწარეო დედალი და მამალი იქნების და მამლის ზარავანდის ფოთოლი გრძელ გრძელი იქნების, და დედლის ზარავანდის ფოთოლი მრგვალი არის, ვინცა ესე დედლის ზარავანდის ფოთოლი დანაყოს და დაკოდილზედა დაადვას, ხე იყოს თუ ძვალი¹, მაშინვე გამოილოს, და დამალსა და წამხდარსა დაკოდილსა და ან მუწუქსა რომე ამავე რიგად დაადვა, ბაყლსა

¹ ამ სიტყვის გასწვრივ აზიანე სწერია დედნის ხელით: „თუ ისრის პირი, ორივე“.

და ბალღამსა მოსწმედს და დამპალსა და ავსა ხორცსა მოსკამს, და ახალსა და კარგსა ხორცსა ამოიყუანს.

ვინცა დაკოდინისა და ან გახეულიდალმან სისხლი არ დასწყედეს, მოიტანე მეთუნას ძირი და ან ფოთოლი, დანაყონ და ან ისრე დაადვან და მაშინვე სისხლსა დასწყუეტს. და ერთი დაკოდინი და ან მუწუკი რომე ანასური შექნილიყოს, ვითამცა და გასწყრომოდეს და გასძნელებოდეს, და იმაზედა დაადვა, იმ რიგსა წყლულსა მაშინვე მოაბრუნვებს და გაათავებს.

10 ვინცა გარეულის სტაფილოს ფოთოლი წმიდად დანაყოს და ან მუწუკსა, და ან დაკოდინზედა დაადვას, ტკივილსა უსათუოდ დაუამებს.

ვინცა ბილდური ყარა, რომე სპარსნი ფარი სიაოშანს ეძახიან, ვითამცა და ქალაქური წყაროს სუმბულიო, წმიდად¹ დანაყოს და გაძნელებულსა მუწუკზედა დაიდვას, და ან გაძნელებულსა დაკოდინზედა დაიდვას, მწოვედ კარგად უზამს. და თუ კაცსა ძალი უყოს, კევი აღეკონ. და თუ ტკივილი არ ეშველოს, მერმე ესე კევი დაკოდინზედა დაადევით.

20 ვინცა ვაცის წვერას თესლი დანაყოს და ძველსა მსხმოზედა დაადვას, გაამთელებს. და ამავე ვაცის წვერას ძირი რომე დანაყო და ასეა და ფირტუზედა დაადვა, კაცსა რომე ფირტუი სტკიოდეს. და ან ფირტუზედა მუწუკი და მსხმო ესხას, იმას ყუელას, უშველის, და ფირტუსა გაუმთელებს. და ამავე ვაცის წვერას თესლი რომე წმიდად დანაყო და დაკოდინზედა დაადვა, ხრმლისა და დანით დაკოდინისათვის მწოვედ კარგი არის. და ძარღვი რომე გაკუეთილი იყოს, იმასაცა გაამთელებს და ისრევე გამოაბამს.

30 ვინცა ნარგისის ძირი წმიდად დანაყოს და თაფლითა მოზილოს და გამწყარალსა და დამპალსა მუწუკსა, და ან დაკოდინზედა დაიდვას, ორისათვისვე მწოვედ კარგი არის. და თუ ან უსივს და ან ხიარაკი აბია, ორსავე გააქარვებს. ზარნიხი მხურვალია და ხმელია, ვინცა ესე ზარნიხი დანაყოს და წმიდად გაცრას და წყლულზედა მოაყაროს, კარგად მოუხდების და დაკოდინსა ბაყლსა მოადენს და ცუდსა წალასა გამოიღებს, დაკოდინსა დაანედლებს და ხორც მეტსა მოსკამს, და გამაგრებულსა ხორცსა და სისხლსა მწოვედ კარგად უზამს, და გააკეთებს. და კაცსა რომე მკამელი მუწუკი ესხას მისთვის მწოვედ კარგი არის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვინცა სანაშენო მშენებელი დასოფლის და დაკოდილზედა გა-
დაცისა იმ დაკოდილს აღარ ვაუხსრებს და მართალს იცხადებდა
ანუაჲს.

ვინცა ბაბი კეთილ დანაყოს და ხორც მუტზედა დაიყაროს, მუტი
და იგი ხორცი მოჰქმნოს.

ვინცა აჭვიო, რომე სპარსნი საძრსა უძახიან, დანაყოს და ახალ-
სა დაკოდილზედა მოაყაროს, ვიცხლად და აღრე გაამთელოს. და
კაცსა ან ყლესა და ან ყლორზედა. ან საშოსა და ან უკანას კარზედა
მუწუკი ექმას და იმაზედა დააყარო, ან მოზილო და ზედ დაადეა,
10 იმას უწველს და ნანასა გამოიღებს.

რუჭუჭი აჭიმმან თქუა: თუ კაცსა ისრის პირი და ან ხის
ნატეხი დაკოდილშივა ეღვას და ვერ გამოეღოსო, მოიტანე ლერწ-
მის ძირი და გარეული ხახვი და ერთად დანაყე და დაკოდილზედა
დაადეე და ნეუბედეე, და ხე არის თუ ისრის პირი მაშინვე გამოს-
წოვს და გამოიღებს. უმარული მეორეს წილშივა გრილი და ხმელი
არის, ესე უნარული რომე დაკოდილზედა დააყარო, დაკოდილს და
მუწუკსა, ორსავე წოვედ კარგად უზამს.

ვინცა თიბისა გამომწვარი ნატეხი ძმრით გაღვსოს და დაკო-
დილსა და ან მუწუკზედა შეიცხოს, მწოვედ კარგად უზამს. სუმფერა
20 მხურვალს და ხმელსა, ვინცა ესე სუმფერა დანაყოს და წმიდად გაც-
რას და ძველსა მუწუკსა და ან დაკოდილზედა დააყაროს, თუ და-
კოდილი არის მწოვედ კარგად გაამთელებს და მოაშრობს, და თუ
მუწუკი არის, მანინვე გახეთქს და გამორწყავს.

ვინცა ხორც ნეტი გამოუვიდეს, მოიტანე ჯანგარო და თათლ-
შივა ანოხილე და ხორცმეტზედა დაადეე და შეუხვიე და რაგინ-
დარა დიდი ხორც ნეტი იყოს, მაშინვე ძირით ამოაგდებს და დაკო-
დილსა მოაშრობს.

მაჰმად აჭიმმან თქუა: შაბი იამანი მხურვალს და ხმელი
არის, ვინცა ესე შაბიამანი დანაყოს და ასეთსა დაკოდილზედა დააყა-
30 როს რომე სპარსნი არ დასწყედებოდეს, მაშინვე სისხლს დასწყუდებს და
წყალსა და წყალსა მოაშრობს. და კაცმან რომე დაძრულსა კბილ-
ზედა დაეჭაროს, კბილს დაიმეგრებს. და კბილის სისხლის დენასა
უწველს.

ვინცა ჯიჯილის ტენი ჯამოს და ხელსეხსა და თავზედა შე-
იცხოს, ხელსეხსა და თავის თროთოლისაჲსი მწოვედ კარგი არის.

ვინცა ჯიჯილს ხედი სისისეზლითა, ძარბაღლითა და მხურვალის
ბალახებოთა ვაჭარეო ქმას, და ის ასე იმბარეზითა კაცისის და
შეწონ, და ასე იმბარეზი ჯამოს, ყიდილსეხსა და ყიდილსეხსა ჯამოს,

თავისა და ხელფეხის თრთოლასა, ყუელასა კარგად უზამს. ბერის მამლის ხორცი რომე სანანებლითა, პილპილითა შეკაზმონ და ცერე-
ცო და ან კამაცა ჩაურიონ და ისრე მოხარშონ, და ამა მამლის ყუ-
რებიცა თან ჩაატანონ და ისრე ჰკამონ ფილენჯსა და მუფალიჯსა
და თრთოლასა¹ სამსავე უშველის. მუხუდოს შექამადი რომე სანანებ-
ლითა, პილპილითა და ნიგუზის ზეთითა შექნან და თბილ თბილი
ჰკამონ ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთოლასა სამსავე მწოვედ არგებს.²

ვინცა ხშირად ნიგუზისა და ან ნაქვის ზეთი ჰკამოს და თბილ
თბილი ესე ზეთები დაჰირულს ასოზედაცა შეიცხოს, ფილენჯისა და
10 ფილენჯის ქარისათვის მწოვედ კარგი არის, რომე იმა ფილენჯის
ქარსა ცალი კერძო მხარი და ბარკალი შეეტაცოს, მუფალიჯი იმა
სენსა ჰქუიან, ამისათვის და თრთოლისათვის ყუელასათვას მწოვედ
კარგი არის. ოდოში ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა ორსავე კარ-
გად მოუხდების. ჰალთითი მალიხულის სენსა მწოვედ არგებს. სა-
როს ხილის ჰამა თავისა და ხელფეხის თრთოლისათვის მწოვედ კარ-
გი არის. სუზაბის ერბო რომე კაცმან თბილ თბილი შეიცხოს ფილენ-
ჯასა და თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის. მლაშე წყალი და
გერჩინოს მარილ წყალი რომე გაათბო და ესე კაცი ყელამდისი
შიგ ჩასვა ფილენჯსა, მუფალაჯსა და თრთოლასა სამსავე კარგად
20 უზამს, გოგირდის წყალი ანუ შაბის წყალი რომე ამავე რიგად გაათ-
ბოთ და ყელამდისი შიგ ჩასვან ფილენჯსა, მუფალიჯსა და თრთო-
ლასა სამსავე კარგად უზამს. თათლწყალის სმა ფილენჯსა, მუფალიჯ-
სა და თრთოლასა სამსავე კარგად უზამს, რომე ესე თათლწყალი
მოათბო და სვან.

ვინცა თბილსა გოგირდის წყალშიგა იბანოს ფილენჯსა, ფი-
ლენჯის ქარსა და თრთოლასა სამსავე კარგად უზამს, მეტადრე მაშინ
რომე ამა ფილენჯსა ძარღვებიცა შეეტაცოს. ბევრი ღვინის სმა ხელ-
ფეხისა და თავის თრთოლასა მოგურის და აუძრავს. ყოვლის ძმრია-
ნის ჰამა დაკოდილსა და ძარღვებსა აწყენს. მქავე ვაშლი, მქავე ბია,
30 მქავე ბროწეული დაკოდილსა და ძარღვებსა აწყენს. წყაროს წყა-
ლი ფილენჯის ქარსა და თრთოლასა მწოვედ აწყენს, და რომე შვე-
ლებოდეს კიდევ აუძრავს. თავად სიქანჯუბინი და მერმე ყოვლი
მქავე დაკოდილსა, ფილენჯსა და თრთოლასა აწყენს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „თუ დაკოდილსა უდროოდ პირი შეეკრას მოიტანე წურილი სამყურა და წმიდად დანაყე და დაადეგ და მა-
შინვე პირს მოსკამს და პირს აქნევიანებს“.

**ნ. კარი მორკმოდა თურამებ. ასოსა მოტახისა, გახევისა
და ამოვარდნისა და ანუ ხორკისა მოწყუმებისა, წამლებსა
და თათბირებსა გამცნებს და გიამგოგს.**

აწე თუ კაცსა ერთი ასო მოსტყდეს და ან ამოუვარდეს, და
ან ხორცი გაუწყდეს, ან მალლიდალმან ჩამოვარდეს და ძვალი მოი-
ტეხოს, ან კაცი ძალიანად რასმე შეეძგეროს, და ან კაცმან ჰკრას
რამე და ამა მიზეზებითა ერთი ასო მოსტყდეს, ან თავი გაუტყლთეს
და ან ტყავი ჩიმოვლჯდეს, მისი წამალი ეს არის რომე, თუ ცოტა
10 რამე სტკიოდეს, ან თავზედა და ან ბექსა და ბექს შუა კოტოში
მოჰკიდონ, და თუ დიდი რამე საქმე წაჰკიდებოდეს, რომე დიდი
რამე მოსტყდეს, რომლისადა კერძოთ სტკიოდეს ის მეორე კერძო
მკლავი გაიხსნან და კარგად სისხლი იღისონ. და ესე იცოდეთ, რო-
მე სისხლისა დენა ამ რიგსა საქმეებსა ყველას კარგად უზამს. და თუ
სისხლი ბევრი სდენოდეს სისხლს¹ ნულარ გამოუშვებთ, და სისხლის
გამოშვება აღარ უნდა, ნულარც მკლავს გაუხსნით და ნულარც კო-
ტოშს მოჰკიდებთ. და ასეთი რამე ასეთ და ან აქამეთ, რომე სტო-
მაქი დაიღბოს და მუცელშიგა გახსნა. თავად ოყნაი ლეინა ჯყავით
20 ვითამცდა ცოტა და რბილი ოყნაო. თვარადა ჰბებეი აქამეთ, ან ძა-
ლიანი შათები ააღებინეთ.

და თუ წამლით გახსნა გინდოდეს, მოიტანე ხიარშამბარას გუ-
ლი, წყალშიგა გამოჰყელიტე და ასეი, მაშინვე გახსნის. ან ამავე რი-
გად თემრი ჰინდი, ასეით, ან რევანდი ჩინი წყალშიგა დააღბეთ და
ასეით, და სამივე მაშინვე გახსნის. და თუ ესეები არ დაგესწრას ან
ქანისა, ან ჰერამისა და ან შაჰთარას წვენი შაჰრითა და ნოშის ზე-
თითა ასეით და გახსნის.

ბოლომ უსათუოდ ასეთი საქმე უნდა ქნან, რომე გული და სტო-
მაქი დაიღბოს და გახსნას და სიცხისა და სიმზურვალისაგან გაწმდენ,
და ამ რიგი შარბათები სვან: ახლის ვარდის შარბათი, ლულუფრი-
30 სა და იის შარბათი, შაჰთარას შარბათი, ასლი ჰინდუბა, ვითამცა
ვენახის ლიქის შარბათიო, ვაშლის და ბიის შარბათი, რომელიცა
შარბათი იყოს, გავზაბანისა და ცივის წყლითა გაუღვსონ და ასვან,
შინდის ჯულაბი ამავე გავზაბანის წყლით ასვან და ძალის ყურძე-

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით წერია: „ვისცა ძარღვი შეკრილი
ჰქონდეს მოტანე კიაყელა და წმიდად დანაყე და დაკოდინებუდა დაადეე და
მაშინვე ძარღუს გამოაბამს. ვინცა თბილსა გოგირდის წყალშიგა ჩაჯდეს ყელამ-
დისი ყოვლსა ფილენჯის კარსა, თავისა და ხელფეხის თრთოლასა, მწოვედ კარ-
გად უზამს, მეტადრე მაშინ, რომე ძარღვებიცა შეეტაცოს ამა ფილენჯსა“.

ნასი და ან მრავალძარღვას წყალი შაქრითა ასეან, და საქმლები-საგან ოსპისა და მაშის შეკამადები აკამონ. უცილო თოხლო კვერცხი აკამონ.

და თუ ესე დაკოდლილი და ან ასომოტეხილი კაცი მწოვედ სუსტად იყოს და ან ძალი მოაკლდეს, ან ვარია, ან დედალი, ხობობი, კაკაბი, ღურაჯი და ან ამათიე ლაპები ხარშოდ ქნან და აკამონ, და სანამდისი ოთხი და ხუთი დღე არ გამოვიდეს ხორცსა ნუ აკმევენ და ღვინოსა სრულობით ნუ ასმევენ.

10 და თუ კაცსა ძვალი მოსტყდეს და ან ძვალი ამოუვარდეს და ან იტყინოს ფიცხლავ მეორის მხრისაკენ მკლავი გაუხსნან და ან ბექსა და ბექს შუა კოტოში მოჰკიდონ. და თუ ოყნაი ღვინითა სტომაქსა გაიხსნის და დაილბობს ისი სჯობს. და ერთი და ან ნახევარი ღირჰამი მისრი თუსი მაჯუნი¹ აკამონ, და ორი ღირჰამი რევანდი ჩინი შინდის ჯულაბშიგა დაალბონ და ასეან.

და საქმლებისაგან ქეშქები ვითამცა და ხვარბლის ფლავიო, ოსპის მუკაშარი, მაში და ისპანახი ნუშის ზეთითა აკამონ. და თუ ესე ტკივილი გულსა და სტომაქშიგა იყოს, საია სიქანჯუბინის შარბათი ასეან.

20 კიდევე მოიტანე: ქარვა და ბუსათი თვითო ღირჰამი და ორივე დანაყონ და გაცრან და ესე წამლები ორივე ერთად წყლით გაღესონ და ასეან, და გაფტკენილი ვაშლი ვარდის² წყლით მოხარშონ და აკამონ. კიდევე მოიტანე ოთხმოცდაათი ღირჰამი ყირმიზი ვარდი და ათი ღირჰამი დანა მასტაქი, აყაყია და სუმბული ჰინდი, და მარსინის ფოთოლი. აწე ასრე უნდა ესე წამლები ყუელა სწორი ქნან, დანაყონ და მრავალძარღვას წვენითა ტლედ ქნან და სამოსლის ნაქერითა გულსა და სტომაქზედა გარდაკრან, და თუ ტკივილი ღვიძლსა შემოეჭიდოს, მოიტანე დარიჩინი და ენდრო ათ ათი ღირჰამი, დანაყონ და გაცრან და ამისგან ორი ღირჰამი სიქანჯუბინშიგა გაურიონ და კამონ, ღვიძლის ტკივილს უშველის.

30 კიდევე მოიტანეთ თეთრი სანდალი, წითელი ხმელი ყურძენი და ხმელი ია ხუთ ხუთი ღირჰამი, ქერის ფქვილი სამი ღირჰამი, ზაფრანა ერთი ღირჰამი და ქაჯური ნახევარი ღირჰამი, ესე წამლები ყუელა წმიდად დანაყონ და ვარდის ზეთითა და ვარდის წყლითა ტლედ ქნან და გულსა, ღვიძლსა და სტომაქის თავზედა გარდაკრან, და თუ სიცხე და სიმხურვალე ცოტა ჰქონდეს, მოიტანე ყირმიზი ვარდი და დარიჩინი ხუთ ხუთი ღირჰამი, დანა მასტაქი,

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სუმბული ჰინდი და ლადანა სამივე ოროლი დირჰამი, ასრე უნდა პირველ ლადანა ტუხტის წვენითა გააყენონ და თუ იასამანისა ერბოსაცა ურევენ, მწოვედ სჯობს და კამონ.

მაგრა ძვალის მოტეხისა, ძვალის ამოვარდნისა და ძვალის გახევისა თათბირი და წამალი ეს არის, რომე წყნარად და წყნარად გამოსწიონ და თავისავე ალაგს ჩაუგდონ, და თუ მოტეხილი იყოს, კარგად და მართლად დაუწყოს და გაუმართონ, და რარიგადცა მისი წესი და რიგი იყოს, იმ რიგად შეუხვიონ, და რომელიცა ალაგი მთელი ჰქონდეს, ისი მთელი ალაგი ვარდის ზეთითა კარგად და წყნარად დაუზილონ და დანაყილი და გაცრილი მარსინის ფოთოლი ზედ მოაყარონ, და სამსა დღესა ნულარ გაუხსნიან. და თუ ტკივილი ძარღვებშიგა მოსულიყოს, ნარგისის ზეთითა მტკივანი ალაგები კარგად და წყნარად დაუზილონ და მერმე ბანბაზედა გააკრან და ზედა დაადვან. და თუ ამა ნარგისის ზეთშიგა სუსანის ზეთსაცა გაურევთ ისი სჯობს, ვითამცა და შინაურის იის ზეთით, და მერმე ეს შინაური იის ზეთი ღვინოშიგა გაურიონ და კარგად დაანჯლიონ და ამითა კარგად დაუზილონ.

აწე ამა ღურაბ ოთის ზეთის გამოხდა ასრე უნდა, ღურაბ ოთი კამას ჰქუიან, მოიტანე ოთხმოცი დირჰამი ამ კამის თესლი, დანაყე და გაცერ და მოიტანე შირლიდანის ზეთი ერთი რათალი, ვითამცა და ას ოცდათი დირჰამი და ესე დანაყილი და გაცრილი კამის თესლი ამა შირლიდანისა ზეთშიგა გაურიონ და კარგად ამოჰყლიტონ, და ერთსა ჰქიჰაშიგა. ჩააყენონ და ოცსა დღესა მზესა გაუდგან, რომე ესე ერბო ამა ღურაბოთის თესლსა გაუჯდეს და მერმე კარგად ამოჰყლიტონ და ამოწურონ და ღურაბ ოთის ზეთი იქნების, და ესე ზეთი მხურვალი და ხმელია, ასოვეებისა და ტანის თრთოლისათვის მწოვედ კარგი არის, და ტანიდაღმა ქარსა გააყენებს და ბაღლმიანისა ცივებისათვის მწოვედ კარგი არის. ასრე უნდა ესე ზეთი ცეცხლის პირსა შეიცხონ და არგებს.

მაგრა მოტეხილსა ამრიგი წამალი უნდა უყონ: მოიტანე მულაზი და მაშის მუკაშარი ათ ათი დირჰამი, საბრი, მური, აყაყია და თეთრის ტუხტის თესლი ხუთ ხუთი დირჰამი და გილი არმანი ოცი დირჰამი, ესეები ყუელა დანაყეთ და გაცერით და კუერცხის ცილითა ტლედ გააკეთეთ, და რარიგადცა წესი და რიგი იყოს, იმ რიგად მოტეხილსა ძვალზედა დაადევით და კარგად არტახითა შეუხვიონ და საცა მოტეხილი იყოს იმა ალაგსა ნუ მოუჰკირებენ და მოტეხილსა ზემორ და ქუემორ მოუჰკირონ და სამსა დღე დამესა ნულარ გაუხსნიან.

და თუ მხურვლისა წამლისა და დასადების დადება მოგინდეს, მოიტანე მარზანგევიში და აქლილუ მულუქი ვითამცა და ყუავის ქანგას ბალახიო და ანზარუთი, და სალვის ხის ფოთოლი, ესე წამლები წმიდად დანაყეთ და დაზილეთ და მესამესა დღესა უკანა სრულად ერთად არეული ესე წამლები დაადევან და ისრევე შეუხვიონ. და თუ ესე ტკივილი ბალღმისაგან იყოს, შეუხსნან და ახლა ფომფედ შეუხვიონ. მაგრა მოტეხილი ძვალი წყნარად და წყნარად გამოსწიონ და კარგად გაუმართონ და მერმე ერთის სამოსლითა შეუხვიონ და საცა მოტეხილი ჰქონდეს, იმა მოტეხილსა ალაგსა ძალიანად ნუ მოუჭირებენ. და მოტეხილის ალაგისა ზემორ და ქუემორ უფრო მოუჭირონ, და პირველ ფომფედ სამოსელი შემოახვიონ. მაგრა ასრე უნდა, პირველი სამოსლის წვერი მოტეხილსა ალაგსა დაახვიოთ და მერმე მეორეს სახვევითა მოტეხილს ქუეშეთ დაახვიოთ, და კიდევ მესამე სამოსლის სახვევეი მოიტანო და ამათზედა კარგად და სწორად დაახვიონ, რომე უსწორ მასწოროდ არ იყოს. და მერმე ამაზედა რარიგადაც წესი და რიგი იყოს, იმ რიგად არტახები წააკრან, და მერმე მეორეს მხრისაკენ მკლავი გაუხსნან და შუალის მკლავის ძარღვიდაღმან ზომიერი სისხლი ადინონ. და გასახსნელი წამლები ასე ვან, რომე გახსნას და რაცა შიგნით სიმხურვალე იყოს ყუელასაგან

20 გაწმიდოს. და საკმლებისაგან ვარიის ხარშო ბრინჯითა აქამონ. და ასრე უნდა ესე შეხვეული სამსა დღესა არ შეუხსნან, თუ არ მწოვედ ტკივილმან მოუმატოს. და თუ ამა არტახსა და შეხვეულს გარეთი კაცის ხორცი წითლად ჰქონდეს, შეუხსნან, და თუ შეხვევასა უკანა მწოვედ აქავდეს, მაშინცა შეუხსნან და ზედ თბილი წყალი დაასხენ, რომე ქავილმან გაუშვას. და მერმე იმა სახვევსა სამოსელზედა ვარდ წყალი, ძმარი და ან ვარდის ერბო შესცხონ და რარიგადაც დაგვიწერია ახლა იმავე რიგად შეუხვიონ. და რა ძვალმან გამთელება დაუწყოს, მოსაბმელი საკმლები აქამონ, ძროხისა და ცხურის თავფეხი და ძროხის ფაშეები და წელეები და კუერცხი და

30 ბრინჯის შექამადი და ჰარისა, რომე ესე საკმლები ყუელა მოტეხილსა ძვალსა და მოწყუეტილსა ხორცსა ისრევე გამობამს და უჭირველად გაამთელებს ღთითა.

წურილი წამლები, რომე ამა წამლებითა მოტეხილსა, გახეულსა და ამოვარდნილსა კაცისა ახლსა ეწამლების და გაამრთელებს.

ქესტურა ერთი ბალახი არის, კაცმან რომე ესე ქესტურა დანაყოს და მოტეხილზედა დაადვას, გერჩივნოს მკლავი იყოს, გერჩივნოს ბარკალი იყოს, რარიგადაცა წესი იყოს, ისე შეუხვიონ, სადამდისი ესე ბალახი მოტეხილსა ძვალსა არ გაამთელებს, არასათვის

აღარ ასძურების და ძვალსა ფიცხლავ გამოაბამს და მწოვედ დაც-
დილი არის.

ბასვიაიჯი მწოვედ დაცდილი არის, მწარე არის. ვინცა ესე ბას-
ვიაიჯი დანაყოს და გახეულსა ხელსა და ფეხზედა დაიდვას, გაამთე-
ლებს. მუშია მოჰთადილი და შეზავებული არის, ვინცა ამა მუშიასა-
გან ერთი ყირატი ვითამცადა მუხუდოს წონაო ერბითა გაათბონ
და ასო მოტეხილსა კაცსა ასვას, ასოსა მოტეხისათვის, ასოსა ამო-
ვარდნისათვის და ჩაწყუეტისათვის, და მალლიდალმან ჩამოვარდნი-
სათვის სამისათვისვე მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის.

ვინცა თელის ხის ფესვი წურილად დაქრას და დახიოს და მა-
ნამდი აღულოს, რომე ამისი წვენი წებოსავითა შეიქნას და მოს-
ქელდეს და მერმე ამისი წყალი აიღონ და როდისცა უნდოდეს ამი-
სი წყალი მოტეხილზედა შესცხონ, და ამრიგად სამჯერ შესცხონ
და სამჯერ შეუხვიონ, მოტეხილს მაშინვე გამოაბამს.

აგრევე თუ კაცსა ხორცი ან მოტეხილი, ან მოკვეთილი¹ და
ან მოწყვეტილი ჰქონდეს, მოიტანე ზარავანდი თავილი, ვითამცა და
დედალი ძიმწარეო და ამისგან ერთი ღირჰამი დანაყეთ და წყალი
გამოჰხადეთ და ასვით და მწოვედ კარგი არის. მაგრა ბევრჯულ
ასრე იქნების, რომე ძვალი კი არ ამრუვარდეს და ძარღვი ამოუვარ-
დეს. ამისი ნიშანი ეს არის მწოვედ ტკივილს დაუწყებს, კაცსა ას-
რე ეგონების ასოსა აღმა მაძრობენო და გული ღამებას დაუწყებს.
ამისი წამალი ეს არის ხელი იყოს თუ ფეხი თბილს წყალშიგა ჩაუ-
ყონ და ერბოთა კარგად დაუზილონ და თუ ძარღვი დაჯეჰკილი
ჰქონდეს, იალ ღაეაში დასდვან და შეუხვიონ. და თუ ძარღვი ამო-
ვარდნილი ჰქონდეს, ბურთი უნდა მოუქირონ. ბურთი ამას ჰქუიან,
მომცროს ვაშლის ოდენი ორი ბურთსავითა სამოსელი მაგრად დაა-
ხვიონ და პირველ მტკივანი ალაგი თბილს წყალშიგა ჩაუყონ და
ერბოთა კარგად დაუზილონ, და მერმე ხელით მოუნახონ და საცა
მწოვედ სტკიოდეს ერთი ბურთი იქ დაადვან და ერთი ბურთი მეო-
რეს კერძოთ დაადვან და ზედ მაგრად სამოსელი შემოუქირონ და
ერთსა ღამესა ისრე ამყოფონ და იმავე წამსა ძარღვი მისავე ალაგ-
სა ჩაუვარდების და ეშველების.

**ნთ. კარი მმოკმოცდა ცხკამებე. ცეცხლისა, მდუღრისა და ანუ
სხვის დამწურისა წამლებსა გიამოგახს.**

კაცსა რომე ცეცხლმან და ან მდუღარემან და ან სხვამან ფერ-
მან რამემან დასწვას, ფიცხლავ ცივი წყალი უნდა დაასხან და ზედ

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზეჟოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

მარილი მოაყარონ და კუნთებზედა კოტოში მოჰკიდონ, და უნაბსა, იისა, ლულუფრისა და ან ქლიავის შარბათი ასვან. საკმლებისაგან: უნაბისა, ქლიავისა და მსუქანას ბალახის შექამადი აქამონ და კირის მალამა დასდევან.

მაგრა კირის მალამა ორი რიგი არის, დამწურისათვის ორივე კარგი და მარგე არის და ორისავე შექნა და წესი მალამის კარსა და ჯერგაშიგა სწერია, და ან ნედლის ქინძის წვენი, ან კუერცხის ცილა, კარაქი, შირლიდინის ზეთი, უმარული და ან ქაფური, რომელიც იშოვონ, დამწვარზედა დასცხონ.

10 ზაქარია შვილმან მაჰმად აქიმმან თქუა: რა ცეცხლმან კაცსა ერთი ალაგი დასწვასო, ასრე უნდა ფიცხლავ კუერცხის ცილა და ვარდის ერბო ამოთქუიფონ და დამწვარზედა დაადვანო და მკლავი გაუხსნანო და მას უქან უმარულისა მალამა დაადვანო.

აწე ამა უმარულის მალამის შექნა ასრე უნდა: მოიტანეთ უმარული რომე ტყუისაგან ქნილიყოს, ეს უმარული და მურდასანგი სამსამი ღირჰამი, ძიმწარე ორი ღირჰამი და საბრი ერთი ღირჰამი. ესეები დანაყონ და გაცრან და ყუელა ვარდის ზეთითა მოზილონ და დამწვარზედა დაადვან და უშველის.

20 წურილი და დაცდილი წამლები, რომე ამა წამლებითა დამწვარსა ეწამლებიხ. ვინცა ვირის ქაჩაჩი დაყრილსა და დამუწუკებულსა ტანზედა წაისვას, უშველოს. ან ვინცა ესევე ვირის ქაჩაჩი ქვაზედა ძმრით გალესოს და დამწვარზედა წაისვას, დამწვარი უშველოს. თუ დაყრილსა ტანზედა წაისვას, ტანზედა ყრა უშველოს.

ზაქარია შვილმან მაჰმად აქიმმან თქუა: ქანდრის ხე გრილი და ხმელი არის, ზოგნი აქიმნი იტყუიან გრილი და ნედლი არისო. ამისი ფოთოლი რომე დანაყო და ბალღმიანსა და გრილსა სიმსივნეზედა დაადვა, სიმსივნესა უშველის.

30 ვინცა ამა ქანდრის ქერქი ძმარშიგა მოხარშოს და დამწვარზედა დაიდვას, და ან მარტო ძმარი შეიცხოს დამწვარსა ხორცსა გაამთელებს.

ვინცა გრაკის ხე მოხარშოს და ამისი წვენი პირშიგა იმგვიბოს და ეს მოხარშული გრაკის ფოთოლი ყელზედა შემოიდვას, ყელის სისხლის დენასა უშველის, და დამწვარზედა რომე დაადვა, მისთვისცა მწოვედ კარგი არის.

ვინცა ან ძროხისა და ან ცხურის ტყირპი გაახმოს, ქაფური გაურიოს და გალესოს და მერმე თაფლშიგა გაურიოს და ტანზედა შეიცხოს, ის კაცი მის დღეში ცეცხლმან არ დასწვას.

ვინცა ყირმიზი ვარდი, ტუხტი, შაბი იამანი და ძმარი ოთხივ ერთმანერთშიგა აურიოს, დანაყოს და გამოწუროს, და ტანზედა და ელ ფეხზედა შეიცხოს და ცეცხლშიგა ჩადგეს, ცეცხლმან არ დასწყას.

ვინცა ესევე ყირმიზი ვარდი და შაბი იამანი ორივე დანაყოს და კატის ძუძუს წვენითა გააყენოს და პირველ ხელი ამამიგა ჩაყოს და მერმე მდუღარეს შეჭამადშიგა და ან მდუღარეს წყალშიგა ხელი ჩაყოს, ხელი აღარ დასწყას.

10 ვინცა კატის ძუძუ დანაყოს და დამწვარზედა დაადვას, ან წყალი გამოჰხადოს და ამისი წყალი შესცხოს, დამწვარი უშველოს.

ვინცა მებაუნა ჰამოს ფიცხლავ აბოყინოს და თუ გამწყრალსა და წამხდარსა ან მუწუქსა და ან დაკოდილზედა დაადვას, გააკეთოს და მოაბრუნოს. და ვინცა ამავ მებაუნას ფოთოლი დანაყოს და მარილი აურიოს და დამწვარზედა დაადვას, დამწვარი დაუამოს და უშველოს.

ვინცა სარმაშულისა ან ყუავილი და ან ახალი¹ ფოთოლი და ზეთის ხილის ზეთითა ასურიმოს და დამწვარზედა დაადვას, დამწვარი დაუამოს და გაამთელოს

20 ვინცა თეთრის სუსანის ძირი დანაყოს და ვარდის ერბოთა წამოადულოს და დამწვარზედა დაადვას, უშველოს.

ვინცა ან ტუხტი და ან მალოქის ყუავილი ან ფოთოლი დანაყოს და ზეთის ხილის ზეთშიგა აურიოს და დამწვარზედა დაადვას, მწოვედ კარგად უზამს.

ვინცა ძაღლის ღრინქოლა დანაყოს, გაცრას და თავად ძმართა, თვარადა წყლითა ასურიმოს და დამწვარზედა დაადვას, მწოვედ კარგი არის და წვასა უშველის.

ვინცა გრაკის ხის ნაცარი წყლით გააყენოს და დამწვარზედა დაადვას, მწოვედ კარგად მოუხდების.

30 ვინცა დამბალი ინა დამწვარზედა დაიდვას, გაამთელოს და უშველოს ძალითა ღთისათა.

**გ. კარი მხსაგოცე. როგო ბრახიანი ძაღლი და ან კაბა კაცხა
შეხეოს და ან უკბინოს, იმის ნიშნებხა და წამლებხა
გიაგოცხ.**

ძაღლის სიბრახიანე ერთი სენი არის, რომე მონოხასავითა ვისცა მიიახლების და უკბენს იმასაცა შეექნების და გარდაედების და ესე სენი ძაღლსა, მგელსა, ტურასა, მელსა, კატასა და კატუნსა ყუელა-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სა შეექნების და გაბრაზიანდების. და ამისი მიზეზი ეს არის, რომე ბევრსა აესა და დამპალსა მძოვრსა და საკმელსა სკვამს და ისი ავი საკმელი შხამიან სევდად გარდაექცევის, და ესე სენი და სიბრაზიანე მისგან დაემართების. და ამა გაბრაზიანობის ნიშანი. და აღამათი ეს არის, რომე ძალსა თუალები გაუწითლდების, პირსა დორბლი მოედინების და დორბლი გაიწუდების, და პირსა და ცხვირსა დორბლი და წყალი¹ წაედინების, თავი და პირი მიწის პირად. ექნების, და წელსა ამოისევამს, და ყურები ჩამოეკიდების, და მშიშრეულად იარების და მწოვედ ნალულიანად იქნების, მწოვედ მოშივედების და არასა სკვამს, წყალი მოსწყურდების და წყალსა არა სევამს. და ასრეცა იქნების, რომე წყალი ნახოს, გაექცევის და თუ წყალსა ნახავს შიშითა ათრთოლდების და სიარულშიგა ხშირ ხშირად წაბორაკილდების, ფაც ფაციტთა იარების და სირბილშიგა იქით და აქათ ხედვასა დაიწყებს და სიარულსა და სირბილშიგა რომე ნახოს რამე, შეუტევეს, კაცის კბენა მოუნდების და ყელშიგა მოირჩობის და ვერ დაიყეფებს. ბოლო რა სხვა ძალები ნახვენ, გაექცევიან და რომელიცა ველარ გაექცევის და რა ახლოს მოუდგების, მიეფერების, მოულაქუტებს და კუდსა მოუქნევეს.

და ესე ბრაზიანი ძალლი რომე კაცსა შეეხოს და ან კაცსა უკბინოს, შვიდსა დღესა უკანა მალიხულიასავითა შეიქნების, ასრე რომე მარტოდ ყოფა მოუნდების და სინათლესა დაერიდების, ბნელს სახლშიგა შევარდების, ცუდმადსა ფიქრებსა იქს და რასაცა ნახავს, ისივ ბრაზიანი ძალლი ეგონების და შეშინდების. და ბევრჯულე ასრე იქნების, რომე მიწაშიგა გაგორდების და ასოები შეეშლების და მიჭურიტანა რომე მიუშვირო, თავის სახესა მიჭურიტანაშიგა ვერ გამოიცინობს, და მიჭურიტანაშიგა რომე თავისი თავი დინახოს, ისივ ბრაზიანი ძალლი ეგონების, და შეშინდების, და იქნების რომე ხელსა და ფეხშიგა ძალი მოაკლდეს, იქნების რომე ძალსავითა ყუილსა დაიწყებს და ყელი და ხახა გაუხმების, ვერ დაიყეფებს, კაცის კბენა მოუნდების და ვისცა უკბენს, ისიცა ამასავითა შეიქნების. და სანამდისი წყალსა რიდებასა დაუწყებს, მანამდისი ამისი წამალი აღვილი არის.

და თუ თავისა სახე მიჭურიტანაშიგა ვერ გამოიცინას, მას უკან მისი წამალი აღარ იქნების და უფროსი ერთი ორმოცსა დღემდისინ იქნების.

და როდისცა ძალმან კაცსა უკბინოს და ეს არ იცოდენ, ამა კაცსა ბრაზიანმან ძალმან უკბინა თუ მართალმან ძალმან, მოიტა-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ნე ნიგუზის გული და ძაღლის ნაკბენის ალაგი ამა ნიგუზის გულითა დაუზილეთ და მერმე ესე ნიგოზი ქათამსა მიუყარეთ და თუ ან არა კამა, და ან კამა და ქათამი მოკვდა, იცოდი ბრაზიანის ძაღლის ნაკბენი არის, და თუ კამა და ქათამი არ მოკლა, და მართლის ძაღლის ნაკბენი არის.

კიდევ მეორე ნიშანი ეს არის, რომე იმა ძაღლის ნაკბენზედა რომე სისხლი გამოედინოს, მოიტანე პური და ისი სისხლი მოსწმოდე და ესე პური სხვას ძაღლსა მიუგდე, და თუ მართალმან ძაღლმან ისი სისხლიანი პური არა კამა, იცოდი ბრაზიანსა ძაღლსა უკბენია, და თუ კამა მართლის ძაღლის ნაკბენი არის.

აწე ამისი წამალი ეს არის, სადამდისი ორმოცი დღე არ გათავდეს ეს ძაღლის ნაკბენი ასრე უნდა შეინახონ, რომე არ გამრთელდეს და ფიცხლავ კოტოში მოჰკიდოს, და თუ ეს ნაკბენი გაუმთელდეს და კაცი და აქიმი გვიან მიესწრას, ხახვი და ნიორი, მარილი ძმარი და ოღლან აში, რომე სპარსნი ჯაგშერსა უძახიან, გააყენონ და დაადვან, ყუელა პირს გაუხსნის და ძაღლის ნაკბენსა თუ პირი შეჰკურია, მაშინვე მოშლის, და მერმე მართალი ფურის ერბო შესცხონ, და ნაკბენის გარეშემო კარგად და ხშირად მოუცრან და კოტოში მოჰკიდონ. და თუ ესე ნაკბენი ათსა, თორმეტსა დღესა უკანა გამთელებია, კოტოშის მოკიდება ალარას არგებს. ჯერ ამას უნდა ეცადნენ, რომე ათჯერ, თორმეტჯერ არწყევინონ და სეედისა და ავის ხილთისაგან გაწმიდონ.

კიდევ მწოვედ კაი წამალი და ჰაბები, რომე ამა სენსა ჰკურნებს. და უშველის: მოიტანე ჰალილეი ქაბულის ქერქი და აფთიმონი სამ სამი ღირჰამი, ბასეაიჯი და გილი არმანი თვითო ღირჰამი და ნამაქი ჰინდი ნახევარი ღირჰამი. ეს წამლები ყუელა დანაყონ და გაცრან და ამისგან ჰაბები შექენით და ამა ჰაბებისაგან სამსა დღეშიგა ერთხელ, ოროლი მისხალი ან ჯაგ ავითა და ან ახლის ¹ ყუელის წყლითა გალესონ და უზმოსა უნდა ასვან და სამსა დღეშიგა ერთხელ უსათუოდ თვითო ღირჰამი თრიაქი ფარიყი უნდა კამოს. და თუ თრიაქი ფარიყი არ იყოს, და თრიაქი არაბა კამონ, და სადამდისი კარგად არ გამთელდეს, აბანოშიგა ნუ შევლენ, და ქარსა და სიცივესა უნდა უფთხილდენ, და თუ სისხლი სქარბობდეს, მარჯუენა მკლავი გაუხსნან და კაცსა თვალები აუკრან, რომე თავისი სისხლი ვერ დაინახოს.

და ბრაზიანმან ძაღლმან რომე კაცსა უკბინოს, ასრე უნდა, ის ბრაზიანი ძაღლი მოკლან და ამა ძაღლის ღვიძლი მოხარშონ და ამა ნაკბენსა კაცსა აკამონ და მაშინვე ეშველები.

¹ ეს სიტყვა სტრიგონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ბრაზიანმან ძალღმან რომე კაცსა უკბინოს, თუ სხვა წამალი არ დაგესწრას¹, ბევრი ნიორი უნდა აქამონ და უსათუოდ ეშველების და ამა სენისათვის ესე ნიორი მწოვედ დაცდილი არის.

და ესეცა ვნახეთ, რომე ბრაზიანმან ძალღმან კაცსა უკბინა და ისი კაციც გაბრაზიანდა და ბევრი ნიორი აქამეს და ამავე წამსა ეშველა და მორჩაო.

წურილი წამლები, რომე ამა წამლებითა ბრაზიანის ძალღის ნაკბენსა ეწამლები.

10 ვისცა ბრაზიანმან ძალღმან უკბინოს, ღორის ნავლეი წყლით გაულესონ და ასეან და მაშინვე ეშველების.

ვინცა ნიახურის ძირი შუა გააპოს და ბრაზიანის ძალღის ნაკბენზედა დაადვას და სხვა და სხვა გამოოუცვალოს, ზიანსა და შხამსა გაუგდებს და უშველის.

ვინცა ცხურის ხორცი დაწვას და ბრაზიანი ძალღის ნაკბენზედა დაადვას, სიმწვავე გაუგდოს და კარგად უზამს. და თუ ესეც დამწვარი ცხურის ხორცი ღვინითა გალესონ და ასეან, ეშველოს.

ხმელი თევზი რომე კაცმან ჰამოს, ბრაზიანის ძალღის ნაკბენსა უშველის. ვინცა ხვარბალი დაღეკოს და ბრაზიანის ძალღის ნაკბენზედა დაადვას მწოვედ კარგი არის.

20 ვინცა ცერეცო მოხარშოს და ბრაზიანის ძალღის ნაკბენზედა დაადვას და ამისი წვენი კიდეცა სვას, მწოვედ კარგი არის. ხახვი რომე ამ რიგმან კაცმან ჰამოს და ხახვი შუა გააპო და ნაკბენზედაცა დაადვა, ბრაზიანის ძალღის ნაკბენისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა ესეც ხახვი, ნიორი და მდოგვი სამივე ერთად დანაყოს და თაფლითა ამოსურიმოს და ბრაზიანის ძალღის ნაკბენზედა დაადვას, ტკივილი უშველოს.

ვინცა პიტნა ძალღის ნაკბენზედა დაადვას, მწოვედ არგებს.

ვინცა ყასნი ბრაზიანის ძალღის ნაკბენზედა დაადვას, მწოვედ კარგი არის. ვინცა, ნიგოზი, ლელვი და სადაფის ბალახი სამივე

30 ერთად დანაყოს²

. თუ გველმა ან მორიელმა უკბინოს ადამიანის შარღში ბანბეული ასველეთ და აფარეთ, წამსევე უშველის³ ამა წინამ წამლებმან არ უშველოს და ან მწოვედ გაუძნელდეს, მოიტანე მთა-

¹ წინადადება „თუ სხვა წამალი არ დაგესწრას“ აზიანება გატანილი დედნის ხელით.

² აქ ტექსტს ფურცელი აკლია — ამ თავის ბოლო და შემდგომი „კარი და“-ს დასაწყისი.

³ ეს წინადადება არა დედნის ხელით არის ჩამატებული გვერდის თავში.

ბუის ყუერი და სელის ზეთი, საზაბის. ბალახის წყალი და პრასის წყალი, გარეულის პიტნის წყალი და ძროხის ნავლეი, მარილი, ნიორი, ძმარი და თხის კურკლი, ესე წამლები დანაყეთ და ყუელა ერთგან აურივეთ და მალამად ქენით და გველისა და მორიელის ნაცემზედა დაადევით და უსათუოდ ეშველებს და ესე წამალი მწოვედ ბევრჯელ დაცდილი არის და ყოვლის მძრომლის ნაცემის აქიმი, ხელმწიფე და თერიაყი არის ქეშმარიტად.

10 ვინცა თეთრის ნესვის თესლი და ან გული დანაყოს და ამისი წვენი ასვას და ნაკებენზედაცა დასცხოს, ყოვლის მძრომლისა ნაკებინისა თერიაყი და გამქარეებელი არის.

ვინცა მარილი გაათბოს და გველისა და მორიელის ნაკებენზედა დაადვას და ისი ნაკებენი ცეცხლსა მიუშვიროს რომე გაუთბეს, მწოვედ კარგი არის.

თუ გველმან და ან მორიელმან კაცსა უკბინოს, მოიტანე ერთი მომცრო პირ მოკრილი აყირო და ამა აყიროშიგა ცოტა დაწეწილი ბამბა ჩადეე და ამა ბამბასა სანთლითა ცეცხლი მოუკიდე და ნაკებენზედა დაადევ, კოტოშსავითა მოუქირებს და მოეკიდების, და როდისცა მწოვედ მოეკიდოს, ძალად უნდა მოგლიჯონ და შხამსა უკან უკმაბრუნვებს და გამოიღებს.

20 მაგრა ამ რიგსა კაცსა წყალ პურის მეტი არა საკმელი არა უნდა რა აქამონ და ღთითა უსათუოდ ეშველებინ.

კიდევე აქიმთა ესეცა უთქუამს, თუ კაცმან ორმოცსა დღესა ყოვლსა დილასა უზმომან ხულონი ჰინდი ჰამოსო და მუდმად ბევრი ცივი წყალი სვასო, უსათუოდ უშველოსო.

აგრევე თუ სხვა წამალი არ დაგესწრას, ბევრი ლიმოს წყალი ასვით და ბამბითა ზედ ნაკებენზედაცა დაადევით და ეშველებინ.

30 და თუ კაცსა აემან და აფი გველმან უცეს, თუ მოსაკუეთელსა ალაგსა იყოს, ნაცემსა ალაგსა ზემო და ქუემო ორგანვე ირმის თასმა მოუქირონ, და თუ ირმის თასმა არ იყოს სხვა თასმა მოუქირონ და სადამდისი გუელსა ეცეს და ან დალურჯებოდეს, ისი დალურჯებული ალაგი სამართებლითა ამოსკრან და ამას ეცადნენ, და ამას ეშურნონ და ასრე ფიცხლად უნდა ამოსკრან, რომე ჯერ შხამი ასოსა და ძარლუშიგა არ დაფანტულიყოს.

და თუ ესე გველისა ნაცემი ასეთსა საჩინოსა ადგილსა იყოს ან პირსა ან ყელსა ¹ და ხელსა და ან ფეხსა, რომე არ მოიქირე-

¹ ტექსტში შეცდომით სწერია „ხელსა“.

ბოდეს და ხშირად კოტოში უნდა მოჰკიდონ და კარგად დასერონ და ფიცხლავ ან ერთი ღირჭამი თრიაქი ფარიყი ან თრიაქი არაბა და მისრი თუსი აქამონ, ან გალესონ და ასვან და ზედაცა დასცხონ, და ასრე უნდა ნაკბენზედა მუღმად ნიორი, ხახვი, სადაფის ბალახი და დღვილი დასდვან, და თუ გარეული ხახვი არის, ისი სჯობს.

ფარფიონი და ოლლან აში, რომე სპარსნი ჯავშერსა უძახიან, ყუელასა სჯობს. ბოლო ამათგან რომელიცა იყოს დანაყონ და დაადვენ, რომე კარგად პირი მოსჰამოს და რაცა შხამი და ან ყუითელი წალა იყოს ნაკბენიდან განაწმედეს და გამოვიდეს, და ნაკბენზე-
10 და ხშირად კოტოში მოჰკიდონ და ასრე ამოსწიონ, რომე თუ ითქმის, შიგნითი ხორცი ამოგლიჯონ. მაგრა კოტოშის მომკიდებარი კაცი უზმო და მშიერი არ უნდა იყოს, და პირველ პირი უნდა გამოირეცხოს და პირზედა ვარდის ერბო შეიცხოს და მერმე ისრე კოტოში მოჰკიდონ, თვარემ კოტოშის მომკიდებარს კაცსა კბილებს აწყენს.

და თუ ვითმე ამავე გველს მოჰკულენ და ისივე გველი რომე გამოსწლან და თავისავე ნაკბენზედა დაადვენ, მაშინვე ულხენს და უშველის. და თუ ისი გველი ვერ მოკლან, ან შავი სამამლე ვარიან და ან სამის დღის გოქი გაქყაპურტონ და დაიდვან, მანკსა და შხამსა.
20 ყუელასა გამოსწოვს და გამოიღებს.

ბოლო ასეთი წამლები უნდა დაადვენ, რომე დააბაღმოს და პირი გაუხსნას და რა ნაკბენმან ალაგმან ერთხელ პირი ქნას, ასეთი წამლები უნდა მიაყარონ, რომე ნაცემსა ალაგსა პირი მოსჰამოს და პირი აღარ შეკრას, თვარადა ისი შხამი ფიცხლავ გულსა და სტომაქსა შეეკიდების მაშინვე.

და საკმლებისაგან თაფლი, მსუქანი ხორცი, ნუშისა და ზეთის ერბო, მოხარშული ცერეცო, ტარხუნა, ნიახური და ბევრი ნიორი აქამონ. ვაშლი აქამონ და დანაყილი ზედაცა დასდვან, მწოვედ კარგი არის.

30 ვისცა გველმან, მორიელმან და ან სხეამან მძრომელმან უცეს, აბათულ ხუზრა, ვითამცა და ჩათლავუშო, აქამონ და ზედაცა დასდვან, მწოვედ კაი არის.

ვინცა ნიორი დანაყოს და ზედაცა დაადვას, სიმწვავესა დაუამებს.

და თუ ესევე ნიორი დანაყონ და ღვინითა ასვან, ჯერ ისი სჯობს. ვინცა ტარხუნა და ცერეცო დანაყოს და მძრომელის ნაკბენზედა დაიდვას და კიდეცა კამოს, მწოვედ კარგად უზამს.

ვინცა ისპანდი, ვითამცა და უზანლულიო, ცეცხლზედა დააკ-
მიოს, ერთსა წლამდისი იმა ალაგსა გველი, მორიელი და სხვა მკბე-
ნარი, მძრომელი არ მივიდეს.

ვინცა ერკამლისა და ან ირმის რქისაგან სამი ბეჭედი ან ერქე-
ფჩი შემოიკვას, ან სამივ ამავე რქების მძივი გამოთალოს და თან
იქონიოს, მისთა დღეშიგან კაცსა გველმან, მორიელმან და ან გვირა-
ქმან არ უკბინოს.

ვინცა ირმის ნაკელი გულაბითა გალესოს, მძრომელის ნაკბენ-
ზედა დასცხოს, კარგად უყოს.

10 ვინცა ირმისა და ან ძროხის ნებვი მორიელისა და ან სხვის
მძრომელის ნაკბენზედა დაადვას, უშველოს.

ვინცა ოფოფის ნელელსა უსუნოს, იმა კაცსა საწამლაევი არ
მოეკიდოს, და გველისა და მორიელის ნაცემიცა გააქარვოს,

ვისცა გველმან და ან მორიელმან უცეს, ნიახურის წვენი ასვან
და უშველის. და ვინცა ესევე ნიახური მოხარშოს და ამისი წვენი
ტანზედა შეისევას, არამ მკბენარმან ჭიამან აღარ უკბინოს.

20 ვისცა გველმან და მორიელმან უცეს, ზარავეანდი თავილი და-
ნაყოს და ღვინითა სვას და უშველოს, და რომე დანაყო და ნაკბენ-
ზედა დაადვან, ისიცა მწოვედ კარგი არის, ზარავეანდი თავილი ძიმ-
წარესა ჰქუიან, და ზარავეანდი ორი ღირჰამი უნდა ასვათ, თუ ამისგან
მეტსა ასვამთ, აწყყენს.

შრეშის ბალახის ძირი მხურვალი და მწეავე არის, ვისცა გვე-
ლმან და მორიელმან უცეს, ჰმა შრეშის ძირისაგან სამი ღირჰამი
დანაყოს და ღვინითა ასვან, მწოვედ კარგად უზამს, და ამისი ყუა-
ვილი და ან ფოთოლი რომე დანაყონ და ზედ დაადვან, უშვე-
ლოს.

ვინცა არჯუჯის ფოთოლი ღვინით მოხარშოს და თბილ თბი-
ლი გველის ნაკბენზედა დაადვას, შხამი და ტკივილი, ორივე გაა-
ქარვოს.

30 ვინცა ეგირის ძირი დაჯეკკოს, მოხარშოს და ამისი წვენი
სვას გველისა და მორიელისა ნაცემსა უშველის.

ვინცა სარამაშულის ახალი ფოთოლი და ან ყუავილი დანაყოს
და წყალი გამოჰხადოს და სვას, გველისა და სხვის მძრომლის ნაკ-
ბენი გააქარვოს.

ვინცა დევა დაბანი, რომე სპარსნი ბუხარი მარიამს ეძახიან,
ვითამცა და კოჩი ვარდაო, ვინცა ამისი ძირი დანაყოს, წვენი გამო-
ჰხადოს და ღვინითა [სვას] და ამისი ძირი ნაკბენზედა დაადვას,
გველის ნაცემი კაცი რომე კულდებოდეს, სიკუდილსა მოარჩინოს.

ვინცა თოფალაბი მოხარშოს და ამისი წყალი სვას გველისა და მძრომელის ნაკბენისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა ზირეი ქირმანი ღვინითა სვას, მძრომლის ნაკბენისათვის მწოვედ კარგი არის.

ვინცა თეთრის სუსანის ძირი დანაყოს და ღვინითა სვას კაი წამალი არის. ვინცა ამავე შინაურის იის ფოთოლი დანაყოს და ზეთით ამოკყლიტოს და შეიცხოს, ფუტკარმან არ უცეს.

ვინცა სადაფის ბალახი დანაყოს და გველისა და მორიელის ნაცემზედა დაადვას მწოვედ კარგი არის.

10 მიხაკი მხურვალი და ხმელი არის, ესე მიხაკი რომე კაცმან ღვინოშიგა დაალბოს და სვას, ყოვლის მძრომლის ნაცემისათვის მწოვედ კაი არის. ვინცა გრაკის ფოთოლი დანაყოს და მორიელისა და მძრომელის ნაკბენზედა დაადვას, უშველოს.

ვისცა მორიელმან უცეს, ვაშლის წყალი გამოჰხადოს და სვას, მწოვედ კაი არის.

ვინცა ლელვი ჰამოს და ნაკბენზედაცა დაადვას, მწოვედ კაი არის. და თუ ახალი ლელვი იშოვონ, ამისი რძე ნაკბენზედა დასცხონ ისი სჯობს.

20 ვინცა ჩორაქ ოთი ნაკურცხალზედა დააკმიოს, ყოველი მკბენარი, მძრომელი ამის სულს გაეკეცვის, და თუ ამისგან ერთი ღირჰამი კაცმან ჰამოს, მორიელისა და ან გვირაქის ნაკბენი გააქარვოს. მარწყუი მხურვალი და ხმელი არის, ამ რიგის მძრომლის ნაკბენზედა რომე დანაყილი დაადვან, მწოვედ კარგი არის.

ვინცა ითრიფილი, ვითამცა და წურთილი¹ სამყურაო მოხარშოს და გველის ნაცემზედა დაადვას, შხამი უსათუოდ უშველოს, და ამავე რიგად რომე დაკოდელზედა დაადვან, მრთელსა დაკოდელსა პირს მოსჰამს და ახალსა პირსა აქნევიანებს.

ვინცა დარიჩინი ლელვითა კაცსა აჰამოს, შხამი გააქაროს. ვინცა ზანჯაფილი ფარვარდა ჰამოს, ბევრი ხასიათი აქუს.

30 ვინცა ლერწმის ძირი ან ფოთოლი დანაყოს და მძრომლის ნაკბენზედა დაადვან, მწოვედ კარგი არის.

ვინცა ქასნის წყალი, ქერის ფქუილშიგა ვაურიოს და მძრომლის ნაკბენზედა დაადვან, კარგი არის.

ვინცა გარეული პიტნა დანაყოს და ამისი წვენი სვას, გველისა და მორიელის ნაცემი გააქარვოს.

ვინცა რძე სვას, საწამლაფის ჰამისათვის და გველისა და მორიელის კბენისათვის მწოვედ კარგი არის, მაგრა გველისა და მორი-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ელის ნაცემის კაცისათვის სისხლის გამოშვება, არასათვის არ ვარგა, თვარემ შხამი ყოვლს ასოსა და ძარღუში დაეფანტვის და კაცსა გასტანჯავს. და სისხლის გამოშვების მეტი ღონე აღარ არის, და რა მძრომი არის და ან შხამი აქუს, სრულად ყუელას წამალი ეს არის, რომე აქავ ზემო დაგვიწერია.

და თუ კაცსა აფი გველმან უცეს, მისი წამალი მწოვედ ძნელი არის და ამ რიგის კაცსა შველა ღ თის მეტსა კაცსა არცკი შეუძლია, იცოდით.

- 10 ეს არის რომე ტკივილსა და სიმწვავეს უშველის და გაუქარვებს და სუდასა და წყლულსა უშველის: ისპანახი, სისხლისა და სიმბურვალისაგან რომე კაცსა წელნი სტკიოდეს, ორისათვისევე მწოვედ კარგი არის. ქათნის თესლი, სრულად ყოვლის ვარამისათვის კარგი და გამქარვებელი არის, გერჩივნოს ეს ვარამი სიცხისა და სიმბურვალისაგან იყოს, გერჩივნოს სიცივისა და სიგრილისაგან იყოს. ბოი, ვითამცადა ულბოს თესლიო, ყოვლის ვარამის წამალი არის. ნიახური სუდას გახსნის და კაცსა ტკივილსა დაუამებს. და კაცსა რომე თეძოები სტკიოდეს და ან მიკრისი სკირდეს, ორისათვისევე მწოვედ კარგი არის. აქლემისა, ცხენისა და კატის ხორცი, ქარისა და თეძოების ტკივილისათვის სამივე მწოვედ კარგი არის. ქერის ჯავ ავი თეძოთ
- 20 ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის, მეტადრე მაშინ რომე ესე თეძოთ ტკივილი სისხლისა და სიმბურვალისაგან იყოს. ესე ჯავ ავი პირველ ძველის დაკოდლობისათვის და მერმე თეძოების ტკივილისა, გამორჩეული წამალი არის. ინდოური ნიგუზის გული ძველის წელის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის. ქასნის წყალი მბურვლის ვარამისათვის, მწოვედ კარგი არის. ზაფრანა თეცხლავე სუდას გახსნის. ხოლინჯანი ქარისა, თეძოთა და წელთ ტკივილისათვის, მწოვედ კარგი არის. ცერეცო და ალიონი, ვითამცა და სატაცურიო, ორივე სუდას გახსნის. თალგამი და ნივრის ყუაველი ორივე სუდას გახსნის. სანანებელი და ეგირი თეძოთ ტკივილისათვის ორივე
- 30 მწოვედ კარგი არის. კაპარი და ანდუზი თეძოებისა და სახსრების ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის. ბრინჯი სუდას გააძალიანებს, მეტადრე მაშინ, რომე რძით მოხარშული იყოს. ბადილჯანი სუდასა დაბადებს. რიშთა ხათაი სუდასა შიაქს. წმიდის თქუილის პური სუდას გააძალიანეს. ცივი წყალი და თოვლის წყალი ქარიანსა წელისა და თეძოთ ტკივილს აწყენს. ხმელი ყურძენი და ხურმა, ორივე სუდასა შიაქს. მეავე ბია ძარღვებსა აწყენს. საეათის ხორცი ქარისაგან ასომტკივანსა კაცსა აწყენს. ძმარი ძარღვებსა აწყენს. ვინცა ბევრი ხურმა ქამოს, კბილისა და ბუშტის ტკივილი აუგდოს.

აბ. კარი მესამოცდა ორე. დაულ ფილისა, ვითამცა კაცსა ერთი ფეხი გაუსივდეს. ამისი მიზეზი ის არის, რომე კაცსა ოთხივე ხილთი ერთგან წაუხდების ვითამცა სისხლი, საფრა, ბალღამი და სეედა და ესე წამხდარი ხილთები ოთხივე სეედად გარდაიქვევის და შერმე ყუელა ფეხშიგა ჩამოუა და ფეხი მისგან გაუსივდების. ამისი ნიშანი ეს არის რომე ფერი მოშაოდ ექნების და სიმსივნე როგორაცა ქვა, ისრე შავარი იქნების.

10 აწე ამა სენის წამალი მწოვედ ძნელი არის, ბოლო ამა სენის წამალი ისივ არის რომე, რომლისაცა სენისა და ხილთისაგან სივდეს მისი შესაფერი წამლები მიაყარონ და გასახსნელი და სარწყველი წამლები ასვან და აკამონ, რომე ესე ხილთი ქუმოდალმა დაალურევიონ და რასაც ბევრს არწყევს ამისი კაი წამალი ის არის, და მწოედ უჯობს. და კაი და შემრგო საკმელები უნდა აკამონ, ქათმის ხარშო, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და მსუქნის შიშაკის ხორცი. კაი შარბათები ასვან: შათარას შარბათი, ვარდის შარბათი, ლულუფრის შარბათი, ქერამის შარბათი, უნსულის შარბათი, და სიქანჯუბინის შარბათი ასვან.

20 და ამა ვარამისა სენსა ამ რიგი მხურვალე ერბოები უნდა შესცხონ: გვირილას ზეთი, შინაურის იის ზეთი, მელისკუდას ყუავილის ზეთი, თეთრის ზამბახტის ზეთი, ნიგუზის ზეთი, სადაფის ბალახის და აბზინდას ბალახის ზეთი.

ესე ზეთები გაათბონ და მუდმად შესცხონ და კარგად დაუზილონ. და თუ ამა წამლებითა არ ეშველოს, რაცა ზემორ სისხის კარშიგა სისხის სენები დაგვეწეროს, ისივ წამლები ამას უყავით. და თუ ამა სიმსივნეზედა მუწუკები არ ესხას, ყოველთა დღეთა. ფეხები თბილის მარილ წყლითა დაიბანონ და ღ თითა უსათუოდ ეშველების

აბ. კარი მესამოცდა სამე. ხელხფეხისა და ლაშისა და ბაგის დახეთქისა.

30 აწე ამა სენის მიზეზი ან არის მეტის სიმხურვალისაგან, და ან მეტის სისხისა და სივრლისაგან, ვითამცა და სეედიისაგან. ამისი წამალი ეს არის, რომე ან შირლილინის ზეთისა და ან იისა და ლულუფრის ზეთისა მუმრულანი შექნან და შეიცხონ, და ბიის გულის ლობი, ბარძაყათუნას ლობი და კარაქი შეიცხონ. და მწარისა რისამე შეცხებასა ერიღონ და იფარეზონ. და ჯავ ავი, ლიმოს შარბათი, შაჰთარას შარბათი, და ქლიავის შარბათი სვან.

საკმელებისაგან მსუქანი ქათამი, მსუქანი ვარია, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და ამათივ ლაპები კამონ. მსუქნის ცხურის ხარშოები კამონ რომე ამა ხარშოებშიგა, ქინძი, ისპანახი და ქლიავი გამოე-

ხარშოს. და ხმელსა და სევდისა გაჰაძალიანებელსა საქმლებსა
ერიღონ.

და თუ სისხლი სქარბობდეს, სისხლი გამოუშვან, და მკლავი
გაიხსნან და ან თავზედა და ან ბეკსა და ბეკს შუა კოტოში მოიცი-
ღონ და ზომიერი სისხლი იღინონ. და თუ ან ბალღმისა, ან სევ-
დისა და ან საფრისაგან იყოს, ასრე უნდა პირველ დასალბობი მუ-
ღლაბი და გასახსნელი წამლები სვას, და მას უკან სარწყვეელი წამ-
ლები სვას და სამჯერ არწყვიონ.

10 და თუ კაცსა პირის კილოებიცა დაუსქდეს, იცოდით ღუზლუ
ბალღმისაგან არის, რომე დამალიდაღმან ჩამოსულია. ამისი წამალი-
ცა კიდევ ისივ მკლავის გახსნა, გასახსნელის წამლის სმა და რწყვეა
არის. მერმე მოიტანეთ შაბი, გუნდა და დანაყეთ და ძმრით წამოა-
ღუღონ და პირშიგა იმგვიბონ და ხშირად პირი გამოირეცხონ და
ღთითა უსათიოდ ეშველებს.

ად. კარა სამოცდა ოთხი. მარტვილ-გ გარეთ სიარულისა,
მზისგან წუენისა და დათენთვისა, და გულისა და სტომაქის წვისა,
ნიშნებსა და წამლებსა გაიმბობს.

20 კაცსა რომე სიცხემან აწყინოს და ან მზემან დათენთოს, იმისი
ნიშანი და ალაშათი ეს არის, რომე ელფერი წითელი და ყირმიზი
ჰქონდეს და ძილი არ მოუვიდეს და რა გინდარა ცივი დაადეა, და
ან ცივი ქარი ეცეს გულსა და ხორცშიგა იამოს და ტკივილმან და-
უშვას და ხორცმან მოუსვენოს. და ხორცზედა რომე კაცმან ხელი
დაადეას, ხორცი მწოვედ ცხელი ჰქონდეს და ყოველი ძარღვები
მწოვედ ჩქარად და ძალიანად უცემდეს.

30 უჰანა აქიმმან თქუა: რა კაცზედა ესე ნიშნები ნახოთ,
იცოდით სიცხისაგან ნაწყენი და დათენთული არისო. ამისი წამალი
ის არის რომე, მოიტანე სანდალი და ვარდის წყლითა გალესეთ და
ცოტა ქაფურიცა გაურივეთ და გულსა და სტომაქზედა გარდაკარით.
და გრილი შარბათები ასვით: ლიმოსა, კოწახურისა, ისრიმისა, მკა-
ვის ბროწეულისა, უშხუნისა, იისა, ლულუფრისა, ქლიავისა, ქერა-
მისა და შათარას შარბათი ასვით. და თოხმაქანის თესლი დანაყეთ,
ამისი რძე გამოჰხადეთ და შაქრითა ასვან, საზამთროს წყალი შაქ-
რითა ასვან,

და თუ ამან არ უშველოს, მოიტანე ნახევარი ღირჰამი თიქნის
სადურიტე და გაახმე და ეს სადურიტე თავისავ დედის რძით გაა-
ყენე და უზმოსა ასვით და მაშინვე გამთელდების. და იასა, ლულუ-
ფარსა, ყყაჩოსა, ქინძსა, სალათასა, ვაშლსა, ბიასა, კიტრსა, სან-

დალსა და ქათურსა უსუნებდენ. მარსინისა და ტირიფის ფოთოლ-
ლსა უსუნებდენ, და ამათივე ტლევები შემოსდვან.

საკმლეებისაგან გრილი საკმლები აქამონ: ვარია, კაკაბი, დუ-
რაჯი და ამათივ ლაპები, და ან შავი თიკანი აქამონ, და ესე ხორ-
ციები მოწლოდ დაქრან, ხმელის დოთა, ნარდანგითა, კოწახურითა,
ისრიმითა, თუთუბოთა და ან მოცხარითა აქამონ. მეთუნათა, უშხუ-
ნითა, ხართუთითა და მაყულითა ამა მეთევებისაგან რომელიცა იყოს
ურთონ, ხარშოდ შექნან. ისპანახი, ქინძი და ან ქლიაფი გამოუხარ-
შონ და ისრე აქამონ.

10 ხილებსაგან: მეთვე ბროწეული, მეთვე ვაშლი, მეთვე ბია, კიტ-
რი, საზამთრო, ქლიაფი და ქერამი აქამონ. კოწახური, უშხუნი და
მეთუნა აქამონ. და მხურვლისა საკმლისაგან იფარეზონ და შორს
ექცენ.

და თუ გული და სტომაქი მწოვედ ცხლად ჰქონდეს, ვარდის ერბო-
შიგა ვარდის წყალი გაურიონ და ერთსა მინაშიგა ჩაასხან და კარგად
დაანჯლიონ და მერმე საძოსლის ნაქრითა გულსა და სტომაქზედა
გარდაკრან, მწოვედ კარგად უზამს. აგრევე ლულუფურის ერბოშიგა
ცოტა გულაბი გაურიონ და კარგად დაანჯლიონ და გულსა და სტო-
მაქზედა გარდაკრან და კიდევცა ასვან. და ამას უკანა თაბაშირი ჰინდი
20 დანაყონ, გაცრან, ცივის წყლით მოსქოდ გალესონ და უზმოსა ასვან
და ღთითა უსათუოდ ულხენს.

კიდევ ერთი მარტვილის ავად ყოფა არის, რომე სახელად
უმისიბან ჰქუიან და ესე სენი და ავად ყოფა უსათიოდ საფრისაგან
იქნების და ამისი ნიშანი და ალამათი ეს არის, რომე ღამით, ძილ-
შიგა ხშირად შეხლტების და წამოვარდების და მწოვედ შეწუხდების
და კეუაცა შეეშლების ვითმე და ხორცზედაცა მწოვედ ცხლად იქნების,
ელფერი ყუითელი ექნების, წყალი მოსწყურდების, ძილი არ მოუვა,
გული რევას დაუწყებს, და რასაცა არწყევს საფრასა არწყევს.

ამისი წამალი ეს არის, რომე გასახსნელი წამლები ასვან და
30 აქამონ რომე გახსნას¹ საფრისაგან გაწმიდონ და რაცა აქ ზემორ
სიციხის ნაწყენზედა ან სასმელი, ან საჭმელი და ან ტლევები დაგვე-
წეროს, ისევ ამა საფრის ცხელებასა უყავით.

და თუ ესე ავადმყოფი მწოვედ მარტვილი იყოს, გავზაბანის
წყალშიგა ძირტკბილას ძირი გამოხარშონ და ამაშიგა გაზანგვი
გაურიონ, გაწურონ და ასვან.

და თუ არ ეშველოს, მოიტანე მთახუის ყუერი, წმიდად დანა-
ყით და გაცერით და ნუშის ზეთითა გააყენეთ და ტლედ ქენით და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

თავზედა შემოსდევით და უსათუოდ უშველის. და აქლილუ მულუ-
ქის შარბათი ვითამცა და ყუაუის ჭანგას ბალახის შარბათიო ლიმო-
ზედა დააწურონ და ისრე ასეან, მწოვედ კარგად უზამს და უსათი-
ოდ ულხენს.

10 კიდევე მწოვედ კაი ტლე არის: მოიტანე თეთრი და ყირმიზი
სანდლები სამსამი ღირჰამი, თოხმაქანისა და კიტრის თესლები, ყა-
ყაჩო და თრიაქი ოროლი ღირჰამი, ლულუფრის ყუავილი ხუთი
ღირჰამი და ლუჰთა ერთი ღირჰამი. ეს წამლები სრულად დანაყუთ-
და წმიდად გაცრან, და ან სალათას წყლითა და ან ტირიფის ფო-
თლის წვენითა ტლედ ჭნან და გულსა და სტომაქზედა გარდაკრან,
მწოვედ კარგად უზამს და მაშინვე გულს უკუჰყრის.

კიდევე სხვა ტლე, რომე გულის წვასა გააქარვებს და მწოვედ-
დაცლილი არის, მაგრა ასრე უნდა ესე ტლე ორჯერ სამჯერ სხვა-
და სხვა გამოუცვალონ. მოიტინე ყირმიზის ვარდის ფოთოლი და-
ლულუფარი ოც ოცი ღირჰამი. ხაშხაშის თესლი და ძირტკბილის-
ძირი თხუთმეტ თხუთმეტი ღირჰამი, ასრე უნდა ესე ოთხივე წმიდად-
დანაყუნ და სალათას და ან ტირიფის ფოთლის წყლითა ტლედ
ჰქნან. და თუ იყოს, იის ზეთიცა ურიონ და სამოსლის ნაჭერითა-
გულსა და სტომაქზედა გარდაკრან და მწოვედ კარგად უზამს.

აგრევე თუ იმა წინამან ტლეებმან არ არგოს, ესე შემოსდვან
და მწოვედ კაი და დაცლილი ტლე არის. და სრულად აქიმთა ასრე-
დაუდებია სიმხურვალისათვას ამისთანა ტლე და წამალი არ არისო,
რომე ვარდის ზეთი თოვლითა მწოვედ გააციონ და მერმე სამოსლის
ნაჭრითა გულსა და სტომაქზედა გარდაკრან, მაშინვე სიცხესა და სი-
მხურვალესა, გულისა და ღვიძლის წვასა გაუგდებს, მწოვედ დაცლილია.
წურილი და დაცლილი წამლები რომე ამითა სიცხისა ნაწყენ-
სა წამალი ექნების.

30 კაცსა რომე სიცხემან აწყინოს და გული და სტომაქი ეწოდეს,
მოიტანე ნესვის თესლი ან საზამთროს თესლი, ან აყიროს თესლი-
და ან კიტრის თესლი, დანაყე და ცოტა წყალი დაასხი და გამოწუ-
რე, და ცოტა შაქარი გაურივეთ და დილეულ უზმოსა ასვით და მა-
შინვე. სიცხესა და სიმხურვალესა, გულისა და სტომაქის წვასა გა-
უგდებს.

და თუ ესე თესლები ოთხივე ერთად არის, იგი სჯობს. ვინცა-
ბიის გული ცოტა დაჯეჰკოს და ვარდის წყალშიგა დაალბოს და-
მერმე გამოწუროს და ცოტა შაქარი ჩაურიოს და უზმომან სვას,
გულისა და სტომაქის წვა გაუშვას და სიცხე და სიმხურვალე გაუგ-
დოს და ყელი და ხახა დაუღბოს.

ვინცა ბარძაყათუნა ვარდის წყალშიგა დაალბოს და ცოტა შაქარი გაურიოს და დილეულ უზმომან სევას, გულისა და სტომაქის წვა გაუგდოს, სიცხე და სიმხურვალე დაჰკარგოს, ყელი და ხახა და პირისა სიხმე სამივე დაუღბოს. და თუ ვარდის წყალი არ იშოვებოდეს, ბიის გულიცა და ეს ბარძაყათუნაცა მართლის წყლითა დაალბონ და სვან.

10 ვინცა გავზაბანისა წყალი გამოჰხადოს და ან შაქრითა და ან უშაქროდ სევას, სიცხე და სიმხურვალე, გულისა და სტომაქის წვა, ოთხივე გაუგდოს, და ყოვლის მხურვლის ხენის წამალი და აქიმი არის, მეტადრე მაშინ, რომე კაცი ან სისხლზედა იარებოდეს და ან სისხლს ატანდეს. და თუ ამა გავზაბანის წყალშიგა გავარიში შაჰრიარონსაცა გაურევთ და ისრე ასვამთ გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა, სამსავ არგებს, და მოუგრილებს და კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის. ვისცა გულსა, სტომაქსა და მუცელშიგა სიცხე და სიმხურვალე ჰქონდეს, მოიტანე ასეთი ხახვი, რომე მწოვედ მიწაშიგა არ მოსულიყოს და მიწას ზედათ იყოს და მზე ენახოს და ისი ხახვი მოხარშონ და ჰამონ, და ამავე ხახვის ტლე გულსა და სტომაქზედა გარდაიკრან და მაშინვე სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და გულს უკუჰყრის.

20 ვინცა თოხმაქნის თესლი ვარდის წყალშიგა დაალბოს, ცოტა შაქარი გაურიოს და დილეულ უზმომან ამისი რძე სევას, ყოვლის სიმხურვალის წამალი და აქიმი არის და გულის წვასაცა უშველის, რომე კიდევცა სევას და ამისი ტლეცა შემოიდვას,

ვინცა ქასნი ვითამცა და ვარდის კაქაქიო, დანაყოს და ამისი წყალი გამოჰხადოს და ცოტა შაქარი გაურიოს და დილეულ უზმომან სევას, ყოვლის სიმხურვალისა, და ყოვლის სიმსიენის წამალი არის.

30 ვინცა საზამთროს წვენშიგა შაქარი ჩაურიოს და უზმომან სევას, მაშინვე შარღზედა გახსნის, სიმხურვალესა და გულის წვასა უშველის, და ყოვლის მხურვლის სენისა და მეტადრე სნებისა, წამალი და აქიმი არის.

ვინცა საზამთრო, კიტრი, შუმხიარი, ქლიავი, ატამი და მეთვე ვაშლი ჰამოს სიცხისა და სემხურვალისათვის მწოვედ კარგი არის, სიმხურვალესა მაშინვე გაუგდებს და ღვიძლსა არგებს და გულის წვასა უშველის.

თუთუბო, მოცხარი, მაყუალი, ხართუთა, უშხუნი და მეთუნა ყუელა კრილი და ხმელია, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა ყუელა არგებს და ძალსა მისცემს, და მწოვედ კარგად მოუხდების, კაცსა მუცელშიგა შეჰკარავს, საფრას გააჰარეებს და სიმხურვალესა გაუგ-

დებს. თემრი ჰინდი გრილი და ნედლია. ყოვლის მხურვლის სენის აქიმი და წამალი არის, კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის და გულის წვასა უშველის, და რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუ უგდებს.

კოწახური გრილია და ხმელია, ვინცა ესე კოწახური დაჯეკოს და ვარდის წყალი შიასხას და ჰამოს, რაცა კაცის ტანსა და ასოშიგა საფრა არის, ყუელას გააგდებს და გააქარებებს და მუცელშიგა შეჰკრავს და ღვიძლსა მწოვედ არგებს. და რაცა კაცსა წელშიგა ტკივილი აქუს, ყუელასა გაუგდებს.

10 კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს იმას მოჰკუეთს და უშველის, კაცსა რომე წელშიგა მუწუკები ესხას, იმას უშველის, კაცსა სტომაქსა გაუხსნის და საკმელსა მოანდომებს, სისხლსა, სიმხურვალესა და საფრასა დაავსებს და დააწყნარებს. კაცსა წყურვილს მოუკლავს და რწყევას უკუუგდებს.

20 კაცმან რომე ესე კოწახური წყალშიგა დააღბოს ერთსა ღამესა და სვას, ყოვლსა მხურვალსა სენსა არგებს, სნებასა, ცხელებასა ღვიძლსა და მხურვალსა ხაფაყანსა და ყოვლის მხურვლის ვარამისა და იარაყნებისა წამალი და აქიმი არის, თავისა და საფეთქლების ტკივილსა მაშინვე უშველის, ღვიძლისა და თირკმლის ტკივილსა უშველის.

30 ქერი გრილია და ნედლია, ვინცა ამისი ჯაე ავი სვას, გულისა და სტომაქისა სიცხისა და წვისათვის მწოვედ კარგი არის, ყოვლის მხურვლის სენის წამალი და აქიმი არის, ამისთვის რომე კაცსა შიგნით მწოვედ მოუგრილებს და აღრე მოჰქარდების და სრულად ასოვებსა გააცხელებს და წყალსა ასმევს. გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა მწოვედ მოუგრილებს, სიცხესა და სიმხურვალესა დაავსებს, წყურვილსა მოუკლავს, სნებისა ცხელებისა და იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის. და რაცა კაცსა წელწულშიგა სენი და მუწუკი არის, ყუელასა უშველის. და სტომაქისა სისხმესა დააღბობს და მაშინვე კაცსა გარ გაიყვანს. და დამწურის ხილთებისა სიმხურვალესა დაავსებს და გააცუდებს, და დაქირულსა შარდსა გზასა გაუხსნის.

ბერსა და სტომაქგრილსა კაცსა აწყენს. და თუ კაცსა ასვან, ასრე უნდა, ამაშიგა ნიახურის წვენი გამოუხარშონ და ისრე აქამონ და ასვან, და თუ აწყინოს შაქარი აქამონ და უშველის.

[ღმ] კარი სამოცდა ხუთი. სიცივისაგან წყენისა და ხელფეხის შეციფებისა და ძრობისა. აწე კაცსა რომე შიგნით სიცივე შეუვიდეს, იმის წამლებსა გიამბობს. ესე სიცივის სენი ამრიგი სენი არის რომე, ყოვლიან კაცის ასო და ძარღვი სისხლისა და სიმხურვალისა-

გან ცოცხალა და რა ესე სიცივე კაცსა მოერევის და კაცისა ასოსა და ხორციშია დამკუიდრებულსა სისხლსა და სიმხურვალესა მოჰკლავს და ალაგიდალმან გააყენებს, და მისსა ალაგსა ესე სიცივე დაიჭირავს და სისხლს გაჰყინავს. და ძარღვები ქართა აევსების. და გულსა და სტომაქსა გაუცივებს და შესტაცებს, და მერმე ამა მიზეზითა კაცი ავად გახდების და ამა კაცსა თუ გული და სტომაქი მწოვედ არ შესტაცა, და ან მწოვედ არ გაუყინა, უსათიოდ ეს სენი მეტის სიგრილისა და სიცივისაგან ვარამად გარდაექცივის.

10 აწე ამისი წამალი ეს არის, რომე თუ სიმსივნე ჰქონდეს, ვარამი თბილსა ალაგსა შექონონ მხურვლის ზეთებითა, ზეთის ხილის ზეთითა, თეთრისა და ლურჯის ზამბახტის ზეთითა, ან ნიგუზისა, ან გვირილასა და ან მელისკუდას ყუავილის ზეთითა, ან ნაქვისა და ან წიფლის ზეთითა, ანმ ართლის ერბოთა და ან ღუმის ქონითა, ან შირლილანის ზეთითა შექონონ, და თუ ძველი ერბო არის, ისი სჯობს, ასრე უნდა ამა ერბოებისა და ზეთებისაგან რომელიცა მოისწრათ ესე ერბოები გაათბეთ და თბილ თბილისა ამა ერბოებითა და ზეთებითა თბილსა ალაგსა შეჰქონოთ და ასოვები და სიმსივნე კარგად დაუზილოთ.

20 და თუ ესე სიცივე და ვარამი ან ხელსა, ან ფეხსა ან ასოვებშია ჰქონდეს და უსივდეს, ასრე უნდა, მოიტანო აქლილუ მულუქვითამცადა ყუავის ქანგას ბალახიო, ბაბუნჯი ვითამცადა გვირილაო, ბუი მადარონ ვითამცა და მელის კუდას ყუავილიო, აბზინდას ბალახი—ყუითელი იავშანი, ცერეცო, კამა, კომბოსტო, თალგამი, სტაფილოს ფოჩი, მარზანგვიში—საგალია, ალიონი—სატაკურიია, ვირის ყუერა, ანაკუეთი, ხვარბლის ბზე, ბოი ვითამცა და ულბო, და ყუელას მჯობი და ამა სენისათვის გამორჩეული წამალი, კანაფის თესლი და ან ფოთოლი და მხურვალი ბალახები, რომელიც იყოს მოხარშონ და თბილსა ამა ბალახების წვენშია ხელი და ფეხი ჩაუყონ, და ხელი და ფეხი და მსივანი ალაგი მწოვედ კარგად დაუზილონ, და მანამდი ხელი იყოს თუ ფეხი ამა წამლებშია უნდა ეღვას, რომე ესე თბილი წამლები გაცივდეს, მერმე ამოილონ, გაიწმიდონ და კარგად გაიშრონ და ცეცხლის პირსა თბილისა იმა მხურვლის ზეთებითა და ერბოებითა ხელი და ფეხი კარგად დაიზილონ, რომე აქავ მხურვალი ზეთები და ერბოები დაგვიწერია.

30 და თუ ესე ასოები გაუშავდეს ალაგსა და უალაგოსა ალაგსა დაუსერონ და აუტრან და კიდევ იმავე წამლებშია ჩაუყონ, და რა ამა წამლებიდალმან ამოილონ გაიშრონ, და გილი არმანის ტლე შემოსდვან და მერმე გამთბარის ღვინითა და ან ძმრით დაბანონ. ბოლომ

10 ორჯერ, სამჯერ ამ რიგად უნდა უყონ, რომე დაგვიწერია, და მერ-
მე თუ არ ეშველოს და ანდა ზადი დარჩეს, მოიტანეთ კარხლისა
ფოთოლი და ან თალგმის ფოთოლი, მოხარშონ და ხელი და ფეხი
შიგ ჩაუყონ და კარგად დაუზილონ და რა იქიდალმან გამოილონ, იმავე
მხურვლის ზეთებითა და ერბოებითა შექონონ და ძალითა ლ'თისა-
თა უსათიოდ უშველის. და თუ ესე სიცივე ტვინშიგა შესლოდეს და
ან თავი გასცივებოდეს, მოიტანე მთახუის ყუერი და ჩორაქოთის
თესლი, დანაყეთ და წმიდად გაცერით და ორივე ერთგან აურიონ და
ხამის თაფლითა ტლელ ქნან და პირველ თავი მოჰპარსონ და მერმე
სრულად თავზედა ესე ტლე შემოსდვან და ერთსა დამესა ისრე იყონ,
და მეორეს დილასა თბილის წყლითა დაბანონ და უსათიოდ ეშვე-
ლების ძალითა ლ'თისათა.

20 წურილი და ცდილი წამლები, რომე ამითა შეცივებულსა კაც-
სა ეწამლები. ვისცა ხელებსა და ან ფეხებსა შესცივნოდეს და ან
ხელი და ან ფეხი დასძროდეს, მოიტანე თალგამი და წურილად და-
ქერ და მოხარშე და ამისის ნახარშშიგა ხელი და ფეხი ჩაუყავით, და
მერმე ესე მოხარშული თალგამი ინასავითა ხელსა და ფეხზედა და-
ადევით და უშველის.

20 ვინცა დილეულ უზმომან ორი დირჰამი ქინძი კამოს, სიცივე
და სიგრილე გაუგდოს. ვინცა აქლემის სისხლი ხელსა და ფეხზედა
შეიცხოს ზაფხულის ხელი და ფეხი აღარ აუყროლდეს და ზამთრის
აღარ შესცივდეს.

ვინცა მღოგვი წმიდად დანაყოს და თაფლშიგა ამოსურიმოს და
ისი ასო რომე სიცივესა დაუზიანებია, იმა ასოზედა დაიდვას, ეშველოს.

**მ. კარი მხსნამოცდა მკუსე. პოყნაბიხსა და ზაფხვის
თათბირებხსა ვიანგოგხს.**

30 აწე პოყნა ხუთი, ექუსი რიგი არის, და ამა ოყნასა პოყნაი
ლეინა ჰქუიან ვითამცა და ცოტა და რბილი პოყნაო. რომე
კაცი სიმხურვალემან მუცელშიგა შეკრას და გარ ველარ გავიდეს, ამა
ოყნაებისაგან ერთ ერთი ოყნა უნდა უყონ, რომე კაცსა გული და
სტომაქი დაუღბოს და ბაყლისა, ბალღმისა და ყოვლისა ავისა და
დამწურის ხილთისაგან გაწმიდოს და ყუელა უქირველად დაალურე-
ვინოს. მოიტანე კარხლის ფოთოლი ასოცი დირჰამი, ეს ფოთოლი
მოწლოდ დაქრან წყლით მოხარშონ და გამოჰყლიტონ, გაწურონ და
ქაფი მოჰხადონ და ათსა დირჰამსა ხიარ შამბარსა გულზედა და-
აწურონ და ოცი დირჰამი შაქარი დაურიონ და ექუსი დირჰამი ნუ-
შის ზეთი, და ნახევარი დირჰამი ნამაქი ჰინდიცა ჩაურიონ და კარგად

10

გვათბეთ და ერთსა პატატასა ტიკქორაშიგა ჩაასხით და ამა ტიკქორასა პირთანა ერთი ასეთი მასრა დაუმწყუდიონ, რომე ამა მასრის სისხო ნეკის სისხო იყოს და სიგრძე ხუთის თითის დადება იყოს. მერმე ესე წამლები გაწურეთ და ამა ტიკქორაშიგა ჩაასხით და კაცი სასთაულზედა პირ დალმა გირდააწვინეთ და ესე მასრა უკანას კარიდალმან შეუყონ და ესე წამლები წყნარად და წყნარად უკანას კარიდალმან ჩაასხან და თავად ორსა, თუ არადა ერთსა ეამსა უკანას კარი მაგრად დაუჭირეთ და მუცელი და სტომაქი კარგად ამოუზილეთ, მერმე დააკუკეთ და კაცსა მუცელშიგა გახსნის უსათოდ; და რაცა შიგნით კაცისა გვამსა და სტომაქშიგა ან ბაყლი, ან ბალღამი, და ავი ქარი და ხილთი არის ყუელას დაალბობს, მოხეთქს და დაალურევინებს და ყუელასაგან გასწმედს, გულსა და სტომაქსა დაულობს და ტვინსა და დამალსა დაანედლებს და აქაბუკებს, და ავის ქარისაგან დასწმედს.

და თუ კაცი ღვიძლისაგან იყოს ავად და ან შეკუროთ, ხიარ შამბარას გული კი არ უნდა უყოთ და ამა ხიარშამბარას შავიერად ხუთი დირჰამი რევანდი ჩინი უნდა უყონ და ისრე ჩაასხან და ოყნაი ლეინა იქნების.

20

კიდევ სხვა უფრო ცოტა და ადვილი ჰოყნა: მოიტანე მსუქანი ქათამი და წყლით მოხარშე და კარგად დაადნე და მერმე გარდმოიღე და ერთი ჯამი წვენი ამ ქათმის წვენისაგან და მერმე მოიტანე ოცი დირჰამი იის შარბათი, ან ოცი დირჰამი წითელი შაქარი და ათი დირჰამი ხიარ შამბარას გული, და ათი დირჰამი თაბლი ჰინდი, და ერთი დირჰამი ოქრომქედლის ბორა, დანაყე და ყუელა ერთმანერთშიგა აურივეთ, და ყუელა ამა ქათმის წვენითა გააყენეთ და კარგად გაათბეთ და რარიგადცა აქავ ზემო პირველსა ოყნის კარშიგა ოყნის წესი და რიგი დაგვეწეროს, იმავე რიგად ესე წამლები ჩაასხით, და რაცა შიგნით ან ბაყლი, ან ბალღამი, და ან ქარი და ხილთი არის, ყუელასა დაალბობს და დაალურევინებს, და გულსა და

80

სტომაქსა დაახალასებს.

ჰოყნაი მუთავასითა რომე კაცი გახსნას, ვითამცა საშუალი ოყნაო, რომე კაცსა გვამსა და სტომაქსა დაულობს, და სიციხითა და სიმხურვალითა რომე კაცი მუცელშიგა შეკუროთა იყოს, იმა ხილთებსა დაალბობს, მოხეთქს და ყუელასა¹ დაალურევინებს, და ამ რიგი გახსნა ტვინსა და დამალსა კარგად მოუხდების, გულსა და გვამსა, სტომაქსა და წელწულსა ყუელასა გასწმედს და კარგად მოუხდების. მოიტანე სინაი მაქი, ვითამცა და ფუთ

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ფუთას ხის ფოთოლი, გამზნარი ია, წმიდად დანიყილი ბასეა-
იჯი და ქარხლის ფოთოლი ხუთხუთი ღირჰამი, კიდევე მოი-
ტანე ტუხტის თესლი და ტუხტის ძირის ტყავი და მალოქის თესლი
ოთხ ოთხი ღირჰამი და სიფისტანი ოცდაათი მარცვალი, ესე წამ-
ლები ყუელა ერთად მოხარშეთ და გაწურეთ და თორმეტი ღირჰამი
ხიარ შამზარას გული გაურივეთ, და თუ ხიარ შამზარას გული არ
იყოს, ამის მაგიერად ოცი ღირჰამი გაზანგვი ჩაურიონ, და ოცდა ხუთ-
სა ღირჰამსა შაქარზედა დააწურონ, და შვიდი ღირჰამი იის ზეთი,
ან ამდენივ ნუშის ზეთი და ან შვიდი ღირჰამი შირლიღინის ზეთი,
10 როჰელიცა იყოს ჩაურთონ და ეს წამლები სრულად ერთად მოადუ-
ღონ და ნახევარი ღირჰამი ოქრომქედლის ბორა და ან ნახევარი
ღირჰამი ნამაქი ჰინდი დანაჟონ და გაურიონ. და თუ ესე არც ერთი
არ იშოვებოდეს, ნახევარი ღირჰამი მარილის თვალი ჩაურიონ და
კარგად ამოჰყლიტონ და გაწურონ, და პირველ გავზაბანის შარბათი
ასეან და მერმე რარიგადაც წესი იყოს და ან ზემო ოყნის კარშიგა
დაგვეწეროს, იმ რიგად ოყნა უყონ და¹ ესე წამლები ჩაასხან და ოყ-
ნა იქნების.

კიდევე სხვა ოყნა მუთაეასითა, რომე კაცსა მუცელშიგა გახს-
ნის, ვითამცადა საშუალი ოყნაო, რომე კაცი სიცხემან და სიმხურ-
20 ვალემან მუცელშიგა შეკრას, ან ღვიძლ ნაწყენობამან შეკრას, რომე
ვერამ ფერმან წამალმან და შაფებმან ვერ გახსნას, ამრიგსა აღამიან-
სა უსათუოდ ოყნა უნდა უყონ. მოიტანე ია, ვარდი, ლეღვი, წითე-
ლი ყურძნის ჩამიჩი, ქერამი, ქარხლის ფოთოლი, ბასეაიჯი, მალოქის
ბალახის თესლი, თაბლი ჰინდი, რევანდი ჩინი, და ესე წამლები ყუე-
ლა ხუთხუთი ღირჰამი ქენ და თხუთმეტი ღირჰამი ხიარ შამზარას
გული ქენ, და შვიდი ღირჰამი ან ნუშის ზეთი, ან იის ზეთი და ან
შირლიღინის ზეთი ჩაურივეთ და ნახევარი ღირჰამი ან ოქრომქედ-
ლის ბორა და ან ნამაქი ჰინდი ჩაურივეთ, და თუ ნამაქი ჰინდი არ
იყოს, მარილის თვალი ჩაურივეთ, წყალი დაასხით და კარგად მოა-
30 დულეთ და კარგად ამოჰყლიტეთ და თბილ თბილისა ამა წამლები-
თა რარიგადაცა ზემო ოყნის წესი და რიგი დაგვეწეროს, იმ რი-
გად ოყნა უყავით და უსათუოდ გახსნის და რაცა შიგნით კაცსა
გუამსა და სტომაქშიგა ბაყლი, საფრა და ან ავი ჰილთი და ქარი
აქუს ყუელასაგან გასწმედს და დაახალასებს, გულსა და სტომაქსა
დაუღობს, ტვინსა და დამალსა დაანდლებს და აქაბუკებს, და რა-
ცა კაცისა ტანშიგა ქარი არის ყუელასა დაჰკარგავს, მაგრა თუ ეს

¹ ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სამი ღირჰამი და პირველ კრკო და გუნდა დანაყონ და ეს სხვები წამლები ორის რათალისა წყლით მოადულონ, რომე ორას სამოცი ღირჰამი წყალი იყოს და მანამდისი ადულონ, რომე ნახევარი ჩაიშროს და ნახევარი დარჩეს, და მერმე მოიტანე აყაყია და ვაცის წვერას ძირი თვითო ღირჰამი, გილი არმანი და მოხალული სამყი არაბი ოროლი ღირჰამი, დანაყეთ და ესე წამლები სრულად იმა მოდულებულსა წყალსა და წამლებშიგა ჩაურთეთ და თბილ თბილის ამა წამლებითა რარიგადცა ზემო ოყნის წესი და რიგი დაგვეწეროს, ორსა დღესა ამ რიგად ზედი ზედ ოყნა უყავით, და მაშინვე კაცსა 10 შეჰკრავს და სისხლსაცა დასწყუეტს და უშველის ძალითა ღთისათა.

ჰოყნა, რომე კაცსა წელს ქუეით ქარი სჰირდეს და ასოგებო და სახსრებიცა სტკიოდეს და კაცსა სიცივე მორეოდეს, და ამას უშველის. მოიტანე უშალი, რომე სპარსნი დანაი ჩადირსა უძახიან, და მუყლი აზრაცი და საქმინაჯი, კამა და გვირილას ყუავილი ხუთ ხუთი ღირჰამი, ნანხაჰ, და ცერეცოსა და ნიძხურისა და სისალიუს, ვითამცა და დიყის თესლიო, ოროლი ღირჰამი, ჯავშერი, რომე თურქნი ოლღან აშსა უძახიან, და მთახუის ყუერი თვითო ღირჰამი და ბოი ვითამცა და ულბო, შვიდი ღირჰამი, ასრე უნდა სრულად ესე წამლები ერთსა კოკობშიგა ჩაყარონ და ამაზედა შირლიდინის ზეთი, ფურის ერბო და თაფლი, ამათგანცა ათ ათი ღირჰამი გაურიონ, მოადულონ, გაწურონ და რარიგადცა წესი იყოს, ისრე ოყნა უყონ.

შაფი, რომე მუცელშიგა შეკრული კაცი გახსნას: მოიტანე წითელი შაქარი, ზღვის მარილი, თაგვის კურკლი, ხმელი ია და თურბითი, ეს წამლები ყუელა დანაყეთ, და ყუელა ერთგან აურიონ და ცეცხლზედა მოათბონ და ხურმის კურკის ოდენ ოდენი შაფები შექნან, და თუ ესე კაცი სიმხურვალისაგან იყოს შეკრული, შაქარი ყავამზედა მოიყუანონ და ამა შაფსა შესცხონ, და ესე შაფი იის ზეთითა და შარბათითა შიაცხიმიანონ, და ცოტა მარილი შიაყარონ და უკანას კარიდაღმან ააღებინონ, რომე უსათუოდ კაცსა გახსნის და ულხენს.

და თუ ესე მუცელშიგა შეკრული კაცი სიგრილისა და ქარისაგან იყოს შეკრული, ესე შაფი ან შირლიდინის ზეთითა ან საპოვნითა და ან ძროხის ნაღულითა შიაცხიმიანონ და ისრე ააღებინონ, რომე კაცსა მაშინვე გული და სტომაქი დაუღბონ და ადრე გახსნას და სიცხისა და სიმხურვალისაგან გაწმიდოს და კაცმან მოისვენოს.

შაფი, რომე კაცი მწოვედ მუცელშიგა გახსნით იყოს და ამა შაფებმან შეკრას: მოიტანე აყაყია და სამყი არაბი, თრიაქი და გუნ-

და, კანაფის თესლი, საკმელი, ხმელი ვარდი და ნახევარზედა მონა-
ლული ბრინჯი. ასრე ამათგან ყუელა სწორ სწორი ქნან და სრულად
ს წამლები წმიდად დანაყონ და გაცრან და ან ახლის მარსინის წვე-
ნითა, და ან ახლის ქინძის წვენითა სქლად მოზილონ და ამისგან
ნეკის სისხო შაფები შექნან და ჩრდილშიგა გაახმონ და როდისცა
უნდოდეს და ან კაცსა ეჭირებოდეს, ერთი შაფი უკანას კარიდალმან
აალებინონ და მაშინვე შეჭკრავს და მწოვედ კარგად უზამს და გულ-
სა¹ და ასოვებს ყუელას მოუსვენებს და კაცი სარჯელისა და ტკი-
ვილისაგან მორჩების ღ'თითა.

10 შაფი რომე კაცი სისხლზედა იარებოდეს ან უკანასა კარსა აზი-
დებდეს და გასტეხდეს, ესე შაფი იმას სამსავე უშველის, მოიტანე
მუყლი აზრაცი, თრიაქი, საკმელი, აყაყია, ზაფრანა და ჯავშერი,
რომე ოლღან აშსა უძახიან, ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ,
დანაყეთ და გაცერით და კუერცხის ცილითა სქლად მოზილონ და
ამისგან ნეკის სისხო შაფები შექნან, და ამა შაფებსა შუაზედა პატ-
რუქი დაუმწყუდიონ და უკანას კარიდალმან აალებინონ და, როდის-
ცა გამოღება უნდოდეს, ამა პატრუქსა გამოსწიონ და გამოილიონ და
ძალითა ღ'თისათა უსათუოდ სისხლსა დასწყუეტს.

20 კიდევ სხვა შაფი, რომე გულისა და სტომაქის ტკივილსა უშ-
ველის და კაცი რომე კოლინჯმან და ან უჩუხმან მუცელშიგა შეკ-
რას და მისი ქარი და ალაფი და სიმბურვალე გულსა და სტომაქსა
შემოეჭიდოს, იმას ყუელასა უშველის, გულსა და სტომაქსა დაულ-
ბობს და მუცელშიგა გახსნის: მოიტანე თრიაქი და მთახუის ყუერი,
მური და ზაფრანა, და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქნან, და-
ნაყონ და გაცრან და სიჭანჯუბინის შარბათითა ნეკის სისხო შაფე-
ბი შექნან და პირველსა ღამესა აალებინონ და გათენებამდისინ შიგ
უნდა იყოს და ტკივილსა და შეკრულობასა ორსავ უშველის და კა-
ცი მორჩების და დახალასდების, გულის ტკივილისაგან, და ემინად
იქნების.

30 კიდევ მომცრო და ადვილი შაფი, რომე კაცი სიმბურვალემან
მუცელშიგა შეკრას და ესე შაფი აილოს და მაშინვე გახსნას, მოი-
ტანე სინაი მაქი, ვითამცა ფუთ ფუთას ხის ფოთოლიო, თაგვის კურ-
კლი და მაჰმულა, რომე სპარსნი საყმუნინას უძახიან, ესე სამივ წმიდად²
დანაყონ და გაცრან და თათლითა მაგრად მოზილონ და მერვე

¹ სწერია „გვილსა“

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელთი.

ერთი პირი წამოადლულეთ და ამისგან შატები შექენით და უკანას კარიდალმან აალებინეთ, მაშინვე გახსნის და სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს.

აზ. ქარი მხსამოცდა ფიდიე. მავუნებისა და ფულუნიაებისა ხასიათსა ვიამგოგს.

10 თრიაქი ფარიყის ხასიათი ეს არის, კაცსა რომე მკუალი სკირდეს და ამა თრიაქი ფარიყისაგან ნახევარი ღირჰამი ან ვარდის წყლითა გაუღესო და ისრე ასვა, ან ისრე აქამო, მკუალსა უსათუოდ უშველის, მოწამლულსა კაცსა რომე ამავე რიგად ასვა და ან აქამო, საწამლავს გააქარვებს და ოფლად გამოიღებს. აგრევე რაგინდარა სენი კაცსა ან ბალღმისაგან და ან სეედისა და სიგრილისაგან სკირდეს და ესე თრიაქი ფარიყი ამავე რიგად ან აქამოს და ან ასვას, ამრიგსა სენებსა ყუელასა უშველის.

კაცსა რომე ბალღმისა და ან სეედისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს და ამავე რიგად ვარდის წყლითა გაღესოს და სეას და ზედაცა შეიცხოს, თავისა და საფეთქლის ტკივილსა ორსავე უშველის.

20 კაცსა რომე გული და სტომაქი სტკიოდეს, და ბალღმისა და სიგრილისაგან გული უფეთქდეს და უძგერდეს, და ან თანგ ნათასისა და ხათაყანისა სენი სკირდეს და ამავე რიგად ან ასვა და ან აქამო, ყუელასა უშველის, ფილენჯსა და ფილენჯის ქარსა, მონობასა, მიკრისსა და ბნელასა ამას ყუელას კარგად უზამს და უშველის. სისხიანსა კაცსა რომე ამავე რიგად ან ასვა და ან აქამო და მსიენსა ალაგსა ზედაცა დასცხო, მაშინვე სიმსიენეს გააქარვებს და სისხას უშველის.

30 კაცი რომე ხუელასა სისხლსა ატანდეს, და კაცსა ხმა ჩაუვარდეს, იმას ორსავე უშველის. კაცი რომე უჩუბმან და ან თიაქარმან მუცელშიგა შეკრას და მისი ალაგი და ქარი გულსა და სტომაქსა შემოეჭილოს და ამავე რიგად ან ასვან და ან აქამონ, მაშინვე კაცსა მუცელშიგა გახსნის, და გერჩიენოს შარღზელა შეკრას და გერჩიენოს მუცელშიგა შეკრას, ორისათვისვე მწოვედ კარგი არის და ორსავე გზასა გაუხსნის, და თუ მწოვედ გახსნილი არის, შეჰკრავს, და თუ მწოვედ შეკრული არის და გახსნის. და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს და ამავე რიგად კამოს, უსათუოდ სისხლსა მოსწუეტს და უშველის¹.

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალავე „ლგ“ სწერია, შემდგომი გვერდის ზემო აშიაზე „ლდ“

კაცსა რომე შირიმი სჭირდეს და ამავე რიგად აქამო, შირიმის ქვასა დაღეწს და გამოჰყრის. და დედაკაცსა რომე დედათ წესი შეგერას და ამავე რიგად ან ასვან და ან აქამონ, მაშინვე დედათ წესსა ჩამოუშლის. და ორსულსა დედაკაცსა რომე მუცელშიგა შვილი მოუკუდეს და ველარ დაეხსნას და ნახევარი ღირჰამი ესე თრიაქი ფარიყი გაუღესონ და ასვან, მაშინვე მარტვილი დაეარდების.

10 ბრაზიანმან ძალღმან რომე კაცსა უკბინოს და გუელმან და ან მორიელმან უცეს და ამავე რიგად ან ასვან და ან აქამონ და ნაკბენ-ზედაცა დასცხოვნ, სამისავე ნაკბენსა უშველის და გააქარეებს, და ყოელის გრილის სენის აქიმი და წამალი არის. აწე ესე თრიაქი ფარიყი რასაც ძველი და დიდის ხნისა არის, ისი სჯობს. და თუ კაცი ამა თრიაქი ფარიყსა ბარსა ალაგსა შეინახავს, თხუთმეტსა წლამდისი ძალსა და ხასიათსა იმატებს, და თუ მთასა ალაგსა შეინახავთ, ძალსა და ხასიათსა ოცდაათ წლამდისინ იმატებს და ორმოცსა წლამდისინ ამავე ძალსა და ხასიათზედა დადგების, და არცა ძალსა და არცა ხასიათსა აღარ იკლებს. და რა ორმოცი წელიწადი გამოვა, ესეცა სხვებსა მაჯუნსავეითა შეიქნების.

10 აწე აქიმი და მეცნიერთა კაცთა ესე თრიაქი ფარიყი ადამის ტომისათვის დაუმსგავსებია, რომე მარტვილი ოცდათსა წლამდისი მატებაშიგა იყოს და ყოელსა წელიწადსა ძალი და ძლიერება ემატოს, და ოცდათსა წელიწადსა უკანა ორმოცსა წლამდი იმავე კაცობაზედა დადგეს, და ორმოცსა წელიწადსა უკანა სიბერე დასძლევეს და ძალი მოაკლდების, ამავე რიგად ამა თრიაქი ფარიყის საქმე არის, ვაი უხანო სოფელო!

30 თრიაქი არაბას ხასიათი ეს არის, რომე ორსა წლამდისი ძალი და ხასიათი აქუს, კაცი რომე მუცელშიგა უჩუხმან და თიაქარმან შეჰკრას, და ან რა გინდარა სხვა ქარი აუეარდეს და თრიაქი არაბასაგან ერთი ღირჰამი ვარდის წყლითა გაუღესოთ და ასეათ, მაშინვე მოცელშიგა გახსნის, და თიაქარსა და კოლინჯსა ორსავე უშველის. კაცსა რომე გველმან და მორიელმან უცეს, და ან ბრაზიანმან ძალღმან უკბინოს და ა² თრიაქი არაბასაგან ერთი ღირჰამი ვარდის წყლითა გაუღესო და ასეა და ნაკბენზედაცა დასცხოთ, უსათუოდ უშველის.

კაცსა რომე ილანჯუქი შეექნას, ვითამცა და ავის ეამის ნიშანი გამოუვიდეს და წითლად, წითელსა მკედსავეითა კაცის ასოსა გრძლად შემოეხვევის, იმა სენსა, რომე ამავე რიგად გაღესო და დასცხო, იმა ილანჯუქსა უშველის.

კაცი რომე მუცელშიგა შეეჯირით იყოს და ერთი ღირჰამი რომე ამავე რიგად გაულესოთ და ასვათ, უსათუოდ ვახსნის, და კაცი რომე მწოვედ ვახსნით იყოს, და შეჰკრავს. მაგრა შესაკრავად ხმელად უნდა აჰამონ.

კაცსა რომე ან მჰვალე სჰირდეს ან სახსრები და ასოები სტკიოდეს, და ან ქარსა ძარღვები შეეტაცოს და სტკიოდეს და ამავე რიგად აჰამონ, ამას ყუელასა უშველის.

10 კაცსა რომე შირიმი სჰირდეს და ამავე რიგად ასვათ, შირიმის ქვასა დალეწს და გამოჰყრის. კაცსა რომე შარდი დახუთვილი ჰქონდეს, შარდსა ვხასა გაუხსნის. დედაკაცსა რომე დედათ წესი შეეკრას, იმას უშველის და ჩამოშლის. მაგრა ორსულმან დედაკაცმან რომე ჰამოს, მაშინვე შვილს მოსწყუეტს.

კაცსა რომე გული და სტომაჰი გაუცივდეს და საჰმელს ვერ იჰარებდეს, და ამა თრიაჰი არაბასაგან ერთი ღირჰამი აჰამო, ფიცხლავ სტომაჰსა გაუთობს და საჰმელსა დაადნობს.

ცხენსა რომე უჩუხი შეეყაროს და ამა თრიაჰი არაბასაგან ორი ღირჰამი ღვინითა გაულესონ და ასვან, უჩუხსა მაშინვე უშველის. მაგრა ასრე უნდა ესე თრიაჰი არაბა ნახევარი ღირჰამიდალმან ერთსა ღირამამდისი სვან, და თუ ამისგან მეტსა სმენ, უსათუოდ აწყენს.

20 აწე ამა თრიაჰი არაბას შექნა ასრე უნდა: მოიტანე დაფნის ხას ხილი, ჯუნდიანა და ზარავანდი თავილი, ვითამცა და ძიმწარე და მურ საფი, ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ და ყუელა კარგად დანაყე, გაცერ და ერთმანერთშიგა აურივეთ და რა ნივთიცა სრულად ეს წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონა კაი თაფლი მოადუღეთ და ქაფი მოჰხადეთ და როდისცა მოსჰელდეს და ყავამზედა მოვიდეს, ესე წამლები სრულად შიგ ჩაყარეთ და კარგად ამოზილეთ და თრიაჰი არაბა იქნების, გარდმოიღე, შეინახე და ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩადგი, ძალსა და ხასიათსა მოიმატებს, და როდისცა გინდოდეს და ან ვისცა ეკირებოდეს, ერთი ღირჰამი ჰამოს.

30 მაჯუნნი აღრახის ხასიათი ეს არის რომე, მოწამლულსა კაცსა რომე ამა მაჯუნნი აღრახისაგან ერთი ღირჰამი ვარდის წყლითა გაულესო და ასვა, მოწამლვასა უშველის და საწამლავსა ოფლად გამოიღებს.

კაცსა რომე შირიმი სჰირდეს და ამა მაჯუნნი აღრახისაგან ერთი ღირჰამი გაულესო და ასვა, შირიმის ქვასა დალეწს და უშველის, და ყოვლის გრილის და ქარიანის სენისათვის კაი არის.

კაცსა რომე შარდი შეხუთვილი ჰქონდეს, და ამავე რიგად ერთი ღირჰამი ვარდის წყლითა გაულესოთ და ასვათ, მაშინვე შარდის ვხასა გაუხსნის, და შარდსა აქნევიანებს და ხაფაყანსა არგებს.

მაჯუნის სიაზარი თუის ხასიათი ეს არის, რომე კაცი სიცივისაგან ავად იყოს, ან სიცივე შიგნით შესლოდეს, და სიგრილე მორეოდეს, ან კაცსა სტომაქი წაჰბლომოდეს და გასცივებოდეს და ამა თუისი მისრისაგან ერთი ღირჰამი შიაჰამო, რაცა სიცივისაგან სენი სჰირს იმას ყუელასა უშველის და გააკეთებს, და გულსა და სტომაქსა გაუხურებს.

10 კაცსა რომე მჰვალი სჰირდეს და ან თათარ ყურთი შეეჰნას ან ყელი და ხახა სტკიოდეს, და ამა მაჯუნისაგან. ერთი ღირჰამი აჰამო, ამა სენებსა ყუელასა უშველის. ტყირპისა და თირკმლის ტკივილსა ორსავე უშველის.

კაცი რომე კოლინჯმან და თიაჰარმან შეკრას და მისი ქარი და ალავი გულსა და ღვიძლსა შემოეჰიდოს და ესე მაჯუნი აჰამო, მაშინვე უშველის, კაცსა გახსნის და სტომაქის ქარსა და სიცივესა გაუგდებს. არეულსა, სჰელსა და წამხდარსა ხილთებსა გუჰმისა, ტანისა და სტომაქიდან უჰირველად გააგდებს. რა გინდარა ძველი სენი და ავად ყოფა რომე კაცსა სიგრილისაგან სჰირდეს, იმას ყუელას უშველის.

20 კაცსა რომე თვალთა უბნელდებოდეს და ან დავაზა სჰირდეს, ვითამცა თავს ბრუ ესხმოდეს, ამასა ორსავე უშველის.

კაცსა რომე ნისიანი სჰირდეს, ვითამცა და გულ მავიწყი იყოს და ვერას დაიხსოვნიდეს, ან ლაპარაკსა რომე უბნობდეს და ლაპარაკი დაავიწყდეს, იმას ყუელასა უშველის, ზიყ ნაფასსა უშველის, მრავალჯერ დაცდილი არის, ტყირპისა და ღვიძლის სუდასა გახსნის, გულისა და მკერდის ტკივილსა უშველის.

კაცსა რომე ავად ყოფაშიგა სლოკინი აუვარდეს, იმას უშველის და უკუუგდებს, ტანიდან ყოვლსა ქარსა გაუგდებს.

30 კაცსა რომე სისხა ღვიძლის სისუსტისაგან სჰირდეს, იმას უშველის. რაბუასა, თავისა, კეფისა, საფეთქლებისა და ასოვების¹ ტკივილსა და სისუსტესა, ყუელასა უშველის.

პირველ რომე კაცსა მონობა შეეყაროს და ან გაგიედეს, მაშინ ქამოს, იმას გააჰარეებს, დამწვარსა და დამპალსა სეედასა, ბალამსა და სისხლსა ტანიდან გააჰარეებს, ასოვებსა და სახსრებშიგა აღარ დააყენებს.

ფილენჯმან რომე თვალი და პირი გაუმრუდოს, ან ფეხი და ხელი შესტაცოს, თავისა და ხელფეხის თრთოლასა, ასოვების ტკივილსა და სისუსტესა, ამას ყუელასა კარგად უზამს და არგებს.

¹ ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით. . .

პირველსა გაზაფხულზედა რომე შირიმინასა კაცსა აქამო, შირიმის ქუასა დაღეწს და გამოჰყრის, დაქირულსა შარდსა გახსნის და ახალსა ხუნაყსაცა უშველის.

აწე ესე მაჯუნნი სი აზარი თუსი აქიმმან გამოილო და ასრე თქუა, კაცისა ტანსა და ასოშიგა შვიდი ძალიანი სენი არისო: თავის ტკივილი, თვალის ტკივილი, ზიყ ნაფასი, გულის, ლეიძლისა, ტყირპისა, სტომაქისა, ასოვებისა და თირკმლის ტკივილიო და უთესლობა, ესე ერთი მაჯუნნი ამა სენებისა ყუელასი წამალი არისო.

10 აწე ამა მაჯუნნის შექნა ასრე უნდა: მოიტანე საბრი უსყური თხუთმეტი ღირჰამი, ღარიყონი ოცი ღირჰამი, სალიხა, ასარუნნი, მაჰმუდა, რომე სპარსნი საყმუნისა ეძახიან, ექუს ექუსი ღირჰამი, ზაფრანა, ღარიჩინი, ეგირი, დანამასტაქი, ფარფიონი, ¹ თეთრი და შავი ფილ ფილი, დარი ფილფილი, მური, ჯუნდინა, ჰამამი ჩინი და ასხირის ყუავილი, ვითამცადა თოფალახის ყუავილიო, და ბალასინის ზეთი. ამა წამლებისაგან ყუელასაგან ოთხ ოთხი ღირჰამი ქენ და სუძბული და ბოი ოთხ ოთხი ღირჰამი ქენ და სრულად ესე წამლები ცალკე ცალკე დანაყონ და გაცრან, და რა ნიეთიცა წონითა სრულად ეს წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონა ხამი თაფლი მოიტანეთ, მოადუღეთ, ქაფი მოჰხადეთ, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, სრულად ესე წამლები თაფლშიგა ჩაყარონ, კარგად ამოზილონ და ერთსა კოლოფშიგა ჩაასხან, თავად ექუსსა თვესა, თვარამდა ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩადგან, რაცა ძალი და ხასიათი აქუს ათსა და ოცსა იმდენსა ძალსა და ხასიათს მოიმატებს, დავისცა უნდოდეს. და ან ექირებოდეს ამა მაჯუნნისაგან ოთხი ღირჰამი ან მათბუხი აფთიმონითა და ან ღარიყუნითა ჰამონ, და რაცა ზემორ სენები დაგვიწერია, ძალითა ღთისათა ყუელასა უშველის, და ამა მაჯუნნისა ძალი და ხასიათი ორმოცსა წლამდისი არის.

20 ფ უ ლ უ ნ ი ა გრილი და ხმელი არის, კაცმან რომე ერთის მუხუდოს ოდენი ამა ფულუნისაგან ჰამოს, კაცსა მწოვედ მოეკიდების და მწოვედ გაამხიარულებს, ლეიძლის სუდასა გახსნის, და კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, და თუ შარდი სწვეთს, იმას შეჰკრავს და მოსწყუეტს. და კაცი რომე მუცელშიგა მწოვედ გახსნით იყოს და სისხლზედა იარებოდეს, ასრე უნდა, ამა ფულუნისაგან ერთის მუხუდოს ოდენი შიაჰამონ და ამაზედა ხუთი ღირჰამი ენისუნი წყლითა და

¹ ამ ფურცლის გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „პირველსა გაზაფხულზედა რომე ამა მაჯუნნისაგან ერთის მუხუდოს ოდენი კაცმან შაჰთარას წყლითა ვალესოს შუბლსა, ცხვირსა და საფეთქლებზედა და ცხვირშიგაცა ჩააწურონ, ამა თავის თრთოლასა, თვალისა და პირის გამრუდებასა, ამას ყუელასა უშველის“.

შაქრითა მოადულონ და თბილ თბილი ამა ფულუნიაზედა დალიონ, კიდევცა შეჰკრავს და სისხლსაცა მოსწყუეტს.

და კაცსა რომე სიცივასაგან თავი სტკიოდეს და საფეთქლები, მისთვის მწოვედ კაი არის, და სარა სენისათვის მწოვედ გამორჩეული წამალი არის, ვითამცა და კაცსა რომე ტვინსა ქარი შემოეკიდოს და კაცი გაგიჟდეს, ესე ფულუნია მისთვის მწოვედ კარგი არის, რომე კიდევცა აქამო და გაღესული ზედაცა დასცხო, და ყოვლის მხურვლის სუნის წამალი არის. აწე ამა ფულუნისა მაჯუნი ეს არის და შექნაცა ასრე უნდა: მოიტანე ბაზრუ ბანჯი, ვითამცა და ლენ-
30 ცოფაო, ბიხი ჩინი და ოქროსა და ვერცხლის ვარაყი ათ ათი ღირ-
ჰამი, ზაფრანა თორმეტი ღირჰამი, ჯუნდიანაი რუმი, მუყაშარი, ამი-
ლა, ინდოურის ნიგუზის გული, ნიახურისა და ენისუნის თესლი შვიდ
შვიდი ღირჰამი, თვითან აჟიონი, დარიჩინი, სანანებელი, დარი ფილ-
ფილი, მიხაქი, დანა მასტაქი, ნუში და ფისტას გული, შაქარი ¹ და
შაქრის მყინვარი, ყუელასაგან ხუთ ხუთი ღირჰამი, სადიჯი ჰინდი,
ჯალლოზა, დაყა და მური ოთხ ოთხი ღირჰამი, ბაზბაზი, სუმბული
რუმი, ფარფიონი, აყაყირჰა, ზურუმბადი, ხოლინჯანი, შაყაყული
მისრი ყასიბი, ზარირა, ხოსიათულ სალაბ, უდი, ლიმოს ტყავი, გავ-
20 ზაბანი, ნესვის თესლი, ფისტას ხეჭუქი, ჰაბი ბალასო, და თეთრი
ფილფილი სამ სამი ღირჰამი; კიდევცე მოიტანე ჯავზი ბაკა, ზარუნა-
ჯი აღრაბი, ზარაენდი მუდარაჯ, სულინჯანი, შაბი იამანი და თეთ-
რი, და ზარდუ სურხ, თუდარი, ქაბაბაი ჩინი, თოხმი, ალიონ, ფუს-
ტი, ნარინჯი, მური მაქი, ჰალილა ლისანი, ასფურ ვითამცა და
იფნის ხის თესლიო, ყუსტი, ჯადვალი ხათაი, ბაჰმანი სურხ, ბაჰ-
მან სევიდ, კიტრისა და ცერეცოს თესლები, და დელამუტი ამათგან
ყუელასაგან ოროლი ღირჰამი, ყირმიზი და თეთრი სანდალი, შეი-
თარ აჯი ჰინდი, ზირეი ქირმანი, სალიხა, ასარუნი, ხაშხაშის თესლი,
თალგმისა და ბოლოკის თესლები, ხაჰ დანა, უდი სალაბ, ვითამცა
30 სეინტრის ძირიო, აფთიმონი, ბალილა, ფუფალი, უკურკო ზირიქი,
ყირმიზის ვარდის ფოთოლი და ამთენი გულაბი, და ან არაყი, ბად-
მუშეი, რომე თრიაქი ამით გაღესო, ესე წამლები თვითო ღირჰამი;
კიდევცე მოიტანე თოხმი ხურეა, თაბაშერი ჰინდი, ამბარი მუშეი,
გაუხურეტელი მარგალიტი, გაუხურეტელი იაგუნდი და ყადურ ფარი,
ესეები ნახევარ ნახევარი ღირჰამი ქენ, მოიტანე სრულად ² ეს წამ-

¹ ამ გვერდის აშინაზე დედნის ხელით სწერია: „ავად მყოფსა რომე ოფლი გაუძნელდეს და აღარ გამოუვიდეს და ამა მაჯუნისაგან რომე ერთი ღირჰამი გაულესო და ასეა, მაშინვე ოფლს მოგურის“.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ლები და წმიდად დანაჲე და გაცერ, და რაცა სრულად ესე წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონი თათლი ქენ, მოადულე, ქათი მოჰხადე როდისცა თათლი ყავამზედა მოვიდეს¹, გარდმოიღე და სრულად ეს წამლები შიგ ჩაყარეთ და კარგად ამოზილეთ და ფულუნია იქნების. ასრე უნდა ერთსა კოლოფშიგა ჩაასხან და იმავე კოლოფითა თავად ექუს თვესა, თვარამდა ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩადგან, უცხოფერს ძალსა და ხასიათსა მოიმატებს, მას უკანა ამოიღონ და როდისცა უნდოდეს ერთის მუხუდოს ოდენი ჰამონ. მაგრა ვისცა ეზაპალი სჭირდეს და ან სისხლზედა, იარებოდეს საქმელი გვიან უნდა ჰამოს, ფრინველი ქასნის ფოთლითა გატენონ, შეწონ და ჰამონ.

კიდევ სხვა ცოტა ფულუნია: მოიტანე ალბანჯი, ვითამცა და ლენცოფაო ოცი დირჰამი, გილი მახთუმი, ათი დირჰამი, აფიონი, ზაფრანა და მიხაკი ხუთ ხუთი დირჰამი, სუმბული ჰინდი, მური და აღყარყარჰა ოროლი დირჰამი, შაქრის მყინვარი, მთახუის ყუერი თვითო დირჰამი, თურინჯის ქერქი, მუშკი, გაუხვრეტელი მარგალიტი და ქათური, ნახევარ ნახევარი დირჰამი, ასრე უნდა სრულად ეს წამლები დანაყოთ და გასცრათ და ყუელა ერთმანერთშიგა აურიოთ და რა ნივთიცა წონითა ესე წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონა თათლი მოიტანეთ, მოადულეთ და ქათი მოჰხადეთ. და როდისცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვადეს, მოიტანე სრულად ეს წამლები და შიგ ჩაყარე და კარგად ამოზილეთ და ფულუნია იქნების, ერთის კოლოფითა ან ექუს თვესა და ან ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩადგან და უცხოფერს ძალსა და ხასიათს მოიმატებს, მერმე ამოიღეთ და როდისცა გინდოდეს ერთის მუხუდოს ოდენი ჰამოს და კაცსა მოეკიდების, გაამხიარულებს, მუცელშიგა შეჰკრავს და სისხლზედ რომ იარებოდეს უშველის.

ფა ლ ა ს უ ფ ა ს მ ა ჯ უ ნ ი ს ხასიათი ეს არის, რომე ფალასუფა, არაბულად ვითამცადა კაცის სიცოცხლეო, ამა მაჯუნსა ბევრი ხასიათი აქუს და მწოვედ დაცდილი არის, ასრე უნდა ყოველსა დილასა ამა მაჯუნსაგან თვითოს ნიგუზის გულის ოდენსა შესჰამდეს, და რაცა ამ ნუსხაშიგა სენი სწერია, ყოველსა სენსა უშველის. ესე ფალასუფას მაჯუნი კაცსა საქმელსა მოაქარეებს და კიდევ ადრე მოანდომებს, კაცსა გაამხიარულებს და გულის ყურსა და კეუსა მოაგნებს და მოუმატებს, ენის ბრკოლასა გაუმართავს, სულსა და სტომაქსა ძალსა მოუმატებს, ლაპარაკს დაასწავლის. ჰკაცსა რომე ასოები და სახსრები სტკიოდეს და ასოებშიგა ქარი უვლიდეს, ქარსა და ასო-

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ვების ტკივილის ორსავე უშველის, ყოვლს ფერსა დაღეწს და გა-
აგდებს, ბაღდასა და სევდასა ორსავე გააქარვებს, წელსა და
თირკმელთა გაუხურვებს და ტკივილსა უშველის. კაცო რომე მწო-
ვედ გრილად იყოს და ან სიგრილისაგან შარდი სწვეთდეს, იმას
ორსავე უშველის და კაცობას მწოვედ ძალს მისცემს, კაცსა უღესა
მწოვედ გაუმაგრებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს, დედაკაცთან მისულას
მუღმად მოანდომებს და რაცა კაცის ტანშიგა ქარი არის, ყუელას
დაღეწს და გააგდებს. კაცსა რომე კბილი სტკიოდეს და ან კბილი
ენძრეოდეს, კბილის ტკივილსა უშველის და კბილსა დაამაგრებს.

10 აწე ამა ფალასუფას მაჯუნის შექნა ასრე უნდა: მოატანე ფილ-
ფილი, სანანეზელი, დარიჩინი, დარი ფილფილი, ბაზბაზი, ხოლინ-
ჯანი, ფუსტი, ბალილა, ბუყაშარი, ჰამილა, შეითარაჯ ჰინდი, ზარა-
ვანდი მუდარაჯ, ხოსიათულ სალბი, ინდოურის ნიგუზის გული და
ჰილი, ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქენ და ბაბუნაჯი და რა-
ზიანას თესლი ამ სხვის წამლების ნახევარი ქენ და კურკა გამოღე-
ბული წითელი ყურძენი, სხვის წამლებისა სამი წონა ქენ, მოიტანე
ესე წამლები და ცალკე ცალკე დანაყეთ და გაცერით და ყუელა
ერთად აურიეთ და რა ნიეთიცა წონითა სრულად ეს წამლები იყოს,
სამი ამა წამლების წონა თაფლი ქენით და პირველ თაფლი მოადუ-
20 ლეთ და ქაფი მოჰხადეთ და წყნარად და ნელად ადუღეთ და რა-
ჯამცა თაფლი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, ინდაურის ნიგუ-
ზის გული, ნაჟუის გული და ყურძენი ვარდის წყლით გააყენეთ და
ჩაურივეთ და გარდმოიღეთ და სრულად ესე წამლები ჩაყარეთ და
კარგად ამოზიღეთ, და ფალასუფას მაჯუნი იქნების. ერთსა კოლოფ-
შიგა ჩაასხით და თავისავ კოლოფითა ექუს თვესა, ან ორმოცსა
დღესა ქერშიგა უნდა ჩაფლათ და უცხოფერს ძალსა და ხასიათსა
მოიმატებს. და ესე მაჯუნი რასა ძველი არის ისი სჯობს. მას უკან
ამოიღონ და ჰამონ, და რაცა ზემორ სენი დაგვიწერია, ყუელასა
ჰკურნებს ღ თითა.

30 ზ ა ფ რ ა ნ ი ს მ ა ჯ უ ნ ი. ერთი მაჯუნი არის, რომე ამა სენებსა ყუე-
ლასა უშველის: კაცსა რომე სისხლი გასქელდებოდეს, ვითამცა და
სათულ რას სენი სჭირდეს და სისხლი ერთსა ალაგსა დაგროვებულ
იყოს, ან კაცსა სისხა სჭირდეს და სივდეს, ან რაგინდა რა სიმსიო-
ნე სიგრილისაგან გამოსჩენოდეს, ან კაცსა შიგნით მატლი ესხას,
ან წელნი სტკიოდეს, ან ერთსა ალაგსა მქვეალი შემოგუქიდოს, ან კა-
ცი ზარმაცობდეს, ყუელასა მწოვედ არგებს, შირიმის ქვასა დაღეწს
და გააქარვებს, თავისა და ყურის ტკივილსა უშველის.

კაცსა რომე მუცელსა და ბოქუნსა ქარი შემოეჭიდოს და ამა მაჯუნისაგან სამი ღირჰამი უზმომან ჰამოს, ამა სენებსა და ქირე-ბსა ყუელასა უშველის და გაუგდებს, და კაცსა კაცობასა მწოვედ და მეტის მეტად მატებს, ბევრს თესლს ჩაუყენებს.

ამა მაჯუნის ხასიათი მრავალი სხვა არის, მაგრა სიადვილისათვის ამა მაჯუნის სეათი შევამოკლეთ და ყოვლის გრილის სენისა და უფრო სისხის წამალი და აქიმი არის.

10 აწე ამა მაჯუნის შექნა ასრე უნდა: მოიტანე თეთრი და შავი ფილფილი და ბარიჯი აბიაზ ოც ოცი ღირჰამი, თრიაქი ათი ღირჰამი, ზაფრანა შვიდი ღირჰამი, სუმბული ჰინდი, ფარფიონი და აღყარყარჰა სამივე ოროლი ღირჰამი და ესე წამლები ყუელა ცალკე ცალკე დანაყეთ და გაცერით და სამი ამა წამლების წონა თაფლი მოადუღეთ და ქაფი მოჰხადეთ. რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, ესე წამლები შიგ ჩაყარეთ და კარგად ამოზალეთ და ზაფრანის მაჯუნი იქნების. როდისცა გინდოდეს ამა მაჯუნისაგან ერთის დანგიდაღმან ნახევარ ღირჰამამდისი ჰამონ, ამა სენებისათვის კარგი არის. და ესე მაჯუნი ოცდაათსა წლამდისინ ძალსა და ხასიათსა იმატებს და მას უკან ძალსა და ხასიათსა იკლებს. მაგრა ასრე უნდა, ესე მაჯუნი რომე ექუსა თვესა ან ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩაფლათ.

20 მაჯუნი ს უ ლ თ ა ნ ბ ა ი ა ზ ი დ. ამა მაჯუნის ხასიათი ეს არის, კაცსა გაამზიარულებს, თვალთა სინათლესა მატებს, წელისა და თირკმელთა ტკივილსა უშველის, და რაცა კაცისა ტანსა და ასომიგა ქარი არის ყუელასა დაღეწს და გააგდებს.

30 კაცი რომე კოლინჯმან და თიაქარმან მუცელშიგა შეკრას, იმას ორსავე უშველოს, და ყოვლისა სიგრილისა სენისა და ტკივილისათვის და მკულისათვის მწოვედ კაი არის. რაცა კაცისა თავსა, თვალსა და დამალშიგა ავი და ყუითელი საფრა და წყალი არის, ყუელასა ცხვირიდაღმა ჩამოიღებს და წამოადენს, და შავისა და ყუითლის იარაყნისათვის მწოვედ კარგი არის. და ორსა ფერსა იარაყანსა უშველის და გააქარეებს, თავისა და საფეთქლისა, წელისა და მუხლების ტკივილსა ორსავე უშველის. კაცსა რომე შარდი სწვეთდეს და ან შარდსა ვერ იჭირევედეს, იმას ორსავე უშველის. კაცსა რომე მუცელშიგა ჰია ესხას, იმას დაჰხოცს და გამოჰყრის, და გულისა და სტომაქიდაღმან საფრასა, სევდასა და ბალოამსა სამსავე გააქარეებს, გულის ძგერასა, გულის თრთოლასა და ხაფაყანისათვის სამისათვისვე მწოვედ კარგი არის, კაცსა პირიდაღმან აესა სულსა გაუგდებს, თმასა და წვერსა გვიან გაუთეთრებს და ესე მაჯუნი ამა

საქმეზედა მწოვედ დაცდილი არის. აწე ამა მაჯუნის შექნა ასრე უნდა: მოიტანე მიხაჭი, დარიჩინი, ზაფრანა, დანამასტაქი, ზირა, ინდოური ნიგვზის გული და ხახვისა, ბოლოკისა, სტაფილოსა, ენისუნისა, ყარა ჩორაქ ოთისა და უზანლულის თესლები. ასრე უნდა, ესე წამლები და თესლები ყუელა სწორ სწორი ქნან და ესე წამლები ყუელა დანაყე და გაცერ და რაცა წონითა სრულად ესე წამლები იყოს, სამი იმა წამლების წონა თათლი მოადლუეთ, ჭაფი მოჰხადე და წუნარად ადლუე, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს სრულად ესე წამლები შიგ ჩაყარე და კარგად ამოზილე, და
10 მაჯუნი იქნების, ორმოცსა დღესა ქერშიგა ჩადგი, მას უკან თვითო კაკლის ოდენი უნდა ქამონ და არგებს.

მაჯუნი ა ბ ი ფ უ შ ტ. ამა მაჯუნისა ხასიათი ეს არის, კაცსა წელთა და თირკმელთა გაუხურვებს და მწოვედ ძალსა მისცემს, ქარსა და სიგრილესა დაღეწს და გაუგდებს, დედაკაცთან მისულას მუდმივ მოანდომებს, ბევრს აქნევენებს, ბევრს თესლსა ჩაუყენებს და კაცობას მეტის მეტად მატებს, და უცხოფრად ბევრს აქნევენებს. მაგრა ბევრჯელ დედაკაცთან მისულა კაცსა მწოვედ სიგრალისაკენ გარდაადგდებს და შრავალფერსა ქარსა და სენსა აუძრავს და აუშლის, ტენისა და გულსა დაუსუსტებს, თვალთა სინათლესა მოაკლებს, ხაფაყანასა და მიკრისსა აუძრავს, წელთა და თეძოთა ტკივილსა შიაქს, ხელსა, ფეხსა და თავსა აუთრთოლებს, და ბევრსა კაცსა ფილენჯის ქარსაცა გამოაჩენს.
20

აწე ესე მაჯუნი რომე კაცმან ქამოს, ამა სენების წამალი არის და ამა სენებსა აღარც ერთსა აღარ აუშლის, და კაცსა მუდმად მთლად ამყოფებს. მოიტანე ინდოურის ნიგვზის გული, ნაჟუის, წიფლის გული, ნუშის გული, და ამოღებული სიფისტანი, ნივრისა, იისა და სელის თესლები ხუთ ხუთი დირჰამი, შაყაყული, ხოლინჯანი, ხოსიათულ სალაბი, ბაჰმანი სურხ, თუღარი, ზაფრანა, ლისანი ასეურ, ვითამცა და იფრის ხის თესლიო, ესე წამლებიცა ყუელა სწორ-
30 სწორი და ოთხ ოთხი დირჰამი ქენ, კიდევე მოიტანე კიტრისა, აყიროსა, ხახვისა, სტაფილოსა, ტკბილის ხახვისა, თალგმისა, ხაშხაშისა, აღისარჩულისა და ჯენარის თესლები და ჯანაქის თესლი, ისრევე ესე წამლები სწორ სწორი და სამ სამი დირჰამი ქენ, კიდევე მოიტანე ჯავზი, დარიჩინი, მიხაჭი, დარი ფილფილი, სანანებელი, ჯავზი ბაკა, ხურთა, ვითამცა და დარიჩინის ნეკერიო, ამათგანცა ყუელა სწორ სწორი და ოროლი დირჰამი ქენ, კიდევე მოიტანე მუშკი, შეითარაჯ ჰინდი, ყუსტი, დურავენდი და ბურიღონი, ამათგანცა სწორ სწორი და თვითო დირჰამი ქენ და ესე წამლები ყუელა ცალკე ცალკე

დანაყეთ და წმიდად გაცერით, და სრულად ეს წამლები ერთგან აურივეთ, და რა ნივთიცა წონითა სრულად ესე წამლები იყოს, სამი ამა წამლების წონა თათლი ქენით და წყნარად აღუღეთ, ქაფი მოჰხადეთ, რაემცა თათლი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, მოიტანე სრულად ეს წამლები და შიგ ჩაყარე და კარგად ამოზილე და მაჯუნი აბი ფუშტ იქნების. ამა მაჯუნსა ბევრი ხასიათი აქუს და მწოვედ დაცდილი არის. ასრე უნდა ყოველთა მზის ჩასულის დროსა და დილეულად უზმო ამა მაჯუნისაგან სამსა დირჰამსა სკამდეს, 10 კაცსა მწოვედ მთლად და უსენოდ შეინახავს, ტვინსა, დამალსა და ძვლებსა ძალსა და წყალს მისცემს და დაურბილებს, კაცსა ელფერსა და გულის ყურსა მოუმატებს მრავალი ხასიათი სხვა აქუს და რა სკამთ თქუენცა შეიტყობთ, თუ ღ თსა ამა ბალახებისათვის როგორი ხასიათი უბოძებია და ან კაცთა რა მოუგონია.¹

კიდევ სხვა გასაკუთრებელი და გასამცვიფრებელი მუხუდოს მაჯუნი, რომე კაცსა ძალსა მისცემს და ამოდენსა კაცობასა მატებს, რომე კაცმან დალაღვა ვერ შეიტყოს. ასრე უნდა რა კაცსა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს ამა მაჯუნისაგან უზმომან სამი დირჰამი ჰამოს გულსა, წელთა და თირკუმელთა გაუხურვებს, ქარსა დაღწეს და გააგდებს, და სხეასა ხასიათს გარეთად კაცსა ამდენს კაცობასა 20 მატებს და ამთენს ძალსა და ძლიერებას მისცემს, რომე კაცმან ათი დედაკაცი ერთგან იხმაროს, ისი დედაკაცები ათივ შესჯერდეს, და კაცსა არცა მოეწყინოს, არცა შესჯერდეს, არცა თესლი და ძალი მოაკლდეს და არცა სიგრილისაკენ გარდაგდოს, და არცა აწყინოს: მოიტანე მუხუდო და წყალშიგა დაალბე და ტყავი გააძრევით და მერმე კარაქითა ასრე რიგად მოხარაკონ, რომე მუხუდო არ დაიწვას. მერმე ესე მუხუდო დანაყონ და რა ნივთიცა ესე მუხუდო იყოს ამავე წონითა ქაფ მოხდილი თეთრი თათლი დაასხან და კარგად ამოზილონ. მერმე მოიტანე კარგი დარიჩინი ათი დირჰამი, თურინჯის ქერქი, ირყიჯანა, ვითამცა და ანდუზის 30 ძირიო, და ხულფა, ვითამცა და დარიჩინის ხის ნორჩის ტყავიო თვითო დირჰამი, ზაფრანა, უდი და სუმბული ჰინდი ნახევარ ნახევარი დირჰამი, ასრე უნდა ესე წამლები ყუელა ასრე დანაყოთ რომე გაამტვეროთ და ესე წამლები იმა თათლსა და მუხუდოშიგა გაურიონ და კარგად ამოზილონ და მუხუდოს მაჯუნი იქნების, ერთსა კოლოფშიგა ჩაასხან და შეინახონ, როდისცა კაცსა უნდოდეს და ან

¹ ამ გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ამა წამლების ჯუშალი ოცდათხუთმეტი არის“.

ექირებოდეს ამა მაჯუნისაგან სამი ღირჰამი ჰამონ და რაცა ზემორ ხასიათი დაგვიწერია უუელას გამოიჩენს.

ესე მაჯუნი ჯალინოზისაგან არის გამოღებული, რომე ძალითა ღთისათა ხაფაყანსა და გულის ძგერასა, გულის თრთოლასა სამსავე უშველის: მოიტანე დანამასტაქი ოცდა ხუთი ღირჰამი, სილინჯა და უდი ათ ათი ღირჰამი, ზაფრანა შვიდი ღირჰამი, მიხაქი და სუმბული ექუს ექუსი ღირჰამი, ჰილი, თეთრი და შავი ფილფილი და დარი ფილფილი სამ სამი ღირჰამი, დარიჩინი, სანანებელი, ყუსტი, ბალასნისა და მარსინის ხილი ოროლი ღირჰამი; 10 შინაურის იის ძირი ერთი ღირჰამი, ხოლინჯანი და ასარუნი ნახევარ ნახევარი ღირჰამი, ასრე უნდა სრულად ეს წამლები წმიდად დანაყონ და გაცრან და რა ნიეთიცა წონითა სრულად ეს წამლები იყოს, მოიტანე სამი ამა წამლების წონა თაფლი და წყნარად და ნელად ადუღე, ქაფი მოჰხადე, და რაქამცა თაფლი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს სრულად ეს წამლები თაფლშიგა ჩაყარე და კარგად ამოზილე, შეინახე და ჯალინოზის მაჯუნი იქნების, და ამა მაჯუნისაგან ორმოცსა დღემდის ყოვლსა დაწოლის დროსა სამსა ღირჰამსა აქმევდით და ღთითა ხაფაყანს უშველის.

ანდუზის მაჯუნის ხასიათი ეს არის, რომე ხაფაყანასა, 20 გულის თრთოლასა, გულის ძგერასა და ფეთქასა სამსავე უშველის: მოიტანე ანდუზის ძირი და კარგად დარეცხე და მოწლოდ და თხლად დაქერ და ცხარსა ძმარშიგა ჩაყარე და ორმოცსა დღესა ძმარშიგა ამყოფე და ყოვლთა დღეთა სხვა და სხვა ძმარი გამოუცვალეთ და მეორმოცსა დღესა ძმარიდაღმან ამოიღეთ და ასრე რიგად ჩრდილშიგა გაახმეთ, რომე დაინაყებოდეს, მერმე დანაყეთ და გაცერით. და მოიტანე ამა ანდუზის დანაყილი ძირი, თეთრი საკმელი და დანა მასტაქი და სამივე წონითა სწორი ქენ, რა ნიეთიცა წონითა ესე წამლები იყოს სამი ამა წამლების წონა თაფლი ქენ და წყნარად და ნელად ადუღე, ქაფი მოხადე და ესე დანაყილი წამლები ამა თაფლშიგა ჩაყარე და 30 კარგად ამოზილე და ანდუზის მაჯუნი იქნების. კაცსა რომე გული უძგერდეს და უთრთოდეს, და სული უგუბდებოდეს ამა სენსა ხაფაყანი ჰქუიან, ასრე უნდა ვისცა ამ რიგი ხაფაყანი სჭირდეს, ყოვლსა დილასა და ყოვლსა დაწოლის დროსა ამა მაჯუნისაგან თვითოს ნიგუზის გულის ოდენსა სქამდენ და ხაფაყანი ეშველების.

მაჯუნი მუხთასარ. ესე მაჯუნი ერთი მაჯუნი არის, რომე ყოვლსა ფერსა სევდისა და ბალღმის სენსა და გრილსა ქარებსა უუელასა დაღეწს და უშველის. გერჩივნოს ზაფხულის სქამონ და გერჩივნოს ზამთრის. მოიტანე სინაი მაქი ორმოცი ღირჰამი, სანა-

ნებელი ათი ღირჰამი, ესე წამლები ორივე ცალ ცალკე დანაყე და გაცერ და რარიგადაც მაჯუნის შექნის წესი და რიგი იყოს და ან ზემორ დაგვეწეროს, იმრიგად მაჯუნად შექენით და ვისცა უნდოდეს და ან ექირებოდეს, ამა მაჯუნისაგან სამის ღირჰამიდალმან ხუთის ღირჰამამდისი კამონ, ყოვლსა ბალღმისა და სევდის სენსა უშველის, და ესე მაჯუნი ორსა წლამდისინ ძალსა და ხასიათსა იმატებს და მას უკან ძალსა და ხასიათსა მოიკლებს.

10 მაჯუნი სულეიმიანი, რომე აწყა სტაფილოს მაჯუნს ეძახიან, ამისი ხასიათი ეს არის, რომე რაცა კაცისა ტანსა და სტომაქში შიგა ან ასოსა და სახსრებშიგა სიცივე და ქარი არის, კაცისა ტანისა და სტომაქიდალმან ყუელასა დაღეწს და გაავდებს, გულსა და სტომაქსა გაუთბობს და ძალს მისცემს, თავისა და დამალიდალმან სევდასა გაავდებს და ტვინსა მწოვედ ძალსა მისცემს, კაცსა საქმელსა მოაქარეებს და კიდვე ადრე მოანდომებს სოკოსა უსათუოდ გაახმობს და გააყრევინებს. წელთა და თირკმელთა მწოვედ გაუხურვებს და ძალს მისცემს, ბევრს თესლს ჩაუყენებს და კაცობას მეტის მეტად მატებს და მუღმივ მოანდომებს, და ასეთსა ძალსა და ძლიერებას მისცემს, რომე კაცი თავის საქმესა და ამა მაჯუნის ხასიათსა გაჰკვირდეს. ასრე უნდა როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ექირებოდეს, სამი და ან ხუთი ღირჰამი ამა მაჯუნისაგან კამონ და ცოტასა ხანსა გულ აღმა დაწვენ და ამთენი აცალონ, რომე სამი ჟამი გამოვიდეს და მერმე დედაკაცთანა მივიდეს, კაცსა გულის ნება აუსრულდების, თუ კაცსა უნდა და ან თავსა გამოიმეტებს რამთენჯერცა უნდა დედაკაცზედა მივიდეს დაღალვას ვერ შეიტყობს, რომე ოცსა დედაკაცთანცა მივიდეს, რა ამა მაჯუნსა სკამს, აღარცა აწყენს, აღარც კაცი შესჯერდების, არცა თესლი და ძალი მოაკლდების, არცა მისკირდების და დასუსტდების და არცა სიგრილისა სენსა და ქარსა აუძრავს და ასრე მწოვედცა იამების და ჰახსა იქს, რომე თუ ითქმის კაცი სიამოვნითა დაბნდეს, და სადამდისი კაცი ხუთჯერ, 20 ექუსჯერ წინას ასოსა ცივის წყლითა არ დაიბანს ასო არ დაუჩუტდების. და რა მაჯუნსა სკამთ, თქუნცა შეიტყობთ, თუ აქიმთა და ფილასოფოსთა კაცთა რა მოუგონია და ან ღთსა იმა ბალახებისათვის რა ხასიათი უბოძებია, რომე ამა მაჯუნისაგან გასაკვირვებელი საქმეები ნახოთ.

30 აწე ამა სტაფილოს მაჯუნის შექნა ასრე უნდა: მოიტანე სტაფილოს ყუითელი გული და წურილად და თხლად დაქერ, და თუ ესე სტაფილო ახალი არის ისი სჯობს და დანაყოს და ერთსა ქოთანშიგა ჩაყაროს და ამა ქოთანსა პირი მოუგლისე და მანამდისი

ადღუღე, რომე სტაფილო სრულად დადნეს, მერმე რა ნივთიცა წონითა ესე სტაფილო იყოს იმავ წონითა ქაფ მოხდილი თაფლი დაასხი და კარგად აურივე და ნელად და წყნარად ადღუღე, რომე თაფლი და სტაფილო ერთმანერთშიგა გაერიოს და მოსქელდეს და ყავაშხედა მოვიდეს, გარდმოიღე და გააცივე, მერმე მოიტანე სუმბუ-ლი ჰინდი, თეთრი და შავი ფილფილი, დანამასტაქი ოთხნახე-ვარი ღირჰამი, დარიჩინი, ზაფრანა, ჯავზი ბავა, სანანებელი, ხო-ლინჯანი და ცხენის წაბლი ოთხ ოთხი ღირჰამი, აფთიმონი, მუყლი აზრაცი, ირყიჯანა, ვითამცა და ანდუზის ძირიო, თეთო ღირ-
10 ჰამი, სრულად ეს წამლები წმიდად დანაყეთ და გაცერით და სრულად ეს წამლები იმა მოდულებულსა თაფლსა და სტაფილოშიგა ჩაყარეთ და კარგად ამოზილეთ და სტაფილოს მაჯუნი იქნების, ამა მაჯუნისა ხასიათი და საკვირველება ნახეთ, თუ რასა იქს.

თავ შავას ბალახის მაჯუნი, რომე არაბნი ჰაქიმნი ასტუ-
ხუღუზს უძახიან. ამა თავშავას მაჯუნის ხასიათი ეს არის, რომე.
ყოვლსა ფერსა ტვინისა და დამალისა და თავის სენსა ყუელასა არ-
გებს, მეტადრე მაშინ, რომე ესე სენი სევდისაგან იყოს, ფილენჯსა-
და ფილენჯისა ქარსა, საგთასა და სარსამსა, სარასა და მალიხუ-
ლიასა და ხელ ფეხის თრთოლასა და თავის თრთოლასა, რომე რახ-
20 შა ჰქუიან, და სურდოსა და სურაევანდსა ყუელასა კარგად უზამს და უშველის, დამალისა სულასა გახსნის და თვალთა სინათლესა მისცემს. აწე ამა მაჯუნისა შექნა ასრე უნდა: მოიტანე თავშავას ბალახის ყუავილი და რამდენიცა წონითა ესე თავშავას ყუავილი იყოს, იმი-
სავ წონა ქაფმოხდილი თაფლი დაასხი და ძალიანსა სიცხეში შხესა გაუდგი და თხუთმეტსა დღესა და ღამესა შხეშიგა ამყოფეთ და მე-
თექუსმეტსა დღესა ერთი იმდენი ქაფ მოხდილი თაფლი კიდევ და-
ასხი და ჩაურივე, და ათსა დღემდის კიდევ შხესა გაუდგან, და ათსა
დღესა უკანა ერთი იმდენი ქაფმოხდილი თაფლი კიდევ დაასხან,
30 რომე სრულად ეს თაფლი თავშავას ყუავილზედა სამი წონა იყოს და სრულად შხეშიგა ორმოცდა ხუთი დღე დაყოს, მასუკან ვისცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს ამა მაჯუნისაგან სამი ღირჰამი უზმო-
მან ჰამოს და რაცა სენი და ქირი ზემო ამა მაჯუნზედა დაგვიწერია, ღთითა ყუელასა უშველის და არგებს და გააქარებებს.

მაჯუნი მუშკის¹ ხასიათი ეს არის, სტომაქ გრილმან კაც-
მან რომე ჰამოს, ან ღვიძლ მტკივანმან კაცმან რომე ჰამოს, ორისათ-
ვისვე მწოვედ კაი არის, გულისა, ღვიძლსა და სტომაქსა, სამსავე ძალ-
სა მისცემს, სულასა მაშინვე გახსნის, და ქარსა გააქარებებს. აწე

¹ სწერია „მიშკის“

ამა მაჯუნის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ზაფრანა, ზირა, ნიახურის თესლი და კევი სამ სამი ღირჰამი, კიდევე მოიტანე სალიხა და სუმ-ბული ჰინდი, სადაჯი ჰინდი, ჯუნდიანაი რუმი და მიხაკი ოროლი ღირჰამი, კიდევე მოიტანე კაი მუშკი, უდი და მური ნახევარ ნახევარი ღირჰამი და ესე წამლები ყუელა ცალკე ცალკე დანაყე და გაცერით და რა ნივთიცა სრულად ეს წამლები იყოს სამი ამა წამლების წონა თათლი მოიტანე, მოადლულე და ქათი მოჰხადე და რა-ეამცა თათლი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოილე და სრულად ესე წამლები შიგა ჩაყარე და კარგად ამოზილე და მაჯუნი მუშკი იქნების, შეინახე და როდისცა გინდოდეს ამა მაჯუნისაგან ორი ღირჰამი ან ერთი ღირჰამი ქამონ, და რაცა ზემო ამა მაჯუნის ხასიათი დაგვიწერია, ყუელასა უშველის ძალითა ღ'თისათა.

მაჯუნი გვილან გვიბინი. გულბა შაქარი და იის მაჯუნის ხასიათი სამივე ეს არის, ბალღამსა მოჰკვეთს და გააქარებებს, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, ღვიძლსა გააძალიანებს და საქმელს მოაქარებებს. აწე ამა გულბა შაქარის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი ვაყია შაქარი, ვითამცა და თორმეტი ღირჰამი, და მოადლულე და ქათი მოჰხადე, და ათი ვაყია ვარდის ყუავილი ამა მოდულებულსა შაქარზედა დააყარეთ, რომე ესე ვარდის ყუავილი ასოცი ღირჰამი იყოს და კარგად ამოჰყლიტონ და ერთსა კიქაშიგა ჩადვან და მზესა გაუდგან, და ორმოცსა დღესა მზეშიგა უნდა იყოს და ყოველსა მესამე დღეშიგა ერთხელ კარგად აურევდენ, და რა ოცი დღე გამოვიდეს, ორი ვაყია ქათმობდილი შაქარი კიდევ დაასხან, რომე ოცდამოთხი ღირჰამი იყოს და კიდევე კარგად ამოჰყლიტონ და გულბა შაქარის მაჯუნი იქნების, როდისცა უნდოდეს სქამდენ, და რაცა ზემო დაგვიწერია, იმა სენებსა ყუელასა არგებს და უშველის, ძალითა ღ'თისათა.

გვილან გვიბინის მაჯუნიცა ამავე გულბა შაქარსავითა უნდა ქნან, მაგრა ეს გვილან გვიბინი თათლითა უნდა ქნან, და ისი გულბა შაქარი შაქრითა. და გრილ სენიანსა და სტომაქ გრილსა კაცსა ეს გვილან გვიბინი აქამონ, და მხურვალსა სენსა და მხურვალსა სტომაქიანსა კაცსა ესე გულბა შაქარი უნდა აქამონ და ჰყურნებს ღ'თითა.

აჲ. კარი მესამოცდა რვე. ჰაბეზისა და ყურსების ხასიათსა და შექნასა გამცნებს და გაიმბობს.

ესე ჰაბი საბრი ერთი ჰაბი არის, რომე ტვინსა და დამალსა, გულსა და სტომაქსა და ან კაცსა რაცა სხვა ასო ასხია, ყუელასა ბალ-

ლმისა, სევდისა და საფრისაგან გასწმედს და სახსრებისა და ასოებისა ტკივილსა უშველის.

აწე ამა ჰაბი საბრის შექნა ასრე უნდა, მოიტანე გაცრილი ღარიყონი და საბრი უსკუდრი, რეევანდი ჩინი და ყუითლის ჰალი-
ლას ტყავი თვითო თვითო ღირჰამი, მუყლი აზრაცი, დანამასტაკი,
ყირმიზი ვარდი და კევი ოთხ ოთხი ღირჰამი, მაჰმუდა, რომე სპარს-
ნი საყმუნიას ეძახიან, ერთნახევარის ჩაგირდაგის წონა, ესე წამლები
ყუელა ცალკე ცალკე დანაყე, გაცერ და ხიარ. შამბარას გულითა
10 მოზილონ; და თუ გულის არევისაგან ეშინოდეს, შინდის ჯულაბითა
მოზილონ, და თუ სტომაქ გრილი კაცი იყოს, ხამის თაფლითა მო-
ზილონ. და ჯულაბი ამას ჰქუიან, რომე ხმელი შინდი გათენებამდი
წყალშიგა დაალბონ და გაწურონ, ჯულაბი ამ რიგს შინდის წვეგნა.
ჰქუიან და ამა შინდის წყლითა მოზილონ, და ტკბილის ნუშის ზე-
თითა ჰაბები შექნან, რომე თვითო ჰაბი თვითოს პილპილის ოდენ
ოდენი იყოს.

და თუ ამა ჰაბის ჰამა მარტო ტანის გაწმედისათვის გინდო-
დეს, თვითო ჰაბი უნდა ჰამონ, და თუ ამა ჰაბის ჰამა დამალისა
გვამისა და სტომაქის გაწმედისათვის გინდოდეს და მისთვის სჰამო,
სამი ჰაბი უნდა შესჰამო. ასრე უნდა ერთის ღამის მესამე წილი რო-
20 მე გამოვიდეს, ეს სამი ჰაბი ამავე ჯულაბის წყლით უნდა ჩაყლაპონ
და დილეულ გარიჟურაჟხედა ესე წამლები სვან, რომე კაცი გახსნას.
და ყოვლის ბალღმისა და საფრისაგან, სევდისა და ავის ხილსაგან-
საგან გაწმიდოს და დაალურევიოს. მოიტანე გავზაბანი და ბალღუ-
რი ყარა, რომე სპარსნი ფარი სიოაშანს ეძახიან, და არაცი სუსა ვი-
თამცა და ბიან ბალიო, თვითოსაგან თვითო ღირჰამი, ტყავ გახდი-
ლი ტუხტი, ხმელი ია, ახალი ცერეცო ერთსა მუჰაშიგა დაჰირვა,
ოთხ ოთხი ღირჰამი და ახალი ვარდის ყუავილი ოცთ ღირჰამი, ას-
რე უნდა ესე წამლები ყუელა ერთად მოადლულონ და კარგად ამოქუ-
ლიტონ და ან ოცსა ღირჰამსა გაზანგვხედა და ან ოცდახუთსა ღირ-
30 ჰამსა შაქარზედა დააწურონ და გარიჟურაჟის ღროსა თბილ თბილი
სვან.

აწე ამა წამლის მოკიდების ნიშანი და ალამათი ეს არის, რო-
მე კაცსა მწოვედ წყალი მოსწყურდების და მწოვედ ძილი მოუვა-
და გვიან გვიან გარ გაყუანა დაუწყოს, იცოდი წამალი მოჰკიდებია-
და საქმობის დრო არის. მოიტანე ხუთი ღირჰამი გაფხევილი ¹ ძირ-
ტკბილას ძირი, დაჯეჰე და ბევრი წყალი დაასხი და მოადლულე და

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

თხუთმეტსა ღირჰამსა შაქარზედა დააწურე და თბილ თბილი სევან, რომე არწყევინოს და მერმე პირი თბილის წყლითა გამოირეცხონ, და ამას უკანა ერთი ღირჰამი დანა მასტაქი ნახევარი ეამამდისინ კევთ ლექონ და ნახევარ ეამსა უკანა კევის ლექა გაუშვან. ამას უკანა მოიტანე თორმეტი ღირჰამი ვაშლის შარბათი, ან თორმეტი ღირჰამი ახლის ვარდის შარბათი და ორმოცდაათის ღირჰამისა გავზაბანის წყლითა გალესონ და ექუსი ღირჰამი ვარდის წყალი გაურიონ და ერთი ღირჰამი ბაზარყათუნა პირშიგა დაიჭირონ და ისრე სევან. და თუ გავზაბანის წყალი არ იყოს, ეს შარბათები ცივის წყლითა გალესონ და ისრე ასევან და ესე შარბათები და ჰაბები ამ რიგად ზედა ზედ ორსა ღღესა უნდა სევან და ჰამონ, და ამა ორსავე ღღესა ამა კაცისა საკმელი ყიმა შორვა უნდა იყოს და ესე ასრე უნდა იცოდეთ, სრულად ყოვლსა კმევაშიგა და ყოვლსა გასახსნელსა მუსილგებისა და შარშათებისა სმევესა და კმევაშიგა სრულად ამრიგად ხელი უნდა შეუწყონ, და ამ რიგად ასევან და აჰამონ, რომე თავით ბოლომდისი ამა წიგნშიგა დაგვიწერია. და ესე ასრე იცოდით, რომე რა კაცსა გასახსნელი წამლები და მუსილგები ასევთ და ან აჰამოთ, სარწყეველსა წამალსა უნდა არიდოთ, გახსნა და რწყევა ორივე ერთად არ ვარგა, ამისთვის რომე გულსა და სტომაქსა აუშლის და შეურყუნის და კაცსა მისჭირდების.

30 ჰაბი, რომე ბალღამსა უშველის: მოიტანე სანანებელი და ეგირი ოთხ ოთხი ღირჰამი, ღარიყუნი, თურბითი, ფუსტი, ჰალილა და სულინჯანი თვითო ღირჰამი, ასრე უნდა ესე წამლები დანაყო და გასცრა და ან ვარდის ერბოთა და ან თაფლითა მოზილონ, და ნუშის ზეთითა ამისგან ჰაბები[ქნან], და როდისცა კაცსა უნდოდეს, ესე ჰაბი შუალამის დროსა თაფლითა ჰამონ და რა გარიეჟრაყდეს მოიტანე: ნიახურისა, ცერეცოსა, კაპრისა და ქანის ძირის ქერქები და ტყავ გახდილი ტუხტის ძირი ოთხ ოთხი ღირჰამი ქენ და ნიახურისა, ცერეცოსა და ენისუნის თესლები სამ სამი ღირჰამი ქენ, ძირ ტკბილას ძირი ოთხი ღირჰამი ქენ და ლურჯის სუსნის ძირი, ეგირის ძირი და უდი თვითო ნახევარი ღირჰამი ქენ, უკურკო წითელი ყურძენი და ლელვი თხუთმეტ თხუთმეტი ღირჰამი ქენ, ყირმიზი ვარდი ოცდახუთი ღირჰამი, თავშეგას ბალახის ყუაგილი ხუთი ღირჰამი, აწე სრულად ესე წამლები ერთად უნდა მოხარშონ და ოცდახუთსა ღირჰამსა შაქარზედა დააწურონ და გარიეჟრაყის დროსა თბილ თბილი ასევან, კაცსა მაშინვე გახსნის და ყოვლის ფერის ბალღმისა და ხილთისაგან გასწმედს და ყუელას დააღურევიანებს და სევდასა და სხვასა ქარსა და ხილთებსა ყუელასა გააქარეგებს.

ჰაბი, რომე სევედასა გააქარებხ: მოიტანე ღარიყონი და აფთიმონი ოროლი ღირჰამი, ჰალილეი საჰ, გილი არმანი და ლაქუარდის ქუა ნახეგარ ნახეგარი ღირჰამი, ესე წამლები სრულად დანაყონ და გაცრან და ლულუფრის შარბათითა სქლად მოზილონ და ნუშის ზეთითა ამისგან ჰაბები შექნან, და ერთის ღამის მესამედი რომე გამოვიდეს, ამა ჰაბებისაგან სამი ჰაბი ჯულაბითა ჩაყლაჰონ, და გათენების დროსა მოიტანე ბასვაიჯი და თავშავას ყუავილი ხუთ ხუთი ღირჰამი, ტყავ გახდილი ტუხტი ოთხი ღირჰამი, ია, სინაი მაქი და წურილად დაქრილი ხამი აბრაშუმი სამ სამი ღირჰამი, შაჰთარა ერთ

10 მუქაშიგა დაქირვა და გავზაბანი, ბალდური ყარა, არაყი სუსა თვითო ღირჰამი და ვარდი ოცი ღირჰამი. ეს წამლები ყუელა ერთად მოხარშონ და ოცდახუთსა ღირჰამსა შაქარზედა დააწურონ და გარიჟურაჟის დროსა თბილ თბილი სეან, და კაცსა მაშინვე გახსნის და ყოვლის სევედისა და ავის ხილთისაგან გასწმედს, დაახალასებს.

ჰაბი შიბიარის ხასიათი ეს არის: კაცსა რომე ბალღმისა და სიგრილისაგან თავი სტკიოდეს, იმას უშველის და ბალღამსა და სევედასა გახსნის და გააქარებხ, თავისა და დამალიდაღმან ნუზლასა და სურაჟანდსა გასწმედს და გააქარებხ და ყუელასა ჩამოიღებს და ყოვლსა გრილსა სენსა უშველის, ესე სენი რომე ბალღმისა და ან

20 სევედისაგან წაჰკიდებოდეს.

აწე ამა ჰაბის შექნა ასრე უნდა, მოიტანე იარაჯი ფიყრა და ღარიყონი სამ სამი ღირჰამი, აფთიმონი და მარილის თვალი სამსამი ღირჰამი, ჰალილეი ქაბული და ბალილა, ამილაჯი და მუყლი აზრაცი, ეს წამლები ყუელა დანაყონ და გაცრან და თათლითა ჰაბები შექნან, და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ექირებოდეს ამისგან ორი ღირჰამი თაფლისა და ან შაქრის შარბათითა ჩაყლაჰონ და რაცა ზემორ სენი და ჰირი სწერია, ესე ჰაბი იმას ყუელას უშველის.

ჰაბი შარია¹ ხუელისათვის მწოვედ კარგი არის და ფიცხლავ უშველის. მოიტანე: ტყავ გახდილი ნუშის გული და ნაქუის გული ორმოცდაათ ორმოცდაათი ღირჰამი, შაქრის მყინვარი, ტკბილის ნუშის ზეთი და ბიის გულის ლოაბი თორმეტი ღირჰამი, სახამებელი, გევანის ქათირა, სამყი არაბი, თეთრის ხაშხაშის თესლი და უკურკო წითელი ყურძენი ხუთხუთი ღირჰამი, ძირტკბილას ძირი, კიტრისა და აყიროს თესლების გულეები სამ სამი ღირჰამი, ესე წამლები დასანაყელი დანაყონ და დასალბობელი დაალბონ და მერმე ყუელა ერთად მოზილონ და ამისგან თვითო ღირჰამი ჰაბები შექნან

¹ ამ გვერდის ქვემო აშიაზე რვეულთა სათვალაჟი „ლდ“ სწერია დედნის ხელით და შემდგომი გვერდის ხემა აშიაზე „ლე“.

და ვისცა ახუელებდეს, ერთი ჰაბი მანამდისი ენას ქუეშ დაიკირონ, რომე ესე ჰაბი დადნეს და ამისი წყალი უნდა ჩაყლაპონ, და თუ ამა ჰაბისა ენას ქუეშ დაქირვა ეძნელებოდეს, თითითა ლოკონ და ყველას უსათიოდ უშველის და ისივ არის რომე ჰაბი ეკამოს და სილსა არგებს.

10 ჰაბი იშჰადის ხასიათი ეს არის, რომე კაცი სისხლზედა იარებოდეს და ან მუცელშიგა გახსნით იყოს და ამა ჰაბიდალმან ერთი ან ორი ღირჰამი უზმომან¹ ჰამოს, კაცსა მაშინვე შეჰკრავს და სისხლს მოსწყუეტს. კაცსა რომე უკანას კარსა აზიდვებდეს და ან 20 გასტებდეს და ამავე რივად ესე ჰაბი ჰამოს, ზიდვებასა და გატეხასა ორსავე უშველის. მოიტანე: მარსინის ხის თესლი ათი ღირჰამი, უკურკო წითელი ყურძენი სამ სამი ღირჰამი, თუთუბო ერთი ღირჰამი და ბროწეულის ქერქი ნახევარი ღირჰამი, ესე წამლები ყუელა დანაყონ და რომელიცა გასაცრელი იყოს, გაცრან და სრულად ყუელა ესე წამლები მეთავის ბროწეულისა და ბიის წვენითა მოზილონ და ამისგან ჰაბები შექნან და ჩრდილშიგა გაახზონ და როდისცა კაცსა უნდოდეს და ან ექირებოდეს, ამა ჰაბებისაგან ორი ღირჰამი ჰაბი ან ბიისა, ან ისარიმისა და ან ბროწეულის წვენითა ჩაყლაპონ და მაშინვე კაცსა შეჰკრავს, სისხლს დასწყუეტს და უკანას კარის გატეხასა და ზიდვებასა ორსავე უშველის.

კიდევე ჰაბი რომე კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, და მუცლისა და სტომაქის ტკივილსა მოუხსენებს, და კაცსა რომე ან სტომაქი-დალმან და ან წელებიდალმან წელთ ნახვეწი სცევივოდეს, იმას მაშინვე მოჰკუეტს და უშველის. მოიტანე: მეთავის ბროწეულის ქერქი და გუნდა და ესე ორივე სწორ სწორი ქენ და დანაყე და წმიდად გაცერ და კარგის ძმრით წამოადულონ, და მანამდისი ადულონ, რომე კარგად მოსქელდეს, მერმე გარდმოილონ და გააციონ და მუხუდოს ოდენ ოდენი ჰაბები შექნან და როდისცა უნდოდეს და ან კაცსა ექირებოდეს, ამა ჰაბებისაგან ოცსა ჰაბამდისინ ჰამონ, რა ნივთიცა 30 კაცის გულმან და სტომაქმან მოიხდინოს და გაიწყოს, ამა ჰაბებისაგან ჩაყლაპონ: ამა ჰაბების ჩაყლაპვა წყლით უნდა.

ჰაბი მუყლი რომე სოკოსა და სოკოს ქარსა ორსავე უშველის, წელ წულების ტკივილსა და ჰარასა ორსავე უშველის: მოიტანე შავი ჰალილა, ბალილა და ჰამილაჯი და ესე სამივე სწორ სწორი ქენ, და რა ნივთიცა წონითა ეს სამივე წამლები იყოს ამა სამისავე წონა მუყლი აზრაცი ქენ და წმიდად დანაყე და გაცერ და კომბოსტოს წვენითა მოზილონ და ამისგან სამ სამი ღირჰამი ჰაბები შექ-

¹ ეს სიტყვა სრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

ნან, და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ექირებოდეს ამა ჰაბებისა-
გან სამის ღირჰამიდალმან ათსა ღირჰამამდისინ ქამონ, რა ნივთიცა
კაცსა გულმან და სტომამქმან მოიხდინოს და გაიწყოს, და ყუელასა
უქირველად უშველის.

ყურსების ხასიათსა და შექნასა გაიშობზს. ამა ყურსი მახლას-
სი აღბარის ხასიათი ეს არის, რომე უშველსა და ახალსა თავის
ტკივილსა და თავის ბრუნვასა სამსავე უშველის, ფილენჯსა და ფილენ-
ჯის ქარსა, სარსა და ვასვასასა ყუელასა კარგად უზამს. კაცმან რო-
მე თვალშიგა სურმასავითა გამოივლოს, თვალის ტკივილსა უშველის,
და ყურის ტკივილისათვის მწოვედ კარგი არის, თეძოებისა და ზურ-
გის ძულის ტკივილსა ორსავე უშველის, სურდოსა და სურავანდსა
ორსავე უშველის. ცივებიანმან კაცმან რომე სვას, მაშინვე უშველის.
და ესე ყურსი თოვლის წყლითა რომე კაცმან გალესოს და სვას,
რაცა ან ზემო ან ქუემო სენები დაგვიწერია, იმა სენებსა ყუელასა
უშველის.

ვინცა ესე ყურსი მრავალ ძარღვას წვენითა გალესოს და სვას,
კაცი რომე სისხლსა დუქსა ატანდეს, და ან სისხლზედა იარებოდეს,
და ან სისხლსა ფსემდეს, იმას ყუელასა უშველის.

ვინცა ცერეცო მოხარშოს და ამა ცერეცოს წვენითა ესე ყუ-
რსი გალესოს და სვას, გულისა და სტომამქის ტკივილსა უშველის.
და ან კაცსა რომე გვამსა და სტომამქშიგა და ან წელ წულშიგა რო-
მე ქარი უვლიდეს ორსავე უშველის. აგრე კაცსა რომე გვამსა და
წელ წულშიგა ვარამი სქირდეს, და ან ბევრის ნალულისა და ფიქრი-
საგან კაცსა სევდა დამრავლებოდეს, მისთვისცა მწოვედ კარგი არის.
ტყირპის ტკივილისა და ტყირპის სიმსიენისათვის ორისათვისვე მწო-
ვედ კარგი არის.

კაცსა რომე შარდი შეხუთვილი ჰქონდეს და ესე ყურსი გაუ-
ლესო და ასვა, მაშინვე შარდსა გზასა გაუხსნის, და თირკმელსა და
ბუშტშიგა რომე ქუა ჰქონდეს და ესე ყურსი გალესოს და სვას, ან
ტლედ გააყენოს და გარედალმან შემოიღვას, ქუას დაღეწს და გამო-
ჰყრის, და ამჟვე რიგად რომე ტლედ ქნან და შემოსდვან მიკრისისა,
სახსრებისა და ასოების ტკივილსა და ხმის ჩაფარდნასა ყუელასა
უშველის.

კაცი რომე ემთილა შეიქნას, ვითამცადა საკმელი გამოჰყუეს¹,
და ერთი ყურსი გაულესო და ასვა ემთილასათვის, თასანუჯისათვის

¹ ამ გვერდის ქვემო აწიხე დედნის ხელით სწერია: [კაცსა] რომე ყლგ
დაუსუსტდეს და ამავე რიგად ზედაცა დაიდვან, იმას დაუშავრებს, კაცობას] მონა-
დომებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს“.

და ხახის და ყელის ტკივილისათვის ყუელასათვის მწოვედ კაი არის-
კაცსა რომე გველმან, ან მორიელმან და ან სხვაჲ მძრომელმან უცეს
და ესე ყურსი გალესო და ზედ შემოსდვა, მაშინვე უშველის, და
შხამსა გააქარეებს, და ამა საქმისათვის მწოვედ დაცდილი არის.

10 კაცსა რომე ყოლინჯი და ან თიაქარი შეექნას და მუცელშიგა
შეკრას, და მუცელმან მწოვედ კრა და ტკივილი დაუწყოს. მოიტანე
ბოი, ვითამცა და ულბო, მოხარშონ და ამა ბოის წვენითა ესე ყურ-
სი გააყენონ და ამითა ოყნა უყონ, მაშინვე გახსნის და ყოლინჯსა
და ტკივილსა ორსავე უშველის და ყოელის გრილის სენისათვის
აქიმი და წამალია.

აწე ამა ყურსის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ნიახურის თესლი
ოცდაოთხი ღირჰამი, სალიხა, თეთრი ჰალილა, ახსირი, ვითამცა თო-
ფალახიო, თურამეტ თურამეტი ღირჰამი მთახუის ყუერი და ფათრა-
სალიონ, ვითამცადა გარეულის ნიახურის თესლიო, თხუთმეტ თხუ-
თმეტი ღირჰამი, ყუსტი, მური, დარიჩინი, მისილა, ვითამცადა გუ-
ლი ხარის ეკალიო, ასარუნი და იყრის ანდარ ხურუნ ცხრა ცხრა
ღირჰამი, დარი ფილფილი ექუსი ღირჰამი, ჩისალიუს ვითამცა და
დიყის თესლიო, ორი ღირჰამი, ასრე უნდა სრულად ესე წამლები და-
ნაყონ და გაცრან, და რა ნიეთიცა სრულად ესე წამლები იყოს, სამი
20 ამა წამლების წონა თაფლი მოიტანე და მოადულე და ქაფი მოჰხა-
დე, ნელა და წყნარად ადულე და როდისცა თაფლი მოსქელდეს და
ან ყავამზედა მოვიდეს, გარდმოილე და სრულად ესე წამლები შიგა
ჩაყარეთ და კარგად ამოზილეთ და ექუსსა თვესა ქოთნითავე ქერ-
შიგა ჩაფალით, რომე ძალსა და ხასიათსა მოიმატებს და მას უკანა
როდისცა გინდოდეს და ან ვისცა ექირებოდეს, ამა ყურსისა ერთი ან
ორი ღირჰამი თბილის წყლითა გალესონ და სვან, და რაცა ზემორ
სენები დაგვიწერია, უსათიოდ ყუელასა უშველის.

ყურსი თაბაშერი ქაფურის ხასიათი ეს არის, რომე ყო-
ვლსა ფერსა ცხელებასა, სნებასა და სიმხურვალესა უშველის. კაცსა
30 რომე სიცხითა და სიმხურვალითა გული უფეთქდეს და ხუელა სკირ-
დეს, და ან ხუელა სილად გარდაქცეოდეს, იმას ყუელას უშველის,
და კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს და ამა ყურსისაგან ჰამოს,
მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს: მოიტანე ყირმიზის ვარდის ყუავილი
და ძირტებრლას ძირი ექუს ექუსი ღირჰამი, კიტრისა, შუმხიარისა,
აყიროს გულები და თოხმაქანი თვითოსაგან თვითო ღირჰამი, ქა-
ფური და ზაფრანა კიდევ თვითო ღირჰამი. ესე წამლები ყუელა და-
ნაყონ და გაცრან და ბარძაყათუნას ლოაბითა მოზილონ და ორ ღირ-
ჰამ ნახევარი ორ ღირჰამ ნახევარი ყურსები შექნან და როდისცა უნ-

დოდეს, და ან ვისცა ეპირებოდეს, თვითო ყურსი ჰამონ, ან გალესონ წყლითა და სვან და უსათუოდ უკუუგდებს, და რაცა ცხელები-სა და ან სხვის სიმბურვალისა სენი არის, ყუელასათვის კარგია და უშველის.

ყურსი თაბაშერი ჰუმაზის ხასიათი ეს არის, რომე ყოვლსა სიმბურვალესა და საფრასა დააწყნარებს, სნებასა, ცხელებასა და იარაყანსა სამსავე მწოვედ არაგებს. კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს მაშინვე შეჰკრავს: მოიტანე ხმელის ვარდის ყუავილის ფოთოლი ათი ღირჰამი, სამყი არაბი, სახამებელი და მეთუნას თესლის გული ოთხ ოთხი ღირჰამი, თაბაშერი ჰინდი, მარსინის ხილი, გილი არმანი და ზაფრანა, თვითოსაგან თვითო ღირჰამი, ესე წამლები დანაყეთ და რომელიც გაიცრებოდეს გაცერით, და ან მეთავის ბროწეულის წვე-
10 ნითა, ან ხართუთის წვენითა და ან კოწახურის წვენითა მოზილონ, და ორ ნახევარ ორ ნახევარი ღირჰამი ყურსები შექნან, და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ეპირებოდეს, ამა ყურსებისაგან თვითო ყურსი ჰამონ, ან გალესონ და სვან, და რაცა სენი დაგვიწერია ყუელასა უშველის.

ყურსი ამბარი ბარი ვითამცადა კოწახურისა და რევან-
ღის ყურსიო. ამა ყურსის ხასიათი ეს არის, რომე ცხელები-
20 სა და ყოვლის სიმბურვალისათვის მწოვედ კარგი არის, ღვიძლსა მოუგრელებს და გააძლიანებს, კაცსა წყურვილსა მოუკლავს, რწყევას უკუგდებს და მუცელშიგა შეჰკრავს. მოიტანე ყირმიზის ვარდის ყუავილი ათი ღირჰამი, კოწახური და გავზაბანი ოთხ ოთხი ღირჰამი, თაბაშერი ჰინდი, ბოიანის ძირი, კიტრის თესლი და კევი ოროლი ღირჰამი, რევანდი ჩინი, სუმბული და ზაფრანა თვითო ღირჰამი, სრულად ესე წამლები დანაყე და გაცერ და ან კოწახურსა, ან ხართუთისა და ან ქასნის წყლითა მოზილონ და ამისგან ორი ღირჰამ ნახევარი ორი ღირჰამ ნახევარი ყურსები შექნან, ვისცა უნდოდეს
და ან ეპირებოდეს ამისაგან თვითო ყურსი ან ჰამონ, ან წყლითა გა-
30 ლესონ და სვან, ღვიძლსა, სნებასა და ცხელებასა სამსავე არაგებს.

ყურსი ქაჭრაბა, ვითამცადა ქარვის ყურსიო. აწე ამა ქარ-
ვის ყურსის ხასიათი ეს არის, კაცი რომე სისხლსა ფსემდეს და ან სისხლზედა იარებოდეს და ან სისხლსა არწყევდეს და ამა ყურსისა-
გან ან სვას და ან ჰამოს, იმას სამსავე უშველის. გერჩივნოს სენისა-
გან სკირდეს და გერჩივნოს სხვის საქმისაგან, ყუელასა უშველის, და სოკოსა და სოკოსა ქარისათვის მწოვედ კარგი არის. მოიტანე ქარ-
ვა და ნიგუზის ხის ხავსი, რომე აქიმნი ოდუნ უსულსა უძახიან, ხუთ ხუთი ღირჰამი ნიახურის ძირის ქერქი და თრიაქი, სამ სამი ღირჰამი,

ბროწეულის ყუავილი, ვაცის წვერა და საკმელი ორ ღირჭამ ნახევარ ორ ღირჭამ ნახევარი. ესე წამლები სრულად დანაყონ და გაცრან და ან თუ-
თუბოს და ან კოწახურისა და ან მაყულის წვენითა მოზილონ და
ორორი ღირჭამი ყურსები შექნან. მაგრა ასრე უნდა ამა წყლებითა
რომლითაცა ¹.... ქოთნითა ცეცხლზედა შემოდგან და მანამდისი აღუ-
ლონ, რომე მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს და მერმე მოზილონ
და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ეკირებოდეს, ამა ყურსებისაგან
თვითო ყურსი ამავე კოწახურისა ან მაყულისა და ან ხართუთის წვე-
ნითა გალესონ და ისრე ასეან, კაია ამა სენებისათვის.

10

აო. კარი მხსამოდან ცხრა. ლუჯუგისა და ხუჯუჯიგისა.

ლ უ ყ მ ა ნ აქიმმან თქუა: ადამის ტომისა ძვალსა და ასოშიგა შეი-
დი ფერი ასეთი სენი და ჭირი არისო, რომე ამა შეიდის სენისაგან უფ-
რო ავი და ძალიანი ტკივილი არ იქნებისო. პირველ ფილენჯი და ფი-
ლენჯის ქარი, რომე კაცსა ხელ ფეხი და ან ენა შესტაცოს, მეორე ასო-
ებისა, სახსრებისა და ძარღვების ტკივილი, მესამე უთესლობა რომე
დაბადებითგან კაცსა თესლი არა ჰქონდეს, მეოთხე კოლინჯი და-
ამისივე ქარი, მეხუთე სოკო და სოკოს ქარი, მეექვსე თვალისა და
ყურის ტკივილი, მეშვიდე კბილის ტკივილი.

20

აწე ლ უ ყ მ ა ნ აქ ი მ მ ა ნ ერთი ასეთი მაჯუნი გააკეთა, რომე,
ესე ერთი მაჯუნი იმა შეიდსა სენსა უშველის. აწე ამა მაჯუნისა და-
ლუყის შექნა ასრე უნდა, მოიტანე ჯავზი ბაკა, სანანებელი, მიხაკი,
ჰილი, სადიჯი ჰინდი, დარიჩინი ამილა და სუმბული ².

ს ა ზ ა ბ ი ს ზ ე თ ი ს ხასიათი მხურვალე და ხმელი არის, კაცსა
რომე სიგრილისაგან წელნი სტკიოდეს და ქარი უვლიდეს, და ესე

¹ ტექსტს აქ ერთი ფურცელი აკლია. ამ გვარის აშინაზე დედნის ხელით
სწერია „დედას წიგნს აკლდა ფურცლები“.

² აქ ტექსტი წყდება და ნახევარი გვერდი უცარიელი ალაგია დატოვებუ-
ლი. ამ ცალიერ ალაგზე არა დედნის ხელით სწერია: „ასრე უნდა გოგარა აყი-
როს გაკეთებაჃ: მოიტანე აყირო ჩავილი, გარეთ ქერქი კარგა გათალე და შიგნით
გული გამოართავი და წარილად დაჭარ, რამთენი აყირო დასჭრა იმადენი შიშვის-
ცხრის დაუმა დასჭარ, ერთად შეყარე და კარგად დანაყე რომ გერთადეს, მერმე
გარდადნე და ბადია ჯამში გარდაწურე, მერმე კარგა მოაქნე რომ გათეთრდეს,
ქაშნურაში ჩადე. სიმხურველით რომ კაცი ავად იყოს და ან ასოები და სახსრები
სტკიოდეს და ან სტკიოდეს ორჯელ სამჯერ იმთ დაიხილოს ეშველება. თუ კაცი-
სიგრილიდ ავად იყოს, თოიტანე შიშვის ცხრის დუმა, თახალად დათალე და კარ-
გად დანაყილოს ჯავზით და ტიტე და ერთმანერთხედ დაწყე, ერთ ღამეს ისრე
იყოს, მეორეს დღეს დადნე, ბადიას ჯამში გარდმოწურე მოაქნე კარგად. კაცი
რომ სივდეს დან სახსრები და ასოები სტაკიოდეს, ამით დაიხილოს და ეშველება,
ქაშნურის ქოთანში უნდა ჩადვას და შეინახოს“.

30

ზეთი ცეცხლის პირსა შეიცხოს, წელის ტკივილს და ქარსა ორსავე უშველის.

კაცსა რომე თირკმელნი სტკიოდეს და ესევე ზეთი იმავ რიგად შეიცხონ, თირკმელის ტკივილსა უშველის. და თუ უზომიან კაცმან ესე ერბო სვას, დასუსტებულსა ძარღვებსა დააძალიანებს და თუ ესე ზეთი თბილ თბილი კაცმან ყურშიგა ჩაიწვეთოს, უსათუოდ სუ-
დაებსა გაუხსნის, და თუ კაცმან აბანოშიგა ესე ზეთი ექუსი ღირ-
ჰამი სვას, ხელ ფეხისა და თავის თრთოლასა უშველის, მაგრა ამა სენისათვის მრავალჯერ დაცდილი არის.

10 თუ დედაკაცსა საყმარწვილო გამოექცეს და ან ასტკიოდეს, ამა ზეთითა მუცელი და კიპი დაიზილონ და სამი ღირჰამი ვარდის წყლი-
თა გაუღესონ და ასეან. საყმარწვილოსა, მუცლის ტკივილსა და კიპის გრეხასა სამსავე უშველის. და კაცსა რომე ავის ხილთისაგან ყოლინჯი შეექნას და მუცელშიგან შეკრას, და ამისაგან ორი ღირჰამი სვას, იმასაცა უშველის.

ბოლო ამ რიგად რომე კაცმან ორჯერ სამჯერ თბილ თბილი შეიცხოს, ასეთი სიგრილის სენი კაცსა არა ექირეების, რომე ამან არ უშველოს, და ტანისა და ასოდალმან არ გაუგდოს.

აწე ამა ზეთის გამოხდა ასრე უნდა: მოიტანე ახალი და ნეღლი
20 საზაბი, დანაყეთ და წყალი გამოჰხადეთ და ორასი ღირჰამი ამა სა-
ზაბისა წყალი ერთსა კოკობშიგა ჩაასხან და ამაზედა ასი ღირჰამი ან შირლიღინისა და ან ნიგუზისა, და თუ ესეები არ იყოს სელის ზეთი დაასხან და კარგად აურიონ, და მანამდისი ადუღონ რომე წყა-
ლი წავიდეს და ზეთი დარჩეს და მერმე ერთსა მინაშიგა ჩაასხან, შეინახონ და იხმარონ.

ხანთაღას ზეთის ხასიათი ეს არის, კაცსა რომე სიგრი-
ლისაგან ან თავი და ან საფეთქლები სტკიოდეს, ან ასო და ან სახ-
სრები სტკიოდეს, და ან ქარი უვლიდეს და ესე ხანთაღას ზეთი
30 გაათბოს და მტკივანსა ალაგზედა შეიცხოს, ტკივილსა მაშინვე უშ-
ველის.

კაცი რომე ბალღმისა და ან სევდისაგან ავად იყოს და ამა ზე-
თისაგან ან სამი და ან ზეთი ღირჰამი თბილის წყლითა გაღესონ
და სვას, მაშინვე კაცსა ბალღამზედა გახსნის და ბალღამსა და სეე-
დასა დაალურევიანებს, და ქარსა და სიგრილესა გაუგდებს.

კაცი რომე მწოვედ შეკურით იყოს და ესე ზეთი ძროხის ნა-
ვლეღშიგა გაღესონ და გაათბოს და კიპზედა დაადვას, მაშინვე გახ-
სნის. კაცსა რომე მუცელშიგა ან გველი და ან სხვა მძრომელი უჯ-
დეს, და ან კიპი და ნამაზ ბურღი ასხდეს და სამი ღირჰამი ესე

ზეთი თბილის წყლითა გალესოს და სვას, მაშინვე დაჰხოცს და გამოჰყრის.

ვინცა ესე ზეთი თავსა და წვერ უღვაშზედა შეიცხოს, ყოვლის თმის ცვიენა უშველოს და თმა გაამაგროს. ვისცა ყურშიგა ჰია ესხას და ან ყური სტკიოდეს, და ესე ზეთი, თბილ თბილი ყურშიგა ჩაიწვეთოს, მაშინვე ჰიასა დაჰხოცს და ყურის ტკივილსა უშველის. ვისცა კბილი სტკიოდეს მოიტანე ესე ზეთი გაათბე და ცხურის მატყლშიგა მოზილე და მტკივანსა კბილზედა დაადევით, მაშინვე კბილის ტკივილსა უშველის, და რაცა სენი კაცსა სიგრილისა და ჭარისაგან სჭირს თბილ თბილი ესე ზეთი რომე შეისვას ყუელას უშველის.

აწე ამა ზეთის გამოხდა ასრე უნდა: მოიტანე ოთხი რათალი ამა ხანთალის თესლი, რომე ხუთას ოცი დირჰამი იყოს და ნახევარზედა დანაყე და ერთი რათალი შირლილნის ზეთი, და ან ამდენივ ნიგუზის ზეთი, და ან ამდენივ წიფლის ზეთი დაასხი, რომე ასოცდა ათი დირჰამი იყოს და კარგად ამოჰყლიტონ და მანამდისი აღუღონ, რომე ზეთი მოსქელდეს და თესლის ძალი და ხასიათი ყუელა ერბოშიგა გამოვიდეს, მერმე გაწურონ და მინაშიგა ჩაასხან და იხმარონ, ზეთი იქნების¹.

ვარდის ზეთის ხასიათი მოჰთადილი არის, ვითამცა არცა მხურვალია და არცა მწოვედ გრილი, და შეზავებული არის მხურვლის ვარამებისა და სიმსივნისათვის მწოვედ კარგი არის, კაცმან რომე ესე ვარდის ზეთი თბილ თბილი შეიცხოს, დამალის სიმხურვალისათვის მეტად კარგი არის, დამალსა მწოვედ ძალსა მისცემს და კაცსა ჰკუასა და გულის ყურსა მოუმატებს. და კაცი რომე მუცელშიგა მწოვედ გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს. ვინცა ესე ვარდის ერბო ცივის წყლითა გააყენოს და ცოტა ძმარი გაურიოს და მუნზედა შეიცხოს, მუნსა და ჰეცსა ორსავე უშველის, და ყოვლის მხურვლის სენისათვის კაია.

ვისა და ლულუფრის ზეთი გრილი და ნედლი არის და რაცა ხასიათი ყუავილსა აქუს, ისივ ხასიათი ამისავე ზეთებსა აქუს. კაცსა ძილსა მოგურის, და რაცა კაცისა გულსა და გვამშიგა, ტანსა და ასოშიგა სიცხე და სიმხურვალე აქუს, სრულად ყუელასა გაუგდებებს და გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს და ძალსა მისცემს.

კაცსა რომე სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს და ეს ლულუფრის ზეთი თავსა და მტკივანსა ალაგზედა შეი-

¹ ეს სამი სიტყვა გვერდის აშიაზეა გატანილი დედნის ხელით.

ცხოს, თავის ტკივილსა უშველის. თუ მარტვილსა ხუელა სკირდეს, მოიტანე ესე იის ზეთი და ცოტა ცვილი გაურივე და გაათბე, რომე ცვილი გადნეს და ხუელეებიანსა მარტვილსა გულსა და მკერდზედა სამოსლისა ნაქერითა გარდაკარით და მაშინვე ხუელასა უშველის. და კაცსა რომე დამალი გაუხმეს და ესე იის ზეთი ცხვირშიგა ჩაიწვე-
10 თოს, მაშინვე დამალსა გაუნდლებს.

კაცსა რომე წვერი ან ულვაში, წარბი ან წამწამი და ან სხვა
10 თმა და ბალანი სცვიოდეს და ესე იის ზეთი შეიცხოს, ბეწვის ცვი-
ნასა უშველის და აღარ გასცვივის და სხვასაცა გამოასხამს. აგრევე
20 ზიყნაფასიანი კაცი რომე აბანოშიგა შევიდეს და როდისცა კარგად
გახურდეს და ან ოფლმან დაასხას, ამა ზეთებისაგან ორი ღირჰამი
სვას, ზიყ ნათასა უსათუოდ უშველის. მაგრა ასრე უნდა ყოველსა
სწოროზედა ამავე რიგად აბანოშიგა შევიდოდეს და ამავე რიგად ორსა-
ღირჰამსა ზეთსა სვემდეს და უშველის.

აწე ამა იისა, ლულუფრისა და ვარდისა, სამისავ ზეთების გა-
მობნდა ასრე უნდა: მოიტანე ახლად დაკრეფილი იისა, ლულუფრისა
და ვარდის ყუავილი, რომელიცა გინდოდეს ორმოცი ღირჰამი და
ასი ღირჰამი ან შირლიღნისა და ან ნუშის ზეთი ქენ და ამა ყუავი-
20 ლებსა ზედა დაასხი და კარგად ამოკულიტე და ერთსა კიქაშიგა ჩა-
ასხით და იმავე კიქითა მზესა გაუდგით ოცსა დღესა, და რა ოცი
დღე გამოვიდეს გამოწურეთ და ყუავილების ერბო იქნების და რა-
დისცა გინდოდეს, იხმარებდით.

კიდევ სხვა რიგი ამავე გრილის ყუავილების ზეთების გამოხდა:
მოიტანე ან ნუშისა და ან შირლიღნის თესლები და ნახევარზედა
დანაყეთ და რომლისაცა ყუავილისაგან გინდოდეს წესისაებრი ესე
ყუავილი ზედა დააყარე და კარგად ამოკულიტე და ორმოცსა დღესა
მზესა გაუდგი, მერმე ყუავილი და თესლი ერთად დანაყონ და ცო-
ტა თბილი წყალი შიაფქუიონ და ზეთი გამოჰხადონ, შეინახონ და
ყუავილების ზეთი იქნების.

30 ა ს ი ს ზ ე თ ი, ვითამცა და მარსინის ზეთიო. ესე მარსინის ზე-
თი გრილი და ხმელი არის, ამისი ხასიათი ეს არის, კაცსა რომე
სიმზურვალისაგან თავი სტკიოდეს და ან ძარღვები ასდგომოდეს და
სისხლი სკარბობდეს და ესე ზეთი შეეცხოს ყუელასა უშველის. კაც-
სა რომე თმა გასცვივროდეს და ან ახლად სცვიოდეს და ესე ზეთი
შეიცხოს, კაის თმასა გამოასხამს და რაცა ასხია იმას კი დაამაგრებს
და თმასა მწოვედ დაუწმდეს. კაცმან რომე ესე ზეთი ტლედ ქნას და
თავზედა დაიდვას, უსათუოდ თმასა გაუგრძელებს და გაუხშირებს.

აწე ამა მარსინის ზეთის გამოხდა ასრე უნდა: მოცინე შირ-
ლილნის ზეთი ოთხნახევარი რათალი, რომე ექუსას ორმოცეაი ი
ღირჰამი იყოს და ახალი მარსინის ფოთოლი ორიათას ექუსასი ღირ-
ჰამი და ცოტად დაჯექეთ და წყალი დაასხით, დაალბეთ და ერთსა
დღე ღამესა წყალშიგა ამყოფეთ და მერმე ამა ფოთოლსა წყალი
გამოჰხადეთ და ზეთშიგა ჩაურთეთ და მანამდისი ადუღეთ, რომე
წყალი სრულად წავიდეს და ზეთი დარჩეს და მარსინის ზეთი იქ-
ნების და უნდა იხმარონ.

10 [ო.გ] **ქარი მხნამოცდაცამხთი. შარად შმრადისა შარბათიგისა
ხასიათებსა და შმძნასა შიკმომოგს.**

აწე ყოვლსა ფერსა შარბათსა თავ თავისავ ყუაველისა, ხი-
ლისა და ბალახის ხასიათი აქუს. აწე შარბათების შექნის წე-
სი და რიგი ასრე არის, რომე ერთი წელიწადი ოთხი ფას-
ლი არის ვითამცა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთა-
რი, და ვისცა ამა შარბათების შექნა უნდოდეს ასრე უნდა: თუ
ესე შარბათები ზამთრის დღეთა შექნან, ყოვლისა ამა ხილებისა,
ბალახებისა და წამლებისა ძირები უნდა ჰქნათ, თუ გაზაფხულზედა
შექნათ, ყოვლისა ამა ხილებისა და ბალახებისა ახლის ფოთლისა
და ზაფხულის ყუაველისაგან უნდა ჰქნათ, და თუ შემოდგომაშიგა
შექნათ, ყოვლისა ხისა და ბალახის ხილებისაგან უნდა ჰქნათ და
რომელიცა ან ხილი, ან ყვავილი და ან ბალახები და ან ამისივ ძი-
რები და თესლები ნედლი იყოს, რომე ამათგან წვენი გამოიხდებო-
დეს, დანაყონ და წყალი გამოხადონ და რარიგადაცა შარბათის შექ-
ნის წესი და რიგი იყოს და ან ამა წიგნშიგა დაგვეწეროს, იმრიგად
შარბათები ქენით. და რომელიცა ან ხმელი ბალახები და ძირები, ან
ხმელი თესლები და ხმელი ყუაველები იყოს, რომე მისგან წყალი არ
გამოვიდეს, დაჯექეთ და წყალი დაასხი და მანამდისი ადუღონ, რომე
იმა თესლებისა და ბალახებისა ძალი და ხასიათი ყუელა ამა წყალ-
მან გამოიღოს, მერმე კარგად ამოჰყლიტეთ და გაწურეთ და რარიგა-
დაცა შარბათის შექნის წესი და რიგი იყოს, და ან ამა წიგნშიგა
დაგვეწეროს, იმრიგად შარბათები ქენით.

აწე ამა შარბათებისა შექნა ასრე უნდა: რომლისაცა შარბა-
თისა შექნა გინდოდეს ამ რივად წყალი გამოჰხადეთ, და ესე გამო-
ხდილი წყალი ერთი პირი წამოდუღეთ და ქაფი მოჰხადეთ, და
მერმე, თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა, ესეცა წამოდუღეთ და
ამათაცა ქაფი მოჰხადეთ და კუერცხის ცილითა დაახალასეთ, და
თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა ორი წილი ან თაფლი და ან შაქარი
უნდა ჰქნათ და ერთი წილი რომლისაცა წამლისა შარბათი გინდო-

დეს მისი წვენი, და თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა ამ რიგად შექნათ, რომე მისი წესი და რიგი ამა წიგნშიგა სწერია.

ბოლო გრილის სენის შარბათები თაფლითა და მხურვლის ბალახებითა უნდა შექნათ, და მხურვლის სენის შარბათები შაქრითა და გრილის წამლების წყლით უნდა ჰქნათ.

10 და რომელიცა შარბათი მუცელშიგა შესაკრავად გინდოდეს, თაფლითა უნდა ჰქნათ, და თუ მუცელშიგა გასახსნელად გინდოდეს, და შაქრითა. და ესე შარბათები თაფლითა ჰქნათ თუ შაქრითა ამდენი და ასრე ზომიერი ჩაურივე რომე ესე შარბათი მწოვედ ტკბილი არ იყოს და წყნარად და წყნარად და ნელად მანამდისი უნდა აღუღონ რომე, რისაცა შარბათსა შეიქმოდეთ მისმან სულმან ამოდენა დაიწყოს და მოსქელდეს და ყავამზედ მოვიდეს.

და შაქარი იყოს თუ თაფლი, იმა წამლის გემო შეეტყობოდეს და, თუ ესე შარბათები ზამთრის დღითა შექნათ, უფრო მოთხო უნდა შექნათ, და თუ ზაფხულის და ან სამგზავროდ შექნათ, უფრო მოსქო შექნათ, აშისათვის რომე არ დამეავდეს.

20 და რა ესე შარბათები ავადმყოფსა კაცსა ასვით, ასრე უნდა, გრილი შარბათები კიდევე გრილის ბალახების წვენითა გამოჰხადოს და ამა წყლებითა გალესონ და ისრე ასვან. და რა ნიეთიცა წონითა ეს შაქრის შარბათი იყოს ორი ამა შარბათის წონა, ამა გრილის ბალახების წვენი ქენით გაულესეთ და ისრე ასვით, გავზაბანის წყლითა ან ქანისის წყლთა, ან ლულუფრის წყლითა, ან უშაბუნისა და მეთუნას წყლითა, ბოლო რომელიცა იყოს, ამ რიგად რომე დაგვიწერია, გაულესონ და ისრე ასვან, და რომელიცა მხურვალი შარბათები იყოს კიდევ იმავე რიგად მხურვლის ბალახების წყლითა გაულესონ და ისრე ასვან¹ ცერეცოჲსა, კამასა, ტუხტისა და ან გვირილას წყლითა გაულესონ და ისრე ასვან. და თუ ესე მხურვლის ბალახების წყლები არ დაგესწრას ამავე რიგად ერთსა წონასა შარბათზედა ორი წონა თბილი წყალი დაასხან შარბათად გაულესონ და ისრე სვან. და ვისცა 30 ეჭირებოდეს, და ან ამა შარბათის სმა უნდოდეს, თორმეტის ღირჰაიდიდამან ოცდახუთსა ღირჰამამდისინ უნდა² სვან. რა ნიეთიცა ავად მყოფსა გულმან და სტომამან გაიწყოს და მოიხდინოს იმდენი უნდა ასვან. და თუ ამა შარბათებსა წყლის მაგიერად წვიმის წყალსა უზამთ, მწოვედ სჯობს და წყლისაგან უფრო სუბუქიცარის და აღრეცა მოიღნობს.

¹ ამის გასწვრივ აშიაზე სწერია დედნის ხელით. „და თუ ესე წამლების წყლები არ დაგესწროს, ცივის წყლითა იმავე რიგად გაულესეთ და ასვით.“

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

სანდლის შარბათის ხასიათი გრილი და ნედლი არის. კაცსა რომე ღვიძლი სტკიოდეს და ან მჯდომისა და ღვიძლისაგან ნაწყენად იყოს, ან კაცსა სურავენდი გულსა და სტომაქშივა ჩამოუვიდეს და ესე სანდლის შარბათი ასეა, მჯდომისა და ღვიძლსა ორსავე უშველის, იარაყანსა და სურავენდსა ორსავე არგებს. კაცსა რომე ღვინისაგან ღვიძლი და ან ფირტვი სტკიოდეს და დაკოდელი ჰქონდეს, ღვიძლსა და ფირტუსა ორსავე გაუმთელებს. კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან გული და ღვიძლი ეწოდეს, იმას ორსავე უშველის და გულის და ღვიძლის წვასა გაუგდებს და სიცხესა და სიმხურვალესა დაავსებს. კაცი რომე მწოვედ მუცელშივა, გახსნით იყოს, მუცელშივა შეჰკრავს, კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, ამას უშველის.

10 კაცსა რომე მწოვედ რწყევა აუვარდეს და ესე შარბათი სვას რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუუგდებს, რწყევასა დაუქერს და გულსა მოუსვენებს და მოუგრილებს. კაცსა რომე ვარამი სჭირდეს და ან შიგნით და ან გარეთ სივდეს და ესე სანდლის შარბათი ასეა, მწოვედ კარგად უხამს.

20 კაცსა რომე სიმხურვალისაგან სისხა სჭირდეს და კიდეცა სივდეს და ან მეტისა სისუსტისაგან კაცსა გული უფეთქდეს და უთრთოდეს, მისთვის მწოვედ კარგი არის, და ყოვლის მხურვალის სენისათვის კაი და მარგე წამალი არის.

აწე ამა სანდლის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე რომელიცა შარბათად სანდალი¹ გინდოდეს და ვარდის წყლითა გაღესეთ და რა ნივთიცა წონითა ესე სანდლის წვენი იყოს, ორი ამა სანდლის წონა შექარი ჩააგდეთ და ნელად და წყნარად აღუღეთ, რაეამცა მოსქელდეს და ყვაგამზედა მოვიდეს გარდმოიღე და სანდლის შარბათი იქნების, როდისცა გინდოდეს სვემდი, ყოვლის მხურვალის სენის წამალია.

30 უდის შარბათის ხასიათი მხურვალი და ხმელი არის, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, კაცსა საქმელსა მოაქარებებს, კაცი რომე მუცელშივა გახსნით იყოს, მაშინვე შეჰკრავს, მეტადრე მაშინ, რომე ესე უდის შარბათი ბიის წვენითა გაუღესონ და ისრე ასვან. კაცსა რომე პირშივა ავი სული უდიოდეს იმას გაუგდებს და კარგსა სულსა ამოადენს, გრილისა ხაფაყანისათვის და გრილისა სისხისათვის, ორისათვისვე მწოვედ კარგი არის.

აწე ამა უდის შარბათის შექნა ასრე უნდა მოიტანე სპმოცი დირჰამი უდი ჰინდი და მომსხოდ დანაყე და ექუსი რათალი წყალი

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელის.

დაასხი რომე შეიდას ოთხმოცი ღირჰამი იყოს და ერთსა დღესა და ღამესა ამა წყალშიგა ამყოფეთ, მერმე ამდენი ადულღონ, რომე ოთხის წილის წყლისაგან სამი წილი წავიდეს და ერთი წილი დარჩეს, მერმე გაწურონ და ხუთასი ღირჰამი შაქარი გაურიონ, და თუ თაფლისა გინდოდეს კიდევ ამდენივ თაფლი გაურიონ და მანამდისი წყნარად ადულღონ, რომე მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, მერმე ორის მუხუდოს წონა მუშკი, ვარდის წყლითა გააყენონ და ესეცა ამა შარბათშიგა ჩაურივეთ და კარგად ამოზილეთ და უდის შარბათი იქნების და სვით.

10 რევეანდი ჩინის შარბათის ხასიათი მწოვედ გრილი და ნედლი არის, კაცსა რომე ღვიძლი სტკიოდეს და ან ფირტივი ღვინისაგან დაკოდელი და დაპობილი ჰქონდეს, ან სიცხისა და სიმბურვალისაგან კაცსა გული და ღვიძლი ეწოდეს და ორჯერ სამჯერ კაცმან ზედა ზედ უზმომან ესე შარბათი სვას, ამას ყუელასა უშველის, და გულისა და ღვიძლის წვასა გაუშვებს, და ღვიძლისა და ფირტივის ტკივილსა უშველის.

და თუ კაცსა ღვინისა და სიმბურვალი აგან ღვიძლი დაპობილი აქუს იმას ისრევე ერთმან ერთზედა გამოაბამს. კაცსა რომე მჯღომი და ან ცხელი ვარაში სკირდეს და კაცი სივდეს, მწოვედ კარგად უზამს, სიცხესა და სიმბურველესა გაუგდებს.

20 კაცსა რომე სნება ან ცხელება ან იარაყანი, ან მხურვალი სისხა და ხაფაყანი სკირდეს და ღვიძლისაგან ავად იყოს, ან ყუავილმან და ასპამან დაჰყაროს და ამა რევეანდისა შარბათი ასვა, ან წყალშიგა დაალბონ და უშაქროდ ამა რევეანდის წყალი ასევან ღთისა შეწეწენითა მაშინვე ყუალასა უშველოს, და ყუავილი არის თუ ასპა, მაშინვე გარ გამოყრის.

კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს და ან შარბათად და ან წყალშიგა დამბალი სვას, მაშინვე მუცელშიგა გახსნის და სიცხესა და სუმბურვალესა ყუელასა თან გაატანს, და კაცსა ავის ხილთისაგან გასწმენდს, და რაცა სიმბურვალისა სენია ან საოფლე, ან ცხელება, ან ღვიძლი, ყუელასათვის აქიმი და წამალი არის.

30 აწე ამა რევეანდის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე რევეანდი ჩინი და წურილად დაქერ და რა ნივთიცა გინდოდეს წყალი დაასხით და ერთსა ღამესა ამა წყალშიგა ამყოფეთ, და მეორესა დილასა გაწურე და რა ნივთიცა წონითა ესე რევეანდის წყალი იყოს ორი ამა წყლის წონა შაქარი მოიტანე, ცოტა წყალი დაასხი, მოადულე და ქაფი მოჰხადე და კვერცხის ცილითა დაახალასე და მერმე ისი რევეანდის წყალი შიგ ჩაასხი, წყნარად და ნელად ადულღეთ.

რაეამცა მოსქელდეს და ყაეამზედა მოვიდეს, გარდმოიღე და რე-
ვანდის შარბათი იქნების, ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს ამა
რევანდისა შარბათისაგან ოთხის დირჰამიდალმან ათსა დირჰა-
მამდისი სვან, რა ნიეთიცა კაცისა გულსა და სტომაქსა დააშუნ-
დეს. და როდისცა ამა შარბათისა სმა გინდოდეს, ერთსა კოვზსა ამა
შარბათზედა ორი კოვზი წყალი დაასხან, გალესონ და ისრე სვან
მწოვედ კაია.

10 თემრი ინდის შარბათის ხსიათი მოჰთადილი და შე-
ზავებული არის, და მწოვედ გამხსნელი არის. კაცი რომე მუტელ-
შიგა მწოვედ შეკურით იყოს და ესე შარბათი სვას, მაშინვე გახსნის.
კაცსა რომე თავი და საფეთქლები სტკიოდეს, იმას უშველის, კაც-
სა რომე საკმელი გულზედა დასდგომოდეს და ემთილა შექნილიყოს,
იმას უშველის და მაშინვე საკმელს მოაქარავებს.

20 კაცი რომე ღვიძლნაწყენად იყოს, იმას უშველის, და ღვიძ-
ლსა გაამთელებს. ბოლო ღვიძლისა მწოვედ კარგი და აქიმი არის,
საფრასა და სისხლსა, ორსავე გააქარავებს. კაცი რომე ან სნებითა,
ან ცხელებითა, ან ღვიძლითა, და ან იარაყნითა ავად იყოს და ესე
შარბათი სვას, სნებასა, ცხელებასა და ღვიძლსა, სამსავე მწოვედ კარ-
გად უზამს, მაშინვე სიცხესა და სიმბურვალესა გაუგდებს, გულსა
და სტომაქსა დაუღმობს და ძალსა მისცემს. კაცსა რომე მწოვედ
30 რწყევა აუვარდეს, ან სტომაქი წყლითა არ უძღებოდეს და ესე შარ-
ბათი სვას, რწყევასა და წყურვილსა, ორსავე უკუუგდებს, წყურ-
ვილს მოუკლავს და სტომაქსა გაუძღებს და ყოვლსა მბურვალსა და
ცხელსა სენსა არგებს.

აწე ამა თემრი ჰინდის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე
თემრი ჰინდი და წურილად დაჩქლითე და კურკა გამოარჩივე, და ერ-
თსა დღე ღამესა წყალშიგა დაალბონ და მერმე კარგად ხელითა
ამოკვლიტონ და ჭაფქირითა—გაწურონ და ნაწური ქერქი კი გარ-
დაყარონ, და რა ნიეთიცა წონითა ესე თემრი ჰინდის წყალი იყოს,
30 სამი იმა წყლის წონა შაქარი მოიტანე ცოტა წყალი დაასხი, მოა-
დულე, ჭაფი მოჰხადე და ამა თემრი ინდის წვეწვედა დაასხი და
წყნარად ადულეთ და როდისცა მოსქელდეს და ან ყაეამზედა მოვიდეს
გარდმოიღე და თემრი ჰინდის შარბათი იქნების, როდისცა უნდო-
დეს წყლით გალესონ და სვან, მბურვლის სენების წამალია.

ბროწეულის შარბათი გრილი და ხმელია კაცსა რომე
სისხლისა და სიმბურვალისაგან და ან ღვინისაგან თავი და საფეთ-
ქლები სტკიოდეს და ესე ბროწეულის შარბათი სვას, თავისა და
საფეთქლების ტკივილსა მაშინვე უშველის, სისხლსა და სიმბურვა-

ლესა დაავსებს. კაცსა რომე სტომაქის თავი სტკიოდეს, ან ღვიძლ-
ნაწყენად იყოს, ან კაცი გულზედა სუსტად იყოს და ესე ბროწეუ-
ლის შარბათი სვან, გულსა, ღვიძლსა და სტომაქსა, სამსავე მწოვედ-
არგებს და დააძალიანებს, საფრას მოჰყუეთს და გააქარვებს, და კა-
ცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, მუცელშიგა შეჰკრავს.

კაცსა რომე რწყევა და ან წყურვილი აუვარდეს და ესე შარ-
ბათი სვას, რწყევასა და წყურვილსა ორსავე უკუუგდებს და ღვიძლსა-
უცხოფრად არგებს, და სიმხურვალესა გაუგდებს.

10 აწე ამა ბრაწეულის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე
ტკბილისა და მჟავის ბროწეულის წვენი სწორ სწორი ქენით და
ორივე ერთად აურივეთ დს მოადულონ და ამაშიგა ნახევარზედა და-
ჯექვილი პიტნა გამოხარშონ, ქაფი მოჰხადონ და გაწურონ და რა-
ნიეთიცა წონითა ესე ბროწეულის წვენი იყოს ამისი ნახევარი ქაფ-
მონდილი შაქარი გაურიონ და წყნარად ადუღონ და რაქამცა მოს-
ქელდეს და ყავაშზედა მოვიდეს გარდმოიღონ, და ბროწეულის შარ-
ბათი იქნების. ვისცა უნდეს ცივის წყლითა გაღესონ და სვან, კაია.

20 მჟავის ბროწეულისა, ხართუთისა და მაყულის ხასითი ეს არის:
ღვიძლს მწოვედ არგებს, კაცსა მუცელშიგა შეჰკრავს, კაცსა რწყევასა
და წყურვილსა დაუქერს და გულსა და სტომაქსა მოუგრილებს,
სნებასა, ცხელებასა, იარაყანსა და ყოველსა მხურვალსა სენსა არგებს,
სისხლსა და საფარსა დაავსებს და დააწყნარებს.

აწე ამისი შექნა ასრე უნდა: მოიტანე მეიხოში ბროწეული და
წვენი გამოჰხადე და ამდენი ადულე რომე ნახევარი დაიკლოს, მერ-
მე ამდენი შაქარი გაურივე რომე კარგად ტკბილი იყოს და ბრო-
წეულის შარბათი იქნების და თუ ოცსაოდე თავსა პიტნასა შიგ ჩაა-
კრით და შიგ გამოხარშავთ მწოვედ სჯობს და გულს ძალსა მის-
ცემს იცოდით.

30 ~~ლ უ ლ უ ფ რ ი ს შ ა რ ბ ა თ ი მ წოვედ გრილი და ნედლი არის~~
კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები
სტკიოდეს და ესე ლულუფრის შარბათი სვას, თავისა და საფეთ-
ქლებს ტკივილსა უშველის. კაცსა რომე გული სტკიოდეს და ან
გულსა უქირებდეს და სული უგუბდებოდეს და ესე შარბათი სვას,
გულის ტკივილსა, სულის გუბებასა ორსავე უშველის. ¹

კაცსა რომე ტყირპი სკირდეს, ტყირპსა კარგად უზამს და ხუ-
ელასა უშველის. კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, გულსა და
სტომაქსა დაუღობს და მუცელშიგა გახსნის, სიცხესა და სიმხურ-

¹ ამის გასწვრივ აშიაზე დედნის ხელით სწერია: „ვინცა ლულუფრის შარ-
ბათი სვას ზაფაყანი და სულის გუბება უშველის.

ვალესა დაუფსებს და გულსა უკუპყრის და სპემელსა მოაქარეებს, და ყოვლსა მხურვალსა სენსა და ავად ყოფასა ყუელასა კარგად უზამს, სნებასა, ცხელებასა, ღვიძლსა და იარაყანსა, ყუელასა კარგად უზამს, ამისი შარბათი ათის ღირჰამიდალმან ოცსა ღირჰამამდისინ არის, რომე კაცმან სვას, რა ნივთიცა სნეულის გულსა და სტომაქსა მოუხდეს და ან გაიწყოს.

- აწე ამა ლულუფურის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ლულუფური და კურწი დასწყუიტე და ზომიერი წყალი დაასხი და კარგად მოხარშე და გაანელთბილე და კარგად ამოქულიტე და გაწურე, და რა ნივთიცა წონითა ესე ლულუფურის წყალი იყოს, ორი, ამა წყლის წონა შაქარი მოიტანე და ამა ლულუფურის წყალშიგა ჩააგდე და წყნარად აღუღეთ და ქაფი მოჰხადეთ და კუერცხის ცილია დაახალასე და მანამდისი აღუღე რომე შაქარი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, მერმე გარდმოიღე და ლულუფურის შარბათი იქნების, როდისცა გინდოდეს და ინ ვისცა ეჭირებოდეს ამა შარბათისა ათის ღირჰამიდალმან ოცსა ღირჰამამდისინ არის, რომე სვან, რა ნივთიცა კაცისა გულმან და სტომაქმან მოიხდინოს წყლით გალესო და ისრე სვან, ყუელასათვის კაია.

- 20 იის შარბათის ხასიათი გრილი და ნედლი არის, და ესეცა ეთქმის, თუ მოჰთადილი და შეზავებული არისო. კაცსა მკერდსა, ხახასა და ყელსა დაუღობს და ხუელასა უშველის. კაცსა რომე ფირტვი სტკიოდეს და ან ხუელა სილად გარდაქცეოდეს ორისათვისვე მწოვედ კარგი არის. კაცსა რომე გული და მკერდი სტკიოდეს, ორსავე კარგად უზამს.

კაცსა რომე შირიმისა და ან სხვის სიმხურვალისაგან შარდი დაქირული ჰქონდეს, მაშინვე შარდზედა გახსნის. კაცსა რომე ფერდზედა მქუალი ერქვას და მწოვედ აქშინვებდეს იმას უშველის. კაცსა რომე თანგ ნაფასი სქირდეს და ესე იის შარბათი ასვა, იმასცა მწოვედ კარგად უზამს.

- 30 კაცსა რომე ავად ყოფაშიგა სლოკინი აუვარდეს, იმას უშველის და უკუუგდებს, და სნებისა, ცხელებისა, იარაყანისა და ღვიძლისათვის მწოვედ კარგი არის, და ყოვლსა მხურვალსა სენსა არგებს. მაგრა სტომაქსა აწყენს და დაასუსტებს, და ყუავილიანსა კაცსა მწოვედ აწყენს.

აწე ამა იის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ია და კურწი დასწყუიტე და მოდუღებულსა წყალშიგა ჩაყარე და სადამდისი სამოცსა და ოთხმოცსა დასთულიდე შიგ ხარშეთ და მერმე გარდმოიღეთ და კარგად ამოქულიტე და გაწურე და რა ნივთიცა ესე

იის წყალი იყოს, ორი ამა წყლის წონა შაქარი ჩაურევით, მოადუღე ქაფი მოჰხადე და კუერცხის ცილითა დაახალასე და ამდენი აღუღე, რომე შაქარი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს და იის შარბათი იქნების. როდისცა ამა შარბათის სმა გინდოდეს ათის ღირჰამიდალმან ოცსა ღირჰამამდისი უნდა სვან, რა ნივთიცა კაცისა გულმან და სტომაქმან გაიწყოს ცივის წყლითა გალესონ და სვან, მწოედ კაია ამა სენებისათვის.

10 ვარდის შარბათისა ცა ისრევ იასა და ლულუფარისავით უნდა შექნა, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, ტვინსა და დამალსა, ღვიძლსა და თირკმელსა ყუელასა არგებს, კაცსა გახსნის და ყოვლსა სენსა არგებს ბზითა ღთისათა.

20 გავზაბანის შარბათის ხასიათი გრილი და ნედლი არის ცხელებისა, სნებისა, იარაყნისა და ყოვლის მხურვლის სენისათვის მწოვედ კარგი არის. კაცსა რომე თავი ან ღვიძლი სტკიოდეს ორისათვისვე მწოვედ კარგი არის. გულსა, ღვიძლსა მჯდომსა და მხურვალსა ვარამებსა ყუელასა კარგად უზამს. კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს გახსნის, და გულსა და სტომაქსა დაუღბობს. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს და ან სისხლსა არწყევდეს და ან ღუესა სისხლსა ატანდეს და ან კაცი შიგნით და ან გარეთ სივდეს, და ესე გავზაბანისა შარბათი სვას, და ან უშაქროდ ამა გავზაბანის წვენი სვას, ამა სამსავე სენსა უშველის და ამისი ტლევცა მწოვედ კარგი არის, რომე ავადმყოფსა შემოსდვან.

30 აწე ამა გავზაბანისა შარბათის შექნა ასრე უნდა, მოიტანე ამა გავზაბანის ან ფოთოლი და ყოვილი და თუ გერჩივნოს დანაყე და წყალი გამოჰხადე, და თუ გერჩივნოს წყალშიგა მოხარშე და კარგად ამოკულიტეთ და რა ნივთიცა წონითა ამა გავზაბანისა წყალი იყოს ორი მისი წონა შაქარი ჩააგდე, მოადუღე და ქაფი მოჰხადე და კუერცხლის ცილითა დაახალასეთ და ნელად და წყნარად აღუღეთ და რაჟამცა შაქარი მოსქელდეს, და ან ყავამზედა მოვიდეს, გარდმადილეთ და გავზაბანის შარბათი იქნების. ვისცა უნდოდეს და ან ეკირებოდეს ცივის წყლითა უნდა გალესონ და სვან. ამისი შარბათი ასრის ღირჰამიდალმან ოცსა ღირჰამამდისი არის რომე სვან, რა ნივთიცა კაცისა გულმან და სტომაქმან გაიწყოს სვას. ესე იცოდით, ყოვლის მხურვლის სენის წამალი არის და მარგე.

ვარდის შარბათის ხასიათი მოჰთადილი არის. ვითამცა და არცა მწოვედ მხურვალი არის და არცა მწოვედ გრილი. ამა ვარდის შარბათი მხურვალსა ვარამებსა და სიმსივნებსა, ვითამცა და მჯდომსაო, მწოვედ კარგი არის. ტვინსა და დამალსა გაანედლებს და

ძალსა და წყალს მისცემს. გულსა, ღვიძლსა, თირკმელსა და ტყირ-
ქსა ოთხსავე მწოველ არგებს და ძალსა მისცემს, ტვინსა გულსა
და ღვიძლსა სამსავე აქაბუკებს. სნებასა, ცხელებასა და მჯდომსა
და ყოვლსა ვარამსა და სიმსივნესა არგებს, კეჟასა და გულის ყურ-
სა მოუმატებს.

10 კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს და ამა ვარდის შარბა-
თისაგან ოცდათი ღირჰამი ცივის წყლითა გაულესონ და დილასა
უზმოსა ასეან, კაცსა ძალად და უნებლიე გახსნის. და ვინ იცის ცი-
ვის წყლით გალესულმან არ გახსნას, აწყა ესეე ვარდის შარბათი
ორმოცი ღირჰამი ქენით და აწყა თბილის წყლით გაულესეთ და
უზმოსა ასეით და კაცსა უსათიოდ გახსნის და ხუთჯერ, ექუსჯერ
ასაქმებს და ყოვლის სიმხურვალისაგან გასწმედს.

ბოლო რაცა ამა წიგნშიგა მუსილები, ვითამცდა გასახსნელი
წამლები სწერია, ერთი თავი და გამორჩეული წამალი ეს ვარდის
შარბათიც არის, და ყოვლის მხურვლის სენისა მარგე და წამალი
არის.

მაგრა თუ ამა ვარდის შარბათსა კაცი ბევრსა სვამს, კაცსა
სუდასა შიაქს და კაცსა ფიცხლად გაათეთრებს.¹

20 აწე ამა ვარდის შარბათის შექნა ასრე უნდა, მოიტანე ვარდის
ყუავილი და ცოტას წყალშიგა მოხარშეთ და კარგად ამოქყლიტეთ
და გაწურეთ, მერმე ამავე ვარდის ყუავილი კიდევ ჩაყარეთ და კი-
დევე მოხარშეთ და ამოქყლიტეთ და გაწურეთ, და მესამე კიდევ იმ-
დენივე ვარდის ყუავილი ჩაყარეთ და ისეე ისრეე ისე მოადლეთ და
ამოქყლიტეთ და გაწურეთ და მერმე რა ნივთიცა სრულად ეს ვარ-
დი იყოს იმისი მეოთხედი წონითა შექარი ჩააგდეთ, მოადლეთ,
ქაფი მოჰხადეთ და წყნარად ადლეთ, როდისცა მოსქელდეს და
ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღეთ და ვარდის შარბათი იქნების, ვის-
ცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ცივის წყლითა გაულესეთ და
ასეით.

30 შარბათი დინარ ვითამცა¹ და ვენახის ღიქის შარბათიო,
რომე თათარნი ასლი ჰინდუბას უძახიან, ამისი ხასიათი გრილი და
ნედლია, ყოვლსა გვარსა ცხელებასა, სნებასა, ცივებასა, მხურვალსა
სენსა კარგად მოუხდების და მწოველ არგებს. და ან კაცსა რომე
ცხელება და ცივება²

¹ ამ გვერდის ქვემო აშიახე რვეულთა სათვალავი სწერია „ღე“ დედნის
ხელით.

² აქ ტექსტს ერთი ფურცელი აკლავ.

. . . ღეთ და ქათვი მოჭაღეთ და მანამდისი წყნარად აღუღეთ, რომე ნახევარი ჩაიშროს და ნახევარი დარჩეს, მერმე ამდენი შაქარი გაურიონ, რომე კარგად ტკბილი იყოს, და კარგად კიდევ აღუღონ, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღონ და უშხუნის შარბათი იქნების, ვისცა უნდოდეს წყლით გალესონ და სვან კაია.

10 კოწახურის შარბათი გრილი და ხმელი არის, კაცსა რომე სისხლი სქარბოდეს და ესე კოწახურის შარბათი სვას სისხლსა დაუწმედს და მოაკლებს, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს, ღვიძლსა მეტის მეტად ამთელებს და აქაბუკებს.

კაცსა რომე ღვინისაგან თავი სტკიოდეს ან ემთილა იყოს და ესე შარბათი სვას ამას ორსავე უშველის, კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს მუცელშიგა შეჭკრავს, რწყევასა და წყურვილსა, ორსავე უკუუგდებს. რაცა კაცისა ტანშიგა საფრა. არის ყუელასა გააგდებს და გააქარებებს, და რაცა კაცის წვლებშიგა ტკივილი არის, ყუელას გაუგდებს, და კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს, და ან სისხლს არწყევდეს და ესე შარბათი სვას, ორსავე უშველის. ჯერ ამა შარბათსა იხი სჯობს, რომე ესე კოწახური ცოტად დაჯეკონ, ვარდის წყალი შიასხა და სქამო.

20 აწე ამა კოწახურის შექნა ასრე უნდა: მოიტანე კოწახური დანაყე და წვენი გამოჭაღე და რა ნიეთიცა წონითა ესე კოწახურის წვენი იყოს ორი ამისი წონა ქაფმოხდილი შაქარი ჩაასხი, მოადუღე, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს გარდმოიღეთ და კოწახურის შარბათი იქნების ვისცა უნდოდეს ცივის წყლით გალესონ და მუდამ სვან.

ის რ ი მ ის შ ა რ ბ ა თ ი ს ხასიათი გრილი და ხმელი არის ყოვლის ფერის სიცხისა და სიმხურვალისათვის მწოვედ კარგი არის, სისხლისა სიცხარესა დააწყნარებს, საფრასა გააცულებს, გულსა და სტომაქსა ძალსა მისცემს. კაცსა რომე ღვინისაგან და ან სიმხურვალისაგან თავი და საფეთქლები სტკიოდეს, და ამა ისრიმის შარბათი სვას, თავის ტკივილსა და ხუმარობასა, ორსავე უშველის.

30 კაცი რომე ღვიძლ ნაწყენად და ან საგონებლისა და გულ შემოყრისაგან ავად და უგუნებოდ იყოს, და ამა მიზეზისაგან კაცსა შიგნით სიმხურვალე ჰქონდეს, ამას ყუელასა უშველის.

კაცი რომე თემმან იუცხოვოს და ან უცხომან წყალმან აწყინოს და ესე შარბათი სვას, მაშინვე უშველის, კაცი რომე მუცელშიგა გახსნით იყოს, შეჭკრავს, წყურვილს მოუკლავს და უკუუგდებს.

კაცსა რომე რწყევა აუარდეს, იმას მოჰკუეთს და უკუუგდებს. და დედაკაცსა რომე შვილი სწყდებოდეს და შვილი არ დაადგებოდეს და მუღმად ამა ისრიმის შარბათი სეას, მისთვისცა მწოვედ კარგი არის.

კაცი რომე ან გააციოს, ან გააცხელოს, ან იარაყანი, ან საოფლე ან შეექნას და შეიყაროს, ესე შარბათი ამა სენებისათვის მწოვედ კარგი არის. და ესეცა უნდა იცოდეთ, რომე რაცა მუავე ხილი არის თაბლი ჰინდის მეტი ყუელა შემკრველი არის.

10 აწე ამა ისრიმის შარბათის შექნა ასრე უნდა, მოიტანე ისრი-მი დანაყე და წყალი გამოჰხადე, მოადულე და ქათვი მოჰხადე და მანამდისი აღულე, რომე ოთხის წილისაგან ერთი წილი წავიდეს და სამი წილი დარჩეს, მერმე გაწურე და კიდევ ამდენი აღულე, რომე ამა სამი წილისიგან ერთი წილი კიდევ ჩაიშროს, მერმე რა ნიეთიცა ესე ისრიმის წვენი იყოს, ნახევარი ამისი წონა შაქარი ჩააგდე და წყნარად აღულე და რაქამცა მოსქელდეს და ან ყავამზედა მოვიდეს გარდმოიღონ და ისრიმის შარბათი იქნების. როდისცა უნდოდეს, და ან ვისცა ეჭირებოდეს, ცივის წყლითა გალესონ და სეან და რაცა სენი დაგვიწერია ყუელასა უშველის ძალითა და შეწვენითა ღთისათა.

20 შაჰთარას შარბათისა ხასიათი მწოვედ გრილი და ნედლი არის და მწოვედ გამხსნელი არის, გახსნისათვის და სიმხურვალისათვის თავი და გამორჩეული წამალი არის და თემრი ჰინდსა თუ არა სჯობს არას უარ არის. ცხელებისა, სნებისა, იარაყნისა და ყოვლის მხურვლის სენისათვის გამორჩეული წამალი არის, ღვიძლსა მწოვედ არგებს, ხილთებსა დაალობს და დაამწითებს, კაცსა მაშინვე მუცელშიგა გახსნის.

30 აწე ამა შაჰთარას შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე შაჰთარასა ან თესლი და ან ყუავილი, დანაყე და წყალი გამოჰხადე და ან კი მოხარშე. და რა ნიეთიცა წონითა ესე შაჰთარას წყალი იყოს, ორი ამისი წონა შაქარი ჩააგდე და მოადულეთ, ქათვი მოჰხადეთ და რაქამცა შაქარი მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღონ და შაჰთარას შარბათი იქნების.

ვისცა უნდოდეს წყლით გალესონ და სეან, და რაცა სენი დაგვიწერია, ყოვლის მხურვალსა და ხმელის სენისათვის თავი და გამორჩეული წამალი არის, მეტადრე შეკრულობისა, რომე კაცი სიმხურვალითა და ხილთებისა სიცხარითა შეკურით იყოს.

შარბათი დინარის ხასიათი ეს არის რომე, ყოვლსა ფერსა ცხელებასა და ცივებასა, სნებასა და იარაყანსა ყუელასა მოუ-

ლხენს და არგებს. კაცსა გულსა და სტომაქსა გაუწმედს, ღვიძლსა და ტყირპსა მწოვედ არგებს და სუდასა გახსნის და დამწვარსა ხილთებსა ტანისა და გვამიდაღმან გააგდებს.

აწე ამა ღინარის შარბათის შექნა ასრე უნდა როგორაცა აქავე ზემო მესამეს ფურცელზედა დაგვიწერია.

10 სიქანჯუბინის შარბათები. აწე ესე სიქანჯუბინის შარბათი სამი რიგი არის, თუ ესე თესლები და ბალახის ძირები არ ურევია იმას სიქანჯუბინი საია ჰქუიან, და თუ მარტო უძიროდ თესლები ურევია იმას სიქანჯუბინი ბუზური ჰქუიან, და თუ თესლები და ძირები ორივე ურევია იმას სიქანჯუბინი უნსული ჰქუიან ვითამცა და დიდი სიქანჯუბინიო.

აწე ამა სიქანჯუბინი უნსულისა და ბუზურის ხასიათი გრილი და ხმელი არის, კაცსა რომე ან სიმთურალისაგან, ან სისხლისა და საფრისაგან თავი სტკიოდეს და ესე სიქანჯუბინი გალესოს და სვას, სამსავე რიგს თავის ტკივილსა უშველის, სისხლსა დასწმედს და სისხლსა და საფრასა ორსავე გააქარეებს, სუდასა გახსნის, ღვიძლსა მწოვედ არგებს. და მოუგრილებს,

20 კაცსა რომე ტყირპი სჭირდეს და დილეულ დილეულად ესე სიქანჯუბინი ან თითითა ლოკოს, ან წყლით გალესოს და სვას ტყირპსა უშველის.

კაცსა რომე იარაყანი სჭირდეს, იარაყანსა მწოვედ არგებს, და მღულარეს წყალსა დაავებს. ვითამცა და სისხის პბრველსა თავის აღებასა სუი ყანინან ჰქუიან და ამას უშველის.

30 კაცი რომე შიგნით და გარეთ სივდეს, იმას ორსავე უშველის, ხილთებსა დასწმედს და ხილთების სიცხარესა დაავებს. კაცი რომე გულზედა ირეოდეს და ან მუდამ გულსა ცყრებოდეს, იმაებსა უშველის. კაცსა რომე ან სისხლისა და ან საფრისაგან და ან ბალღმისაგან ხუნამი სჭირდეს იმას უშველის. ცხელებასა და ცივებასა ორსავე კარგად უზამს. კაცსა წყურვილსა მოუკლავს, რწყევას უკუუგდებს, მუცელშივა შეჰკრავს.

კაცსა რომე შარდი დაჭირული ჰქონდეს, იმას გაუხსნის და უფროსი ერთხო- სტომაქსა კარგად დააშუნდების და ძალსა მისცემს. კაცსა რომე ან ბევრი საქმელი და ან ბევრი ხილი ექამოს და გულზედა დასდგომოდეს და ემთილა შეიქნას და ან კაცი გაბერვით იყოს, და ესე სიქანჯუბინი თითითა ლოკოს, ამას ყუელასა უშველის, მაგრა ხუელასა აწყენს და წელებსა აზიანებს და მკერდსა გაუხქელებს.

აწე ამა სიქანჯუბინი უნსულისა და ბუზურისა შექნა ასრე უნდა: მოიტანე ნიახურისა, ცერეცოსა და ვარდის კაქაქის თესლები

ხუთ ხუთი ღირჭამი და ამათივე ძირების ტყაეები, კიდევ ხუთ ხუთი ღირჭამი და კაი ცხარი ძმარი ასი ღირჭამი და წყალი ორმოცდაათი ღირჭამი. პირველ წყალი და ძმარი ერთად აურიეეთ და მერმე ისი თესლები და ძირები ყუელა დაჯეკონ და ერთსა დღესა და ღამესა ამა ძმარსა და წყალშიგინ დაალბონ და მეორესა დღესა მოადულონ და ამდენი ადულონ, რომე წყალი წავიდეს და ძმარი დარჩეს, მერმე გაწუროს და რა ნივთიცა ძმარი იყოს იმისი წონა გერჩიენოს შაქარი და თუ გერჩიენოს თაფლი იმა ძმარშიგა ჩაურიონ და ნელად და წყნარად ადულონ, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღონ და სიქანჯუბინი ბუზური იქნების, ვისცა სასმელად უნდოდეს ერთსა კოვზსა ამა სიქანჯუბინზედა ოთხი კოვზი წყალი დაასხან, შარბათად გალესონ და სვან და ჰკურნებს.

10 სიქანჯუბინი საიას ხასიათიცა კიდევე ამავ სიქანჯუბინი ბუზურსავითა არის, მაგრა სიქანჯუბინი ბუზური უფრო ნელლი და მოჭათილილი არის და ესე სიქანჯუბინი საია უფრო ხმელი არის. და თუ ისი სიქანჯუბინი ბუზური აღარ იყოს; ესე სიქანჯუბინი საიაც კიდევ იმისავ ალაგს ისაქმებს.

აწე ამა სიქანჯუბინი საიას შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი ლიტრა კაი და ცხარი ძმარი, რომე ღვინისაგან ქნილი იყოს და 20 თაფლით გინდოდეს თუ შაქრითა ამდენი გაურიეეთ, რომე ძმარსა ცოტა ძალი და სიმეავე მოჰყუეთოს, და თუ წონით გინდოდეს ერთი წილი კაი და ცხარი ძმარი ქენით და ორი წილი ან თაფლი და ან შაქარი ქენით, და ესე სიქანჯუბინები სტომაქ საფრანსა კაცსა უფრო მეავე უნდა შეუქნათ და სტომაქ ბალღმიანსა კაცსა უფრო ტკბილი ქენით, და კარგად ამოჰყლიტეთ, მოადულეთ, ქათი მოჰხადეთ, და თუ ორსაოდე პევშშიგა დაჰირეასა პიტნასაცა ჩაჰკრით, ისი სჯობს, და მანაძღისი ნელად და წყნარად ადულეთ, რომე მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღეთ და სიქანჯუბინი საია იქნების. როდისცა გინდოდეს და ან ვისცა ეჭირებოდეს, ერთსა კოვზსა ამა სიქანჯუბინზედა ოთხი კოვზი ცივი წყალი დაასხან, გაულესონ და ასვან, კაია.

30 ვაშლის შარბათის ხასიათი გრილი და ხმელი არის, კაცს დამალსა და ტვინსა დაუწუნდლებს, ღვიძლსა არაგებს, გულსა და ღვიძლსა ძალსა მისცემს. კაცსა რომე გული უტეუქდეს და ან უძგერდეს და ან უთართოდეს, სამსავე უშველის, ტანისა და სისხლისა ფერსა დაუწმედს და გაუკეთებს.

კაცი რომე მუცელშიგა გაბსნით იყოს შეჰკრავს, და სტომაქსა გაამაგრებს, საკმელსა ადრე მოაქარეებს, და კიდევე ახლად მოანდომებს და რწყევასა და წყურვილსა უკუუგდებს.

აწე ამა ვაშლის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ვაშლი, გაფცქუენ და გული გამოართვით, გაფცქუენ და გამოწურე. და მერმე ესე ვაშლის წყალი მანამდისი აღდულონ რომე, ნახევარი ჩაიშროს, მერმე რა ნივთიცა წონითა ესე ვაშლის წვენი იყოს, ამა ვაშლის წვენის ნახევარი შაქარი ჩააგდე, აღდუღე, ქაფი მოჰხადე და რაეამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღე და ვაშლის შარბათი იქნების, როდისცა გინდოდეს სვით, კარგი არის.

10 ეჯაზის შარბათი, ვითამცა ოტური ქლიავიო, გრილი და ნედლი არის, სისხლსა და საფრასა დააწყნარებს, ტანისა და სტომაქის სიმზურვალესა გაუგდებს, გულსა და ღვიძლსა მოუგრილებს და ძალს მისცემს.

კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, მუცელშიგა გახსნის, ცხელებასა, სნებასა, იარაყანსა და ყოვლსა მზურვალსა სენსა ყუელასა მწოვედ არგებს.

აწე ამა ინჯაზის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ოტური კაი ქლიავი და გაფცქუენ და კურკა გამოართვი და ერთი ლიტრა ესე ქლიავის ხორცი ერთსა ახალსა ქოთანშიგა ჩაყარე და ნახევარი ლიტრა წყალი დაასხი და ნელად და წყნარად აღდუღე, რომე წყალი სრულად ჩაიშროს და მერმე, რა ნივთიცა წონითა ესე ქლიავის ხორცი იყოს, იმისი ნახევარი წონა წმიდად დანაყილი შაქარი ჩაურივეთ და კარგად ამოზილეთ და კიდევ შემოდგან, რომე შაქარი და ქლიავი ერთგან შედედდეს, და ინჯაზის შარბათი იქნების, როდისცა გინდოდეს, ან ვისცა ეჭირებოდეს ცივის წყლითა გაულისონ და ასვან, ამა სენებსა ყველასა ჰკურნებს.

20 უნაზის შარბათის ხასიათი¹ გრილი და ნედლი არის, სიცხისა და სიმზურვალისათვის მწოვედ კარგი არის, სისხლსა დასწმედს და საფრას დააეცებს. კაცსა რომე სისხლისა და სიმზურვალისაგან თავი სტკიოდეს, და ამა უნაზის შარბათი ასეა, თავისა და საფეთქლების ტკივილსა უშველის.

30 კაცსა რომე ხველა სჭირდეს, მისთვის მწოვედ კარგია, გულსა და მკერდსა დაუღბობს. კაცსა რომე ხაფაყანი სჭირდეს, ხაფაყანსა მწოვედ კარგად უზამს. კაცი რომე მუცელშიგა შეკურით იყოს, მაშინვე გახსნის, მუცელსა და წელებსა, გულსა და სტომაქსა დაუღბობს და გულსა უკუჰყრის. სურდოსა და სურავანდისათვის მწოვედ კარგი არის. ყუავილიანსა, ცხელებიანსა, სნებიანსა და იარაყნიანსა კაცსა რომე ამა უნაზის შარბათი ასეა, ოთხსავე კარგად უზამს.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

კაცსა რომე სიმბურვალისაგან ტანზედა ჰყრიდეს, მისთვის მწო-
ვედ კარგი არის და ყოვლსა მბურვალსა სენსა არგებს. მაგრა მწო-
ვედ გამხსნელი არის და ზვიდსა, რვასა დღესა უკანა რომე კაცსა¹
გახსნისაგან აღარ ეშინოდეს და მაშინ ასვან, მწოვედ კარგად უზამს
და კარგად მოუხდების.

აწე ამა უნაბის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე კაი უნა-
ბი და ცოტად დაჯექე და ერთსა ღამესა წყალშიგა დაალბე და
მეორეს დღესა ასრე მოხარშონ, რომე უნაბი კარგად დადნეს და ძა-
ლი სრულად წყალშიგა გამოვიდეს და მერმე კარგად ხელითა გა-
10 მოკყლიტონ და წმიდასა ცხრილშიგა გაავლონ და ამრიგად გაწუ-
რონ და ამა უნაბის წყალი რომე ასი ღირჰამი იყოს, ასსა უნაბის
წყალშიგა ოცდათი ღირჰამი შაქარი უნდა გაურიონ და ნელად და
წყნარად ადუღონ, როდისცა მოსქელდეს და ან ყავამზედა მოვიდეს
გარდმოიღონ და უნაბის შარბათი იქნების, როდისცა სასმელად უნ-
დეს ერთსა კოვზსა ამა უნაბის შარბათშიგა ორი კოვზი ცივი წყა-
ლი დაასხან, გალესონ და სვან, ამა სენებს არგებს.

ხ ა შ ხ ა შ ი ს შ ა რ ბ ა თ ი ს ხ ა ს ი ა თ ი გ რ ი ლ ი და ნ ე ლ ლ ი არის,
ბაღლაშსა და საფრასა ორსავე გააქარეებს. კაცსა რომე სურდო და
სურავანდი სჭირდეს და ამა შარბათისაგან სვას, სურდოსა და სურა-
20 ვანდსა ორსავე უშველის. კაცსა რომე ახუელებდეს და ხუელასა სი-
სხლსა და ბაღლაშსა ატანდეს, მისთვის მწოვედ კარგი არის² და
უსათუოდ უშველის, და მაშინვე ხუელასა გაუშვებს და სისხლსა და
ბაღლაშსა მოსწყუეტს.

კაცსა რომე არ ეძინებოდეს და ესე შარბათი სვას, მაშინვე
ძილსა მოგურის. კაცსა რომე სუსუნაკი სჭირდეს, მისთვის კაი არის,
და კაცი რომე მწოვედ მუცელშიგა გახსნით იყოს, მაშინვე მუცელ-
შიგა შეჰკრავს.

აწე ამა ხაშხაშის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი
წონა თეთრი ხაშხაში და კარგად დანაყე და ოთხი ამა ხაშხაშის
30 წონა წყალი დაასხი და დაალბე, და მეორეს დღესა ამა წყლითა კარ-
გად მოხარშე და კარგად ამოკყლიტე და ვარდის წყალი ურივე, და
რა ნივთიცა წონითა ესე ხაშხაშის წყალი იყოს, ერთი იმისივე წონა
შაქარი ჩააგდე და ნელად და წყნარად ადუღე. რაემცა მოსქელ-
დეს და ყავამზედა მოვიდეს, გარდმოიღონ და ხაშხაშის შარბათი იქნე-
ბის. ვისცა სასმელად გინდოდეს, ერთსა ამა შარბათზედა ორი
კოვზი წყალი დაასხან და სვან, ამა სენებსა ყუელასა უშველის.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს ორი სიტყვა ტექსტში განწეორებულია.

მარსინის შარბათი გრილი და ხმელი არის, ხუელისათვის მწოვედ კარგი წამალი¹ არის. კაცი რომე სისხლზედა იარებოდეს და ესე შარბათი სვას, სისხლზედა ყუანასა უშველის და მაშინვე მუცელშიგა შეჰკრავს.

აწე ამა მარსინის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ხმელი მარსინის ხილი ორასი ღირჰამი და წყლითა მოადულონ, გამოჰყლიტონ და გაწურონ და რა ნივთიცა წონითა ამა მარსინის წყალი იყოს, ორი² იმისი წონა შექარი ჩააგდეთ, მოადულებთ ქაფი მოჰხადეთ, როდისცა მოსჰქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, ექუსი ღირჰამი ნარდანგი გაურიონ და ასის³ შარბათი იქნების. ვისცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს, ცივის წყლითა გალესონ და სვან.

კიდევ სხვა კაი და გამორჩეული ჯულაბი, რომე ამითა მჯდომსა და ვარამსა, ცხელებასა და სნებასა, ყუითელსა და შავსა იარაყნებსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა ესე ჯულაბი არგებს და სიცხესა და სიმხურვალესა გაუგდებს და კაცსა მაშინვე გახსნის, გულსა და ღვიძლსა მოუგრილებს: მოიტანე ჰერამი, უნაბი და ოტური კაი ქლიავი თხუთმეტ თხუთმეტი მარცვალი, თემრი ჰინდი და ტუხტი ათ ათი ღირჰამი, ქასნი, ია და ლულუფარი სამ სამი ღირჰამი, ესე წამლები დაჯეჰკონ და ერთსა ღამესა წყალშიგა დააღბონ და მეორეს დღესა გამოწურონ და უშაქროდ ასრე ამისი ჯულაბი ასვან, მწოვედ კაი ჯულაბი იქნების.

კიდევ სხვა ჯულაბი: მოიტანე ჰერამი, უნაბი და ქლიავი თხუთმეტ თხუთმეტი მარცვალი, გაზანგვი, თემრი ჰინდი და შაჰთარა ათ ათი ღირჰამი, ჰინძი და ია სამ სამი ღირჰამი და ტყავ გახდილი ოსპი ათი ღირჰამი, ესე წამლები დანაყეთ და ერთსა ღამესა წყალშიგა დააღბეთ და მეორეს, დღესა გამოწურონ და უშაქროდ ამისი ჯულაბი სვან. მაგრა ქლიავი, ჰერამი და უნაბი კი მოხარშონ და იმისი ნახარში იმა სხვის წამლების წყალშიგა გაურიონ და ისრე სვან, რაცა სიმხურვალისა და მჯდომის სენი სჭირს ყუელას უსათიოდ უშველის.

შარბათი რომე ნამთურალევისა და ხუმარის კაცისათვის მწოვედ კარგი არის, გულსა და ღვიძლსა მწოვედ არგებს, ხუმარობასა და თავის ტკივილსა ორსავე უშველის, სისხლსა და საფრასა დააცხრობს და დააწყნირებს.

მოიტანე კაი ქლიავი და უკურკო თემრი ჰინდი თვითო თვითო რათალი, რომე ასოცდათ ასოცდათი ღირჰამი იყოს და ორმოცდა

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩამატებული დედნის ხელით.

² ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის განმეორებული დედნის ხელით.

³ მარსინის.

თი ღირჰამი უნაბი და ეს სამიე ხილები ექუსის რათალის წყლით მოადუღეთ რომე სრულად ეს წყალი რეაასი ღირჰამი იყოს და ეს ხილები ამა წყალშიგა მანამდისი აღულონ, რომე სამის წილისაგან ორი წილი ჩაიკლოს და ერთი წილი დარჩეს, მერმე მოიტანე მქავის ბროწეულის წვენი, ნარინჯის წვენი და ვაშლის წვენი თვითოსაგან სამოც სამოცი ღირჰამი და ეს წყლებიცა იმა ხილების წყლებშიგა გაურჩვეთ და სრულად ამა წყლებშიგა ერთი რათალი შაქარი ჩაურჩვეთ, რომე ესე შაქარი ასოცდათი ღირჰამი იყოს, და ნელად და წყნარად აღულონ, რაქამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს გარდმოიღონ და ხუმარის შარბათი იქნების და ვისცა უნდოდეს და ან ეჭირებოდეს ცივის წყლით გალესონ და სვან.

10

სანანებლის შარბათი მხურვალი და ხმხლია, გრილსა ღვიძლსა და გრილსა სტომაქსა, და ან კაცსა რომე შირიმი სიგრილითა სქირდეს, ამას სამსაე უშველის, კაცსა რომე თირკმელნი და თესლის სადგომი ალაგი გასცივებოდეს, იმას ორსაე უშველის და გაუხურვებს და შარდი რომე დაქირული ჰქონდეს მაშინვე შარდზედა გახსნის. ცივებიანსა კაცსა რომე ასეა მაშინვე უკუუგდებს.

20

აწე ამა სანანებლის შარბათის ¹ შექნა ასრე უნდა: მოიტანე სანანებელი და მოსხოდ დაქერ, და ოცსა დღესა და ღამესა წყალშიგა დააღებთ, მეოცესა დღესა ამოიღონ და ერთსა ტაბაქზედა დაყარონ რომე წყალი შეიშროს და მერმე ერთსა ახალსა კოქობშიგა ჩაყარონ და ამდენი ქაფმობდილი თაფლი დაასხან, რომე სანანებელს კარგად ზედ მოექცეს და ამდენი ამავე სანანებლის ნამბლის წყლისაგან დაასხან, რომე თაფლსა ზედ მოექცეს და წყნარად და ნელად აღულონ, და რა ორი სამი პირი წამოიდუღოს სანანებელი სრულად ამოყარონ და კიდევ წურილად დაქრან და კიდევ ახლად ჩაყარონ. მერმე მოიტანე დარიჩინი, მიხაკი, პილი, ჯავზი ბაკა და ესე წამლები წონითა ოთხივე სწორ სწორი უნდა ქნანთ და ყუელა წმიდად დანაყონ და გაცრან და ერთის მუხუდოს წონა კაი მუშკიცა დანაყონ და გაცრან და ესეცა ამა წამლებშიგა გაურიონ, და მერმე სრულად ესე წამლები იმა თაფლსა და სანანებელშიგა გაურიონ და კარგად ამოზიღონ და თაფლი ყავამზედა მოიყვანონ და სანანებლის შარბათი იქნების, ვისცა უნდოდეს მოათბონ, წყლით გალესონ და სვან, კაი არის.

30

აბზინდას ბალახის შარბათი მხურვალი და ხმელია და ამისი ხასიათი ეს არის, კაცსა სტომაქი გაუცივდეს და წაუხდეს, რომე კაცი მართლად საქმელსა ველარ აღნობდეს, და იმას სამსაე

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ არის ჩანატებული დედნის ხელით.

უშველის, სტომაქსა გაათბობს და გააძალიანებს და ტყვიისა ტყვილისა და ტყვიისა სუდასათვის უცხოფრად კაი არის და მრავალჯერ დაცდილი.

აწე ამა აბზინდას ბალახის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ხმელი შავი ყურძენი და წყალშიგა დაალბე და მეორეს დღესა გამოწურე და ექუსას ორმოცდათი [დირჰამი] ეს ყურძნის წყალი ერთსა კიქაშიგა ჩაასხით და ორას სამოცი დირჰამი ქაფმოხდილი კაი თათლი დაასხით, მერმე მოიტანეთ ყუსტი და მური და დანამასტაქი და აბზინდას ბალახი თვითოსაგან ოთხ ოთხი დირჰამი აგრევე მოიტანეთ სადიჯი ჰინდი, სუმბული, ყირმიზი ვარდი, ალყარყარჰა, საზრი და ლარიყუნთ თვითოსაგან ოროლი დირჰამი და დანაყილი ზაფრანა ერთი დირჰამი, ესე წამლები ყუელა დანაყონ და ერთსა სამოსელშიგა ფომფეთ. გამოჰკრან და იმა თათლიანსა კიქაშიგა ჩააგდონ და ამა კიქასა პირი მოუგლისონ და ათსა თვარადა შეიღსა დღესა მზესა გაუღვან და მას უკან ერჩივნოს ასრე კამონ და ერჩივნოს მოათბონ, წყლით გალესონ და სვან. როდისცა სასმელად უნდოდღეს ერთსა კოვზსა ამა შარბათზედა ორი კოვზი თბილი წყალი დაასხან და სვან, გრილის სენებისათვის მწოვედ კარგი და გამორჩეული წამალი არის, და რაცა დაგვიწერია ყუელასა უშველის.

მუსალისი შარი. მოიტანე სამიათასი დირჰამი კაი ტკბილი და ერთსა ქუაბშიგა ჩაასხი და პირსა მოუგლისე და ამდენი აღუღეთ რომე სამის წილისაგან ორი წილი ჩაიშროს და ერთი წილი დარჩეს, მერმე მოიტანეთ და ათასი დირჰამი წყალი დაასხით და კიდევ ამდენი აღუღონ, რომე ამა ტკბილისა და წყლისაგაგანცა ერთი წილი კიდევ წავიდეს და სამი წილი დარჩეს, მერმე მოიტანე ფილფილი, მიხაქი, დარიჩინი, დანამასტაქი, ჯავზი და ზაფრანა ყუელასაგან ოროლი დირჰამი და უდი ნახევარი დირჰამი და მუშკი ერთი დანგი. აწე სრულად ესე წამლები მომსხოდ დანაყონ და ერთსა სამოსლის ნაჭერშიგა ფომფედ გამოჰკრან და იმა მოდუღებულსა ტკბილშიგა ჩააგდონ და ასრე შიგ გამოხარშონ, რომე რაცა ამა წამლებისა ძალი და ხასიათი იყოს ყუელა ამა ბადაგშიგა გამოვიდეს. მერმე კარვად ამოქყლიტონ და გაწურონ და მუსალისი შარი იქნების, და ერთსა მინაშიგა ჩაასხან და ორმოცსა დღესა შეინახონ, როდისცა სასმელად უნდოდღეს ერთსა ფინჯანსა ამა ბადაგზედა ორი ფინჯანი წყალი დაასხან და სვან, კაცსა მწოვედ კარვად მოუხდების და მწოვედ მხურვალი არის.

კიდევ სხვა ღვინის მუსალისი რომე ყოვლსა ფერსა გრილსა სენსა და ქარებსა არგებს, კაცსა გულსა და სტომაქსა გაუხურებს,

წელთა და თირკმელთა გაუხურებებს, და კაცსა მწოვედ კაცობასა მათებს და ბევრს თესლს ჩაუყენებს, და ცუგებასა და სისხასა არგებს: მოიტანე სამი ლიტრა კაი ყირმიზი ღვინო და ერთი ლიტრა ქაფ-
მონდილი თაფლი, და ორივე ერთად მოადუღონ და კარგად აურიონ, მერმე მოიტანე სანანებელი, დარიჩინი, ჯაეზი ბაკა, თვითოსაგან თვითო ღირჰამი, ესე წამლები სამივე დანაყეთ და გაცურით და ერთ-
სა სამოსლის ნაჭერშივა ფომფედ გამოჰკარით და ამა ღვინოსა და თაფლშივა ჩააგდონ და კარგად ადუღონ და, მერმე გარდმოიღონ და გააციონ, და მერმე ნახევარი ღირჰამი მუშკი, ნახევარი ღირჰამი ამ-
ბარი, ნახევარი ღირჰამი უდი ჰინდი და სამი ღირჰამი ზაფრანა, ესე წამლებიცა ოთხივე დანაყონ და გაცრან და ღვინითა გააყენონ და იმა მოდუღებულსა ღვინოშივა ჩაასხან, შეინახონ და როდისცა სასმელად უნდოდეს ოცდაათსა ღირჰამსა ამა ღვინოზედა სამი ღირჰამი წყალი დაასხან და სუან, გულსა და სტომამქსა მწოვედ ძალსა მისცემს, კაც-
სა საქმელსა მოაქარებებს და ელფერსა გაუყირმზებს და ყოვლსა გრილსა სენსა არგებს.

10

თ ა ფ ლ ი ს შ ა რ ბ ა თ ი, მწოვედ მხურვალე არის და ყოვლის გრილის სენისა და მეტადრე ბერის კაცისათვის, მწოვედ კარგი და მაშუნო არის, ფილენჯისა და ფილენჯის ქარისათვის, თავისა და
20 ხელფეხის თრთოლისათვის, ყუელასათვის მწოვედ კარგი არის,

კაცი რომე სტომამქგრილად და ბალღმიანად იყოს, ან სიგრი-
ლისაგან სისხა და ხაფაყანი სჭირდეს, ან კაცსა აციებდეს, ყუელა-
ლასათვის მწოვედ კარგი არის. აწე ამ რიგი გრილი სენები უსათი-
ოდ ბალღმისა და კუჭეჭისა სიგრილისაგან წაეკიდების. და ესე შარ-
ბათი ყუელასათვის კარგი არის.

აწე ამა თაფლის შარბათის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ერთი რათალი თაფლი რომე ასოცდათი ღირჰამი იყოს და ექუსა რათალ-
სა წყალშივა გამოლესონ, რომე რვაასი ღირჰამი წყალი იყოს და მოადუღეთ და ქაფი მოჰხადეთ, ნელად და წყნარად ადუღონ რომე
30 ჯულაბსავითა შეიქნას, მერმე გარდმოღების დროსა მოიტანე თეთ-
რი და შავი პილპილი, მიხაკი, სანანებელი, ხულფა, ხოლინჯანი და დანამასტაკი თვითოსაგან ოროლი ღირჰამი. ასრე უნდა ეს წამლები ყუელა კარგად დანაყონ და წმიდად გაცრან და ერთსა ქათნისა ხე-
ლისახოცშივა ფომფედ გამოჰკრან და იმა თაფლ წყალშივა ჩააგდონ და ამთენი ადუღონ რომე ძალი და ხასიათი ყუელა ამა თაფლ წყალ-
სა გამოსცენ, მერმე კარგად ამოკყლიტონ და დაურიონ და როდის-
ცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს გარდმოიღონ და შეინახონ, თაფლის შარბათი იქნების. როდისცა სასმელად უნდოდეს ერთსა

კოვხსა ამა შარბათხედა ორი კოვხი თბილი წყალი დაასხან გალესონ და სვან. ყოვლსა ფერსა გრილსა სენსა არგებს.

ესე შარბათი ფაქიაი დაუდი ამა გრილისა და ნედლისა წამლებითა შეიქნების, და ესე წამლები არის რომე ამა წამლებითა ტვინსა და დამალსა, მჯდომსა და ვარამსა, გულსა და ლვიძლსა, და ყოვლსა მხურვალსა სენსა, ამა წამლებითა ეწამლების.

10 აწე ესე ფერად ფერადი წამლები ზოგი ხმელი და შესაკრავი, ზოგი ნედლი და გასახსნელი, და ან რაიცა აქიმთა და ფილასოფოსთა კაცთაგან მრავალჯერ დაცდილი და ნასაქმები ფერად ფერადი წამლები იყო, რომე ამა წამლებითა დამალსა, მჯდომსა, გულსა და ლვიძლსა და ყოვლსა მხურვალსა სენსა ეწამლების, ამა წამლებსა ყუელასა თავი ერთად შემოუყარეთ, და სრულად ეს წამლები ორ შარბათად ვქენით. და ორივე რიგი მწოვედ გრილი არის. მაგრა ერთი რიგი შარბათი გრილი, ნედლი და გასახსნელი არის და მეორე რიგი კიდევ გრილი ხმელი და შემკრავი არის.

20 აწე ისი წამლები ყუელა ამა ორსა შარბათშიგა ჩაურივეთ და ორი რიგი შარბათი გავაკეთეთ და ამა შარბათსა სახელად შარბათი ფაქიაი დაუდი დავარქვით ამისთვის რომე ამა შარბათებითა ორმოცსა გვარსა სენსა ეწამლების. და მერმე სრულად ეს წიგნიცა თათრულის წიგნიდალმან მე უღირსმან გარდმოვათარგმანე¹ და ესე წიგნიცა თავით ბოლომდისინ მე უღირსმან დავსწერე, და ესე შარბათიცა თვითვე გამოვიღე და ჩემი ამა წიგნზედ სარჯელი და სახელი, კირი და კირ ნახულობა ყუელა ქუემორ დამიწერია და იქი გაიმბობს: ვინცა მე შენდობა მიბძანოთ ღთმან თქუენცა შეგინდნეს თქუენი ცოდვანი, და შეგარგოს და აღნად ქნას სარჯელი და კირ ნახული ჩემნი თქუენზედა.

30 აწე ამა შავის შარბათის ხასიათი მწოვედ გრილი და ნედლი არის. კაცსა რომე სიცხისა და სიმხურვალისაგან თავი და ანთვალეები სტკიოდეს, ან საფეთქლების ტკივილი აზუვარდეს და ესე შავი შარბათი სვას სამსავე უშველის. კაცი რომე მჯდომითა, ვარამითა და ან ლვიძლითა ავად იყოს სამსავე უშველის. კაცი რომე ცხელებითა ან სნებითა, ან შავი და ყუითელი იარაყანი სჭირდეს, ამას ყუელასა უშველის. კაცსა რომე სიმხურვალითა ხაფაყანი და ან სისხა სჭირდეს, ორისათვისვე მწოვედ კარგი არის. კაცი რომე სურავანდითა ავად იყოს და ან ყმაწვილსა საყმაწვილო გამოაჩნდეს, ან კაცი სისხლისა და საფრისაგან და ან სხვის სიმხურვალისაგან ავად

¹ სწერია "გარდმოვათარგმანე"

იყოს, ყუელასათვის მწოვედ კარგი არის და სისხლსა დააცხრობს და საფრასა გააქარეებს, სიმბურვალესა უშველის, ხუელა სურდოსა მწოვედ კარგალ უზამს, გულსა და სტომაქსა დაულბობს. კაცი რომე ან ყოლინჯმან და ან სიმბურვალემან მუცელშიგა შეკრას მაშინვე უშველის, გახსნის და სიცხესა თან გაიტანს, გულისა, ღვიძლისა და თირკმლის ტკივილსა უშველის, მჯდომისა და საყმაწვილოს წამალი არის, სისხლსა დასწმედს და დააცხრობს, კაცსა რომე შარდი შეხუთვილი ჰქონდეს, იმას მაშინვე გახსნის. ვინცა ან მჯდომითა, ან ვარამითა, ან ღვიძლითა და იარაყნითა, ან ცხელებითა და სნებითა. ან ყუავი-

10 ლითა და ასპითა და ან სხვის სიმბურვალითა ავად გახდეს, ასრე უნდა ამა შარბათისაგან თორმეტის ღირჰამიღლმან ოცდახუთსა ღირჰამამდისინ გაულესონ და ასვან. რა ნივთიცა კაცისა გულმან და სტომაქმან მოიხდინოს და გააწყოს, და ყოელის მხურვლის სენის აქიმი და წამალი არის, და ესე შარბათი იმა სხეასა შარბათებსა არედარების და რაცა სრულად-სხეასა შარბათებსა ხასიათი აქუს -ისი ხასიათი და ფაიდა მარტო ამა შარბათსა აქუს, ამისთვის რომე რაცა სრულად ამა წიგნშიგა გრილი, ნედლი და სარგებლიანი წამლები სწერია ან მჯდომსა და ღვიძლსა არგებს, ან ცხელებასა და სნებასა არგებს, ან ყუავილსა, ქუთრუშსა და ასპასა არგებს, ყუელა ამა

20 ნუსხაშიგა დაგვიწერია და სრულად ამა შარბათშიგა ჩაგვირევიან. ამისთვის ყოელის მხურვლის სენის წამალი არის და უსათუოდ არგებს.

აწე ამა რევანდიანისა შარბათისა შექნა ასრე უნდა: მოიტანე რევანდი, თემრი ჰინდი, ხიარ შამბარა, ატამი, კერამი, უნაბი, ოტური ქლიავი, ტკბილი ბროწეული. გაზანგვი, ვარდი და ამისივე წყალი, ია, ლულუფარი, ქინძი, შაჰთარა, გაეზაბანი, ვენახის ღიჭა, ისპანახი, ჭარხლის ფოთოლი, ტუხტი, ბურძგლიანი ბალახი, ქრელა, თოხმაქანი, ქასნი, ბარდაყათუნას ლობი, მრგვალი წამალი, კატის ძუძუ, არმუჯი, ორფერი წამალი, გომბის ცხერია, წურილი

30 სამყური, იოლდასალები, ქუეშ ნიგუზისა, ტირიფის ძირი, ძაღლის ყურძენა, ნესვის თესლი, საზამთროსა, კიტრისა, შემწურის აყიროს წყალი, ონტკოფა, ლილა, პიტნა, ცხრა ფეხა ¹ და ჰიყელა, ვინცა გაურევს, აწე რომელიცა ან ხილი, ან ყუავილი, ან ბალახი და ან ამათივე ძირები ნედლი იყოს, და ან წვენი გამოიხდებოდეს, დანაყეთ და წყალი გამოჰხადეთ და ისი წყალი ჩაურივეთ და რომელიცა ხმელი ბალახები და ხმელი ძირები და ან ხმელი თესლები იყოს, რა-

¹ ამის გასწვრივ აშიაზე დედნის გვლით სწერია: „ამა წამლების ჯუმალი ორმოცდა ოთხი არის“.

მე მისგან წყალი არ გამოვიდოდეს, ისი წამლები ცოტად დაჯექ-
კონ და ერთსა ღამესა წყალშივა დააღბონ, და მერმე კარგად მო-
ხარშონ და კარგად ამოქყლიტონ, გაწურონ და ამისი წყლები ჩაუ-
რიონ და ესე წამლები ყუელა სწორ სწორი ქნან და რევანდი, თემ-
რი ჰინდი, ლილა, პიტნა და ხიარ შამბარა სხვის წამლებზე და წო-
ნით ოროლი წონა ქნან და მას უკან სრულად ამა წამლებსა თავი.
ერთად შეუყარონ და ყუელა ერთმანერთშივა გაურიონ და რა ნივ-
თიკა წონითა სრულად ესე წამლები იყოს, იმავე წონითა სრულად
ორი ამა წამლების წონა შაქარი მოიტანე, ცოტა წყალი დაასხი და
10 მოადულე, და ქაფი. მოაჰხადე და კუერცხის ცილითა დაახალასეთ და
წყნარად და ნელად ადულეთ, მერმე მოიტანე სრულად ეს წამლები.
და იმა დახალასებულსა შაქარზედა დაასხით და წყნარად ადულეთ,
და რაჟამცა შაქარი მოსქელდეს და ყავაშზედა მოვიდეს ყუელასა ამა
წამლებსა უკანა ლილა ჩაურივეთ და კარგად ამოზილონ რომე გა-
შავდეს, გარდმოიღეთ და შარბათი ფაქია დაუდი იქნების, როდის-
ცა ამა შარბათის სმა გინდოდეს ან გავზაბანისა და ან ქინძისა და
ქისნის წვენითა ერთსა კოვზსა ამა შარბათზედა ორი კოვზი წყალი
დაასხან, გალესონ და სვან. და თუ ეს წამლების წყალი არ იყოს,
წამლების წყლის მაგიერად ორი კოვზი ცივი წყალი დაასხან, სვან
20 და რაცა სენი და ქირი დაგვიწერია ღ'თითა ყუელას უშველის.

კიდევე შემკრავი, გრილი და ხმელი წამლები ესეები არის რო-
მე ისივ ხასიათი აქუს, მაგრა ისი წინა შარბათი გამხსნელი არის და-
ესე შარბათი შემკურვევი არის, აწე ამა შარბათის შექნა ასრე უნდა:
მოიტანე თეთრი და ყირმიზი სანდალი, თაბაშერი ჰინდი, გილი არ-
მანი, თინი მახთუმი, მჟავე ბროწეული, მჟავე და ტკბილი ვაშლი,
მჟავე და ტკბილი ბია, სხალი, ლიმო, კოწახური, ხართუთა, შინდი,
ისრიმი, ძმარი, თუთუბო, უშხუნი და ან მჟაუნა, პიტნა, მრავალძარ-
ღვა, სალათა და ამისივ თესლი, ძიმწარე, თოხმაქანი, ქასნი, ტყავ-
გახდილი ოსპი, ხაშხაში, ყაყაჩოს და საწყუეტელას ძირები და ვარ-
30 დის წყალი და შავბალახა, მოიტანე სრულად ესე წამლები და რო-
მელიცა ნელდი იყოს და ან წყალი გამოიხდებოდეს, დანაყეთ და
ამათი წყალი გამოჰხადეთ და რომელიცა ხმელი ან თესლი და ან ბა-
ლახები იყოს, რომე მისგან წყალი არ გამოვიდოდეს, დაჯექკეთ და
ერთსა ღამესა წყალშივა დააღბეთ და მეორესა დღესა კარგად მო-
ხარშეთ და კარგად ამოქყლიტეთ და ესე წამლები ყუელა სწორ სწო-
რი ქენ და სანდალი, უშხუნი, პიტნა და ძიმწარე სხვას წამლებზედა
ორი წონა ქენ, რარიგადცა აქავ ზემო შარბათზედა შარბათის შექ-
ნის წესი და რიგი დაგვეწეროს, იმავე რიგად შარბათად შექენით და

როდისცა სასმელად გინდოდეს ერთსა კოვზსა ამა შარბათზედა ორი კოვზი ცივი წყალი დაასხან გალესონ და სვან ყოვლის მხურვლის სენის წამალი არის ¹.

აწე ესე შარბათები ორივე მწოვედ გრილი და მარგე არის, მაგრა ის წინა შარბათი გამხსნელი არის, და ეს უკანა შარბათი შემკურელი არის. თუ ავად მყოფი მუცელშიგა შეკურით იყოს ისი წინა რევანდის შარბათი ასეით, და გულსა და სტომაქსა დაუღობს და მაშინვე მუცელშიგა გახსნის. და თუ ავადმყოფი მუცელშიგა გახსნით იყოს ესე სანდლის შარბათი ასეით, სიცხესა და სიმხურვალესა კიდევ ისრევე გაუგდებს და მუცელშიგა შექარავს მაშინვე ²

. ღამეს გარეთ დადგი პირსა ხელისახოცი დაბურე მეორე დილასა უზმოსა ასეით ძალითა ღთისათა რაცა სენი სიმხურვალისაგან სქირს ყუელასა უშველის, ამისი ნიშანი ეს არის რომე კაცსა მაშინვე წაახვევს და შიამნელებს და რა ექუსი ეამი გამოვო ოფლსა დასხამს და მორჩების.

მურაბების შექნის წესსა და რიგსა გვიამბობს: აწე საზამთროს მურაბის შექნა და წესი ასრე უნდა: მოიტანეთ საზამთროს ქერქი და სქლად დაფხიკეთ და ნაფოთ ნაფოტად დაჭერით და თორმეტსა დღე ღამესა კირ წყალშიგა ჩადევით, მეცამეტესა დღესა კირ წყლი-
20 დაღმან ამოიღეთ. და სამსა დღე ღამესა მართალსა წყალშიგა ჩადევით და მერმე მოიტანეთ მართალი წყალი და ორი სამი პირი მართლის წყლით წამოადუღეთ, მერმე აქადაღმან ამოიღეთ და ორი სამი პირი კიდევ თაფლ წყლითა წამოადუღეთ, მერმე თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა მოიტანეთ ცოტა წყალი ურივეთ და მოადუღეთ, რა-
ეამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, მოიტანეთ ესე საზამთროს ქერქი და თაფლშიგა ჩაყარეთ და ორი სამი პირი შიგ წამო-
ადუღეთ, მერმე გარდმოიღეთ, ტაბაკზედა დაყარეთ გააცივეთ და შეინახეთ, და საზამთროს მურაბა იქნების და იხმარეთ.

30 შინდისა, კოწახურისა, ბალისა, ზღმარტლისა, ყაისისა, და ქლიავისა და ამავე რიგების ხილებისა და უშუზუნის მურაბის შექნა ასრე უნდა: მოიტანე თაფლისა გინდოდეს თუ შაქრისა და ცოტა წყალი გაურივეთ და წყნარად და ნელად ადუღეთ, რაეამცა თაფლი

¹ ამ გვერდის ქვეშა აშიაზე დედნის ხელით სწერია: „[ესე] წამლები ტლე [ები] მწოვედ კარგია რომე ნახონ და გულსა და სტომა[ქზედა] [გარ] დაკრან, და ან ამა [წამლ]ების წყლებითა პირსა, შუბლსა [და საფე]თქელზედა შეიცხონ [სიმხუ] რვალისათვის მწოვედ [კაი] არის და მაშინვე [გულ]სა უკუჭრის.“

² აქ ტექსტს ფურცელი აქლია.

მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს მოიტანე მწიფე შინდი და და-
რეცხე და თაფლშიგა ჩაყარე და ერთი ორი პირი წამოადლუღეთ,
მერმე გარდმოიღეთ ტაბაკზედა¹ დაყარეთ და შეინახეთ, და წურთ-
ლის ხილების მურაბები იქნების. მაგრა ყაისსა, ატამსა, ქლიავსა და
უშხუნსა, ამა ხილებსა ყუელასა გაფცქუნა უნდა და კურკითავე ჩაყრა.

ნარინჯის და ვაშლის მურაბა ასრე უნდა: მოიტანე ნა-
რინჯი და თუ გერჩინოს გაფცქუნე და ქერქი შემოაძრევე და თუ
გერჩინოს და ნუ გაფცქუნი და ორავე თავი გაუხურიტე და ერთი
10 თაფლი გინდოდეს თუ შაქარი და წესისაებრი მოადლუღე ქაფი მოჰ-
ხადე, რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს ეს ნარინჯი შიგ
ჩაყარეთ და ერთი ორი პირი წამოადლუღეთ, მერმე გარდმოიღეთ ტა-
ბაკზედა დაყარეთ, გააცივეთ და ნარინჯის მურაბა იქნების. ვაშლის
მურაბაც ამავე რივად უნდა ჰქნათ, პატრონებო.

ბიის მურაბა ასრე უნდა: მოიტანე შემოსული ბია გა-
ფცქუნე და გული გამოართვი და დახივე და ისრევე ორჯერ სამჯერ
ცარიელს წყალშიგა ეს ბია წამოადლუღეთ და მერმე წესისაებრი თაფ-
ლისა გინდოდეს თუ შაქრისა მოადლუღეთ, ქაფი მოჰხადეთ, რაჟამცა
20 მოსქელდეს და ყავამზედა მოვიდეს, მოიტანე ესე ბია და თაფლშიგა
ჩაყარეთ და ორიოდ სამი პირი კიდევ თაფლშიგა წამოადლუღეთ, მერ-
მე აიღეთ და ტაბაკზედა დაყარეთ, გააცივეთ შეინახეთ და ბიის მუ-
რაბა იქნების²

. ქაფი მოჰხადონ და რაჟამცა მოსქელდეს და ყავამზე-
და მოვიდეს სრულად ეს წამლები თაფლშიგა ჩაყარეთ და კარგად

¹ ამ გვერდის ზემო აშიახე რვეულთა სათვალავი „ლზ“ სწერია დედნის ხელით

² ამის შემდეგ მთელი გვერდი ცალიერი ადგილია დატოვებული. ამ ცა-
ლიერ ადგილზე არა დედნის ხელით სწერია: ლოცავა ფუცება, გველისა და ბა-
რახიანის ნაკბენისა, რაფუცებ შენ ყოველასა ნაკბენს მახეტათა, გესალიანისს, ქვე-
ყნათა ზედა ღთისს მიმართ ცხოველისს და უფულის ჩვენის იესოს ქრისტისს
მომართ, მაცხოვარის და ღთის ჩვენის მიმართ, ზეთის ამის მიერ რომელასა
ვსცხებ და გილას მას სადა იგი უკბინე რათ მასვე ადაგილას დასდგე და ვერა
ანადავ გონებად გინა გულად ანუ თავად გინა სულად ანუთუ სხვად ასოთ, არა-
მედ რთ დევეენ ადაგილას მას სადაც იგი სწაყლად და გესლი შენი დასთხივე და
უტაკიანელად ეგოს კაცი ესე რათ ყოვლად პატრონმა სახელამა შენმა ღთისა
ცხოველისმა იესო ქრისტეს ჯავარცმულისამ, პანტელის პილატესი რომელამა
იგი ახსრება აღია და ყოვლად მამაკლა არას განკითხვად ცხოველად მაკადართა
ულამთხელად დამარახოს კბენილი ესე და სიცოცხლე მოანიჭე მას რამეთუ მისი
არას სუფევა და ძალი და დიდება, მამისა, ძის სულისა წამინდისა აწდა მარადით
უკუნითი უკუნისამადეი.⁴

ამოზილეთ და ჯავარიში ახირი იქნების. ვისცა უნდოდეს და ან ექი-
რებოდეს ამა მაჯუნისაგან სამი ღირჰამი ჰამონ, კაცსა უცხოფერს
კაცობასა და ძალსა მატებს.

გრილი მუფარა რომე ყოვლსა ფერსა მხურვალსა სენსა არგებს:
მოიტანე ყირმიზი ვარდი და თაბაშერი ჰინდი, თეთრი ბაჰმანი
და გავზაბანი თვითოსაგან თვითო ღირჰამი, სანდალი და მოხალუ-
ლი ქინძის თესლი თვითო ნახევარ თვითო ნახევარი ღირჰამი თოხ-
მაქანისა, კიტრისა და აყიროს. თესლის გულები ოროლი ღირჰამი
და კოწახური თავისავე თესლითა სამი ღირჰამი, და გაუხურეტელი
10 მარგალიტი ერთი დანგი, აწე ესე წამლები სრულად დანაყეთ და გა-
ცერით და პირველ შინდის წვენითა შაქარი ყავამზედა მოიყვანონ
და მერმე ესე წამლები შიგ ჩაყარონ და კარგად ამოზილონ მუფარა
იქნების, როდისცა გინდოდეს ამა მუფარისაგან ორი ღირჰამი ჰამონ
და ესე მუფარა ყოვლის სიმხურვალისათვის კაი არის, სიცივესა და
სიმხურვალესა დაამხოვს და ღვიძლსა არგებს და მწოვედ დააძალია-
ნებს, ცხელებასა, საოფლესა და ყოვლსა მხურვალსა სენსა არგებს
და მაშინვე გულს უკუჰყრის.

მუფარა რომე ხატყანსა მწოვედ არგებს და უშველის: მოიტა-
ნე გავზაბანი და ზარუნაჯი აღრაბი ექუს ექუსი ღირჰამი და ზურუნ-
ბადი სამი ღირჰამი, ეს წამლები უყონ და გაცრან და სამსა ამა
20 წამლების წონასა თათლსა ქაფი მოჰხადონ და ყავამზედა მოიყვანონ
და ესე წამლები შიგ ჩაყარონ და კარგად ამოზილონ და მუფარა
იქნების, და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ექირებოდეს სამი ღირ-
ჰამი ჰამონ და ხატყანსა უშველის.

**მ.ბ. კარი მესამოცდა თერთმეტე. ფერად ფერადის მალამებისა
ხახიათხა და შექნასა გიამბობს¹.**

აწე ძმრის მალამის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ცხარი
ძმარი რომე ღვინისაგან ქნილიყოს. და ზეთის ერბო, თვითოსაგან
30 თვითო რათალი, ვითამცა და ორას სამოცი ღირჰამიო, კიდევე და-
ნაყილი და გაცრილი მურდასანგი ექუსი რათალი, ვითამცა და სა-

¹ ამ ფურცლის გვერდის აშიაზე დედნის ხელით სწერია „აწე ამა მალამე-
ბისა ამ დედან წიგნშიგა ვერცა თავისა, და ვერცა ბოლოსა ვერ შევიტყვევ, თუ
სხვა სად ეწერა. სამი ფურცელი ცუდად ეგდებოდა და რაკ იმაშიგა ეწერა უკ-
ლებობისათვის აქ დავეწერეთ. რ ო ს ტ ო მ მეფის ბედნიერობითა ქალაქი ბევრი
იყო და სხვას არას დავხარდით და აქ დავსწერეთ, და რაცა აკლდეს თუ სხვა-
გან იბოვოთ თქვენ ჩაუმატეთ, ალაგი აქუს.“

მოცდა თერთმეტი ¹ ღირჰამიო და რაზიყი ვითამცა და ლახოსტაკი ხუთი ღირჰამი და კაი ქანგარა ოთხი ან ათი ღირჰამი. პირველ მოიტანეთ ზეთი და ძმარი და ერთმან ერთშიგა გაურვიეთ და ერთგან გაადნევით და მანამდისინ აღუღეთ რომე ძმარი სრულად წავიდეს და ზეთი დარჩეს, მერმე მოიტანეთ ლახოსტაკი და სამჯერ ცეცხლშიგა გაახურეთ და სამჯერვე წყალშიგა ჩადევით, მერმე მოიტანეთ სრულად ეს წამლები და დანაყეთ და წმიდად გაცერით და ამა ზეთშიგა ჩაყარეთ და კარგად ამოზრღეთ, და თუ ავანშიგა დანაყოთ ისი სჯობს, და კიდევ შემოდგით და წყნარად და ნელად აღუღეთ, და მანამდისი უნდა აღუღოთ რომე, კარგად მოსქელდეს, მერმე აიღონ და შეინახონ და ძმრის მალამა იქნების, როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ეჭირებოდეს ამოიღონ, დანის პირითა დაზილონ, ძველსა ბამბაზედა თხლად გააკრან და წყლულზედა ერთხელ დილასა და ერთხელ საღამო ქამსა დაადვან და ღთითა უშველის. აწე ამა ძმრის მალამის ხასიათი ეს არის რომე, ბაყლსა და ბალღამსა მოსწმედს და გააკეთებს და გაუშრობს, დამპალსა ხორცსა მოსქამს და ახალსა ხორცსა ამოიყუანს და გამოაბამს და ხორცმეტსა ძირითა მოსთხრის და ამოაგდებს.

10 მწვანის ქანგარის მალამის ხასიათი ეს არის რომე, კაცსა ხორც მეტსა მოსქამს და ღვიძლიდაღმან სიმზურვალესა და მანკსა გამოიღებს, და ბაყლსა და ბალღამსა მოსწმედს. აწე ამა მწვანის მალამის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ათი ღირჰამი კაი ქანგარა და ხუთი ღირჰამი ფიჭვის ხის კევი, და ერთი ღირჰამი ანზარუთი, და ესე წამლები დანაყე და გაცერ და ათსა ღირჰამსა ხამსა თაფლშიგა გაურიონ, მერმე ქანგარა უკანის დროს გაურიონ და კარგად ამოზილონ და მწვანე მალამა იქნების, შეინახონ და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ეჭირებოდეს იხმარებდენ. და რარვიადცა მალამის წესი და რიგი იყოს, ამრიგად დანის პირითა გაქნან, ძველსა ბანბაზედა თხლად გააკრან და წყლულზედა დაადვან. და თუ ესე სხვა წამლები არ დაგესწრას, მარტო თაფლი და ქანგარა აურიევთ და ისრე დაადევით, ძავრა სხვა წამლები ბაყლს უკეთ მოსწმედს.

30 მალჰამი ზარდ ვითამცდა ყუითელი შაჰლამაო. აწე ამა მაჰლამასა ბალიყუნ ჰქუიან და ჰავარიონსაცა უძახიან და ურუმულად ვასლიყუნ ჰქუიან და ესე მალამი ჯალინოზ გამოიღო და ბოღრატი აქიმმანცა² მწოვედ მაიწონა და ასრე ბძანა: ვინცა ესე მალამა ვერ-

¹ შეცდომა, 6 რათალი უდრის 780 დრამს.

² გადამწერის შეცდომა უნდა იყოს; პირ იქით, ბოღრატი აქიმმა მოიგონა და ჯალინოზმა მოიწონა, ეს იმიტომ, რომ ბოღრატი (ჰიპოკრატე) ჯალინოზზე (გალენი) 400 წლით ადრე ცხოვრობდა.

ცხლის კოლოფითა შეინახოსო, ყოვლის წყლულისათვის გამორჩეული მალამა არისო. აწა ამა ყუითლის მალამის ხასიათი ეს არის, რომე ძველისა და ახლის დაკოდლისათვის გამორჩეული მალამა არისო, წყლულსა მწოვედ ამთელებს და პირს მოსწმედს, ¹ და ტკივილსა დაუამებს. აწე ამისი შექნა ასრე უნდა: მოიტანე კაი ყუითელი ცვილი-ასორმოცდათი ღირჰამი, ზეთის ხილის ზეთი სამასი ღირჰამი, ფიჭვის კევი და მურდანანგი ოთხმოც ოთხმოცი ღირჰამი, თირმითინა სამოცი ღირჰამი, კარგი საქმელი ოცი ღირჰამი, უშალი და ზარდანჩუა-ოცი ოცი ღირჰამი, დანამასტაქი თორმეტი ღირჰამი, ყანსი ხუთი

10 ღირჰამი, ოქრომქედლის ბორა ათი ღირჰამი.² ჩადვან და მანამდისინ ხელითა ქყლიტონ, რომე კირი სრულად წყალშიგა გამოვიდეს და მერმე კირიანი ჩანახი ერთსა ალაგსამანამდისინ დადვან, რომე წყალი დაწრტეს და კირი ძირს ჩაილეკოს, მერმე წყალი კი გარდაასხან და კარი მზეშიგა გაახმონ; და თუ ზაფხული იყოს ესე კირი ვარდის ზეთითა გააყენონ და თუ ზამთარი იყოს, ზეთის ხილის ზეთითა გააყენონ და მალამად შექნან და კირის მალამა იქნების. შეინახონ და როდისცა უნდოდეს და ან ვისცა ეჭირებოდეს წესისაებრი იხმარებდეს და ამა სენებს არგებს.

20 კიდევ სხვა კირის მალამა. მოიტანე კირი და შვიდეჯერ წყლითა გარეცხე და ოცი ღირჰამი კომბოსტოს თესლი დანაყონ და სამოცსა ღირჰამისა ვარდის ზეთშიგა მოზილონ და კირის მალამა იქნების. ესე მალამა ყოვლის ფერის დამწურისათვის კარგი არის და გაამთელებს³.


30 ქაფურის მალამა. ამისთვის კარგი არის, კაცსა რომე ბაგე და ან ხელფეხი დაუსქდეს იმას უშველის, სოკოსა და ნოვასილსა-რომე სისხლი სდიოდეს და ან ხორცი მოგლეჯილი ჰქონდეს, იმას ორსავე უშველის და კაცსა რომა უკანა კარი გამოქცეს და დაუსქდეს მისთვის მწოვედ კარგი არის, და ცეცხლისა და მდულრის დაწვისათვისცა მწოვედ კარგი არის. აწე ამა ქაფურის მალამის შექნა ასრე უნდა: მოიტანე ქარვა, მურდანანგი და უმარული თვითოსაგან-ოთხ ოთხი ღირჰამი, ესე სამივე დანაყონ და წმიდად გაცრან და რვა ღირჰამი ყუითელი ცვილი და თექუსმეტი ღირჰამი ზეთის ხილის ზეთი ამა ცვილშიგა გაადნონ და მერმე ესე წამლები შიგა ჩაყარონ და

¹ აქ სტრიქონებს შუა ტექსტის ხელით ჩამატებულია „ყოვლის წყლულის და მწურისათვის მწოვედ.“

² აქ ტექსტს ფურცელი აკლია.


³ ამ გვერდის ქვემო აშიახე დედნის ხელით სწერია: „დიდება ღ'თსა სრულ მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა“.

კარგად ამოზილონ და ამას უკან ნახევარი ღირჰამი ქაფური და ორის
კუერცხის ცილა გაურიონ და ავანშიგა კარგად დანაყონ და ან კარ-
გად ამოკულიტონ, რომე მალამად შეიქნას და ქაფურის მალამა იქ-
ნების, შეინახონ და როდისცა უნდოდეს დანის პირითა გაქნან და
თხლად ძველსა ბანბაზედა გააკრან და დღივ და ღამივ ორჯერ
წყლულზედა დაადგან და ჰკურნებს.



[აქ ტექსტი წყდება. გვერდის ბოლო დაუწერელია]

ვერნივეწი



ქართული ა. - მოსკოვი.

პარიანტი A (საკუთრება სანიტ-პიგ. ინ-სა). ხელნაწერი ზომით 30x20 in folio ამჟამად შეიცავს 716 გვერდს. დაწერილია ლამაზი, გარკვეული მხედრული ხელით და პალიოგრაფიული ნიშნების მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს არა უგვიანეს მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარს. პაგინაცია ნაჩვენებია რვეულებით ასომთავრული მხედრულით, თითო რვეული შეიცავს თექვსმეტ გვერდს. ხელნაწერში ამჟამად 44 რვეულია მე 45-ე რვეულიდან მხოლოდ 12 გვერდილია დარჩენილი. აკლია თავში 2 ფურცელი. შიგ ტექსტშიაც აკლია აქა იქ თითო-ოროლა ფურცელი. ხელნაწერი შესრულებულია შავი მელნით. ყოველი თავი და აბზაცი, აგრეთვე საკუთარი სახელები შესრულებულია წითელი მელნით.

ხელნაწერი პირველი თავიდან ვიდრე ოცდამეთორმეტე თავამდე თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს წინამდებარე ტექსტს. იგივეა თავების დალაგება და სათვალავი. ჩვენს ტექსტში გამოტოვებული ფურცლები არც ამ ვარიანტშია, ზოგიერთების გარდა, რომელნიც, ალბათ, გადაწერის შემდგომ არიან დაკარგულნი. ყველა ნიშნების მიხედვით სჩანს, რომ ამ ვარიანტის გადაწერს გადაწერის დროს უსარგებლია ჩვენი ტექსტით.

ხელნაწერის შესავლის დასასრულს—წინადადებაში „ვისაცა ამა წიგნითა და ამა წამლებითა უაქიმოთ, და ძალითა და შეწევნითა ღთისათა ამა წამლების მიზეზითა იგი კაცი მორჩეს და ელხინოს, მე ცოდვილსა და უღირსსა და უთხანს ნუ დამივიწყებთ“, სიტყვა „და უთხანს“, რომელიც წითელის მელნით არის დაწერილი, წაშლილია და შავი მელნით სწერია „იოვანეს“. მაშასადამე აღნიშნული წინადადება ამ ვარიანტში იკითხება ასე „მე ცოდვილსა და უღირსსა იოვანეს ნუ დამივიწყებთ“.

ესევე მეორდება „ბურჰანის დღეების თავში“ ვარიანტით თავი „კგ“ ამ თავის ბოლოში ასეთი წინადადებაა: „აწე ვისცა ამ წიგნითა და წამლებითა ელხინოს და მორჩეს, საბრალოსა და უღირსსა და უთხანს („დაუთხანი“ წითელი მელნითაა) შენდობას მიბრძანებდეთ“. ეს წინადადება უცვლელად არის დატოვებული. მაგრამ ნუსხაში, სადაც აღწერილია „მთელი და ნაკლული ბურჰანის დღეები,“

ვარიანტში მიწერილია „ცოდვილს ამის მწერალს იოვანეს შენ-
დობას მიბრძანებდით ძმანო, შეილნო და მამანო“ წინამდებარე
ტექსტში ამავე ადგილას არაფერი სწერია.

ასევე მეორდება მეშვიდე კარში, ვარიანტში თავი „მე“. ეს
თავი ამ ვარიანტში იწყება ასე: „კარი მეშვიდე სრულის თავის ტკი-
ვილისა და თავის კედლისა ტკივილისა მიზეზებსა, ნიშნებსა და წამ-
ლებსა გამცნებს. და გაიმბობს ცოდვილსა ამის მწერალს იოვანეს
შენდობასა უბრძანებდით“.

აღბათ, ამ მინაწერებმა უფლება მისცა ვილაც უცნობ პირს
ვარიანტზე A₁ (იხილე ვარიანტი A₁-ს აწერა) გაეკეთებინა შემდე-
გი წარწერა: „ეს კარაბადინი სპარსულს ენაზე დასწერა ექიმობის
მცოდნე საექიმო მწერალმა შარიეზადემ. ამ კარაბადინს სპარ-
სულს ენაზე მუნთა ხაფი შაფია უწოდა. ქართულს ენაზე ეს
კარაბადინი გადმოსთარგმნა დავით ბატონიშვილმა მეთხუთმეტე
საუკუნეში 1450 წლებში. ეს ბატონიშვილი კარგა ხანი სპარსეთში
სცხოვრობდა, იქ მაჰმადის სარწმუნოება მიიღო, სახელათ დაუთ-
ხანს უწოდებენ სპარსნი, იქვე შეისწავლა ამან სპარსული ენა, მწე-
რობა და ერთი ვილაც ქრისტიანი ივანეს დახმარებით გადმოს-
თარგმნა ეს კარაბადინი“.

ამ მინაწერში არეულია როგორც ამბები, ისე თარიღიც, მა-
გრამ ეს მინაწერი საგულისხმოა იმით, რომ ვილაც „ქრისტიან
ივანეს“ წილი ედება ამ „კარაბადინის“ გადმოთარგმნაში. რო-
გორც ჩვენი კვლევა არკვევს, ამ ივანეს თვით გადმოთარგმნაში
კი არ უდევს წილი, არამედ ეს ივანე უნდა იყოს მისი უახლოესი
გადამწერი. და ჩვენის აზრით, სწორედ ამ „ქრისტიან ივანეს“
უნდა ეკუთვნოდეს მართლა „ქრისტიანულად“ შეცვლილი შესავალი,
რომელიც ჩვენი ტექსტის გარდა, თითქმის ყველა ვარიანტს ერთ-
ნაირად აქვს გაკეთებული, ორის გამოკლებით.

სამწუხაროდ, ამ ვარიანტის პირველი ფურცელი დაკარგულია,
მაგრამ მისი აღდგენა მოსახერხებელი ხდება სხვა ვარიანტების მიხე-
დვით, რომელნიც წარმოადგენენ ამ ვარიანტის სიტყვასიტყვით გა-
დანაწერს.

შედარებისთვის ჩვენ აქ მოვიყვანთ ივანეს მიერ შეცვლილ
შესავალს მთლიანად. „ქ. აჰა დიდება დაუსაბამოსა, დაუსრულებელს
მალალსა ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა რომელმან არათგან არსებითა
თვისითა ცა და ქვეყანა შექმნა და გამოსახა, რომელმან არისითგან
არსებითა თვისითა, მიწათა მიწათაგან კაცად შექმნა და სახე პირი-
სა თვისისა მაზედა გამოსახა და ბრწყინვალე სული შთაბერა, და

ადამიანისთან წინა სარტყელი გამოგვიჩინა, და სამოთხე სამკვიდროთ
სამყოფად დაგვიმკვიდრა. და ყოველი სული და იძვრისი მასვე დაა-
მორჩილა. და ჩვენცა ერთისა წვეთისა წყლისაგანა რა კაცი კაცად შეგქუ-
მნა და კკუა და სწავლაც მანვე გვიბოძა. და მერმე ცთომითა და უგუნუ-
რებითა ჩვენითა განვიწყრომეთ ტკბილი და მოწყალე ღმერთი ჩვენი,
და კიდევე მეორეთ შეგვიწყნარა და შეგვიწყალა, და წყრომისა და
შეცდომებისა წილ მუქაბად გარდამოხდა ზეცით და სულისაგან წმინ-
დისა ხორცი შეისხა და ჩვენც ცოდვილთათვის პილწთა ჰურიათაგან
ჯვარს ეცვა და სიკვდილისა გემო იხილა. დასთხია ჩვენთვის უფასო
სისხლი თვისი და ძალითა უძლეველთა თვისთა სძლო მტერთა ჩვენ-
თა. და მებრძოლთა ჩვენთა და წარმოსტყუნა ეშმაკთა სავსე ჯოჯო-
ხეთი იგი და გამოხსნა ტყვენი იგინი ძნელისა საპყრობილისაგან,
რომელი ქადაგებდეს და იტყოდეს მოსვლასა და უთესლოდ განხორ-
ციელებასა ქრისტესა.

აწე ყოველმან სულმან და იძვრისმან ესე უნდა იცოდეს, ის არის
ყოვლის სენისა და ქირის მკურნალი და წამალი, ის არის ყოვლის
შეკირვებულისა და უღონოს ღონე, ის არის ყოვლისა დაცემულისა
და საბრალოს ხელის ამპყრობელი, თუ არა სხვა საქმე, წამალი ყუე-
ლა მორთული და მოგებული არის.

ბოლომ შეწვევითა ღთისათა და ბრძანებითა ჯალინოზ
აქიმი ასეთი აქიმი და ფილასოფოსი იყო რომე სადაც გაიარის ან
საცა ხე, ბალახი დახუდის, ყოველმან ხემან და ბალახმან ენა ამო-
იდგის და ჯალინოზ აქიმს ხმაი სცეს და უანზის, თუ ბრძანებითა
და შეწვევითა ღთისათა მე ეს და ესე მქვიანო, და მე ესეო. აე ამ
სენისა და ქირის მკურნალი და აქიმი ვარო და მე ესეო. იმათაცა
ბრძანებითა და განგებითა ღთისათა ამა ჟამსა და ამა დღესა უკა-
ნა დაიწყეს საქმობა და აქიმობა და ყოვლსა ფერსა სენსა და ქირს
მიხუდეს და სატკივარსა, და შეატყუეს თუ რა და რომელი სენი და
ქირი, რის ქირისა და რის მიკირვებისაგან აეძვრის და დაებადების.
ან რისა და რომლისა გვარისა და ხილთათაგან შეიქნების, და ან კაცი
ავად რის მიზეზისაგან ვახდების, და ან კაცი რისგან მოკვდების. ან
რა და რომელი ხილთი რის მიზეზისაგან აუღუღდების, ან რომლისა
ძარღვიდგან აუღუღდების და ან შეიქნების, და ან იმა სენისა და
ხილოებისა ნიშნები და აღამათები რა და რომელი არის, ან იმისი
წამლები და ხელის შეწყობა როგორ უნდა.

აწე მრავალი სააქიმო და სამეცნიერო წიგნები დასწერეს და
გამართეს, რომე ამა ჟამისა კაცთა კკუა და გონება ვერ მიხედების

და მათნი სიტყვანი და საქმენი სწავლანი და წამლები ზღვათგანცა უმრავლესი არის, და არცა კაცის ენისაგან ითქმის.

აწე სრულსა ამა წიგნებისაგან მე ცოდვილმან შარჩეზადემან ესე წიგნი იმა მრავალთა წიგნთაგან გამოვიღე და გამოვკრიბე და რაცა ან აქიმობა და ან წამლები მეკეთა და გულშინა შემომივიდა, და ან აქიმთა და ფილასოფოსთაგან კაცთაგან ბევრჯერ ნაქმარი და დაცდილი წამლები იყო და ან საქმეები, ყველა იმ წიგნებიდამ გამოვკრიბე და გამოვიღე, და ეს წიგნი გავაკეთე და სრულად ამ წიგნში დავსწერეთ. და ამ წიგნსა სახელად მუნთა ხაფი შაფია დავარქვი ვითამცა სრულისა და სააქიმოსა წიგნებიდამან გამორჩეული და გამოკრებული და ყოვლისა სენისა და კირისა მკურნალი და წამლებიო.

აწე ცოდვილი და უღირსი დაუთხან ამას მიეხვდი და შევიტყვე, კაცმან რომე კაცი და ავადმყოფი ძალითა და შეწევიცა ღთისათა პირსა და სარჯელსა და სიკვდილს მოირჩინოს დიდი მადლი არის, მერმე უღირსმანცა ამა წიგნისა გარდმომღებმა და გადმომთარგმნელმან გულსა მოვიდევ და შევეცადე და ღთისაგან ესე ვსთხოვე და ესე ვიაჯე, რომე ამდენი ტკუა და გონება და სწავლა და გულის ყური მიბოძე, და ამდენი ძალი და გაძლება მომეც მეთქი რომე ესე.... და შემდეგ სიტყვასიტყვით ისევე როგორც წინამდებარე ტექსტში.

ვარიანტი A 450 გვერდის მანძილზე ანუ ოცდამეთორმეტე თავამდის მისდევს ჩვენს ტექსტს. ამის შემდეგ მოულოდნელად წყდება და იწყება სულ სხვა რამ, რაც ჩვენს ტექსტში არ არის. სახელდობრ, „კარაბადინი ხასიათი წამლისა რომელი არს ჯალინოზისაგან ნათქვამი“ ხელნაწერის ეს ნაწილი შეიცავს 266 გვერდს და დაწერილია ეჰე ხელით, როგორც წინა ნაწილი, და თანამიმდევრობით შეიცავს შემდეგ ნაწილებსა და თავებს:

„კარაბადინი კბილისა“ აქ ყოველ სამკურნალო საშუალებას მოსდევს ლოცვა ანუ შელოცვა.

„კარაბადინი თავის ტკივილისა“ აქაც სამკურნალო საშუალებანი და ლოცვანი ერთმანეთშია არეული. შემდეგ აწერილია თუ რას უნდა მიაქციოს ექიმმა უკრადლება ავადმყოფის საწოლთან. ამ თავს აქვს შემდეგი სათაური „ჯერ არს რათა ისმენდნენ აქიმნი სწავლასა ამას“ და აწერილია ორიგინალური ნიშნები და საშუალებანი ავადმყოფის მორჩენისა და ან სიკვდილის შეტყობისა. ეს თავი თავდება ასე: „ეს ყუელა ოსტატთა კაცთაგან ნაქმარი და დაცდილნი არის ძმანო, მაჰანო და შვილნო“. როგორც ვხედავთ, ეს თავისებური მი-

მართვა „ძმანო, მამანო და შვილნო“ იგივეა რაც მეშვიდე კარის მიწაწერში და ერთდამივე პირს უნდა ეკუთვნოდეს.

შემდეგი თავი შეეხება თვალის ავადმყოფბათა მკურნალობას: „ეს წამლები თვალისა წიგნთაგან ამოჩეული და დაცლილი“. მოყვანილია თვალის სხვადასხვა ავადმყოფობანი და მათი მკურნალობა. ამ თავის სტილი ჩვეულებრივი კარაბადინისაა. მაგალითად: „ვის სინათლე მოაკლდეს ქონდარი რძითა შევებე; ჩააწვეთე და გაუნათლებს“ „თუ თვალთა თეთრი იყოს, კაკბის ნალველი მოავლე და ერგოს“ და მრავალი სხვა. ასეთ სტილს ჩვენ ვუწოდებთ „კარაბადინის სტილს“, რაც, ჩვენის აზრით, ორიგინალური ქართული უნდა იყოს.

ამ კარის შემდეგ მისდევს „კარაბადინი ყურის ტკივილისა“. აქაც იმავე სტილით ჩამოთვლილია მრავალი ავადმყოფობა და მათი მკურნალობა. ამ თავში მრავალი საინტერესო წამალი და საშუალებანია მოყვანილი. მაგალითად: „თუ ყურიდან წყალი გამოსდიოდეს, ვაჟის კაცის შარდი ყურში ჩაასხი თბილ თბილი და არგებს“. ან კიდევ „ცერეცოს თესლი დანაყე და ქალის რძითა გამოაჩხაღე, გაათბე, ყურში ჩაასხი და ეშველებიხს ღთითა“.... და მრავალი სხვა.

შემდეგი თავი: „აქათგან იწყების წამალი მკამლისა“.

შემდეგი თავი: „აქათგან იწყების წამალი მოწამლულისა, რა უამს შეასოს კაცმან კაცსა საწამლაფი და მოწამლოს“, აქვე აწერილია მოწამლულის ნიშნები.

შემდეგი თავი: „წამალი მისი როდისაცა გველმან კაცსა უცეს და დაშხამოს“. წამლებთან ერთად აქ მოყვანილია „ლოცვა გველცემულისა“ და თითონ გველის შელოცვა, რომ კაცმა შხამიანი გველი ხელში აიყვანოს. მაგალითისთვის აქ მოგვეყვას ერთი ლოცვა „სახელითა ღეთისათა მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა ქირთაშენელი ვარ, ქირთაშენით მოვალ, ქირთაშ მაცვია, ქირთაშ მარტყია ვირა! ვირა! და გველი ხელთა აიყვანე, და მერმე ასრე თქვი: არცა ქირთაშენელი ვარ, არცა ქირთაშენით მოვსულვარ, არცა ქირთაშენით მოვალ“.

შემდეგი თავი: „ესე წამლები ცოფიანის ძაღლის ნაკბენისათვის არის“.

შემდეგი თავი: „კარაბადინი მუცლისა ტკივილისა და გახსნისა და შეკვრის“.

შემდეგი თავი: „ყუანით ვისცა უკანა კარი გამოუვიდეს, მისი წამალი ეს არის“.

შემდეგი თავი: „წამალი სოკოსა, მიკრისისა, ბუასილისა და მაისორისა“.

შემდეგი თავი: „სხვა მესირისა, ბოასილისა, ნავოსალისა, ხა-
ზარისათვის“.

შემდეგი თავი: „აქათვან იწყების წამლები მჯდომისა“. ამ თავში საგულისხმოა შემდეგი დეტალი: სწერია „კიდევ სხვა ქართული წამალი არის წითელსა და მწვანეს ყუავილს გამოიღებს, ის დანაყონ და ზედ დასდვან“. აქედან ირკვევა, რომ სპეციალური „ქართული“ წამლებიც ყოფილა ხმარებაში.

აქვეა ლოცვა მჯდომისა — რამდენიმე ლოცვა მოყვანილი. შემდეგი თავია „წამალი ათეშაკისა“ ათეშაკი აქ Lues-სა ნიშნავს. ამ თავში ინტერესს იწვევს ათეშაკის დარიშხახათ და სინდიყით მკურნალობა. მაგალითად: „მოიტანე ორი მისხალი დარიშქანა და ორი მისხალი ვერცხლის წყალი, ესენი ღუჯით კარგათ გადაადგინეთ, და მოიტანეთ კარგი ჰალაბური საპონი თხუთმეტი მისხალი და იმავე ჯამში კარგად ჩაფხიკე, და ამავე წამლებშიგა ამოზილე, კარგა ერთმანეთში გაერთოს. და მოიტანე ნელთბილი წყალი ამითი ასრე გაქენ და გადადგინე რომე ინასავით გახდეს, და მოიყვანე ათეშაკიანი კაცი და გააშიშვლე და ნახე თუ წელ ზეითაც გამოეხეთქოს, თავის სასულეს გარდაისათ, ყოველგან დასცხევე და თავდაღმა დაუზილე რომე, ამ ქირის ქარი თავდაღმა წამოიყვანოს. და თუ წელ ზეით არა ჰქონდეს და წელ ქვეით ყოველგან დასცხევე, კიპს გარდაისათ და ისრევე თავდაღმა დაუზილე. და თუ ეს წამალი ან კიპსა და ან სასულეს მოეცხოს, იცოდე კაცს მეტად შეაწუხებს და ძალს უზამს. ახლა თუ ზაფხული იყოს სიცხეში დააყენე და ისრე შესცხე დიდხანსა და თავდაღმა უზილე, და მერმე ამავე სიცხეში დააყენე, და კარგად დახურეთ კაი ოფლი ედინოს. და თუ ძალი უყოს და შეაწუხოს, მეორესა და მესამეს ჟამსა გაბანდეთ თბილის წყლითა. და თუ ძალი არ უყოს და არ შეაწუხოს მეორეს დღემდისი იყოს იმავე ოფლსა და ქვეშაგებშიგა. და მეორეს დღეს გაბანეთ. და თუ ზაფხული იყოს ასრე სიცხეში უყავით, და თუ ზამთარი იყოს და თორნე გაახურეთ და ზედა ლასტი გარდახურეთ და იმაზედ დააყენეთ და ისრე დასცხევეით, და თავდაღმა დაუზილეთ სასულესა კიპს გარდაისათ, როგორც ზაფხულში სწერია ისრევე ამავე თბილ თორნეზედ დაუგეთ ლოგინი და დაწვინეთ, და დახურეთ და ოფლი აღინეთ. და თუ ძალი უყოს და შეაწუხოს მეორესა და მესამესა ჟამსა გაბანონ. და ახლა ეს წამლები სამჯერ ოთხჯერ უყავით და ეშველების ღვითთა“. ამ ამონაწერიდან ნათელია, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში უკვე სკოდნიათ ქართველ ექიმებს Lues-ის დარიშხანით და სინდიყით მკურნალობა.

შემდეგი თავი: „წამალი მუნისა--ვისაცა ესხას“; აქვეა ლოცვა მუნისა.

შემდეგი თავი: „აქეთგან იწყების წამლობა ცივებისა და ცხელებისა რომე ოცდა ხუთი რიგი არის და რომელსაც შეხედება უთუო არის ლოცვანი და წამლები“. ამ თავში მოყვანილია ლოცვანი რიცხვით ხუთი და შემდგომ წამლობა—„აწე წამლები მოგახსენოთ ხურვებისათვის“.

წამლებს ისევ შელოცვები მისდევს—„ვისაც სული უკეთური დაემართოს“, „კიდევ ეშმაკეულისათვის“, „ლოცვა ქაჯისა“, „ლოცვა უჩუხისა“, „ლოცვა თურქულისა“, „ლოცვა უემურისა“, „სხვა ლოცვა უემურისა“.

ამ ლოცვებს მოსდევს „წამალი ტაბასტასი—ვისცა სჭირდეს“.

შემდეგი თავია „წამლები ტანისაბანელი კულინჯარის ნასწავლები“. ამ ნაწილში სულ ოცდარვა სამკურნალო საშუალებაა მოყვანილი, მათი თვისებანი და მოქმედებანი. ამ ნაწილის ბოლოში აწერილია მუშია და ჯადვარი.

შემდეგი თავი: „აქა თანძუ ხათაის ცნობა და ალამათი“.

შემდეგი თავი: „აქათგან იწყება ოფოფის წამლობა და ალამათი“

შემდეგი: „იორდასლების მკურნალობა“

შემდეგი თავი: „აქათგან იწყება წამალი ხუელისა“

შემდეგი თავი: „ღვიძლით რომე კაცი ავად იყოს მისი წამალი“

შემდეგი: „წამალი ტყირპისა“, „წამალი თირკმლის ტკივილისა“

აქვეა „ტყვის და პატიმარის ლოცვა“.

აქვეა კვიმატი ანუ ცულად დაცდილი, თუ ცულმნიშვნელოვანი დღეების ნუსხა. „აქა დღენი კვიმატნი საკრძალავნი თვეთა შიგან, თუ იმ ჟამზედან დაწერილსა ვერ იკითხევედე, ამით ისაცნაურე და შეიტყუე: სეკდემბერს სამსა და ოცდა ორსა. ოკდომბერს სამსა და ოცდაერთსა. ნოემბერსა რვასა და ჩვიდმეტსა. ეკემბერს სამსა და ოცსა: ანვარს სამსა და თოთხმეტსა. ებერვალსა ოცდა სამსა და ოცდა ექვსსა. ვნის სამსა და თორმეტსა. ვლისა ექვსსა და ოცსა. გვისტოსა ექვსსა და თხუთმეტსა“.

შემდეგი თავი: „აქათგან იწყება წამლები ყოვლის ქირისა და სენისა, ერთმანეთში არეული არის და ვისცა რა ექირებოდეს წაიკითხოს და ყუელას იპოვის რაც უნდა. უთუოდ ბევრს ვეცადე, თავადად ვერას გაუველ და თან რევით დამიწერია“.

ამ ნაწილში მოყვანილია წამლები „უფსმელობისათვის“, „ქუა რომელსა ეღვას“, „შირიმისა“, „ყელის ქირვებისათვის“, „მსხმოსა-

თვის“, „ქარისათვის“, „წამალი წითელი ქარისა“, „ვისცა თმა სცვი-
ოდეს“, „სიყუითლისათვის“, „დაკოდლისათვის“, „საოფლისათვის“
და მრავალი სხვა. სულ ოცდა თოთხმეტი გვერდის მანძილზე. ამ
ნაწილში ყურადღებას იპყრობს შემდეგი დეტალი: „საბატიო კაცი
თუ ვინმე ავად იყოს და მწოდ სუსტად, მისი წამალი ეს არის“....
ეს დეტალი საგულისხმოა იმიტ, რომ „საბატიო“ ანუ საპატიო კაცის
მკურნალობა ხაზგასმულია. როგორც სჩანს, არა საპატიო ხალხის
მკურნალობა სხვა სახისა ყოფილა.

აქვეა ამავე ხასიათის შელოცვა—„ვისცა უნდოდეს რომე პატ-
რონმა შეიყვაროს“. ან კიდევ—„უკეთუ მეფე ანუ პატრონი გულ-
ძერი იყოს შენთვის“ და მოყვანილია ლოცვა „მეფისა და პატრო-
ნის“ გულის მოსაგებად.

ამ ნაწილში სხვადასხვა სამკურნალო საშუალებანი და ლოც-
ვანი ერთმანეთშია არეული. აქვეა „ლოცვა ძუძუს ტკივილისა“, „ლო-
ცვა საწერლისა“. „თვალისა“, „ლოცვა სატკბურასი“, „ლოცვა აღი-
სა“, „ტაშტისა და რკუს ლოცვა“, „ლოცვა სიმდიდრისათვის“,
„უკეთუ ცოლსა ორგულობასა სწამობდე“.

ამ ნაწილის ბოლოში სწერია ასეთი რამ: „სიტყვა ქათმისა“
„ოდეს ორნი მამალნი იბრძოდენ, ბრძოლითა დამაშვრალითა იყვნენ
დაღლულნი, შეიპყარ ერთი და დაკალ, მაშინვე მისი სისხლი ორთა
მოყუარეთა კაცთა აქამე შექამადთანა და იგინი შემტერდნენ იცოდი“.

ამ ნაწილის შემდეგ ისევ იწყება „კარაბადინი გამოცდილი“,
ცხრა გვერდის მანძილზე მოყვანილია სხვადასხვა ავადმყოფობანი და
მათი მკურნალობა, ტიპიური „კარაბადინის სტილით“.

ამის შემდეგ ხელნაწერს დართული აქვს ცხრილი მთავრის
დღეებისა იმის გასაგებად, სწეული მორჩება თუ მოკვდება. ამ ცხრი-
ლის ასოები და წარწერა ნუსხური ჰელით არის გაკეთებული, ეს
ხელი თითონ იოანესი უნდა იყოს, რადგანაც იგივე ხელია, რომლი-

თაც არის გაკეთებული მი-
ნაწერი ხელნაწერის ბოლო-
ში, იმავე ნუსხურით იოანეს
ვინაობის შესახებ.

„უკეთუ გინდოდეს ცნობა
სწეულისა, გამთელდების თუ
მოკვდების იპყარ სახელი სწე-
ულისა მის ღვდლისაგან წო-
დებული და ზედა დაურთე
ოცი და მთვარე რაოდენიცა

აი ეს ცხრილი

ა.	გ.	ზ.		
იღ.	კბ.	იხ.	ქვ.	
ბ.	ია	გ.	იგ.	თ.
ოვ.	ძ.	ქვ.	ქვ.	
ც				

წით.

დ.	ც.	იბ.		
იძ.	ი	ლ.	კა.	
კბ.	ქდ.	ით.	ქვ.	
ვ.		ვთ.		

შავი

იყოს, მას დღესა რასაცა დასწეულდეს ზედა დართე და ყოველივე ოცდათეულად განუტევე და უმცროს, რომელი დარჩეს ნახე იგი სათვალავი თუ წითელს მგრავულს ქვეშ იყოს დარჩეს ხოლო უკეთუ შავ ქვეშ იყოს, მოკუდეს იცოდით“.

ამის შემდეგ მოყვანილია „სამეცნიერო თორმეტთა ეტლთა და თექუსმეტთა ვარსკვლავთა“:

„აყარე კენჭები უთვალავი და ახსენე გულში რაც გედვას, დაჰყავ ხელი და აიღე რაზომიცა მოგზედეს, თექუსმეტი ვარსკვლავს გარდუდე და სხვა რაც ხელში დაგრჩეს დათვალე: ერთი დაგრჩეს—ქენ რასაც ლამი. თუ ორი დაგრჩეს, კიდევ ქენ—კეთილად მოგინდეს. თუ სამი დაგრჩეს, ნუ შემართებ, არ იქნების. თუ ოთხი დაგრჩეს ქენ, შენის ნებისა იქნების ექუსიც დაგრჩეს კარგია შვიდი დაგრჩეს, ნუ იქ—ბოროტი მოაქუს. რვა დაგრჩეს შექირვება სიხარულად გარდაგექვს. ცხრა დაგრჩეს—ბოროტი მოაქუს. ათი დაგრჩეს—წადილისა არის. თერთმეტი დაგრჩეს—ყოველივე იშოვო, რაცა გულსა გიც. თორმეტი დაგრჩეს ნუ იქ. ცამეტი დაგრჩეს ქენ—კეთილად მოგინდების და უზიანოდ. თოთხმეტი და თხუთმეტი დაგრჩეს—მგზავრობა კარგია, და სხვა რაცა გულსა გიც ნუ შემართებ, არ იქნების. და თუ თექუსმეტი დაგრჩეს, იგიცა კეთილ არს დასტურად“.

შემდეგ არის მოყვანილი „ლოცვა თვალ ცემულისა“. „შელოცვა ბოსტინისა“. „შელოცვა ყანისა“, თავი რომ სქამდეს. „ლოცვა აღისა დედაკაცსა ზედა შშობიარესა“. „ლოცვა ჯირკვლისა“. „ლოცვა ყანათა და ყოველთა ნაყოფთა უვნებლიანობისათვის“. „ლოცვა წყლულთა“. „ლოცვა ჯირკვლისა“. „ლოცვა კუვისა ზედა“. „ლოცვა გვრემისა“—ამ ლოცვის ნახევარი ნუსხურად არის დაწერილი. „ლოცვა ბედნიერისა“ მთლიანად ნუსხურად არის დაწერილი. „სხვა ლოცვა ბედნიერისა“, დაწერილია მხედრულით. „კიდევ სხვა ლოცვა ბედნიერისა“. აქვეა მოყვანილი „წამლები ბედნიერისა“.

ნიმუშისთვის აქ მოვიყვანთ ერთერთ „ლოცვას ბედნიერისას“ და „წამალს ბედნიერისას“. „გამოვიდა ქრისტეს მუხლსა მჯდომი იგი პატროსანი, შიშითა მისითა ცა იძვრის და ქვეყანაი თრთის, უბრძანა ქრისტემან საით მოხვალ მცირეო ქვეყნისაო, მე ვარ ბედნიერი გამოსული ზღვით, ნატეხი მეხისა, მსგავსი ცეცხლისა, ფერი ვერცხლისა, ზღვამან ნარწყულმან გამომავდო, ნარწყულმა ხმელსა—ხმელმან ვერ დამიტია, სიმწართა აღმოვჯექ ქვასა ქვეშე. რა იყო წამალი შენი, შვილი ქათმისა, უგბოლველი თაფლი, წითელი ნეკეულის სტო, ზეთის ხილი, იგი არს სიკუდილი თავისა ჩემისა. დატ-

კბი, დაამდი მადლსა მარიაშისასა გაფიცებ სამას სამოცდა ხუთსა ანგლოზსა, არა სქამო ხორცი ძისა კაცისა“.

„წამალი ბედნიერისა“. „ბაყაყი დაშაქრული, ხორთქალა და-ნაყილი და დაშაქრული საქმელი გოგრით, ფოთოლი იყოს თუ ყუ-ითელი, თუ გული, ან ქერქი, დაშაქრული უნდა დაადევით. ბალბის ყუავილი დაშაქრული. ქაფური დაალევინეთ, თხის ტყავში შიგ ჩაა-წვინეთ. ვარამ ტუხშტიგ ჩააწვინეთ. ქათმის ლვიძლი დაშაქრული და-ადევით. ძაღლის პილწი დაშაქრული დაადევით. მკბენარი მოკლას და დასცხოს.

თუ მისი რამ სიმსივნე დარჩეს თავს, სწყვეტელას ძირი დანა-ყოს და მალი მალ შინებით (ფრთხილად) დასცხოს. სასუნებლის იის ფოთოლი დანაყეთ და დაშაქრეთ, და დაადევით. მარანდული საპო-ნი დაფხიკეთ და ვერცხლის გულშიგა გამოზილეთ, გაათხელეთ და დაადევით. კიდევ შავი ქიშმიში დაშაქრეთ, და დაადევით, და არგებს ძალითა და შეწვენითა ღთისათა“.

ამის შემდეგ მოყვანილია ისევე „ლოცვა თვალისა“, „ლოცვა მკვალისა“, „ლოცვა ქარისა და ლეწისა“, „ლოცვა მრავალთა სენთა-ნი და მჯდომისანი“, „სხვა ლოცვა“, „ვისცა საწერელი ნახქი შეექ-ნას“, „ვისცა სარჩელსა შიგან გული. შეუშინდებოდეს“, „ლოცვა კა-თოლიკე კაცისათვის, რაქამს კირსა შიდა იყოს“, „ლოცვა და ფუ-ცება გესლიანის გველის ნაკბენისა“, „ლოცვა ატურ მატურისა სა-ყმაწვილოსი“. ეს ნაწილი აქ თავდება.

ამ ნაწილს მოსდევს კარი „იე“— „ნიშანი წერილის წამლებისა გასახსნელისა“.

შემდეგ კარი „იე“— „იარაჯებისა გასახსნელისა“. აქ არის ია-რაჯი ფეყრა. „იარაჯი არაი ლუყმან“. „იარაჯი ჯალინოს“, „იარა-ჯი ბასარიონ“, „იარაჯი გალინოზისა“, „თელგმიანის იარაჯი“.

კარი მეჩვიდმეტე—მათბუხებისა. მათბუხი ბუზურგ. აფია მათ-ბუხი. მათბუხი მჯდომისათვის. მათბუხი მუფიდი. მათბუხი ჰალილა-ჯან. მათბუხი ბანავშ. არა გასახსნელნი მათბუხნი. მათბუხი ლვიძლის ტკივილისათვის, მათბუხი აფთიმონი, მათბუხი შაპთარა.

შემდეგ: „აწ მულაბი მოგახსენოთ. მულაბი დიდის მათბუ-ხისა ბუზურგისა. აფთიმონისა მათბუხისა.

კარი „იი“ „ლოყიათა, რომელნი არიან სალოკავნი თითთა. ნაევის ლოყია. ლოყია შამბალილასი. სელის თესლის ლოყია.

თარგმანი ლოყიათა შექნისა: უნდა რათა დანაყენ წამალნი ხმელ-ნი და დაალბენ, რომელსა ლაბის გამოღება ხამს, ვითა ბიას გული და ბაყაყულის თესლი და შამბალიასი თესლი და სხვანი, ერთითა

დღითა უწინა, და ცვილი და ზეთი ორივე ცეცხლთა ზედა ერთად და შერივნენ, კარგია, რათა არა შეიყინენ წამალნი“.

კარი „ით“ „აბისა რომელ არს მარცვლები. სხვა აბი თვალთა და თავისა, და სტომაქისა“. ნიშანი მარცვალისა რომელი არს ათითა წამლითა“. ნიშანი მარცვალთა ერგების პირის სიმყრალეთა“. „აბი ისთი ხამიყუნ“. „აბი ყუყია“. „აბი სურინჯანი“. „აბი ბარმაქი არგებს, რომე ავი მლიერი ესხას და სისხლკორძსა“. „ეცე წამალი ბახტიშუაი ჰანასარნისაგან შეთხზილი არის ბარანქ მეფის შვილისათვის შექნა ეს წამლები, მეფის შვილის სახელი ფზილ, ამას მწოვედ ქავილი სჭირებია“. „აბი ამლუჩ“. აბი ღარიყუნი. აბი საბრი. აბი ყოლინჯანისა. აბი სვალ. აბი ჯუნდა. აბი ულმათინ. აბი მუყლი. აბი ზაირ. აბი მანახურ. აბი სოლან.

კარი „კა“. ყურსებისა — ნიშანი კვერისა. ყურსი ჰალილა, ყურსი-მუშკისა. ყურსი მური. ყურსი ქაბური. ყურსი სუმბულ. ყურსი ბუ-ზურგ. ყურსი თხაფშირი. ყურსი ქარვა. ყურსი ბანაშვა. ყურსი ბიზი ქაბრი. ყურსი რევანდისა. ყურსი ლაქისა. ყურსი უფულ. ყურსი-აფიონი.

„თარგმანი ყურსებისა: ასრე უნდა შექნა ვითარცა მოვითხრობ ჯერ არს დაალბე წამალნი კარგად და შემდგომად შეზელისა დაესხენ ერთსა ქამსა და ორსა, რა გაფუვდეს და გაადნეე გომიზი მათი წონა და იყუნენ მათ შიგან, გომიზი ვაშაყი და გომიზი არაბი და რომელი მსგავსი მათი, დავალბნეთ უწინ ქამითა და ერთითა, და იცხოს ხელთა ვით შეურიოს და იქმოდეს ზეთთაგან რომელ შეტყუებოდეს ყურთა. კარგია ნებითა ღთისათა.

კარი „კ“ — ტლეებისა, რბილი სიმსივნის ტლე. მაგარი სიმსივნის ტლე. გრილი ტლე. ტლე ხატმისა.

„თარგმანი ტლეთა: ჯერ არს რათა დანაყო და ვასცრა, და წყლით შეზილე და თანგირაში ჩააყენენ, და ცეცხლზედ დადგი, და შემდგომად მისა დაადნეე ცვილი ზეთსა თანა და ჩაურთენ, ვირე ცეცხლსა ზედა იდგეს დასდევ ზედა, ერგოს ნებითა ღეთისათა“.

კარი „კბ“ — მაჯუნებისა და თრიაქებისა და ჯაეაშირებისა. დიდი თრიაქისა ხასიათი რომელი არს ფარუყი. ნიშანი მაჯუნისა რომელი არს ჯაზილი. მაჯუნი აფლონია იხუმი. მაჯუნი აფიონი. ზაფრანის მაჯუნი. მაჯუნი არის ტლისა. მაჯუნი გალინოზისა, ნიშანი მაჯუნისა რომელ არს საყმულისა. ნიშანი მაჯუნისა რომელ არს რევანდისა. ნიშანი წამლისა რომელი არს საჩინო წამალი სუმბული-სა. მაჯუნი კოლინჯანისა, მაჯუნი სასლიოზ. მაჯუნი ზანჯაფილისა. მაჯუნი მუფარე. მაჯუნი ეფისაქუნ. მაჯუნი ნანხუა. ნიშანი რამადლ

სტაფილოსა. ნიშანი კრუკუ მამასა. მაჯუნი ფალასუფა. სიცოცხლისა მაჯუნი. ნიშანი გვარიშნისა იტრიფილისა უფროსისა. ნიშანი იტრიფილისა უმცროსისა. ნიშანი გვარიშნისა გურბის ძირისა, გურბი ზირა. გუარიშნი ხუზი. გუარიშინი უდა. გუარიშინი ლისა. ნიშანი გვარიშინისა ვაშლისა. ნიშანი გუარიშინისა შაქრისა. ნიშანი გუარიშინისა ამბრითა. ნიშანი მაჯუნისა ხოლინჯანისა. სტაფილოს მაჯუნის ხასიათი.

„სხვა გასახსნელი წამალი“. „კარი მაჯუნებისა თარგმანთა და იარაჯთა“. „თარგმანი გუარიშნთა შექნისა“.

კარი „კლ“—შარბათებისა. შარბათი ბანაუშა — იასა ჰქვიან. ვარდის შარბათი. შარბათი ისრიმისა. შარბათი ფშატისა. შარბათი ბროწყულისა. შარბათი შროშნისა. შარბათი თურინჯისა. შარბათი თუთისა. შარბათი ნიგუზისა. შარბათი მურტისა. შარბათი ვაშლისა სადავისა. შარბათი ამათი ფურკლისა. შარბათი ლილიფრისა. შარბათი ბიისა. შარბათი მაშასი. შარბათი დინარი. თეთრის სანდლის შარბათი. შარბათი ლიმონისა. შარბათი აბზინდისა. თაფლის სასმლისა.

ნიშანი ხანდიკონისა რომელ არს თაფლუჯა. შარბათი სხლისა ნიშანი ყურძნის რუბისა. შარბათი პიტნისა. შარბათი უნაბისა. შარბათი სუმბულისა. შარბათი მუშკისა. შარბათი ხაშხაშისა. შარბათი უნსულისა. შარბათი ბუზურ. შარბათი ზუფისა. შარბათი ალილასა. შაქრისა შარბათი. შარბათი ინგუბინისა, თაფლისა არს. შარბათი ტყემლისა. შარბათი თუთისა. შარბათი რევაჯისა. შარბათი ჯულაბისა. ამ გვარად აწერილია ყველა ამ შარბათების დამზადების წესი და ხასიათი.

კარი ოცდამეხუთე—სიქანჯუბინისა. სიქანჯუბინი უნსული. სხვა სიქანჯუბინი. კიდევ სხვა სიქანჯუბინი. კიდევ სხვა სიქანჯუბინი. ნიშანი გასახსნელისა სიქანჯუბინისა, ნიშანი შაქრითა შექნილისა ჯულაბისა. სიქანჯუბინი ზაფრისა. სიქანჯუბინი შესაკრავი. სიქანჯუბინი უნსული. სიქანჯუბინი ბუზურ.

ეს კარი თავდება ასე: „ამა შარბათებსა ყუელასა მათ მათი თარგმანი გვერდს უწერია, გაჩენით, თავთავისად, და ბუნება მახვილთა და გონიერთა და ბრძენთა კაცთაგამ აღვილად მისახლომი არის, თუ ღმერთსა ეპრიანება“.

კარი „კვ“—ცხროთა მრავალ გვართა“. აქ მოყვანილია ოცდაექვსი მიზეზი ცხროთა და დართული აქვს შემდეგი ნუსხა.

- ა. უძილობისგანაც დაემართების ცხრო.
- ბ. დიდის სარჯელისაგანაც დაემართების.
- გ. ავის თვალისაგანაც დაემართების.

დ. შეშინებისაგანაც დაემართების.

ე. დიდის საგონებელისაგანაც დაემართების.

ვ. სიცხისაგანაც დაემართებია.

ზ. მთვარიანს ლამეს რომე კარში წვებოდეს, იმისგანაც დაემართების.

წ. ნამეტნავად სიცივისა და ცივის წყლისა და ცივის ქარისაგანაც დაემართების.

თ. სიმსივნისა და თვალის ტკივილისაგანაც დაემართების.

ი. დაკოდისა და ცემისაგანაც დაემართების.

ია. სიმაშვრალისა და ჭირისაგანაც დაემართების.

იბ. სისხლისაგან რომე გასივდეს და მსუქანსა გვანდეს იმისაგანაც დაემართების, ორივე ერთი სათვალავი არის.

იგ. ზაფრისაგანაც დაემართების.

იდ. სევდისაგანაც დაემართების, რომელ არს შიში და ნავლელი.

იე. ბალღიმისაგანაც იქნების.

ივ. უხარშავის ბალღიმისაგანაც დაემართების.

იზ. შიმშილისა და წყურვილისაგანაც იქნების.

იპ. დიყის ცხროც არის რომ დაემართების.

ით. დიდის ღვიძლისაგანაც დაემართების.

იკ. მსხმოსა და ავის ჭირისაგანაც დაემართების.

იკა. მუტბიყიცა ეწოდების სახელად.

იკბ. კიდევე სხვა არის მუტბიყი.

იკგ. ყუავილისაგანაც დაემართების.

იკდ. ზველისაგანაც და სურდოსაგანაც.

იკე. მეთერთმეტე დღეს რომ მოუვიდოდეს, ისეთი იქნების ცხროცამ ნუსხის ბოლოში შემდეგი წარწერა არის გაკეთებული ნუსხური ხელით:

„ესე კარაბადინი წმინდის გარსევან მღვდლის შვილის იოანესია, ვინცა ნახოთ და წაიკითხოთ და ან გარდილოთ რამე და ისწავლოთ, თქვენის ღვთის გულისთვის ცოდვილს იოანეს შენდობას მიბრძანებდეთ, რომელ წმინდისა რსჯულითა დამიწერია, ვინცა შენდობა მიბრძანოთ, მე დიდათ შემეწევა ადგილსა მას საზჯელი-სა, და თქვენ უზარუნველ იქნებით“.

ამის შემდეგ მიწერილია სულ სხვა მხედრული ხელით: „თქვენმა შებმა ასრე უნდა იყოს“.

შემდეგ წესდებიან: „აწ ესე მოგახსენოთ ამა ცხროებს გარეთ სხვა ცხრონიც არიან. სხვისა და სხვის ტკივილისაგან შეექნებიან, რომელიცა ასო სტკიოდეს და აცნროებდეს იმას სახელად

ჰქვიან რომელიც ასო სტკიეა იმისი. ცხრო. ლეიძლის ტკივილისაგანაც იქნების, ფირტვის ტკივილისაგანაც იქნების, თირკმელთა ტკივილისაგანაც დაემართების და ამის კურნება ერთობ მარცხი არის. ტყირპის ტკივილისაგანაც დაემართების, მჯდომისაგანაც დაემართების, სიმსივნისაგანაც დაემართების, მღერისაგანაც დაემართების, თვალის ტკივილისაგანაც დაემართების, თავის ტკივილისაგანაც დაემართების. და არს რომელიმე ადვილ ეწამლებოდეს, და არს რომელიმე ძნელად ეწამლებოდეს. და ამა ცხროსა წამლები ეს არის რომე, რომლისადა ასოსა ტკივილი იყოს, იმ ასოს უწამლოთ, და ის მტკივანი ასო გაუმთელოთ, რა ასო გამთელდება ცხროც გაუშეებს, და თუ არ გამთელდა ის მტკივანი ასო, არც იმის ცხროს ეწამლებების“.

მერე აწერილია ყველა სახის ცხრო, მათი ნიშნები და მკურნალობა.

კარი „კჷ“ დედაკაცისა—რომე არ დაორსულდებოდეს. და დედაკაცისა წესისა შეკვრისა და ძნელად შობისა და ძუძუს ტკივილისა. და რძისა და ყმაწვილის შენახვისას და ორსულობისა შეტყობისას მოგითხრობს.

კარი „კჷ“. დედაკაცი რომ ძნელად შობდეს, იმისას გამცნებს და გაიმბობს.

კარი „კთ“. წყლით მანკიერისა, ვითამცა და წყლით ორსულისა, იმისას მოგითხრობს და გაიმბობს.

კარი „ლ“. დედაკაცსა თუ უშვილობასა სწამობდე, ნიშანსა მისსა მოგითხრობს.

კარი „ლა“. დედათ წესის ამბავი. ამ თავში მოხსენებულთა ექიმი საბი ნაყარა შვილი.

კარი „ლბ“. დედაკაცისა წესისა უკუდგომისა.

კარი „ლგ“. დედაკაცსა რომე რძე დააკლდეს იმისას მოგითხრობს.

კარი „ლდ“. დედაკაცსა თუ საშოსა შიგა სიმსივნე დაემართოს.

კარი „ლე“. სხვა სენი დედათა საშოსა.

კარი „ლვ“. კაცი რომე ცოლთან ვერ დაწვებოდეს, იმის ნიშნებსა მოგითხრობს და გაიმბობს.

კარი „ლზ“. ტილისა რომე კაცსა თმასა და წვერსა დაებალოს და ტანზედა დაესხას.

კარი „ლც“. ჯავარიშებისა და მუფარებისა ხასიათსა და შექნასა გაიმბობს.

კარი „ლთ“. მხურვლისა და გრილის ყუავილებისა და ბალა-

ზისა და ამათისავ თესლებისა და ხილებისა ზეთებისა გამოხდისა და შექნისა წესსა და რიგსა გამცნებს და გაამბობს.

ხელნაწერს ბოლოში აქვს დართული სამთავრიო ანუ რა მნიშვნელობა აქვს მთვარის ყოველ დღეს, და როგორ უნდა მოიქცეს კაცი ამ დღეების ამათიუმ მნიშვნელობის მიხედვით. მაგალითი: „ათორმეტსა მთვარისასა დღე კეთილი ყოვლისა საქმისათვის. კაცსა შორს გზას ნუ გაგზავნი, თუ წავიდეს—ალარ მოვიდეს. თუ ყრმა შეიწყნარო ნუ მიენდობი. წარწყმენდულსა და გარდახვეწილსა თვით ეძებთ, რომელ იშვას კეთილისა შინა, გაიზარდოს. ცეცხლსა და წყალსა ერიდოს და ეკრძალოს.

თარგმანი: ამა დღესა ნათელა კმენ, უხედნი დამწყსენ, სნეული ძლიე ადგეს. რომელი იშვას ბედნიეჲი იყოს, და გარნა მზაკვარი იყოს და ბოროტად მოკჳდეს. მგზავრობა, ვაქრობა და თესვა არა კეთილ, მაცხოვრის ენებას განიზრახვიდეს. ჰურიანი, ნოე ვენახი დარგო. ესე დღე არის საკრძალავი—თავსა უჳრთხილდი. ევფუდი, დღე ყოველ იკითხეთ ძმანო“.

ასე აწერილია მთვარის ყველა ოცდაათი დღე. როგორც სჩანს ხელნაწერს ბოლოში დართული ჰქონია თავთა საძიებელი ანბანზე, მაგრამ ამ ნაწილიდან ორი ფურცელიდაა დარჩენილი, ისიც საკმაოდ დაზიანებული.

ვარიანტი. В. (№ 19. წ. კ. ფონ. საკუთრება საქ. სახ. მუზეუმისა) ხელნაწერი ზომით 32×20, შეიცავს 1012 გვერდს. დაწერილია გაკრული მხედრული ხელით, გადაწერილია მიხეილ სარაჯიშვილის მიერ 1843 წ. ეს ის ხელნაწერია, რომელიც აწერილი აქვს ნ. ბერძენიშვილს 1857 წელს (იხ. „Кавказск. Календар“ 1857 წ. გვ. 479), ექვეთ. თაყაიშვილს — 1902 წ. იხ. Э. Такайшвили „Описание рукописей общ. распространения грамотности среди грузинск. населения т. I. 1902 ხელნაწერი № 19) ა. იაშვილს 1904 წელს (იხ. „Народная медицина в Закавказском крае 1904 г. გვ. 87) ეს ხელნაწერი იგივეა, რაც ვარიანტი А და ჩვენს ტექსტს მისდევს მხოლოდ ოცდამეთორმეტე თავამდის, წინასიტყვაობაც იგივე აქვს როგორც აღნიშნულ ვარიანტს, რომელიც არსებითად განსხვავდება ჩვენი ტექსტის წინასიტყვაობისაგან.

შენიშვნა: წინამდებარე ტექსტი, რომელიც ყველაზე უმოკლესია და ყველაზე უფრო უახლოესი დედანთან, აღმოჩენილია გაცილებით შემდეგ, სახელდობრ 1928 წელს.

ხელნაწერის 949 გვერდზე სწერია: „ვინაიდან სხუადასხუა ალაგას ამა კარაბადინისასა არის ძნელად საცნობელი ლექსნი, ვინა წამალთა, ამისათვის შევკრებთ იგი ლექსნი და ანბანზედ შევადგინეთ თავისის განმარტებით, ადვილად პოვნისა და ცნობისათვის“.

- ავანსთინი რუმი რომე სპარსნი ფარიავშანს ეძახიან, აბზინდა ბალახი არის.
- ათრაფილი წვრილი სამყურის მაჯუნი არის.
- ალშავდან სპარსულად შეეთპონ—უმი კვეი არის.
- ალილა და ვაყილა ჰილი არის
- ანხარეთი და სათვალე მძივი ზაფრანა და საბრი არის
- ანხარეთი და უშალი რომე ინდნი ჩადრი ჰქვიან და შარხათი.
- ასპიოშის ლობი ბარხაყათუნას ლობი.
- ასლი ჰინდუბას შარბათა ვენახის ლიჯის შარბათი არის.
- აქლილუქულუქი ყვავის ჰანგას ბალახის თესლი არის.
- ასფურას თესლი იფინის ხის.
- ბაბათია გვირილა. ბაბათიას ხეთი (სპარ) ბაბაქუა, გვირილა.
- ბალდური ყარა (სპარ) ფარისიოშან—ქალაქური წყლის სიმბული.

ბოგრუჯა	წვრილი ლობიო
ბუი მადარონ	შელის კუდას ყვავილი.
გელინჯუგვის	ყაყაროს.
გველის ნიორი	ელაწოდა
გვიაგი ოთი	საკაწყილის ყვავილი.
დარიჩინი, უდი ჰიდი, რიასინი	ანდუსის თესლი.
დანაი ჩადირი	უშაყი
დევადაბანი	ქოჩივარდა.
დემურთიქანი	ლუსმარა ეკალი.
ზარური ისარ	ახ. მათი
ათრაფილი ბუხური	ათრაფილი დიდი
იქი ყარდაშ ყანი	დემურთიქანი
იახლუ ჩინი	დიდი ჭია.
ირსია	ლოლო.
მაზირონი ჩინი	ზარდანო
მარზანგიში	საგალი ბალახი.
მუმრულანი	მაღამო.
ოლლანაში	ჯავაშერი.
რაზიყი	ლაზოსტაყი.
საანიდის თესლი	მარიამ საკმელას თესლი.
სინამაქი	ფუთფუთას ხის ფოთოლი.
ქამახუნ	ზირა.
ყათრანი	ფიჭვის დღვილი.
ჯიბილ ჰანგი	ბალბალუკა
პრილობ	რეჰანი.

ბოლოში ხელნაწერს დართული აქვს საძიებელი „სხვადასხვა ფერისა საკმელებისა, ყვავილებისა და მუფარაების გამოსაცნობელად ანიშნებს ადგილსა, აღნიშენითა თავი და ფურცელი, ანბანზედ გაკეთებული ადვილად პოენისათვის“.

ხელნაწერის 978 გვერდზე სწერია „მრავალჯერ ამა კარაბადინში ვეცადე პოენად წამლობანი და დარიგებანი სხვათა და სხვათა ბევართა სნეულებისასა, გარნა თავისის ზანდუკით ვერ იპოვებოდა გამორჩევით, რადგან წინაპარ შემდგენელსა არ ეზრუნვა გააკეთოს ანბანის გვარზედ ადვილად საპოენელად ყოველ რიგის სნეულობისა და მკურნალობისა მისისა, და მე ამის გამკეთებელმან კოლეესკი სეკრეტარ მიხეილ სარაჯოვმან შევადგინე და ვთხოვე ყოველს, კეთილ გამხილველს რათა რაიცა ნაკლებულობა იხილოს სულგრძელობით მომიტოს“.

ამის შემდეგ მოყვანილია ანბანზე საძიებლის მაგვარი რამ ყველა ავადმყოფობისათვის თუ ლოცვებისათვის და მკურნალობის მთავარი მომენტები.

ამის გარდა ხელნაწერს დართული აქვს სრული სარჩევი, რომელსაც აქ მოვიყვანთ მთლიანად.

ა. შესავალს გამცნობს.

ბ. წელიწადების დროებს და ხასიათებს გამცნობს.

გ. ოთხს ხილთებს გამცნობს.

დ. მაჯის ნახვისა და ცნობისათვის.

ე. შარდის ყარურას ნიშნებისათვის.

ვ. საკმლის ხასიათებისათვის.

ზ. სისხლის მოკარბებისათვის.

თ. წყლის ხასიათებისათვის.

ი. ცივის წყლის ხასიათებისათვის.

ი. სიარულის დროს გამცნებს.

იბ. ძილის და ღვიძლის დროს გამცნებს.

იბ. რწყევის თათბირს გამცნებს.

იბ. ტყენის თათბირს გამცნებს.

იღ. ოთხ ფასლებს გიამბობს.

იბ. კაცი რომ ავთყოფისაგან ადგეს.

იბ. ორსულობისა და დედათა წესისათვის.

იზ. წამლების თათბირს გამცნებს.

იშ. კაცი თუ სიგრილ — ბალღმისაგან იყოს.

იით. თუ ავთ მყოფი მუცელშიგან გახსნით იყოს.

კ. მათბუხის თათბირისათვის.

კა. რწყევით თათბირს გიამბობს.

კბ. სისხლის გამოშვებისათვის.

კგ. ბურანის თათბირს გიამბობს.

კდ. მრთელის ბურანის თათბირსა გამცნობს.

კე. ნაკლების ბურანის თათბირისათვის.

კვ. მოსვენებული ბურანისათვის.

კზ. სავნებული ბურანისათვის.

კთ. კიდევ ბურანისათვის.

კთ. ავადმყოფის კარგსა და ავსა ნიშნებსა გამცნობს.

ლ. სნუელის კარგსა და საღბინო ნიშნებს გიამბობს.

ლკ. პურის ნაშაათებისათვის.

ლგ. ხორცის სიკეთისათვის.

ლზ. მრავალჯვარო ხეთებისა და ერბოებისათვის.

ლდ. ყოვლის გვარის თესვებისა, ხორბლისა და ბრინჯისათვის.

ლუ. ხილების ხასიათებისათვის.

ლვ. სასუნებლებისა და ყვავილების ხასიათის.

ლზ. საკმელების ხასიათის და შექნისათვის.

ლთ. ორსულის დედაკაცის შეტყობისათვის, ვაჟით არის თუ ქალით.

ლთ. ტვინისა და ასოების და ძარღვების ტკივილისათვის.

მ. მაჯის შეტყობისათვის.

მა. კიდევ სხვა ნიშნები.

მბ. ავადმყოფის შეტყობისათვის საღბინოდ წვეს თუ საზიანოდ.

მგ. მაჯის შეტყობისათვის.

მბ. კიდევ სხვა ნიშნები.

მბ. ავადმყოფის შეტყობისათვის საღბინოდ წვეს თუ საზიანოდ.

მგ. საღბინოდ წოლისათვის.

მდ. შტყობა ბნედისა.

მე. სრულის თავის ტკივილისათვის.

მე. სიგრილის თავის ტკივილისათვის.

მზ. ნახევარ თავის ტკივილისა, კეფისა და საფეთქლების ტკივილისათვის.

მთ. თუ კაცს თავი ხაფრისაგან სტკიოდეს.

მთ. კიდევ არეული თავის ტკივილისათვის.

ნ. თუ კაცსა თავი სეფდისაგან სტკიოდეს.

ნა. კიდევ თავის ტკივილისათვის.

ნბ. კიდევ სხვა თავის ტკივილისათვის.

ნგ. ბალღამისა თავის ტკივილისათვის.

ნდ. კიდევ თავის ტკივილისათვის.

ნე. სურდოსი, სურაგანდის და ცხვირში სისხლის დენისათვის.

ნვ. წამალი ცხვირში სისხლის დენისა.

ნზ. აბშამისათვის, რომე კაცი ავსა და კარგსა სულ ვერ იცნობდეს.

ნთ. სისხლის კერძო კაცისთვის.

ნთ. მზურვალის გარამისათვის.

ა. კიდევ ვარამისათვის.

აბ. კიდევ ვარამისათვის.

აბ. ბევრის თავის ტკივილისათვის რომე კაცი გაგიჟდეს.

- აღ. საგთისათვის.
- აე. ბნედისათვის.
- აგ. მალიხულის თავის ტკივილისათვის.
- აფ. უჩუხისა და ანახად გაგიყებისათვის.
- აშ. ფილენჯისა და ფილენჯის ქარისათვის.
- აჟ. წვრილი წამალი ფილენჯისა.
- არ. დუხლუ ბალღამის სენისათვის.
- არა. წვრილი დაცდილი წამლებისათვის.
- არბ. ყოვლის ფერის თვალის ტკივილისათვის და თვალის გათეთრებისათვის.
- არგ. თუ კაცსა თვალი ზაფრისაგან სტკიოდეს.
- არდ. თუ კაცსა თვალი ბალღმისგან სტკიოდეს.
- არე. კიდევ თვალის ტკივილისათვის.
- არვ. თუ კაცს თვალში თეთრი შეუვიდეს.
- არზ. კიდევ თვალისათვის.
- ართ. კიდევ თვალის ტკივილისათვის.
- ართ. თუ კაცი შაბქური იყოს და ვერ ხედავდეს.
- აბ. წვრილი წამლები თვალის ტკივილისა.
- აბა. ყოვლის ფერის ყურის ტკივილისა ნიშნებსა გამცნობს.
- აბბ. თუ ყურის ტკივილი სიცივისა და სიგრილისაგან იყოს.
- აბგ. თუ კაცს ყურიდამ სისხლი და ბაყლი კდიოდეს.
- აბდ. თუ ყურში კაცს წურბელა და ანუ სხვა ჭია ჩასვლოდეს.
- აბე. თუ კაცს ცივი ანუ თბილი წყალი ჩასვლოდეს ყურში.
- აბვ. წვრილი წამლები ყურის ტკივილისათვის.
- აბზ. სენი კბილის ტკივილისა.
- აბთ. თუ კბილის ტკივილი ბალღმისაგან არის.
- აბთ. თუ სურავანდისაგან კბილი სტკიოდეს.
- აბი. კბილის ტკივილისა და ღძილიდან სისხლის დენისა.
- აბა. თუ კბილი დაეძრას სურავანდისაგან.
- აბბ. თუ ჭიამან კბილი წაუზნინოს.
- აბგ. წამალი კბილისა მოსაგლეჯი უგაზოდ.

- აბდ. წვრილი წამლები კბილის ტკივილისა.
- აბე. სენი ყბისა და ლაწვისა, ენისა და ალშამისა.
- აბვ. თუ ენის ტკივილი ზაფრისაგან არის.
- აბზ. კიდევ სისხლისაგან. ვისაც ენა სტკიოდეს.
- აბთ. სხვა ენის ტკივილია სახელოდ მამარა ჰქვიან.
- აბთ. თუ ენის ტკივილი და ყელისა ბალღმისაგან არის.
- აბრ. თუ ენე ენის ტკივილი სევდისაგან არის.
- აბა. ვისცა ენა შესტკიოს და დაუძიმდეს.
- აბბ. ენა რომ უბრალოდ და უმიხეზოდ დაეზას.
- აბგ. კიდევ რომე კაცსა ანახდულოთ ენა დაუძიმდეს.
- აბდ. კიდევ ენა ამხედუცა დაეზმის.
- აბე. პირის ტკივილისა სენი.
- აბვ. ჰაბი პირიდან ავი სულის დენისა.
- აბზ. წამალი პირის ტკივილისა და პირის სენისა.
- აბთ. სენი ზახისა, ყელისა და ხუნაყისა.
- აბთ. ჯაღინოხის სწავლა.
- აბრ. თუ ყუნაყი ბალღმისაგან არის.
- აბა. წამალი ყელის ტკივილისა თუნდა სიგრილით იყოს.
- აბბ. კაი ჰაბი ხეელისა.
- აბბ. ძველისა ხეელისა და ხიყისა.
- აბბ. დაცდილი თესლები ხეელისათვის.
- აბბ. წვრილი წამლები სილისა, ხეელისა და გულის ტკივილისა.
- აბბ. თუ ღუესა სისხლსა ატანდეს...
- აბზ. სენისა თულ რასა, ზიუნაფასისა და ფილტვის ტკივილისა.
- აბთ. კიდევ ზიუნაფასისა და ფილტვის ტკივილისა.
- აბთ. თუ ღუეს ყელიდამან ვერ ამოიღებდეს.
- აბა. თუ ზიუნაფასი სევდისაგან სტკიოს.
- აბა. წვრილი წამლები ფილტვის ტკივილისა.
- აბგ. სენი ღვიძლისა და თირკმლის ტკივილისა.

რპბ. თუ ავით აღარ იყოს და ფერწას-
 ვლით არის.
 რკდ. თუ სისხლხედ ყვანა დააწყებინოს.
 რკე. ანუ ღვიძლსა რაც აწყენს და ანუ
 არეგებს.
 რკვ. თუ ღვიძლი სიგრილისაგან სტკი-
 თდებს.
 რკზ. თუ თირკმელი და ანუ თირკმლის
 თავი სტკიოდეს-
 რკწ. თუ თირკმლის ტკივილი სიგრილი-
 ლისაგან არის.
 რკთ. თირკმელში რომ ქარი დაუდგეს.
 რლ. თირკმელიც რომ სტკიოდეს და კი-
 დეუ აცხელებდეს.
 რლბ. წვრილი წამლები თირკმლის ტკი-
 ვილისა-
 რლგ. სენი სუდასა, წყურვილისა და სტო-
 მაქის ტკივილისა.
 რლდ. თუ კაცსა ათაში შეექნას.
 რლდ. სწავლა ჯალინოზისა.
 რლე. თუ ინთილა ბალღმისაგან არის.
 რლვ. სხვა კაი ტლე.
 რლზ. თუ ინთილა სეფდისაგან არის.
 რლწ. კაი მაჯუნე ინთილასათვის.
 რლთ. წამალი მუცლის ტკივილისა.
 რმ. წვრილი წამლები გულისა და სტო-
 მაქის ტკივილისა.
 რმბ. ხაფაყანისა, გულისა და სტომაქის
 ტკივილისა და გულის თრთოლისა.
 რმგ. ხაფაყანი თუ ბალღმისაგან არის.
 რმვ. წვრილი წამლები გულის ფეთქისა.
 რმდ. სათულ ჯანაბისა.
 რმე. შავი იარყანისა.
 რმვ. წვრილი წამლები ორისავე ფერის
 იარყანისა,
 რმზ. ნახვა სნეულისა.
 რმწ. გულსა დი სტომაქსა რომ ანახდად
 ტკივილი აუარდეს.
 რმთ. კარაბადინი კბილისა.
 რნ. კარაბადინი თავის ტკივილისა.
 რნა. სწავლა აქიმთა.
 რნბ. წამლობა თვალისა.
 რნგ. კარაბადინი ყურის ტკივილისა.
 რნდ. კარაბადინი ცხვირის სისხლის დმ-
 ნისა

რნე. წამლობა ხელფეხისა.
 რნვ. წამალი მკამლისა.
 რნზ. წამალი მოწამლულისა.
 რნწ. წამალი და ლოცვა გველის ნაკბე-
 ნისა.
 რნთ. წამალი ცოფიანის ძაღლის ნაკბე-
 ნისა.
 რა. მუცლის ტკივილისა გიხსნისა და შე-
 კვრისა.
 რაბ. უკანა კარი ვისაც გამოუვიდეს.
 რაგ. წამლობა სოკოსი, მიკრისისა და
 ბოასოლისა და ბაისოლისა.
 რავ. მესირისა, ბოასილისა, საზირისა
 ამლობა..
 რად. წამლობა მჯდომისა.
 რაე. წამლობა ათეშაქისა.
 რავ. წამალი მუნისა.
 რაზ. წამლობისა ცივებისა და ცხელებისა.
 რაწ. ვისაც ბნედა დაემართოს.
 რათ. წამლები ტანის საბანელი.
 რაო. ხასიათი მუმიასი.
 რაბ. ცნობა ჯადვარისა.
 რაგ. ცნობა თანოუ ხათაისა და ალამათი-
 რაგ. თფოფის წამლობა და მარგებლობა..
 რად. ხასიათი იორდასალამისა.
 რამ. წამლობა სეფდისა.
 რამ. ღვიძლით რომ ავად იყოს.
 რამ. წამლობა ტყირაბისა.
 რამ. წამლობა ყოველის პირებისა ერთ-
 მანეთში არეული..
 რამთ. წამლობა ქარისა.
 რბ. წამალი წითელის ქარისა.
 რბა. წამალი დაკოდისა.
 რბბ. წამლები სიმსივნისა.
 რბგ. სიტყვა ქათმისა.
 რბდ. ლოცვა სისხლის შეკვრისა.
 რბე. წამალი ფუშისა.
 რბვ. ლოცვა ყოველთა სენთან თავთა-
 ვად-
 რბზ. ნიშანი გასახსნელისა წამლებისა.
 რბწ. კარი და ნიშნები იარაგებისა.
 რბთ. შექნა და ნიშანი მათბუხისა.
 რბ. მულაბს-მოგახსნებებს.
 რბა. ლოყიათ თითითა სალოკელთა..
 რბბ. გაკეთება ჰაბებისა.

რ.შ. ნიშანი ყურსებისა.

რ.შ.დ. გაკეთება ტლევებისა.

რ.შ.მ. მაჯუნებისა, თრიაქებისა და ჯავა-
შირისა.

რ.შ.შ. გაკეთება გუარიშებისა.

რ.შ.წ. გაკეთება და წესი შარბათებისა.

რ.შ.წ.მ. გაკეთება სიკანჯუბინისა.

რ.შ.წ.წ. ცხროთა შრავალგვართა.

ს. შეტყობა სიკვდილისა და სიციოცხლისა.

ს.ა. მაჯაშიგან ძარღვისა შეტყობისა.

ს.ბ. დედაკაცი რომ არ დაორსულდეს.

ს.ბ. თუ დედაკაცი ძნელად შობდეს.

ს.დ. ნიშანი ორსულობისა.

ს.ე. წყლით მანკიერისა მიზეზნი.

ს.ვ. თუ დედაკაცსა უშვილობას სწამობდეს.

ს.ჯ. ამბავი დედათ წესისა.

ს.შ. დედაკაცის წესის უკუდგომის მიზეზნი
ს.წ. დედაკაცსა რომე რძე დააკლდეს.

ს.წ. საშოსა შიგან თუ სიშვიენე დაეშარ-
თოს დედაკაცსა.

ს.წ.ა. ისთანაყი სენი არის ათეშაკიცი იკი-
დამ გამოვა.

ს.წ.ბ. კაცი რომე ცოლთან ვერ დაწვებო-
დეს.

ს.წ.გ. ცხვირის სისხლის დენისა და კბო-
ლისა.

ს.წ.დ. თუ კაცს ტოლი ასხდეს.

ს.წ.ვ. ჯავარიშებისა და მუყარაებისა
ხასიათი.

ხელნაწერს 1007 გვერდზე ხელით მიწერილი აქვს შემდეგი:

ჩურჩხლის გაკეთება: „ნედლი სიმინდი უნდა დაიფხვნას მარცვლე-
ბად და დაინაყოს ნიგოზივით, გამოიწუროს შემდგომად მცირე წყლით
და გაახმოს მზეზე სახამებელივით, მერე გამხმარი შეინახოს, ჩურჩხელის
გაკეთების დროს ფქვილის მაგიერად იხმაროს“.

ვაქსის გაკეთება: „მოიღე ნახევარ თუნგი ღვინო და ჩაასხი ქვაბ-
ში, შედეგი ცეცხლზე და შიგ ჩაყარე თევზის წებო და წმინდა სანთე-
ლი ხუთ ხუთი მისხალი და ცოტაც ქონი, ააღულე ვიდრე ესენი კარ-
გად დადნეს, მერე შექარიც ჩაყარე ერთ ჩეტვერთი, ისიც თან დააღნე
მერმე შიგ ჩაყარე ერთი გირვანქა საყი და კარგათ აურიე რომ შეზავ-
დეს, კარგად როდისაც შეზავდება, დაასხი ზედ ნახევარ სტაქანი სპირ-
ტი ოტკა და მანამ თბილ თბილი არის თავი დახურე და ისრე გაცივდეს.

რომის გაკეთება: „მოიღე საარყე ქვაბი და გაამსე ახალის ვარ-
დით, მერმედ ზედ დაასხი ოტკა ორ ნახალი, ჩაყარე შიგ დანაყილი
ჯავზი, ილი, მიხაკი, დარიჩინი და ანისული, ბლომათ ესენი ჩაყარე და
ქვაბი კარგად მოგლისე, რომ არსიდგან სუნი არ გამოვიდეს და შეუ-
კეთე—ნელნელად ჩამოვიდეს, ჩამოსვლის დროს დანაყილი ილი, მიხაკი,
დარიჩინი და ჯავზი პატარა პარკით პირზედ აუღე რომ იმაში იწვე-
თოს, გამოვა საგანგებო რომი დასალევი“.

„ალუბლის კუნწები წყალში მოხარზე კარგად და იმისი წყალი
მუდამ დალივე, შირიმს არგებს და ქვასაც დააღნობს და ფსელსაც გა-
ატანს, ძლიერ დაცდილი არის“.

„გარეული პიტნა ააღულე წყალში და შექრითა ჩაისავით დალიე,
ვისაც მუცელი სტკიოდეს და ძლიერ ყვანა ჰქონდეს, ძლიერი არგებს
და მუცელს შეუკრავს“.

ნაწყენის წამალი: „კატაბალახა ჩაისავით მოახარშოს და დალიოს ძალიან არგებს“. „შავი ძაღლის მძღორენი წყალში დაალბე დასწურე და დაალევინე, ისიც არგებს“. „რაკის წამალი მოხარშე და დაალევინე, ისიც არგებს“.

„გრგვალი წამალი თუნდ პირში ჩაიდოს, წყალით ჩაყლაპოს და თუნდ მოხარშოს და წყალი დალიოს, თუ ღვიძლიც დაკოდილი ჰქონდეს, გამთელდების და ისრედ ხველასაც არგებს“.

ხველისათვის: „ნიორი თაფლში მოხარშე და აკამე“, „კიდევ ბალახინის ზეთი კაი წითელ ღვინოში ერთს რუმაკში თორმეტი წვეთი ჩაასხი და მუდამ დალიე ვიდრე მორჩე“.

„ბალახინის ზეთი დაკოდილისთვისაც ძლიერ კარგია, მუცელსაც შეუკრავს“. „ქართულად მარწყვის ფერი წითელი წამალი ჰქვიან და სომხურად ვარმიჩ დიდ ჰქვიან, ბალახის ძირი არის, ვენახებში ბევრი იქნება, ნაწყენისა და ხველისა მისწრება წამალი არის, დანაყე და მოხარშე წითელი წყალი იქნება, დასწურე და მისი წყალი დალიე, ვიდრე გეშველოს, დაცდილი არის, ამის უკეთესი არ იქნება“.

„თუ მშობიარეს სისხლი შიგნით შეეკცეს და ბუდათ გადაეკცეს და სდიოდეს და იმით ავათ იყოს, მოიტანე ძროხის ნეხვი, თეთრი ხახვი, დასკერ და აურიე და მერმე შავი ნავთით დაატაბაკე ტაფაში და მოხრაკე და მემრედ თბილად საშოზედ დაადე. და ჩამოსწმენდს ბაყლსა და ამ სახით ჰქმენ, ვიდრე სნეული მორჩეს“.

ხელნაწერის 1011 გვერდზე სწერია მაჯუნის გაკეთება.

1700

დაუბნებლად. დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა და ნათესავთა. და
 ყოველი სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ამდენად დასაყობს. და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და
 დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და
 დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და
 დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და
 დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და

დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და
 დასდით სიკეთესა და სიყვარულსა. და
 ნათესავთა და ნათესავთა. და

მარიანტი C (საკუთრება სანიტ.—პიგიენ. ინსტიტუტისა). ხელწერილი ზომით 22×16 in folio შეიცავს ამეამად 1006 გვერდს, დაწერილია გაკრული მხედრულით—იკითხება კარგად. წინა ფურცელზე ხელწერას აქვს შემდეგი წარწერა: „ქ. ჩლპზ მაისის ათს ვიწყეთ დაწერა ამა კარაბადინისა, დასრულდა ჩლებ გიორგობის „ლ“ ამდენსა. რუსეთსა, მოზდოკს იოანეს მღვდლის ხელითა“. ¹

„ვინც წაიკითხოთ. ერთის პირის ლოცვით მომიგონეთ, ბევრი ამაგი მიქნია ამ წიგნის წერაში.“

„რომელმაც ქრისტიანმან კაცმან წაიკითხოთ და ამა კარაბადინიდან სარგებელი მოგეცესთ და თქვენი სწეულებანი განიკურნოს საქართველოს მეფის ბატონის ლუარსაბის ძეს დავით ხანს შენდობა უბრძანეთ, იმისი ნათარგმნი არის, სტამბოლსა თათრულისაგან ქართულად ქორონიკონსა უპე (486 წ.) ამდენსა“.

„მერმედ მე იოანე მღვდელმან ვნახე და გადავწერე წელსა ჩლპთ ამდენსა (1789). ვინც აქადამ ფურცელი ამოხიოს ღეთისა მიერ იყოს წყეული და ქრისტეს მიერ შეჩვენებული. ამოტომ ვიტყვი რომე დიდი ამაგი მაქვს და ღვაწლი დამიდვია“.

ხელწერის ბოლოში სარჩევის წინა ფურცელზე მიწერილია იმავე ხელით: „ეს კარაბადინი მე იოანე მღვდელმან აღვწერე მოზდოკს ბატონიშვილის მირიანის კარაბადინიდან ჩლპზ წელსა (1787) თვის ი (10)“.

„მეორე კარაბადინიც დავით ბატონიშვილის კარაბადინისაგან გადავწერე მოზდოკს“. ² ამ ვარიანტში ჩვენი ტექსტის შესავალი საგრძნობლად შემოკლებულია, ისე როგორც არც ერთ სხვა ვარიანტში. ეს შესავალი მოგვყავს აქ მთლიანად:

„ლთისათა, წიგნი ესე კარაბადინი არს, ნებითა და ბრძანებითა, ჩვენ მეფე მეფის ბატონის ლუარსაბის ძე საწყალობელი დაუთხან ჩვენ საქმეზედ სტამბოლს სულთან მურად ხონთქართან მივედით სასაქმოდ წელსა უპე. სტამბოლს ორი წელიწადი დავყავით. ერთს

¹ ანუ დაწყებულია 1787 წ. მაისის ათს, და დასრულებულია 1792 წ. გიორგობისთვის ოცდაათს.

² ეს მეორე კარაბადინი ჯერჯერობით არ სჩანს.

დღეს ერთ ფილოსოფოს მეცნიერს და ბედნიერს კაცს შემოგვეყარე-
 ნით, იმ კაცმან თავის სახლში მისელის ვედრებით მიგვიპატიეთა და
 მიგვიყვანა. მრავალი სააქიმო და სამეცნიერო წიგნები ქონდა ყოვე-
 ლივე გვიჩვენა, მაგრამ ეს კარაბადინი ყველა წიგნებისაგან უფრო
 მოვინდომეთ, ამიტომ რომე საქართველოშიგან ამისთანა წიგნი არ
 იპოვებოდა. საქართველოს ასეთი კაცი ვნახეთ რომ უაქიმოთ და
 უცოდინრობით მოკვდა და დაზიანდა. ღთის ძალით შერმეთ იმ თა-
 თრულს წიგნს ჩვენ შევბედეთ და ქართულად გადმოვათარგმანეთ,
 ამისთვის რომე, თავად დიდი მადლი არის მეთქი, მეორე რომ კაც-
 მან კაცი სასჯელისაგან და სიკვდილისაგან დაიხსნას და მოარჩინოს.
 ვინცა ამა წიგნითა და წამლებითა მორჩეთ მე საბრალოს უღირსს
 დაუთხანს შენდობა მიბრძანეთ ხვალმე, თქვენის კეთილის ენისაგან,
 ნუ დაგვივიწყებთ. ვინც ჩვენ შენდობა გვიბძანოთ, ღმერთმან თქვენც
 შეგინდოსთ თქვენი შეცოდებანი, ამინ“.

ამ მოკლე შესავალის შემდეგ იწყება:

კარი პირველი: წელიწადის ოთხი ფასლი. ოთხი ხილთის ნიშ-
 ნები და ალამათები.

კარი მეორე: ამა ოთრისა ხილთებისა წამლებს გამცნობს. აწე
 ამა ოთხის ფასლის თათბირები ისმინეთ.

კარი მესამე: სნეულის მაჯის შეტყობისა.

კარი მეოთხე: სისხლის გამოშვების რიგებს გიამბობს. ამ თავ-
 ში მოყვანილია შემდეგი ცხრილი:

ა	ბ	გ	დ	ე	ზ	თ	ი	ია	
ივ	იღ	ივ	იხ	ით	კ	კთ	კთ	ლ	
ამ ხეშო ნაწერს სათვალავშიდ სისხლის გამო- შვება მეტად ხარილი აუის, უნდა ერიდონ.									
	იბ	იე	იწ	კა	კბ	კგ	კდ	კე	კვ
კზ	ამეებში დიახ კარგი არის სისხლის გა- მოშვება.								

ამავ. მეოთხე კარში არის „ტვინის, ასოებისა და ძარღვების“
 აღწერა.

კარი მეხუთე: გასახსნელს წამლებს გიამბობს.

კარი მეექვსე: თავის ტკივილის თათბირებს გიანბობს. ამ კარში
 თავისა და თვალის სნეულებანი ერთად არის მოცემული.

კარი მეშვიდე: ყურის ტკივილისათვის.

კარი მერვე: კბილის ტკივილისა. ამავე კარშია „დაძრულის კა-
ცის წამლებს გეტყვის. კოლონჯის წამლებს გიანბობს.
ჯალინოს აქიმმან ბრძანა ყურისათვის. ყურის ტკივი-
ლის წამლები“.

კარი მეცხრე: კბილის ტკივილის წამლებს გიამბობს. აქვეა
ცხვირის ტკივილისათვის.

კარი მეათე: ბნედისათვის. აქვეა ხუნაგისათვის. ნათაზისათვის
ციებისათვის და ცხელებისათვის. აქვეა „ციებისათვის
გრიგოლ საკვირველმოქმედისაგან მრავალჯერ ნაცადი
წამალი“; ბოლრატ აქიმისაგან ნათქვამი ციებ ცხელე-
ბისათვის. ისაყ აქიმისაგან ნაცადი წამალი. მადანე
აქიმმა თქვა ციებისათვის. ტყირპის წამლებს გიამბობს.
სისხად სიმსივნისათვის მრავალჯერ დაცდილი წამ-
ლები.

კარი მეთერთმეტე: ბოლრატ აქიმისაგან შირიმისა დახუთვისა,
შარდის დენისა შარდის წვეთისა წამლებს გიამბობს.

აქვეა „ჯალინოზისაგან მრავალჯერ ნაცადი წამლები.

კარი მეორამეტე: შირიმის ქვას დაღეწს, შარდის დენას მოს-
წყვეტს-

კარი მეცამეტე: შირიმის ქვის და თირკმლის ქვის და ბუშტის
ქვის წამლებს გიანბობს და გამცნობებს, რაც ამათ
აზიანებს იმასაც მოგახსენებთ.

კარი მეოთხმეტე: ყბის დაწვისა, ენის დაბმისა და ენის ტკი-
ვილისა, ღვიძლის ტკივილისა.

კარი მეთხუთმეტე: პირის ტკივილისა. პირიდან ავის სულის დე-
ნისა წამლებს და ალამათებს გიამბობს.

კარი მეთექვსმეტე: ღვიძლის ტკივილისა, თირკმლის ტკივილი-
სა წამლებს გიანბობს.

კარი მეჩვიდმეტე: ბოასილისა, ნოასილისა, ხანზილისა, სოკოს
წამლებს გიანბობს და გამცნობებს. აქვეა: „ყვერების
ტკივილის წამლებს მოგახსენებს“, „წელის ტკივილის
წამლებს გიამბობს“, „ბედნიერის წამლებს გიამბობს“,
„ფჩილის წამლებს გიამბობს“, „ქაჩლის წამლებს გი-
ამბობს და ნიშნებს გასწავლის“.

კარი მეთვრამეტე: თმის და წვერის გამოსხმის წამლებს გიამ-
ბობს და გასწავლის.

კარი მეცხრამეტე: დაკოდლისათვის. აქვეა: „თიაქარისათვის.
კარგი წამალი“.

კარი მეოცე: ბრაზიანის ძაღლისა, გველისა, მორიელისა წამლებს მოგახსენებს.

აქვეა—ლოცვა და ფუცება ბრაზიანის ძაღლისა, გველისა; მორიელისა და სხვისადა.

აქვეა—აწ გველის ნაკბენის წამლებს გაიმბობს კაცს თუ გული სტკიოდეს. კაცი თუ სიგრილისაგან ფსელს ვერ იპერდეს. წითელი ქარი თუ კაცს ჰქონდეს. ფილენჯის ქარი თუ ქონდეს. სიმპლის წამალი რომე ქლერქსა ჰქვიან.

მცვედნის კაცის წამალი.

აქვეა—ლოცვა თუ ქალს მუცელი უხდებოდეს. აწე სოკოს წამალი. ქარის წამალი. თუ დედაკაცს შვილის შობა გაუჭირდეს. დაპრილის წამალი. სისხლზედ თუ იარებოდეს ვინმე. დაპრილის წამალი—ქიაც თუ აქვს. მოტეხილის წამალი. მოწამლულის კაცის წამალი რიგიანი სტომაქის სასაქმებელი. დაძრულის კბილის წამალი.

კარი მეოცდაერთე: (აკლია)

კარი მეოცდაორე: შარდის ნიშნებს, სნეულის ცნობას განწავლის და გამოგიცხადებს.

აქვეა: წყლის ხასიათებს გაიმბობს. საკმეღების ხასიათებს გაიმბობს. ხილების.

კარი მეოცდამესამე გასახსნელს წამლებს გაიმბობს და მათფუნ ფაქიასა ყველას რიგიანად მოგახსენებს, აქვეა „რწყევისათვის.

კარი ოცდამეოთხე: სახადის რიგებს, ოფლის და ბორნის, შეძნელების და მოსვენების ნიშნებს გაიმბობს. აქვე არის მოყვანილი ცხრილი კარგ და ავი ბურჰანის დღეებისა. „კარგს და ავს ნიშნებს და ალამათებს გაიმბობს, თუ ავადმყოფობიდან მორჩების თუ მოკვდების.

